# ვინ ვინაა საქართველოში 2001-2002

„ვინ ვინაა საქართველოში 2001-2002“
ქართული ბიოგრაფიული ლექსიკონი

© „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა —
ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, 2001

Who's Who in Georgia 2001-2002
Georgian Biographical Dictionary
© Georgian Biographical Centre, 2001
Published and Printed by Bakur Sulakauri Publishing,
Tbilisi, Georgia

**www.sulakuri.ge**

მთავარი რედაქტორი: თინათინ მამულაშვილი
რედაქტორი: მარინე სოხაძე
ყდის დიზაინი: თამაზ ვარვარიძე
დიზაინი: დეა ჯაბუა
კოორდინატორები: ნინო აბესაძე
ქეთევან შალამბერიძე
ეკა ცანავა
ნინო ხარატიშვილი

ქართული ბიოგრაფიული ცენტრი
ალმაშენებლის 150ა,
მე-3 სართული, თბილისი 380012.
ტელ: 951910, 899 50 19 57
ელ-ფოსტა: bakur @ access.sanet.ge

ISBN 99928-52-84-4 (რბილ ყდაში)
ISBN 99928-52-85-2 (მაგარ ყდაში)

# ვინ ვინაა საქართველოში

## 2001-2002

ქართული ბიოგრაფიული ცენტრი

ქართული ბიოგრაფიული ცენტრი მადლობას მოახსენებს ყველა იმ პიროვნებას, რომელმაც პატივი დაგვდო და დიდსულოვნად შეავსო კითხვარი, აგრეთვე არ დაიშურა დრო და დაგვეხმარა ინფორმაციის დაზუსტებისას. ბუნებრივია, მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წიგნისათვის სრულფასოვანი სახის მიცემა.

გარდა უშუალოდ რესპონდენტებისა, ინფორმაციის (და ფოტოების) მოძიებაში, დაზუსტებასა თუ შერჩევაში დახმარება აღმოგვიჩინა უამრავმა პიროვნებამ თუ ორგანიზაციამ. კერძოდ, გვინდა მადლობით მოვიხსენიოთ:

**ეკა ბადრიძე** პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე; **ეკა გასიტაშვილი** უზენაესი სასამართლოს აპარატის უფროსი; **შოთა დოლონაძე** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე; **ნათელა თოფურია** და **ნინო ძიძიგური** უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის კონსულტანტები; **ლელი ლაბაური** სახელმწიფო კანცელარიის კადრების განყოფილების გამგე; **დემირ ნოზაძე** საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სამსახურის კადრებთან მუშაობის განყოფილების გამგე.

ასევე მადლობას ვუხდით დ.ბარამიძეს, თ.მურვანიძეს და ყველა იმ პიროვნებას, რომლის დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წიგნის გამოცემა.

წიგნში გამოყენებულია **ირაკლი გედენიძის**, **გურამ წიბახაშვილის**, **იური მეჩითოვის** ფოტოები.

# წინასიტყვაობა

თქვენს წინაშეა საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული ბიოგრაფიული ლექსიკონის — „ვინ ვინაა საქართველოში" — მესამე გამოცემა.

„ვინ ვინაა საქართველოში" პირველად 1997 წელს გამოვიდა და საზოგადოების ფართო ფენების დიდი ინტერესი გამოიწვია. წიგნში შეტანილი იყო საქართველოს იმ 500-მდე მოქალაქის ბიოგრაფია, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ 1996-97 წლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეორე გამოცემაში, რომელიც 1999 წელს განხორციელდა, უკვე 1000-მდე ბიოგრაფია შევიდა. გარდა იმისა, რომ წიგნის მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა, მოხდა სხვა ცვლილებებიც: გაუმჯობესდა დიზაინი და პოლიგრაფიული დონე, შემცირდა უზუსტობანი და შეცდომები, დადგინდა ბიოგრაფიების შერჩევის მკაცრი კრიტერიუმები.

„ვინ ვინაას" ყოველი წიგნის გამოცემისთანავე სარედაქციო კოლეგია მუშაობას იწყებს მომდევნო გამოცემის მომზადებაზე. წინამდებარე გამოცემის მომზადებას ორი წელი დასჭირდა. მასში 1200-მდე ბიოგრაფიაა მოთავსებული. ძირითადი აქცენტი ამჯერად ბიოგრაფიების შერჩევის კრიტერიუმების დაზუსტებასა და ტექსტის უნიფიცირებაზე გაკეთდა.

საერთოდ, მსგავსი ლექსიკონებისა და ცნობარების შედგენისას უმთავრესი პრობლემა ის გახლავთ, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე უნდა შევიდეს ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფია ცნობარში.

პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, სადაც ბიოგრაფიების შეზღუდული რაოდენობა (სულ 500 ბიოგრაფია) ობიექტური კრიტერიუმების დადგენის საშუალებას არ იძლეოდა, მომდევნო გამოცემებში მაქსიმალური სიზუსტით განისაზღვრა წიგნში ბიოგრაფიის შეტანის როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური კრიტერიუმები.

კრიტერიუმების შემუშავების ძირითადი პრინციპი ბიოგრაფიის „საცნობარო ღირებულება" იყო. ლექსიკონის მიზანია, თავი მოუყაროს იმ პიროვნებათა ბიოგრაფიებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ცხოვრებაში, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომელთა თანამდებობა, კარიერა, მიღწევები თუ განსაკუთრებული წვლილი ამა თუ იმ სფეროში, მათ ბიოგრაფიას საყოველთაო ინტერესის საგნად აქცევს.

რომელიმე პიროვნების სურვილი, საკუთარი ბიოგრაფია ჩვენს ლექსიკონში იხილოს, არ არის საკმარისი წიგნში მოსახვედრად.

ქართული ბიოგრაფიული ცენტრის სურვილია, შეუქმნას და შეუნარჩუნოს წიგნს ობიექტური, ამომწურავი და თანამედროვე საცნობარო-ბიოგრაფიული ლექსიკონის რეპუტაცია.

იმისათვის, რომ წიგნში შეტანილი ბიოგრაფია მაქსიმალურად ზუსტი და ამომწურავი ყოფილიყო, სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა, ინფორმაცია პირველწყაროებიდან — თავად იმ პიროვნებათაგან მოეპოვებინა, რომელთა ბიოგრაფიებიც წიგნში უნდა შესულიყო. ამისათვის რესპონდენტებს დაეგზავნათ სპეციალური კითხვარი, რომელიც წიგნში შესულმა თითქმის ყველა პიროვნებამ შეავსო და გამომცემლობას გამოქვეყნების ნება დართო. ასე რომ, ბიოგრაფიები დაიწერა ყველაზე სანდო წყაროდან — რესპონდენტების მიერ შევსებული კითხვარებიდან — მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმისათვის, რომ ლექსიკონის საცნობარო ღირებულება მაქსიმალურად გაზრდილიყო, ჯერ კიდევ პირველ გამოცემაში, გარდა უშუალოდ მშრალი ბიოგრაფიული ფაქტებისა და თარიღებისა, შევიტანეთ სამსახურისა და ბინის მისამართები და ტელეფონები, აგრეთვე ფოტოსურათები (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფოტოების შეტანას მსგავსი ტიპის ლექსიკონებში, სამუშაოს სირთულის გამო, ვერ ახერხებენ მსოფლიოს წამყვანი ბიოგრაფიული ცენტრებიც კი). გარდა ამისა, ბიოგრაფიების დიდ ნაწილს ახლავს ჰობი, რაც დამატებით ელფერს ანიჭებს პიროვნების ბიოგრაფიას. ბიოგრაფიების უმეტესობა ბოლოვდება მომცრო, მუქი შრიფტით აწყობილი ტექსტებით. ეს ჩანაწერები, რომელთაც სათაურად „ჩემი ცხოვრებისეული კრედო" შეიძლება ეწოდოს, უშუალოდ ლექსიკონში შესულ პიროვნებებს ეკუთვნით და სპეციალურად ამ წიგნისათვის დაიწერა. სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა, ეს ჩანაწერები თითქმის უცვლელად, ყოველგვარი სტილისტური ჩასწორების გარეშე გამოექვეყნებინა. ისევე როგორც წინა გამოცემებში, ახლაც, ამ ჩანაწერებმა ერთგვარი სიცოცხლე შთაბერა მშრალ ბიოგრაფიულ მონაცემებს, ვინაიდან მათში გადმოცემულია ის პრინციპები, მიზნები და იდეალები, რითაც წიგნში შესული პიროვნებები ხელმძღვანელობდნენ საკუთარი ცხოვრების მანძილზე და რამაც განაპირობა მათი წარმატება.

ბუნებრივია, მსგავსი წიგნის ყოველ მომდევნო გამოცემას (თუნდაც წიგნის მოცულობა არ იზრდებოდეს) უამრავი ცვლილება ახლავს. ქართული ბიოგრაფიული ცენტრის მიზანი სწორედ ამ ცვლილებების დაფიქსირება და გასული პერიოდის შეძლებისდაგვარად სრული სურათის შექმნაა („ვინ ვინაა საქართველოში" პერიოდული გამოცემაა და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გამოდის). ცვლილებები ნებისმიერ საზოგადოებაში ბუნებრივია და, მით უმეტეს, გარდამავალი პერიოდის საქართველოში, სადაც ყველაფერი იმდენად სწრაფად იცვლება, რომ რედაქტორებს რამდენჯერმე მოუხდათ წიგნის გადაკეთება. ბუნებრივია, ცვლილებები შეიძლებოდა მომხდარიყო თუნდაც უშუალოდ წიგნის დასტამბვის პროცესში, ანდა წიგნის გამოსვლიდან რამდენიმე დღეშიც. ამის გამო გვსურს აღვნიშნოთ, რომ ცნობარი 2001 წლის აგვისტოს მდგომარეობას ასახავს.

წინა გამოცემიდან წიგნში მხოლოდ 500-მდე ბიოგრაფია დარჩა და თვით ეს ბიოგრაფიებიც კი არ არის უცვლელი სახით გადმოტანილი — თითქმის ყოველი მათგანი დაზუსტდა.

სამწუხაროდ, წიგნზე მუშაობის პროცესში, რომელიც ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, ლექსიკონში შესული რამდენიმე პიროვნება გარდაიცვალა. მათი ბიოგრაფიები ჯვრებით არის გამოყოფილი.

წიგნში ბიოგრაფიები ანბანურადაა დალაგებული, გვარების მიხედვით, მაგრამ წინა გამოცემის ერთი ტრადიცია შენარჩუნებულია — მიუხედავად იმისა, რომ ბიოგრაფიები გვარების მიხედვითაა დალაგებული, ბიოგრაფიის დასაწყისში ჯერ პიროვნების სახელია და მერეღა მოდის გვარი (გამონაკლისს წარმოადგენს სამღვდელოება: მათი მოძებნა ცნობარში საეკლესიო სახელების მიხედვით არის შესაძლებელი).

„ვინ ვინაას" პირველი გამოცემის შემდეგ ქართული ბიოგრაფიული ცენტრის ლექსიკონების საცნობარო პოტენციალი ძალიან გაიზარდა, რაც განაპირობა დარგობრივი

ლექსიკონების მომზადებამ და გამოცემამ. წინამდებარე წიგნის გარდა სარედაქციო კოლეგიამ კიდევ სამი ბიოგრაფიული ლექსიკონი გამოსცა: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ არქიტექტურაში" (ცნობარი აერთიანებს 200-ზე მეტი არქიტექტორის ბიოგრაფიას, ფოტოსა და ნამუშევრების ფოტოებს), „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (2500-ზე მეტი თანამედროვე ქართველი მხატვრისა და ხელოვნებათმცოდნის ბიობიბლიოგრაფიული ლექსიკონი, რომელიც მხატვართა კავშირთან თანამშრომლობით მომზადდა) და „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ მედიცინაში" (1300-მდე თანამედროვე ქართველი მედიკოსის ბიოგრაფია, მომზადებული ქართული მედიცინის ენციკლოპედიასთან ერთად). ასე რომ, დღეისათვის „ვინ ვინაას" სერიით გამოცემულ ბიოგრაფიულ ლექსიკონებში მკითხველს უკვე შეუძლია 5500-ზე მეტი პიროვნების ბიოგრაფია მონახოს (მისამართებთან და ტელეფონებთან ერთად).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მონაცემთა ბაზა დღითიდღე ფართოვდება როგორც მომდევნო გამოცემების მოცულობათა ზრდის ხარჯზე, ასევე ახალი დარგობრივი ლექსიკონების შექმნით.

ისეთი ყოვლისმომცველი და ამომწურავი საცნობარო-ბიოგრაფიული ლექსიკონის შექმნა, როგორიცაა „ვინ ვინაა საქართველოში", ურთულესი ამოცანაა. ასეთ წიგნზე ათეულობით ადამიანი მუშაობს და მიუხედავად მათი ძალისხმევისა და პროფესიონალიზმისა, მსგავსი წიგნი ხარვეზებისაგან დაზღვეული ვერასოდეს იქნება. სარედაქციო კოლეგია მადლიერებით მიიღებს წიგნთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიან შენიშვნასა თუ წინადადებას და შეეცდება მათ გათვალისწინებას, რათა „ვინ ვინაას" მომდევნო გამოცემები კიდევ უფრო გაუმჯობესდეს.

„ქართული ბიოგრაფიული ცენტრის"
სარედაქციო კოლეგია

ივლისი, 2001

# შერჩევის კრიტერიუმები

იმ კრიტერიუმების დასადგენად, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა წიგნში შესატან პიროვნებათა სია, ამოსავალი პრინციპი იყო ბიოგრაფიის ე.წ. „საცნობარო ღირებულება", რომელიც ორი ფაქტორით და, შესაბამისად, ორი ტიპის კრიტერიუმით განისაზღვრება:

1. ფორმალური კრიტერიუმი (ანუ ბიოგრაფიის შეტანა პიროვნების თანამდებობის ან წოდების მიხედვით)

2. არაფორმალური კრიტერიუმი (დონე განსაკუთრებული წარმატებისა თუ წვლილისა, რომელიც ამა თუ იმ პიროვნებამ ამა თუ იმ სფეროში შეიტანა საკუთარი ცხოვრების მანძილზე.)

პერსონალიათა უმრავლესობა პირველი კრიტერიუმის საფუძველზეა შეყვანილი წიგნში.

ფორმალური (ანუ თანამდებობრივ-წოდებრივი) კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ბიოგრაფია ლექსიკონში შედის, შემდეგია:

- საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები. ამ ჯგუფში შედიან, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, მინისტრები, სახელმწიფო დეპარტამენტების თავმჯდომარეები, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს წევრები.
- მნიშვნელოვანი სახელმწიფო სტრუქტურების წევრები და ხელმძღვანელები. მაგალითად, უშიშროების საბჭოს, იუსტიციის საბჭოს, ეროვნული ბანკის საბჭოს და ა.შ. წევრები, საქართველოს ელჩები სხვა ქვეყნებში და სხვ.
- საოლქო სასამართლოების მოსამართლეები, რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეები
- ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. კერძოდ: პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულები, დიდი ქალაქების მერები, რაიონული გამგეობების თავმჯდომარეები.
- უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების და ინსტიტუტების ხელმძღვანელები.
- მნიშვნელოვანი მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების, შემოქმედებითი კოლექტივების და ა.შ. ხელმძღვანელები.
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები და წევრ-კორესპონდენტები, აგრეთვე აკადემიის სისტემაში შემავალი სჰკ ინსტიტუტების დირექტორები.
- მნიშვნელოვანი ეროვნული და საერთაშორისო პრემიების (მაგალითად, რუსთაველის პრემია) ლაურეატები.

- ძირითადი რელიგიური მიმდინარეობების სასულიერო ლიდერები.
- წამყვანი ტელეკომპანიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთების, ჟურნალების, რადიოკომპანიების, საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელები.
- ევროპისა და მსოფლიოს პირველობათა პრიზიორები და რეკორდსმენები, აგრეთვე საქართველოში პოპულარულ სპორტის სახეობათა ფედერაციების ხელმძღვანელები და მწვრთნელები.
- მნიშვნელოვანი არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები.
- მსხვილი კომპანიების, ბანკების და ა.შ. ხელმძღვანელები.

ე.წ. „არაფორმალური კრიტერიუმებით" შერჩევა (განსაკუთრებული წვლილი, რომელიც პიროვნებამ ამა თუ იმ დარგის განვითარებაში შეიტანა), რასაკვირველია, შედარებით სუბიექტურია, მაგრამ სარედაქციო კოლეგია შეეცადა, ყოველი ცალკეული დარგისათვის დაედგინა შეძლებისდაგვარად ობიექტური კრიტერიუმები „განსაკუთრებული წვლილის" განსაზღვრისა.

ხშირ შემთხვევებში ეს ორი კრიტერიუმი ფარავს ერთმანეთს და დიდი ნაწილი წიგნში შესული პიროვნებებისა როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური კრიტერიუმებით მოხვდა ლექსიკონში. მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის წევრი ერთის მხრივ ფორმალური კრიტერიუმით — მდგომარეობით (აკადემიის წევრობა) აღმოჩნდა წიგნში, მეორეს მხრივ კი თავისთავად ამ მდგომარეობამდე მიღწევა განაპირობა განსაკუთრებულმა წვლილმა ამა თუ იმ სფეროში. ანალოგიურად, პარლამენტის წევრს არა მხოლოდ ეს მდგომარეობა უკავია; ამ პოსტზე ყოფნა გამოხატავს განსაკუთრებულ წვლილს პოლიტიკურ სარბიელზე. ორივე შემთხვევაში ბიოგრაფიის „საცნობარო ღირებულება" თვალშისაცემია.

არაფორმალური კრიტერიუმების გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა ზოგიერთი სფეროსათვის (მაგალითად, ლიტერატურა, ხელოვნება და ა.შ.), სადაც ფორმალური კრიტერიუმები პრაქტიკულად არაფერს ნიშნავს.

ქართული ბიოგრაფიული ცენტრის სარედაქციო კოლეგია მადლობით მიიღებს ნებისმიერ კონკრეტულ წინადადებას თუ მოსაზრებას, რომელიც დაგვეხმარება შერჩევის კრიტერიუმების დაზუსტებაში.

# შემოკლებათა ჩამონათვალი

| | |
|---|---|
| აპკ | ამიერკავკასია |
| ალკკ | ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი |
| არ | ავტონომიური რესპუბლიკა |
| განყ-ბა | განყოფილება |
| გენ. | გენერალური |
| თსთი | თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი |
| თსსა | თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| თსსი | თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი |
| თსუ | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| ინ-ტი | ინსტიტუტი |
| კპს | კინოსტუდია |
| კპფ | კინოფესტივალი |
| მ.შ. | მოვალეობის შემსრულებელი |
| რპგ | რაიონული გაერთიანება |
| რეჟ. | რეჟისორი |
| რ-ნი | რაიონი |
| საკ | საქართველოს არქიტექტორთა კავშირი |
| საშ. | საშუალო |
| სახ. | სახელმწიფო |
| სეგ | სურათების ეროვნული გალერეა |
| სეოკ-ი | საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი |
| სპკ | სამეცნიერო-კვლევითი |
| სკბ | სააქციო კომერციული ბანკი |
| სკკპ | საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია |
| სოფ. | სოფელი |
| სპეც. | სპეციალური |
| სმკ | საქართველოს მოქალაქეთა კავშირი |
| სპი | საპროექტო ინსტიტუტი |
| სპგ | საწარმოო გაერთიანება |
| სსგ | საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება |
| სპი | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი |
| სპს | სააქციო საზოგადოება |
| სტუ | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| ფაკ-ტი | ფაკულტეტი |
| შპგ | შემოქმედებითი გაერთიანება |
| შპს | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| შსს | შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| ცკ | ცენტრალური კომიტეტი |
| ABI | ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი |
| IBC | საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი |

# ა



**ავთანდილ აბაშიძე** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი. დაიბადა ლენტეხის რაიონის სოფ. ჩიხარეში 1959 წ. 1 აგვისტოს. მშობლები: დოდო აბაშიძე, პლატონ აბაშიძე; მეუღლე — მარინა ენდელაძე (1963); შვილები: დავითი (1989), თორნიკე (1990), ნინო (1994). მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (1986). იყო საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე, პროკურორი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი (1986-96), საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-96). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრია 1996 წლიდან.
**ჰობი:** საქართველოს აღორძინება.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 92-08-49. (ბინის) გამსახურდიას 6, ბ.15. თბილისი 380060. ტელ: 33-51-65.*
**სამართლიანობა, პრინციპულობა, შემოქმედებითი საქმიანობა.**



**ასლან აბაშიძე** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი. დაიბადა ბათუმში 1938 წ. 20 ივლისს. მეუღლე — მაგული გოგიტიძე (1951); შვილები: გიორგი (1976), დიანა (1979). დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1975), თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმარების ფაკ-ტი (1984). მუშაობდა კომკავშირულ სამუშაოზე და პარალელურად ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის ინგლისური ენის მასწავლებლად (1962-65), იყო N44 პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლების დირექტორი (1965-80); ბათუმის საქალაქო კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე (1981-84); აჭარის არ საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი, საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე (1984-89), კონცერნ „საქყოფსერვისის" პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1991, 1992-95, 1995-99), პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1991, 1992-95). აჭარის არ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა 1991 წლიდან. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნისა" და „მეგობრობის ორდენით". არის მშვიდობის დაცვის ნანსენის სახელობის პრემიის ლაურეატი, აღმოსავლეთმცოდნეთა ასოციაციის, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიისა და ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) თავისუფლების 3/5. ბათუმი. ტელ: 7-00-17.*



**დავით აბაშიძე** ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი. დაიბადა ქობულეთში 1946 წ. 17 ივლისს. მშობლები: აიშე გოგიტიძე, ილია აბაშიძე; მეუღლე — დარეჯან ვერულიძე-აბაშიძისა (1947); შვილები: ზური (1969), ზაური (1973). დაამთავრა სპი სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ფაკ-ტი (1972). იყო „აჭარკოოპმშენის" საქმეთა მწარმოებელი (1970-72), ხელვაჩაურის რაიაღმასკომის კაპ. მშენებლობის განყ-ბის უფროსი (1973-75), საქრთველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს დასავლეთ საქართველოს სამშენებლო სამმართველოს უფროსი (1975-85), ტრესტ „კოლხიდმშენის" მე-6 სამმართველოს მთავარი ინჟინერი (1985-88), ბათუმის გემთსაშენი ქარხნის კომერციული დირექტორი (1988-2000), ქალაქ ბათუმის ვიცე-მერი (2000-2001). ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელია 2001 წლიდან. დაჯილდოებულია აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1997). არის სრულიად საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1994).
**ჰობი:** პოეზია.

**მისამართი:** *(სამსახურის) ლ.ასათიანის 25, ბათუმი. ტელ: 7-26-02, 7-26-03. (ბინის) მ.კოსტავას 21, ბათუმი. ტელ: 7-67-78.*

**პატიოსნება, სიმართლე, შრომისმოყვარეობა, ერთგულება**



**დალი აბაშიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე. დაიბადა სოფ. კონდოლში (თელავის რ-ნი) 1946 წ. 9 ნოემბერს. მშობლები: თამარ აბაშიძე, ნიკოლოზ აბაშიძე. დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1968). იყო კომკავშირის თელავის რაიკომის II და I მდივანი (1970-76), პარტიის თელავის რაიკომის მდივანი (1976-85), თელავის რ-ნის გამგებლის მოადგილე (1992-94), კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის სამსახურის უფროსი (1994-95), საქართველოს პარლამენტის წევრი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე (1995-99). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "VI-VII კლასების მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პირობებში" (1987). არის სმკ წევრი (1993 წლიდან).

**ჰობი:** წიგნები და მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) საავაძის 3, თელავი. ტელ: 3-22-85. ატენის 25, თბილისი. ტელ: 23-31-65.*

**კაცთმოყვარეობა, პასუხისმგებლობა და პრინციპულობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.**



**ვახტანგ აბაშიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ურეხში (ბათუმის რ-ნი) 1941 წ. 5 იანვარს. მშობლები: ემინე ზაქარაძე-აბაშიძე, ხასან აბაშიძე; მეუღლე — უბიან ნაკაშიძე (1940); შვილები: მარინე (1959), დარეჯანი (1960), ელგუჯა (1961), ლეილა (1965). დაამთავრა მოსკოვის კოოპერაციული ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1970). იყო ბათუმის რაიკოოპერატივის ეკონომისტი (1961-68), ხელვაჩაურის რაიკოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილე ვაჭრობის დარგში (1969-72), ხელვაჩაურის რაისაფინანსო განყ-ბის უფროსი (1973-77), აჭარის არ მინისტრთა საბჭოს საგეგმო-საფინანსო ორგანოების განყ-ბის გამგე (1977-81), ხელვაჩაურის რ-ნის ჩაის საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი (1981-86), ხელვაჩაურის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე (1986-90), აჭარის არ ფინანსთა მინისტრი (1991-95). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. მიღებული აქვს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ფრიადოსნის წოდება (1972). არის სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის წევრი (1995).

**ჰობი:** ოჯახი, შვილები, შვილიშვილები და მეგობრები, მუსიკა და ხელოვნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 55-56-35.*

**საქმისადმი ერთგულება და პრინციპულობა, ქვეყნისა და ერის საკეთილდღეო საქმეების კეთება, კაცთმოყვარეობა, ქართული მაღალი ზნეობრივი ტრადიციებისადმი პატივისცემა.**



**ვახტანგ აბაშიძე** ჟურნალისტი, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1960 წ. 14 აპრილს. მშობლები: ნელი ჟორდანია, ირაკლი აბაშიძე; მეუღლე — ნატო ხომერიკი (1962); შვილები: ირაკლი (1984), ანდრია (1985), ლევანი (1985), ზურაბი (1999). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1982). იყო გაზეთ "ზარია ვოსტოკას" კორესპონდენტი, კულტურისა და ხელოვნების განყ-ბის გამგე (1983-86), გაზეთ "მოლოდიოჟ გრუზიის" მთავარი რედაქტორი (1986-90), საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი (1990), დამოუკიდებელი გაზეთის "7 დღის" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი (1990-91), „საქინფორმის" დირექტორი (1992-95), საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსი, სახელმწიფო საინფორმაციო საგამომცემლო კორპორაციის თავმჯდომარე (1995-2000). იყო სკკპ წევრი (1985-89), საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი.

**ჰობი:** ზღვა მთელი თავისი ატრიბუტიკით, მათ შორის — წყლის თხილამურებით.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭანტურიას 12, თბილისი 380008. ტელ: 92-16-67. ტელ/ფაქსი: 92-16-25. ელ-ფოსტა: post@gncc.ge*

**მართალია, უბრალო მოკვდავის (ანუ – ჩემს) შემთხვევაში ძალზედ ამბიციურად ჟღერს, მაგრამ მაინც: "უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ... უსიყვარულოდ არ არსებობს არც სილამაზე, არც უკვდავება არ არსებობს უსიყვარულოდ" (გალაკტიონი). აქედან გამომდინარე, არც საქვეყნო, არც პროფესიულ საქმიანობაში, არც პირად ცხოვრებაში ჭეშმარიტი წარმატება არ არსებობს უსიყვარულოდ.**



**ზურაბ აბაშიძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში. დაიბადა თბილისში 1951 წ. 11 ივნისს. მშობლები: ნელი ჟორდანია, ირაკლი აბაშიძე; მეუღლე — ნინო ფალიაშვილი (1956); შვილები: თამარი (1976), ირინე (1986). დაამთავრა მოსკოვის უცხო ენათა ინ-ტი (1973). იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი მდივანი (1974-78), სსრკ გენ. საკონსულოს ატაშე ბომბეიში (1978-80), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე (1980-82), საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ინსტრუქტორი (1982-84), სსრკ საელჩოს მრჩეველი ესპანეთში (მადრიდი, 1984-88), საქართველოს უცხოეთთან მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1989-92), საქართველოს ელჩი ბენილუქსის ქვეყნებში, ევროკავშირთან და ნატოსთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი (1993-2000), საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (2000). რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია 2000 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ესპანისტიკაში (1983). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები ესპანისტიკაში და პოლიტოლოგიაში. არის ავტორი წიგნისა „ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისაკენ" (2000). იყო სკკპ წევრი (1976-90).
**ჰობი:** ჩოგბურთი.
*მისამართი: (სამსახურის) მალი რჟევსკი 6. მოსკოვი 121069. ტელ: 290-69-02. ფაქსი: 291-21-36.*

**ვიყო ნორმალური: მოქალაქე, ქრისტიანი და მშობელი.**



**ზურაბ აბაშიძე** იურისტი, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1973 წ. მშობლები: ლიანა ნაცვალაძე, გიორგი აბაშიძე. დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი (1995). იყო საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის იურიდიული განყ-ბის მთავარი სპეციალისტი (1996-97), საქართველოს სახელმწიფო მინისტრის I მოადგილის, სახელმწიფო კანცელარიის უფროსის თანაშემწე (1997-98), საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის რეფერენტი (2000). არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 80, თბილისი 380002. ტელ: 95-13-73. ფაქსი: 95-76-30. (ბინის) ყაზბეგის 25ა, თბილისი. ტელ: 39-05-56.*

**სარწმუნოება, სამშობლო, პატიოსნება, ერთგულება, პროფესიონალიზმი.**



**ჯემალ აბაშიძე** ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1946 წ. 23 მაისს. მშობლები: ნიგარ ხალვაში, ომერ აბაშიძე; მეუღლე — ლიანა ნიჟარაძე (1947); შვილები: რუსუდანი (1974), მერაბი (1977), როსტომი (1986). დაამთავრა სპი სამთო მექანიკის ფაკ-ტი (1969). იყო რ/გ „აჭარსოფლტექნიკის" ინჟინერი (1969-71), თბილისის N5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მშენებელი ოსტატი (1972-74), სამშენებლო და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელი (1974-93), N7 საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსი (1993-97), აჭარის არ საგზაო ფონდის განყოფილების უფროსი (1997-99). ხელვაჩაურის რ-ნის გამგებელია 1999 წლიდან. არის დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1997).
**მისამართი:** *(სამსახურის) დაბა ხელვაჩაური, 384545. ტელ: 7-62-93.*

**ოჯახი ჩემი პირველწყარო ყველა სიკეთისა და ნიმუში კეთილშობილებისა. თუ როგორი უნდა იყოს ჩემი ფუნქცია საზოგადოებაში? რა თქმა უნდა, ობიექტური, მიუკერძოებელი. გიყვარდეს, პატივსა სცემდე ეითარცა თავსა შენსა, ოჯახსა შენსა. სიტყვა და საქმე. დღეს მომეცა შესაძლებლობა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურის აღორძინებასთან დაკავშირებით ხელვაჩაურის რაიონის მოსახლეობის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა. ყოველივე შედეგია იმ სტაბილურობისა და აღმშენებლობის პროცესებისა, რაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარეობს.**



**ბიბი აბდუშელიშვილი** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უზბეკეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 23 მარტს. მშობლები: ალექსანდრა აბდუშელიშვილი, ზურაბ აბდუშელიშვილი; მეუღლე – დინა ზამბახიძე (1941); შვილები: ნესტანი (1963), ზურაბი (1967), დიმიტრი (1973). დაამთავრა სპი ავტომექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1964). იყო სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის ინჟინერი (1964-66), კომკავშირულ და პარტიულ აპარატში (1966-77), მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1977-80), მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე (1980-90), მრეწველობის მინისტრი (1991-92), წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი (1992-94), მინისტრთა კაბინეტის, სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, დსთ საქმეთა ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე (1994-97). საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია 1997 წლიდან. არის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მართვის პროცესების დარგში (1976), ავტორი სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატიებისა (1967-93). დაჯილდოებულია მედლით შრომითი წარჩინებისათვის (1971). არის საქართველოს სამეცნიერო სამრეწველო კავშირის თავმჯდომარის მ.შ.

**ჰობი:** ლიტერატურა, თეატრი, ტელე და კინოფილმები, სპორტი, საკარმიდამო ნაკვეთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) მ. ტარობის 16, ტაშკენტი 700090. უზბეკეთის რესპუბლიკა. ტელ: 54-54-08. ფაქსი: 54-65-35. ელ-ფოსტა: gruzemb@geo-embassy.co.uz*

**ვიცხოვრე ისე, როგორც გამომივიდა საზოგადოებისათვის ჩვეული პლიუსებითა და მინუსებით; განვლილი გზის ანალიზი არასახარბიელო საქმედ მიმაჩნია, ვერ შევცვლი; კარიერული წარმატება განაპირობა ხელმძღვანელობამ, ვინც დაინახა.**



**ბადრი აბზიანიძე** საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა ქუთაისში 1959 წ. 26 თებერვალს. მშობლები: ჩიტო მოსეშვილი, ვარცენტი აბზიანიძე. დაამთავრა ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1985), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (2000). იყო ქუთაისის სახლთმშენებელი კომბინატის მუშა (1976-80), სოფ. ოფურჩხეთის საშუალო სკოლის მასწავლებელი (1985-86), წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი (1987-89), ქუთაისის ქალაქკომის ინსტრუქტორი, განყოფილების გამგე (1989-91), მოქალაქეთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი (1994-96), საქართველოს პარლამენტის წევრი, კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე (1995-99), საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი (2000-2001). საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრია 1994 წლიდან.

**ჰობი:** ფსიქოლოგიური დეტექტივი (წიგნები, ფილმები).

**მისამართი:** *(სამსახურის) ახვლედიანის 24. თბილისი 380103. ტელ: 76-84-04. ფაქსი: 76-84-48.*



**პატიოსნება, მოთმინება, ერთგულება, პროფესიონალიზმი.**

**აბრაამი (გარმელია)** ჭიათურის მიტროპოლიტი, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი. დაიბადა სოხუმში 1948 წ. მშობლები: ეკატერინე გარმელია, მამია გარმელია. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1971), მცხეთის სასულიერო სემინარია (1988). ეწეოდა პედა-

გოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას (1971-86), იყო საქართველოს ფილარმონიის ინჟინერი (1973-75), საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური კვლევითი ცენტრის სოციოლოგი (1975-77), სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის განყ-ბის გამგე (1977 წლიდან). აღიკვეცა ბერად, აკურთხეს მღვდლად (1988). იყო გელათის მონასტრის წინამძღვარი (1988-89), იმყოფებოდა რეგენსბურგის აღმოსავლეთ ეკლესიათა ინ-ტში (1989-90), მსახურობდა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში (1990-91). აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაინიშნა სვეტიცხოვლის ტაძრის წინამძღვრად (1991). დადგენილ იქნა ნიკორწმინდის ეპისკოპოსად (1992). დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყ-ბის თავმჯდომარედ (1996), გადაყვანილ იქნა საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიის მმართველად (1996). აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში (1996). არის ჭიათურის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი (1998 წლიდან). აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში (2000). მიღებული აქვს კონსტანტინოპოლის, რუსეთის, რუმინეთის ეკლესიის ჯილდოები.
**მისამართი:** *(სამსახურის) სასულიერო აკადემია, სიონის 13/40, თბილისი; ჭიათურისა და საჩხერის წმ. ნინოს სახელობის საკათედრო ტაძრები. ტელ: 98-91-16, 98-91-15, 98-27-22. ფაქსი: 98-71-14, 98-95-21, (877) 40-59-70.*



**ანზორ აბრალავა** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ზუგდიდში 1958 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: გულნარა კაჭარავა, გრიგოლ აბრალავა; მეუღლე – რუსუდან ქუთათელაძე (1962); შვილები: თინათინი (1985), ნინო (1986), გრიგოლი (1990). დაამთავრა სპი (1980). იყო თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების რიგითი ინჟინერი, ლაბორატორიისა და განყ-ბის უფროსი, მთავარი ინჟინრის მოადგილე (1980-91), თბილისის ისნის რ-ნის გამგებელი (1991-92), საერო ინ-ტ "გაენათის" პროფესორი (1992-99), თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილე (1999). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება ინოვაციურ სფეროში (მაკროეკონომიკური ასპექტები)" (1999). არის ავტორი ნიგნისა (ჯგუფთან ერთად) "საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები" (1995), მონოგრაფიისა "გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ" (2000); პოლიტიკური მოძრაობა "კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების" წევრი (1992 წლიდან), ვიცე-პრეზიდენტი (1995 წლიდან).
**ჰობი:** *ლიტერატურა, სპორტი.*
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-88. (ბინის) ბ.ხმელნიცკის 98, VIII კორპ., ბ. 35, თბილისი. ტელ: 70-12-12.*

**ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფო. ვხელმძღვანელობდი სამართლიანობის და პრინციპულობის საფუძველზე შეურიგებლობით ბოროტებისადმი, მხარდაჭერით სუსტებისადმი.**



**მერაბ აბრამიშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1957წ. 16 მარტს. მშობლები: ნათელა ღარიბაშვილი, გურამ აბრამიშვილი; მეუღლე — ციცინო ცერცვაძე (1959); შვილები: გურამი (1986), ლევანი (1988), ქეთევანი (1991). დაამთავრა თსსა გრაფიკის განყ-ბა (1981). არის ავტორი ნამუშევრებისა: „სამასი არაგველი" (1987), „სამოთხის ვაშლი" (1988), „ჯოჯოხეთი" (1988), „კუმაონის კაციჭამია ვეფხვი" (1993) და სხვ. გამართა პერსონალური გამოფენა გალერეაში „ორიენტი" თბილისი (1994). მონაწილეობდა საქართველოში და საზღვაგარეთ გამართულ გამოფენებში, მათ შორის: ვარშავა (1989), ქართული კულტურის ცენტრი (პარიზი, 1990), ბრინდიზი (იტალია, 1991), Artforum Gallery (ჰანოვერი, 1991), 10 ქართველი მხატვარი. გენერალური ბანკი (ბრიუსელი, 1993), ქართველი მხატვრები (ვენა, 1994), საკრამენტო (ატლანტა, 1995), გალერეა „სელმურჰეიმი", პარიზი (1997), სასტუმროში Hilton (კვიპროსი, 2000) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია: სეგ, კიოლნის ლუდვიგის მუ-

ზეუმში, ფინეთის, აშშ კერძო გალერეებში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1988). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**მისამართი:** *(სახელოსნოს) შევჩენკოს 5. თბილისი 380008. ტელ: 99-51-59.*



**რევაზ ადამია** საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1952 წ. 20 ივლისს. მშობლები: ციცინო ქიშმარეიშვილი, შოთა ადამია; შვილები: ლევანი (1972), ალექსანდრე (1978). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი (1974). იყო სსგ „ბაქტერიოფაგის" უმცროსი (1974-79), უფროსი (1979-82) მეცნიერ-თანამშრომელი, სექტორის (1982-88), ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1988 წლიდან), საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მდივანი (1992-95), კომიტეტის თავმჯდომარე (1995-2000). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი ბაქტერიული ვირუსის მოლეკულურ-ბიოლოგიური თვისებები" (1986), სადოქტორო — „ბაქტერიოფაგებისა და პატრონი ბაქტერიული უჯრედების გენომების ურთიერთქმედების ზოგადი მექანიზმები" (1999). არის 60-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს ჯორჯ სოროსის პრემია. არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი, საქართველოს სამთო-სათხილამურო ასოციაციის პრეზიდენტი.
**ჰობი:** სამთო-სათხილამურო სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-02-76. ელ-ფოსტა: radam@parliament.ge*



**რობერტ ადამია** მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 6 აპრილს. მშობლები: თამარ კანდელაკი, შალვა ადამია; მეუღლე — ნათელა თავხელიძე (1940); შვილი — მარიკა (1967-96). დაამთავრა სპი მეტალურგიის ფაკ-ტი (1956). იყო მეტალურგიის ინ-ტის ასპირანტი (1958-61); უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961-72); სპი ლითონთა წნევით დამუშავების კათედრის გამგე (1972-83); ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის დირექტორი (1983-98). მანქანათა მექანიკის ინ-ტის დირექტორია 1998 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საგლინი დგანების ოპტიმალური დინამიკის გაანგარიშების მეცნიერული საფუძვლები" (1970). არის 150 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს 18 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. არის ღირსების ორდენის კავალერი (1998), გ.ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი (1994), იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წევრი (1993 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" (ტ. I, 1997).
**ჰობი:** მსოფლიო პოეზია, სამსახიობო ხელოვნება, მხატვრული სიტყვის ოსტატობა, ჭადრაკი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ნუცუბიძის 12. თბილისი 380086. ტელ: 32-30-62. (ბინის) საბურთალოს 67ა, ბ. 22. თბილისი 380077. ტელ: 39-16-67.*

**შრომისმოყვარეობა, მრავალმხრივი განვითარების დაუოკებელი სურვილი, მუდმივად ახლის ძიება, ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდა, ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, სიკეთის თესვა და კაცთმოყვარეობა, სამართლიანობისთვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში მოპოვებული წარმატების სასიხარულო განცდა, მინდობილი საქმის შესრულებისთვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.**



**ზურაბ ადეიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიულ საკითხთა, კანონებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე, იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა 1972 წ. 27 ივლისს. მშობლები: ქეთევან ლომიაშვილი, შალვა ადეიშვილი; მეუღლე – მაია მესხიშვილი (1971); შვილი – გიორგი (1999). დაამთავრა თსუ (1994) და გრონინგენის სამეფო უნივერსიტეტის (1999) იურიდიული ფაკ-ტები. იყო პარლამენტის იურიდიული კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი

(1996-98), იურიდიული ფირმა "ოქრუაშვილი და პარტნიორების" იურისტი (1998-99), სამართლებრივი განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი (1999). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.
მისამართი: *(სამსახურის) საქრთველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ/ფაქსი: 93-63-23. ელ-ფოსტა:* zura@parliament.ge



**მერაბ ადეიშვილი** საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 5 ივნისს. მშობლები: დოდო გოთუა, ნოდარ ადეიშვილი; მეუღლე — მარიკა დარჩია (1956); შვილები: ნოდარი (1981), რამაზი (1987). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1978). იყო სპი სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილე, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი, სამშენებლო კონსტრუქციების კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1978-85), სპი სამშენებლო ფაკ-ტის დეკანი (1985-89), რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე (საზოგადოებრივ საწყისებზე, 1989-94), სამეცნიერო სამმართველოს უფროსის მოადგილე, სასწავლო-მეთოდური სამმართველოს უფროსი (1989-94), პრორექტორი (1993-95), საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე (1995-96), ტრანსპორტის მინისტრი (1996-2000). საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრია 2000 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კოსმოსური მაღალი სიხშირის რადიოტექნიკური ავტონომიური კომპლექსების დიდგაბარიტიანი ნაგებობები" (1996). არის 5 სახელმძღვანელოს, 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, 1 მონოგრაფიის („კოსმოსური დიდგაბარიტიანი კარკასულ-საყრდენიანი ნაგებობების გაანგარიშების მეთოდები") ავტორი. დაჯილდოებულია კოსმოსური კვლევების საერთაშორისო უნივერსიტეტის მედლით. არის „ღირსების ორდენის" კავალერი (1996), უკრაინის საერთაშორისო ორგანიზაცია — „შავი ზღვის გამოფენების ასოციაციის" ლაურეატი „წლის საუკეთესო ადამიანი ტრანსპორტი-98-ზე" (1998). საერთაშორისო სამეცნიერო აკადემიის — „ევრაზიის" წევრ-კორესპონდენტი, „აბრეშუმის გზის" კულტურული მხარდაჭერის ფონდის პრეზიდენტი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის წევრი, საერთაშორისო და რესპუბლიკური რამდენიმე სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინ-ტის კონსულტანტი, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.
ჰობი: ფეხბურთი, ჩოგბურთი.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო. რუსთაველის 12. თბილისი, 380008. ტელ: 93-28-46. ფაქსი: 77-00-17.*

**პროფესიონალიზმი, საქმის ბოლომდე მიყვანა, სიახლეების ძიება, საქმის კეთების დროს თანამოაზრეთა შეკრება და გუნდური პრინციპით მოქმედება, ადამიანებისადმი სიყვარული და მომთხოვნელობა.**



**ვაჟა აზარაშვილი** საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1936 წ. 13 ივლისს. მშობლები: ოლღა მიქანაძე, შალვა აზარაშვილი; მეუღლე — მანანა დანგაძე (1950); შვილი — ნათია (1974). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკ-ტი (1961). იყო III სამუსიკო სასწავლებლის მუსიკალური თეორიის დისციპლინების მასწავლებელი (1961-74), II სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელი (1974), კონსერვატორიის პედაგოგი (1971 წლიდან), დოცენტი (1981 წლიდან), პროფესორი (1988 წლიდან), საქართველოს სახ. ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი (1994 წლიდან), კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე (1997 წლიდან). დაწერილი აქვს ბალეტი „ხევისბერი" (1982); ორი სიმფონია (1966, 1986); 7 ოპერეტა, მათ შორის: „კახელები ბამზე" (1985), „მეჩექმე გაბო" (1995), ინსტრუმენტული კონცერტები ორკესტრის თანხლებით: ფლეიტისთვის (1968), ჩელოსთვის (1969), ვიოლინოსთვის 1 (1972) და 2 (1973) და სხვ; „ნოქტიურნი" დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის (1964), „რეტრო" ფორტეპიანოსთვის ორკესტრის თანხლებით (1996), „მოგონება", „რახმანინოვის ხსოვნას",

„განშორება"კამერული ორკესტრისათვის; ვოკალურ-სიმფონიური: „საქართველო, გამარჯობა შენ", „პოეტის აღსარება" (1996); კამერულ-ინსტრუმენტალური: საფორტეპიანო ტრიო (1959), სონატები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის (1961), კლარნეტისა და ფორტეპიანოსთვის 1976), ჩელოსა და ფორტეპიანოსთვის (1961), კვინტეტი სასულე საკრავებისთვის (1978), სონატა 2 ალტისათვის (1979), მუსიკა სიმებიანი კვარტეტისათვის, ვოკალურ-კამერული ნაწარმოებები; საგუნდო მუსიკა: „ნანა" (1956), „გიმღერ დიადო მხარევ" (1960), „ჰიმნი მზეს" (1973); რომანსები („რა კარგი ხარ", „როგორ მიყვარხარ", „მადლი შენს გამჩენს" და სხვ.); მუსიკა 40-ზე მეტი სპექტაკლისთვის, კინოფილმებისთვის („მზე შემოდგომისა", „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს"); აღდგენილი ფილმებისთვის: „ხანუმა", „ტარიელ მკლავაძის საქმე"; სატელევიზიო ფილმისთვის „მე თვითონ"; საესტრადო სიმღერები ტ.ტაბიძის, გ.ტაბიძის, მ.ქელიძის, მ.ფოცხიშვილის, პ.გრუზინსკის, ვ.გოგოლაშვილის, დ.გვიშიანის, ვ.ნიკოლაძის და სხვათა ლექსებზე. მიღებული აქვს საქართველოს კომკავშირის პრემია (1974), საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია (1982), გოგებაშვილის სახ. პრემია (1998). არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1979), საქართველოს სახალხო არტისტი (1988), ღირსების ორდენის კავალერი (1996).

**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 123. თბილისი. ტელ: 95-41-64, 95-95-13, 96-75-05. (ბინის) ყაზბეგის 20 ა, ბ. 33. თბილისი, 380077. ტელ: 39-80-62.*

**მიმაჩნია, რომ ადამიანი მთელი არსებით უნდა ემსახურებოდეს თავის ერსა და ქვეყანას. იგი უნდა იყოს პატიოსანი, შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე. მთელი ცხოვრება ვცდილობდი მეცხოვრა ამ პრინციპით. წლების მანძილზე ხშირად ვატარებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კონცერტებს. ხალხთან შეხვედრისას ვგრძნობ მათ კეთილგანწყობასა და სიყვარულს ჩემი მოკრძალებული შემოქმედებისადმი, რაც უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ ტყუილად არ მიღვაწია. ამიტომაა, რომ ჩემი ცხოვრება არ წარმომიდგენია ჩემი ხალხისა და ჩემი ქვეყნის გარეშე.**



**გივი აზმაიფარაშვილი** საქტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორ-კონსულტანტი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: ნინო ნათმელაძე, ვასილ აზმაიფარაშვილი; მეუღლე — ლიანა გომელაური (1933); შვილები: ლევანი (1955), ზაზა (1962). დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკ-ტი (1955), პეტერბურგის კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკ-ტი (1960). იყო საქართველოს კამერული ორკესტრის დამაარსებელი და პირველი სამხატვრო ხელმძღვანელი (1965-67), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი (1960-74), მთავარი დირიჟორი (1974-82), საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი (1982-2001). არის კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის პროფესორი. გასტროლები ჩატარებული აქვს მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, გერმანიაში, თურქეთში, იტალიაში, ესპანეთში. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" (I ტ. 1997).

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 62. თბილისი 380071. ტელ: 36-89-63. (ბინის) ი.აბაშიძის 68, ბ. 30. თბილისი, 380079. ტელ: 23-20-85.*



**ზაზა აზმაიფარაშვილი** საქტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 16 ივნისს. მშობლები: ლიანა გომელაური, გივი აზმაიფარაშვილი. დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (1985), ლენინგრადის სახ. კონსერვატორიის საოპერო-სიმფონიური ფაკ-ტი (1991). იყო საქტელერადიოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი (1990-2001). არის თბილისის სახ. კონსერვატორიის საოპერო მომზადების კათედრის დოცენტი. ჩატარებული აქვს გასტროლები სტამბულში (1992), ვალენსიაში (1994), პალერმოში (1995), დირიჟორობდა მოსკოვის დიდი თეატრის სპექტაკლებს „ტრუბადური", „ტრავიატა" არის დირიჟორთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (II ადგილი. სანკტ-პეტერბურგი, 1995).

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 62. თბილისი 380071. ტელ: 36-89-63. (ბინის) ი.აბაშიძის 68, ბ. 30. თბილისი 380079. ტელ: 23-20-85.*



**ზურაბ აზმაიფარაშვილი** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი, მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 16 მარტს. მშობლები: ელენე ბეროზაშვილი, ალექსი აზმაიფარაშვილი; მეუღლე — მარინა მილორავა (1954); შვილები: თეა (1973), ელენე (1982), ზურაბი (1983). დაამთავრა საქართველოს სახ. ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (1981). იყო სსრკ ჩემპიონი მოსწავლეთა შორის (1978), ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1979), საერთაშორისო ოსტატი (1984), საერთაშორისო დიდოსტატი (1988), "კრემლის ვარსკვლავების" ფინალური გათამაშების (1994,1995) და "მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის" (1996) მონაწილე; ლიტვის, ამერიკის, არგენტინის, თბილისის, ჰავანის, ამსტერდამის, ლონდონის, მოსკოვის, ესპანეთის, გერმანიის და სხვა საერთაშორისო ტურნირების მონაწილე და გამარჯვებული (1973-1996), საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილე (I დაფა: 1992, 1994, 1996, 1998, 1999, 2000), ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის (1997), იტალიის საერთაშორისო ტურნირის (2000) მონაწილე. იყო გარი კასპაროვის სეკუნდანტი (1987-94), იუდით პოლგარის (1995-96), ეტიენ ბაკროს (1998-99) მწვრთნელი. ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (1998-99). არის შავი ზღვის საჭადრაკო ასოციაციის პრეზიდენტი (1999), ევროპის საჭადრაკო კავშირის გამგეობისა და ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატების კომიტეტის წევრი (2000). მისი ინიციატივით საქართველოში პირველად ჩატარდა: ბლიც-შოუ ჭადრაკში ელექტრონული დაფებისა და კომპიუტერების გამოყენებით (1999), ევროპის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი (ბათუმი, 1999), ევროპის მე-12 გუნდური ჩემპიონატი. არის ღირსების ორდენის კავალერი (2000).
**ჰობი:** ფორმულა 1, ჭადრაკის ალორძინება.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 37ა. თბილისი 380079. ტელ: 98-27-47. ფაქსი: 98-70-53. (ბინის) კეკელიძის 19, ბ. 47. თბილისი. ტელ: 23-36-08. ფაქსი: 29-49-62.*

> **დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცხოვრებისეული საწყისია სიკეთე. ერთადერთი ადგილი, სადაც მინდა ვინმე დავთრგუნო, საჭადრაკო დაფაა. ადამიანებთან ურთიერთობაში არასოდეს ვეძებ რაიმე ანგარებას. მინდა ისე ვიცხოვრო, რომ ჩემი სახელის გამო ჩემს შვილებს კარი არავინ მიუხუროს. ამავე დროს, შესაძლებლობისდაგვარად, ცხოვრებისეულ სიამოვნებაზე უარს არ ვამბობ. ძალიან მიყვარს მოგზაურობა და ოჯახური სიმყუდროვე.**



**ათანასე (ჩახვაშვილი)** რუსთავის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი. დაიბადა სოფ. კარდენახში (გურჯაანის რ-ნი) 1936 წ. 4 თებერვალს. მშობლები: სონია ტეტელოშვილი, იორამ ჩახვაშვილი; მეუღლე – ციცინო გოშაძე; შვილები: სონია (1963), მარინე (1967), მანანა (1969), გიორგი (1973). დაამთავრა ქვემო მაჩხაანის ზოოვეტტექნიკუმი (1959), მცხეთის სასულიერო სემინარია (1967). აკურთხეს დიაკვნად, თელავის ღვთაების წმინდა ტაძარში აკურთხეს მღვდლად და გაამწესეს სიღნაღის რ-ნის წმინდა ნინოს ეკლესიაში (1968), იყო თელავის ღვთაების ეკლესიის II მღვდელი (1970), გურჯაანის რ-ნის სოფ. ველისციხის მღვდელი (1971), დეკანოზი (1978). ალიკვეცა ბერად (1978), ხელდასხმულია ეპისკოპოსად (1978). იყო ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი (1982-96). აყვანილია მიტროპოლიტის ხარისხში (1989). დაჯილდოებულია წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენით (1980).
**მისამართი:** *(რეზიდენცია) ნ. დუმბაძის ჩიხი 12, რუსთავი. ტელ: 19-38-62, 15-17-07, 19-30-75; საკათედრო ტაძარი, მეფე ვახტანგ გორგასლის ეკლესია. წმ. ნინოს ქუჩა, რუსთავი. ტელ: 19-30-75, 14-13-70, ფაქსი: 19-30-25.*



**ვიტალი აიდინოვი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა წალკაში 1939 წ. 6 მაისს. მშობლები: ლიდია აიდინოვა, ვანო აიდინოვი; მეუღლე — ელეონორა ჯავახაძე (1939); შვილი — იანისი (1960). დაამთავრა სპი საავტომობილო ტრანსპორტის ფაკ-ტი (1974). იყო მძღოლი (1958-61), მექანიკოსი (1961-72), ავტოსანარ-

მოს მთავარი ინჟინერი (1972-80), ადგილობრივი მრეწველობის დირექტორი (1980-82), წალკის რ-ნის სოფტექნიკის მმართველი (1982), ავტოსაწარმოს უფროსი (1991-95), საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის სმკ-ის წევრი.
**ჰობი:** ნადირობა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-20-74. (ბინის) კოსტავას 39. წალკა.*
**სოფლის მეურნეობის პრობლემების, მისი ტრანსპორტით და სპეციალური ტექნიკით უზრუნველყოფის საქმე, მაღალი პროფესიონალიზმი სოფლის მეურნეობის ტექნიკისადმი და თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფა ხელით შრომის შემცირების მიზნით.**



**ალექსანდრე ალადაშვილი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. დაიბადა თბილისში 1943 წ. 1 მარტს. მშობლები: თამარ ჭედია, ვახტანგ ალადაშვილი; მეუღლე — მარინე კობახიძე; შვილები: მარინე (1964), თამარი (1972). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1967). იყო საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე (1969-74), იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი (1974-75), თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი (1974-91). უზენაესი სასამართლოს წევრია 1991 წლიდან.
**ჰობი:** სპორტი, კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი, 380010. ტელ: 93-48-57.*
**სამართლიანობა, პროფესიონალიზმი.**



**ნანა ალექსანდრია** მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი, სპორტული ჟურნალისტი, ვ. ქარსელაძის სახელობის ჭადრაკის სკოლის დირექტორი, თბილისის საკრებულოს სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა 1943 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: შურა ალექსანდრია, გიორგი ალექსანდრია; მეუღლე — ლევან ბოკერია (1944); შვილი—გიორგი (1972). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1972). იყო საქართველოს ტელევიზიის სპორტული პროგრამების, პროგრამა „ალიონის" სპორტული კომენტატორი (1976-95), დიდოსტატთა საერთაშორისო ასოციაციის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე (1989-91), საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1994-96), ფიდეს ცენტრალური კომიტეტის წევრი (1994-98). არის საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე (1996 წლიდან), საქართველო-იუგოსლავიის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე (1995 წლიდან), ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენელი სპორტის საკითხებში (2000). არის ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1970), საქართველოს ვიცე-ჩემპიონი ვაჟთა შორის (1980), მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1975-78, 1981-84), მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1971, 1986), ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1969, 1974, 1978, 1980, 1982, 1986), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის კაპიტანი (1992, 1994, 1996), საქართველოსა და სსრკ მრავალგზის ჩემპიონი. დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს „საპატიო სიგელით" (1975), სსრკ ორდენით „Знак почета" (1981); არის „ღირსების ორდენის" კავალერი (1994, 2001). გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმი „ქართული გამბიტი" (1991), აქვეყნებს საჭადრაკო სტატიებს ქართულ და უცხოურ ჟურნალებში.
**მისამართი:** *(ბინის) ი.აბაშიძის 24ა. თბილისი 380079. ტელ: 22-41-61, 93-25-10.*
**ადამიანში ვაფასებ გულწრფელობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, პროფესიონალიზმს, ადამიანის დახმარების სურვილს. პროფესიული წარმატების მიღწევაში ტალანტისა და შრომის გარდა დამეხმარა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და მიზანსწრაფვა. პროფესიული მწვერვალისაკენ მიმავალ გზას მიადვილებდა იმის შეგრძნება, რომ ჩემს გამარჯვებებს ხალხისთვის სიხარული მოჰქონდა, ძალებს მმატებდა იმის გახსენება, რომ ჩემს დიდ გამარჯვებებზე ოცნებაში დაილია დიდი პიროვნება და დიდი პედაგოგი ვახტანგ ქარსელაძე. ცხოვრების კრედოს პაუსტოვსკის დავესესხებოდი: „Боитесь быть бесполезными".**



**გიორგი (გოგი) ალექსი-მესხიშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1941წ. 2 მარტს. მშობლები: თინათინ ფანიაშვილი, ლადო ალექსი-მესხიშვილი; მეუღლე — მაკა მიქაძე (1947), შვილი — ქეთევანი (1979). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბის თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების სახელოსნო (1967). იყო თსსა პედაგოგი, რუსთაველის თეატრის მხატვარი (1971-76), მთავარი მხატვარი (1976), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი მხატვარი, დორტმუნდის (აშშ) კოლეჯის პროფესორი. არის რუსთაველის, მარჯანიშვილის, თბილისის ოპერისა და ბალეტის, ახალციხის დრამატული თეატრების სპექტაკლების დამდგმელი მხატვარი. გამართა გამოფენები: თბილისში (1982), ლენინგრადში (1982), მოსკოვში (1982), სანტიაგოში (1994), ნიუ-იორკში, ფარაჯანოვის მუზეუმში, ერევანი (1993), გალერეაში „ნევსკი პეტერბურგი", „ბონინო გალერეაში" (ნიუ-იორკი, 1994); მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში: საქართველოს თეატრის და კინოს მხატვართა, საქართველოს სახვითი ხელოვნების (მოსკოვი, 1987). მისი ნამუშევრები დაცულია ბახრუშინის თეატრალურ მუზეუმში (მოსკოვი), ი.გლინკას სახელობის მუსიკალურ მუზეუმში (მოსკოვი), სეგ, რუსულ მუზეუმში (პეტერბურგი), აშშ, ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის კერძო კოლექციებში. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1981), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1979). მიღებული აქვს თეატრალური საზოგადოების პრემია წლის საუკეთესო თეატრალურ-დეკორაციული ნამუშევრისთვის (1973), საქართველოს მხატვართა კავშირის მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1981). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1968 წლიდან).მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო", ცნობარში „საქართველოს თეატრალური მხატვრები" (1997).
**მისამართი:** *(ბინის) თარხნიშვილის 13, თბილისი 380079. ტელ. 23-15-91*



**გოგი ალექსიძე** ქორეოგრაფი, ბალეტმეისტერი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 7 ივნისს. მშობლები: თამარ ალექსიძე, დიმიტრი (დოდო) ალექსიძე; მეუღლე — მარინა გოდერძიშვილი (1948); შვილები: ირინა (1976), მარიამი (1979). დაამთავრა ლენინგრადის სახ. კონსერვატორია (1967). იყო ლენინგრადის კონსერვატორიის პედაგოგი, დოცენტი (1965-1972), ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის კამერული ბალეტის ხელმძღვანელი (1965-72), თბილისის ოპერისა და ბალეტის (1972-80), პერმის ჩაიკოვსკის სახელობის (1980-83), ლენინგრადის მუსიკალური (1983-85) თეატრების მთავარი ბალეტმეისტერი, თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის სამხატვრო ხელმძღვანელი (1978-80, 1985-88), გამგეობის თავმჯდომარე (1988-2000). არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი (1985 წლიდან), სანკტ-პეტერბურგის ა.ვაგანოვის სახელობის ცეკვის აკადემიის საბალეტმეისტერო განყოფილების კათედრის გამგე (2000 წლიდან). დადგმული აქვს 150 სპექტაკლი. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1999).
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 25. თბილისი 380008. ტელ: 99-56-39. ფაქსი: 98-32-50. (ბინის) იაშვილის 10. ტელ: 99-54-33.*

**მუშაობა, ადამიანების მიმართ რბილი და კეთილი დამოკიდებულება. ოპტიმიზმი მომავლის საქმეების განხორციელებაში. ძალიან მიყვარს ბავშვები, მათთან მუშაობა.**



**ზაზა ალექსიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიკოსი, პროფესორი, ხელნაწერთა ინ-ტის დირექტორი. დაიბადა თელავში 1935 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: ევგენია არჯევანიძე-ალექსიძე, ნიკოლოზ ალექსიძე; მეუღლე — მარინა გვეტაძე-ალექსიძე (1956); შვილები: ლელა (1960), ნიკოლოზი (1987), გიორგი (1989). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი (1958). იყო ხელნაწერთა ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1958-68), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-79). არის თსუ არმენოლოგიის კათედრის გამგე (1979 წლიდან) და ხელნაწერთა ინ-ტის

დირექტორი (1989 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ეპისტოლეთა წიგნი" (1968), სადოქტორო დისერტაცია — „ადრეული შუასაუკუნეების კავკასიისა და საქართველოს კულტურისა და იდეოლოგიის პრობლემები" (1984). არის ავტორი წიგნებისა: „უხტანესის ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან" (1975); „არსენი საფარელის განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა" (1979); „ატენის სიონის სომხური წარწერები" (1978); "ატენის სიონის ოთხი წარწერა" (1983); „ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები" (1985); „ფრესკული წარწერები" I, (1989); "ალბანური მწერლობის ძეგლი სინას მთაზე" (1998).

**მისამართი:** *(სამსახურის) მ.ალექსიძის 1, კორპ. 3. თბილისი 380093. ტელ: 33-47-08. ფაქსი: 94-25-18. (ბინის) ვაჟა-ფშაველას III კვ. IX კორპ. ბ. 56. ტელ: 32-20-26, 53-60-66.*

**თუ კარგად გავაცნობიერებთ, აღმოჩნდება, რომ ყოველი ჩვენთაგანი ზოგადად ესწრაფვის მრავალი საუკუნის წინ ბიბლიაში იდეალურად ჩამოყალიბებული ათი მცნების მიხედვით ცხოვრებას. კონკრეტულად მე, რამდენადაც შემეძლო, ყველა ასაკში და პირობებში ვცდილობდი შემენარჩუნებინა ჩემი პიროვნული ინდივიდუალობა და ღირსება, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე მეცნიერებაში.**



**ლევან ალექსიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში. დაიბადა თბილისში 1926 წ. 5 ივნისს. მშობლები: თამარ ალექსიძე, ანდრო ალექსიძე; მეუღლე — თინათინ ქართველიშვილი (1926); შვილები: ანდრო (1954), გიორგი (1962). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკულტეტი (1946). იყო თსუ ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1950-70), გაეროს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი მუშაკი — განყოფილების გამგე, ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის მდივანი (1970-77), საქართველოს პარლამენტის წევრი (1990-92). არის თსუ საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე (1977 წლიდან), საქართველოს პრეზიდენტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გაეროს უშიშროების საბჭო" (1950), სადოქტორო — „საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობანი XV-XVIII საუკუნეებში" (1964). არის 120 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20 მონოგრაფიის, 1 სახელმძღვანელოს ავტორი; საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1986), მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე. კითხულობდა ლექციებს აშშ, ჟენევის, ტოკიოს, ბერლინის უნივერსიტეტებში, ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიაში, მოსკოვში, კიევში, ბაქოსა და სხვა ქალაქებში. მონაწილეობდა მოლაპარაკებებში აფხაზეთის სტატუსის შესახებ ჟენევაში, ნიუ-იორკსა და მოსკოვში.

**ჰობი:** ფრენბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ინგოროყვას 7. თბილისი 380034 /თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 22-23-93. (ბინის) დოლიძის 19, ბ.16, თბილისი. ტელ: 33-52-11.*

**გულწრფელობა, არჩეული საქმისადმი თავდადებული დამოკიდებულება, პრინციპულობა მოკამათე მხარის თანამდებობისა და რანგის მიუხედავად, ადამიანური დამოკიდებულება ყველას მიმართ სოციალური მდგომარეობისა და რანგის მიუხედავად.**



**ნუგზარ ალექსიძე** თსუ ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა სენაკში 1935 წ. 9 ივნისს. მშობლები: ქეთო ალექსიძე, გიორგი ალექსიძე; მეუღლე — დარეჯან ფხაკაძე (1943); შვილი — დავითი (1966). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1959, ი.თარხნიშვილისა და ი.სტალინის სახ. სტიპენდიანტი). თსუ ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგეა 1973 წლიდან, თსუ მედიცინისა და ბიოლოგიის სპეციალობების სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის კოორდინაციის კონსულტანტი — 2000 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „თავის ტვინის ინტეგრალური მოქმედების მოლეკულური და უჯრედული მექანიზმები" (1978). გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ

შორის 8 სახელმძღვანელო, 4 მეთოდური მითითება, 4 მონოგრაფია („მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლების შესახებ", თანაავტორი პ.ქომეთიანი (1966), „თავის ტვინის ინტეგრალური მოქმედების მოლეკულური და უჯრედული მექანიზმები" (1988), „ნეიროქიმიის საფუძვლები" (1993), „ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები" (1994), „ეკოლოგიური კატასტროფები" (1997), „ეკოლოგიური ბიოქიმიის საფუძვლები" (1999) და სხვ.), მიღებული აქვს 18 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. იყო სსრკ ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმისა და ეროვნული კომიტეტის წევრი. არის მედიკო-ბიოლოგიის (1994), ეკოლოგიის (1995), ეგრისის (1996), ევროპის ნეიროქიმიკოსთა საერთაშორისო საზოგადოებების (1994), საერთაშორისო ჟურნალ „ნეიროქიმიის" სარედაქციო კოლეგიის (1991), თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO, 1996), საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის (1999) წევრი, საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი (1992), სოროსის ფონდის პროფესორი (1995). ნაშრომისთვის „ნეიროქიმიის საფუძვლები" მიენიჭა თსუ სახ. სამეცნიერო პრემია (1997). დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის მედლით (1976, 1995), ორდენით „Знак почета" (1986), ბრინჯაოს მედლით (1987), გამომგონებლის მედლით (1988), შრომის ვეტერანის მედლით (1990), ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ფედერაციის მედლით (1984), ა.პალადინის სახელობის მედლით (1988), ღირსების ორდენით (1996). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who (აშშ, 1996), ენციკლოპედიაში „საქართველო" (I ტ. 1997). ABI-ის მიერ აღიარებული იყო წლის ადამიანად (1997).

**ჰობი:** მუსიკა, ნადირობა, თევზაობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 30-39-97. (ბინის) აბანოს 23. თბილისი 380005. ტელ: 72-26-07.*

**შრომა, პატიოსნება და სინდისი.**



**ლელა ალიბეგაშვილი** მსახიობი. დაიბადა თბილისში. მშობლები: ნინო გივიშვილი, როდენ ალიბეგაშვილი. დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). რუსთაველის თეატრის მსახიობია 1986 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „საშობაო სიზმარი", „მერი პოპინსი", „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი"; ფილმებში: „სურამის ციხე", „ფიროსმანი" მიღებული აქვს პრემიები: „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოები" ლილეენის როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „საშობაო სიზმარი" (1994), ნიას როლის შესრულებისათვის სპექტაკლში „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი" (1997), რუსთავის საერთაშორისო ფესტივალის პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (1999).

**ჰობი:** მუსიკა, კითხვა, ცეკვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 380008. (ბინის) ყაზბეგის 20ა. ტელ: 39-57-13, 39-88-98.*

**ბავშვობიდან: ცხოვრებაში ისეც ხდება, რომ მოგიხდება არჩევანი გააკეთო იმას შორის, რაც გსურს და იმას შორის, რაც გჯერა. მძულს კანონი, რომელსაც ჰქვია „სიკვდილით დასჯა", მიყვარს სიკეთე და ისინი, ვინც ამაზე ფიქრობენ.**



**გივი ალხაზიშვილი** მწერალი, გამომცემლობა „მერანის" დირექტორ-გამომცემელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თელავში 1944 წ. 26 მაისს. მშობლები: იზა კაპანაძე, ივანე ალხაზიშვილი; მეუღლე — ქეთევან მასხარაშვილი (1948); შვილები: მარიამი (1969), ლაშა (1976). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1969). იყო ჟურნალ „ცისკრის" კრიტიკისა და პუბლიცისტიკის რედაქციის, პოეზიის განყ-ბების გამგე, გამომცემლობა „მერანის" მთავარი რედაქტორი (1989-99). არის გამომცემლობა „ლომისის" დამფუძნებელი და ხელმძღვანელი (1990 წლიდან), კულტურის სახ. ინ-ტის ლიტერატურული დაოსტატების სახელოსნოს ხელმძღვანელი (1997 წლიდან), გამომცემლობა „მერანის" დირექტორ-გამომცემელი (1999 წლიდან). არის „რჩეულთა ბიბლიოთეკის" დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი (რ.ჩხეიძესთან ერთად). არის ავტორი წიგნებისა „დიალოგი ფიქრში" (1981), „შენ

ყოველივეს ხედავ, ცაო" (1985), „გული ანათებს" (1989). „სინათლე წვეთში" (1996), „გამოსვლა უდროობიდან" (1998), „ერთტომეული" (1998), „ამოდის თუ ჩადის მზე?!-" (რომანი, 1999), „სოდომიდან სოდომამდე" (რომანი, 1999). თარგმნილი აქვს ფეტის, სოლოვიოვის, ბელის, ა.ბლოკის, ე.რილკეს, ჰაიმის და სხვ. ლექსები, აქვეყნებს ლიტერატურულ-ესეისტურ ოპუსებს. არის საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიის (წიგნისათვის „სინათლე წვეთში", 1996), აკ.წერეთლის პრემიის (პოეტური კრებულისათვის „გამოსვლა უდროობიდან", 1998) ლაურეატი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1974).
**ჰობი**: მუსიკა, მცენარეების მოვლა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 42. თბილისი 380008. ტელ: 93-55-14.*

**„სამყარო გაშლილი წიგნია" (მალარმეს მეტაფორაა), რაც თავი მახსოვს ამ უმთავრეს წიგნს ვკითხულობ და ვსწავლობ, თუ უფრო ჩავწვდებით ამ მოსაზრებას, იგი ამავე დროს გულისხმობს საკუთარი სულისა და სისხლის კითხვასაც, თამაშსაც, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ნებისმიერი შემოქმედება, მეტადრე მწერლობა. ყოველი ახალი წიგნი განვლილი ეტაპია, ახლის ძიებას მუდამ სხვაგან მივყავარ, ყველაფერს ნულიდან ვიწყებ.**



**ნოდარ ამაღლობელი** საქართველოს პარლამენტის წევრი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 24 აგვისტოს. მშობლები: ნინო ჯაფარიძე, სარდიონ ამაღლობელი; მეუღლე — მერი გეთია (1934); შვილები: არჩილი (1961-92, დაიღუპა აფხაზეთში), ნინო (1966). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1953). იყო ქ. დუბნის ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინ-ტის სტაჟიორი, არის საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ამავე ინ-ტში, თსუ ბირთვული ფიზიკის განყოფილების, ბირთვული ფიზიკის ს/კ ლაბორატორიის, პრობლემური ლაბორატორიის გამგე, პრორექტორი სამეცნიერო დარგში (1981-85), რექტორი (1985-91), მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის დირექტორი (1980-96), პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). არის პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე (1999 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „580 და 630 მევ ენერგიის მქონე ნეიტრონების დრეკადი გაბნევა პროტონებზე და $\pi$ — მეზონ-ნუკლონის ურთიერთქმედების კონსტანტა" (1962), სადოქტორო — „მრავალნაწილაკოვანი პროცესების ნეიტრალური უცნაური ნაწილაკების $\lambda$ გიპერონების და $K^0$ მეზონების დაბადების ექსპერიმენტული გამოკვლევა $\pi^-$ — მეზონ-ნუკლონების ურთიერთქმედებისას" (1976). არის 150-ზე მეტი ნაშრომისა და გამოგონების ავტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1986).
**ჰობი: სპორტი.**
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-80-58. (ბინის) ყაზბეგის 29/2, ბ.116. თბილისი. ტელ: 39-05-00.*

**კაცთმოყვარეობა.**



**ელგუჯა ამაშუკელი** მხატვარი-მოქანდაკე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 22 ივნისს. მშობლები: ქეთევან ამაშუკელი, დავით ამაშუკელი; მეუღლე — ლია სტურუა (1939); შვილი — ეკა (1968). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1955). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე (1981-96), სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი (1984-89). არის ავტორი ნამუშევრებისა: ბარელიეფი „თბილისის 1500 წელი" (1958, თბილისი); „ქართლის დედა" (1963, თბილისი, რუსთაველის პრემია, 1966); "დიდების მონუმენტი" (1967, ფოთი); "კოლხი დედა" (1968, ფოთი); "დაჭრილი არწივი" (1970); "თავისუფლების ძეგლი" (1979, გორი); "მეზღვაურთა მემორიალი" (1979, ფოთი); "აბანოს ნიშნი" (1980); "ფიროსმანის კედელი—ძველი თბილისი" (1983); "სიმბოლო-ძეგლი "საქართველო" (1981, ლუქსემბურგი); "მოყმე და ვეფხვი" (1982, თბილისი); "დედა ენის

ძეგლი" (1984, თბილისი); მეტროს სადგურების „რუსთაველი", "ა.წერეთელი" მხატვრული გაფორმება; მთაწმინდისა და დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონების სამარხთა კომპოზიცია; რელიეფი თბილისის შესასვლელთან; აგრეთვე ძეგლებისა: ვ.გორგასალი (1967, თბილისი); რ.ერისთავი (1974, თბილისი); ნ.ფიროსმანი (1975, თბილისი); დ.აღმაშენებელი (1994, ქუთაისი); ივ.ჯავახიშვილი (1997, თბილისი); ვ.გუნია (1996, თბილისი); ც.დადიანი (1997); მ.აბაშიძე (1998, ბათუმი, თბილისი), ივ.ჯავახიშვილი (1999, ფოთი), მეფე ფარნავაზი (2000, თბილისი); არის 30-მდე წიგნის მხატვარი (ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, "ხალხური საუნჯე" და სხვ.) გამოქვეყნებული აქვს სტატიები საქართველოსა და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში. არის ავტორი წიგნებისა: „მეექვსე გრძნობა" („სოვეტსკი ხუდოჟნიკ", მოსკოვი, 1981); „წერილები ხელოვნებაზე" (თბილისი, 1988), „დრო და შემოქმედი" („მერანი", თბილისი, 2000). არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1977), სსრკ სახალხო მხატვარი (1985), სსრკ სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ და საქართველოს სახელმწიფო, გოგებაშვილის პრემიებისა და მსოფლიო კონკურსის (1970, სოფია) ლაურეატი, „შრომის წითელი დროშის", „საპატიო ნიშნის", „ხალხთა მეგობრობის" ორდენებისა და მედლების მფლობელი. მისი ბიოგრაფია შეტანილია საქართველოს, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, ბულგარეთის, უნგრეთის ენციკლოპედიებში, ABI-ის და IBC-ის მიერ აღიარებულია 1998 და 1999-2000 წლების ადამიანად.
ჰობი: სპორტი, გიტარაზე დაკვრა.
მისამართი: *(ბინის) მცხეთის 1. თბილისი 380079. ტელ: 22-69-02.*

არ ვუღალატო ბუნების მიერ მონიჭებულ უნარს შემოქმედების. მაქსიმალურად მივუახლოვდე მინდა იდეალს, ნაწილობრივ მაინც გავამჟღავნო საკუთარი შესაძლებლობები. მინდა ჩემი ცხოვრების გზაზე არ ვუღალატო სიმართლეს, რომელიც მარწმუნებს ერთი დიდი ფილოსოფოსის სიტყვების აზრის ჭეშმარიტებაში: „ვიდრე ცოცხალი ხარ, არ გაბედო სიკვდილი". სიცოცხლეს ვაგრძელებ....

**არტიუშ ამბარცუმიანი** ახალქალაქის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ახალქალაქში 1956 წ. 1 აპრილს. მეუღლე — გოარ კაზარიანი (1962); შვილები: მარიანა (1984), გრიგორი (1985). დაამთავრა ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1987). იყო "საქსოფლტექნიკის" მუშა (1973-74), სოფლის მეურნეობის სამმართველოს ბუხჰალტერი (1978-79), საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის აპარატის ტექმდივანი (1979), საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის ორგგანყ-ბის ინსტრუქტორი (1985-91), კოოპერატივ "მშენებლის" თავმჯდომარის მოადგილე (1991-95), ს/ს "ენერგიის" დირექტორი (1995-98, 1998-2000), ახალქალაქის რ-ნის სახ. საგადასახადო ინსპექციის უფროსი (1998). ახალქალაქის რ-ნის გამგებელია 2000 წლიდან.



**გიორგი ამირანაშვილი** ბაღდათის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ალისუბანში (თერჯოლის რ-ნი) 1947 წ. 12 მარტს. მეუღლე — გეგუნი ამირანაშვილი (1949); შვილები: ბესიკი (1971), თეა (1978). დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინ-ტის მექანიკა-ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1977). მუშაობდა კავშირგაბმულობის სისტემაში (1962-64), ავტოქარხნის ზეინკლად (1964-73), პარტიის საქალაქო კომიტეტში (1978-81), აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების პარტკომად (1981-83), საქალაქო კომიტეტში (1983-85), იყო თერჯოლის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე.
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: *(ბინის) სოფ. ალისუბანი, თერჯოლა.*

ვაკეთო სიკეთე, ვიყო უშუალო, პირდაპირი. ვერ ვიტან ტყუილს. მიყვარს საკუთარ თავზე დაუზოგავი მუშაობა, თავისუფალი დროის მეგობრებთან და საკუთარ მამულში გატარება. ვაფასებ ჩემი ოჯახის სიწმინდეს, მეუღლის მეგობრობას და შვილების პატიოსნებას. დიდ ყურადღებას ვუთმობდი და ვუთმობ ახალგაზრდებთან მუშაობას. მე მათში შემცვლელსაც და საქართველოს მომავალსაც ვხედავ.

**თენგიზ ამირეჯიბი** პიანისტი-სოლისტი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 30 სექ-



ტემბერს. მშობლები: ნინო ავალიშვილი, კონსტანტინე ამირეჯიბი; მეუღლე — გაიერა გოგია (1938); შვილები: დავითი (1954), კონსტანტინე (1966). დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორია (1951). არის თბილისის სახ. კონსერვატორიის ფორტეპიანოს კათედრის გამგე (1957 წლიდან). თავისი მოღვაწეობის განმავლობაში კონცერტები გამართა აშშ-ში, კანადაში, გერმანიაში, პოლონეთში, იუგოსლავიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის დედაქალაქში. მისმა მოსწავლეებმა (მ.დოიჯაშვილი, ე.ბოლქვაძე, ალ.კორსანტია, თ.გურეშიძე, ნ.ასტახიშვილი, გ.ნადირაძე, თ.ლიჩელი) 12 საერთაშორისო კონკურსზე მიიღეს ლაურეატის წოდება (ალ.კორსანტიას მიენიჭა 3 „გრან-პრი" (ავსტრალიაში, აშშ-სა და ისრაელში).

**ჰობი:** ძველებური ნივთების, ხელოვნების ნიმუშების აღდგენა-რესტავრაცია.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი 380008. ტელ: 93-52-80. (ბინის) ნინოშვილის 20. თბილისი 380012. ტელ: 95-67-09.*

**ხელოვნება მწამს ღრმა და შინაარსიანი. ვაფასებ ბუნებრიობას, სისადავეს, უშუალობას. ვფიქრობ, რომ ხელოვანი არ უნდა იყოს გატაცებული თვითწარმოჩენის სურვილით, მხოლოდ პროფესიის ღრმად ფლობა ნიჭიერებასთან ერთად ქმნის შემოქმედის ინდივიდუალურ სახეს.**



**მზეჭაბუკ (ჭაბუა) ამირეჯიბი** მწერალი. დაიბადა თბილისში 1921 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: მარიამ ნაკაშიძე-ამირეჯიბისა, ირაკლი ამირეჯიბი; მეუღლე — თამარ ჯავახიშვილი (1937); შვილები: მანანა (1946), ლეილა (1949), ირაკლი (1963-92), ლაშა (1964), ქეცნა (1967), შალვა (1970). დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის სამი კურსი. იყო არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი. შეიარაღებული აჯანყების მზადების ბრალდებით (1944) მიესაჯა პატიმრობის 25 წელი. სამჯერ გაიქცა პატიმრობიდან, ორჯერ მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა. გათავისუფლდა 1959 წელს. პატიმრობის 16 წლის მანძილზე იყო ტყის მჭრელი, ჩრდილოეთ ოსეთის სატყეო კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი (1945-47), ბელორუსიის სატყეო მრეწველობის სამინისტროს ტყის გადამამუშავებელი კომბინატის დამაარსებელი და დირექტორი (1947-50). გათავისუფლების შემდეგ — საქართველო-აშშ ერთობლივი საწარმოს „ამსაქფილმის" დამაარსებელი და დირექტორი (1970-74), ალმანახ „კინოს" დამაარსებელი და რედაქტორი, საქართველოს სახკინოს სარეკლამო-საინფორმაციო ბიუროს დამაარსებელი და დირექტორი (1969-72), კინოსტუდია „ქართული ფილმის" მეორე გაერთიანების დირექტორი (1972-76), კინოსტუდია „მემატიანეს" დირექტორი (1983-89), საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ პარლამენტის წევრი (1991-95), საქართველოს თავდაცვის ფონდის თავმჯდომარე (1992-95), ქართულ სულიერ ფასეულობათა დაცვის ასოციაცია „ივერიის" და გაზეთ „ახალი ივერიის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე (1999). გამოქვეყნებულია მისი რამდენიმე ათეული პუბლიცისტური სტატია (1976-98), გამოცემულია მოთხრობების სამი კრებული (1965-68), საბავშვო იგავარაკების კრებული „თაფლის წვეთი" (1967), რომანები: „დათა თუთაშხია" (1974), „გორა მბორგალი" (1996). მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს 30-მდე ენაზე. არის სსრკ სახელმწიფო (1979), რუსთაველის (1995), ჟურნალ „ზნამიას" (რომანისათვის „გორა მბორგალი", 1996), რუსეთის უცხოური ლიტერატურის ბიბლიოთეკის პრემიის „ნაწარმოებისთვის, რომელიც აახლოებს ხალხებს" (1996), „თბილისის გაზაფხულის" დიდი პრიზის (1997) ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1985), ღირსების ორდენის კავალერი (1995), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პუბლიცისტიკის დარგში (1999). არის საქართველოს მწერალთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი (1965), მსოფლიოს წამყვან „ინტელექტუალთა საზოგადოების" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის (IBC, 1997) და აშშ (ABI, 1998) ბიოგრაფიულ ცნობარებში.

**მისამართი:** *(სამსახურის) მაჩაბლის 13. თბილისი 380007. ტელ: 99-95-27. ფაქსი: 92-14-25. (ბინის) თამარაშვილის ქ. კორპ. VIII, ბ. 44. ტელ: 23-00-83. ფაქსი: 23-06-75.*

„ღმერთო, არ მომაკლო გასაჭირი, რომ სული ვწვართო, მაგრამ ისეთი გასაჭირი, რომ მიჭირდეს მხოლოდ მე". („გორა მბორგალი"). „ზნეობრივი იდეალი შეიცავს სახარების ათ მცნებას, ოთხ სათნოებას: ვაჟკაცობას, სამართლიანობას, თავშეკავებასა და გონიერებას" („გორა მბორგალი"). აგრეთვე სახარების ათი მცნება.



**ნათია ამირეჯიბი** კინომცოდნე. დაიბადა თბილისში 1934 წ. 29 იანვარს. მშობლები: მარიამ ნაკაშიძე, ირაკლი ამირეჯიბი; მეუღლე – ზურაბ კაკაბაძე (1926); შვილები: ირაკლი (1969), ნინია (1974). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1957). იყო ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კ/ს რედაქტორი (1958-61), მოსკოვის ხელოვნების სამეცნიერო ინ-ტის ასპირანტი (1962-65), საქართველოს კინემატოგრაფიის კომიტეტის უფროსი რედაქტორი (1966-70). მუშაობს თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტში (1970 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: "ქართული უხმო კინოხელოვნების ძირითადი შემოქმედებითი ტენდენციები" (1978). არის ავტორი წიგნებისა: "На заре Грузинского кино" (1978), „დროთა ეკრანი" (1990), „სინემატოგრაფიდან კინოხელოვნებამდე" და სხვ.; კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1965).
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 380008. ტელ: 99-07-40. (ბინის) ინგოროყვას 5, თბილისი 380008. ტელ: 93-23-16.*

ცხოვრების მიზანია დედობა, ადამიანისადმი უანგარო სიყვარული და თანაგრძნობა, მიყვარს ჩემი პროფესია, მომავალ თაობასთან ურთიერთობა, ვცდილობ საკუთარი თავისადმი და სხვისადმი სამართლიანი კრიტიკოსი ვიყო. არ მიყვარს კარიერისტები და დიქტატორები.



**კობა ამირხანაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ასოციაციის წევრი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 5 აგვისტოს. მშობლები: მარიამ მარსაგიშვილი, დიმიტრი ამირხანაშვილი; მეუღლე — ნუნუ ბიკაშვილი (1958); შვილები: გიორგი (1987), ნიკოლოზი (1989). დაამთავრა სპი საინჟინრო-ფიზიკური ფაკ-ტი (1976), მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინ-ტის ასპირანტურა (1984). იყო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი (1976-78). მუშაობს ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინ-ტში (1978 წლიდან). იყო უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე; საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99). არის 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქრომატოგრაფიული კვლევების ოპტიმიზაცია" (1995). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).
ჰობი: ბავშვებთან ურთიერთობა, ფეხბურთი, იარაღი.
მისამართი: *(სამსახურის) ქავთარაძის 27, თბილისი. ტელ: 29-49-56. ელ-ფოსტა: amirkhan@hotmail.com*

სიმართლე, პატიოსნება, ერთგულება, თავდადება ქვეყნისა და საქმისადმი, ზრუნვა ინვალიდებზე და განსაკუთრებით ბავშვებზე. ამან განაპირობა 1990 წელს ჩემი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის დაწყება, ამავე პრობლემებმა მომიყვანა პარლამენტში.



**ანანია (ჯაფარიძე)** მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი. დაიბადა ტყიბულში 1949 წ. 20 აგვისტოს. მშოლბლები: პისტი ხორხომელიძე, ანატოლი ჯაფარიძე. დაამთავრა სპი ელექტრომექანიკისა და კავშირგაბმულობის ფაკ-ტი (1974). აღიკვეცა ბერად (1979), კურთხეულ იქნა მღვდლად და თბილისის წმ. სამების ტაძრის წინამძღვრად. მიენიჭა იღუმენის (1980), შემდეგ არქიმანდრიტის (1981) ხარისხი. აკურთხეს ეპისკოპოსად და დაინიშნა ნიკორწმინდის ეპარქიის მმართველად (1981). მართავდა სამცხე-ჯავახეთის ეპარქიას (1982-92), დააარსა ახალციხის სასულიერო სასწავლებელი (1990). მიენიჭა მთავარეპისკოპოსის წოდება და დაინიშნა მანგლის-წალკის ეპარქიის მმართველად (1990). არის მანგლისისა და წალკის მთავარეპისკოპოსი (1992 წლიდან); რამდენიმე წიგნისა

და სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი. დაჯილდოებულია წმ. მარკოზისა და წმ. სინოდის ორდენებით.
**მისამართი:** *საკათედრო ტაძარი, ყოვლადწმინდა მიძინების ეკლესია, მანგლისი. ტელ: 34-21-50, 32-44-45*



**ნინო ანანიაშვილი** მოსკოვის დიდი თეატრისა და ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერის პრიმა-ბალერინა, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 19 მარტს. მშობლები: ლია გოგოლაშვილი, გედევან (ვახტანგ) ანანიაშვილი; მეუღლე — გრიგოლ (გია) ვაშაძე (1958). დაამთავრა მოსკოვის სახ. ქორეოგრაფიული აკადემია (1981). იყო მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი (1981-83), პრიმა-ბალერინაა 1988 წლიდან. შესრულებული აქვს 60-ზე მეტი პარტია, მათ შორის: ოდეტა, ოდილია („გედის ტბა"), ავრორა („მძინარე მზეთუნახავი"), კლარა, ფერია („მაკნატუნა"), რაიმონდა („რაიმონდა"), კიტრი („დონ კიხოტი"), ჟიზელი („ჟიზელი"), სვანილდა („კოპელია"), ჯულიეტა („რომეო და ჯულიეტა"), მანონი („მანონი"), სილფიდა („სილფიდა"), ტერპსიქორა („აპოლონ მუსაგეტი"), ტიტანია („ზაფხულის ღამის სიზმარი"), ნიკია („ბაიდერა"), ლიზა („ამაო სიფრთხილე"), ასპიჩია („ფარაონის ქალიშვილი"), კონკია („კონკია" ), მლადა, კლეოპატრა („მლადა"), აგრეთვე მთავარი პარტია ბალეტში „ვარიაციები ვივალდის თემაზე", პარტიები ბალანჩინის „მოცარტიანა", „ბროლის სასახლე" და სხვ. მის შესახებ გადაღებულია ფილმები: „Такой короткий век" (სსრკ, 1989), „Все проходит как миг" (რუსეთი, 1992), „იმპროვიზაცია" (საქართველო, 1984), „დივერტისმენტი" (საქართველო, 1986), „მოკლე დრო" (საქართველო, 1992), „ანანიაშვილი დიდ თეატრში" (დიდი ბრიტანეთი, BBC, 1986) და სხვ. მონაწილეობდა მხატვრულ ფილმში „აურზაური სალხინეთში" (1974), ფილმ-ბალეტში „ფასკუნჯი" (1993). სხვადასხვა დროს იყო დიდი ბრიტანეთის სამეფო თეატრისა და დანიის სამეფო თეატრის მიწვეული პრიმა-ბალერინა. დღემდე ერთადერთი ქართველი მოცეკვავეა, რომელიც მიწვეული იყო „ნიუ-იორკ სიტი ბალეტში", დიდი ბრიტანეთის სამეფო თეატრში („კოვენტ-გარდენში") და დანიის სამეფო თეატრში. გასტროლები ჩატარებული აქვს აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, იაპონიაში, არგენტინაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ჩეხეთში, პოლონეთში, იუგოსლავიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ტაივანში, ინდოეთში, ნეპალში, ესტონეთში, უკრაინაში, ლატვიაში, ეგვიპტეში, ისრაელში, სამხრეთ კორეაში, პორტუგალიაში, რუსეთის მრავალ ქალაქში, თბილისში, ქუთაისში და სხვ. არის საქართველოს (1988) და რუსეთის (1995) სახალხო არტისტი, ვარნის (1980) და მოსკოვის (1985) საბალეტო კონკურსების ოქროს მედლისა და „გრან პრის" მფლობელი (მოსკოვი, 1981), ჯეკსონის (აშშ) საბალეტო კონკურსზე 1987 წელს მიიღო „გრან პრი" (დღემდე ერთადერთი შემთხვევა საბალეტო ხელოვნებაში), პრემია „ტრიუმფის" ლაურეატი (1992), მიენიჭა პრიზები: „ოქროს ქალღმერთი" ელეგანტურობის, სილამაზისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის (1999), მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიებში „ბრიტანიკა" და „საქართველო" (1997), ABI-ის მიერ აღიარებული იყო „წლის საუკეთესო ქალბატონად" (1997).
**ჰობი:** სანკტ-პეტერბურგის მარინის საიმპერატორო თეატრის ბალეტის ვარსკვლავებზე წიგნების, ღია ბარათების და სურათების შეგროვება.
**მისამართი:** *(სამსახურის) დიდი თეატრი. თეატრალური მოედანი 1, მოსკოვი.*

**ჩემი ოცნებაა, ენახო საქართველო დამოუკიდებელი, ერთიანი, დემოკრატიული და ბედნიერი. ჩემი ნატვრაა საქართველო იქცეს უმაღლესი დონის ხელოვანთა მიზიდვის ცენტრად. დიდი წარმატებების მიღწევა შეიძლება მხოლოდ პროფესიისადმი ფანატიკური სიყვარულით, უდიდესი შრომით და რასაკვირველია, ღმერთის წყალობით.**

**ვადიმ ანასტასიადი** ჟურნალისტი, გაზეთების „ვეჩერნი ტბილისისა" და „ელინიკი დიასპორას" მთავარი რედაქტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. დაიბადა ბაქოში 1940 წ. 4 იანვარს. მშობლები: ანა ანასტასიადი, გიორგი



ანასტასიადი; მეუღლე — გალინა ანასტასიადი (1952); შვილი — ანა (1991). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1964) და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დაუსწრებელი უმაღლესი პარტიული სკოლის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (მოსკოვი, 1978). იყო გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" კორესპონდენტი, განყოფილების გამგე, პასუხისმგებელი მდივანი (1964-77), მთავარი რედაქტორის მოადგილე (1977-78), მთავარი რედაქტორი (1978-85), ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის პრესცენტრის ხელმძღვანელი (მოსკოვი, 1985), გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზიას" რედაქტორი (1993). არის გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" მთავარი რედაქტორი (1985 წლიდან), საქართველოში ბერძნული დიასპორის გაზეთ „ელინიკი დიასპორას" დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1992 წლიდან). მიღებული აქვს სსრკ საპატიო ნიშნის (1981, 1986) და საქართველოს ღირსების ორდენები (1997). იყო საქართველოს სახელმწიფო მეთაურის საბჭოს წევრი (1992-95), სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1995). არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი (1987 წლიდან), საქართველოს ბერძენთა სათვისტომოების კავშირის პრეზიდიუმის წევრი (1994 წლიდან), უცხოელ ბერძენ ჟურნალისტთა მსოფლიო ორგანიზაციის (OLLOME) ადმინისტრაციული საბჭოს წევრი (1995 წლიდან), დსთ-ის ჟურნალისტთა საერთაშორისო კონფედერაციის საბჭოს წევრი (1998 წლიდან), უცხოელ ბერძენ ჟურნალისტთა პერიფერია-ევროპის ორგანიზაციის მდივანი (1999 წლიდან). იყო უცხოელ ბერძენთა სამი მსოფლიო ყრილობის (1995, 1997, 1999) დელეგატი საქართველოს ბერძნული დიასპორიდან. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „საქართველოს ღირსეული ბერძნები" („უნყებანი", საქართველო. 1995).

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი, 380096. ტელ: 99-70-34. ფაქსი: 93-47-69. ელ-ფოსტა: vadimos@caucasus.net (ბინის) შარტავას 35. თბილისი, 380060. ტელ: 37-30-89.*

**თანხმობისა და თანამშრომლობისათვის, მამულის აღორძინებისათვის.**



**ანდრია (გვაზავა)** საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი. დაიბადა სოხუმში 1968 წ. 24 აპრილს. მშობლები: ნინო არახამია, ანატოლი გვაზავა. დაამთავრა სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1994). იყო მარტყოფის მამათა მონასტრის მორჩილი (1994), აღიკვეცა ბერად (1995), იყო მარტყოფის, სოფ. კორცხელის (ზუგდიდის რ-ნი) მამათა მონასტრის ბერი, აკურთხეს ბერ-დიაკვნად (1996), გახდა მღვდელ-მონაზონი (1996), იყო სამხედრო აკადემიის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, ღირსი მამა დავით გარეჯელის ლავრის წინამძღვარი (1997), იღუმენი, აკურთხეს ეპისკოპოსად (1998).

**ჰობი:** წიგნების კითხვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) სტალინის 25, გურჯაანი. ტელ: 2-25-45, (877) 42-54-74.*

**ჩემი ცხოვრებისათვის ვმადლობ ღმერთს და ყველა ადამიანს, ვინც რწმენის გზაზე მამტკიცებდა. მჯერა, რომ ყველა ადამიანს შეუძლია ღმერთთან მისვლა. მთავარია თქვას გულწრფელად თავის გულში: "ღმერთო, შენდამი მსურს" და შემოქმედი, რომელიც ყველა ჩვენთაგანს ელოდება, ხელში აიტაცებს კაცს და უფლისაკენ მიმავალ გზაზე თავად იქნება მეგზური.**

**თეიმურაზ ანდრონიკაშვილი** ინჟინერ-ტექნოლოგი, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 23 ივლისს. მშობლები: მარიამ მესხიშვილი, გიორგი ანდრონიკაშვილი; მეუღლე — ნათელა ოკუჯავა (1932); შვილები: გიორგი (1961), ირინე (1963). დაამთავრა სპი ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1953). იყო ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1958-75), დირექტორის მოადგილე (1977-90). არის ქრომატოგრაფიის ლაბორატორიის გამგე (1975 წლიდან), დირექტორი (1990 წლიდან), ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერ-კონსულტანტი (1997 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტუტე და ტუტემინათა



ლითონების კათიონების შემცველ X ტიპის ცეოლითების თვისებების შესწავლა გაზური ქრომატოგრაფიის მეთოდის გამოყენებით" (1972). არის 450 სტატიის, 8 მონოგრაფიის ავტორი (რუსულ, ინგლისურ და პოლონურ ენებზე); 6 ჟურნალის, მათ შორის 2 საერთაშორისო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, აგრეთვე ჟურნალ „მაცნეს" ქიმიის სერიის მთავარი რედაქტორი (1990), მეცნ. აკად. „მოამბის" სარედაქციო საბჭოს წევრი (1994); პ.მელიქიშვილის (1965), ა.თვალჭრელიძის (1987), სსრკ მინისტრთა საბჭოს (1990) პრემიების ლაურეატი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე (1987), ჯორჯ სოროსის საერთაშორისო ფონდის დამსახურებული პროფესორი (1995 წლიდან); ქიმიური საზოგადოების გამგეობის წევრი (1988 წლიდან). იყო სკკპ წევრი (1966-90). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" (I ტ. 1997), წიგნში "Князья царства Грузинского"

**ჰობი:** ბიბლიოფილია, ისტორიული და მემუარული ლიტერატურის კითხვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჯიქიას 5. თბილისი, 380086. ტელ: 32-17-62. (ბინის) ფურცელაძის 8. თბილისი, 380007. ტელ: 93-30-60.*

**ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ დაეიცვა ქრისტიანული მცნებანი. ვთვლი, რომ მხოლოდ შემოქმედებითი შრომისმოყვარეობა და პატიოსნება უნდა ედოს საფუძვლად ჩვენს სახელმწიფოებრიობას. სიცრუე, ცბიერება, მოვალეობის გრძნობის უქონლობა, მორალურად დაუშვებელი მეთოდებით გამდიდრებისკენ სწრაფვა ჩემთვის მიუღებელია. რევოლუციური კატაკლიზმების მოწინააღმდეგე ვარ.**

**მზია ანდრონიკაშვილი** ენათმეცნიერი-აღმოსავლეთმცოდნე, ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1920 წ. 14 ოქტომბერს. მშობლები: ელენე გაბაშვილი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი; მეუღლე — გიორგი ჭოღოშვილი; შვილები: არჩილი (1947), ლევანი (1953). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1941). მუშაობდა ენათმეცნიერების ინ-ტში (1942-50), იყო თსუ დოცენტი (1952-69). არის კათედრის პროფესორი (1969 წლიდან), აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1985 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ირანული სიტყვები ძველ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში" (1946); სადოქტორო — „ქართველურ-ინდოირანული ენობრივი ურთიერთობები" (1968). შესრულებული აქვს რიგვედისა და ავესტის ჰიმნების თარგმანები. მისი სამეცნიერო შემოქმედების ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია მონოგრაფიაში „ნარკვევები ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობიდან" (I ტ. 1966. II ტ. I ნაკვეთი. 1996). იყო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს წევრი, აღმოსავლეთმცოდნეთა მსოფლიო და საკავშირო საზოგადოებების წევრი. მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის მედალი (1968). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის ბიოგრაფიულ ცნობარში.

**ჰობი:** ძველი და ახალი პოეზიის თარგმნა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ, ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028./საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. რუსთაველის 52, თბილისი 380008. (ბინის) ჭავჭავაძის 21. თბილისი 380079. ტელ: 22-36-38.*

**ჩემი ცხოვრების პრინციპი იყო — დაივიწყე, რაც შენ გაუკეთე სხვებს და დაიხსომე სულ მცირე მადლი, რომელიც შენთვის ვისმე გაუკეთებია. ადამიანებს არ ვარჩევდი ნაციონალობისა და კონფესიონალური ნიშნის მიხედვით. არასოდეს ვყოფილვარ რომელიმე პარტიის წევრი — მით უმეტეს საბჭოთა ხანაში.**



**დავით ანდღულაძე** რეჟისორი, ახმეტელის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 11 იანვარს. მშობლები: გულიკო კავსაძე, ალექსანდრე ანდღულაძე; მეუღლე — მაია ზედგინიძე (1959); შვილები: ანა (1985), ალექსანდრე (1995). დაამთავრა თსთი (1982). იყო საქართველოს ტელევიზიის (1982-85), მარჯანიშვილის თეატრის (1985-96) რეჟისორი. ახმეტელის თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია 1998 წლიდან. არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „თათვალი" (ს.ს.ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას" მიხედვით), ი.ჭავჭავაძის „განდეგილი", ნ.ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", გ.რობაქიძის „გრაალის

მცველნი", „სტელა და ავი სული" (ბ.შოუს „პიგმალიონის" მიხედვით), „დიდოსტატი" (კ.გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას" მიხედვით"), ლ.თაბუკაშვილის „შენსკენ სავალი გზები", ა.ჩეხოვის „პალატა N6", აკა მორჩილაძის „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", „ოცდამეთვრამეტე" (უ.შექსპირის „ჰამლეტისა" და სტოპარდის „როზენკრანცი და გილდესტერნი მკვდარნი არიან" მიხედვით), ჰ.პინტერის „ღალატი", ფ.დიურენმატის „მეორედ მოსვლა ანუ მილიარდერის ვიზიტი" არის კ.მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი (1990), „რეჟისორთა ლიგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და არჩეული ხელმძღვანელი (1993), მისი სპექტაკლი „ოცდამეთვრამეტე" წარდგენილი იყო სახელმწიფო პრემიაზე.
**ჰობი:** ფრენა, ცურვა, ძაღლები.
**მისამართი:** *(სამსახურის) ი.ვეკუას 8. თბილისი. ტელ: 62-59-73. (ბინის) მარჯანიშვილის 19. თბილისი 380002. ტელ: 95-70-30.*

**ვაკეთო ის, რაც სწორად მიმაჩნია (მიუხედავად სხვათა აზრისა). სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მისულს, ალბათ, უფრო ნათლად ჩამომიყალიბდება ის, რასაც კრედო ჰქვია და რითაც მიცხოვრია. მშვენიერებასთან ზიარება!**



**ნოდარ ანდღულაძე** ენათმეცნიერი, მომღერალი, სოლო სიმღერის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 13 დეკემბერს. მშობლები: ბარბალე მამამთავრიშვილი, დავით ანდღულაძე. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1950), ასპირანტურა (1953), თბილისის სახ. კონსერვატორია (1963). იყო თსუ კავკასიურ ენათა კათედრის უფროსი მასწავლებელი (1954-59), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1956-96), „ლა სკალას" სტაჟიორი (1961-62), ბერლინის „კომიშე-ოპერის" სოლისტი (1968-69), თბილისის სახ. კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის დოცენტი (1967), კათედრის გამგე (1974). არის პროფესორი (1981 წლიდან), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ვოკალური კონსულტანტი (1990 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გრამატიკული კლასკატეგორია იბერიულ-კავკასიურ ენებში" (1954). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები: „კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორია იბერიულ-კავკასიურ ენებში" (1968), „ვოკალური ხელოვნების ზოგადი თეორიის მეთოდოლოგიური საკითხები" (1979), წიგნი "Homo Cantor" (ადამიანი მომღერალი, 1997) და სხვ. არის ზ. ფალიაშვილის პრემიის, მსოფლიო ახალგაზრდობის VII ფესტივალის (1957) ლაურეატი, მილანის „ენრიკო კარუზოს ასოციაციის" უცხოელი წევრი, „დავით ანდღულაძის ქართული ვოკალური კულტურის ფონდის" დამფუძნებელი და თავმჯდომარე (1994 წლიდან), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2000), საქართველოს პედაგოგიური აკადემიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის წევრი.
**ჰობი:** ფილოსოფიური ლიტერატურა.
**მისამართი:** *(ბინის) კოსტავას 63. ტელ: 33-07-51.*

**ურთულესი სატენორო რეპერტუარის დაუფლება და სცენაზე დაფუძნება; ქართული და იტალიური ვოკალური სკოლების შეჯერება და ახალი სინთეზის შექმნა; ვოკალური ხელოვნების მეთოდიკურ-პრაქტიკული და თეორიულ-ესთეტიკური საკითხების დამუშავება თანამედროვე თეორიული აზროვნების მიღწევების გათვალისწინებით; ქართული ვოკალური სკოლის შემდგომი განვითარება, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება; ყოველმხრივი ხელშეწყობა მომღერლებისა, ვინც ცდილობს შინაგანი სრულყოფის გზით ჭეშმარიტი წარმატების მიღწევას; ქართული ვოკალური სკოლის მიღწევების გაცნობა მსოფლიო ვოკალური ცენტრებისათვის.**



**მაკა ანთიძე** საინფორმაციო სააგენტო Reuter-ის კავკასიის ბიუროს რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1970 წ. 27 აპრილს. მშობლები: ლარა ანთიძე, გურამ ანთიძე; შვილი—ზუკა ბაბუნაშვილი (1994). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1992). იყო საინფორმაციო სააგენტო ИМА-Пресс-ის (მოსკოვი) სპეციალური კორესპონდენტი საქართველოში (1989-96), სააგენტო „კონტაქტის" რედაქტორი (1992-93), სააგენტოების BS-Press-ის, Associated Press-ის, Reuter-ის კორესპონდენტი

(1996-99). Reuter-ის კავკასიის ბიუროს რედაქტორია 1999 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ქართულ და უცხოურ პრესაში.
**ჰობი:** თავისუფალი დროის შვილთან გატარება.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 42. თბილისი 380008. ტელ: 99-93-70, 98-39-61. ფაქსი: 93-69-19. ელ-ფოსტა: reuters@caucasus.net*
**No news is bad news.**



**ანტონი (ბულუხია)** ვანისა და ბაღდათის ეპისკოპოსი, მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყოფილების გამგე. დაიბადა დაბა ოჩხამურში (ქობულეთის რ-ნი) 1956 წ. 7 მაისს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. სწავლობდა მოსკოვის მინათმოქმედების ინ-ტში (1976-82), საკავშირო იურიდიულ ინ-ტში (მოსკოვი, 1982-84). დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია (1990). გახდა ბეთანიის მონასტრის მორჩილი (1987), ხელდასმულ იქნა დიაკვნად და მღვდლად, დადგინებულ იქნა სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვრად (1989), აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1995), დაჯილდოვდა მიტრისა და გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით (1996). აღიკვეცა ბერად, აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1996). ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1996).
**მისამართი:** *ვანი, თავისუფლების 186. ტელ: 2-23-95/ ბაღდათი, ბაღდათის 1. ტელ: 24-69. მობ. (877) 40-91-09.*



**ეთერ ანჯაფარიძე** პიანისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ივეტა ბახტაძე, ზურაბ ანჯაფარიძე. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია (1979), ასპირანტურა (1981). იყო თბილისის სახ. კონსერვატორიის სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პედაგოგი (1981-91), თბილისის სახ. ფილარმონიის სოლისტი (1981-91). არის ნიუ-იორკის სახ. უნივერსიტეტის მუსიკალური კონსერვატორიის პროფესორი (1992 წლიდან). საშემსრულებლო მოღვაწეობა დაიწყო 1972 წლიდან. არის ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა, პ.ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო, მონრეალის (კანადა) საერთაშორისო (გრან-პრი) კონკურსების ლაურეატი, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ჟიურის წევრი, ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „თანამედროვე პიანისტები" (1977, 1985, მოსკოვი), ტაიჩი სატო „რუსი პიანისტები" (ტოკიო).
**ჰობი:** საკუთარი საკონცერტო კაბების დიზაინი, კერვა, ჯაზი, ტანვარჯიში, ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) 735 Anderson Hill Road. Purchase N.Y.10577-1400. ტელ: 251-67-00. ფაქსი: 251-67-39. (ბინის) მოსაშვილის 26, ბ. 13. თბილისი 380079. ტელ: 23-33-61.*
**მიზანდასახულობა, რისკი, უკომპრომისობა, ძლიერი ნებისყოფა, მიზნის მიღწევა მხოლოდ საკუთარი ძალითა და ნიჭით. არ არსებობს გადაუწყვეტელ-გადაუჭრელი ამოცანები და საკითხები. იცხოვრე ხალისიანად და არასდროს არ დაკარგო იუმორის გრძნობა. ღმერთის წყალობა.**



**ქეთევან არახამია** მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი. დაიბადა ოჩამჩირეში 1968 წ. 19 ივლისს. მშობლები: ვერა არახამია, რევაზ არახამია; მეუღლე — ჯონათან გრანტი (1966). დაამთავრა უცხო ენათა ინ-ტის გერმანული ენის ფაკ-ტი (1985). არის საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის (1983, 1984, 1990), სსრკ ჩემპიონი (1990), საერთაშორისო ოსტატი (1985 წლიდან), დიდოსტატი (1987 წლიდან), საერთაშორისო ოსტატი ვაჟთა შორის (1993 წლიდან), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონი (1994, 1996), ვერცხლის (1990) და ბრინჯაოს მედლის (1998) მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „Шахматный энциклопедический словарь" (მოსკოვი, 1990), „ქართული ჭადრაკის მატიანე" (1995).
**ჰობი:** მუსიკა, ხატვა, წიგნების კითხვა.
**მისწრაფება სრულყოფილებისკენ, რამეთუ მე ვიცი ის, რომ არაფერი ვიცი.**



**ბესიკ არბოლიშვილი** მხატვარი. დაიბადა სოფ. ველისციხეში (გურჯაანის რ-ნი) 1955 წ. 17თებერვალს. მშობლები: ნადეჟდა ფერიშვილი, მიხეილ არბოლიშვილი; მეუღლე – ირინა ჩაფიჩაძე; შვილები: მიხეილი (1987), თამარი (1992). დაამთავრა თსსა ხელოვნებათმცოდნეობისა და პედაგოგიკის ფაკ-ტი (1981), სსრკ სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნო (მოსკოვი, 1986). არის ავტორი ნამუშევრებისა: „მატარებლები" (1985), „ოჯახის პორტრეტი" (1981), „ბაკურიანი" (1986), „ლელას პორტრეტი" (1987), „მწუხრის ანგელოზი" (1996) და სხვ. მ. არბოლიშვილთან ერთად არის ნ. ფიროსმანის კედლის მხატვრობის 2 ნიმუშის აღმომჩენი ("შავი ორთქლმავალი" და "შენ გვაცხონე, მარანო"). მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში, ლონდონის ფილიპსის აუქციონში (1990). არის სსრკ მხატვართა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: "Who's who of intellectuals" (IBC, 1994). "Dictionary of international byography" (IBC, 1995), "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000).
მისამართი: *(ბინის) ვაჟა-ფშაველას II კვ., თბილისი 380077. ტელ: 32-26-92.*



**ხათუნა არევაძე** იურისტი, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ამბროლაურში 1967 წ. 4 მაისს. მშობლები: ნუცა დონაძე, იური ბუაძე; მეუღლე – იოსებ არევაძე (1965). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1991). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქალაქეთა საჩივრებისა და მიღების განყ-ბის უფროსი კონსულტანტი (1991 წლიდან), განყ-ბის უფროსი (1999 წლიდან), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 2000 წლიდან.
მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. (ბინის) მუხიანის IVბ მ/რ, 42-ე კორპ., ბ. 126, თბილისი.*



**მამუკა არეშიძე** საქართველოს პარლამენტის კავკასიის საკითხთა ექსპერტი, ჟურნალისტი, რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 27 ნოემბერს. მშობლები: ლამარა გამსახურდია, გურამ არეშიძე; მეუღლე — მარინე საღარაძე (1956); შვილი — გიორგი (1978). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1980). იყო ტელევიზიის ახალგაზრდული პროგრამების მთავარი რედაქციის რეჟისორი (1981-87), კინორედაქციის მთავარი რეჟისორი (1987-89), გაერთიანება „საღამო მშვიდობისას" წამყვანი და რეჟისორი (1988-93), ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი (1993-95), საქართველოს პარლამენტის წევრი, კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საკოორდინაციო ჯგუფის ხელმძღვანელი (1995-99). არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1992), ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1991).
ჰობი: ლიტერატურა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი, 380018. ტელ: 92-12-20, ფაქსი: 92-12-19. (ბინის) ვაშლოვანის 5. თბილისი, 380008. ტელ: 99-67-70.*
**ძლიერი საქართველო.**



**არჩილ არველაძე** ფეხბურთელი. დაიბადა თბილისში 1973 წ. 22 თებერვალს. მშობლები: თამარ დოლიძე, იუსტინე (კიჭა) არველაძე; მეუღლე — თინათინ არველაძე (1976); შვილები: რევაზი (1996), სალომე (2000). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიური ფაკ-ტი (1997). იყო თბილისის „დინამოს", თურქეთის „ტრაბზონსპორის", ჰოლანდიის „ბრედას" ფეხბურთელი. არის გერმანიის გუნდ „კიოლნის" ფეხბურთელი; საქართველოს ორგზის ჩემპიონი, თასის ორგზის მფლობელი, თურქეთის თასის, სუპერთასის, თურქეთის ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელი; თურქეთის 1993-94 წლების საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი. მონაწილეობდა ფილმებში: „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „კუკარაჩა", „ძროხა", „მარტოხელა მონადირე"
ჰობი: ქართული ფილმების ყურება, მუსიკა, წყლის მოტოციკლეტი.



**რევაზ არველაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ენერგეტიკის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი. დაიბადა თელავში 1941 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ ტალახაძე, დავით არველაძე; მეუღლე- მარინა ხომერიკი; შვილები: დავითი (1972), გიორგი (1980). დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1964). იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს განყ-ბის გამგის მოადგილე (1980-84), საქენერგეტიკის უფროსის I მოადგილე, მთავარი ინჟინერი (1984-90), ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის დირექტორი (1990-96), სათბობენერგეტიკის მინისტრი (1992-93), პრეზიდენტის საკოორდინაციო სამსახურის უფროსი (1994-95), სათბობენერგეტიკის მინისტრის I მოადგილე (1996-97), ენერგეტიკის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი (1994 წლიდან). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ენერგეტიკის მეცნიერებათა დოქტორი, 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ენერგეტიკის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, საინჟინრო აკადემიისა და მეცნიერების, მრეწველობის, განათლებისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

**ჰობი:** სპორტი, პრეფერანსი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8 თბილისი 380018. ტელ: 99-09-94. (ბინის) ფალიაშვილის 64/6, თბილისი, 380079. ტელ: 22-27-20.*

**შრომისმოყვარეობა, პირდაპირობა, პატიოსნება.**



**შოთა არველაძე** ფეხბურთელი, საქართველოსა და ჰოლანდიის ჩემპიონი. დაიბადა თბილისში 1973 წ. 22 თებერვალს. მშობლები: თამარ დოლიძე, იუსტინე არველაძე; მეუღლე — თამუნა მელაძე (1973), შვილი —გიორგი (1997). იყო თბილისის „მართვეს" (1990), თბილისის „დინამოს" (1991-93), თურქეთის „ტრაბზონსპორის" (1993-94, 1994-97) ფეხბურთელი, ჰოლანდიის გუნდ „აიაქსის" ბომბარდირი (1997-2001). შოტლანდიის გუნდ „გლაზგო რეინჯერსის" ფეხბურთელია 2001 წლიდან. არის საქართველოს სამგზის ჩემპიონი, ორგზის თასის მფლობელი (1992-93), თურქეთის თასისა და სუპერთასის მფლობელი (1995), ვერცხლის პრზიორი (1995-96), საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი (1993-1994), თურქეთის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და საუკეთესო უცხოელი ფეხბურთელი (1995-1996), ჰოლანდიის ჩემპიონი, ვიცე-ბომბარდირი (1998).საქართველოს ნაკრების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლისა და ჰეთ-თრიკის ავტორი. მონაწილეობდა ფილმებში: „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „ძროხა", „კუკარაჩა", „მარტოხელა მონადირე".

**ჰობი:** წყლის მოტოციკლეტი.

**მისამართი:** *(ბინის) პლ.იოსელიანის 37, ბ.97. თბილისი. ტელ: 99-83-07.*

**ადამიანობა, კაცთმოყვარეობა, სიმართლე.**



**რაფიკ არზუმანიანი** ნინოწმინდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ბოგდანოვკაში (ამჟამად ნინოწმინდა) 1943 წ. 2 მარტს. მშობლები: აიკენუშ არზუმანიანი, ტოროს არზუმანიანი; მეუღლე — რაისა არზუმანიანი (1948); შვილები: არმენი (1976), არტური (1987). დაამთავრა სპი საინჟინრო მექანიკის ფაკ-ტი (1971). იყო ქ. კაპეისკის ინჟინერ-კონსტრუქტორი (1971-73), მანქანათმშენებლობის ქარხნის მთავარი ინჟინერ-ეკონომისტი (1973-75), განყოფილების უფროსის მოადგილე (1975-78), განყოფილების უფროსი (1978-82), დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში (1982-86), ნინოწმინდის რ-ნის ბახტრიონის ფაბრიკის დირექტორი (1986-92). ნინოწმინდის რ-ნის გამგებელია 1992 წლიდან. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

**ჰობი:** ჭადრაკი, მუსიკა, ფეხბურთი, პოეზია.

**მისამართი:** *(სამსახურის) პუშკინის 7, ნინოწმინდა. ტელ: 2-23-23, 92-24-95. (ბინის) პუშკინის 96, ნინოწმინდა. ტელ: 2-22-23.*

**გულკეთილობა, სიმართლე, მეგობრობა, ხალხთმოყვარეობა, სამსახურის მიმართ პასუხისმგებლობა, სამშობლოს სიყვარული, კანონიერება.**



**გიორგი არსენიშვილი** საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. დაიბადა სიღნაღში 1941 წ. 9 ნოემბერს. მშობლები: ნინო ბეგიაშვილი, ლონგინოზ არსენიშვილი; მეუღლე — ელენე სტურუა (1942); შვილები: ნინო (1968), ივანე (1972). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1966), ასპირანტურა (1971). იყო თსუ დოცენტი (1971-74), მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე (1974-77), კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკ-ტის დეკანი (1977-82), კათედრის გამგე (1981-98), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში (1995-2000). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტელესაკომუნიკაციო სისტემები გამოძახებათა ცვალებადი ინტენსიობებით" (1993). არის 53 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ალბათობის თეორიაში, შემთხვევით პროცესთა თეორიაში, ტელეტრაფიკის თეორიაში, აგრეთვე საბუნებისმეტყველო დარგებში მათემატიკური მეთოდების გამოყენების შესახებ. კითხულობდა ლექციათა კურსს ალბათობის თეორიასა და მათემატიკურ სტატისტიკაში. არის საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო აკადემიის ნამდვილი წევრი.
ჰობი: ბუნების წიაღში ყოფნა.
მისამართი: *(სამსახურის) სახელმწიფო კანცელარია. ინგოროყვას 7, თბილისი 380034. ტელ: 92-22-43, 92-10-69.*

**სიმართლე. ცოდნა იმისა, რასაც აკეთებ. საზოგადოებრივი ინტერესები.**



**დევილ არუთინოვი-ჯინჭარაძე** მუსიკათმცოდნე, პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1936 წ. 25 მარტს. მშობლები: ნინო ჯინჭარაძე, ამაიაკი არუთინოვი. დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიციო ფაკ-ტი (1961). იყო მოსკოვის კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კათედრის მასწავლებელი (1961 წლიდან), დოცენტი (1972 წლიდან), თეორიული საკომპოზიციო ფაკ-ტის დეკანი (1972-73), პროფესორი (1990 წლიდან). არის თბილისის კონსერვატორიის მუსიკის თეორიის და კომპოზიციის კათედრების პროფესორი (1991 წლიდან), მუსიკალურ-პედაგოგიური ინ-ტის პროფესორი (1991 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ა.ხაჩატურიანი და აღმოსავლეთის მუსიკა (ენა, სტილი, ტრადიციები)" 1984. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „ა.ხაჩატურიანი და აღმოსავლეთის მუსიკა (ენა, სტილი, ტრადიციები)" (მოსკოვი, 1983), „პ.ჩაიკოვსკის ქმნილებანი მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზის კურსში" (მოსკოვი, 1989), „ელიპსისის როლი ფ.შოპენის მუსიკაში" (მოსკოვი, 1989), „პოლიფონიის როლი უფროსი თაობის ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებაში" (1995); 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. იყო მუსიკალური ხელოვნების დარგში უმაღლესი საატესტაციო კომისიის საექსპერტო კომისიის მდივანი (მოსკოვი, 1970-75), საექსპერტო საბჭოს წევრი (1989-92). არის საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი (1991 წლიდან), თეატრისა და კინოს ინ-ტთან არსებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1992 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია ბიობიბლიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ წერდა მუსიკის შესახებ" (მოსკოვი, 1971).
მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი 380008. ტელ: 99-69-92.*

**პიროვნება შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაითავისებს — შრომამ აქცია ადამიანი ადამიანად, ის კეთილსინდისიერად ემსახურება არჩეულ საქმეს და საზოგადოებას, არ კმაყოფილდება მიღწეულით, მუდმივ ცდილობს დახვეწოს თავისი ცოდნა და უნარი, იქცეს მაღალი დონის სპეციალისტად, პროფესიონალად.**

**თენგიზ არჩვაძე** საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: კლავდია სხირტლაძე, გრიგოლ არჩვაძე; მეუღლე — ნელი არჩვაძე; შვილები: ნატო (1957), ნათია (1962). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (1955). არის მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1954 წლიდან), კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი (1960 წლიდან). მონაწილეობდა ფილმებში: „კეთილი ადამიანები" (1961), „ერთი ცის ქვეშ" (1961), „ხევისბერი გოჩა" (1964), „ხევსურული ბალადა" (1965), „მე ვხედავ

მზეს" (1965), „ვედრება" (1967), „ჯვარცმული კუნძული" (1968), „დიდოსტატის მარჯვენა" (1969), „დათა თუთაშხია" (1977) და სხვ.; სპექტაკლებში: „მოკვეთილი", „დედა", „ფსკერზე", „ღალატი", „თეალი პატიოსანი" და სხვ. მიღებული აქვს სსრკ სახელმწიფო პრემია, დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, ღირსების ორდენით. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1975).
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25, 34-45-27. (ბინის) ყაზბეგის 34-ა, ბ. 13. თბილისი. ტელ: 39-80-30.*
**ცხოვრებისეულ კრედოს ჩემი თეატრალური და ეკრანული შემოქმედება (არ მიყვარს ეს სიტყვა) უნდა ამხელდეს.**



**ლალი არჩვაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა 1944წ. 23 მაისს. მშობლები: მარიამ არჩვაძე, სამსონ არჩვაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი. იყო თბილისის კიროვის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელი (1967-69), "სახაგრომრეწვის" სისტემის იურისკონსულტი (1976 წლიდან), იურიდიული განყ-ბის უფროსი, საქართველოს პროკურატურის არბიტრი, სამოქალაქო განყ-ბის პროკურორი (1989-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** პროზა, ხელოვნება, ქართული სიმღერა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ.რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. (ბინის) ფიროსმანის 2, დაბა წყნეთი.*
**სამართლიანობა, პრინციპულობა, სამართლებრივი და დემოკრატიული ქვეყნის აშენება.**



**აკაკი ასათიანი** პოლიტიკოსი, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ტარადიციონალისტის" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1953 წ. 22 ოქტომბერს. მშობლები: ციალა სვანიძე, თორნიკე ასათიანი; მეუღლე — ირინე აბულაძე (1954); შვილები: თორნიკე (1974), რატი (1989); დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1977). იყო სამხატვრო-პედაგოგიური სასწავლებლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1978-79), საქინფორმის მთარგმნელი (1980-82, 1984-89), კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო კოლეგიის რედაქტორი (1983-84), საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის I მოადგილე (1990-91), თავმჯდომარე (1991-92), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95). კვლავ საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. მონაწილეობდა საქართველოში პირველი (1918-1921 წლების შემდეგ) დემოკრატიული მრავალპარტიული საპარლამენტო არჩევნების დანიშვნასა და ჩატარებაში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებაში (1991 წ. 9 აპრილი), საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებაში (1995). გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები ჟურნალ „ცისკარში" (1986. N4).
**ჰობი:** საქართველოს ძველი ისტორია, ქართული ნუმიზმატიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვირსალაძის 10. თბილისი. ტელ: 98-39-55/ საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-16-91. (ბინის) არსენას 10. თბილისი 380008. ტელ: 99-03-19.*
**რწმენა, როგორც ზნეობის საფუძველი; სამშობლოს სიყვარული, მისი მსახურება; თავისუფლება, როგორც პიროვნებისა და ერის ღირსეული არსებობის, მათი შესაძლებლობების განხორციელების პირობა; მემკვიდრეობითობა, როგორც თავისუფალი განვითარების საწინდარი; საკუთრება, როგორც ადამიანის განუყოფელი უფლება.**



**არჩილ ასათიანი** ექიმი-ფიზიოლოგი, თსსუ ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 28 აპრილს. მშობლები: ქეთევან გოპაძე, ვლადიმერ ასათიანი; მეუღლე — ნანა ჩაჩიბაია-ასათიანი (1948); შვილები: ვლადიმერი (1955), გიორგი (1965), ქეთევანი (1976). დაამ-

თავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1957), ასპირანტურა (1960). იყო თსსი ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი (1960-65), დოცენტი (1965-72), პროფესორი (1973-87), თსსი პრორექტორი (1976-85), რექტორი (1985-91). არის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის გამგე (1987 წლიდან), საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შრომისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წევრი (1999 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თავის ტვინის ღეროს ზოგიერთი სტრუქტურის როლი კუჭის სეკრეციული მოქმედების რეგულაციაში" (1963); სადოქტორო — „კვებითი მოქმედების ნეიროჰუმორული მექანიზმები" (1972). არის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიისა „კვებითი მოქმედების ფიზიოლოგია" (1975), უმაღლესი სამედიცინო სკოლის სახელმძღვანელოსი „ბიოლოგიური ფიზიკა" (1992). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" (I ტ. 1997).
**ჰობი:** ქართული ხალხური და საესტრადო მელოდიური სიმღერების მოსმენა; ნებისმიერი ობიექტის სამშენებლო პროცესზე თვალის დევნება.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 33, II კორ. თბილისი. ტელ: 39-80-15. (ბინის) ჭავჭავაძის I შეს. 2. ბ. 61. თბილისი, 380079. ტელ: 23-42-84.*
**სამართლიანობა, კომპეტენტურობა, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია.**



**კახი ასათიანი** ავიაკომპანია „აირზენა — საქართველოს ავიახაზების" ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა თელავში 1947 წ. 1 იანვარს. მშობლები: ქსენია ასათიანი, შალვა ასათიანი; მეუღლე — ლუიზა თავართქილაძე (1947); შვილები: სალომე (1969), მაკა (1973). დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ელექტრომექანიზაციის ფაკ-ტი (1973), მოსკოვის სპორტის აკადემია (1977). იყო თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრი (1965-75), სსრკ ნაკრების წევრი (1963-72), თბილისის „დინამოს" გუნდის უფროსი (1978-83), „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1984-89), ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე (1990-91), საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრი (1991-92), სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1992-2000). გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.
**ჰობი:** მუსიკა, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) შარტავას 40, თბილისი. ტელ/ფაქსი: 94-07-82. ელფოსტა: info@airzena.com*
**ჩემი ოჯახის კარგად ყოფნა. საქართველოს ეკონომიკური გაჭირვებიდან გამოსვლა.**



**გიორგი ასანიძე** მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში. დაიბადა საჩხერეში 1975 წ. 30 აგვისტოს. მშობლები: გოგუცა ასანიძე, ლეონიდე ასანიძე; მეუღლე — თეა კოტუა-ასანიძე (1977); შვილი — მარიამი (1996). დაამთავრა საქართველოს სახ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია (1996). არის მსოფლიო თასის პირველი ეტაპის ბრინჯაოს პრიზიორი (1993), ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1994-95), მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1995), ექსგზის მსოფლიო რეკორდსმენი ახალგაზრდებს შორის (1994-95), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1998), მსოფლიო რეკორდსმენი და ჩემპიონი (1998), მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (ათენი, 1999), ევროპის ჩემპიონი (2000), მსოფლიო რეკორდსმენი ატაცში (181კგ, სოფია, 2000), სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი (2000), ევროპის ჩემპიონატის სამგზის ოქროს პრიზიორი (2001). დაჯილდოებულია ღირსების (1999), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2000) ორდენებით. აღიარებულია საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენად (1998).
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ძალოსნობის ფედერაცია. ჭავჭავაძის 49ა. თბილისი 380062. (ბინის) ჭავჭავაძის 49. თბილისი 380062. ტელ: 23-52-53.*
**რწმენა ღმერთისა და საკუთარი თავის, სიყვარული შენი საქმისადმი.**



**ემზარ ასპანიძე** ბორჯომის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა 1961წ. 2 სექტემბერს. მშობლები: როზა ბეთხოშვილი, ნოდარ ასპანიძე; მეუღლე — ვერა კონსტანტინოვა (1962); შვილები: სოფიო (1987), სალომე (1990). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1986). იყო N6 სამშენებლო ტრესტის ლაბორატორიის გამგე, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე (1986-87), კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, ახალგაზრდული მშენებლობების სექტორის გამგე (1987-90), ბიზნესმენი (1990-98), ასპინძის რ-ნის გამგებელი (1998-2000). ბორჯომის რ-ნის გამგებელია 2000 წლიდან.

**ჰობი:** *თეატრი, ჩოგბურთი.*

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის მოედ. 1, ბორჯომი. ტელ: 2-31-37, 38-37-20. (ბინის) შარტავას 16, ბ. 22. თბილისი. ტელ: 37-08-12.*

**მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა, უღალატობა, სიყვლიდისადმი შეურიგებლობა, კრიტიკულ მომენტში უკანდაუხეველობა, ადამიანებთან ურთიერთობებში თავმდაბლობა და სინმინდე, მეგობრებისადმი თანადგომა, პატიოსნება, ადამიანებში სიკეთის მარცვლის ძებნა და გაღვივება.**



**ანდრია აფაქიძე** ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი. დაიბადა სოფ. ზანაში (სენაკის მაზრა) 1914 წ. 3 სექტემბერს. მშობლები: ძაძუ აფაქიძე, მელიტონ აფაქიძე; მეუღლე — რუსუდან მგელაძე (1910); შვილები: გუძა (1943), თამარი (1949). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1937). იყო „ენიმკის" მეცნიერ-თანამშრომელი (1937-41), სამამულო ომის მონაწილე (1941-42), საქართველოს სახ. მუზეუმის დირექტორი (1942-53), ისტორიის ინ-ტის არქეოლოგიის სექტორის გამგე (1953-74), ისტორიის ინ-ტის ანტიკური არქეოლოგიის განყოფილების გამგე (1974-80), მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი (1980-83), მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია 1983 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში" (1959). თანაავტორია წიგნებისა: „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში", „დიდი პიტიუნტი", „საქართველოს არქეოლოგია" (სახელმძღვანელო), „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" (I ტ). არის ავტორი წიგნისა: „არქეოლოგიური ლექსიკონი" არის ე.თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზ-ბის, საქართველოს არქეოლოგიური კომისიის, საქართველოს არქეოლოგიური ფონდის გამგეობის თავმჯდომარე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1964), სახელმწიფო პრემიის (1982), ს.ჯანაშიას პრემიის (1964) ლაურეატი, სამამულო ომის მედლის (1945), შრომის წითელი დროშის (1986), საპატიო ნიშნის (1946), ღირსების ორდენის (1994) კავალერი, მცხეთის, იყალთოს, უდაბნოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე (1998), ABI-ის ოქროს მედლის მფლობელი (1999). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1977).

**ჰობი:** ჭადრაკი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი, 380008. ტელ: 99-58-27. (ბინის) კეკელიძის 16. თბილისი 380079. ტელ: 22-42-96, 33-33-22.*

**ვემსახურო ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს, შევიტანო ჩემი წვლილი ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში.**



**შოთა აფაქიძე** თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 18 დეკემბერს. მშობლები: ქსენია ბახტაძე, ანდრია აფაქიძე. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტის გერმანისტიკის განყოფილება (1968). იყო თსუ უცხოეთის განყოფილების უფროსი რეფერენტი (1968-70), ასპირანტურის გამგე (1970-74). სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორია 1974 წლიდან. თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომებში გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო სტატია გერმანული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით (1978), ღირსების ორდენით (1998).

**ჰობი:** ფეხბურთი.

მისამართი: *(სამსახურის) უნივერსიტეტის ქ. 11. თბილისი, 380043. ტელ: 30-28-83, 30-47-83. (ბინის) დიღმის მასივი, IV კვ. II კორპ. თბილისი, 380059.*

**პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, სამართლიანობა, სახელმწიფო ინტერესების გაცნობიერების უნარი.**



**მაია ახალაძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა წყალტუბოში 1966 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: გულიკო ჯანელიძე, რომან ახალაძე; მეუღლე – ზურაბ ქუთათელაძე (1962). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990), ასპირანტურა (1996). იყო ქუთაისის სასამართლოს ადმინისტრაციული მოსამართლე (1996-98), საოლქო სასამართლოს მოსამართლე, სამოქალაქო, სანარმოო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე (1998-2000). საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრია 2000 წლიდან. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.

ჰობი: კითხვა, კლასიკური მუსიკა, მოგზაურობა.

მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 93-31-74.*

**კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა, პრინციპულობა; ჩემი იდეალია თავისუფალი საქართველო, სადაც იარსებებს სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური პრობლემების მოგვარების ფონზე შეიქმნება მომავალი თაობის ინტელექტუალური და რეალური განვითარების პირობები. რეალობა გახდება "სამართლიანი სასამართლოს" იდეა.**



**კობა ახალბედაშვილი** ტელეკომპანია მე-9 არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 6 მაისს. მშობლები: მზია დიაკონაშვილი, გივი ახალბედაშვილი; მეუღლე — მაია ჩიკვაიძე (1969). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1986). იყო გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი (1983), გაზეთ „თბილისის" კორესპონდენტი (1989-90), „7 დღის" თანარედაქტორი (1990-93), „მიმომხილველის" რედაქტორ-გამომცემელი (1993-97), „7 დღის" მთავარი რედაქტორი (1997-2000). მე-9-ე არხის საინფორმაციო სამსახურის უფროსია 2000 წლიდან. არის ჟურნალისტთა საზოგადოების თანათავმჯდომარე.

ჰობი: სამთო თხილამურები, ცურვა.

მისამართი: *(სამსახურის) სამასი არაგველის 1, თბილისი. ტელ: 77-86-88.*

**დამოუკიდებელი ქართული პრესის ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა. ცივილური ფასეულობების ქართველ მკითხველთან მიტანა.**



**არმაზ ახვლედიანი** საქართველოს პარლამენტის წევრი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი. დაიბადა ბათუმში 1970 წ. 18 იანვარს. მშობლები: ეთერ ქარცივაძე, აზიზ ახვლედიანი. დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკ-ტი პოლიტოლოგიის სპეციალობით (1991). იყო აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე (1994-95), საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე, საერთაშორისო პოლიტიკისა და ანალიზის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აშშ-ში საკუთრების ფორმების ევოლუცია და მისი სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები" (1995). გამოქვეყნებული აქვს წიგნი „საკუთრება, პოლიტიკა, ხელისუფლება" (მოსკოვი, 1996), სტატიები სამეცნიერო ჟურნალებში. არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი (1997).

ჰობი: მთა, რადიო, ველოსიპედი, მეგობრები, კითხვა, ფეხით სიარული.

მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი, 380018. ტელ: 92-15-64. ფაქსი: 92-24-09. ელ-ფოსტა:* armaz@parliament.ge

**ერთგულება, თავმდაბლობა, პროფესიონალიზმი. „ყოველი მარცხი — უფლის დარიგებაა". აკეთე სიკეთე უშურველად!**



**დავით ახვლედიანი** სააქციო საზოგადოება „ვაზიანის" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 11 იანვარს. მშობლები: ლიანა ვარაზაშვილი, გივი ახვლედიანი; მეუღლე — ქეთევან ქობულია (1962); შვილები: ქრისტინე, ტასო (1991). დაამთავრა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის სახელმწიფო ინ-ტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ფაკ-ტი (1984). იყო Внешторгбанк-ის ინსპექტორი (1978-80), სსრკ სავაჭრო-სანარმოო პალატის მთავარი ტექნიკოსი (1980-83), ჩერიომუშკის რ-ნის კომკავშირის რაიკომის რეფერენტი, კულტურის სექციის გამგე (1983-89), ეკონომიკის ისტორიის კათედრის ასპირანტი მარკეტინგის განხრით (1990-92). მარკეტინგში კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფებოდა გერმანიაში (1991-92). იყო პურის მინიქარხნის დირექტორი (მოსკოვი, 1993-96), ს/ს „ვაზიანის" მარკეტინგის დირექტორი (1996-97). გენერალური დირექტორია 1997 წლიდან.

**მისამართი:** *(სამსახურის) ახვლედიანის ჩიხი 8. თბილისი 380003. ტელ: 76-86-86. ფაქსი: 76-87-49. ელ-ფოსტა: vaziani@iberiapac.ge.*

**ჩემი ცხოვრების მიზანია საქართველოს აღმშენებლობის პროცესში უძველესი ტრადიციების მქონე მეღვინეობის დარგი ავიყვანოთ მაღალი პროფესიონალიზმით იმ დონეზე, რომ მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილება იყოს ქართულ პროდუქციაზე.**



**ერლომ ახვლედიანი** მწერალი, კინოდრამატურგი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: ბარბარე დადიანი, სერგო ახვლედიანი; შვილები: ანა (1970), ბაქარი (1987). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1957), უმაღლესი სასცენარო კურსები (მოსკოვი, 1964). იყო კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინსპექტორი (1959-60), საქართველოს ტელე-რადიოკომიტეტის მხატვრული ტელეფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი (1967-68), „ქართულ ფილმთან" არსებული მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1971-72), სატელევიზიო ფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი (1979-87), თსთი სასცენარო ჯგუფის პედაგოგ-ხელმძღვანელი (1982-87, 1995-99). არის ავტორი წიგნებისა: „ზარმაცი თაგუნას ამბავი" (1971); „ვანო და ნიკო" (თარგმნილია და გამოქვეყნებული რუსულ, სომხურ, ჩეხურ, გერმანულ, უნგრულ და არაბულ ენებზე), 15 ფილმის ავტორი და თანაავტორი, მათ შორისაა „აპრილი", „ფიროსმანი", „ივანე კოტორაშვილის ამბავი", „ამაღლება", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „არასერიოზული კაცი", „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „ძნელი დასაწყისი", „გზა შინისაკენ", „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" და სხვ. არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

**ჰობი:** შინ ყოფნა.

**მისამართი:** *(ბინის) ტ.ტაბიძის I შესახვევი 36. თბილისი. ტელ: 29-03-92.*

**ვცდილობ ვიცხოვრო ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ცხოვრების წესით.**



**ლომერ ახვლედიანი** კინოოპერატორი, საქართველოს სახალხო არტისტი. რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1934 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: ოლიმპიადა წულუკიძე, ბიძინა ახვლედიანი; მეუღლე — ნანა ავალიშვილი (1937); შვილები: ნინო (1960), არჩილი (1964). დაამთავრა სპი გეოლოგიის ფაკ-ტი (1958), კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (მოსკოვი, 1975). სხვადასხვა დროს მუშაობდა ტელეფილმების სტუდიისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელ ოპერატორად (1957 წლიდან). გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: „ქვევრი", „სამკაული სატრფოსათვის", „მზე შემოდგომისა", „აურზაური სალხინეთში", „ნატვრის ხე", „სამანიშვილის დედინაცვალი", „მშობლიურო ჩემო მინავ!", „დონ-კიხოტი", „ბესამე", „ექსპრეს-ინფორმაცია", „თეთრი დღესასწაული", „რიჩარდის, მილორდის და შესანიშნავი სამოთხის ჩიტის შესახებ", „სამოთხის ვაშლი", „თვითმარქვიები", „ბებერი ჯაგლაგები" და სხვა; დოკუმენტური ფილმები: „დღესასწაული კონფოლანში", „სერვანტინო", „შექსპირის სამშობლოში". არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის და კინემატოგრაფისტთა კონფედერაციის წევრი. არის ლენინის პრემიების ლაურეატი, დაღესტნის ხელოვ-

ნების დამსახურებული მოღვანე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" (I ტ. 1997), კინოენციკლოპედიაში.
**ჰობი:** მუსიკა და სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 10ა. თბილისი 380059. (ბინის) ხორავას 22. თბილისი 380079. ტელ: 23-21-95.*
**საქმის სიყვარული, ნესიერება, კაცთმოყვარეობა.**



**მამია ახობაძე** საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი. დაიბადა სოფ. მინაბოგირაში (სამტრედიის რ-ნი) 1933 წ. 23 მაისს. მშობლები: ბაბილინა გეგეშიძე, აპოლონ ახობაძე; მეუღლე – ლიანა ლეჟავა (1937); შვილები: ქეთევანი (1958), გიორგი (1965). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1960). იყო თსუ პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1958-97), არის პროფესორი (1997 წლიდან); გორის სამხატვრო სკოლის პედაგოგი (1960-99); საქართველოს მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის ბიუროს, პროფკავშირების ბიუროს წევრი, ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა სექციის თავმჯდომარე, მხატვართა კავშირის მდივანი (1982 წლიდან). არის ავტორი ფერწერული ნამუშევრებისა "ნონა გაფრინდაშვილის პორტრეტი" (1962), "შორეული ნაოსნობის წინ" (1964), "სიმღერა საქართველოზე", პეიზაჟების სერიისა "საქართველო", შ.რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" ახალი ილუსტრაციებისა და სხვ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1984), დაჯილდოებულია იაპონიის საერთაშორისო გამოფენის ოქროს მედლით. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1961). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000), სსრკ მხატვართა კავშირის ბიოგრაფიულ ცნობარში, ახალ ქართულ ენციკლოპედიაში.
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 1/ყაზბეგის 4, თბილისი. (ბინის) წერეთლის 7, ბ.42. თბილისი. ტელ: 34-33-93.*
**სიმართლე, თანაგრძნობა, სამშობლოს სიყვარული.**



**მერაბ ახობაძე** უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სტუ პროფესორი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 30 ივლისს. მშობლები: თამარ ბაკურაძე, ნიკოლოზ ახობაძე; მეუღლე – რუსუდან ბულია (1953); შვილები: ნინო (1978), თამარი (1980). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1966), სსრკ მეცნ. აკად. მართვის პრობლემების ინ-ტის ასპირანტურა (1973). იყო სსრკ მეცნ. აკად. მართვის პრობლემების ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1973-75), ს/გ "ელექტროაპარატის" გამოთვლითი ცენტრის უფროსი (1975-79), სტუ ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის დოცენტი (1979-98), შპს "კოკა-კოლა – კავკასიონის" ეკონომიკისა და მარკეტინგის მენეჯერი (1994-96), საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს ანალიტიკური ცენტრის მეცნიერ-კონსულტანტი, საგადასახადო სამსახურის ანალიზისა და ინფორმაციის განყ-ბის კონსულტანტი (1996-97). არის სტუ იმიტაციური მოდელირებისა და სისტემების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "მაკროსისტემების მათემატიკური მოდელირება და მართვა" (1997). არის რამდენიმე წიგნის, მეთოდური მითითებისა და სამეცნიერო სტატიის ავტორი; ღირსების ორდენის კავალერი (1999), საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
**ჰობი:** საქართველოს სოფლებში, მთებში ყოფნა, ტყე-ღრეში ხეტიალი შვილებთან, ახალგაზრდებთან ერთად.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ.ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ/ფაქსი: 93-56-96. ელ-ფოსტა: Akhobadze@court.gov.ge (ბინის) ფანასკერტელის 19, ბ. 181, თბილისი. ტელ: 25-24-82.*
**უსახელო უფლისციხელის ზნეობრივი სიმაღლე.**



**მანანა ახმეტელი** მუსიკისმცოდნე, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1937 წ. 7 აპრილს. მშობლები: ქეთევან ჩუბინაშვილი, შალვა ახმეტელი; შვილი — გიორგი თოფურია (1961). დაამთავრა კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკ-ტი (1962). არის ჟურნალ „ხელოვნების" მუსიკისა და ქორეოგრაფიის განყოფილების გამგე (1965 წლიდან), იყო საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (1990-98). თავმჯდომარეა 1998 წლიდან. არის პრობლემური და კრიტიკული წერილების, ესეების, რეცენზიების, შემოქმედებითი პორტრეტების, დიალოგების, სატელევიზიო გადაცემების ავტორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი, მისი თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა კამერული ანსამბლების სულხან ცინცაძის სახელობის კონკურსს (2000). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" (I ტ.1997).

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 22. თბილისი, 380008. ტელ: 93-43-53.*

**ვცდილობ, ვიყო პრინციპული, ვიხელმძღვანელო მაღალი კრიტერიუმებით, ვიცხოვრო სულიერი ცხოვრებით, არ დავკარგო ჭეშმარიტი ფასეულობების აღქმისა და შემეცნების უნარი.**



**ჯემალ (სიმონ) აჯიაშვილი** პროფესორი, მწერალი, მთარგმნელი, საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სენაკში 1944 წ. 23 მარტს. მშობლები: მალქა მიხელაშვილი, დავით აჯიაშვილი; მეუღლე — მანანა აჯიაშვილი (1950); შვილები: დიმიტრი (1974), ლევანი (1978). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1967). იყო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სპარსული ენის თარჯიმანი (ირანი, 1968-71), საქართველოს კულტურის სამინისტროს მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი (1972-73), მწერალთა კავშირის მთავარი მთარგმნელობითი კოლეგიის უფროსი მეცნიერ-რედაქტორი (1974-90), თბილისის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების კათედრის გამგეა 1993 წლიდან, საქართველოს პარლამენტის წევრი — 1992 წლიდან. არის ავტორი წიგნებისა: „შუა საუკუნეების ებრაული პოეზია" (თარგმანები, წინასიტყვაობა, შენიშვნები 1979, 1998); მონძაემონ ჩიკამაცუ „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე" (1980, 1991)„შროშანი ღელეთა" (1993), „გამოიღვიძე ქნარო" (ისტორიული ესსე, 1992), მსოფლიო კლასიკური პოეზიის ნიმუშები, "ასე გამენდო უფალი ჩემი" (3 ტომად), "რჩეული თარგმანები" (სამტომეული) და სხვ. არის საქართველო-ისრაელის საპარლამენტო კომისიის თანათავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, პარიზის ქართულ-ევროპული ინ-ტის, ი.ჭავჭავაძის, ი.მაჩაბლის სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ისრაელში გამომავალი მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „დეგელის" პრემიის ლაურეატი (1995), ისრაელის პრეზიდენტის ღირსების სიგელის მფლობელი (1998); არის მსოფლიო ებრაული კონგრესის, მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის, ებრაულ სათვისტომოთა ევროპული საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში "საქართველო" (I ტ.1997), "რუსეთის ებრაელობის ენციკლოპედიაში", „მოკლე ებრაულ ენციკლოპედიაში" (იერუსალიმი).

**ჰობი:** მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ბარნოვის 19. თბილისი 380079. ტელ: 98-43-81.*

**მუდმივი სწრაფვა შემოქმედებითი სრულყოფისაკენ, შემოქმედებითი პრინციპების ერთგულება, ყოველგვარი კონიუნქტურის მიმართ გულგრილობა.**

# ბ



**თემურ ბაბლუანი** კინორეჟისორი, კინოსტუდია „ადამ და ევას" სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა სოფ. ჩოლურში (ლენტეხის რ-ნი) 1948 წელს. მშობლები: ნინო ყვანია, გელა ბაბლუანი; მეუღლე — ლიანა ბაბლუანი (1953); შვილები: ოლღა, გელა, სოფიკო, გიორგი, ლიანა. დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1979). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1979-91). არის რეჟისორი ფილმებისა: „ბეღურების გადაფრენა", „ძმა", „უძინართა მზე" დაჯილდოებულია საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზებით: კიევის (1980) საუკეთესო ფილმისათვის; ტალინის (1982) საუკეთესო დებიუტისათვის; ისრაელის (1990) საუკეთესო რეჟისურისათვის; სოჭის „კინოტავრის" გრან-პრი (1993), ფიპრესცის პრიზი; ბერლინის კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი"(1993); მოსკოვის ინტერფესტის მთავარი პრიზი (1994); რუსეთის კინოაკადემიის „ოქროს ნიკე" (1994); მოსკოვის კინოფესტივალ "Созвездие"-ს 5 პრიზი (1994), კინოფესტივალ „ოქროს არწივის" პრიზი (თბილისი, 1994).
**მისამართი:** *(სამსახურის) კინოსტუდია „ადამ და ევა", აღმაშენებლის 164. თბილისი 380012. ტელ: 94-13-31.*
**ყველაფერზე მაღლა ვაყენებ საქმეს.**



**ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი** რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 25 აგვისტოს. მშობლები: ლია მგელაძე, პეტრე გრუზინსკი; მეუღლე — ლეილა ყიფიანი (1947); შვილები: ანა (1976), მაია (1978). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის სამსახიობო (1971) და სარეჟისორო (1976) ფაკ-ტები. იყო ტელევიზიის (1975, 1980-84), კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი (1975-80, 1984-91), ხელოვნების აკადემიის პედაგოგი (1991-94), გრიბოედოვის თეატრის მთავარი რეჟისორი (1996-97), კინომსახიობთა თეატრის მთავარი რეჟისორი (1997-2001). არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: მ.ფერმოს „კარებს აჯახუნებენ", მ.მრევლიშვილის „ნამება დედოფლისა", ი.ჭავჭავაძის „განდეგილი", გ.დოჩანაშვილის „აღდგენითი სამუშაოები", დ.კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი", ე. დე ფილიპოს „ნეაპოლი — მილიონერთა ქალაქი"; სატელევიზიო დადგმები: გ.დოჩანაშვილის „იოჰან-სებასტიან ბახი", მ.არცენკიავიჩუსის „თქმულება იკაროსზე", ნ.დუმბაძის „ასტვაც ინჩუ ჰამარ", „მზეო" და სხვ. არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი.
**ჰობი:** თეატრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) კინომსახიობთა თეატრი. აღმაშენებლის 164. თბილისი, 380012. ტელ: 34-09-37. (ბინის) ი.აბაშიძის 39. თბილისი, 380079. ტელ: 22-23-83.*



**ჯანსუღ ბაგრატიონი** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1938 წ. 4 აპრილს. მშობლები: ქეთევან მგალობლიშვილი, ირაკლი (ჯანო) ბაგრატიონი; მეუღლე — მანანა მგალობლიშვილი (1944); შვილები: ნინო (1968), ეკატერინე (1972). დაამთავრა სპი (1963), საქართველოს სახ. ფიზიკური კულტურის ინ-ტი (1976). იყო სპი ფიზაღზრდის კათედრის გამგე (1973-84), თბილისის სპორტკომიტეტის თამჯდომარე (1984-87), საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1987-91, 1993-94), საქართველოს სპორტისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილე (1991-93), სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1994 წლიდან), სეოკის თავმჯდომარეა 1997 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი, ერთი მონოგრაფია. არის საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი,

თბილისის საერთაშორისო საქველმოქმედო კლუბ „პანატლონის" პრეზიდენტი, სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის (ინვალიდი ბავშვების) პრეზიდენტი, თბილისის საპატიო მოქალაქე (2000).
**ჰობი:** სიმღერა.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 65. თბილისი 380002. ტელ: 95-27-03. ფაქსი: 95-38-29. (ბინის) ჩიქოვანის 24ა. თბილისი 380071. ტელ: 93-89-24.*

**პოპულარობა, ალბათ, თავისით მოდის, მაგრამ არა უმიზეზოდ. ჩემი ცხოვრების უმეტესი პერიოდი ქართული სპორტის სამსახურში გავატარე. თუ როგორ გამოვიდა, ამის მსაჯული ხალხია. ჩემი ცხოვრების პატარა ნაწილი ქართულ ესტრადას დავუკავშირე. როგორ? ესეც ხალხის პრეროგატივაა. მთელი ცხოვრება მეგობრების სიყვარულში გამიტარებია. როგორ გამომდიოდა? ეს თვით მეგობრებმა განსაზღვრონ. ლუკმა მქონია, სხვისთვის გამიყვია. დამიფასდა? ალბათ, ტყუილად არ მიცხოვრია. ვცდილობ რაც შეიძლება მეტი სიკეთე ვთესო, ხელი გავუმართო გაჭირვებულებს. გამომდის? ბედნიერი ვარ. პოპულარობა კი... ალბათ, თავისით მოდის.**



**იასონ ბადრიძე** სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 26 იანვარს. მშობლები: ნათელა აფაქიძე, კონსტანტინე ბადრიძე; მეუღლე — მერი-ელენ ჩეტვინი (1944); შვილები: ნინო (1966), გიორგი (1968). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1967). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1968-76). არის ზოოლოგიის ინ-ტის ხერხემლიანების ქცევისა და ეკოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი (1976 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტყვეობაში გაზრდილ მსხვილ მტაცებელ ძუძუმწოვართა ბუნებაში რეინტროდუქცია. პრობლემა და მეთოდი" (1997). გამოქვეყნებული აქვს 45 სამეცნიერო ნაშრომი (2 მონოგრაფია: „Пищевое поведение волка (вопросы онтогенеза)" 1987; „Волк" (თანაავტორთან ერთად) 1985; სამეცნიერო-პოპულარული წიგნი „იცნობდეთ, მგელი" (1999). არის საქართველოს ტერიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1987), ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის სახეობათა გადარჩენის და დაცული ტერიტორიების კომისიების და რეინტროდუქციის სპეციალისტთა ჯგუფის წევრი.
**ჰობი:** ტურიზმი, ფოტოგრაფია.
**მისამართი:** *(სამსახურის) ზოოლოგიის ინ-ტი. ჭავჭავაძის 31. თბილისი, 380079. ტელ: 32-44-22. ელ-ფოსტა: nacres@access.sanet.ge. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 14, მე-3 კვ. მე-14 კორპ. ბ.97. ტელ: 32-57-48.*

**ერთგულება ხალხისა და საქმისა.**



**გიორგი (გიგა) ბათიაშვილი** არქიტექტორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის საფუძვლების კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1934 წ. 29 მარტს. მშობლები: ემა სხირტლაძე, ირაკლი ბათიაშვილი; მეუღლე — ლალი კეკელია; შვილები: ნინო (1959), ქეთევანი (1967). დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1958), ასპირანტურა (1966). იყო „თბილქალაქპროექტის"არქიტექტორი (1959 წლიდან), ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო ს/კ ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში და მთავარი მხატვარი (1973-78), ისტორიული თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაციის არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი (1978 წლიდან). მუშაობს თსსა არქიტექტურის ფაკ-ტზე (1968 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ ქალაქი და სატრანსპორტო პრობლემები" (მოსკოვი, 1967). არის ავტორი პრექტებისა: ისტორიული თბილისის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია — დეტალური დაგეგმარების პროექტი; ისტორიულ ზონაში განხრციელებული ობიექტები: შარდენის ქუჩის, რკინის რიგის, ბამბის რიგის, ლეინის აღმართის, დუტუ მეგრელის ქუჩის, რიონის სანაპიროს, ქარვასლების, ლესელიძის ქუჩის, ორბელიანთა უბნის რეკონსტრუქცია-რეგენერაცია; მეიდნის (გორგასლის მოედანი), ხარფუხის უბნის, ქეთევან წამებულის მოედნის, „კლდის უბნის", ბარათაშვილის აღმართის თავზე განაშენიანება-რეგენერაცი-

ის პროექტები; მეტროპოლიტენის სადგურ „სამასი არაგველის", თბილისის ფუნიკულიორის ქვედა სადგურის, იტალიის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა მემორიალის (ქ. არონა, იტალია), ასტრახანის მიძინების ტაძარში ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის მემორიალების, ფარავნის ტბასთან საპატრიარქო კომპლექსის, თავისუფლების მოედნის და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის (1992); სასტუმროსი ბარათაშვილის აღმართზე (1996); „თეთრი ქალაქის" კულტურულ-ეკონომიკური კომპლექსის (1976); „ველაბრის ბიზნეს კომპლექსის" (1997); რიყის ტერიტორიის დაგეგმარების კონცეფციის (1997); მეტეხის ხიდთან ისტორიული განაშენიანებების აღდგენისა და სხვათა პროექტები. ურბანისტიკის პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი. გამოფენები: თბილისი (1963, 1988), მოსკოვი (1980, 1981, 1984-85, 1989), ბრაიტონი (1987), ბერლინი (1988), დელი (1986), ბომბეი (1986), ჰანოი (1987), სოფია, საიგონი (1981), ლოს-ანჟელესი (1988), ვაშინგტონი (1988), სანკტ-პეტერბურგი (1968), პარიზი (1987) და სხვ. არის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1982), საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1984), სსრკ სახ. პრემიის ლაურეატი (1987), არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი (1991), არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი (1992), ევროპის კულტურის ასოციაციის საბჭოს წევრი (1992), საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ჯილდოს „სამკერდე ჯვრის" მფლობელი (1985), რუსეთის არქიტექტურისა და საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი - უცხოელი წევრი (1995), საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი - ნამდვილი წევრი (1996), თბილისის საპატიო მოქალაქე (1996), ამერიკულ-ქართული მეცნ. აკადემიისა და საქართველოს პედაგოგიურ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი - ნამდვილი წევრი (1997). იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი (1979-83), არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1983-91), დიზაინერთა კავშირის, სსრკ დიზაინერთა კავშირის, სსრკ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი (1987-91), სსრკ არქიტექტურის დარგში სამეცნიერო წოდებათა მიმნიჭებელი საბჭოს წევრი (1988-92), სსრკ არქიტექტურის სახ. კომიტეტთან არსებული სახელმწიფო არქიტექტურული საბჭოს წევრი (1988-92), თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი (1985-98), თბილისის საკრებულოს წევრი (1998). არის თბილისის მთავარი არქიტექტურული საბჭოს (1980 წლიდან), საქართველოს არქიტექტორთა კავშირის კოლეგიის (1991 წლიდან), თსსა სამეცნიერო საბჭოს (1985 წლიდან), თსსა სამეცნიერო წოდებათა მიმნიჭებელი საბჭოს (1995 წლიდან) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" (1997).
**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. ტელ: 93-69-51. (ბინის) თავისუფლების მოედანი 4ა. თბილისი 380008. ტელ: 33-56-91.*
**სჭირდებოდე ქვეყანას.**



**თამაზ ბათიაშვილი** მუსიკოსი, მევიოლინე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 18 მარტს. მშობლები: ალექსანდრა გულივერდაშვილი, ალექსი ბათიაშვილი; მეუღლე — თინათინ (მარიკა) ლორთქიფანიძე (1954); შვილები: გიორგი (1974), შოთა (1977), ლიზიკო (1979). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1963). იყო მუსიკალური სასწავლებლის ვიოლინოს მასწავლებელი (1959-70), სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის მევიოლინე (1966-70), თბილისის სახ. კონსერვატორიის მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1967-92), მოსკოვის სახ. ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე (1970-72). არის საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მევიოლინე (1992 წლიდან). ეწევა საკონცერტო მოღვაწეობას საქართველოსა და მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს საკონცერტო დარბაზებში (1963 წლიდან). არის ზ.ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი.
**ჰობი:** ბუნების წიაღში განმარტოებით ყოფნა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) Hoheschul str 4, Ingolstadt 85049, BRD. (ბინის) ლაღიძის 6. თბილისი. ტელ.: 99-00-56.*



**ირაკლი ბათიაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა 1961 წ. 8 ივლისს. მშობლები: ირინე კუჭუხიძე, დიმიტრი ბათიაშვილი, მეუღლე — მარიამ ბათიაშვილი-ფანჩულიძე (1969); შვილები: ნუცა (1982), ირინა (1990). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1983). იყო ფილოსოფიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1984-90), საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), საქართველოს საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის თავმჯდომარე (1992-93), პრობლემური სიტუაციის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი (1994-95). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა: „პიროვნება და შინაგანი დრო", „პერსონა და კითხვის ფილოსოფიური დასმა", „მანკიერი წრე", „ათვლის წერტილი" და სხვ. არის „საქართველოს ნეოკონსერვატორული კავშირის" („მოძრაობა ქართული სახელმწიფოსათვის") დამფუძნებელი და თავმჯდომარე.
**ჰობი:** ფეხბურთი, ცურვა, ბილიარდი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-98-84. (ბინის) ჭავჭავაძის 11, ბ.28. თბილისი 380079. ტელ: 22-35-92.*

**პიროვნების თავისუფლებიდან და სამოქალაქო საზოგადოებიდან — სახელმწიფოს ძლიერებისკენ.**



**არმენ ბაიანდურიანი** თბილისის სომხური დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა სოფ. დაღეთში (თეთრიწყაროს რ-ნი) 1953 წ. 12 სექტემბერს. მშობლები: აშხენ შატვირიანი, სერგო ბაიანდურიანი; მეუღლე — ლეილა მიკირჩიანი (1961); შვილი — ნარექი (1982). დაამთავრა ერევნის სახ. უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკ-ტი და ერევნის თეატრალური ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი. იყო ერევნის თეატრის მსახიობი (1974-90), ერევნის თეატრ-სტუდია „ავლაბრის" ხელმძღვანელი (1992-93). თბილისის სომხური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია 1993 წლიდან. არის 5 პიესის ავტორი, მონაწილეობდა ფილმში „შვიდკაცა" (რეჟ. სოსო ჩხაიძე). დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით (1998), ერევნის თეატრალური ინ-ტის ჯილდოთი „ოქროს ნიღაბი" (1999), „მოვსეს ხორენაცის" მედლით (1999). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და საბჭოს წევრი (1997).
**ჰობი:** პოეზია.
**მისამართი:** *(სამსახურის) ქეთევან წამებულის 8. თბილისი 380003. ტელ: 74-62-95. (ბინის) ქიქოძის 13. თბილისი 380008. ტელ: 93-19-17.*

**ვიყო მართალი და არასოდეს მოვიტყუო და თეთრს ვუთხრა თეთრი და წითელს წითელი.**



**ვან ბაიბურთი** საქართველოს პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 11 ივლისს. მშობლები: არაკსია ბაიბურთი, ვაღარშაკ ბაიბურთი; მეუღლე — ირინე ვართანოვა (1944); შვილები: იგორი (1966), გრიგორი (1978). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1966). იყო გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტი" (1961-62), „მოლოდიოჟ გრუზიი" (1962-64), „კომსომოლსკაია პრავდა" (1965-67) კორესპონდენტი, „სოვეტსკი სპორტის" საკუთარი კორესპონდენტი სომხეთში (1967-75), „საქინფორმის" საზოგადოებრივ-პოლიტიკური განყოფილების რედაქტორი (1975-78), მოსკოვის ახალი ამბების სააგენტოს საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში (1978-86), გაზეთ „ვრასტანის" მთავარი რედაქტორი (1986-2000). დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1996). არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1974), იყო ამავე ფედერაციის მდივანი (1988-90), გამგეობის წევრი; არის საქართველოს სომეხთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.
**ჰობი:** ისტორია, მხატვრული ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი, 380018. ტელ: 99-89-18, 92-05-47, 93-22-061, 99-69-05. (ბინის) მიცკევიჩის 25, ბ. 52. თბილისი.*

**არაფერი გაუკეთო ისეთი სხვას, რომ იმის ადგილზე შენც არ მოგეწონებოდა.**

**ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲫᲔ** კომპოზიტორი. დაიბადა ქუთაისში 1943 წ. 17 აპრილს. მშობლები: მარიამ ჭეიშვილი, თედორე ბაკურაძე. დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1967). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" კომპოზიტორი (სახელშეკრულებო საწყისებზე 1968 წლიდან). არის ავტორი ნაწარმოებებისა: სცენიური: „პრელუდიუმი", ჰეპენინგი სოლისტების, სიმფონიური ორკესტრისა და მაგნიტური ფირისათვის 2 მოქმედებად: „ხმაურებიდან გალობამდე", „მცირე წრე" (ტექსტი ვაჟა-ფშაველასი, 1974), ვოკალურ-ინსტრუმენტული: „ლირიკული სტროფები", კანტატა, სოლისტების, მამაკაცთა კამერული გუნდისა და ინსტრუმენტული ანსამბლისათვის — „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით (1963); „ჯონ რიდი", ორატორია სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (ტექსტი გ. ტაბიძისა 1970); სიმფონია-კანტატა გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის — „გალობანი სინანულისანის" მიხედვით (1971). კამერული: სექსტეტი კლარნეტის, დასარტყამი ინსტრუმენტებისა და სიმებიანი კვარტეტისათვის (1963), დიალოგები კლარნეტის, ფაგოტისა და ვიოლონჩელისათვის (1968), სიმებიანი კვარტეტი „ფშაური ნატირლები" ორი წიგნი კვარტეტისათვის — გ.ტაბიძის მიხედვით (1970), „მწუხრი" სიმებიანი ორკესტრისათვის (1978); ორი წიგნი კვინტეტისათვის (საფორტეპიანო) — IX ს. უცნობი ქართველი ავტორისა და ეკლესიასტეს წიგნის (XI, 9) მიხედვით (1992). არის კომპოზიტორი კინოფილმებისა: „იყო შაშვი მგალობელი", „პასტორალი" (რეჟ. ო.იოსელიანი), „ქალაქი ანარა", „მოცურავე" (რეჟ. ი.კვირიკაძე), „უბედურება" (რეჟ. გ.კანდელაკი); სპექტაკლებისა: „ოიდიპოს მეფე (რეჟ. თ.ჩხეიძე), „კორიოლანოსი" (რეჟ. გ.ქავთარაძე), „რიჩარდ III" (რეჟ. ა.ქანთარია), ტელეფილმებისა: „დაუვიწყარი დღე", „ავთო ვარაზი" არის რესპუბლიკური (1963, 1967, 1969), საკავშირო (1968) პრემიების ლაურეატი, საერთაშორისო კინოფესტივალის „ოქროს არწივის" ლაურეატი მუსიკის ნომინაციით (1992); საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი.
**მისამართი:** *(ბინის) სანქტ-პეტერბურგის 3. თბილისი 380012..*



**ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲫᲔ** აჭარის არ ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი. დაიბადა ბათუმში 1955 წ. 2 მარტს. მშობლები: ჰურიე ჯაფარიძე, ლევან ბაკურიძე; მეუღლე – ნერვისტან ლორთქიფანიძე (1957); შვილები: ნონა (1981), ლევანი (1985), თამარი (1986). დაამთავრა ბათუმის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგიისა (1980) და იურიდიული (1998) ფაკ-ტები. იყო სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე (1974-89), კერძო კომერსანტი, ფირმის პრეზიდენტი (1989-97), ბათუმის ვიცე-მერი (1997-99), უფროსი ვიცე-მერი (1999), მერის მ.შ. (1999-2000), აჭარის არ ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრია 2000 წლიდან. არის სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის წევრი, აჭარის სპორტული ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი.
**ჰობი:** ნადირობა, სპორტი, მხატვრული და ისტორიული ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მელაშვილის 26, ბათუმი. ტელ: 99-52-22, 7-35-63. ფაქსი: 99-52-22, 7-35-60. ელ-ფოსტა:* trade@basri.net

**ჩემი სამშობლოს, მისი ძირძველი კუთხის აჭარის, ჩემი ხალხის, მეგობრებისა და ახლობლების კეთილდღეობა და მართალი ცხოვრების წესი. ყველა წარმატება და სიკეთე იყო, არის და იქნება ჩემი ცხოვრების კრედო.**



**ᲑᲔᲜᲔᲓᲘᲙᲢᲔ ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲫᲔ** გეოფიზიკოსი, გეოფიზიკის ინ-ტის დირექტორის მრჩეველი, პროფესორი, აკადემიკოსი. დაიბადა სოფ. ლანირში (სამტრედიის რ-ნი) 1909 წ. 12 ივნისს. მშობლები: სოფიო ჩიმაკაძე, კონსტანტინე ბალავაძე; მეუღლე — დინარა ნაკაშიძე (1921); შვილები: მიხეილი (1946), მარინე (1951). დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1931). იყო საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წევრი (1930-31), გეოფიზიკის ობსერვატორიის ადიუნქტი (1931-32), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი (1933-34), გეოფიზიკის ინ-ტის განყოფილების გამგე (1934-39), სწავლული მდივანი (1938-39), ფიზიკის და გეოფიზიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1943-50), დირექტორი (1950-53),

სსრკ მეცნ. აკად. დოქტორანტი (1953-55), გეოფიზიკის ინ-ტის განყოფილების გამგე (1955-72), დირექტორი (1972-87), თსუ ფიზიკის ფაკ-ტის დოცენტი (1938-57), კათედრის გამგე (1968-91). არის თსუ პროფესორი (1957 წლიდან), გეოფიზიკის ინ-ტის დირექტორის მრჩეველი (1987 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გრავიტაციული ველი და დედამიწის ქერქის აგებულება საქართველოში" (1955). არის 4 მონოგრაფიის ავტორი (3 შესრულებულია თანაავტორთან ერთად); საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996). დაჯილდოებულია მედლებით: „შრომითი მამაცობისთვის" (1946), „შრომითი წარჩინებისთვის" (1966), „კავკასიის დაცვისთვის" (1945), „დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისათვის" (1985), „შრომის ვეტერანის" (1985), ო.შმიდტის (1979), ივ.ჯავახიშვილის (1988), ს.კოროლიოვის (1988), ნ.პოლიუგინის (1991), ა.ნადირაძის (1994) სახელობის მედლებით, ღირსების ორდენით (1996). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (თბილისი, 1977), ბიბლიოგრაფიულ ცნობარში „Геологи, географы" (1985).

**ჰობი:** მებაღეობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გეოფიზიკის ინსტიტუტი. ალექსიძის 1. თბილისი, 380093. ტელ: 33-54-80; თსუ. ჭავჭავაძის 3. თბილისი, 380028. (ბინის) ჭავჭავაძის 2/2. ბ. 19. თბილისი, 380079. ტელ: 22-47-86. ელ.ფოსტა: geophys@hepi.edu.ge.*

**ბავშვობაში შთამაგონეს შინ და სკოლაში — ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტისას მეხელმძღვანელა პრინციპით: „წინ გონება გაუშვი, უკან გრძნობა მიაყოლე". ამ პრინციპისათვის არასოდეს მიღალატია და შედეგიც მუდამ სასურველი მქონდა. მეორე პრინციპი: მტერი ვის არ ყოლია, არც მე ვარ უმტერო. გულწრფელად ვიტყვი, რომ არასოდეს მისარგებლია ჩემი უპირატესობით მტრისთვის სამაგიერო გადამეხადა. პირიქით, თუ ეს გაუგებარი არ არის, მხოლოდ კეთილად ვექცეოდი ან არაფრად ჩამიგდია მისი მტრობა. ამ პრინციპმაც წარმატება მომიტანა ცხოვრებაში. ამგვარად კინკლაობისგან განთავისუფლებული მთელ დროს ჩემი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ვიყენებდი და ცოტა როდი მოვასწარი.**



**ჯარჯი ბალანჩივაძე** პიანისტი, საქართველოს კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: პანნა ჯიბლაძე, ანდრია ბალანჩივაძე; მეუღლე — ქეთინო მაჭავარიანი (1955); შვილი — ანტონი (1978). დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორია (1964). იყო თბილისის სახ.კონსერვატორიის პედაგოგი, თსუ ლექტორი (1972-76). არის ა/კ მუსიკოს-შემსრულებელთა I კონკურსის ლაურეატი, ფილარმონიის სოლისტი; საქართველოს კულტურის სამინისტროს I პრემიის ორგზის ლაურეატი კომპოზიციაში; გამართული აქვს მრავალი სოლო კონცერტი, სურათების გამოფენები თბილისში, სომხეთში, გერმანისა და ჰოლანდიაში; მუსიკალურად გააფორმა სპექტაკლები თბილისსა და გერმანიაში. დაჯილდოებულია „ლისტის მედლით" (უნგრეთი, 1991), არის რადეფორვალდის საპატიო მოქალაქე (1996).

**ჰობი:** ხატვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 8. თბილისი, 380012. (ბინის) ყაზბეგის 20ა, ბ. 27. თბილისი. ტელ: 39-31-34.*

**არ მიყვე დროით განპირობებულ ტემპს. ამას გვასწავლის მუსიკა: მელოდია კარნახობს ტემპს.**

**დურსუნ ბალაძე** მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბათუმის სახ. უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა ქობულეთში 1930 წ. 14 თებერვალს. მშობლები: მარიამ რომანაძე, ოსმან ბალაძე; მეუღლე — ეთერ კირჩხელი-ბალაძე; შვილი — ემზარი (1961). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1956). იყო თსუ მათემატიკის კათედრის ასისტენტი (1959-65), ზოგადი მათემატიკის კათედრის დოცენტი (1965-72), პროფესორი (1972-78), ბათუმის პედაგოგიური ინ-ტის რექტორი (1978-91). ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის გამგეა 1991 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე:



„სტინროდის განზოგადებული ჰომოლოგიის ჯგუფები" (1971). ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა: „Исследования по теории гомологии" (1984), „О группах гомологии и когомологии над парой групп коэффициентов" (1960), „Parametric canonical homology and cohomology groups over pairs of copresheaves and presheares, respectively" (1983) და სხვ. იყო აჭარის არ უზენაესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1980-90). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედია „საქართველოს" I ტომში (1997), ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის გამოცემებში: Five Hundred Leaders of Influence (1998) და The International Directory of Distinguished Leadership (1998). მიღებული აქვს ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის ღირსების მედალი (1998).
**მისამართი:** *(სამსახურის) ნინოშვილი 35. ბათუმი, 384516. ტელ: 7-17-98. (ბინის) ეაჟა-ფშაველას 7, ბ. 14. ბათუმი, 384500. ტელ: 7-04-40.*
**სამართლიანობა**

**რევაზ ბანცური** მათემატიკოსი, მექანიკოსი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა სოფ. ბანცურებში (დუშეთის რ-ნი) 1936 წ. 10 ივნისს. მშობლები: თამარ ნიკლაური, დავით ბანცური; მეუღლე — ნათელა ხამარიტაშვილი (1945); შვილები: დავითი (1966), ქეთევანი (1969). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1960). იყო მათემატიკის ინ-ტის უფროსი ტექნიკოსი (1960-62), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1962-69), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1969-83). განყოფილების გამგეა 1983 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დრეკადობის ბრტყელი თეორიის საკონტაქტო ამოცანები და მათთან დაკავშირებულ ფუნქციათა თეორიის სასაზღვრო ამოცანები" (1981). არის 30 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ბიოგრაფია შეტანილია წიგნში „მათემატიკისა და მექანიკის ისტორია" (კიევი. 1998).
**მისამართი:** *(სამსახურის) ალექსიძის 1. თბილისი, 380093. ტელ: 39-49-51. (ბინის) ნუცუბიძის პლატო, III მ/რ, II კვ. IX კორპ. ბ. 52. თბილისი.*

**ბიძინა ბარათაშვილი** საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, სპორტული ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 16 აგვისტოს. მშობლები: მედეა ძიძიგური, გივი ბარათაშვილი; მეუღლე — ნანა გუგუშვილი (1964); შვილი — ელენე (1987). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (სპეციალობა — ხელოვნებათმცოდნეობა) (1983). იყო თსუ ისტორიის ფაკ-ტის უფროსი მასწავლებელი (1987-95), გაზეთ „8 1/2"-ის მთავარი რედაქტორი (1991-97), ტელეკომპანია „იბერვიზიის" სპორტული და კინოპროგრამების მთავარი რედაქტორი (1992-94), ტელეკომპანია „მეორე არხის" შემეცნებით-გასართობი პროგრამების რედაქციის მთავარი რედაქტორი (1995-99), გაზეთ „საქართველოს სპორტის" მთავარი რედაქტორი (1997-98), სპორტის სახ. დეპარტამენტის პრეს-ცენტრის უფროსი (1997-98), „ახალი ქართული გაზეთის" სპორტული განყოფილების მთავარი რედაქტორი (1998). საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილეა 2000 წლიდან. არის ავტორი ტელეგადაცემებისა: „8 1/2", „გოლი". არის ტელეფესტივალ „მანას" გამარჯვებული (1994, 96), ჟურნალისტთა კავშირის (1987), სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი (1991).
**ჰობი:** მუსიკა, ხელოვნება.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 37, თბილისი 380008. ტელ: 98-79-26. (ბინის) ქუჩიშვილის 9. ბ. 27. თბილისი, 380009. ტელ: 22-71-73, 22-05-91.*

**არასოდეს მიღალატია მეგობრისთვის, ეცდილობდი დავეხმარებოდი კოლეგებს. არ ვარ შურიანი, თუმცა ძალიან მიყვარს ჯანსაღი კონკურენცია. მუდმივად ეცდილობ ავიმაღლო პროფესიული დონე და გავიფართოვო ზოგადი განათლება. არასოდეს ვკიდებ ხელს იმ საქმეს, სადაც პროფესიული მომზადება მაკლია და პირიქით, მიყვარს რისკი იქ, სადაც წარმატების შანსი მაქვს. მიყვარს ახალი წამოწყებები. მიჭირს ერთი საქმის გაუთავებლად კეთება.**



**ილია ბარათაშვილი** მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა სოფ. სიმონეთში 1933წ. 27 ივლისს. მშობლები: ვერა ნიკოლაძე, ბიძინა ბარათაშვილი; მეუღლე — მანანა კანდელაკი (1940); შვილები: ინა (1967), ლია (1969). დაამთავრა სპი მეტალურგიის ფაკ-ტი (1956). იყო რუსთავის ს/ი „ავტომატმრეწვის" ინჟინერი (1956-57), მეტალურგიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1957-64), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1964-80), ლაბორატორიის გამგე (1980-89), დირექტორის მოადგილე (1989-91). დირექტორია 1991 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მანგანუმის და მანგანუმიანი შენადნობების რაფინირების სამეცნიერო საფუძვლების და სამრეწველო ტექნოლოგიის დამუშავება" (1985). არის 108 სამეცნიერო სტატიის, 3 მონოგრაფიის და 6 გამოგონების ავტორი. მიღებული აქვს გ.ნიკოლაძის (1984), პ.მელიქიშვილის (1990), საქართველოს სახელმწიფო პრემია (1993).
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მეტალურგიის ინსტიტუტი. ყაზბეგის 15. თბილისი 380113. ტელ: 37-02-67. (ბინის) ფალიაშვილის 72. ბ. 39. თბილისი, 380079.*



**გიორგი ბარამიძე** საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი და ბალტიისპირეთის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1968 წ. 5 იანვარს. მშობლები: ნარგიზა თოიძე, აივენგო ბარამიძე; მეუღლე — ეკა ჯაფარიძე (1964); შვილი — ანა (1999). დაამთავრა სპი ქიმიური ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1992), ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკ-ტი (1998-99), სწავლობდა ევროპის უსაფრთხოების საკითხთა და თავდაცვითი ეკონომიკის ცენტრში (გერმანია, NATO, 1995). იყო საქართველოს მწვანეთა აღმასრულებელი მდივანი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორის ურთიერთობათა სახ. კომიტეტის სამმართველოს უფროსი (1992), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95, 1995-99), პარლამენტის ფრაქცია სმკ-ს და კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე (1995-98). არის საქართველოს მწვანეთა მოძრაობის, სმკ-ის წევრი; საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი.
**ჰობი:** ლიტერატურა, სპორტი, მუსიკა, ტურიზმი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) უზნაძის 6. თბილისი. ტელ: 95-76-94.*

**პატიოსნება, სიკეთე, ზნეობრიობა, სიყვარული, პრინციპულობა, ერთგულება, რეალიზმი, ოპტიმიზმი, მიზანსწრაფვა, მაქსიმალიზმი, დაუკმაყოფილებლობა გაკეთებული საქმით, მიმტევებლობა — ეს ის პრინციპებია, რომლითაც ვცდილობ ვიხელმძღვანელო და მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ, ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებულ სახელმწიფოდ. ჩემი აზრით, საქართველოში ნიჭიერი ხალხი ცხოვრობს და თუ ჩვენ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დაცვით მოვახერხებთ მოქმედებას, მაშინ საქართველოს ხალხი და სახელმწიფო მიაღწევს სასურველ კეთილდღეობას.**



**გრიგოლ ბარამიძე** საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 4 იანვარს. მშობლები: ცისანა გოგიჩაიშვილი, რევაზ ბარამიძე; მეუღლე — ლელა თამარაშვილი (1969); შვილი — ცისია (1993). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი არმენოლოგიის სპეციალობით (1982), ლიტერატურის ინ-ტის ასპირანტურა (1988). იყო თსუ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის არმენოლოგიის კათედრის ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1985-92), თბილისის ქალაქკომის და საქართველოს კომკავშირის ცკ-ს I მდივანი, საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე (1993-96), თსუ მეცნიერ-თანამშრო-

მელი (1992 წლიდან), საქართველოს სახელმწიფო მეთაურის სახელმწიფო მრჩევე-ლი (1994-95), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთში (1995-98). საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულია 1995 წლიდან. არის 120 სამეცნიე-რო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიის ავტორი. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: "შუა საუკუნეების სომხურ-ქართული ურთიერთობები", "ქართული ლიტერა-ტურათმცოდნეობითი მცირე ანთოლოგია" არის მრავალი საერთაშორისო სამეც-ნიერო კონფერენციის გამარჯვებული, მსოფლიოს ახალგაზრდა ორიენტალისტთა ასოციაციის წევრი, სპორტის ოსტატი ცურვაში.

**ჰობი:** წიგნების კითხვა, სპორტი, მუსიკა, ცხოველები.

**მისამართი:** *(სამსახურის) თამარ მეფის 11, ახალციხე. ტელ: 99-67-49.*

**პრინციპულობა, სამართლიანობა, სიკეთე, სახელმწიფოს წელმაგარობა.**



**მალხაზ ბარამიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ისტორიკოს-არქეოლ-ოგი, აფხაზეთის არ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 18 მარტს. მშობლები: ქეთევან მუჯირი, ბენედიქტე ბარამიძე; მეუღლე — გურანდუხტ ფხაკაძე (1938); შვილი — ირაკლი (1963). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1958). იყო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის ლაბორანტი (1958-61), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961-66), უფროსი მეც-ნიერ-თანამშრომელი (1966), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი (1975), წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, სექტორის გამგე (1991-92).საქართველოს პარ-ლამენტის წევრია 1993 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შიდა ქართლი გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანაში" (1966), სადოქტორო — „აღმო-სავლეთ შავიზღვისპირეთის ძვ.წ. III-I ათასწლეულების ისტორიის ძირითადი პრობ-ლემები" (1998). არის 100-მდე სამეცნიერო სტატიის (ქართულ და უცხო ენებზე) და ერთი მონოგრაფიის („მერხეულის სამაროვანი", 1977) ავტორი. არის საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრი (1993 წლიდან), აფხაზეთის არ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1995 წლიდან).

**ჰობი:** კალათბურთი, ჭადრაკი, ფეხბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-07-94, ფაქსი: 92-32-82. (ბინის) ხოშტარიას 3. თბილისი 380008. ტელ: 99-85-30.*

**შრომის სიყვარული, პატიოსნება, საქმისადმი პროფესიული მიდგომა, საქართვე-ლოს უძველესი ისტორიის პერიოდებისადმი ინტერესი, არქეოლოგიური ობიექტე-ბის გამოვლენა, გათხრა და მეცნიერული შესწავლა. მიზანი — საქართველოს სრუ-ლი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის აღდ-გენისათვის.**



**ლევან ბარდაველიძე** თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლე. დაიბადა სოფ. ბარდუბანში (თერჯ-ოლის რ-ნი) 1967 წ. 23 ივნისს. მშობლები: თინათინ ბარდაველიძე, ზურაბ ბარდავე-ლიძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1995). იყო საქართველოს პარლამენტ-ის აპარატის წამყვანი და მთავარი სპეციალისტი (1993-97), შპს "სისტემა სოლო +"-ის იურისტი (1997-2000). თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლეა 2000 წლიდან.

**ჰობი:** ლიტერატურა, თანამედროვე მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბი-ლისი 380059. ტელ: 53-09-14, ფაქსი: 53-09-32.*

**კეთილსინდისიერება, შრომის სიყვარული, სამართლიანობა, პასუხისმგებლობის გრძნობა დაკისრებული მოვალეობებისადმი.**

**ალექსანდრე ბასილაია** კომპოზიტორი, თბილისის სახელმწიფო საკონცერ-ტო დარბაზის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 11 მარტს. მშობლები: ზოია ხოშტარია, ალექსანდრე ბასილაია; მეუღლე —



ლუიზა კობალაძე (1940); შვილი — ანდრო (ანრი) ბასილაია (1960). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1967). იყო ფილარმონიის აკომპანიატორი (1963-68). ანსამბლ „ივერიის" ხელმძღვანელია 1968 წლიდან, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი — 1990 წლიდან. დაწერილი აქვს 5 მიუზიკლი („ჩხიკვთა ქორწილი", „არგონავტები", „თოვლის ბებოს ზღაპარი", „ფიროსმანი", „Шлягер, шлягер") და მრავალი საესტრადო სიმღერა. არის საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" (თბილისი, 1977).
**ჰობი:** ფეხბურთი, კალათბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) მელიქიშვილის 1. თბილისი, 380009. ტელ: 98-32-27. (ბინის) საირმის ქ. VIII კორპ. ბ. 13. თბილისი, 380042.*
**სიყვარული, სიკეთე და სილამაზე და, რა თქმა უნდა, მიმტევებლობა.**



**ფრიდონ ბასილაია** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. საყულიაში (წყალტუბოს რ-ნი) 1959 წ. 23 მაისს. მშობლები: ლენა ნუცუბიძე, ალექსანდრე ბასილაია; მეუღლე – ირმა ტუკვაძე (1972); შვილი – თორნიკე (2000). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1992). იყო თბილისის ქარხანა "მიონის" ზეინკალ-ამწყობი (1979-82), ქუთაისის ადვოკატურის ადვოკატი (1992-99), ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტის პედაგოგი, იურისკონსულტი, აბაშის ჰუმანიტარული და სამართლის ინ-ტის პედაგოგი (1994-99). არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა "ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში" (1995), "სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი" (1996), "დანაშაულის განვითარების სტადიები" (1996), "სახელმწიფო სამართლის საკითხები" (1996), "სამოქალაქო სამართალი" (1996). არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი (1992 წლიდან).
**ჰობი:** წიგნების კითხვა.
**მისამართი:** *(ბინის) გამსახურდიას 5/3, ქუთაისი. ტელ: 2-08-13.*



**თემურ ბასილია** საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში. დაიბადა სოფ. ჩაისუბანში (ჩოხატაურის რ-ნი) 1957 წ. 10 მარტს. მშობლები: ცუცა ბასილია, ტარიელ ბასილია; მეუღლე — მერი გუგუშვილი (1959); შვილები: ალექსანდრე (1978), გივი (1986). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი. იყო ს/გ „ელექტროხელსაწყოს" ინჟინერ-ეკონომისტი, ბიუროს უფროსი (1979-84), თბილისის საქარხნო რ-ნის ალმასკომის დარგთაშორის ტერიტორიული გაერთიანების სექტორის გამგე, უფროსის მოადგილე (1984-86), საავეჯო დეტალების კომბინატის დირექტორის მოადგილე (1986-89), სამრეწველო გაერთიანება „განთიადის" მთავარი ეკონომისტის მოადგილე (1989-91), საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (1992-94), საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე (1994-95). საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეა 1996 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) სახელმწიფო კანცელარია. ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ: 99-97-57.*



**ნინო ბასილია** ჟურნალ „იმიჯის" რედაქტორ-გამომცემელი, მწერალი. დაიბადა ფოთში 1962 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: ნანული უგულავა, რევაზ ბასილია; შვილი — გიორგი ხაფავა (1981). დაამთავრა სახ. პედაგოგიური ინ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1983), ბიზნესის სკოლა თბილისში, ავსტრიასა და უნგრეთში (1986). იყო თავისუფალი ჟურნალისტი, საგარეო საქმეთა მინისტრის რეფერენტი (1984-85), ერთობლივი საწარმოს მენეჯერის თანაშემწე (ლოს-ანჟელესი, აშშ, 1991), ფირმა „არკივ"-ის საგარეო განყოფილების გამგე (ისრაელი, 1992-93). ჟურნალ „იმიჯის" რედაქტორ-გამომცემელია 1996 წლიდან. არის ავტორი დოკუმენტური ფილმებისა: „ისრაელი" (1995), „საფრანგეთი" (1997), მოთხრობების კრებულისა: „სამკუთხედი"

(1999), რომანებისა: „შიში" (2000), „ქარავანს მოწყვეტილი" (2000), „კუზი" (2001).
**ჰობი:** ფილმების გადაღება.

**არ გათამამდეთ მიღწეული წარმატებებით, ნუ იქნებით მეშჩანები და ამბიციურნი, სიყვარულს სიყვარულითვე უპასუხეთ, ვიცოდეთ ავ-კარგი და გავარჩიოთ ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი ადამიანები მოღალატეებისგან; ფული იმისთვის გვინდოდეს — გვერდით მდგომი დავინდოთ და ხელი გავუწოდოთ, მოვექცეთ ყველას ისე, როგორც გვსურს მოგვექცნენ ჩვენ, პატივი ვცეთ დიდ მოაზროვნეებს და გვახსოვდეს — ღმერთი დაგვიფარავს.**



**რამიზ ბაქიროვი** საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა სოფ. ქვემო ბოლნისში (ბოლნისის რ-ნი) 1956 წ. 9 ივლისს. მშობლები: სულთან ბაქიროვი, ალი ბაქიროვი; მეუღლე — გუნაშ ბაქიროვი (1964); შვილები: ჟალა (1982), აფიზი (1983), ეკანა (1986). დაამთავრა ბაქოს პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1977). იყო ქვემო ბოლნისის საშუალო სკოლის მასწავლებელი (1979-80), კომკავშირის კომიტეტის მდივანი, საქართველოს ალკკ ბოლნისის რაიკომის მდივანი, მეორე მდივანი (1980-89), მეურნეობის დირექტორის მოადგილე (1989-91), ქვემო ბოლნისის საკრებულოს მდივანი (1991-94), პარლამენტის წევრი (1995-99). იყო მწვანეთა მოძრაობის წევრი (1991-93). მოქალაქეთა კავშირის წევრია 1993 წლიდან.
**ჰობი:** ბუნება, ხალხური მუსიკა, მეგობრებთან შეხვედრა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი, 380018. (ბინის) ბოლნისის რ-ნი, სოფ. ქვემო ბოლნისი. ტელ: 2-26-00.*

**პრინციპულობა, ერთგულება, ბოლომდე ბრძოლა საქართველოს კეთილდღეობისათვის. ახლო მომავალში ჩვენი სამშობლოს მაღალგანვითარებულ და ცივილიზებულ ქვეყნად ხილვა.**



**აკაკი ბაქრაძე** ისან-სამგორის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა 1949 წ. 15 აპრილს. მშობლები: ნათელა ავალიანი, პიმენ ბაქრაძე; მეუღლე – მანანა საჯაია (1956); შვილები: ანა (1987), ნუგზარი (1989). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1976). იყო თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის მუშა (1966-71), იუსტიციის სამინისტროს კვალიფიკაციის ამაღლების კურსების კომენდანტი (1971-74), ჟურნალ "საბჭოთა სამართლის" ტექნიკური რედაქტორი (1974-76), იუსტიციის სამინისტროს საგამომცემლო ჯგუფის რედაქტორი (1976-80), ყაზბეგის რ-ნის (1980-87), თბილისის ჩუღურეთის რ-ნის (1987-91), თბილისის საქალაქო სასამართლოს (1991-95) მოსამართლე, საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი (1995-99). თბილისის ისან-სამგორის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** მუსიკა, წიგნი, ნადირობა, თევზაობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ქეთევან წამებულის 65ა, თბილისი. ტელ: 99-67-26.*

**საქმისადმი ერთგულება, პატიოსნება, სიმართლე, ხალხისადმი პატივისცემა.**



**რომან ბაქრაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ქეთევან ლეჟავა, ევგენი ბაქრაძე; მეუღლე – ნინო ჩიხლაძე (1948); შვილი – ალექსანდრე (1974). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1962), მოსკოვის კომუნალური მეურნეობის აკადემიის ასპირანტურა (1970). მუშაობდა თბილქალაქპროექტში (1962-65), იყო "საქსოფლწყალმომარაგების" სამმართველოს უფროსი (1970-81), "მონტაჟთერმონაკეთობის" სამმართველოს უფროსი (1981-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1999).
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-20-77. (ბინის) ფალიაშვილის 27/29, თბილისი 380062. ტელ: 22-35-90.*

**კეთილსინდისიერება.**



**ნანა ბაღაშვილი** რკინიგზელთა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული მუშაკი. დაიბადა სოფ. გლოლაში (ონის რ-ნი) 1949 წ. 15 იანვარს. მშობლები: სარა ბაკურაძე, გიორგი ბაღაშვილი; მეუღლე — გივი ყამბეგაშვილი (1948); შვილები: მირიანი (1970), მირანდა (1971). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტი (1970), თსუ (1979). იყო მეფრინველეობის ფაბრიკის ფიზ. მეთოდისტი (1970-72), სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" მწვრთნელი (1972-79), „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს უფროსი ინსპექტორი (1980-86). „ლოკომოტივის" თავმჯდომარეა 1991 წლიდან. არის სპორტის ოსტატი სათხილამურო სპორტში (1974), საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი. გამოცხადებული აქვს პრეზიდენტის მადლობა (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „სპორტი საქართველოში" („საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1981).
**ჰობი:** კლასიკური ლიტერატურის კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თამარ მეფის გამზ. 15. თბილისი 380012. ტელ: 35-00-03, 99-39-71. (ბინის) მეფრინველეობის ქუჩა, ლილოს დასახლება, I კორპ. ბ. 46. თბილისი. ტელ: 41-42-44.*

**ჩემი ცხოვრებისეული კრედოა მუდმივად ახლის ძიება, სასტიკად მეჯავრება ერთი ადგილის ტკეპნა და არაფრის კეთება. შემოქმედებითმა ძიებამ და დასახულის მიღწევამ მომიყვანა დღევანდელ დონემდე, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.**



**ვლადიმერ ბახუტაშვილი** ექიმი, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინ-ტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1931 წ. 23 მარტს. მშობლები: ანა ბახუტაშვილი, ივანე ბახუტაშვილი; მეუღლე — ელინა ბახუტაშვილი (1934); შვილები: ივანე (1958), ალექსანდრე (1961). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1955). იყო ინფექციური საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი (1956-63), თსსი ასისტენტი (1963-66), სანიტარიის და ჰიგიენის ს/კ ინ-ტის განყოფილების გამგე (1966-72), თსსი პროფესორი (1972-84), ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1980-91). დირექტორია 1991 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ტოქსოპლაზმოზი" (1962), სადოქტორო — „ვირუსული ინფექციების როლი დიზინტერიის პათოგენეზში" (1968). არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 5 მონოგრაფიის ავტორი. მის მიერ საქართველოში შექმნილია ახალი მიმართულება— სამედიცინო ბიოტექნოლოგია, შექმნილი და დანერგილია პრაქტიკაში სამკურნალო და პროფილაქტიკური პრეპარატი „პლაფერონი" და სხვა სამკურნალო პრეპარატები. არის საქართველოს ალერგოლოგიის, იმუნოლოგიისა და იმუნორეაბილიტაციის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოსა და უცხოეთის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი, სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიათა წევრი, საპატიო ნიშნის ორდენის (1987), ღირსების ორდენის (1997) კავალერი.
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მ.ჭიაურელის 2, თბილისი. ტელ: 52-99-16. (ბინის) გამსახურდიას 9, ბ. 36. თბილისი. ტელ: 94-05-02.*

**ყოველი ახლის შემეცნება. მეცნიერული კვლევა ახლისა, ადამიანებისა და ცხოველების დაავადებების შესწავლა, მათი დიაგნოსტიკა, ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნა და დანერგვა.**



**ნოდარ ბეგალიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტის დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1944 წ. 18 ივნისს. მშობლები: ნინო ბეგალიშვილი, ალექსანდრე ბეგალიშვილი; მეუღლე – მედეა მამულაშვილი (1948); შვილი – ნინო (1972). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1969). იყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტის უმცროსი (1969-74), უფროსი (1974-79) მეცნიერ-თანამშრომელი, ღრუბელთა ფიზიკის განყ-ბის აქტიური ზემოქმედების ლაბორატორიის გამგე (1979-86), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1986-99). ინ-ტის დირექტორია 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "მონტე-კარლოს მეთოდი ღრუბლის ნაწილაკთა კოაგულაციის კინეტიკურ თეორიაში" (1977),

სადოქტორო — "ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოთა დაგეგმვისა და ეფექტურობის შეფასების მეთოდები მთიანი რეგიონებისათვის (ამიერკავკასიის მაგალითზე)" (1996). არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის – Numerical modeling of the processes of transfer and coagulation of cloud particles by the Monte Carlo method in the theory of presipitation formation. Proceedings of International Cloud Physics Conference (London, 1972), Numerical simulation of microphysical processes and their influence upon the dynamics of a convective cloud. Preprints. Intern. Conf. on Cloud Physics, (Boulder, Colorado, USA, 1976), Investigation of the formation of cloud droplets on natural condensation nuclei. The material of the 11th Intern. Conf. on Atmos. Aerosols, Condensation and Ice Nuclei. (Budapest, Hungary, 1985), Results of experiments on precipitation artificial enhancement in mountain regions. Papers presented at the 4th WMO Sc. Conf. On Weather Modification. (Honolulu, USA, 1985), Report on the project "Environmental impact assessment of the Tengiz depozit (Kazakhstan) oil railway transportation on the territory of Georgia" Caspian TrancCo Inc., Inst. of Hydromet. (Tbilisi, 2000). იყო საქართველოს გეოფიზიკური კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1992-2000), არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი (1997 წლიდან).
ჰობი: კლასიკური მუსიკა და ჯაზი, თევზაობა, ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) დ.აღმაშენებლის 150ა, თბილისი 380012. ტელ: 95-10-47, 95-43-77. მობ. (899)15-80-26. (ბინის) დიღმის მას., VI კვ., VIII კორპ., ბ.55, თბილისი. ტელ: 52-98-47.*



**კონსტანტინე ბეთანელი** სამთო ინჟინერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 24 ნოემბერს. მშობლები: ელენე ბეთანელი, პეტრე ბეთანელი; მეუღლე — დოდო მწყერაძე (1947); შვილები: ქეთევანი (1975), ელენე (1990). დაამთავრა სპი სამთო ფაკულტეტი (1956). იყო ტყვარჩელის მე-3 შახტის ვენტილაციის უფროსი (1956), სამთო საქმის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1957-59), მოსკოვის სამთო საქმის ინ-ტის ლაბორატორიის გამგე (1959-79). არის საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1979 წლიდან), სპი პროფესორი (1979 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „ახალი ტექნიკურ-ეკონომიკური დონის შახტების შექმნის მეთოდოლოგიური დებულებები და ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტები" (1975). ავტორია 133 სამეცნიერო ნაშრომის (9 მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისთვის, ბროშურები, სტატიები) და გამოგონებების. დაჯილდოებულია სამთავრობო მედლებით. არის საზოგადოება „ცოდნის" პრეზიდიუმის, სამთო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, რუსეთის სამთო მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1999), ღირსების ორდენის კავალერი (2000). მისი ბიოგრაფია შეტანილია საპატიო ხელმძღვანელების (მეცნიერების) საერთაშორისო ცნობარში (აშშ, 1997).
ჰობი: კლასიკური და ჯაზური მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: *(სამსახურის) ფალიაშვილის 87. თბილისი 380062. ტელ: 23-08-86, 22-32-16. (ბინის) ქუჩიშვილის 9. ბ. 3. თბილისი 380079. ტელ: 22-67-20.*

**ჩემი ოჯახის და საქართველოს ეკონომიკური და სულიერი წინსვლა. მეცნიერების და ტექნიკური პროგრესის განვითარება. მეცნიერების და ტექნიკური პროგრესის განვითარება მინერალური რესურსების რაციონალური, კომპლექსური და ეკოლოგიურად უსაფრთხო ათვისების ტექნოლოგიის დარგში.**

**ალეკო ბელთაძე** ვანის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ვანში 1957 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ანა ჯოგლიძე, ზურაბ ბელთაძე; მეუღლე – ნუნუ ჯავახიშვილი (1958); შვილები ზურაბი (1981), თენგო (1982). დაამთავრა ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი, ქუთაისის პედაგოგიური ინ-ტი. იყო პედაგოგი (1980-88), ქუთაისის განათლების სამმართველოს მეთოდისტი (1988-91),

ქუთაისის I სკოლისა (1991-95) და კლასიკური გიმნაზიის (1995-2000) დირექტორი. ვანის რ-ნის გამგებელია 2000 წლიდან. არის ავტორი ნაშრომისა: "ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ისტორია"
**ჰობი:** ქართული ხალხური შემოქმედება.
**მისამართი:** *(სამსახურის) თავისუფლების 5, ვანი. ტელ: 2-25-25. (ბინის) გურამიშვილის 61, ბ. 36, ქუთაისი. ტელ: 2-28-41.*
**პასუხისმგებლობის გრძნობა, დაუღალავი შრომა და პრინციპულობა.**



**ვენედი ბენიძე** საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე. დაიბადა ცაგერის რ-ნში 1950 წ. 5 იანვარს. მშობლები: მარიამ გაგილაძე, გიორგი ბენიძე; მეუღლე – ნინო კვირიკაძე (1952); შვილები: დავითი (1978), გიორგი (1980). იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, ბაღდათის პროკურორი, წყალტუბოს პროკურორი, გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი, რუსთავის პროკურორი, თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1999-2001). არის ავტორი წიგნისა: "საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოკლე კომენტარები" დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.
**მისამართი:** *(სამსახურის) გორგასლის 24, თბილისი. ტელ: 99-55-50. (ბინის) გიორგი ბრწყინვალეს 13, ბ.11, თბილისი. ტელ: 53-54-56.*
**სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, მადლიერების გრძნობა, სამშობლოს სიყვარული, მტკიცე ნებისყოფა, მიუკერძოებლობა.**



**ოთარ ბენიძე** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. დაიბადა სოხუმში 1951 წელს. მეუღლე — თამარ ბენიძე (1951); შვილები: თამილა (1972), გრიგოლი (1978). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1981). იყო აფხაზეთის შსს ექსპერტი-კრიმინალისტი (1971-75), აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროსა (1975-82) და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს განყ-ბის უფროსი (1982-91), სოხუმის სახ. უნივერსიტეტის ლექტორი (1982-91), აფხაზეთის არ იუსტიციის მინისტრის მოადგილე (1991-92), იუსტიციის მინისტრი (1992-96). კითხულობს ლექციებს თსუ სოხუმის ფილიალის იურიდიულ ფაკ-ზე, გამოქვეყნებული აქვს სტატიები აფხაზეთის თემაზე.
**ჰობი:** მუსიკა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 29, თბილისი 380008. ტელ: 92-08-31. ფაქსი: 99-04-21. (ბინის) თარხნიშვილის 29, ბ. 35. სოხუმი.*
**ადამიანობა, ობიექტურობა, სიმართლე — ვცდილობდი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ მეღალატა ამ პრინციპებისათვის. უდიდეს ბედნიერებას მანიჭებს სიკეთის კეთება ჩემს პროფესიულ მოღვაწეობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რამდენად გამომდიოდა ეს ყველაფერი, შეუძლია შეაფასოს ჩემს გვერდით მყოფმა ხალხმა, განსაკუთრებით აფხაზეთის მოსახლეობამ — მხედველობაში მყავს დევნილები, ლტოლვილები და აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი მკვიდრნი.**



**ალექსანდრე ბეჟანიშვილი** საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 14 თებერვალს. მშობლები: ალექსანდრა ნიორაძე, გრიგოლ ბეჟანიშვილი; მეუღლე – მარინე ჭაჭია (1949); შვილები: მაია (1962), გრიგოლი (1974). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1963), თბილისის უცხო ენათა ინ-ტის ფრანგული ენის ფაკ-ტი (1984). იყო სპი დოცენტი (1970 წლიდან), კათედრის გამგე (1989 წლიდან), ტექნიკური ზედამხედველობის სახ. ინსპექციის უფროსია 2000 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ქანის რღვევის ძირითადი კანონზომიერებების დადგენა გვირაბგასაყვანი კომბაინის მუშაობის დროს" (1970 მოსკოვი). არის 51 სამეცნიერო ნაშრომის, 1 სახელმძღვანელოს და 2 მონოგრაფიის ავტორი.
**ჰობი:** სპორტი.

მისამართი: *(სამსახურის) თამარ მეფის 14, თბილისი 380012. ტელ/ფაქსი: 25-09-26. (ბინის) ფალიაშვილის 39, ბ. 24, თბილისი. ტელ: 22-53-60.*

**საქმესა და ადამიანებთან ურთიერთობაში სრული პასუხისმგებლობა და ერთგულება; შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, საკუთარი თავის მიმართ მოთხოვნილება. შვილების აღზრდა სრულყოფილ მოქალაქეებად.**



**თამაზ ბეჟანიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 29 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა სახვაძე, გრიგოლ ბეჟანიშვილი; მეუღლე — მარინე ბეჟანიშვილი (1949); შვილი — თინათინი (1983). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1964). იყო „საქსპეცელექტრომონტაჟმშენის" ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, საქმის მწარმოებელი (1966-70), საპროექტო ინ-ტის „მძიმრეწველექტროპროექტის" ჯგუფის უფროსი, პროექტის მთავარი ინჟინერი (1970-80), ადგილობრივი მრეწველობის მექანიკური ქარხნის დირექტორი (1980-84), ს/ს „თბილხელსაწყოს" გენერალური დირექტორი (1984-99). იყო სკკპ წევრი (1976-88). არის პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე.

ჰობი: ფეხბურთი.

მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი.რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-60-40. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 8. თბილისი, ტელ: 37-25-97.*

**ვიყო ვალმოხდილი ჩემი ქვეყნისა და ახლობლების წინაშე, ყველაფერი გავაკეთო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისთვის, ვიყო ქველმოქმედი.**



**პეტრე ბერაია** საქართველოს პარლამენტის წევრი, საზღვაო ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ფოთში 1946 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ევგენია ალექსანდრია, შალვა ბერაია; მეუღლე – დარეჯან წითლიძე (1954); შვილები: შალვა (1978), ნანა (1979). დაამთავრა ოდესის საზღვაო-საინჟინრო ინ-ტი. იყო ფოთის ნავსადგურის სამუშაოთა მწარმოებელი, სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი (1965-72), საქართველოს საზღვაო სანაოსნო გემის კაპიტნის I თანაშემწე (1972-75), ფოთის ნავსადგურის პარტკომის მდივანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყ-ბის, საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1975-85), ფოთის ნავსადგურის უფროსი (1986-90), პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის I მდივანი, საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს წამყვანი სპეციალისტი და მინისტრის თანაშემწე (1993), ფოთის სამრეწველო-სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე (1994). საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999).

ჰობი: სიკეთის კეთება, ფეხბურთი.

მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-48-13.*

**სამართლიანობა, ობიექტურობა, მიზანდასახულობა, პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, განსაცდელში მყოფი ადამიანების დახმარება.**



**ნიკოლოზ ბერაძე** საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1945 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: ნადეჟდა როინიშვილი, ირაკლი ბერაძე; მეუღლე – მარინა ჯორჯაძე (1950); შვილი – ნინო (1979). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1969). იყო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, ჯგუფის, განყ-ბის, თბილისის ამინდის ბიუროს, ჰიდრომეტცენტრის უფროსი, რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე, თსუ ლექტორი. არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი (1983), 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი (2000), საქართველოს წარმომადგენელი კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო ექსპერტთა კომიტეტში, დსთ ჰიდრომეტეოროლოგიის სამთავრობათაშორისო საბჭოს წევრი

(1995 წლიდან), მუდმივი წარმომადგენელი მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში (1994 წლიდან).
**ჰობი:** საზღვარგარეთ მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 150, თბილისი, 380012. ტელ: 95-36-82. ფაქსი: 95-50-06. (ბინის) ც.დადიანის 142, ბ.47, თბილისი, 380080. ტელ: 95-97-00.*
**ქვეყნის, მეგობრების სიყვარული, პროფესიონალიზმი, ნესიერება, უღალატობა.**



**მერაბ (აბესალომ) ბერბერაშვილი** თბილისის ნისქვილქარხნის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: ანა ნარიმანიძე, ლევან ბერბერაშვილი; მეუღლე — გულნარა ხიდეშელი (1950); შვილები: გიორგი (1978), დავითი (1984). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1975), კვების ტექნოლოგიის ინ-ტის კვების მრეწველობის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (ოდესა) 1982. იყო სამგორის რ-ნის საგზაო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი (1976-80), ნაძალადევის რ-ნის საგზაო სამმართველოს მთავარი ინჟინერი (1980), თბილისის ნისქვილქარხნის დირექტორის მოადგილე (1980 წლიდან). დირექტორია 1991 წლიდან. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997). არის გადამხდელთა უფლებების დაცვის კავშირის წევრი (1998). მისი ბიოგრაფია შესულია კატალოგში „ლიდერი დღეს" (1998).
**ჰობი:** ათლეტიზმი, კრივი.
**მისამართი:** *(სამსახურის) სტანისლავსკის 12. თბილისი 380019. ტელ: 34-48-33. ფაქსი: 93-89-47. (ბინის) ბახტრიონის 11. ბ. 89. თბილისი. ტელ: 93-89-28, 37-67-75.*
**როგორც ჩემი თაობის ბევრი წარმომადგენელი, მეც უფროს-უმცროსობისა, ქალისადმი პატივისცემისა და ვაჟკაცობის ატმოსფეროში გავიზარდე. საზოგადოებრივის პირადულზე წინ დაყენება, საკუთარი მიზნისკენ მიმავალ გზაზე სხვათა ინტერესების გათვალისწინება, მეგობრების ერთგულება და სიკეთის კეთების ნიჭი, საქმისადმი პროფესიული მიდგომა. მოკლედ, „კაცური კაცობა". აი, ჩემი ცხოვრებისეული კრედოს ძირითადი ასპექტები.**



**გივი ბერიკაშვილი** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1934 წ. 15 მაისს. მშობლები: ანა ბერიკაშვილი, ზაქარია ბერიკაშვილი; მეუღლე — ლეილა კაპანაძე (1933); შვილები: მანანა (1958), ზურა (1969). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1956). იყო სოხუმის დრამატული თეატრის (1956-58), მარჯანიშვილის თეატრის (1958-67), რუსთავის დრამატული თეატრის (1967-75) მსახიობი. კვლავ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1975 წლიდან, ესტრადის მსახიობი — 1991 წლიდან. შესრულებული აქვს 200-ზე მეტი როლი სპექტაკლებსა და კინოფილმებში. მონაწილეობდა ფილმებში: „ღვინის ქურდები", „მზე შემოდგომისა", „ლონდრე", „სიყვარული ყველას უნდა", "სამოთხის გერიტები", "მიჯაჭვული რაინდები " და სხვ.
**ჰობი:** ფეხბურთი და მებაღეობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) თამარაშვილის 19ა. თბილისი. ტელ: 39-54-56.*
**სიკეთე, სიკეთე, სიკეთე! მიყვარს მოსმენა! რაც არ ვიცი სხვას ვეკითხები. შეკითხვის არ მრცხვენია! ვერ ვიტან ტყუილს, თუნდაც ჩემს სასარგებლოდ იყოს ნათქვამი! მიყვარს, როცა საქმეს მიქებენ — მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები! სიმშვიდე ოჯახში და საქმეში საშუალებას მაძლევს ნაყოფიერად ვიმუშაო. სხვისი წარმატება არ მშურს, პირიქით, მახარებს. ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრს ვმუშაობ. ვოცნებობ ჩემი თვალით ვნახო და მოვესწრო, როგორ საქართველოში გააგრძელებენ ცხოვრებას შვილები და შვილიშვილები.**

**ნოდარ ბერიკაშვილი** მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 25 იანვარს. მშობლები: მარიამ იაშვილი, ალექსი ბერიკაშვილი; მეუღლე — ოლია ჯანელიძე (1936); შვილები: ნანა (1965), თეა (1969). დაამთავრა თსუ მათემატიკის ფაკულტეტი (1952). იყო მოსკოვის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1955-59), თბილისის მათემატიკის ინ-ტის უფროსი, მთავარი მეცნიერ-

თანამშრომელი (1959-89). გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების გამგეა 1989 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სპექტრების აქსიომატიკური თეორია და ორადობის თეორემები არაჩაკეტილი სიმრავლეებისათვის" (1956), სადოქტორო — „სპექტრული მიმდევრობის დიფერენციალები" (1972). არის 35-მდე სამეცნიერო სტატიისა და მონოგრაფიის („სპექტრული მიმდევრობის დიფერენციალები") ავტორი.
მისამართი: *(სამსახურის) მათემატიკის ინსტიტუტი. ალექსიძის 1. თბილისი 300093. ტელ: 33-41-54. ელ-ფოსტა: berika@imath.acnet.ge*



**გურამ ბერიშვილი** მათემატიკოსი, ინტერნეტის განვითარების ჯგუფის (საქართველო) გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1933 წ. 20 ნოემბერს. მშობლები: ეკატერინე ციმაკურიძე, დავით ბერიშვილი; მეუღლე – მაია კაკაბაძე (1936); შვილები: თორნიკე (1960), თამთა (1964). დაამთავრა თსუ მათემატიკის ფაკ-ტი (1959), თბილისის მათემატიკის ინ-ტის ასპირანტურა. იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გლინვის ბრიგადირი (1953-54), თბილისის მათემატიკის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1962-66), კიბერნეტიკის ინ-ტის მოდელირების განყ-ბის გამგე (1966-92), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), საკონსტიტუციო კომისიის თანამშრომელი (1992-93), პარლამენტის წევრი (1993-95), საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციის განყ-ბის გამგე (1996-2000), ინტერნეტის განვითარების ჯგუფის (საქართველო) გამგეობის თავმჯდომარეა 2000 წლიდან. არის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი; საქართველოში მათემატიკის I ოლიმპიადაში გამარჯვებული; რესპუბლიკური პარტიის წევრი (1990). იყო სახალხო ფრონტის ორგანიზატორი (1989-90).
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 22. თბილისი 380008. ტელ: 99-00-37. ელ-ფოსტა: GBerishvili@idg-georgia.org.ge*



**იური ბერიშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: ვიქტორია შავირინა, იური ბერიშვილი; მეუღლე – მარიამ ამზაშვილი (1958); შვილი – ვიქტორია (1984). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი (1981). იყო საშუალო სკოლის ხატვის პედაგოგი (1981-82), გამომცემლობების "მერანი", "საბჭოთა საქართველო" თანამშრომელი (1982-87), თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისა და სეგ მთავარი მხატვარი (1995-99), ფირმა "რიკორის" გალერეის მთავარი მხატვარი-ექსპერტი (მოსკოვი, 1998-99). არის სეგ მთავარი მხატვარი-ექსპერტი (1999 წლიდან). მუშაობს ფერწერასა და გრაფიკაში. მისი ნამუშევრები დაცულია თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის, გალერეა "TMS"-ისა და მსოფლიოს ნონ-კონფორმიზმის მუზეუმის ვაშინგტონის (აშშ) ფონდებში. მიღებული აქვს I პრემია წლის საუკეთესო ფერწერული ნამუშევრისთვის (1995), ხელოვნების მუზეუმის, საქართველოს მხატვართა კავშირისა და კულტურის სამინისტროს ორი II პრემია (1996, 1998); მისი ნამუშევრები მოსკოვის საერთაშორისო სამხატვრო სალონის საქართველოს ექსპოზიციაში აღინიშნა კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ. იყო სსრკ მხატვართა კავშირის, მოძრაობა "დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს" (1984-92), არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1981). იყო მორაგბეთა გუნდ "თბილისის ლოკომოტივის" მოთამაშე, მონაწილეობდა სსრკ ჩემპიონატებში (1974-85), არის სპორტის ოსტატი.
ჰობი: ბუდიზმი, ინდუიზმი.
მისამართი: *(სამსახურის) თანამედროვე ხელოვნების გალერეა. რუსთაველის 3. თბილისი 380007. ტელ: 93-16-52.*



**გიორგი ბერიძე** კინოოპერატორი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 18 ოქტომბერს, მშობლები: ნუნუ დვალი, პავლე ბერიძე; მეუღლე — თამარ მელიქიშვილი (1965). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1976), თსუ მეორადი ხელოვნების ფაკ-ტის კინოსარეჟისორო განყოფილება (1972-75), თსთი კინოფაკ-

ტის კინოსაოპერატორო განყოფილება (1986). იყო სპი უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1976-80), თბილისის სახ. თოჯინების თეატრის სცენის მემონტაჟე (1980-81), კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორის თანაშემწე (1981), კინოოპერატორი (1986 წლიდან). გადაღებული აქვს 30-მდე ფილმი, მათ შორის „ანემია" (1988), „დახატული წრე" (1988), „ტურანდოტი" (1990), „მარტივი პასიანსი" (1990), „ვალსი პეჩორაზე" (1992) „ატრაქციონი" (1992), „იავნანა" (1993), „ატუ ალაბა — (Hotel California)" (1996), „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" (1995-96), „სულელი ბრონეულის ხე" (1998), „შვიდი დღე ტიბეტში" (1998), „ძვირფასო M" (1999) და სხვ. მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია და ქართული კინოაკადემიის პრიზი „ნატო" საკეთესო საოპერატორო ნამუშევრისთვის მხატვრულ ფილმში „იავნანა" (1994), „ოქროს არწივი" — საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის ფილმებში „იავნანა" (1994), „ატუ ალაბა — (Hotel California)" (1996), ი.გოგებაშვილის სახელობის პრემია (1994).

**ჰობი:** ხატვა, კითხვა, მოგზაურობა, ფოტოგრაფია.

**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 8/10. თბილისი 380059. ტელ: 52-13-16. ფაქსი: 52-09-10.*



**თეიმურაზ ბერიძე** სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, დოქტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 16 ნოემბერს. მშობლები: ლილი ლომიაშვილი, არჩილ ბერიძე; მეუღლე — თამარ ნადარეიშვილი (1958); შვილები: ელისო (1986), სოფიო (1993). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1978). იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1987-89), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინ-ტის სტაჟიორი (1986-87), ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1983-86), თსუ პოლიტეკონომიის კათედრის მასწავლებელი (1982-83), ეკონომიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1996), მერილენდის (აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი (1995-96), ეკონომიკის ინ-ტის განყოფილების გამგე, თსუ პროფესორი (1993-95). სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარეა 1996 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლები: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების ახალი ასპექტები" (რუსეთის მეცნ. აკად. ეკონომიკის ინ-ტი, 1992). გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო სტატია და მონოგრაფია. მიღებული აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედალი და პრემია (1987), ფულბრაიტის გრანტი (აშშ, 1995). არის სტუდენტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი (1978), ნიუ-იორკის აკადემიის წევრი (1996), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1996), მსოფლიო ბანკის ექსპერტ-კონსულტანტი (1996), გერმანიის (ბერლინის) ეკონომიკურ კვლევათა ინ-ტის (1993), დიდი ბრიტანეთის (ქ. ლიჩფილდის) ეკონომიკურ კვლევათა ინ-ტის (1996) ექსპერტი, მეცნიერებათა აკადემიის ჟურნლ „მაცნეს" ეკონომიკური სერიის რედკოლეგიის წევრი (1996), საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს ეკონომიკურ სექტორთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს სწავლული მდივანი (1996). მისი ბიოგრაფია შეტანილია წიგნში „საქართველოს პოლიტიკური სისტემა", ABI-ის ბიოგრაფიული ცნობარის მეათე გამოცემაში.

**ჰობი:** ჩოგბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) გამსახურდიას 4. თბილისი 380015. ტელ: 33-14-50. ფაქსი: 99-56-22. ელ-ფოსტა: socecinf@iberiapac.ge. (ბინის) ქურდიანის 6. ბ. 7. თბილისი 380012. ტელ: 94-34-92.*

**სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.**



**თენგიზ ბერიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მოლეკულური ბიოლოგიის, ბიოქიმიის სპეციალისტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 26 ოქტომბერს. მშობლები: რუსუდან როინაშვილი, გიორგი ბერიძე; მეუღლე — მარინა ქეცბა (1946); შვილი — გიორგი (1987). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკულტე-

ტი (1962). მუშაობდა ბოტანიკის ინ-ტში (1962-63), იყო მოსკოვის ბიოქიმიის ინ-ტის ასპირანტი (1963-66), პუშჩინოს ცილის ინ-ტის სტაჟიორი (1967-68), თბილისის ბიოქიმიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-69). მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის ლაბორატორიის ხელმძღვანელია 1969 წლიდან, თსუ პროფესორი — 1989 წლიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — 1993 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მცენარეთა ორგანელების დნმ-ის გამოკვლევა" (1967), სადოქტორო — „უმაღლეს მცენარეთა სატელიტური დნმ" (1980). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები „Сателлит-ДНК" (1982 „Наука"), "Satellite DNA" (Springer Verlag, Berlin-Heidelberg-New-York-Tokio, 1986). მისი ბიოგრაფია შეტანილია ABI-ისა და IBC-ის ბიოგრაფიულ ცნობარებში.
**ჰობი:** ჩოგბურთი, ფორტეპიანო.
**მისამართი:** *(სამსახურის) მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტი. დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ, თბილისი. ტელ: 52-80-97. ელ-ფოსტა: Tberidze@hotmail.com (ბინის) ყაზბეგის 47, ბ. 10, თბილისი. ტელ: 39-25-40.*



**რუსუდან ბერიძე** ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. დაიბადა ოზურგეთში 1939 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: ნინო გოგუაძე, ივანე ბერიძე; მეუღლე — მერაბ კოსტავა (1939-89); შვილი — ირაკლი (1961-85). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1961). იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), საქართველოს პარლამენტის წევრი, სპიკერის მოადგილე (1992-95), შეწყალების კომისიის თავმჯდომარე (1992-95). არის თსუ დოცენტი (1965 წლიდან). ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეა 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რიცხვთა წარმოდგენა რვაცვლადიანი კვადრატული ფორმებით" (1965). არის 20 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით.
**ჰობი:** პოეზია.
**მისამართი:** *(სამსახურის) სახელმწიფო კანცელარია. ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ/ფაქსი: 92-35-58, 93-13-22. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 93. ბ. 84. თბილისი 380086. ტელ: 22-78-89.*

**ჩემი სამშობლოს სამსახური, წვლილის შეტანა მისი დამოუკიდებლობის დამკვიდრებაში, გაძლიერებაში და განმტკიცებაში. „სიკეთის ქმნა" ამ ქვეყნად.**



**დავით ბერძენიშვილი** სპორტსაზოგადოება "მართვეს" თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ნინო ღვინაძე, ნიკოლოზ ბერძენიშვილი; მეუღლე - ლია რუბაშვილი (1962); შვილები: ნინო (1982), ლადო (1989). დაამთავრა სპი სამოქალაქო მშენებლობის ფაკ-ტი (1977). იყო საქართველოს სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი (1976-81), ოლიმპიური რეზერვების ახალგაზრდული სპორტის განყ-ბის უფროსი (1981-82), ცენტრალური სასწავლო კომპლექსის გენერალური დირექტორი (1982-91), განათლების სამინისტროს აღზრდის, სპორტისა და სამხედრო მომზადების სამმართველოს უფროსი (1991 წლიდან). სპორტული საზოგადოება "მართვეს" თავმჯდომარეა 1991 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "სპორტსმენის კუნთური სისტემის ფუნქციონალური მდგომარეობის სტაბილიზაცია და სრულყოფა" (1985). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
**მისამართი:** *(სამსახურის) უზნაძის 52, თბილისი, 380002. ტელ: 95-75-38, 95-83-66.*

**ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია. მამაცი, მიზანმიმართული, პატიოსანი, ჯანმრთელი, კეთილი, მოყვასის მოყვარული, პრინციპული ადამიანი. "არ იცრუო" – ცხოვრების უპირველესი წესია.**



**დავით ბერძენიშვილი** რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1960 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ვენერა რუხაძე, ვალერიან ბერძენიშვილი; მეუღლე – ნინო ინწკირველი (1962); შვილები: ლევანი (1988), ზურაბი (1991), ანასტასია (2000). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1986). იყო სუკ-ის იზოლატორის, მორდოვეთის პოლიტპატიმართა ბანაკის პატიმარი (1983-85), ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ს/კ ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1986-90), საქართველოსა (1990-91) და აჭარის არ (1991-96) უზენაესი საბჭოების, სახელმწიფო საბჭოსა (1992) და პარლამენტის (1992-95) წევრი. რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეა 2000 წლიდან. იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებისა (1988-89) და სახალხო ფრონტის (1989-90) წევრი. რესპუბლიკური პარტიის წევრია 1978 წლიდან.

**ჰობი:** ფეხბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ათონელის 31/2, თბილისი. ტელ/ფაქსი: 93-25-36. ელფოსტა: cdc@access.sanet.ge (ბინის) საბურთალოს 7, ბ. 16, თბილისი 380017. ტელ: 38-83-74.*

"ვიყვეთ არავისი და ვემსახურებდეთ არავის თვინიერ დამბადებლისა" ("ქართლის ცხოვრება", რესპუბლიკური პარტის დევიზი 1978 წლიდან). "პოლიტიკოსისათვის მთავარია ზნეობრივი წრთობა" (გფრ I პრეზიდენტის ხოისის სიტყვები).



**ელგუჯა ბერძენიშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1925 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: თამარ ბერძენიშვილი, ისიდორე ბერძენიშვილი; მეუღლე — ნატა ჯანელიძე (1941); შვილი — ზაზა (1956). დაამთავრა თსსა თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ფაკ-ტი. მუშაობს ფერწერისა და თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ჟანრებში. არის რამდენიმე მოთხრობის ავტორი, გამოცემული აქვს წიგნი "ხასანბეგურა" შეასრულა პანოები "აბესალომ და ეთერი" (ზ.ფალიაშვილის მუზეუმი), "შემოდგომა" (ლვინის ქარხანა ქსნის ხიდთან), ფერწერული ნამუშევრები "მაიკო ჭილაშვილი" (1987), "იტალიელი ქალბატონი" (1992), მხატვრულად გააფორმა წიგნები "დიდოსტატის მარჯვენა" (1972), "დედაენა" (1998) და სხვ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1966), მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის რამდენიმე მედლის მფლობელი; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000).

**ჰობი:** ფეხბურთი.

**მისამართი:** *(ბინის) ჭავჭავაძის 30, თბილისი 380079. ტელ: 22-50-45.*



**ლევან ბერძენიშვილი** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1953 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ვენერა რუხაძე, ვალერიან ბერძენიშვილი; მეუღლე — ინგა შირავა (1954); შვილი — თამარი (1974). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1977). იყო თსუ ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკის უფროსი რედაქტორი (1977-79), აფხაზეთის უნივერსიტეტის უცხო ენების კათედრის გამგის მოადგილე (1979-80), თსუ ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1980-83), იმავე ლაბორატორიის ლაბორანტი (1987-88), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1989-92), გამგე (1992), კლასიკური ფილოლოგიის კათედრის მასწავლებელი (1987-89), კათედრის დოცენტი (1989-92), ფირმა GBS-ის პროგრამული უზრუნველყოფის განყ-ბის გამგე (1992-94), გაეროს განვითარების პროგრამის უფროსი კონსულტანტი (1994-97). ანტისაბჭოთა აგიტაციის და პროპაგანდის ბრალდებით დაპატიმრებული იყო და სასჯელი მოიხადა მორდოვეთში (1984-87). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „არისტოფანეს ლიტერატურული შეხედულებებისა და მხატვრული პრინციპების ერთიანობის პრობლემა" (1989). არის არისტოფანეს 11 კომედიის, ევრიპიდეს „ელექტრას" თარგმანების, ლათინური ენის სახელმძღვანელოს

(მ.ფხაკაძესთან ერთად), 40 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი ბიოგრაფია შეტანილია დისიდენტების ლექსიკონში (ვარშავა, 1995).
**ჰობი:** კომპიუტერი, ინტერნეტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ეროვნული ბიბლიოთეკა. გუდიაშვილის 5/7. თბილისი, 380007. ტელ: 99-80-95. (ბინის) ვეძინის 17. თბილისი 380008. ტელ: 93-22-27.*
**საქართველოს დამოუკიდებლობა, პიროვნული თავისუფლება, სიმართლე, განსხვავებული აზრის პატივისცემა, პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, იუმორი, სიკეთილთან შერიგება.**



**მერაბ ბერძენიშვილი** მხატვარი-მოქანდაკე, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 10 ივნისს. მშობლები: თამარ უსეინაშვილი, ისიდორე ბერძენიშვილი; მეუღლე — კირა მიქელაძე (1930). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1955). თსსა პროფესორია 1985 წლიდან, კულტურის ფონდის თავმჯდომარე — 1995 წლიდან. იყო მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1960-72), სსრკ 3 მოწვევის დეპუტატი (1978-90), ქანდაკების საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზატორი (თბილისი, 1997). არის ავტორი ქანდაკებებისა: „შოთა რუსთაველი" (მოსკოვი), „დიდგორის მემორიალი" (დიდგორი), „გიორგი სააკაძე" (კასპი, თბილისი), „მედეა" (ბიჭვინთა), „კიდევაც დაიზრდებიან" (მარნეული), „მუზა" (თბილისი), „ჯარისკაცის მამა" (გურჯაანი), „მუსიკის დაბადება" (რელიეფი), „ლაოსის მეფე რსვანგ-ვონგი" (ვენტიანი, ლუანგ პრობანგი), „ქუთაისის მემორიალი" (ქუთაისი), „მზეჭაბუკი", „ნოდარ დუმბაძის მემორიალი", „გამარჯვების მაცნე", „ქეთევან წამებული" (თბილისი), „დავით აღმაშენებელი", „მშვიდობა" (სოჭი), „ილია ნინამძღვრიშვილი", „მიხეილ ნინამძღვრიშვილი", „საქართველო" (სიმბოლური ქანდაკება, ქ. ტრავერსიტი, მიჩიგანის შტატი, აშშ); პორტრეტები: ი.ჭავჭავაძე, ტ.ტაბიძე, ს.ახმეტელი, ნ.გაფრინდაშვილი, კ.მარჯანიშვილი, ნ.დუმბაძე, დ.აბაშიძე, ზ.ფალიაშვილი. არის სსრკ სახელმწიფო და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „საბჭოთა სკულპტურა", „Who's Who" (IBC,Cambridge, vol XXV), ენციკლოპედიაში „საქართველო".
**მისამართი:** *(ბინის) კუს ტბის I შესახვევი 1, თბილისი 380062. ტელ: 22-79-28.*
**ჭეშმარიტი ქმედება.**



**ვახტანგ (ბესო) ბესელია** მხატვარი. დაიბადა 1945წ. 5 აპრილს სოფ. ნოსირში (სენაკის რ-ნი). მშობლები: ოლღა გოროზიანი, ილია ბესელია; მეუღლე — ნინო ნიჟარაძე (1945); შვილები: ლუკა (1972), ნიკა (1974). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი (1970). იყო თსსა (1970-72), თბილისის ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის (1972-74), ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის (1974-94), ბათუმის ხელოვნების სახ. ინ-ტის პედაგოგი. არის ავტორი ნამუშევრებისა: „1921 წელი" (1971), „ნიკორწმინდა"(1987), „ლიტანიობა" (1981), „ნოსტალგია" (1990), „მუსიკა" (1993) და სხვ. გააფორმა ბათუმის სახ. თეატრის სპექტაკლები: „ენერგიული ადამიანები" (1976), „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" (1980), „დოროთეა" (1987), „თევდორე" (1989); „ბარაბა" (1998) და სხვ. მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვაგარეთ გამართულ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია ქუთაისის გალერეაში, შვეიცარიის ბანკში, ინგლისის, იტალიის კერძო კოლექციებში. არის აჭარის მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1974). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**მისამართი:** *კობალაძის 5, ბ.52. ბათუმი 384500.*



**გიორგი (გივი) ბეციაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, შიდასაპარლამენტო კონტროლის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. კურდღელაურში (თელავის რ-ნი) 1948 წ. 24 აპრილს. მშობლები: ელენე ოლოშაშვილი,

არჩილ ბეციაშვილი; მეუღლე – ნათელა ხვთისიაშვილი (1953); შვილები: არჩილი (1978), ელენე (1981). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1970), იყო მუშა (1965-68), ბუღალტერი, საკრედიტო ინსპექტორი, ეკონომისტი (1968-75), საქართველოს კპ თელავის რაიკომის ინსტრუქტორი (1975-82), თელავის რაიონული ფინანსური განყ-ბის გამგე, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის I მოადგილე (1982-86), თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარე (1985-91), საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის I მოადგილე კახეთის მხარეში (1994-99). არის სმკ წევრი (1993).
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა.
**მისამართი:** *საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-15-72. (ბინის) სოფ. კურდღელაური, თელავის რ-ნი. ტელ: 3-33-32.*
**კეთილსინდისიერი საქმიანობა ყველა იმ უბანზე, სადაც მიხდებოდა მუშაობა.**



**კარლო ბზიშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ატენში (გორის რ-ნი) 1947 წ. 21 მაისს. მშობლები: სონია ნონიკაშვილი, როსტომ ბზიშვილი; მეუღლე — თამარ ტალიაშვილი (1953); შვილები: სოფიკო (1979), სანდრო (1988). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1970). იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1970-79), რესპუბლიკის პროკურატურის პროკურორი (1979-82), გორის სასამართლოს თავმჯდომარე (1982-90, 1994-98), უზენაესი სასამართლოს წევრი (1990-94). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნასყიდობის ინსტიტუტი ქართულ სამართალში" (1975). არის 10 სამეცნიერო სტატიის ავტორი.
**ჰობი:** წიგნების კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, 53-09-17. (ბინის) ატენის 18-ა. თბილისი. ტელ: 22-31-12.*
**შრომისმოყვარეობა, მაღალი პროფესიონალიზმი; კანონის დაცვა, რომლის დროსაც მოსამართლეს არ უნდა ღალატობდეს შინაგანი სამართლიანობის გრძნობა.**



**ირაკლი ბიბილაშვილი** საქართველოს უზანესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ფასანაურში (დუშეთის რ-ნი) 1946 წ. 19 აგვისტოს. მშობლები: თამარ ქუშაშვილი, ნიკოლოზ ბიბილაშვილი; მეუღლე — მედეა ძიძიშვილი (1954); შვილები: თამარი (1979), ლაშა (1980), ცოტნე (1990). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1970). იყო უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი, განყოფილების უფროსი (1968-78), გენერალური პროკურატურის პროკურორი (1978-80, 84-92).
**ჰობი:** სპორტი, ხელოვნება, პრესა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზანესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი, 380010.*
**შრომისმოყვარეობა, ერთგულება საქმისადმი, პროფესიის სიყვარული.**



**ბადრი ბინაძე** საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი. დაიბადა სოფ. სვერში (ჭიათურის რ-ნი) 1960 წ. 27 აპრილს. მშობლები: მერი ცუცქირიძე, რეზო ბინაძე; მეუღლე — ნინო ბურჯანაძე (1964); შვილები: ანზორი (1985), რეზო (1993). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1984). იყო დიდუბის რ-ნის გამომძიებელი (1982-86), თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების პროკურორი (1982-87), მოსკოვის მართლწესრიგისა და კანონიერების ინ-ტის ასპირანტი (1987-90). რესპუბლიკის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორი, კრწანისის და ნაძალადევის რ-ნების პროკურორი, გენერალური პროკურორის მოადგილე და საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორია 1997 წლიდან, იუსტიციის გენერალ-მაიორია 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „წინასწარი გამოძიების საჯაროობა სისხლის სამართლის პროცესში" (1992). არის 10-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1997).

მისამართი: *(სამსახურის) ბოჭორმის 12. თბილისი. ტელ: 93-33-77.*

**ერთგულება მეგობრების, პრინციპების, საქმის; დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.**



**გიორგი (გიგა) ბოკერია** თავისუფლების ინსტიტუტის დამფუძნებელი, უფლებათდამცველი. დაიბადა თბილისში 1972 წ. 20 აპრილს. მშობლები: ნანა ალექსანდრია, ლევან ბოკერია; შვილი — ლევანი (1993). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1995). იყო გაზეთ „მიმომხილველის" კორესპონდენტი, პოლიტიკური განყ-ბის უფროსი (1992-93), რადიო-გადაცემა „პიკის საათის" პოლიტიკური მიმომხილველი (1993), გაზეთ „არგუმენტის" პოლიტიკური განყოფილების უფროსი (1995-96), ტელეარხ „რუსთავი 2"-ის გადაცემა „აქცენტების" ავტორი და წამყვანი, საინფორმაციო პროგრამა „კურიერის" კორესპონდენტი (1996). თავისუფლების ინსტიტუტის წევრია 1996 წლიდან. იმყოფებოდა აშშ-ში სტაჟირებაზე და მუშაობდა მედისონის (აიოვას შტატი) ადგილობრივ გაზეთში (1994). იყო სტუდენტური გაერთიანება „პრეს-კლუბის" (1991-92), საქართველოს დროებითი სტუდენტური კავშირის, საქართველოს ახალგაზრდული ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის (1993) წევრი. გამოქვეყნებული აქვს საგაზეთო სტატიები და რამდენიმე პუბლიკაცია რუსულ და ინგლისურ გაზეთებში, ბროშურა „90-იანი წლების ქართული მედია— ნაბიჯი თავისუფლებისაკენ" (UNDP-ის სადისკუსიო წერილების სერიიდან, 1998).
ჰობი: ფეხბურთი, კალათბურთი, ბრიჯი, მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) მაჩაბლის 6, თბილსი 380007. ტელ: 93-15-66. (ბინის) ირ.აბაშიძის 24ა, გამსახურდიას 2. ტელ: 22-41-61.*



**ლევან ბოკერია** არქიტექტორი, „არქსტუდიის" გენერალური დირექტორის მოადგილე და მთავარი არქიტექტორი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 8 დეკემბერს. მშობლები: მერი მაყაშვილი, ალექსანდრე ბოკერია; მეუღლე — ნანა ალექსანდრია (1949); შვილი — გიორგი (1972). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1967). მუშაობდა სსი „თბილქალაქპროექტში", გაიარა გზა ტექნიკოსიდან არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელის თანამდებობამდე (1965-89); იყო რესპუბლიკური გაერთიანება „საქარქპროექტის" მთავარი არქიტექტორი (1989 წლიდან), საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე (1991-95); პერიოდულად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას სტუ არქიტექტურის ინსტიტუტის დაგეგმარების კათედრაზე. არის ავტორი პროექტებისა: საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის გამოთვლითი ცენტრი, ამჟამად საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო (1978), დაბა ნია-გრუზინსკაია ბამზე (1980), ხალხთა მეგობრობის მემორიალური კომპლექსი „წითელ ხიდთან" (1980) და სხვ. მონაწილეობდა ბურსას საერთაშორისო სიმპოზიუმში (თურქეთი, 1993). საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრია 1977 წლიდან; იყო რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის (1992-99), თბილისის მერიის კოლეგიის (1993-98) წევრი. არის საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, 1982 (მემორიალი „წითელ ხიდთან"), სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, 1983 (დაბა ნია-გრუზინსკაია).
მისამართი: *(სამსახურის) ზაქარიაძის 8. თბილისი. ტელ/ფაქსი: 98-42-00. (ბინის) აბაშიძის 24ა. ბ. 2. თბილისი, 380079. ტელ: 22-41-61.*

**ვფიქრობ, მთავარია, არ ჩამითრიოს ამჟამინდელმა ყოველდღიურობამ, არ დავკარგო წონასწორობა და ჩემს მიერ ჩემთვის დადგენილი კომპრომისების ნორმას არ გადავაჭარბო. ასევე ძალიან მინდა, სწორად შევაფასო ჩემი შესაძლებლობები და მოვძებნო ჩემთვის ადგილი ახალ საზოგადოებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც იბადება.**



**გივი ბოლოთაშვილი** აჭარის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ისტორიკოსი, პოლიტოლოგი. დაიბადა გორში 1940 წ. 5 მარტს. მშობლები: ეკატერინე ბოლოთაშვილი, მიხეილ ბოლოთაშვილი; მეუღლე – ნანი პატარაია (1939). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1965), სსრკ მეცნ. აკად. ლათინური ამერიკის ინ-ტის ასპირან-

ტურა (1970). იყო თსუ ევროპა-ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი (1970 წლიდან), დოცენტი, აჭარის არ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი (1995-99). არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 2 საუნივერსიტეტო და 1 სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი, რამდენიმე დოკუმენტური ფილმის კონსულტანტი; სრულიად საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1995).

**ჰობი:** ხატვა, ხეზე კვეთა, თევზაობა, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვ. IV კორპ., ბ. 107, თბილისი. ტელ: 30-31-36.*

**შრომა; ნურასოდეს გაუკეთებ სხვას იმას, რაც საკუთარი თავისთვის არ გინდა.**



**ელისო ბოლქვაძე** პიანისტი. დაიბადა თბილისში 1967 წ. 2 იანვარს. მშობლები: ნანა დარჩია, ზაურ ბოლქვაძე. დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკ-ტი (1989), ასპირანტურა (1992). ეწევა აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას ევროპასა და აშშ-ში, მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში. გამართა სოლო-კონცერტები (ძირითადად საზღვარგარეთ), ღია გაკვეთილები, კონცერტები სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად. არის ი.ს.ბახის (1984), ლისაბონის (1987), ვან კლიბერნის (1989), მარგარიტა ლონგისა და ჟაკ ტიბოს (1995), დუბლინის (1997) პიანისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი. მიღებული აქვს პრიზი ფრანგული მუსიკის საუკეთესო ინტერპრეტაციისათვის (1995). არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. წერს კომპაქტ-დისკებს სოლო-პროგრამით და სიმფონიურ ორკესტრებთან ერთად (ყველა გამოცემულია საზღვარგარეთ). ამჟამად მოღვაწეობს ავსტრიაში. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who (Oxford,2000).

**ჰობი:** მუსიკა.

**მისამართი:** *(ბინის) ენგურის 3, ბ.10. თბილისი. ტელ:36-46-80.*

**ღვთის სიყვარული, მორჩილება, თვითკრიტიკის უნარი.**



**რუსუდან ბოლქვაძე** დრამისა და კინოს მსახიობი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: გურანდა გრიგორაშვილი, გიორგი ბოლქვაძე. დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1980). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" და კინომსახიობთა თეატრის მსახიობი (1980 წლიდან). შეასრულა 40-ზე მეტი როლი სპექტაკლებში: „დონ ჟუანი", „ბნელ ოთახში", „წუთისოფელი ასეა", „ბაკულას ღორები", „ჩვენი პატარა ქალაქი", „ზაფხულის ღამის სიზმარი" , „ამფიტრიონ 38", „მარიანა პინედა", „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი" და სხვ.; ფილმებში: „დონ კიხოტი", „ჩემი ინგლისელი პაპა", „აქედანა და შენამდე", „ლეონარდო" და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „მთვარის გლობუსი".

**ჰობი:** თეატრი, ვიოლინო, მოგზაურობა, ფოტოხელოვნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 164. თბილისი 380012. ტელ: 34-09-37. (ბინის) ჭავჭავაძის 50. თბილისი 380062. ტელ: 29-49-82.*

**მიყვარს მოხუცები. მგონია, რომ ყველაზე დიდი ნიჭია მეგობრობა. მყავს სხვადასხვა ასაკის მეგობრები და 12 ნათლული და მიმაჩნია, რომ ეს ბევრ წოდებასა და სამეცნიერო ხარისხს არ ჩამოუვარდება. მიყვარს შემოდგომა. არასოდეს ვაწყობ გეგმებს — მაინც არ გამოდის. ყველაფერი, რაც გამოსულა და წარმატებით დამთავრებულა, მუდამ იმპროვიზირებული იყო, თითქმის მოულოდნელი. მძულს სიცრუე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვარ მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლების უდიდესი წარმატების მომსწრე. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია". „გიყვარდეს ხელოვნება შენში და არა — შენი თავი ხელოვნებაში" „იყავ მხნე, მოთმინე და სულგრძელი".**

**გოდერძი ბორჩხაძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. დაიბადა ოზურგეთში 1939 წ. 19 აგვისტოს.



მშობლები: ანა ბაჯელიძე, გრიგოლ ბორჩხაძე; მეუღლე — მალვინა კუკულაძე (1941); შვილები: ხათუნა (1966), თამარი (1968), ქეთევანი (1971). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1962). იყო ოზურგეთის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელი (1962-63), პროკურორის თანაშემწე (1962-70), საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო განყ-ბის პროკურორი (1970-71), საქართველოს კპ ცკ ინსტრუქტორი (1971-73), აჭარის არ პროკურორი (1974-84), აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე (1984-86), აჭარის არ პროკურორის I მოადგილე (1986-99), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999). მიღებული აქვს აჭარის დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება (1990), ღირსების ორდენი (1997).

**ჰობი:** კითხვა, საინფორმაციო გადაცემების მოსმენა, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 93-52-68. (ბინის) გურამიშვილის 70, თბილისი. ტელ: 61-20-51.*

**შრომისმოყვარეობა, მაღალი პროფესიონალიზმისადმი პატივისცემა, კანონის დაცვა, მართლის თქმა, შინაგანი სამართლიანობის გრძნობა, გაჭირვებაში მყოფისადმი შესაძლო დახმარება, წესრიგი ყველაფერში.**



**შოთა ბოსტანაშვილი** არქიტექტორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი. დაიბადა თბილისში 1948 წ. 13 მაისს. მშობლები: თამარ ბოსტანაშვილი, აბრამ ბოსტანაშვილი; მეუღლე — თინათინ სირბილაძე (1948); შვილი — დავითი (1982). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1972). იყო ს/ი „საქსახმშენპროექტის" ტექნიკოსი არქიტექტორი (1966-70), სტუ არქიტექტურის ფაკ-ტის საპროექტო ბიუროს თანამშრომელი (არქიტექტორიდან განყოფილების გამგემდე, 1970-90), სტუ არქიტექტურის კათედრის პროფესორ-მასწავლებელი. არის ავტორი პროექტებისა: „ხსოვნის ტაძარი" სოფ. მუხრანში, „ხსოვნის კლუბი" სენაკში (სსრკ არქიტექტორთა კონკურსის მთავარი პრიზი), „შრომის დიდების მემორიალი" (საქართველოს სახელმწიფო პრემია), პურის ქარხანა თბილისში (სსრკ გრან-პრი) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული სამეცნიერო და ესეისტური წერილი, წიგნი — „სინაგოგების და ებრაული სასაფლაოების არქიტექტურა საქართველოში" (1999). არის სსრკ ოთხგზის და ორგზის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო კონკურსზე „XXI საუკუნის ცივილიზაციის სივრცე" მისმა პროექტმა მიიღო I პრემია (1988). დააარსა თავისუფალ მსმენელთა აუდიტორია და დისციპლინა „არქიტექტურის პოეტიკა" (1990). არის არქიტექტორთა კავშირის წევრი (1974), არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი (1997), აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (1999).

**ჰობი:** არქიტექტურა.

**მისამართი:** *(სამსახურის) სტუ, კოსტავას 77, თბილისი. ტელ: 36-62-60, 36-62-06. (ბინის) ჩიქოვანის 24-ა, ბ. 78. თბილისი. ტელ: 33-75-02.*

**პაერი მარტო იმისთვის არ არის გაჩენილი, რომ ისუნთქო, არამედ იმისთვის, რომ იფრინო.**



**ვახტანგ ბოჭორიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. გიორგეთში (ლაგოდეხის რ-ნი) 1924 წ. 25 მარტს. მშობლები: ეკატერინე ბოჭორიშვილი, გაბრიელ ბოჭორიშვილი; მეუღლე — ლიდა ბოჭორიშვილი (1924); შვილები: ლალი (1948), თამარი (1954). იყო თელავის დრამატული თეატრის მსახიობი (1938-40). სწავლობდა თეატრალურ ინ-ტში (1940-42); იყო თელავის თეატრის ტექნიკური რეჟისორი (1943-44); რუსთაველის თეატრის რეჟისორ-ასისტენტი (1944-45); სოხუმის ქართული თეატრის რეჟისორი (1945). დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინ-ტის სანიტარულ-ჰიგიენური ფაკულტეტი (1951). იყო ქ. ჩიმკენტის მედგაერთიანება N3-ის განყოფილების გამგე (1951-52), N99061 სამხედრო ნაწილის ექიმი (1952-54), N85 სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალის უმცროსი ორდინატორი (1954-56), ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის უფროსი ორდინატორი,

ასისტენტი, დოცენტი (1956-69), თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ინფექციურ დაავადებათა კათედრის გამგე (1969 წლიდან), საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრი (1970-73). სეფსისის სანინააღმდეგო ცენტრის ხელმძღვანელია 1979 წლიდან, საქართველოს პარლამენტის წევრი — 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ზოგიერთი ჰემოდინამიკური მაჩვენებლები ანგინით დაავადებულთა შორის" (1961), სადოქტორო — „ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა სისტემაში, ღვიძლში და სანაღვლე გზებში ანგინისა და ქრონიკული ოტონზალიტის დროს" (1968). არის 326 სამეცნიერო ნაშრომის, 6 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის:„Сепсисология с основами инфекционной патологии" (1988). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1972). არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო (1985), წმინდა ილარიონ ქართველის (1999) პრემიების ლაურეატი, საქართველოს ინფექციონისტთა საზოგადოების თავმჯდომარე, ჟურნალ „სამედიცინო მოამბის" რედაქტორის მოადგილე, საქართველოს კ.გამსახურდიას საზოგადოების პრეზიდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში Dictionary of International Biography.

**ჰობი:** პოეზია.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) ენგურის 3. ბ. 44. თბილისი. ტელ: 98-85-75.*

**მე ვარ მოვალე ქვეყნისა — საქართველოსი — და არა იგი ჩემი. ყოველ კონფლიქტში ვეძებო ჩემი დანაშაული, მუდმივ ვეცადო არ ვიყო სხვისი უბედურების მიზეზი, ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ შესწევს უნარი უხაროდეს სხვისი სიკეთე და სწუხდეს სხვისი გასაჭირის გამო. მე თითქმის ბავშვობიდან ვებრძვი ჩემს თავს და მგონი ვიმარჯვებ (ცოტაღა დარჩა დრო და ვიმედოვნებ, არასოდეს დავნებდები ჩემს ადამიანურ სისუსტეს).**



**ლენგერ ბოჭორიშვილი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. დაიბადა ტყიბულში 1948 წ. 16 სექტემბერს. მშობლები: ქსენია აშოთია, ამბროსი ბოჭორიშვილი; მეუღლე — მარინე ტომარაძე (1954); შვილები: ლევანი (1976), ეკა (1977). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1972). მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში (1975-76), იყო თელავის რ-ნის მოსამართლე (1976-77). უზენაესი სასამართლოს წევრია 1977 წლიდან.

**ჰობი:** ქართული ცეკვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი 380010. ტელ: 93-42-76. (ბინის) ნუცუბიძის პლატო III მ/რ, კვ. 2. კორპ. 9. ბ. 25. თბილისი.*

**სამართლიანობისთვის ბრძოლა, ადამიანური დამოკიდებულება ყველასთან.**



**ირაკლი ბოჭორიძე** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში. დაიბადა თბილისში 1970 წ. 1 იანვარს. მშობლები: მანანა ბოჭორიძე, ნუგზარ ბოჭორიძე; მეუღლე — ხათუნა ნემსაძე (1970); შვილი — გიორგი (1994). დაამთავრა სტუ ჰუმანიტარული (1992) და საავტომობილო-საგზაო (1993) ფაკ-ტები. იყო ფიზიკის ინ-ტის გამოთვლითი ტექნიკის ოპერატორი (1989-91), საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის წამყვანი სპეციალისტი (1992-93), TBC ბანკის განყოფილების უფროსი (1993-1994), სმკ ცენტრალური აპარატის კადრების განყოფილების უფროსი, რეგიონალური დეპარტამენტის თავმჯდომარე (1994-95), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე შიდა ქართლის მხარეში (1995), კასპის რ-ნის გამგებელი (1995-96). არის სმკ წევრი (1993).

**ჰობი:** ცურვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) სტალინის 16, გორი. ტელ: 2-34-29.*

**ათი მცნება.**



**ქეთევან ბოხუა** ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო „იფრინდას" დირექტორი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 13 აპრილს. მშობლები: ეთერ კუჭავა, ჯუმბერ ბოხუა; მეუღლე — კონსტანტინე რიჟამაძე (1973); შვილები: ნუცა (1995), კონსტანტინე (1997). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1982). იყო საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო დეპარტამენტის კორესპონდენტი (1986-90), საინფორმაციო სააგენტო „იფრინდას" დირექტორის მოადგილე (1990-92), პროგრამა „ალიონის" წამყვანი (1994-95). არის ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოების თანათავმჯდომარე.
**ჰობი:** შვილებთან ერთად სეირნობა, მეგობრების და ახლობლების მონახულება.
**მისამართი:** *(სამსახურის)შ.დადიანის 16. თბილისი 380005. ტელ: 99-03-77, 99-91-18. ფაქსი: 98-73-65. ელ-ფოსტა: iprinda@global-erty.net (ბინის) გორგასლის 37, ბ.111. ტელ: 73-31-86.*

**არაფერია იმაზე სწორი და ჭეშმარიტი პრინციპი, ვიდრე ის ათი მცნება და ცხოვრების წესის ქრისტიანული პრინციპები, რაც იესომ დაუტოვა კაცობრიობას. ვცდილობ, დავიცვა ეს პრინციპები და შვილებიც ამგვარად აღვზარდო, თუკი რამეს მივაღწიე, მხოლოდ მათ ვუმადლი.**



**ჯემალ ბჟალავა** მოქანდაკე. დაიბადა მარტვილში 1944წ. 15 დეკემბერს. მშობლები: ვერიკო ციკოლია, გერა (ვასილ) ბჟალავა; მეუღლე — ბელა ფანჩულიძე (1948); შვილები: ნინო (1976), გუბაზი (1993). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1973). არის ავტორი ნამუშევრებისა: "წმინდა ოჯახი" (1970), ნამუშევრების სერია „დარიალის ხეობაში" (ყაზბეგი, 1973-80), "პეტრე იბერი" (1975), "მემატიანე" (1980), "წმ. გიორგი" (1988), "ძელიცხოველი" (1989), "შავი მზე" (საფრანგეთი, 1993), „შენ ხარ ვანახი" (საფრანგეთი, 1993), სერიები: "ანტიკური სამყაროს გმირები" (საფრანგეთი, 1995-96), კელტურ-იბერიული მოტივები (1998-99), კელტური მოტივები (1999) და სხვ. გამართა გამოფენები ბიარიცში (საფრანგეთი, 1993-96), ბაზელში (შვეიცარია, 1996), პარიზში (1998), ანდორაში (1998), ბარსელონაში (1998), კარკასონში (1998), ავსტრალიის საელჩოში (პარიზი, 1999). მონაწილეობდა საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში (1970 წლიდან). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში, საქართველოს საპატრიარქოში, საფრანგეთის, ანდორის, მონაკოს, ესპანეთის კერძო კოლექციებში. მონაწილეობდა ქანდაკების მცხეთის (გრან-პრი, 1989), რუსთავის (1990), უზესის (გრან-პრი, 1992), იტალიის (1994), ესპანეთის (1994) სიმპოზიუმებში, საქართველოს ხელოვნების ფესტივალში (საფრანგეთი, 1998). ამჟამად მუშაობს საფრანგეთში, როგორც თავისუფალი მხატვარი. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1985). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**მისამართი:** *(ბინის) ერეკლე II-ს მოედანი 10, თბილისი. ტელ: 98-91-39.*



**ალექსანდრე ბრეგაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1971 წ. 1 ოქტომბერს. მშობლები: მაყვალა ტორონჯაძე, ანზორ ბრეგაძე; მეუღლე – ნანა ცაგარეიშვილი (1974); შვილი – ბაქარი (1994). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1992). იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს ახალგაზრდობის ქვეკომიტეტის ხელმძღვანელი (1991), ადამიანთმცოდნეობისა და პოლიტოლოგიის ინ-ტის სწავლული მდივანი (1994-96), გაზეთის "Thi Georgian Times" პოლიტიკური მიმომხილველი (1995-97), გაზეთ "ალიონის" მთავარი რედაქტორი. არის დემოკრატიული აღორძინების ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე.
**ჰობი:** ფეხბურთი, მოგზაურობა, კარგი ღვინო.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-65, (899) 57-65-47.*

**ისევე, როგორც, მამაჩემი და ჩემი წინაპრები, უანგაროდ ვემსახურო საქართველოს დამოუკიდებლობას.**

**ბაჩანა ბრეგვაძე** მწერალი, ფილოსოფოსი. დაიბადა ამბროლაურში 1936 წ. 11 თებერვალს. მშობლები: მარიამ თორდუა, იოველ ბრეგვაძე; მეუღლე — ლია იმერლიშვილი (1938); შვილები: ქეთევანი (1966), ანა (1971). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1960). იყო თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ლაბორანტი (1961-66), ქართულ ენციკლოპედიის რედაქციის უფროსი მეცნიერ-რედაქტორი (1966-72). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ბლეზ პასკალი" (1995), სადოქტორო — „პლატონის ნატურფილოსოფია" (1996). არის ავტორი წიგნებისა „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინი", „ბლეზ პასკალი", „მარკუს ავრელიუსი", „მიქელანჯელოს პოეზია", „სოკრატე", „ფსევდო-ლონგინე", „არისტოტელეს პოეტიკა", „ნიკოლო მაკიაველი", "დანტეს ახალი ცხოვრება" (თ.ჩხენკელთან ერთად). არის საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მთარგმნელობითი კოლეგიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. მისი მთავარი თარგმანებია: "ახალი აღთქმა", ბ.პასკალის „აზრები", მ.ავრელიუსის „ფიქრები", სერვანტესის „დონ-კიხოტი", ჰ.იბსენის „დრამები", პ.ვალერის „სულის კრიზისი", ნ.მაკიაველის „მთავარი", ა.შტეკლის „შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია", ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანი", "იტალიური ზღაპრები", ევრიპიდეს "მედეა", ლ.პირანდელოს "ჰენრიხ IV", ა.ბერგსონის "ცნობიერების უშუალო მონაცემები", ს.ვივეკანანდას "ჯნანა იოგა", ა.სენტ-ეგზიუპერის "პატარა უფლისწული", ჯ.ლეოპარდის "დიალოგები", პლატონის "ადრეული დიალოგები", "ფედონი", "ნადიმი", "იონი", "დიდი ჰიპია", "მენონი", წმინდა ოთხთავი — "ოთხი სახარება" (მინიატურული გამოცემა), შ.დილის "ბიზანტიის იმპერიის ისტორია", ა.შოპენჰაუერის "ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმები", ორტეგა ი გასეტის "მასების ამბოხი", "ხელოვნების დეჰუმანიზაცია" და სხვ.

**ჰობი:** ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

**მისამართი:** *(სამსახურის) ლესელიძის 4. თბილისი. ტელ: 93-19-39; (ბინის) ფალიაშვილის 62ა. თბილისი. ტელ: 22-53-22.*

**რწმენა, შრომისმოყვარეობა, ქართული კულტურის სამსახური.**



**გიორგი ბრეგვაძე** გაზეთ „ალიას" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 10 დეკემბერს. მშობლები: ნატო ჯოხაძე, ვლადიმერ ბრეგვაძე; მეუღლე — მადონა ბრეგვაძე (1971); შვილები: ნატო (ტატა) (1991), საბა(1996). დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1986). იყო საშენ მასალათა კომბინატის ჩამომსხმელი მუშა (1980-81), თბილისის 171-ე საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1986-88), გაზეთ „დვრიტას" კორესპონდენტი და გან-ბის გამგე (1990-91), გაზეთ „საქართველოს დამოუკიდებლობის" რედაქტორის მოადგილე (1991), საინფორმაციო სააგენტო „არს-პრესის" დირექტორი (1991), გაზეთის „ალია საქართველოდან" პასუხისმგებელი რედაქტორი (1991-93), მთავარი რედაქტორი (1993-95). გაზეთ „ალიას" გამომცემელი და მთავარი რედაქტორია 1995 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს ნოველები, მოთხრობები და სტატიები.

**ჰობი:** წერა, გაზეთის გამოშვება, იარაღი, სროლა, მოგზაურობა, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, ავტომობილის ტარება, მეუღლესთან და შვილებთან სეირნობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) უზნაძის 14. თბილისი 380002. ტელ: 94-13-11. ფაქსი: 94-11-13.*

**ეცადე მაქსიმალურად იყო სამართლიანი. შეძელი მოუსმინო ყველა მხარეს. იყავი რისკიანი და მშრომელი. დანარჩენი ჯერ კიდევ ჩემთვის მჭირდება!**



**ნანი ბრეგვაძე** მომღერალი, საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე. დაიბადა თბილისში 1936 წ. 21 ივლისს. მშობლები: ოლგა (ცაბუ) მიქელაძე, გიორგი ბრეგვაძე; მეუღლე — მერაბ მამალაძე (1936); შვილი — ეკა (1960). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (ფორტეპიანო,1962). არის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მომღერალი (1959 წლიდან), სსრკ სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მე-6 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი, მიენიჭა „საუკუნის მომღერლის"

ნოდება (1999), გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი (თბილისი, 2000). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო".
**ჰობი:** სიმღერა და სიმარტოვე.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 135. თბილისი. (ბინის) ირ.აბაშიძის 18ა. ტელ: 22-37-22.*



**თამაზ ბუაჩიძე** ფილოსოფოსი, ფილოსოფიის ინ-ტის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ნატალია ცქიტიშვილი, ანდრო ბუაჩიძე; მეუღლე— ირინე რობაქიძე (1929); შვილები: ნატალია (1951), ანდრო (1957). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1953). იყო გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" ლიტმუშაკი (1954-58), განყოფილების გამგე (1958), ფილოსოფიის ინ-ტის ასპირანტი (1958-61), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961-66), სნავლული მდივანი (1966-67), დირექტორის მოადგილე (1967-97). დირექტორია 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ" (1964), სადოქტორო — „თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიის სათავეებთან" (1997). არის ავტორი წიგნებისა: „ჭეშმარიტების ობიექტურობის შესახებ" (1964), „ჰეგელი და ფილოსოფიის არსის პრობლემა" (1976), „ჰეგელი ფილოსოფიის შესახებ" (რუსულ ენაზე, 1981), „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან" (1986), „სიცოცხლის ფილოსოფია" (1991).
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 99-52-62. (ბინის) დიღმის მასივი. VI კვარტ. V კორპ. ბ.22. ტელ: 51-34-88.*

ვცდილობდი, კარგად მომესმინა მეორე ადამიანისათვის, დიდ პატივს ვცემდი მეორე ადამიანის პიროვნებას, ყოველთვის ვიყავი შემწყნარებელი.



**იოსებ (სოსო) ბუაჩიძე** გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინ-ტის საპატიო დირექტორი. დაიბადა სოფელ ფარცხნალში 1907 წ. 2 სექტემბერს. მშობლები: მარიამ უგრეხელიძე, მოსე ბუაჩიძე; მეუღლე — ოლია ნებიერიძე (1906); შვილები: გურამი (1932), ცისანა (1938). დაამთავრა კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინ-ტი (1935). იყო საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ზვარის და მარელისის გეოლოგიური პარტიის ხელმძღვანელი (1931-34), აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საინჟინრო გეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი (1934-38), საქართველოს ჰიდროენერგოპროექტის საინჟინერო-გეოლოგიური განყბის ხელმძღვანელი (1938-42), გეოლოგიური სამმართველოს ექსპედიციის ხელმძღვანელი (1942-48), გეოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1942-51), სპი ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, სპი რექტორი (1958-73), ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინ-ტის დამფუძნებელი და დირექტორი (1975-88), დირექტორთა საბჭოს მრჩეველია 1988 წლიდან, სტუ რექტორის მრჩეველი — 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მდინარე აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის კაშხლის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ" (1946), სადოქტორო — „საქართველოს მიწისქვეშა წყლების გავრცელების კანონზომიერებანი" (1950). გამოქვეყნებული აქვს 18 მონოგრაფია (თანაავტორებთან ერთად), 173 სამეცნიერო სტატია, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური 18 რუკა, 14 სამეცნიერო და 272 სამეცნიერო-საველე ანგარიში. არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საქართველოს საინჟინრო გეოლოგიური საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი (1980). დაჯილდოებულია მედლით „კავკასიის დაცვისათვის (1941), ლენინის სამი ორდენით (1966, 1971, 1981), საქართველოს ღირსების ორდენით (1997).
**ჰობი:** ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ინ-ტი, სოფ. დიღომი. ტელ: 52-70-39. (ბინის) ძმები კაკაბაძეების 9, თბილისი 380008, ტელ: 99-09-91.*

**ჩემი ცხოვრებისეული კრედო, როგორც სპეციალისტისა, იმაში მდგომარეობდა, რომ ღრმა მეცნიერული განათლების მიღების შემდეგ არსებითი წვლილი შემეტანა საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიური შესწავლის საქმეში და მისი შედეგი მომეხმარებინა ჩვენი ქვეყნის ნორმალური განვითარებისა და აყვავებისათვის, ხოლო უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელის — რექტორის, პოზიციიდან ყველა შესაძლო ღონე მეხმარა ჩვენი ახალგაზრდობის თანამედროვე მაღალ დონეზე აღზრდისათვის ჩვენი პედაგოგიური კოლექტივის დახმარებით და ძალისხმევით.**



**ელგუჯა ბურდული** კინომსახიობი. დაიბადა თბილისში 1941 წ. მშობლები: ოლია კოტრიკაძე, ლადო ბურდული; მეუღლე — ინეზა აბესაძე (1940); შვილები: ლადო (1964), მაია (1965), ბაკური (1975). სწავლობდა სპი სამშენებლო ფაკულტეტზე. იყო მაშველი თბილისის ზღვაზე (1958-59), საქართველოს სახ. ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი (1961-64), აგს ოპერატორი (1964-84). კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობია 1984 წლიდან. შესრულებული აქვს 50-მდე ეპიზოდური და მთავარი როლი ფილმებში: „ბელურების გადაფრენა" (1977), „მაცგი" (1979), „მოცურავე" (1980), „მოქცევა" (1982), „სიბრძნის კარავი" (1982), „ლოცვა" (უნგრეთი, 1983), „გარიგება" (რუსეთი, 1984), „უძინართა მზე" (1992) და სხვ; ასევე როლები ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, უკრაინის, გერმანიის კინოსტუდიების ფილმებში. არის სიონის საკათედრო ტაძრის სტიქაროსანი (1991 წლიდან). მიღებული აქვს დსთ-ის ქვეყნების კინოფესტივალ „Созвездие"-ს მთავარი პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „უძინართა მზე" (1992), მოსკოვის კინოაკადემიის მთავარი პრიზი — „ნიკა" მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის (1993), „საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავის" აღნიშვნაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის დაჯილდოებულია საქრთველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელით (2000). არის საქართველოს და რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი, მონადირეთა კავშირის და საზოგადოება „არაგველის" გამგეობის წევრი.

**ჰობი:** ცხენოსნობა, ჰოკეი, ფოტონადირობა, ცურვა, სირბილი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 10. თბილისი, 380059.*

**თავის უფალი, მართლმადიდებლური, ერთიანი — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე — საქართველო.**



**პაატა ბურჭულაძე** მომღერალი, შ.რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1955 წ. 12 თებერვალს. მშობლები: ნუნუ ჭანტურიძე, შალვა ბურჭულაძე; შვილები: შუქრი (1974), ლექსო (1984). დაამთავრა სპი საამშენებლო ფაკ-ტი (1977), თბილისის სახ. კონსერვატორიის ვოკალური განყოფილება (1977). იყო "ლა-სკალას" სტაჟიორი. მისი დებიუტი შესდგა თბილისის ოპერის და ბალეტის თეატრში (გუნო, „ფაუსტი" მეფისტოფელის პარტია, 1976). მღეროდა რომის საოპერო, ლონდონის „კოვენტგარდენის", ჰამბურგის საოპერო, მიუნჰენის, მილანის „ლა-სკალას", „არენა დი ვერონას" (იტალია), ვენის „შტადტსოპერნის", ზალცბურგის, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენოპერას", ისრაელის, შტუტგარტის "შტატთეატერის", ბარსელონას, ლოზანას (შვეიცარია), სანფრანცისკოს, ფილადელფიის, ბათუმისა და ქუთაისის საოპერო თეატრების სცენებზე. ასრულებდა პარტიებს ოპერებში: „დონ-ჟუანი" (ლეპორელო და კომანდორი), „აიდა" (რამფისი), „ნაბუკო" (ზაქაროს), „ლომბარდიელები" (პაგანო), „მაკბეტი" (ბანკო), „დონ-კარლოსი" (ფილიპო), „ატილა" (ატილა), „ბორის გოდუნოვი" (ბორისი), „ხოვანშჩინა" (დოსიფეის), „ევგენი ონეგინი" (გრემინი) „იოლანტა" (რენე), „სევილიელი დალაქი" (დონ-ბაზილო), „ცეცხლოვანი ანგელოზი" (ინკვიზიტორი), „თავადი იგორი" (კონჩაკი), „მთვარის მოტაცება" (ბაბუა ტარიელი) და ა. შ. არის ბუსეტოს „ვერდის ხმების" (1981), პ.ჩაიკოვსკის (1982), მ.კალასის (მიუნჰენი), პავაროტის კონკურსების ლაურეატი; ი.გოგებაშვილის, ზ.ფალიაშვილის პრემიების

ლაურეატი. ღირსების ორდენის კავალერი, ავსტრიის, გერმანიის და შვეიცარიის "კამერზინგერი" (სახალხო არტისტი, 1998), ფილადელფიის, ათენის, ქუთაისის, ნალკის, ოდესის საპატიო მოქალაქე. რუსული მუსიკის პოპულარიზაციისთვის რუსეთის „პიროვნების პალატამ" და მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიანიჭეს თავადის წოდება (1997). მისი ბიოგრაფია გამოქვეყნებულია ცნობარში: „Noveau Dictionnaire des Chanteurs D`Opera" (du17-e ciecle a nos jours,Albatros)".
**ჰობი:** ნადირობა, თევზაობა.
**მისამართი:** *(ბინის) გამსახურდიას 3, თბილისი. ტელ: 38-21-23.*



**ანზორ ბურჯანაძე** სააქციო საზოგადოება „საქართველოს პურპროდუქტების" პრეზიდენტი. დაიბადა სოფ. ორბელში (ცაგერის რ-ნი) 1933 წ. 12 მარტს. მშობლები: ნინა სალარაძე, ვიქტორ ბურჯანაძე; მეუღლე — თინა მორჩაძე; შვილი — ნინო (1964). დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1957). იყო ვარციხის საბჭოთა მეურნეობის მუშა (1951-53), ქუთაისის პედაგოგიური ინ-ტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1956-60), ქუთაისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის I მდივანი (1960-63), ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილე (1966-73), კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგე, თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი (1973-85), ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე (1985-91), ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე (1992-93), პურპროდუქტების კორპორაციის პრეზიდენტი (1993-96). „საქართველოს პურპროდუქტების" პრეზიდენტია 1996 წლიდან. დაჯილდოებულია 2 მედლით და 3 ორდენით, მათ შორის ღირსების ორდენით (1998).
**ჰობი:** თეატრი, იარაღი.
**მისამართი:** *(სამსახურის) გენერალ გულუას 6. თბილისი. ტელ: 93-69-43. (ბინის) ენგურის 3. თბილისი.*

**მეგობრის დაფასება, სიტყვის არგატეხვა, ადამიანების დაფასება და პატივისცემა, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობა, ოჯახისა და ქვეყნის უდიდესი სიყვარული, ერთგულება იმ ადამიანებისა და იმ საქმისა, რომლისაც მწამს.**



**გიორგი (გია) ბურჯანაძე** მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 3 მაისს. მშობლები: მზია პაპელიშვილი, თენგიზ ბურჯანაძე; მეუღლე — ნინო ვაჩნაძე (1959); შვილი — რუსუდანი (1987). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1981) და კინოსარეჟისორო (1995) ფაკ-ტები. იყო კინომსახიობთა თეატრის (1979-81), ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის (1984-85) მსახიობი. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1981 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ოთარაანთ ქვრივი", „ანა კარენინა", „შენსკენ სავალი გზები", „გრაალის მცველნი", „მეფე ლირი", „დიდოსტატის მარჯვენა", „მედეა", „სამი და", „სალომეა", „სასიყვარულო ბარათები"; ფილმებში: „წიგნი ფიცისა", „თეთრი ბაირაღები", „დუბროვსკი", „პრემიერა". არის მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.
**ჰობი:** ცხენოსნობა, მთამსვლელობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) თარხნიშვილის 18. თბილისი 380079. ტელ: 22-16-54.*

**არასოდეს არ დაკმაყოფილდე გაკეთებულით. „გუშინ არ არსებობს, არსებობს მხოლოდ დღეს". ყოველ ახალ როლზე ისე უნდა დაიწყო მუშაობა, თითქოს პირველია შენს ცხოვრებაში, ხოლო ყოველი გასვლა სცენაზე, მნიშვნელოვანი როლი იქნება თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი, ისე უნდა იყოს ნათამაშები, თითქოს უკანასკნელ სპექტაკლს თამაშობ ცხოვრებაში. თითოეული მაყურებელი უნდა გრძნობდეს, რომ დღევანდელი სპექტაკლი მას მიუძღვენი.**



**ნინო ბურჯანაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა ქუთაისში 1964 წ. 16 ივლისს. მშობლები: თინა მორჩაძე,

ანზორ ბურჯანაძე; მეუღლე — ბადრი ბიწაძე (1960); შვილები: ანზორი (1985), რეზიკო (1993). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1968), მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურა (1990). იყო პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის ექსპერტი-კონსულტანტი (1992-95), პარლამენტის წევრი, საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1995-98), თავმჯდომარე (1998-99), ეუთოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე (2000 წლიდან), თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკ-ტის დოცენტი (1990 წლიდან). არის ახალგაზრდა იურისტთა კავშირის წევრი, რუსეთის საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო საზღვაო სამართლის ასოციაციათა წევრი, აშშ საერთაშორისო სამართლის ასოციაციის წევრი. მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში მალტაზე (1992), იაპონიაში (1995), გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის 31-ე სემინარის მუშაობაში (ჟენევა 1996). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ახალი ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციათა იურიდიული ბუნება და სამართლებრივი მდგომარეობა“ (1991). არის 20-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი.
**ჰობი:** ყვავილები, თეატრი, კლასიკური მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-96-83. ფაქსი: 92-24-09.*

**ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ერთგულება, გულწრფელობა, გულისხმიერება და პრინციპულობა. ჩემი მიზანია ვიცხოვრო ისე, რომ ჩემი ხალხის, ჩემი შვილების წინაშე ამაყი და ვალმოხდილი ვიყო.**



**გიორგი (გია) ბუღაძე** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: დალი ჭანტურია, უშანგი ბუღაძე; მეუღლე — ანა კლდიაშვილი (1956); შვილები: ლაშა (1977), ნინო (1988). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1981). იყო სოფ. გლდანის საშუალო სკოლის ხატვა-ხაზვის მასწავლებელი (1981-85), თბილისის ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი (1986-91), თსსა ექსპერიმენტული კურსის ხელმძღვანელი (1991-94), თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის სცენოგრაფიის კურსის დოცენტი (1993-96), საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, ახალგაზრდული გაერთიანების თავმჯდომარე (1987-96). აქტიურად თანამშრომლობს პრესასა და რადიოსთან; არის სატელევიზიო საავტორო გადაცემა „იეროგლიფის“ (I არხი) წამყვანი (1998 წლიდან). არის ავტორი წიგნებისა: „ფიქრები წარმავალზე“ (1994), „დიალოგები მონოლოგიდან“ (2000). გააფორმა მხატვრული ფილმები: „სარკმელი“ (რეჟ. ბ.მარგველაშვილი, 1986), „ქრისტეს სამსჭვალი“ (რეჟ. დ.გოგუაძე, 1989), „იავნანა“ (რეჟ. ნ.ჯანელიძე, 1992). მოხატა მარტინ ლუთერ კინგის სახელობის ლუთერანული ეკლესია ბერლინში (1989), წმ.ნინოს სახელობის ქართული ეკლესია პარიზში (1990), გააფორმა GIOC-ის ოფისი თბილისში (1998), გააფორმა და მოხატა იტალიური სახლი თბილისში (2000), თსუ სამკითხველო დარბაზის გუმბათი, თბილისის მერიის ფოიე, თსუ საკონფერენციო დარბაზი, პარლამენტის მეფეთა დარბაზი (2001). არის მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და გამოფენის მონაწილე: „რომანტიული ალუზიები“ (თბილისი, 1983), „ქართლის ცხოვრება“ (თბილისი, 1985), ქართველ ნეორომანტიკოსთა გამოფენა (პალერმო, 1987), ბერლინში (1989), პარიზში, კანში, ბარსელონაში, მოსკოვში (1990), ციურიხში, კიოლნში, დენვერში (1991), ინგოლშტატში, ბოზაგოში, კიოლნში (1993), „მე და ბიოკლინი“ (ბაზელი, 1994), „აპოლონური ტრაგედიები“, „ანამორფოზები“ (თბილისი, 1995), „პარაკლეტოსი“ (ნუგეშისმცემელი, თბილისი, 1998). არის საერთაშორისო პროექტის „ ხატი და შემეცნება“ ავტორი (შვეიცარია-საქართველო, 1997), საქართველოს მხატვართა კავშირის (1985), ი.გოგებაშვილის (1994) პრემიების ლაურეატი; მიღებული აქვს საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი (კანი,1990), ანტონ I-ის სახელობის ოქროს მედალი (1996), ივ.ჯავახიშვილის სახელობის მედალი (2001). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who`s Who in the World (IBC).
**მისამართი:** *(სამსახურის) ნუცუბიძის II პლატო, V კორპ. სტუდია-სახელოსნო. ტელ: 32-80 -95. (ბინის) ინგოროყვას 14. თბილისი 380008. ტელ: 93-34-50.*

თავდაუზოგავად მიყვარდეს, ვისწავლო რაც შეიძლება მეტი, რომ ეს ცოდნა სხვასაც გავუწაწილო. ბოლომდე გამოვთქვა ის, რასაც ვგრძნობ, რაც შინაგანად გამაჩნია; ადამიანებს ვემსახურო და მათ მარადიული ფასეულობების მნიშვნელობები წარმოვუჩინო. მთავარია, გიყვარდეს და ამ სიყვარულით იშრომო, ამიტომ ვოცნებობ მოვკვდე სიყვარულით სავსე, ბედნიერ ადამიანად, შესრულებული მოვალეობის შეგნებით.



**ლაშა ბუღაძე** მწერალი, დრამატურგი. დაიბადა თბილისში 1977 წ. 16 ნოემბერს. მშობლები: მაია შარითაძე, გია ბუღაძე. დაამთავრა საქართველოს სახ. თეატრალური ინ-ტის კინოდრამატურგიის ფაკ-ტი (ე.ახვლედიანის სახელოსნო, 1999). არის ავტორი წიგნებისა: „ყუთი", „საუკუნის მკვლელობა" („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"), პიესებისა: „ოთარი" (1997, თეატრალური სარდაფი, რეჟ. დ.საყვარელიძე, 1998), „ის სკამი და აი, ეს საწოლი", „ბალიში" (1999, „თეატრალური სარდაფი", რეჟ. ო.ეგაძე, 1999), „დოქტორი ფრანკენშტეინი" (თანაავტორი და რეჟ. დ.საყვარელიძე, 1999. მარჯანიშვილის თეატრი, 2000) და სხვ. მისი ნაწარმოებები იბეჭდება ქართულ პერიოდიკაში 1997 წლიდან. გამართა გრაფიკული ნამუშევრების ორი პერსონალური გამოფენა თბილისსა (1994) და ბაზელში (1995). არის გაბროვოს კარიკატურისტთა ფესტივალის გამარჯვებული (I პრემია, 1988).
**ჰობი:** ოპერა, კლასიკური მუსიკის (ოპერების) კომპაქტ-დისკების კოლექციონირება.
**მისამართი:** *(ბინის) ჭავჭავაძის 51. თბილისი 380079. ტელ: 29-05-92.*

**ძიება, ძიება და ძიება.**



**კობა ბუჩუკური** საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის მხარეში. დაიბადა 1958 წ. 1 სექტემბერს სოფ. ფასანაურში (დუშეთის რ-ნი). მშობლები: ნინო კობაიძე, მათე ბუჩუკური; მეუღლე — მარინე მოლოდინი (1958); შვილები: ნინო (1994), ცოტნე (1996), გიორგი (1996). დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1985). იყო პედაგოგიური ინ-ტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, მდივანი (1983-85), სოფ. ლაფანაანთკარის სკოლის მასწავლებელი (1985-86), დუშეთის რ-ნის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, კომკავშირის დუშეთის რაიკომის I მდივანი (1985-89), კომპარტიის დუშეთის რაიკომის I მდივანი (1989-90), საწარმო „არაგვის" დირექტორი (1990-94), დუშეთის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე (1994-98). საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულია მცხეთა-მთიანეთის მხარეში 1998 წლიდან. არის მოქალაქეთა კავშირის წევრი (1993).
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 73, მცხეთა. ტელ: 99-30-40, 95-78-44. (ბინის) სტალინის 4, ბ. 5. დუშეთი. ტელ: 2-26-91.*

**სიკეთე, კაცთმოყვარეობა, მეგობრების მიმართ ულალატობა. სამშობლო უპირველეს ყოვლისა**



**ვახტანგ ბუცხრიკიძე** "TBC-ბანკის" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1970 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: როენა ელბაქიძე, თენგიზ ბუცხრიკიძე. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1992). იყო ეკონომიკის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1992-93), საქართველოს ფინანსთა მინისტრის თანაშემწე (1993), „TBC-ბანკის" საკრედიტო განყ-ბის მენეჯერი (1993-94), გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1994-95), გამგეობის თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი (1995-2001). გამოქვეყნებული აქვს სტატიები პრესაში. დასახელდა 2000 წლის 10 საუკეთესო ქართველ ბიზნესმენს შორის.
**ჰობი:** სამთო-სათხილამურო სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 11. თბილისი 380079. ტელ: 22-06-61. ფაქსი: 22-04-06.*

**ცოდნის გაღრმავების სურვილი, პროფესიონალიზმის ამაღლება, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მეგობრული წრის არსებობა.**

# გ



**თამარ გაბარაშვილი** მუსიკოსი, კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 22 ივლისს. მშობლები: ბუდა გაბარაშვილი, ბორის გაბარაშვილი; მეუღლე — ირაკლი ხომერიკი (1936); დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორია (1962), ასპირანტურა (1966) ვიოლონჩელის სპეციალობით (ხელმძღვანელი მ. როსტროპოვიჩი). იყო მოსკონცერტის სოლისტი (1966-90); თბილისის სახ. კონსერვატორიის პედაგოგი, დოცენტი (1986-91). პროფესორია 1991 წლიდან, კათედრის გამგე — 1986 წლიდან. არის მუსიკოს-შემსრულებელთა ჰელსინკის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული, ოქროს მედლის მფლობელი (1962), ბუდაპეშტის პაბლო კაზალსის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1963), პ. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (1966), საქართველოს დამსახურებული არტისტი (1968), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1995), ღირსების ორდენის კავალერი (1999), ლაიფციგის უნივერსიტეტის სენატის საპატიო წევრი (1999). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე და ცნობარში „The International Who's Who of Women"

**ჰობი:** ქსოვა, კულინარია.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი 380004. ტელ: 99-91-44. ფაქსი: 98-71-87. ელ-ფოსტა: buniaga@fable7.ge (ბინის) ლარსის 2. თბილისი. ტელ: 22-64-20.*

**დავიბადე მუსიკოსის ოჯახში, რამაც განაპირობა ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში — მუსიკის უდიდესი სიყვარული და ყოველდღიური შრომა თვითგამოხატვისათვის... მუსიკა და მუსიკა, დანარჩენი ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ჩემი მუდმივი მიზანი გახლდათ — სრული გულწრფელობა შესრულებაში. ასევე იქნება მუდამ.**



**კონსტანტინე გაბაშვილი** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დაიბადა თბილისში 1948 წ. 26 სექტემბერს. მშობლები: ზეინაბ გაბაშვილი (მოდებაძე), ვლადიმერ გაბაშვილი; მეუღლე — მანანა ხელაია-გაბაშვილი (1950); შვილები: ლადო (1972), გიორგი (1973). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის სემიტოლოგიის განყოფილება (1971). იყო თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ასპირანტი, უმცროსი და უფროსი მეცნიერთანამშრომელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1971-93), განათლების მინისტრის მოადგილე (1989-91), საკონსულტაციო საბჭოს, სახელმწიფო საბჭოს, პარლამენტის წევრი, პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარე (1992), განათლების მინისტრი (1992-93), თბილისის მერი (1993). საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია 1993 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სემანტიკური კვლევის საკითხები" (1975). არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიცისტური წერილის ავტორი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who in der Bundesrepublik Deutschland (5 Ausgabe, 1998, Schweiz).

**ჰობი:** ლიტერატურა, კლასიკური მუსიკა, კლასიკური ჯაზი, ხალხური მუსიკა, სპორტი (ფეხბურთი).

**მისამართი:** *(სამსახურის) Am kuhrpark 6, 53177 Bonn, BRD. ტელ: 957510. ფაქსი: 9575120.*

**სამშობლოს უანგარო სიყვარული, საქართველოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიული განვითარების სამსახური, ქართული თვითმყოფადობის განვითარების, საქართველოს დასავლურ სამყაროში ინტეგრაციის, ევროპული საქართველოს აღმშენებლობის, უმაღლესი ეთიკური კატეგორიების სამსახური; ადამიანური ურთიერთობების მუდმივი გაუმჯობესება.**



**ქეთევან გაბელაია** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1957 წ. 23 ივნისს. მშობლები: ლოლა ჯანელიძე, სერგო გაბელაია. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1982). იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1982-91), თბილისის ისნის რ-ნის მოსამართლე (1991-98). გამოქვეყნებული აქვს სტატია — „დემოგრაფიული პროცესების სამართლებრივი ასპექტები".
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32 თბილისი 380010. (ბინის) გამსახურდიას 6. ბ. 12. თბილისი. ტელ: 33-01-25.*
**ვცდილობ ყოველთვის ვილაპარაკო სიმართლე; ვაფასებ ადამიანს, რომელიც არ იტყუება; ვცდილობ ადამიანებთან ურთიერთობაში ვიყო მართალი.**



**იური გაბისონია** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი. დაიბადა სოფ. კურზუში (მარტვილის რ-ნი) 1948 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: ცუცა ნაჭყებია, ვლადიმერ გაბისონია; მეუღლე – მარინე ამაშუკელი (1950); შვილები: ზვიადი (1976), თამარი (1980). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1972), ასპირანტურა (1987). იყო პროკურატურის ორგანოების გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე, რაიონის პროკურორი, საქართველოს გენერალური პროკურატურის განყ-ბის პროკურორი, უფროსი პროკურორი, განყ-ბის უფროსის მოადგილე, უფროსი (1972-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "პროკურატურის სტატუსის ძირითადი კონცეპტუალური საკითხები (შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა)" (1999). არის დოცენტი (1999), 40-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიებისა: „პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში" (1999), „მოკვლევისა და გამოძიების საპროცესო დოკუმენტების ნიმუშები" (პროფ. ა.ფალიაშვილთან ერთად, 2001), „სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა სასამართლოში" (გამომცემლობა „მერიდიანი", 2001); კავშირი "საქართველოს მოსამართლეების" წევრი (1999).
**ჰობი:** წიგნის კითხვა, ბაღ-ვენახის მოვლა, მოყვასთა დახმარება.
*მისამართი: (სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-15. (ბინის) დოლიძის 28, ბ. 84, თბილისი. ტელ: 33-46-86.*
**ნამუსიანობა, სამართლიანობა, ჯანსაღი ნაციონალიზმი, შეზავებული ქართული ტოლერანტობის საოცარ ფენომენთან, შრომისმოყვარეობა, სიკეთის მაქსიმალურად თესვა. სამწუხაროდ, ახალგაზრდობის ჯეროვანი ხელშეწყობა და ასპარეზი არ მქონია... სიკეთის კეთების შესაძლებლობაც ძალზე შეზღუდული მაქვს, რაც ყველაზე მეტად მტანჯავს.**



**რევაზ (რეზო) გაბრიაძე** დრამატურგი, მწერალი, რეჟისორი, მხატვარი, თბილისის მარიონეტების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა ქუთაისში 1936 წ. 29 ივნისს. მშობლები: სოფიო გურეშიძე, ლევან გაბრიაძე; მეუღლე — ელენე ჯაფარიძე; შვილები: ლევანი, ანა. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1964), მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები (1967). მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" (1974-80); იყო რუსეთის ცენტრალური თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი (1995); არის თბილისის მარიონეტების თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1981). არის ავტორი კინოსცენარებისა: „არაჩვეულებრივი გამოფენა", რეჟ. ე.შენგელაია (1968), „არ დაიდარდო", რეჟ. გ.დანელია (1968), „ბურთი, ხელთათმანი და კაპიტანი" (გ.ჩარკვიანთან ერთად, 1969), „თეთრი ქვები" (1972), „ქვევრი" (1970), „შერეკილები" (1973), „სიყვარულით ძალსა შენსა" (1975), „ხანძარი, სიყვარული და პომპიერო" (გ.პატარაიასთან ერთად, 1976), „მიმინო" (1977) და სხვა, მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმების ციკლისა „გზა" (1974-78). რეჟ. დარსაველიძესთან ერთად გადაიღო ფილმები: „კავკასიური რომანსი" (1975), „ლიმონის ტორტი" (1977), „მწვერვალთა დამპყრობნი" (1977), რეჟ.თოფურიასთან ერთად თოჯინური ფილმი „კოჯრის ტყის სიზმრები" (1978). არის ავტორი პიესებისა: „ფეოლა", „ხანუმა პარიზში"; საკუთარი პიესების

მიხედვით მარიონეტების თეატრში დადგმული სპექტაკლები: „ალფრედი და ვიოლეტა" (1981), „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი" (1982), „ჩვენი გაზაფხულის შემოდგომა" (1983), „სტალინგრადის ბრძოლა" (1996). არის საქართველოს სახალხო არტისტი (1987), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
**მისამართი:** *(სამსახურის) შავთელის 26. თბილისი 380026. მარიონეტების თეატრი.*



**გურანდა გაბუნია** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 26 აგვისტოს. მშობლები: თამარ მაკარაშვილი, გიორგი გაბუნია; მეუღლე — ოთარ მეღვინეთუხუცესი (1932); შვილი — მარიამი (1969). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1961). იყო რუსთაველის (1961-62, 1967-70), სანკულტურის (1962-64), რუსთავის დრამატული (1970-75) თეატრების მსახიობი, სუხიშვილის ანსამბლის მოცეკვავე (1964-67). მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1975 წლიდან. შესრულებული აქვს როლები სპექტაკლებსა და კინოფილმებში: „სირანო დე ბერჟერაკი", „100 წლის შემდეგ", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", „პროვინციული ამბავი", „პრემიერა", „რომულუს დიდი", „ყბედი თუთიყუში", „ლურჯი ურჩხული", „ანტონიოსი და კლეოპატრა", „მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია", „შიში", „ერთი ცის ქვეშ" (რეჟ. ლ.ღოღობერიძე), „დრო ინურება განთიადზე" (რეჟ. ნენოვა, ნულაია), „შემთხვევა ავტობუსში" (რეჟ. ნ.მჭედლიძე), „მე ვხედავ მზეს" (რეჟ. ლ.ღოღობერიძე); „გზის დასაწყისი", „დღეს ღამე უთენებია", „ორომტრიალი", „აურზაური სალხინეთში", „მზე შემოდგომისა", „ეკიპაჟი", „ძვირფასო M", ტელესერიალში „ძილის წინ" და სხვა. ორგზის იყო აღიარებული წლის საუკეთესო მსახიობად („პროვინციული ამბავი", „შიში"). არის ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ვერცხლის მედლის მფლობელი (ცეკვა, 1975). არის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი, მოძრაობა „თეთრი მანდილის" თავმჯდომარის მოადგილე, ფოთის საპატიო მოქალაქე (1997), ღირსების ორდენის კავალერი (1998).
**ჰობი:** ცეკვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის თეატრი. მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) ალმაშენებლის 86/90, ბ.27. თბილისი. ტელ: 95-57-51.*

**ორივე მშობლები მსახიობები იყვნენ (მამა რეჟისორი) და ალბათ ამან განაპირობა ჩემი უსაზღვრო სიყვარული თეატრის მიმართ. სადაც სიყვარულია, იქ ერთგულებაც არის — ეს პროფესიონალიზმის ძირითად ნიშნად მიმაჩნია და ეს თვისება ამშვენებს ადამიანს ნებისმიერი მიმართებით. გაჭირვებულ ადამიანს გულგრილად ვერ ვუყურებ, რაღაც მიბიძგებს მის გვერდზე ვიყო და გასაჭირი შევუმსუბუქო. ამაში იუმორი ძალიან მეხმარება. მიყვარს ადამიანები და მათთან ყოფნა. მარტოობას ვერ ვიტან. არ მიყვარს ჩემი უბედურების სხვისთვის თავზე მოხვევა. ქვეყნის საფიქრალი და დარდი მეც მეხება და სოხუმი კი ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია.**



**†ლეო გაბუნია** პალეონტოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი. დაიბადა ირკუტსკში 1920 წ. 13 სექტემბერს. მშობლები: ნადეჟდა დუმბაძე, კალისტრატე გაბუნია; მეუღლე — ლილი ასათიანი (1922); შვილები: სალომე (1951), ვახტანგი (1952), მზია (1957), გიორგი (1959). დაამთავრა სპი (1943). იყო გეოლოგიისა და მინერალოგიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1947-50); თსუ პროფესორი (1975 წლიდან); პალეობიოლოგიის ინ-ტის ხერხემლიანთა პალეობიოლოგიის განყოფილების გამგე (1957-76); პალეობიოლოგიის ინ-ტის დირექტორი (1976-88); მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1976-88); პალეობიოლოგიის ინ-ტის საპატიო დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი აკადემიკოს-მდივანი (1988 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დასავლეთ საქართველოს პლიოცენურ მოლუსკურ ფაუნათა პარალელიზაცია" (1947), სადოქტორო — „ჰიპარიონების ისტორია" (საბჭოთა კავშირის ნეოგენის მასალების მიხედვით,1954). არის 241 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი გამოკვლევები გამოქვეყნებულია საფრანგეთის, ესპანე-

თის, იტალიის, აშშ, გერმანიის, ჩინეთის პერიოდულ გამოცემებში. არის ავტორი წიგნებისა: „დინოზავრების ნაკვალევი" (1958); „ჰიპარიონების ისტორია" (1959); „ბენარის ოლიგოცენურ ხერხემლიანთა ფაუნა" (1964); „ძველი ქვეწარმავლებისა და ძუძუმწოვრების ამოწყდომა" (1969); „ბელომეჩეტკის ჩოკრაკულ ძუძუმწოვართა ფაუნა" (1974); „ლუი დოლო" (1976), და სხვ. მისი ხელმძღვანელობით დმანისში აღმოჩენილია მნიშვნელოვანი პალეოანთროპოლოგიური მასალა (2000). მიღებული აქვს მოსკოვის საბუნებისმეტყველო საზოგადოების პრემია (1966); საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის" საპატიო დიპლომი (1976), ფრანგული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილის გამო არჩეულია საფრანგეთის პალმის ორდენის ოფიცრად (1999). იყო საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი (1977-88), რუსეთის ტერიოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, აშშ-ის ხერხემლიანთა პალეონტოლოგიისა და საქართველოსა და უცხოეთის მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი; ადამიანის პალეონტოლოგიის საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და საბჭოს წევრი (1982); ჟურნალების „ევოლუციური მოძღვრება" (ჩიკაგო), „პალეონტოლოგიური ჟურნალი" (მოსკოვი), ქართული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიების წევრი. სამეცნიერო-პოპულარული სერიის „ათინათის" რედაქტორი, იუნესკოს საერთაშორისო პროგრამების „ადამიანი და ბიოსფერო" ეროვნული კომიტეტისა და თბილისის „ალიანს ფრანსეზის" პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „ბიოლოგები" (კიევი, 1984); „გეოლოგები და გეოგრაფები" (კიევი 1985).

**ჰობი:** მუსიკა, მხატვრობა, ჭადრაკი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი 380008. ტელ: 99-89-61. ფაქსი: 99-88-23. (ბინის) სულხან-საბას 9. თბილისი. ტელ: 99-80-97.*

**შრომისმოყვარეობა და შემოქმედებითი შრომისკენ სწრაფვა. მეცნიერებისა და სამშობლოს სამსახური, სამშობლოს სიყვარული, ოჯახის ერთგულება; ძალადობის ყოველგვარი გამოვლინების სასტიკი სიძულვილი, შეურიგებლობა**

**ზურაბ გაგნიძე** მუსიკოსი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: ზაზა (ზაირა) ლებანიძე, ჯემალ გაგნიძე; მეუღლე — მანანა თურმანიძე (1960); შვილები: ნატალია (1982), კახი (1990). დაამთავრა სპი (1980), ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინ-ტი (1993). იყო სპი ლაბორანტი (1980-84), უფროსი პროგრამისტი (1984-94), ჯაზ-ჯგუფ „ადიოს" წევრი (1989-97), რუსთაველის თეატრის სტუდიის მუსიკოსი (1992-93), ჯგუფ „ჯაზ+ჯაზის" წევრი (1992-93), ჯგუფ „შინის" ბასისტი, მომღერალი და კომპოზიტორია 1997 წლიდან. არის Godin Guitars-ის (კანადა) და Blue Chip Music Technology-ს (გერმანია) პერფომერ-წარმომადგენელი საქართველოში (1997 წლიდან). მუსიკალურად გააფორმა (თავად შეასრულა) სპექტაკლები: „ცხოვრება სიზმარია", „სეჩუანელი კეთილი კაცი" (რეჟ. რ.სტურუა), „პალატა N6" (დ.ანდღულაძე), „ესსე ფემინა" (ნ.გაგნიძე). გამოუშვა კომპაქტ-დისკი „შინ" ჯგუფ „ადიოსთან" ერთად (1995), კომპაქტ-დისკი „იკარუსი" ჯგუფ „სავანთან" ერთად (1998). არის „ლიგა-96"-ის საუკეთესო ჯაზშემსრულებელი „ადიოსთან" ერთად, 10 ევროპული მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი, ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების წევრი (1992-97).

**ჰობი:** საკრეისერო იახტები.

**მისამართი:** *(სამსახურის) Rohracker str. 15. Bad Rappenau. 74906 BDR. ტელ: 264-40-04.*

**სიცრუე — არა!**



**კახა გაგოშაშვილი** ბიზნესმენი, შპს „ვობის" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 8 ოქტომბერს. მშობლები: მერი ლომაძე, შოთა გაგოშაშვილი; მეუღლე — ნანა ფანცულაია (1958); შვილები: მარიამი (1984), შოთა (1986). დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ბიოლოგიის ფაკ-ტი (1976). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის (1977-85) და ნევროლოგიის ინ-ტის (1985-87) მეცნიერ-თანამშრომელი, სამედიცინო ფირმა „ბი-

ოტრონის" თანადამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი (1987-92). შპს „ვობის" პრეზიდენტია 1993 წლიდან. შპს „ვობის" პროდუქცია საერთაშორისო გამოფენა-კონკურსებზე დაჯილდოვდა 5 ოქროს (ზამთრის არაყი „რუსთავი", საიუბილეო არაყი „რუსთავი-50"), 1 ვერცხლის (კლასიკური არაყი „რუსთავი") და 2 ბრინჯაოს (კლასიკური არაყი „რუსთავი", მითიური არაყი „ვობი") მედლებითა და საპატიო დიპლომებით (1997-2000). არის პოლიტიკური მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრი (1997).
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) ჯავახიშვილის 2. რუსთავი 383040. ტელ: 29-46-63. ფაქსი: 22-19-65. (ბინის) გოგებაშვილის 52. თბილისი 380079. ტელ: 22-70-90.*

**გამბედაობა, საქმის სიყვარული, მომავლის რწმენა და მხიარული განწყობილება.**



**დავით გაგოშიძე** ამბროლაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. პირველ ტოლაში (ამბროლაურის რ-ნი) 1957 წ. 15 მაისს. მშობლები: ლამარა ლომთაძე, ჟუჟულო გაგოშიძე; მეუღლე — ამალია დოხნაძე (1959); შვილები: გიორგი (1993), ეკატერინე (1994). დაამთავრა სპი მექანიკის ფაკ-ტი (1981). იყო საავტომობილო გზების სამინისტროს ტექნიკოსი, ინჟინერი, ინჟინერ-გეოდეზისტი (1977-82), ამბროლაურის მე-10 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს მშენებელი ოსტატი, სამუშაოთა მწარმოებელი, უბნის უფროსი, სამმართველოს უფროსი (1982-95). ამბროლაურის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარეა 1995 წლიდან.
ჰობი: კალათბურთი, ფეხბურთი, ავტომობილი.
მისამართი: *(სამსახურის) თამარ მეფის 1, ამბროლაური. ტელ: 2-17-17. (ბინის) გურგენიძის 8, ამბროლაური. ტელ: 2-19-01.*

**ქართულ ტრადიციებზე და კულტურულ ფასეულობებზე პიროვნების აღზრდა, ოჯახური სიმტკიცე, სარწმუნოება, მიმტევებლობა, პრინციპულობა, მეგობრობა და ადამიანებისადმი თანადგომა.**



**თენგიზ გაზდელიანი** საქართველოს პარლამენტის წევრი, მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ლენტეხში 1946 წლის 12 იანვარს. მშობლები: თამარ ონიანი, კორნელი გაზდელიანი; მეუღლე —ლიანა მაისურაძე (1949); შვილი—გიორგი (1970). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1971). იყო რუსთავის (1971-73), თბილისის (1973-74) სპორტული დისპანსერების ექიმი-თერაპევტი, მე-4 დერმატო-ვენეროლოგიური დისპანსერის განყოფილების გამგე (1974-75), მე-6 დისპანსერის (1975-78), მე-10 მოზრდილთა პოლიკლინიკის (1978-79), მე-2 საავადმყოფოს (1979-83), საბურთალოს რ-ნის (1983-90) მთავარი ექიმი; თბილისის მთავარი სანიტარული ექიმი (1990-92), საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარე (1992-95), საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრი (1995-99). კვლავ პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის ოსტატი ხელბურთში, სსრკ პირველობის ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს პრიზიორი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის" თავმჯდომარე; ორი მართლ-მადიდებლური ეკლესიის ქტიტორი თბილისსა და ლენტეხში.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-43-58. ფაქსი: 92-12-83.*



**თამაზ გაიაშვილი** ავიაკომპანია "აირზენა – საქართველოს ავიახაზების" პრეზიდენტი. დაიბადა ხონში 1955 წ. 17 ივლისს. მშობლები: ეთერ ჭელიძე-გაიაშვილი, გურამ გაიაშვილი; მეუღლე — ელენე გაიაშვილი (1958); შვილები: ნატალია (1979), ეთერი (1988), ნინო (1989). დაამთავრა რიაზანის (რუსეთი) საფრენოსნო სასწავლებელი (1976), საქართველოს საავიაციო აკადემია (1990). იყო საქართველოს სამოქალაქო ავიაციის 112-ე საფრენოსნო რაზმის ТУ-154-ის მფრინავი (1993), ხომალდის მეთაური ყველა სამთავრობო და საერთაშორისო რეისზე, ავიაკომპანია

„ორბის" ТУ-154-ისა და ТУ-134-ის საფრენოსნო კომპლექსის უფროსი (1992-94), ავიაკომპანია „აირზენას" შეფ-პილოტი (1997-99), ავიაკომპანია "აირზენა – საქართველოს ავიახაზების" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და პრეზიდენტია 1999 წლიდან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1998).
**ჰობი:** ავიაცია.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარტავას 40, თბილისი. ფაქსი: 94-07-82. ელ-ფოსტა: info@airzena.com*

**მე ბედნიერი კაცი ვარ, ბავშვობის ოცნება ავიხდინე – მფრინავი გავხდი. უნდა იყო პროფესიონალი, სწორად აირჩიო მიზანი და დღეში 12 საათი მინიმუმ შენ თავზე იმუშაო. ცხოვრებაში ვხელმძღვანელობ ჩვენი დიდი წინაპრის პეტრე იბერის ფილოსოფიური კრედოთი: "არ არსებობს ბოროტება, არსებობს სიკეთის ნაკლებობა".**

**ზურაბ გაიპარაშვილი** საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ართანაში (თელავის რ-ნი) 1960 წ. 3 თებერვალს. მშობლები: მარიამ ყვარელაშვილი, თეიმურაზ გაიპარაშვილი; მეუღლე — მანანა ლილუაშვილი (1960); შვილები: მარიამი (1992), თამარი (1996). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1984). იყო თსუ და თსსი მეცნიერ-თანამშრომელი და პედაგოგი, გაზეთ „ივერია-ექსპრესის" მთავარი რედაქტორის მოადგილე. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ჰერალდიკაში, ბუნინის ნანარმოებების თარგმანები.
**ჰობი:** მხატვრობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარტავას 20. თბილისი, 380060. ტელ: 25-31-72. ფაქსი: 25-31-70. (ბინის) აგლაძის 26. თბილისი. ტელ: 35-39-19.*

**ვცდილობ ვიყო მართალი საკუთარი თავის წინაშე, არ მოვექცე სხვას ისე, როგორც არ მინდა, რომ მე მომექცნენ.**



**ჯემალ გამახარია** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ოტობაიაში (გალის რ-ნი) 1949 წ. 10 იანვარს. მშობლები: კლარა ჩუხუა, ორესტი გამახარია; მეუღლე – რუსუდან ხარებავა (1958); შვილები: სალომე (1986), სოფიკო (1991). დაამთავრა მოსკოვის ჰუმანიტარული ინ-ტის ისტორია-არქივმცოდნეობის ფაკ-ტი (1976). იყო სოხუმის სახ. უნივერსიტეტის პედაგოგი (1982-84), საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის დოცენტი (სოხუმი, 1984-93), აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს წევრი (1991 წლიდან); საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა "ჭყონდიდელის" თავმჯდომარე (1997 წლიდან). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პროფკავშირები 1917-21 წ.წ." (მოსკოვი, 1983). არის ავტორი წიგნებისა "ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან" (1991), "აფხაზეთი — საქართველოს ისტორიული მხარე" (ბ.გოგიას თანაავტორობით), "აფსილაბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის" (1998) და სხვ. არის საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობის მოძრაობა "ჭყონდიდელის" თავმჯდომარე (1997).
**ჰობი:** მცენარეთა დარგვა და მოვლა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-47-45. (ბინის) დავითაშვილის 16, თბილისი 380064. ტელ: 94-15-73.*

**ჩემი მიზანია საქართველოს დამოუკიდებლობა, ძლიერება და ტერიტორიული მთლიანობა. მიზნის მისაღწევად ვეწევი პოლიტიკურ და მეცნიერულ მოღვაწეობას. გარკვეული წარმატება განაპირობეს თავდაუზოგავმა შრომამ, მოთმინებამ, მიზანსწრაფვამ; წინააღმდეგობა ცხოვრებაში – ჩემთვის მასტიმულირებელი ფაქტორია ამ ბრძოლაში; ვცდილობ ვიყო მართალი როგორც თანამოაზრეებისა და მეგობრების, ისე მოწინააღმდეგეთა წინაშე, ვერ ვეგუები უზნეობას.**



**მიხეილ გამრეკელიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სამტრედიაში 1951 წ. 8 ნოემბერს. მშობლები: გუგული ოდიშარია, გიორგი გამრეკელიძე; მეუღლე – მედეა ხონელიძე (1954); შვილი – დავითი (1997). დაამთავრა ხარკოვის

რკინიგზის ტრანსპორტის ინ-ტი (1977). იყო საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ბრიგადირი, მშენებელი ოსტატი, სამუშაოთა მწარმოებელი (1968-84), სამტრედიის რკინიგზის განყ-ბის სამოქალაქო ნაგებობათა განყ-ბის უფროსი (1984-87), საქართველოს რკინიგზის მშენებლობის სამსახურის უფროსის მოადგილე (1987-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.

**ჰობი:** სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-20-86. (ბინის) ალმაშენებლის 104. თბილისი 380012. ტელ: 95-32-65.*

**შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა და ერთგულება.**



**გივი გამსახურდია** საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 6 ივლისს. მშობლები: ლუბა ჭყონია-გამსახურდია, გრიგოლ გამსახურდია; მეუღლე — ლალი გამსახურდია (1941); შვილები: მაია (1967), კახაბერი (1973). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით. იყო თსუ დოცენტი (1965-76), ეკონომიკის ფაკ-ტის დეკანის მოადგილე, კათედრის გამგის მოადგილე, სკკპ ცკ-ს საორგანიზაციო განყ-ბის ინსპექტორი, ფინანსთა სამინისტროს ფინანსების და ფულის მიმოქცევის მთავარი სამმართველოს უფროსი, კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1989-90). თსუ ფინანსებისა და კრედიტების კათედრის გამგეა 1994 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე" (1995). არის 56 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (მათ შორის 3 მონოგრაფიის). დაჯილდოებულია საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენებით. არის საბაჟო დეპარტამენტის საბჭოსა და საგადასახადო ინსპექციის საბჭოს წევრი.

**ჰობი:** სპორტი და ხელოვნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 30-40-66. (ბინის) საბურთალოს 35. თბილისი. ტელ: 38-44-02.*

**სიტყვის და საქმის ერთიანობა, სამშობლოსა და ერის სიყვარული, სიმართლის თქმა, ნაკლოვანებებთან შეურიგებლობა, მართალი კაცის დაცვა, ყველასთან კეთილმოსურნე ურთიერთობის დამყარება.**



**დავით გამყრელიძე** სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" დამფუძნებელი, საქართველოს პარლამენტის წევრი, „ახალი ფრაქციის" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1964 წ. 2 აპრილს. მშობლები: ია გობრონიძე, ერეკლე გამყრელიძე; მეუღლე — მარინე მადიჩი (1966); შვილები: ერეკლე (1986), ნინო (1991). დაამთავრა თსსი პედიატრიის ფაკ-ტი (1988, ი.თარხნიშვილის სახ. სტიპენდიანტი). იყო ბავშვთა მე-5 საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების ექიმი-ორდინატორი (1988-90), ს/ს სადაზღვევო კომპანია „ალდაგის" დირექტორი (1991-95), პრეზიდენტი (1995-98), სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1998-99), თბილისის საკრებულოს წევრი (1998-99). პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. იყო პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (1999-2000), საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე (2000), ახალი ფრაქციის თავმჯდომარეა 2000 წლიდან. არის „ახალი მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი (2000).

**ჰობი:** თხილამურები, ჩოგბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-78-53. ფაქსი: 93-33-87. ელ.ფოსტა: guruli@access.sanet.ge*

**კეთილსინდისიერება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა და, რაც მთავარია, სამართლიანობა. ყველა ეს თვისება მე ჩემს ოჯახში ჩემი მშობლებისგან შევითვისე და, აქედან გამომდინარე, ყველა წარმატებაც მათ დამსახურებად მიმაჩნია.**



**ერეკლე გამყრელიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 8 მაისს. მშობლები: ნინო იოსელიანი, პეტრე გამყრელიძე; მეუღლე — ია გობრონიძე (1939); შვილები: ნინო (1958), დავით (1964). დაამთავრა სპი სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი (1956). იყო ტრესტ „საქფერლითდაზვერვის" გეოლოგი (1956-57); თსუ გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ლაბორანტი (1957-58), გეოლოგიის ინ-ტის ასპირანტი (1958-61); უმცროსი (1961-66), უფროსი (1966-75) მეცნიერ-თანამშრომელი, ტექტონიკის განყ-ბის გამგე (1975-88), სტუ პროფესორი (1979-93). არის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი (1988 წლიდან), გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე. კითხულობდა ლექციების კურსს და გამოდიოდა სამეცნიერო მოხსენებებით ვარშავის, ბრატისლავის, სოფიის, ბუქარესტის, პრაღის, ბუდაპეშტის, ვენის, პარიზის, კემბრიჯის, ედინბურგის, მოსკოვის, რომის, პეტერბურგის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში (1976-98). იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ორი საერთაშორისო კონფერენციის ხელმძღვანელი (თბილისი, 1969-90). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის აგებულება" (1963), სადოქტორო — „ტექტონიკური სტრუქტურების ფორმირების მექანიზმი და ტექტოგენეზისის ზოგიერთი ზოგადი პრობლემა" (1984). არის 9 მონოგრაფიის, 170-ზე მეტი სტატიისა და 80-მდე ხელნაწერი შრომის (გეოლოგიური ანგარიშები) ავტორი. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. არის ა.ჯანელიძის სახელობის პრემიის ლაურეატი (1985), საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (1998); საერთაშორისო პლანეტოლოგიური ასოციაციის (1979), რუსეთის უწყებათაშორისი ტექნიკური კომიტეტის (1981), ევროპის საერთაშორისო გეოლოგიური რუკის კომისიის (1986) წევრი.
ჰობი: ბუნების ე. წ. „ანომალური" მოვლენების კვლევა, ჯოგინგი (წელი სირბილი).
მისამართი: *(სამსახურის) მეცნ. აკად. პრეზიდიუმი. რუსთაველის 52, თბილისი 380008. ტელ: 99-64-45. ფაქსი: 99-88-23. ელ-ფოსტა: keti@geology.acnet.ge (ბინის) ფალიაშვილის 52, ბ. 15. თბილისი 380079. ტელ:22-32-94.*

**სიმართლისა და სამართლიანობის ერთგულება, რის გამოც არაერთი უსიამოვნება შემხვედრია. უახლოეს ადამიანებთანაც კი. ძირითად ჩემს დანიშნულებად ცხოვრებასა და მეცნიერებაში მიმაჩნდა ჭეშმარიტების განუწყვეტელი ძიება ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში, იმ რწმენით, რომ უმაღლესი ჭეშმარიტება არის ღმერთი. ამ გზაზე არაერთი შეცდომა მომსვლია, რომელთა აღიარება არავითარ სულიერ დისკომფორტს არ მიქმნიდა. ვიყავი ბედნიერი მაშინ, როცა ვიყავი მართალი ჩემს თავთან, თუმცა ვრწმუნდები, რომ ცხოვრებაში არის ბევრი რამ, რაც პირად ბედნიერებაზე უფრო მნიშვნელოვანია.**



**თამაზ გამყრელიძე** აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პარლამენტის წევრი, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1929 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ოლიმპიადა გამყრელიძე, ვალერიან გამყრელიძე; მეუღლე — ნინო ჯავახიშვილი (1946); შვილები: ეკატერინე (1969), ალექსანდრე (1970). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1952). იყო ენათმეცნიერების ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1953-60), აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი და განყოფილების გამგე (1960-73). დირექტორია 1973 წლიდან, თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგე —1960 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხეთური ენის პრაინდოევროპული ელემენტები" (1956), სადოქტორო — „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია" (1960). არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიებისა: „Хеттский язык и ларингальная теория" (1960), „სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი" (1961), „სონანტთა სისტემა და აბლა-

უტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია" (1965, გ.მაჭავარიანის თანაავტორობით); გერმ: „Sonantensystem und Ablaut in den Kartvelsprachen (Gunter Narr Verlag, Tubingen, 1982); „Индоевропейский язык и индоевропейцы. Реконструкция и Историко-Типологический анализ праязыка и протокультуры" (T. I, II თბილისი 1984, ვ.ივანოვის თანაავტორობით), ინგლ: Indo-European and Indo-Europeans. A reconstruction And Historical Analysis of a Proto-language and Proto-culture, 2 vols. (Mouton de Gruyter, Berlin, New York, 1994/95), „დეზაფრიკატიზაცია სვანურში. „გადანერის ნესები" დიაქრონიულ ფონოლოგიაში" (1968), „ნერის ანაბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა". (1989/1996), ინგლ: „Alphabetic Writing and the Old Georgian Script. A Typology and Providence of Alphabetic Writing Systems" (Caravan Books, Delmar, New York, 1994). არის ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი საპატიო წევრი (1979), ბრიტანეთის აკადემიის (1980), ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი, საქსონიის აკადემიის უცხოელი წევრი, ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი (1978); ევროპის ლინგვისტური საზოგადოების წევრი. იყო ამ საზოგადოების პრეზიდენტი (1986-87), ინდოევროპული საზოგადოების საპატიო წევრი, ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ლენინის (1988); ლ.ჰუმბოლტისა (1989) და ივ.ჯავახიშვილის სახელობის (1930) პრემიების ლაურეატი.

**ჰობი:** მუსიკა და ჩოგბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) გ. წერეთლის 3. თბილისი 380062. ტელ: 23-38-85. (ბინის) ი. ნიკოლაძის 6. ბ. 11. თბილისი 390079. ტელ: 22-64-92.*

**პროფესიონალიზმი და პრინციპულობა.**



**ნონა გაფრინდაშვილი** მოჭადრაკე, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ქალებსა და ვაჟებს შორის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტი. დაიბადა ზუგდიდში 1941 წ. 3 მაისს. მშობლები: ვენერა გრიგოლია, ტერენტი გაფრინდაშვილი; მეუღლე — ანზორ ჭიჭინაძე; შვილი — დავითი (1970). დაამთავრა თბილისის სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი ინგლისური ენის სპეციალობით (1973). არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი (1956 წლიდან), ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი (1962-78), თერთმეტგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1963-92), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი მფლობელი, ხუთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. იყო სეოკის პრეზიდენტი (1989-96). გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „ჩემი ცხოვრების არსი" და „Я предпочитаю риск", „რჩეული პარტიები". არის სპორტის დამსახურებული ოსტატი, პირველი საჭადრაკო ოსკარის ლაურეატი; ბათუმის, ზუგდიდის საპატიო მოქალაქე, მიღებული აქვს ლენინის (1966), საპატიო ნიშნის (1987) ორდენები, მედალი შრომითი წარმატებისათვის (1963), ღირსების ორდენი (1994), ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა და მსოფლიო ეოკთა ასოციაციის საპატიო ორდენები, სეოკის უმაღლესი ჯილდო — „ოლიმპიური ორდენი" (1996), დასახელებულია XX საუკუნის N1 სპორტსმენ ქალად (2000). დაჯილდოებულია ვ.გორგასლის II ხარისხის (2000), ვ.გორგასლის I ხარისხის ორდენებით. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "The International Who`s Who of Women".

**ჰობი:** თეატრი, მუსიკა, კინო, მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, ჩოგბურთი, წიგნები, სპორტული ცეკვები.

**მისამართი:** *(ბინის) ჭავჭავაძის 14, თბილისი 380079. ტელ: 22-78-96.*

**ნუგზარ გაჩავა** თბილისის მუსიკალური თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 28 მარტს. მშობლები: მერი ბახტაძე, მიხეილ გაჩავა; მეუღლე — ლალი ბოლქვაძე (1949); შვილები: მიხეილი, პაპუნა (1978). დაამთავრა თსთი სარეჟი-



სორო ფაკ-ტი (1957). იყო ბათუმის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1958-60), მარჯანიშვილის (1970-82), რუსთავის (1982-85) თეატრების რეჟისორი. მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია 1985 წლიდან. არის თსთი მსახიობის ოსტატობის კათედრის პროფესორი (1960 წლიდან). აქვს დადგმული სპექტაკლები: რუსთავის თეატრში — „ფსკერზე" (მ.გორკი), „ხიდი" (მ.ჯავახიშვილი), „დურემანტი"; მუსიკალურ თეატრში — „ლამანჩელი", „ისევ ამ ქვეყნად დავრჩები" (ნ.დუმბაძე), „ო ადონაი, ისმინე" (ლ.მილორავა) და სხვ. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).
**ჰობი:** საკუთარი პროფესია.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 182. თბილისი 380012. ტელ: 34-80-90. (ბინის) ჭავჭავაძის 56. თბილისი, 380062. ტელ: 22-46-87.*

**ვიცხოვრო ადამიანურად და სიმართლით.**



**გიორგი გაჩეჩილაძე** საქართველოს მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1954 წ. 24 ივნისს. მშობლები: თამარ წერეთელი-გაჩეჩილაძე, ამბერკი გაჩეჩილაძე; მეუღლე — რუსუდან ცაგარეიშვილი (1961); შვილები: თამარი (1985), ნინო (1989). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1976). იყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე, ეკოლოგიის განყოფილების გამგე; საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95, 1995-99), პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1995-99), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის წევრი (1994-99). არის პროფილაქტიკური მედიცინისა და ადამიანის ეკოლოგიის (1994), ეკოლოგიურ მეცნიერებათა (1995) აკადემიების ნამდვილი წევრი; გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 1 მონოგრაფიის ავტორი. არის საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.
**ჰობი:** ხელოვნება (ქანდაკება).
**მისამართი:** *(სამსახურის) მწვანეთა პარტია. აღმაშენებლის 180, მუშტაიდის ბაღი, თბილისი 380012. ტელ: 95-20-33. (ბინის) ფალიაშვილის 96. თბილისი, 380030. ტელ: 22-26-62.*

**სამართლიანობა, პატიოსნება, პროფესიონალიზმი; შეიქმნას მდგრადი, ჰუმანური, სამართლიანი და ქართული ტრადიციების მატარებელი სამოქალაქო საზოგადოება, რომელშიც ყველა უზრუნველყოფილი იქნება ჯანსაღი, სუფთა და უსაფრთხო გარემოთი და რომელიც ჰარმონიულად შეუხამებს ერთმანეთს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებს.**



**ზაზა გაჩეჩილაძე** გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის" რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 4 აპრილს. მშობლები: ირინე კანდელაკი, გივი გაჩეჩილაძე; მეუღლე — მარინე აბესაძე (1949); შვილები: გიორგი (1968), ნინო (1969), თამარი (1990). დაამთავრა საქართველოს სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1969). იყო თსუ ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი. არის კათედრის გამგე, თსუ პროფესორი. ინგლისურენოვანი გაზეთის „ჯორჯიან ტაიმსის" თანადამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია 1994 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ჯეფრი ჩოსერი და ინგლისური აღორძინების განვითარების გზები" (1992). არის 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მონოგრაფიები: „დილან ტომასის პოეზია" 1984, „ჯეფრი ჩოსერი" 1988, „ჩოსერიდან შექსპირისკენ" 1991), საგაზეთო სტატიების და თარგმანების (შექსპირის „ტროილოსი და კრისიდა", მოემის „შეჯამება" და სხვ.) ავტორი. არის შავი, ეგეოსის და ბალტიის ზღვების ქვეყნების მწერალთა და მთარგმნელთა კავშირის კულტურული კომიტეტის წევრი.
**ჰობი:** სამთო თხილამურები, აფრონსნობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 55. თბილისი 380062. ტელ: 99-00-15. ფაქსი: 99-06-45. ელ-ფოსტა: times@dtee.com.ge*

აკეთე სიკეთე. თუ ეს არ შეგიძლია, ბოროტებას ნუ ჩაიდენ. ნუ შეაწუხებ მეზობელს შენი არსებობით. გქონდეს მადლიერების გრძნობა. ვინ? თუ არა შენ თვითონ და როდის? თუ არა ახლავე.



**თენგიზ გაჩეჩილაძე** გაზეთ „ლელოს" მთავარი რედაქტორი. დაიბადა სოფ. ნევაში (ზესტაფონის რ-ნი) 1939 წ. 28 აპრილს. მშობლები: ეკატერინე გაჩეჩილაძე, თომა გაჩეჩილაძე; მეუღლე — მედეა გაჩეჩილაძე; შვილები: ზაქარი (1966), ვამეხი (1968-92). დაამთავრა ფიზიკური კულტურის ინ-ტი (1962), თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყოფილება (1968). იყო თბილისის იპოდრომის მუშა (1958-60), „ლოკომოტივის" საცურაო აუზის დირექტორის მოადგილე და ამიერკავკასიის რკინიგზის წყალთა სახეობების სპორტული სკოლის დირექტორი (1963-74), ჟურნალ „მართვეს" რედაქტორის მოადგილე (1974-80), რედაქტორი (1980-84), გაზეთ „ლელოს" რედაქტორის მოადგილე (1984-87). მთავარი რედაქტორია 1987 წლიდან. იყო სეოკის შექმნის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი (1989) და ვიცე-პრეზიდენტი (1989-96). არის შპს სააგენტო „გუმათეს" დირექტორი (1995 წლიდან); ავტორი წიგნებისა: „ცხენოსნობა", „ოლიმპიური შემოდგომის თექვსმეტი გაელვება", „ათი დამოუკიდებელი ნაბიჯი ოლიმპიურ მოძრაობაში" და ბროშურებისა სპორტულ თემაზე. მიღებული აქვს „მედალი შრომითი წარჩინებისთვის" (1980) და „ღირსების ორდენი" (1998). იყო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი და თავმჯდომარე (1968-92), საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი (1992 წლიდან), სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი (1967 წლიდან), საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ოლიმპიური მისიის ხელმძღვანელი ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე (1996).
**ჰობი:** ქართული ფოლკლორი, ცხენოსნობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი 380096. ტელ: 99-56-14. (ბინის) პეტრიწის 15, დიდი დიღომი. თბილისი, 380031. ტელ: 53-39-11.*
„ქვეყნის სასარგებლოდ ყველაზე დიდი პოლიტიკაა აკეთო შენი საქმე".



**ლევან გაჩეჩილაძე** საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელი კომისიის წევრი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 20 ივლისს. მშობლები: ნანა გაჩეჩილაძე (თევზაძე), ჯონდო გაჩეჩილაძე; მეუღლე — ნინო მიქელაძე (1964); შვილები: რატი (1986), გიორგი (1989), კონსტანტინე (1996). დაამთავრა თსუ საინჟინრო ეკონომიკის ფაკ-ტი (1986). იყო თსუ ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის ლაბორანტი (1986-87), სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „ლილოს" კომერციული აგენტი (1988-91), სპორტის დეპარტამენტის კომერციული განყოფილების უფროსის მოადგილე (1991-92), საქართველოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS-ის გენერალური დირექტორი (1993-97), პრეზიდენტი (1997-99), საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკურ-პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარე (1999). პარლამენტის საბიუჯეტო კრიზისის შემსწავლელი კომისიის წევრია 2000 წლიდან. აღიარეს წლის საუკეთესო ბიზნესმენად (1999). არის გადამხდელთა კავშირის საბჭოს წევრი, იყო საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ახალგაზრდული საბჭოს წევრი, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრი.
**ჰობი:** კალათბურთი; მაკროეკონომიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ჭავჭავაძის 50-ა. თბილისი 380062.*
დავისახო კონკრეტული მიზანი, რაც არის ძლიერი, ცივილიზებული ქვეყნის აშენება და ჩემი სიტყვა ვთქვა და საქმე გავაკეთო ნაბიჯ-ნაბიჯ ამ მიმართულებით.

**რევაზ გაჩეჩილაძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელის სახელმწიფოში. დაიბადა თბილისში 1943 წ. 4 მაისს. მშობლები: ირინე კანდელაკი, გივი გაჩეჩილაძე; მეუღლე — მზია მარსაგიშვილი (1950); შვილები: გივი (1973), ირინე (1977). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1965). იყო



თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე (1968-98), თბილისის კპ ცკ-ს მეცნიერების და სასწავლებლების განყ-ბის გამგე, საქართველოს კპ ცკ მეცნიერების და სასწავლებლების განყ-ბის გამგის მოადგილე (1981-87), მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1987-98). ისრაელში საქართველოს ელჩია 1998 წლიდან. სხვადასხვა დროს იყო მიწვეული პროფესორი ოქსფორდის უნივერ-სიტეტში, ლონდონის უნივერსიტეტის ქუინ მერი ენდ უესტფილდ კოლეჯში (დიდი ბრიტანეთი), ნორთუესტერნის უნივერსიტეტში, მაუნთ ჰელიოქ კოლეჯში (აშშ) და სხვ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სოციალური გეოგრაფია" (1990). არის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიებისა: „ახლო აღმოსავლეთი" (თბილისი, 1977), „Турция" (მოსკოვი, 1983), „ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა" (თბილისი, 1994), „The New Georgia: Space, Society, Politics" (ლონდონი,1995) და სხვ. არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1996 წლიდან), საქართველოს საბუნებისმეტყველო აკადემიის წევრი (1996), სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (დიდი ბრიტანეთი) საპატიო უცხოელი წევრი (1999), იერუსალიმის წმინდა აკლდამის მართლმადიდებელ რაინდთა ორდენის დიდი კომანდორი (2000 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: The International Who's Who of Intellectuals (IBC, Cambridge, 1998), Dictionary of International Biographies (IBC,Cambridge,1999).

ჰობი: ფოტოგრაფია.

მისამართი: *(სამსახურის) 74/5 Kikar Hamedina. Tel-Aviv. 62198. Israel. ტელ: 604-32-32. ფაქსი: 602-15-42.*

სამშობლოს ერთგულება.



**რუსუდან გაჩეჩილაძე** მოქანდაკე. დაიბადა თბილისში 1936 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: მარიამ სამსონიძე, ვახტანგ გაჩეჩილაძე. დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1963). არის თსსა ხატვის კათედრის პროფესორი; ავტორი ნამუშევრებისა: "შირაქის ველი" (1975), "მშვილდოსანი" (1979), "მეჯინიბე" (1981); პორტრეტებისა: ო.ჭილაძე, ბ.ხარანაული (1984), აგრაფენა (1985), მ.ჯაფარიძე (1986), დ.ჯმუხაძე, დ.ვაჩნაძე და სხვ. მონაწილეობდა გამოფენებში: ამიერკავკასიის რესპუბლიკების მხატვართა ბიენალე (გრან-პრი, 1986), საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987), ქართული დაზგური გრაფიკის ქანდაკება (სეგ, 1991). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, საქართველოს და რუსეთის კულტურის სამინისტროებში, ე.შევარდნაძის ფონდში. მიღებული აქვს პრიზები წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1976, 1978). არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1974), საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1965).

მისამართი: *(ბინის) ჩიქობავას 12, თბილისი. ტელ: 96-35-63.*



**ჯემალ გახოკიძე** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 11 სექტემბერს. მშობლები: ნათელა ბალავაძე, ლადო გახოკიძე; მეუღლე — ციცინო გახოკიძე (1955); შვილი — გიორგი (1975). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1972), სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი ფაკ-ტი (1982). იყო შსს რიგითი მილიციონერი (1967-68), გამომძიებელი (1972-78), განყოფილების უფროსის მოადგილე, უფროსი (1979-83), თბილისის საგამომძიებლო განყ-ბის უფროსი (1983-85), სამმართველოს უფროსის მოადგილე, უფროსი (1985-92), შსს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1993-95), მინისტრის მოადგილე (1995-97), უშიშროების მინისტრის I მოადგილე (1997), უშიშროების მინისტრი (1997-98). უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეა 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „წინასწარი გამოძიების ორგანიზაცია" (მოსკოვი, 1987). არის „კრიმინალისტიკის" სახელმძღვანელოს თანა-

ავტორი, ავტორი წიგნისა საგამომძიებლო-ოპერატიული ჯგუფების მუშაობის შესახებ, რამდენიმე წიგნის რედაქტორი, მსოფლიო იურისტთა კავშირის წევრი, გენერალ გია გულუას ფონდის პრეზიდენტი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1995), „ღირსების ორდენით" (2000).

**ჰობი:** „ვეფხისტყაოსნის" გამოცემების შეგროვება.

**მისამართი:** *(სამსახურის) სახელმწიფო კანცელარია. ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ: 92-12-92.*

ძალიან მიყვარდა გამომძიებლის პროფესია. პრაქტიკულად მას დავუთმე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. მზად ვარ დარჩენილი წლებიც ამ საქმეს შევალიო. ვამაყობ, რომ 1989 წლიდან ვკითხულობ ლექციებს ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში, მიყვარს განათლებული, ნიჭიერი, ზრდილი ახალგაზრდა იურისტები და ვარ მათი ბოლომდე დამცველი.1993 წელს ტრაგიკულად დამეღუპა უფროსი ვაჟიშვილი გოგიტა, ამან მთლიანად მიმაბრუნა ღმრთისაკენ. დღეს ჩემთვის ქრისტეზე ამაღლებული არავინ არის. ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი გახდა სიკეთის კეთება და ბოროტის გაკეთილშობილება. მინდა ჩემს მეუღლესთან ერთად მოვესწრო გიორგის ბედნიერებას, მის ღირსეულ ქართველობას და მრავალ შვილს. 1996 წლის ზაფხულში მოვინახულე ოშკის და იშხანის ქრისტიანული ქართული ტაძრები. გამიჩნდა დიდი სიამაყის გრძნობა. ამას წინ უძღოდა 1994 წელს ოჯახთან ერთად იერუსალიმში ქრისტეს საფლავის და ჯვრის მონასტრის დათვალიერება. 1996 წელს იერუსალიმში აღდგომის წინა დღეს ვიხილე მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გადმოსვლა.



**იური გეგეშიძე** მხატვარი. დაიბადა სოფ. პრომისლოვკაში (შკოტოვოს რ-ნი.) 1939 წ. 17 ივლისს. მშობლები: აპოლინა გეგეშიძე, არკადი გეგეშიძე; მეუღლე — ნატა ალადაშვილი (1942). შვილები: ნინო (1972), ელისო (1975), გიორგი (1987). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბა (1967). იყო მოზარდ მაყურებელთა ქართული (1973-75), რუსული (1973-75), მუსკომედიის (1986-88), მოსკოვის ცხენოსან კასკადიორთა თეატრის (1988-90), თეატრ-სტუდია „ექოს" (1991), თბილისის გრიბოედოვის (1992-95) თეატრების მთავარი მხატვარი (1975-86). თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის დამდგმელი მხატვარია 1995 წლიდან. არის ავტორი ფერწერული კომპოზიციებისა. გააფორმა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული, მოზარდ მაყურებელთა რუსული, თბილისის ოპერისა და ბალეტის, მარჯანიშვილის, კინომსახიობთა, გრიბოედოვის, მუსკომედიის, სოხუმის ქართული თეატრების სპექტაკლები. მონაწილეობდა გამოფენებში: საქართველოს თეატრის და კინოს მხატვრები (სეგ, 1978), საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987), გერმანული ლიტერატურა და მუსიკა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში (თსსა მუზეუმი, ქარვასლა), იმპულსები „დიურერი, გოეთე, ფიროსმანი" (თსსა მუზეუმი, 1995), საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში (სეგ, 1998). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, მოსკოვის ბახრუშინის სახელობის თეატრალურ მუზეუმში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1968).

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 25. თბილისი 380008. ტელ: 98-12-70.*



**გიორგი გეგეჭკორი** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1923 წ. 21 თებერვალს. მშობლები: თამარ გელოვანი, ვლადიმერ გეგეჭკორი; მეუღლე — ნათელა ურუშაძე (1923); შვილები: მანანა (1955), გიორგი (1958). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკულტეტი (1944).. არის რუსთაველის თეატრის (1944 წლიდან), კინომსახიობთა თეატრის, ვ.ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის მსახიობი. განასახიერა 150-ზე მეტი როლი ამ თეატრების სცენაზე, 100-მდე როლი კინო და ტელეფილმებსა და რადიოდადგმებში. არის კ.მარჯანიშვილის სახელობის და სახელმწიფო (1998) პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1998); თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქართულ და სსრკ თეატრალურ ენციკლოპედიებში.

**ჰობი:** სპორტი (ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი).

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის თეატრი. რუსთაველის 17. თბილისი 380008. (ბინის) თაბუკაშვილის 39. ბ.8, თბილისი 380008. ტელ: 93-11-46.*

ჩემის ღრმა რწმენით თეატრის მსახიობი უნდა იყოს თავისი ქვეყნის და ხალხის მსახური. თავისი შემოქმედებით უნდა აღზარდოს მაყურებელი სულიერად და ზნეობრივად. პოპულირება უნდა გაუწიოს ქართულ და უცხოურ თანამედროვე და კლასიკურ ნაწარმოებებს, უნდა იბრძოლოს ქართული ენის სიწმინდისათვის, ასევე მაღალმხატვრულად უნდა წარმოაჩინოს ჩვენი ერის ისტორია და თანამედროვეობა. თუ ამ მოთხოვნებს ნაწილობრივ მაინც ვაკმაყოფილებ, პოპულარობა და წარმატებაც ამაში უნდა ვეძებოთ.



**ზურაბ გეგეჭკორი** საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა ოზურგეთში 1941 წ. 31 ოქტომბერს. მშობლები: თინა მგელაძე, მიხეილ გეგეჭკორი; მეუღლე — მაგული გეფერიძე (1940); შვილები: ლევანი (1964), პაატა (1972). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკ-ტი (1965). იყო კოლმეურნეობის ეკონომისტი, საკავშირო ს/კ ინ-ტის განყოფილების გამგე, ასპირანტი, მეცნიერ-თანამშრომელი (1965-71), სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე, ცკ ინსტრუქტორი, საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი (1974-91), საქართველოს სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის კომიტეტის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი (1991-97). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი (1980). იყო სკკპ წევრი (1967-89).
**ჰობი:** ნადირობა, ცურვა, კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თამარაშვილის 15-ა. თბილისი, 380077. ტელ: 32-38-05. 94-07-59. (ბინის) საბურთალოს 40. კორპ. 1. ბ. 54. თბილისი 380084. ტელ: 99-92-09.*

სიკეთის კეთება, პასუხისმგებლობა.



**ბიძინა გეგიძე** რაგბის კავშირის პრეზიდენტი, „ახალი მოძრაობის" თანათავმჯდომარე. დაიბადა სოფ. სამებაში 1958 წ. 3 მარტს. მშობლები: ნათელა გეგეჭკორი, გრიგოლ გეგიძე; მეუღლე — ეკა სხირტლაძე (1962); შვილები: ქეთი (1990), მაკა (1992), ლიზა (2000), ლუკა (2000). დაამთავრა სპი (1980). თამაშობდა რაგბის გუნდებში: სპი-ს გუნდ „სპი"-ში (1975-79), სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის გუნდ „შევარდენში" (1979-80; 1982-89), რკინიგზის დეპარტამენტის „ლოკომოტივში" (1980-81). იყო მხატვრული ფილმის „წარსულის აჩრდილების" პროდიუსერი; სსრკ სპორტის ოსტატი, სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1981), საქართველოს თასის სამგზის მფლობელი (1978, 1979, 1980).
**ჰობი:** რაგბის თამაში.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49ა. თბილისი 380062. ტელ: 29-47-54; 29-47-63. (ბინის) პლ.იოსელიანის 37, ბ. 28. თბილისი. ტელ: 25-23-22.*

მთავარი არის მეგობრებთან ერთად აკეთო საქმე, რომელიც გულით გიყვარს, იმიტომ, რომ ყველაზე დიდი ტალანტი მეგობრები და მეგობრობაა, რაგბი ამის ყველაზე დიდი გამოვლინებაა, ამიტომაც რაც უფრო აღორძინდება სპორტის ეს სახეობა, რაც მეტი მორაგბე გაჩნდება საქართველოში, მე უფრო ბედნიერი ვიქნები.



**ვალერი გელაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ხაშურში 1960 წ. 18 იანვარს. მშობლები: ლამარა გელაშვილი, შოთა გელაშვილი; მეუღლე — დანგოლია გელაშვილი (1959); შვილები: ერიკა (1979), ვალერი (1985), დავითი (1992), სოფიო (1994). დაამთავრა ფიზკულტურის სახელმწიფო ინ-ტის პედაგოგიური ფაკ-ტი (1981). იყო შპს "ველგ"-ს პრეზიდენტი (1991-97), საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი ბალტიისპირეთში (197-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. იყო ბალტიისპირეთში საქართველოს სათვისტომოს თავმჯდომარე (1996-99).
**ჰობი:** სათხილამურო სპორტი, სირბილი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ვაჩნაძის ჩიხი 2, ხაშური. ტელ: 2-01-10.*



**თამაზ გელაშვილი** შპს „მზეკაბანი (TG)"-ს გენერალური დირექტორი. დაიბადა ბორჯომში 1940 წ. 1 იანვარს. მშობლები: მარგარიტა გელაშვილი, ივანე გელაშვილი; მეუღლე — ნანა გელაშვილი (1952); შვილები: ბერიკა (1970), ირაკლი (1975). დაამთავრა სპი მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1974). იყო თბილისის N3 ნისქვილქარხნის დირექტორი (1976-78), თბილისის პურპროდუქტების კომბინატის (ამჟამად შპს „მზეკაბანი (TG)") დირექტორია 1978 წლიდან. არის პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მთავარი კომიტეტის წევრი (1999).
**მისამართი:** *(სამსახურის) მოსკოვის გამზ. 15. თბილისი. ტელ: 98-25-21. (ბინის) ნინამძღვრიშვილის 137-ა, ბ. 43. თბილისი. ტელ: 23-25-08.*

**ჩემი ცხოვრებისეული კრედო, როგორც ყველა მოქალაქისა, ერთიანი დამოუკიდებელი საქართველოა — ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, ადგილობრივი მრეწველობის აღორძინება და განვითარება, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება. მჯერა, რომ არ მაქვს უფლება განზე გავდგე და საერთო საქვეყნო და სახალხო სამსახურში მაქსიმალურად არ დავხარჯო ჩემი ძალა.**



**თამაზ გელაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ბორჯომში 1953 წ. 14 თებერვალს. მეუღლე – ნაირა გუმბერიძე; შვილები: თამარი (1982), ნინო (1983), მარიამი (1990). დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1980). იყო ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურის დირექტორის მოადგილე (1992), ს/ს "ჩითახევი-ბორჯომის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1993-99). სქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი.რუსთაველის 8, თბილისი, 380018. ტელ: 93-27-09. (ბინის) სააკაძის 2, ბორჯომი. ტელ: 94-38-14, 2-31-51.*

**პროფესიონალიზმი, მიზანსწრაფვა.**



**ნაირა გელაშვილი** მწერალი, გერმანისტი, მთარგმნელი, საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლის" დირექტორი. დაიბადა სოფ. ნუკრიანში (სიღნაღის რ-ნი) 1947 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: ნინო ნოზაძე, ვლადიმერ გელაშვილი; შვილი — ანა მარგველაშვილი (1975). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1970), ასპირანტურა დასავლეთ ევროპისა და ამერიკული ლიტერატურის განხრით (1973). იყო თსუ საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურის ისტორიის ლექტორი (1975-82), მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი (1982-93). არის „კავკასიური სახლის" დირექტორი (1993 წლიდან), ჟურნალ „აფრას" დამფუძნებელი და რედაქტორი (1997 წლიდან), გაზეთ „ალტერნატივას" დამფუძნებელი და თანარედაქტორი (1998 წლიდან), გაზეთ "Кавказский Акцент"-ის დამფუძნებელი და თანარედაქტორი (1999 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებული (1983), ზღაპრების კრებული „ნინწკლებიანი მუსტანგი და პატარა წვიმა" (1984), „ამბრნი, უმბრნი და არაბნი" (1984), რომანი „დედის ოთახი" (1987), მოთხრობების კრებული „მთვარით განათებული ბაღი" (1987), რომანი „სარკის ნატეხები" (1991), ლიტერატურული წერილები „ტრაგიკული გრადაცია" (1991); „საქართველო — სამოთხე ნანგრევებში", დოკ. პროზა (ბერლინი,1993), პოემები „სიმშვიდის, სიხარულის, მწუხარებისა და ნუგეშის შესახებ" (1997), საბავშვო კრებულები: „მხიარული ღრუბელი" (1998), „ნინწკლების ქოხი" (1999), „ავტობიოგრაფიული, მეტისმეტად ავტობიოგრაფიული" (რომანი, პროზა, პოეზია, 1999). არის მწერალთა კავშირის პრემიის ლაურეატი „წლის საუკეთესო მოთხრობისათვის" („მივემგზავრები მადრიდს", 1982); საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოების თანათავმჯდომარე, „კავკასიის ხელოვანთა გილდიის" გამგეობის წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ტაბიძის 20. თბილისი 380007. ტელ: 99-60-22. ფაქსი: 93-14-35.*

**გერასიმე (შარაშენიძე)** ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 20 მაისს. მშობლები: ლეილა ვაშაძე, რევაზ შარაშენიძე; დაამთავრა

სპი ელექტროკავშირგაბმულობის ფაკ-ტი. მუშაობდა თბილისის სამონტაჟო სამმართველოში (1978-83). იყო ერთობლივი საწარმო „თბილისილინკის" დირექტორის მოადგილე (1990-92), მოსკოვის შპს „ვოლუს" დირექტორის მოადგილე (1992-97), მოსკოვის აღდგომის სახელობის ტაძრის, წმ. გიორგის სახელობის ქართული ეკლესიის მრევლის სტიქაროსანი (1992-97). გაგზავნილ იქნა ურბნისის და რუისის ეპარქიაში, შეიმოსა მორჩილის კაბაში (1997). აღიკვეცა ბერად (1997), აკურთხეს მღვდელმონაზვნად და დაინიშნა ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად (1997), გადაიყვანეს საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიაში (1998). დაინიშნა პატარძეულის ყოვლადწმიდა ღვისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრად, აღიყვანეს იღუმენის ხარისხში ოქროს ჯვრის ტარების უფლებით (1998). ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად 1998 წელს.
მისამართი: *(რეზიდენცია) წმინდა ნინოს 9, ზუგდიდი. ტელ: 2-24-38, (899) 57-31-11.*



**ალექსი გერასიმოვი** საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებში. დაიბადა თბილისში 1936 წ. 26 აპრილს. მშობლები: ბარბარე ნემსაძე, ბორის გერასიმოვი; მეუღლე — ელენე (ლელიკო) ჯაფარიძე (1936); შვილები: ნანა (1963), ალექსანდრე (საშა) (1972). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1959). იყო თსუ ასპირანტი (1959-62), ნახევრადგამტარულ ხელსაწყოთა ს/კ ინ-ტის ლაბორატორიის გამგე, განყოფილების უფროსი, დირექტორის მოადგილე (1965-80), სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის" მთავარი ინჟინერი (1980-82). არის თსუ ნახევრადგამტარული მიკროელექტრონიკის კათედრის გამგე (1982 წლიდან). საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეა ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებში 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „რადიაციული დეფექტების გამოკვლევა T=77K-ზე ჩქარი ელექტრონებით და გამა-კვანტებით გასხივებულ გერმანიუმში" (ლენინგრადი, 1974); სადოქტორო — „წერტილოვანი დეფექტების მიგრაციის და ურთიერთქმედების მექანიზმი არამეტალური მასალების რადიაციულ ფიზიკაში" (მოსკოვი, 1989). გამოქვეყნებული აქვს 190-მდე სამეცნიერო ნაშრომი საკავშირო და საზღვარგარეთის ჟურნალებში. არის 6 პატენტისა და ერთი სამეცნიერო აღმოჩენის („მყარ სხეულებში მეტასტაბილური სტრუქტურების ტრანსფორმაცია-თერმოსტიმულირებული ეგზოელექტრონული ემისიის წყარო", 1998) ავტორი. დაჯილდოებულია მედლებით: „За трудовую доблесть" (1971), „За доблестный труд" (1977), „Изобретатель СССР" (1982), სსრკ „საპატიო ნიშნის" ორდენით (1981). იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნახევრადგამტარების ფიზიკისა და ქიმიის საბჭოს წევრი, სსრკ განათლების სამინისტროს მიკროელექტრონიკის მეთოდური საბჭოს წევრი (1973 წლიდან). არის „ჰუმანიტარული ინიციატივების საერთაშორისო ფონდის" ვიცე-პრეზიდენტი და „სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო კომიტეტის" კოორდინატორი (1994 წლიდან). იყო საქართველოს მოზარდთა ნაკრების წევრი კალათბურთში (1952-54). საქართველოს კალათბურთელთა პირველი ნაკრების წევრი. თამაშობდა „ბურევესტნიკის" გუნდში, რომელმაც სსრკ „ა" კლასში თამაშის უფლება მოიპოვა.
ჰობი: სპორტი, სახვითი ხელოვნება.
მისამართი: *(სამსახურის) ჭავჭავაძის 13. თბილისი 380028. ტელ: 23-26-95, ფაქსი: 23-26-93.*



**ჭეშმარიტების ძიება — უმაღლესი მიზანი. სამართლიანობა, სხვების აზრის პატივისცემა, მაგრამ ყველაფერზე თავისი ან სხვისი, მაგრამ გათავისებული აზრი. პატარა და დიდი მიზნის მისაღწევად დაახლოებით ერთი და იგივე შრომა და ნერვიული ენერგიაა საჭირო. ამიტომ ყოველთვის დიდი მიზანი უნდა დაისახო, რომლის გადაჭრისთვის შეგწევს ძალა. მაქვს შეგრძნება, რომ საზოგადოებისგან ძალზე დავალებული ვარ და ვცდილობ ორმაგად მაინც გადავუხადო: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".**

**გია გენაძე** იურისტი, IRIS-საქართველოს უფროსი იურიდიული მრჩეველი, ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს წევრი. დაიბადა სამტრედიაში 1968 წ.

21 დეკემბერს. მშობლები: ლამარა გენაძე, გიზო გენაძე; მეუღლე — ლელა პატეიშვილი (1973); შვილი – თორნიკე (1989). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი (1995), თსუ ასპირანტურა (1999). იყო გრაიფსვალდის უნივერსიტეტის პროფესორის თანაშემწე (1995-1996), საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის უფროსი თანაშემწე (1996-97), ეროვნული უშიშროების საბჭოს იურისტი (1977-99), AMEX-International-ის იურიდიული მრჩეველი (1999), იუსტიციის საბჭოს წევრი (2000), IRIS-საქართველოს უფროსი იურიდიული მრჩეველია 2000 წლიდან. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი (1994). იყო ახალგაზრდა იურისტთა გამგეობის წევრი, თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე.
**ჰობი:** ბილიარდი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ძმ.ზუბალაშვილების 7, თბილისი 380010. ტელ/ფაქსი: 99-01-01. ელ-ფოსტა:* getsadze@hotmail.com

**ადამიანებში გულგრილობის დამარცხება.**



**ტარიელ გვალია** ბანკირი, "თბილუნივერსალბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა ზესტაფონში 1961 წ. 7 იანვარს. მშობლები: ნელი მირცხულავა, ჯონდო გვალია; მეუღლე – მაია ფუტკარაძე (1961); შვილები: ანა (1993), ნინო (1995). დაამთავრა თსუ (1984). იყო თსუ ასპირანტი (1984-87), მეცნიერ-თანამშრომელი (1987-89), დოცენტი (1989-2001), "იბერიაბანკის" სავალუტო განყ-ბის უფროსი (1990-95), "თბილუნივერსალბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "გეოგრაფიული ფაქტორის როლი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში" (1988).
**ჰობი:** მოგზაურობა, ქართული ხალხური სიმღერები.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 70, 380071, თბილისი. ტელ: 99-82-92. ფაქსი: 98-61-68. ელ-ფოსტა:* info@tub.ge *(ბინის) საბურთალოს 33, ბ. 8, თბილისი.*

**არ მოიპარო; არ ითამაშო აზარტული თამაშები, მათ შორის სახელმწიფოსთან; ისწავლე მუდმივად; იშრომე მუდმივად; ეცადე იყო სამართლიანი.**



**ვახტანგ გვარამია** საქართველოს პარლამენტის წევრი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. დაიბადა ფოთში 1939 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: ლიდია შარტავა, ლევან გვარამია; მეუღლე – დალი ცხაკაია (1947); შვილები: ქეთევანი (1971), ლევანი (1974). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1962). იყო ფოთის ნავსადგურის იურისკონსულტი (1962-63), საქართველოს შსს სისტემის გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, საგამოძიებო განყ-ბის უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე (1963-90), გენერალური პროკურორის I მოადგილე (1990-94), იუსტიციის მინისტრის მოადგილე (1994-95). იყო სკკპ წევრი (1966-90).
**ჰობი:** წიგნების კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-10-82. ფაქსი: 93-63-23. (ბინის) მ.აბაშიძის 14, თბილისი. ტელ: 29-46-53.*

**ქვეყნის სამსახური, კაცთმოყვარეობა, წარსულის პატივისცემა და მომავლის იმედი. ყოველთვის ნებისმიერ საქმეში გქონდეს საკუთარი პოზიცია, იყო ერთგული შენი პრინციპებისა და ყველა საქმე აკეთო და იცხოვრო ისე, რომ მართალი იყო საკუთარი თავის, ოჯახის და ხალხის წინაშე.**

**ოსიკო გვარიშვილი** დემოკრატიული აღორძინების კავშირის გენერალური მდივანი, ბათუმის მრავალდარგობრივი კოლეჯის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი. დაიბადა ბათუმში 1931 წ. 10 ივნისს. მშობლები: ფიქრი გვარიშვილი, მემედ გვარიშვილი; მეუღლე – კაკალა კახიძე (1933); შვილი – გიული (1956). დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური (1955), მოსკოვის ეკონომიკურ-საფინანსო (1968) და ბათუმის სამართლისა და ეკონომიკის (1998) ინ-ტები. იყო პედაგოგი (1956), კომკავშირული, პარტიული მუშაკი (1956-67), აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე (1967-77), ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორი (1977 წლიდან),



აჭარის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1993-95), დემოკრატიული აღორძინების კავშირის გენერალური მდივანი (1995 წლიდან), აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. არის მწერალი, რამდენიმე წიგნის ავტორი და მთარგმნელი თურქულიდან ქართულ, რუსულ, სომხურ ენებზე, მათ შორის დოკუმენტური მოთხრობებისა "სტალინი და აჯადმოსაგონარი 1937 წელი". დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999), ფრიტიოფ ნანსენის პრემიით (2000). არის საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი (1983); მწერალთა კავშირის წევრი (1998).

**მისამართი:** *(სამსახურის) ნინოშვილის 5/ მ. კომახიძის 119, ბათუმი 384500. ტელ: 7-65-00, 7-07-62. (ბინის) კ. გამსახურდიას 4, ბ. 15, ბათუმი 384500. ტელ: 7-40-00.*

**როგორც რეპრესირებული ოჯახის წევრი, ბავშვობიდანვე განვიცდიდი სიდუხჭირეს, პოლიტიკურ შევიწროებას, დევნასა და თვალთვალს, რამაც დიდი ცხოვრებისეული სკოლის გავლის გამოცდილება შემძინა. პრინციპები იყო ყოველთვის ჩემი ყოველგვარი მოვალეობის: სახელმწიფოს, ოჯახის, საზოგადოების, მეგობარ-ნათესავების და ბოლოს, ქვეყნის წინაშე მთელი პრინციპულობით, მაღალ დონეზე შესრულება. ყოველთვის ვგმობ: პირფერობას, სიცრუეს, სიმხდალეს, ორპირობას, კარიერიზმს.**

**ჯემალ გვარიშვილი** ქედის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. მილისში (ქედის რ-ნი) 1961 წ. 28 მაისს. მშობლები: ნუნუ ვარშანიძე, უშანგი გვარიშვილი; მეუღლე — გიული დევაძე (1972); შვილები: ედუარდი (1991), ნესტანი (1995). დაამთავრა იჟევსკის პოლიტექნიკური ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი (1984). იყო ალკკ ქედის რაიკომის II მდივანი, ალკკ აჭარის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე, ხელვაჩაურის რ-ნის ურეხის საკრებულოს თავმჯდომარე, აჭარის არ უშიშროების მინისტრის მოადგილე.

**ჰობი:** ტურიზმი.

**მისამართი:** *(სამსახურის) დაბა ქედა. ტელ: 7-62-92. (ბინის) სოფ. სალიბაური, ხელვაჩაურის რ-ნი.*

**ვყოფილიყავი კეთილი. სწრაფვა მქონოდა მუდამ საზოგადოებაში ჩემი ადგილის პოვნისთვის. საქმის შესრულებისას მუდამ ვუსახავ თავს, რომ გაუკეთებელი საქმე არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ საქმის ძლიერი და სუსტი შემსრულებელნი. ვფიქრობ, ამ თვისებების შერწყმამ განაპირობა ჩემი ცხოვრებისეული წინსვლა. არავის არ ჭირდები ცოცხალმკვდარი არსება.**



**დავით გვაძაბია** საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი. დაიბადა სოფ. გულრიფშში 1945 წ. 24 თებერვალს. მშობლები: ვალენტინა გვასალია, დავით გვაძაბია; მეუღლე – ანჟელა გვათუა (1948); შვილები: ქეთევანი (1972), დავითი (1975), ნელი (1987). დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1971). იყო პურკომბინატის დირექტორი (1972-75), რაიკავშირის თავმჯდომარე (1975-78), დრანდის ჩაის ექსპერიმენტული ფაბრიკის დირექტორი (1979-82), გულრიფშის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1982-84), კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი, განყ-ბის გამგის მოადგილე (1984-88), გულრიფშის კპ რაიკომის I მდივანი (1988-91), აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1991 წლიდან), გულრიფშის რ-ნის გამგებელი (1991-95), აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის I მოადგილე (1995 წლიდან), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის რაციონალიზატორი-გამომგონებელი; აფხაზეთის გათავისუფლების პარტიის წევრი (1994 წლიდან). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1999). არის ვაჭრობის სისტემის, კოოპერაციის დამსახურებული მუშაკი.

**ჰობი:** სოხუმში დაბრუნებაზე ფიქრი, სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 98-58-37. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 10, თბილისი.*

**საქართველოს ერთიანობა, აფხაზეთის პრობლემის მოგვარება.**

**ალექსანდრე გვახარია** აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 30 ივლისს. მშობლები: გალინა გვახარია, აკაკი გვახარია; მეუღლე — ცირა კალაძე (1930-95); შვილი — აკაკი (1962). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1952). იყო თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრის ლაბორანტი (1953-56), ლიტერატურის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1956-60), აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1960 წლიდან). თსუ ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგეა 1987 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „იოსებ ზილიხანიანის" ქართული ვერსიების სპარსული წყაროები" (1958), სადოქტორო — „სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები" (1970). არის ავტორი 200-მდე სამეცნიერო სტატიისა, მონოგრაფიებისა: „იოსებ ზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები" (1958), „ფირდოუსი" (1963), „ბახთიარნამე" (1968), „სპარსული ხალხური პროზის ისტორიიდან" (1973), „ბალავარიანის სპარსული ვერსიები" (1985), „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან" I ტ. (1995). არის აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (1996).

**ჰობი:** პოეზია, თარგმნა, ბიბლიოფილია.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 22-03-01. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 57. ბ13. თბილისი. ტელ: 32-08-92.*

> **პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, საქმის უანგარო სიყვარული და ერთგულება, სიკეთის თავმდაბლური სამსახური, ყოველი დღის აღქმა, როგორც ღმრთის მიერ ბოძებული ჯილდოსი და სამადლობლად — შრომა, ყველაზე უფრო დიდი სიხარული და სიამოვნება! სპარსული ლექსებიდან: „ემსგავსე სანთელს, სხვას გაუნათე, თავად ბნელში იყავი... ემსგავსე თვალის გუგას, სხვას უმზირე, შენს თავს წურც კი შეამჩნევ."**



**გიორგი გვახარია** კინომცოდნე. დაიბადა თბილისში 1957 წ. 7 მარტს. მშობლები: ივეტა რევაზიშვილი, ნიკოლოზ გვახარია. დაამთავრა თსსა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ-ტი (1979). იყო საქართველოს ტელევიზიის შტატგარეშე ავტორი (1982-96). არის თსუ ხელოვნების ფაკ-ტის უფროსი მასწავლებელი (1983 წლიდან), თსთი პედაგოგი (1989 წლიდან), რადიო „თავისუფლების" კულტურის მიმომხილველი (1995 წლიდან), საავტორო გადაცემა „ფსიქოს" ავტორი სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2-ში" (1997 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „პლასტიკური ხელოვნების ტრადიციები ქართული ფილმების სახვით გადაწყვეტაში" (1987). სტაჟირება გაიარა პარიზის „ადამიანის მეცნიერებათა ინსტიტუტში", იყო დ.დიდროს სახელობის სტიპენდიანტი (1993-94). არის ავტორი სტატიებისა ჟურნალ-გაზეთებისათვის: „ხელოვნება და კინო", „7 დღე", „დილის გაზეთი"; თანაავტორი წიგნებისა: "Le Cinema Georgien" (Paris, 1988), „Eizenstein" (Milan, 1990), "Europa, Europa" (Bonn, 1994).

**ჰობი:** ფიგურული სრიალი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ძმები კაკაბაძეების 2, თბილისი 380008 . ტელ: 92-23-68. (ბინის) უზნაძის 2, ბ. 31, თბილისი, 3800002 ტელ: 95-04-05.*

> **შევეცადო, არ ვიყო გულგრილი იმის მიმართ, რაც ხდება ჩემს გარშემო; ვებრძოლო სიძულვილს და დავიცვა სიყვარული; არ ვიყო დოგმატური, ვიყო იმს გვერდით, ვინც ეძებს და არასოდეს დავკმაყოფილდე მიღწეულით.**



**გურამ გველესიანი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 23 თებერვალს. მშობლები: თამარ ლორთქიფანიძე, გიორგი გველესიანი; მეუღლე — ირინე გველესიანი (1928); შვილები: მანანა (1958), გიორგი (1960). დაამთავრა სპი ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1950). მუშაობდა მეტალურგიის ინ-ტში (მოსკოვი, 1953-58); იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინ-ტის ლაბორატორიის გამგე, დირექტორის მოადგილე (1958-88).

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყობის აკადემიკოს-მდივანია 1988 წლიდან. არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1966). გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 5 მონოგრაფია, სახელმძღვანელო. არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1985), საქართველოს სახელმწიფო (1983), პ.მელიქიშვილის (1992), გ.ნიკოლაძის (1984) პრემიების ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1998).
**ჰობი:** ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი 380008. ტელ: 99-54-80. ფაქსი: 99-88-23. ელ-ფოსტა: root@presid.acnet.ge (ბინის) თარხნიშვილის 23, ბ.9. თბილისი. ტელ: 22-47-14.*



**კობა გვენეტაძე** ეკონომისტი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, ეკონომიკის მაგისტრი. დაიბადა თბილისში 1971 წ. 26 დეკემბერს. მშობლები: მედეა გვენეტაძე, დიდიმ გვენეტაძე. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1994), "American University"-ის ეკონომიკის დეპარტამენტი (აშშ 2000). იყო გაზეთ "ივერია-ექსპრესის" ეკონომიკიური მიმომხილველი (1994), საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი ეკონომისტი (1994-97), საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) წარმომადგენლობის (1997-98) და ვაშინგტონში სსფ (2000) ეკონომისტი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე (2000-2001), სახელმწიფო მინისტრის მოადგილეა 2001 წლიდან.
**ჰობი:** მუსიკა, კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) სახელმწიფო კანცელარია. ინგოროყვას 7, თბილისი 380034. ტელ: 93-27-22. ფაქსი: 93-84-65.*

**კრედო – სწავლა; მიზანი – პროფესიონალად ჩამოყალიბება. ვფიქრობ, ეს დამეხმარა წარმატებაში. ვაპირებ ასევე გავაგრძელო.**



**ნინო გვენეტაძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი. დაიბადა ხაშურში 1964 წ. 27 იანვარს. მშობლები: მარიამ გოგოლაძე, გუზან გვენეტაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990), სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1993). იყო იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი რეფორმის სახ. კომისიის სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელი ქვეკომისიის წევრი (1994-98), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე (1998-99), იუსტიციის მრჩეველი. თსუ სისხლის სამართლის კათედრის დოცენტია 1998 წლიდან, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე — 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „დანაშაულის ორგანიზატორი" (1995). არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა: „თანამონაწილეობის სახეები საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართალში" (1993), „თანამონაწილეობის სახეებად კლასიფიკაციის ისტორიისთვის" (1994), თანაავტორი წიგნისა: „პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის" (გ.მამულაშვილთან ერთად, 2000). არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი (1994).
**ჰობი:** ხელსაქმე.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 98-20-78. ფაქსი: 99-03-42. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 56. ბ. 7. თბილისი 380077. ტელ: 39-47-93.*

**სიმართლისა და სამართლიანობისთვის ბრძოლა, სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებისთვის ზრუნვა, სამართლის როლისა და მნიშვნელობის საკითხის განსაზღვრა საზოგადოებრივი წინსვლის საქმეში. გულისხმიერება, კეთილი საქმის ქმნა და თავდაუზოგავი შრომა — ჩემი წარმატების წინაპირობაა.**

**რომან გვენცაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1945წ. 6 აპრილს. მშობლები: ვერა ჭავჭანიძე, ლევან გვენცაძე; მეუღლე — ეთერ



ნიკოლაიშვილი (1945); შვილები: ლევანი (1965), ნანა (1968). დაამთავრა სპი სამშენებლო (1971), თსუ იურიდიული (1986) ფაკ-ტები. მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში, გაიარა გზა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორიდან მინისტრამდე (1974-94). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ავტორი დეტექტიური რომანისა "საბედისწერო გასროლა" დაჯილდოებულია ორდენით და რამდენიმე მედლით. არის დ.აღმაშენებლის საზოგადოების დამაარსებელი და ვიცე-პრეზიდენტი (1989).
**ჰობი:** ძველი ისტორიული ძეგლების აღდგენა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ქეთევან წამებულის 77, თბილისი. ტელ: 70-40-21.*
**პატიოსნება, მამულისათვის თავის გაწირვა, პროფესიონალიზმი, საკუთარი ხალხის სიყვარული.**



**ნანა გვეტაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1966 წ. 15 მარტს. მშობლები: დარეჯან უგრეხელიძე, ვასილ გვეტაძე; მეუღლე — თამაზ ეძგვერაძე (1960); შვილები: თამაზი (1985), დარეჯანი (1993). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1992). იყო სანკტ-პეტერბურგის შპს ფირმა "არგო-2"-ის იურისკონსულტი (1992-97), თბილისის მთაწმინდის რ-ნის ადვოკატურის ადვოკატი (1998-99). თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) კავსაძის 10, ბ. 26. თბილისი 380062.*
**პასუხისმგებლობის გრძნობა, სამართლიანობა, სიკეთის რწმენა, პრინციპულობა.**

**ლევან გზირიშვილი** მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა კასპში 1959 წ. 13 ნოემბერს. მშობლები: ლამარა მესროფაშვილი, ოთარ გზირიშვილი; მეუღლე – მარინა რაზმაძე (1959); შვილები: ოთარი (1987), სანდრო (1988). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1983). იყო ადიგენისა (1983-84) და გორის რ-ნების პროკურატურების გამომძიებელი, გორის რ-ნის პროკურორის თანაშემწე (1984-86), საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს პროკურორი (1986-90), კასპის რაიონული პროკურორი (1990-91), გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო განყ-ბის პროკურორი (1991-93), კასპისა (1993-97) და ხაშურის (1997-99) რ-ნების პროკურორი. მცხეთის რაიონული სასამათლლოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** ქართული პოეზია, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) სამხედროს 18, მცხეთა. (ბინის) იოანე პეტრიწის 8, ბ. 64, დიდი დიღომი, თბილისი.*
**მოეპყრო სხვას ისე, როგორც ვისურვებდი რომ სხვა მე მომპყრობოდა.**



**გიორგი გიგაური** ინჟინერი-მეტყევე, სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა ყაზბეგში 1924 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: ელისაბედ გიგაური, ნიკოლოზ გიგაური; მეუღლე — თინათინ ნებუნიშვილი (1926); შვილები: დავითი (1950), მარინე (1951), ზურაბი (1961). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1948). იყო კომკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივანი (1948-49), სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ასისტენტი (1953-57), დოცენტი (1957-78), საკავშირო გაერთიანება „ტყეპროექტის" საქართველოს კანტორის მმართველი (1953), სატყეო ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1956-70), სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე (1977-80). საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორია 1978 წლიდან, სამთო მეტყევეობის ინ-ტის დირექტორი — 1980 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს წიფლისა და მუქწიწვო-

ვანი ტყეების ზრდა-განვითარებისა და აღნაგობის კანონზომიერებები" (1973). არის 144 სამეცნიერო ნაშრომის, 12 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: „საქართველოს ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა" (1960), „საქართველოს ტყეებში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები" (1980), "Горные леса" (1983), "Сосновые леса Кавказа" (1987), „საქართველოს ნაკრძალები" (1990), „საქართველოს ტყეების ბიოლოგიური მრავალფეროვნება" (2000), „საქართველოს დენდრო-ფლორა" (2001), „ტყეთმოწყობა" (სახელმძღვანელო, 2001). მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია (1985), სსრკ „საპატიო ნიშნის", საქართველოს ღირსების (1996) ორდენები. არის საქართველოს მეტყევეთა საზოგადოების პრეზიდენტი, სატყეო მეურნეობის სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, სატყეო სექტორის განვითარების პროგრამის განხორციელების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, „ადამიანი და ბიოსფეროს" საქართველოს ეროვნული კომიტეტის ბიუროს წევრი (1995), მეცნიერებათა აკადემიის მთიანეთის კომპლექსური შესწავლის ქვეკომისიისა და აგრარულ მეცნიერებათა პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო" (I ტ.). IBC-ის მიერ მიენიჭა „საერთაშორისო ღირსების ორდენი" (2000).
**ჰობი:** ფეხბურთი, ცურვა, თეატრი, მხატვრობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მინდელის 9. თბილისი, 380086. ტელ: 30-34-66, 30-31-70. (ბინის) ატენის შეს. 11. თბილისი, 380079. ტელ: 22-36-48.*

**სიმართლე, სიკეთე, სიყვარული, კაცთმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული, საქმისადმი თავდადება.**



**მანანა გიგინეიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 17 ივლისს. მშობლები: ბარბარე ჩილინგარიშვილი, ივანე გიგინეიშვილი; მეუღლე — ირაკლი რამიშვილი (1929); შვილები: ბიძინა (1959), ვანო (1967). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1956). იყო ლიტერატურის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის" (1970). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის, ფრანგული, ინგლისური, გერმანული და ესპანური ენებიდან მხატვრული ლიტერატურის თარგმანების ავტორი, ძველი ქართული ლიტერატურის კომენტირებული ქრესტომათიის თანაავტორი.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა, ხატვა, ქსოვა, ქარგვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი, 380018. ტელ: 92-15-73, 99-89-08. ფაქსი: 99-72-06. (ბინის) ჩიქოვანის 24ა, ბ.59, თბილისი 380071. ტელ: 33-03-93.*

**ღვთის ხატად შექმნილმა ადამიანმა სულიერი ინტერესებით უნდა იცხოვროს, ჭეშმარიტების მსახურებით უნდა ნაადგეს საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც.**



**მარინე გიგინეიშვილი** გაზეთ „დროს" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 22 მარტს. მშობლები: მაყვალა რუხაძე, ოთარ გიგინეიშვილი; მეუღლე — რომეო გურგენიძე (1966); შვილები: ნათია (1984), ანა (1994). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1976). იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" განყ-ბის გამგე. გაზეთ „დროს" მთავარი რედაქტორია 1989 წლიდან. არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1990).
**ჰობი:** სიმშვიდე, მშვიდ გარემოში ყოფნა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი 380096. ტელ: 93-56-29.*

**შრომისმოყვარეობა და ნებისყოფა, წიგნიერება. შემიძლია მოვუსმინო ერთი შეხედვით უინტერესო ადამიანსაც და ბევრი რამ გავიგო, უფრო მეტიც, ვისწავლო მისგან. ყოველთვის ამა თუ იმ საკითხზე აზრს ვეკითხები ახლობლებს, კოლეგებს, მართალია, პრობლემას საბოლოოდ ენყვეტ ისე, როგორც მე ეთელი მართებულად. ცხოვრებისეული გაკვეთილების მიღება უმთავრესად მეჩვენება. პროფესიონალიზმი და კეთილშობილება მთავარი განმსაზღვრელია ადამიანის შეფასებაში.**



**ნაირა გიგიტაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ხაშურში 1959 წ. 22 მარტს. მშობლები: ნანული გიგიტაშვილი, სერგო გიგიტაშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო თბილისის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკა "კომკავშირელის" მქსოველი (1978-80), თბილისის პროკურორის თანაშემწე, ზონის პროკურორი (1986-91), საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი პროკურორი (1991-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. არის ავტორი პუბლიკაციებისა ჟურნალში "სამართალი" (1997-99). მიღებული აქვს კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება, რამდენიმე ჯილდო და მადლობა.
**ჰობი:** პოეზია.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) ქ. ჩოლოყაშვილის II კვ., IV კორპ., ბ. 19, თბილისი. ტელ: 70-24-17.*

**კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა, ქრისტიანული მორალისა და რწმენისადმი ერთგულება.**



**ია გიგოშვილი** მხატვარი. დაიბადა მინსკში 1957 წ. 28 ნოემბერს. მშობლები: იზა გიგოშვილი, არტურ პროკაპჩუკი; მეუღლე — ოთარ ვეფხვაძე (1953); შვილები: გიორგი (1979), ერეკლე (1983). დაამთავრა თსსა დაზგური გრაფიკის ფაკ-ტი (1980). არის ავტორი ნამუშევრებისა: „სიბრძნე ბალაჰვარისა" (წიგნის გაფორმება, 1980), „ტრადიციების აღორძინება" (1984), „წელიწადის დროები", ილუსტრაციები ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებისათვის (ოფორტები, 1983), სერიგრაფია „მთიულური მოტივები" (1986), სერია „ეკლესიასტე" (1992-93), „სოლომონ მეფე", „ქებათა ქება" (1992-94) და სხვ. შექმნა კოსტუმების დიზაინი ფილმისთვის „მაცგი" (რეჟ. მ.თავაძე, 1986). გამართა გამოფენები: თბილისი (1984); City Hall (ჰამბურგი, 1991); Saar Galery „Marline Hanstain Galery" (საარბრიუკენი, 1993); European Akademy (ობერჰაუზენი, 1993); „Dagstul Palace" (საარლანდი); Merwede Hospital (დორტრეხტი, ჰოლანდია, 1996), „Galerie de Dreutenhof" Orvelte (ჰოლანდია, 1996), Corcoran International Art Institute (ვაშინგტონი, 1996), გალერეა „ორიენტი" (ნ.ფერაძესთან ერთად, 1997), „ქარვასლა" (1998). მისი ნამუშევრები დაცულია: მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფონდში (მოსკოვი), „ექსპრეს-ავანგარდის" გალერეაში (მოსკოვი), ნოვოსიბირსკის „ხელოვნების მუზეუმში", აშშ კერძო კოლექციაში. მონაწილეობდა კავკასიის რესპუბლიკების I ბიენალეში (ოქროს მედალი, 1986); მოსკოვის დაზგური გრაფიკის I საერთაშორისო გამოფენაში (I პრემია, 1987); „ამერიკული გრაფიკის ცენტრში" (მოსკოვი, 1989-97); „Franc Masered Centre"-ში (ბელგია, 1994, 1996). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1983).
**მისამართი:** *(ბინის) თელეთის ქ.4 თბილისი 380085. ტელ: 75-11-82.*



**როლანდ გილიგაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, საპროცედურო საკითხებისა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. არაშენდაში (გურჯაანის რ-ნი) 1952 წ. 18 მარტს. მშობლები: ნადია გილიგაშვილი, ნიკოლოზ გილიგაშვილი; მეუღლე - ნინო ჭილაშვილი (1955); შვილი – ნიკოლოზი (1981). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1974). იყო უმაღლესი სასამართლოს კურიერი, კანცელარიის ინსპექტორი, სხდომათა მდივანი, კონსულტანტი, უფროსი კონსულტანტი (1974-77), მუშაობდა პროკურატურის სისტემაში (1977-78), იყო კალინინის რ-ნის პროკურორი (1978-83), რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე (1983-86), რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე (1986-97), იუსტიციის მინისტრის მოადგილე (1997-99). პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.
**ჰობი:** ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ 92-24-02. (ბინის) ზაქარიაძის 8, თბილისი.*



**გრიგოლ გიორგაძე** ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა ქუთაისში 1927 წ. 28 ივლისს. მშობლები: მარიამ გიორგაძე (ლეპერტი), გრიგოლ გიორგაძე; მეუღლე — მელიტა საბაშვილი (1930); შვილები: ნინო (1952), ელენე (1957). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1952). იყო ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1956-88). არის თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის ასირიოლოგიის კათედრის გამგე (1991 წლიდან), ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის განყ-ბის ხელმძღვანელი (1988 წლიდან). მისი ხელმძღვანელობით დაცულია სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები, არის 6 წიგნისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საერთაშორისო ჟურნალის "Вести древней истории" სარედაქციო საბჭოს წევრი (1988 წლიდან), ABI-ის სამეცნიერო კვლევების მრჩეველთა საბჭოს მრჩეველი, მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციის მონაწილე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო".

**ჰობი:** კლასიკური მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) მელიქიშვილის 10, თბილისი 380079. ტელ: 99-06-82. (ბინის) ბარნოვის 74. თბილისი 380079. ტელ: 23-20-55.*

> **შრომა, ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიული გატაცება, პრინციპულობა, სამართლიანი კრიტიკის მომხრე, მტერი ორპირობისა, გაიძვერობისა, მლიქვნელობისა; ადამიანში მისი საუკეთესო თვისებების დანახვა, სიძულვილი ბოროტებისადმი; უღალატო მეგობრობა, პოეზიისა და მუსიკის ტრფიალი.**



**თამაზ გიორგაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა ბათუმში 1947 წ. 7 ივლისს. მშობლები: ეთერ წილოსანი, ჭიჭიკო გიორგაძე; მეუღლე – ნელი გელაშვილი (1949); შვილები: თეა (1973), ილია (1976). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1971). იყო ტუბსანატორიუმ "ლიბანის" ექიმი (1971-72), ბორჯომის რ-ნის მთავარი ექიმის მოადგილე (1973-74), მთავარი ექიმი (1974-76), კურორტ ბორჯომის გაერთიანების მთავარი ექიმი (1976-79), თბილისის გლდანის რ-ნის მთავარი ექიმი (1980-95), გლდანის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1995-98), თბილისის ტურიზმისა და კურორტების სამსახურის უფროსი (1998-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე "ჯანდაცვის ორგანიზაცია, სამეცნიერო მიღწევები და გამოგონებები საქართველოს ევაკოჰოსპიტლებში 1941-45 წ.წ." (1985). არის წიგნის "ქართველი ექიმები, საქართველოს ევაკოჰოსპიტლები", 28 სამეცნიერო ნაშრომისა და 2 მონოგრაფიის ავტორი; საქართველოს დამსახურებული ექიმი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1988).

**ჰობი:** სპორტი, ნადირობა, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სასახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-76. ფაქსი: 99-09-05. (ბინის) ბახტრიონის 22, ბ. 28, თბილისი, 380038. ტელ: 93-65-52.*

> **ოჯახი, ოჯახური ტრადიციების შენარჩუნება, მშობლები, მეუღლე, შვილები, პატივისცემა და მოკრძალება; განათლება და პროფესიონალიზმი; კაცმა უნდა იცოდეს, რას აკეთებს, რასაც აკეთებს, როგორ გააკეთოს. ეს ძლიერი ქვეყნის საფუძველია.**



**ილია გიორგაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1957 წ. 18 ივლისს. მშობლები: ქეთევან წერეთელი, დავით გიორგაძე; მეუღლე — მანანა ნირქვაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1980). იყო იუსტიციის მინისტრის თანაშემწე (1980-85), იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს უფროსის მოადგილე (1985-89), თბილისის ნაძალადევის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე (1989-98).

**ჰობი:** ლიტერატურა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, 53-09-17*

პატიოსნება, სინდისი, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, კანონიერება. მიზანია — ახალი დემოკრატიული, ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს აშენება, მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი რწმენის განმტკიცება.



**მამუკა (ივანე) გიორგაძე** პოლიტიკოსი, პოლიტიკური პარტია „სახალხო პარტიის" თავმჯდომარე. დაიბადა ჩოხატაურში 1961 წ. 2 ივლისს. მშობლები: თამარ გიორგაძე, ბესარიონ გიორგაძე; მეუღლე — ნონა გიორგაძე (1967); შვილები: თამარი (1995), ნინო (1997), ბესარიონი (1999). დაამთავრა სპი ჰიდროტექნიკა-სანტექნიკის ფაკ-ტი (1987). იყო ეროვნული კონგრესის წევრი (1990-92), სახელმწიფო საბჭოს სამხედრო კომისიის თავმჯდომარე (1992), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური მდივანი (1981-96), პარლამენტის წევრი (1992-99). ქრისტიან-დემოკრატიული ინტერნაციონალის პოლიტიკური ბიუროს წევრია 1993 წლიდან. აქვეყნებდა სტატიებს პერიოდულ პრესაში.
**ჰობი:** რაგბი, განსხვავებული სასმისების შეგროვება-გამოყენება.
**მისამართი:** *(ბინის) წერეთლის 48. თბილისი 380054. ტელ: 95-69-25, 35-11-04.*
**ვარ მორწმუნე ქრისტიანი, იდეოლოგიით — ქრისტიან-დემოკრატი.**



**პანტელეიმონ გიორგაძე** საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალი. დაიბადა სოფ. კორმაღალში (სამტრედიის რ-ნი) 1925 წ. 17 აგვისტოს. მშობლები: სოფია კობრავა, ივანე გიორგაძე; მეუღლე — ვალენტინა ალტუხოვა-გიორგაძე; შვილები: იგორი (1950), მარინა (1956). დაამთავრა სსრკ სამხედრო ინ-ტი, გენერალური შტაბის აკადემია (1969). იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში, იყო წითელარმიელი, კურსანტი, ოფიცერი, გაიარა გზა რიგითი ჯარისკაციდან სსრკ სასაზღვრო ჯარების ოლქის სარდლის პირველ მოადგილემდე. არის დიდი სამამულო ომის მონაწილე, მსახურობდა მონღოლეთში, კუბაში და სხვა ქვეყნებში. დაჯილდოებულია სსრკ ოცდათხუთმეტი მედლითა და ორდენით, ოთხი სხვა ქვეყნის რვა ორდენითა და მედლებით. არის კომუნისტური პარტიის წევრი (1944).
**ჰობი:** მებაღეობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) შარტავას 7. თბილისი 380060. ტელ: 38-87-86. (ბინის) ფალიაშვილის 31. ბ.10. თბილისი 380079.*
**სამშობლო, სოციალიზმი, ხალხის ბედნიერება.**



**გიორგი (გურამ გამრეკელი)** სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი, აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1946 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: ეკატერინე გამრეკელი, ვახტანგ გამრეკელი; მეუღლე — ირინე გამრეკელი (1950); შვილები: ვახტანგი (1970), გიორგი (1972), ნიკოლოზი (1979), ლია (1990). დაამთავრა ნოვოჩერკასკის პი სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი (1970), მცხეთის სასულიერო სემინარია (1988). იყო საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს უფროსი გეოლოგი (1970-85), ხელდასხმულ იქნა მღვდლად (1988). იყო ანჩისხატის ტაძრის წინამძღვარი (1988-89), მიენიჭა პროტოპრესვიტერის წოდება (1989). იყო თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის რექტორი (1989-93). დაინიშნა საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარედ (1993), სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრად (1989). არის საქველმოქმედო საზოგადოება „ბეთლემის" თავმჯდომარე (1992), გელათის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1995).
**ჰობი:** სოფლის მეურნეობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს საპატრიარქო, ერეკლე II-ეს მოედანი 1. თბილისი. ტელ: 98-89-78. (ბინის) გლდანი, „ა" მ/რ, 70-ე კორპ. ბ. 34. თბილისი. ტელ: 62-63-48.*
**პასუხისმგებლობა ყველას წინაშე: „ეძიებდეთ პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ" (მთ. VI, 33).**



**გიორგი (შალამბერიძე)** ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტი. დაიბადა სოფ. პირველ ფერსათში (ბაღდათის რ-ნი) 1940 წ. 25 თებერვალს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა ლენინგრადის სასულიერო სემინარია, სასულიერო აკადემია (1971). იყო თბილისის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის მღვდელი (1971-74), ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელი (1974-78), მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი და მცხეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე. აღიყვანეს პროტოპრესვიტერის ხარისხში (1982), აღიკვეცა ბერად და აღიყვანეს არქიმანდრიტის ხარისხში (1988), მიენიჭა ეპისკოპოსის ხარისხი (1988), მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (1994), აღიყვანეს მიტროპოლიტის ხარისხში (2000). დაჯილდოებულია დეკანოზის ხარისხით და მკერდის გამშვენებული ჯვრით, მეორე გამშვენებული ჯვრით, მთავარ ვლადიმერის III ხარისხისა და წმ. გიორგის II ხარისხის მედლებით. არის ღვთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატი.
**მისამართი:** *ტელ: 38-46-40, 2-13-38, 2-23-08.*



**დემურ გიორხელიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ბიუჯეტის კონტროლის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ქუთაისში 1952 წ. 3 ნოემბერს. მშობლები: ეთერ ბალავაძე-გიორხელიძე, შალვა გიორხელიძე; მეუღლე – მერი აბულაძე (1949); შვილები: ირინე (1978), ზვიადი (1986). დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინ-ტის მსუბუქი მრეწველობის ფაკ-ტი (1974). იყო ქუთაისის პოლიტექნიკური ინ-ტის მასალათა გამძლეობის კათედრის ლაბორატორიის გამგე, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, კათედრის გამგის მოადგილე, კათედრის გამგის მ.შ., ინ-ტის გაერთიანებული პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე (1974-93), ქუთაისის, იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის, იმერეთის რეგიონის კონტროლის პალატების თავმჯდომარე (1994-99). ავტორია რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომისა, 3 მეთოდური სახელმძღვანელოსი მყარი დეფორმირებადი სხეულების მექანიკაში, სტატიებისა სახელმწიფო ფინანსების, ინსტიტუციონალური ეკონომიკისა და ტრანსფორმაციის ზოგად საკითხებზე.
**ჰობი:** ავტომობილი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-71. მობ: 8-99-56-97-11. (ბინის) ავტომშენებლის 27, ბ. 22, ქუთაისი. ტელ: 7-79-64.*

**ზოგადი პრინციპები ეყრდნობა ქრისტიანულ-დემოკრატიულ ფასეულობებს, ერთგულებას ტრადიციული მორალისადმი, დამახასიათებელს ზოგადად ქართული კულტურისათვის; პიროვნულ ასპექტში – წესიერებას, ღრმა პროფესიონალიზმს, თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვას და ეფექტურ, შედეგიან მოღვაწეობას (საქმიანობას).**



**მარინა გლოველი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა 1958 წ. 17 ივლისს. მშობლები: მერი გერმანიშვილი, არსენ გლოველი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1984). იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტაჟიორ-მოსამართლე (1984-85), საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის ადვოკატი (1985-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა1999 წლიდან.
**ჰობი:** მუსიკა, ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 52-09-11. (ბინის) თელიას 10, თბილისი ტელ: 96-61-37*

**ვიყო მართალი.**



**ჯონი გოგაბერიშვილი** მოქანდაკე, საქართველოს მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა 1953 წ. 15 აპრილს სოფ. ზედაგორაში (ვანის რ-ნი). მშობლები: ნინა ბაღდავაძე, ლევან გოგაბერიშვილი; მეუღლე – ნინო თვალაძე (1958); შვილი – ნანა (1984). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1976). არის ავტორი ნამუშევრებისა: "ბორბალი" (1985), "მარადისობა" (ავსტრალია, 1988), "ვედრება" (გერმანია, 1996), "წმინდა გიორგი" (საფრანგეთი, 2000) და სხვ. მონაწილეობდა საქართველოში, სსრკ ქვეყნებსა და საზღვარგარეთ გამართულ

გამოფენებში, პლენერებსა და სიმპოზიუმებში. დაჯილდოებულია პრემიით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1986), ტაშკენტის საერთაშორისო სიმპოზიუმის I პრემიით (1986). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1981). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** ხალხური სიმღერა.
**მისამართი:** *(ბინის) ჭავჭავაძის 42, ბ. 8ა, თბილისი 380062. ტელ: 29-13-98.*
**შემოქმედება.**



**ირაკლი გოგავა** საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დსთ ქვეყნებთან ურთიერთობათა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1974 წ. 10 ივლისს. მშობლები: რუსუდან მოისწრაფიშვილი, ელგუჯა გოგავა. დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკ-ტი (1996). იყო თსუ სტუდკავშირის თავმჯდომარე (1993-94), ევრაზიის სტუდენტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (1994-95), სმკ საერთაშორისო სამდივნოს უფროსი (1995-96), სმკ საერთაშორისო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1996), სტრატეგიული კვლევისა და პოლიტიკური განვითარების ცენტრის დირექტორი (1996 წლიდან), საქართველოს პარლამენტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი (1997-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის სმკ წევრი, ქ. ბელფასტის საქალაქო საბჭოს საპატიო წევრი.
**ჰობი:** სპორტი, კლასიკური მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ/ფაქსი: 93-32-87 ელ-ფოსტა: gogava@parliament.ge*

**მირიან გოგიაშვილი** ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მდივანი. დაიბადა თბილისში 1973 წ. 23 აპრილს. მშობლები: მანანა შიხაშვილი, ომარ გოგიაშვილი. დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი, საერთაშორისო განვითარების ინ-ტის განვითარების ეკონომიკის ფაკ-ტი (ტოკიო). იყო შპს "აკა"-ს მენეჯერი (1993-95), მინისტრთა კაბინეტის, სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მრჩეველი (1995-98), განყ-ბის უფროსის მოადგილე, მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწე (1998-2000), პრეზიდენტის თანაშემწე საბიუჯეტო და ფისკალურ საკითხებში (2000-2001), არის ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს მდივანი, ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორი (2001 წლიდან).
**ჰობი:** ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ონიაშვილის 6, თბილისი. ტელ: 99-67-45.*

**ომარ გოგიაშვილი** სპორტის აკადემიის რექტორი, თსუ პოლიტოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 22 ოქტომბერს. მშობლები: ანიკო კანტიძე, გიორგი გოგიაშვილი; მეუღლე — მანანა შიხაშვილი (1951); შვილები: მირიანი (1973), სოფიო (1975). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1964). იყო თსუ ასპირანტი (1964-68), თსუ კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1967-70), საქართველოს კომკავშირის ცკ სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგე (1970-73), თსუ ისტორიის ფაკ-ტის დოცენტი, პროფესორი. პოლიტოლოგიის კათედრის გამგეა 1998 წლიდან, სპორტის აკადემიის რექტორი — 1984 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „შრომის სტიმულების ურთიერთდამოკიდებულების ისტორიული ხასიათი" (1975); სადოქტორო — „შრომის კოლექტიური სტიმულების როლის ზრდის შესახებ" (1987). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „შრომის სტიმულები" (1980), „შრომის კოლექტიური სტიმულირება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში" (1987), „ივანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა" (ე.ბატიაშვილთან ერთად, 1998). იყო სკკპ წევრი (1964-90), სმკ წევრი (1993).
**ჰობი:** ნადირობა.

*მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 49. თბილისი 380062. ტელ: 22-31-60, 29-33-11. ფაქსი: 29-37-59. (ბინის) ხვიჩიას 15-ა. თბილისი. ტელ: 37-38-60.*

შრომისმოყვარეობა, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა, კეთილგანწყობა ადამიანების მიმართ (მათ შორის ხელქვეითებისადმი), მათში პირველ ყოვლისა დადებითი ნიშნების წამოწევა და აღიარება, პიროვნული ღირსების პატივისცემა და დაფასება, მიმტევებლობა, შეურიგებლობა უმადურობისადმი.

**ᲡᲔᲡᲘᲚᲘ ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ** საქართველოს კულტურის მინისტრი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 1 დეკემბერს. მშობლები: რენო დოლიძე, იულონ გოგიბერიძე; მეუღლე — ზაზა შენგელია (1963); შვილი — ნინო (1986). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1983). იყო თსუ კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1986-87), საქართველოს ალკკ ცკ-ს მდივანი, I მდივანი (1987-90), საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე (1990-91), თსუ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პედაგოგი (1990-99), ტელეკომპანია „მირის" დირექტორი (1995-98), საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე (1998-2000). კულტურის მინისტრია 2000 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: "ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე" (1994).
ჰობი: წიგნები.
*მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 37, თბილისი 380008. ტელ: 93-22-55. ფაქსი: 99-90-37. (ბინის) ბარნოვის 71, თბილისი 380079. ტელ: 22-70-76*

ვიყო მართალი საკუთარი თავის წინაშე.



**ᲡᲝᲡᲝ ᲒᲝᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ** გაზეთ „ახალი თაობის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 31 იანვარს. მშობლები: თინა ჩხეტიანი, ივანე გოგინაშვილი; მეუღლე — დალი სანაია; შვილები: ალექსანდრე (1984), ბექა (1988), კონსტანტინე (2000). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1980). იყო 30-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი (1980-86), ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1981-94). გაზეთ „ახალი თაობის" მთავარი რედაქტორია 1993 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნათესაობის სისტემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში" (1989). გამოქვეყნებდა სტატიებს პრესაში.
ჰობი: წიგნები, სპორტი.
*მისამართი: (სამსახურის) მარჯანიშვილის 89/24. თბილისი 380002. ტელ: 95-25-89. (ბინის) პეტრიწის 10, ბ. 59.*

ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი, ოღონდ სხვისი თავისუფლება არ უნდა შეზღუდოს. ასეა ქვეყანაც. თავისუფალი ადამიანი თავისუფალ საქართველოში — ეს ჯერ კიდევ მისაღწევია. ცხოვრებისეული მიზნის მისაღწევად ყველა ძალა უნდა გამოიყენო, დაფუძნებული პატიოსნებაზე, რაც არის შენში. წარუმატებლობის არ შეგეშინდეს. გჯეროდეს საკუთარი თავის და შეგეძლოს გარშემო ისეთი ხალხის შემოკრება, ვისიც გჯერა.



**ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ** საქართველოს პარლამენტის წევრი, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა სოფ. გოგინაურში (შუახევის რ-ნი) 1952 წ. 5 აგვისტოს. მშობლები: ფიქრია გოგიტიძე, ლევან გოგიტიძე; მეუღლე – გულიკო გოგიტიძე (1952); შვილები: ავთანდილი (1971), ინგა (1972), დალი (1977). დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური (1972), მოსკოვის საფინანსო-ეკონომიკური (1986) ინ-ტები. იყო პედაგოგი (1972-73), საქართველოს ალკკ და კომპარტიის შუახევის რაიკომის, ბათუმის საქალაქო და აჭარის არ საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ თანამდებობებზე (1973-88), ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის I მოადგილე, აჭარის არ შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი (1988-92), შუახევის რ-ნის გამგებელი (1992-94), აჭარის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1995-96), რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა (1996-98) და საგადასახადო დეპარტამენტის (1998-99) თავმჯდომარე. არის საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთ-

ობათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი. იყო სკკპ (1972-91), არის დემოკრატიული აღორძინების კავშირის (1992) წევრი.
**ჰობი:** საპარაშუტო სპორტი, ქართული ფოლკლორი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 98-42-76. (ბინის) ლერმონტოვის 2, ბათუმი. ტელ: 7-19-52.*

**კეთილსინდისიერად ვასრულებდე დაკისრებულ მოვალეობას. ყოველთვის ვცდილობდი ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამომეყენებინა სამშობლოსა და ხალხის სასიკეთო საქმეში, აქტიური მონაწილეობა მიმეღო აჭარის არ ეკონიმიკის, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებაში, სკოლების, გზების, ხიდების მშენებლობაში, ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისებაში, საქველმოქმედო საქმიანობაში, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ლიკვიდაციის ღონისძიებებში, სახელმწიფო საზღვრის დაცვაში. ჩემი დახმარებით გამოიცა 16 წიგნი, დაარსდა სახელმწიფო ანსამბლი, ორი ახალი გაზეთი, ჩატარდა ფოლკლორის ფესტივალი. ვხელმძღვანელობ აჭარის არ ტყვიით სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციას.**



**ჯემალ გოგიტიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი, ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. სამებაში (ქობულეთის რ-ნი)1961 წ. 30 იანვარს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დაამთავრა სპი ქიმიური ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1984). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1994). იყო ბათუმის პედაგოგიური ინ-ტის ქიმიის კათედრის ლაბორანტი (1982-88), ინ-ტის სწავლების ტექნიკურ საშუალებათა ლაბორატორიის გამგე (1988-91), ქიმიის კათედრის მასწავლებელი (1991), საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე (1995-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8 , თბილისი 380018. ტელ: 92-20-81, 99-79-46.*



**მიხეილ გოგიშვილი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. მისაქციელში (მცხეთის რ-ნი) 1966 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: თამარ მოძმანაშვილი, ვალერიან გოგიშვილი; მეუღლე — ნინო სანაძე (1967); შვილი — ქეთევანი (1997). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკ-ტი (1992). იყო საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატის იურიდიული განყ-ბის სახელმწიფო მრჩეველი (1992-96), მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობათა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურში (1996-99). არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010.*

**"ღმერთო, მომეცი მოთმინება, რათა ავიტანო ის, რის შეცვლაც არ შემიძლია; გამბედაობა, რათა შევცვალო ის, რისი შეცვლაც შემიძლია; და გონიერება, რათა განვასხვავო ერთი მეორისაგან", კურტ ვონეგუტი.**



**აკაკი გოგიჩაიშვილი** ჟურნალისტი, ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის საგამოძიებო ჟურნალისტური გადაცემის "60 წუთი" ავტორი და წამყვანი. დაიბადა თბილისში 1966 წ. 26 ივლისს. მშობლები: ნანა კვერნაძე, ამირან გოგიჩაიშვილი; მეუღლე – ნინო ხაჟომია (1977). დაამთავრა თსუ (1993), კოლორადოს უნივერსიტეტი (აშშ 1995), დიუკის უნივერსიტეტის ასპირანტურა (1997). იყო გაზეთ "რეზონანსის" მთავარი რედაქტორის მოადგილე (1993-95), გაზეთ "ალიას" სპეციალური კორესპონდენტი ვაშინგტონში (1995-97), "National Security and National Resources News Service"-ის გამომძიებელი ჟურნალისტი (1998), რადიო "ამერიკის ხმის" წამყვანი, რეპორტიორი (1998), "სტუდია "აუდიენციის" გადაცემათა დირექტორი (1998).
**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 45, თბილისი 380078. ტელ: 32-23-71.*

მუდმივი პროფესიული ზრდა, სიმართლისა და სამართლისათვის ბრძოლა, უსამართლობის მხილება, პირადი ინტერესების დათმობა საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ, შეუპოვრობა და პრინციპულობა.



**რუსლან გოგოლიშვილი** ქობულეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ქობულეთში 1965 წ. 22 აპრილს. მშობლები: ქეთო ბეჟანიძე, აკაკი გოგოლიშვილი; მეუღლე — იზა ბოლქვაძე (1972); შვილები: ქეთი (1992), ქრისტინა (1996). დაამთავრა მოსკოვის სახ. სასოფლო-სამეურნეო აკადემია. იყო სასათბურე მეურნეობის ბრიგადირი (1989-90), ქობულეთის რ-ნის ქონების მართვის განყოფილების თანამშრომელი (1990-95), აჭარის არ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დაცვის სამსახურის ოპერატიულ-სადაზვერვო სამსახურის უფროსი (1996-97), აჭარის არ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დაცვის სამსახურის უფროსის I მოადგილე (1997-98), საბაჟო პოლიციის უფროსი (1998-99), ქობულეთის რ-ნის გამგებლის მ.შ. (1999-2000). არის დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1994).
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 140. ქობულეთი 384410. ტელ: 6-24-00. ფაქსი: 6-72-00. (ბინის) აღმაშენებლის 116, ბ.21. ქობულეთი 384410. ტელ: 6-70-32.*



**ხათუნა გოგორიშვილი** საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 4 სექტემბერს. მშობლები: დალი გოგიძე, შოველ გოგორიშვილი. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1987). იყო სოფ. კიკეთის საშუალო სკოლის პედაგოგი (1987-90), თბილისის 25-ე გიმნაზიის პედაგოგი (1990-94), საქართველოს მწვანეთა პარტიის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი (1989-93), საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წამყვანი სპეციალისტი (1993-95). პარლამენტის აპარატის უფროსია 1995 წლიდან. არის საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წევრი (1990 წლიდან).
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-51-13. ფაქსი: 99-09-64. ელ-ფოსტა: hdstaf@parliament.ge*



**ნუგზარ გოგსაძე** საქართველოს სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი. დაიბადა საჩხერეში 1944 წ. 29 ივლისს. მშობლები: ტასო გოგსაძე, დავით გოგსაძე; მეუღლე — ნაირა აბულაძე (1954). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1967), სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინ-ტის ასპირანტურა (მოსკოვი, 1979). იყო კიბერნეტიკის ინ-ტის ტექნიკოსი, ინჟინერი (1968-74), კიბერნეტიკის ინ-ტის და რუსთავის სსი „ავტომატმრეწვის" ინჟინერი (1974-76), ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე (1976-98). დირექტორია 1998 წლიდან. მიღებული აქვს 4 საავტორო მოწმობა ელექტრონიკასა და ოპტოელექტრონიკაში.
**ჰობი:** სამთო ტურიზმი.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 47. თბილისი 380009. ტელ: 98-95-36, 33-50-63.*
**სამართლიანობა, პატიოსნება, სხვისი შრომის დაფასება და იუმორი.**



**შოთა გორგოძე** შსს აკადემიის რექტორი, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა სოფ. ილემში (ზესტაფონის რ-ნი) 1932 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ლუდმილა გორგოძე, ვალერიან გორგოძე; მეუღლე — ლაურა გორგოძე (1933); შვილები: მანანა (1958), გიორგი (1963). დაამთავრა სპი (1955) და თსუ (1984). იყო ქარხანა „ელექტროგამშვების" საამქროს უფროსი (1958-60), იმავე ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი (1960-62), პარტიის პირველი მაისის რ-ნის ინსტრუქტორი (1963-65), რესპუბლიკის ОБХСЕ-ის უფროსის მოადგილე (1965-69), უფროსი (1970-77), შსს მინისტრის მოადგილე (1977-85), მინისტრი (1985-90). არის შსს დამსახურებული მუშაკი (1980). დაჯილდოებულია ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. არის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის და საერთაშორისო ინფორმატიკის აკადემიის წევრი.
**ჰობი:** ცხენოსნობა, ფეხბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) შსს აკადემია. ქერჩის შეს. 1. თბილისი. ტელ: 38-01-19. (ბინის) ჭავჭავაძის 48. თბილისი. ტელ: 29-39-79.*

**სიმართლის დაცვა და ბოლომდის მიყვანა ყველა წამოწყებული სამართლიანი საქმისა. გაჭირვებულის დახმარება და გვერდში დგომა.**

**ჯემალ გორგოძე** ზესტაფონის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ილემში (ზესტაფონის რ-ნი) 1944 წ. 10 ოქტომბერს. მშობლები: ლუდმილა გორგოძე, ვალერიან გორგოძე; მეუღლე—ნარგიზი კვატაია (1945); შვილები: თეა (1970), ვალერი (1972). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1968). იყო თბილისის რკინიგზის სავაგონო დეპოს მუშა (1963-65), სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ოპერატიული რწმუნებული (1969-75), ზესტაფონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1975-80), კპ ზესტაფონის რაიკომის მდივანი (1980-83), კპ საჩხერის რაიკომის I მდივანი (1983-85), კპ ზესტაფონის რაიკომის I მდივანი (1985-90), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95). ზესტაფონის რ-ნის გამგებელია 1993 წლიდან. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის ორდენით" (1983). არის სმკ-ს წევრი, რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, თეატრი, ნადირობა, მიწათმოქმედება.

**მისამართი:** *(სამსახურის) წერეთლის 11. ზესტაფონი 383900. ტელ: 5-28-28. (ბინის) აღმაშენებლის 1 შეს, ბ. 3, ზესტაფონი. ტელ: 5-57-83.*

**შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, ობიექტურობა, სამართლიანობა (ზოდიაქოს ნიშანი სასწორი). ჩემთვის უცხო და მიუღებელია შურის, ანგარიშსწორების, ქედმაღლობის გრძნობები, რაც მთავარია, ვცდილობდი და ვცდილობ ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმუმი გავაკეთო ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.**

**მარლენ გორდეზიანი** ბიოქიმიკოსი, დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 29 ივლისს. მშობლები: ნინო ედიშერაშვილი, შალვა გორდეზიანი; მეუღლე — ლიანა დარჩია (1942); შვილები: ანა (1963), შალვა (1967). დაამთავრა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ს/კ ინ-ტის ზოოტექნიკური ფაკ-ტი. იყო ცხოველთა ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზიკის განყოფილების უფროსი ლაბორანტი (1962-65), მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1965-69), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1969-79). წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი და ლაბორატორიის ხელმძღვანელია 1979 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „გლუკოზისა და გლუტამინმჟავის ჟანგვითი გარდაქმნების ურთიერთკავშირი ვაზში" (1975); სადოქტორო — „მცენარეული მონოოქსიგენეზები და მათი როლი ქსენობიოტიკთა დეტოქსიკაციაში" (1992). თანაავტორია მონოგრაფიებისა: „ნიშანდებული ატომები და მათი გამოყენება სოფლის მეურნეობაში" (1965), „აკუსტიკური რხევები და სოფლის მეურნეობა" (1966), „სინათლე, სითბო, ნიადაგი, მცენარე" (1968), „ბიოფიზიკური ქიმია და სოფლის მეურნეობა" (1971).

**ჰობი:** დეტექტიური ჟანრისა და ისტორიული მემუარული ლიტერატურა.

**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ. თბილისი 380059. ტელ: 52-82-79. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვ. IV კორ. ბ. 61. თბილისი. ტელ: 30-87-49.*

**პროფესიონალიზმი, კოლეგიალობა, საქმის ერთგულება, მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ, ტრადიციულობა, სიტუაციის რეალური აღქმა, ახალგაზრდა კადრებთან მუშაობა, სიახლისადმი სწრაფვა.**



**რისმაგ გორდეზიანი** ფილოლოგი, პროფესორი, საქართველოს და საქსონიის (გფრ) მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინ-ტის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 9 ივნისს. მშობლები: ნანა სილოგავა, ბენო გორდეზიანი; მეუღლე — ლია ჯინორია (1941); შვილი — ლევანი (1962). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963), კლასიკური ფილოლოგიის კათედრის ასპირანტურა (1963-66). იყო თსუ ასისტენტი (1967-68), დოცენტი (1968-76), პროფესორი (1976 წლიდან), პრო-

რექტორი (1993-97). კათედრის გამგეა 1989 წლიდან, ინ-ტის დირექტორი — 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ილიადის" ხომალდთა კატალოგი" — ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზი. (1966), სადოქტორო —„ჰომეროსის ეპოქის ფორმირებისა და ერთიანობის პრობლემა" (1974). არის ავტორი 150-მდე სამეცნიერო ნაშრომისა (მათ შორის 15 მონოგრაფიის). არის საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, თსუ პირველი სამეცნიერო, საქართველოსა და საკავშირო კომკავშირის პრემიების ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 13. თბილისი 380062. ტელ/ფაქსი: 22-11-81. ელფოსტა: logos@caucasus.net (ბინის) ყაზბეგის 29ა, ბ. 72. თბილისი. ტელ: 39-08-68.*

**სწავლა სიკვდილამდე; გულში ბოღმის არჩადება. ჯობს აპატიო, ვიდრე არ აპატიო; მზადყოფნა დაეხმარო სხვას და გაუკეთო სიკეთე; სწრაფვა წარმოადგინო შენი სამშობლო რაც შეიძლება ღირსეულად. ლტოლვა დასახული მიზნის აღსრულებისაკენ!**



**ლალი გოჩელაშვილი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ქუთაისში 1965 წ. 11 თებერვალს. მშობლები: გოგუცა ქვარიანი, ილია გოჩელაშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990). იყო ქუთაისის ადვოკატურის ადვოკატი (1990-99), ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი (1994 წლიდან). იყო ასოციაციის ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე (1996-99).
**ჰობი:** ხატვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 99-78-71.*

**ჩემთვის ცხოვრება სიგრძით არ იზომება, არამედ შინაარსით, ხოლო ცხოვრებაში წარმატებების საწინდრად მიმაჩნია რწმენა და იმ საქმის სიყვარული, რასაც ვაკეთებ.**



**თემო გოცაძე** მხატვარი, სეგ გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 25 მარტს. მშობლები: ლუბა გეგია, გიორგი გოცაძე; მეუღლე – მარი ჯანაშია (1949); შვილები: ბექა გოცაძე (1965), ბექა ჯანაშია (1969), თემურ გოცაძე (1979). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტის ფერწერის განყ-ბა (1964). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი (1964, 1984, 1987), თბილისის პიონერთა სასახლის ახალგაზრდული თეატრის მხატვარი (1965-66), მხატვრული აღზრდის სახლის სახვითი ხელოვნების განყ-ბის გამგე (1966-68), საქართველოს ტელევიზიის დამდგმელი (1968-71), მთავარი (1971-83) მხატვარი, მხატვრის ცენტრალური სახლის დირექტორი (1983-88). სეგ გენერალური დირექტორია 1988 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: "ლურჯა ცხენები", "დაბადება", "ერთი ცხოვრების ქრონიკა", "მზის ნარჩენი", "ქართლის ცხოვრება", "ჩემი საუკუნე", "ეპოქა დასრულდა დიდი", "ჩემი თბილისი", "ქრისტეს ცხოვრება", "მითოლოგიური პარადიგმები" და სხვ; მოხატა კულტურის სახ. ინ-ტის სააქტო დარბაზი (2000), ვაკის სამების ეკლესია (2001). არის საქართველოს სახალხო მხატვარი (1989), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1989), ღირსების ორდენის კავალერი (1998); სმკ ერთ-ერთი დამფუძნებელი, სათათბიროს წევრი. იყო საქალაქო ორგანიზაციის სპიკერი (1996 წლამდე).
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 11 თბილისი 380018. ტელ: 93-16-52, 93-20-42. (ბინის) ირ. აბაშიძის 80/ ვაზისუბნის 12. თბილისი. ტელ: 37-00-90.*

**ძლიერი საქართველო; სწრაფვა მშვენიერებისაკენ.**



**რომან გოცირიძე** ეკონომისტი, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. დაიბადა გალში 1956 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: დაშა გოცირიძე, რაჟდენ გოცირიძე; მეუღლე —მანანა შარაშიძე (1962); შვილები: ანა, დევი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობით. იყო თსუ დოცენტი (1988-90), საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ეკონომიკური რეფორმების კომისიის

თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია "დემოკრატიული ცენტრის" თანათავმჯდომარე (1990), საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1992), ვიცე-პრემიერი ეკონომიკური რეფორმების დარგში (1992-93). პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსია 1998 წლიდან. არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; იყო შ. რუსთაველის საზოგადოების გამგეობის წევრი (1988-91), გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის აღმასრულებელი მდივანი (1994). არის რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრი (1995).
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი, 380018. ტელ: 98-24-69. ფაქსი: 92-21-64. ელ-ფოსტა: budgetof@parliament.ge*



**ირაკლი გოცირიძე** გაზეთ „იბერია სპექტრის" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1923 წ. 27 იანვარს. მშობლები: ნინო კლდიაშვილი (დავით კლდიაშვილის ქალიშვილი), პროკოფი გოცირიძე; მეუღლე — მანანა ლომთათიძე (1941); შვილები: თამაზი (1945-2000), დავითი (1950), გოგი (1952-93), თამრიკო (1963). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1951). პრესაში მუშაობს 1946 წლიდან („ახალგაზრდა კომუნისტი", „ზარია ვოსტოკა", „ლიტერატურნაია გაზეტას" საკუთარი კორესპონდენტი ამიერკავკასიაში); იყო კ/ს „ქართული ფილმის" შემოქმედებითი გაერთიანების მთავარი რედაქტორი, კოლეგიის წევრი (1970-89). „იბერია სპექტრის" გამომცემელი და მთავარი რედაქტორია 1989 წლიდან. არის 10-ზე მეტი სცენარის, 2 წიგნის („მე ვეძებ სიმართლეს", „მე შევიხედე ხელისუფლების სეიფებში"), მრავალი სტატიის, ნარკვევის, პუბლიცისტური წერილის ავტორი.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14, თბილისი 380096. ტელ: 98-73-86. (ბინის) გამსახურდიას 9, თბილისი. ტელ: 33-31-32.*

**ვიზიარებ დიდი არისტოტელეს პრინციპს: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია".**



**რამაზ გოხელაშვილი** „ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი, ბუნებრივი რესურსების მენეჯერი. დაიბადა გორში 1966 წ. 10 აპრილს. მშობლები: ირინე კეჩხუაშვილი, ყარამან გოხელაშვილი; მეუღლე — ლელა აზნიაშვილი (1970); შვილი — თამარი (1986). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1991), აიდაჰოს უნივერსიტეტის ბუნებრივი რესურსების ფაკ-ტი (2000). იყო ზოოლოგიის ინ-ტის ლაბორანტი (1989-91), თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის ეკოლოგიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი (1991-98), მსოფლიო ბანკისა და USAID-ის პროგრამების კონსულტანტი ამიერკავკასიაში (2000-2001). არის „ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორი 1994 წლიდან; 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 20-მდე ფილმის ავტორი საქართველოს ბიომრავალფეროვნების შესახებ; გარემოს დაცვის საერთაშორისო სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მათ შორის „ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის", „კონსერვაციული ბიოლოგიის საზოგადოების", „ევროპის კონსერვაციის ცენტრის" წევრი.
**ჰობი:** მთები, თხილამურები, თეატრი, მოგზაურობა, კახური ღვინო.
**მისამართი:** *(სამსახურის) ამბროლაურის 4/2. თბილისი 380060. ტელ: 37-38-94. ელ-ფოსტა: gccw@ip.osgf.ge (ბინის) ვაჟა-ფშაველას VI კვ. XI კორპ. ბ.19. ტელ: 30-59-06.*

**ჩემი ძირითადი ცხოვრებისეული კრედო სიყვარულია — არაფერს და არასდროს არ ვაკეთებ სიყვარულის გარეშე. მეორე ძირითადი პრინციპი, რითაც ყოველთვის ვხელმძღვანელობ, ეს არის სიმშვიდე და მოთმინების უნარი — ხშირად ვაკეთებ საქმეს, რომლის შედეგი შეიძლება მხოლოდ 20-25 წლის მერე გამოჩნდეს და არ მაბრკოლებს ბარიერები. მესამე პრინციპი კარგი მეგობრების ყოლაა. თუკი რაიმე მაქვს გაკეთებული, მხოლოდ ჩემი მეგობრების თანადგომის, მხარდაჭერის და თანამშრომლობის შედეგია. და ბოლოს, ვარ ოპტიმისტი და მჯერა, რომ ადამიანი შეძლებს ეკოლოგიური კატაკლიზმების აცილებას და სიცოცხლე კიდევ დიდხანს იარსებებს დედამიწაზე.**



**ნოდარ გრიგალაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, პრესასთან და ელექტრონულ მედიასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა სოფ. ყვიბისში (ბორჯომის რ-ნი) 1958 წ. 3 მაისს. მშობლები: ზინა ნოზაძე-გრიგალაშვილისა, ოთარ გრიგალაშვილი; მეუღლე — ფიქრია ჯაფარიძე (1965); შვილი — თამთა (1987). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1980). იყო თსუ ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების კათედრის ასისტენტი, თსუ (1980), მესტიის სკოლა-ინტერნატის (1981) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თსუ და I საშუალო სკოლის პედაგოგი (1981-87), ალმანახ „კრიტიკის" განყოფილების გამგე (1984-88), გამომცემლობის მთავარი რედაქტორი (1987-90), გაზეთ „საქართველოს" მთავარი რედაქტორი (1990-98). გაზეთ „ახალი საქართველოს" მთავარი რედაქტორი (1998-2000). პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ავტორი ლექსების კრებულის „ალსავლის კართან" (1987), ლიტერატურული წერილების კრებულის „ზრუნვის საგანი" (1987), ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების „სამწუხარო პარალელები" (1988), XI კლასის ლიტერატურის სახელმძღვანელოსი „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები" (1990, 1997, 1999), წიგნების: „ხე ცნობადისა" (1987), „სამწუხარო პარალელები" (1990, 1991), „ნიკო ლორთქიფანიძე" (1994), „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღების ცხოვრებიდან ანუ კონკურენცია ქართულად" (2001). მიღებული აქვს მწერალთა კავშირის პრემია (1994). იყო სახალხო ფრონტის (1988-94), გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრი (1994-98). არის მწერალთა კავშირის წევრი (1972).

მისამართი: *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი 380096. ტელ: 99-56-02. ფაქსი: 98-83-55. (ბინის) ატენის 8, თბილისი. ტელ: 29-04-61.*

**სამშობლოს, ოჯახის, მოყვასისათვის თავგადადება, სიმართლე, პატიოსნება, ულალატობა, პრინციპულობა, გონიერი კომპრომისის უნარი. იყავი ის, რაც ხარ — თუ გინდა არ იცხოვრო სცენაზე, იხელმძღვანელე ამ პრინციპით.**



**გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)** ფოთის ეპარქიის ეპისკოპოსი, საპატრიარქოს შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე. დაიბადა 1956 წ. 18 ივლისს. მშობლები: გრიგოლ ბერბიჭაშვილი, ნათელა ბერბიჭაშვილი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია (1991), აკადემიის საღვთისმეტყველო ფაკ-ტი (1994). იყო ბათუმის საკათედრო ტაძრის დიაკვანი (1989-90), სოფ. ლიხაურის ღვთისმშობლის შობის ტაძრის წინამძღვარი (1990-91), წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი (1991-93), ხელმძღვანელობდა საღვთო სჯულის პედაგოგების მოსამზადებელ ერთწლიან საღვთისმეტყველო კურსებს (1994-95). იყო ჟურნალ „წყაროს" რედაქტორი (1991-95), ოზურგეთის წმ. ნინოს გიმნაზიის რექტორი (1995-96). დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით (1993), მიენიჭა დეკანოზის წოდება (1994). აღიკვეცა ბერად (1996), აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში და დაჯილდოვდა მიტრითა და გამშვენებული ჯვრით. ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1996). არის ავტორი წერილებისა: „მართლმადიდებელი ქრისტიანი ეკლესიის მოკლე კატეხიზმო კათაკმეველთათვის" (1991), „კეთილ არს სჯული, უკეთუ ვინმე წესიერად იპყრას იგი" (1995).

მისამართი: *(რეზიდენცია) გურიის 1, ფოთი 384690. ტელ: 2-14-56, 98-25-34. მობ: (877) 40-69-66.*



**თამარ გრიგოლია** მხატვარი, საქართველოს მხატვართა კავშირის თანამთავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1951 წ. 23 იანვარს. მშობლები: ქეთევან ნუცუბიძე, გივი გრიგოლია; მეუღლე — იური გაჩეჩილაძე (1941); შვილები: თამარი (1974), გიორგი (1978). დაამთავრა თსსა გამოყენებითი ხელოვნების ფაკ-ტი (1976). იყო თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის (1982-83), ლონდონისა და მანჩესტერის City-College-ების გამოყენებითი ხელოვნების კათედრის (1993-95) პედაგოგი. თსსა პედაგოგია 1983 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: „მთათუშეთი" (1990), „შავი და თეთრი" (1993), „ადამ და ევა" (1995), „ამორძალი" (1997) და სხვ. მონაწილეობდა

გამოფენებში: ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი (მოსკოვი, მანეჟი), რუსული და საბჭოთა მინა (ლენინგრადი, ერმიტაჟი), კოსმოსისადმი მიძღვნილი (სეგ, მოსკოვი, მანეჟი), საქართველოს დღეები (გერმანია, ინდოეთი, იუგოსლავია, ფინეთი), მინის მხატვართა ჯგუფური (თბილისი, მხატვრის სახლი); სპორტი სახვით ხელოვნებაში (სეგ, 1998), პერსონალური (თბილისი, ქარვასლა). მონაწილეობდა ძინტარის (1984), ლვოვის (1989), გუს-ხრუსტალინის მინის საერთაშორისო სიმპოზიუმებში. დაჯილდოებულია ოქროს მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1987). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1982), გამოყენებითი სექციის თავმჯდომარე (1996 წლიდან).
**მისამართი:** *(ბინის) ნუცუბიძის ფერდ. III მ/რ, ბინა-სახელოსნო 5. თბილისი 380077. ტელ: 32-72-62.*



**ბერდია გუგავა** სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიბადა ლენტეხში 1957 წ. 17 ივლისს. მშობლები: ცაცა ტვილდიანი, დიმიტრი გუგავა; მეუღლე — ნანა ქურდიანი (1957); შვილები: დათო (1979), ლექსო (1980), ჯოკია (1982), ლაშა (1985), ბექა (1997). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1979). იყო ლენტეხის სპორტსკოლის მწვრთნელი (1979-80), დირექტორი (1980-85), ლენტეხის ტურბაზის (1985-90) და ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის (1990) დირექტორი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე (1991-92), სპორტსაზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარის მოადგილე (1992-93). თავმჯდომარეა 1993 წლიდან. იყო საქართველოს ოლიმპიური ნაკრების უფროსი მწვრთნელი (ატლანტა, 1996). არის ღირსების ორდენის კავალერი (2000), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მისი აღსაზრდელი გ.ვაზაგაშვილი სიდნეის ოლიმპიადაზე გახდა ბრინჯაოს პრიზიორი (2000).
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) წერეთლის 95ა. თბილისი. ტელ: 34-20-24. ფაქსი: 35-15-95. (ბინის) მუხიანი, I მ/რ. V კორპ. ბ. 49. თბილისი. ტელ: 63-25-25.*

**სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მყავდეს ორი საკუთარი მოსწაელე პრიზიორთა შორის.**



**გიორგი გუგუშვილი** მხატვარი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1952 წ. 16 აგვისტოს. მშობლები: ცისანა გუგუშვილი, ბონდო გუგუშვილი; მეუღლე — ქეთევან მატაბელი (1953); შვილები: გიორგი (1980), მარიამი (1990), ლუკა (1996). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1977). იყო სახვითი სტუდიის პედაგოგი (1983-89), საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი (1988-96). თანამშრომლობს პერიოდულ პრესასთან, კულტურის სამინისტროსთან. არის ავტორი ნამუშევრებისა: „ფლეიტა" (1983), „სამნი" (1986, იაპონიის საერთაშორისო გამოფენის ოქროს მედალი), „მუსიკოსი" (1991), „პასტორალი" (1991), „საქსოფონისტის რეპეტიცია" (1997), „თეთრი თემა" (2001). გამართა პერსონალური გამოფენები: თბილისში (1983), იაპონიაში (1987), მოსკოვში (1988, 1997), გერმანიაში (1989), „ხელოვნების სახლი" (ბაზელი, 1991), ციურიხში (1992), თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ფილადელფიაში (აშშ, 1997). მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის ხელოვნების მუზეუმში, ბაზელის, აშშ-ის მუზეუმების ფონდსა და მოსკოვის გალერეაში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1986), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1995); მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000).
**ჰობი:** სპორტი, მუსიკა.
**მისამართი:** *(ბინის) აბაშიძის 26ა, თბილისი 380079. ტელ: 22-24-92.*

**სანამ არსებობს რელიგია, იარსებებს ხელოვნებაც.**



**ელგუჯა (ჯემალ) გუგუშვილი** ზოოვეტერინარული ინსტიტუტის რექტორი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა სოფ. ძველ აბაშაში 1948წ. 14 აპრილს. მშობლები: მარიამ ღუტიძე, სერგო გუგუშვილი; შვილები: მაია (1978), სერგო (1980). დაამთავრა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინ-ტის ზოოსაინჟინრო ფაკ-ტი (1971). იყო ზოოვეტერინარული ინ-ტის ლაბორანტი (1972 წლიდან), უმცროსი (1974 წლიდან), უფროსი (1980 წლიდან) მეცნიერ-თანამშრომელი. მეცხენეობა-მებოცვრეობის განყ-ბის გამგეა 1986 წლიდან, რექტორი — 1998 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ჯიშთაშორისი შეჯვარების გამოყენება მეცხოველეობაში" (1989). გამოქვეყნებული აქვს 102 სამეცნიერო ნაშრომი (4 წიგნი). მისი ხელმძღვანელობით გამოყვანილია ბოცვრის ახალი ქართული ჯიშური ჯგუფი (1992). არის სპორტის ოსტატი (1969), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი (1984). იყო საქართველოს ზოოვეტერინარული ინ-ტის ფეხბურთელთა გუნდის (1975-90), საქართველოს სტუდენტთა ნაკრების (1980-90), სსრკ სპორტულ საზოგადოებათა ნაკრების (1986), საქართველოს ოლიმპიური ნაკრების (1992-94) და თურქმენეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი (1996-97).

**ჰობი:** ჩოგბურთი, გიტარაზე დაკვრა, იმერული სამზარეული.

**მისამართი:** *(სამსახურის) კრწანისი. თბილისი 380170. ტელ: 72-37-52. (ბინის) დეპოს ქ. 19. თბილისი, 380080. ტელ: 66-40-24.*

**კარგად მესმის, რომ სიცოცხლე წამია მხოლოდ. თუ ამ წამით არ ვისარგებლე, ის გაქრება და აღარასოდეს შემოიქცევა უკან. ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე არის ჩემი სიხარულის და სიმშვიდის წყარო. ვიცი, რომ რისხვა არ შეშვენის კაცის ბუნებას, მაგრამ სჯობს კეთილი ვიმოქმედო და აკაცის სახელი მერქვას. არის ამაში რაღაც მეფური. ღმერთის გზას მივსდევ, რომლის გზა მართალია და ჭეშმარიტი.**



**გიორგი გულედანი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ლენჯერში (მესტიის რ-ნი) 1947 წ. 1 მარტს. მშობლები: გოგუცა ზურებიანი, სამსონ გულედანი; მეუღლე – მარინა გრიგოლაშვილი; შვილები: გიორგი (1982), ლერი (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1975). იყო თბილისის კალინინის რ-ნის სტაჟიორ-გამომძიებელი (1975-76), თბილისის პროკურატურის განყ-ბის პროკურორი (1976-79), განყ-ბის უფროსი (1979-99), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999 წლიდან). დაჯილდოებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-14-49. (ბინის) ტელ: 63-60-64.*

**ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა დარღვეული უფლებების აღდგენა.**



**ზურაბ გუმბერიძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. დაიბადა თბილისში 1954 წ. 6 ნოემბერს. მშობლები: მარგო გუმბერიძე, აკაკი გუმბერიძე; მეუღლე — ნატალია ჩხიკვაძე (1954); შვილები: ზურაბი (1977), ბექა (1984). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1976). იყო სპი უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1976-79), დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტი (1979-82), სტუ დოცენტი, საღამოს სწავლების ფაკ-ტის დეკანი, მანქანათმშენებლობის პროგრამული მართვის კათედრის გამგე (1982-95), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში (1995-97). საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია 1997 წლიდან. არის დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორი (თემა: „გამჭოლი ავტომატიზირებული სისტემა რთული ზედაპირების დამუშავებისათვის"), 40-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე სახელმძღვანელოს ავტორი, საქართველოს სსრ კომკავშირის პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1987), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1990). იყო სკკპ წევრი (1987-89).

**ჰობი:** ოჯახი და მეგობრების წრე.

*მისამართი: (სამსახურის) ასაფ ზეინალის 24, ბაქო 370004. ტელ: 97-45-60. ფაქსი: 97-45-61. ელ-ფოსტა: emb@georgian.baku.az*

**მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ეხელმძღვანელობდი დავალებული საქმისადმი პასუხისმგებლური მიდგომით. ჩემი იდეალია სამშობლო — საქართველო და მინდა შევიტანო ჩემი წვლილი დამოუკიდებელი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს მშენებლობაში.**



**ლალი გუნთაიშვილი** გაზეთ „კვირის პალიტრის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 10 აპრილს. მშობლები: ალისა ჭეიშვილი, ნიკოლოზ გუნთაიშვილი; მეუღლე — ვასილ თევდორაშვილი (1934); შვილები: გიორგი (1966), ირაკლი (1958), სოფიო (1976). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1965). არის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინ-ტის სარედაქციო-საგამომცემლო განყ-ბის მთავარი რედაქტორი. „კვირის პალიტრის" მთავარი რედაქტორია 1995 წლიდან. მიღებული აქვს „განათლების წარჩინებულის" წოდება.

**ჰობი:** გაზეთზე მუშაობა.

*მისამართი: (სამსახურის) აკურის 8. თბილისი 380093. ტელ: 33-39-54. ფაქსი: 98-74-44. (ბინის) საბურთალოს 37. თბილისი.*

**ერთგულება — იქნება ეს ოჯახის, ქვეყნის, მეგობრების... პატიოსანი სიტყვის ფასი და რწმენა... სიყვარული მოყვასისა... დახმარების ხელის გაწვდენა (შესაძლებლობის ფარგლებში). ღვთის შიში და მადლის ფასი... ვალდებულების მაღალი გრძნობა.**

**ნოდარ გურაბანიძე** ჟურნალ „ხელოვნების" მთავარი რედაქტორი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 16 სექტემბერს. მშობლები: მარიამ ცაავა, სარდიონ გურაბანიძე; მეუღლე — ივლიტა ყარალაშვილი (1930); შვილები: რატი (1963), მაია (1964), ქეთი (1965), გიორგი (1968). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი (1954). იყო გამომცემლობა „ხელოვნების" დირექტორი (1969-72), საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე (1972-81). ჟურნალ „ხელოვნების" მთავარი რედაქტორია 1981 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „რეჟისორი რობერტ სტურუა" (1997). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია და მონოგრაფიები: „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი" (1955), „კონსტანტინე სტანისლავსკი" (1960), „მსახიობი, რეჟისორი, სცენა" (1965), „მრავალსახეობა თეატრისა" (1972), „რევოლუციური თანამედროვეობა და თეატრი" (1981), „სამყარო თეატრალის თვალით" (1998), „ავსტრალიიდან ამერიკამდე" (1998) და სხვ. არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1974), კ.მარჯანიშვილის სახელობის (1981) და სახელმწიფო პრემიების (1998) ლაურეატი, დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით" (1998). თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრია 1955 წლიდან.

**ჰობი:** ცურვა, ჩოგბურთი, სამთო-სათხილამურო სპორტი.

*მისამართი: (სამსახურის) უზნაძის 18. თბილისი 380002. /რუსთაველის 19, თბილისი 380008. ტელ: 95-10-24, 93-66-18. (ბინის) ფალიაშვილის 66. თბილისი 380079. ტელ: 23-27-13.*

**სიმართლის ერთგულება, სამშობლოს სიყვარული, ზნეობრიობა, შრომისმოყვარეობა, იუმორი, უშურველობა, ხალისიანობა, სპორტის და ლამაზი ქალების სიყვარული.**



**გურამ გურგენიძე** ექიმი-თერაპევტი, ალერგოლოგი, საქართველოს და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1929 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: თამარ ერისთავი, ვლადიმერ გურგენიძე; მეუღლე — მზია გზირიშვილი (1939); შვილები: გიორგი (1963), დავითი (1967). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1954). იყო თსსი შინაგან სნეულებათა კათედრის ორდინატორი, ასისტენტი (1954-58), ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო კვების ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, კლინიკური განყოფილების გამგე (1959-64), ჰოსპიტალური თერაპიის პროფესორი, ალერგოლოგიის კურსის ხელმძღვანელი; თსსი პრორექტორი (1975-86). ალერ-

გოლოგიის კათედრის გამგეა 1974 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „მასალები აზოტური ცვლის ქერქული რეგულაციის საკითხისათვის" (1956), სადოქტორო — „ბრონქული ასთმის პათოგენეზის საკითხები" (1961). ავტორია საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული 12 წიგნისა და 200-ზე მეტი სტატიისა. არის რუსეთის ალერგოლოგთა, პურკინუს სახელობის ჩეხოსლოვაკიის სამედიცინო საზოგადოებათა და იმუნორეაბილიტაციის საერთაშორისო ასოციაციების საპატიო წევრი, საქართველოს ალერგოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა აკადემიის წევრი, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის და სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი. დაჯილდოებულია ზაზა ფანასკერტელის და უცხოეთის საერთაშორისო საზოგადოებათა და ცენტრების სამახსოვრო მედლებით. არის ღირსების ორდენის კავალერი (1997).

**ჰობი:** ფეხბურთი. საოპერო მუსიკა

**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 29. თბილისი 380060. ტელ: 39-56-81, 39-58-59. (ბინის) წინამძღვრიშვილის 137ა. ბ. 21. თბილისი 380012. ტელ: 34-85-59.*

**მუშაობის პროცესში თანმიმდევრობა და პრინციპულობა. განსაკუთრებით პატივს ვცემ ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორიც არის: მშობლების, გამზრდელების და მასწავლებელთა მიმართ პატივისცემა. ვერ ვიტან მედროვეებს, ცრუპატრიოტებს, ამბიციურობით შეპყრობილ პირებს, რა რანგისაც არ უნდა იყვნენ ისინი.**



**დავით გურგენიძე** საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი, საჭადრაკო კომპოზიტორი. დაიბადა საგარეჯოში 1953 წ. 26 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან ექვთიმიშვილი, ანტონ გურგენიძე; მეუღლე — იზა თანდილაშვილი (1958); შვილები: თათია (1992), ტატო (1995), თორნიკე (1996). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1975). არის სსრკ ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში (1981, 1985), ორგზის ვერცხლის და სამგზის ბრინჯაოს პრიზიორი, საერთაშორისო ოსტატი (1980), დიდოსტატი (1989), საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში (1994), მსოფლიოს პირველი ჩემპიონი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში (1997), სტამბულის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა გუნდის კაპიტანი (ვერცხლის მედალი, 2000). არის ავტორი წიგნებისა: „Best Studies" (1993) და „Best Studies-2" (1995) „პაწია ეტიუდები" (1999), „ოთარ ტაბიძის საჭადრაკო ფილოსოფია" (1999), „100 მინიატურა" (1999), „სისადავე, სილაღე და სილამაზე" (1999), „Малютки грузинских этюдистов" (2000), „ქართული ჭადრაკი" (გ.მაჭარაშვილთან ერთად, 2000). მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1997). მისი ბიოგრაფია შეტანილია გამოცემებში: „Словар шахматной композиции" (კიევი, 1985), „Mala encyklopedie sachu" (პრაღა, 1989), „Шахматы — энциклопедический словарь" (მოსკოვი, 1990), „The Oxford Companion to Chess" (ნიუ-იორკი, 1992), „ქართული ჭადრაკის მატიანე" (1995).

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭადრაკის სასახლე. კოსტავას 37-ა. თბილისი 380079. ტელ: 99-95-21, ფაქსი: 98-70-53.*

**ვიცოდეთ ერთმანეთის ფასი.**



**რამაზ გურგენიძე** საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. დაიბადა სოფ. დიმში (ბაღდათის რ-ნი) 1949 წ. 28 თებერვალს. მშობლები: მარგალიტა გურგენიძე, საშურა გურგენიძე; მეუღლე — მანანა ქავთარაძე (1951); შვილები: ხათუნა (1974), ნინო (1980), მარგალიტა (1988). დაამთავრა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინ-ტის მწვრთნელთა ფაკ-ტი (1972). იყო უმაღლესი დაოსტატების სპეციალური სკოლის მწვრთნელი (1972-86), საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, სპორტის დეპარტამენტის სახელმწიფო მწვრთნელი ძალოსნობაში (1986-91), ძალოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1991-93). ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტია 1993 წლიდან.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000). მისი აღსაზრდელი გ.ასანიძე სიდნეის ოლიმპიადაზე გახდა ბრინჯაოს პრიზიორი (2000).
**ჰობი:** პოეზია.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49-ბ. თბილისი 380062. ტელ: 23-51-69. (ბინის) მიცკევიჩის 25. თბილისი.*

**წარჩინებით დავამთავრე ჯერ მწერთნელთა სკოლა, შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტიც. მეგობრობა და მათი უღალატო სიყვარული, სწრაფვა ცოდნის დასაუფლებლად, მომავალი ჯანმრთელი თაობის აღზრდის სურვილი, ჭირში და ლხინში თანადგომა, მიმტევებლობა.**



**ნინო გურიელი** მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 7 დეკემბერს. მშობლები: ეთერ გურიელი, დავით გურიელი; მეუღლე — ზურაბ სტურუა (1959); შვილი — სოფიკო (1982). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1982). 1979 წლიდან მონაწილეობს მსოფლიო პირველობის ყველა ციკლში. არის საქართველოს ორგზის ჩემპიონი ქალთა შორის (1976, 1990), მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირის ორგზის მონაწილე (1980, 1997), სსრკ ჩემპიონატის ვერცხლის (1981), ბრინჯაოს (1985) პრიზიორი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1992, 1994, 1996), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1992), საქართველოს ეროვნული ნაკრების (მამაკაცთა) კაპიტანი (1998), საერთაშორისო ოსტატი მამაკაცთა შორის (1998), სტამბულის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ვერცხლის მედლის პრიზიორი გუნდურ ასპარეზობაში (2000), მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული (გერმანია, კუბა, შვეიცარია, პოლონეთი, შვედეთი, იუგოსლავია, საფრანგეთი და სხვ.). არის ჭადრაკის აღორძინების ფონდის პრეზიდენტი, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის (2001) ორდენების კავალერი.
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *(ბინის) მარჯანიშვილის 2. თბილისი 380002. ტელ: 96-45-58.*

**ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთებია, როცა თვითმფრინავი თბილისის აეროდრომზე ეშვება. ჩემი გამარჯვება მხოლოდ ჩემი არასოდეს ყოფილა. ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა დიდი გამარჯვებები მოუტანეს საქართველოს, ქართველ ხალხს. მე ვამაყობ, რომ ამ გამარჯვებებში ჩემი მცირეოდენი წვლილიც არის. ყველაზე დიდი ჯილდო ხალხის სიყვარულია, რასაც ყოველთვის ვგრძნობდი და ამით ბედნიერი ვარ.**



**ზურაბ გურიელიძე** „სახეობათა კონსერვაციის ცენტრის" (NACRES) გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1959 წ. 5 დეკემბერს. მშობლები: ლამარა მიქაშავიძე, ვარდენ გურიელიძე; მეუღლე — ნათია კოპალიანი; შვილი — ნიკოლოზი (1999). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1981), სტაჟირება გაიარა ჯერსის (დიდი ბრიტანეთი) ველური ბუნების დაცვის ცენტრში (1997), მიიღო კენტის უნივერსიტეტის დიპლომი სპეციალობით „საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კონსერვაცია და მენეჯმენტი" (1998). იყო ნაკრძალების მთავარი სამმართველოს უფროსი ნადირმცოდნე (1981-88), ზოოლოგიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1988 წლიდან), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცხოველთა სამყაროს დაცვის განყ-ის უფროსი (1996-2000)."სახეობათა კონსერვაციის ცენტრის" გამგეობის თავმჯდომარეა 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „კავკასიური კეთილშობილი ირმის პოპულაციაში მიმდინარე პროცესები მგლის რიცხოვნობის დაცემის ფონზე" (1999).
**ჰობი:** ცხენები.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 31. ს/ყ 20. თბილისი 380079. ელ-ფოსტა:* nacres@access.sanet.ge *(ბინის) კოსტავას 76. თბილისი, 380015. ტელ: 33-37-71.*

**ბუნების, განსაკუთრებით კი ცხოველების შესწავლა და დაცვა.**

**ერეკლე გურჩიანი** მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში. დაიბადა სოფ. ეწერში (მესტიის რ-ნი) 1966 წ. 7 აპრილს. მშობლები: გოგუცა სუბელიანი, სანდრო გურჩია-



ნი; მეუღლე — ირმა უკლება (1969); შვილი — სანდრო (1994). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი. არის საქართველოს სამგზის აბსოლუტური ჩემპიონი მკლავჭიდში, ევროპის ცხრაგზის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი; საფრანგეთის დიდი საერაშორისო ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირის „ოქროს დათვის" სამგზის ჩემპიონი; მსოფლიო ჩემპიონატის ორი ოქროს მედლის პრიზიორი (ეგვიპტე, 1999), სპორტის ოსტატი ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში; დასახელდა 1997 წლის საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენტთა შორის. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში: „საქართველოს სახელოვანი სპორტსმენები" (1995).

ჰობი: პოეზია, მუსიკა, სპორტი.

**ჩემი ცხოვრებისეული კრედო სვანი კაცის ბუნებიდან გამომდინარეა. უპირველესად ჩემი მშობელი კუთხის და მთელი საქართველოს უსაზღვრო სიყვარული, ქრისტიანული რწმენა, ტიტანური შრომა და ჭეშმარიტი ოპტიმიზმი წარმატებების მისაღწევად.**



**კარლო გუჯაბიძე** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში. დაიბადა თბილისში 1946 წ. 15 ივლისს. მშობლები: შურა ქლენტი, ვასილ გუჯაბიძე; მეუღლე — ნონა ლომაძე (1946); შვილები: ლევანი (1975), სოფიო (1980). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1969). იყო „თბილავტოტექმომსახურების" ბრიგადირი (1969-71), სანარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატურა და ლითონგადამუშავების" ნორმადარი, ოსტატი (1971-72), ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი ინჟინერი (1972-76), თბილისის ლენინის რ-ნის სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე (1976-81), რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის მრეწველობის განყოფილების ინსპექტორი (1981-82), ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი (1982), კპ ცკ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყ-ბის ინსტრუქტორი (1983-86), თბილისის ლენინის რ-ნის ალმასკომის თავმჯდომარე (1986-88), თბილისის ლენინის რაიკომის I მდივანი, კპ ცკ საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1988-91), ს/ს „სპორტრანსის" პრეზიდენტი (1991-95), ლანჩხუთის რ-ნის გამგებელი (1995-98). გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულია 1998 წლიდან.

ჰობი: ფეხბურთი.

მისამართი: *(სამსახურის) კოსტავას 1, ოზურგეთი. ტელ: 6-58-81. ფაქსი: 99-66-75. (ბინის) კოსტავას I შეს. 29. თბილისი. ტელ: 93-21-83.*

**პატიოსნება, ოჯახი, სახელმწიფოებრიობა, პრინციპულობა, ულალატობა მეგობრობასა და საქმეში.**

# დ



**ინგა დადიანი** საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ-ნიუსის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, საქართველოს საერთაშორისო პრეს-ცენტრის (GIPC) გამგეობის თავმჯდომარე, „საქართველოს PR-კომპანიის“ (GPRC) დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. დაიბადა რუსთავში 1971 წ. 1 ოქტომბერს. მშობლები: იულია ჯაჭვაძე, ოთარ ჯაჭვაძე; მეუღლე — მამუკა დადიანი (1967); შვილი — თეა (1991). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1994). იყო სარეკლამო სააგენტო „ვესტას“ (1992) და საინფორმაციო სააგენტო BGI-ის (1994-96) კორესპონდენტი, BGI-ის დამფუძნებელი (1996-97). სააგენტო პრაიმ-ნიუსის გენერალური დირექტორია 1997 წლიდან, GPRC-ის გენერალური დირექტორი — 2000 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს სტატიები პოლიტიკისა და ეკონომიკის საკითხებზე. არის ეკონომიკურ მიმომხილველთა კლუბის გამგეობის წევრი.

**ჰობი:** სააქციზო მარკების და სხვადასხვა ქვეყნებზე პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის შეგროვება.

*მისამართი: (სამსახურის) ქუთათელაძის ქუჩა 5, თბილისი 380008. ტელ: 92-32-02, 92-32-12. ელ-ფოსტა: pna@pna.com.ge; inga@pna.com.ge*

**სიახლე ყველაფერში.**



**ვახტანგ დავითაია** არქიტექტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა, აკადემიის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა სოფ. ძველ სენაკში (სენაკის რ-ნი) 1934 წ. 22 დეკემბერს. მშობლები: ნეონილა ნიკურაძე-დავითაია, ვლადიმერ დავითაია; მეუღლე — ნათელა გაჩეჩილაძე (1938); შვილები: მაია (1962), თეა (1965). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1958). იყო „საქქალაქმშენსახპროექტის“ არქიტექტორი (1958-62), სპი ასპირანტი, ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, არქიტექტურული გეგმარების კათედრის პროფესორი და კათედრის გამგე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (1995-2000). საქართველოს და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 160-მდე სტატია თანამედროვე არქიტექტურის პრობლემებზე, საავტორო წიგნი „ვახტანგ დავითაია — არქიტექტორი“ (1998, წიგნს მიენიჭა „წლის საუკეთესო არქიტექტურული წიგნის“ ორი საერთაშორისო პრემია), მონოგრაფია „არქიტექტურა, ოცნება და სინამდვილე“ (2000). არის 250-მდე პროექტის ავტორი, მათ შორის: საერთაშორისო ახალგაზრდული ცენტრი „მზიური ველი“ ბაკურიანში (არქ. გ.გეგელიასთან ერთად), საქართველოს კულტურის ფონდის საგამოფენო დარბაზი თბილისში, ხელოვნების ცენტრი გულრიფშში (არქ. შ.ბოსტანაშვილთან ერთად) და სხვ., მემორიალებისა: კავკასიის დამცველთა მემორიალი (არქ. ჩიქოვანთან ერთად, მოქ. გ. კალაძე), „ალგეთის ბაზილიკა“ სოფ. ტბისში, მეზღვაურთა მემორიალი ფოთში, გამარჯვების მონუმენტი გორში, დავით აღმაშენებლის ძეგლი ქუთაისში, ცოტნე დადიანის ძეგლი ფოთში (ყველა — მოქ. ე.ამაშუკელი) და სხვ. არის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1990), აშშ არქიტექტორთა ინ-ტის (1991), ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის (1994) საპატიო წევრი, აშშ-ის ინდიანას შტატის ქ. მანსის (1989), ფოთის (1982) საპატიო მოქალაქე, მარ-დელ პლატას (არგენტინა) სახ. უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (1987), ბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი (მანსი, ინდიანა, აშშ), პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის მოსკოვის განყოფილების აკადემიკოსი და აკადემიკოსთა საბჭოს წევრი (1995), რუსეთის არქიტექტურისა და საინჟინრო მეცნიერე-

ბათა აკადემიის საზღვარგარეთელი წევრი (1994), საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი (1996). არის საქართველოს კომკავშირის (1972), სსრკ სახელმწიფო (1982), საქართველოს მინისტრთა საბჭოს (1983), არქიტექტურის მსოფლიო ბიენალე „ინტერარქ-83" და „ინტერარქ-85"-ის, საქართველოს სახელმწიფო (1996) პრემიების ლაურეატი.
**ჰობი:** პოეზიისა და მხატვრული ლიტერატურის კითხვა, თავისუფალი დროის შვილიშვილებთან გაატარება.
**მისამართი:** *(სამსახურის) სტუ. კოსტავას 77, თბილისი 380071. ტელ: 36-69-38, 38-71-63. (ბინის) ჩიქოვანის 24ა, ბ.9. თბილისი 380071. ტელ: 33-36-85, 22-59-87.*

ვცდილობ, არ გავუკეთო სხვას ის, რასაც არ ვუსურვებ საკუთარ თავს, დიდ პატივს ვცემ სიზუსტეს, ჩემთან ურთიერთობაში სხვისგანაც ამას მოვითხოვ. სიმართლეს ვაყენებ ყოველგვარ პირადულ უხერხულობებზე მაღლა. ვაფასებ პირდაპირობას, მაგრამ ვცდილობ ეს გამოვხატო ევფემიზმებით. შემიძლია თანამშრომლობა სხვადასხვა ხასიათის, ჩვევების და მისწრაფების ადამიანებთან, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ადამიანების განსხვავებულობა ბუნებრივია და მისი შენნაირად გადაქცევის (მოქცევის) ყოველგვარი ცდა უშედეგოა. ბუნებით ტოლერანტი ვარ, მყავს სხვადასხვა ეროვნების და რელიგიის მეგობრები.



**კობა დავითაშვილი** საქართველოს პარლამენტისა და იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1971 წ. 31 ივლისს. მშობლები: ნელი ჯანეზაშვილი, რომან დავითაშვილი; მეუღლე – ინგა ბინაძე (1974); შვილები: ნუკა (1998), თორნიკე (1999), მათე (2000). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების ფაკ-ტი (1993), თსუ ბიზნესის უმაღლესი სკოლა (1993). იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყ-ბის წევრი (1992-93), სახელმწიფო მეთაურის აპარატის სახელმწიფო მრჩეველი (1993), აფხაზეთის I საარტილერიო პოლკის II დივიზიონის მართვის ოცეულის მეთაური (1993), კონტროლის პალატის იურიდიული სამმართველოს იურისტი (1993-94), საქართველოს პარლამენტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი (1994-95), ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული განყ-ბის უფროსის მოადგილე (1995-96), პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის კანონპროექტთა ექსპერტიზისა და ვიზირების განყ-ბის უფროსი (1996), საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის აპარატის უფროსი (1996), ადვოკატი, აუდიტორული ფირმის დირექტორი (1996-98), თბილისის საკრებულოს წევრი (1998), საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე (1998), საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე (1999-2001). საქართველოს პარლამენტისა და იუსტიციის საბჭოს წევრია 1999 წლიდან. იყო "დასის" (1998-91), სოციალურ-დემოკრატიული პარტიის (1990-92), გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის (1992-95), არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის (1994 წლიდან) წევრი.
**ჰობი:** გოლფი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-48. (ბინის) ვ. ბაგრატიონის 73, თბილისი 380054. ტლ: 32-26-36.*

Pereat mundus, fiat justitia.



**მერი (მარიამ) დავითაშვილი** კომპოზიტორი, კონსერვატორიის პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1924 წ. 13 მარტს. მშობლები: მარიამ ბეროზაშვილი, შალვა დავითაშვილი; მეუღლე — გივი დოლიძე (1920); შვილი — მამუკა (1948). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკ-ტი (1946). არის კონსერვატორიის პედაგოგი (1972 წლიდან), პროფესორი (1994 წლიდან), ხელმძღვანელობს საბავშვო და მოზარდთა მუსიკის კვირეულებს (1972 წლიდან). იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1968-90). არის 500-ზე მეტი ნაწარმოების ავტორი, მათ შორის ოპერების: „ქაჯანა" (1966), „ნაცარქექია" (1979, ორივე დაიდგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე); სიმფონიური ნაწარმოებების:

„კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის" (1946), „პოემა ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის" (1954), „ფანტაზია ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის" (1956), „კონცერტინო ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისთვის" (1996), „იგავი" (1997); ვოკალური და საგუნდო მუსიკისა. შექმნილი აქვს 250-მდე საბავშვო ნაწარმოები; მუსიკა კინოფილმებისათვის („მანანა", „პაპა გიორგი", „დაგვიანებული სასიძო"), მულტფილმებისთვის („ჩხიკვთა ქორწილი", „მტრობა", „წუნა და წრუწუნა" და სხვ.), სპექტაკლებისთვის. მონაწილეობდა მოსკოვში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში გამართულ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. არის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1960), საქართველოს სახალხო არტისტი (1976), რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1981), ი.გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურაეტი (1994), ღირსების ორდენის კავალერი (1997), საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1946), გამგეობის წევრი (1956). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „Композиторы и музиковеды Грузии" (თბილისი, „ხელოვნება", 1984).
**ჰობი:** მხატვრობა, ლიტერატურა, ტურიზმი.
**მისამართი:** *(სამსახურის) კომპოზიტორთა კავშირი. აღმაშენებლის 123. თბილისი 380012. (ბინის) გრიბოედოვის 29. თბილისი, 380008. ტელ: 99-82-15.*

**თავდაუზოგავად ვემსახურო მუსიკას, მუსიკალურ აღზრდას, ოჯახს, ყველას მათ, ვისაც ჩემი თანადგომა სჭირდება. მოვესწრო იმ დროს, როცა საქართველო გამთლიანდება და როცა სიყვარული, თანადგომა ერთმანეთის მიმართ ისევ იბატონებს.**



**შალვა დავითაშვილი** კომპოზიტორი, ზ.ფალიაშვილის სახ. მუზეუმის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თელავში 1934 წ. 1 იანვარს. მშობლები: მარო ქოილაშვილი, გიორგი დავითაშვილი; მეუღლე – ნინო ზაბუკიძე (1935); შვილები: ვიქტორია (1964), გიორგი (1960). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკ-ტი (1962). იყო 3 მოწვევის დეპუტატი, ახალქალაქის მუსიკალური სკოლის დირექტორი, ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგე, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დრამატული რედაქციის მუსიკალური გამფორმებელი და კომპოზიტორთა კავშირის კონსულტანტი. კითხულობდა ლექციებს თსუ და სახელმწიფო თეატრალურ ინ-ტში. მუშაობს თბილისის II მუსიკალურ სასწავლებელში. არის საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ორი სიმფონიის, 5 ინსტრუმენტული კონცერტის, 2 ბალეტის, 3 კანტატის, ვოკალურ-სიმფონიური ციკლების, სიმფონიური პოემების, კინოფილმების მუსიკის ავტორი; იყალთოსა და ჩარგლის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი (1998), ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი (2001); საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი (1978), ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. მისი ბიოგრაფია შეტანილია საქართველოს (1981), მოსკოვის საბალეტო (1981) და დიდი ბრიტანეთის მუსიკალურ (1998) ენციკლოპედიებში.
**ჰობი:** ბალეტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ბაქრაძის 10, თბილისი 380009. ტელ: 99-81-16. (ბინის) გორგასლის 39, ბ. 20, თბილისი. ტელ: 72-30-30.*

**ჩემი ცხოვრება დაკავშირებულია კომპოზიციასთან და მაქვს დაბეჭდილი უამრავი დიდი და მცირე ფორმის ნაწარმოები.**



**დავითი (მახარაძე)** ალავერდელი მიტროპოლიტი, ხუროთმოძღვრების ცენტრის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1960 წ. 3 თებერვალს. მშობლები: ელენე ნებიერიძე, რომან მახარაძე; მეუღლე – თამარ კოლელიშვილი (1960); შვილები: გიორგი (1985), სალომე (1986). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1981). მუშაობდა ძეგლთა დაცვის სამმართველოს გაერთიანების IV სარესტავრაციო სახელოსნოში (1982), კ/ს "ქართულ ფილმში" (1982-83). იყო დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის ფონდების მთავარი მლედელი (1984-88), აკურთხეს დიაკვნად, მღვდლად (1988), დაინიშნა დავით გარეჯის მონასტრისა და ფერისცვალების ეკლესიის წინამძღვრად

(1988), აღიკვეცა ბერად, მიენიჭა იღუმენის ხარისხი (1991), ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1992), ნიკორწმინდის (1993), ბოდბის (1993-95) ეპარქიების ეპისკოპოსად, იყო საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყ-ბის თავმჯდომარე (1996), მიენიჭა მთავარეპისკოპოსის, შემდეგ – მიტროპოლიტის (2000) ხარისხი.
*მისამართი: (რეზიდენციის) ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარი. ვაჟა-ფშაველას 8, თელავი. ტელ: 3-31-93, 34-25-47.*

**დავითი (ტიკარაძე)** ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი. დაიბადა სოფ. სუფსაში (ლანჩხუთის რ-ნი) 1963 წ. 1 მაისს. მშობლები: ცაცა ჩხარტიშვილი, გურამ ტიკარაძე. დაამთავრა სპი (1985). გახდა მორჩილი (1994), აღიკვეცა ბერად (1995), აკურთხეს დიაკვნად (1996), დაინიშნა ბათუმის წმ. იობ მრავალნებულის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად (1996). გადაიყვანეს ხაშურის იოანე ნათლისმცემლის სახელობის საკათედრო ტაძარში (1997). აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1997), დაინიშნა ქარელის ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძრის წინამძღვრად (1997). ასრულებდა სამწევრისის მთავარანგელოზთა სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას, დანიშნული იყო სამწევრისის ჯვრის სახელობის და სოფ. ღვლევის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრებში. ეპისკოპოსად აკურთხეს 1998 წელს.



**დავით დათოშვილი** შპს „სანტე უოლშ პროდუქტების" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1939 წ. 14 აგვისტოს. მშობლები: ნინო ყარაულაშვილი, სოლომონ დათოშვილი; მეუღლე — ლიანა ჩიკვაიძე (1940); შვილები: ნინო (1970), ირაკლი (1971). დაამთავრა საქართველოს ზოოსაინჟინრო ინ-ტი (1962). იყო მცხეთის რძის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი (1962-69), გარდაბნის რძის ქარხნის დირექტორი (1969-73), თბილისის რძის მრეწველობის გაერთიანების (1973-89), რესპუბლიკური გაერთიანება „საქრძის" გენერალური დირექტორი (1989-96), „სანტე უოლშ პროდუქტების" გენერალური დირექტორი (1996-2000). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „შვეიცარული ყველის მომწიფების ტექნოლოგიის სრულყოფა საქართველოს ალპურ ზონაში" (მოსკოვი, 1979). არის საინჟინრო აკადემიისა და მრეწველთა კავშირის წევრი.
ჰობი: სპორტი, ხელოვნება (განსაკუთრებით კინოხელოვნება), შვილიშვილებთან ყოფნა.
*მისამართი: (სამსახურის) კახეთის გზატკეცილის მე-10 კმ. ტელ: 70-77-76. ფაქსი: 70-84-22. (ბინის) ფანასკერტელის 11, ბ. 121. თბილისი.*

**ოჯახის სიყვარული, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება და მიღწეულით განსაკუთრებული სიამოვნების მიღება. ქვეყნისა და მეგობრების სიყვარული, ზნეობრივი პრინციპების წინა რიგში დაყენება.**



**რომან დალაქიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა სოფ. ჯორჯიაშვილში (თეთრიწყაროს რ-ნი) 1950 წ. 25 სექტემბერს. მშობლები: ოლღა ბეგიაშვილი, ისააკ დალაქიშვილი; მეუღლე — რუსუდან აფციაური (1953); შვილები: თამარი (1976), მანანა (1978), ოლიკო (1980), დავითი (1983). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1972), თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1981). იყო საპროექტო ინსტიტუტ „სოიუზდორპროექტის" თბილისის ფილიალის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი (1972-76), წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს ტრესტ წყალმშენის N5 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ინჟინერი (1976-78), „თბილქალაქმშენის" ცენტრალური სამშენებლო ლაბორატორიის უფროსი (1978-82), ა/კ სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის N692 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსის მოადგილე (1982-84), ცეკავშირის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1984-85), საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს N17 საგზაო-საექსპლუატაციო უბნის უფ-

როსი, N1 საგზაო-სამშენებლო-სარემონტო ტრესტის მმართველის მოადგილე (1985-87), თეთრიწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1987-88), გაერთიანება „თბილავტოგზის" მთავარი ინჟინერი (1989-90), „საქავტოგზის" საგეგმო-ეკონომიკური და საფინანსო განყოფილების უფროსი (1991), თეთრიწყაროს რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე (1992-95), პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის რეგიონალური ეკონომიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). არის საქართველოს მოქალაქეთა კავშირის წევრი (1994).
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380008. ტელ: 92-20-84, 93-15-61.*
**პატიოსნება, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა.**



**დანიელი (დავით დათუაშვილი)** ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 29 მაისს. მშობლები: ნადეჟდა (დოდო) დათუაშვილი, გრიგოლ (გიგა) დათუაშვილი; შვილები: გიორგი (1976), მაია (1978). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის კინომცოდნეობის ფაკ-ტი (1978). იყო სახელმწიფო კინოკომიტეტის რედაქტორი (1977-80), საპატრიარქოს საგამომცემლო განყ-ბის თანამშრომელი (1980-83), სიონის საკათედრო ტაძრის დიაკვანი, მღვდელი (1983-90). ბოდბის ეპარქიის მღვდელმთავარი, დაინიშნა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსად (1992), მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი (2000). არის საქველმოქმედო საზოგადოება „მრევლის" ერთ-ერთი დამფუძნებელი.
**მისამართი:** *საქართველოს საპატრიარქო. ერეკლე II-ს მოედანი 2. თბილისი. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის დროებითი რეზიდენცია, მარტყოფის მამათა მონასტერი. ტელ: 2-11-58, 95-87-34.*
**მე, ისევე როგორც ჩემი თაობის უმრავლესი წარმომადგენელი, მოკლებული ვიყავი სარწმუნოებრივ ცოდნას, მაგრამ ღრმად მწამდა, რომ სამყარო შექმნილი იყო კეთილი ძალის მიერ სიყვარულისა და მშვენიერებისთვის. ამ რწმენამ ქრისტეს ეკლესიაში მიმიყვანა. ეკლესიაში გავიგე, რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების აზრი არის მომზადება მარადიული ნეტარი ცხოვრებისთვის.**

**დავით დარჩიაშვილი** საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების ცენტრის (კავკასიური ინსტიტუტი) დირექტორი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 16 დეკემბერს. მშობლები: ელენე დემურია, შანშე დარჩიაშვილი; მეუღლე — ლელა ცქიტიშვილი (1965); შვილები: მარიამი (1985), გიორგი (1988). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1987); არის ჯორჯ მარშალის უსაფრთხოების კვლევების ცენტრის კურსდამთავრებული (გერმანია, 2001). იყო გაზეთ „ქართველი ერის" (ტრადიციონალისტთა კავშირის ორგანო) რედაქტორი (1990-91), ტელეკომპანია „იბერვიზიის" თანამშრომელი (1992). არის მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინ-ტის მკვლევარი (1992 წლიდან), გამგეობის წევრი, ჯგუფის ხელმძღვანელი (1996 წლიდან). თსუ რუსეთის ისტორიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელია 1991 წლიდან, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების და უსაფრთხოების კვლევების ცენტრის (კავკასიური ინ-ტი) დირექტორი — 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ბათუმი რუსეთის პოლიტიკაში" (1991). არის ავტორი ნაშრომისა: Georgia: The Search for State Security (USA. 1997), მონოგრაფიისა: „ჯარისკაცები, პოლიტიკოსები, მოქალაქენი" (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობათა ანალიზი, თბილისი, 2000); არის თანაავტორი წიგნისა "Поиски альтернатив для Грузии и Абхазии" (М. 1999).
**ჰობი:** სათამაშო ჯარისკაცები.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-93-86. ელ-ფოსტა: ddarch@parliament.ge (ბინის) ზანდუკელის 29. თბილისი 380079. ტელ: 98-60-72.*

**საქმისადმი პასუხისმგებლობით მოკიდება, ადამიანთა (თითქმის ყველასი) სიყვარული, განათლება — თვითგანათლება, ბედის გაღიმება — ესაა, რაც დამეხმარა ცხოვრების მანძილზე გარკვეული წარმატებების მიღწევაში.**



**ᲐᲙᲐᲙᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ** ქალაქ ფოთის მერი. დაიბადა სოფ. ჭალადიდში (ხობის რ-ნი) 1956 წ. 3 იანვარს. მშობლები: გულიზა გაგუა, გრიგოლ დარჯანია; მეუღლე — ირმა სესკურია (1966); შვილები: ნინო (1990), გიორგი (1995). დაამთავრა ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1977). იყო კომკავშირის ხობის რაიკომის I მდივანი (1980-81), კომკავშირის ფოთის ქალაქკომის I მდივანი (1981-84), ფოთის განათლების განყ-ბის გამგე (1984-86), კპ ფოთის ქალაქკომის საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1986-89), ფოთის ვიცე-მერი (1995-97). ქალაქ ფოთის მერია 1997 წლიდან. იყო სკკპ-ის (1974-89), არის სმკ-ის (1993) წევრი.
ჰობი: წიგნის კითხვა.
მისამართი: *(სამსახურის) აღმაშენებლის 12. ფოთი. ტელ: 2-25-25, 2-01-20. (ბინის) ასათიანის 9, ფოთი. ტელ: 2-01-06.*

**მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე პატიოსნად, გულწრფელად, შესაძლებლობის ფარგლებში ვემსახურე ქვეყანას. უფლის შემწეობით დღესაც ჩემი მამულის სამსახურში ვარ.**

**ᲢᲐᲠᲘᲔᲚ ᲓᲒᲔᲑᲣᲐᲫᲔ** სენაკის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ფოცხოში (სენაკის რ-ნი) 1946 წ. 26 დეკემბერს. მშობლები: გუგუცა ქუჩულორია, გური დგებუაძე; მეუღლე — მარინე მატკავა (1956); შვილები: გიორგი (1980), თამარი (1986). დაამთავრა სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის სუბტროპიკული ფაკ-ტი (1970), მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა (1978). იყო ცხაკაიას რ-ნის სოფ. ნოსირის დაფნის მეურნეობის აგრონომი (1966-70), ალკკ ცხაკაიას რაიკომის ინსტრუქტორი (1971-72), მეორე მდივანი (1972-74), საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის ინსტრუქტორი (1974), სოფ. გეჯეთის (ცხაკაიის რ-ნი) ჩაის მეურნეობის დირექტორი (1974-75), ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1975-78), სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი (1978-82), განყოფილების გამგე (1982-84), რაიკომის მეორე მდივანი (1987-88), რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1988-91), სენაკის რ-ნის გამგებელია 1993 წლიდან. დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის" ორდენით, მედლით „შრომითი წარჩინებისთვის". სმკ წევრია 1993 წლიდან.
ჰობი: ხელოვნება, სპორტი, ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) ჭავჭავაძის 97. სენაკი 384640. ტელ: 2-15-61. ფაქსი: 2-16-61. (ბინის) დადიანის 4. სენაკი 384640. ტელ: 2-16-08.*

**პრინციპულობა, კეთილსინდისიერება, კოლეგიალობა, კომუნიკაბელობა, მშობლიური რაიონისა და ქვეყნის უანგარო სამსახური, საკუთარი ცხოვრებისეული პრინციპებისა და არჩეული გზის ურყევობა.**



**ᲜᲐᲜᲐ ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ** საქართველოს სახალხო დამცველი, პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 10 ოქტომბერს. მშობლები: მერი დევდარიანი, გიორგი დევდარიანი; მეუღლე – ნიკოლოზ ჩუბინიშვილი (1955); შვილები: გიორგი (1977), მაია (1984). დაამთავრა თსთი დრამის სარეჟისორო ფაკ-ტი. იყო საქართველოს ტელევიზიის მთავარი რეჟისორი (1983-92), პირველი დამოუკიდებელი ტელეკომპანია "მერმესის" გენერალური პროდიუსერი (1990-92), დამოუკიდებელი ტელეკომპანია "დრონის" პრეზიდენტი (1992-96), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95), დამოუკიდებელ გაზეთ "სამშობლო ფორტეს" მთავარი რედაქტორი (1996-98), თბილისის საკრებულოს მდივანი (1998-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან, სახალხო დამცველი – 2000 წლიდან. არის 100-მდე სტატიის, დოკ. ფილმის, სატელევიზიო გადაცემის ავტორი, საქართველოში პირველი ტელეხიდების ორგანიზატორი; საკავშირო და საერთაშორისო ტელეფესტივალების (1984-95), მათ შორის ფესტივალ "მანას" ("საუკეთესო პროდიუსერი" 1994) ლაურეატი; 1996 წლის საუკე-

თესო ჟურნალისტი; ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციისა (1993 წლიდან) და საქართველოს სოციალისტური პარტიის (1998-2000) წევრი.
**ჰობი:** კითხვა, კომპიუტერი.
**მისამართი:** *მაჩაბლის 11, თბილისი 380005. ტელ: 93-92-21, ტელე/ფაქსი: 92-24-70. (ბინის) რ. ლაღიძის 4, თბილისი. ტელ: 93-22-30.*

**სიმართლე, სამართლიანობა, "თუ ვერ შეელი, ნუ ავნებ", ცხელ გულზე გადაწყვეტილებას ნუ მიიღებ. გახსოვდეს, როგორც არ უნდა გიჭირდეს, ყოველთვის არსებობს შენზე გაჭირვებული; თუ კარგადა ხარ, იცოდე, რომ ყოველთვის ასე არ იქნება.**



**ციცინო დევრისაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1956 წ. 17 ოქტომბერს. მშობლები: ნათელა დევრისაშვილი, ნიკოლოზ დევრისაშვილი; მეუღლე დავით ლონგურაშვილი (1956); შვილები: ნიკოლოზი (1986), ნანა (1992). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს საჩივრებისა და საქმეების განყ-ბის ინსპექტორი (1983-98), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1998 წლიდან. გერმანულიდან თარგმნა ჰ.ბიოლის "მგზავრო, თუ მოხვალ "
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) სანზონა, I კორპ., ბ. 42, თბილისი.*

**საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, პრინციპულობა.**



**თამარ დეკანოსიძე** ექიმი, პათოლოგანატომი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ხარაგაულში 1922 წ. 3 ნოემბერს. მშობლები: ეკატერინე კიკნაძე-დეკანოსიძე, ივანე დეკანოსიძე; მეუღლე — გივი სარალიძე (1922); შვილები: შოთა (1946), ია (1957). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1943). იყო თსსი პათანატომიის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1943-69), ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის გამგე (1969-73), პათანატომიის კათედრი გამგე (1973-96). ამავე კათედრის პრფესორია 1996 წლიდან, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი პათოლოგანატომი (1980 წლიდან), საქართველოს პათოლოგანატომთა საზოგადოების თავმჯდომარე (1990 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ნერვული სისტემის სხვადასხვა განყოფილებების სტრუქტურული ცვლილებები" (1955), სადოქტორო — „შეგუებითი და კომპენსაციური პროცესების მორფოლოგიური საფუძვლები" (1964). არის 6 მონოგრაფიის, 142 სამეცნიერო სტატიისა და 1 სასწავლო ფილმის ავტორი, ივ.თარხნიშვილის პრემიის ლაურეატი (1962), საპატიო ნიშნის (1962), შრომის წითელი დროშის (1981), ღირსების (1997) ორდენების კავალერი, წლის საუკეთესო მასწავლებლის პრემიის ლაურეატი (1999). არის სსრკ პათოლოგანატომთა საზოგადოების გამგეობის წევრი, ათეროსკლეროზის, გერონტოლოგთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 33. თბილისი 380077. ტელ: 39-47-80. (ბინის) იოსებიძის 80, ბ. 3. თბილისი. ტელ: 37-44-54.*

**1. აუცილებლად სიმართლის დაცვა ყოველგვარ სიტუაციაში. 2. სისტემატური ზრუნვა პროფესიონალი პათოლოგანატომების, პროფესიონალი პათოლოგიური ანატომიის პედაგოგების, მკვლევარი ექიმების აღზრდისათვის. 3. აუცილებლად სისტემატური ზრუნვა და ქმედება, საქართველოში პათოლოგიური ანატომიის, როგორც მეცნიერებისა და კლინიკური დარგის განვითარებისათვის. 4. სისტემატური ზრუნვა ქართული სამედიცინო ტერმინოლოგიის დაზუსტებისათვის.**



**ავთანდილ დემეტრაშვილი** საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა სოფ. პატარა თონეთში (თეთრიწყაროს რ-ნი) 1941 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: ანა დემეტრაშვილი, ვლადიმერ დემეტრაშვილი; შვილები: ანი (1969), ტარიელი (1972), სოფიკო (1992). დაამთავრა პერმის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1967). იყო თბილისისა და პერმის სხვადასხვა დაწესებულების დამხმარე მუშა (1960-63). იყო პერმის უნივერსიტეტის კათედრის ასისტენტი (1968-71),

მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტი (1971-75), პერმის უნივერსიტეტის მასწავლებელი (1975-77), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის უფროსი მასწავლებელი (1978-79), მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკ-ტის უფროსი მასწავლებელი და დოცენტი (1979-84), თსუ დოცენტი, დეკანის მოადგილე, კათედრის გამგე (1986 წლიდან), სახელმწიფო მეთაურის აპარატის იურიდიული განყოფილების გამგე, საკონსტიტუციო აქტების მომზადების სამსახურის ხელმძღვანელი (1993-95), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი (1995-2001), საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე (1996-2001). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა სისტემა" (1975). გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია, კონსტიტუციათა კრებული, მეთოდური მასალები.
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, თევზაობა.
**მისამართი:** *(ბინის) სააკაძის 183. თბილისი. ტელ: 94-29-96.*



**ალექსანდრე დიდებულიძე** ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკდემიის აკადემიკოსი, დოქტორი, პროფესორი, აგრარული უნივერსიტეტის ელექტროტექნიკის კათედრის გამგე. დაიბადა თბილისში 1944 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: იოლანტა სანიკიძე, კონსტანტინე დიდებულიძე; მეუღლე — თამარ ჭელიძე (1944); შვილი — ნატო (1983). დაამთავრა სპი ავტომატიკის და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1966). იყო სპი ასისტენტი (1967-68), სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1971-74), საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი (1974-78), დოცენტი (1978-89). კათედრის გამგე (1989 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სიხშირითმართვადი ასინქრონული ელექტროამძრავი სასოფლო-სამეურნეო აგრეგატებისათვის" (1974), სადოქტორო — „სპეციალური ელექტრიფიცირებული სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის" (1991). ავტორია 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, 16 ქვეყნის 34 პატენტისა და წიგნების: „ავტომატიზებული ელექტროამძრავი სოფლის მეურნეობაში" (სახელმძღვანელო. თანაავტორები ვ.მეტრეველი და შ.ჭელიძე, 1982), „ავტომატიზებული ელექტროამძრავის პროექტირება" (1983), „ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია" (თანაავტორი ი.წულაძე, 1991), „სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში" (1997) „ენერგეტიკის სექტორი საქართველოში" (თანაავტორი მ.ჩაჩხუნაშვილი, 1999). არის საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნული ენერგეტიკული აკადემიის წევრი (1995 წლიდან), ღირსების ორდენის კავალერი (1999).
**ჰობი:** ჭადრაკი, სამთო ტურიზმი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის ხეივნის მე-13 კმ. თბილისი 380031. (ბინის) კოსტავას 44. ბ. 18. თბილისი 380079. ტელ: 93-28-41.*

**შრომა და ისევ შრომა; დავალებული საქმის მთელი მონდომებით შესრულება, დემოკრატიულობა.**



**დიმიტრი (შიოლაშვილი)** ბათუმის და სხალთის ეპისკოპოსი. დაიბადა მცხეთაში 1961 წ. 16 თებერვალს. მშობლები: ანა შიოლაშვილი, შოთა შიოლაშვილი; მეუღლე — მაია ხიდეშელი; შვილები: ნინო, ეკატერინე, ანა. დაამთავრა მცხეთის სასულიერო სემინარია (1982), მოსკოვის სასულიერო აკადემია საღვთისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით (1986). ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, შემდეგ მღვდლად (1985); მსახურობდა ბათუმის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში (1986), ალავერდის მონასტერში (1987-88), ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში (1988-89), ასწავლიდა ლიტურღიკას თბილისის სასულიერო აკადემიაში, დაინიშნა ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის წინამძღვრად და აღყვა-

ნილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1989). დაინიშნა ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის გიმნაზიის (1991), იოანე ღვთისმეტყველის სახ. სემინარიის (1993) რექტორად, ბათუმის წმ. მოწამე ეკატერინეს სახ. სათნოების სავანის ხელმძღვანელად (1994). აღიკვეცა ბერად (1996). მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი, ხელდასხმულ იქნა ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსად (1996). დაჯილდოებულია II გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით (1995).



**ოდისეი დიმიტრიადი** დირიჟორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი, პროფესორი. დაიბადა ბათუმში 1908 წ. 7 ივლისს. მშობლები: კალიოპი დიმიტრიადი, აქილეს დიმიტრიადი; მეუღლე — ელიზავეტა სერბინა (1911-91); შვილები: ნანა (1932), პარისი (1936-61), ორესტი (1939). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია და ლენინგრადის სახ. კონსერვატორიის ასპირანტურა. იყო თბილისის საოპერო თეატრის დირიჟორი (1937 წლიდან), მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1952-65). ჩამოაყალიბა სიმფონიური ორკესტრი (1947). იყო მსოკოვის დიდი თეატრის დირიჟორი (1965 წლიდან). დადგმული აქვს თითქმის ყველა ქართული ოპერა; შესრულებული აქვს ქართველ კომპოზიტორთა სიმფონიური ნაწარმოებები. დადგმული აქვს საოპერო სპექტაკლები არგენტინასა და მექსიკაში. დირიჟორობდა სიმფონიურ ორკესტრებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. არის ზ.ფალიაშვილის და რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.

**ჰობი:** მუსიკა, ფეხბურთი.

**მისამართი:** *(ბინის) პლატია ამერიკი, მემფისი 47. საბერძნეთი, ათენი. ტელ: 867-19-54.*

**სიმართლე და სიკეთე.**



**ოთარ დიოგიძე** ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორი. დაიბადა ბათუმში 1954 წ. 13 აპრილს. მშობლები: რუქე ხალვაში, შუქრი დიოგიძე; მეუღლე — თამარ ჩავლეიშვილი-დიოგიძისა (1954); შვილები: თამარი (1988), ქეთინო (1992). დაამთავრა სპი ქიმიის ფაკ-ტი (1977). იყო რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის ტექნოლოგი (1977-79), ქიმიური რეაქტივებისა და ზესუფთა ნაერთების საკავშირო ს/კ ინ-ტის ასპირანტი (1980-83), რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის მთავარი ტექნოლოგი (1984-86), ბათუმის უნივერსიტეტის მასწავლებელი, დეკანი (1986-96). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ზესუფთა თეთრი დარიშხანის (3,3) მიღება" (1984). იყო სკკპ წევრი. არის დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი, აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

**ჰობი:** ცურვა, ჭიდაობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 53, ბათუმი 384500. ტელ: 7-53-88, 7-48-50, ფაქსი: 7-48-50. (ბინის) სულაბერიძის 12, ბათუმი 384500. ტელ: 7-49-88.*

**ადამიანს იმდენი სითბო უნდა გააჩნდეს, რომ შეძლოს სხვასაც გაუნაწილოს. ერთგული უნდა იყოს ქვეყნის, მეგობრის. საქმის ღალატი მიუტევებელია.**



**ნაზი დოთიაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის მოსამართლე. დაიბადა გორში 1959 წ. 13 სექტემბერს. მშობლები: მარიამ მორბედაძე, ალექსანდრე დოთიაშვილი; მეუღლე – გელა ჩიტუნაშვილი (1957); შვილები: ალექსანდრე (1984), შოთა (1991). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1983). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო განყ-ბის უფროსის მოადგილე (1983-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.

**ჰობი:** ხალხური მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-11. (ბინის) ქსოვრელის 21, თბილისი. ტელ: 69-91-98.*

**დაუღალავი შრომა მიზნის მისაღწევად. ჩემი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული. სიმართლისათვის სამსახური. შვილების აღზრდა იმ მრწამსით, რომ ყველაფერი გააკეთონ სამშობლოს საკეთილდღეოდ.**



**დავით დოიაშვილი** დრამის რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1971 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: მიმოზა სოსელია, თეიმურაზ დოიაშვილი. დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი, მ.თუმანიშვილის სახელოსნო (1993). იყო ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის, კინომსახიობთა თეატრის, მარჯანიშვილის თეატრის, ლიდსის „ფლეიჰაუზის" დამდგმელი რეჟისორი (1991-96), მარჯანიშვილის თეატრის მთავარი რეჟისორი (1998-2000). არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „მადამ ბოვარი", „მარია", „ცხოვრება იდიოტისა", „მეფე ლირი", „სეილემის პროცესი", „მედეა", „სამი და", „პეტერ ვაისი", „მარად-სადი", „სალომეა", „მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია", „ლუჩია დი ლა მერმური" (პეტერბურგის მარინის თეატრი).
მისამართი: *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) ტელ: 53-62-29.*
არანაირი პრინციპი და არანაირი იდეალები არა მაქვს!



**დავით დოიჯაშვილი** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1963 წ. 29 სექტემბერს. მშობლები: გულიკო კასრაძე, დიმიტრი დოიჯაშვილი; მეუღლე — ნანა დოიჯაშვილი (1964); შვილები: გულიკო (1987), ქეთევანი (1990). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო მოსკოვის პროკურატურის ინ-ტის ასპირანტი (1986-89). მუშაობს სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტში (1989 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელისუფლებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისას" (1990). არის ერთი მონოგრაფიის ავტორი (1993).
მისამართი: *(სამსახურის) ნინამძღვრიშვილის 200. თბილისი 380012. ტელ: 95-02-69, 95-84-85.*



**მანანა დოიჯაშვილი** პიანისტი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, კონსერვატორიის დიდი დარბაზის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1947წ. 5 ნოემბერს. მშობლები: თინათინ ნადარეიშვილი, ლევან დოიჯაშვილი; მეუღლე — გიორგი გოთუა (1945); შვილი — ლევანი (1980). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1971), ასპირანტურა (1973). იყო თბილისის სახ. კონსერვატორიის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, რექტორი (2000 წლიან). არის საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა (1995), პიანისტთა თბილისის საერთაშორისო (1997) კონკურსების დამფუძნებელი, თბილისის საკრებულოს წევრი (1998). მისი შესრულებით გამოშვებულია რამდენიმე დისკი სოლო პროგრამითა და სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. არის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი: ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსი (1962), ენესკუს სახელობის ბუქარესტის საერთაშორისო კონკურსი, სმეტანას სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი (1974), პიანისტთა სიდნეის I საერთაშორისო კონკურსი (1977) და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია წიგნში „თანამედროვე პიანისტები" (ლ.გრიგორიევი, ი.პლადეკი, მოსკოვი, 1985.)
მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი 380004. ტელ: 92-24-46. ფაქსი: 92-24-47. (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ.86. ტელ: 39-80-42.*



**გიორგი დოლიძე** კინომცოდნე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი. დაიბადა ქუთაისში 1934 წ. 20 აპრილს. მშობლები: მარიამ ვაჩეიშვილი, გალაკტიონ დოლიძე; მეუღლე — მაყვალა მაისურაძე (1936); შვილები: ზვიადი (1959), ჯარჯი (1987). დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1959). მუშაობდა ჟურნალისტ-მთარგმნელად (1955 წლიდან). იყო თეატრალური ინ-ტის კინოფაკულტეტის დეკანი (1980-92). არის პრორექტორი კინო-ტელე დარგში (1992 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „მაიაკოვსკი და კინო" (1969). არის ავტორი წიგნებისა: „მაიაკოვსკი და კინო", „ქართული კინო გუშინ და დღეს" და სხვ. აღადგინა 18 ძველი ქართული მხატ-

ვრული ფილმი („ხანუმა", „ამოკი", „ორი მონადირე", „თავადის ასული მერი" და სხვ.), დამოუკიდებლად გადაიღო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ვიდეოფილმი „შემოდგომა" მწერალ ოტია იოსელიანის შესახებ. არის კინემატოგრაფისტთა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

**ჰობი:** მუსიკა, სუფრა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 19. თბილისი 380008. ტელ: 99-04-38, 98-30-74. (ბინის) ბუდაპეშტის 30. თბილისი. ტელ: 39-50-82.*

**შრომით ეძლევაო სულს ნეტარება — ბრძანა აკაკიმ. ასეთ ნეტარებას ვესწრაფვი დღენიადაგ და ამასვე შთავაგონებ ჩემს შვილებს, შვილიშვილებსა და სტუდენტებს, რომლებთანაც სისტემატური კონტაქტი დიდ ენერგიასა და ხალისს მანიჭებს. ამიტომაც არ მიყვარს მოწუწუნე კაცი — მეგობარს რომ გულს უკლავს თავისი გაუთავებელი წუწუნ-ჩივილით, მტერს კი — ახარებს.**



**ზვიად დოლიძე** კინოკრიტიკოსი, საქართველოს შ. რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინ-ტის კათედრის გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 25 იანვარს. მშობლები: მაყვალა მაისურაძე, გიორგი დოლიძე; მეუღლე – ირმა აბზიანიძე (1965); შვილები: გიორგი (1984), ნატო (1989). დაამთავრა პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1980). იყო I ექსპერიმენტული სკოლის ისტორიის მასწავლებელი (1978-81), კ/ს "ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტი (1981-82), კ/ს "მემატიანეს" რედაქტორი (1982-88), პედაგოგიური ინ-ტის უფროსი ლაბორანტი (1988-89), საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (1989-91), მცირე საგამომცემლო საწარმო "ტაო-91"-ის დირექტორი (1991-92), თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის ისტორიის, კინოს ისტორიის პედაგოგი, სატელევიზიო ხელოვნების კათედრის გამგე (1992 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ვესტერნის ისტორიულ-სოციალური წინამძღვრები და განვითარების გზები" (1997). არის 2 სამეცნიერო ნაშრომისა და 27 სტატიის ავტორი (1981-2000); საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (2001).

**ჰობი:** ფიქრი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 19, თბილისი, 380008. ტელ: 99-73-88. ფაქსი: 99-04-38. ელ-ფოსტა: eliso@geo.net.ge (ბინის) ნუცუბიძის ფერდ., III მ/რ, XIII კორპ., ბ. 29. ტელ: 32-32-45.*

**ყველგან და ყოველთვის სიკეთის თესვა.**



**ლია დოლიძე** მუსიკისმცოდნე, თბილისის სახ. კონსერვატორიის დოცენტი. დაიბადა ლონდონში 1946 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: ალისა ჟღენტი, ისიდორე დოლიძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (1970). იყო საქტელერადიო კომიტეტის მუსიკალური რედაქტორი (1971-72), ხელოვნებათმცოდნეობის საკავშირო ს/კ ინ-ტის ასპირანტი (მოსკოვი, 1972-75), კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1980-88), დოცენტი (1988 წლიდან). მილანის მუსიკალური გამომცემლობა Ricordi-ს სტაჟიორი (1988-89), მიწვეული იყო ჰალეს უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკ-ტზე (სამეცნიერო-კვლევითი მივლინება DAAD-ის ხაზით, 1997-98). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ეროვნულობის პრობლემა მუსიკალური შემოქმედების ფსიქოლოგიაში" (მოსკოვი, 1978), სადოქტორო— „ლუიჯი ნონოს მუსიკალური შემოქმედების სოციალურ-ფსიქოლოგიური განპირობებულობა". არის 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის: "О специфике проявления национального в музыкальном творчестве Стравинского в свете общей теории сознания и бессознательного психического" (в кн. Бессознательное: природа, функции, методы исследования", Тбилиси, 1978), "Il ruolo del fattore nazionale nella psicologia della creazione musicale "(Musica-realta, Milano, 1986), "Die Probleme der musikalischen Ästhetik und Soziologie" (Beitrage zur Musikwisseschaft, Berlin, 1988), "14 Articles on 20-th Century Georgian Music" (New Grove

Dictionary of Music and Musicians, London, 1999) და სხვ. არის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1979), მილანის მუსიკალური გამომცემლობა Ricordi-ს უცხოელი წევრი (1989), ლონდონის მუსიკალური ენციკლოპედიის New Grove Dictionary of Music and Mucsicians კონსულტანტი ქართული მუსიკის სფეროში (1995). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში International Who`s Who in Music, Cambridge, 1999.

**ჰობი:** არქიტექტურა, უცხო ენების შესწავლა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი 380008. ტელ: 99-69-92. ფაქსი: 98-71-87. (ბინის) ი.აბაშიძის 21, ბ.18. თბილისი 380079. ტელ: 22-61-83.*

**მუდმივი პროფესიული სრულყოფა და ზოგადჰუმანიტარული განათლების გაფართოება. საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულება და მიზნის მისაღწევად ყველაზე რთული და პერსპექტიული გზის არჩევა. წარსულის მუსიკის თანამედროვე აღქმა და თანამედროვე მუსიკალური მოვლენების ისტორიულ ჭრილში დანახვა. ევროპული მუსიკის ზედმიწევნით ღრმა ცოდნა და ამ კონტექსტში ქართული მუსიკის ადგილის დადგენა. ფართო პროფესიული ერუდიციის მქონე ახალგაზრდა კადრების აღზრდა.**



**როსტომ დოლიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საგანგებო სიტუაციათა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, აჭარის ორგანიზაცია „დედა საქართველოს" თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1939 წ. 23 იანვარს. მშობლები: მერი ზეიშვილი, ხასან დოლიძე; მეუღლე — ალბინა ტოროპოვა-დოლიძე; შვილები: გიული (1968), გიორგი (1974). დაამთავრა მოსკოვის ეკონომიკურ-სტატისტიკური ინ-ტი (1967). იყო ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის ინჟინერ-ეკონომისტი, სანარმოო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოადგილე, პარტკომის მდივანი (1967-71), ბათუმის კპ საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი (1971-74), ბათუმის ალმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1974-84), ალმასკომის თავმჯდომარე (1984-91), სახალხო კონტროლის თავმჯდომარე, ბათუმის მერის მოადგილე, ბათუმის მერი, აჭარის არ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბათუმის საქალაქო საბჭოს და აჭარის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე, (1992-95). არის სმკ-ს მთავარი საბჭოს წევრი.

**ჰობი:** თევზაობა, მანქანით მოგზაურობა (მარტო საჭესთან).

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-24-02.*

**„სხვისი ლუკმის არწართმევა".**

**ქეთი დოლიძე** თეატრისა და კინოს რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1945 წ. 4 დეკემბერს. მშობლები: თამარ ბირკაძე, სიკო დოლიძე; მეუღლე—კორნელი (კოკა) ბზიავა (1929); შვილები: თორნიკე (1980), თამარი (1982). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტი (1967), თსთი სარეჟისორო და სამსახიობო ფაკ-ტები (1975). იყო ტელევიზიის რეჟისორი (1974-98). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1975 წლიდან), კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი, საერთაშორისო ფესტივალ „საჩუქარის" დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1997 წლიდან), ქალთა მოძრაობა „მანდილის" დამფუძნებელი და კომიტეტის თავმჯდომარე (1993 წლიდან). არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „კაცია-ადამიანი?!" (1979, ქართული კ/ფ პრიზი საუკეთესო ეკრანიზაციისთვის, ცხინვალი, 1980), „კუკარაჩა" (1983, საკავშირო კ/ფ პრიზი საუკეთესო ეკრანიზაციისთვის, ლენინგრადი1983), „სანამ წვიმა გადაივლიდეს" (1985), „მარტოხელა მონადირე" (1989), „ევრიდიკე" (1991), „დინოზავრის კვერცხი" (1993) და სხვ; სატელევიზიო დადგმებისა: „დღესასწაული" (1973), „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს" (1975), „გაკვეთილები" (1979) და სხვ. არის ღირსების ორდენის კავალერი (1996), ამერიკის ბიოგრაფიულმა ინ-ტმა (ABI) დაასახელა „პლანეტის 100 გმირ ქალს შორის" (1998). არის საერთაშორისო ორგანიზაცია „კლინიკ-კლოუნების" წარმომადგენელი საქართველოში.

**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 127. თბილისი 380012. ტელ: 94-00-90, 34-09-37. ელ-ფოსტა: gift@osgf.ge (ბინის) ბაზალეთის 7. თბილისი 380079. ტელ: 22-35-91.*



**გურამ დოჩანაშვილი** მწერალი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 26 მარტს. მშობლები: გულნარა ემხუარი, პეტრე დოჩანაშვილი; მეუღლე — ნათელა სეფიაშვილი (1942); შვილები: ქეთევანი (1966), ირაკლი (1968-90), შვილიშვილი თინათინი (1999). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1962). იყო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის ქვის ხანის შემსწავლელი განყოფილების უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1962-75), ჟურნალ „მნათობის" პროზის განყოფილების გამგე (1975-85). კინოსტუდია „ქართული ფილმის" მთავარი რედაქტორია 1985 წლიდან. გამოცემული აქვს 30 წიგნი. მისი ნაწარმოებები თარგმნილია 20-ზე მეტ ენაზე, მისი მოთხრობების მიხედვით გადაღებულია 1 სრულმეტრაჟიანი და რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 5 სატელევიზიო სპექტაკლი, 15-მდე რადიოდადგმა. დაჯილდოებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის მედლით, საქართველოს ეკლესიის სიგელით (2001). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო" და ცნობარში „Краткая литературная энциклопедия"
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ელიავას 12, თბილისი. (ბინის) იოსებიძის 59, ბ.70. თბილისი. ტელ. 37-74-70.*

**როგორც ერთ-ერთი ჩემი მოქმედი გმირი ამბობს: „ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ადამიანი უნდა გახდეს უკეთესი, ვიდრე იყო"; ეს შეეხება ხელოვნების ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოების გაცნობასაც.**



**ელენე დოჩანაშვილი** ფილოლოგი, თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის კათედრის პროფესორი. დაიბადა გიუმრში 1916 წ. 2 ივნისს. მშობლები: ოლღა დოჩანაშვილი, იოსებ დოჩანაშვილი; მეუღლე — გიორგი მელიქიშვილი (1918); შვილები: ირინე (1943), ნინო (1947), ალექსანდრე (1953). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1939). იყო ისტორიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1943-53), თსუ დოცენტი (1960-89). აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის არმენოლოგიის კათედრის პროფესორია 1989 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „მასალები ადიშის ოთხთავის არმენიზმების საკითხისათვის" (1946); სადოქტორო — „მცხეთური ხელნაწერი და ბიბლიური წიგნების ძველი ქართული ვერსიის გენეზისის პრობლემა" (1989); გამოქვეყნებული აქვს „მცხეთური ხელნაწერი" ექვს წიგნად (1981-99). დაჯილდოებულია მედლით შრომითი მამაცობისათვის (1943), აკ.შანიძის სახ. პრემიით (1989).
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა, ქართული სიმღერები.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 22-03-01. (ბინის) თაქთაქიშვილის 3/43. ბ. 37. თბილისი, 380079. ტელ: 22-10-06.*

**სამშობლოს სიყვარული, მეგობრობა, პრინციპულობა, კაცთმოყვარეობა, საქმისადმი ერთგულება, პატიოსანი შრომა, ადამიანებთან წრფელი დამოკიდებულება.**



**ქეთევან დუგლაძე** იურისტი, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. დაიბადა ზესტაფონში 1962 წ. 15 იანვარს. მშობლები: ნანა გურგენიძე, დუტული დუგლაძე; მეუღლე – დათო კარიაული (1962); შვილები: ნინო (1985), გვანცა (1988). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო დუშეთის რ-ნის გამგეობის სახელმწიფო ქონების მართვის განყ-ბის სპეციალისტი (1991-92), დუშეთის N1 საშუალო სკოლის სამართალმცოდნეობის მასწავლებელი (1992-99), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, კლასიკური მუსიკა, ყვავილების მოვლა.

მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ.რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-11. (ბინის) ქავთარაძის 25/3, ბ.29, თბილისი. ტელ: 30-47-09.*

**პასუხისმგებლობა და ერთგულება ყველას და ყველაფრის მიმართ, რასთანაც ან ვისთანაც ურთიერთობა მაქვს.**



**დავით დუმბაძე** კომპანია „მარტინ ბაუერ გეორგიენის" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 28 თებერვალს. მშობლები: ლეილა სადრაძე, დევი დუმბაძე; მეუღლე — მაია ხუციძე (1965); შვილი — ელენე (1988). დაამთავრა თსუ გეოგრაფიის ფაკ-ტი (საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია, 1979). იყო თსუ მეცნიერ-თანამშრომელი (1979), მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკურ და საერთაშორისო ურთიერთობათა ინ-ტის ასპირანტი (1981-86), მუშაობდა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში (1986-87), პარტიულ და სამთავრობო ორგანიზაციებში (1987-91); იყო ფირმა KOMEG Gmb-ის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პროექტის ხელმძღვანელი (1991-95), კომპანია Martin Bauer GmBH & Co-ს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების განყოფილების ხელმძღვანელი (1995-98). „მარტინ ბაუერ გეორგიენის" პრეზიდენტია 1998 წლიდან.

**ჰობი:** მუსიკა, ცხენოსნობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 55. თბილისი 380062. ტელ: 22-74-30. ფაქსი: 22-63-20.*

**ღმერთისა და სამშობლოს სიყვარული. პროფესიონალიზმი, მიზანდასახულობა.**

# ე



**გია ებრალიძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1954 წ. 1 იანვარს. მშობლები: მედეა ინწკირველი, არჩილ ებრალიძე; მეუღლე — ნანა ცანავა (1959); შვილები: მედეა (1984), დავითი (1986), ალექსანდრე (1996). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1975), სპი. იყო ნაძალადევის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელი (1975-77), მთაწმინდის რ-ნის პროკურორის თანაშემწე (1977-78), საქართველოს პროკურორის თანაშემწე (1978-80), საქართველოს მარნეულის რ-ნის პროკურორი (1980-89), საქართველოს პროკურატურის კადრების განყ-ბის უფროსი (1989-90), ზესტაფონის რ-ნის პროკურორი (1990-92), გარდაბნის სასამართლოს თავმჯდომარე (1991-99). არის იუსტიციის უფროსი მრჩეველი. იყო სკკპ წევრი (1974-89).

**ჰობი:** ფეხბურთი, ჭადრაკი, კალათბურთი, ხელბურთი, მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) ყაზბეგის 29, II კორპ., ბ. 54, თბილისი. ტელ: 39-36-36.*

**ერთგულება, ოჯახის სიყვარული, სამშობლოს სიყვარული, შრომისმოყვარეობა, მეგობრობა.**



**დათო ევგენიძე** კომპოზიტორი, პიანისტი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 2 დეკემბერს. მშობლები: დინარა ევგენიძე, ნუგზარ ევგენიძე; მეუღლე — ნინო კალანდაძე (1967); შვილები: ლიკა (1986), ლუკა (1988). დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიციო ფაკ-ტი (1982), ასპირანტურა (1985). დაწერილი აქვს 100-მდე სიმღერა, 5 საგუნდო, 2 სიმებიანი კვარტეტი, საფორტეპიანო პრელუდიები, რომანსები, სონატა ვიოლონჩელოსთვის (1972-77), ვოკალურ-ინსტრუმენტულ-კამერული ნაწარმოები „სილაში ვარდი" (1983), მუსიკა კინო, ტელე და ანიმაციური ფილმებისთვის. მოსკოვში დაიდგა მისი ორი დივერტისმენტი „მოაზროვნე" და „გედების ერთგულება" (1983-86). არის ავტორი ლექსების კრებულისა „რვაათასხუთასერთი სიტყვა" („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 2000). 1988 წლიდან კონტრაქტით მუშაობდა საფრანგეთში, ესპანეთში, აშშ-ში, მონაწილეობდა ჯაზ-ფესტივალებში (1992-94). თბილისში გამართული აქვს 6 საავტორო კონცერტი. მიღებული აქვს ახალგაზრდა კომპოზიტორთა საკავშირო კონკურსის I პრემია (1983), იმპროვიზაციის კონკურსის I პრემია (მოსკოვი, 1980), პრიზი „მანა" (1996). დაასახელეს წლის საუკეთესო მუსიკოსად (თბილისი, 1997).

**მისამართი:** *(ბინის) შმიდტის 80, თბილისი. ტელ: 94-16-59.*



**ჯანსუღ ეზუგბაია** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ამყელში (გულრიფშის რ-ნი) 1948 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: ეთერ მარშანია, ნიკოლოზ ეზუგბაია; მეუღლე – მაყვალა სარუა (1956); შვილები: ნიკოლოზი (1980), გიორგი (1983). დაამთავრა ნოვოსიბირსკის ელექტროტექნიკური ინ-ტი (1975). იყო საქენერგოს აფხაზეთის ელექტროქსელების ტექნიკოსი (1970), ტექნიკური განყ-ბის ინჟინერი, ექსპლუატაციის უფროსი ინჟინერი, უბნის უფროსი, გაგრის საქსელო რაიონის უფროსი, აფხაზეთის ელექტროქსელების დირექტორი, აფხაზეთის ენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორი, ს/ს "ელგადაცემის" ფილიალის აფხაზეთის დირექციის დირექტორი. არის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი (1997).

**ჰობი:** შვილებთან ერთად ტყეში ხეტიალი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-70-76. (ბინის) საქემოს შეს. 2, ბ. 170, თბილისი.*

**პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი, სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავგანწირვის უნარი, ოჯახის სიყვარული.**



**რაისა ეკალაძე** მხატვარი-კერამიკოსი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 19 ივნისს. მშობლები: ეფროსინე ეკალაძე, თეოდორე ეკალაძე; მეუღლე – გივი აბუაშვილი (1931); შვილები: იოსები (1956), ნანა (1960). დაამთავრა თსსა კერამიკის ფაკ-ტი (1958). არის თსსა კერამიკის კათედრის ექსპერიმენტული ლაბორატორიის მხატვარი (1958 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: დეკ. მარანი "ჯიხვი" (1993), აზარფეშების, თეფშებისა და დოქების სერიები, ღვინის კომპლექტები, დეკ. მარანი "შემოდგომა" (1995) და სხვ. არის ევროპის ქვეყნების კერამიკოსთა საერთ. ფესტივალის I და საპატიო პრიზების (ანაბერგ-ბუჰოლცი, გერმანია 1997, 2000), თბილისის კერამიკოსთა სიმპოზიუმის III პრიზის (2000) მფლობელი, ბექა და ბეშქენ ოპიზრების პრემიის ლაურეატი (1998); მხატვართა კავშირის წევრი (1968). მისი ბიოგრაფია შეტანილია ალბომში "თანამედროვე ქართული კერამიკა" (თბილისი, 1984), ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** კერამიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. (ბინის) დიღმის მას. V კვარტ., XXIII კორპ., თბილისი. ტელ: 29-44-53, 51-56-95.*



**ირაკლი ელიავა** ზოოლოგი, ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: ქეთევან მარგველაშვილი, იასონ ელიავა; მეუღლე — ირინე ელიავა (1932); შვილები: ტატიანა (1955), მარინე (1970). დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგია-ნიადაგმცოდნეობის ფაკ-ტი (1953). იყო ზოოლოგიის ინ-ტის ლაბორანტი (1953-55), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1958-62), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1962-72), ლაბორატორიის გამგე (1972-82), თსუ ზოოლოგიის კათედრის გამგე (1982-89), თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1987-89). ზოოლოგიის ინ-ტის დირექტორია 1989 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „დორილაიმიდას რიგის ნემატოდების სისტემატიკა, ფილოგენია და ეკოლოგია" (1984). ავტორია ოთხი მონოგრაფიისა და ერთი სახელმძღვანელოსი — „ეკოლოგიის საფუძვლები" (თანაავტ. გ.ნახუცრიშვილი, გ.ქაჯაია. 1992). არის პ.მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი (1985).

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 31. თბილისი, 380079. ტელ: 22-01-64, 22-33-53. (ბინის) ვაჟა-ფშაველას VII კვ. კორპ. 17. ბ. 9. თბილისი, 380086. ტელ: 30-92-35.*

**შრომა, ოჯახი, ქვეყანა, მეგობრები.**



**ელისე (ჯოხაძე)** ნიკორწმინდის მთავარეპისკოპოსი. დაიბადა სოფ. შქმერში (ონის რ-ნი) 1949 წ. 15 თებერვალს. დაამთავრა სპი (1977), მცხეთის სასულიერო სემინარია. მუშაობდა სამხატვრო ფონდში (1978 წლიდან). იყო საპატრიარქოს სამხატვრო-სარესტავრაციო საქმეთა განყ-ბის ინჟინერი (1982). აკურთხეს დიაკვნად, ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა წალკის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად (1983). იყო ნიკორწმინდის, გორის ღვთისმშობლის სახელობის, თბილისის წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესიების წინამძღვარი (1983-90). მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის და თბილისის წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრების სარესტავრაციო სამუშაოები. ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის დაჯილდოვდა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით, აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1987). მოღვაწეობდა დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, იყო საქართველოს საპატრიარქოს სახლთუხუცესი (1991-93), სრულიად საქართველოს კათოლიკოს-

პატრიარქის მდივანი (1993), ანჩისხატის ტაძრის მღვდელმსახური (1994-96), მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი (1996). ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1996), დაინიშნა ნიკორწმინდის ეპისკოპოსად. მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (2000). არის საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყ-ბის ხელმძღვანელი.



**დიმიტრი ერისთავი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 18 ივნისს. მშობლები: თამარ ქართველიშვილი, ვახტანგ ერისთავი; მეუღლე — ნათელა ერისთავი (1938); შვილი — სანდრო (1964). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1956). იყო თსსა გრაფიკის კათედრის პედაგოგი (1967-74). არის პროფესორი (1982 წლიდან), ილუსტრაციის სახელოსნოს ხელმძღვანელი, კ/ს „ქართული ფილმის" დამდგმელი მხატვარი (1962 წლიდან). მუშაობს დაზგური გრაფიკის, წიგნის გრაფიკისა და ილუსტრაციის, კინომხატვრობის, კინოპლაკატის ჟანრებში. იყო მხატვარი ფილმებისა: „გიორგობისთვე", „იყო შაშვი მგალობელი", „მთვარის ფავორიტები", „და იქმნა ნათელი" (ყველა — რეჟ. ო.იოსელიანი), „არაჩვეულებრივი გამოფენა" (რეჟ. ე.შენგელაია), „ყვარყვარე" (რეჟ. დ.აბაშიძე), „გზა მშვიდობისა ჯაყო" (რეჟ. მ.კოკოჩაშვილი ), „მწვერვალი" (რეჟ. მ.კოკოჩაშვილი), „კაპიტნები" (რეჟ. თ.გომელაური). თანამშრომლობს პერიოდულ პრესასთან. გამართა გამოფენები: თბილისის „მხატვრის სახლში" (1964), მოსკოვში (1967), აღმოსავლეთის ქვეყნების მუზეუმში (მოსკოვი, 1975), ლიუბლიანაში (სლოვენია, 1986), ს.ერისთავთან ერთად ბათუმში (1995). მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში: ა/კ რესპუბლიკების ბიენალე, საქართველოს კულტურის დღეები (გერმანია), ასი ნახატი, სეგ (1996), ქართული ილუსტრაციის და ესტამპის, სეგ (1979), „საბერძნეთი ქართულ ხელოვნებაში" (სეგ, 1998). არის საქართველოს სახალხო მხატვარი (1985), ახალგაზრდული (1967) და სახელმწიფო (1990) პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (2000); საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1957). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** მეგობრებისა და ცნობილ პიროვნებათა ორეულების სურათების კოლექციონირება.
**მისამართი:** *(ბინის) ირ.აბაშიძის 17. თბილისი 380079. ტელ: 23-59-11, 22-39-79.*



**ელიზბარ ერისთავი** ენერგეტიკოსი, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1938 წ. 20 მაისს. მშობლები: ნინო მაყაშვილი, ლევან ერისთავი; მეუღლე – ქეთევან ჩხეიძე (1938); შვილები: ეკა (1964), ლევანი (1965). დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1960). იყო „საქენერგოპროექტის" ინჟინერი, უფროსი ინჟინერი (1960-62), საკავშირო ს/კ და საპროექტო საძიებო ინ-ტ „ენერგოქსელპროექტის" უფროსი ინჟინერი, ჯგუფის ხელმძღვანელი (1963-68), სპი ენერგეტიკის ფაკ-ტის პედაგოგი (1964-68, 1973-79), ქ.კაიროს ელექტრონული კორპორაციის პროექტის მთავარი ინჟინერი (ეგვიპტე, 1969-72), ს/ი „ენერგოქსელპროექტის" პროექტის მთავარი ინჟინერი, განყ-ბის გამგე, დირექტორი (1973-97). სემეკის თავმჯდომარეა 1997 წლიდან. არის 7 სამეცნიერო ნაშრომის (1961-96), წიგნის „ენერგეტიკის რეგულირების საფუძვლები", 150-ზე მეტი პროექტის, მათ შორის 35-110-220-500 კილოვოლტის ძაბვის ქვესადგურების და ელექტროგადამცემი ხაზების პროექტების (2000) ავტორი და თანაავტორი; საქართველოს დამსახურებული ინჟინერი (1981), სსრკ საპატიო ენერგეტიკოსი (1988), ღირსების ორდენის კავალერი (1998); საქართველოს ენერგეტიკის ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის (1995), საქართველოს საინჟინრო აკადემიის (2000) წევრი.
**ჰობი:** სამთო ტურიზმი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ყაზბეგის 45. თბილისი 380077. ტელ: 25-33-92. ფაქსი: 25-33-97. ელ-ფოსტა: gnerc@caucasus.net*

ჩემი აზრით, ი. ჭავჭავაძის ცნობილი გამოთქმა "ენა, მამული, სარწმუნოება" განსაზღვრავს ქართველი მოქალაქის ცხოვრების კრედოს; ამ ცნებების დასაცავად დღევანდელ საქართველოს სჭირდება პროფესიონალიზმი ყველა სფეროში. მხოლოდ უმწიკვლო პროფესიონალური მიდგომა მოგვცემს საშუალებას, საკუთარი კულტურის შენარჩუნებისა და მისი საერთო საკაცობრიო ღირებულებებით გამდიდრების გზით მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის ინტეგრაცია ცივილიზებულ სამყაროსთან, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას.



**ანზორ ერქომაიშვილი** დირიჟორი, ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავის" სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, შ.რუსთაველის და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი. დაიბადა ბათუმში 1940 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: ეთერ ერქომაიშვილი, დავით ერქომაიშვილი; მეუღლე — ლალი სეთურიძე (1953); შვილი — დავითი (1983). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (1969). იყო საქართველოს ტელევიზიის ტელეფილმების რედაქციის რედაქტორი, რუსთავის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი. არის კომპოზიტორთა კავშირის მდივანი (1995). ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა ანსამბლებს „გორდელა" (1961; სტუდენტთა და ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი, ოქროს მედლის მფლობელი, სოფია, 1968); „რუსთავი" (1968; მრავალი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი, მათ შორის BBC-ის მუსიკალური ფესტივალისა, 1992. ანსამბლმა ჩაწერა 600-მდე ქართული ხალხური სიმღერა და გამოუშვა ოცზე მეტი ფირფიტა, მათ შორის ფირფიტების კრებულები: „60 ქართული ხალხური სიმღერა" (1980, 5 ფირფიტა), „100 ქართული ხალხური სიმღერა" (1988, 8 ფირფიტა). 1989 წლიდან გამოიცა ანსამბლის ჩანაწერი 10 კომპაქტ-დისკი); „მართვე" (1976, ბიჭუნათა ანსამბლი, პოლონეთის, ჰოლანდიის, გერმანიის, იაპონიისა და სხვ. მუსიკალური ფესტივალების მონაწილე, ანსამბლმა ჩაწერა რამდენიმე ფირფიტა და ერთი კომპაქტ-დისკი, 1986). ანზორ ერქომაიშვილმა აღადგინა და ფირფიტებად გამოსცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების არქივებში მის მიერ აღმოჩენილი საუკუნის დასაწყისში გრამფირფიტებზე ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები, ჩაიწერა და ნოტებზე გადაიტანა ხალხური სიმღერების იშვიათი ნიმუშები. არის შემდგენელი სანოტო კრებულებისა: „ქართული ხალხური სიმღერების კრებული" I (1972), II (1980), არის ავტორი წიგნებისა: „ბაბუა" (1980); „შავი შაშვი ჩიოდა" (1989), "ხმა უცნაური" (1999); სტატიებისა: "ორი ანსამბლის ისტორია" („ხელოვნება", 1978), „ძველი სიმღერების კვალდაკვალ" („ხელოვნება", 1979), „დომო არიგატო" („ცისკარი", 1989), „უკანასკნელი ინტერვიუ", „ქართული სიმღერის მოამაგე" („ლიტერატურული საქართველო", 1994) და სხვ. მუსიკალურად გააფორმა ათეულობით კინოფილმი და სპექტაკლი, არის ტელეგადაცემათა ციკლის „100 ქართული ხალხური სიმღერა" წამყვანი, ზ.ფალიაშვილის, ი.გოგებაშვილის, ა.შვაიცერის („რუსთავთან" ერთად) პრემიების ლაურეატი.

**ჰობი:** სპორტი.

**მისამართი:** *(ბინის) აბანოს 21. თბილისი 380005. ტელ:98-87-60.*



**რეზო ესაძე** კინორეჟისორი, სტუდია „+1"-ის სამხატვრო ხელმძღვანელი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის უმაღლესი სარეჟისორო კურსების ხელმძღვანელი, ს/ს „ქართული ფილმის" მეთვალყურეთა საბჭოს წევრი. დაიბადა ოზურგეთში 1934 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: დარეჯან შავიშვილი-დიასამიძე, პარმენ ესაძე; მეუღლე—ციცინო ქეთელაური (1946); შვილები: თეიმურაზი (1962), კონსტანტინე (მინდია, 1972), მამუკა (1975). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1956), კინემატოგრაფისტთა საკავშირო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მიხ.რომის სახელოსნო, მოსკოვი, 1964). იყო თსუ ასტროფიზიკის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ იუმორისტული გაზეთის „ჭინჭრაქას" რედაქტორი, თბილისის 23-ე საშ. სკოლის ფიზიკისა და ასტრონომიის მასწავლებელი (1956-63),

„ლენფილმის" (1963-75), „ქართული ფილმის" (1975-79) რეჟისორი, შ/გ „დებიუტის" სამხატვრო ხელმძღვანელი (1979-89). სტუდია „+1"-ის სამხატვრო ხელმძღვანელია 1989 წლიდან. არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „ერთხელ", „ფრო" (1964), „ბებერი მოჭიდავეები" (დოკ.1972), „ერთი ახალგაზრდა ცხოვრების ოთხი ფურცელი", „ერთი ნახვით შეყვარება" (1977-88, როტერდამის საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი, 1989), „ნკიპურტები" (1976), „ნისქვილი ქალაქის გარეუბანში" (1981), „ნეილონის ნაძვის ხე" (1984, როტერდამის საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი, 1987, ადელინოს საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი, 1987), „ჭერი, ანუ დაუმთავრებელი ფილმის მასალა" (2001); ითამაშა როლები ფილმებში: ქართველი ფიზიკოსი „ერთი წლის 9 დღე" (რეჟ. მიხ. რომი), ნამყვანი „ნკიპურტები" (რეჟ. რ.ესაძე, 1972), ვარლამი „ქალაქი ანარა" (რეჟ. ი.კვირიკაძე, 1977), კუზიანი „ბელურების გადაფრენა" (რეჟ. თ.ბაბლუანი, 1978), გიო მეკურტნე „თბილისი-პარიზი-თბილისი" (1980), ფოტოგრაფი „დამსვენებლების დღიური" (რეჟ. ნ.გუბენკო, 1982), ქუჩის მსახიობი „ერთი ნახვით შეყვარება" (რეჟ. რ.ესაძე, 1988) და სხვ. არის რამდენიმე ფილმის სცენარის ავტორი, გამოიცა მისი ლექსების კრებული (2001). როგორც მხატვარმა, გამართა პერსონალური გამოფენები თბილისში (1986, 1987, 1989), მიუნჰენში („ეიზენშტეინიდან ტარკოვსკიმდე", 1987), ლენბახჰაუზის საგამოფენო მუზეუმში, ჟენევაში (1987), მოსკოვში (1996), თელ-ავივში (1999). არის საქართველოს კომკავშირის (1982), სახელმწიფო (1986) პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი (1986), ღირსების ორდენის კავალერი (1994), რუსეთის და საქართველოს კინემატოგრაფისტთა და მხატვართა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის ცნობარში (IBC, კემბრიჯი).

**მისამართი:** *(ბინის) გოძიაშვილის II შეს., კორპ.143, ბ.19, ვაშლიჯვარი, თბილისი. ტელ: 52-85-39.*

**სიმართლე.**



**გია ეძგვერაძე** მხატვარი, დიუსელდორფის სამხატვრო აკადემიის პროფესორი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 10 ივნისს. მშობლები: ელენე უზნაძე, ვახტანგ ეძგვერაძე; მეუღლე — თამარ ხუნდაძე (1970); შვილი — ანა (1976). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1980). არის ავტორი მრავალი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრისა. გამართა გამოფენები თბილისში, მოსკოვში, მიუნჰენში, მადრიდში, ჰელსინკიში, სტოკჰოლმში, ესლინგენში, კილიში, ამსტერდამში, დიუსელდორფში, ჰანოვერში, ბუდაპეშტში. მონაწილეობდა ვენეციის ბიენალეში (1998), სოტბის (1994), ესლინგენის (1997), შტუტჰარტის აუქციონებში. თანამშრომლობს ტომასის, ჰანს მაიერის, ფონ ლინტელის, ფორსმალუმის, ბეკის გალერეებთან. მისი ნამუშევრები დაცულია ტრეტიაკოვის, საქართველოს სახ. სამხატვრო და საფრანგეთის (პარიზი) გალერეებში, მიუნჰენის, ბუდაპეშტის, მოსკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში, კერძო კოლექციებში მადრიდში, ჟენევაში, შტუტგარდში და სხვ. არის ღირსების ორდენის კავალერი (1998); საქართველოს (1986) და სსრკ (1986) მხატვართა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** მუსიკა.

**მისამართი:** *(ბინის) ძმები ზუბალაშვილების 10. თბილისი 380010. ტელ: 99-88-93.*

**საკუთარი თავის უსასრულო დარწმუნება იმაში, რომ ის, რასაც ამჟერად ეხედავ და განიცდი, ანუ რასაც ჩემს რეალობად აღვიქვამ, მხოლოდ დასაწყისია ყოველთვის, რომელსაც განვითარება არასოდეს ექნება. ეს სულიერი მდგომარეობა გაფორმდა ჩემს მსოფლხედვად და ბოლოს შესატყვისი ნიშნები იპოვა მხატვრული ენის ფენომენში. არსებული რეალობის სულიერი ხედვის ერთგვაროვანი და სრულფასოვანი ბირთვის გაფორმება ერთადერთი და რეალური წარმატებაა. წარმატების სხვა ფორმები მას უცილობლად სდევს თან.**



**ნოდარ ექვთიმიშვილი** საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. დაიბადა სოფ. კაკაბეთში (საგარეჯოს რ-ნი) 1948 წ. 23 მაისს. მეუღლე — ნათელა ექვთიმიშვილი (1950); შვილი — გიორგი (1982). დაამთავრა გორის სახ. ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი. იყო გ. კანდელაკის მენეჯერი საქართველოში. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სამბოში, სსრკ ჩემპიონატების მრავალგზის II პრიზიორი; ღირსების ორდენის კავალერი (1997); საქართველოს ლეიბორისტული პარტიის წევრი.
**ჰობი:** სპორტში საქმიანობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) სამბოს ფედერაცია. ჭავჭავაძის 49ა. თბილისი 380062. ტელ: 22-72-43. (ბინის) ჭავჭავაძის 23, გორი. ტელ: 2-40-86, (899) 50-74-89.*

**ქველმოქმედების განევა სპორტსმენებისადმი.**



**გიორგი ვაზაგაშვილი** სპორტსმენი (ძიუდო). დაიბადა გორში 1974 წ. 19 აპრილს. მშობლები: ნანა ვაზაგაშვილი, თეიმურაზ ვაზაგაშვილი. დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკ-ტი (1995). არის მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი (1993 (III ადგილი), 1997 (III ადგილი)), ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი (1994 (III ადგილი), 1995 (II ადგილი), 1996 (I ადგილი), 1999 (III ადგილი)), ოლიმპიური თამაშების პრიზიორი 2000 (III ადგილი); ღირსების ორდენის კავალერი (2000).
**მისამართი:** *(ბინის) სოფ. ფლავი, გორის რ-ნი.*



**ბონდო ვათიაშვილი** გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ახრისში (გორის რ-ნი) 1960 წ. 9 თებერვალს. მშობლები: ციალა ვათიაშვილი, ვლადიმერ ვათიაშვილი; მეუღლე – ნინო მეზვრიშვილი (1961); შვილები: გიორგი (1994), თორნიკე (1995). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო გორის პროკურატურის გამომძიებელი (1988-90), პროკურორის უფროსი თანაშემწე (1990-99). რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან. არის ავტორი ნაშრომისა "საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთობის საკითხები" (2001). არის საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის წევრი (1999 წლიდან).
**ჰობი:** ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ტინისხიდის 30, გორი. ტელ: 2-37-83. (ბინის) მშვიდობის 11 ბ. 24, გორი. ტელ: 2-74-00.*

**მეგობრობა, პატიოსნება, სამართლიანობა, სახელმწიფოში სამართლებრივი რეფორმის გამარჯვება.**



**იოსებ ვანაძე** ხულოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ვანაძეებში (ხულოს რ-ნი) 1937 წ. 5 მაისს. მშობლები: ჰევა ვანაძე, ვასილ ვანაძე; მეუღლე — თამარ ბოლქვაძე (1942); შვილები: ნაზიკო (1966), ეთერი (1970), ნანული (1973), ზეინაბი (1976), ზვიადი (1981). დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1960). იყო სოფ. მეკეიძეების საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე (1960-70), დირექტორი (1974-77, 1984-97). იმავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (1971-73). სოფ. ღორჯომის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1977-84), დემოკრატიული აღორძინების კავშირის ხულოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე (1995-98). ხულოს რ-ნის გამგებელია 1998 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი (1996). იყო სკკპ წევრი (1964-91). დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრია 1992 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) დაბა ხულო. ტელ: 7-62-90. (ბინის) სოფ. ვანაძეები, ხულოს რ-ნი. ტელ: 3-12-48.*

**სამშობლოს სიყვარული და მისი ერთიანობისთვის ზრუნვა, ხალხის ინტერესების დაცვა და ყოველდღიური საქმიანობის კავშირი ხალხის ინტერესების დაცვის ამოცანებთან. სინდისის თავისუფლების და დემოკრატიის პრინციპებისადმი პატივისცემა და ყოველდღიური საქმიანობის შეხამება ამ ამოცანასთან, თავმდაბლობა, პატიოსნება, პრინციპულობა და ობიექტურობა.**



**კონსტანტინე ვარდელი** მუსიკოსი, მევიოლინე, შ.რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. დაიბადა ლენინგრადში 1939 წ. 15 მაისს. მშობლები: ლუსია ვარდანიანი, პეტრე ვარდანიანი; მეუღლე — ნატალია ბადრიძე (1955); შვილები: გიორგი (1966), ირინა (1973), ეკატერინე (1987). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1963). მუშაობდა თბილისის სახ. კონსერვატო-

რიაში (1963-93); იყო საქართველოს სახ. სიმებიანი კვარტეტისა (1966 წლიდან) და საქართველოს სახ. კამერული ორკესტრის მევიოლინე (ქ.ინგოლშტადტი, გერმანია, 1993 წლიდან). არის ზ.ფალიაშვილის სახელობის პრემიისა და ლ. ვაინერის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (საქართველოს სახ. სიმებიან კვარტეტთან ერთად).
ჰობი: სპორტი.
მისამართი: *(ბინის) ანტონოვსკაიას 9. თბილისი. ტელ: 95-21-00.*

**ქრისტიანულად იცხოვრო და შეასრულო ბიბლიის კანონები. თუმცა ყველანი ცოდვილები ვართ და მათ შორის მეც. მთელი ცხოვრების მანძილზე ვცდილობდი პატიოსანი ქრისტიანი ვყოფილიყავი. ჩემი ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რა თქმა უნდა მუსიკის შემდეგ, ხალხთან ურთიერთობა, რისი ნაკლებობაც არასოდეს მიგრძვნია.**



**ლევან ვარდოსანიძე** მოქანდაკე. დაიბადა თბილისში 1957წ. 10 ოქტომბერს. მშობლები: ნათელა გორდეზიანი, ნოდარ ვარდოსანიძე; მეუღლე — ნინო გოგოლაშვილი (1958); შვილი — ნათია (1978). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1982). არის ავტორი ნამუშევრებისა: "დაჭრილი მეომარი" (1985), "გასეირნება" (1997), "ქალი სარკეზე" (1997), "ფიქრი მომავალზე" (1997), "ბლუზის მომღერალი" (1990), "ქალი თეთრებში" (1992), "ქალი მინი კაბაში" (1995), "მოცეკვავე ქალი" (1996), "ცხენი წყალში" (ბერლინი, 1998) და სხვ. გამართა გამოფენები ბერლინში (1998), მოსკოვში (1988), იუგოსლავიაში (1989), Haus am Chakpoint Charle (ბერლინი, 1992-95). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, გერმანიის, იტალიის, აშშ, იუგოსლავიის კერძო კოლექციებში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის (1986), საერთაშორისო საზოგადოება „ახალი მუსიკის ცენტრის" (1996) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
მისამართი: *ჭავჭავაძის 3. თბილისი. ტელ: 34-02-19.*



**თამაზ ვარვარიძე** მხატვარი, გრაფიკული დიზაინის ასოციაციის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1945 წ. 28 ივლისს. მშობლები: მარიამ კირვალიძე, ირაკლი ვარვარიძე; მეუღლე — სოფიო კინწურაშვილი (1948); შვილები: ალექსანდრე (1974), ირაკლი (კოკო,1976). დაამთავრა თსსა გრაფიკის განყ-ბა (1970). იყო ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი (1989-93). არის მხატვართა კავშირის გრაფიკული დიზაინის სექციის თავმჯდომარე (1987 წლიდან). გამოფენებში მონაწილეობს 1968 წლიდან: გრაფიკული დიზაინის V საერთაშორისო გამოფენა (ლისტოუელი, ირლანდია, 1979), გრაფიკის ბრნოს საერთაშორისო ბიენალე (ჩეხოსლოვაკია, 1978, 1980, 1982), ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიენალე Art of Today (1987), ქართული ავანგარდი (ლენინგრადი, 1989), კანაგავას თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე (იაპონია 1990), პერსონალური (მზიური, მოსკოვი, 1992), მცირე ფორმების I საერთაშორისო გამოფენა (ნაპას არტ-ცენტრი, Juniper Gallery, US, 1992), MEGAUNIVERS (TMS, თბილისი, 1995), „ხატი და შემეცნება" (თბილისი 1996), გრაფიკის საერთაშორისო ტრიენალე კრაკოვში (პოლონეთი, 1991, 1997), პერსონალური (Int. Images Gallery, სევიკლი, აშშ, 1997), ჯგუფური (არტცენტრი Georgienne, ჰააგა, 1997), ჯგუფური (Spike Island, ბრისტოლი, 1998), გრაფიკის ტრიენალე „100 ქალაქი" (კრაკოვი, 1998) და სხვა. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ (თბილისი), კანაგავას თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (იაპონია), გრაფიკული დიზაინის ნაციონალურ კოლექციაში (ირლანდია), ნიუ ჯერსის ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში, Int. Images გალერეაში (აშშ), გერდა ფონ ჰოფის (გერმანია), ალექსანდრე ბეკერის, ნორტონ დოჯის (აშშ) კერძო კოლექციებში. მიღებული აქვს გრაფიკული დიზაინის საერთაშორისო ბიენალეს ბრინჯაოს მედალი (ბრნო,1980), მედლები წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1984, 1988). არის მხატვართა კავშირის (1974 ) და იუნესკოს მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის (1994) წევრი. აქტიურად თანამშრომლობს გამომცემლობებთან, მუშაობს პროექტის „ქართული შრიფტი, ისტორია და თანამედროვეობა" განხორციელებაზე.

ჰობი: მუსიკა.
მისამართი: *(ბინის) ფალიაშვილის 39ა, ბ.13. თბილისი 380079. ტელ: 22-22-93. ელ-ფოსტა:* varvaridze@ip.osgf.ge



**ავთანდილ ვარსიმაშვილი** რეჟისორი, გრიბოედოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, „თავისუფალი თეატრის" დამფუძნებელი. დაიბადა თბილისში 1959წ. 10 ნოემბერს. მშობლები: რიმა მოსეშვილი, ედუარდ ვარსიმაშვილი; მეუღლე — ელისო ორჯონიკიძე (1967); შვილები: გიორგი (1986), მარიამი (1988). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1981). იყო რუსთაველის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1980-92), „კავკასიის ტელე-რადიო კომპანიის" გენერალური დირექტორი (1992-96). „თბილისის თეატრალური ცენტრის" სამხატვრო ხელმძღვანელია 1996 წლიდან, „თეატრალური სარდაფის" დირექტორი — 1997 წლიდან. არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „მშვენიერი ქართველი ქალი", „კვაჭი კვაჭანტირაძე", „ტიტუს ანდრონიკუსი", „სიკვდილის როკვა", „ჰამლეტი"; ფილმებისა: „თეინიერი", „სახლი ძველ უბანში". მიღებული აქვს ჟიურის სპეციალური პრიზი „რიმინი ჩინემას" საერთაშორისო კინოფესტივალზე (იტალია, 1991), „ოქროს ლომი" — პრიზი ორიგინალური რეჟისურისთვის ლვოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე (1992), „ოქროს ნიღაბი" — პრიზი „საუკეთესო რეჟისურისათვის" რუსთაველის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე (1998). არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის წევრი (1997 წლიდან), თეატრის საერთაშორისო ინ-ტის საქართველოს ბიუროს პრეზიდენტი (1997).
ჰობი: ინტერნეტი, საჭმელების მომზადება.
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 42. თბილისი 380008. (ბინის) ი.აბაშიძის 64. ბ. 26. თბილისი 380079. ტელ: 22-20-16. ელ-ფოსტა:* varsima@geointer.net

**მუშაობა! მუშაობა და კიდევ ერთხელ მუშაობა!**



**ვალერიან ვაშაკიძე** საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი. დაიბადა ქუთაისში 1957 წ. 1 მარტს. მშობლები: ჩიტო ვაშაკიძე, ვაჟა ვაშაკიძე; მეუღლე — ხათუნა ჯაიანი (1967); შვილები: ლაშა (1978), ვაჟა (1978). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1979). იყო მაუდ-კამეოლის კომბინატის მუშა-მეკუჭნავე (1973-74). არის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1979 წლიდან). იყო ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე (1992-95). ლტოლვილთა და განსახლების მინისტრია 1995 წლიდან. არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, 40 სამეცნიერო ნაშრომისა და ორი მონოგრაფიის ავტორი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით. არის ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი (1987).
ჰობი: სიყვარული.
მისამართი: *(სამსახურის) ც.დადიანის 30. თბილისი. ტელ: 94-16-11, 94-16-21.*

**ნაღდი კაცობა, წესიერება და პროფესიონალიზმი.**



**ივანე ვაშაყმაძე** „მდგრადი ტურიზმის განვითარების ცენტრის" დირექტორი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ტურიზმის პროექტის ლიდერი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 8 მაისს. მშობლები: ლილი ვაშაყმაძე, გურამ ვაშაყმაძე; მეუღლე — ია ჯაყელი (1964); შვილები: გურამი (1993), ეკატერინე (1995). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1987). იყო მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1987-97), საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო და საინფორმაციო ცენტრის (ITIC) საბჭოს თავმჯდომარე (1994-96). არის ევროპის მთიანეთის ფორუმის დირექტორთა საბჭოს წევრი (1997 წლიდან), „სასტუმრო გუდაურის" სპორტის დეპარტამენტის მენეჯერი (1992 წლიდან), „მდგრადი ტურიზმის განვითარების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი (1994 წლიდან), TACIS-ის პროექტის „საქართველოში ტურიზმის განვითარების სტრატეგია" ადგილობრივი კოორდინატორი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და ტურიზმის

საკითხებზე. არის შავი ზღვის ტურიზმის პროექტის ეროვნული კონტრაქტორი, საქართველოს პარლამენტის ექსპერტ-კონსულტანტი, მსოფლიო მთიანეთის ფორუმის განვითარების საბჭოს წევრი, ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველოს" ინტერნეტისა და „აღმოსავლეთ-აღმოსავლეთის" კომისიის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ევროპის მთიანეთის ფორუმის ცნობარში.
**ჰობი:** კომპიუტერული კომუნიკაციური ქსელები, სამთო თხილამურები, ალპინიზმი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ირ.აბაშიძის 40. თბილისი 380079. ტელ: 25-09-37. ელ-ფოსტა: stc@gol.ge (ბინის) გრიბოედოვის 14. თბილისი 380008. ტელ: 99-63-04.*

**1. შრომისმოყვარეობა და რწმენა, რომ მონდომების შემთხვევაში ნებისმიერი პრობლემა გადაწყვეტილია. 2. ადამიანისა და გარემოს — ბუნების თანაარსებობის უპირატესობა. 3. რწმენა, რომ ქვეყნის კეთილდღეობა მოქალაქეთა შრომისმოყვარეობითა და პასუხისმგებლობით იქმნება. 4. ადამიანის მრწამსის, ერუდიციის, განათლებისა და პროფესიონალიზმის პატივისცემა. 5. კორექტულობა საქმიანობასა და ადამიანთა ურთიერთობაში. 6. სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამსის ადამიანთა თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა. 7. კანონის პატივისცემა და ლოიალობა სახელმწიფოს ნინაშე. 8. გლობალურად აზროვნება ამოცანის დასმისას და პრაქტიკულობა პრობლემის გადაწყვეტაში.**



**მარინა ვაშაყმაძე** ჟურნალისტი, ჟურნალ „სტუდიას" მთავარი რედაქტორი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის (ICFJ, პრომედია II) თანადირექტორი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: თინათინ სუპატაშვილი, შოთა ვაშაყმაძე; მეუღლე — ზურაბ შურღაია (1950); შვილები: მამუკა (1985), თიკა (1988). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1981). იყო გაზეთ „თბილისის" კორესპონდენტი (1980-85), „ახალგაზრდა კომუნისტის" განყოფილების გამგე (1985-89), ჟურნალ „კალთის" რედაქტორი (1990-95), „ახალი ქართული გაზეთის" უფროსი რედაქტორი (1988), ლიტერატურის ინ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1996-99). არის თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტის თანამშრომელი (1997 წლიდან), ჟურნალ „სტუდიას" მთავარი რედაქტორი (1997 წლიდან). სხვადასხვა დროს გამოსაცემად ამზადებს ჟურნალებს „გარემო და განვითარება", „მუდმივი კავშირის სამყარო" ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, კითხულობს ლექციების კურსს ჟურნალისტიკის სპეციალობით. თანამშრომლობდა უცხოეთის საგანმანათლებლო ცენტრებთან: საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი, ლუიზიანას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე ქართული ნარკვევი" (1986). გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია, არის ათამდე დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი; ქართველ ჟურნალისტთა საზოგადოების თანათავმჯდომარე (1994 წლიდან), ჟურნალისტური ოსტატობის სახელოსნოს დამფუძნებელი (1997), ქართული „ვიზუალური ბანკის" შექმნის ინიციატორი და თანაავტორი.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი 380096. ტელ: 98-48-00.*



**მაია ვაჩაძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის მრჩეველი. დაიბადა ამბროლაურში 1962 წ. 29 აპრილს. მშობლები: გუგულა ბედენაშვილი, ბენიამინ ვაჩაძე; მეუღლე — პაატა დათეშიძე (1962); შვილები: შოთა (1994), ნიკა (1996). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1984). იყო იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორგანოების სამმართველოს კონსულტანტი, საქართველოს კანონთა ნიგნის რედაქტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაციის განყოფილების უფროსი, საერთაშორისო სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი (1984-95), თბილისის გლდანის რ-ნის ადმინისტრაციული მოსამართლე (1995 წლიდან).
**ჰობი:** ოჯახი და შვილები.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. (ბინის) ქეთევან ნამებულის 67. ბ. 29. ტელ: 77-31-90.*

პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, პუნქტუალობა, ღიმილი და ზომიერება, მოთმინება, პატიოსნება, სამართლიანობა, საკუთარი აზრის გამოთქმა მხოლოდ მაშინ, როცა საკითხზე ღრმა ცოდნა გაგაჩნია, მოსმენის უნარი, დათმობა, ობიექტურობა.



**ნიკოლოზ ვახანია** მათემატიკოსი, გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქუთაისში 1930 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: თამარ კვიმსაძე-ვახანია, ნიკოლოზ ვახანია; მეუღლე — ციალა მაისურაძე-ვახანია (1930); შვილები: ზურაბი (1955), ნოდარი (1961). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1954), მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტის ასპირანტურა (1957). მუშაობს გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტში 1957 წლიდან. იყო თსუ დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე, ფაკ-ტის დეკანი (1964 წლიდან). თსუ შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის გამგეა 1970 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სასაზღვრო ამოცანები სიმის რხევის განტოლებისათვის სწორკუთხოვან არეებში" (1958); სადოქტორო — „წრფივ სივრცეებში ალბათურ განაწილებათა თეორიის საკითხები" (1969). არის საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, 2 მონოგრაფიის ავტორი (გამოიცა ინგლისურად აშშ-სა და ჰოლანდიაში), კითხულობს ლექციებს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში (1970 წლიდან). არის ენციკლოპედია „საქართველოს" მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი და მათემატიკის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელი, ა.რაზმაძის სახელობის პრემიის ლაურეატი (1992), ივ.ჯავახიშვილის ორი მედლის მფლობელი (1976, 2000) ღირსების ორდენის კავალერი (2000).

**ჰობი:** ჭადრაკი.

**მისამართი:** *(სამსახურის) გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტი. აკურის 8, თბილისი. ტელ: 33-24-38. ელ-ფოსტა: vakhania@acnet.ge (ბინის) ყაზბეგის 8ა, ბ. 6. თბილისი. ტელ: 38-36-23.*

დიდი წარმატების მისაღწევად აუცილებელი პირობაა საქმის დიდი სიყვარული, სიამოვნების მიღების უნარი არა მხოლოდ მიღწეული წარმატებითა და მისი შედეგებით, არამედ აგრეთვე თვით მუშაობის პროცესით. მუშაობა კი უწყვეტი პროცესი უნდა იყოს. ღმერთი ნიჭსა და უნარს თანაბრად არ უნაწილებს ადამიანებს, მაგრამ იმდენს არავის აძლევს, რომ დიდი შრომის გარეშე დიდი წარმატების მოპოვება შეიძლებოდეს.



**გურამ ვახტანგაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ერედვში (ცხინვალის რ-ნი) 1954 წ. 24 თებერვალს. მშობლები: მანია ლაფაჩი, მიხეილ ვახტანგაშვილი; მეუღლე — მანანა ვახტანგაშვილი (1961); შვილები: პავლე (1984), მიშა (1985), გიორგი (1992). დამთავრა სპი საინჟინრო ფაკ-ტი (1976). იყო ცხინვალის საგზაო-სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი, გენერალური დირექტორი (1978-99).

**ჰობი:** ავტოსპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 99-63-05. (ბინის) გოგებაშვილის III შეს. 25, თბილისი. ტელ: 23-16-40.*

ცხინვალის რეგიონის საქართველოს იურისდიქციაში შემოსვლა და ერთიანი ძლიერი საქართველო.



**მუხრან ვახტანგაძე** სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). დაიბადა ბათუმში 1973 წ. 22 იანვარს. მშობლები: ნათელა დავითაძე, ალექსანდრე ვახტანგაძე; მეუღლე — მაკა ჭყონია; შვილები: გიორგი (1997), მარიამი (1998). დაამთავრა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, სწავლობს ბათუმის აგრარული ინ-ტის იურიდიულ ფაკ-ზე. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სსრკ და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, სსრკ ვერცხლის პრიზიორი ახალ-

გაზრდათა შორის (1991), მსოფლიო უნივერსიადის III პრიზიორი (1998), სიდნეის ოლიმპიადის III პრიზიორი (2000); ღირსების ორდენის კავალერი (2000).
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *ქავჭავაძის 49, თბილისი 380062. (ბინის) ჯავახიშვილის 63, ბათუმი.*
**ჩემი ცხოვრების მიზანია ქველმოქმედება.**

**ვახტანგი (ახვლედიანი)** სამთავისისა და გორის მთავარეპისკოპოსი. დაიბადა სოფ. ლანორიაში (ცაგერის რ-ნი) 1953 წ. აკურთხეს მღვდლად (1977), ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1984), აგარაკ-წალკის ეპარქიის ეპისკოპოსად (1984). იყო ჭყონდიდის ეპარქიის (1988), ურბნისის ეპარქიის ეპისკოპოსი (1994-95). მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (1995).
**მისამართი:** *(ბინის) ტელ: 30-01-51, 2-18-24.*



**ივანე ვახტანგიშვილი** საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა სოფ. ანყურში (ახალციხის რ-ნი) 1957 წ. 25 მარტს. მშობლები: ბაბულია ზედგინიძე, ვახტანგ ვახტანგიშვილი; მეუღლე — მანანა მელიქიძე (1962); შვილები: მარიკა (1987), ვახტანგი (1988), გიორგი (1992). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1979), მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურა (1984). იყო სპი მასწავლებელი (1979-82), საქართველოს ალკკ ცკ ინსტრუქტორი (1985), საქართველოს კპ ცკ ინსტრუქტორი (1986-90), შემნახველი ბანკის, „ახალი ქართული ბანკის", გაერთიანებული ქართული ბანკის მმართველი, სამმართველოს უფროსი, გენერალური დირექტორის მოადგილე (1991-98). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სამუშაო ძალის კვლავწარმოების ეკონომიკური კანონები" (1983). არის 15 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.
**ჰობი:** ტურიზმი, ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ლეონიძის 3/5. თბილისი 380008. ტელ: 92-38-07, 92-32-64. ფაქსი: 99-98-85.*
**შრომისმოყვარეობა, დაკისრებული საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და ორგანიზატორული პრინციპებისადმი ყურადღება.**



**ოთარ ვეფხვაძე** მხატვარი. დაიბადა ბორჯომში 1953 წ. 18 აპრილს. მშობლები: ნათელა ბუჩუკური, რუბენ ვეფხვაძე; მეუღლე — ია გიგოშვილი (1957); შვილები: გიორგი (1979), ერეკლე (1983). დაამთავრა თსსა კერამიკის განყ-ბა (1975). იყო თსსა პედაგოგი (1990-92), ფენიქსის სამხატვრო უნივერსიტეტის (არიზონის შტატი, აშშ) პედაგოგი (1991). არის ავტორი ნამუშევრებისა: „გაზაფხული" (1978), „პელლადოს" (პანო მიუსერას სამთავრობო აგარაკისათვის, 1986), „გელათი" (პიკასოს ვერცხლის მედალი ვალორისის კონკურსზე 1981), „უკვდავება" (1984), დეკორატიული ლარნაკი (პრიზი ინტერიერისთვის განკუთვნილი საუკეთესო კერამიკისთვის, ერფურტი 1982), „ნაყოფიერება" (1997), შეასრულა კერამიკული ნაწარმოებები სასტუმრო „გუდაურისთვის" გუდაური (1986), მონაწილეობდა მოსკოვის მეტროპოლიტენის სადგურ „პეტროვსკო-რაზუმოვსკის" გაფორმებაში (1989) და სხვ. იყო დამდგმელი მხატვარი ფილმებისა „მაცგი" (რეჟ. მ.თავაძე, 1986), „ხვეული კიბით" (რეჟ. მ.თავაძე, 2000). მონაწილეობდა საქართველოში და საზღვაგარეთ გამართულ გამოფენებში. გამართა გამოფენები: თბილისი (1984, 1990), ექსპრეს ავანგარდ გალერეა, ნიუ-იორკი (1990), ევროპის აკადემია ოტცენჰაუზენი (გერმანია, 1993), Dagstul Palace (საარლანდი, გერმანია, 1993), თეატრი „გრილო" (ესენი, გერმანია, 1994), „ბალდენ პალასი" (ესენი, გერმანია, 1995). მისი ნამუშევრები დაცულია: სეგ, ხელოვნების სახ. მუზეუმში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი), ბუდაპეშტის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, „ექსპრეს-ავანგარდ გალერეაში" (მოსკოვი) და სხვ. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1976).
**მისამართი:** *(ბინის) თელეთის ქ.4, თბილისი 380095. ტელ: 75-11-82.*
**პატიოსნება და სიწმინდე.**



**ელისო ვირსალაძე** პიანისტი, პროფესორი, შ.რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 14 მარტს. მშობლები: დარეჯან კავკასიძე, კონსტანტინე ვირსალაძე; მეუღლე — იური ბეროზაშვილი (1937); შვილი — დარეჯანი (1978). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის ფორტეპიანოს ფაკ-ტი, ანასტასია ვირსალაძის კლასი (1965); მოსკოვის სახ. კონსერვატორიის პირანტურა, ლევ ობორინის კლასი (1968). მუშაობს მოსკოვის სახ. კონსერვატორიაში, იყო იაკობ ზაკის ასისტენტი (1967), პროფესორ ლევ ვლასენკოს კათედრის დოცენტი, არის ამავე კათედრის პროფესორი (1994 წლიდან), მიუნჰენის კონსერვატორიის პროფესორი (1995 წლიდან). არის ახალგაზრდობის საერთაშორისო ფესტივალის (ვენა, 1959), პ.ჩაიკოვსკის საერთაშორისო (მოსკოვი, 1962) და შუმანის (გერმანია, 1966) კონკურსების ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი, რუსეთის სახ. პრემიის ლაურეატი (2000). გამოდიოდა გასტროლებით ცნობილ დირიჟორებთან და მუსიკალურ კოლექტივებთან იტალიაში, ავსტრიაში, პოლონეთში, ნორვეგიაში, ესპანეთში, ინგლისში, ირლანდიაში, იაპონიასა და აშშ-ში.

**ჰობი:** უცხო ენების შესწავლა (პოლონური, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იტალიური), მხატვრული ლიტერატურა.

**მისამართი:** *(ბინის) სტრომინკას 13, ბ.58. მოსკოვი. ტელ: 268-69-12.*

# ზ

**თენგიზ ზაალიშვილი** ბიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ პროფესორი. დაიბადა თბილისში 1949 წ. 18 ივნისს. მშობლები: შუშანა გველესიანი, მალხაზ ზაალიშვილი; მეუღლე — დინა მარგიანი (1948); შვილები: გიორგი (1977), ნუცა (1982). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1971), ბიოქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (1974). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის უმცროსი (1974-85), უფროსი (1985-86) მეცნიერ-თანამშრომელი, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინ-ტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1996-2000). თსსუ პროფესორია 1996 წლიდან, მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინ-ტის დირექტორი — 2000 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „АДР-რიბოზილირება ვირთაგვის ტვინის ბირთვებში" (1983); სადოქტორო — „ვირთაგვის თავის ტვინის უჯრედების АДР-რიბოზილ ტრანსფერაზა: თვისებები და ბიოლოგიური როლი" (1992). არის საქართველოს ბიოქიმიური საზოგადოების (1984), ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO, 1991) წევრი.
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) გოთუას 14. თბილისი 380060. ტელ: 37-42-11. ფაქსი: 93-91-57. ელ-ფოსტა: admin@biophyz.org.ge (ბინის) გამსახურდიას 39. თბილისი 380060. ტელ: 37-05-87.*

**მალხაზ ზაალიშვილი** ქიმიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი. დაიბადა მცხეთაში 1920 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: რუსუდან გედევანიშვილი, მიხეილ ზაალიშვილი; მეუღლე — ნინო ერისთავი (1935); შვილები: თენგიზი (1948), თამარი (1956). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1941). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1947-51), გორის პედაგოგიური ინ-ტის დოცენტი (1951-57), ფიზიოლოგიის ინ-ტის ბიოფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1962-86), მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოლოგიური ფიზიკის ინ-ტის დირექტორი (1986-2000). მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანია 1988 წლიდან, ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი — 2000 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „კუნთის შეკუმშვის ფიზიკო-ქიმიური საფუძვლები" (1972). არის 160 სამეცნიერო შრომის, 11 გამოგონებისა და 1 წიგნის ავტორი.
**ჰობი:** მებაღეობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მ.ალექსიძის 1, კორპ.4, თბილისი 380093. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვ., IV კორპ., ბ.42. თბილისი. ტელ: 30-07-05.*



**ნინო ზაალიშვილი** მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს მხატვართა კავშირის თანათავმჯდომარე, ხელოვნების განვითარების ცენტრის "ART-არსის" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1945წ. 1 დეკემბერს. მშობლები: თინათინ დვალი, სოსო ზაალიშვილი; მეუღლე — კარლო ფაჩულია (1942); შვილი — ირაკლი (1976). დაამთავრა თსსა გრაფიკის განყ-ება (1970), სწავლობდა ლენინგრადის სამხატვრო ინ-ტში ხელოვნებათმცოდნეობის განხრით (1982). არის თსსა ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის პედაგოგი (1972 წლიდან), დოცენტი (1998 წლიდან); ავტორი ილუსტრაციებისა უ.შექსპირის, ი.ცურტაველის, ს.ს.ორბელი-

ანის, ჩ.დიკენსის, ვ.ჰიუგოს, ჯ.ბარის, ა.ლინდგრენის, ჰ.ჰესეს და სხვათა ნაწარმოებებისათვის, ქართული და უცხოური ფოლკლორის ნიმუშებისათვის, კრებულისათვის „ქართული რადიოპიესები" (გამომცემლობა „ლომისის" პრემია), საკუთარი წიგნისათვის „ანამარიას ფერადი ამბები"; დაზგური სერიებისა „ბიბლიური და ანტიკური მოტივები", „ვარიაციები რენესანსის თემებზე", „მოგონებები სიკვდილის წინ", „როკოკო. გილიოტინას მოლოდინში", „რაღაც საიდუმლოებით დაფარული" (ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის პრემია, 1995), „ინფანტა მარგარიტას გასეირნება"; ნაშრომებისა ქართული დაზგური გრაფიკის და ილუსტრაციის, შექსპირის ილუსტრირების, წიგნის ხელოვნების ისტორიის საკითხებზე; არის კატალოგების, სტატიების, სატელევიზიო გადაცემების ავტორი; ბიობიბლიოგრაფიული ცნობარის „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" შემდგენელი; გამოფენებისა და აქციების პროექტები: „გერმანული ლიტერატურა და მუსიკა ქართველ მხატვართა შემოქმედებაში", „კედელი რომელიც გვაერთიანებს", „იმპულსები. დიურერი, გოეთე, ფიროსმანი", ქართულ-გერმანული ლითოგრაფიის ვორკშოპი (გოეთეს ინსტიტუტთან ერთად), „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ათენის ქართულ-ბერძნულ ინ-ტთან ერთად). მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში 1970 წლიდან; პერსონალური („ძველი გალერეა", თბილისი, 2000); იუნესკო, პარიზი, „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში", სეგ (1998). მონაწილეობდა საბავშვო ილუსტრაციის I საერთაშორისო ბიენალეში (თეირანი, 1993), ქუთაისის ფერმწერთა საერთაშორისო პლენერებში (1990, 1995), ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებში (1977, 1983, 1989). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, ქუთაისის გალერეაში, საქართველოს და საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში. არის კულტურული ოლიმპიადის ეროვნული კომიტეტის წევრი (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „სსრკ ხალხთა მხატვრები" (ტ.IV. მოსკოვი, 1982), „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** ძველი ღია ბარათებისა და ჟურნალების შეგროვება.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. ტელ: 93-69-59, 39-29-02. (ბინის) ჩიქოვანის 24ა. ბ.33. თბილისი 380071. ტელ: 33-17-91.*

**„იჩქარე ნელა."**



**კონსტანტინე ზალდასტანიშვილი** საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროკავშირში, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 23 დეკემბერს. მშობლები: მარგალიტა ჯანჯღავა, ნოდარ ზალდასტანიშვილი; მეუღლე — თამარ ლეონიძე (1961); შვილები: მარიამი და ნინო (1982). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1982), დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის ასპირანტურა (1987). იყო სპი ს/კ ბიუროს ინჟინერი (1982-84), კათედრის ასისტენტი (1987-89), ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტის მეცნიერ-სტაჟიორი (1989-90), სტუ დოცენტი, მექანიკა-მანქანათმშენებლობის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1990-92); საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახ. კომიტეტის სამმართველოს უფროსი (1992-93), თბილისის მერიის საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი (1993-1994), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი გფრ-ში (1994-95), ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მინისტრი (1995-98). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახარატო დამუშავების დინამიური მოდელირება" (დრეზდენი, 1987). არის 12 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

**ჰობი:** მოგზაურობა, სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახური) Avenue Orban 58. 1150 Brussels, Belgium. ტელ: 761-11-90. ფაქსი 761-11-99.*

**პროფესიონალიზმი, პატიოსნება, კაცთმოყვარეობა.**



**ლალი ზამბახიძე** მხატვარი. დაიბადა ჩოხატაურში 1941 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: გუგული მეგრელიშვილი, ალექსანდრე ზამბახიძე. დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1965). იყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მხატვრული რედაქტორი (1966-67), ჟურნალ „ნიანგის" მხატვარ-ილუსტრატორი (1967-90). მუშაობს თსსა-ში 1967 წლიდან. იყო ასისტენტი, პედაგოგი, დოცენტი. არის თსსა გრაფიკის კათედრის პროფესორი (1999 წლიდან), მხატვართა კავშირის მდივანი, გრაფიკის სექციის თავმჯდომარე. მუშაობს წიგნის მხატვრულ გაფორმებასა და დაზგურ გრაფიკაში, ფერწერაში. მონაწილეობდა გამოფენებში: თბილისი (1974, 1996); მოსკოვი (1978); I პერსონალური, ქუთაისი (1980); გრაფიკის ბიენალე, მოსკოვი (1986); ქართველი მხატვრების რეტროსპექტული, მოსკოვი (1987), ა/კ მხატვრების ბიენალე, თბილისი (1988); საერთაშორისო სამხატვრო ფესტივალი, თბილისი (1996, 1997); საერთაშორისო ბიენალე, იუგოსლავია. (1996), გალერეა „ჰობი" (2000, 2001), „ჩემი თაობა", სეგ (2001). მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის თანამედროვე ქართული ხელოვნების მუზეუმში, ქუთაისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში, მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში, ბათუმის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. მონაწილეობდა ბერლინის საერთაშორისო პლენერში (ბერლინი, 1990); მოსკოვის სენეჟის შემოქმედებითი სახლის საკავშირო პლენერში (1973-75). მიღებული აქვს პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრსათვის (1978, 1979), არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1981), მხატვართა კავშირის წევრი (1971). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „სსრკ ხალხთა მხატვრები" (მოსკოვი 1983) „წიგნის მხატვრები" (მოსკოვი, 1983), „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
მისამართი: *(ბინის )ნუცუბიძის II მ/რ, I კვ. ბ.39. თბილისი 380083. ტელ: 32-47-00, 39-29-02.*

**შალვა ზანგურაშვილი** თეთრიწყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ღვევში (თეთრიწყაროს რ-ნი) 1951 წ. 1 აპრილს. მეუღლე – დალი ბაიდარაშვილი; შვილები: ქეთევანი (1986), თამარი (1989), გიორგი (1989). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1980). იყო მანგლისის მეურნეობის, მუშათა კოოპერატივის მუშა (1968 წლიდან), მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის განთავისუფლებული მდივანი (1972 წლიდან), რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს აგრონომი (1980 წლიდან), კპ თეთრიწყაროს რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი, ორბეთისა და მანგლისის (1981 წლიდან) სოფლის მეურნეობის პარტკომის მდივანი, საქართველოს კპ თეთრიწყაროს რაიკომის სოფლის მეურნეობის განყ-ბის გამგე (1982 წლიდან), სახალხო დეპუტატთა თეთრიწყაროს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1985 წლიდან), სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე (1986-91), ორბეთის სოფლის საკრებულოს გამგებელი (1991-92), თეთრიწყაროს ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1992-99). სხვადასხვა დროს იყო რაიკომის სარევიზიო კომისიის, რაიკომისა და რაიონული საბჭოს წევრი, ორბეთის საკრებულოს დეპუტატი (1991).

**გიორგი ზარიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დოქტორი, პროფესორი, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველი. დაიბადა თბილისში 1908 წ. 29 მაისს. მშობლები: მარიამ დალაქიშვილი, მიხეილ ზარიძე; მეუღლე: ნინო თათრიშვილი (1908); შვილები: თამარი (1944), დავითი (1945). დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინ-ტის სასარგებლო წიაღისეულთა გეოლოგიური საძიებო ფაკ-ტი (1933), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა (1936). იყო თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1937-38), თსუ-სთან არსებული გეოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1938-48), თსუ მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის დოცენტი (1938-45), თსუ პროფესორი (1945-48), სპი



რექტორი (1953-56), სპი მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე (1948-95). სპი მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია 1995 წლიდან, გეოლოგიის ინ-ტის დირექციის მრჩეველი — 1995 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კავკასიაში მაგმური პროცესების განვითარების კანონზომიერებანი და მათთან დაკავშირებული გამადნებანი" (1945). გამოქვეყნებული აქვს 25 წიგნი, 250-ზე მეტი სტატია, 7 სახელმძღვანელო, 18 მონოგრაფია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის და ღირსების ორდენებით. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის დონის საზოგადოების ნამდვილი წევრი (გერმანია, საფრანგეთი, იუგოსლავია), რუსეთის ბუნებისმეტყველთა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი.

**მისამართი:** *(სამსახურის) გეოლოგიის ინსტიტუტი. ალექსიძის 1. IX კორპ. თბილისი 380093. ტელ: 33-06-47, 29-46-63. (ბინის) ჭავჭავაძის 75-ბ. ბ. 25. თბილისი 380062.*

**ახალგაზრდობაში მივსდევდი სპორტს, ვიყავი გიმნასტი. სწავლასთან ერთდროულად, ვწერდი ლექსებს და მოთხრობებს, რომელთა ნაწილი ქვეყნდებოდა. უმაღლესის დამთავრების შემდეგ გატაცებით ემოღვაწეობ მეცნიერების მიმართულებით ფუნდამენტურ გეოლოგიაში (პეტროლოგიაში). ცხოვრების ხანგრძლივ მანძილზე შეცდომები საკმაოდ მქონდა, მაგრამ საზოგადოების საწინააღმდეგო მოქმედება არ ჩამიდენია. ვფიქრობ, პატიოსნად ვემსახურე ჩემს ქართველ ხალხს.**

**ივლან ზარნაძე** თერჯოლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ზედა ალისუბანში (თერჯოლის რ-ნი) 1946 წ. 16 ნოემბერს. მშობლები: ტატიანა ჭანტურიძე-ზარნაძე, მიხეილ ზარნაძე; მეუღლე – მარინა ქელბაქიანი-ზარნაძე. ჰყავს ოთხი შვილი. დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1970). იყო თბილისის თბოელექტროცენტრალის მორიგე ინჟინერი (1970-71), თბილისის "წყალსადენკანალიზაციის" სამმართველოს კაპიტალური მშენებლობის ინჟინერი (1973-74), თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ალკკ კომიტეტის მდივანი (1974-75), საქართველოს ალკკ თერჯოლის რაიკომის I მდივანი (1975-78), თერჯოლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატი და აღმასკომის წევრი (1975-90), რ-ნის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე (1978-84), თერჯოლის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1984-85), სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1985-90), რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1990-91), რაისაბჭოს აღმასკომის საქალაქო და სასოფლო საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყ-ბის გამგე (1991), თერჯოლის რ-ნის პრეფექტურის საყოფაცხოვრებო, საბინაო და კომუნალური მეურნეობის განყ-ბის გამგე (1991-92), თერჯოლის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1992), პირველი მოადგილე (1992-99).



**გენადი (გენო) ზაქარაია** მოქანდაკე. დაიბადა სოფ. ნაჯახაოში (მარტვილის რ-ნი) 1950წ. 30 ნოემბერს. მშობლები: ნუნუ ბახია, შოთა ზაქარაია; მეუღლე — ნონა შარიქაძე (1962); შვილები: მარიტა (1979), შოთა (1986), გიორგი (1996). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1980). მუშაობდა პედაგოგად თბილისის მხატვრის სახლში (1988). არის ავტორი ნამუშევრებისა: სულხან-საბა ორბელიანის მემორიალური მონუმენტი (საქართველოს სამხედრო გზა, 1982), ქალის ტორსი (წლის საუკეთესო ნამუშევარი, 1983), მაიაკოვსკის პორტრეტი (1983), "კორიდა" (ბიარიცი, საფრანგეთი 1991), "ურბანიზმი" (უზესი, საფრანგეთი 1992), "ნოე ჟორდანიას გორელიეფი" (საქართველოს პარლამენტი, 1998), "ცხენი" (წლის საუკეთესო ნამუშევარი, 1999) და სხვ. გამართა გამოფენები ბიარიცში (საფრანგეთი, ჯ.ბუაძევალავასთან ერთად, 1998), ანდორაში (1998). მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში: საქართველოს სახვითი ხელოვნება (მოსკოვი,1987), ქართული დაზგური ქანდაკება (თბილისი, 1991), საერთაშორისო სამხატვრო სალონი (მოსკოვი,1998), საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში (სეგ, თბილისი,1998); საერთაშორისო სიმპოზიუმებში ბიარიცი (1991), უზესი (საფრანგეთი, 1992). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, ქ. გროდნოს რელიგიის მუზეუმში, ბიარი-

ცის, ანდორას გალერეებში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1983), ქანდაკების სექციის თავმჯდომარის მოადგილე (1996), მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** მუსიკა, სპორტი.
**მისამართი:** *(ბინის) ჭავჭავაძის 48, თბილისი 380079. ტელ: 29-42-16.*
**პასუხისმგებლობა; ვემსახურო საქმეს, რომლის ნიჭიც მომანიჭა ღმერთმა.**



**პარმენ ზაქარაია** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, თსუ ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის საპატიო გამგე, პროფესორი. დაიბადა სოფ. ნაჯახოვოში (მარტვილის რ-ნი) 1914 წ. 24 აგვისტოს. მშობლები: ქეთევან თოფურია-ზაქარაია, ფარნაოზ ზაქარაია; მეუღლე — ეთერ ციციშვილი (1919); შვილები: ფარნაოზი (1949), დავითი (1954). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი არქიტექტურის სპეციალობით (1940). იყო კვების მრეწველობის სამინისტროს სამუშაოთა მნარმოებელი (1940-41), მუზეუმ „მეტეხის" მეცნიერ-თანამშრომელი (1941-48), სახელმნიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1948-75), თსუ ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე (1975-98), კათედრის საპატიო გამგე (1998 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შიდა ქართლის ციხესიმაგრეები" (1959). არის 380-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (45 ნიგნად) ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, მათ შორის: „ნაქალაქარი ურბნისის ხუროთმოძღვრება" (1965), "Древние крепости Грузии" (1969), „საქართველოს ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა" (სამტომეული 1975, 1978, 1981), "Зодчество Тао-Кларджети" (1992) და სხვ. არქეოლოგიური გათხრებით შესნავლილი აქვს ძეგლები: ნაქალაქარი ურბნისი, კახეთის სამეფოს გვიანი საუკუნეების დედაქალაქი გრემი, გიორგი სააკაძის რეზიდენცია ნოსტეში, ჭაქვინჯის ციხე, ზილანეოს-გუდავას ნაქალაქარი, კოლხეთის სამეფოს ცენტრი და ეგრისის სამეფოს დედაქალაქი ციხეგოჯი არქეოპოლისი ნოქალაქევი. ამ გათხრებისადმი მიძღვნილი აქვს მონოგრაფიები. კითხულობდა ხელოვნების ისტორიის ლექციათა კურსს თსუ, თსსა და არქიტექტურის ინ-ტში. არის მეცნიერების დამსახურებული მოღვანე (1973). მიღებული აქვს თსუ-ს (1992) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის (1994) პრემიები. არის ღირსების ორდენის კავალერი (1994); არქიტექტორთა (1952) და მხატვართა (1978) კავშირების ნევრი, ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო ნევრი; მარტვილისა და სენაკის საპატიო მოქალაქე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1979).
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 23-66-97. (ბინის) ი.ნიკოლაძის 5ა. თბილისი 380079. ტელ: 22-36-00.*
**ვემსახურები ქართული ხელოვნების ისტორიისა და კულტურის შესნავლას და მის პოპულარიზაციას უცხოეთის ქვეყნებში, ქართული ძეგლების მოელა-პატრონობის ამოცანებს. ვცდილობდი მეცხოვრა პატიოსნად და პატივი მეცა ყველა იმათთვის, ვინც ამას იმსახურებდა.**



**ილია ზაუტაშვილი** მხატვარი, ხელოვნების ისტორიკოსი. დაიბადა თბილისში 1952 წლის 18 ივნისს. მშობლები: მედეა ვაშალომიძე, მერაბ ზაუტაშვილი; შვილები: ლუკა (1986), დანიელი (1995). დაამთავრა თსსა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ-ტი (1974), ხელოვნების ისტორიის და თეორიის ფაკ-ტის ასპირანტურა (1979). მუშაობს სახვითი და ვიზუალური ხელოვნების სფეროში, ხელოვნების თეორიაში. დააფუძნა სასნავლო სტუდიები (1985), ჯგუფი „ტოტალური სივრცე" (1988) „ვიზუალური გამოძიების სექტორი" (1992). არის დამდგმელი მხატვარი ფილმებისა: „ორეული", „ნიშანი". გამართა გამოფენები: თბილისში (1978-81), მოსკოვში (1988), კიოლნში (1991), საფრანგეთში (1992), ამსტერდამში (1993, 1994), ბერლინში (1996), ლონდონში (1999), სტრასბურგსა და პარიზში (1999-2000); მონანილეობდა თბილისში, მოსკოვში, სოფიაში, ბაზელში, ბერლინში, ვარშავაში, კოპენჰაგენში, ვენაში, ბრისტოლსა და ამსტერდამში გამართულ ჯგუფურ გამოფენებში. არის ავტორი სტატიებისა:

„ტრადიცია და ნოვატორობა" (1979), „ტოტალური სივრცე" (1989), „დაკარგული ქალაქი" (1993), „ვარაზი" (1993). არის ასოციაცია „ინტერკულტურას" თანამშრომელი (1999 წლიდან); საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1980 წლიდან).
**ჰობი:** პოეზია, ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თაყაიშვილის 3. თბილისის 380079. ტელ: 22-40-18. ფაქსი: 25-08-36. ელ-ფოსტა: femclub@ip.osgf.ge (ბინის) ხვიჩიას 4, ბ.4 თბილისი 380060. ტელ: 33-25-35.*

**ცნობიერების და ქმედების თავისუფლება, ტოლერანტობა. წინააღმდეგი ვარ ნებისმიერი დიქტატისა, ობიექტელური ნორმების. ვიზიარებ ნონ-კონფორმისტულ პოზიციას, როგორც კომუნისტურ დიქტატურასთან მიმართებაში, ისე დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციასთან მიმართებაში. დღეს თავისუფლება მოჩვენებითია.**



**ემზარ ზენაიშვილი** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი. დაიბადა ლანჩხუთში 1944 წ. 10 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან ფოფხაძე-ზენაიშვილი, სევერიან ზენაიშვილი. დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1966). იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი, იმყოფებოდა მივლინებით ავღანეთში (თარჯიმანი,1967-72); იყო რაიკომის მდივანი, სექტორის გამგე, განყოფილების გამგე (1972-88), სპორტული საზოგადოება „შევარდენის" თავმჯდომარე. გამოქვეყნებული აქვს რამოდენიმე სამეცნიერო ნაშრომი ირანის ახალი ისტორიის საკითხებზე, პუბლიკაციები პრესაში. არის სპორტულ ჟურნალისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, გაზეთ „ოლიმპიელის" სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, ჩოგბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ღირსების ორდენის კავალერი (1999). მისი ბიოგრაფია შეტანილია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ცნობარში.
**ჰობი:** თეატრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 65. თბილისი 380012. ტელ: 95-30-79. ფაქსი: 95-38-29. (ბინის) საირმის 9/4. ტელ: 37-01-53.*

**ცხოვრებისა და საქმიანობის უმთავრესი პრინციპი — ვაკეთო საქმე, რომელიც მაინტერესებს და რომელიც ემსახურება ჩემი ქვეყნისა და ჩემი თანამემამულეების ინტერესებს. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ ჩემი კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი, ენერგია და ცოდნა დაექვემდებაროს სწორედ ამ ინტერესებს. ჩემი საქმიანობის ამ ეტაპზე უმთავრესი მიზანია, ხელი შევუწყო საქართველოში ოლიმპიზმის პროგრამას, ქართული სპორტის განვითარებას, ქვეყნის სპორტსმენთა წარმატებით გამოსვლას საერთაშორისო ასპარეზზე, პირველ რიგში კი ოლიმპიურ თამაშებზე.**



**ივანე ზოდელავა** ქალაქ თბილისის მერი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 2 მაისს. მშობლები: ნინო ჟვანია, ივანე ზოდელავა; მეუღლე — მაია ნიკოლაძე (1955); შვილები: ივანე (1980), ნიკოლოზი (1987). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1978). იყო თსუ უფროსი ლაბორანტი (1977-78), მშენებლობის სამინისტროს N13 ტრესტის N5 სამშენებლო სამმართველოს ურფოსი ოსტატი (1978), თსუ ასპირანტი (1978-81), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1981), კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1981-85), ორჯონიკიძის რ-ნის კომკავშირის რაიკომის I მდივანი (1985-88), კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი (1988-90), ორჯონიკიძის რ-ნის რაიკომის მდივანი (1990-91), ერთობლივი სანარმო „თბილისი ლინკისა" და „საქართველო-ამერიკის პარტნიორის" პრეზიდენტი (1991-96), თბილისის საგადასახადო ინსპექციის უფროსი (1996-97), თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერის I მოადგილე (1997), ქალაქ ფოთის მერი (1997-98). ქალაქ თბილისის მერია 1998 წლიდან. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1981), ოცამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ფოთის საპატიო მოქალაქე (1997), ფაზისის აკადემიის წევრი (1997), ღირსების ორდენის კავალერი (2000).
**ჰობი:** მეგობრებთან ურთიერთობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თავისუფლების მოედ. 2. თბილისი 380007. ტელ: 93-38-16. (ბინის) ფალიაშვილის 43. თბილისი, 380079. ტელ: 22-20-53.*

ცხოვრება, ეს დიდი წიგნია და ამ უზარმაზარ „წიგნში" ბევრი ცუდიც არის და, ალბათ, უფრო მეტი კარგი. ადამიანი, გამომდინარე თავისი შინაგანი სამყაროს არსისგან, ცნობიერად თუ არაცნობიერად ითვისებს ან კარგს, ან ცუდს, ან კი ორივეს ერთად. მე შევეცადე ამ „წიგნიდან" სიყვარული, ერთგულება, სიმართლე, შრომისმოყვარეობა... ამომერჩია, გამეთავისა და ცხოვრების კრედოდ მექცია.



**ბესარიონ ზოიძე** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. დაბაძეველში (შუახევის რ-ნი) 1953 წ. 22 ივნისს. მშობლები: გული ზოიძე, ინუს ზოიძე; მეუღლე — ნატო ნიჟარაძე (1957); შვილი — თამარი (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1976), ასპირანტურა (1979). იყო თსუ სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი (1979-82), სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის უფროსი (1982-92), მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, კერძო სამართლის განყოფილების გამგე (1992-93), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1993-96), დირექტორი (1996-99). არის თსუ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრის პროფესორი (1994 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის თანაფარდობა სამოქალაქო სამართალში" (1980), სადოქტორო — „ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობითი სამართალი" (1992). არის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ძველი ქართული და თანამედროვე სამართლის საკითხებზე, სამოქალაქო კოდექსის სარედაქციო ჯგუფის წევრი.
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 29, თბილისი 380008. (ბინის) დიდი დიღომი, პეტრიწის 8ა, თბილისი. ტელ: 62-47-23.*
სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება საქართველოში, სამოქალაქო წესრიგის დამკვიდრება, ადამიანის უფლებათა დაცვა. ჩვენს ქვეყანაში უნდა ჯეროვნად დაფასდეს ინტელექტუალური ცოდნა, ქვეყნის წარმატება უპირატესად დამოკიდებულია ამ ცოდნის გამოყენებაზე.



**ზოსიმე (შიოშვილი)** ნილკნის ეპარქიის მმართველი მთავარეპისკოპოსი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: მანია შიოშვილი, გიორგი შიოშვილი. დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი, მცხეთის სასულიერო სემინარია. იყო სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის კანცელარიის მდივანი (1974-76), ხელდასხმულ იქნა იპპო-დიაკვნად და მთავარდიაკვნად სიონის საკათედრო ტაძარში (1976), ხელდასხმულ იქნა მღვდლად და დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მღვდლად, აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1977), აღიკვეცა ბერად და აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში (1981), ეკურთხა ეპისკოპოსად (1983). იყო ჭყონდიდის ეპისკოპოსი (1984), ნილკნის ეპისკოპოსი (1984-94). მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი.
მისამართი: *საკათედრო ტაძარი.სოფ. ნილკანი. მცხეთის რ-ნი 383650. ტელ: 31-47-77, 71-07-11.*



**ნიაზ ზოსიძე** გაზეთ "აჭარის" ("ადჟარია") მთავარი რედაქტორი. დაიბადა სოფ. ჯაბნიძეებში (შუახევის რ-ნი) 1962 წ. 20 დეკემბერს. მშობლები: შუშანა დავითაძე, გრიგოლ ზოსიძე; მეუღლე — ვარდო დიასამიძე (1964); შვილები: ბექა, ლაშა. დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1985). იყო შუახევის რაიონული გაზეთის (1987-89), გაზეთ "აჭარის" (1989-94) კორესპონდენტი, აჭარის უზენაესი საბჭოს პრეს-ორგანიზატორი (1994-99). გაზეთ "აჭარის" მთავარი რედაქტორია 1999 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი.
ჰობი: წიგნების კითხვა, მეგობრებთან ყოფნა, ფეხბურთი.
მისამართი: *(სამსახურის) მ.აბაშიძის 38, ბათუმი. ტელ: 7-42-00, ფაქსი: 7-42-11. (ბინის) ლერმონტოვის 107 დ, ბ. 21, ბათუმი. ტელ: 8-77-41-24-32.*
სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის იყო ის, ვინც ხარ. არავითარი თამაში, ნიღაბი. პასუხისმგებლობა დიდ თუ პატარა საქმეში, სხვისი გახარების უნარი, უბრალოება – ცხოვრების წესი, ყველა მდგომარეობიდან გამოსავლის ძიება. უღალატობა, კეთება

იმ საქმის, რაც გიყვარს. ქართული სუფრის პატივისცემა. ძალიან მინდა დაიწეროს წიგნი ეროვნულ იდეოლოგიაზე და მის შექმნაში მცირეოდენი წვლილი შევიტანო.



**ოთარ ზუმბურიძე** რადიოინჟინერი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანია "საქართველოს ტელეკომის" პრეზიდენტი, პროფესორი. დაიბადა ქლუხორში 1945 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: ქეთევან შველიძე, გრიგოლ ზუმბურიძე; მეუღლე – ლიანა არლანაშვილი (1945); შვილი – სულხანი (1977). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1968). იყო საქართველოს რადიოტელეცენტრის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი (1968-70), სპი ასისტენტი (1970), უფროსი მასწავლებელი (1975), დოცენტი (1982), პროფესორი (1994). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე "სატელევიზიო გამოსახულების ეფექტური ვექტორული კვანტორები" არის ავტორი ნაშრომებისა: "თანამგზავრული ტელევიზია. გადაცემის ახალი მეთოდები" (გამომცემლობა "რადიო ი სვიაზ" 1993), "ციფრული ტექნიკის საფუძვლები" (1994), 65 სამეცნიერო ნაშრომისა (გამოქვეყნდა მსოფლიოს 15 ქვეყანაში). არის ღირსების ორდენის კავალერი (1998); ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის ინ-ტის (1993), ნიუ-იორკის მეცნიერებათა (1996) და ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო (1997) აკადემიების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა კატალოგში (Bernard C.Harris Publishing Company, Inc. 1999).

**ჰობი:** წიგნები, მოგზაურობა.

**მისამართი:** *რუსთაველის 31, თბილისი 380008. ტელ: 98-87-08. ფაქსი: 00-11-27. ელ-ფოსტა: otari@iberiapac.ge (ბინის) შიო მღვიმელის 5, თბილისი 380079. ტელ: 22-63-85.*

**საქმის კეთება უხმაუროდ და აუჩქარებლად. პრინციპული, მართალი პოზიცია და მოქმედება მაშინაც, როცა ეს არ არის მომგებიანი პირადად შენთვის. შეურიგებლობა უპრინციპობის, მლიქვნელობის, მომხვეჭელობისა და მაამებლობისადმი. ზნეობრივი პრინციპებისა და ნორმების გადანერგვა იმ სფეროში, სადაც მოღვაწეობ. მომავალ თაობას, ახალგაზრდობას მივცეთ ისეთი მაგალითები და ვასწავლოთ ის, რაც ქვეყანას და მის მომავალს სიკეთეს მოუტანს.**



**დავით ზურაბიშვილი** მწერალი, ჟურნალისტი, ალმანახ „ახალი დროების" მთავარი რედაქტორი, თავისუფლების ინსტიტუტის გამგეობის წევრი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 16 მარტს. მშობლები: ნატო ხიდაშელი, ვალერიან ზურაბიშვილი; მეუღლე — ხათუნა კოპალეიშვილი (1958); შვილები: გიორგი (1990), ანასტასია (1991). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1979). იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1979-81); მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი (1981-90), საგამომცემლო ცენტრ „ხომლის" უფროსი რედაქტორი (1992-96), გაზეთ „საქართველოს" განყოფილების უფროსი და გაზეთ „არგუმენტის" რედაქტორი (1995-96). არის მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინ-ტის ანალიტიკური ბიულეტენის "Profile"-ის თანარედაქტორი და ლიტერატურული ალმანახის „ახალი დროების" მთავარი რედაქტორი (1996 წლიდან), თავისუფლების ინსტიტუტის გამგეობის წევრია 1997 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები და სტატიები პრესაში პოლიტიკის, ეკონომიკისა და ლიტერატურის საკითხებზე, არის ავტორი წიგნისა „მოგზაურობა სიზმარეთში, ანუ გიორგისა და ანასტასიას არაჩვეულებრივი თავგადასავალი" (გაიმარჯვა გამომცემლობა „დიოგენეს" კონკურსში „საბავშვო პროზა 96", I პრემია).

**მისამართი:** *(სამსახურის) მაჩაბლის 6. თბილისი 380007. ტელ: 93-15-66. ელ-ფოსტა: liberti@access.sanet.ge (ბინის) ალმაშენებლის 176. ტელ: 34-05-30.*

**„საზღვარგარეთელ ბრძენთა" სენტენციებს მოვიშველიებ, სულ სამს: 1. პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა (ბენჯამენ ფრანკლინი); 2. არაფერი ზედმეტი (ძველი ბერძნები); 3. იფიქრე! (IBM-ის დევიზი).**



**ლაშა თაბუკაშვილი** მწერალი, სალიტერატურო ჟურნალი „XX საუკუნის" გამომცემელი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: მედეა ჯაფარიძე, რეზო თაბუკაშვილი; მეუღლე — მედეა თაბუკაშვილი (1951); შვილები: რეზო (1971), ოთარი (1974). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1972). იყო ქართული ლიტერატურის ინ-ტის უფროსი ლაბორანტი (1972-74), მწერალთა კავშირის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების რეფერენტი (1974-75), კინომსახიობთა თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე (1975-81), კინოსტუდია „ქართული ფილმის" მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1981-86), მწერალთა კავშირის მდივანი (1986-88). ეწევა ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. არის ლექსების, მოთხრობების, პიესების, კინოსცენარების ავტორი: „ჭრილობა" (1973), „ძველი ვალსი" (1975), „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" (1977), „ათვინიერებენ მიმინოს" (1981), „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი" (1997), „სანამ წვიმა გადაივლიდეს" (1986), „ვამეხი მოდის" (1988), „კომოციო" (2000), „თოვლივით თეთრი თოვლი" (2001) და სხვ. არის რამდენიმე პრემიის ლაურეატი წლის საუკეთესო პიესისათვის. იყო მწერალთა კავშირის წევრი (1978-98). დააარსა მწერალთა კლუბი „XX საუკუნე" (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია ი.ო'ნილის სახელობის დრამატურგთა ცენტრის კატალოგში „100 ყველა დროის ცნობილი დრამატურგი".
მისამართი: *(ბინის) ვ.ანჯაფარიძის 9. თბილისი 380009. ტელ: 22-23-55.*

**ბუნებით კონსერვატორი ვარ, მაგრამ „ღია კარის" კონსერვატორი. ტაბუს დადება ჩემს ხასიათში არ ზის, სამაგიეროდ ზის მორალში. ტაბუს დადება უფრო უარესსა და საზიანოს ბადებს, ვიდრე გონივრული თავისუფლება. ხრტილის გაძვალება არ ვარგა, თუმცა არც საკუთარი წარსულის თვითმიზნური გადახაზვა და მასაზრდოებელი ძაფების გადაჭრაა უკეთესი. მწერლის გაბედულება თავისუფლებაში როდია. ეპატაჟის დროს გამოვლენილი სითამამე ყალბია. დაღვინებულ და ნიჭიერ ხელოვანს თავმდაბლობა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა გამოარჩევს.**



**ოლღა თაბუკაშვილი** კინომცოდნე, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინ-ტის კინომცოდნეობის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1931 წ. 13 თებერვალს. მშობლები: ელენე ფარეიშვილი, ვარდენ თაბუკაშვილი; შვილი – ნინო ვაჩნაძე (1959). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1955), მოსკოვის ხელოვნების ინ-ტის ასპირანტურა (1967). იყო გაზეთ "მოლოდიოჟ გრუზიის" განყ-ბის გამგე (1956-62), საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის რეფერენტი (1968-70), თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის ს/კ კინოსექტორის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1970-75), კინოფაკ-ტის დეკანი (1972-89), კათედრის გამგე (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ნიკოლოზ შენგელაია – ეროვნული კინოხელოვნების ჩამოყალიბების პროცესი" (1968). არის ავტორი ნაშრომებისა: "ნიკოლოზ შენგელაია" (1970), "სოფიკო ჭიაურელი" (1970), "ქართული ეროვნული კინო" (იუგოსლავია 1996), ანოტირებული ბიბლიოგრაფიული კრებულისა "ნატო ვაჩნაძე"(1972), სცენარებისა დოკ. ფილმებისათვის: "ნიკოლოზ შენგელაია", "აკაკი ვასაძე", "რეპეტიცია". არის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1975), ღირსების ორდენის კავალერი (2001); დასახელებული იყო წლის საუკეთესო კინოკრიტიკოსად (1984). არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა (1958) და კინოკავშირის (1959) წევრი.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 19. თბილისი 380008. ტელ: 99-73-88. ფაქსი: 99-04-38. (ბინის) თარხნიშვილის 18. თბილისი 380009. ტელ: 22-16-54.*

**გულწრფელობა, სამართლიანობა, სიკეთის ქმნა, ჰარმონიისკენ სწრაფვა.**



**ალეკო თავართქილაძე** სააქციო საზოგადოება „ლილოს" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: ნორა კაშია, ავთანდილ თავართქილაძე; მეუღლე — ნინო ყავლაშვილი (1951); შვილები: სოფიკო (1971), თეონა (1973). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1964). იყო კვების მრეწველობის სამინისტროს „კონსერვმრეწვის" მუშა (1959-61), მცხეთისა და გორის საკონსერვო ქარხნების ცვლის უფროსი (1961-64), თბილისის ღვინის ქარხნის მთავარი ინჟინერი (1964-67), დირექტორი (1967-70), „კონსერვტრესტის" მთავარი ტექნოლოგი (1970-83), ლილოს ექსპერიმენტული საკონსერვო ქარხნის გენერალური დირექტორი (1983-93). სააქციო საზოგადოება „ლილოს" პრეზიდენტია 1993 წლიდან.
**ჰობი:** სამსახური, სპორტი. არის გურმანი.
**მისამართი:** *(სამსახურის) შარტავას 40, თბილისი 380060. ტელ: 98-97-41, 38-31-69. (ბინის) მგალობლიშვილის 4. თბილისი. ტელ: 37-12-12, 93-89-37.*

**ბავშვობიდან მიყვარდა შრომა (16 წლიდან ვმუშაობ). 27 წლის უკვე დირექტორი გავხდი. პროფესიონალიზმი, პროფესიონალიზმი და კიდევ პროფესიონალიზმი. მიზანი: ჩვენი ფირმა გახდეს მსოფლიოში ცნობილი გამოშვებული პროდუქციით და ასორტიმენტით და ვიცხოვროთ ეკონომიურად ძლიერ და ერთიან საქართველოში.**

**გურამ თავართქილაძე** ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი. დაიბადა სოფ. საჭამიასერში (ჩოხატაურის რ-ნი) 1946 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: თამარ ზაქარეიშვილი, რაფიელ თავართქილაძე; მეუღლე — ლია თავართქილაძე; შვილები: სალომე (1969), გურამი (1984). დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1969). იყო სკოლის მასწავლებელი (1968-74), პირველი მაისის რ-ნის განათლების განყ-ბის გამგის მოადგილე (1974-78), სკოლის დირექტორი (1978-80), გლდანის რ-ნის განათლების განყოფილების გამგე (1980-81), რუსთავის განათლების განყოფილების გამგე (1981-86), განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსი (1986-89), ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორი (1989-92). ეკონომიკურ ურთიერთობათა ინ-ტის რექტორია 1992 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კომერციული საქმიანობისადმი პროფესიული ინტერესების აღზრდა უმაღლესი კომერციული კოლეჯის სტუდენტებში" (1992). არის ავტორი წიგნებისა: „უმაღლესი მათემატიკის ელემენტები" (1991), „თანამედროვე კომპიუტერებზე მუშაობის საფუძვლები" (1992), „პერსონალურ კომპიუტერებზე მუშაობა" (1993), „ინფორმატიკისა და პროგრამირების საფუძვლები" (1993), „უმაღლესი მათემატიკა" (1993-98).
**ჰობი:** ცხენოსნობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) სამღერეთის 5. თბილისი 380104. ტელ: 93-50-45, 94-28-83. ფაქსი: 94-31-60. (ბინის) ნუცუბიძის პლ. III მ/რ. I კვ. თბილისი. ტელ: 95-29-01.*

**ამ ქვეყნად ყოველი მატერიალური და თვითხილული წარმავალია. მხოლოდ კეთილი საქმე წარუძღვება კაცს უდიდესი მსაჯულის — უფლის ტახტამდე. ამიტომ ჩემს ცხოვრებისეულ კრედოს სწორედ სახარებისეული მცნებები განსაზღვრავს. ვგმობ ცრუ და გაუტანელ კაცს, უდიდეს პატივს მივაგებ ნიჭს, რომელსაც უფალი მხოლოდ ღირსეულთ აძლევს და არა უღირსთ. ვერ ვეგუები კომპრომისს უკეთურთან. მინდა ვიხილო საქართველო აღდგენილი.**



**რობერტ თავაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 25 აპრილს. მშობლები: ანა კუნჩინა, გერონტი თავაძე; მეუღლე – ანტონინა თავაძე (1930); შვილები: ოლეგი (1952), იულია (1956). დაამთავრა ვლადიკავკაზის სამხედრო სასწავლებელი (1951), ლენინგრადის სამხედრო აკადემია (1963), მოსკოვის გენერალური შტაბის აკადემია (1970). იყო სსრკ შეიარაღებული ძალების შორეული აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლის მოადგილე (1988), საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1989-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაჯილდოებულია გორგასლის III, II და I ხარისხის ორდენებით.
**ჰობი:** ავტომობილი.

*მისამართი: (სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) საბურთალოს 40, კორპ. 1, ბ. 61, თბილისი. ტელ: 38-70-58.*
ნესიერება.



**ილია თავბერიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, რეგიონალური პოლიტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ოზურგეთში 1969 წ. 4 აპრილს. მშობლები: ვენერა კოსტავა, სოსო თავბერიძე. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1992). იყო ოზურგეთის რ-ნის გამგებლის მოადგილე, დამოუკიდებელი ტელეკომპანია "გურიის" შემოქმედებითი დირექტორი (1993), გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის I მოადგილე. არის სმკ წევრი (1999).
*მისამართი: (სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-22-64.*
სიმართლე და პროფესიონალიზმი ყველგან და ყოველთვის.



**ალბერტ თავხელიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 16 დეკემბერს. მშობლები: ნატო ქარაბაკი, ნიკიფორე თავხელიძე; მეუღლე — ოფელია (მაია) მეუნარგია (1940); შვილები: ნოშრევანი (1967), ნატო (1969). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1953), სსრკ მეცნ. აკად. მათემატიკის ინ-ტის ასპირანტურა (მოსკოვი, 1956). მუშაობდა ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინ-ტში (დუბნა, მოსკოვის ოლქი, 1956-70), იყო მეცნიერ-თანამშრომელი, განყოფილების გამგე, თეორიული ფიზიკის ლაბორატორიის დირექტორის მოადგილე; პარალელურად იყო მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის თეორიული ფიზიკის სექტორის ხელმძღვანელი (პროტვინო, მოსკოვის ოლქი, 1964-70); უკრაინის მეცნ. აკად. თეორიული ფიზიკის ინ-ტის ელემენტარულ ნაწილაკთა თეორიის განყოფილების გამგე (კიევი, 1966-71), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვულ გამოკვლევათა ინ-ტის პირველი დირექტორი (1970-86, ამჟამად ამავე ინ-ტის სამეცნიერო ხელმძღვანელია), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1970-86). არის მათემატიკის ინ-ტის თეორიული ფიზიკის განყოფილების გამგე (1971 წლიდან), თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის დირექტორი (1995 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დისპერსიული თანაფარდობანი და მიახლოებითი განტოლებები ფოტოდაბადების პროცესებისათვის" (1957); სადოქტორო — „კვაზიპოტენციალური მიდგომა ველის კვანტურ თეორიაში" (1963). არის 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „Quasipotential approach in Quantum Field Theory" (Nouvo Cimento 29,N2, 1963); "Dispersion Sum Rules and High Energi Scattering"(Phis. Lett.,v.24B,N4, 1967); „CP-noninvariant Superweak Interaction and Baryon Asymmetry of the Universe" ("Нейтроко-77", М. "Наука", т.2,1978),"Higher symmetries and composite models of elementaryparticles" (Lectures. Vienna,1965). მისი გამოკვლევა „მატვეევ-მურადიან-თავხელიძის კვარკული ფერის წესები" აღიარებულია როგორც აღმოჩენა (1987). არის ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო (1993), ვაშინგტონის მეცნიერებათა (1993) აკადემიების წევრი, სსრკ სახელმწიფო (1973), ლენინური (1986), უკრაინის ეროვნული მეცნ. აკად. ნ.ბოგოლიუბოვის სახელობის (1996), რუსეთის სახელმწიფო (1998) პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია მეცნიერებათა აკადემიების საერთაშორისო ასოციაციის ოქროს მედლით (1998), რუსეთის ფედერაციის მთავრობის პრემიით მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2001), ივ.ჯავახიშვილის მედლით (2001). არის ქ.ტროიცკის (რუსეთი) საპატიო მოქალაქე (2001).
*მისამართი: (სამსახურის) საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის 52, თბილისი 380008. ტელ: 99-88-91. ფაქსი: 99-88-23, 99-61-42. ელ-ფოსტა: aleko@academy.acnet.ge; aleco@gas.acnet.ge (ბინის) ი.ნიკოლაძის 8. თბილისი 380009.*

**თადეოზი (იორამაშვილი)** ბოლნისისა და დმანისის მთავარეპისკოპოსი. დაიბადა სოფ. ფლავში (გორის რ-ნი) 1946 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ იორამაშვილი, გაიოზ იორამაშვილი. დაამთავრა გორის პედაგოგიური ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1973). მუშაობდა სოფ. ქვეშის სკოლაში (1973-74). სწავლობდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში (1974-77), თელავის ღვთაების საკათედრო ტაძარში აღიკვეცა ბერად, დიაკვნად, მთავარ დიაკვნად (1977). აღყვანილ იქნა ბერ-მონაზვნის ხარისხში (1977), ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1979). იყო წილკნის ეპარქიის ეპისკოპოსი (1982), აგარა-ნალკის ეპარქიის ეპისკოპოსი (1984), მანგლისის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი (1993-95), ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი (1995).



**ანზორ თამარაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ახალციხეში 1947 წ. 14 სექტემბერს. მშობლები: პელაგია თამარაშვილი, პეტრე თამარაშვილი; მეუღლე – დალი თამარაშვილი (1950); შვილი – თამარი (1980). დაამთავრა თბილისის II სამუსიკო სასწავლებლის სადირიჟორო განყ-ბა (1976). იყო ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის გუნდის მსახიობი (1967-69), ა/კ სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი (1969-70), ახალციხის სამუსიკო სკოლის პედაგოგი (1971-81), ადიგენის სამუსიკო სკოლის დირექტორი (1981-99), თსუ ახალციხის ფილიალის პედაგოგი (1995-99), ახალციხის რაიონული საკრებულოს წევრი (1998-99). პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის მოკლე მუსიკალური ლექსიკონის ავტორი (1999); ღირსების ორდენის კავალერი (1999); საზოგადოება "მესხეთის" თავმჯდომარის მოადგილე (1995), სმკ წევრი (1998).
**ჰობი:** ქართული სუფრა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-14-81. მობ.: 57-57-92. (ბინის) თამარაშვილის 33-21, ახალციხე 383750. ტელ: 2-13-03.*

**დაკარგული მესხური ხალხური სიმღერების აღდგენა და გამომზეურება, საგუნდო ხელოვნების განვითარება სამცხე-ჯავახეთში.**

**გივი თარგამაძე** არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის" ჟურნალისტურ გამოძიებათა პროგრამის კოორდინატორი, ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1968 წ. 23 ივლისს. მშობლები: გულნარა კაკუტია, ვასილ თარგამაძე. სწავლობდა თსსი სამკურნალო ფაკ-ტზე, დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1998). იყო გაზეთ "The Georgian Times"-ის საზოგადოების განყოფილების რედაქტორი (1993-94), სტუდია „საღამო მშვიდობისას" გადაცემა „TV-ინფორმის" თანაავტორი (1994-95), „დილის გაზეთის" კორესპონდენტი (1996). „თავისუფლების ინსტიტუტის" ჟურნალისტურ გამოძიებათა პროგრამის კოორდინატორია 1996 წლიდან, ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი —2001 წლიდან. არის საგაზეთო პუბლიკაციების ავტორი. იყო ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირის წევრი (1988-94), ახალგაზრდული ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (1995-97).
**მისამართი:** *(სამსახურის) მაჩაბლის 6. თბილისი 380008. ტელ: 93-15-66. ელ-ფოსტა: Liberty@access.sanet.ge (ბინის) ყაზბეგის 29ა. ბ. 29. თბილისი. ტელ: 39-46-64, 25-17-27.*



**გიორგი თარგამაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1973 წ. 22 ნოემბერს. მშობლები: ჟანა ვაჩეიშვილი, რობერტ თარგამაძე; მეუღლე – თათია თოფურია-თარგამაძე (1976); შვილი – თეკლა (1998). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1996). იყო I დამოუკიდებელი ტელეკომპანია "იბერიის" დიქტორი, კორესპონდენტი, მთავარი რედაქტორი (1992-93), აჭარის არ ტელე-რადიოდეპარტამენტის თავმჯდომარე, ტელე-რადიოსტუდია "ბათუმის" დირექტორი (1993-95), აჭარის არ მეთაურის პრესმდივანი (1995-99). საქართველოს პარლამენტის წევრი და ფრაქცია "ერთიანი საქა-

რთველოს" თავმჯდომარეა 1999 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი (1998); საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1996), აღორძინების კავშირის თბილისის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.
**ჰობი:** სპორტი, წიგნები.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-64. ფაქსი: 99-62-13. (ბინის) ჭონქაძის 2, თბილისი. ტელ: 98-48-88.*

**გავაკეთო მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც პირადად ჩემზეა დამოკიდებული. ყოველთვის მახსოვდეს, რომ ადამიანი არც ღმერთია და არც ცხოველი. ვიყო ზომიერი მოთმენაშიც და დაპირისპირებაშიც. არასოდეს შევურაცხჰყო სხვისი ღირსება, რათა ჩრდილი არ მოადგეს ჩემსას. მახსოვდეს, რომ ჩემს მიერ გაცემული სიკეთე უკვალოდ არ იკარგება და ჩემი ცხოვრება ჩემი შვილების ფესვია.**



**კახა თარგამაძე** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა ბათუმში 1955 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: თალიკო ჯაყელი, მამია თარგამაძე; მეუღლე — თამილა ჯაფარიძე; შვილი — სალომე (1997). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1977), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989). იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორი, უფროსი ოპერრწმუნებული, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი ოპერრწმუნებული, განყოფილების უფროსის მოადგილე (1979-92), ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი (1992-95), ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დეპარტამენტის თავმჯდომარე, მინისტრის მოადგილე (1995). შინაგან საქმეთა მინისტრია 1995 წლიდან.
**ჰობი:** წიგნები, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) გ.გულუას 10. თბილისი 380014. ტელ: 99-62-96. ელფოსტა:* metekhi@access.sanet.ge *(ბინის) მიცკევიჩის 17. ბ. 36. თბილისი.*

**საქმის ერთგულება. სამართლიანობა, პრინციპულობა ან მაღალი პროფესიონალიზმი. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს და თუ აირჩიე პროფესია, ყოველდღიურად უნდა იზრუნო შენი სპეციალობის დახვეწაზე, საერთო მსოფლმხედველობის გაფართოებასთან ერთად გააღრმავო შენი სპეციალური ცოდნა და ერუდიცია. მხოლოდ მაშინ იქნები ნამდვილი პატრიოტი, ერის, ქვეყნისა და ოჯახის ღირსეული შვილი, განურჩევლად შენი ჩინისა და თანამდებობისა.**



**ლევან თედიაშვილი** სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა), საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა საგარეჯოში 1948 წ. 15 მარტს. მშობლები: ალექსანდრა თედიაშვილი, ქიტესა თედიაშვილი; მეუღლე — ნანა მჭედლიშვილი (1948); შვილები: ვახტანგი (1973-93, დაიღუპა სოხუმში), ბესარიონი (1975). დაამთავრა თბილისის სახ. ფიზიკური კულტურის ინ-ტი (1971), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1976). იყო თბილისის საავეჯო კომბინატის მუშა (1968-71), კომკავშირის ცკ-ს სპორტული და თავდაცვის მუშაობის განყოფილების გამგე (1980-82), საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის გათავისუფლებული პარტკომი (1982-84), საგარეჯოს რ-ნის სოფელ კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (1984-86), თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე (1986-89), ერთობლივი საწარმოების „თსბ"-სა და „აბჯრის" პრეზიდენტი (1989-93), კახეთის რეგიონში სახელმწიფო მეთაურის რწმუნებული (1993-95). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. მიღებული აქვს ოლიმპიური თამაშების ორი ოქროს (1972, 1976), მსოფლიო ჩემპიონატის ხუთი ოქროსა (1971, 1973, 1973, 1974, 1975) და ერთი ვერცხლის (1978), მსოფლიო თასის გათამაშების ორი ოქროს (1973, 1974), ყოფილი საბჭოთა კავშირის რვა ოქროს (1967, 1968, 1969, 1970, 1971, 1973, 1974, 1977) და ერთი ვერცხლის (1978), საქართველოს ჩემპიონატის ორი ოქროს (1968, 1969) მედალი და სხვ. მონაწილეობდა ფილმში „ხარება და გოგია" (რეჟ. გ.შენგელაია). არის სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის საპატიო რკინიგზელი, ქალაქების: მახაჩყალის, კრასნოიარსკის, ტოკიოს; ოჰაიოს შტატის საპატიო მოქალაქე; საქართველოს N1 სპორტსმენი (1971, 1972, 1973), სსრკ წლის საუკეთესო სპორტსმენი (1973); კალიფორნიის შტატის

(აშშ) საპატიო შერიფი; აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების კინოფესტივალების ლაურეატი, კინოფესტივალის „ოქროს არჩას" I პრიზის მფლობელი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში „ხარება და გოგია", საქართველოს N1 მეცენატი (1992). დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის, ლენინის, ლენინური კომკავშირის საპატიო ნიშნის, გორგასლის II ხარისხის ორდენებით. არის სმკ-ის წევრი.

**ჰობი:** „ზაოდობაზე" ქეიფი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-62-13. (ბინის) ცაბაძის ქ. II კორპ. ბ.9, თბილისი. ტელ: 34-40-40.*

**დაუდევრობა, მიზანი, მეგობრობა, ერთგულება, ეშმაკობა, ნებისყოფა, პასუხისმგებლობა, სიძულვილი, წარმოსახვა, ფანტაზია, რწმენა და სხვადასხვა საოცრებები. რაც მთავარია, მჯერა ბედისწერის.**



**ელენე თევდორაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებების დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოდან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 5 სექტემბერს. მშობლები: სოფიო ხაიკინა, კონსტანტინე უფლისაშვილი; მეუღლე — ილია თევდორაძე (1934); შვილი — კონსტანტინე (1960). დაამთავრა თბილისის სახ. უცხო ენათა ინ-ტი (გერმანული ენა და ლიტერატურა, 1960). იყო მასწავლებელი, კომკავშირის ქალაქკომის მდივანი, სკოლის დირექტორი; პარლამენტის წევრი, პენიტენციალური რეფორმისა და მსჯავრდებულთა საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). მიღებული აქვს აშშ და ევროგაერთიანების ჯილდო „დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის" (1998). არის სმკ-ის წევრი (1993).

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-69-51, 92-15-63. (ბინის) ქიქოძის 3. თბილისი 380007. ტელ: 93-13-47.*

**სიმართლისთვის ბრძოლა.**



**მერაბ თევდორაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 21 ოქტომბერს. მშობლები: აზა ვიშნევსკაია, დურმიშხან თევდორაძე; შვილი – თამარი (1978). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1978). იყო პროკურატურის გამომძიებელი (1978-82), ჩუღურეთის რ-ნული სასამართლოს მოსამართლე (1982-90), თავმჯდომარე (1990-98), პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1999).

**ჰობი:** სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი, 380018. (ბინის) ფალიაშვილის 82, თბილისი. ტელ: 98-93-93.*



**გიგი თევზაძე** ფილოსოფოსი, ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1967 წ. 22 ივნისს. მშობლები: რუსუდან ენუქიძე, გურამ თევზაძე; მეუღლე — ნინო ცინცაძე (1971); შვილი — ანდრო (1996). დაამთავრა თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1989). იყო იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ სახეობათა აღდგენის ცენტრის თანამშრომელი (1985-92), გაზეთ „ერთობის" (გორი) მთავარი რედაქტორი (1987-88), თსუ დოცენტი (1992-97), UNDP-ის პროგრამის — „სახელმწიფო მართვის სისტემის გარდაქმნის ხელშეწყობის" თანამშრომელი (1995-97), სამოქალაქო საზოგადოების ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1995-96), თსუ თანამედროვე ცნობიერების კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი (1995 წლიდან), პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის უფროსი (1997-99), საქართველოს განათლების სამინისტროს პროგრამის ეროვნული სასწავლო გეგმების შექმნისა და დანერგვის ქვეკომპონენტის კოორდინატორი (1999-2000). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ცნობიერების და ყოფიერების

ესთეტიკა" (1997). არის ავტორი წიგნებისა: „ჩვენი დრო, სფინქსი და ძენონის ისარი" (1993), „მომავლის ნიშნები" (1995), „ძალაუფლების სიმულაციები" („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 1999). მიღებული აქვს ქართულ-ფრანგული ინ-ტის მერაბ მამარდაშვილის პრემია (1992). არის საქართველოს პრეზიდენტის ახალგაზრდა მეცნიერთა I ხარისხის სტიპენდიანტი (1998 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში International Directory of Philosophy and Philosophers, 1998-2000", (2d ed.), Philosophy Documentation Centre (1998).
**ჰობი:** ცხენოსნობა, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(ბინის) თამარაშვილის 9. ბ. 5. თბილისი. ტელ: 22-66-41.*



**გურამ თევზაძე** ფილოსოფოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 30 იანვარს. მშობლები: ელენე ჯიბლაძე, ბენიამინ თევზაძე; მეუღლე — რუსუდან ენუქიძე (1933); შვილები: გელა (1966), გიგი (1967). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1954). იყო ფილოსოფიის ინ-ტის უმცროსი (1957-59), უფროსი (1959-66) მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიის ისტორიის განყ-ბის გამგე (1966-71), მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. თსუ ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგეა 1971 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „თავისუფლებისა და აუცილებლობის პრობლემა" (1958), სადოქტორო — „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია" (1963). გამოქვეყნებული აქვს 115 ნაშრომი ქართულ, რუსულ, გერმანულ, ჩინურ ენებზე, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: Философская энциклопедия (1970), Marquis Who's Who in the World (1996), Intrnational Who's Who of Intellectuals (1996).
**ჰობი:** მებაღეობა.
**მისამართი:** *(სამსახური) მეცნიერებათა აკადემია. რუსთაველის 52. თბილისი 380008. ტელ: 99-93-27. ფაქსი: 99-88-23. (ბინის) თამარაშვილის 9, ბ.5. ტელ: 22-66-41.*

**ეცადე გააკეთო შენთვის შესაძლებლის მაქსიმუმი ოჯახისათვის, ახლობლებისათვის, ერისათვის, მეცნიერებისათვის. ისე, რომ ნარუმატებლობის შემთხვევაში, საკუთარი თავისათვის სასაყვედურო არაფერი გქონდეს.**



**დავით თევზაძე** საქართველოს თავდაცვის მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი, უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. დაიბადა სოხუმში 1949 წ. 30 იანვარს. მშობლები: ოლღა იოსელიანი, დავით თევზაძე; მეუღლე — ნინო ჯაყელი (1953); შვილები: ნათია (1972), ქეთევანი (1977), დავითი (1978), ოლიკო (1984), გიორგი (1990-94), ნიკოლოზი (1994), სანდრო (1997). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1971), ფილოსოფიის ინ-ტის ასპირანტურა (1974), უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1978), სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები (1980), ნატოს სამხედრო კოლეჯი (რომი, 1994), უსაფრთხოების პრობლემათა კვლევის ევროპული ცენტრი, სტრატეგიული გამოკვლევებისა და თავდაცვითი ეკონომიკის კოლეჯი (აშშ, 1995), აშშ არმიის სამეთაურო და გენერალური შტაბის კოლეჯი (1996-97). იყო ფილოსოფიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1974-95), თსუ და სპი ფილოსოფიის ისტორიისა და მათემატიკური ლოგიკის ლექტორი (1980-92), ბატალიონ „ორბის" მეთაური (1992), მე-11 ბრიგადის დაზვერვის ასეულის მეთაური (1992-93), I ბრიგადის მეთაური (1993-94), თავდაცვის სამინისტროს სამმართველოს უფროსი (1994), საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი (1994-97), საქართველოს თავდაცვის მინისტრია 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „რეფერენციალურად ბუნდოვანი კონტექსტების ინტერპრეტაციის პრობლემები" (კიევი,1982). არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის, წიგნის „თოვდა თბილისში" (1988) ავტორი; ვ.გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი (1993), ქ. ოევენეორტის (აშშ) საპატიო მოქალაქე,

ევროპულ იდეათა კვლევის საერთა-შორისო საზოგადოების წევრი (1989); კარატედოს ფედერაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი (1989).
**ჰობი:** სპორტი, ხატვა, საბრძოლო იარაღის შესწავლა, ფლობა, შეგროვება.
**მისამართი:** *(სამსახურის) უნივერსიტეტის ქ. 2ა. თბილისი 380077. ტელ: 98-39-30.*



**თეოდორე (ჭუაძე)** ახალციხის ეპისკოპოსი, ახალციხის წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიის რექტორი. დაიბადა სიღნაღში 1967 წ. 11 აპრილს. მშობლები: ნელი გოგორაშვილი, ალექსანდრე ჭუაძე. დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1991), ახალციხის სასულიერო სემინარია (1992). მოღვაწეობდა საფარის მონასტერში (1989), აღიკვეცა ბერად, აკურთხეს დიაკვნად, მღვდელმონაზვნად (1991). დაინიშნა საფარის მონასტრის წინამძღვრად (1992), აკურთხეს ილუმენად (1993), აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, ეპისკოპოსის ხარისხში (1996).
**მისამართი:** *გოგებაშვილის 16, ახალციხე 383750. ტელ: 2-12-88, 2-14-44, 23-22-68, მობ: (877) 41-81-51.*



**რევაზ თვარაძე** ფილოლოგი, პროფესორი. დაიბადა სოფ. უხუთში (ვანის რ-ნი) 1928წ. 15 აგვისტოს. მშობლები: მარიამ თვარაძე, ალექსანდრე თვარაძე; მეუღლე — ინგა ლორთქიფანიძე (1934); შვილები: ზაზა (1957), ცოტნე (1958), რუსუდანი (1960), ალექსანდრე (1974). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1952). იყო ჟურნალ „ცისკრის" პასუხისმგებელი მდივანი (1957-62), ქართული ენციკლოპედიის განყ-ბის გამგე (1966-67), გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი (1967-68), ფილოსოფიის ინ-ტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-91), ქართული ლიტერატურის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1991-95), მე-20 საუკუნის ლიტერატურის განყ-ბის გამგე (1998), თსუ ქართული ქრისტიანული კულტურის კათედრის პროფესორი (1998), მასწავლებელთა დახელოვნების რესპუბლიკური ინ-ტის რელიგიების ისტორიის კათედრის გამგე (1991-98). ლიტერატურის ინ-ტის განყოფილების გამგეა 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „სიბრძნე ბალაჰვარისი" (1969), სადოქტორო — „სამყაროს მთლიანობის პრობლემა და არეოპაგეტიკა" (1988). არის ავტორი წიგნებისა: „ლიტერატურული წერილები" (1962). „გალაკტიონი" (1972), „წიგნი და მკითხველი" (1972), „წერილები" (1978), „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა" (1985) „გადასახედი" (1997); სახელმძღვანელოსი „რელიგიის ისტორია და კულტურა" (2000); 150-ზე მეტი წერილისა და თარგმანებისა. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.
**ჰობი:** მინის ნაკვეთზე მუშაობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 5, თბილისი 380079. ტელ: 99-53-00. (ბინის) ტატიშვილის 17, ბ.25, თბილისი 380079. ტელ: 22-59-00.*

**პრინციპები: ნაკისრი საქმის უეჭველად აღსრულება. უღალატობა. პირმტკიცეობა. საკუთარ თავთან გამუდმებული ბრძოლა. იდეალები: ქრისტიანული ზნეობის შეძლებისდაგვარად მიდევნება. ამქვეყნიურისა და ზესთასოფლურის ჰარმონიის წვდომა. შინაგანი თავისუფლების მოპოვება. ადამიანურ ურთიერთობათა პოეზიის დამკვიდრება. მიზნები: ქართული კულტურის მსახურება. ოჯახის ყველა წევრის ჩაყენება ქვეყნის სამსახურში. ზრუნვა ქართველთა თვითცნობიერების ასამაღლებლად.**

**ნუგზარ თინიკაშვილი** ახალგორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. თინიკაანში (ახალგორის რ-ნი) 1966 წ. 16 მაისს. მშობლები: მარიამ თინიკაშვილი, რაჟდენ თინიკაშვილი; მეუღლე — ნანა იათაშვილი (1972); შვილი — რატი (1992). იყო სოფელ ბალაანის (ახალგორის რ-ნი) კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის აღმრიცხველი (1987-91), ქარჩოხის საკრებულოს გამგებელი (1991-93), სახელმწიფო ქონების მართვის განყ-ბის გამგე (1993-95), სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი (1995-96), ეკონომიკის სამინისტროს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფონდის წარმომადგენელი ახალგორის რ-ნში (1996-97), საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მთავარი მრჩეველი ახალგორის რ-ნში (1997).

გამგეობის თავმჯდომარეა 1997 წლიდან. არის სმკ წევრი, ახალგორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.
ჰობი: სპორტი, ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) თამარ მეფის 32, ახალგორი. ტელ: 3-23-35, 92-22-51.*

**ჩემი მიზანია უახლოეს მომავალში საქართველო ვიხილო ერთიანი და ეკონომიკურად აღორძინებული. სურვილი მაქვს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში შევიტანო გარკვეული წვლილი. ჩემი პრინციპია დაკისრებული მოვალეობა ყოველთვის შევასრულო ერთგულად და პატიოსნად (უნდა აღმოიფხვრას კორუფცია).**



**ინგა თოდრია** თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე. დაიბადა ქუთაისში 1961 წ. 21 სექტემბერს. მშობლები: სვეტლანა თოდრია, ალექსი თოდრია; შვილი — ვიქტორია მელქაძე (1984). დაამთავრა კალინინგრადის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1983). იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი (1985-87), ქუთაისის სასამართლოს მოსამართლე (1987-98), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1998-99). კოლეგიის თავმჯდომარეა 1999 წლიდან. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი.
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო, რობაქიძის 7-ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-11.*

**მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ.**



**მაგალი თოდუა** აღმოსავლეთმცოდნე-ფილოლოგი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. დაიბადა სოფ. სალხინოში (მარტვილის რ-ნი) 1927 წ. 19 იანვარს. მშობლები: მაკრინე სხულუხია, არე თოდუა; მეუღლე — იზეა თევზაძე (1929); შვილები: ხათუნა (1955), სოფიო (1962). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1949). იყო თსუ უფროსი ლაბორანტი, უფროსი მასწავლებელი (1950-61), აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1961-66), არის სპარსული ფილოლოგიის განყ-ბის გამგე (1968 წლიდან); იყო ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი (1991-95). გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტია 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გოლესთანის" მიბაძვანი სპარსულ ლიტერატურაში" (1954); სადოქტორო — „ქილილა და დამანას" საბასეული ვერსია" (1967). გამოცემული აქვს თარგმანების (სპარსულიდან) ათზე მეტი წიგნი. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი.
მისამართი: *(სამსახურის) მ.დვალიშვილის 17. ქუთაისი. ტელ: 5-81-36. (ბინის) საბურთალოს 40. თბილისი.ტელ: 38-25-73; წმინდა ნინოს 1. ქუთაისი.*



**მზია თოდუა** თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ახალსოფელში (ზუგდიდის რ-ნი) 1956 წ. 24 იანვარს. მშობლები: მარგო თოდუა, ვარლამ თოდუა; მამობილი ბაგრატ რაფავა; მეუღლე — ოთარ როდონაია (1953). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1981). იყო ხონის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის იურისკონსულტი (1978-79), ხონის მოქალაქეობრივი რეგისტრაციის განყოფილების გამგე (1979-85), ხონის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე (1991-98), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1998-99). პალატის თავმჯდომარეა 1999 წლიდან.
ჰობი: კლასიკური მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო, რობაქიძის 7-ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14.*

**სამართლიანობა, ერთგულება ზოგადკაცობრიული იდეალებისა; ვიზრდებოდი „ჰუმანოიდ" ბაგრატ რაფავას ოჯახში, რომლის აღზრდის მეთოდებმა ჩამოაყალიბა ჩემში წიგნის სიყვარული, რომლის გარეშეც თვალთახედვის ისარი მოკლეა. ჩემი წარმატება განაპირობა დამოუკიდებლობამ და წინააღმდეგობის გაწევის უნარმა.**



**ფრიდონ თოდუა** რენტგენოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინ-ტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, თსსუ რენტგენოლოგიისა და ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კათედრის გამგე, ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლების სახ. სამედიცინო აკადემიის რადიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს სამედიცინო და მედიკობიოლოგიური აკადემიების ნამდვილი წევრი, ნიუ-იორკის აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა ზუგდიდში 1944 წ. 9 იანვარს. მშობლები: ნინო ცხადაია, იპოლიტე თოდუა; მეუღლე — თინათინ შენგელაია (1948); შვილი — ნინო (1975). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1968). იყო მოსკოვის ა.ვიშნევსკის სახელობის ქირურგიის ინ-ტის უფროსი ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, კომპიუტერული ტომოგრაფიის განყბის ხელმძღვანელი (1968-90). სხივური და ინტერვენციული დიაგნოსიტკის ს/კ ინ-ტის დირექტორია 1990 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ცელომური კისტები, პერიკარდიუმის დივერტიკულები და კარდიო-დიაფრაგმული კუთხის ლიპომები" (1973); სადოქტორო — „ბრონქული სისხლის მიმოქცევის მნიშვნელობა სისხლდენით გართულებული ფილტვის ქრონიკული არასპეციფიური დაავადებების დიაგნოსიტიკასა და მკურნალობაში" (1984). არის 448 სამეცნიერო ნაშრომისა და 4 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის:"Компютерная томография органов брюшной полости" ("Медицина", М. 1991), "Наружные и внутренние свищи желчных путей и внутрипеченочных полостей" ("Мецниереба", Тбилиси 1991), "Ультразвуковая диагностика хирургических заболеваний печени и желчныых путей" ("Мецниереба" Тбилиси 1993), "Diagnostic Problems of local diseases of the Liver" (Academy of Sciences Edition, Budapest, 1993). არის ა.ვ.ვიშნევსკის (1979) და ა.ა.ვიშნევსკის (1986) პრემიების ლაურეატი სამედიცინო მეცნიერების განვითარებისთვის, ა.ჩაჩავას პრემიის ლაურეატი რადიოლოგიის დარგში (1994), სსრკ (1988) და საქართველოს (1996) სახელმწიფო პრემიების ლაურეატი მეცნიერების დარგში, საქართველოსა (1996) და ევროპის (1999) „ღირსების ორდენების" კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1998), მალტის ორდენის კავალერი (1999), ბელგიის სამეფო კარის შევალიე (1999), ზაზა ფანასკერტელ-ციცისშვილისა (1993) და გ.მუხაძის (1993) მედლების მფლობელი. არის საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ევროპის რადიოლოგთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის, ევროპის ინტერვენციული რადიოლოგიის, ბრიტანეთის რადიოლოგთა ასოციაციების, ჩრდილოეთ ამერიკის რადიოლოგთა, საერთაშორისო გასტრო-ქირურგიული საზოგადოებების წევრი, რუსეთის რადიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი, მოსკოვის ქირურგთა ასოციაციის, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის საბჭოს, სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის, თსუ სამეცნიერო საბჭოს, დიპლომისშემდგომი განათლების სახ. სამედიცინო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს, თსსუ პროფესორთა საბჭოს, საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახ. ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის, კულტურის ფონდის პრეზიდიუმის, გადამხდელთა უფლებების დაცვის ლიგის პრეზიდიუმის წევრი; ჟურნალ „რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნეს" რედაქტორი; ჟურნალების: "Вестник рентгенологии и радиологии" (Москва), "Georgian Medical News", „საქართველოს სამედიცინო მოამბე" სარედაქციო საბჭოების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „საქართველოს ექიმები" (1998), „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ სამედიცინო მეცნიერებაში" (2000).

**ჰობი:** მოგზაურობა..

**მისამართი:** *(სამსახურის) თევდორე მღვდლის 13. თბილისი 380012. ტელ: 94-02-89. ფაქსი: 34-49-23 ელ-ფოსტა: radiag@access.sanet.ge (ბინის) ირ.აბაშიძის 23. თბილისი 380079. ტელ: 29-04-33.*

უპირველეს ყოვლისა, შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება. ჩემი აზრით, ყველა ადამიანში ღვივის ღვთიური ნაპერწკალი და, თუ ის შესძლებს თავისი მონაცემების დანახვას და შეფასებას, ეს ორი თვისება არჩეულ ასპარეზზე მას დიდ სიმაღლეებზე აიყვანს.



**გიორგი თოთიბაძე** საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 29 ოქტომბერს. მშობლები: ელენე ხუნდაძე, კონსტანტინე თოთიბაძე; მეუღლე — ცისანა ტატიშვილი (1938); შვილები: გიორგი (1967), კონსტანტინე (1969), მარიამი (1972). დაამთავრა თსსა ფერწერის განყოფილება (1953). იყო თბილისის მულტფილმების სტუდიის მთავარი მხატვარი (1953-54), თსსა ფერწერის კათედრის პედაგოგი (1954-56, 1957-65), დოცენტი (1965-71), რექტორი (1972-82), საკავშირო სამხატვრო აკადემიის თბილისის ფერწერისა და გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოების ხელმძღვანელი (1982-90). თსსა პროფესორია 1971 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: „სამგორის ახალ მიწაზე", „ცეკვა", „სტუდენტები-გაზაფხული", „კახელი მევენახეები", „აჯანყება გურიაში", „მრავალჟამიერი", „თამადა", „თელავი, წითელი კრამიტები", „მიხეილ მამულაშვილის პორტრეტი", „ნიკო მუსხელიშვილი", „ივანე ბერიტაშვილი", „ილია ვეკუა", „ნიკო ნიკოლაძე"; ილუსტრაციებისა წიგნებისთვის: „დიდი მოურავი" (ა.ანტონოვსკაია), „ღვინია გადაიჩეხა" (ე.გაბაშვილი), „პოემები" (ვაჟა-ფშაველა); ტიპაჟებისა და კადრირებისა მულტფილმებისთვის „ნიკო და ნიკორა", „ჩხიკვთა ქორწილი" იყო სსრკ სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1976). არის რუსეთის სამხატვრო აკადემიის (1995), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1997) წევრ-კორესპონდენტი. იყო სკკპ წევრი (1960-91). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
ჰობი: ტურიზმი, მანქანის ტარება.
მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. ტელ: 93-46-65. (ბინის) ატენის 3. ბ.12. თბილისი 380079. ტელ: 23-22-66.*

**საქართველო და მისი წარსული, აწმყო და მომავალი ჩემი შთაგონების, შემოქმედების ძირითადი წყაროა. ქართული ბუნების სილამაზე და მრავალფეროვნება, ქართველი გლეხკაცის სიდარბაისლე და საკუთარი ღირსების გრძნობა, ქართველი ქალის სილამაზე და შრომისმოყვარეობა, ვაჟკაცთა თავდადება სამშობლოსათვის — ამ თვისებებს, ალბათ, ყველა ქვეყნის წარმომადგენელი თავის ხალხს მიაწერს. მიმაჩნია, რომ ეს თვისებები ქართული სულის გაბრწყინებაა და ჩემს ერს ჭეშმარიტად ახასიათებს. აი, ეს არის ჩემი განვლილი, დღევანდელი და მომავალი შემოქმედების ძირითადი თემა.**



**აკაკი თოიძე** ოზურგეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. გურიანთაში (ოზურგეთის რ-ნი) 1965 წ. 4 ნოემბერს. მშობლები: გუგული ლოდია, ზაურ თოიძე; მეუღლე – ლალი კობახიძე (1973); შვილები: ზაური (ზურიკო 1992), სალომე (1993). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1991). იყო ოზურგეთის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელი (1991-94), რაიონული სასამართლოს მოსამართლე (1995-99). ამავე სასამართლოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან. არის საქართველოს იურისტთა კავშირის წევრი.
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) სიორიძის 14, ოზურგეთი. ტელ: 6-38-25, (877) 46-57-24. (ბინის) მგელაძის 5, ოზურგეთი. ტელ: 6-55-80.*

**მუშაობა საკუთარ თავთან, პასუხისმგებლობის გრძნობა; საქმიანობისა და პროფესიის სიყვარული.**

**გრიგოლ (გივი) თოიძე** მხატვარი, შ.რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 18 დეკემბერს. მშობლები: ნინო თოიძე, ვახტანგ თოიძე; მეუღლე — ნინო თოიძე (1939); შვილები: ვახტანგი (1961), ნინო (1964), მაია (1969),



თეა (1978). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1960). იყო სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი (1987), საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, პრეზიდიუმის წევრი, თბილისის ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლისა და მცირე აკადემიის პედაგოგი, თსსა პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, არის თსსა პროფესორი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პეიზაჟი ქართულ სახვით ხელოვნებაში" (1998). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ყვითელი მეთევზეები" (1963), „მთის ნაკადი" (1970), „დღესასწაული ხევსურეთში" (1978), ფრესკისა სსრკ მწერალთა კავშირის შემოქმედებით სახლში (მოსკოვი 1978), „ჩემს მეხსიერებაში" (1987), „ძველი თბილისი" (1996) და სხვ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1967), სახალხო მხატვარი (1988), თბილისის საპატიო მოქალაქე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; დაჯილდოებულია ა/კ რესპუბლიკების ბიენალეს ვერცხლის მედლით. არის მხატვართა კავშირის წევრი (1963), პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მრჩეველი (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (თბილისი, 1979), ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

ჰობი: მუსიკა, სპორტი.

მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. ტელ: 99-69-59. (ბინის) მირცხულავას 3ა. ბ.76. თბილისი 380019. ტელ: 34-48-48.*

**ჩემი ცხოვრების კრედო სამშობლოს, ოჯახის, მეგობრების სიყვარულია. ახლობლების გვერდში ყოფნა, საყვარელი საქმისადმი ღრმა პროფესიონალური მიდგომა, წინაპართა ტრადიციების ხსოვნა და გაგრძელება, ახალგაზრდა თაობასთან სიახლოვე და მათ მომავალზე ზრუნვა, სიკეთის დანახვა და დაფასება, უდროოდ წასული მეგობრების, ახლობლების ხსოვნა, ჩემი ქალაქის, უბნის, ქუჩის სიყვარული, არდავიწყება გამზრდელების, მასწავლებლების, რომლებმაც გზაზე დამაყენეს, კაცობა მასწავლეს.**

**მარიამ თოიძე** ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1973 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: მზია ფონია, ლევან თოიძე. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1996). იყო "დილის გაზეთის" ჟურნალისტი. არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებელი.

ჰობი: ცეკვა, ზღვის თხილამურები.

მისამართი: *(სამსახურის) მარჯანიშვილის 5. თბილისი 380002. ტელ: 96-91-83, 96-91-81. (ბინის) გაგარინის 10, თბილისი. ტელ: 37-13-30.*

**კრედო: ოპტიმიზმი პლუს პროფესიონალიზმი; მიზანი: სრულყოფისაკენ სწრაფვა და ამ მიზნის კონტურების ზუსტი ცოდნა.**



**ვახტანგ თორდია** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა სოხუმში 1953 წ. 25 იანვარს. მშობლები: თათუშა შურღაია, ვალერიან თორდია; მეუღლე — მადია ჭანტურია; შვილები: ვალერი (1986), გიორგი (1988). დაამთავრა კიევის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1975). იყო უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის მეცნიერი-მომკვლევი (1975-76), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1976-82), სოხუმის სახ. უნივერსიტეტის მასწავლებელი (1982-83), საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი (1983-85), საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი და პლენუმის მდივანი (1985-93), აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მ.შ. (1993-96), საქართველოს სახ. საკონსტიტუციო (1992-95), სამართლებრივი რეფორმის სახ. კომისიის, ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემმუშავებელი ქვეკომისიის წევრი, აფხაზეთის უზენაეს საბჭოსთან არსებული სამართლებრივ-საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე. ჟურნალ „აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნეს" რედაქტორი, აფხაზეთის არ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეა 1996 წლიდან, საქართველოს და აფხაზეთის იუსტიციის საბჭოების წევრი — 1997 წლიდან. არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

(1981), თსუ დოცენტი, სამეცნიერო ნაშრომებისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი.
**ჰობი:** მოგზაურობა და საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ.ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 99-86-22; სემერჯიევის 59, სოხუმი.*
**ცხოვრებისეული კრედო იყო და არის სამართლისა და სამართლიანობის ზეობა, პასუხისმგებლობა და პატიოსნება. ჩემი ცხოვრების უპირველესი მიზანია — საქართველოს იურისდიქციის აღდგენის პირობებში მშობლიურ აფხაზეთში დაბრუნება.**



**რადიშ თორდია** მხატვარი. დაიბადა აბაშაში 1936 წ. 21 აგვისტოს. მშობლები: ვერა ჩოჩია, ტერენტი თორდია; მეუღლე — მარიამ გველესიანი (1951); შვილები: რატი (1967), თეა (1985). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბა (1962). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, ფერწერის სექციის თავმჯდომარე, გამგეობის წევრი, სსრკ მხატვართა კავშირის მდივანი, გამგეობის წევრი, საქართველოს რუსთაველის სახელობის და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი, მრავალი საგამოფენო ჟიურის წევრი და თავმჯდომარე. გამართა გამოფენები: ტუნისში (1980), მოსკოვში (1989), თბილისში (1990), გერმანიაში (1992, 1996). მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში (1962 წლიდან): მოსკოვში (1978, 1981), დამასკოში (1978), პრაღასა და პარიზში (1982), მადრიდში (1986), გერმანიაში (1987), სამი მხატვრის (პრაღა, 1997). არის საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1979), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1980), საქართველოს სახალხო მხატვარი (1990), ღირსების ორდენის კავალერი (1996); დაჯილდოებულია საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზით წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (2000). მისი ნამუშევრები დაცულია სანკტ-პეტერბურგის რუსულ მუზეუმში, კიოლნის ლუდვიგის მუზეუმში, სარდინიის (იტალია) სამხატვრო აკადემიაში, ნიუ-იორკის მუზეუმში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.
**მისამართი:** *(ბინის) საბურთალოს 35, ბ.37ა. თბილისი 380060. ტელ: 38-66-01.*
**სიწმინდე და მშვენიერება.**



**გია თორთლაძე** მთამსვლელი, საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1960 წ. 12 ივლისს, მშობლები: ლამარა ნებიერიძე, ოთარ თორთლაძე; მეუღლე — მაია ერისთავი (1956); შვილი — ლევანი (1990). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1983). არის არქეოლოგიური ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი (1977 წლიდან). საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარეა 1994 წლიდან, ალპიური კლუბი „იეტი"-ს პრეზიდენტი —1990 წლიდან. არის 30-ზე მეტი ექსპედიციის მონაწილე, მათ შორის 14 ექსპედიციის ხელმძღვანელი. დაპყრობილი აქვს 120-ზე მეტი მწვერვალი. არის I ქართველი მთამსვლელი, რომელმაც დაიპყრო ალასკის უმაღლესი მწვერვალი მაკ-კინლი (6194მ, 1994) და ანდების უმაღლესი მწვერვალი აკონკაგუა (6960მ, 1996), ევერესტზე I ქართული ექსპედიციის ხელმძღვანელი (1999). დაპყრობილი აქვს მწვერვალები: შიშა პანგმა (8013მ), დაულაგირი (8167მ), ჩო-ოიუ (8201მ), ევერესტი (8848მ, 1999, 2001). არის 11 სამეცნიერო სტატიის, ფილმების: „კავკასიონი", „ნეპალ-ტიბეტი", „ალასკა", „ანდები", „თეთრი მთა დაულაგირი", „სამხრეთ ამერიკა", „აფრიკა, ასვლა კილიმანჯაროზე", „ევერესტი-99", „ქართული მთასვლელობის ქრონიკები" (2000) ავტორი. მოაწყო პერსონალური ფოტოგამოფენა „ფოტოჩანახატები" (1999). მიღებული აქვს წოდება „თოვლის ჯიქი", დაჯილდოებულია ვ. გორგასლის II ხარისხის ორდენით.
**ჰობი:** ცივი იარაღის კოლექციონირება, ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) უზნაძის 14. თბილისი 380002. (ბინის) გოთუას 16, ბ.60. ტელ: 99-99-78, 37-72-54.*
**მთელი ცხოვრების მანძილზე ვცდილობ ვაკეთო ის საქმე, რომელიც მიყვარს. და, რაც მთავარია, მაქსიმალური ენერგია დავხარჯო ამ საქმისათვის. ვარ ოპტიმისტი. არანაირი დამარცხება არ მოქმედებს ჩემზე. პირიქით, უფრო დიდი ენერგიით ვცდილობ შევეჭიდო უფრო დიდ საქმეს.**



**გიორგი თოფაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავმჯდომარე, სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 18 აპრილს. მშობლები: თინათინ მაჭავარიანი, ლევან თოფაძე; მეუღლე — მარინე ბეჟანიშვილი (1945); შვილები: ირაკლი (1969), გიორგი (1977). დაამთავრა სპი კვებისა და ქიმიის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1967), მოსკოვის ორგანული ქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (1970). იყო თბილისის საპნის ქარხნის დირექტორი (1970-75), ს/გ „თბილლუდის" გენერალური დირექტორი (1975-86). არის ლილოს ლუდის ქარხნის დირექტორი (1986 წლიდან), შპს „ყაზბეგის" გენერალური დირექტორი (1994 წლიდან). ამ ორი ქარხნის ბაზაზე დაარსებული შპს „ყაზბეგი-კასტელის" პრეზიდენტია 1999 წლიდან, პარლამენტის წევრი 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „კვების მრეწველობის პროდუქტების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა" (1970). არის 2 მონოგრაფიისა და 12 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, 2 წიგნის თანაავტორი: „თხილამურებით მთაში" (1999), „საბაზრო სისტემის საფუძვლები" (2001). აღიარებული იყო წლის საუკეთესო ბიზნესმენად (1997, 1999). არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1999). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის ცნობარში (IBC, 2000).

**ჰობი:** ნადირობა, სამთო თხილამურები, ალპინიზმი.

**მისამართი:** *(სამსახურის) მტკვრის მარცხენა სანაპირო 7, თბილისი. ტელ: 94-20-46. (ბინის) მცხეთის 43. თბილისი. ტელ: 29-00-01.*

**მენახოს აღორძინებული საქართველო.**



**გურამ თოფურია** ქართველოლოგი-კავკასიოლოგი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 27 მარტს. მშობლები: თამარ ლეჟავა, ვარლამ თოფურია; მეუღლე — ეთერ აბაშიძე (1934); შვილი — გიორგი (1961). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის კავკასიურ ენათა განყოფილება (1954). იყო ენათმეცნიერების ინ-ტის სწავლული მდივანი (1960-66), დირექტორის მოადგილე (1973-87). განყოფილების გამგეა 1987 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში" (1988). ავტორია 120 სამეცნიერო ნაშრომის და წიგნებისა: „ლეზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები" (1959), „ბრუნების მორფოლოგია დაღესტნურ ენებში" (1959). მიღებული აქვს არნოლდ ჩიქობავას სახელობის პრემია (1996). არის ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1994 წლიდან).

**მისამართი:** *(სამსახურის) ენათმეცნიერების ინ-ტი. ინგოროყვას 8. თბილისი 380008. ტელ: 93-29-21. (ბინის) ირ.აბაშიძის 54. თბილისი, 380062. ტელ: 22-32-06.*



**ნოდარ თოფურია** მხატვარი. დაიბადა 1942 წ. 2 აპრილს. მშობლები: შუშანა თოფურია, გიორგი ვოიტკევიჩი; მეუღლე — ვიქტორია სხირტლაძე (1945); შვილი ნატო (1967). დაამთავრა თსსა (1968). არის კულტურის სახ. ინ-ტის პედაგოგი (1994 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ერკინახშა" (1984), „ბერსკილი" (1987), „აღზევება" (1988), „მინოტავრი" და სხვ. მონაწილეობდა კონკურსებსა და სიმპოზიუმებში. მიღებული აქვს პრემია, მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მონაწილეობდა გამოფენებში: საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება, მოსკოვი (1987); საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, სეგ (1998). მისი ნამუშევრები დაცულია გალერეა TMS, სეგ. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1974). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**მისამართი:** *(ბინის) კრილოვის 10. თბილისი.*



**მირიან თოფჩიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოლოგიის ინ-ტის დირექტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1935წ. 10 მარტს. მშობლები: ნატო გოკიელი, ვლადიმერ თოფჩიშვილი; მეუღლე — მანანა დვალი (1937); შვილი — გიორგი (1959). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1958). იყო გეოლოგიის ინ-ტის უფროსი ლაბორანტი (1959), უმცროსი (1959-61), უფროსი (1967-92) მეცნიერ-თანამშრომელი, სექტორის გამგე (1992-95). დირექტორია 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ძირულას მასივის ლიასური ნალექების სტრატიგრაფია და ფაუნა" (1966); სადოქტორო — „საქართველოს ქვედაიურული და აალენიური ნალექების სტრატიგრაფია" (1992). არის 90 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 4 წიგნის ავტორი, მინერალური ნედლეულის საერთაშორისო აკადემიის საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი (1997), გეოლოგთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1997), რუსეთის პალეონტოლოგიური საზოგადოების წევრი (1967), საერთაშორისო სტრატიგრაფიული კომიტეტის იურული კომისიის წევრი, ABI-ის ს/კ საბჭოს ექსპერტი (2000). წიგნისთვის „Стратиграфия нижнеюрских и ааленских обложении Грузий" (1998) მიენიჭა ალ.ჯანელიძის სახელობის პრემია.

**ჰობი:** ჩოგბურთი, კალათბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ალექსიძის 1/9. თბილისი, 380093. ტელ: 29-39-41. ელფოსტა: Mirian@geology.acnet.ge (ბინის) ირ.აბაშიძის 21. თბილისი 380062. ტელ: 23-39-23.*

**გულწრფელობა, უღალატო მეგობრობა, სხვისი გაჭირვების გულთან მიტანა, სწრაფვა დასახული მიზნისკენ, პასუხისმგებლობის გრძნობა.**



**გრიგოლ თუმანიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტის ციტოლოგიის, ჰისტოლოგიის და ადამიანის ანატომიის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1925 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი თუმანიშვილი; მეუღლე — ქეთევან ჯანდიერი (1927); შვილები: დიმიტრი (1950), თეიმურაზი (1953). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1949). იყო ფიზიკის ინ-ტის ბიოფიზიკის განყოფილების გამგე (1957-65), ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინ-ტის ინდ. განვითარების ბიოლოგიის განყ-ბის გამგე (1965-81), თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1981-86). კათედრის გამგე და ინდ. განვითარების ბიოლოგიის ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელია 1983 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „უჯრედების ურთიერთობათა როლი ქსოვილების ზრდის რეგულაციაში" (1969). არის ავტორი წიგნებისა: „უჯრედშორისი ურთიერთქმედების როლი ცოცხალი ქსოვილების ზრდის რეგულირებაში" (1965), „უჯრედების ზრდა, დიფერენცირება და ურთიერთქმედებანი" (1973), „უჯრედების დიფერენცირება" (1977), „ცოცხალი სისტემების ონტოგენეზური თეორია" (1990). არის საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979). დაჯილდოებულია ივ.ჯავახიშვილის სახელობის მედლით (1986), ღირსების ორდენით (1997). არის საქართველოს მწვანეთა ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი, რეგენერაციის შემსწავლელთა საერთაშორისო ასოციაციის (IARR) პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Five Hundred Leaders of Influence (ABI,1997).

**ჰობი:** ფერწერა, თოჯინების თეატრი, მუსიკა, ლიტერატურა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. უნივერსიტეტის ქ. 2. თბილისი 380043. (ბინის) ქიაჩელის 22. თბილისი 380008.*

**მაღალი იდეალების გაზიარება, კეთილსინდისიერება საქმეში, მოყვასის პატივისცემა, ყოველივე ეროვნულის სიყვარული. მთავარი ჩემი საზრუნავი იყო ჩემი შინაგანი სამყაროს აგება ჩემს ახლობლებთან ერთად.**

# ი



**ნათელა იანქოშვილი** ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა გურჯაანში 1918 წ. 30 აგვისტოს. მშობლები: მარიამ ზარდიაშვილი, არჩილ იანქოშვილი; მეუღლე — ლადო ავალიანი (1913). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი (1943). შესრულებული აქვს ფერწერული პორტრეტები და პეიზაჟები; არის ავტორი ნამუშევრებისა: „ნინო ჭავჭავაძე" (1958), „ავტოპორტრეტი" (1959), „მამის პორტრეტი" (1959), „ანა კალანდაძის პორტრეტი" (1961), „გაზაფხული გომბორზე" (1968), „სხალთა" (1968), „ნიქოზის ეკლესია" (1975), „მცხეთის ჯვარი" (1967), „გურჯაანის ყველაწმინდა" (1977), „კვარას ციხე" (1974) და სხვ. დასურათებული აქვს „ვეფხისტყაოსანი" (18 ილუსტრაცია); შექმნილი აქვს სვანური, კუბური, მექსიკური ციკლები. არის საქართველოს სახალხო მხატვარი (1976), რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1996), თბილისის საპატიო მოქალაქე (2000). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**მისამართი:** *(ბინის) რუსთაველის 26. თბილისი 380008. ტელ: 99-69-10.*

**ჩემი შემოქმედებითი პრინციპები სამხატვრო აკადემიაში სწავლას არ ჩამოუყალიბებია, პირიქით, რასაც და როგორც გვასწავლიდნენ, იძულებული ვიყავი ყველაფრისგან განვთავისუფლებულიყავი და საკუთარი თავის პოვნის წლებში ყური დამეგდო „იდუმალი" ხმისთვის, რასაც და როგორც მიკარნახებდა იგი ფერწერული თუ კომპოზიციური თვალსაზრისით. ამიტომაცაა ალბათ, რომ პერსონალურ გამოფენებზე შთაბეჭდილებათა წიგნებში ასე ხშირად მეორდება ჩემი მისამართით თქმული — „არავის არ ჰგავს". მაქვს საკუთარი სახე, საკუთარი ტექნიკა და საკუთარი გემოვნება.**



**ალექსანდრე იაშვილი** გერმანიის ბუნდესლიგის საფეხბურთო კლუბ "ფრაიბურგის" მოთამაშე. დაიბადა თბილისში 1977 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ნანა ტატიშვილი, მამული იაშვილი; მეუღლე – ანა შამათავა. მიიღო არასრული სამედიცინო განათლება (5 კურსი). იყო თბილისის "დინამოს" მოთამაშე (1994-97), გერმანიის ბუნდესლიგის გუნდ "ლიუბეკის" წევრი (1997-98). არის კლუბ "ფრაიბურგის" წევრი (1998 წლიდან). ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 9 მატჩი (2 გოლი). არის 1994-95 წ.წ. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტი, 3-გზის საქართველოს ჩემპიონი(1994-96), საქართველოს თასის მფლობელი (1994-96), თბილისის "დინამოს" რეკორდსმენი (85 გოლი).

**ჰობი:** კინო, ჩოგბურთი.

**მისამართი:** *(ბინის) თამარაშვილის 5, თბილისი, 380062.*

**რასაც აკეთებ, კარგად უნდა გააკეთო. უნდა იყო შენი საქმის პროფესიონალი. დასახული მიზნის მიღწევა აუცილებელია მხოლოდ დაშვებული მეთოდებით და შრომით. უნდა დაეხმარო ყველას, ვისაც შენი დახმარება სჭირდება.**



**გიორგი (გია) იაშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 12 ივნისს. მშობლები: ალდე კაკაბაძე, რევაზ იაშვილი; მეუღლე – ეკატერინე ქავთარაძე; შვილები: ალდე, ანა. სწავლობდა თსთი სამსახიობო (1970-73) და კინოსარეჟისორო (1980) კურსებზე (1970-73). დაამთავრა თსსა კერამიკის გაყ-ბა (1978), სსრკ სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნო (1984). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნოს წევრი (1988-96), გამოყენებითი ხელოვნების სექციისა (1988-94) და მონუმენტური ხელოვნების საბჭოს (1987-88) თავმჯდომარე, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის ექსპერტთა საბჭოს წევრი (1996-2000), საერთაშორისო ორგანიზაცია LACI-ის (აშშ) წევრი და წარმომადგენელი საქართველოში. იყო „ჩიკაგო არტ"

ინ-ტის (1989), "კენტ უნივერსიტეტის" (ოჰაიო, აშშ 1992) მიწვეული პროფესორი. არის თსსა პედაგოგი, დოცენტი. არის ავტორი ნამუშევრებისა: კერამიკული ქანდაკებების ციკლი „ქალდეა", „გარინდული მხედარი", „არმაზის მწუხრი", „ხარის ნახტომი", მონუმენტური პანო „კოლხიდა", ოფორტების სერია „ნარტაცება ღამეში", დეკორატიული ჭურჭლის სერია „არქაული", „სახიობა" და სხვ. მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში (1977 წლიდან), საერთაშორისო პროგრამებსა და შემოქმედებით ჯგუფებში. მისი ნამუშევრები რეგულარულად იფინება მსოფლიო გამოფენაზე "New Art Form" (ჩიკაგო, აშშ), შეტანილია "Art in America"- ს გამოფენათა კატალოგში და დაცულია იუნესკოს, დემირელის, ATA-ს, "TMS"-ის, "Laikside GRP"-ის, "Bount GLR" გალერეებსა და ფონდებში, სეგ, საქართველოსა და უცხოეთის სახ. და კერძო კოლექციებში. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ხელოვნების სწავლების მეთოდოლოგიაზე. მიღებული აქვს სსრკ სამხატვრო აკადემიის პრემია (1984), ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი (1995-96), USAID-ის საპროგრამო (თბილისი, 1996) და საერთაშორისო ორგანიზაცია "ATA"-ს სახელობითი (აშშ, 1997) გრანტები. არის მსოფლიო ბანკის პროგრამა "კულტურული მემკვიდრეობის" ფონდის საბჭოს (1999), საქართველოს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის დირექტორატის (1996), სსრკ და საქართველოს მხატვართა (1981), სსრკ დიზაინერთა (1984) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში: „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. ტელ 99-93-57. (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4, თბილისი 380077. ტელ: 39-54-96, 39-41-53.*



**ირაკლი იაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 1 ოქტომბერს. მშობლები: ნანა მაყაშვილი, დემნა იაშვილი; მეუღლე - ნინო ლეშკაშელი (1972); შვილი – ნიკოლოზი (1996). დაამთავრა მოსკოვის მსუბუქი მრეწველობის ინ-ტი, ასპირანტურა (1990), სახალხო მეურნეობის აკადემია (1991). იყო თბილისის უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკის ინჟინერი (1984-86), დირექტორის მოადგილე, ბიზნესმენი (1991-98), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1990). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაციის პრეზიდენტი (1997), "ახალი მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი (2000 წლიდან).
ჰობი: სამთო-სათხილამურო სპორტი, ცხენოსნობა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) ათენის 3, თბილისი.*
**ნორმალურ სახელმწიფოში დავზარდო შვილები.**



**მარინა იაშვილი** მევიოლინე, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: თამარ ხაბურზანია, ლუარსაბ იაშვილი; მეუღლე — იგორ პოლიდკოვსკი (1930); შვილები: ლალი (1955), ნათელა (1962). დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორიის საორკესტრო ფაკ-ტი და ასპირანტურა (1958). იყო მოსკოვის სახ. კონსერვატორიის "მოსტრასის" ასისტენტი (1960-66); იყო თბილისის კონსერვატორიის (1966-75) და იუგოსლავიის მუსიკალური აკადემიის პროფესორი (1975-80). მოსკოვის სახ. კონსერვატორიის პროფესორია 1980 წლიდან. არის კონკურსების: პრაღის (1949), პოზნანის (პოლონეთი) ვენიავსკის სახელობის (1952), ბელგიის მეფის ელიზაბეტას სახელობის (ბელგია, ბრიუსელი, 1955) პრემიების ლაურეატი.
ჰობი: თოჯინების შეგროვება.
მისამართი: *(ბინის) კეკელიძის 12, ბ. 11. თბილისი 380079. ტელ:22-52-81.*

**ნინო იაშვილი** არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 3 იანვარს. მშობლები: ლეილა გეგეჭკორი, თენგიზ ლაშხი;



მეუღლე — მიხეილ იაშვილი (1954); შვილები: ქეთევანი (1975), ნოდარი (1978). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1978). იყო თბილისის 42-ე საშუალო სკოლის პედაგოგი (1981-99). ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს" პრეზიდენტია 1995 წლიდან. არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრი (1982).
**ჰობი:** მოგზაურობა, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) გამსახურდიას 14. ბ. 51. თბილისი 380015. ტელ: 94-37-35, 25-38-32. (877) 40-54-03. ფაქსი: 94-37-35 ელ-ფოსტა: bavshvi@caucasus.net (ბინის) ასათიანის 60. თბილისი. ტელ: 93-38-70.*

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ადამიანმა ბოლომდე უნდა მოახდინოს თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. იდეალურ შემთხვევაში პიროვნების ინტერესები უნდა ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესებს. ყოველთვის უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა მოზარდებთან მუშაობა. ამან განაპირობა ჩემი დაინტერესება დღევანდელ საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა პრობლემებით, მათი პრობლემებით, ვისაც დღეს ყველაზე მეტად უჭირს. ამ მიზნების რეალიზაციაში დამეხმარა ჩემი ენერგიულობა, მიზანსწრაფვა, ორგანიზაციული ნიჭი და რწმენა იმისა, რომ სიკეთე არ იკარგება — ერთი ადამიანიდან მეორეს გადაეცემა.



**ომარ (ოლეგ) იაძე** საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი სამბოში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი. დაიბადა სოფ. მეტეხში (კასპის რ-ნი) 1961 წ. 29 მარტს. მშობლები: ანა იაძე, გიორგი იაძე; მეუღლე — ნანა ბაზალი (1961); შვილები: გიორგი (1988), დავითი (1991). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტის სპორტული ფაკ-ტი (1987). იყო საქართველოს ჭაბუკთა (1987) და ახალგაზრდული (1988) ნაკრებების უფროსი მწვრთნელი. ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელია 1991 წლიდან. არის 5 ბროშურის, წიგნის „მარადისობის ჭაბუკი" ავტორი; ღირსების ორდენის კავალერი (1997), სპორტის დამსხურებული მუშაკი (2001). დასახელდა XXს. საუკეთესო ქართველ მწვრთნელთა ათეულში (2000).
**ჰობი:** სპორტი, განსაკუთრებით ქართული ჭიდაობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49-ა. თბილისი 380062. ტელ: 22-72-43. (ბინის) თემქის დასახლება, XI მ/რ. III კვ. კორპ. 24. ბ. 17. თბილისი. ტელ: 60-30-21.*

პირველ რიგში პატიოსნება, პრინციპულობა, შენი პიროვნების მაგალითი სხვისთვის, რაც გამოიხატება საკუთარი თავის მოთხოვნაში. საკუთარი აზრით აზროვნება, რა თქმა უნდა, უმრავლესობის აზრის გაზიარება, შრომა და კიდევ შრომა. ჩემი ცხოვრების აზრი იყო სახელის მოხვეჭა საკუთარი შრომით, რასაც ნაწილობრივ მივაღწიე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჩემი ხელმძღვანელობით ნაკრები გუნდი გახდა მსოფლიო ჩემპიონი.



**ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვი** მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 29 ივლისს. მშობლები: ნადეჟდა ჩიქოვანი-იგნატოვისა, იულიუს იგნატოვი; მეუღლე — დალი გიორგობიანი (1939); შვილი — ქეთევანი (1962). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1962). იყო სპეციალური სამხატვრო-საკონსტრუქტორო ბიუროს (1964-69) და საქართველოს ტელევიზიის მხატვრული გაფორმების სექტორის (1970-73) მთავარი მხატვარი. თსსა პროფესორი და მონუმენტური ფერწერის სახელოსნოს ხელმძღვანელია 1984 წლიდან. არის ავტორი მონუმენტური ფრესკებისა: „სიმღერა საქართველოზე" (ბიჭვინთა, 23მX8მ), „ფიროსმანის მონატრება" (თბილისის ფუნიკულიორი15მX8მ), „ცოდნის წყარო" (ქართული ენციკლოპედიის გამომცემლობა, 18მX3მ), „ბერიკაობა" (თბილისის კინოს სახლი, 12მX2,5მ); „ჩემი თეატრი" (რუსთაველის თეატრი, 8მX3მ), „ოქროს საწმისი" (სასტუმრო „ტურისტი", 12მX2,5მ); იყო დამდგმელი მხატვარი სპექტაკლებისა: რუსთაველის თეატრში — „სიბრძნე სიცრუისა", „მეფე ლირი", ოპერისა და ბალეტის თეატრში — „ჯამბაზები", „სალამურა", „ქორეოგრაფიული ნოველები". თანამშრომლობს გამომცემლობებთან: „ნაკადული", „მერანი", „საქართველო". მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში: თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, ნიუ-იორკში, ბუდაპეშტში, დელიში, ბერლინში, მიუნჰენში, ბურჟში, პარიზში, გენუაში. არის

საქართველოს სახელმწიფო (1974), მინისტრთა საბჭოს (1979), რუსთაველის (2000) პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: Who's Who (IBC, Cambridge, England), The International Who's who of Intellectuals, „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
ჰობი: ფერწერა.
მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. ტელ: 99-69-59 (ბინის) ზანდუკელის 6. თბილისი. ტელ:99-59-70.*

**კრედო — რასაც ვაკეთებ, ვაკეთო კარგად. ხელოვნება, როგორც ურთიერთობის უმაღლესი საშუალება. უმდიდრესი ქართული სახვითი ხელოვნების ტრადიციების გაგრძელება და თანამედროვე ფორმებში განმტკიცება. კერძოდ ქართული ფრესკის ტრადიციების აღდგენა და ცდა მისი თანამედროვეობაში დამკვიდრებისა, განუწყვეტელი ექსპერიმენტი და ძიება სახვითი ხელოვნების ენის და მეთოდების სფეროში. ახალგაზრდა ქართველი მხატვრების აღზრდა. აქტიური მონაწილეობა ყველაფერში, რაც ეხება ნაციონალური კულტურის და ხელოვნების აღმავლობას, საქართველოს ამ დარგში წარდგენა საზღვარგარეთის ქვეყნებში.**

**დავით ივანიშვილი** ჭიათურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ჭიათურაში 1963 წ. 31 იანვარს. მშობლები: ნანული ივანიშვილი, სეითი ივანიშვილი; მეუღლე — ირმა კაკიაშვილი (1970); შვილები: თორნიკე (1989), სეითი (1992). დაამთავრა ლვოვის ეკონომიკის ინ-ტი (1986), თბილისის პოლიტოლოგიისა და ადამიანთმცოდნეობის ინ-ტი (1996), საქართველოს შსს პოლიციის აკადემია (1997). მუშაობდა ახალგაზრდულ ორგანიზაციებში, შს ორგანოებში, კომერციულ სტრუქტურებში, სახელმწიფოს მეთაურის აპარატში, სახელმწიფო კანცელარიაში. ჭიათურის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარეა 1997 წლიდან. არის კოშიკი კარატე-დოს ევრაზიის ფედერაციის პრეზიდენტი. სმკ-ის წევრია 1996 წლიდან.
ჰობი: სპორტი, პოეზია.
მისამართი: *(სამსახურის) ნინოშვილის 7, ჭიათურა. ტელ: 93-55-58. (ბინის) საიათნოვას 1. თბილისი. ტელ: 98-49-05.*

**განათლება, პატიოსნება, პროფესიონალიზმი, ერთგულება, სიყვარული დაკისრებული საქმის, კომუნიკაბელურობა, ენერგიულობა.**



**მარინა ივანიშვილი** მოქანდაკე. დაიბადა თბილისში 1952 წ. 17 მაისს. მშობლები: ოლგა კონიაშვილი, დავით ივანიშვილი. დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1976). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის მდივანი (1987-88), არის "On-line studio"-ს ელექტრონულ კატალოგ "Art.ge"-ს კონსულტანტი ხელოვნების დარგში (2001 წლიდან); მრავალი სტატიისა და რომანების "ქილერის რვეული" (1998) და "თეთრი სივრცე" (2000) ავტორი. თანამშრომლობს ჟურნალთან "ომეგა" მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ 150-მდე გამოფენაში; დიდგორის მემორიალის კონკურსში (არქიტექტორ თ. ჯორჯაძესთან ერთად, III პრემია, 1985); არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1981). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
ჰობი: ცხოველები, განსაკუთრებით ცხენები.
მისამართი: *(ბინის) გამსახურდიას 35, თბილისი. ტელ: 96-53-40, 37-51-67.*

**კულტურის ისტორია სხეულისადმი დამოკიდებულების ისტორიაა. ჩემი კონცეფციაა: სხეულის საკრალური არსი.**



**ნიკოლოზ ივანიშვილი** სპორტსაზოგადოება "დინამოს" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1969 წ. 15 მარტს. მეუღლე — ეკა საღარაძე (1970). დაამთავრა სპი, თსუ. იყო თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე (1995-96), შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარე (1996-97), საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი (1997-99), შტაბის უფროსის მოადგილე (1992-2000). დაჯილდოებულია პოლიციის პოლკოვნიკის მედლით მხედრული მამაცობისთვის (2000), არის ღირსების ორდენის კავალერი (2000).

ჰობი: ფეხბურთი, მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) წერეთლის 2, თბილისი. ტელ: 95-62-06, 95-14-36. (ბინის) კეკელიძის 18, თბილისი. ტელ: 23-15-39.*
**ოჯახი, ქვეყანა, მეგობრები.**



**ილია II (ირაკლი ღუდუშაურ-შიოლაშვილი)** სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. დაიბადა ელადიკავკაზში 1933 წ. 4 იანვარს. მშობლები: ნატალია კობაიძე, გიორგი ღუდუშაურ-შიოლაშვილი. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია (1960). ბერად აღიკვეცა და ხელდასხმულ იქნა იეროდიაკონად (1957), მღვდელმონაზონად (1959), აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში (1960), არქიმანდრიტის ხარისხში (1961). ხელდასხმულ იქნა შემოქმედელ ეპისკოპოსად (1963). აღყვანილ იქნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ხარისხში (1965). იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი (1963-72), მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს პრეზიდენტი (1978-83). სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქია 1977 წლის 25 დეკემბრიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია" (1960). ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება — Honoris Causa — მიანიჭა ნიუიორკის სასულიერო სემინარიამ (1979), ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ.ტიხონის სალვთისმეტყველო სემინარიამ (1998). მიღებული აქვს საქართველოს, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის ეკლესიათა უმაღლესი ხარისხის ორდენები, „ხალხთა მეგობრობის ორდენი". არის ნიუ-იორკის წმ.ვლადიმირის სასულიერო სემინარიის (1986), კვიპროსის სასულიერო აკადემიის (1997) საპატიო დოქტორი, მოსკოვის სასულიერო ინფორმატიზაციის აკადემიის წევრი (1997), ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს წმ.ინოკენტის ორდენის მფლობელი (1998).
**ჰობი:** მუსიკა, ხატვა, მებაღეობა.
**მისამართი:** *(რეზიდენციის) ერეკლე მეორეს მოედანი 1. თბილისი 380005. ტელ: 99-03-78. ფაქსი: 98-71-14. ელ-ფოსტა: ecclesia@access.sanet.ge*
**ღვთისა და ხალხის სამსახური.**



**თამაზ ილიაშვილი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა 1963 წ. 18 მარტს სოფ. ალაიანში (კასპის რ-ნი). მშობლები: ლამარა ქადაგიშვილი, გიორგი ილიაშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990). იყო საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი (1995-99), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999-2000). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 2000 წლიდან.
**ჰობი:** კითხვა, ნადირობა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 93-57-41. (ბინის) ლენტეხის 1, თბილისი 380002. ტელ: 95-22-41.*
**სამართლიანობა, პრინციპულობა, დამოუკიდებლობა, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი.**



**დავით იმედაშვილი** ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო Black Sea Press-ის დამაარსებელი და გენერალური დირექტორი, РИА „Новости"-ის საქართველოს განყოფილების უფროსი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 1 მაისს. მშობლები: ევგენია სოლოვიოვა, შალვა იმედაშვილი; მეუღლე — აელიტა ცაგარელი (1941); შვილები: ელენე (1967), ალექსანდრე (1975). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყოფილება (1965). იყო მეცხრე სამშენებლო სამმართველოს მუშა (1958-60), გაზეთ „Вечерный Тбилиси"-ის უშტატო კორესპონდენტი (1962-64); „Молодеж Грузии" -ის სპორტის განყოფილების გამგე (1964-66), ინფორმაციის განყოფილების გამგე (1966-70), „Агентство печати Новости"-ის (АПН) საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში (1970-75); საქართველოს განყბის გამგის მ.შ. (1975-76), АПН-ის საკუთარი კორესპონდენტი (1977-85), АПН-ის

ქართული განყ-ბის გამგე (1985-91). არის მრავალი სტატიის, რამდენიმე კინოსცენარის ავტორი. РИА„Новости"-ის საქართველოს განყ-ბის უფროსია 1991 წლიდან, სააგენტო „BS-Press"-ის გენერალური დირექტორი — 1994 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი (2001).
**ჰობი:** სპორტი, წიგნები, ლიტერატურა, ჭადრაკი.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 42. თბილისი 380008. ტელ: 93-51-20. ფაქსი: 93-17-49.*

**უპარტიობა, პროფესიონალიზმი, მიუკერძოებლობა, სიტყვისა და პრესის თავისუფლება.**



**კობა იმედაშვილი** საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 15 აპრილს. მშობლები: ნინო იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილი (იშვილა პაპამ, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა, მამის, სუმბატ შირაკუნის, ერევნის უნივერსიტეტის პედაგოგის, რეპრესირების გამო 1937 წელს); მეუღლე — ნანა ასკურავა (1942); შვილები: ლაშა (1960), საბა (1982). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1958). იყო ქართული ლიტერატურის ინ-ტის ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რუსთაველის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, თბილისის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგი, თსთი და თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტების ლექტორი, ტელევიზიის შემოქმედებითი გაერთიანება „სხივის" ხელმძღვანელი, სახელმწიფო მეთაურის აპარატის მთავარი სახ. მრჩეველი, სახ. კანცელარიის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყბის უფროსი. არის ლიტერატურის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველოს სახ. კანცელარიის კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსია 1992 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული საბჭოთა პროზის გმირი" (1973). გამოცემული აქვს შვიდი წიგნი: „დიდი და ძნელი გამოცდები", „მიჯნა", „საუბრები" და სხვ. იყო რუსთაველის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. არის საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პუბლიცისტიკის დარგში (1995).
**ჰობი:** ბაღის მოვლა (ხეხილი, ვაზი, ბალახი).
**მისამართი:** *(სამსახურის) სახელმწიფო კანცელარია. ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ: 93-14-21, 99-67-90. ფაქსი: 98-97-10. (ბინის) კოტე მესხის 29. თბილისი, 380008. ტელ: 99-86-17.*

**დაეხმარო ყველას, ყველგან და ყოველთვის, თუ ამ დახმარებას სხვისთვის ზიანი არ მოაქვს.**



**უშანგი იმერლიშვილი** მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1943 წ. 11 ივნისს. მშობლები: ელენე ორჯონიკიძე-იმერლიშვილი, მიხეილ იმერლიშვილი; მეუღლე – დოდო ცომაია (1950); შვილი – ირაკლი (1971). დაამთავრა თსსა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განყ-ბა (1970). იყო ახალციხის დრამატული (1969-72), თბილისის მუსკომედიის (1974-83) თეატრების მთავარი მხატვარი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის დამდგმელი მხატვარი (1983-94). გააფორმა 150-მდე სპექტაკლი, მათ შორის: "აბესალომ და ეთერი", "ლეილა", "ოტელო", "ყვარყვარე" (ყველა მ. შველიძესთან ერთად), "სამი ფორთოხლის სიყვარული", "დონ კიხოტი", "ქეთო და კოტე" (პოლონეთი), "ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკი" და სხვ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1985), მ.აბაშიძის პრემიის ლაურეატი (1996), მხატვართა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**მისამართი:** *(ბინის) ვლ. ალექსი-მესხიშვილის 49, თბილისი. ტელ: 69-46-90.*

**სიკეთე, სიყვარული.**



**თამაზ იმნაიშვილი** სპორტსმენი, საქართველოს სროლის და მშვილდოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 28 ივლისს. მშობლები: ნუნუ გაჩეჩილაძე, ზურაბ იმნაიშვილი; მეუღლე — ლამარა იმნაიშვილი (1956); შვილები: ნინო (1991), თენგიზი (1994). დაამთავრა თბილისის ფიზიკური კულტურის სახ. ინ-ტი (1975) და თსუ ეკნომიკის ფაკ-ტი (1987), ფიზიკური კულტურის ინ-ტის ასპირანტურა (1980). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ბიოლოგიაში (1988). გამოქვეყნებული აქვს 5 სტატია. იყო საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ინსტრუქტორი (1980-91), სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1991-97), სიდნეის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ქართული მისიის ხელმძღვანელი (2000). არის სპორტის დამსახურებული ოსტატი სასტენდო სროლაში. წლების მანძილზე არის საქართველოს ნაკრების წევრი სასტენდო სროლაში, ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიოს რეკორდსმენი, სამი ოლიმპიადის მონაწილე, ღირსების ორდენის კავალერი (1994). მისი ბიოგრაფია შეტანილია ატლანტის ოლიმპიადისადმი მიძღვნილ ცნობარში (1996). დასახელებულია მე-20 საუკუნის 15 უძლიერეს ქართველ სპორტსმენს შორის (1999).
**ჰობი:** ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49. თბილისი 380062. ტელ: 23-55-80. (ბინის) ჭავჭავაძის 75, ბ.18. თბილისი 380062. ტელ: 23-42-05.*

**საკუთარ თავზე მუშაობა, პუნქტუალურობა, საქმის ერთგულება, ოჯახის და მეგობრების სიყვარული. სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს.**



**კახა იმნაძე** საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანი, დიპლომატი. დაიბადა თბილისში 1969 წ. 4 თებერვალს. მშობლები: ლუარა რაფავა, გურამ იმნაძე; მეუღლე — ლიკა ფალიაშვილი-იმნაძე (1971); შვილი — ანა-მარია-ელიზაბეთი (1998). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1992). სხვადასხვა დროს სწავლობდა ჰოლანდიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინ-ტში, ლაიდენისა და როტერდამის უნივერსიტეტებში (ჰოლანდია), სენტ-კატერინის რიდლის კოლეჯში (კანადა). იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს სტაჟიორი, III, II, I მდივანი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, I ევროპული სამმართველოს უფროსი (1989 წლიდან), საქართველოს მეკავშირე თანამშრომელი ნატოში (1994-98), საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე (1998 წლიდან), ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე სამხედრო პოლიტიკის საკითხებში (1998-2000). საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანია 2000 წლიდან.
**ჰობი:** მუსიკა (ჯაზი), არქიტექტურა (ინტერიერის დიზაინი), ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ: 99-96-53. ფაქსი: 99-92-00. ელ-ფოსტა: k_i@presidpress.gov.ge*

**ადამიანი უნდა იყოს მართალი საკუთარი თავის წინაშე.**



**ხასან ინაიშვილი** მხატვარი, მხატვართა კავშირის აჭარის ფილიალის თავმჯდომარე. დაიბადა ქობულეთის რ-ნში 1942 წ. 22 სექტემბერს. მშობლები: თინათინ ინაიშვილი, დურსუნ ინაიშვილი; მეუღლე — ნაზი მჟავანაძე; შვილები: თინათინი (1966), კახა (1970). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1965). გამოფენებში მონაწილეობს 1965 წლიდან. მისი ნამუშევრები დაცულია კიევის რუსული ხელოვნების მუზეუმში; მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1982), საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი სახვითი ხელოვნების დარგში (1988). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1966). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**მისამართი:** *(ბინის) აღმაშენებლის 160, ქობულეთი. ტელ: 6-43-91*

**ხვედრი ინასარიძე** მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა პარიზში 1932 წ. 6 დეკემბერს. მშობლები: ნინო ინა-



სარიძე, ნიკო ინასარიძე; მეუღლე ცისანა ფირცხალავა (1942); შვილები: ნიკო (1971), ქეთინო (1972). დაამთავრა თსუ მათემატიკის ფაკ-ტი (1958). იყო მათემატიკის ინ-ტის უმცროსი, უფროსი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1961-89), არის ალგებრის განყოფილების გამგე (1989 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ტოპოლოგიური სივრცეების და მათი უწყვეტი ასახვების სასრული რიგის ნაზრდები" (1966); სადოქტორო — „კოჰომოლოგიები მნიშვნელობით ნახევარჯგუფებში" (1970). არის ავტორი წიგნებისა: "Agebraid K-theory" (1995),"Von-abelian Homologica Algebra and its Applications" (1997); ახალი საერთაშორისო მათემატიკური ელექტრონული ჟურნალის დამაარსებელი (1998). იყო საქართველოს მათემატიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე (1990-97), ევროპის მათემატიკოსთა საზოგადოების წევრი. არის ა.რაზმაძის სახელობის (1998) და ხორეზმის სახელობის საერთაშორისო I (1999) პრემიების ლაურეატი მათემატიკის დარგში.

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა და მუსიკა, ჩოგბურთი და თევზაობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) მათემატიკის ინ-ტი. ალექსიძის 1, თბილისი 380093. ტელ: 33-47-28. ელ-ფოსტა: hvedri@rmy.acnet.ge (ბინის) ჭავჭავაძის 75, III კორპ. ბ. 35, თბილისი 380062. ტელ: 23-08-52.*

**ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ჩემს ოჯახს შემოქმედებით მუშაობასთან ერთად გამუდმებით უხდებოდა ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისათვის. ასე იყო ემიგრაციაში (საფრანგეთში) ყოფნის დროს (იქ დავიბადე და გავიზარდე), ასე იყო საქართველოში ჩამოსვლისას, შემდეგ ყაზახეთის უდაბნოში, სადაც 1951 წელს გადაგვასახლეს და ასეა ახლაც. ამიტომ ასეთ პირობებში რაიმეს რომ მიაღწიო, უნდა გწამდეს საკუთარი ძალების და იყო შენი სამშობლოს ერთგული.**

**ანტონ ინგოროყვა** გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. დაიბადა სოფ. მაკვანეთში (ოზურგეთის რ-ნი) 1948 წ. 8 იანვარს. მშობლები: ევგენია ქარცივაძე, ვლადიმერ ინგოროყვა; მეუღლე – ფერიდე ხიდეშელი (1952); შვილები: ლადო (1975), დათო (1977), გიორგი (1984). დაამთავრა სპი სამთო გეოლოგიური ფაკ-ტი (1971), თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტი (1978). იყო პარტიულ სამუშაოზე (1976-90), საქართველოს პარლამენტის წევრი (1990, 1999). არის სპი პროფესორი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "საწარმოს შრომის ნაყოფიერების გაზრდის ეკონომიკური პარამეტრი". არის მონოგრაფიის (1989), სახელმძღვანელოს (1997), დამხმარე სახელმძღვანელოს (1998), სტატიების (1988-96) ავტორი ეკონომიკის საკითხებზე. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით (1979).

**ჰობი:** სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) უზნაძის 37 /კოსტავას 75, თბილისი. ტელ: 23-71-22. (ბინის) თაქთაქიშვილის 3, თბილისი. ტელ: 23-02-21.*

**მშობლების ღვაწლის დაფასება, დაბადების ადგილისა და მშობელი მიწის დიდი სიყვარული, კარგი ოჯახის შექმნა და მისი ყოველმხრივ გაძლიერება, საქმეში ყოველმხრივ გაანალიზებული მიზნის დასახვა და მისი შესრულების გზაზე პრაგმატულად აზროვნება. კარგი სამეგობრო წრის შექმნა, ზრუნვა მის განმტკიცებაზე და გაფართოებაზე. ქვეყნის ალმშენებლობაში საკუთარი მოკრძალებული, მაგრამ კონკრეტული წვლილის შეტანა.**



**გიორგი (გივი) ინწკირველი** იურისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1926 წ. 8 მარტს. მშობლები: ნინო ინწკირველი, ზაქარია ინწკირველი; მეუღლე — ინა ყიფიანი (1935); შვილები: რუსუდანი (1959), ზაზა (1957). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1948), მოსკოვის სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1991). იყო თსუ იურიდიული ფაკ-ტის დეკანი (1952-66), სსრკ საკონსტიტუციო ზედამხედველობითი კომიტეტის წევრი (1989-92); საქართველოს საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1994-95). არის თსუ სამართლის თეორიისა და სახ. სამართლის კათედრის გამგე, ხარისხების მინიჭების საბჭოს თავმჯდომარე (1962 წლიდან), იურიდიული ფაკ-ტის დეკანი (1989 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია:

„გერცენის პოლიტიკური შეხედულებები" (1951); სადოქტორო — „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები" (1965). მისი ავტორობით გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოები უმაღლესი და საშუალო სკოლებისათვის: „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია", „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები", მონოგრაფიები, ბროშურები, კანონმდებლობის კომენტარები, სტატიები ჟურნალებში ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე. არის პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო (1964), საერთაშორისო სამართლის (1980) ასოციაციების წევრი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის საპატიო წევრი (1993), უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი (1994), შედარებითი სამართალმცოდნეობის საერთაშორისო ინ-ტის წევრი, სამართლის პროფესორთა მსოფლიო (1996), „არასამთავრობო საერთაშორისო იურისტთა კავშირის" ორგანიზაციის საკოორდინაციო კომიტეტის წევრი (1996), აღნიშნული ორგანიზაციების მსოფლიო კონგრესების მონაწილე; თსუ საკანონმდებლო საქმიანობის სამეცნიერო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი (1998), საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საკონსტიტუციო სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოების თავმჯდომარე (2000), უზენაესი სასამართლოს საკონსულტაციო საბჭოს წევრი, საქართველოს ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოს იურიდიული სექციის ხელმძღვანელი, მიწვეული იყო სახ. გამოცდების თავმჯდომარედ მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ხარკოვის, როსტოვის უმაღლეს სასწავლებლებში. არის სსრკ საპატიო ნიშნის (1962), საქართველოს ღირსების (1996) ორდენების კავალერი, ჰიუსტონის, ოსტინისა და ლაბოკის (აშშ) საპატიო მოქალაქე. მისი ბიოგრაფია შესულია ენციკლოპედიაში „საქართველო".

**ჰობი:** სპორტი, ფოტოგრაფია.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 22-37-10. (ბინის) მოსაშვილის 3, ბ.27. თბილისი 380079. ტელ: 22-10-18.*

**ადამიანებში ვაფასებ: მამაკაცებში — კაცურობას, მანდილოსნებში — ქალურობას.**



**იობი (აქიაშვილი)** ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი. დაიბადა სოფ. სნოში (ყაზბეგის რ-ნი) 1960 წ. 29 მაისს. მშობლები: ბარბარე ელოშვილი, ზურაბ აქიაშვილი. დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1983). აღიკვეცა ბერად (1988). გახდა დიაკვანი და მღვდელი (1988), ეპისკოპოსი (1992). იყო თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის პრორექტორი (1992), ხულოს სასულიერო სასწავლებლის რექტორი (1993), ბათუმისა და სხალთის ეპისკოპოსი (1992-96). საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსია 1996 წლიდან. მიენიჭა მიტროპოლიტის ხარისხი (2000).

**მისამართი:** *(ბინის) ლესელიძის 8. სურამი. ტელ: 2-30-52. ფაქსი: 98-27-08.*

**ადამიანში ვაფასებ სიმართლეს, სიყვარულს, ერთგულებას, სამშობლოს სიყვარულს. ღმერთის რწმენა და ეროვნული ტრადიციებია, რითაც ეცხოვრობ და იმედი მაქვს მომავლის. წინაპართა გმირული მაგალითები მაძლევს იმ სულიერ ძალას, რითაც მე დღეს ვემსახურები ჩემს დედა ეკლესიას.**

**იოსები (კიკვაძე)** შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი. დაიბადა ჩოხატაურში 1961 წ. აღიკვეცა ბერად (1991), აკურთხეს მღვდლად (1992), იყო სვეტიცხოვლის ტაძრის იღუმენი (1992-95), ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1995), მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (2000).

**მისამართი:** *ტელ: 6-60-88 (ოზურგეთი), 79-91-12 (თბილისი).*



**ავთანდილ იოსელიანი** საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 17 აგვისტოს. მშობლები: იულია იოსელიანი, შოთა იოსელიანი; მეუღლე — მარინე იოსელიანი (1955); შვილები: ნინო (1978), ეკა (1979), სოფო (1984). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1973). მუშაობდა უშიშროების სამინისტროში, გაიარა გზა რიგითი

თანამშრომლიდან მინისტრის I მოადგილემდე (1974-97). დაზვერვის სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარეა 1997 წლიდან. დაჯილდოებულია ვ. გორგასლის II ხარისხის ორდენით (1996), ღირსების ორდენით (2000). არის სახ. უშიშროების საბჭოს წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) დ. აღმაშენებლის ხეივანი 13. თბილისი. ტელ: 53-01-29.*

**თუ რა არის ჩემი ცხოვრების კრედო და რამ განაპირობა წარმატება — არ არის მარტივი. ჩემი აზრით, ის მთავარი, რამაც განსაზღვრა მთელი ჩემი ცხოვრების გზა, სიყვარულია. სამშობლოს სიყვარული, საქმის სიყვარული, ოჯახის სიყვარული, მეგობრების სიყვარული და სიცოცხლის სიყვარული. იქ, სადაც ყველაფრის განმსაზღვრელი სიყვარულია, წარმატება თავისით მოდის. ჩემი მთავარი მიზანია ქვეყნის გაერთიანება, საქართველოს აყვავებაში აქტიური მონაწილეობა.**



**გიორგი იოსელიანი** ექიმი-ქირურგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინ-ტის საპატიო დირექტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1917 წ. 30 დეკემბერს. მშობლები: ელენე ნიკოლაიშვილი, დავით იოსელიანი; მეუღლე — თამარ კონიაშვილი (1921); შვილები: დავითი (1943), სოფიო (1952). დაამთავრა თსსი (1941). იყო თბილისის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს (1944-45, 1948-50), მოსკოვის სკლიფასოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების ინ-ტის (1946-47) ექიმი-ორდინატორი, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1950-52), სწავლული მდივანი (1952-56), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1956-74), დირექტორი (1974-88), საპატიო დირექტორია 1989 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „კუჭის დისტალური და თორმეტგოჯა ნაწლავის პროქსიმალური ნაწილების ფორმისა და მდებარეობის სხვადასხვა ვარიანტები" (1948), სადოქტორო: „ღვიძლის შეგუბებითი ექსპერიმენტული ციროზის საკითხისათვის" (1952). არის 262 სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის 8 მონოგრაფიის) ავტორი, აკად. გრ.მუხაძის სახელობის ქირურგიული საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე (1999), ქირურგთა მსოფლიო ასოციაციის წევრი, აშშ-ის ქირურგთა საერთაშორისო კოლეგიის წევრი, საქართველოს და რუსეთის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიების წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1998).
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ქირურგიის ინ-ტი. ჭიაურელის 1. თბილისი 380059. ტელ: 52-89-06. (ბინის) ვ.ანჯაფარიძის 9. თბილისი 380009. ტელ: 22-55-74.*

**მე ძალიან ორგანიზებული პიროვნება ვარ. კრედო — პრინციპულობა. მე პლატონ იოსელიანის შთამომავალი ვარ. 1968 წლამდე ვცხოვრობდი პლატონ იოსელიანის სახლში (ჩახრუხაძის 6). ჩემი შვილი არის ექიმების IV თაობა. ოჯახში ტრადიციულად ინახება გიორგი XIII-ის საუფლისწულო დროშა, რომელიც ადრე ხატის მსგავსად ჩაკეტილი იყო და ხალხს უფლება ჰქონდა კვირაობით ელოცა დროშის წინ.**



**თეიმურაზ იოსელიანი** მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ ფიზიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა ქუთაისში 1929 წ. 21 ოქტომბერს. მშობლები: ელენე ყიფიანი-იოსელიანისა, კლიმენტი იოსელიანი; მეუღლე — ქეთინო ჩოხელი-იოსელიანი (1941). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1955), ფიზიოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1958). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის უმცროსი (1958-61), უფროსი (1961-76) მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე (1976-83), თსუ ადამიანთა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი (1960-70). პროფესორია 1970 წლიდან, კათედრის გამგე — 1978 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ჟელატინოზური სუბსტანციის როლი ზურგის ტვინის რეფლექსურ მოქმედებაში" (1959), სადოქტორო — „ზურგის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმები" (1968). არის ავტორი მონოგრაფიისა „ზურგის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმები" (1970); სახელმძღვანელოების: „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია" (1974), „ზოგადი ნეიროფიზიოლოგია" (1993), „ფიზიოლოგია, ვისცერალური სისტემები" (1996). კითხულობდა ლექციების კურსს იენის (1974) და ქ.ოუელის (1980) უნივერ-

სიტეტებში. იყო ფიზიოლოგიის ინ-ტთან არსებული სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე (1976-79), არის თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი (IBRO,1974), სოროსის ფონდის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1994), მედიცინის მეცნიერებათა (1994), ეკოლოგიურ მეცნიერებათა (1995), ნიუ-იორკის (1995) აკადემიების ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი (1998), მიენიჭა ABI-ის სიგელი „1998 წლის გამოჩენილი ადამიანი" და „2000 წლეულის საპატიო ოქროს მედალი"

**ჰობი:** ჭადრაკი, მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. უნივერსიტეტის 2. თბილისი. (ბინის) ბახტრიონის 8. ბ. 28. თბილისი, 380094. ტელ: 38-58-15.*



**ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ** მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 12 თებერვალს. მშობლები: ნათელა ხვედელიძე, მიხეილ იოსელიანი; შვილი — ნინო კუპრაშვილი (1983). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1985). არის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების 5-გზის ჩემპიონი (1980, 1982, 1992, 1994, 1996). მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი (1988, 1993). მონაწილეობდა სენიორებისა და მსოფლიოს უძლიერეს ქალთა ტურნირში (1 ადგილი, მიუნჰენი, 2000), სტამბოლის საჭადრაკო ოლიმპიადაზე მოიპოვა ვერცხლის მედალი გუნდურ ასპარეზობაში (2000). დაჯილდოებულია ვ.გორგასლის III ხარისხის ორდენით (2001), ღირსების ორდენით (2001). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.

**ჰობი:** კომპიუტერი, მუსიკა.

**მისამართი:** *(ბინის) ფალიაშვილის 61, ბ.13. თბილისი 380079. ტელ: 39-37-33.*

**შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, კეთილგანწყობილი ატმოსფერო.**



**ᲝᲗᲐᲠ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ** რეჟისორი და სცენარისტი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1934 წ. 2 თებერვალს. მშობლები: მარიამ მიქაბერიძე, დავით იოსელიანი; მეუღლე — რიტა სემენოვა-იოსელიანი (1935); შვილი — ნანა (1958). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო სახ. ინ-ტი (მოსკოვი, 1961). იყო საქართველოს ქრონიკულ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის II კატეგორიის რეჟისორი (1959-60); რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს მექურე (1963), კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1961-85). არის მხატვრული და დოკუმენტური ფილმების რეჟისორი და რეჟისორ-სცენარისტი, რომელთა უმრავლესობა სპეციალური პრიზებით აღინიშნა მსოფლიო კინოფესტივალებზე: „აკვარელი" (1958), „საპოვნელა" (1959), „აპრილი" (1962); „თუჯი" (1964) „ძველი ქართული სიმღერა" (დოკ. 1969). „გიორგობისთვე" (1966. ჟორჟ სადულის პრიზი, კანის Fipresci), „იყო შაშვი მგალობელი" (1970. იტალიის კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო უცხოური ფილმისთვის), „პასტორალი" (1976. კანის Fipresci, ბერლინის ფესტივალის პრიზი, 1981). „შვიდი პიესა შავ-თეთრი კინოსათვის" (1982), "Euskadi— ბასკეთი" (1983), „მთვარის ფავორიტები" (1984. ვენეციის 41-ე ფესტივალის გრან-პრი, ვატიკანის პრიზი), „პატარა მონასტერი ტოსკანაში" (1988), „და იქმნა ნათელი" (1989. ვენეციის 46-ე კინოფესტივალის გრან-პრი), „ნადირობა პეპლებზე" (1992. ბერლინის ხელოვნების აკადემიის გრან-პრი, რუსეთის „ტრიუმფი" საუკეთესო უცხოური ფილმისათვის), „საქართველო ერთია" (1993-1994. სატელევიზიო ფილმი), „ყაჩაღები, VII თავი" (1996, ვენეციის 53 ფესტივალის გრან-პრი), "Adieu, plancher des vashes!" (1999, ევროპული კინემატოგრაფიის პრიზი წლის საუკეთესო ფილმისათვის, ლუი დელუკის პრიზი წლის საუკეთესო ფრანგული ფილმისათვის, მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი „ოქროს ვერძი" საუკეთესო უცხოური ფილმისათვის, 2000). დაჯილდოებულია თსუ ივანე ჯავახიშვილის მედლით.

**მისამართი:** *(ბინის) მიცკევიჩის ქ. კორპ. 1, ბ.38. თბილისი. ტელ: 38-50-58, 94-04-81.*



**ჯაბა იოსელიანი** მწერალი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი, პოლიტიკური ორგანიზაცია „მხედრიონის" თავმჯდომარე. დაიბადა ხაშურში 1926 წ. 10 ივლისს. მშობლები: ალექსანდრა ჟღენტი, კონსტანტინე იოსელიანი; მეუღლე — ვენერა ბოლქვაძე (1928); შვილი — კონსტანტინე (1971). დაამთავრა თსთი თეატრთმცოდნეობის ფაკ-ტი (1973). იყო კინოსა და თეატრის ხელოვნების მუზეუმის დირექტორის მოადგილე (1973-75), თეატრალური ინ-ტის სწავლული მდივანი, თეატრისა და კინოს სექტორის უფროსის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1975-89), საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1992), საგანგებო მდგომარეობის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე (1993-94), პარლამენტის წევრი (1992-95), მაშველთა კორპუსის საპატიო თავმჯდომარე (1989-95), ქართულ-აფხაზური სამშვიდობო მოლაპარაკებების საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი (ჟენევა, 1993,1994). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სერგო ამაღლობელი" (1978), სადოქტორო „კომიზმი და ქართული კომედიის ნიღბები" (1982). არის ავტორი რომანებისა: „სანიტარული მატარებელი" (1988), „ლიმონათის ქვეყანა" (წარდგენილი იყო სახელმწიფო პრემიაზე, 1996), „სამი განზომილება" (1998), „სარეჟისორო გეგმა" (1999); პიესებისა: „სტუმარი" (1987), „ეთერიანი" (1987), „ტაკიმასხარა" (1987), „შავი კატა", „ულტიმა რაციო", „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი"; ესეებისა და მონოგრაფიების, სამეცნიერო და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების. მისი პიესები იდგმება ქართული თეატრების სცენებზე (ძირითადად მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, 1973 წლიდან). არის ვ.გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი (1993).
**ჰობი:** ფეხბურთი, მუსიკა.
**მისამართი:** *(ბინის) პლ.იოსელიანის 37. თბილისი. ტელ: 33-70-14.*



**მურმან ისაევი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. დაიბადა სოფ. ალიაბადში (ზაქათალას რ-ნი) 1954 წ. მშობლები: სონა ისაევა, ჰასრათ ისაევი; მეუღლე — სედა ისაევა; შვილები: ჰასრათი (1988), მურადი (1990). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1977). იყო შსს გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი.
**ჰობი:** ფეხბურთის თამაში.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო.ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი, 380010. ტელ: 93-52-94, 98-20-75. (ბინის) იოანე პეტრიწის 8. ბ.8. თბილისი.*

**ვემსახურებოდი მხოლოდ სიმართლეს. სურვილი მაქვს საქმეზე დავადგინო ჭეშმარიტება, რაც გარკვეულ სიამაყეს მგვრის ცხოვრებაში.**

**ისაია (ჭანტურია)** ნიქოზისა და ცხინვალის მთავარეპისკოპოსი. დაიბადა ნალენჯიხაში 1961 წ. დაამთავრა თსთი კინოფაკულტეტი (1993). წმ. ანტონ მარტყოფელის მონასტერში ალიკვეცა ბერად (1993), ხელდასხმულ იქნა დიაკვნად (1993-95), მღვდლად, იყო მონასტრის წინამძღვარი, ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1995), იყო საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური განყ-ბის თავმჯდომარე (1995-97), მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (2000).
**მისამართი:** *ნიქოზის საკათედრო ტაძარი. ტელ: (877) 41-27-45.*



**გიორგი ისაკაძე** საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ფისკალურ და საბიუჯეტო საკითხებში. დაიბადა თბილისში 1975 წ. 3 აგვისტოს. მშობლები: თამარ ნიჟარაძე, შალვა ისაკაძე. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით. იყო საქართველოს საფონდო-საპრივატიზაციო ბირჟის, TBC-ბანკის საერთაშორისო განყ-ბის მენეჯერი, გაზეთ "გულანის" ეკონომიკის განყ-ბის უფროსი, გაზეთის "ბანკები და ფინანსების" რედაქტორი, პროგრამა "საქმეს" (საქართველოს ტელევიზიის I არხი) ავტორი და წამყვანი, პრეზიდენტის მრჩეველი სოციალურ საკითხებში (1996 წლიდან), სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანაშემწე, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს აპარატის უფროსი, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი. არ-

ის თსუ ასპირანტი; თბილისის მერიისა და მუნიციპალიტეტის მუშაობის შესახებ დოკ. ფილმების ციკლის "თბილისის დროით" ავტორი (1998-99).
**ჰობი:** ინტერნეტი, წიგნები.
**მისამართი:** *(სამსახურის) ინგოროყვას 7, 380008, თბილისი. ტელ: 92-16-23. ელ-ფოსტა: isakadze@hotmail.com*
**მოძრაობა წინ.**



**თედო ისაკაძე** საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1966 წ. 27 ივნისს. მშობლები: დოდო სამანიშვილი, რეზო ისაკაძე; მეუღლე — მარინე ხუბულური; შვილები: გიორგი (1990), თეკლა (1996). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1989). იყო ახალგაზრდობის საქმეთა სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარე (1993-95), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმის მხარეში (1995-99). არის თსუ ქრისტიანული კულტურის კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი (1990 წლიდან). აქვეყნებდა სტატიებს ფილოლოგიის, ფილოსოფიის, მითოლოგიისა და ხელოვნების საკითხებზე. იყო „პერესტროიკის" პერიოდში გამომავალი ერთ-ერთი პირველი ლეგალური ოპოზიციური გაზეთის „თსუ სტუდენტური ფურცლის" ერთ-ერთი გამომცემელი (1986-88), პირველი კერძო ყოველდღიური გაზეთის „ივერია ექსპრესის" გამომცემელია 1993 წლიდან. არის თსუ პრესკლუბისა და „საქართველოს პოლიტიკური კლუბის" წევრი.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) სახელმწიფო კანცელარია. ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ:93-50-33. (ბინის) ბახტრიონის 20, ბ.93. ტელ: 96-92-70.*



**ლამარა ისაკაძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. დაიბადა თბილისში 1936 წ. 8 ნოემბერს. მშობლები: თამარ მაისაშვილი, პარმენ ისაკაძე; მეუღლე — მერაბ ყალიჩავა (1937); შვილი — თამარი (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1959). იყო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" ლიტერატურული მუშაკი (1960-74), უზენაესი სასამართლოს უფროსი კონსულტანტი (1974-76). უზენაესი სასამართლოს წევრია 1976 წლიდან. იყო სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1961-88).
**ჰობი:** ქართული კულტურის ძეგლები, პოეზია, ფერწერა, მუსიკა, საქართველოს ისტორია.
**მისამართი:** *(სამსახურის) უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი 380010. ტელ: 99-04-30.*
**მამული, ენა, სარწმუნოება. სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, არაფერი სიმართლის გარდა.**



**ლიანა ისაკაძე** მევიოლინე და დირიჟორი, დ.ოისტრახის სახელობის სახელმწიფო აკადემიის (გერმანია) სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1946 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: გალინა კვირიკაშვილი, ალექსანდრე ისაკაძე; მეუღლე — თამაზ ჩაჩავა (1940). დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორია (1970). იყო მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი (1970-92). საქართველოს სახ. კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელია 1981 წლიდან, დ. ოისტრახის სახელმწიფო აკადემიის (გერმანია) სამხატვრო ხელმძღვანელი — 1992 წლიდან. არის პ.ჩაიკოვსკის, ჟაკ ტიბოს, სიბელიუსის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, ზ.ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1999). მისი ბიოგრაფია შეტანილია გერმანიის მუსიკალურ ენციკლოპედიაში, ABI-ის (1997), IBC-ის (1999) ბიოგრაფიულ ენციკლოპედიებში.
**მისამართი:** *(სამსახურის) Hoheschul str.4 Ingolstadt. ფაქსი: 8456-26-17.*
**ჩემი მოვალეობის ღმერთის და ხალხის წინაშე პატიოსნად და სიყვარულით შესრულება.**



**ამირან კავაძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში, ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 21 აპრილს. მშობლები: თინა კავაძე, ვასილ კავაძე; მეუღლე — ია ჯიბლაშვილი (1961); შვილები: თინათინი (1986), ეკატერინე (1987). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1973), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (მოსკოვი, 1978), ბაქოს სოციალურ და პოლიტიკურ მოძღვრებათა ინ-ტის პოლიტოლოგიის ფაკ-ტი (1989). იყო იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს (ტოკიო, 1994), ვაშინგტონის საერთაშორისო სამართლის ინ-ტის (Washington DC, 1996) სტაჟიორი, სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი (1978-79), მსახურობდა საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (1979-91); იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე, სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, დეპარტამენტის დირექტორი (1992-97). გაეროს ევროპისათვის ეკონომიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დუღილის პროცესში არომატწარმომქმნელი ნივთიერებების ბიოსინთეზი და მათი გარდაქმნა" (1978). არის 11 სამეცნიერო სტატიისა (1974-78) და 1 გამოგონების ავტორი ბიოქიმიის დარგში (1978). გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სტატია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის საკითხებზე (1993-98). მისი ბიოგრაფია შეტანილია გამოცემებში: „Geneva News and International Report" (ჟენევა, 1998, 1999, 2000), „Geneva Diplomatic Magazine" (ჟენევა, 1998, 1999, 2000).
**ჰობი:** სპორტული ცურვა, სამთო თხილამურები.
**მისამართი:** *(სამსახურის) Rue Richard Wagner 1, 1202 Geneva, Suisse. ტელ: 919-10-10. ფაქსი: 733-90-33. ელ-ფოსტა: geomission.geneva@bluewin.ch*

**პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა, შრომისმოყვარეობა, საქმისადმი ერთგულება; ყოველთვის ვცდილობ ვიყო ობიექტური და ოპტიმისტი.**



**კახი კავსაძე** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 5 ივნისს. მშობლები: თამარ ცაგარეიშვილი, დავით კავსაძე; მეუღლე — ბელა მირიანაშვილი; შვილები: ნანა ხუსკივაძე (1965), ირაკლი კავსაძე (1969). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1959). არის რუსთაველის აკადემიური თეატრის მსახიობი (1957 წლიდან). მონაწილეობდა მრავალ სპექტაკლსა და კინოფილმში, მათ შორის: „ჭინჭრაქა", „ღვთაებრივი კომედია", „ღალატი", „საბრალდებო დასკვნა", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „კავკასიური ცარცის წრე", „რიჩარდ III", „ას ერგასის დღე", „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", „Птицы", „წკიპურტები", „ქალაქი ანარა", „ყვარყვარე", „დიუმა კავკასიაში", „სიყვარული ყველას უნდა", „თბილისი-პარიზი-თბილისი", „ცხელი ზაფხულის სამი დღე", „მეფე ივანე მრისხანე", „მონანიება", „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი" (9 ფილმად), „ნატვრის ხე", „ლაზარე" და სხვ.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. ტელ:99-63-73. (ბინის) მარჯანიშვილის 2. თბილისი 380002. ტელ:96-96-65, 95-33-65.*

**მიუხედავად იმისა, რომ უმამოდ გავიზარდე (1941 წელს ჯარში გაიწვიეს, ტყვედ ჩავარდა, დააპატიმრეს და ციმბირში დაიღუპა), მძიმე ბავშვობა მქონდა, ოჯახს ეკონომიურად უჭირდა. მერე, როცა მსახიობი გავხდი, არც მაშინ მქონდა დალხენილი ცხოვრება. არასოდეს არავისი არაფერი შემშურნია, არც ახლა მშურს და ასე დავამთავრებ ცხოვრებას. მიზანი — რაც შეიძლება მეტი სიხარული და ბედნიერება მოვუტანო ხალხს. ჩემი პროფესია ამის საშუალებას მაძლევს. მე არტისტი ვარ!**



**ალდე კაკაბაძე** მხატვარი-კერამიკოსი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: მაყვალა მრევლიშვილი, გრიგოლ კაკაბაძე; მეუღლე — რევაზ იაშვილი (1929-96); შვილი — გიორგი (1956). დაამთავრა თსსა კერამიკის ფაკ-ტი (1957), ასპირანტურა (1963). იყო მცხეთის კერამიკული სკოლის, თბილისის 57-ე სკოლის, თბილისის სარეწაო კავშირების საკონსტრუქტორო ბიუროს მხატვარი (1957-60), თსსა კერამიკის სახელოსნოს გამომწველი (1983-84), თსსა კერამიკის კათედრის პედაგოგია (1964 წლიდან), პროფესორი (1980 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: კერამიკული ქანდაკებები ქართული ხალხური ზღაპრების თემებზე (1957), მარანი "ორნი" (1966), "ძველებური სიმღერა" (1969), კერამიკული პორტრეტი "კახელი" (1975), "მიტოვებული სოფელი" (1970), მარანი "საქართველო" (1977) და სხვ. გამართა პერსონალური გამოფენები თბილისში (1974), მოსკოვში (1977), კოპენჰაგენში (1980), ნანტში (1982), ვლადიმირში (1983); მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში, მათ შორის: პოლონეთში (1960), იზმირში (1965), ჟენევაში (1966), ალჟირში (1967), მონრეალში (1967,1975), ბულგარეთში (1970), შვედეთში (1967, 1976), შვეიცარიაში (1971, 1978), გერმანიაში (1969, 1986), საფრანგეთში (1970, 1972, 1980), იტალიაში (1967, 1970), პორტუგალიაში (1981, 1988), ავსტრიაში (1979), იაპონიაში (1980), ირლანდიაში (1980), საბერძნეთში (1977, 1989) და სხვ. არის ავტორი წიგნისა: „ქართული თანამედროვე კერამიკა" (მოსკოვი, 1984), სტატიებისა თანამედროვე კერამიკის შესახებ. მისი ნამუშევრები დაცულია ბერლინში მსოფლიოს ხალხთა კერამიკის მუზეუმში, ნანტის (საფრანგეთი) ეთნოგრაფიულ მუზეუმში, პრაღის, ბეხინის (ჩეხოსლოვაკია) და შიკლოშის (უნგრეთი) თანამედროვე კერამიკის, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების (მოსკოვი), კუსკოვოს (რუსეთი) და ჩიკაგოს ლეიკსაიდის კერამიკის მუზეუმებში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. ხელმძღვანელობდა კერამიკოსთა საკავშირო ჯგუფს იურმალაში (1969). არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1976), საქართველოს სახალხო მხატვარი (1987). დაჯილდოებულია ვალორისის (საფრანგეთი, 1966, 1970), ფაიენცას (იტალია, 1972), ჟენევის (1977) საერთაშორისო გამოფენების I ხარისხის დიპლომებით, სსრკ სამხატვრო აკადემიის საპატიო დიპლომით კერამიკული ნამუშევრების სერიისათვის (1972), საქართველოს მხატვართა კავშირის მედლით წლის საუკეთესო კერამიკული ნამუშევრისთვის (1977). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1963). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** კერამიკა, პოეზია, მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. ტელ:99-93-57. (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4, თბილისი 380077. ტელ:39-54-96.*

**დაუღალავად ეცადე დახვეწო შენი ხელოვნება, დანარჩენი თავისით მოვა.**



**ამირ კაკაბაძე** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 26 სექტემბერს. მშობლები: ეთერ ანდრონიკაშვილი, დავით კაკაბაძე; მეუღლე – ია კვირიკაძე (1945); შვილები: დავითი (1970), მარიამი (1985). დაამთავრა თსსა ფერწერისა და თეატრალურდეკ. ხელოვნების ფაკ-ტები (1967), ასპირანტურა (1972). მუშაობს ფერწერის, გრაფიკის, კოლაჟისა და პოპ-არტის ჟანრებში. იყო მარჯანიშვილის (1967-85), რუსთაველის (1974), ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახელობის დრამატული (1968-75) თეატრების, კ/ს "ქართული ფილმის" (1968-75), მოსკოვის ტელესტუდიის (1982-83) დამდგმელი მხატვარი. არის ავტორი ნამუშევრებისა "ავტოპორტრეტი" (1985), "წმინდა პეტრეს ტაძარი" (1999), "აბსტრაქტული სერია" (1987), გრაფიკული ნამუშევრებისა "დრო და სივრცე" (1997), სერიისა "პარიზი" (პარიზი 1994-95) და სხვ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1990), გერმანიისა (ფილმისთვის "XIX ს. საქართველოს ქრონიკა" 1970) და მოსკოვის (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლისათვის "მთვარის მოტაცება" 1971) საერთაშორისო ფესტივალების I პრემიების ლაურეატი; სსრკ მხატვართა კავშირის წევრი (1968). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** მოგზაურობა, კითხვა.
**მისამართი:** *(ბინის) ბორჯომის 14, თბილისი. ტელ: 35-41-63.*
**ბედნიერება მოვუტანო კაცობრიობას ჩემი შემოქმედებით.**

**დავით კაკაბაძე** ფილოლოგი, ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქციის რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 30 მარტს. მშობლები: მანანა ქავთარაძე, მიხეილ კაკაბაძე; მეუღლე — ლელა გაბუნია (1959); შვილები: ანა (1984), მიხეილი (1989). დაამთავრა თსუ (1982). სწავლობდა იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში (1978-80). იყო ჟურნალ „მართვეს" განყ-ბის გამგე (1982-84), რედაქტორის მოადგილე (1984-87), გაზეთ „ლელოს" უცხოეთის სპორტის განყოფილების გამგე (1984-87), გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" (მოსკოვი) საკუთარი კორესპონდენტი საქართველოში (1987-89), თსუ გოეთეს კაბინეტის ხელმძღვანელი (1989-93), კიოლნის უნივერსიტეტის დოქტორანტი (ადენაუერის სახელობის სტიპენდიანტი, 1990-93). რადიო „თავისუფლების" ქართული რედაქციის რედაქტორია 1995 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სტატია ქართულ, რუსულ, გერმანულ პერიოდიკაში. აქვს თარგმანები გოეთეს, შილერის, ბორხერტის, კოლჰაზეს, ბიქსელისა და სხვათა შემოქმედებიდან. არის საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის, გოეთეს საერთაშორისო, შილერის საერთაშორისო, ბერლინის ქართული საზოგადოების, გიოტინგენის საზოგადოება „საქართველოს" წევრი.
**ჰობი:** ფეხბურთი და ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვინოჰრადსკა 1. 11000 პრაღა 1. ჩეხეთის რესპუბლიკა, ტელ/ფაქსი: (0042)-2/21-12-22-63; ელ-ფოსტა: kakabadzed@rferl.org (ბინის) ბრანიცკა 187. 14000 პრაღა 4. ჩეხეთის რესპუბლიკა. ტელ: (0042)_2/43-82-96.*
**მოექეც სხვას ისე, როგორც თავად გსურს მოგექცნენ (ცხადია, ამას ყოველთვის ვერ ვახერხებ).**



**ნანა კაკაბაძე** არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1962 წ. 23 თებერვალს. მშობლები: ნათელა ბორჯაძე, რევაზ კაკაბაძე; შვილი — ანა ჭანტურია (1987). დაამთავრა სპი ქიმიის ფაკ-ტი. იყო სპი ქიმიის ფაკ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1985-90). ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარეა 1996 წლიდან. არის თანაავტორი წიგნისა „როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები"
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 40. თბილისი 380008. ტელ: 93-13-10. ელ-ფოსტა: nana-ka@hotmail.com (ბინის) აგლაძის 27. ბ. 19. თბილისი. ტელ: 34-44-42.*
**ვცდილობ სიმართლით ვაკეთო სიკეთე.**



**მერაბ კაკულია** საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა ოზურგეთში 1961 წ. 19 ივნისს. მშობლები: იზოლდა დათუნაიშვილი, რევაზ კაკულია; მეუღლე — ნინო კიკნაველიძე (1961), შვილი—ირაკლი (1997). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობით (1983), მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტურა (1986). იყო თსუ ასისტენტი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1987-91), სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკურ გამოკვლევათა ს/კ ინ-ტის სექტორის გამგე, განყ-ბის გამგე (1988-89), ავსტრიული ბანკის "Central Sparkasse und Commercial Bank"-ის სტაჟიორი (ვენა, 1989-90), სააქციო-უნივერსალური ბანკის „იბერიაბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (1991-92), საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსი (1992-93), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს წევრი საქართველოდან (სალონიკი, 1998). ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტია 1993 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კაპიტალის საერთაშორისო ცენტრალიზაციის ფორმები და წინააღმდეგობანი" (მოსკოვი, 1986). არის 30 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი მსოფლიო ეკონომიკის, სა-

ერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების, ფინანსური კაპიტალის საკითხებზე.
ჰობი: ფერწერა, ისტორია.
მისამართი: *(სამსახურის) ლეონიძის 3/5. თბილისი 380005. ტელ: 93-21-03. ფაქსი: 99-98-85. (ბინის) ჯანაშიას 19, ბ.4. თბილისი 380079.*

**პრინციპები: მორალურ ღირებულებათა პრიმატი და საქმისადმი ერთგულება. იდეალი: ეკონომიკურად ძლიერი, დემოკრატიული და სულიერად მდიდარი საქართველო.**



**ოთარ კალანდარიშვილი** არქიტექტორი. დაიბადა თბილისში1925 წ. 16 ივნისს. დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1950). იყო სსი „თბილქალაქპროექტის" არქიტექტორი, პროექტის მთავარი არქიტექტორი, სახელოსნოს ხელმძღვანელი (1951 წლიდან), თსსა არქიტექტურის ფაკულტეტის დოცენტი (1955-77), თბილისის საქალაქო საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი, სახალხო მსაჯული, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. არის ავტორი ნამუშევრებისა: გალავანი პიონერთა სასახლისათვის (ო.კალანდარიშვილი, დ.მორბედაძე), მეტრო „რუსთაველის" ზედა პავილიონი, სასტუმრო „ივერია", ნუცუბიძის ქუჩის ფერდობების მოშენება (მესამე მ/რ), მემორიალი ქუთაისში (მოქანდაკე მ.ბერძენიშვილი), რესპუბლიკის მოედანი და სამსართულიანი სავაჭრო-საზოგადოებრივი ცენტრი, დავით აღმაშენებლის ძეგლი (ო.კალანდარიშვილი, ნ.ქუმსიაშვილი, მოქანდაკე მ.ბერძენიშვილი); პროექტები: კეცხოველის ქუჩის რეკონსტრუქცია; საერთაშორისო ცენტრი რესპუბლიკის მოედნისათვის; საფეხმავლო ხიდი მტკვარზე; საერთაშორისო ცენტრი, იერუსალიმის კულტურის ცენტრი (ო.კალანდარიშვილი, დ.მორბედაძე, ნ.ქუმსიაშვილი). მონაწილეობდა კონკურსებში: მონათმფლობელობისა და ნავიგაციის მუზეუმი, აფრიკა, სენეგალი-დაკარი (ო.კალანდარიშვილი, დ.მორბედაძე, ნ.ქუმსიაშვილი); ქართული კულტურის ცენტრი იერუსალიმში (ო.კალანდარიშვილი, დ.მორბედაძე, ნ.ქუმსიაშვილი, წამახალისებელი პრემია). არის საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, ღირსების ორდენის კავალერი; სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი. იყო სსრკ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი (1960 წლიდან), გამგეობის წევრი, კავშირში მიმღები კომისიის თავმჯდომარე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო".
მისამართი: *(ბინის) უზნაძის 2. თბილისი 380002. ტელ: 95-05-21*



**ანა კალანდაძე** პოეტი-აკადემიკოსი. დაიბადა სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რ-ნი) 1924 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: მარიამ სულავა, პავლე კალანდაძე. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1946). იყო ენათმეცნიერების ინ-ტის უმცროსი (1952-73), უფროსი (1973-98) მეცნიერ-თანამშრომელი. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია 1998 წლიდან. არის სხვადასხვა დროს გამოცემული მრავალი პოეტური კრებულის ავტორი, რუსი და უცხოელი პოეტების (გრ.სკოვოროდა, ბ.ახმადულინა, ა.პუშკინი, რ.კაზაკოვა, სტ.მალარმე და სხვ.) ცალკეული ლექსების მთარგმნელი. არის თბილისის, ჩოხატაურის, იყალთოს (1998) საპატიო მოქალაქე, „საპატიო ნიშნის" ორი ორდენის კავალერი. დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს (1960), აჭარის არ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით, ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო სამი (1976, 1986, 1996) მედლით, არის გ.ტაბიძის და რუსთაველის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1994), სახელინიფო პრემიის ლაურეატი (1997), საზოგადოება „თბილისელის" წევრი.
მისამართი: *(სამსახურის) ინგოროყვას 8, თბილისი 380008. ტელ: 99-92-06. (ბინის) საბურთალოს 40, I კორპ. ბ.4. თბილისი 380060. ტელ: 38-97-47.*

**წინასწარ დასახული სახელმძღვანელო „იდეალები, პრინციპები და მიზნები" არასოდეს მქონია. ერთ-ერთ ინტერვიუში ვწერდი კიდეც, რომ მეც ჩვეულებრივ მივყვებოდი ცხოვრებისეულ დინებას. ყოველ ადამიანში, მოგეხსენებათ, იმთავითვე კოდირებული ის მონაცემები, რომლებიც აყალიბებენ მის ხასიათს და, აქედან გამომდინარე, იქმნება მისი კრედოც. ჩემი, როგორც შემოქმედის, კრედო, როგორც ადრეც აღვნიშნე, ის გახლავთ, რომ შემოქმედი არ უნდა ღალატობდეს საკუთარ გზას!**

**ანდრო კალანდაძე** მცხეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა მცხეთაში 1956 წ. 1 აგვისტოს. მშობლები: ელენე კალანდაძე, ოთარ კალანდაძე; მეუღლე – მანანა საგინაშვილი; შვილები: ოთარი, ელენე. დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინ-ტი (1982), გორის ეკონომიკის ინ-ტი (1992). იყო მცხეთის სასურსათო კომბინატის მუშა, საქართველოს ალკკ მცხეთის რაიკომის ინსტრუქტორი (1979), საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყ-ბის გამგე (1983-84), მცხეთის კომკავშირის რაიკომის I მდივანი (1984-87), მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1987-90), მცხეთის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარის I მოადგილე (1995).
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 97, მცხეთა. ტელ: 23-52, 24-86*



**ედმონდ კალანდაძე** საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა სოფ. ხიდისთავში (ჩოხატაურის რ-ნი) 1923 წ. 4 მაისს. მშობლები: ცირა კალანდაძე, ლავროსი კალანდაძე; მეუღლე — ლია კაკაბაძე (1930); შვილი: ცირა (1951). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1952). იყო თსსა პროფესორი (1957-74), საქართველოს კულტურის მინისტრი (1991-92). არის საქართველოს სამუზეუმეო გაერთიანებასთან არსებული სახვითი ხელოვნების თეორიისა და პრაქტიკის სინთეზის სახელოსნოს ხელმძღვანელი (1986 წლიდან). გამართა გამოფენები გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურში, ბრაზილიაში, თურქეთში, რუსეთსა და საქართველოში. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, ბრაზილიის ეროვნულ მუზეუმში, სხვადასხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში. არის მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, სახვითი ხელოვნების საშობაო ფესტივალის გრან-პრის მფლობელი (1997, 1998). მისი ბიოგარფია შეტანილია ქსე, ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში " (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** ნადირობა, მხატვრობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 39. თბილისი 380062. ტელ: 23-57-69. (ბინის) ძმები კაკაბაძეების 11ა. თბილისი 380008. ტელ: 99-62-95.*

**სამართლიანობა, რწმენა, რომ სიკეთე სძლევს ბოროტებას, რწმენა, რომ ადამიანის ცხოვრება უნიკალურია და მისი ხელყოფა ნებისმიერი სახით დიდი დანაშაულია.**



**კახი კალაძე** ფეხბურთელი. დაიბადა სამტრედიაში 1972 წ. 27 თებერვალს. მშობლები: მედეა შენგელია, კარლო კალაძე. იყო ფოთის „კოლხეთის", სამტრედიის „სამტრედიას", თბილისის „დინამოს" (1993-98), საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების (1995-96) ფეხბურთელი. არის საქართველოს ეროვნული ნაკრების (1996 წლიდან), იტალიის საფეხბურთო კლუბ „მილანის" (2000 წლიდან) ფეხბურთელი; საქართველოს ჩემპიონი (1996, 1997), საქართველოს თასის მფლობელი (1997). დასახელდა საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელად (1999).
**ჰობი:** ავტომობილი.



**ზაურ კალანდია** მწერალი, ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა ზუგდიდში 1949 წ. 23 მარტს. მშობლები: ვერიკო კაკულია, ვლადიმერ კალანდია. მეუღლე; თამილა ხუბუა (1961); შვილები: ვერიკო (1987), სალომე (1988), ირაკლი (1993). დაამთავრა სოხუმის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1978). მუშაობდა წიგნის სახელმწიფო პალატაში (1977-79), მთარგმნელობით კოლეგიაში (1979-82). იყო ჟურნალ „ცისკრის" ლიტერატურული თანამშრომელი, პროზის განყ-ბის გამგე. მთავარი რედაქტორია 1992 წლიდან. გამოცემული აქვს მოთხრობების კრებული „ჩემი ღამის ცა" (1982), „ესკიზები საშემოდგომო განწყობილებისათვის" (1985), „ზვარაკი" (რომანი „ზვარაკი" და მოთხრობები, 1987), „ჟამი უდაბნოში" (რომანი), „ზარი" (პიესები). არის კინოსცენარების, პუბლიცისტური წერილების ავტორი; ღირსების ორდენის კავალერი; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1984).
**ჰობი:** კითხვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ხიდის 1, თბილისი. ტელ: 99-85-81. (ბინის) იოანე პეტრინის 5ა. თბილისი.*

**სულ ვცდილობდი და ვცდილობ: მე ვწერ და არა — მეც ვწერ...**



**კალისტრატე (მარგალიტაშვილი)** ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი, გელათის სასულიერო აკადემიის რექტორი. დაიბადა სოფ. ვარდისუბანში (თელავის რ-ნი) 1938 წ. 20 ოქტომბერს. მშობლები: მარგარიტა მარგალიტაშვილი, ილია მარგალიტაშვილი; შვილები: ვალერი (1961), მაკა (1972), ეკა (1975). მიღებული აქვს უმაღლესი საერო განათლება. იყო სოფლტექნიკის ოსტატი (1959-63), საკავშირო კომკავშირული მშენებლობის მუშა (1963-64), გურჯაანის რ-ნის რაიკავშირის მომარაგების უფროსი (1964-65), თელავის სატვირთო ატკ-ის მძღოლი (1971-82). დაჯილდოებულია 2 ქების სიგელით. იყო ბეთანიის მონასტრის მორჩილი (1982), აღიკვეცა ბერად, აკურთხეს დიაკვნად, მღვდელ-მონაზვნად, აყვანილ იქნა იღუმენის (1982), არქიმანდრიტის (1983) ხარისხში, ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1983), მთავარეპისკოპოსად (1989), აღიყვანეს მიტროპოლიტის ხარისხში (1992).
**მისამართი:** *საკათედრო ტაძარი, პეტრესა და პავლეს ეკლესია.ჯავახიშვილის 2/2, ქუთაისი. ტელ: 7-01-05, 5-88-63, 5-06-90, 5-03-02.*



**გელა კანდელაკი** კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 27 მაისს. მშობლები: მარიამ მჭედლიშვილი-კანდელაკი, ირაკლი კანდელაკი; შვილი — მარიამი (1969). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1958), კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტი მოსკოვში (1966). იყო რეჟისორის ასისტენტი (1957-69), კინოსტუდია „ქართული ფილმის" მულტგაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი (1981-86). არის „ქართული ფილმის", „ქართული ტელეფილმის" (1966 წლიდან), დოკუმენტური ფილმების სტუდიის რეჟისორი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინ-ტის სახელოსნოს ხელმძღვანელი (1975 წლიდან), კინოსტუდია „კვალის" და ხელის ჩრდილების თეატრ „ბუდრუგანას" დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1986 წლიდან). არის დამდგმელი რეჟისორი მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა: „დღეს", "გრძელი ღილინი", „საქართველოს მუზეუმი", „ბავშვთა ნახატების გამოფენა", „ვარძია", "ფეხბურთი უბურთოდ" და სხვ., სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა „უბედურება", შეასრულა მთავარი როლი ო.იოსელიანის ფილმში „იყო შაშვი მგალობელი" (გ.აგლაძე). არის საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 169. თბილისი 380012. (ბინის) ჩიქოვანის 16, თბილისი 380071. ტელ: 33-79-09.*

**„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს..."**



**გიორგი კანდელაკი** პროფესიონალი მოკრივე, მსოფლიო ჩემპიონი. დაიბადა სოფ. ვარიანში (გორის რ-ნი) 1974წ. 10 აპრილს. მშობლები: ეთერ თათარაშვილი, თარაშ კანდელაკი; მეუღლე—ნინო ყანჩაველი (1975); შვილი—თარაში (1998). დაამთავრა გორის პედაგოგიური ინ-ტის ეკონომიკური ფაკ-ტი (1997). არის მსოფლიო ჩემპიონი კრივში იუნიორებს შორის (1992), ევროპის ჩემპიონი (1993), მსოფლიო თასის პრიზიორი, II ადგილი (1994), 1994 წლის N2 მოკრივე 91 კგ წონით კატეგორიაში მსოფლიო მოკრივეთა შორის, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, მეოთხედფინალისტი (1995), ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (1996), მსოფლიო ჩემპიონი სუპერ-მძიმე წონაში (ბუდაპეშტი, 1997). პროფესიონალი მოკრივეა 1997 წლიდან. პროფესიონალურ რინგზე ჩატარებული 18 ბრძოლიდან მოიგო თვრამეტივე (მათ შორის 14 ნოკაუტით). არის ღირსების ორდენის კავალერი (1997), სპორტული კლუბი „ჩემპიონის" დამფუძნებელი (სოფ. ვარიანი, 1999).
**მისამართი:** *(ბინის) სოფელი ვარიანი. გორის რ-ნი.*

**ზურაბ კანდელაკი** რეჟისორი, რადიოდრამატურგი, საქართველოს რადიოს რადიოთეატრის მთავარი რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 25 თებერვალს.



მშობლები: თამარ კანდელაკი, კონსტანტინე კანდელაკი; მეუღლე — ზეინაბ გზირიშვილი (1944); შვილი — კონსტანტინე (1966). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1965). იყო სოხუმის დრამატული თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1965-67). საქტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტის მთავარი რეჟისორია 1967 წლიდან. განხორციელებული აქვს რადიოდადგმები: „მთვარის მოტაცება" (1968), „ჩაკლული სული" (1993), „მზიანი ღამე" (1984), „ვატერპოლოო, ანუ აღდგენითი სამუშაოები" (1992), „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი" (1982), „დარისპანის გასაჭირი" (1998) და სხვ. ტელესპექტაკლები: „გამარჯობათ, ჩვენო მამებო" (1971), „დავიწყებული ამბავი" (1975), „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" (1978). დადგმული აქვს სპექტაკლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, რადიოპიესები ბუდაპეშტში, ტალინში, მოსკოვში, მინსკში; მისი რადიოპიესები: „რეპეტიცია", „კურდღლები", „გამარჯობა, სენიორ პირანდელო" დაიდგა გერმანიაში, სლოვენიაში, სლოვაკეთში, ისლანდიაში; მოთხრობები დაბეჭდილია ჟურნალ „ცისკარში", გამოცემულია მოთხრობების კრებული. მიღებული აქვს რადიოდადგმების I საკავშირო ფესტივალის გრან-პრი (1990), რადიოსპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი (1994), ჟიურის სპეციალური რეკომენდაცია, ბერლინის საერთაშორისო ფესტივალის „ევროპის პრიზი". არის ღირსების ორდენის კავალერი (1995).
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: *(სამსახურის) საქტელერადიომაუწყებლობა. კოსტავას 68. თბილისი 3800710. ტელ: 36-83-55, 33-50-78. (ბინის) ფანასკერტელის 12. ბ. 47. თბილისი. ტელ: 37-42-26.*



**გოჩა კაპანაძე** მსახიობი, რეჟისორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა დაბა შორაპანში (ზესტაფონის რ-ნი) 1966 წ. 29 ნოემბერს. მშობლები: აზა ასათიანი, სევერიან კაპანაძე. დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). გაიარა სარეჟისორო კურსი პიტერ ბრუკის საერთაშორისო თეატრალურ ცენტრში პ.ბრუკის ხელმძღვანელობით (1992). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1986 წლიდან), თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის მსახიობის ოსტატობის პედაგოგი (1993 წლიდან). მონაწილეობდა სპექტაკლებში: დ.კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" (არისტო, ცხენი), უ.შექსპირის „ჰამლეტი" (პოლონიუსი, მესაფლავე), შილერის „მარიამ სტიუარტი". მიიღო მონაწილეობა რეჟისორების: ე. შენგელაიას, ნ. ახვლედიანის, დ. ცინცაძის, დ. ჯანელიძის, გ. გაჩეჩილაძის ფილმებში. 1996 წელს ნიუ-იორკში, ბროდვეიზე გაიმართა მისი სპექტაკლის „ჩემოდანის" პრემიერა. არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: გ. ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი" (რუსთაველის თეატრი), ვაიზელის „ჩემოდანი" („გოგ" თეატრი, დიდი ბრიტანეთი), სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი" (სოხუმის კ.გამსახურდიას სახელობის თეატრი, 2001). მიღებული აქვს პაკისტანის I საერთაშორისო დრამატული თეატრების ფესტივალის „გრან-პრი", ვაიმარის შილერის მე-15 საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრი („მარიამ სტიუარტი", 2000), საქართველოს სახელმწიფო პრემია („ჰამლეტი", ჰამლეტის როლის შესრულებისთვის, 1999), გ.შერვაშიძის სახელობის პრემია რეჟისურაში.
ჰობი: მუსიკა, სპორტი, მოგზაურობა.
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. პეიჯერი: 37-95. (ბინის) შ.დადიანის 16. თბილისი. ტელ: 99-09-84.*

**მინდა ვიცხოვრო ეკლესიურად. ჩუმად, წყნარად, აფიშირების გარეშე ვაკეთო სიკეთე, ჯერჯერობით ასე ვცხოვრობ (არ შეგეშინდეთ, ანგელოზი არ გეგონოთ!).**



**თამაზ კაპანაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე. დაიბადა ზესტაფონში 1955 წ. 16 დეკემბერს. მშობლები: მარიამ ნიკოლაძე, შოთა კაპანაძე; მეუღლე — თინათინ ჭელიძე (1968); შვილები: შოთა (1995), ლუკა (1997). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1979). იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის ასპირანტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1985-90), საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართ-

ველოს პროკურორ-მეთოდისტი (1990-91), ზესტაფონის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე (1991-98). თბილისის საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეა 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „სსრკ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის კონსტიტუციური უფლება" (1985). არის რამდენიმე სამეცნიერო სტატიისა და ერთი კოლექტიური მონოგრაფიის ავტორი.
**ჰობი:** სპორტი, ურთიერთობა მეგობრებთან.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7-ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, 53-09-17. (ბინის) ქავთარაძის 7. ბ. 36. თბილისი. ტელ: 30-94-09.*
**ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, სიკეთე, ჭეშმარიტების ძიების სურვილი.**



**ალექსანდრე კარტოზია** საქართველოს განათლების მინისტრი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 8 იანვარს. მშობლები: ცისანა თოდუა, გურამ კარტოზია; მეუღლე — ნინო სიმონიშვილი (1956). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1981). იყო სპი მთარგმნელი (1981-82), თსუ რექტორის თანაშემწე (1982-85), ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი (1985-88), საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი (1997-98). არის თსუ გერმანული ფილოლოგიის კათედრის გამგე (1989 წლიდან). საქართველოს განათლების მინისტრია 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1986); სადოქტორო — „ენა, ტექსტი, თარგმანი" (1995).
**მისამართი:** *(სამსახურის) უზნაძის 52. თბილისი 380002. ტელ: 95-58-86, 95-63-95. (ბინის) მიცკევიჩის 15, თბილისი 380060. ტელ: 38-66-57*

**მანანა კარტოზია** „დილის გაზეთის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 7 თებერვალს. მშობლები: ოფელია ზაქარაია, ოთარ კარტოზია; მეუღლე — ტარიელ შავერდაშვილი (1956); შვილები: შორენა (1978), შავლეგი (1981), სალომე (1991). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1980). იყო გაზეთების: „ლელო", „ახალგაზრდა კომუნისტი", „კომუნისტი", „7 დღე" კორესპონდენტი და განყ-ბის გამგე (1979-95).
**ჰობი:** ფრაზების შეგროვება.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 5. თბილისი 380002. ტელ: 96-91-68. ფაქსი: 96-91-81. ელ-ფოსტა: dilgazet@access.sanet.ge*
**ვცდილობ ვიყო გულწრფელი და სახვალიოდ არ გადავდო იმ საქმის გაკეთება, რასაც დღესაც ვართმევ თავს.**



**ვალტერ კაშია** ფიზიკოსი, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა სოფ. გორაში (ვანის რ-ნი) 1948 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: მარიამ ბაჯაძე-კაშია, გიორგი კაშია; მეუღლე – ნარგიზი როხვაძე (1953); შვილები: მარიკა (1974), ოთარი (1975). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1971). იყო სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინ-ტის უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, სწავლული მდივანი (1973-2000), დირექტორია 2000 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "თერმოემისიური გარდამქმნელების ეფექტური წყაროები" (1985), სადოქტორო – "სითბური ენერგიის ცეზიუმ-პლაზმიანი თერმოემისიური გარდამქმნელების ეფექტურობის და უსაფრთხოების ამაღლების მყარტანიანი სისტემები" (1995). არის 132 სამეცნიერო ნაშრომის, 22 გამოგონების და პატენტის ავტორი; აფხაზეთის არ მეცნიერებათა (1996), საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა (1997), საინჟინრო (2000) აკადემიების აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი (1999); IEEE-ის საზღვარგარეთელი წევრი (1998).
**ჰობი:** პოეზია, ჩოგბურთი, ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 52, თბილისი 380008. ტელ: 99-69-13. ფაქსი: 99-88-23. ელ-ფოსტა: SPTI@gas.hepi.edu.ge (ბინის) ყვარლის 3, ბ. 30. თბილისი 380012. ელ-ფოსტა: valter@consultant.com*

**სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, ადამიანის სიყვარული, მოყეთის მიმართ მადლიერების გრძნობა და სიკეთის კეთების სურვილი. განსაკუთრებული ზრუნვა მომავალი თაობის მიმართ, რათა ის იყოს საუკეთესო და იცხოვროს დამოუკიდებელ საქართველოში, სადაც ცხოვრების დონე ამერიკულზე მაღალი იქნება.**



**ზურაბ კახაბრიშვილი** საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მთავარი ექიმი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. დაიბადა თბილისში 1968 წ. 15 მაისს. მშობლები: იზა გუდაძე, გივი კახაბრიშვილი; მეუღლე — თამარ ხახუტაიშვილი (1969); შვილები: ანა (1993), გივი (1995), ლიზა (1998). დაამთავრა თსსუ პედიატრიის ფაკ-ტი (1993). იყო ბატალიონ „ავაზას" ექიმი (1992-93), თავდაცვის სამინისტროს სამედიცინო სამმართველოს სამკურნალო განყოფილების უფროსის მოადგილე, თბილისის გარნიზონის მთავარი ექიმი (1993-95), ძიუდოს ფედერაციის ექიმი და მწვრთნელი (1995-2000), ჭიდაობის ფედერაციის ექიმი (2000), საქართველოს ეროვნული ოლიმპიური დელეგაციის მთავარი ექიმი (სიდნეი, 2000). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სპორტული ტრავმების რეაბილიტაცია პლაზმური სკალპელითა და ელექტრომაგნიტური ველის გამოყენებით" (1998). არის 24 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; სპორტის ოსტატი ძიუდოში; IV მსოფლიო სპორტული მედიცინის კონგრესის ნომინანტი (მონტე-კარლო, 1997), რამდენიმე საერთაშორისო სამედიცინო კონგრესის მონაწილე; ღირსების ორდენის კავალერი (2000). არის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.
ჰობი: ტროპიკული მცენარეებისა და ვიდეოფილმების კოლექციონირება.
მისამართი: *(სამსახურის) ალმაშენებლის 65. თბილისი 380002. ტელ: 95-27-03. ფაქსი: 95-38-29. ელ-ფოსტა: geonoc@access.sanet.ge (ბინის) შარტავას 14. ბ. 5. თბილისი 380060. ტელ: 38-74-77/ მობ: (899) 57-85-11.*

**„ბძენი უნდა იყო და შლეგად მოაჩვენო ხალხს თავი, გმირი უნდა იყო და ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყო და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან იმდენი მტერი არავის ჰყავს ამ ქვეყანაზე, რამდენიც ბრძენს, გმირს და ოსტატს".**



**ვლადიმერ კახაძე** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1953 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: თინათინ ჯინჯიხაძე-კახაძე, გრიგოლ კახაძე; მეუღლე — რუსუდან ორჯონიკიძე (1953); შვილები: თინათინი (1977), ეთერი (1978). დაამთავრა თსსი (1978). იყო ექიმი-ინტერნი (1978-79), სამკურნალო ფაკ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის კლინიკური ორდინატორი (1979-81), სტუდენტთა საკონსტრუქტორო ს/კ ბიუროს უფროსი ლაბორანტი (1982-87), ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის განყ-ბის ხელმძღვანელი (1987-92), შპს სამედიცინო ფირმა „ლაფორტუნატოს" პრეზიდენტი (1993-98). თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეა 1998 წლიდან. არის 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 1 გამოგონების ავტორი, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ატლასის ერთ-ერთი თანაავტორი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრ-კორესპონდენტი.
მისამართი: *(სამსახურის) გ.ტაბიძის 3/5. თბილისი 380005. ტელ: 92-04-85.*

**„გახსოვდეს, რომ გაქვს ერთი ენა და ორი ყური. ერთხელა სთქვი, მოისმინე ორჯერაო" — აღმოსავლური სიბრძნე.**



**მარინა კახიანი** მსახიობი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 19 სექტემბერს. მშობლები: ალექსანდრა ყუფუნია, გიორგი კახიანი; მეუღლე — გია მატარაძე (1940); შვილი— ვახტანგი (1981). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი. იყო ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მსახიობი (1975-76). რუსთაველის თეატრის მსახიობია 1981 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „მეფე ლირი" (კორდილია), „ტიტუს ანდრონიკუსი" (ლავინია), „კვაჭი კვაჭანტირაძე" (რებეკა), „კავკასიური ცარცის წრე" (ნათელა აბაშვილი), „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე" (საპოჟნიკოვა), „ას ერგასის დღე" (ევა ბრაუნი), „დაკრძალვა კალიფორნიაში" (კიტი), „იქ სადაც ღვარად მოედინება" (მარინა), „ბერნარდა ალბას სახლი" (ბერნარდა), „მარია სტიუარტი" (მარია სტიუარტი) და სხვ., ფილმებში: თ.აბულაძის „მონანიება" (სერაფიმა), ო.გვასალიას

„ქართველები ცაში" (მანანა), რ.გიორგობიანის „მოდი ვილაპარაკოთ" (მარინა), რ.ჩხეიძის „დონ-კიხოტი" (ალტისიდორა), დარსაველიძის „ყვითელი ჩიტი" (ელენე), მატარაძის „მოკვეთილი" (გულსუნდა), „შვიდი პატარა მოთხრობა სიყვარულზე", „გამოცხადება" (ქეთი), ა.ვარსიმაშვილის „სახლი ძველ უბანში" (ნატო), „ქალი-გველი" (კანცადე), „ნახვის დღე" (კლარა), „კაცია-ადამიანი?!" (სუტ-კნეინა), „მედეა" (მედეა) და სხვა, ტელეფილმში „უჩინარი" (ანა). მიიღო საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ საუკეთესო მსახიობი ქალისთვის დაწესებული პრემია ი.სამსონაძის სპექტაკლში „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე" ლიდას როლის შესრულებისათვის (1991).
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის თეატრი. რუსთაველის 17. თბილისი 380008. (სახლი) რუსთაველის 1, ბ.81. თბილისი 380008. ტელ: 99-07-60.*

**არ მივაყენო ადამიანებს ისეთი სულიერი ტკივილი, რომელიც ჩემთვის ძნელი ასატანი იქნებოდა. მოვექცე ადამიანებს ისე, როგორც მინდა, რომ მომექცნენ მე. მე ვფიქრობ, თუ ჩვენ, ადამიანები, ამ პრინციპით ვიცხოვრებთ, ქვეყანაზე ბოროტება აღარ იქნება.**



**ვახტანგ კახიძე** კომპოზიტორი, დირიჟორი, ჯაზ-პიანისტი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 23 მარტს. მშობლები: ვანდა კახიძე, ჯანსუღ კახიძე; მეუღლე — თამარ ბერიძე; შვილები: ანა (1981), ნატო (1983). დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორია (1981). არის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი (1984), თბილისის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი (1993). არის ავტორი სიმღერებისა, სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული ნაწარმოებებისა, ჯაზ-კომპოზიციებისა, მუსიკისა კინოფილმებისა და სპექტაკლებისთვის. მიღებული აქვს თბილისის მერიის ჯილდო „გაზაფხული" (1997). არის მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1997), ღირსების ორდენის კავალერი (2000).
**ჰობი:** ბანქოს თამაში.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 125. თბილისი 380012. ტელ: 96-06-20. ფაქსი: 95-89-96. (ბინის) აღმაშენებლის 86/90. თბილისი 380012. ტელ: 95-14-37.*



**ჯანსუღ კახიძე** დირიჟორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის მუსიკისა და კულტურის ცენტრის პრეზიდენტი და სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1936 წ. 10 იანვარს. მშობლები: მარგარიტა ნინიძე, ივანე კახიძე; მეუღლე — ვანდა კახიძე (1935); შვილები: ვახტანგი (1959), თეონა (1969). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1964). იყო საქართველოს სახ. კაპელის დირიჟორი (1957-62), თბილისის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის დირიჟორი (1962-65), მთავარი დირიჟორი (1965-73), საქართველოს სახ. სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1973-93). თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელია 1968 წლიდან, თბილისის მუსიკისა და კულტურის ცენტრის პრეზიდენტი და სამხატვრო ხელმძღვანელი — 1989 წლიდან, თბილისის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი — 1993 წლიდან. დირიჟორობს კონცერტებსა და საოპერო სპექტაკლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. არის საქართველოს და სსრკ სახალხო არტისტი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „Who's Who" (IBC, Cambridge).
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 125. თბილისი 380012. ტელ: 96-06-20. ფაქსი: 95-89-96. (ბინის) ლესელიძის 18. თბილისი. ტელ: 98-44-46.*

**სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, მეგობრობა და ამ გრძნობისადმი პასუხისმგებლობა.**

**გივი კეკელიძე** საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1939 წ. 3 იანვარს. მშობლები: თამარ ფხალაძე, გიორგი კეკელიძე; მეუღლე — მერი თიკარაძე (1938); შვილები: გი-



ორგი (1965), დავითი (1967). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1962). მუშაობდა მშენებლობის სამინისტროს სისტემაში (1962-69), სპი გეოდეზიისა და სამარქშეიდერო საქმის კათედრის ასისტენტად (1969-75), ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დირექტორად (1975-87), ვაკის რ-ნის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ (1987-91). გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარეა 1992 წლიდან. არის საპატიო გეოდეზისტი (1984), საქართველოს გეოდეზიური საზოგადოების და კარტოგრაფთა ასოციაციის წევრი.

**ჰობი:** ნადირობა, მეგობრების წრეში ყოფნა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გამსახურდიას 27. თბილისი 380113. ტელ: 38-29-52. ფაქსი: 94-29-08. ელ-ფოსტა: geodesy@caucasus.net*

**მთელი ცხოვრების მანძილზე ვცდილობდი პირნათლად შემესრულებინა ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა. ვცდილობდი ვყოფილიყავი ყურადღებიანი და მიმტევებელი თანამშრომლების, კოლეგების, მეგობრების და, საერთოდ, ყველას მიმართ, ვინც ჩემს გარშემო ტრიალებდა. დიდად ვაფასებ ერთგულებას და უანგარობას. მე ვფიქრობ, ამიტომ მყავს ძალიან კარგი მეგობრები. მეგობრობის ასაკმა ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა. ვერ ვიტან ფლიდ და ორპირ ადამიანს. ვცდილობდი მეკეთებინა სიკეთე და ამასვე მოვუწოდებდი სხვასაც. ვთვლი, რომ ჩემი ცხოვრების 60 წელი შინაარსიანად გავატარე. რამდენად წარმატებული იყო ეს წლები ჩემთვის, დე ჩემმა კოლეგებმა და მეგობრებმა განსაზღვრონ.**



**კონსტანტინე კემულარია** საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა ხობში 1954 წ. 20 მარტს. მშობლები: მიმი დანელია, შალვა კემულარია; მეუღლე – ნონა კემულარია (1956); შვილები: შალვა (1980), ირაკლი (1983), ანანო (1991). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1975). იყო თსუ თანამშრომელი (1984-88), თბილისის პროკურატურის გამომძიებელი, ქალაქის პროკურორი, სამმართველოს უფროსი და კოლეგიის წევრი (1975-91), იუსტიციის მინისტრი (1992-93), კერძო იურიდიული კომპანიის დირექტორი (1994-98), თბილისის საკრებულოს წევრი (1998-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ანალოგია სისხლის სამართლის პროცესში" (მოსკოვი, 1983). არის 14 სამეცნიერო ნაშრომისა და 1 მონოგრაფიის ავტორი; ადამიანის ჰარმონიული განვითარების ასოციაციის პრეზიდენტი.

**ჰობი:** სპორტი, წიგნები.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-36. (ბინის) ბახტრიონის 16, თბილისი. ტელ: 94-29-58.*

**რწმენა ადამიანებისადმი.**



**სერგო კენჭაძე** მხატვარი. დაიბადა ბათუმში 1938 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: ქეთევან ბარამიძე-კენჭაძე, გიორგი კენჭაძე; მეუღლე – ლარისა კენჭაძე (1954); შვილები: გიორგი (1966), ნინო (1973), დათო (1984). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1964), სსრკ სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნო (1973, ლენინური სტიპენდიანტი). არის ავტორი ნამუშევრებისა: "ნატურმორტი პიონებით" (1972), "ეძღვნება ავთო ვარაზის ხსოვნას" (1981-82), "ყვითელი სინდრომი" (1986), გააფორმა სუპერმარკეტები "ბაბილონი", "ბიგ ბენი", სახელმწიფო ბანკის ფულის მუზეუმი (2001); ექსპოზიციები საქართველოს სახ. ისტორიული მუზეუმის "ოქროს ფონდში", ქარვასლაში, ზუგდიდისა და თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმებში. არის პროექტის ავტორი, ორგანიზატორი და მონაწილე გამოფენისა "რეალიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი, ჰიპერრეალიზმი, პოპარტი, კონცეპტუალიზმი" (თბილისის მხატვრის სახლი, 1991); გამართა პერსონალური გამოფენა სეგ (1999). მონაწილეობდა გამოფენებში: "საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება" (მოსკოვი, 1987), საქართველოს სახვითი ხელოვნების რეტროსპექტივა (მხატვრის სახლი, თბილისი, 1987); რიგაში, ტალინსა და მოსკოვში. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, გერმანიის, იტალიისა და კანადის კერძო კოლექციებში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1970).

**ჰობი:** სილამაზე.
**მისამართი:** *(ბინის) ნუცუბიძის ფერდ.II მ/რ, /ყლენტის 46, თბილისი. ტელ: 32-36-95.*
**ხელოვნების იდეალია ადამიანი; ცხოვრება ხელოვნებაა და ხელოვნება – ცხოვრება; ხელოვნება ბიზნესია და ბიზნესი – ხელოვნება.**



**დავით კერესელიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, რეგიონთა ეკონომიკური განვითარების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1965 წ. 25 მაისს. მშობლები: ლილი კერესელიძე, გიორგი კერესელიძე; მეუღლე – ლელა ხუციშვილი (1969); შვილები: ელენე (1991), მარიამი (1996). დაამთავრა თსუ ვაჭრობა-საქონელმცოდნეობის (1988) და იურიდიული (2000) ფაკ-ტები. იყო ს/გ "საქლითონის" ეკონომისტი (1988), იურისკონსულტი (1990), "საქლითონთან" არსებული შპს "ლითონის" დირექტორი (1991), კონცერნ "კოდაკოს" გენ. დირექტორი (1992-2000).
**ჰობი:** ფეხბურთი, მოგზაურობა, ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) გოთუას 16, ბ. 22, თბილისი. ტელ: 37-44-22, 76-19-65.*
**სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული, მეგობრობა ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპზე, სიკეთე, სიყვარული, ერთგულება.**



**იოსებ კეჭაყმაძე** კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი. დაიბადა ოზურგეთში 1939 წ. 27 მარტს. მშობლები: ელენე ორაგველიძე, ილია კეჭაყმაძე; მეუღლე — ოლღა კეჭაყმაძე (1942); შვილები: ილია (1963), არჩილი (1969), ეკატერინე (1975). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია კომპოზიციის განხრით (1965). იყო საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კონსულტანტი, განყოფილების უფროსი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1966-74), კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი (1972-82). კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგეა 1980 წლიდან. არის საგუნდო და კამერული მუსიკის; კინოფილმებისა და სპექტაკლების მუსიკის ავტორი; არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1981), საქართველოს სახალხო არტისტი, ზ.ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1976), ღირსების ორდენის კავალერი (1996); საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1972). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „Музыкальная Энциклопедия" (მოსკოვი, 1991).
**ჰობი:** უჰობობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კულტურის სამინისტრო. რუსთაველის 37. თბილისი 380008. ტელ: 93-14-88, ფაქსი: 21-21-02. (ბინის) ყაზბეგის 5. თბილისი 380009. ტელ: 29-44-09.*



**ბელა კვარაცხელია** საქართველოს პარლამენტის წევრი, სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. მერხეულში (გულრიფშის რ-ნი) 1966 წ. 30 იანვარს. მშობლები: ნათელა კვარაცხელია, დურმიშხან კვარაცხელია; მეუღლე – ია ნოწკოლაური (1968); შვილები: ნათია (1986), ბესარიონი (1990), მარიამი (1994), ლუკა (2000). დაამთავრა სპი სამრეწველო ელექტრონიკის ფაკ-ტი (1993). არის სმკ-ის წევრი (1995).
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-98-81. (ბინის) გლინკას 41, თბილისი 380092. ტელ: 61-32-55.*

**ვალერი კვარაცხელია** საქართველოს პარლამენტის წევრი, საპენსიო უზრუნველყოფის, შრომითი ურთიერთობებისა და დასაქმების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა 1958 წ. 19 აგვისტოს. მშობლები: თამარ გაგუა, ვარლამ კვარაცხელია; მეუღლე — ეთერ ქარდავა (1968); შვილები: თამარი (1989), გიორგი (1995). დაამთავრა ქ. კალინინის სახელმწიფო სამედიცინო ინ-ტის სამკურნალო ფაკ-ტი (1981), თსუ ბიზნესის უმაღლესი სკოლა (1991). იყო ექიმი (1981-89), კურორტ



"სქურის" მთავარი ექიმი (1989-92), კონცერნ "საქკურორტის" პრეზიდენტის თანაშემწე (1992-95), "საქკურორტბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1995-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორი; ახალი მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი (2000).

**ჰობი:** ნადირობა, კითხვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-13-00. (ბინის) წერეთლის 77, ბ. 26, თბილისი. ტელ: 25-36-63.*

**ვეცხოვრო ისე, რომ მშობლების სახელს ჩრდილი არ მივაყენო და ჩემმა შვილებმა ჩემით იამაყონ.**



**ზოია კვარაცხელია** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ნაკიფუში (ნალენჯიხის რ-ნი) 1954 წ. 16 მარტს. მშობლები: არეთა სოსელია, ლევარსი კვარაცხელია. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1991). იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, თბილისის კრწანისის რ-ნის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი (1991-99).

**ჰობი:** კითხვა, მუსიკის მოსმენა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, 53-09-17. (ბინის) ათონელის 18. თბილისი 380005.*

**მართალი სამართლის ქმნის სურვილმა მომიყვანა აქამდე და ღვთის ნება თუ იქნება, შევეცდები ასე გავაგრძელო ბოლომდე.**



**ნუგზარ კვარაცხელია** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, პოლიციის პოლკოვნიკი. დაიბადა ნალენჯიხაში 1951 წ. 10 ივლისს. მშობლები: ჭუკა შოგირაძე, კირილე კვარაცხელია; მეუღლე – ნათელა ჭაჭქანიძე (1952); შვილები: ლევანი (1976), დიანა (1980). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1974). იყო საჩხერის შს განყ-ბის გამომძიებელი (1974-75), საქართველოს შსს საგამომძიებლო სამმართველოს გამომძიებელი (1975-81), წყალტუბოს შს განყ-ბის საგამოძიებო განყ-ბის უფროსი, შს განყ-ბის უფროსის მოადგილე (1981-91), ქუთაისის შს სამმართველოს განყ-ბის (1991-95), საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს განყ-ბის (1995-99) უფროსი. იყო სკკპ წევრი (1981-90).

**ჰობი:** დეტექტიური ლიტერატურის კითხვა და ფილმების ყურება, მხატვრობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვ., I კორპ., ბ. 89, თბილისი. ტელ: 31-68-98.*

**პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, სიბეჯითე, მეგობრების მიმართ პატივისცემა, თანამშრომლებსა და კოლეგებში ნიჭისა და ნესიერების დაფასება, გულახდილობა და კეთილსინდისიერება.**



**ბიძინა კვერნაძე** კომპოზიტორი, პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი. დაიბადა სიღნაღში 1928 წ. 29 ივლისს. მეუღლე — ნესტან მესხი (1938); შვილები: გიორგი (1965), თამარი (1968). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1953). არის თბილისის სახ. კონსერვატორიის კომპოზიციის კათედრის გამგე (1995 წლიდან). კომპოზიტორთა კავშირის მდივანია 1996 წლიდან. დაწერა სამი ოპერა, ორი სიმფონია, სამი ვოკალურ-სიმფონიური პოემა, ორი საფორტეპიანო კონცერტი, ერთი სავიოლინო კონცერტი და სხვა, საფორტეპიანო პიესები მუსიკალური ფილმებისა და სპექტაკლებისათვის. არის საქართველოს სახალხო არტისტი, ზ.ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

**ჰობი:** პოეზია და ნამდვილი ჯაზი.

**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 123, თბილისი 380012. ტელ: 95-95-13. (ბინის) აბანოს 23, თბილისი 380005. ტელ: 72-42-84*

დღემდე და ალბათ, მომავალშიც ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოვიპოვო ხელოვნების და კერძოდ, მუსიკის შესახებ. შემოქმედებაში ჩემი კრედოა სულიერის და გონებრივის პარმონიულობა.

**გიორგი (ოთარ) კვესიტაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 30 მაისს. მშობლები: მარიამ გამილაღდიშვილი, ივანე კვესიტაძე; მეუღლე — ანა კვესიტაძე (1942); შვილები: ედიშერი (1962), თამარი (1968). დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1964), მოსკოვის ბიოქიმიის ინ-ტის ასპირანტურა (1969). იყო ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ზეინკალი (1962-64), ახმეტის პიდროლის საფუარის ქარხნის ცვლის უფროსი, მთავარი საამქროს უფროსი (1964-66), საქართველოს მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1970-87), პენსილვანიის (აშშ) უნივერსიტეტის ქიმიური ინჟინერიის კოლეჯის მიწვეული პროფესორი (1977-78), მეცნიერებისა და ტექნოლოგიის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1985-87), სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი (1992-94), სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახ. მრჩეველი (1994-96), მცენარეთა ბიოქიმიის ინ-ტის დირექტორია 1996 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ალფა ამილაზის ბიოსინთეზი ასპერგილების სიღრმულ კულტურაში" (მოსკოვი, 1969); სადოქტორო „ასპერგილების ამილოლიზური ფერმენტები" (მოსკოვი, 1979). არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 5 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს და 35 გამოგონების ავტორი. არის პენინსულას (აშშ, კალიფორნია) ინ-ტის საპატიო პროფესორი, მეცნიერების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის (ნიუ-იორკი, აშშ) აკადემიკოსი (1995), საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი (1995), სოროსის ფონდის პროფესორი (1998), ნატოს ექსპერტი სამეცნიერო გრანტების განაწილების სფეროში (2000), ისრაელისა და საფრანგეთის უმაღლესი ტექნოლოგიების ასოციაციის წევრი (2000), 2 საერთაშორისო (აშშ, შვეიცარია), 2 რუსეთისა და 2 ქართული სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი (ეკოლოგიისა და ბიოქიმიის დარგში), სპორტის ოსტატი. ჩაატარა 80-ზე მეტი საერთაშორისო სემინარი მსოფლიოს 15-ზე მეტ ქვეყანაში. იყო 57 მეცნიერებათა კანდიდატისა და 8 მეცნიერებათა დოქტორის ხელმძღვანელი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Marquis Who's Who in the World (1992, 1993, 1994).
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის ხეივნის მე-10 კმ. თბილისი 380039. ტელ: 95-81-45, 52-80-26. (ბინის) სარაჯიშვილის 51. თბილისი. ტელ: 92-25-75.*

**შრომა, პატიოსნება.**



**ვიტალი კვინიხიძე** ს/ს „პური არსობისას" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 2 თებერვალს. მშობლები: თამარ ლალიძე, ელადიმერ კვინიხიძე; მეუღლე — ნოველა კვინიხიძე (1940); შვილი — ლალი (1958). დაამთავრა სპი (1961). იყო მუშა (1955-61), მაკარონის ქარხნის ცვლის უფროსი (1961-70), საფუარის ქარხნის მთავარი ინჟინერი (1970-79), N6 პურის ქარხნის დირექტორი (1979-81), საფუარის ქარხნის დირექტორი (1981-91). ს/ს „პური არსობისას" გენერალური დირექტორია 1994 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „საფუარის მიღების ახალი ტექნოლოგია" (1984). არის 7 გამოგონების ავტორი საფუარის ტექნოლოგიის სფეროში. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით; არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, პოლიტიკური ორგანიზაციის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" მთავარი კომიტეტის წევრი.
**ჰობი:** საქმე.
**მისამართი:** *(სამსახურის) ყაზბეგის 24, თბილისი 380113. ტელ: 39-28-49. (ბინის) მცხეთის 39. თბილისი 380079. ტელ: 25-08-40.*

**არ შემიძლია ვიყო მეფე და არ შემიძლია ვიყო მონა.**



**გიორგი კვირიკაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1967 წ. 20 ივლისს. მშობლები: ლიანა კვირიკაშვილი, ჯემალ კვირიკაშვილი; მეუღლე – მაია ცინაძე (1967); შვილები: ანა (1991), ნინო (1994), ჯემალი (1996). დაამთავრა თსსუ სამკურნალო (1992), თსუ ეკონომიკის (1995) ფაკ-ტები, ილინოისის უნივერსიტეტის მაგისტრატურა (აშშ 1998). მიღებული აქვს ედმუნდ მასკის სახელობის სტიპენდია (1997). იყო ექსპორტ-იმპორტის ბანკის განყ-ბის უფროსი (1993-95), "ტრეიდ-ინვესტ ბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1996-97), "გაერთიანებული ქართული ბანკის" დეპარტამენტის დირექტორი (1998-99), სახელმწიფო კანცელარიის სამსახურის უფროსის მოადგილე (1999). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია "ახალი მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი (2000).

**ჰობი:** ფოტოგრაფია, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ელ-ფოსტა: giokvirik@hotmail.com (ბინის) ვაჟა-ფშაველას 45, კორპ. 26, ბ.33, თბილისი 380077.*

**არასოდეს უღალატო ადამიანს, რომელიც გენდობა. გაიღე ყველაფერი მეგობრობისათვის. მხოლოდ თავდაუზოგავი მუშაობა შეიძლება იყოს წარმატების საწინდარი.**



**ირაკლი კვირიკაძე** კინორეჟისორი, სცენარისტი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 12 ივლისს. მშობლები: სოფიო მინდაძე, მიხეილ კვირიკაძე; მეუღლე — ნანა ჯორჯაძე (1950); შვილები: ირინა (1960), მიხეილი (1975). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963), კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1968). იყო საქართველოს ტელეფილმების სტუდიის (1968-77), კინოსტუდია „ქართული ფილმის" (1977-91) რეჟისორი, სცენარისტი, თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტის ხელმძღვანელი (1974-81), მოსკოვის საერთაშორისო კინოინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკ-ტის ხელმძღვანელი, პროფესორი (1982-95). არის რეჟისორი და სცენარის ავტორი ფილმებისა: „ქვევრი" (1968); „სადღეგრძელო" (1970); „ქალაქი ანარა" (1975; პრიზები: ლოკარნო, გაბროვო, ბელგრადი); „მოცურავე" (1981; გრანპრი — სან-რემო, იტალია; კემპერში, საფრანგეთი); „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში" (1990; პრიზები: სან-ფრანცისკო, ნიუ-იორკის ფესტივალი); „პეტალუმა" (აშშ); „ოლმესის დაბრუნება" (1985); სცენარის ავტორი ფილმებისა: „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" (1986; ოქროს კამერა, კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ტოკიო, მონრეალი); „მოგზაურობა სოპოტში" (1980; გრან-პრი, „ოილენშპიგელი", მაყურებელთა პრიზი, კინოკლუბების პრიზი, ობერჰაუზენი, გერმანია); „მაყურებელთა პრიზი" — სატირისა და იუმორისათვის, კათოლიკური ეკლესიის პრიზი, კოშალინი, პოლონეთი); „დამეხმარეთ იალბუზზე ასვლაში" (1983); „დონ-ჟუანის ცრემლები" (1989, პრიზი —„საფრანგეთის საუკეთესო სცენარისტი 89"); „ქრილობა" (1987; გრან-პრი, ობერჰაუზენი, გერმანია); „წითელი ქვიშების ცხოველი" (1988); „ამერიკელი კახპა" (1990; მერილ ჰარტლის პრიზი (აშშ) საუკეთესო ამერიკული სცენარისათვის); „ლიმიტა" (1994); „წითელი ანგელოზები" (1991); „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" (1996, წარდგენილი იყო „ოსკარზე", 1997; Fipresci, კინოკრიტიკოსების საერთაშორისო პრიზი; Quinzgine des Realisateurs კანის საერთაშორისო ფესტივალი, 1996. საუკეთესო სცენარი, ანაპა „კინოშოკი 96"); „მოგზაურობა როსინანტთან" (1996), „27 დაკარგული კოცნა" (წარდგენილი იყო ევროპის კინოაკადემიის პრიზზე), „მთვარის მამა" (წარდგენილი იყო რუსეთის კინოაკადემიის პრიზზე „ნიკა"). არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1972).

**ჰობი:** ცურვა.

**მისამართი:***(ბინის) ჭავჭავაძის 75ბ, ბ.17. თბილისი 380062. ტელ: 22-35-36, 23-51-37.*

**ემზარ კვიციანი** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კოდორის ხეობაში. დაიბადა სოფ. ჩხალთაში (გულრიფშის რ-ნი) 1961 წ. 25 აპრილს. მშობლები: მარიამ გურჩიანი, ბექმურზა კვიციანი; მეუღლე – თეთნულდ ანსიანი

(1972); შვილები: გიორგი (1992), იესო (1994). დაამთავრა ნოვოსიბირსკის სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ეკონომიკის ფაკ-ტი (1988). იყო საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის I მოადგილე კოდორის ხეობაში (1998-2000), სახელმწიფო რწმუნებულია 2000 წლიდან.
**მისამართი:** *(ბინის) ფანასკერტელის 18, ბ. 51. თბილისი. ტელ: 98-44-20. მობ: (877) 40-68-36.*



**ვახტანგ კვიციანი** საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1957 წ. 25 ოქტომბერს. მშობლები: ევგენია სეხნიაშვილი, შოთა კვიციანი; მეუღლე — ირინა ლასურაშვილი (1957); შვილი — რუსუდანი (1991). დაამთავრა თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკ-ტი (1982). იყო თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმის დაუსწრებელი სწავლების ხელმძღვანელი (1983-89), ფირმა "ეკოაგროტექნოლოგიის" დირექტორის მოადგილე (1989-90), საქართველოს სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის ერთიანი სახ. ფონდის გენერალური დირექტორი (1991-96), თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე (1996-98). საქართველოს პარლამენტის წევრი და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა 1999 წლიდან. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1999). იყო სკკპ წევრი (1983-89).
**ჰობი:** სპორტი, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-63. (ბინის) კოსტავას 63, თბილისი. ტელ: 93-09-33.*
**ახლობლებისა და ქვეყნის სიყვარული.**



**ვახტანგ კიკაბიძე** საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1938წ. 19 ივლისს. მშობლები: მანანა ბაგრატიონი, კონსტანტინე კიკაბიძე; მეუღლე — ირინე ქებაძე; შვილები: მარინე, კოკა. შვილიშვილები: გიორგი, ვახტანგი, ივიკო. სწავლობდა უცხო ენათა ინ-ტში. იყო ფილარმონიის სოლისტი (1959 წლიდან), კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი, სცენარის ავტორი, რეჟისორი (1975 წლიდან). გადაღებულია ფილმებში: „შეხვედრა მთაში" (1966), „არ დაიდარდო" (1968), „მე — გამომძიებელი" (1970), „ვერის უბნის მელოდიები" (1975), „მიმინო" (1978), „იცოცხლე, გენაცვალე", „მამაკაცები და სხვები" (1985) და სხვ. არის სსრკ სახელმწიფო პრემიების (1980-82), საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი; საქართველოს სახალხო არტისტი (1980); დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1997), ნიკოლოზ სასწაულმოქმედის საერთაშორისო ორდენით (უკრაინა, 1997), წმინდა კონსტანტინეს რაინდული ოქროს ჯვრის საერთაშორისო ორდენით (რუსეთი, 1998), პრიზით "Золотой Грамофон" (1998); არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1998), ლეონიდ უტიოსოვის სახელობის პრემიის ლაურეატი (1999). მოსკოვის „ვარსკვლავების მოედანზე" გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი (2000). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „The International Who's Who" (1994).
**ჰობი:** თევზაობა.
**სამშობლო, ურთიერთგაგება, შენება, აღორძინება, ოჯახი, მეგობრები, სტუმარი, სიმღერა, შრომა და მშვიდობა თავისუფალ საქართველოში. წარმატებას განაპირობებს ნიჭი.**

**ზურაბ კიკნაძე** ფილოლოგი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 3 ოქტომბერს. მშობლები: ნინო წულუკიძე, გიორგი კიკნაძე; მეუღლე — ლამარა გვარამაძე (1927); შვილი — რევაზ კიკნაძე (1960). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1956). იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1959-73). უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია 1973 წლიდან, თსუ ფოლკ-



ლორისტიკის კათედრის გამგე 1977 წლიდან, ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი — 1994 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გილგამეშის ეპოსი" (1965), სადოქტორო „ქართულ მითოლოგიურ გადმოცემათა სისტემა" (1985). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „გილგამეშის ეპოსი" (1963); „თამუზის სიზმარი" (1969); „გილგამეშიანი" (1984); „ძველი შუამდინარული პოეზია" (1987); „შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი" (1984); „ხამურაბის კანონები" (1988); „საუბრები ბიბლიაზე" (1989); „ქართული მითოლოგია" I ტ. (1996), „შობიდან შობამდე" (1998) და სხვ. არის „ქართული პენ-ცენტრის" (1991) და მწერალთა კავშირის წევრი, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობის თავმჯდომარე (1996), ივ.მაჩაბლის პრემიის ლაურეატი. კემბრიჯის ბიოგრაფიულმა ცენტრმა აღიარა წლის ადამიანად (The International Man of the Year), აშშ ბიოგრაფიულმა ინ-ტმა (ABI) მიანიჭა 2000-წლეულის ღირსების მედალი (1999).
**ჰობი:** წიგნები, სოფელი.
**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 29-08-35. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 51. კორპ.9. ბ.29. თბილისი 380077. ტელ: 39-60-37.*

**ჭეშმარიტების ძიება, ავტორიტეტებისადმი ქედმოუხრელობა („პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ...") დევიზი: სწავლებით ვსწავლობთ!**



**ქეთევან კიკნაძე** მსახიობი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ბორჯომში 1939 წ. 10 მაისს. მშობლები: ბაბილინა კობახიძე, გაბრიელ კიკნაძე; მეუღლე — გიგა ლორთქიფანიძე (1927); შვილები: ნინო (1959), ნანა (1962), მაიკო (1973). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1959). მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1959 წლიდან. არის ავტორი წიგნისა „ჩემი გამოცდილებიდან" მონაწილეობდა 14 ფილმში („ტარიელ გოლუა", „შეხვედრა წარსულთან", „დათა თუთაშხია", „თეთრი ბაირაღები" და სხვ.), 100-ზე მეტ სპექტაკლში. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის, საზოგადოება „ქალები მშვიდობისთვის" წევრი, ღირსების ორდენის კავალერი (1999).
**ჰობი:** თეატრი, კინო, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, დიზაინი.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-55-00. (ბინის) იაშვილის 7. თბილისი.*

**მიყვარს როლზე ფიქრი და მუშაობა. მინდა ვემსახურო თეატრსა და კინოს უანგაროდ. ჩემი ოცნებაა, ჩემმა შვილებმა და შვილიშვილებმა იცხოვრონ ბედნიერად თავისუფალ, ერთიან საქართველოში. მინდა ვუყვარდე ჩემს მეგობრებს ისე, როგორც მე მიყვარს ისინი. ვცდილობ ადამიანებთან ვიყო მართალი. არ მიყვარს მოშურნე თვალი და ვერიდები მათ. გულწრფელობა მეგობრობის საწინდარია. მინდა ვთესო სიკეთე.**



**როლან კილაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის გალაქტიკის აგებულებისა და ევოლუციის განყოფილების გამგე, დოქტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ოლღა ჯაყელი, ილია კილაძე; მეუღლე — ლელი ბიწაძე (1934); შვილი — დარეჯანი (1960). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1955). იყო აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფროსი ლაბორანტი (1955), უმცროსი (1958-62), უფროსი (1962-86), წამყვანი (1986-89) მეცნიერ-თანამშრომელი. განყ-ბის გამგეა 1989 წლიდან. იყო თსუ ასტრონომიის კათედრის დოცენტი (1986-91). პროფესორია 1991 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „პლანეტების თანამედროვე ბრუნვა, როგორც მცირე ნაწილაკთა პლანეტის მახლობელი გროვების განვითარების შედეგი" (1982). არის 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „თეორიული ასტროფიზიკის კურსი", (სახელმძღვანელო, 1979), „პლანეტების თანამედროვე ბრუნვა, როგორც მცირე ნაწილაკთა პლანეტის მახლობელი გროვების განვითარების შედეგი" (1986), „უმართავი გეოსტაციონარული ობიექტების გაუმჯობესებული კატალოგი" (1996) და სხვ. გამოიყვანა უნივერსალური ფორმულა, რომლითაც შეიძლება წინასწარ გამოვიცნოთ შორეული პლანეტების დღე-ღამის ხანგრძლივობა (1965), პირველმა შეაფასა პლუტონის

მასა (1966), გაზომა სატურნის რგოლის სისქე (1967, 2000), მერკურზე აღმოაჩინა ატმოსფეროს არსებობის ნიშნები (1974), გედის თანავარსკვლავედში — ახალი ვარსკვლავი (1975), თეორიულად გამოთვალა პლუტონის თანამგზავრის არსებობა (1977), იპოვა პირველი ინტეგრალი გეოსტაციონარული თანამგზავრების მოძრაობის თეორიაში (2001). მიღებული აქვს მედალი „მამაცური შრომისთვის" (1970), სსრკ სახელმწიფო პრემია (1971), გაგარინის სახელობის დიპლომი (1981, 1986), საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1982), შრომის ვეტერანის მედალი(1986), მედალი „კოსმოსში ადამიანის გაფრენის 25 წელი" (1986), მედალი „კოსმოსური ერის 30 წლისთავი" (1987), აკად. კოროლიოვის სახელობის 2 მედალი (1987), აკად. ჩელომეის მედალი (1988), ღირსების მედალი (დიდი ბრიტანეთი, 1997-98), ციოლკოვსკის მედალი (1991), მედალი გაგარინის კოსმოსში გაფრენის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით (1991), საპატიო სიგელი დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებზე დაკვირვებაში აქტიური მონაწილეობისთვის. არის საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის (1964) და ევროპული ასტრონომიული საზოგადოების წევრი (1982), საქართველოს კოსმონავტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ასტრონომიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი (1997). მცირე პლანეტათა საერთაშორისო კატალოგში 4737 ნომრით რეგისტრირებულ მცირე პლანეტას რ.კილაძის პატივსაცემად ეწოდა სახელი „კილაძე" (1996). რ.კილაძის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმი „წითელი ვარსკვლავები" (1942). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: International Who's Who of Intellectuals (კემბრიჯი, 1997), მე-20 საუკუნის გამოჩენილი ადამიანები (კემბრიჯი, 1998), Dictionary of International Biography (კემბრიჯი, 1997-98).

**ჰობი:** სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრა, პორტუგალიური ენა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ყაზბეგის 2-ა. თბილისი 380060. ტელ: 37-52-26. ელფოსტა: ROKI@dtapha.kheta.ge (ბინის) ვაჟა-ფშაველას VI კვ. კორ. 17. ბ. 52. თბილისი 380086. ტელ: 30-28-41.*

**წარმატებას განაპირობებს ტალანტი და შეუპოვრობა. ყოველთვის ვცდილობდი საინტერესო (და არა სარფიანი) საქმე მეკეთებინა. ძალიან მეხმარება ინტუიცია და იუმორი.**



**სოფიო კინწურაშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1948წ. 16 ივლისს. მშობლები: ნინო ჩერქეზიშვილი, კონსტანტინე კინწურაშვილი; მეუღლე — თამაზ ვარვარიძე (1945); შვილები: ალექსანდრე (1974), ირაკლი (კოკო, 1976). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1972). თანამშრომლობს გამომცემლობებთან (1974 წლიდან), გაფორმებული და ილუსტრირებული აქვს მრავალი საბავშვო წიგნი, ჟურნალი, სახელმძღვანელო და სხვ. გამოფენებში მონაწილეობს 1974 წლიდან: გრაფიკის ბრნოს საერთაშორისო ბიენალე (ჩეხოსლოვაკია, 1978, 1980), კულ-დე სარტსის V საერთაშორისო გამოფენა (ბელგია, 1989), ბუდაპეშტის საერთაშორისო ბიენალე Art of Today (1987, 1990), ქართული ავანგარდი (ლენინგრადი, 1989), თანამედროვე ქართული ხელოვნება (ბუდაპეშტი, 1990), კანაგავას თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე (იაპონია 1990), მცირე ფორმების I საერთაშორისო გამოფენა (ნაპას არტ-ცენტრი, Juniper Gallery, US, 1992), „მინიატურა 6" (ნორვეგია, 1991), MEGAUNIVERS (TMS, თბილისი, 1995), „ხატი და შემეცნება" (თბილისი 1996), პერსონალური (Int. Images Gallery, სევიკლი, აშშ, 1997), ჯგუფური (არტ-ცენტრი Georgienne, ჰააგა, 1997), ჯგუფური (Spike Island, ბრისტოლი, 1998), გრაფიკის ტრიენალე „ფერი გრაფიკაში" (კრაკოვი, 1998) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ (თბილისი), ნიუ ჯერსის ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის პუშკინის სახელობის მუზეუმში, ფრიდრიკსტადის თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (ნორვეგია), კულ-დე-სარტსის მცირე ფორმების მუზეუმში (ბელგია), კანაგავას თანამედროვე გრაფიკული ხელოვნების მუზეუმში (იაპონია). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1974), გრაფიკული დიზაინის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; ამჟამად მუშაობს პროექტის „ქართული შრიფტი, ისტორია და თანამედროვეობა" განხორციელებაზე.

**ჰობი:** ჩინური თვითდახვეწის ხელოვნება თაი-ჩი.

მისამართი: *(ბინის) ფალიაშვილის 39ა, ბ.13. თბილისი 380079. ტელ: 22-22-93. ელ-ფოსტა: coco@ip.osgf.ge*



**დავით კირვალიძე** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი. დაიბადა თბილისში 1967 წ. 28 ივნისს. მშობლები: იზოლდა იაკობაშვილი, რევაზ კირვალიძე. დაამთავრა საქართველოს სოფლის მეურნეობის ინ-ტის აგრონომიის ფაკ-ტი (1989). იყო კერძო ფერმერთა დახმარების ფონდის დირექტორატის წევრი (1996-99), საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (1999). სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინიტრია 2000 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ჰუმუსი ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანეთის ნიადაგებში" (1993). არის 19 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; ნიადაგმცოდნეთა საერთაშორისო, ინგლისის პროფესიონალ ნიადაგმცოდნეთა და ევროპის ნიადაგის დაცვის საზოგადოებების, სმკ-ის (1994) წევრი.
**ჰობი:** ლიტერატურა, ფეხბურთი, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 41. თბილისი 380023. ტელ: 99-62-61. ფაქსი: 93-33-00. (ბინის) მოსაშვილის 22. თბილისი 380062.*



**ნატო კირვალიძე** ფონდ "კავკასიის" გარემოს დაცვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 30 ნოემბერს. მშობლები: ია იაშვილი, ავთანდილ კირვალიძე; მეუღლე – გიორგი დარციმელია (1973). დაამთავრა თბილისის უცხო ენათა სახ. პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1980-85), სინქრონული თარგმანის უმაღლესი კურსები (1985-87). იყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მთარგმნელთა განყ-ბის თარჯიმანი (1983-89), საქართველოს მწვანეთა საერთაშორისო კოორდინატორი (1989-97), გაეროს შავი ზღვის გარემოსდაცვითი პროგრამის საკოორდინაციო ცენტრის მრჩეველი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (1997-98), გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მდგრადი განვითარების ცენტრ "რიო"-ს თავმჯდომარე (1998-2000). არის რამდენიმე პუბლიკაციის, მოხსენებისა და ბიულეტენის ავტორი (1996-2001); იყო ევროპის მწვანეთა პარტიების ფედერაციის თანათავმჯდომარე (1993-97), საქართველოს მწვანეთა პარტიის პოლიტიკური კომიტეტის წევრი (1994-96), საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს წევრი (1994-97), შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ფორუმის წარმომადგენელი (1995-96). არის საქართველოს ახალგაზრდული ეკომოძრაობის საპატიო წევრი (1993 წლიდან).
**ჰობი:** ხელსაქმე.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 74, ოთ. 804, თბილისი 380062. ტელ: 25-36-48. ფაქსი: 25-36-49. ელ-ფოსტა: rec@caucasus.net (ბინის) საბურთალოს 57ა, ბ.48, თბილისი 380077. ტელ: 39-43-42.*

**ეროსი კიწმარიშვილი** სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-ის პრეზიდენტი. დაიბადა ხაშურში 1964 წ. 5 აგვისტოს. მშობლები: გულიკო მაჭავარიანი, იოსებ კიწმარიშვილი; მეუღლე — ია კიწმარიშვილი (1971); შვილები: ლუკა (1992), ანა (1994), თეკლე (1995). დაამთავრა თსსი პედიატრიული ფაკ-ტი (1987). იყო რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოს ექიმი-პედიატრი (1988-89), უწერის (ონის რ-ნი) სოფლის ამბულატორიის ექიმი-პედიატრი (1989-91), რუსთავის ჯანმრთელობის დაცვის განყ-ბის გამგე (1992), გამგის მოადგილე (1992-93), სადაზღვევო კომპანია „რინკო"-ს დამფუძნებელი, გენერალური დირექტორი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2"-ის გენერალური დირექტორი (1994-2001). „რუსთავი 2"-ის პრეზიდენტია 2001 წლიდან.
**ჰობი:** ალპინიზმი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 45. თბილისი 380077. ტელ: 32-23-71. ელ-ფოსტა: rustavi2@access.sanet.ge*



**ნანა კლარჯეიშვილი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის მოსამართლე. დაიბადა სამტრედიაში 1967 წ. 19 თებერვალს. მშობლები: ლამარა კლარჯეიშვილი, პავლე კლარჯეიშვილი; შვილი — ანა ნიკურიანი (1991). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1993). იყო სახ. კომერციული ბანკი "ინდუსტრიაბანკის" (1993-95), ს/ს "საქართველოს ბანკის" (1995-98) იურისტი, წამყვანი სპეციალისტი.
**ჰობი:** ლიტერატურა, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 98-20-95 (ბინის) მუხიანის III მ/რ, XXII კორპ., ბ. 26, თბილისი. ტელ: 63-64-37.*

**"ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან" – ილია ჭავჭავაძე.**



**ლამარა კობალაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სურამში 1960 წ. 19 ოქტომბერს. მშობლები: ლილი ცინცაძე, სიმონ კობალაძე; მეუღლე — მალხაზ სალაყაია (1959); შვილები: გვანცა (1983), გიორგი (1987). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1984). იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსულტანტი (1985-87), ნაძალადევის რ-ნის მოსამართლე (1987-91), თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე, პრეზიდიუმის წევრი (1991-98), თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (1998-2000).
**ჰობი:** მოგზაურობა, ქართული კერძების მომზადება.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14; 53-09-17.*

**უსაზღვრო შრომისმოყვარეობა. დასახული მიზნის მისაღწევად არასოდეს ვუშინდები სიძნელეებს, რადგან მჯერა, დაბრკოლების გადალახვა უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელია. არ მიყვარს ფუჭი დაპირებები და სიტყვის გატეხვა. მიყვარს პუნქტუალურად მოქმედება. ჩემს საკეთებელ საქმეს არასოდეს ვაკეთებინებ სხვას.**



**ავთანდილ კობახიძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, პროფესორი. დაიბადა სოფ. ნიკორწმინდაში 1933 წ. 3 ივლისს. მშობლები: კლავდია კობახიძე, ვლადიმერ კობახიძე; მეუღლე — ნანული დოხნაძე (1937); შვილები: დავითი (1966), ალექსანდრე (1969). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1956). იყო ამბროლაურის რაიალმასკომის ინსტრუქტორი (1956-58), პარტიის ამბროლაურის რაიკომის განყ-ბის გამგის მოადგილე (1961-68), საქართველოს პროკურატურის განყ-ბის პროკურორი, განყ-ბის უფროსის მოადგილე (1968-73), მცხეთის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე (1974-75), თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე (1975-91), იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსი (1992-93), საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე (1993-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "კონფისკაციის ცნება და სახეები" (1993). არის საქართველოს დამსახურებული იურისტი (1988), მოსამართლეთა კავშირის წევრი (1999).
**ჰობი:** პოეზია.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) ბაგები, II კორპ., ბ. 69, თბილისი. ტელ: 29-11-24.*

**შრომა და სამართლიანობა, ადამიანისა და სამშობლოს სიყვარული.**

**თენგიზ კობახიძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ზესტაფონში 1950 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: ნუნუ მახათაძე, ვიქტორ კობახიძე; მეუღლე – რუსუდან კოპალეიშვილი (1949); შვილები: ქეთევანი (1980), ეთერი (1980). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1972). იყო თბილისის ორჯონიკიძის რ-ნის პროკურატურის სტაჟიორი (1972-73), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ს/კ ლაბორატორიის ექსპერტი (1973-75), საქართველოს



პროკურატურის განყ-ბის პროკურორი (1975-87), თბილისის ვაკის რ-ნის (1987-91), თბილისის საქალაქო სასამართლოს (1991-99), თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს (1999) მოსამართლე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. იყო სკკპ წევრი (1987-89).
**ჰობი:** ქართული ხალხური სიმღერებისა და საოპერო მუსიკის მოსმენა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 92-10-49. (ბინის) ყიფშიძის 5ა, ბ. 32, თბილისი. ტელ: 29-29-35.*

**მოქალაქეთა უფლებების და თავისუფლებების დაცვის სამსახურში ყოფნა. მისწრაფება, რომ თითოეულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება იყოს კანონიერი, სამართლიანი, ობიექტური და დასაბუთებული. მსურს, რომ ჩემი წვლილი შევიტანო საქართველოში უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელებაში.**



**მამუკა კობახიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა ჭიათურაში 1949 წ. 22 ივლისს. მშობლები: ვენერა პაპიძე, პავლე კობახიძე; მეუღლე — მარინა სვიმონიშვილი (1950); შვილი — კობა (1973). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1972). იყო გამომძიებელი, საგამოძიებო განყ-ბის უფროსი (ჭიათურა, 1972-76), აჭარის პროკურორის თანაშემწე გამოძიების დარგში (1976-79), ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსი (1979-85), ხელვაჩაურის რ-ნის პროკურორი (1985-86), ბათუმის პროკურორი (1986-91), აჭარის შს მინისტრი (1991), საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის I მოადგილე. არის ღირსების ორდენის კავალერი (1995), დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1999).
**ჰობი:** ბუნებაში გასეირნება.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) სტალინის 69, ჭიათურა.*

**გულახდილობა, სიმართლე, სიყვარულის დიდი უნარი, მომთხოვნელობა, მეგობრობა, პასუხისმგებლობა, ოჯახის დიდი სიყვარული; ლამაზი ქალისადმი მორჩილება, კარგი ქეიფი სიმღერებით, სოფლის მეურნეობა.**



**ბესიკ კობერიძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1965 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ციცო ისაკაძე, ფრიდონ კობერიძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989). იყო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს უცხოური ინვესტიციების სააგენტოს უფროსი, იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილე, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 99-09-18. (ბინის) ატენის 18ა, თბილისი. ტელ: 23-29-93.*



**ლევან კობიაშვილი** ფეხბურთელი. დაიბადა თბილისში 1977 წ. 10 ივლისს. მშობლები: ცარო საბაური, ზურაბ კობიაშვილი; მეუღლე – თამარ წულეისკირი (1978); შვილი – ნიკა (1999). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი. იყო რუსთავის გუნდი "მეტალურგის" (1995-96), თბილისის "დინამოს" (1996-97), ვლადიკავკაზის "ალანიას" (1997-98) ფეხბურთელი. გერმანიის გუნდ "ფრაიბურგის" ფეხბურთელია 1998 წლიდან, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი — 1996 წლიდან, ჩატარებული აქვს 33 მატჩი (1 გოლი). დაჯილდოებულია საქართველოს ჩემპიონთა თასით, სუპერთასით (1996-97), დასახელებულია რუსეთის საუკეთესო ლეგიონერად, საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად, საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად (2000), ბუნდესლიგის საუკეთესო ნახევარმცველად (II ადგილი, 2001).
**ჰობი:** მუსიკა, ჩოგბურთი.
**მისამართი:** *(ბინის) კოსტავას II შეს., 5ა. თბილისი.*

**პატიოსნება, მეგობრობა, ოჯახის სიყვარული.**

**ედუარდ კოდუა** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ სოციოლოგიის კათედრის გამგე. დაიბადა სენაკში 1929 წ. 14 ოქტომბერს. მშობლები: ლიდა შელეგია, ვანო კოდუა; მეუღლე — ანა მახარაძე (1930); შვილები: თამარი (1954), თემური (1956). დაამთავრა თსუ ფილოსოფიის ფაკ-ტი (1954). იყო სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელი (1954-59), თსუ დოცენტი (1963-68), ფილოსოფიის კათედრის პროფესორი (1968-80). თსუ სოციოლოგიის კათედრის გამგეა 1980 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ისტორიის ნეოკანტიანური მეთოდოლოგიის კრიტიკა" (1963); სადოქტორო — „ისტორიის საზრისის საკითხისათვის" (1968). არის ავტორი წიგნებისა: „ისტორიის ფილოსოფია" (1966), „ისტორიის საზრისის საკითხისათვის" I და II ტ. (1976, 1979), „სოციოლოგიის შესავალი" (1988) და სხვ. არის საქართველოს სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი (1986).

**ჰობი:** დიქტატურის მსხვერპლთა ნაშრომების გამოქვეყნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 14. თბილისი 380028. ტელ: 22-96-65. (ბინის) ყაზბეგის 29-ა. ბ. 16. თბილისი 380077 ტელ: 39-17-48.*

**ვიყო მართალი ღმერთისა და კაცის წინაშე. ცხოვრების მიზანი — გაეერკვე რა არის ადამიანი და აქვს თუ არა მის ყოფიერებას რაიმე დანიშნულება სამყაროში. სიმართლემ მრავალგზის მომტეხა კისერი, მაგრამ ისევ მას ვემსახურები მეცნიერებაშიც და ცხოვრებაშიც. მიხარია, რომ შევძელი ჩემი მასწავლებლების დაფასება და მათი ნააზრევის გამომზეურება.**



**ირაკლი კოვზანაძე** „გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორი. დაიბადა 1962 წ. 29 ივნისს. მშობლები: დიანა ცხადაძე, კარლო კოვზანაძე. დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის (1984), ეკონომიკის (1995) ფაკ-ტები, თსუ ასპირანტურა (1987). იყო თსუ გამოთვლითი მათემატიკის კათედრის უფროსი ლაბორანტი (1988-90), ალგებრა-გეომეტრიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1990-92), სკბ „კრწანისის" განყოფილების გამგე, გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე, გენერალური დირექტორი (1993-97). ს/ს „გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალური დირექტორია 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მეზოკომპაქტური სივრცეების განზომილების ზოგიერთი საკითხის შესახებ" (1990). არის 25 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (1988-97). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who in European Managers and Acquisitions (2001, London, UK).

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურის კითხვა, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გაერთიანებული ქართული ბანკი. უზნაძის 37. თბილისი 380002. ტელ: 94-23-09. ფაქსი: 99-91-39. ელ-ფოსტა: admin@ugb.com.ge*

**მაღალი სამეცნიერო პოტენციალის და საერთაშორისო სტანდარტების საბანკო ინსტიტუტის ჩამოყალიბება.**



**დავით კოვზირიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ზესტაფონში 1950 წ. 1 იანვარს. მშობლები: აგრაფინა ზამთარაძე, დავით კოვზირიძე; მეუღლე — მანანა კაკოჩაშვილი (1948); შვილები: ნინო (1981), გიორგი (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1973). იყო ადვოკატი (1977-79), საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის კონსულტანტი (1979-81), იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტი (1981-84), მოსამართლე (1984-92), ზესტაფონის რ-ნის გამგებელი (1992), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95), ზესტაფონის რ-ნის საკრებულოს თავმჯდომარე (1998-99). არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1994 წლიდან).

**ჰობი:** წიგნები, ფეხბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-16-91, 8-99-56-84-05.*

**სამშობლოს სიყვარული, პატიოსნება, პრინციპულობა, სამართლიანობა, ღირსების გრძნობა, ბრძოლა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.**



**ვახტანგ კოკილაშვილი** მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 1 მაისს. მშობლები: ანა კოზმავა, მიხეილ კოკილაშვილი; მეუღლე — ლალი მაღრაძე (1941); შვილები: თამარი (1967), ლაშა (1969). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1959). იყო მათემატიკის ინ-ტის უმცროსი (1962-66), უფროსი (1966-86), წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1986-89), დირექტორის მოადგილე, მათემატიკური ანალიზის განყ-ბის გამგე (1989 წლიდან). თსუ პროფესორია 1985 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სინგულარული ინტეგრალები წონიან ფუნქციურ სივრცეებში, ფუნქციათა სასაზღვრო თვისებები" (1980). არის 130 სამეცნიერო სტატიის და 5 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: „მაქსიმალური ფუნქციები და სინგულარული ინტეგრალები წონიან ფუნქციურ სივრცეებში" (1985), „წონიანი უტოლებები ლორენცისა და ორლიჩის სივრცეებში" (1991), „წონების თეორია ერთგვაროვან სივრცეებზე განსაზღვრული ინტეგრალური გარდაქმნებისთვის" (1998); ორი მონოგრაფია გამოცემულია ინგლისურ ენაზე. არის ა.რაზმაძის სახელობის პრემიის ლაურეატი (1985). მისი ბიოგრაფია შეტანილია ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის ცნობარში ( ABI, 1997).

**ჰობი:** მუსიკა, თეატრი.

**მისამართი:** *(სამსახურის) მათემატიკის ინ-ტი. ალექსიძის 1. თბილისი 380093. ტელ: 33-35-12. ელ-ფოსტა: kokil@imath.acnet.ge (ბინის) ნუცუბიძის 60. ბ. 15. თბილისი 380077. ტელ: 39-77-13.*

**ჩემი ქვეყნის სამსახური პატიოსანი შრომით მეცნიერების სფეროში და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში. ჩემი კრედოა: „მეცნიერების მთავარი მიზანია პატივი მიაგოს ადამიანის სულიერებას" (გ.იაკობი).**



**მერაბ კოკოჩაშვილი** კინორეჟისორი, კომპანია „ქართული ტელეფილმის" სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 21 მარტს. მშობლები: მარინე ჯორჯაძე, არჩილ კოკოჩაშვილი; მეუღლე — მანანა მეძმარიაშვილი (1942); შვილები: მაია (1962), ხათუნა (1966). დაამთავრა საკავშირო კინემატოგრაფიის ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მოსკოვი, 1960). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორის ასისტენტი (1957-60), საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი (1976-99). „ქართული ფილმის" რეჟისორია 1961 წლიდან. არის თსუ კინოს ენისა და სტრუქტურის შემსწავლელი ს/კ ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი. გადაღებული აქვს მხატვრული ფილმები: „ხმელი წიფელი" (1958), „არდადეგები" (1961), „მიხა" (1963), „დიდი მწვანე ველი" (1967), „გზა მშვიდობისა, ჯაყო" (1973), „მწვერვალი" (1976), „ცხელი ზაფხულის სამი დღე" (1981), „ნუცას სკოლა" (2000); დოკუმენტური ფილმები: „გზა" (1986), „ფენომენი" (1992), „საქართველო ანოსია, საქართველო ვანოსია" (1995). მიღებული აქვს დიპლომები და პრემიები საერთაშორისო კინოფესტივალებზე: ვენაში, ობერჰაუზენში, ლა-როშელში, ერევანში, პეზაროში, სტახანოვში და სხვ.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს ტელევიზია. კოსტავას 68, თბილისი 380071. ტელ: 36-88-24. ფაქსი: 33-47-86. (ბინის) პლ.იოსელიანის 37. ბ.109. თბილისი 380071. ტელ: 33-78-93.*

**მოვიშველიებ სიტყვებს ჩემი ფილმიდან „ცხელი ზაფხულის სამი დღე": „ადამიანი ბოლომდე უნდა დაიხარჯოს".**



**ალექსანდრე კორსანტია** პიანისტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1965 წ. 18 აპრილს. მშობლები: სვეტლანა კორსანტია, ვალერი ჟიდკო; მეუღლე — ნეა კორსანტია (1965); შვილი — ნიკა (1987). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1989), ასპირანტურა (პროფესორ თ. ამირეჯიბის კლასი, 1991). არის აშშ ინდიანას შტატის უნივერსიტეტის ფორტეპიანოს კათედრის მასწავლებელი, პროფესორი (1993 წლიდან), ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი (I პრემია, 1981), შოპენის კონკურსის დიპლომანტი (ვარშავა, 1985), პიანისტთა საერთაშორისო (ავსტრალია, 1988), პალმ-ბიჩის (აშშ, 1994) და არტურ რუბინშტეი-

ნის (ისრაელი, 1995) კონკურსების I პრემიის ლაურეატი. ეწევა საშემსრულებლო (საკონცერტო) მოღვაწეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.
**ჰობი:** საბავშვო კომპიუტერული თამაშობანი.
**მისამართი:** *(ბინის) რუსთაველის 1. თბილისი 380008. ტელ: 99-98-78 /საუტ-ბენდი, ინდიანას შტატი, აშშ. 219-228-938-92.*

**ის, რაც ვიცი და შემიძლია, უნდა გავუზიარო სხვებს, განსაკუთრებით ჩემს მოწაფეებს.**



**ვახუშტი კოტეტიშვილი** აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ნინო დილევსკაია, ვახტანგ კოტეტიშვილი; მეუღლე — მზექალა გოგოჭური (1964); შვილები: ტატო (1959), გუგა (1962). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1959). იყო თსუ დოცენტი (1965-77), პროფესორი (1978-95). არის თბილისის კულტურის სახ. ინ-ტის პროფესორი, ფოლკლორის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი (1994 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჰაფეზის ლირიკის გაგებისათვის" (1964), სადოქტორო — „სპარსული კლასიკური რითმის სტრუქტურა" (1975). ნათარგმნი და გამოცემული აქვს წიგნები: „ომარ ხაიამი, რობაიები" (1963), „აბდ ორ-რაჰმან ჯამი, ლექსები" (1966), „ჰაფეზი „ლირიკა" (1967), „სპარსული კლასიკური რითმის სტრუქტურა" (მონოგრაფია 1968), „ირანული პოეზია" (შემდგენელი, რედაქტორი, კომენტარების ავტორი, ერთ-ერთი მთარგმნელი, 1978), „ვახუშტი კოტეტიშვილის ფოლკლორული რვეული" (1990), „ჩემი წუთისოფელი (2001). რაინერ მარია რილკეს პოეტურ ციკლთა თარგმანისათვის მიღებული აქვს ქართულ-ევროპული ინ-ტის (პარიზი, 1990) და ავსტრიის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს (ვენა, 1995) პრემიები. არის საქართველო-აზერბაიჯანის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი და იუნესკოს ფოლკლორული ასოციაცია „იოფას" საქართველოს განყ-ბის პრეზიდენტი (1997 წლიდან), საქართველოს ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების ცენტრის თავმჯდომარე (2000), საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.
**ჰობი:** სამთო ტურიზმი, ბილიარდი, ბრიჯი, თამადობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 40. თბილისი 380002. ტელ: 95-10-50. (ბინის) ვახტანგ კოტეტიშვილის 7. თბილისი 380039. ტელ: 99-71-45. 22-85-77.*

**ქრისტიანული ათი მცნება, სიკეთისა და მადლიერების უნარი, თავმოყვარეობა და არა პატივმოყვარეობა, აზროვნების თავისუფლება და სულის სილაღე, პოეზიის შმაგი სიყვარული, ნიკო სამადაშვილის გაგებით: „ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო, ლექსები, ტანზე გამონაყარი..".**



**დავით კოლუაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1969 წ. 25 იანვარს. მშობლები: ნარგიზა ნიჟარაძე, გიორგი კოლუაშვილი; მეუღლე — ეკატერინე ტაბატაძე (1972); შვილები: მერი (1990), გიორგი (1992). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1992). იყო გენპროკურატურის განყ-ბის პროკურორი (1992-93), სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის საჩივრების სამმართველოს მთავარი იურისტი (1996-97), შპს "იორის ველის" იურისკონსულტი (1997-98), საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1998-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის აშშ საგადასახადო სამართლის მაგისტრი (თემა: "აშშ და აღმოსავლეთ ევროპის საგადასახადო სისტემების შედარებითი ანალიზი" ჩიკაგო, აშშ 1995); პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები — ახლების" ერთ-ერთი დამფუძნებელი (2001).
**ჰობი:** მოგზაურობა, კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 99-78-53.*

**რა წარმატებასაც არ უნდა მიეაღწიო ცხოვრებაში, დაერჩე ისეთი, როგორიც ვარ ბუნებით. წარმატება მოდის ჩემი ერთგულებით ზნეობისადმი და კეთილგანწყობით გარშემომყოფთადმი.**



**ზაზა კოშაძე** გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა 1955 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: ჯენეტ კოშაძე, გურამ კოშაძე; მეუღლე – ნინო ჯაკობია (1961); შვილები: ნანა (1994), ანა (1997). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის საკონსერვო მრეწველობის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1977), ასპირანტურა (1989). იყო გორის აგროსამრეწველო გაერთიანების ლაბორანტი, ინჟინერ-ტექნოლოგი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1977-81), საქართველოს კპ გორის რაიკომის ინსტრუქტორი (1981-82), გორის ყველ-კარაქის ქარხნის დირექტორი (1982-87), გორის აგროსამრეწველო გაერთიანების წამყვანი ინჟინერ-ტექნოლოგი (1988-92), საქართველოს სოფლის მეურნეობის სახ. კომიტეტის დირექტორის მოადგილე (1992-96), გორის მერიის ფინანსებისა და ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მრჩეველი (1996-99), გორის რ-ნის გამგეობის ეკონომიკური განყ-ბის მთავარი სპეციალისტი (1999), გამგეობის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის უფროსი (1999-2000), რ-ნის გამგებლის მოადგილე (2000). გორის გამგებელია 2000 წლიდან. არის სმკ-ის წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) სტალინის გამზირი 16, გორი. ტელ: 2-51-96. (ბინის) მამარდაშვილის 10, გორი. ტელ: 2-23-34.*



**გიორგი კოხრეიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ინვალიდთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1967 წ. 14 ივნისს. მშობლები: ეთერ ლომიძე, ავთანდილ კოხრეიძე. დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი (1995). იყო არასამთავრობო ორგანიზაცია "ინვალიდთა ლიგის" თავმჯდომარის მოადგილე (1995-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაჯილდოებულია რუსეთის ხალხთა მეგობრობის ორდენით (1995). არის ინვალიდთა სპორტული ფედერაციისა (1995) და ინვალიდთა ლიგის (1995-99) წევრი.
**ჰობი:** ტექნიკა, ბილიარდი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-75. (ბინის) ცემის 9, თბილისი 380054. ტელ: 34-76-89.*
**მოთმინება.**

**დიმიტრი კრანაშვილი** სიღნაღის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სიღნაღში 1967 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: ნანული ჭაბაშვილი, ალექსანდრე კრანაშვილი; მეუღლე – ნინო ნერეთელი (1968); შვილები: მარიამი (1991), სალომე (1993), ალექსანდრე (1996). დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტი (1993), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1999). იყო სიღნაღის რ-ნის გამგეობის განყ-ბის გამგე (1994), წნორის გამგებელი (1995), წნორის საკრებულოს თავმჯდომარე (1998), სიღნაღის რ-ნის საკრებულოს თავმჯდომარე (1999). სიღნაღის გამგებელია 2001 წლიდან. არის სმკ წევრი (1993).
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის მოედ. 2, სიღნაღი. ტელ: 3-22-51. (ბინის) მეგობრობის 2, წნორი. ტელ: 4-35-25, (899) 55-65-78.*
**მშვიდობა იყოს ყველგან.**



**ლოტბერდ კუპატაძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ზესტაფონში 1953 წ. 8 ივნისს. მშობლები: ბარბალე კუპატაძე, სერგო კუპატაძე; მეუღლე — ნათელა ზვიადაძე (1960); შვილები: სერგო (1990), თამარი (1992). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1976). იყო ზესტაფონის რ-ნის სოფ. საზანოს კოლმეურნეობის მუშა (1970-75), კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე (1975-82), ზესტაფონის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე, სამცხე-ჯავახეთის სამხედრო მოსამართლე, სამხედრო პროკურორი, ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1982-99). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** პოეზია, სპორტი, ფეხბურთი, ჭადრაკი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილ-ების 32, თბილისი 380010. ტელ: 93-23-08. გლდანის I მ/რ, IV კორპ., ბ. 70, თბილისი. ტელ: 67-39-75.*

**ჩემი სამშობლოსა და ხალხის განსაკუთრებული სიყვარული, შრომა, პატიოსნება, თავმდაბლობა, პრინციპულობა, სამართლიანობა, გაჭირვებულთათვის უანგარო დახმარება.**



**ცირა კუპატაძე** „ქალთა გაზეთის" გამომცემელი და რედაქტორი, ჟურნალი „ქართული მოდის" გამომცემელი. დაიბადა ჭიათურაში 1950 წ. 23 თებერვალს. მშობლები: მარგარიტა სარალიძე, ბეჟან კუპატაძე. დაამთავრა თსუ ჟურნალისტი-კის ფაკ-ტი (1971). იყო გაზეთ „ლენინელის" კორესპონდენტი (1971-72), სამკერვა-ლო ფაბრიკის რადიოკვანძის რედაქტორი (1972-73), ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1973-75), მოსკოვის უმაღლესი კომკავშირული სკოლის მსმენელი (1975-77), „ახალგაზრდა კომუნისტის" კორესპონდენტი, რედაქტორის მოადგილე (1977-89), „სოფლის ცხოვრების" კორესპონდენტი (1989-90), გაზეთ „კაბადონის" განყ-ბის გამგე (1990). „ქალთა გაზეთის" დამფუძნებელი და რედაქ-ტორია 1990 წლიდან. იყო კომკავშირის ცკ-ის სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ წევრი (1973-90).

**ჰობი:** მანქანის ტარება, ცურვა, ტყე, კინო.

**მისამართი:** *(სამსახურის) გამომცემლობა „სამშობლო" კოსტავას 14. თბილისი 380096. ტელ: 98-86-77. (ბინის) დიღმის მასივი, III კვ. II კორპ. ბ. 74. თბილისი.*

**ყოველთვის ვიცოდი რა მინდოდა. ვგრძნობდი მიზნის მისაღწევად საჭირო ყველაზე რეალურ, მოკლე გზას. მიღწეული აღარ მაინტერესებს, თუმცა ერთგულად ვემსახუ-რები. მაშინვე მიჩნდება ახალი მიზანი. როგორც ქალს, არ მაქვს არავითარი კომ-პლექსი, მამაკაცებს ვექცევი ისე, როგორც თანასწორუფლებიანებს. ვიცი საკუთარი თავის ფასი და ეს სულაც არ მაწუხებს.**



**ელდარ კურტანიძე** პროფესიონალი მოჭიდავე, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიბადა სოფ. ქვემო ფშაფში (გულრიფშის რ-ნი) 1972 წ. 16 აპრილს. მშობლები: ნაირა წულაია, ნოდარ კურტანიძე; მეუღლე — ნანა კურტანიძე (1972); შვილები: ნათია (1991), ნოდარი (1994). დაამთავრა თსუ სოხუმის ფილიალი (1996), სწავლობს თსუ იურიდიულ ფაკ-ტზე (1997 წლიდან). არის ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1992, 1997, 1998), მსოფლიოს N1 მოჭიდავე (1993), საქარ-თველოს N1 სპორტსმენი (1996), ატლანტისა (1996) და სიდნეის (2000) ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი, ვ.ბალავაძის სახელობის საერთაშო-რისო ტურნირის გამარჯვებული (1998), ევროპის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (უნგრეთი, 2001). არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაჯილდო-ებულია ღირსების ორდენით (1999), ვ.გორგალის III ხარისხის ორდენით (2000).

**ჰობი:** მუსიკა და ყველა ქვეყნის ძველი ისტორია, ოცნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49. თბილისი 380062. ტელ/ფაქსი: 29-14-16. (ბინის) ჯანაშიას 11ა, თბილისი 380079. ტელ: 22-75-77.*

**ბავშვობიდან მქონდა მიზანი გავმხდარიყავი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, რასაც მომავალში განვახორციელებ, და საერთოდ, ყველა საქ-მეში უნდა ჰქონდეს ადამიანს მიზანი. ჩემი იდეალია ღმერთი, უფალი, სამშობლო და ერთი ჩემი მიზანია ვაკეთო ის საქმე, რითაც მე შემეძლება დავიმსახურო ნდობა და სიყვარული ჩემი იდეალისაგან. და ბოლოს, მე მინდა ვიცხოვრო ისე, ცხოვრების ბოლოს რომ მოვიხედავ და გადავხედავ ჩემს წარსულ ცხოვრებას, მეთქვას, მე გავა-კეთე ის, რაც შემეძლო ჩემი ქვეყნისათვის.**



**რომან კუსიანი** საქართველოს პარლამენტის წევრი, რეგიონალური პოლიტი-კისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე, დაიბადა საჩხერის რ-ში 1967 წ. 9 აგვისტოს. მშობლები: ზინა ქაშაკაშვილი, ნოდარ კუსიანი; მეუღლე — ეკა ჩაჩანიძე (1969); შვილები: სალომე (1991), გიორგი (1998). დაამთავრა სპი ავტომობ-ილებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციის საინჟინრო ფაკ-ტი

(1991). მუშაობდა თბილისის ორჯონიკიძის რ-ნის არასაუწყებო დაცვაში (1988-91), იყო საჩხერის რ-ნის საქართველოს მწვანეთა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე (1991-93), სმკ საჩხერის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე (1993-94), სმკ რეგიონალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი (1994-95), სმკ საორგანიზაციო მდივანი (1995-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებელი (1998).
**ჰობი:** ისტორიული ადგილების დათვალიერება, ბუნებაში სეირნობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 99-08-63. ფაქსი: 92-15-68. (ბინის) მაჩაბლის 5, თბილისი. ტელ: 98-83-56.*

**პასუხისმგებლობა, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სხვისი აზრის მოსმენა-გაზიარება, სამართლიანობა, საქმისა და კაცის ერთგულება, უკეთესობისაკენ სწრაფვა.**



**ბიძინა კუჭავა** ტელეკომპანია, რადიო და გაზეთ „საქართველოს ხმის" დამფუძნებელი და პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: ნინო მიქელაძე, ნუგზარ კუჭავა; შვილები: რევაზი (1979), მეგი (1985), ანა (1998). დაამთავრა სპი (1985). იყო ტელეკომპანია „იბერვიზიის" გენერალური დირექტორის მოადგილე (1988-94). 1994 წლიდან ტელეკომპანიის, რადიოს და გაზეთის „საქართველოს ხმის" დამფუძნებელი და პრეზიდენტია. არის მრავალი სატელევიზიო გადაცემისა და სიუჟეტის ავტორი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჟ. შარტავას 7, III სართ. თბილისი 380122. ტელ: 38-01-25, 38-49-25. ფაქსი: 98-42-03.*

**„საქართველო უპირველეს ყოვლისა"; ჩემი საქმის უზომო სიყვარული და სიმართლის გზით სიარული; სიჯიუტე და პრინციპულობა. არასდროს არავისთვის არ მიღალატია და სამეგობროდან პირველი არასოდეს არ გამოვსულვარ. ყოველთვის ვასრულებ საქმეში მიცემულ პირობას. ვერ ვიტან მლიქვნელებს და მარიონეტებს.**



**ირინა კუჭუხიძე** კინომცოდნე. დაიბადა თბილისში 1939 წ. 8 მარტს. მშობლები: ნინო ალშიბაია, შალვა კუჭუხიძე; შვილი — ირაკლი ბათიაშვილი (1961). დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის ინ-ტის კინომცოდნეობის ფაკ-ტი (1975). იყო თსთი ს/კ სექტორის მეცნიერ-თანამშრომელი (1976-82), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1982-90), წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი და სექტორის ხელმძღვანელი (1990-95).არის თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი და სექტორის ხელმძღვანელი, დოცენტი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "თანამედროვე ქართული კინოს მხატვრულ-სტილური მრავალსახეობა" (1982). აქვეყნებდა სტატიების ჟურნალებში "საბჭოთა ხელოვნება", "კინო", "ლიტერატურული საქართველო", "კინოხელოვნება" და სხვ. (1978 წლიდან); საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1979).
**მისამართი:** *(ბინის) ყიფშიძის 6, თბილისი. ტელ: 23-19-27.*

**ქალურობა, შვილის კარგ პიროვნებად აღზრდა-ჩამოყალიბება, განათლება, პროფესიონალიზმი, ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანური ღირსების შენარჩუნება, მეგობრობა; არასოდეს ვზრუნავდი თანამდებობრივ კარიერაზე. ვცდილობ არ ვიცხოვრო ინერციით, არ ვიყო გულგრილი ყოველივეს მიმართ, რაც ჩემს გარშემო ხდება. მიყვარს ახალგაზრდები და მათთან ურთიერთობა.**



**მედეა კუჭუხიძე** რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 10 ივლისს. მშობლები: ნინო ალშიბაია, შალვა კუჭუხიძე; შვილი — რუსუდან მირცხულავა (1958). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1961). იყო თბილისის სანკულტურის თეატრის (1960-61), სოხუმის დრამატული თეატრის (1961-63) რეჟისორი. მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორია 1964 წლიდან. დადგმული აქვს 70 სპექტაკლი, მათ შორის: „ანა ფრანკის დღიური" (ა.გრიბოედოვის თეატრში, 1964), კ.ჩაპეკის „დედა", გ.ხუხაშვილის „მთაწმინდის მთვარე" , ედ. დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება", ა.მიუსეს „სიყვარული სახუმარო არ არის", პ.კაკაბაძის

„სამი ასული და ტყის ქალები", „პორტოპოლოს ტუსაღები", ნ.ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავე", ლ.თაბუკაშვილის „ძველი ვალსი", ლ.როსებას „პროვინციული ამბავი", კ.გოცის „ლურჯი ურჩხული", მ.ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე", კ.ეოიტილას „ოქრომჭედლის სახელოსნოს წინ" (მარჯანიშვილის თეატრში); უილიამსის „შუშის სამხეცე" (რუსთაველის თეატრში, 1971) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს სტატიები გაზეთ „ქართულ ფილმში", არის ავტორი პიესებისა: „ყბედი თუთიყუში", „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო..."
**ჰობი:** კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) მარჯანიშვილის 2, ბ.2. თბილისი 380002. ტელ: 96-53-57.*

**მჯერა რუსთაველის შეგონების: „თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა". ვცდილობ ვიყო პატიოსანი (ვიწრო და ფართო გაგებით); ვაფასებ სიკეთეს და ერთგულებას — არა როგორც მხოლოდ ზოგად ცნებებს. მიყვარს პროფესიონალიზმი და თან მეშინია ცალმხრივობის. ვოცნებობ, რომ ჩემი ხალხი სულიერად და გონებრივად განათლებული იყოს, ყოველნაირი სიყალბე და ზედაპირულობა დაძლიოს. მეშინია — ვესტერნიზაციამ ეროვნული არ ამოძირკვოს და ქართველებმა მემკვიდრეობითობა და ფესვები სამუდამოდ არ განყვიტონ. მჯერა: ქართული თეატრი უპირველესად ქართული დრამატურგიაა. მძულს ეპიგონობა.**



**ჯემალ კუხალაშვილი** მხატვარი. დაიბადა ხონში 1952 წ. 29 ოქტომბერს. მშობლები: ჟუჟუნა იობიძე, ოთარ კუხალაშვილი; მეუღლე — მანანა კუხალაშვილი (1958); შვილები: ოთარი (1980), ლაშა (1981), გიორგი (1982), ბექა (1987), კახა (1990). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტი (1984). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ფიროსმანის მაგიდა" (1982), „ქართლის ცხოვრების ისტორიული ქრონიკები" (1983), „ექვთიმე თაყაიშვილი" (1985), „სტუმრობა აიეტთან" (1997), „ოქროს საწმისის გატაცება" (1997) და სხვ. გამართა პერსონალური გამოფენები: თბილისში (1987, 1994, 1997), მოსკოვში (1989, 1990, 1994), აშშ-ში (1991); მონაწილეობდა გამოფენებში: პოლონეთში (1985), ბელგრადში (1988), ფლორენციაში, ვენაში, ტორონტოში, ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტივა (თაობათა გამოფენა 1987), საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება, მოსკოვი (1987), საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში (1988). მონაწილეობდა ქუთაისის ფერმწერთა საერთაშორისო პლენერში. მიღებული აქვს მხატვართა კავშირის პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1987), არის საერთაშორისო საშობაო გამოფენის ლაურეატი (1997); საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1981).
**მისამართი:** *(ბინის)ჭოველიძის 50. თბილისი 380008./ ვაზისუბანი, მხატვრების დასახლება, I მ/რ. ტელ: 78-35-90.*



**ბესიკ ლაგვილავა** საქართველოს პარლამენტის წევრი, საშინაო და საექსპორტო ბაზრების განვითარების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, მცირე ბიზნესის პრობლემების შემსწავლელი კომისიის მდივანი. დაიბადა სოფ. ბულიწყუში (ხობის რ-ნი) 1963 წ. 19 მარტს. მშობლები: თენგელა (ბელა) თოდუა, ემილ ლაგვილავა; მეუღლე — ეკატერინე ბუკია (1973); შვილები: ანა (1994), მალხაზი (1996). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის და ეკონომიკის ფაკ-ტები (1984, 1991). იყო ავტომატური მართვის სისტემების ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1984-89), კონცერნ „საქეკოინფორმსერვისის" კომერციული დირექტორი (1990-91), მრეწველობის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი (1990-91), ეკონომიკის სამინისტროს ანტიმონოპოლიური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე (1992), მეწარმეთა და კოოპერატორთა კავშირის სამრეწველო კომერციული ცენტრის გენერალური დირექტორი (1992-93), შსს კომერციულ და არასაბიუჯეტო ორგანიზაციათა სამსახურის უფროსი, შსს ფონდის გენერალური დირექტორი (1994-95), პარლამენტის წევრი, პრივატიზაციის და მცირე ბიზნესის განვითარების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). ავტორია „საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სახელმწიფო პროგრამის" (1994), სტატიისა — ხელოვნური ინტელექტის ამოცანა „ვიბროპორტრეტი" (1988). არის სმკ წევრი (1995).
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, ხატვა, ნადირობა, ფილოსოფია-ფსიქოლოგია.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-12-58, 96-03-13. (ბინის) გამცემლიძის შესახვევი 14. თბილისი. ტელ: 96-03-13.*

**ინტელექტი, პატიოსნება, შინაგანი ათვისუფლება, საქმის კეთებისადმი სიყვარული და საკეთებელი საქმის ცოდნა, კომპეტენტურობა.**



**ნოდარ ლადარია** იტალიანისტი, საეკლესიო მეცნიერებათა დოქტორი, თსუ დასავლეთ ევროპის ფილოლოგიის ფაკულტეტის იტალიური ენისა და ლიტერატურის დოცენტი. დაიბადა სოხუმში 1960 წ. 6 იანვარს. მშობლები: ვალიდა ნიკოლაიშვილი, კონსტანტინე ლადარია; მეუღლე — რუსუდან ლადარია (1961); შვილები: ელენე (1984), კონსტანტინე (1987). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1981), სწავლობდა თბილისის სასულიერო აკადემიაში (1989-91, გარიცხეს იტალიაში სწავლის გაგრძელების განზრახვის გამო). იყო რომის აღმოსავლური ინ-ტის ლიცენციატი (1994). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი". ისტორიულ-ლიტურგიული ანალიზი" (რომი, 1996). შესრულებული აქვს თარგმანები: „კათოლიკური ეკლესიის კატეხიზმო" (ქართულად, 1997), ეგნ. ლოიოლა „ავტობიოგრაფია" (რუსულად, 1993), დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისანი" (იტალიურად, 1996), გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (იტალიურად). არის საერთაშორისო ქრისტიანული კულტურის ასოციაციის „Granum Sinapis" (რომი) ვიცე-პრეზიდენტი (1996), დავით ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდის გამგეობის წევრი (1999).
**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 36. თბილისი 380028.. (ბინის) მშვიდობის 16/10, ზაჰესი. 380017. ტელ: 65-84-27. ელ-ფოსტა: nladaria@yahoo.com*



**გიორგი ლაზარაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ზემო ხვითში (გორის რ-ნი) 1943 წ. 10 იანვარს. მშობლები: შუშანა იანტბელიძე, ივანე ლაზარაშვილი; მეუღლე – რუსუდან ბულაშვილი (1952); შვილები: ივანე (1974), ზურაბი (1976), მარიამი (1990). დაამთავრა ცხინვალის სახ. პედაგოგიური ინ-ტის

დაწყებითი განათლებისა (1964) და ქართული ენისა და ლიტერატურის (1972) ფაკ-ტები, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1985). იყო გორის რ-ნის განათლების სისტემის მუშაკი (1966-72), პარტიული მუშაკი (1972-90), ნიქოზის თემის საკრებუ-ლოს გამგებელი (1990-95). საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.
**ჰობი:** მეფუტკრეობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-33-46.*
**ქვეყნისა და ხალხის სასიკეთო სამსახური; სამართლიანობა და სიმართლის ძიება.**



**გიორგი ლაზარაშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1946 წ. 11 ივნისს. მშობლები: ოლგა გურასპაშვილი, ივანე ლაზარაშვილი; მეუღლე — მანანა კოპაძე (1958); შვილი — ნატალია (1983). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1969), თსსა ფერწერის სახელოსნო (1976). არის საქართველოს მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავმჯდომარე (1999 წლიდან), თსსა პედა-გოგი (1985 წლიდან), დოცენტი. ეწევა შემოქმედებით-საგამოფენო საქმიანობას. არის სპორტის ოსტატი, საქართველოს ჩემპიონი საიალქნო სპორტში, იყო საქართვე-ლოს ნაკრების წევრი (1965-75). არის ავტორი ნამუშევრებისა: „შეყვარებულები" (2000), „ეპოქის დასაწყისი", „უძილო ღამე", „ზიგზაგი" (მოსკოვის ტრეტიაკოვის გა-ლერეა), პანო „ნარიყალა" (თბილისის შერატონ-მეტეხი პალასი) და სხვ. დაჯილდო-ებულია თბილისის საერთაშორისო გამოფენის III პრემიით (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. ტელ: 93-46-65. (ბინის) თევდორე მღვდლის 5, ბ. 13, თბილისი. ტელ: 34-03-85.*
**ღმერთი, შემოქმედება, სიყვარული; მე და ფერწერა, მე და სამყარო; უსასრულობა, სული, მარადისობა.**



**თამარ ლალიაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა დაბა სიონში (თიანეთის რ-ნი) 1963 წ. 10 ივნისს. მშობლები: დოლორეს ლალიაშვი-ლი, გაბრიელ ლალიაშვილი. დაამთავრა თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი. იყო ისნის რ-ნის სასამართლოს სხდომის მდივანი (1988-90), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტი (1990-92), გენ. პროკურატურის სამმართველოს პრო-კურორი (1992-99), მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მოსამართლე (1999-2000). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 2000 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილი-სი 380059. ტელ:53-09-32. ფაქსი: 53-09-32. (ბინის) ახალშენის 50, თბილისი.*



**მიხეილ ლაპიაშვილი** თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა გურჯაანში 1954 წ. 5 იანვარს. მშობლები: ნინა ხოლოდნოვა, ნიკოლოზ ლაპიაშვილი; მეუღლე — ნუნუ კალანდაძე (1957); შვილები: ნინო (1983), ნათია (1986). დაამთავრა სარატოვის იურიდიული ინ-ტი (1975). იყო პროკურატურის ორგანოების გამომძიებელი (1975-79), მარნეულისა და გურჯაანის რაიონული პრო-კურორების მოადგილე, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველ-ოს პროკურორი (1979-87), გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე (1987-90), გურჯაანის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე (1990-94); მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრი
**ჰობი:** კითხვა, ხალხური, არატრადიციული მედიცინა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კავკასიონის 9, თელავი. ტელ: 3-38-20. (ბინის) გორგას-ლის 5, თელავი.*
**ისე მოექეცი ადამიანს, როგორც გსურს, რომ იგი მოგექცეს შენ.**



**ბორის ლასარეიშვილი** აბაშის რაიონის გამგებელი. დაიბადა სოფ. ტყვირში (აბაშის რ-ნი) 1937 წ. 6 იანვარს. მშობლები: ნინა პიტავა, ისაკ ლასარეიშვილი; მეუღლე — ზაირა მარღანია (1939); შვილები: ზვიადი (1967), ხათუნა (1968). დაამთავრა ზოო-სავეტერინარო ინ-ტის ვეტერინარული ფაკ-ტი (1970). იყო გონიოს ჩაის საკრეფი მეურნეობის მუშა (1954-57), აბაშის რ-ნის მთავარი ვეტ-ექიმი (1970-74, 1994-96), აბაშის რ-ნის I მაისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (1974-91), სანარმო "ლაზერის" დირექტორი (1991-94), აბაშის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის I მოადგილე (1996-98). აბაშის რ-ნის გამგებელია 1998 წლიდან. მიღებული აქვს საპატიო ნიშნისა (1978) და შრომის წითელი დროშის (1986) ორდენები. იყო საქართველოს კპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი (1985-90), საქართველოს და სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი.

**ჰობი:** ფეხბურთი, ცხენოსნობა, კინო.

**მისამართი:** *(სამსახურის) აბაშის რაიონული გამგეობა. დარასელიას 2, აბაშა.*

**არასდროს არ ვიცრუო, ვიყო თავმდაბალი, პრინციპული, მომთხოვნი. ვერ ვიტან, ძლიერი რომ სუსტს ჩაგრავს, დამცირებას ნებისმიერის მიმართ.**



**ლევან (ლუკა) ლასარეიშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1957წ.13 დეკემბერს. მშობლები: ემა თხელიძე, ნიკოლოზ ლასარეიშვილი; მეუღლე — მონიკა რაპი; შვილი — ნიკა (1990). დაამთავრა თსსა ფერწერის რესტავრაციის განყ-ბა (1982). იყო კინოსტუდია „ქართულ ფილმის" მხატვარი (1979-82). 1990 წლიდან ცხოვრობს და მუშაობს ქ.კიოლნში (გერმანია). გამართა გამოფენები ფრიდრიხის გალერეაში (კიოლნი, 1990, 1993). მონაწილეობდა გამოფენებში: „ქართული ხელოვნება" ( ერმიტაჟი, 1987); საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987); „ქართული სახვითი ხელოვნების რეტროსპექტიული", მხატვრის სახლი (თბილისი, 1987); ქართული აბსტრაქტული ხელოვნების I გამოფენა, სეგ (თბილისი, 1987); „ინტერ-არტი" სოციალისტური ქვეყნების ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობა (ვარშავა,1987); „არაფიგურაციული ხელოვნება საქართველოდან" (ერმიტაჟი, 1988); „გლასნოსტი" ახალი თავისუფალი რუსული ხელოვნება (ემდენი,1988); „ახალი ხელოვნება სსრკ-დან და ბულგარეთიდან" (დალასი, აშშ,1988); „თანამედროვე საბჭოთა ხელოვნება" (ი.კაბაკოვთან ერთად, ოტელ დე ვილე, სტრასბურგი,1989); „ახალი საბჭოთა ფერწერა", (ვარშავა,1989); „პერესტროიკა და ადამიანი" 3 ქართველი მხატვარი (კინოს სახლი, მოსკოვი (1989); Georgiain My Mind 4 მხატვარი თბილისიდან (ფრიდრიხ ანუმი, კასელი, 1990); დიუმონტ კუნსტ ჰალე, (კიოლნი,1990); „ქართული ფერწერა" ბისმარკის ფონდი (პარიზი,1990); Die Wiege der Menschheit (მაინის ფრანკფურტი, 1992), „ჯვაროსნები" III ფრიდრიხის გალერეა (კიოლნი, 1993); „საიდუმლო სერობა" (კიოლნი, 1994); Kölnkunst U.Sosef-Haubrich-Kunsthalle კიოლნი (1995); TRANS-FORMATION იუნესკო, პარიზი (1998) და სხვ.

**მისამართი:** *(ბინის) შატბერაშვილის II შესახვევი. თბილისი. ტელ: 22-77-55.*



**ტატო ლასხიშვილი** გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორი. დაიბადა ქუთაისში 1960 წ. 14 აპრილს. მშობლები: თამილა ლასხიშვილი, გიორგი ლასხიშვილი; მეუღლე — მარინე ჯაში (1969); შვილი: თამუნა (1990), ნუცა (1999). დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1982), თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1990). იყო საქტელერადიოს სპორტული პროგრამების მთავარი რედაქციის კომენტატორი (1980-91), „სვობოდნაია გრუზიას" მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე (1991-98). მთავარი რედაქტორია 1998 წლიდან. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1997), ღირსების ორდენით ( 2000).

**ჰობი:** ლიტერატურა, მუსიკა, სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 42. თბილისი 380018. ტელ: 93-11-58, 93-17-06. ელ-ფოსტა: new@caucasus.net (ბინის) დიღმის მასივი, V კვ. კორპ. 22. ბ. 18. თბილისი, 380059. ტელ: 93-11-01.*

**ყოველი ჩვენგანი ვალდებულია იცხოვროს ისე, რომ შვილებს დაუტოვოს ქვეყანა, სადაც დაფასდება ნიჭი, შრომა, ცოდნა და პატიოსნება.**



**დავით ლაფაჩიშვილი** ყვარლის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. შილდაში (ყვარლის რ-ნი) 1960 წ. 14 აგვისტოს. მშობლები: მაყვალა ნიკოლოზიშვილი, დავით ლაფაჩიშვილი; მეუღლე — ჯენი მამუკიშვილი (1962); შვილები: მაკა (1985), ილია (1987). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1983). იყო კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მეცნიერ-თანამშრომელი (1983-84), კომკავშირული და პარტიული მუშაკი (1985-90), სტუ რექტორატის თანამშრომელი (1990-95), ყვარლის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, I მოადგილე (1995-96). ყვარლის გამგებელია 1996 წლიდან. არის სმკ წევრი (1995).
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) კუდიგორის 1, ყვარელი. ტელ: 2-19-19. (ბინის) სოფ. შილდა, ყვარლის რ-ნი.*

**ცხოვრებისეული კრედო იყო და არის ულალატობა, სიმართლის სიყვარული. არასოდეს დამიყენებია პირადული საზოგადოებრივზე უფრო მაღლა. ემუშაობდი ყოველთვის საკუთარ თავზე მაქსიმალური მომთხოვნელობით და არ დამიშურებია ქვეყნის საქმისთვის ენერგია და უნარი.**



**ლევან ლაღიძე** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 19 მაისს. მშობლები: მარგარიტა სხირტლაძე, მიხეილ ლაღიძე; მეუღლე — მანანა გორდელი (1955); შვილი — ნანა (1977). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1981). იყო თბილისის მხატვრის სახლის ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი (1985-88), მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანი და ახალგაზრდა მხატვართა კავშირის თავმჯდომარე (1986-89), სეგ დირექტორთა საბჭოს წევრი (1990 წლიდან). გამართა გამოფენები: (პერსონალური) თბილისის მხატვრის სახლში, ხელოვნების მუზეუმში, გალერეა TMS-ში, მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრ „მზიურში", კიოლნის „ზაიდელის გალერეაში" მონაწილეობდა გამოფენებში: ავსტრიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ფინეთში, ინგლისში, მოსკოვის მხატვრის ცენტრალურ სახლში (1993) და სხვ. მიღებული აქვს ა/კ მხატვართა ბიენალეს ბრინჯაოს მედალი (1985). არის საერთაშორისო საშობაო ფესტივალის ლაურეატი (თბილისი, 1995).
ჰობი: ჭადრაკი.
მისამართი: *(ბინის) ვაჟა-ფშაველას 49, კორპ.15. თბილისი 380077. ტელ: 39-50-27.*

**წარმატების რა მოგახსენოთ, მაგრამ მთელი ცხოვრება იდეალებით და დიდი მიზნებით იყო სავსე. რაც თავი მახსოვს, სულ გზის ძიებაში ვარ. იმედი მაქვს, როდესმე შევძლებ მსხვერპლად გავიღო ყველაფერი, რასაც რუდუნებით და ჯიუტად ვაშენებდი, რათა გაირღვეს ჯადოსნური წრე. კრედო და მიზანი ერთია: მხატვრობის გზით — თავისუფლებისაკენ.**



**ცეზარ ლაშხი** საჩხერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა საჩხერეში 1939 წ. 31 მარტს. მშობლები: დომანა ქამუშაძე, სერგო ლაშხი; მეუღლე — ზოია გაბაძე (1949); შვილები: ლაშა (1968), მაკა (1970), კახაბერი (1972), თეა (1974). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1962). იყო საჩხერის I საშუალო სკოლის მასწავლებელი, საქართველოს ალკკ საჩხერის რაიკომის სასკოლო განყ-ბის გამგე (1963-65), კპ საჩხერის რაიკომის ინსტრუქტორი (1965-70), სახალხო კონტროლის რაიონული განყ-ბის თავმჯდომარე (1973-81), საჩხერის N53 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი (1981-84), საჩხერის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე (1984-89). საჩხერის გამგებელია 1993 წლიდან. არის თბილისის საპატიო მოქალაქე (1996), რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი.
მისამართი: *(სამსახურის) საჩხერე. ტელ: 98-68-66, 25-25. (ბინის) სანაპიროს 2. საჩხერე. ტელ: 28-23.*

**სპეციალობით ისტორიკოსის უპირველესი კრედოა სამშობლოს სიყვარული. სწორედ სამშობლოს და ჩემი ხალხის სიყვარულმა განაპირობა, რომ ვემსახურო მას და მათ. ვაფასებ ადამიანებს, რომელთაც ყველა პარტიაზე მეტად უპირველესი პარტია — სამშობლო უყვართ.**



**მურმან ლებანიძე** პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს შ.რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი. დაიბადა დაბა აღსტაფაში (აზერბაიჯანი) 1922 წ. 14 ნოემბერს. მშობლები: ვერა გოშაძე-ლებანიძისა, სილოვან ლებანიძე; მეუღლე — ელენე ჭავჭავაძე (1924); შვილები: ზაზა (1950), ფიქრია (1955-99). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1948). არის ლექსებისა და პოემების 80 კრებულის ავტორი, მათ შორის: „რჩეული" (1972), „ანისის აღება" (1972), „ერთტომეული" (1972), „უფლისციხესთან ალისფერი ყაყაჩოს წვეთი" (1974), „რჩეული ლირიკა" (1977, 1984), „რჩეული" (1979) და სხვ.; საბავშვო წიგნების: „ბიჭები" (1963), „ოთხი დრო" (1964) და სხვ. გამოცემული აქვს ინგლისური, იაპონური, ძველი ეგვიპტური, რუსული პოეზიის ანთოლოგია „უკვდავი ყვავილები" (1971). მისი ლექსები თარგმნილია გერმანულ, ფრანგულ, ჩეხურ, უკრაინულ, ლატვიურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, რუსულ ენებზე. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის, ღირსების ორდენებით. არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1973). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1983).

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 99-06-36. (ბინის) აღმაშენებლის 181. თბილისი 380002. ტელ: 34-40-68.*

**საქართველოს თავისუფლება და პოეზია, — აი, ჩემი პრინციპები.**



**ტარიელ ლებანიძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში. დაიბადა სოხუმში 1954 წ. 25 ივლისს. მშობლები: ნორა ვაჩეიშვილი, ვასილ ლებანიძე; მეუღლე — ეთერ გაბუნია (1958); შვილები: თეონა (1983), ლუკა (1990). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1976). იყო სი "კავსოფლმრეწვმშენსახპროექტის" ინჟინერ-მთარგმნელი (1976, 1978-80), თურქეთის რესპუბლიკის ქ. სეიდიშეჰირის ალუმინის კომბინატის თარჯიმანი (1976-78), თბილისის კიროვის რ-ნის კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1980-81), თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის განყ-ბის გამგე (1981-83), თბილისის კიროვის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი (1983-86), თურქეთის რესპუბლიკის ქ. ბანდირმაის ნყალბადის ზეჟანგის ქარხნის თარჯიმანი (1986-90), თბილისის კრწანისის რ-ნის ალმასკომის ინჟინერი (1990-95), სტამბულში საქართველოს ავიახაზების გენერალური წარმომადგენელი (1997-97), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (1997-99), სახ. კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსის მოადგილე (1999). თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია 1999 წლიდან. იყო სკკპ წევრი (1981-90).

**ჰობი:** კითხვა, ნადირობა, ლექსის წერა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს საელჩო. აბდულაჰ ჯავდეთის 15, ანკარა 90317, თურქეთი. ტელ: 442-65-08. ფაქსი: 442-65-07*

**პროფესიონალიზმი, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, სიკეთე, სამშობლოს სიყვარული საქმით და არა ყანწით.**



**იამზე ლეგაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ყანდაურაში (საგარეჯოს რ-ნი) 1960 წ. მშობლები: ლილი ჩალათაშვილი, გურამ ლეგაშვილი; მეუღლე – გიორგი გაჩეჩილაძე (1960); შვილები: ლევანი (1982), ლია (1985), თეა (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1984). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი (1984-99), მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა კოლეგიაში.

**ჰობი:** კლასიკური მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ.რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 52-09-11. (ბინის) ფანასკერტელის 20 ბ. 15, თბილისი. ტელ: 33-03-66.*

**ბავშვობიდან დაჩაგრულთა ქომაგი ვიყავი, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემი პროფესიის არჩევაში და დღემდე ვცდილობ განვახორციელო ჩემი ცხოვრების მთავარი პრინციპი – აღვადგინო სამართლიანობა.**



**გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილი** კინორეჟისორი, საქართველოს ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის GIFA-ს თავმჯდომარე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1943 წ. 30 ოქტომბერს. მშობლები: ნინო თუმანიშვილი, ვადიმ ლევაშოვი; მეუღლე — მარინე ციციშვილი (1946); შვილები: დიმიტრი (1968), კონსტანტინე (1996). დაამთავრა თეატრალური ინ-ტის კინოსარეჟისორო ფაკ-ტი, თსსა. იყო საქართველოს ტელევიზიის კინორეჟისორი (1975-88), დოკუმენტური ფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი (1995 წლიდან); მუშაობდა დიდი ბრიტანეთის ტელევიზიის მე-4 არხზე (1988 წლიდან). არის რეჟისორი ფილმებისა: „საფეხურები" (1977), „პრემიერა" (1978, რესპუბლიკური და საკავშირო კ/ფ I პრიზი, 1982), „ექსპერიმენტი" (1981, საქართველოს სახ. პრემია, საკავშირო კ/ფ I პრიზი, 1982), „ათოვდა ზამთრის ბაღებს" (1983, რესპუბლიკური კ/ფ I პრიზი, 1985), „გამქრალი მოქმედება" (1984, რესპუბლიკური კ/ფ პრიზი „წლის საუკეთესო ფილმი", 1985), „მთვარის გლობუსი" (1986, მონტე-კარლოს კ/ფ პრიზი და მედალი, საკავშირო კ/ფ I პრიზი), „ვეძებთ მარჯორის და ოლივერს" (1990, რესპუბლიკური კ/ფ პრიზი „წლის საუკეთესო დოკუმენტური ფილმი" 1990), „ბედიანი" (1995, შავი ზღვის ქვეყნების კ/ფ პრიზი „ოქროს არნივი", 1995) და სხვ. არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, კულტურული და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ცენტრის (ICCBR, ლონდონი, 1993), რუსთაველის თეატრის გადარჩენის ფონდის (1998), ს/ს "Cinema Club"-ის (1999) დამფუძნებელი.
**ჰობი:** შემოქმედება.
**მისამართი:** *(სამსახურის) ძმ. კაკაბაძეების 2. თბილისი 380008. ტელ: 95-00-18. (ბინის) პლ.იოსელიანის 3. თბილისი 380071. ტელ: 22-45-11.*

**საქართველოს კულტურის გადარჩენა და განვითარება, მისი ნაწილობრივი კომერციალიზაცია.**



**არიელ ლევინი** საქართველოს მთავარი რაბინი. დაიბადა თბილისში 1961 12 ივნისს. მშობლები: ზინაიდა ტერინა, გრიგორ ლევინი; მეუღლე — ვერა ლევინა (1966), შვილები: სარა (1988), მირიამი (1991), ელიშევა (1994), იუდიტი (1996), რუთი (1998), ცვი (2001). დაამთავრა სპი ავტომატიკა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1982). მუშაობდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში ინჟინერ-პროგრამისტად (1982-88), სინაგოგაში (1988-94). საქართველოს მთავარი რაბინია 1994 წლიდან. არის აშშ ებრაული ორგანიზაცია „კომიტეტების გაერთიანების" კავკასის განყ-ბის დირექტორი ადამიანის უფლებებისა და კანონიერების დაცვის განხრით (1995 წლიდან), ისრაელის რაბინთა სასამართლოს წარმომადგენელი საქართველოში (2000 წლიდან); ღირსების ორდენის კავალერი (1998).
**ჰობი:** მუსიკა, გიტარაზე დაკვრა, მაგიდის ჩოგბურთის თამაში.
**მისამართი:** *თუმანიანის 12. თბილისი. ტელ/ფაქსი: 93-34-13.*

**თორას მცნებების შესრულება.**



**ნიკო ლეკიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1947 წ. 20 აპრილს. მშობლები: ქეთევან მაისურაძე, მიხეილ ლეკიშვილი; მეუღლე—მელანო ტორონჯაძე; შვილები: სოფიო (1976), სალომე (1978). დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1970) და მოსკოვის სახალხო მეურნეობის აკადემია (1988). სხვადასხვა დროს იყო სპი თბოენერგეტიკის კათედრის თანამშრომელი, თბილისის ქალაქკომის ინსტრუქტორი, კომკავშირის თბილისის 1 მაისის რაიკომის I მდივანი, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის I მდივანი, პარტიის თბილისის 1 მაისის რაიკომის II მდივანი (1977), თბილისის რაიაღმასკომის საბჭოს თავმჯდომარე (1982-85), კპ-ს თბილისის 1 მაისის რაიკომის I მდივანი (1985-88), კპ-ს თბილისის საქალაქო კომიტეტის I მდივანი, თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, უზენაესი საბჭოს წევრი, პრემიერ-მინისტრის მთავარი სახ. მრჩეველი, პარლამენტის წევრი, პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე (1992-93), რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ქალაქ

თბილისის მერი (1993-95), საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (1995-98). არის სმკ-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი, თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1998).
**ჰობი:** ფეხბურთი, კლასიკური ჯაზური მუსიკა, ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კარგარეთელის 3ა. თბილისი. ტელ./ფაქსი: 94-04-72.*
**სიკეთე, სიმართლე, ერთგულება, ადამიანების პატივისცემა, შრომისმოყვარეობა, ნათქვამი სიტყვის ერთგულება, ქვეყნის სიყვარული, ოჯახის, მეგობრების პატივისცემა.**



**ღემურ ლელაძე** ავიაკომპანია "აირ ზენა – საქართველოს ავიახაზების" ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა ქუთაისში 1948 წ. 26 ივნისს. მშობლები: ქეთევან შალამბერიძე, პავლე ლელაძე; მეუღლე — ელისო ლელაძე (1953); შვილები: გიორგი (1972-94), გოჩა (1975). დაამთავრა ლენინგრადის სამოქალაქო ავიაციის აკადემია (1989). იყო თვითმფრინავების ТУ-134 და ТУ-154-ის მეთაური, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი (1992), ავიაკომპანია „ეარ-ჯორჯიას" გენ. დირექტორი (1992-97), ავიაკომპანია „საქართველოს ავიახაზების" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1997-99), არის საავიაციო ინ-ტის დოცენტი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაცია". არის თანაავტორი წიგნებისა: "აეროდინამიკა" (1997), "თვითმფრინავების ფრენების თეორია" (1998).
**ჰობი:** ავიაცია.
**მისამართი:** *(სამსახური) შარტავას 40, თბილისი. ფაქსი: 94-07-82. ელ-ფოსტა: info@aerzena.com.*
**მეამაყება ჩემი პროფესია და ყველა ღონეს ეხმარობ, რათა საქართველოს სამოქალაქო ავიაციამ მიაღწიოს თანამედროვე სტანდარტებს. მიყვარს ოჯახი, მეგობრები, ჩემი ერი. მსიამოვნებს და ვცდილობ დახმარების ხელი გავუწოდო ადამიანებს, ვინც ჩემგან ამას მოელის.**



**ჯემალ ლეონიძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. დაიბადა თბილისში 1949 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: ნინო კავთუაშვილი, ლევან ლეონიძე; მეუღლე — ქეთევან ჩოქური (1958); შვილები: მარიამი (1985), ლევანი (1988). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1979), ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1982). იყო თსუ იურიდიული ფაკ-ტის საერთაშორისო სამართლისა და კანონმდებლობის საფუძვლების კათედრის პედაგოგი (1978-90), 26 კომისრის რ-ნის მოსამართლე (1982-88), იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელი (1988-89), გარდაბნის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე (1989-90). უზენაესი სასამართლოს წევრია 1991 წლიდან.
**ჰობი:** მუსიკა, ფეხბურთი, ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) უზენაესი სასამართლო. ძმ.ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 99-65-25. (ბინის) ი.აბაშიძის 51. თბილისი.*
**შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, სამშობლოს და ოჯახის სიყვარული, მორალურად და ფიზიკურად ჯანსაღი შვილების აღზრდა.**



**ზურაბ ლეჟავა** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1925 წ. 9 ივლისს. მშობლები: მელიხან ლორთქიფანიძე, პლატონ ლეჟავა; მეუღლე — ლეილა გეგენავა (1928); შვილი — სამსონი (1953). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1950). იყო ჟურნალების "მეცნიერება და ტექნიკა" (1952-55), "დროშა" (1955-58) მხატვრული რედაქტორი, თსსა პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, გრაფიკული დიზაინის კათედრის პროფესორი (1958 წლიდან), საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1958-62), მხატვართა კავშირის თავმჯდომარე (1962-70). არის ავტორი გრაფიკული და ფერწერული სერიებისა: "ძველი თბილისი" (1958 წლიდან ), "სვანეთი" (1972 წლიდან ), "იმერეთი" (1961-62), "უცხოური ჩანახატები", დ. კლდიაშვილის ნაწარმოებთა ილუსტრაციების, პეიზაჟების სერიისა და სხვა. იყო სსრკ მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი და მდივანი (1965-72), არის საქართველოს სახალხო მხატვარი (1988), ღირსების ორდენის კავალერი (1995).
**ჰობი:** მხატვრობა, სიმღერა.

მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. (ბინის) ბარნოვის 73, თბილისი. ტელ: 22-64-13.*

**პატიოსანი შრომა.**



**დავით ლიპარტელიანი** ლენტეხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ლექსურაში (ლენტეხის რ-ნი) 1965 წ. 25 აგვისტოს. მშობლები: კლარა ლიპარტელიანი, გედეონ ლიპარტელიანი; მეუღლე — მაია ვადაშვილი (1963); შვილები: მერაბი (1991), მიხეილი (1992), მარიამი (1997). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1987). იყო ს/კ ინსტიტუტ „რადიანის" ინჟინერ-მათემატიკოსი (1987-88), გაერთიანება „საქკურორტის" ინჟინერი (1988-89), თბილისის N46 და N6 საშ. სკოლების მათემატიკის მასწავლებელი (1989-94). ლენტეხის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარეა 1995 წლიდან. არის სმკ წევრი (1995).

**ჰობი:** ფეხბურთი, კროსვორდი, სამთო ტურიზმი.

**მისამართი:** *(სამსახურის) თამარ მეფის 34, ლენტეხი. ტელ: 9-11-11. (ბინის) სვანეთის 4, ლენტეხი. ტელ: 9-15-36.*

**ქართული ტრადიციული კულტურული ფასეულობების ნიადაგზე აღზრდა, სარწმუნოება, მეგობრობა, უღალატობა, პრინციპულობა, მიმტევებლობა, ალტრუიზმი. სვანეთის სალოცავების მადლი ფარავდეს ყველა ქართველს და სრულიად საქართველოს.**



**ჟანრი ლოლაშვილი** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 22 აპრილს. მშობლები: ევდოკია სანიკიძე, გიორგი ლოლაშვილი; მეუღლე — თათული დოლიძე (1952); შვილები: ეკა (1972), სალომე (1973), გიორგი (1983). დაამთავრა კინემატოგრაფისტთა უმაღლესი კურსები (მოსკოვი, 1963). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" მხატვარი-მულტიპლიკატორი (1958-61), კინემატოგრაფიის ინ-ტის მხატვარი (1961-63), ზუგდიდის სახ. თეატრის მსახიობი (1963-64). რუსთაველის თეატრის მსახიობია 1965 წლიდან. მონაწილეობდა ფილმებსა და სპექტაკლებში: „მიახლოება", „ნუცა", „ქალაქი ანარა", „მწვანე მდელო", „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „საფეხური", „გზა შინისაკენ", „დონ კიხოტი", „კავკასიური ცარცის წრე", „ხანუმა", „ყვარყვარე", „მეფე ლირი", „მზიანი ღამე", „დასაწყისი", „ჩემი უნაზესად საყვარელი დეტექტივი", „ერთაწმინდა", „ბაგრატიონი", „მოხეტიალე რაინდები", „გუშინდელნი", „სიბრძნე-სიცრუისა", „კაცია-ადამიანი?!" და სხვ. არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.

**ჰობი:** ხატვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის თეატრი. რუსთაველის 17, თბილისი 380008. (ბინის) ატენის 14. თბილისი. ტელ: 23-55-55.*

**განსაკუთრებული პრინციპები, მიზნები და იდეალები ჩემი ცხოვრების მანძილზე არ მქონია. მიმაჩნია, რომ ხელოვნებაში, ისევე როგორც სხვა საქმიანობაში, თავისუფალი აზროვნებაა საჭირო და, ალბათ, რამდენადმე უნდა უსწრებდე დროს. ნიჭიერება სხვისით აღტაცებაცაა, რაც მთავარია, უნდა იყო დიდი პროფესიონალი. ადამიანებთან ურთიერთობაა ღღესასწაული! დამღუპველია ამბიციურობა და საკუთარი თავით ტკბობა.**



**ჯემალ ლოლუა** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 27 იანვარს. მშობლები: თამარ ხომერიკი, გიორგი ლოლუა; მეუღლე – ინგა მეფარიშვილი (1940); შვილები: გიორგი (1979), თამუნა (1982). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1958). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი (1972-74), ჟურნალ "ნიანგის" მთავარი მხატვარი (1976 წლიდან), თსსა დოცენტი, დაზგური გრაფიკის კათედრის პროფესორი (1994 წლიდან). არის საქართველოს სახელმწიფო (1999), სტამბულის საერთაშორისო კონკურსის III პრემიების ლაურეატი; საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1962 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000), საქართველოს მხატვართა (1999) და ჟურნალისტთა (2000) კავშირების წევრთა ცნობარებში, ქსე.

**ჰობი:** მუსიკა.

მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. (ბინის) ჭავჭავაძის 39, თბილისი 380062. ტელ: 23-59-53.*

**შრომა.**



**ალექსანდრე (კახა) ლომაია** ევრაზიის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 23 ივლისს. მშობლები: როზეტა ცხადაია, ბორის ლომაია; მეუღლე – ქეთევან ჭავჭანიძე (1967); შვილები: რეზი (1993), გია (1995). დაამთავრა სპი ჰიდროტექნიკის ფაკ-ტი (1985). იყო "თბილჰიდროპროექტის" ინჟინერი (1995-97), სსრკ მინისტრთა საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მოადგილე (1991-93), წარმომადგენლის მ.შ., ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი (1993-95), გაზეთ „არგუმენტის" საერთაშორისო განყ-ის რედაქტორი (1995), ფონდი „ევრაზიის" პროგრამის კოორდინატორი (1995-2000). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "მასიური ენერგეტიკული ნაგებობების დინამიური მახასიათებლების ნატურული კვლევები" (მოსკოვი, 1992). იყო ირ.შენგელაიას მიერ დაფუძნებული ყველა პარტიის (1989-95), მოსკოვის ქართული სათვისტომოს დარბაზის (1989-92) წევრი.

ჰობი: კითხვა, ხალხური და თანამედროვე მუსიკა, თეატრი, კალათბურთი.

მისამართი: *(სამსახურის) კავსაძის 3. თბილისი 380079. ტელ/ფაქსი: 22-32-64. ელფოსტა: alexander@eurazia.org.ge (ბინის) ც. დადიანის 87. თბილისი 380001.*

**საქართველოს დამოუკიდებლობა, პიროვნების თავისუფლება, პასუხისმგებლობა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, პროფესიონალიზმი.**



**თეიმურაზ ლომაშვილი** დედოფლისწყაროს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. არბოშიკში (დედოფლისწყაროს რ-ნი) 1948 წ. 1 იანვარს. მშობლები: ელენე ბენაშვილი, ივანე ლომაშვილი. დაამთავრა კოსტრომის სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი სპეციალობით ზოოტექნიკოსი (1973). იყო კოსტრომის ოლქის ზოოტექნიკოსი (1973-76), გარდაბნის მეურნეობის დირექტორის მოადგილე (1977-80), სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი (1980-84), საქართველოს კპ ცკ ინსტრუქტორი (1984-91), სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სანარმოთა გაერთიანების მთავარი სპეციალისტი (1993-94), პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე კახეთში (1994-95). დედოფლისწყაროს გამგებელია 1995 წლიდან. იყო სკკპ წევრი (1973-91). არის სმკ წევრი (1994).

მისამართი: *(სამსახურის) ფიროსმანის 43. დედოფლისწყარო. ტელ: 98-44-07. (ბინის) ჭავჭავაძის 73-ა. თბილისი 380068. ტელ: 22-79-11.*

**საქმისადმი ერთგულება, პროფესიონალიზმი.**



**მზია ლომთათიძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1964 წ. 16 სექტემბერს. მშობლები: გულნარა ივანიშვილი, ვლადიმერ ივანიშვილი; მეუღლე — სულიკო ლომთათიძე (1950); შვილები: გიორგი (1990), თამარი (1992). დაამთავრა თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (1989). იყო თბილისის ლენინის რ-ნის სახალხო სასამრთლოს მდივანი, კანცელარიის გამგე (1981-99), საქართველოს იუსტიციის საბჭოს კანცელარიის გამგე (1999-2000). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 2000 წლიდან.

ჰობი: მუსიკის, ზღვის ხმაურის მოსმენა, ზღვის ტალღებში ცურვა.

მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. ფაქსი: 53-09-32. (ბინის) ტიბაანის 5, თბილისი. ტელ: 61-78-38.*

**მიმაჩნია, რომ ადამიანმა უნდა გაიაროს ცხოვრების ის გზა, რაც მას ღმერთმა არგუნა. უნდა ზიდოს ის ტვირთი, რაც მისი საზიდია და არ უნდა დაიჩრქოს. ყოველთვის უნდა ჰქონდეს მომავლის იმედი. წარმატება კი მხოლოდ შრომის ნაყოფია და, რა თქმა უნდა, ღმერთის წყალობა.**



**ლალი ლომთაძე** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 3 იანვარს. მშობლები: მოლინა უგულავა, რევაზ ლომთაძე; მეუღლე — ლევან აზმაიფარაშვილი (1955); შვილი — გიორგი (1988). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1979). იყო ჟურნალ "დილას" მხატვარი (1984-98). არის თსუ (1984 წლიდან) და თსსა (1986 წლიდან) პედაგოგი. თანამშრომლობს გამომცემლობებთან "მერანი", "ნაკადული", "ევრიკა". არის ავტორი ნამუშევრებისა: "ნატვრის ხე" (1992), სერიებისა "ქართული მოტივები" (1988), "ბავშვობის გახსენება" (1990), "ბერძნული მითები" (1998), "თბილისური ღამეები" (2000); ფილმის "ყველანშინდას" დამდგმელი მხატვარი (1977). დაჯილდოებულია ბაქოს ექსლიბრისის საკავშირო გამოფენის სსრკ მხატვართა კავშირის პრიზით (1981), თბილისის ექსლიბრისის კონკურსის I პრიზით (1982), საქართველოს ექსლიბრისის რესპუბლიკური გამოფენის პრემიით (1984). იყო სსრკ მხატვართა კავშირის წევრი (1981). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** კინო.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. ტელ: 22-19-01. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 100, VI კვარტ., III კორპ., თბილისი. ტელ: 30-04-70.*

**ვეძებო სილამაზე ყველაფერში.**



**ჯუმბერ ლომინაძე** ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 20 სექტემბერს. მშობლები: ქეთევან კალანდაძე, გიორგი ლომინაძე; მეუღლე — ლია ლომინაძე (1931); შვილი — გიორგი (1954). დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკ-ტი (1955). მუშაობდა ჩელიაბინსკში რუსეთის ფედერალურ ბირთვულ ცენტრში (მაშინ ბირთვული იარაღის დამუშავების დახურული ცენტრი, 1956-58), იყო საქართველოს ფიზიკის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი, სწავლული მდივანი (1958-74), მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სწავლული მდივანი (1974-82). მათემატიკისა და ფიზიკის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანია 1982 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „დამუხტული ნაწილაკების ნაკადების ურთიერთქმედება პლაზმის დაბალსიხშირულ რხევებთან" (1964), სადოქტორო: „პლაზმის არამდგრადობისა და ტურბულენტობის თეორია ციკლოტრონული ჰარმონიკების არეში" (1974). არის 180-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მისი მონოგრაფია „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში" გამოიცა 1981 წელს გამომცემლობა „Pergamon Press"-ის მიერ. არის ამერიკის ფიზიკური და საერთაშორისო ასტრონომიული საზოგადოებების წევრი, მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით საქართველოში შეიქმნა ახალი სამეცნიერო მიმართულება — პლაზმური ასტროფიზიკა, მისი ინიციატივით დაარსდა საერთაშორისო სკოლა (Workshop) პლაზმურ ასტროფიზიკაში (იტალია, საქართველო, იაპონია).

**ჰობი:** ხატვა, ფოტოგრაფია, ცურვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი 380008. ტელ: 99-61-25. ფაქსი: 99-88-23. ელ-ფოსტა: jlomin@ dtapha.kheta.ge (ბინის) ნაფარეულის 14, ბ. 21. თბილისი. ტელ: 22-15-54.*

**ცხოვრების პრინციპებად ყოველთვის მიმაჩნდა სიმართლე, მეგობრებისა და საზოგადოებისადმი ერთგულება, ადამიანთა მიმართ ყურადღება და პატივისცემა. კიდევ ერთი პრინციპი კარგად არის გამოხატული პოეტის სიტყვებში: „... მხოლოდ შრომის სიყვარული".. ვცდილობ, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოვეპყრო ახალგაზრდებს. მეცნიერებაში ჩემი იდეალი გახლავთ ეპოქის უნიჭიერესი ფიზიკოსი ენრიკო ფერმი, ხელოვნებაში — განუმეორებელი გენია მიქელანჯელო. ჩემი მიზანი მუდამ იყო და იქნება ცხოვრებაში სიმართლის, მეცნიერებაში — ჭეშმარიტების ძიება.**



**ნოდარ ლომოური** ისტორიკოსი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1926 წ. 9 აგვისტოს. მშობლები: ნატალია მახარაძე, იულონ ლომოური;

მეუღლე — ლიანა ძაძამიძე (1937); შვილები: ნატალია (1978), ქეთევანი (1980). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1949). იყო თსუ დოცენტი, პროფესორი, პრორექტორი (1953-72), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1980-82), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992-93). არის აზიისა და აფრიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1981 წლიდან), ხელოვნების მუზეუმის დირექტორი (1992 წლიდან), მუზეუმების საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი (1998 წლიდან), საერთაშორისო ჟურნალ "Византииский Временник"-ის სარედაქციო საბჭოს წევრი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პტოლემაიოსის ცნობები საქართველოს შესახებ" (1952), სადოქტორო — "საქართველოსა და რომის ურთიერთობა" (1969). არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 18 მონოგრაფიის ავტორი; ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე (2000).

**ჰობი:** პოეზია.

**მისამართი:** *(სამსახურის) გუდიაშვილის 1. თბილისი 380008. ტელ: 99-66-35. (ბინის) ბაგები, III კორპ. ბ. 84. თბილისი. ტელ: 23-09-89.*

> **ჩემი მთავარი პრინციპია პატიოსნება. მიზანი — ერის სამსახური ყველა საშუალებით. მწამს, რომ ამ პრინციპებისათვის არასდროს მიღალატია. ესაა ჩემი წარმატების მიზეზი, თუ კი ასეთი მაქვს.**



**გიგა ლორთქიფანიძე** რეჟისორი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 19 ოქტომბერს. მშობლები: ნინო მიქელაძე, დავით ლორთქიფანიძე; მეუღლე — ქეთევან კიკნაძე (1939); შვილები: ნინო (1960), ნანა (1962), მაია (1973). დაამთავრა მოსკოვის სახ. თეატრალური ინ-ტი (1950). იყო მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი, ქუთაისის, გრიბოედოვის, მარჯანიშვილის თეატრების მთავარი რეჟისორი, რუსთავის სახ. დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი. არის დამდგმელი რეჟისორი ასზე მეტი სპექტაკლისა, მათ შორის: ნ. დუმბაძის ყველა ნაწარმოები, „კახაბერის ხმალი", „სირანო დე ბერჟერაკი", „ასი წლის შემდეგ" და „ფიროსმანი", სამი მრავალსერიანი და 4 ფილმის დამდგმელი, მათ შორის 7-სერიანი ფილმისა „დათა თუთაშხია", 5-სერიანი ფილმისა „წიგნი ფიცისა". არის თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს სახელმწიფო, რუსთაველის, მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.

**ჰობი:** მუსიკისა და სპორტის გულშემატკივარი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 19. თბილისი 380008. ტელ: 99-94-11, 93-10-74. (ბინის) პაოლო იაშვილის 7. თბილისი. ტელ: 99-75-95.*

> **ყველა ჩემი სპექტაკლის თუ ფილმის ნახვის შემდეგ თუ ადამიანი ოდნავ მაინც უკეთესი გახდება, ბედნიერი ვიქნები.**



**ვაჟა ლორთქიფანიძე** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1949 წ. 29 ნოემბერს. მშობლები: ნინო ცომაია-ლორთქიფანიძე, გიორგი ლორთქიფანიძე; მეუღლე — ირინე ხომერიკი-ლორთქიფანიძე (1958); შვილები: ნინო (1984), ანა (1993). დაამთავრა თსუ კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკ-ტი (1973), თსუ ასპირანტურა (სოციოლოგია, 1978), მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია (ისტორია-პოლიტოლოგია). იყო თსუ კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1973-76), კომკავშირის ცკ განყოფილების გამგე, მდივანი, II მდივანი, I მდივანი (1976-86), კპ თბილისის მთაწმინდის რ-ნის რაიკომის I მდივანი (1986-88), კპ ცკ განყ-ბის გამგე (1988-89), საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პრეზიდიუმის წევრი (1983-87), მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1989-90), ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის I მოადგილე სოცუზრუნველყოფის დარგში (1990-91), დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინ-ტის მეცნიერ-თნამშრომელი (1991-95), საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მთავარი მრჩეველი განათლებისა და მეცნიერების დარგში

(1992), სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი (1992-95), საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში (1995-98), საქართველოს პარლამენტის წევრი (1993-95, 1995-99), საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (1998-2000). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები" (1998). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით (1982). არის აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების კვლევის ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი (1993), გაეროსთან არსებული ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის წევრი (1997), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, თსუ დემოგრაფიული კვლევის სამეცნიერო-სასწავლო ლაბორატორიის დამაარსებელი (1999), საქართველოს დემოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი, მოქალაქეთა კავშირის მთავარი საბჭოს წევრი.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. (ბინის) ლარსის 5, თბილისი. ტელ: 23-30-70.*



**მარიამ ლორთქიფანიძე** ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. დაიბადა ბათუმში 1922 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: ნინო მიქელაძე-ლორთქიფანიძე, დავით ლორთქიფანიძე; შვილები: თამარი (1946), დავითი (1953), გიორგი (1952). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1943). იყო თსუ დოცენტი, პროფესორი (1948-72), ისტორიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1947-86). არის ინ-ტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1986 წლიდან), თსუ საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე (1972 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „თბილისის საამირო" (1948), სადოქტორო — „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება" (1963). გამოქვეყნებული აქვს 100 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10 წიგნი (მონოგრაფიები, დამხმარე სახელმძღვანელოები, საშ. სკოლის VIII კლასის ისტორიის სახელმძღვანელო). მისი თაოსნობით თსუ საქართველოს ისტორიის კათედრასთან ჩამოყალიბდა საქართველოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი ლაბორატორია (1988), წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის ს/კ ლაბორატორია (1996). არის საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1975), ივ.ჯავახიშვილის (1976), ნ.ბერძენიშვილის (1980) სახელობის და საქართველოს სახელმწიფო (1982) პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1997), თბილისის საპატიო მოქალაქე. ABI-ის მიერ დასახელდა 1997 წლის ადამიანად, დააჯილდოვდა 2000 წლის ღირსების მედლით.

**ჰობი:** მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 29-08-30. (ბინის) ჭავჭავაძის 52. თბილისი. ტელ: 22-27-35.*

**თუ ცხოვრებაში რაიმე წარმატებას მივაღწიე, ეს ჩემი მშობლების და მასწავლებლების დამსახურებაა, რომელთაც ჩამინერგეს სამშობლოს სიყვარული, საქმის ერთგულება, შემაჩვიეს შრომას, განმივითარეს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. პროფესიის არჩევის შემდეგ მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა საყვარელი საქმე, ცხოვრების სტიმულის მომცემი იყო და არის. ვცდილობ ობიექტური ვიყო წარსულის თუ თანამედროვეობის შეფასებაში. არასდროს მიზრუნია მაღალ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, მედლებსა და ორდენებზე.**



**ნუგზარ (შალვა) ლორთქიფანიძე** რეჟისორი, ქუთაისის აკადემიური თეატრისა და ქუთაისის საოპერო თეატრის მთავარი რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 10 იანვარს. მშობლები: ქეთევან მინდელი, ლევან ლორთქიფანიძე; მეუღლე — ნინო მამულაიშვილი (1951); შვილები: ლევანი (1976), ქეთევანი (1977). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1967). იყო თელავის დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი (1976-83), საქართველოს ტელევიზიის თეატრალური გადაცემების წამყვანი, კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი, თსთი მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის კათედრის დოცენტი (1983-96). ქუთაისის დრამატული და ოპერის თეატრების მთავარი რეჟისორი (1996 წლიდან), თსთი პროფესორი. არის 70-მდე სპექ-

ტაკლის დამდგმელი რეჟისორი, მათ შორის: კინომსახიობთა თეატრში - „ნუთისოფელი ასეა", „ღია შუშაბანდი"; სოხუმის დრამატულ თეატრში - „სამეფოო ძველთა ძველო"; გორის თეატრში - „ანა ფრანკის დღიური"; თელავის თეატრში - „ბერნარდა ალბას სახლი", „მოკვეთილი"; კიშინიოვის დრამატულ თეატრში - „პროვინციული ამბავი"; ქუთაისის აკადემიურ თეატრში „ნვიმის გამყიდველი", „ფილუმენა მორტურანო"; ქუთაისის საოპერო თეატრში - „სოფლის პატიოსნება", „დარეჯან ცბიერი" და სხვ. არის კ.მარჯანიშვილის და ს.ახმეტელის პრემიების ლაურეატი.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის მოედანი 1. ქუთაისი. ტელ: 4-04-77. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 64. თბილისი 380077. ტელ: 39-34-57.*



**ოთარ ლორთქიფანიძე** არქეოლოგი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 30 ოქტომბერს. მშობლები: პარასკევა ამაშუკელი, დავით ლორთქიფანიძე; მეუღლე — რუსუდან ტაბატაძე-ლორთქიფანიძე (1939); შვილები: დავითი (1963), ნინო (1969). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1953). იყო თსუ უფროსი მასწავლებელი, საქართველოს ისტორიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1955-60), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1960-70). თსუ პროფესორია 1962 წლიდან, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი — 1977 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა მცხეთაში ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში" (1958), სადოქტორო — „ანტიკური სამყარო და ძველი საქართველო" (1966). გამოაქვეყნა 200-ზე მეტი ნაშრომი (მონოგრაფიები, სტატიები მრავალ ენაზე). დაჯილდოებულია სპეციალური მედლით გერმანიაში გამოცემული წიგნისათვის „საქართველოს არქეოლოგია". არის ალ.ჰუმბოლდტის საერთაშორისო (2000), საქართველოს სახელმწიფო (2000) პრემიების ლაურეატი; გერმანიის არქეოლოგიური ინ-ტის წევრ-კორესპონდენტი, პოლონეთისა და ქ. მაინცის არქეოლოგიური სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი, კლასიკური არქეოლოგიის ასოციაციის (რომი), ინდო-ევროპეისტული და თრაკოლოგიის კვლევის საერთაშორისო კომიტეტის, კლასიკური მითოლოგიის იკონოგრაფიული ლექსიკონის საერთო-სამეცნიერო კომიტეტის, საერთაშორისო ჟურნალ „შავი ზღვის" სარედაქციო კოლეგიის, ისტორიის მეცნიერებათა ესპანეთის სამეფო აკადემიის (2000) წევრი.
**ჰობი:** დეტექტივების კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) უზნაძის 14. თბილისი 380002.ტელ: 95-97-65, 95-29-20. ფაქსი: 96-67-68. (ბინის) მიცკევიჩის 12. თბილისი. ტელ: 38-40-24.*



**როზა ლორთქიფანიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ადიგენის რაიონში 1954 წ. 2 დეკემბერს. მშობლები: ლალი იობიძე-ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე; შვილი — ლალი (1996). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ჰიდრომელიორაციის ფაკ-ტი (1980). იყო ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ს/კ ინ-ტის უფროსი ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1980-88), ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის საკავშირო ს/კ ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1988-91), წყალტუბოს სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ს/გ თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი (1991-92), წყალტუბოს გამგებლის I მოადგილე (1992-93), საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1992-95), პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). გარემოს დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარეა 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „საქართველოს ძირითადი ტიპის ნიადაგებში ფოსფორიანი სასუქების სხვადასხვა ფორმების ურთიერთქმედება მინერალოგიურ ასოციაციებთან" (1986), სადოქტორო — „იმერეთის ნიადაგები და მათი რაციონალურად გამოყენების პერსპექტივები" (1998). გამოქვეყნებული აქვს 38 სამეცნიერო ნაშრო-

მი, მონოგრაფია „იმერეთის ნიადაგები და სოფლის მეურნეობა" (1997). იყო საქართველოს მწვანეთა იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე (1988-93). არის სმკ-ს მთავარი საბჭოს წევრი.
**ჰობი:** ხატვა, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-75-45. ფაქსი: 92-15-66. ელ-ფოსტა: aicmt@parliament.ge*

**ერთგულება და პრინციპულობა. ვიცხოვრო ერთიან, დამოუკიდებელ, ეკონომიკურად ძლიერ და ეკოლოგიურად სუფთა საქართველოში. ხოლო ჩემი მოღვაწეობის შედეგი—მდიდარი და ძლიერი გლეხის ქართული ტრადიციებით აშენებული მშვენიერი სოფელი იქნება.**



**რუსუდან ლორთქიფანიძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიის რესპუბლიკაში. დაიბადა თბილისში 1947 წ. 5 აგვისტოს. მშობლები: ელენე კაჩაროვსკაია, რევაზ ლორთქიფანიძე; მეუღლე — გიორგი ბერიძე (1946); შვილები: ეკატერინე (1970), ალექსანდრე (1974). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1970). იყო საქართველოს მეცნ. აკად. და მოსკოვის საზოგადოებრივ ნაგებობათა კვლევის ინ-ტის ასპირანტი (1971-75), საქართველოს მეცნ. აკად. მეცნიერ-თანამშრომელი (1975-97), სპი არქიტექტურის ფაკ-ტის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1977-98); გაიარა მოსკოვის არქიტექტურის თეორიის და ისტორიის კვლევითი ინ-ტის დოქტორანტურა (1989-91). საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია იტალიაში 1998 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ისტორიული მემკვიდრეობის როლი თანამედროვე იტალიურ არქიტექტურაში" (1993). გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: „ბავშვთა დასვენების ცენტრების პროექტირების პრინციპები" (1978), „იტალიის არქიტექტურა 1970-80 წლებში" (1988), „თანამედროვე იტალიური არქიტექტურა 1970-90 წწ" (1995) და სხვ. არის საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი (1971).
**ჰობი:** კითხვა, გამოფენის დათვალიერება, კინო.
**მისამართი:** *(სამსახურის) ესპანეთის მოედანი 20, რომი, 00187. ტელ: 972-73-82. ელ-ფოსტა: amgeorgia@pronet.ct (ბინის) შანიძის 11. თბილისი. ტელ: 22-06-97/სან-ვალენტინოს 48, ბ. 6. რომი.*



**რუსუდან ლორთქიფანიძე** ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის მოადგილე. დაიბადა დაბა ბიჭვინთაში (გაგრის რ-ნი) 1953 წ. 1 იანვარს. მშობლები: იზოლდა შუბლაძე, ამირან ლორთქიფანიძე; მეუღლე – გოგი ბინკინაშვილი (1947); შვილები: გიორგი (1974), ვახტანგი (1975). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1980). იყო გაზეთ "თბილისის" კორესპონდენტი (1983-89), გაზეთ "კაბადონის" მშრომელთა წერილების განყ-ბის გამგე (1989-92), სპი პედაგოგი (1991 წლიდან ), გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" მიმომხილველი (1992). მთავარი რედაქტორის მოადგილეა 1995 წლიდან, საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი — 2001 წლიდან. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1999), საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ჯილდოებით (1989, 1995). არის ჟურნალისტთა საქართველოს (1986) და საერთაშორისო (1990) ფედერაციების წევრი.
**ჰობი:** სიკეთის ქმნა, ბუნებაში ხეტიალი, ბრძნული აზრების შეკრება.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14, თბილისი 380096. ტელ: 93-27-58, 98-92-02. (ბინის) ონიაშვილის 6, თბილისი.*

**შრომისმოყვარეობა, მებრძოლი სული, პასუხისმგებლობის გრძნობა, პროფესიონალიზმი, კაცთმოყვარეობა. მორწმუნე. ადამიანი მთელი თავისი არსებით თავის ხალხსა და ქვეყანას უნდა ემსახურებოდეს. ვცდილობ ვიცხოვრო ამ პრინციპებით, ვფიქრობ, არასოდეს გამიმრუდებია სამართალი, მსურს დავრჩე ადამიანად და ვიყო ის, რაც სინამდვილეში ვარ, ვიყო ჰუმანური.**

**გოჩა ლორია** მარნეულის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. მაჩხვარეთში (ლანჩხუთის რ-ნი) 1963 წ. 27 თებერვალს. მეუღლე — ნონა ლორია

(1963); შვილები: ლაშა (1987), ლევანი (1989), ლონდა (1998). დაამთავრა სპი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკ-ტი (1980), გაიარა კალიფორნიის უნივერსიტეტის ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა ტრენინგი (აშშ 1996). იყო რუსთავის სამშენებლო ორგანიზაციის მუშა, კომკავშირული მუშაკი (1984-88), კერძო ბიზნესმენი (1991-94), რუსთავის მერიის ქონდიდელის დასახლების გამგებელი, ცენტრალური მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე (1995-96), პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ქვემო ქართლის მხარეში (1996-2000).

**დავით ლოსაბერიძე** მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის სამოქალაქო განათლების განყოფილების ხელმძღვანელი. დაიბადა 1965 წ. 11 აპრილს. მშობლები: თინათინ (დოდო) მაჭავარიანი, გელა ლოსაბერიძე; მეუღლე — ნანა მესტვირიშვილი (1961); შვილი — ივა (1999). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1987), თსუ ასპირანტურა (1992). იყო ისტორიის ინ-ტის ანთროპოლოგიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი (1987-89), ისტორიის ინ-ტის ეთნოგენეზის კვლევის საპრობლემო ჯგუფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1992-99), კავკასიური ინ-ტის სახელმწიფო სტრუქტურების კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი, სამოქალაქო განათლების განყოფილების ხელმძღვანელი, გამგეობის წევრი (1995 წლიდან), ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" აღმასრულებელი საბჭოს წევრი (1999 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართველი ხალხის ეთნიკური ვინაობის პრობლემა" (1992). არის 20-მდე სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიის ავტორი. გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „თვითმმართველობა საქართველოში" (ქართულად და ინგლისურად, 1998), „სახელმწიფო სისტემა საქართველოში" (ქართულად და ინგლისურად, 1998, თანაავტორი).
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, კლასიკური ლიტერატურა, კომპიუტერი.
**მისამართი:** *(სამსახურის) მ.ალექსიძის 1. თბილისი 380093. ტელ: 33-18-79. ფაქსი: 33-41-63, ელ-ფოსტა: cipdde@access.sanet.ge (ბინის) ხუდადოვის 3. ბ.64. თბილისი. ტელ: 96-07-96.*
**თავისუფლება.**

# მ



**ხათუნა მაისაშვილი** ჟურნალისტი, გაზეთ „ახალი 7 დღის" რედაქტორი. დაიბადა ხაშურში 1966 წ. 19 მარტს. მშობლები: ლალი ნემსაძე-მაისაშვილი, ლერი მაისაშვილი; მეუღლე — მიხეილ ადეიშვილი (1959); შვილები: ელისაბედი (1991), ანდრია (1999). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1988), დიუკის უნივერსიტეტის (აშშ) მიწვეულ ჟურნალისტთა პროგრამის კურსები (1993). იყო გაზეთ „თბილისის" კორესპონდენტი (1986-90), ჟურნალისტთა კავშირის მიერ გამოცემული გაზეთი „7 დღის" კორესპონდენტი (1990-91), ყოველკვირეული გაზეთი „7 დღის" დამფუძნებელი, თანარედაქტორი (1991-95), მთავარი რედაქტორი (1995-96). „ახალი 7 დღის" რედაქტორია 1997 წლიდან.

**ჰობი:** ხატვა, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) დიდი ხეივნის 6, თბილისი 380014. ტელ: 93-63-05, 99-87-49. (ბინის) თარხნიშვილის 11 თბილისი, 380009.*

**ნებისყოფა, ცოდნა, მიზნის ნათლად დასახვა, ნონ-კონფორმიზმი.**



**ზურაბ მაისურაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1966 წ. 16 ოქტომბერს. მშობლები: ეთერ მაისურაძე, თენგიზ კალატოზიშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994). იყო საქართველოს მშენებლობის სამინისტროს კომპლექტაციის ბაზის იურისკონსულტი (1986 წლიდან), საქართველოს ადვოკატურის კოლეგიის წევრი, დიდუბის ადვოკატურის ადვოკატი (1997). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. არის რამდენიმე გამოგონების ავტორი, რუსეთის ფედერაციის გამომგონებლის პატენტისა და საქართველოს საპატიო სიგელის მფლობელი.

**ჰობი:** ხატვა, მოზაიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, 53-09-92. (ბინის) მეგობრობის გამზირი III კვ. მე-5 კორპ. ბ. 37, თბილისი. ტელ: 51-61-70.*



**მერი მაისურაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა გორში 1957 წ. 17 ივნისს. მშობლები: დუსია მაისურაძე, მიხეილ ბითარიშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1987). იყო "საქმთავარენერგოს" იურისკონსულტი (1987-88), იურიდიული განყ-ბის უფროსი (1988-97), თბილისის ჩუღურეთის რ-ნის ადვოკატურის ადვოკატი (1997-99).

**ჰობი:** ჩემი პროფესია, ადამიანთა აზროვნების სიღრმე, გალაკტიონის, კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის და სხვათა სიტყვები.

**მისამართი:** *(სამსახურის) ნიუპორტის 32. ქუთაისი. (ბინის) ალმაშენებლის 117, თბილისი. ტელ: 96-92-11.*

**ადამიანმა, ალბათ, სრულყოფისაკენ უნდა ისწრაფვოს; ამ გზაზე აუცილებელ თვისებად მიმაჩნია შრომისმოყვარეობა, ღვთისა და კაცის სიყვარული, პატიების დიდი უნარი, რაც შეიძლება ნაკლები ლაპარაკი. ღვთის წყალობაა იყო ქალი და მოსამართლე. ალბათ, ქალი-მოსამართლე მეტად შესძლებს სამართლის კარზე მოსულ იმედდაკარგულს იმედი დაუბრუნოს.**



**გენო მალაზონია** საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი. დაიბადა თბილისში 1973 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: მაკა მალაზონია, ზურაბ მალაზონია. დაამთავრა თსუ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკ-ტი (1995), კალიფორნიის (აშშ) უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის კურსები (1995), სტაჟირება გაიარა წამყვან ამერიკულ ბანკებში ქ.უნიდოში

(საბერძნეთი, 1996), ნიუ-იორკში (1998). სწავლობს თსუ იურიდიულ ფაკ-ზე (1998 წლიდან). მუშაობდა შემნახველ სალაროში (1993-94), იყო "ახალი ქართული ბანკის" საოპერაციო სამმართველოს უფროსი, წამყვანი სპეციალისტი (1994-95), ბანკის სავალუტო სამმართველოს უფროსის მოადგილე (1995), გაერთიანებული ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე (1995-97), შავი ზღვის ბანკის (საქართველო) გენერალური დირექტორის მოადგილე (1997-99), სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1999-2000), შსს მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე (2000-2001).
**ჰობი:** სპორტი, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭანტურიას 12, თბილისი 380008. ტელ: 93-31-01. ფაქსი: 92-25-52. ელ-ფოსტა: gemal1@hotmail.com (ბინის) მაყაშვილის 1, თბილისი. ტელ: 98-41-77.*

**სწორად ავირჩიო მიზანი ყოველ კონკრეტულ მომენტში და გავაკეთო ყველაფერი მის მისაღწევად; არასოდეს გადავდო სახვალისოდ ის, რისი გაკეთებაც დღეს შემიძლია; შევეცადო, რომ ყველაზე მძიმე წუთებშიც კი შევინარჩუნო იუმორის გრძნობა; ვიყო რეალისტი.**



**მამია მალაზონია** საქართველოს სახალხო მხატვარი, თსსა პროფესორი, თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინ-ტის სახვითი ხელოვნების კათედრის გამგე. დაიბადა ოზურგეთში 1936 წ. 19 მარტს. მშობლები: მარგარიტა არობელიძე, ვლადიმერ მალაზონია; მეუღლე – ლიორა ურუშაძე (1943); შვილი — ილო (1966). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტის თეატრალურ-დეკორაციული სახელოსნო (1962). იყო კ/ს "ქართული ფილმის" დამდგმელი მხატვარი (1960-85), მარჯანიშვილის (1969-76) და ოპერისა და ბალეტის (1976-84) სახელმწიფო თეატრების მთავარი მხატვარი, თსსა მულტიპლიკაციური ფილმების სახელოსნოს ხელმძღვანელი (1984 წლიდან), თანამშრომლობდა გამომცემლობებთან. არის მხატვრული ციკლის "კლასიკური ლიტერატურის დიდი ალბომი" (1975-2001), ალბომის "ცხოვრება იესო ქრისტესი" (1996), მრავალი სხვა წიგნისა და სპექტაკლის გამფორმებელი; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა, კინემატოგრაფისტთა და მხატვართა კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. (ბინის) ბაზალეთის 9, თბილისი, 380079. ტელ: 29-32-18.*

**ვცდილობ, ვიყო გულწრფელი, მართალი და გასაგები ხალხისათვის, არ ვიყო ყალბი ხელოვნებაში.**



**ნოდარ მალაზონია** მხატვარი, სარეკლამო-საგამომცემლო შპს ფირმა "ბენეფისის" გენერალური დირექტორი. დაიბადა ოზურგეთში 1929 წ. 27 აპრილს. მშობლები: მარგარიტა არობელიძე, ვლადიმერ მალაზონია; მეუღლე – ნანა მალაზონია (1935); შვილები: მანანა (1956), ბაჩა (1965). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1955). იყო ჟურნალ "ნიანგის" მთავარი მხატვრული რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიის წევრი (1948-89). სარეკლამო-საგამომცემლო შპს ფირმა "ბენეფისის" გენერალური დირექტორია 1989 წლიდან. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1965), სახალხო მხატვარი (1982). მიღებული აქვს ქ. კატანიის ტურისტული პლაკატების საერთაშორისო გამოფენის 2 უმაღლესი ჯილდო (იტალიია, 1979). არის ქართული კუპონის, ვაუჩერის, ლარის, თეთრის (ე. ამაშუკელთან ერთად), პასპორტისა და პირადობის მოწმობის (ყველა – ბ. მალაზონიასთან ერთად) ავტორი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000), ქსე.
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჯავახიშვილის 1, თბილისი. ტელ: 93-31-80. 32-77-28.*

**ოჯახი, შვილები, შვილიშვილები.**



**ლევან მამალაძე** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ქვემო ქართლის მხარეში. დაიბადა თბილისში 1968 წ. 17 იანვარს. მშობლები: ვერა პაიჭაძე, ლეგრი მამალაძე; მეუღლე — მარიკა ქავთარაძე (1976); შვილები: ანა-მარია (1996), ნიკოლოზი (1997). დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინ-ტის ზოოსაინჟინრო ფაკ-ტი (1980), ბოლონიის უნივერსიტეტი (1991), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1998). იყო ზოოვეტერინარული ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1991-94), მწვანეთა მოძრაობის სწავლული მდივანი (1989), აღმასრულებელი მდივანი (1991), მწვანეთა პარტიის თავმჯდომარის მოადგილე (1992), პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის მდივანი (1992-93), საქართველო-აზერბაიჯანის საპარლამენტთაშორისო ჯგუფის ხელმძღვანელი (1993), სმკ-ის თავმჯდომარე (1994). პრეზიდენტის რწმუნებულია 1994 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ჯიშთაშორისი შეჯვარების მეთოდით პროდუქტიულობის ამაღლება მეცხოველეობაში" (1998). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის ავტორი. იყო მწვანეთა მოძრაობის (1989), მწვანეთა პარტიის (1990), სმკ-ს (1993) წევრი, სმკ-ს მთავარი საბჭოს წევრია 1994 წლიდან.

**ჰობი:** მოგზაურობა, სპორტი—ცხენოსნობა, მთის სლალომი, ფარიკაობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 20. რუსთავი. ტელ: 93-00-35. ფაქსი: 93-91-53.*

**სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, სუბიექტივიზმის შემცირება, სამართლიანი მიდგომა ყველა საკითხისადმი, პრინციპულობა. კამათი არგუმენტებით და არა აკვიატებით. აზრის შეცვლა მხოლოდ არგუმენტის საფუძველზე. ადამიანური ურთიერთობა ყველა რანგის პიროვნებასთან და არა მისი სოციალური მდგომარეობის მიხედვით. ურთიერთობაში ერთგულების აღიარება და პატივისცემა. ცხოვრება არა ერთი დღით, არამედ შორეული პერსპექტივით.**



**მამუკა მამალაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე, საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა ქუთაისში 1964 წ. 17 აპრილს. მშობლები: ჯენარო საკანდელიძე, გოდერძი მამალაძე; მეუღლე — თამარ ჭანტურია (1967); შვილი — მარიამი (2000). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989). იყო ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის იურიდიული ბიუროს უფროსი (1987-90), ქუთაისის სასამართლოს მოსამართლე (1991-97). იუსტიციის საბჭოს წევრია 1997 წლიდან, საოლოქო სასამართლოს მოსამართლე—1999 წლიდან.

**მისამართი:** *(სამსახურის) ნიუპორტის 32. ქუთაისი. (ბინის) ლესია-უკრაინკას 9. ქუთაისი.*

**ვეთაყვანები ყველა იმ ადამიანს, ვინც სიკეთეს, სიკეთეს და სიკეთეს თესავს.**



**თეიმურაზ მამაცაშვილი** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირლანდიაში, მმართველი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში, მუდმივი წარმომადგენელი საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში, დამკვირვებელი ნავთობით დაბინძურების საერთაშორისო საკომპენსაციო ფონდში. დაიბადა თბილისში 1942 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: მარიამ რობაქიძე, დავით მამაცაშვილი; მეუღლე — ირინა არხანგელსკაია (1948); შვილები: თამარი (1968), ნათია (1977). დაამთავრა სპი გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1964), საგარეო ვაჭრობის საკავშირო აკადემიის საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის ფაკ-ტი (მოსკოვი, 1973). იყო ავტომატიზაციის საშუალებათა კვლევითი ინ-ტის ინჟინერი (1965), მეტროლოგიის ინ-ტის უფროსი ინჟინერი (1965-70), „ტექმაშექსპორტის" უფროსი ინჟინერი (მოსკოვი, 1973), ავსტრალიაში სსრკ წარმომადგენლობის უფროსი ინჟინერი (1974-76), „ლიცენზინტორგის" უფროსი ინჟინერი, დირექტორი (მოსკოვი, 1977-89), იაპონიაში „ლიცენზინტორგის", სსრკ-ის, რუსეთის სავაჭრო წარმომადგენელი (ტოკიო, 1989-92), საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე, თავმჯდომარე (1992-93). საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში 1995 წლიდან, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირლანდიაში — 1998 წლიდან. მონაწილეობდა

საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში, როგორც მომხსენებელი. დაჯილდოებულია სსრკ მედლებით შრომაში წარმატებებისთვის (1970), შრომითი მიღწევებისთვის (1988). იყო სკკპ წევრი (1968-91). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: Who's Who (A & C Black, დიდი ბრიტანეთი, 1996-2001), People of Today" (Debrett's Peerage Ltd. 1997-2001),"The International Year Book and Statesmen's Who's Who" (Bowker Saur,UK).
ჰობი: ვიდეო-ფოტო გადაღებები, ნადირობა, მებაღეობა.
მისამართი: *(სამსახურის) 3 Hornton Place, London, W8, 4LZ, UK. ტელ: 937-82-33. ფაქსი: 938-41-08. ელ-ფოსტა:* geoemb@dircon.co.uk

**ცხოვრებაში ჩემი იდეალები იყვნენ ჩემი მშობლები. ჩემი კრედოა, იყო ოპტიმისტი, პატიოსნად ემსახურო შენს ხალხს, ქვეყანას, საქმეს, არ დაგეზაროს აქეთო სიკეთე, არ დაკარგო კაცობა. დღეს უკაცობის დეფიციტი აშკარა გახდა ქვეყანაში. მინდა, რომ სახეგაღიმებულ, ბედნიერ ხალხს ვხედავდე გარშემო და ისმოდეს ბავშვების უდარდელი ჟრიამული. რამ განაპირობა ჩემი წარმატება? ალბათ მართლა ვარ წარმატებული, ვინაიდან ვარ უაღრესად საპასუხისმგებლო და საინტერესო ჩემი ქვეყნის, ხალხის და პრეზიდენტის სამსახურში. ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ის დიდი გამოცდილება, რომელიც მივიღე საერთაშორისო სფეროში ჩემი მოღვაწეობის პერიოდში.**



**ნოდარ მამისაშვილი** კომპოზიტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: ნადეჟდა კვიჟინაძე, ლევან მამისაშვილი; მეუღლე — ნინო ბახუტაშვილი (1937); შვილი — გია (1962). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკ-ტი (1956). იყო თბილისის IV (1955-63) და I (1963-72) მუსიკალური სასწავლებლების მუსიკის თეორიისა და კომპოზიციის პედაგოგი. არის თბილისის სახ. კონსერვატორიის მუსიკის თეორიის და კომპოზიციის პედაგოგი, დოცენტი (1963 წლიდან), პოლოსტუდია "თეთრი კვადრატის" პრეზიდენტი (1995 წლიდან), ბგერითი ეკოლოგიის ცენტრის მთავარი კოორდინატორი (1996 წლიდან), საინჟინრო აკადემიის მრჩეველი (1997 წლიდან), ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი და პრეზიდიუმის წევრი (1997 წლიდან). იყო კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანი, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე (1973-91). ასწავლის სასულიერო აკადემიაში მართლმადიდებლური გალობის წინა ისტორიას და ისტორიას (1989 წლიდან). არის ავტორი მუსიკალური ნაწარმოებებისა: "ბაქია ბაჭია" (საბავშვო ოპერა), "შვიდი სიმფონია" (I სიმფონიურ-ელექტრონული, II საგუნდო-ელექტრონული III პოლოფონიური, VII სიმფონიურ-პოლოფონიური), 4 საფორტეპიანო კონცერტი, საგუნდო ორატორიები და ციკლები, პიესები ორკესტრისათვის, ორღანისათვის, ფორტეპიანოსათვის, ჩელოსთვის, არფისთვის, კვარტეტისათვის, ტრიო-"ტრიპტიქი", მუსიკისა სპექტაკლებისა და კინოფილმებისთვის; სამეცნიერო ნაშრომებისა: „სამფაზიანი კომპოზიციის მუსიკალური სისტემა" (1978), "Fasistria — ანუ სიცოცხლის ჰარმონია", „პოლოფონია", „ბგერითი ველის თეორია", „ბგერის ახალი აკუსტიკური თვისებები", „ბგერითი პოლარიზაცია და ტორსიული ველი", „ბიოენერგო ინფორმაცია და მუსიკა", „მინერალოთერაპია და ბგერითი ველი", „ქართული მუსიკალური აზროვნება და უძველესი სისტემა", „ბიო-აკუსტიკური რეზონანსის თეორია", „ადამიანის ბიორეზონანსი და ზოდიაქოს არქეტიპი", „სისტემური აზროვნება და ინტუიცია, როგორც ინფორმაციული არჩევითობის გამთლიანებული პროცესი", „ბგერითი სპექტრების ზემოქმედების მნიშვნელობა ინტუიტურ შესაძლებლობათა გამჟღავნებაში", „რეინკარნაციული ფსიქო-ვიდეო და ბგერა"; საჟურნალე სტატიებისა: „გალობა ამღერებული გულისთქმაა" („ლიტ. საქართველო"), „На встречу времени" („ხელოვნება", 1979) „ფშაური ნატირალები" („ხელოვნება", 1979), „ნიკო სულხანიშვილი „მესტვირული და გუთნური" („საბჭოთა ხელოვნება" (1977); გამოგონებებისა: რომოფონიკური აპარატი; რეგულირებადი წყლის გამაცხელებელი; თერმოსტიმულატორი, ანოდურკათოდური დამუხტვის აპარატი; პროფილიზებული კომპიუტერი „ნონა" და სხვ; სამების საკათედრო ტაძრისათვის შექმნა ზარების მელოდიური წყობა, სადაც

გამოიყენა: აკუსტიკური ტონი, აღადგინა საეკლესიო ტონი, შექმნა 9 ზარი ქართული გალობის ჰარმონიაზე.
**ჰობი:** ინჟინერია.
**მისამართი:** *(ბინის) ყაზბეგის 20. ბ.5 თბილისი. ტელ: 39-18-95.*

**ჩემი ცხოვრების მიზანი და იდეალი იყო, არის და იქნება ადამიანურ შესაძლებლობათა შეცნობა, უმაღლესი პროფესიონალიზმი, მრავალმხრივი განათლება და სიკეთე. მთელი ჩემი ძირითადი საინჟინრო გამოგონებები, ახალი ბგერითი სისტემა. აკუსტიკური ძიებანი, საკომპოზიტორო შემოქმედება ემსახურებოდა სილამაზის ჰარმონიის ძიებას ადამიანის აღქმითი სფეროს გაფართოებისა და კეთილშობილურ განცდათა სამყაროს შექმნისათვის.**



**პეტრე მამრაძე** საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე, სახელმწიფო კანცელარიის უფროსი. დაიბადა თბილისში 1952 წ. 8 სექტემბერს. მშობლები: ირაიდა მამრაძე, გრიგოლ მამრაძე; მეუღლე — ლალი იაშვილი; შვილი — ელისაბედი (1995). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1974). იყო საქსახწყალპროექტის პროგრამისტი (1975), მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ქალაქის განყ-ბის მეცნიერ-თანამშრომელი (1975-92), საქართველოს ვიცე-პრემიერის თანაშემწე (1992), პარლამენტის წევრი (1992-95), სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელი (1995). სახელმწიფო კანცელარიის უფროსია 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ანიჰილაციის ფუნდამენტური პროცესები ზეძლიერ მაგნიტურ ველებში" (1992). არის რამდენიმე პუბლიცისტური წერილის ავტორი, 14 სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი. არის სმკ-ის წევრი (1993).
**ჰობი:** უცხო ენები, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ: 99-74-75, 99-96-30.*



**არჩილ მამულაძე** ბათუმის თოჯინების თეატრის დირექტორი. დაიბადა სოფ. ნენიაში (შუახევის რ-ნი) 1958 წ. 16 მარტს. მშობლები: ვარდო ბერიძე, ბესარიონ მამულაძე; მეუღლე — გულნარა მამულაძე (1961); შვილები: ბესიკი (1982), ეკა (1980). დაამთავრა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი (1977), საქართველოს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სახ. სამეცნიერო ინ-ტის სამეურნეო სამართლის ფაკ-ტი. იყო შუახევის რ-ნის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი (1977), აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლის მომღერალი-მსახიობი (1977-87), ხელვაჩაურის რ-ნის კულტურის ცენტრის დირექტორი (1987-97), ბათუმის და ხელვაჩაურის საშუალო სკოლებისა და ორგანიზაცია-დაწესებულებების პედაგოგი, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი, დრამატული და საკონცერტო კოლექტივების ხელმძღვანელი. ბათუმის თოჯინების თეატრის დირექტორია 1997 წლიდან. არის ავტორი სიმღერისა „ჩემი მხარე" (1982). არის აჭარის ბავშვთა ფონდის პრეზიდიუმის წევრი; ფონდის განათლების, კულტურისა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე (1999), საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალებისა და კონკურსების ლაურეატი, მისი ხელმძღვანელობით ანსამბლები მიწვეული იყო ჩანაქალესა და სამსუნის (თურქეთი) საერთაშორისო ფესტივალებზე. არის დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1998).
**ჰობი:** მუსიკა, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) მ.აბაშიძის 49, ბათუმი 380045. ტელ: 7-05-92, 7-05-93. (ბინის) თამარის დასახლება 24, ბ. 55. ბათუმი. ტელ: 5-06-55.*

**პირველ რიგში მამოძრავებს სამშობლოს და ჩემი კუთხის სიყვარული, ოჯახის სიყვარული, დაკისრებული მოვალეობის შესრულება, რომელიც მიმართულია საკეთილდღეოდ. სამსახურში თავდადება, ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახზე წინაც ვაყენებ ჩემს სამსახურს. არასოდეს და არც ერთ მომენტში არ მიღალატნია ჩემი საქმისადმი. ყოველთვის ვიყავი პრინციპული და უღალატო საქმისადმი, ამიტომაც ვაღწევ ყოველთვის სხვადასხვა წარმატებებს.**



**ირაკლი მანაგაძე** საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1967 წ. 27 ოქტომბერს. მშობლები: მანანა ჯანელიძე, ნოდარ მანაგაძე;

მეუღლე — ნინო სიმონია (1970); შვილი — ელენე (1993). დაამთავრა თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკ-ტი (1991). იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ატაშე (1991), მთავარი სპეციალისტი (1992-93), მინისტრთა კაბინეტის წამყვანი სახ. მრჩეველი (1993-94), საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის სამდივნოს წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი — სამდივნოს უფროსი (1994-96), მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწე (1994-96), მსოფლიო ბანკის ინსტიტუციონალური სპეციალისტი (1996-98). ეროვნული ბანკის პრეზიდენტია 1998 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს ეროვნული ბანკი. ლეონიძის 3/5. თბილისი, 380005. ტელ: 99-65-05. ფაქსი: 99-93-46. ელ-ფოსტა: pr@nbg.gov.ge (ბინის) ბაქრაძის 11. თბილისი.*



**ლავრენტი მანაგაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 14 ოქტომბერს. მშობლები: თამარ სულაძე, გიორგი მანაგაძე; მეუღლე — ნათელა გაფრინდაშვილი (1945); შვილი — გიორგი (1969). დაამთავრა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინ-ტის სამკურნალო ფაკ-ტი (1967). იყო სსრკ სამედიცინო აკადემიის ორგანოთა გადანერგვის ლაბორატორიის ასპირანტი (1967-70), ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1970-72), საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ექსპერიმენტული ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1972-74), ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1984 წლიდან). უროლოგიის ს/კ ინ-ტის დირექტორია 1985 წლიდან; თსუ მედიკო-ბიოლოგიის ფაკ-ტის უროლოგიის კათედრის გამგე — 1998 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ბავშვთა თირკმლების გადანერგვა ზრდასრულ რეციპიენტებში" (1981). არის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (უმრავლესობა გამოქვეყნებულია საზღვარგარეთის პერიოდიკაში 1980-98). დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით (1986), გრ.მუხაძის სამახსოვრო მედლით (1996), ღირსების ორდენებით (1997, 2000), მიღებული აქვს სპეციალური პრიზი როტერდამში (1996). არის საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი (1995), მედიკო-ბიოლოგიურ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1995), ნიუ-იორკის აკად. საპატიო წევრი (1996), სომხეთის ქირურგიულ მეცნ. აკად. აკადემიკოსი (1998), საქართველოს უროლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე (1996), სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი (1996), სამედიცინო სექციის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე (1997), ევროპის უროლოგთა ასოციაციის (1994), კიბოს კვლევისა და მკურნალობის ევროპული ორგანიზაციის (1996), ქირურგთა საერთაშორისო კოლეჯის წევრი (1998).
**მისამართი:** *(სამსახურის) წინანდლის 9. თბილისი, 380044. ტელ/ფაქსი: 96-48-70, ელ-ფოსტა: urology@caucasus.net*

**თავდაუზოგავი შრომა, კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი, საქმიო პრინციპებისა და იდეალებისადმი ერთგულება, კაცთმოყვარეობა, თავმდაბლობა.**



**ნოდარ მანაგაძე** კინორეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1943 წ. 19 მარტს. მშობლები: ქეთევან გაბილაია, შოთა მანაგაძე; მეუღლე — მანანა ჯანელიძე (1944); შვილი — ირაკლი (1967). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1965). იყო თსუ ლექტორი (1988-91). კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორია 1965 წლიდან, თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის დოცენტი — 1990 წლიდან, ს/ს „ქართული ფილმის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი — 1994 წლიდან. არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „წუთისოფელი" (1971), „საერთო კედელი" (1972), „ივანე კოტორაშვილის ამბავი" (1974), „ამაღლება" (1977), „კაშხალი მთაში" (1980), „გაზაფხული გადის" (1983), „ეი, მაესტრო" (1988), „ნოე" (1992), „ნათლისღება" (1994), „ანგელოზის გადაფრენა" (2000). არის მონაწილე და პრიზიორი საერთაშორისო კინოფესტივალებისა: კანის, სან-რემოს, ვაშინგტონის, გეტებორგის, სიტ-ჩესის, ანკორაჯის, სან-რაფაელოს, ნეაპოლის,

სან-სებასტიანისა და სხვ. არის კომკავშირის პრემიის, საქართველოს და სსრკ კინოფესტივალების პრემიების ლაურეატი, მიღებული აქვს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პრიზი „მაღალი სულიერებისთვის" მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: The International Who's Who (1984 წლიდან), European Biographical Directory (1992 წლიდან).

**ჰობი:** მუსიკა, მთა, სპორტი.

**მისამართი:** *(ბინის) ბაქრაძის 11. თბილისი. ტელ: 99-99-71, 93-27-17.*

**ნებისმიერი პოლიტიკური და სოციალური წყობის მიუხედავად, ხელოვანმა უნდა თქვას ის, რასაც ფიქრობს და განიცდის. აქედან გამომდინარე საზოგადოებისთვის ადვილად ამოსაცნობი ხდება, თუ „ვინ ვინაა".**



**ჯემალ მანჯგალაძე** სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1940 წ. 3 აპრილს. მშობლები: რაისა გაჩეჩილაძე, ნიკოლოზ მანჯგალაძე; მეუღლე — დიანა შენგელია (1940); შვილები: გიორგი (1961), მერაბი (1967), ნუგზარი (1972). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1963), მოსკოვის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინ-ტის ასპირანტურა (1970). იყო კიბერნეტიკის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1963-64), სსგ „ბაქტერიოფაგის" უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1964-70), „ბაქტერიოფაგის" უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1970-75), მცენარეთა დაცვის ინ-ტის ლაბორატორიის გამგე (1975-79), რადიოლოგიის ს/კ ინ-ტის განყ-ბის გამგე (1979-88). დირექტორია 1988 წლიდან, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერთიფიკაციის სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარე — 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პენტოზო-ფოსფატური ციკლის მუტანტების მიღება და მათი ბიოქიმიურ-გენეტიკური ანალიზი" (1970). არის 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აშშ საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბოსტონის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტი და სხვ. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით. არის საზოგადოება „თბილისელის" წევრი, სმკ წევრი-დამფუძნებელი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჩარგლის 87. თბილისი 380092. ტელ: 61-58-98. ფაქსი: 94-09-13, ტელ/ფაქსი: 94-09-15. (ბინის) ირ.აბაშიძის 10. ბ. 35. თბილისი 380079. ტელ: 29-21-15.*

**საქართველოს და თბილისის სიყვარული. ერთგულება და მეგობრობა. მივეხმარო ყველას, რითაც შემიძლია. ერთი აგური მაინც დავდო ახალი საქართველოს ასაშენებლად.**



**გიორგი მარგველაშვილი** კინომსხიობთა თეატრის მთავარი რეჟისორი, პედაგოგი. დაიბადა ქუთაისში 1958 წ. 25 მარტს. მშობლები: ზინაიდა კვერენჩხილაძე, ნოდარ მარგველაშვილი; მეუღლე — ლელა გვარიშვილი (1961); შვილები: გივი (1985), ინა (1988). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1980). არის თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის დოცენტი, მ.თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის რეჟისორი (1989 წლიდან). არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „ჭეშმარიტების მომენტი", „დარისპანის გასაჭირი", „ლისისტრატა", „ხანუმა", „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი", „რომეო და ჯულიეტა" და სხვ., სულ 17 სპექტაკლი. მიღებული აქვს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია რეჟისორული ნამუშევრისათვის (1995), რუსთავის თეატრალური ფესტივალის პრემია საუკეთესო რეჟისურისათვის (1996). არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობის წევრი, „რეჟისორთა ლიგის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, თეატრის მოღვაწეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

**ჰობი:** ეთნოგრაფიული ლიტერატურა, ზღაპრები, ლეგენდები, მითები.

**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 164. თბილისი 380012. ტელ: 34-09-37. (ბინის) უ.ჩხეიძის 33, ბ.46. თბილისი. ტელ: 95-22-66, 37-61-76.*

**აკეთე შენი საქმე და, რაც იქნება, იქნება.**



**პარმენ მარგველაშვილი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორი, 55-ე საშუალო სკოლის დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1943 წ. 30 აპრილს. მშობლები: ნეოლინა წერეთელი, იორამ მარგველაშვილი; მეუღლე — ლია შერვაშიძე (1953); შვილები: ანა (1980), ირაკლი (1981), ნინო (1985), მარიამი (1992). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1965). იყო თეორიული ფიზიკის კათედრის ასისტენტი (1971-75). არის დოცენტი 1975 წლიდან. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის რექტორია 1991 წლიდან, 55-ე საშ. სკოლის დირექტორი — 1993 წლიდან, თსუ პრორექტორი — 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნეიტრალურ K-მეზონთა ფენომენოლოგიის ზოგიერთი პრობლემა" (1973). არის 60 სამეცნიერო ნაშრომისა და სხვა პუბლიკაციის; წიგნების: „დავით კაკაბაძის არქივიდან" (1988), „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია" (1992) ავტორი. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით" (1998). იყო სკკპ წევრი (1977-89), თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე (1975-82), სსრკ სახალხო დეპუტატი (1989-91).
მისამართი: *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 22-71-78. (ბინის) ატენის 20. ბ. 57. თბილისი. ტელ: 29-02-49.*
**პატიოსნება, შრომა, ღმერთის, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული.**



**ადა მარშანია** საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრი. დაიბადა სოხუმში 1961 წ. 1 ივლისს. მშობლები: მერი გუგუშვილი, ლორიკ მარშანია. დაამთავრა ლენინგრადის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1983). იყო საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტი (1983-87), სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1987 წლიდან), სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი (1989-91), საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), პარლამენტის წევრი (1992-95, 1995-99), ფრაქცია „ლეიბორისტის" თავმჯდომარის მოადგილე (1997-98), საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წევრი (1995-99).
ჰობი: კარგი წიგნი, იმპრესიონისტები, თეატრი, კინო, ცხენები, მუსიკა, ცეკვა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-69-65. (ბინის) ჭავჭავაძის 75, ბ.4. თბილისი 380062. ტელ: 22-76-55.*



**ანზორ (ფირუზ) მარტყოფლიშვილი** საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა სოფ. ზემო მაჩხაანში 1947 წ. 14 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ მარტყოფლიშვილი, არსენ მარტყოფლიშვილი; მეუღლე — ციური ბატიაშვილი (1940); შვილები: დავითი (1965), მაია (1966), ირმა (1972), ცისმარი (1977). დაამთავრა ფიზკულტურის სახ. ინ-ტი (1963), სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1970). იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს" უფროსი მწვრთნელი. ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია 1971 წლიდან. არის ავტორი წიგნებისა: „ქართველი ფალავნები კიმონოთი" (1972), „ძიუდოს თანამედროვე სამსაჯო წესები და ტერმინოლოგია" (1979). არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტის ოსტატი სამბოში, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში, ევროპის ჩემპიონი და მე-3 პრიზიორი ძიუდოში, სსრკ ორგზის ჩემპიონი და ექვსგზის პრიზიორი სამბოში, საქართველოს თერთმეტგზის ჩემპიონი სამბოში, თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში, საკავშირო კატეგორიის მსაჯი სამბოსა და ძიუდოში, საქართველოსა და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის (1984), ღირსების (1998) ორდენებით.
ჰობი: სპორტი.
მისამართი: *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49-ა. თბილისი 380062. ტელ: 23-57-96. ფაქსი: 29-28-76. (ბინის) დოლიძის 26-ე კორპ. ბ. 132. თბილისი.*
**მთელი ცხოვრება ვიცხოვრე პატიოსნად და კვლავაც პატიოსნად ვემსახურები ჩვენს ქვეყანას და ქართულ სპორტს.**



**ირაკლი მასხარაშვილი** არქიტექტორი. დაიბადა ბორჯომში 1938 წ. 28 ივნისს. მშობლები: დუშა ჭითანავა, სიმონ მასხარაშვილი; მეუღლე — ლეილა

ბაკურიძე (1941); შვილები: ანა (1974), ლევანი (1974). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1963). იყო სპი არქიტექტურის ფაკ-ტის პედაგოგი (1970-80), საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-92), თბილისის მთავარი არქიტექტორი (1991-95). არის ავტორი ნამუშევრებისა: ნევროლოგიის ინ-ტის შენობა თბილისში (1975); ბავშვთა ქალაქი „მზიური" თბილისში (გენგეგმა) და პირველი რიგის მშენებლობა (1982); კერძო საცხოვრებელი სახლი ვ.ანჯაფარიძის ქუჩაზე (1992); პროექტები: სასცენო ხელოვნების სკოლა თბილისში (1965); საგზაო ნაგებობების კომპლექსი „სალანგი", „ავლანეთი" (1964); საკურორტო კომპლექსი „ოქროს საწმისი" კოდორის შესართავთან (1970); ბათუმის ცენტრის და ისტორიული ნაწილის რეკონსტრუქცია (1976); საქართველოს საზღვაოსნო ადმინისტრაციის შენობა ბათუმში (1985). არის საქართველოს არქიტექტორთა კავშირის (1965), კავშირის კოლეგიისა და მთავარი არქიტექტურული საბჭოს წევრი.

**მისამართი:** *(ბინის) ჩიქოვანის 20. ბ. 76. თბილისი 380071. ტელ: 33-34-84.*

**ვცდილობ, ვიყო გულწრფელი ყველაფერში, საქმეში, ჩემს პროფესიაში, ყველას მიმართ.**



**ქეთი მატაბელი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 28 თებერვალს. მშობლები: თინა მატაბელი, გივი მატაბელი; მეუღლე — გია გუგუშვილი (1952); შვილები: გიორგი (1980), მარიამი (1990), ლუკა (1996). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1978). იყო თსსა და თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ფერწერის პედაგოგი, თბილისის მხატვრის სახლის რესტავრატორი (1981-95). არის ავტორი ფერწერული სერიისა "ძველი თბილისი"(1984), მხატვრულად გააფორმა ქუთაისის დრამატული თეატრის სპექტაკლი "დეკასტელის ალბომი" (1994); რამდენიმეტელესპექტაკლი, წიგნი "ეროვნული ღირსებისათვის" (2001). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1980). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** მანქანის ტარება.

**მისამართი:** *(ბინის) ირ. აბაშიძის 26, თბილისი 380079. ტელ: 22-24-92.*

**თავისუფლება, ძიება, სიყვარული.**



**შალვა მატუაშვილი** მხატვარი. დაიბადა ნინანდალში 1958 წ. 29 აგვისტოს. მშობლები: ანეტა მარგალიტაშვილი, გიორგი მატუაშვილი; მეუღლე — ლელა საბანაძე (1958); შვილები: გიორგი (1977), ანა (1981). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1980). იყო თბილისის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის ხატვის, ფერწერისა და კომპოზიციის პედაგოგი (1988-95). არის თბილისის ცენტრალურ მხატვრის სახლის ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი (1988 წლიდან). მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: თბილისში, მოსკოვში, პარიზში, მილანში, ბერლინში, ვენაში, კუვეიტში, ანკარაში, მიუნჰენში, ბარსელონაში, ერევანში და სხვ; გამართა პერსონალური გამოფენა პარიზში (1999). მიღებული აქვს პრემია წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1988), თბილისის საშობაო ფესტივალის გრან-პრი და დამთვალიერებელთა პრიზი (1996), საშობაო ფესტივალის პმრველი პრემია (1998).

**ჰობი:** ისტორიული ძეგლების, სიძველეების მონახულება.

**მისამართი:** *(ბინის) რაზიკაშვილის 10. ტელ: 77-36-08.*

**შრომა, შენება, გაცემა სიკეთისა, რაც სიამოვნებითა და ღირსებით აგავსებს.**



**ედიშერ მაღალაშვილი** მსახიობი, საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1925 წ. 4 იანვარს. მშობლები: სოფიო მურმანიშვილი-მაღალაშვილისა, გიორგი მაღალაშვილი; მეუღლე — ნატალია ყაურიშვილი (1926-95); შვილები: გიორგი (1952), მიხეილი (1957). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1953). იყო მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1948-64). არის კინოსტუდია „ქართული ფილმისა" და რუსთაველის თეატრის მსახიობი (1946 წლიდან). მონაწილეობდა 40-მდე ფილმში, 130-მდე სპექტაკლში. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი. დაჯილდოებულია სრკ მე-

გობრობის ორდენითა და ღირსების ორდენით. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, სსრკ კინემატოგრაფისტთა ენციკლოპედიაში.
**ჰობი:** ცხენოსნობა, ავტომობილი.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. ტელ: 99-63-73; 99-98-64; 93-18-94. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 9, ბ. 172; ტელ: 37-28-31.*

**ვცდილობ, ნაკლები შეცდომა დავუშვა, არ ვიცრუო. დაეხმარო გაჭირვებაში მყოფს და არ გავხდე არც ერთი პარტიის წევრი.**



**თამაზ მაღლაკელიძე** „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. მეორე სვირში (ზესტაფონის რ-ნი) 1966 წ. 7 იანვარს. მშობლები: ელენე მაღლაკელიძე, გივი მაღლაკელიძე. დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკ-ტი (ფინანსებისა და კრედიტების განხრით, 1989), იურიდიული ფაკ-ტი (1996). იყო თსუ ფინანსებისა და კრედიტების კათედრის უფროსი ლაბორანტი, ასპირანტი, ფინანსთა სამინისტროს მთავარი სპეციალისტი, განყ-ბის უფროსი (1990-93), სახელმწიფო საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი (1992), კომერციული ბანკი „ინდუსტრია ბანკის“ გამგეობის თავმჯდომარე (1994-95), ს/ს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარე (1996 წლიდან), გადამხდელთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (1996-98), საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი (1998), საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1998-2000). არის 10 სამეცნიერო ნაშრომისა და 1 წიგნის „გადასახადები და მაკროეკონომიკური რეგულირება“ (1999) ავტორი.
**ჰობი:** სპორტი, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) გაერთიანებული ქართული ბანკი, უზნაძის 37. თბილისი 380002. ტელ: 99-98-29, 98-61-32. (ბინის) ჭავჭავაძის 75ბ, ბ.18. თბილისი 380062. ტელ: 29-20-00.*

**მას შემდეგ რაც მივხვდი, რომ გზის გაკაფვისას ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს (და ეს საკმაოდ ადრეულ ასაკში მოხდა ჩემთვის), მივეძალე წიგნებს, განსაკუთრებით სამეცნიერო ლიტერატურას და არც საზოგადო ცხოვრებას გამოვეკლებივარ. ალბათ, ამიტომაც შევიქენი მეტ-ნაკლებად შესამჩნევი. ნაკლი, ცხადია, უამრავი მაქვს, მაგრამ ამასთან ერთად პლუსიც თუ მომეძებნება, ეს, პირველ რიგში, პროფესიონალიზმისა და დისციპლინის სიყვარულია და, რაც მთავარია, ვაფასებ ადამიანებს, რომელთაც უმძიმეს წუთებშიც კი გული არ უტყდებათ და შეუძლიათ ყველაფრის ახლიდან დაწყება. ჩემს თავსაც ამგვარს ვცემ პატივს.**



**ვასილ მაღლაფერიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ქვეკომიტეტისა და ეროვნული თანხმობის კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1958 წ. 5 სექტემბერს. მშობლები: მერი მაღლაფერიძე, თეიმურაზ მაღლაფერიძე; მეუღლე — ლალი ჩხეიმიანი (1958); შვილები: მერი (1983), თამარი (1984). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1980). იყო კ/ს "ქართული ფილმის" გაერთიანება "დებიუტის" უფროსი რედაქტორი (1981-82), ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სარესტავრაციო სახელოსნოს მხატვარი-რესტავრატორი (1982-83), თსუ ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების კათედრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მე-6 ქართული გიმნაზიის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1984-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ქართული სარაინდო რომანი" (1989). არის დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელოს "საუბრები ქართულ ლიტერატურაზე" თანაავტორი (1992), არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე (1993).
**ჰობი:** წიგნები, მეფუტკრეობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-48. (ბინის) ნუცუბიძის ფერდ. V მ/რ, I კორპ., ბ. 19.*

**"ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხედების". შ.რუსთაველი**



**ვახტანგ მალლაფერიძე** თბილისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა ქუთაისში 1929 წ. 12 იანვარს. მშობლები: მარიამ ჩოგოვაძე, ილიანე მალლაფერიძე; მეუღლე — ეკატერინე ზამბახიძე (1930); შვილი — მამუკა (1957). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი. იყო ბათუმის (1956-61), გორის (1961), თელავის (1961-63) სახ. თეატრების მთავარი რეჟისორი, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახ. კომიტეტის მთავარი რეჟისორი (1963-73), ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახელობის სახ. დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1973-77). თბილისის თოჯინების სახ. თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია 1977 წლიდან. არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: „კაცი და მგელი" (ა.ჰიმერა), „გზა მშვიდობისა" (ფ.როზოვი), „სად ცხოვრობ შენ" (გრ.ბერძენიშვილი), „შვიდი ძახილი ოკეანეში" (კასონა), „მე ვხედავ მზეს", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (ნ.დუმბაძე), „სარდაფი" (ჟ.ანუი), „სურათები საოჯახო ალბომიდან" (თ.ჭილაძე), „პატარა უფლისწული" (ა. დე სენტ-ეგზიუპერი) და სხვ.; სატელევიზიო დადგმებისა: „გვადი ბიგვა" (ლ.ქიაჩელი), „უგზო ქარავანი" (ლ.გოთუა); თოჯინური სპექტაკლებისა: „კომბლე", „ჭინჭრაქა" (გ.ნახუცრიშვილი), „დაჩის ზღაპრები" (ო.იოსელიანი) და სხვ. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი.

**ჰობი:** ფეხბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 103. თბილისი, 380002. ტელ: 25-26-71. (ბინის) დონეცკელ მეტალურგთა 10, ბ. 5. რუსთავი. ტელ: 14-34-16.*

**ავსახო სინამდვილე და ხალხს ვუთხრა სიმართლე. აღვზარდო ნორჩი თაობა კარგ ქართველ მოქალაქეებად, ჩავუნერგო ერისა და სამშობლოს სიყვარული.**



**დავით მაღრაძე** პოეტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა თბილისში 1962 წ. 28 ივნისს. მშობლები: ლია მაღრაძე, ელგუჯა მაღრაძე; მეუღლე – ნესტან ციციშვილი (1966); შვილები: ნატა (1985), ელენე (1990). დაამთავრა თსუ ქართული ფილოლოგიის ფაკ-ტი (1984). იყო ჟურნალ "ცისკრის" მთავარი რედაქტორი (1992), საქართველოს კულტურის მინისტრი (1992-95), გაზეთ "ქომაგის" მთავარი რედაქტორი (1998-2000). ქართული პენ-კლუბის პრეზიდენტია 1997 წლიდან, საქართველოს პარლამეტის წევრი — 1999 წლიდან. არის ავტორი ლექსების კრებულებისა: "მარულა", "შანდლის ასული", "ლექსები", "გახუნებული აფიშა", "მეფური ნაკლი". დაჯილდოებულია გაზეთ "კავკასიონის" პრემიით წლის საუკეთესო ლექსებისათვის (1997). მისი ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯის ბიოგრაფიულ ლექსიკონში (1998).

**ჰობი:** მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 99-99-34, 99-25-94. (ბინის) ლარსის 1, ბ. 14, თბილისი. ტელ: 22-15-14.*

**ღირსება.**

**გიორგი მაჩაბელი** ფიზიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 2 დეკემბერს. მშობლები: ნელი მაჩაბელი, ზაქარია მაჩაბელი; მეუღლე — დალი სახოკია (1942); შვილი — ერეკლე (1969). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1965). იყო ფიზიკის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-76), აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1976-89). ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია 1989 წლიდან, სტუ პროფესორი — 1990 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „კვაზინრფივი თეორია დაჯახების გათვალისწინებით" (1970), სადოქტორო — „პლაზმური პროცესების როლი პულსარების გამოსხივებაში" (1983). არის 90-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი, ავტორი და წამყვანი სატელევიზიო ციკლისა „საუბრების სტუდიაში" (ტელეკომპანია „მე-9 არხი", 2000 წლილან); საქართველოსა და აშშ ფიზიკური საზოგადოებების წევრი. თანამშრომლობს ცნობილი სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლებთან კალი-



ფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან (აშშ), ვაიცმანის ინ-ტიდან (ისრაელი), კოსმოსური გამოკვლევების ინ-ტიდან (რუსეთი), სიდნეის უნივერსიტეტიდან (ავსტრალია) და სხვ.
**ჰობი:** ბიბლიის კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ყაზბეგის 2ა. თბილისი. 300060. ტელ: 38-95-10. (ბინის) ჭავჭავაძის 24. თბილისი 380079. ტელ: 22-11-98.*

**ნინაალმდეგი ვარ მოსკოველი ანარქისტების ნესდებისა, რომელიც შედგებოდა სულ ერთი მუხლისაგან: „აკეთე, რაც გინდა" და ერთი ქვემუხლისაგან: „პირველის შესრულება არ არის აუცილებელი". ამავე დროს ვცდილობ ვაკეთო ის, რაც მსიამოვნებს. (რასაც ხელს უშლის ჩემში განვითარებული მოვალეობის გრძნობა). ამ „პრინციპის" გამო ზოგჯერ მონაწილეობას ვღებულობ ჩემი მეგობრების საქმიანობაში. მაგალითად, მომწონს რეზო გაბრიაძესთან ურთიერთობა მისი მუშაობის პროცესში.**

**ედიშერ მაჩაიძე** პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს სპორტსმენთა კავშირის" თავმჯდომარე, ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 12 ივლისს. მშობლები: მერი სირაძე, პავლე მაჩაიძე; მეუღლე — თეა გვიმრაძე (1962); შვილები: ნიკოლოზი (1984), ნინო (1985). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1979), ფიზკულტურის ინ-ტის პედაგოგიური ფაკ-ტი (1988). იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს" ინსტრუქტორი (1973-80), სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი (1980-84), ჭიდაობაში უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის დირექტორი (1984-88), თბილისის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე (2000-2001). არის ფიზკულტურის ტექნიკუმის დირექტორი (1988 წლიდან), თბილისის განათლების სამმართველოს უფროსი (2001 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლითონის მილსადენების კონსტრუირება და ანგარიში დატბორილ ადგილებში" (1990). არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი-მასწავლებელი, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის წევრი, საერთაშორისო კლასის ექსტრა-კატეგორიის არბიტრი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1999).
**ჰობი:** მუსიკა, ცეკვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კონსტიტუციის 6. თბილისი 380025. ტელ: 95-30-06, 96-98-79. (ბინის) შატბერაშვილის 2. კორპ. 8. თბილისი 380033. ტელ: 29-03-29.*

**დაუღალავი შრომა, ზნეობრივი სიწმინდე, სამშობლოს სიყვარული და მისი ტრადიციების პატივისცემა, ქართველი ქალის სიწმინდე და ქართველი მამაკაცის სიდარბაისლე, წესიერი და მართალი გზით სიარული, ყოველდღიური სწავლა და წვრთნა, დასახული მიზნისკენ მონოტონური და გეგმაზომიერი გზით სიარული, სპორტი, ახალგაზრდობა, ოჯახი. ჩემი ნატვრაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქართველი ერის გამთლიანება და ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობა, მისი ერის წარმოჩენა და ავტორიტეტის ამაღლება მსოფლიოში.**



**ვახტანგ მაჭავარიანი** საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 18 თებერვალს. მშობლები: ქეთევან პაჭკორია-მაჭავარიანი, ალექსი მაჭავარიანი; მეუღლე — ალექსანდრა ფონ ვენგერსკი-მაჭავარიანი (1961); შვილი — ალექსი (1999). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საფორტეპიანო (1973) და სადირიჟორო (1977) ფაკ-ტები. იყო საქართველოს სამუსიკო საზოგადოების კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი (1986-91), საქართველოს სახ. სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია 1996 წლიდან, მოსკოვის საფესტივალო ორკესტრის ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი — 1990 წლიდან. მიწვეული იყო მოსკოვის ფილარმონიის, სანკტ-პეტერბურგის კიროვის სახელობის თეატრის, სანკტ-პეტერბურგის ფილარმონიის, ლონდონის ფილარმონიის, ლონდონის სამეფო ფილარმონიის, შტუტგარტის სახ. სიმფონიური, პარიზის, მოსკოვის დიდი თეატრის, „ნასიონალ ილ დე ფრანსის", „არენა დი ვერონას", „პალეს" და სხვა ორკესტრების დირიჟორად. ჩაატარა გასტროლები ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ერევანში, კიევში, სინგაპურში, ტაივანში, ბრაზილიაში, შოტლანდიაში,

ავსტრიაში, ლონდონში, ლივერპულში, ბარსელონაში, ბილბაოში, სან-სებასტიანში, სენტ ეტიენში, ბორდოში და სხვ.
ჰობი: კითხვა, ცურვა, მანქანის ტარება, ბუნების წიაღში სეირნობა.
მისამართი: *(სამსახურის) მუსიკალურ-კულტურული ცენტრი.აღმაშენებლის 125. თბილისი 380002.*

**ადამიანთმოყვარეობა, სიყვარული, ჭეშმარიტება, განათლება, მუსიკა, სულის სიმტკიცე, სხეულის სიმაგრე და ჯანმრთელობა, ფილოსოფია, როგორც უმაღლესი მცნება, მუდმივი გონიერი და სულიერი ზრდის მისწრაფება, მრავალ ენაზე მეტყველება, ბუნების და კოსმოსის ქმნილებათა სიყვარული და პატივისცემა, ღვთაებრიობის, ღმერთის სიყვარული.**



**მუხრან მაჭავარიანი** პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა სოფ. არგვეთში (საჩხერის რ-ნი) 1929 წ. 12 აპრილს. მშობლები: თამარ იაკობაშვილი, ივანე მაჭავარიანი; მეუღლე — ლამარა ბოკერია (1928); შვილები: ნანა (1956), ივანე (1965). სწავლობდა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტზე (1949-52). იყო ჟურნალ „ცისკრის" პოეზიის განყოფილების გამგე (1957-63), ჟურნალ „პიონერის" მთავარი რედაქტორი (1963-64), კინოსტუდიის სასცენარო კოლეგიის წევრი (1964-67), ჟურნალ „დილას" მთავარი რედაქტორი (1967-82), ალმანახ „საუნჯეს" მთავარი რედაქტორი (1982-88), საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1988-92). არის ავტორი პოეტური კრებულებისა: „ლექსები" (1955), „გზადაგზა" (1965), „იარონ" (1970), „გიკვირს?! — ნუ გიკვირს!" (1995) და სხვ. თარგმნილი აქვს პაბლო ნერუდას ლექსები (გ.ძნელაძესთან ერთად, 1957), „კალევალა" (გ.ძნელაძესთან და შ.ჩანტლაძესთან ერთად, 1967), თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია (1989, 1974). არის ახალგაზრდობის მე-7 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი (1958). დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის (1966), წითელი დროშის (1979), კირილესა და მეთოდეს (1989) ორდენებით. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1954-92).
ჰობი: ნადირობა, მებურნეობა (მებურნე — წერიმალთ მთლელი, საბა).
მისამართი: *(ბინის) ირ.აბაშიძის 48. თბილისი 380079. ტელ: 23-41-18.*

**სხვისიც ყოფილა — თუ ყოფილა ჩემს თვალზე ცრემლი.**
**ვყოფილვარ სხვისი სიბრალულით — მრავალჯერ ჩუმად.**
**ყოვლად ძლიერო! — გახარება თუ გინდა ჩემი, —**
**უნარი სხვისი გახარების მიბოძე უმალ!**

**• • •**

**სხვისი, — რას ფიქრობს, — არ ვიცი! —**
**მე კი — იმ ქართველს რა ვუთხრა! —**
**ვისაც სამშობლო თავისი**
**სუნთქვას არ უჯობს საკუთარს!**



**ზურაბ მაჭარაძე** გაზეთ „რეზონანსის" გამომცემელი, რადიო „რეზონანსის" პროგრამების და მუსიკალური რედაქტორი. დაიბადა 1969 წ. 13 ივნისს. მშობლები: მედეა გეგელიძე, თენგიზ მაჭარაძე; მეუღლე — თეა ნადირაძე (1976). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი. გაზეთ „რეზონანსის" დამფუძნებელი და თანამშრომელია 1992 წლიდან.
ჰობი: მუსიკა, რადიო და ტექნიკა, კითხვა.
მისამართი: *(სამსახურის) აგლაძის 39. თბილისი 380054. ტელ: 33-70-65, 94-36-96, 96-92-60. fm101-4@hotmail.com*

**სიახლისადმი სწრაფვა, შრომისმოყვარეობა, განათლება და მონიჭებული ნიჭის გამოვლენის უნარი.**



**ირმა მახათაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა 1963წ. 11 აგვისტოს. მშობლები: ნათელა მჭედლიძე, გივი მახათაძე; მეუღლე – ვიტალი ჯულელი (1957); შვილები: ნათია (1990), მაია (1992), გიორგი (1993). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989). იყო ქუთაისის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებელი (1989-90), საქართველოს სარაიონთაშორისო ბუნებისდაცვითი პროკურატუ-

რის გამომძიებელი (1990-91), სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინ-ტის უფროსი მასწავლებელი.
ჰობი: მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-16. (ბინის) დიღმის I კვ. II ბ კორპ. ბ. 47, თბილისი.*
**შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა, მიზანდასახულობა.**

**ზურაბ მახარაძე** საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა ოზურგეთში 1933 წ. 9 იანვარს. მშობლები: ეკატერინე მაქსიმელიშვილი, პავლე მახარაძე; მეუღლე — მადონა გაბილაია; შვილები: ხათუნა (1957), თამარი (1965). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1957). იყო ტელერადიოკომიტეტის უფროსი რედაქტორი, უმაღლესი პარტიული სკოლის ტელერადიო ჟურნალისტიკის ფაკ-ტის სტუდენტი (1962-64), მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს განყ-ბის უფროსი (1964-71), სასტუმრო „ივერიას" დირექტორი (1971-72), „ინტურისტის" თბილისის გაერთიანების გენ. დირექტორი (1972-82), ოპერისა და ბალეტის თეატრის გენ. დირექტორი (1982-85), მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი (1985-88), მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი (1988-90). საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარეა 1990 წლიდან. არის კულტურის დამსახურებული მუშაკი. დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის" (1978) და ღირსების (1997) ორდენებით. არის ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1960). იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი (1973-82), აჭარის არ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1987-90).
ჰობი: ტურიზმი.
მისამართი: *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 1. თბილისი 380060. ტელ: 37-28-01, 94-25-32. (ბინის) ი.ნიკოლაძის 5-ა. ბ. 117. თბილისი 380079. ტელ: 23-37-07.*
**ერთგულება, კეთილსინდისიერება, უბრალოება, მომთხოვნელობა საკუთარი თავის და სხვის მიმართაც, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, ოჯახისა და საქმისადმი სიყვარული, ადამიანებთან ადამიანური ურთიერთობა, სამშობლოს სიყვარული და მის სასიკეთოდ ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმუმის გაკეთება.**



**კონსტანტინე მახარაძე** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1926 წ. 17 ნოემბერს. მშობლები: ბარბალე ვეკუა, ივანე მახარაძე; მეუღლე — სოფიო ჭიაურელი (1937); შვილები: მარიამი (მაკა 1950), ივანე (1956), ბაია (1972). დაამთავრა თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი (1941), თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1948). იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი (1948-70). არის თსთი ლექტორი (1950 წლიდან), საქართველოს ტელევიზიის სპორტული კომენტატორი (1957 წლიდან), მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი (1972 წლიდან), თსთი პროფესორი (1994 წლიდან). შესრულებული აქვს 100-ზე მეტი როლი. არის 70-მდე სტატიის, წიგნის "პირველი რეპორტაჟი უმიკროფონოდ" ავტორი; პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი - აკადემიკოსი (1999); ს.ახმეტელისა და კ.მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, თბილისისა და ფოთის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, სსრკ სპორტის ენციკლოპედიაში.
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) ვ.ანჯაფარიძის 16. თბილისი 380009. ტელ: 29-42-13, 22-13-38.*
**ადამიანმა უნდა იცხოვროს სრული რწმენით და ქრისტეს ათი მცნების დაცვით. მაშინ ყველა ადამიანური და მოქალაქეობრივი პოზიცია სულიერებით იქნება განმტკიცებული და ამდენად, სწორი. მეც ვცდილობდი და ვცდილობ, ასე ვიცხოვრო.**



**მალხაზ (მერაბ) მახარაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის დროებითი კომისიის წევრი, მომღერალი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: ნადეჟდა ქარცივაძე, ბენიამენ მახარაძე; მეუღლე — მარინე

მახარაძე (1947); შვილები: ნადეჟდა (1968), გიორგი (1972). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1963). იყო ამიერკავკასიის გამშვებ-გამმართველი ტრესტის „ორგპიშჩეპრომ" უფროსი ინჟინერი (1964-69), თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს უბნის უფროსი (1968-72), ს/ს „ინტურისტის" სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უბნის უფროსი (1973-91), „საქინდუსტრიასპეცმშენის" ტრესტის მმართველის მოადგილე, მმართველი (1973-91), ს/ს „ინტურმშენი-კამარას" გამგეობის თავმჯდომარე (1991-95), პარლამენტის წევრი (1995-99). არის დიზაინერთა კავშირის (1994), საქართველოს მშენებელთა ფედერაციის გამგეობის (1998), სმკ (1993) წევრი; ღირსების ორდენის კავალერი (1998).

**ჰობი:** სიმღერა, სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-08-26. (ბინის) კოსტავას 44. თბილისი 380009. ტელ: 99-70-92.*

**ადამიანში ვაფასებ პატიოსნებას, გულწრფელობას, პრინციპულობას, უნდა ჰქონდეს პატიების უნარი, იყოს მეგობრის გამტანი, ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა, იყოს შრომისმოყვარე, იცოდეს სიყვარულის და სიკეთის მადლი, იყოს თავმდაბალი.**



**ნოდარ მგალობლიშვილი** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა სოფ. გომბორში 1931 წ. 11 ივლისს. მშობლები: მარგალიტა თევდორაძე, ალექსანდრე მგალობლიშვილი; მეუღლე — ციალა ცომაია; შვილი — ალექსანდრე (1957). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი. იყო მარჯანიშვილის (1954-59; 1963-67), სანკულტურის (1959-63), რუსთავის სახ. დრამატული (1967-75) თეატრების მსახიობი, რუსთავის თეატრის დირექტორი (1970-72). კვლავ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1975 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ფსკერზე" (1958), „დედა" (1964), „ასი წლის შემდეგ" (1967), „ჩრდილი" (1969), „ლამანჩელი" (1970), „მოჩვენებანი" (1976), „ჰაკი-აძბა" (1981), „ოტელო" (1982), „ჯაყოს ხიზნები" (1984), „მარადი ქმარი" (1997); ფილმებში: „სიყვარულის ფორმულა" (მოსფილმი); „ზღვის შვილები" („ქართული ფილმი"), „15 წლის კაპიტანი", „ივანკო და მეფე" (უკრაინა), „ზღვის მაშვრალნი, (ფრანგულ-ქართული ერთობლივი ფილმი), „მოსკოვის ლამაზმანები", „გრაფი კალიოსტრო" (მოსფილმი); ტელესპექტაკლში „ჯაყოს ხიზნები".

**ჰობი:** ყველაფერი, რაც ჩემს პროფესიონალიზმს წაადგება.

**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25; 95-35-82. (ბინის) ც.დადიანის 34, კორპ.13. თბილისი 380001. ტელ: 69-29-81.*

**დავკმაყოფილდე იმით, რაც მაქვს, მთავარია იყო მზად, როცა კი დადგება დრო. ამიტომ ყოველწუთიერი შრომაა საჭირო. ვიყო, ყოველ შემთხვევაში ვესწრაფვი, შემწდობი, პატიების უნარი მქონდეს. 10 მცნების დამცველი. თუ არა მაქვს, ე. ი. ის ჩემი არაა. მოთმინება და მოთმინება, მაშინ მოგება შეიძლება.**



**გიო მგელაძე** კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1968 წ. 30 დეკემბერს. მშობლები: ლეილა ინგოროყვა, გუგული მგელაძე; მეუღლე — თეონა მამფორია (1970); შვილი — ლუკა (1990). დაამთავრა თეატრისა და კინოს სახ.ინ-ტის კინოსაოპერატორო ფაკ-ტი (1993). არის რეჟისორი ფილმებისა: „არა, მეგობარო" (1993; საერთაშორისო კ/ფ „ოქროს არწივის" პრიზი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის%; ტელევიზიისა და ჟურნალისტების სპეც. პრიზი, 1993; კიევის საერთაშორისო კ/ფ „Молодист"-ის პრიზი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის და ჟიურის სპეც. პრიზი, 1993; ობერჰაუზენის საერთაშორისო კ/ფ-ის გრან-პრი, 1993; ვილადე-კონდეს (პორტუგალია) საერთაშორისო კ/ფ-ის ჟიურის სპეც. პრიზი-1993); „ატუ-ალაბა — (Hotel California)" (1996; საერთაშორისო კ/ფ „ოქროს არწივის" პრიზი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის, 1997); „ნატო" (ქართული კინოაკადემიის პრიზი უკანასკნელი წლების საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის, 1997; რივერანის (აშშ) საერთაშორისო კ/ფ-ს გრან-პრი, 1998); „შვიდი დღე ტიბეტში" (დოკ. 1999; მონაწილეობდა ნიუ-ორლეანის კ/ფ-ში, 2000), „თბილისი-კატმანდუ" (2000), "Kativan Dedopoli - ქეთევან დედოფალი" (2001). გამართა ფოტოექსპოზიცია „TIBET 2054" (1999). შეასრულა მთავარი როლები ფილმებში: „ძახი-

ლი" (რეჟ. გ.მგელაძე 1979), „კვირა დღე" (რეჟ. გ.რევიშვილი 1989), „ძვირფასო M" (რეჟ. ო.შამათავა, 1999). მიიღო მშვიდობის ეროვნული ფონდის (NPF, აშშ) და ამერიკის სახალხო დიპლომატიის ინ-ტის (AMTD) დიპლომი ტიბეტის შესწავლაში შეტანილი წვლილისათვის (2000).
**ჰობი:** სცენარების წერა.
**მისამართი:** *(ბინის) გოგებაშვილის 43, ბ. 6. თბილისი 380079. ტელ: 22-53-35.*
**ყველა ადგილიდან, ყველანაირი მდგომარეობიდან თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯია, ერთი წამია. ამ ერთი ნაბიჯის გადადგმის და ერთი წამის პოვნის სურვილი.**



**ჯემალ მებუკე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ვეტერანთა და მოხუცთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. გორდში (ხონის რ-ნი) 1951 წ. 27 იანვარს. მშობლები: ნაზი ოსეფაშვილი, სოსო მებუკე; მეუღლე – თინათინ სანოძე (1955); შვილები: გიორგი (1980), ნინო (1983). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1976). იყო ექიმი-თერაპევტი (1976-99), ხონის რ-ნის მთავარი ექიმი (1982-95), ჯანდაცვის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორი (1995-96), ხონის რ-ნის გამგებლის მოადგილე სოციალურ საკითხებში (1995-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის სმკ (1993) და სამედიცინო საზოგადოების წევრი.
**ჰობი:** სპორტი, ხელოვნება, პოეზია.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-08. (ბინის) ათონელის 21, თბილისი. ტელ: 99-63-43.*
**სიკეთე და სამართლიანობა.**



**ჯემალ მეგრელიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ქობულეთში 1965 წ. 21 იანვარს. მშობლები: მერი ბეჟანიძე, ფრიდონ მეგრელიძე; მეუღლე — ნანა ნიჟნიკაძე (1966); შვილები: თამარი (1990), სოფიკო (1996). დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის აფხაზეთის ფილიალის·იდეოლოგიის ფაკ-ტი (1989), სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკ-ტი (1990), სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის სსგ ასპირანტურა (1994). თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1998). იყო ქობულეთის გამგეობის გარემოს დაცვის განყ-ბის გამგე (1990 წლიდან), აჭარის არ უზენაესი საბჭოს პასუხისმგებელი ორგანიზატორი (1994 წლიდან), სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის მთავარი საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე (1995-98). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჩინური აქტინიდიის ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებები დასავლეთ საქართველოს პირობებში" (1998). იყო სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის წევრი (1991-98).
**ჰობი:** ფერწერა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-24-15, ფაქსი: 93-33-87. (ბინის) ნუცუბიძის I მ/რ. კორპ. 17. ბ. 14. თბილისი. ტელ: 32-24-28.*
**ჰუმანურობა, კეთილმოსურნეობა, ადამიანებს შორის ეროვნული თანხმობის დამყარება, სამშობლოს სიყვარული.**



**თამარ მეიფარიანი** საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 30 მაისს. მშობლები: გუგული აბდუშელიშვილი, ივანე მეიფარიანი; მეუღლე – გია თოდუა (1954); შვილი – გიორგი (1988). დაამთავრა თსუ გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1979), თბილისისა და მოსკოვის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინ-ტების ასპირანტურა (1984-88). გაიარა სასერტიფიკაციო კურსი ეკოლოგიურ განათლებაში (გლაზგო, დიდი ბრიტანეთი, 1995), სამოქალაქო აღზრდისა და ადამიანის უფლებათა (უნგრეთი, 1996), სასკოლო პროცესის მენეჯმენტის (უნგრეთი, 1997), ადამიანთა უფლებების დეკლარაციის სწავლების (თბილისი, 1997) სასერტიფიკაციო კურსები. იყო სამოქალაქო აღზრდისა და გარემოსმცოდნეობის ცენტრ "გაიას" და თბილისის 123-ე საშ. სკოლის განათლების

პროგრამის კოორდინატორი, მასწავლებელთა ტრენერი (1995 წლიდან), განათლების ეროვნული პროგრამის ექსპერტთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო" 1996-98). საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ცენტრალური ინ-ტის დირექტორია 2000 წლიდან. არის არასამთავრობო ორგანიზაცია "გაიას" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1994); მრავალი წიგნის, ქართულ და უცხოურ პერიოდიკაში გამოქვეყნებული პუბლიკაციის, ბროშურის ავტორი; საერთაშორისო ტრენინგებისა და პროექტების ორგანიზატორი (საქართველოში აშშ საელჩოს, TACIS-ისა და მსოფლიო ბანკის ეგიდით). დასახელებულია საუკეთესო პედაგოგ-მკვლევარად (თბილისი, 1998), გაიმარჯვა ნომინაციაში "ინოვაციური მეთოდიკები და ტექნოლოგიები" (მოსკოვი, 1999).
**ჰობი:** ლიტერატურა, თეატრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 180. თბილისი 380012. (ბინის) ნუცუბიძის II მ/რ, II კვ., IX კორპ., ბ. 9, თბილისი.*



**გიორგი მელიქიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი. დაიბადა თბილისში 1918 წ. 30 დეკემბერს. მშობლები: ეკატერინე მელიქიშვილი, ალექსანდრე მელიქიშვილი; მეუღლე — ელენე დოჩანაშვილი (1916); შვილები: ირინე (1943), ნინო (1947), ალექსანდრე (1953). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1939). იყო ისტორიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ძველი ისტორიის განყ-ის გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1944-65), თსუ დოცენტი (1946 წლიდან), ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის დირექტორი (1946-99). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ურარტუს სამეფოს წარმოქმნა" (1944), სადოქტორო — „ძველაღმოსავლური მასალები ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისათვის" (1954). არის ავტორი წიგნებისა: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები" (მთავარი ავტორი), „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის", „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი", „Наири-Урарту", „Урартские клинообразные надписи". არის ივ.ჯავახიშვილის სახელობისა და ლენინის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში The International Who`s Who (London, 1960 წლიდან).
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურის კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტი. პ.მელიქიშვილის 10, თბილისი 380079. ტელ: 99-06-82. (ბინის) რიგის 3/43, ბ. 37. თბილისი 380063. ტელ: 22-10-06.*



**ოთარ მენაბდე** საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარ დეპუტატთა ბიუროს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1946 წ. 19 მაისს. მშობლები: მადლენა მენაბდე, ირაკლი მენაბდე; მეუღლე – ლეილა მინდაძე (1946); შვილები: ირაკლი (1976), ნინო (1978). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1970), მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია (1983). მუშაობდა ახალგაზრდულ და პარტიულ ორგანიზაციებში, იყო კომკავშირის ცკ მეორე მდივანი (1975-76), ლანჩხუთის რაიკომის I მდივანი (1976-81), პროფკავშირის მუშაკი (1986-89), ბიზნესმენი (1990-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია სსრკ დიდების ორდენით (1975). არის პოლიტიკური მოძრაობის "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრი (1999).
**ჰობი:** კითხვა, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-24-03. (ბინის) ტ. ტაბიძის 41, თბილისი. ტელ: 22-69-25.*
**არ ეიცრუო.**



**ირაკლი მენაღარიშვილი** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 18 მაისს. მშობლები: ეკატერინე ჯორბენაძე, ათინოგენ მენაღარიშვილი; მეუღლე — მანანა მიქაბერიძე (1951); შვილები: ლევანი (1976), ალექსანდრე (1990). დაამთავრა თსსი (1947). იყო სხვადასხვა კომკავშირულ თანამდებობაზე (1976-80); იყო თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსი (1980-82), ჯანდაცვის მინისტრის I მოადგილე (1982-86), საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი (1986-91, 1992-93), სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორი (1992), საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე (1992-95). საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია 1995 წლიდან.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჩიტაძის 4. თბილისი 380018. ტელ: 98-93-77, 98-93-91, ფაქსი: 98-93-80.*

**სწრაფვა თავისუფლებისაკენ; ერთგულება საქმისა, რომელსაც ემსახურები; რწმენა, რომ სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს.**



**იოანე მერაბიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. უდეში (ადიგენის რ-ნი) 1968 წ. 15 აპრილს. მშობლები: ევგენია მერაბიშვილი, სერგო მერაბიშვილი; მეუღლე — თამარ მერაბიშვილი (1981); შვილი — მიხეილი (2000). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1992). იყო მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის დირექტორი (1995-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის წევრი (1995).

**ჰობი:** ტელევიზორის ყურება.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-22-69. (ბინის) ვაჟა-ფშაველას VI კვ., Iდ კორპ., ბ. 7. თბილისი.*

**სახელმწიფო მინიმალურად ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში.**



**მერაბ მერაბიშვილი** საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 6 ივლისს. მშობლები: სოფიო ნიკოლაიშვილი, კონსტანტინე მერაბიშვილი; მეუღლე — მანანა მუშკუდიანი (1938-81); შვილები: ნინო (1953), სოფიო (1978), მარიკა (1980). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1955). არის ხატვის კათედრის პედაგოგი (1961 წლიდან), კათედრის გამგე, პროფესორი (1992 წლიდან). იყო სსრკ (შემდეგ რუსეთის) სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1978), აკადემიკოსი (1989 წლიდან). საქართველოს მეცნ. აკად. აკადემიკოსია 1996 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: გრიბოედოვის ძეგლი თბილისში (1961), ერეკლე მეორეს ძეგლი თელავში (1972), დიმიტროვის ძეგლი მოსკოვში (1973), რუსთაველის ძეგლი კეჩკემეტში (უნგრეთი), პეტრე ბაგრატიონის ძეგლი თბილისში (1984) და სხვ. არის მხატვართა კავშირის წევრი. საქართველოს სახალხო მხატვარი (1980). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1983).

**ჰობი:** ავტომობილი.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. (ბინის) აღმაშენებლის 147. თბილისი 380012.*

**შრომა და პატიოსნება.**

**პეტრე მერაბიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგე, სამცხე-ჯავახეთის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი. დაიბადა სოფ. უდეში (ადიგენის რ-ნი) 1935 წ. 28 ნოემბერს. მშობლები: ნინო ყულჯანიშვილი, თომა მერაბიშვილი; მეუღლე — იზოლდა დანგაძე (1941); შვილები: თემური (1965), ლევანი (1969). დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1958, სტალინური სტიპენდიანტი), სსრკ მეცნ. აკად. ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტის ასპირანტურა. იყო სსრკ მეცნ. აკად. ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1963-68), სსრკ მეცნ. აკად. ენერგეტიკის ს/კ ინ-ტის

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (მოსკოვი, 1968-76), სსრკ საინჟინრო-სამშენებლო ინ-ტის დოცენტი (მოსკოვი, 1976-82). სტუ ზოგადი და თეორიული ელექტრომექანიკის კათედრის გამგეა 1982 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სპექტრალურ-ოპერატორული მეთოდი და ვენტილურ გარდამქმნელებიან სისტემებში დინამიური ელექტრომაგნიტური პროცესების ანალიზი" (1983). არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი, მათ შორის მონოგრაფიების: „არასტაციონალური ელექტრომაგნიტური პროცესები ვენტილურ სისტემებში" (1980), „ვენტილურ გარდამქმნელებიან წრედებში გარდამავალი ელექტრომაგნიტური პროცესების თეორია" (1990); სახელმძღვანელოების: „ელექტროტექნიკის თეორიული საფუძვლები" (1988), „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები" (1990); მისი სამეცნიერო ნაშრომები გამოიცა აშშ-ში, ინგლისსა და გერმანიაში. დაჯილდოებულია სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით (1983), ღირსების მედლით (1995). არის საერთაშორისო ელექტროტექნიკური მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1997), საქართველოს საინჟინრო მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი (1996), ეროვნული ენერგეტიკული აკად. წევრი (1995).

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 77. თბილისი 380071. ტელ: 38-10-75. ფაქსი: 36-64-64. (ბინის) წერეთლის 55, კორპ. 1. თბილისი 380054. ტელ: 34-78-24.*

**პატიოსნება, შრომისმოყვარეობა; ჯანსაღი ოჯახი, საამაყო შვილები.**



**ლეილა მესხი** ჩოგბურთელი, „ლეილა მესხის" ჩოგბურთის აკადემიის და ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიბადა თბილისში 1968 წ. 5 იანვარს. მშობლები: გალინა მესხი, გიორგი მესხი; მეუღლე — პაველ ნადიბაიძე (1963); შვილი — ლიზა (1996). დაამთავრა თბილისის სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი ფრანგული ენის სპეციალობით (1990). არის სსრკ მრავალგზის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, ხუთგზის გამარჯვებული პროფესიონალ ჩოგბურთელ ქალთა შორის, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი წყვილთა თანრიგში ნატალია ზვერევასთან ერთად (1992). დაასრსა თბილისისა და ბათუმის ღია პირველობები ჩოგბურთში პროფესიონალ ქალთა შორის (1997). არის სეოკის ალმასკომის წევრი. საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტია 1999 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი (1998). დასახელდა XX ს. ქართველ სპორტსმენ ქალთა ათეულში (2000).

**ჰობი:** მუსიკა, ლიტერატურა, ქარგვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 29. თბილისი 380002. ტელ: 95-38-00. ფაქსი: 95-37-04. (ბინის) პისარევის 9. თბილისი. ტელ: 96-56-23.*

**ბავშვობიდან ვოცნებობდი გავმხდარიყავი პროფესიონალი ჩოგბურთელი. ამიტომ თავდაუზოგავად ვშრომობდი და ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი, რადგან ვიცოდი, რომ დიდი შრომის გარეშე მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. კარიერის დამთავრებისთანავე ჩემი ოცნება იყო შემექმნა ჩოგბურთის სკოლა, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება მომეხმარებინა ქართული ჩოგბურთის მომავლისათვის.**



**ამირან მესხიშვილი** თენგიზ ჩანტლაძის სახელობის სახელმწიფო სატირისა და იუმორის თეატრის დირექტორი და სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე, მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური კულტურის ცენტრის გენერალური დირექტორი. დაიბადა ზესტაფონში 1956 წ. 12 ივნისს. მშობლები: ნადია მესხიშვილი, კუკური მესხიშვილი; მეუღლე — დარეჯან დავლიანიძე (1960); შვილები: სალომე (1985), ლევანი (1987), თამარი (1992). დაამთავრა თსთი კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკ-ტი (1979). იყო მესამე საბაზო სამედიცინო სასწავლებლის მხატვრული აღზრდის ხელმძღვანელი (1978-88), ცხვარიჭამიას დასასვენებელი სახლის დირექტორი (1988-93), კულტურის მინისტრის თანაშემწე (1993). თ.ჩანტლაძის სახ. სახელმწიფო თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია 1997 წლიდან, მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკური კულტურის ცენტრის გენერალური დირექტორი — 1991 წლიდან.

**ჰობი:** ხატვა.

მისამართი: *(სამსახურის) ხეთაგუროვის 26, თბილისი 380002. ტელ: 96-06-56. (ბინის) დიღმის მასივი, თბილისი. ტელ: 52-22-82.*

„სიკეთე და მხოლოდ სიკეთე მნადია ამ ქვეყნად". ცხოვრებაში ჩემი წარმატება მხოლოდ სიკეთის კეთებამ განაპირობა.



**ბადრი მეტრეველი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ვასხანში (ადიგენის რ-ნი) 1959 წ. 18 მაისს. მშობლები: ეთერ მინაძე-მეტრეველი, ბაგრატ მეტრეველი; შვილი – მარიამი (1997). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985). იყო სსგ "განთიადის" იურიდიული განყ-ბის უფროსი (1987-89), თბილისის ისნის რ-ნის გამგეობის ინსპექტორი (1989-91), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტი, მთავარი კონსულტანტი, განყ-ბის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (1991-99), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999-2000). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 2000 წლიდან. იყო სკკპ წევრი (1986-89).

მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 93-31-03 (ბინის) ფანასკერტელის 6 ბ. 29, თბილისი.*

**ვასილ მეტრეველი** ონის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. უწერაში (ონის რ-ნი) 1960 წ. 6 ივნისს. მშობლები: ანა ქურცაძე, ალექსანდრე მეტრეველი; მეუღლე – მარინა ბალაშვილი (1962); შვილი – ბასა (1994). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1983), ასპირანტურა (1987). გაიარა გზა ონის რ-ნის საფინანსო განყ-ბის რიგითი ეკონომისტიდან განყ-ბის გამგემდე (1983-90), იყო პარლამენტის სახ. დაზღვევის ინსპექციის უფროსი (1987-90), შრომის სახ. კომიტეტის რწმუნებული ონის რ-ში (1986), საფინანსო განყ-ბის გამგე (1991-96), რ-ნის გამგებლის პირველი მოადგილე (1995-99). გამგებელია 1999 წლიდან.

ჰობი: სპორტი, მხატვრული ლიტერატურა.

მისამართი: *(სამსახურის) ალმაშენებლის მოედანი 1, ონი. ტელ: 2-04-75. (ბინის) ვახტანგ მეფის 120, ონი. ტელ: 2-02-05.*

პატიოსნება, სიმართლე, ბრძოლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, მშობელი ხალხის სიყვარული.



**როინ მეტრეველი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა აბასთუმანში 1939 წ. 7 დეკემბერს. მშობლები: ნინო ტატუნაშვილი-მეტრეველი, ვიქტორ მეტრეველი; მეუღლე — ლუიზა ნიკოლაიშვილი-მეტრეველი (1940); შვილები: ნინო (1963), ვიქტორი (1965). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1962). მუშაობდა კომკავშირულ და პარტიულ მაღალ თანამდებობებზე (1960-72), იყო ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე (1972-85), თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის რექტორი (1985-88), მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1988-91). არის თსუ პროფესორი (1965 წლიდან), რექტორი (1992 წლიდან), კალიფორნიის (აშშ) ხელოვნების, მეცნიერებისა და განათლების საერთაშორისო აკადემიის წევრი, ევრაზიის უნივერსიტეტების გენერალური ასამბლეის მთავარი კომიტეტის წევრი, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, ჟურნალ „მაცნეს" ისტორიის სერიის რედაქტორი, პირველი ქართული ეროვნული ენციკლოპედიის ერთ-ერთი გამომცემელი და რედაქტორი, მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის თავმჯდომარე, თსუ ისტორიის კათედრის გამგე, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის ს/კ ცენტრის ხელმძღვანელი (1992 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივი რეფორმები" (1965), სადოქტორო — „შინაკლასობრივი ბრძოლა შუა საუკუნეების საქართველოში"(1974). არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 10 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: „შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში" (1973), „დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში"

(1979), „დავით IV აღმაშენებელი" (1988), „Der Byzanticisch- Bulgarische Krieg 1014-18 und Georgien" (Georgica N11, 1988), „მეფე თამარი" (1990). არის აფხაზეთის არ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1996), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1988).

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 22-02-41. (ბინის) კეკელიძის 16. თბილისი 380079. ტელ: 22-52-77.*

**ვფიქრობ, რომ ვარ მორალისტი; მრავალ საკითხში მაქსიმალისტი. ადამიანის უდიდეს ნაკლად მიმაჩნია უზრდელობა და უმადურობა. მაქვს კრიტიკულ მომენტში მაქსიმალურად მობილიზების უნარი.**



**გია მეფარიშვილი** დაიბადა ბაღდათში 1959 წ. 7 ივნისს. მშობლები: ელენე (ლენა) ზირაქაძე, დავით მეფარიშვილი; მეუღლე — ხათუნა ბრეგაძე (1964); შვილი — ნიკა (1995). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1983), სსრკ მეცნ. აკად. სახელმწიფო სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1987). იყო საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის (1993-95), უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართალდაცვის ორგანიზაციის რეფორმის სამთავრობო ქვეკომისიის თავმჯდომარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე (1996-99), საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე (1999-2000), არის თსუ სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის კათედრის დოცენტი (1988 წლიდან). საქართველოს გენერალური პროკურორია 20001 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პირადი ცხოვრების საიდუმლოებათა დაცვა სისხლის სამართლის პროცესში" (1988). არის 35 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი სისხლის სამართლის პროცესის და იუსტიციის ორგანიზაციის პრობლემებზე. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი (1999).

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა და კინო.

**მისამართი:** *(სამსახურის) გორგასლის 24, თბილისი 380033. ტელ: 99-55-57. ფაქსი: 98-35-63.*

**საქმისადმი ერთგულება და სწრაფვა მაღალი პროფესიონალიზმისაკენ. ნებისმიერი წარმატება შედეგი უნდა იყოს დიდი შრომისა. შორს ბოროტი და შურიანი ადამიანებისგან.**



**ელგუჯა მექვაბიშვილი** საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, თსუ ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი, პროფესორი. დაიბადა სოფ. მამათში 1956 წ. 26 მაისს. მშობლები: ელენე ჩხაიძე, გიორგი მექვაბიშვილი; მეუღლე — მაია მშვილდაძე (1957); შვილები: მარიამი (1989), გიორგი (1992). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1978). იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმცროსი, უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ ეკონომიკის ფაკ-ტის დოცენტი, პროფესორი, დეკანის მოადგილე, დეკანი, კათედრის გამგე. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გარდამავალი ეკონომიკა საქართველოში" (1997). არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა და მონოგრაფიების: „საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები" (1991), „ეკონომიკური ცოდნის საწყისები" (1992), „სახელმწიფო და ეკონომიკა" (1996). არის ღირსების ორდენის კავალერი (1998), პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს წევრი.

**ჰობი:** შვილებთან ერთად სეირნობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) უნივერსიტეტის 2. თბილისი, 380089. ტელ: 30-40-72. ფაქსი: 30-70-47. (ბინის) გლდანის VI მ/რ. კორპ. 10. ბ.122. თბილისი. ტელ: 67-18-35.*

**შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა, პატიოსნება, სხვისი მოსმენის უნარი და განსხვავებული აზრის მიმართ შემწყნარებლობა. ალტრუიზმი არცთუ ისე ფართოდ გავრცელებული ადამიანური თვისებაა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ უბედურ ქვეყანაში ადამიანი ვერასოდეს იქნება ბედნიერი.**



**ოთარ მელვინეთუხუცესი** მსახიობი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 16 იანვარს. მშობლები: ელენე მელვინეთუხუცესი, ვახტანგ მელვინეთუხუცესი; მეუღლე — გურანდა გაბუნია (1938); შვილი — მარიამი (1969). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1954). იყო მარჯანიშვილის თეატრის (1954-67), რუსთავის დრამატული თეატრის (1967-75) მსახიობი. კვლავ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1975 წლიდან, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი — 1995 წლიდან. მონაწილეობდა ფილმებში: „ფატიმა", „კეთილი ადამიანები", „ერთი ცის ქვეშ", „დიდოსტატის მარჯვენა", „ვედრება", „ნატვრის ხე", „დათა თუთაშხია", „ცოტნე დადიანი", „ძმა" და სხვ. არის სსრკ სახალხო არტისტი; სსრკ სახელმწიფო, მარჯანიშვილისა და სტანისლავსკის სახელობის პრემიების, ტოკიოს საერთაშორისო კინოფესტივალის I პრემიის (საუკეთესო როლის შესრულებისთვის ფილმში „განვედ ჩემგან", ლენფილმი, 1991) ლაურეატი; ღირსების ორდენის კავალერი (1998); რუსთაველის საზოგადოების და თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამგეობების წევრი.

**ჰობი:** ცურვა, ცხენოსნობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-40-01. (ბინის) ალმაშენებლის 86/90 ბ. 27. თბილისი 380002. ტელ: 95-57-51.*

**საქმისა და კაცის ერთგულება, ვალდებულების გრძნობა და პატივისცემა, უკეთესობისაკენ სწრაფვა. სამშობლო, სამსახური, ოჯახი, მეგობარი, მოყვასი. ჩემი ნაკლი ყველაზე მეტად მე მტანჯავს. განათლებას, რაც მაკლდა, გზადაგზა შეძლებისდაგვარად ვავსებ, მნამს, რომ ჭკუა ისევეა საჭირო, როგორც ნიჭი და შრომის უნარი. მიყვარს სიცოცხლე, მაგრამ საქმეს უფრო წინ ვაყენებ.**



**იური მეჩითოვი** ფოტოხელოვანი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 10 მაისს. მშობლები: ემა მეჩითოვი, მიხეილ მეჩითიშვილი; მეუღლე — თამილა ანგლიკოვსკაია (1950); შვილები: ლადა (1971), იანა (1972). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1972). იყო „საქგიპროშახტის" ინჟინერი (1972-75), პროფსაბჭოს კინომოყვარულთა სტუდიის მეთოდისტი (1975-80), ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტის ფოტოგრაფი (1980-90), რამდენიმე მხატვრული ფილმის მხატვარ-ფოტოგრაფი (1983). არის „ფოტობანკის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი (1996 წლიდან), კითხულობს ლექციების კურსს ფოტოხელოვნების შესახებ საქართველოს კულტურის სახ. მუზეუმში (1998 წლიდან). გადაღებული აქვს დოკუმენტური ფილმები „ნინა იოსების ასული", „ვიცი, ახლოა ნამი". არის ავტორი წიგნისა „Абхазия: мифы на крови" (თანაავტორებთან ერთად). გამართა პერსონალური გამოფენები საქართველოში და საზღვარგარეთ. იყო საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს სახალხო კონგრესის" ერთ-ერთი დამაარსებელი.

**ჰობი:** ველოსიპედი, ფოტოგრაფია, Jethro Tull-ის მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 1, თბილისი 380086. ელ-ფოსტა: yuri.mechitov@hotmail.com (ბინის) გიორგი ბრწყინვალეს 21, ბ. 91. თბილისი 380031. ტელ: 53-58-01, (899) 56-89-90.*

**რადგანაც მიმაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოება განიცდის სიყვარულის დეფიციტს, ჩემს მონოდებად ვთვლი, ვამრავლო სიყვარული.**



**ელგუჯა მეძმარიაშვილი** მეცნიერი ტრანსფორმირებადი სისტემებისა და კოსმოსური მექანიკის დარგში, კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების გენერალური კონსტრუქტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამხედრო-სამრეწველო საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, გენერალ-მაიორი. დაიბადა ბათუმში 1946 წ. 17 აგვისტოს. მშობლები: ალექსანდრა მეძმარიაშვილი, ვიქტორ მეძმარიაშვილი; მეუღლე — მანანა ტყეშელაშვილი (1949); შვილები: მარინე (1966), ვიქტორი (1968), გიორგი (1985), ნიკოლოზი (1988). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1969), ასპირანტურა სივრცითი კონსტრუქციების სპეციალობით

(1972). იყო სპი ლითონის კონსტრუქციების კათედრის ასისტენტი (1973), კათედრის დოცენტი, სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს დამაარსებელი (1974-85), სამშენებლო კონსტრუქციების (1985-98), სპეციალური ნაგებობების (1998 წლიდან) კათედრის გამგე, საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინ-ტის გენერალური დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი (1992 წლიდან), პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. საქართველოს გარდა მოღვაწეობდა სსრკ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში (მოსკოვი, 1979-89). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: კოსმოსური და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის შექმნის ახალი პრინციპები (1994). არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის მონოგრაფიების და გამოგონების) ავტორი; პირველი ქართული თანამგზავრული სისტემის გენერალური კონსტრუქტორი; საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996); დაჯილდოებულია სსრკ, საქართველოსა და რუსეთის ორდენებითა და მედლებით, მათ შორის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის (1999) და საქართველოს ღირსების ორდენებით.

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 68-ბ. თბილისი 380071. ტელ: 36-68-42. ფაქსი: 99-87-63. ელ-ფოსტა: gpispace@access.sanet.ge (ბინის) პლ.იოსელიანის 2, ბ.19. თბილისი 380071. ტელ: 33-48-18.*

**საკუთარი გეგმების განხორციელება სხვისი ინტერესების, მიზნების და უფლებების შელახვის და დაპირისპირების გარეშე.**



**ირაკლი მექმარიაშვილი** საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1962 წ. 29 იანვარს. მშობლები: ხათუნა შარაშიძე, გერმან მექმარიაშვილი; მეუღლე – ნინო მეტრეველი (1963); შვილები: ნიკოლოზი (1984), სანდრო (1994). დაამთავრა სპი საინჟინრო-სამშენებლო (1983) და თსუ იურიდიული (1994) ფაკ-ტები. იყო საპროექტო ინ-ტ "კავგიპროტრანსის" ინჟინერი, უფროსი ინჟინერი (1983-86), კომკავშირული, პარტიული მუშაკი (1986-89), კონცერნ "საქკურორტის" მატერიალური რესურსების განყ-ბის გამგე, "საქკურორტმომარაგებაგასაღების" სამმართველოს გენერალური დირექტორი (1989-91), ეწეოდა კომერციულ საქმიანობას (1991-95), იყო თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1995), თბილისის კრწანისის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე (1995-98), თბილისის პრემიერის მოადგილე (1998-2000). საქართველოს სპორტის სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარეა 2000 წლიდან.

**ჰობი:** მუსიკა, სათხილამურო სპორტი, ახლობლების წრეში ყოფნა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49ა. თბილისი 380062.*

**პატივისცემა, სიყვარული, სიმართლე, დაუზარლობა, ამტანობა, პატიოსნება, პასუხისმგებლობის გრძნობა და სხვა.**



**თამაზ მეჭიაური** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ჟებოტაში (თიანეთის რ-ნი) 1954 წ. 1 დეკემბერს. მშობლები: ოლია სალირიშვილი, შალვა მეჭიაური; მეუღლე — ანა ჭავჭანიძე (1964); შვილები: კახა (1977), ზურა (1984), ზაზა (1986), სოფიო (1999). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1980). იყო თიანეთის N73 პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგი (1980-82), თიანეთის აგროსამრეწველო გაერთიანების უფროსი ეკონომისტი, უფროსი რევიზორი (1982-86), თიანეთის რაიკავშირის თავმჯდომარე (1986-91), თიანეთის პრეფექტის პირველი მოადგილე (1991), ცეკავშირის წარმომადგენელი მოსკოვში (1991-92), საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე, პირველი მოადგილე (1992-95), ისნის რ-ნის საგადასახადო ინსპექციის უფროსი (1995), საქართველოს პარლამენტის წევრი, საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). იყო სკკპ წევრი (1981-89). საქართველოს სოციალისტური პარტიის წევრია 1997 წლიდან.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი, 380018. ტელ: 99-56-02.0*



**ზაზა მიმინოშვილი** მუსიკოსი, კომპოზიტორი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 24 მაისს. მშობლები: ლია მახარაძე, რომან მიმინოშვილი; მეუღლე — ნინო ხარაძე (1956); შვილები: თეონა (1978), თათია (1983). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1976), ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინ-ტის იმპროვიზაციული მუსიკის ფაკ-ტი (1993). იყო მათემატიკის ინ-ტის უმცროსი (1980-89), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1990-93), ჯაზ-ჯგუფ „ადიოს" წევრი (1989-96), რუსთაველის თეატრის კომპოზიტორი (1992-93), Godin Guilars-ის (კანადა) და Blue Chip Music Technology-ს (გერმანია) საერთაშორისო პერფომერ-წარმომადგენელი, მსოფლიო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის მიწვეული დოცენტი (1996-97). ჯგუფ „შინის" წევრია 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ძლიერი შეიპური თეორია" (1981). არის ავტორი 20-მდე სამეცნიერო ნაშრომისა ალგებრულ ტოპოლოგიაში; კომპოზიტორი სპექტაკლებისა: „ცხოვრება სიზმარია", „სეჩუანელი კეთილი ადამიანი", „პალატა N6", „ესე ფემინა"; გერმანიაში გამოსულია მისი 5 კომპაქტ-დისკი ჯგუფებთან „ადიო", „საკანი", „ფუატ-საკა" და „შინი" ერთად. არის ლ.ჰუმბოლდტის სტიპენდიატი, 10 ევროპული მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი, თბილისის „ლიგა-96"-ის ლაურეატი, ახალი მუსიკის ცენტრის (NMC internalional) წევრია 1997 წლიდან; არის მისი წარმომადგენელი გერმანიაში.
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) SHIN Music, Rohracker str. 15, 74906 Bad Rappenam, BRD. ტელ: 7264-4004. ფაქსი: 6152-910411.*

**ფიქრი, მოძრაობა.**



**ირაკლი მინდელი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1966 წ. 4 თებერვალს. მშობლები: ნანი მინდელი, თამაზ მინდელი; მეუღლე – ნინო შავაძე (1969); შვილები: ბერიკა (1991), მარიამი (1993). დაამთავრა სტუ ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკ-ტი (1990), სტუ ასპირანტურა (1993). მუშაობდა ჰიდროტექნიკის ინ-ტში (1990-91), იყო საქართველოს პარლამენტის წამყვანი სპეციალისტი (1992-94), თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე (1994-95). არის საქართველოს სოციალისტური პარტიის წევრი (1995), პარტიის აღმასრულებელი მდივანი.
**ჰობი:** ფეხბურთი, ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-23-67, 92-12-97. (ბინის) გამსახურდიას II კვ-ლი 9/19, თბილისი.*



**თენგიზ მირზაშვილი** მხატვარი. დაიბადა მესტიაში 1934 წ. 10 თებერვალს. მშობლები: სოფიო მირზაშვილი, რევაზ მირზაშვილი; მეუღლე — მანანა თავაძე (1938); შვილები: გიორგი (1961), ნატო (1964). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1957). იყო თსსა პედაგოგი (1960-72). არის ბავშვთა სურათების გალერეის მთავარი მხატვარი (1973 წლიდან); ავტორი სტატიებისა და ნარკვევებისა. გააფორმა 100-მდე წიგნი; გამართა პერსონალური გამოფენები საქართველოსა და საზღვარგარეთ. არის ხალხური ხელოვნების დაცვისა და აღორძინების საზოგადოების წევრი (2000 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, ქართველ მხატვართა კატალოგში (1988), ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი 2000).
**ჰობი:** მურაბების ხარშვა; ფიროსმანის, გ. ტაბიძისა და ე. თათარაიძის შემოქმედება; ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლები, ხალხური პოეზია.
**მისამართი:** *(ბინის) ქიაჩელის 20, თბილისი. ტელ: 93-18-32.*

**ქვეყანაში საბჭოთა ინერციის დაძლევა.**



**ლადო (ვლადიმერ) მირიანაშვილი** ფონდი „უდაბნოს" აღმასრულებელი დირექტორი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 8 მაისს. მშობლები: მარიამ მირიანაშვილი, ილია მირიანაშვილი. დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1973). იყო გეოფიზიკის ინ-ტის ლაბორანტი (1973-75), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1975-78), მეცნიერ-თანამშრომელი (1986-94). მეცნ. აკად. საგარეო ურთიერთობათა განყ-

ბის უფროსია 1994 წლიდან, ფონდი „უდაბნოს" წევრია 1994 წლიდან, აღმასრულებელი დირექტორი — 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დახრისმზომებით წარმოებული დედამიწის მიმოქცევით დაკვირვებებზე „მეორადი" ეფექტების გავლენის გამოკვლევა" (1984). გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო სტატია და ერთი წიგნი — „გარეჯის მრავალმთა და ადამიანი" (1997). არის ვიდეოფილმის „ფიქრები 1921 წლის თებერვალზე" (1997) სცენარის ავტორი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის გამოცემაში „წლის ლიდერი" (1998).
**ჰობი:** მუსიკა, არქეოლოგია.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი 380008. ტელ/ფაქსი: 99-88-23. ელ-ფოსტა: frg@gas.hepi.edu.ge*

**საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა, თავდადება.**



**მარიამ მირიანაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ოიმიაკონში (იაკუტია) 1953 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: მარიამ გოგინაშვილი, ილია მირიანაშვილი; მეუღლე — დავით გივიშვილი (1946); შვილები: შალვა (1977), მარიამი (1982). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1978). არის ტუბერკულოზთან ბრძოლის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი (1990 წლიდან), ბავშვთა რეაბილიტაციის ფონდ „ქაჯანას" პრეზიდენტი (1991 წლიდან), სახალხო მოძრაობის „ერთობა და კეთილდღეობა" ბავშვთა პრობლემების კომისიის ხელმძღვანელი (1993 წლიდან), „სოციალურ და ჰუმანიტარულ ინიციატივათა ცენტრის" ხელმძღვანელი (1996 წლიდან), სმკ-ის წევრი (1993).
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-69-87. ფაქსი: 99-68-32.*

**სიმართლე ყოველთვის და ყველგან. ვერ ვიტან დამსმენებს, ღალატს. პატივისცემა ნებისმიერი შეხედულების და აზრის (თუნდაც საპირისპიროსი), ჩვენი ეროვნული და სხვათა კულტურების პატივისცემა. ვერ ვეტევი ვერანაირ ჩარჩოებში, მაქვს ბევრი ენერგია. პატიოსნება (სულიერი) და, რა თქმა უნდა, ნებისმიერი. ოჯახის სიყვარული, გულმოწყალება. 44 წლის ასაკში ბავშვი ვარ ისევ. ვარ ძალიან უშუალო და არ ვიცი ეს ნაკლია თუ... ამით სარგებლობენ და ხშირად მატყუებენ, მაგრამ მე არ ვტყუვდები, არ ვიმჩნევ. ამავე დროს ვარ უკომპრომისო, როცა საქმე ეხება ხალხის ძარცვას, მის ხარჯზე გამდიდრების მცდელობას. ჩემი მთავარი პრინციპია — როცა ვინმეს რამეზე (ნაკლზე) მიუთითებ, მანამ მიუთითებ, შენს საქციელს შეხედე და შეაფასე.**



**დავით მირცხულავა** საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 27 იანვარს. მშობლები: ნანა მგალობლიშვილი, ცოტნე მირცხულავა; მეუღლე – მანანა კილაძე (1954); შვილები: ნანა (1977), გიორგი (1978). დაამთავრა სპი საინჟინრო ფაკ-ტი (1976). იყო საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ს/კ ინ-ტის ინჟინერი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1976-86), აგრარული უნივერსიტეტის დოცენტი, კათედრის გამგე, პროფესორი (1986-88), მუშაობდა მილანის პოლიტექნიკურ ინ-ტში და იტალიის ენერგეტიკის კომპანიაში (1988-89). იყო ნაგებობების დიაგნოსტიკური ცენტრის დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1993-99), საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე (1998-99). არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1995); ჰიდროენერგეტიკის დარგში 60-მდე ნაშრომის ავტორი.
**ჰობი:** ფეხბურთი, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ლერმონტოვის 10, თბილისი 380007. ტელ: 99-60-98. ფაქსი: 93-37-51. ელ-ფოსტა:* davidmizr@mmc.net.ge *(ბინის) ფასანაურის 14, ბ.72, თბილისი 380009. ტელ: 23-19-31.*

**თავისუფლება, სამართლიანობა, სიყვარული, კეთილსინდისიერება.**

**ცოტნე მირცხულავა** წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი. დაიბადა ფოთში 1920 წ.



25 ივლისს. მშობლები: მარიამ კვირკველია, ევგენი მირცხულავა; მეუღლე — ნანა მგალობლიშვილი (1929); შვილები: დავითი (1955), ზაზა (1957). დაამთავრა ინდუსტრიული ინ-ტის სამშენებლო ფაკ-ტი (1942). ნავთობის მრეწველობის ორგანიზაციებში მუშაობდა თანამდებობებზე ტექნიკოსიდან ტრესტის უფროსის მოადგილემდე (1942-53). იყო სპი დოცენტი (1950-64), წყალეკოლოგიის ინ-ტის ასპირანტი, განყბის გამგე, დირექტორის მოადგილე (1955-68). სტუ პროფესორია 1964 წლიდან, ინ-ტის დირექტორი — 1968 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „წყლის ნაკადის გამრეცხი და დასაშვები სიჩქარეები ბმული გრუნტებისათვის და მათი განმაპირობებელი ფაქტორები" (1960). არის 4 გამოგონების და 360 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ჰიდრავლიკის, ჰიდროლოგიის, ეროზიული პროცესების, საიმედოობის, რისკი თეორიისა და ეკოლოგიური სისტემების უსაფრთხოების შესახებ (მათ შორის 17 წიგნი და ბროშურაა, 54 ნაშრომი გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ, 2 ინგლისურ ენაზე). არის ჰიდრონაგებობათა საიმედოობის თეორიის ფუძემდებელი, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, ნიუ იორკის აკადემიის ნამდვილი წევრი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1970). დაჯილდოებულია ლენინის (1977), ხალხთა მეგობრობის (1980), სსრკ ღირსების (1948, 1966) ორდენებით. არის საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (1999).
მისამართი: *(სამსახურის) საქწყალეკოლოგია. ჭავჭავაძის 60. თბილისი 380062. ტელ: 22-40-94. (ბინის) შიო მღვიმელის 6. თბილისი 380079. ტელ: 22-55-66.*
**შრომა, შრომა და კიდევ შრომა.**

**ავთანდილ მიქაბერიძე** ათენის ქართული ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა ზესტაფონში 1953 წ. 12 მაისს. მშობლები: მარგალიტა მიქაბერიძე, ვაჟა მიქაბერიძე; მეუღლე — ნინო ალექსიძე (1949); შვილები: თამარი (1984), ლუკა-კონსტანტინე (1989). სწავლობდა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტზე (1970-72), დაამთავრა იენის უნივერსიტეტის კლასიკური სიძველეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1976). იყო თსუ ლაბორანტი (1977-82), ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიის უმცროსი (1982-91), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1991), ლაბორატორიის გამგე (1991-92), ახალი ბერძნული ენისა და ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი (1987-93), კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინ-ტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1997 წლიდან). მის მიერვე დაარსებული ათენის ქართულ-ბერძნული ინ-ტის დირექტორია 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დრაკონციუსი და მისი „მედეა" (1989). ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას საბერძნეთში (1979-83). მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები ათონის მთაზე, სირიაში, იორდანიაში, კვიპროსზე, ეგვიპტეში, პალესტინაში, კუნძულებზე: პატმოსზე, ხიოსზე, კრეტაზე, სადაც მიაკვლია ქართული კულტურის ისტორიისათვის ბევრ უცნობ ან ნაკლებადშესწავლილ მასალას. მის დამსახურებად ითვლება ათონის მთის ქართულ ხელნაწერთა გამოვლენა, რესტავრაცია და ფოტოფიქსაცია კინორეჟისორ გ.პატარაიასთან ერთად. ქართულ და ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით მოახდინა ჩრდილოეთ საბერძნეთში ახლადგამოვლენილი მონასტრის იდენტიფიკაცია (1996), მიაკვლია ახალ მასალებს XI ს. ქართულ-ბიზანტიური დიპლომატიური, სულიერი და კულტურული ურთიერთობების ისტორიისათვის. კითხულობს ლექციებს საქართველოსა და ბიზანტიის კულტურების ურთიერთმიმართების საკითხებზე საბერძნეთის ეროვნული კვლევის ცენტრში, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ათენის, კრეტის, ვენის, ზალცბურგის, რომის უნივერსიტეტებში და სხვ. მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში (თბილისი, მოსკოვი, ათენი, ვენა, მარბურგი და სხვ.), ბერძნულ-ქართულ სამეცნიერო სიმპოზიუმებში (ათენი, პატმოსი 1980, ათენი 1989). არის 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. არის დოკუმენტური ფილმების „სინას მთის" თანაავტორი და „აფროდიტეს კუნძულის ქართული სიძველეების" სცენარის ავტორი.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) 40 V.Constantineu Ave. GR-116 35 Athens, Greece. ტელ/ფაქსი: 72-11-226. (ბინის) ქუჩიშვილის 9. თბილისი 380079. ტელ: 22-70-96.*



**ანზორ (ანგული) მიქავა** ხობის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბად სოფ. ქალადიდში (ხობის რ-ნი) 1943 წ. 12 ნოემბერს. მშობლები: ვალია მიქავა, კონსტანტინე მიქავა; მეუღლე — დოდო აბრამია (1951); შვილები: ნანა (1979), ნინო (1981). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი (1970). იყო მთავარი ინჟინერი, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე, ხობის რ-ნის აღმასკომის თავმჯდომარე, ხობის რაიკომის მდივანი, ტრესტ „კოლხიდმშენის" სამრეწველო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი. ხობის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარეა 1995 წლიდან. დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისთვის", შრომის წითელი დროშის ორდენით.

ჰობი: ნადირობა.

მისამართი: *(სამსახურის) ცოტნე დადიანის 189, ხობი. ტელ: 98-98-78, 48-56-56.*

**სამართლიანობა, ერთგულება და პროფესიონალიზმი, ესაა ჩემი როგორც სამსახურეობრივი, ასევე ცხოვრებისეული კრედო. მიყვარს გულწრფელობა, პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობას როცა ავიღებ, ყველაფერს გავაკეთებ მის შესასრულებლად. ვერ ვიტან ტყუილს და ღალატს.**



**დიმიტრი (ჯუნა) მიქატაძე** საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თსსა პროფესორი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 6 მაისს. მშობლები: ელენე მაჩაბელი, შოთა მიქატაძე; მეუღლე — მარიამ საყვარელიძე (1934); შვილი — ირინა (1958-84). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1956). იყო თსსა სასწავლო ოსტატი (1963-66), უფროსი მასწავლებელი (1966-71), დოცენტი (1971-78). პროფესორია 1978 წლიდან. არის „გორგასლის" (1957), „მზეჭაბუკის" (1964), რუსთაველის მონუმენტის (1967), რუსთაველის პორტრეტის (1971), გალაკტიონ ტაბიძის (1979), მარი ბროსეს (1995), იოანე პეტრიწის (1996), ლადო გუდიაშვილის (1999) და სხვათა ძეგლების ავტორი. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებსა და კონკურსებში. არის ცოტნე დადიანის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის მერიის კოლეგიის წევრი. საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1969), სახალხო მხატვარი (1985), მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1984), ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

ჰობი: ფეხბურთი.

მისამართი: *(სამსახურის) თსსა. გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. (ბინის) მარტავას 18-ბ. თბილისი 380060. ტელ: 37-11-95.*

**ქვეყნის სიყვარული, მეგობრის სიყვარული, პატიოსნება, მოვალეობის გრძნობა.**



**ლევან მიქელაძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, ვენის საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 26 თებერვალს. მშობლები: ანა მიქელაძე, ბიძინა მიქელაძე; მეუღლე — ლალი ჩიკვაიძე (1957); შვილები: თინათინი (1984), მარიამი (1986). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1978). იყო გეოგრაფიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1978-92), მივლინებული თარჯიმანი ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1979-80), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი (1989-92), საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული სამმართველოს უფროსი (1992), სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მრჩეველი (1992-94), სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეიარაღებათა კონტროლის ცენტრის ფულბრაიტის სტიპენდიანტი (1994), აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს მრჩეველი (1994-96). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ავღანეთის სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის ტერიტორიული დიფერენციაცია" (1987). გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხოურ გამოცემებში. არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრი.

მისამართი: *(სამსახურის) Marokkanergasse 16, A-1030 Wien. ტელ: 710-36-11,*

*ფაქსი: 710-36-10. ელ-ფოსტა: Georgia@magnet.at (ბინის) Gymnaziumstrasse 56/14, A-1190 Wien. ტელ/ფაქსი: 369-48-33./ცაბაძის 9, ბ. 14. თბილისი. ტელ: 34-16-76.*



**ნუგზარ მიქელაძე** ს/ს „საქართველოს საზღვაო ბანკის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი. დაიბადა ბათუმში 1974 წ. 28 ოქტომბერს. მშობლები: ნარგიზ აბესლამიძე, ოთარ მიქელაძე; მეუღლე — ნათია დიაკენიშვილი (1981). დაამთავრა ბათუმის სახ. უნივერსიტეტი (ფინანსები და კრედიტები, 1996). იყო „საქართველოს საზღვაო ბანკის" დილერი კონვერტაციის განყ-ბაში, აქტიურ-პასიური ოპერაციების მართვის განყოფილების ბუღალტერი, საერთაშორისო ურთიერთობათა ოპერაციების განყოფილების ინოკორესპონდენტი (1994-98). დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელია 1998 წლიდან.
**ჰობი:** თევზაობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) გოგებაშვილის 60, ბათუმი. ტელ: 7-60-04. ფაქსი: 8-60-01. ელ-ფოსტა: nugzar@gnb.batumi.com. (ბინის) ჭავჭავაძის 78/88, ბ. 112. ბათუმი.*



**ჯემალ მიქელაძე** საქართველოს მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა თბილისში 1936 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: ეკატერინე ჩხეიძე, ფრიდონ მიქელაძე; მეუღლე – ნაილე ნულაია-მიქელაძე (1942); შვილები: მარიკა (1963), ფრიდონი (1965). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1961), თსუ (1970), სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (1976). იყო თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის კალინინის რ-ნის II მდივანი (1963-65), თბილისის შს კალინინის რაიონული განყ-ბის უფროსი (1965-71), თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსი (1971-74), თბილისის შს სამმართველოს უფროსი (1976-80), შსს მედიცინის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკ-ტის უფროსი (1987-88), საქართველოს რესპუბლიკური საზოგადოება „დინამოს" საბჭოს თავმჯდომარის I მოადგილე (1988-90), კომპარტიის თბილისის ქალაქკომის I მდივანი (1990-91), კპ ცკ I მდივანი (1991-92), შს მინისტრის II მოადგილე (1992-93), I მოადგილე (1993-2000), აჭარის არ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი (1980-90). საქართველოს მატერიალური რეზერვების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეა 2000 წლიდან.
**ჰობი:** მუსიკა, განსაკუთრებით ქალაქური სიმღერები.
**მისამართი:** *(სამსახურის) აგლაძის 32, თბილისი. ტელ: 94-30-18, 34-45-37. (ბინის) ირ. აბაშიძის 39, თბილისი. ტელ: 22-48-56.*

> **ყველა ადამიანი, მათ შორის სახელმწიფო მოღვაწე, პატიოსნად უნდა ასრულებდეს მოქალაქეობრივ ვალს, ერთგულად და სინდისიერად ემსახურებოდეს თავის საქმეს. ჩემი ცხოვრების კრედო ყოველთვის იყო და დარჩება: გულწრფელობა, პატიოსნება, შრომა, მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება.**



**რევაზ მიშველაძე** მწერალი, საქართველოს პარლამენტის წევრი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, თსუ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, გალაკტიონის კაბინეტის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ჟურნალ „ნუგეშის" რედაქტორი. დაიბადა ქუთაისში 1940 წ. 1 იანვარს. მშობლები: თინა გველესიანი, ავქსენტი მიშველაძე; მეუღლე — ნათელა გოგორიშვილი (1942); შვილი — არჩილი (1973-93). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963). იყო თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის დოცენტი (1966-75), ჟურნალ „კრიტიკის" მთავარი რედაქტორი (1982-88). არის პროფესორი (1975 წლიდან), თსუ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე (1988 წლიდან), ჟურნალ „ნუგეშის" მთავარი რედაქტორი (1990 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული სატირული ჟურნალისტიკა" (1966); სადოქტორო — „თანამედროვე ქართული პოემა" (1974). არის 65 წიგნის და 207 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „მწუხრი" (1983), „ელდა" (1987), „განაჩენი" (1990), „სამოცდარვა ახალი ნოველა" (1997), „რჩეული ნოველები" (1991-97), „ასი ახალი ნოველა" (1997), „აი, ქვეყანა" (1999). არის ნ.ლორთქიფანიძის (1978), მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო (1981), ა.წერეთლის (1993), დ.კლდიაშვილის (1995),

რუსთაველის (1998), ისრაელის ლიტერატურული (1997), მ.აბაშიძის (1999) პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1999), ივ. ჯავახიშვილის მედლის მფლობელი (2000). არის ჟურნალისტთა (1970) და მწერალთა (1975) კავშირების წევრი, ქართული ფენომენის აკადემიის პრეზიდენტი (1996), ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალატის თავმჯდომარე (1994), იყალთოს, საჩხერის, ქუთაისისა და ვიეტნამის საპატიო მოქალაქე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1984).
**ჰობი:** კითხვა, ჩოგბურთი, ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 29-08-36. (ბინის) თამარაშვილის 11. ბ. 73. თბილისი, 380062. ტელ: 23-26-83.*

**ყოველთვის ვცდილობდი საქართველო გამომეგლიჯა მისი გადაგვარების მოსურნე ეროვნულ მტერთაგან, დამებრუნებინა საქართველოში ქართველი ერი ძირითად, ავტოქტონურ ერად და ბუნების მიერ ბოძებული მწერლობის მცირეოდენი ნიჭი ჩემი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მთლიანად დამეხარჯა.**



**ენზელ მკოიანი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ახალქალაქში 1959 წ. 3 მაისს. მშობლები: შოგიკ მკოიანი, კარაპეტ მკოიანი; მეუღლე – კარინა მახატაკიანი (1966); შვილები: ანა (1986), კარაპეტი (1988), დავითი (1999). დაამთავრა ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1985). იყო კომკავშირული, პარტიული მუშაკი (1984-87), ბიზნესმენი (1989-98). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი (1998).
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი, 380018. (ბინის) კლ. ცეტკინის 70/1, ახალქალაქი. ტელ: 2-23-55.*



**ვლადიმერ მოგელაძე** მუსიკოსი. დაიბადა თბილისში 1952 წ. 4 აგვისტოს. მშობლები: ნადეჟდა მოგელაძე, გრიგოლ მოგელაძე; მეუღლე — ზოია მოგელაძე (1950); შვილები: მაია (1972), მარინა (1976). დაამთავრა კავშირგაბმულობის ინ-ტი (1976). იყო ანსამბლ „კონტრასტის" სოლო-გიტარისტი, ანსამბლის ხელმძღვანელი (1969-83). არის ანსამბლ „ბლუზ მობილ ბენდის" სოლო გიტარისტი და ანსამბლის ხელმძღვანელი (1986 წლიდან). ანსამბლს გამოშვებული აქვს 2 კომპაქტ-დისკი: "A New Day Yesterday" (1993, Prouge Record); "Out of the Blue" (1995, Prouge Record); "When Blues Meets Rock" (vol.1, 1996, vol.2, 1997, Prouge Record).
**ჰობი:** სოული, რიტმ-ნ-ბლუზი, ბლუზი, როკ-ნ-როლი, 60-70-იანი წლების ამრიკული მუსიკა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) Marsc Music. დანია, ქალაქი რიბე. ტელ: 75-42-17-58. ფაქსი: 75-42-35-36. (ბინის) გლდანი, III მ/რ. VI კორპ. 83. თბილისი. ტელ: 67-03-84.*

**გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ, ყოველგვარი ანგარების გარეშე უნდა უერთგულო შენს საქმეს. ხელოვნებაში სიყალბე გამორიცხულია, მხედველობაში მაქვს თავის მოტყუება ან რაღაცის გასაღება იმად, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. საკუთარი საქმისადმი რწმენა და სიყვარული.**



**ნოდარ მოდებაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. აკურაში (თელავის რ-ნი) 1950 წ. 20 ნოემბერს. მშობლები: მარიამ მოდებაძე, არჩილ მოდებაძე; მეუღლე – ლალი ქევხიშვილი (1955); შვილები: არჩილი (1976), ალექსი (1978), ზურაბი (1979), ირმა (1973). დაამთავრა სპი ქიმიური და კვების მრეწველობის ფაკ-ტი (1984). იყო საქართველოს სპორტკომიტეტის მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში (1979-83), სოფლის მეურნეობის დამზადების კანტორის დირექტორი (1983-86), ქარხანა "აგრეგატის" (1986-88), თბილისის ავტოგასამართი სადგურების სამმართველოს (1988-92) ინჟინერი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს "აგროპრომნავთობსერვისის" გენერალური დირექტორი (1993-96), შპს "აკურას" დირექტორი (1996-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. იყო სპორტსმენი, სსრკ აბსოლუტური და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი. არის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.
**ჰობი:** მეგობრებთან ურთიერთობა.

*მისამართი: (სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-20-01. (ბინის) ფალიაშვილის 6, თბილისი. ტელ: 34-76-62.*

სიმართლე და პატიოსნება.



**სულხან მოლაშვილი** საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის საბჭოს, ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1969 წ. 19 ნოემბერს. მშობლები: ხათუნა სამხარაძე, თამაზ მოლაშვილი; მეუღლე — თამთა ბახტურიძე (1969); შვილები: ბაკური (1994), თამაზი (1996). სწავლობდა სარატოვის იურიდიულ ინ-ტში (1989-91). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1995). მსახურობდა შსს სისტემაში (1986-87). იყო უზენაესი სასამართლოს ინსპექტორი (1992-94), კონსულტანტი (1994-96), ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდაცვით ორგანოებთან ურთიერთობის განყ-ბის ნამყვანი სახ. მრჩეველი (1996-99), სამართლებრივი რეფორმის სახ. კომისიის წევრი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი (2000). საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეა 2000 წლიდან. არის რამდენიმე სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიის ავტორი, მუშაობს სასამართლო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემებზე. თანამშრომლობდა ჟურნალთან "მართლმსაჯულების მაცნე". არის იურისტთა კავშირის გამგეობის, ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის წევრი, ჟურნალის "სახელმწიფო და კონტროლი" სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის, საქართველოს სახ. საკონსტიტუციო კომისიის სასამართლო ხელისუფლების საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრი, სამართლებრივი რეფორმის სახ. კომისიის წევრი, სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმების მუდმივი მონაწილე. მიღებული აქვს მოსამართლეთა მომზადების ეუთოს დემოკრატიული ინ-ბისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ვარშავის ბიუროს საერთაშორისო სერთიფიკატი (1994).

ჰობი: მოგზაურობა, საპარაშუტო სპორტი.

*მისამართი: (სამსახურის) საქართველოს კონტროლის პალატა. ქეთევან წამებულის 96. თბილისი 380044. ტელ: 95-28-99.*

დამოუკიდებელი ძალისხმევით დასახული მიზნის მიღწევა. მოურიდებელი შეჭიდება ცხოვრებისეულ თუ სხვა სირთულეებთან და ოპტიმალური გამოსავლის გამუდმებული ძიება. მუდმივი ზრუნვა კომპეტენტურობისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცებისათვის. სპორტული ჟინი.



**მარინა მოლოდინი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა დუშეთში 1958 წ. 22 თებერვალს. მშობლები: მანანა ამაშუკელი, ტარიელ მოლოდინი; მეუღლე — კობა ბუჩუკური (1958); შვილები: ნინო (1994), ცოტნე (1996), გიორგი (1996). დაამთავრა უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი. მუშაობდა ახალგაზრდულ ორგანიზაციებში (1982-92). იყო დუშეთის რ-ნის გამგებლის მოადგილე (1982-95), პარლამენტის წევრი (1995-99). არის სმკ-ის წევრი, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" მდივანი, დუშეთის რ-ნის მაჟორიტარი დეპუტატი, მაღალმთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის წევრი, თვითმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტის წევრი, საერთაშორისო მოძრაობა „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ჰობი: მოგზაურობა.

*მისამართი: (სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი, 380018. ტელ: 99-93-11. (ბინის) ჭავჭავაძის 25. დუშეთი. ტელ: 2-26-91.*

ვიყო მართალი და ვაკეთო ბევრი, ბევრი სიკეთე.



**ავთანდილ მონასელიძე** მოქანდაკე. დაიბადა თბილისში 1947 წ. 18 ივნისს. მშობლები: ევგენია მონასელიძე, ირაკლი მონასელიძე; მეუღლე — ნანა მონასელიძე (1947); შვილები: რუსუდანი (1973), ირაკლი (1976). დაამთავრა თსსა ქანდაკების

ფაკ-ტი (1974), სსრკ სამხატვრო აკადემიის ქანდაკების შემოქმედებითი სახელოსნო (1979). არის ავტორი ნამუშევრებისა: "სატირი და ნიმფა" (1991), "ვაკჰანალია" (1989), "მოლოდინი" (1997), "შენ ხარ ვენახი" (1998), მონუმენტური ქანდაკებების 8-ფიგურიანი კომპოზიციისა "ბერიკაობა" (თბილისი, 1991), რელიეფებისა "აპოლონი და მუზა", "ლომები" (1982-83), "მუზის დაბადება" (თბილისის მუსიკალური ცენტრის დარბაზი, 1989) და სხვ. მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებსა და კონკურსებში. მიღებული აქვს სსრკ სამხატვრო აკადემიის და მხატვართა კავშირის მედალი საუკეთესო სადიპლომო ნამუშევრისათვის (1975), საკავშირო გამოფენების I და ორი III ხარისხის პრემიები (1976, 1979), პარიზის საერთაშორისო გამოფენის ვერცხლის მედალი (1984), ა/კ რესპუბლიკების I ბიენალეს ვერცხლის მედალი (1986), საქართველოს მხატვართა კავშირის მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1980), საქართველოს კომკავშირის პრემია (1982). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1975). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი.

**მისამართი:** *(ბინის) მარცხენა სანაპირო 3., ბ. 56, თბილისი. ტელ: 35-34-07, 29-04-13.*

**ცხოვრება ისე არ მინდა დასრულდეს, რომ ერთი მართლაც კარგი ნამუშევრის შექმნა ვერ მოეახერხო.**



**აკა მორჩილაძე (გიორგი ახვლედიანი)** მწერალი. დაიბადა თბილისში 1966 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ლეილა გუგუშვილი, ზურაბ ახვლედიანი; მეუღლე — ნატო ზაქარიაძე (1965); შვილები: ზურა (1988), ანასტასია (1996). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1988). იყო თსუ ლაბორანტი (1988-91). არის მასწავლებელი (1991 წლიდან). არის ავტორი რომანებისა: „მოგზაურობა ყარაბაღში", „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", "გადაფრენა მადათოვზე და უკან" , "ასჯერ დაწყევლილი ქალაქის მოკლე ისტორია", „აგვისტოს პასიანსი", „გაქრები მადათოვზე". იბეჭდება მისი მოთხრობები, საგაზეთო სტატიები და მსუბუქი პუბლიცისტიკა, ფელეტონები.

**ჰობი:** ფეხბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. (ბინის) მცხეთის 8, ბ.3. თბილისი 380079. ტელ: 29-22-67.*

**ჩემი წარმატება მაინცდამაინც დიდ წარმატებად არ მიმაჩნია და საერთოდ ნაკლებად მიყვარს ასეთ რამეებზე ფიქრი. თუ წარმატება დაერქმევა, ალბათ იმიტომ, რომ გასაგებ ენაზე დავწერე ორი წიგნი და თანაც გასაგებ რაღაცეებზე. რაც შეეხება კრედოს — მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვარ იმაში, რომ მწერალი (ჩვენი ტრადიციის თანახმად) საზოგადოების მესაჭე უნდა იყოს. მწერალი უნდა წერდეს და მორჩა. მისი მიზანია თავისუფლებისაკენ, სრულქმნილებისაკენ სწრაფვა და დასტაკება. პო, კიდევ — არ მიყვარს ადამიანების განბილება, სიცივე, მედიდურობა და მსგავსი რამე-რუმეები. კრედო კი, აბა რა გითხრათ? მაინც ძალიან ძნელი მგონია ამაზე ლაპარაკი.**



**იური მოსიძე** თბილისის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 24 იანვარს. მშობლები: ვერიკო კიკნაძე, ლევან მოსიძე; მეუღლე — ლედი მოსიძე (1945); შვილები: ლევანი (1964-92), ვიკა (1969). დაამთავრა თბილისის სახ. უცხო ენათა ინ-ტი. მუშაობდა იქვე. გაიარა გზა ლაბორანტიდან ინ-ტის რექტორამდე (1962). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ფრანგული ნასესხობანი გერმანულში" (1969), სადოქტორო — „სივრცობრივ-სემანტიკურ სეგმენტთა მოდელები „ვეფხისტყაოსნის" გერმანულ თარგმანებში" (1986). გამოქვეყნებული აქვს ერთი წიგნი და 35 სტატია.

**ჰობი:** შვილიშვილები, მეგობრები, მაგიდის ჩოგბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 45. თბილისი 380062. ტელ: 22-17-03. ფაქსი: 23-11-96. ელ-ფოსტა: lingua@iberipac.ge (ბინის) აღმაშენებლის 137. თბილისი 380012. ტელ: 95-14-78.*

**ზნეობაზე დაფუძნებული წიგნიერება.**



**შალვა მოსიძე** საგუნდო დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ჭიათურაში 1936 წ. 28 დეკემბერს. მშობლები: ნინო მახარაძე, ილარიონ მოსიძე; მეუღლე — თამარ რჩეულიშვილი (1943); შვილები: გიორგი (1972), ოთარი (1974). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო განყ-ბა (1967). არის გორის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი (1967 წლიდან), გორის ქალთა კამერული გუნდის ხელმძღვანელი და დირიჟორი (1970 წლიდან), თბილისის სახ. კონსერვატორიის პედაგოგი (1976 წლიდან). არის ღირსების ორდენის კავალერი, ზ.ფალიაშვილის სახელობისა და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი.
მისამართი: *(ბინის) ბარნოვის 9, ბ. 7. ტელ: 99-59-24.*



**თენგიზ მოცრაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ჭიათურის რ-ნში 1954 წ. 17 დეკემბერს. მშობლები: რიმა მაჭავარიანი, დიმიტრი მოცრაძე; მეუღლე — ხათუნა პაპიძე (1960); შვილები: დიმიტრი (1992), ანა (1993). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1978). იყო სახლსაშენებელი ქარხნის ოსტატი, საამქროს უფროსი, ტექნოლოგი, დირექტორის მოადგილე, მთავარი ინჟინერი (1979-85), ინსტრუქტორი, მინისძვრის სალიკვიდაციო შტაბის მთავარი ინჟინერი, საკრებულოს მდივანი, გამგებლის მოადგილე (1989-95). არის საქართველოს სოციალისტური პარტიის წევრი (1995).
ჰობი: ფეხბურთი, ტყეში სოკოს კრეფა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-24-10. (ბინის) თხელიძის 13, ბ. 19. ჭიათურა.*

**უაღრესად სამართლიანი, პატიოსანი, პრინციპული. სამშობლოსა და ოჯახის დიდი სიყვარული.**



**ალექსანდრე (სანდრო) მრევლიშვილი** რეჟისორი, დრამატურგი, „მეტეხის თეატრის" სამხატვრო ხელმძღვანელი, თეატრ „ძველი სახლის" მფლობელი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 10 თებერვალს. მშობლები: ფაინე კილაძე, მიხეილ მრევლიშვილი; მეუღლე — მანანა ჭელიძე (1949); შვილები: მიხეილი (1968), ცისია (1970), მარიამი (1981). დაამთავრა ლენინგრადის თეატრალური ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (1963). იყო სოხუმის დრამატული (1963-66), მარჯანიშვილის (1966-73) თეატრების რეჟისორი. არის თეატრალური ინ-ტის პედაგოგი (1966 წლიდან), „მეტეხის თეატრის" რეჟისორი (1973 წლიდან), კულტურის სახ. ინ-ტის თეატრალური სახელოსნოს ხელმძღვანელი (1996 წლიდან).არის 100-მდე სპექტაკლის (10 საზღვარგარეთ) დამდგმელი რეჟისორი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1977), მარჯანიშვილის (1996), საქართველოს სახელმწიფო (სპექტაკლისათვის „მარტორქები ორკესტრში", 2000) პრემიების ლაურეატი, თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1963), პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1997). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.
ჰობი: საწყლოსნო სპორტი, მოტორიანი ნავი, წყლის თხილამურები.
მისამართი: *(სამსახურის) მეტეხის აღმართი 1. თბილისი 380003. ტელ/ფაქსი: 77-04-64. (877) 42-13-10. (ბინის) მეტეხის აღმართი 1. თბილისი 380003.*

**შემწყნარებლობა, ტოლერანტობა, მოქალაქეობა, შემოქმედებაში — სიმართლე, ქალებთან ურთიერთობაში — ჯენტლმენობა.**



**დავით მუმლაძე** იურისტი, საგადასახადო შემოსავლების მინისტრის პირველი მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი. დაიბადა ხონში 1964 წ. 24 აგვისტოს. მშობლები: ელენე ზურაიძე, გურამ მუმლაძე; მეუღლე — ნინო შარაშენიძე-მუმლაძე (1981). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო თსუ იურიდიული ფაკ-ტის დოცენტი, შსს იურიდიული განყოფილების უფროსი (1991-92), უშიშროების სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების განყ-ბის უფროსი (1992-96), პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (1996-97), საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანი (1997-2000). დაიცვა საკანდიდატო

დისერტაცია თემაზე: „მიზეზობრიობის პრობლემის ევოლუცია კრიმინოლოგიაში" (1990). არის 4 სამეცნიერო სტატიის ავტორი.
ჰობი: ქართული ფოლკლორი.
მისამართი: *(სამსახურის) ჭავჭავაძის 55. თბილისი 380062. ტელ: 23-24-59. ფაქსი: 93-15-84.*

**„ენების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში".**



**გივი მუნჯიშვილი** საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თელავში 1937 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: აშხენა კირაკოზოვა, გრიგოლ მუნჯიშვილი; მეუღლე: ლიანა ლომიაშვილი (1945); შვილები: ირინა (1960), ნანა (1962), კახა (1964), ლელა (1975). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკ-ტი (1962), მოსკოვის კონსერვატორიის საოპერო-სიმფონიური დირიჟორობის ფაკ-ტი (1970). იყო თბილისის მე-10 სამუსიკო სკოლის გუნდის (1959-65), თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის (1963 წლიდან) პედაგოგი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი ქორმაისტერი (1970-74), ულან-ბატორის საოპერო თეატრის მთავარი ქორმაისტერი (1986-88). კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის პროფესორია 1988 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი — 1975 წლიდან. გამოცემული აქვს ქართული საგუნდო მუსიკის 3 გიგანტური ფირფიტა და 3 კომპაქტური დისკი. ჩაწერილი აქვს მუსიკა ფილმებისთვის „არსენა" (1984), „მოძღვარი" (1989). დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის (1982) და ღირსების (1998) ორდენებით. არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1979), სახალხო არტისტი (1985).
ჰობი: უმანქანო ტურიზმი.
მისამართი: *(სამსახურის) გორგასლის 1, თბილისი 380005. ტელ: 72-27-25, 72-35-83. (ბინის) ჭყონდიდელის 16, ბ. 12. თბილისი 380080. ტელ: 66-08-22.*

**ჩემს ცხოვრებაში ისეთი პროფესია ავირჩიე და ისეთი განათლება მივიღე, რომ სანანებლად არ დამრჩენია. ამით ბედნიერი კაცი ვარ. ჩემი საქმე ჩემი მოწოდებაა. მიყვარს ჩემი სპეციალობა და შეძლებისდაგვარად ერთგულად ვემსახურები მას. ვფიქრობ, მთავარია ადამიანმა ცხოვრებაში იპოვოს საკუთარი თავი, ჰქონდეს საყვარელი პროფესია და დაუზარელად, მთელი ძალისხმევით იმუშაოს. ყველამ თუ თავისი ნიჭის, განათლებისა და პროფესიონალიზმის შესაბამისად აკეთა თავისი საქმე, მაშინ ამ ცხოვრებასაც ეშველება.**



**თეიმურაზ მურვანიძე** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1939წ. 10 მაისს. მშობლები: ნატა გიორგობიანი, დავით მურვანიძე; მეუღლე — მაკა მახარაძე (1950); შვილები: თეა (1965), ნატა (1970), ანუკა (1973). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი თეატრალურ-დეკორაციულ სახელოსნო (1965). იყო პეტერბურგის მარინის თეატრის მთავარი მხატვარი (1988-92). არის საერთაშორისო ასოციაცია „აბრეშუმის გზის" მთავარი მხატვარი (1998 წლიდან), პეტერბურგის კონსერვატორიის დოცენტი (1998 წლიდან). გაფორმებული აქვს 180-მდე სპექტაკლი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სანკტ-პეტერბურგის მარინის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ვარშავის დიდ თეატრში და სხვ. არის ავტორი ქანდაკებებისა: ჯ.ბალანჩინი (გ.ჯაფარიძესთან ერთად, 1997), პეტრე I (1998), „აფროდიტე" (1998) და სხვ; შექმნილი აქვს მოსკოვის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დეკ. ესკიზები (1998), ნიცის ავტოშოუს გაფორმება (1992), მონტე-კარლოში გამართული ჯ.პრეტრის, პ.დომინგოს, შოლტის კონცერტების გაფორმება რთული ჰოლოგრაფიული და ტელე-კინო-ვიდეო პროექტირების გამოყენებით (1989-92). მონაწილეობდა გამოფენებში: საქართველოს თეატრისა და კინოს მხატვართა გამოფენა, სეგ, თბილისი (1978), საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება, მოსკოვი (1987), საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, სეგ, თბილისი (1998) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, მოსკოვის ბახრუშინის თეატრალურ მუზეუმში, ნიუ-

იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში, სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრში და თეატრალურ მუზეუმში, მ.ბეჟარის, რ.რეიგანის, ე.კენედის, პ.ტრიუდოს, ნ.მაკაროვას, ო.ვინოგრადოვის, საფრანგეთის, მონტე-კარლოს, აშშ კერძო კოლექციებში. არის ხმელთაშუა ზღვის საერთაშორისო თეატრალური საზოგადოების გამგეობის წევრი (1971). საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1987), საქართველოს სახალხო მხატვარი. მიღებული აქვს ოქროს მედალი ვანკუვერის საერთაშორისო გამოფენაზე (1986), ნიუ-იორკის და ჩიკაგოს პრემიები ფილმ-ბალეტისათვის „მწირი" (1983), პრესის პრიზი სეზონის საუკეთესო სპექტაკლის გაფორმებისათვის: პოლონეთში (1977), საფრანგეთში (1987), აშშ-ში (1989). არის საქართველოს (1963), პოლონეთის (1973), რუსეთის (1997) მხატვართა, საქართველოს თეატრალურ მოღვანეთა (1987) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში "Who's Who" (IBC, 1997), „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000), ენციკლოპედიაში „რუსული ბალეტი"
**მისამართი:** *(ბინის) ს.ვირსალაძის 2. ბ.4. თბილისი. ტელ: 98-64-62./ლიგოვის პროსპექტი 126. სანკტ-პეტერბურგი. ტელ: 164-82-59.*



**ნატა მურვანიძე** მსახიობი. დაიბადა თბილისში 1970 წ. 18 თებერვალს. მშობლები: მაკა მახარაძე, თეიმურაზ მურვანიძე; მეუღლე — ნიკო თავაძე (1969); შვილი — დათა (1989). დაამთავრა თსუ-ი სამსახიობო ფაკ-ტი დრამატული თეატრისა და კინოს მსახიობის სპეციალობით (1991). შეასრულა მთავარი როლები სპექტაკლებში: რუსთაველის თეატრში კალდერონ დე ლა ბარკას „ცხოვრება სიზმარია" (როსაურა. რეჟ. რ.სტურუა, 1992), კინომსახიობთა თეატრში აკუტაგავას „ცხოვრება იდიოტისა" (ცზინ-ხუა. რეჟ.დ. დოიაშვილი, 1994), მარჯანიშვილის თეატრში: მილერის „სეილემის პროცესი" (მერი უორენი. რეჟ. თ.ჩხეიძე, 1994), „მეფე ლირი" (კორდილია. რეჟ. დ.დოიაშვილი, 1995), „ოცდამეთერამეტე" (ალფრედი, ოფელია, რეჟ. დ.ანდღულაძე. 1996), ა.ჩეხოვის „სამი და" (ირინა. რეჟ. დ.დოიაშვილი. 1995), ო.უაილდის „სალომეა" (სალომეა, რეჟ. დ.დოიაშვილი), ა.სტრინდბერგის „მამა" (ბერტა, რეჟ. თ.ჩხეიძე), ლ.ბუღაძის „დოქტორი ფრანკენშტაინი" (ფრაუ ბლუნერი, რეჟ. დ.საყვარელიძე), ჟ.ანუის „ანტიგონე" (ანტიგონე, რეჟ. თ.ჩხეიძე); კინოფილმებში: „მხოლოდ ერთხელ" (რეჟ. მ.ანასაშვილი, 1991), „იავნანა" (რეჟ. ნ.ჯანელიძე, 1992), „Odeon" (რეჟ. ს.ვახტანგოვი, 1992), „ძვირფასო M", (რეჟ. ო.შამათავა, 1995), „Fiesta" (1995), „მიტერიები" (რეჟ. მ.კალატოზიშვილი, ლენფილმი, რუსეთი), „მაგონია" (რეჟ. ი.სმიტსი, პოლანდია). არის გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (ფილმისთვის „იავნანა"), თეატრალური საზოგადოების პრემია ქალის საუკეთესო როლის საუკეთესო შესრულებისათვის სპექტაკლებში: „სეილემის პროცესი" (1994), „სამი და" (1995).
**მისამართი:** *(ბინის) ს.ვირსალაძის 2/4.თბილისი. ტელ: 98-64-62.*
**ჩემმა შვილმა იამაყოს ჩემით.**



**ვახტანგ მუსელიანი** სპორტსმენი, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი, მწვრთნელი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: გულნაზ საყვარელიძე, ალექსანდრე მუსელიანი; მეუღლე — ნინო დოლიძეილი (1962); შვილები: გიორგი (1991), ალექსანდრე-დაჩი (1993), ქეთევანი (1998). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1982), თსსა ქანდაკების განყ-ბა (1984). იყო სამართლის ინ-ტის ასპირანტი, მეცნიერ-თანამშრომელი (1986), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95). საქართველოს მკელავჭიდის ფედერაციის დამფუძნებელი, პრეზიდენტი, მთავარი მწვრთნელია 1988 წლიდან, თსუ ლექტორი—1994 წლიდან. არის ავტორი წიგნისა „რინგი 90", სტატიებისა კრივის, მკლავჭიდის და სპორტის სხვა სახეობებზე.
**ჰობი:** ქანდაკება, იტალიური ოპერა, რკინაზე მუშაობა, ძაღლები.
**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1, თბილისი 380020. (ბინის) დიდი დიღომი, I მ/რ, გიორგი ბრწყინვალეს I, ბ. 43. ტელ: 53-39-64, 23-31-61.*

ცხოვრება ძალიან ძნელია, ადამიანს უამრავი, ერთი შეხედვით, დაუძლეველი წინააღმდეგობები, პრობლემები ექმნება. ისინი შეიძლება შენს პიროვნებასთან ახლობელ ადამიანებთან, სამშობლოსთან იყოს დაკავშირებული. ცხოვრება დიდი ტკივილია, მძიმე ბრძოლაა. მთავარია ნებისყოფა. შეუპოვრობა. თუ ძალიან მოინდომებ, თუ მიზანი გაქვს, ძალების დაძაბვით ყველაფერს მიაღწევ, გაიმარჯვებ შენს თავზე. გამარჯვებას მოუტან სამშობლოს, ხალხს სიკეთეს და სიხარულს მიანიჭებ. თუ, რა თქმა უნდა, ღმერთის ნებაც იქნება. მთავარია სიკეთეს ემსახურო, თავდაუზოგავად იბრძოლო და ღმერთი აუცილებლად გაგამარჯვებინებს. ეს კი მთავარია.



**დავით მუსხელიშვილი** ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 19 ოქტომბერს. მშობლები: ელენე მუსხელიშვილი, ლევან მუსხელიშვილი; მეუღლე — ნანა მუსხელიშვილი (1930); შვილები: გიორგი (1954), ვახტანგი (1957). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1952). იყო ისტორიის და ეთნოგრაფიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1956-96). დირექტორია 1999 წლიდან. იყო ქსე უფროსი სამეცნიერო რედაქტორი (1972-82). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ციხე-ქალაქი უჯარმა" (1956), სადოქტორო — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები" (1973). არის ავტორია მონოგრაფიებისა: „ციხე-ქალაქი უჯარმა" (1966), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები" (I,1977, II,1980), „ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა" (1978); ღირსების ორდენის კავალერი (1998).
**ჰობი:** ჯაზური მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) პ.მელიქიშვილის 10. თბილისი 380079. ტელ: 99-06-82. (ბინის) დოლიძის 44. თბილისი. ტელ: 33-74-11.*

**სამართლიანობა, კაცთმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული.**



**დავით მუქერია** დირიჟორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 27 დეკემბერს. მშობლები: რუქაია ცინცაძე, ბორის მუქერია; მეუღლე — ლია ნიქაბაძე (1958); შვილები: თეა (1977), თამარი (1979). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია სპეციალობით — საოპერო-სიმფონიური დირიჟორობა (1985). არის ბათუმის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი (1987 წლიდან), ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრის მთავარი დირიჟორი წლიდან (1993). არის ბათუმის საოპერო თეატრის სპექტაკლების: „აბესალომ და ეთერის", „ლელას", „აიდას", „ოტელოს", ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონიის" (2000) დამდგმელი დირიჟორი. არის მ.ბაბაშიძისა (1994) და შ.რუსთაველის (1995) პრემიების ლაურეატი.
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(ბინის) პ.მელიქიშვილის 23. თბილისი 380079. ტელ: 29-33-50.*

**სიყვარული ღმერთის, ადამიანის და მუსიკის. თავდადებული შრომა და უსაზღვრო სიყვარული პროფესიისადმი. ძიება სილამაზისა ყველგან და ყოველში. თვითკრიტიკა, სამართლიანობა, პრინციპულობა, პატივისცემა კოლეგებისადმი. მოეუტანო ადამიანებს სიხარული და ბედნიერება ჩემი საქმიანობით.**



**კარლო მუშკუდიანი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ცაგერში 1945 წ. მეუღლე – ნანი ტვილდიანი (1946); შვილი – აკაკი (1979). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1969). იყო ცაგერის საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (1973-86), თბილისის 11-ე საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს (1986-88), ს/გ "თბილავტოგზის" (1988-93), კაპიტალური მშენებლობის განყ-ბის (1993-96) უფროსი. საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 99-63-05. (ბინის) ნუცუბიძის IV მ/რ, 13/58, თბილისი. ტელ: 32-03-78.*

**სამშობლოს ერთგულება, სიყვარული. ვაკეთებდი, ვაკეთებ და გავაკეთებ ყველაფერ კარგს ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ, დასახმარებლად. ამ რწმენით ვცხოვრობ, ვემსახურებ ხალხის ნდობასა და სიყვარულს, ვაღწევ წარმატებებს.**



**ლია მუხაშავრია** არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარე, ადვოკატი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ნელი შარია, სოსო მუხაშავრია. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989), ტემპლის (აშშ) სამართლის სკოლა (1995), ფრანკფურტის საბანკო აკადემია (1999). მუშაობს მთაწმინდის რ-ნის ადვოკატურაში 1990 წლიდან. დაიცვა მაგისტრის ხარისხი თემაზე: „გაეროს პროცედურა ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში“ (აშშ, 1995). არის თავისუფლების ინსტიტუტის, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის წევრი.
**ჰობი:** კინო, ალპინიზმი.
**მისამართი:** *(სამსახურის) სანკტ-პეტერბურგის 8. თბილისი 380012. ტელ: 95-16-33. ელ-ფოსტა: mukha-98@yahoo.com*

**იურისტი გავხდი არა იმიტომ, რომ დეტექტივები მიყვარდა. მაინტერესებდა, როგორ არის მოწყობილი საზოგადოება და სახელმწიფო, რას ეყრდნობა და რაზე დგას. სამწუხაროდ, ჩემი პროფესიის წყალობით ბევრი ისეთი რამ გავიგე, რასაც სხვაგვარად ვერ ვისწავლიდი და ადამიანურად უფრო ბედნიერი და ხალასი ვიქნებოდი. ვფიქრობ, არაფერი მოდის შრომის გარეშე. უბრალოდ, ისე უნდა იშრომო, რომ შენც გსიამოვნებდეს და არც სხვებისთვის იყოს მძიმე. მწამს სიკეთის უძლეველობის, მაგრამ ვფიქრობ, რომ სიკეთისა და ბოროტების ბალანსის დასაცავად საჭიროა თითოეულისგან გამოკვეთილი გარჯა.**



**გურამ მჭედლიძე** პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: ლუბა წვერავა, ანდრო მჭედლიძე. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1954). იყო პალეობიოლოგიის ინ-ტის უმცროსი (1958-66), უფროსი (1966-78) მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის ხელმძღვანელი (1978-79), დირექტორის მოადგილე (1979-89). დირექტორია 1989 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კავკასიის ნამარხი ვეშაპისმაგვარები“ (1962); სადოქტორო — „ვეშაპისმაგვართა პალეობიოლოგიური ისტორიის ძირითადი თავისებურებები“ (1973). არის 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის „Китообразные Кавказа“ (1964, ინგლისურ ენაზე — 1988), „Некоторые общие черты истории китообразных“ (თბილისი, 1970), „General Features of the Paleobiological Evolution of Cetacea“ (Washington, 1984), Fossil Cetacea of Caucasus (Washington, 1988). არის აშშ ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის საზოგადოების წევრი (1974 ).
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) პალეობიოლოგიის ინ-ტი. ნიაღვრის 4. თბილისი 380008. ტელ: 93-12-82. ელ-ფოსტა: Guram@paleobi.acnet.ge (ბინის) კერესელიძის 1. თბილისი 380008. ტელ: 93-53-97.*

**ერთგულება, შემწყნარებლობა, კეთილსინდისიერება, ადამიანის უფლებების დაცვა, მეცნიერული კვლევისადმი ინტერესი.**



**ნანა მჭედლიძე** კინორეჟისორი. დაიბადა ხონში 1926წ. 20 მარტს. მშობლები: ბარბარე ფარცხალაძე, ბიძინა მჭედლიძე; შვილი — მაგდანა (1961). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1956) და სარეჟისორო (1960) ფაკ-ტები. არის რეჟისორი ფილმებისა: „მოდის მატარებელი“, „აეროპორტი“, „გზაში“, „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“, „დიდედები და შვილიშვილები“, „პირველი მერცხალი“, „ნამდვილი თბილისელი“, „იმერული ესკიზები“, „უკვდავების თეთრი ვარდი“ და სხვ. არის ავტორი წიგნისა „მხიარული მოთხრობები“.
**მისამართი:** *(ბინის) ანტონოვსკაიას 9ბ. თბილისი. ტელ: 39-40-71.*

# ნ



**ლიკა ნადარაია** „ფემინისტური კლუბის" პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 31 მაისს. მშობლები: ჟუჟუნა ხუნდაძე, ნუგეშა ნადარაია; მეუღლე — ოთარ მჟავანაძე (1951); შვილი — ნანა (1982). დაამთავრა თსუ ფსიქოლოგია-ფილოსოფიის ფაკ-ტი (1978). იყო ნევროლოგიის ინ-ტის ფსიქოლოგი (1978-81), კარდიოლოგიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1981-89), გაიარა სტაჟირება აშშ-ში (1989-90). იყო ამერიკული ბიზნეს-სკოლის დირექტორი (1991-92), კინოსტუდია „ორბის" დირექტორი (1992-93), მოსკოვის ქალთა კლუბის პრეზიდენტი (1993-95), მე-3 ბავშვთა საავადმყოფოს ფსიქოლოგი (1996-97). არის ასოციაცია „ინტერკულტურის" თავმჯდომარე (1998 წლიდან), „ქალთა პოლიტიკური ქსელის დამაარსებელი (1999), თსუ პოლიტოლოგიის კათედრის თანამშრომელი, კითხულობს ლექციების კურსს „ქალი და პოლიტიკა" (2000), „ქალთა კოალიციის" ერთ-ერთი დამფუძნებელი (2000), „ქალთა პოლიტიკური ფორუმის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფორუმის დელეგატი (მანილა, ფილიპინები, 2000). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „როზენცვაიგის ფრუსტრაციის საკვლევი ტესტის ადაპტაცია და მისი გამოყენება ფსიქოსომატური პათოლოგიების დროს" (1997). მონაწილეობდა ფემინისტურ აქციებში (1986-89), გაეროში წარადგინა ანგარიში ქალთა მდგომარეობის შესახებ საქართველოში (1999), გაეროში გამოვიდა მოხსენებით „კვოტების სისტემა საბჭოთა პერიოდში" (2000).

ჰობი: ვაკის პარკში ვარჯიში.

**მისამართი:** *თაყაიშვილის 3. თბილისი 380079. ტელ: 22-40-18. ელ-ფოსტა: Femclub@yahoo.com.*

**ადამიანი! მისი უფლებანი და თავისუფლებანი. და ამის დასაცავად ყოველდღიური ბრძოლა. ნონკონფორმიზმი. მიყვარს წინააღმდეგობის გადალახვა.**



**ზურაბ ნადარეიშვილი** კომპოზიტორი, კინოსტუდია „კვალის" მუსიკალური რედაქტორი. დაიბადა ფოთში 1957 წ. 4 იანვარს. მშობლები: ლეილა აბუევა, ზურაბ ნადარეიშვილი; მეუღლე — ნინო შავდია (1963); შვილები: ნუცა (1986), გიორგი (1987). დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1978), თბილისის სახ. კონსერვატორიის კომპოზიციის ფაკ-ტი (1987). იყო „ქართული ფილმის" მუსიკალური განყ-ბის ხმის ოპერატორი (1987-89), თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებლის (1989-93), კონსერვატორიის პედაგოგი (1993 წლიდან). კინოსტუდია „კვალის" მუსიკალური რედაქტორია 1996 წლიდან. არის ავტორი საფორტეპიანო და ინსტრუმენტული პიესებისა, ვარიაციებისა ფორტეპიანოსთვის (1986), ოთხი პიესისა სიმებიანი კვარტეტისთვის (1986), სიმებიანი კვარტეტისა (1987), სიმფონიური პოემისა (1989), „საგალობლების" ინსტრუმენტული ანსამბლისთვის (1990), მუსიკისა კინოსა და ანიმაციური ფილმებისთვის, სპექტაკლებისთვის. მიღებული აქვს სსრკ ახალგაზრდა კომპოზიტორთა კონკურსის I პრემია (1987), საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პრემია საფორტეპიანო ტრიოსთვის (წლის საუკეთესო ნაწარმოები, 1993), III პრემია მოსკოვის პროკოფიევის სახ. საერთაშორისო კონკურსზე (ვარიაციები ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, 1997). არის კომპოზიტორთა კავშირის (1987), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის (1989) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში International Who's Who in Music and Musicians' Directory (IBC, 17-th ed.).

**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 123, თბილისი 380002. ტელ: 94-29-50. (ბინის) ჩიქოვანის 20, ბ.41. თბილისი 380071. ტელ: 33-03-75.*

**„არასოდეს არ გადასდო ხვალისთვის ის, რისი გაკეთებაც შეგიძლია... ზეგ!"**



**თამაზ ნადარეიშვილი** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, გენერალ-მაიორი. დაიბადა გაგრაში 1954წ. 19 ივლისს. მშობლები: ალექსანდრა შენგელაია, ვლადიმერ ნადარეიშვილი; მეუღლე — ლელა ყურაშვილი (1956); შვილები: ანა (1979), ვლადიმერი (1980). იყო თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი (1971-75). დაამთავრა სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1981). იყო გაგრის უშიშროების კომიტეტის სამთავრობო კავშირგაბმულობის განყ-ბის თანამშრომელი (1974-79), კპ გაგრის ქალაქკომის ინსტრუქტორი, განყ-ბის გამგე, II მდივანი (1979-90), საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-92), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1991), თავმჯდომარის I მოადგილე (1992), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95), აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე (1992-93), საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მრჩეველი (1993), მინისტრთა კაბინეტის ვიცე-პრემიერი (1993-95). აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრია 1995 წლიდან, პარლამენტის წევრი — 1999 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ეთნიკური წმენდა და გენოციდი, აგრესიული სეპარატიზმის იარაღი" (2000). არის ავტორი წიგნებისა: „გენოციდი აფხაზეთში" (ნათარგმნია რუსულ, ინგლისურ ენებზე), „აფხაზეთის ტრაგედიის დოკუმენტური კრებული", „შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ", „აფხაზეთი ომამდე და ომის შემდეგ"; არის 4 მონოგრაფიის, 22 სამეცნიერო ნაშრომის, მრავალრიცხოვანი საგაზეთო პუბლიკაციის ავტორი. დაჯილდოებულია ვ.გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993), მსოფლიო საერთაშორისო ინფორმატიზაციის აკადემიის (1997), აფხაზეთის აკადემიის (1998) აკადემიკოსი, გ.შარვაშიძის პრემიის ლაურეატი (1998). არის „აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის" თავმჯდომარე (1999).
*მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 98-57-48. ფაქსი: 99-71-03.*

**ჩემი წინაპრები აფხაზეთის თავადები იყვნენ, ამიტომაც გენეტიკურად სისხლში მქონდა გამჯდარი აფხაზეთისადმი განსაკუთრებული სიყვარული და რამდენადაც შემეძლო ნებისმიერ თანამდებობაზე ყოფნისას ვცდილობდი რაღაც სასიკეთო გამეკეთებინა ჩემი მხარისთვის. პროფესიით ისტორიკოსმა კარგად ვიცი ჩემი სამშობლოს — საქართველოს ისტორია. მუდამ ერთიანი, ძლიერი საქართველო იყო ჩემი სალოცავი ხატი, ამიტომაც პრინციპულ წინააღმდეგობას ვუწევდი სეპარატისტთა საქმიანობას.**



**კიაზო ნადარეიშვილი** ფიზიოლოგი, რადიობიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი. დაიბადა სენაკში 1930 წ. 14 იანვარს. მშობლები: ლუბა გოთოშია, შალვა ნადარეიშვილი; მეუღლე — ლატავრა ფოჩიანი (1939). დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემია (1953). იმყოფებოდა გერმანიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარში მედიცინის სამსახურის ოფიცრის სხვადასხვა თანამდებობაზე (1953-57). იყო ფიზიოლოგიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1957-60), ლაბორატორიის, სექტორის და განყოფილების გამგე (1960-76), ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1976-90). რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრის დირექტორია 1990 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია: „რადიაციის გულსისხლძარღვთა სისტემაზე გავლენის საკითხები" (მოსკოვი, 1966). არის 200-ზე მეტი ნაშრომის ავტორი (მათ შორის 12 მონოგრაფია, 5 გამოგონება). მოამზადა 7 მეცნიერებათა დოქტორი. ითვლება ქართული რადიოლოგიური სკოლის ფუძემდებლად. არის სამი სამეცნიერო საზოგადოების დამაარსებელი და უცვლელი თავმჯდომარე: რადიობიოლოგიის (1968), „ბიო-სამედიცინო ტექნიკური საზ-ბის" (1968), „ეკოლოგიის" (1989); მათი პერიოდული გამოცემების — „რადიაციული გამოკვლევები" (გამოდის 1971 წლიდან), „ბიომედტექნიკა" (გამოდის 1970 წლიდან), „ეკო-

ლოგიური პრობლემები" (გამოდის 1990 წლიდან) — დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. არის „ეკოლოგიური საზოგადოების" ბაზაზე შექმნილი „ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის" პრეზიდენტი (1995), ღირსების ორდენის კავალერი (1999); ABI-ის მიერ დასახელებულია "წლის ადამიანად" (აშშ, 1997), დაჯილდოებულია „ოქროს ჩანაწერით" საერთაშორისო საზოგადოებისათვის გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის (1997), „ათასწლეულის ღირსების ოქროს მედლით" (2000).
**ჰობი:** ელექტრონული ტექნიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თელავის 51. თბილისი. ტელ: 74-54-42, 94-20-17. (ბინის) გ.მუხაძის 6, ბ. 2. თბილისი. ტელ: 22-32-44.*

**სიკეთე. სამეცნიერო და არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის ოპერატიულად მოპოვება და სამეცნიერო პრაქტიკაში გამოყენება.**



**შოთა ნადირაშვილი** ფსიქოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფსიქოლოგიის ინ-ტის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1926 წ. 26 ივნისს. მშობლები: თამარ ბერიშვილი, ალექსანდრე ნადირაშვილი; მეუღლე — ქეთევან ცინცაძე (1932); შვილები: დიმიტრი (1961), ალექსანდრე (1964). დაამთავრა თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1944). იყო თსუ ასისტენტი, უფროსი ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი (1952-84); ფსიქოლოგიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის გამგე, დირექტორის მოადგილე. დირექტორია 1956 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთობა" (1956), სადოქტორო — „განზოგადების ოპერაციის განვითარება სასკოლო ასაკში" (1964). არის 150 სამეცნიერო სტატიის, 14 მონოგრაფიისა და ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს ავტორი, მათ შორის: „განზოგადების განვითარება სასკოლო ასაკში", „პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია", „აღქმის ფსიქოლოგიური პრობლემები", "Понятие установки в общей и социальной психологии", „განწყობის ფსიქოლოგია" (2 ტომი), "Деятельность и установка", "შეჯიბრების ფსიქოლოგია", „გავლენის ფსიქოლოგია" და სხვ. არის დ.უზნაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკის ფირფიტების შეგროვება.
**მისამართი:** *(სამსახურის) ფსიქოლოგიის ინ-ტი. იაშვილის 22. თბილისი 380005. ტელ:93-24-54. (ბინის) სარაჯიშვილის III ჩიხი 5. თბილისი. ტელ: 98-22- 68.*

**ჩემი ცხოვრების ძირითადი საქმიანობა მეცნიერების სამსახური და ახალგაზრდობის ეროვნული ორიენტაციით აღზრდა იყო. ამ ამოცანების სამსახური ცხოვრების მრავალ სიკეთეზე უარის თქმას მოითხოვდა. ბევრი სიძნელე, რომლებიც ამის გამო მქონდა ცხოვრებაში, ადვილად გადავიტანე, რადგან ასე ცხოვრობდნენ ჩემი მასწავლებლები და მშობლები. მე მეამაყებოდა, რომ მათ გზას მივყვებოდი. ამ მიმართულებით მალე ბევრი მიმდევარი და თანამშრომელი შევიძინე. მაგრამ ჩემთვის მაინც მოულოდნელი იყო იმის აღმოჩენა, რომ საზოგადოება თურმე აფასებს ადამიანებს, რომლებიც ასეთი ორიენტაციით ცხოვრობენ. ბოლო ხანებში საზოგადოებისგან დიდი სითბო და პატივისცემა ვიგრძენი.**



**ელდარ ნადირაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. დაიბადა საჩხერეში 1949 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: თებრო წერეთელი, შალვა ნადირაძე; მეუღლე — ნანი გელოვანი (1955); შვილი — თებრო (1980). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი. იყო თსუ ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყ-ბის გამგე. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "საქართველოს მემორიალური კულტურა" (1998). არის ავტორი ნაშრომებისა "ხალხური ქვითხუროობა დასავლეთ საქართველოში" (1989), "მსოფლიოს რელიგიები" (თსუ 1995), "საქართველოს ზოომორფული ძეგლები" (თსუ 1996), "მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა" (თსუ 1996).
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4, ბ. 4, თბილისი.*

**ოჯახის სიწმინდე, სამშობლოსათვის თავდადება, მოვალეობის გრძნობა.**

**მაია ნადირაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 1 იანვარს. მშობლები: ნანა მათიაშვილი, ჯურხა ნადირაძე; მეუღლე – ზურაბ ჩიკვილაძე (1959); შვილები: ნუცა (1982), თამარი (1988). დაამთავრა თსუ ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1983). იყო ფსიქოლოგიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1984-87), გამოყენებითი ფსიქოლოგიის კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი (1989 წლიდან), საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის პრეს-მდივანი (1995-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1995).
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-16-91. (ბინის) თამარაშვილის 21, თბილისი. ტელ: 99-02-19.*
როგორც ადამიანი, დარწმუნებული ვარ, რომ სიმართლე არასდროს მარცხდება; როგორც პოლიტიკოსი, ვებრძვი მათ, ვინც თვლის, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა.



**როზა ნადირიანი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1956 წ. 8 ოქტომბერს. მშობლები: ქნარი ნადირიანი, ბორის ნადირიანი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1980). იყო საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი (1985-99), ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლე (1999-2000). საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა 2000 წლიდან.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 99-90-87.*
სიკეთე, სამართლიანობა.



**ნუგზარ ნავაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „სოციალისტის" თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა ხარაგაულში 1949 წ. 6 მარტს. მშობლები: ანიკო ნავაძე, ვლადიმერ ნავაძე; მეუღლე — ლამარა კურტანიძე (1949); შვილები: ნიკა (1974), კახა (1975). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1978). იყო N1 ავტოშემკეთებელი ქარხნის კონტროლიორი, ოსტატი, ინჟინერი (1969-75), კომკავშირის ცკ-ის ინსტრუქტორი, ხარაგაულის კპ რაიკომის I მდივანი (1975-78), გაზეთის რედაქტორის მოადგილე (1978-79), მარელისის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი (1979-81), „საქავტორემონტის" მთავარი ინჟინრის მოადგილე (1981), პარტკომის მდივანი (1981-83), თბილისის საავტობუსო გაერთიანების გენერალური დირექტორი (1983-87), თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების უფროსის I მოადგილე (1987-90), უფროსი (1990-94), „თბილტრანსის" თავმჯდომარე (1994-95). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის ავტორი წიგნებისა: „ერთი რაიონის ახალგაზრდობა" (1978), „ხარაგაულის ახალგაზრდული ორგანიზაციის სახელოვანი გზა" (1978), „ერთი წუთით შეჩერდი, მგზავრო" (1979), „მერანი-91"; დოკუმენტური ფილმის სცენარისა „ოდილა" (1999). დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის" (1986). იყო სკკპ წევრი (1973-90). არის საქართველოს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე (1999).
ჰობი: ქართული მუსიკა, სპორტი — განსაკუთრებით ფეხბურთი; შვილიშვილთან ერთად ყოფნა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-02-77. ფაქსი: 92-21-99. (ბინის) წერეთლის 55. კორპ. 1. თბილისი 380054. ტელ: 95-72-93.*
შრომისმოყვარეობა, მინდობილი საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა, ერთგულება, უდიდეს პატივს ვცემ პროფესიონალიზმს და პროფესიონალებს. ვერ ვიტან ტყუილს. იდეალია კაცი, რომელიც უხმაუროდ აკეთებს საქმეს, პირად ინტერესს არ აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივზე მაღლა, ახსოვს, რომ სხვებიც არიან და ბევრს ყურადღება სჭირდება. კმაყოფილებას მგვრის ის, რომ საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში ჩემ კოლეგებთან ერთად შექმნილმა გუნდმა „მერანი-91" 5 წელიწადში წარმატებით იასპარეზა ევროპულ ტურნირში. ჩემი სურვილი და ოცნება საქართველოს გამთლიანებაა.



**ამირან ნაკაშიძე** იურისტი, აჭარის არ იუსტიციის მინისტრი. დაიბადა ბათუმში 1945 წ. 10 ივლისს. მშობლები: ხაჯირ ნაკაშიძე, ფაიკ ნაკაშიძე; მეუღლე – ნანი ნაკაშიძე (1951). დაამთავრა ყუბანის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი. იყო აჭარის არ პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოს წევრი, ქობულეთის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე, ქობულეთის რ-ნის პროკურორი (1982-88), აჭარის არ პროკურორი (1988-90). აჭარის არ იუსტიციის მინისტრია 1990 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 6, ბათუმი 384500. ტელ: 7-35-90. (ბინის) მაზნიაშვილის 3, ბ. 4, ბათუმი. ტელ: 7-55-15.*



**მიხეილ ნანეიშვილი** ფილოსოფოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის პრივატიზაციისა და სატენდერო საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1934 წ. 12 ივლისს. მშობლები: აგრაფინა კალანდაძე, ალექსანდრე ნანეიშვილი; მეუღლე – მზია კეკელიძე (1951); შვილი – რატი (1971). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის ფორტეპიანოსა და თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის (1963) ფაკ-ტები. იყო რუსთავის მუსიკალური ტექნიკუმის პედაგოგი, ქართული ლიტერატურის ინ-ტის ლაბორანტი, ფილოსოფიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარე, საპარლამენტო ლიბერალური ფრაქციის თავმჯდომარე (1992-95), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; ლიბერალიზმის ინ-ტის დირექტორი (2001 წლიდან).
**ჰობი:** წიგნების კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-12-61. (ბინის) კოსტავას 41, თბილისი. ტელ: 93-28-32.*
**დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო.**



**შალვა ნათელაშვილი** საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის თავმჯდომარე. დაიბადა დაბა ფასანაურში (დუშეთის რ-ნი) 1958 წ. 17 თებერვალს. მშობლები: დარეჯან წიკლაური, ამბროსი ნათელაშვილი; მეუღლე—ბელა ალანია (1963); შვილები: ბექა (1993), დარეჯანი (1995). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1981), სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა (მოსკოვი, 1989). იყო საქართველოს პროკურატურის სტაჟიორი, გამომძიებელი, განყ-ბის პროკურორი, უფროსი პროკურორი, პარტკომის მდივანი, საერთაშორისო ურთიერთობათა განყ-ბის უფროსი (1981-92), პარლამენტის წევრი (1991-92, 1992-95, 1995-99), საპარლამენტო ფრაქცია „ლეიბორისტის" თავმჯდომარე და პარლამენტის ბიუროსა და კოლეგიის წევრი (1995-99), საქართველოს კონსტიტუციის სარედაქციო საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე (1995). იყო კოალიცია „ერთიანი საქართველოს" თანათავმჯდომარე, პოლიტიკური ორგანიზაცია „სახელმწიფო სამართლებრივი გაერთიანების" თავმჯდომარე. არის იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი (1993), საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი (1998).
**ჰობი:** ასტრონომია, შინაური და გარეული ცხოველები, დეკორატიული მებაღეობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჯავახიშვილის 88. თბილისი 380012. ტელ: 94-39-22. ფაქსი: 94-29-22. (ბინის) ნუცუბიძის პლატო IV მ/რ. კორპ.10ბ. ბ.76. თბილისი. ტელ: 34-88-11.*
**ყველგან და ყოველთვის ვაკეთო მხოლოდ სიკეთე.**



**ვახტანგ ნანიტაშვილი** ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 21 ივნისს. მშობლები: ლილი ვასაძე, ბორის ნანიტაშვილი; მეუღლე — ნანა ჭარხალაშვილი (1950); შვილები: ნატო (1981), ნუცა (1988). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1973). იყო საქართველოს ტელერადიოკორპორაციის უმცროსი რედაქტორი, პასუხიმგებელი მდივანი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი (1969-92). საქართველოს რადიოს

გენერალური დირექტორია 1992 წლიდან. არის ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, ჟურნალისტთა რამდენიმე პრემიის მფლობელი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით. არის ავტორი საგაზეთო წერილებისა, რადიო და ტელეგადაცემებისა, პროგრამა „პიკის საათის“ ერთ-ერთი დამაარსებელი (გ. ლეჟავასთან ერთად, 1979).
**ჰობი:** მუსიკა (ბახიდან ოფენბახამდე), ფეხბურთი, თევზაობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი 380071. ტელ: 36-83-62. ფაქსი: 99-76-07. (ბინის) ზანდუკელის 13. თბილისი. ტელ: 99-92-75.*

**უღალატობა. კომპეტენტურობა. პროფესიონალიზმი. სიახლისადმი ლტოლვა. სენტიმენტალიზმი.**



**ვალერი (ვლადიმერ) ნანობაშვილი** საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის და ინფორმაციის ცენტრის (ITIC) თავმჯდომარე. დაიბადა სიღნაღში 1963 წ. 29 აგვისტოს. მშობლები: ნანული ქოქიაშვილი, ზაურ ნანობაშვილი; მეუღლე — მარინე ალადაშვილი (1967); შვილები: თამუნა (1993), ნანა (1998). დაამთავრა სპი ელექტრონიკა-ელექტრომექანიკის ფაკ-ტი (1988), უცხო ენათა ინ-ტი (1986). იყო ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის ინჟინერი (1988-91), ელექტროოპტიკური ლაბორატორია „ეოლის“ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1991-92), საკაბელო ტელევიზია „VII არხის“ ტექნიკური განყოფილების უფროსი (1992-93), შპს ტელეკომუნიკაციის ცენტრ „სიტეკოს“ დირექტორი (1993-95), ამერიკული ორგანიზაცია ISAR-ის ტექნიკური მენეჯერი (1995-96). საერთაშორისო ტელეკომუნიკაციის და ინფორმაციის ცენტრის თავმჯდომარეა 1996 წლიდან. მონაწილეობდა 21-ზე მეტი პროექტის განხორციელებაში (დამფინანსებლები: ISAR, სოროსის ფონდი, ევრაზიის ფონდი და სხვ. 1995 წლიდან). ITIC ფარგლებში გამოსცა დონორებისა და საინვესტიციო ფონდების ცნობარები (1997-98). არის საქართველოს ახალგაზრდა ინჟინერთა ასოციაციის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი (1996).
**ჰობი:** მუსიკა, მოგზაურობა, ფილმები, რადიოტექნიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) 26 მაისის მოედანი 2. თბილისი 380002. ტელ: 33-04-25, ტელ/ფაქსი: 98-77-97. ელ-ფოსტა: n@access.sanet.ge (ბინის) გლდანის მასივი, მე-3 მ/რ. კორპ. 6. ბ. 41. თბილისი. ტელ: 52-72-89.*

**პრინციპები: ნაკლები ლაპარაკი, მეტი საქმე, პროფესიონალიზმი, ერთგულება და არჩეული საქმის სიყვარული, დისციპლინა და მობილიზებულობა. მიზნები: წინსვლა და განვითარება როგორც ინდივიდუალური, ასევე ორგანიზაციული, საქართველოს ისეთი მომავლის აშენება, სადაც ნებისმიერ ადამიანს ნორმალურად ეცხოვრება.**



**მანანა ნასარიძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1958 წ. 4 თებერვალს. მშობლები: ალევტინა ნასარიძე, ნოდარ ნასარიძე; შვილი — თეა (1979). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1981). იყო სხვადასხვა დაწესებულების იურისკონსულტი (1981-89), სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრი (1989 წლიდან), უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი (1991-97), თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (1998-99). თბილისის საოლქო სასმართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, 53-09-17. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვპ. კორ. 1. ბ.79. თბილისი.*

**ალბათ ძირითადი პრინციპი, რომლითაც ეხელმძღვანელობ, არის პასუხისმგებლობა პირველ რიგში საკუთარი თავის და სინდისის წინაშე, რამაც, ვფიქრობ, განაპირობა ჩემი საქმიანი წარმატება. ცხოვრებაში ეცდილობ მივდიო პრინციპს: მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა მოგექცნენ შენ.**

**პეტრე ნასყიდაშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სელექციური მიღწევების გამოცდის და დაცვის ინსპექციის უფროსი, დოქტორი, პროფე-



სორი. დაიბადა სოფ. ვალეში (ახალციხის რ-ნი) 1928 წ. 27 ნოემბერს. მშობლები: სალომე მერაბიშვილი, პავლე ნასყიდაშვილი; მეუღლე — დალი აბულაძე (1939); შვილები: ია (1958), მაკა (1961). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი (1952). იყო აგრარული უნივერსიტეტის გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრის ასპირანტი (1952-56), ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი (1956-59), ასისტენტი (1959-61), დოცენტი (1961-77), აგრონომიული ფაკ-ტის დეკანი (1974-79), აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი (1983-95). გენეტიკისა და სელექცია-მეთესლეობის კათედრის გამგეა 1973 წლიდან, პროფესორი — 1977 წლიდან, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სელექციური მიღწევების გამოცდისა და დაცვის ინსპექციის უფროსია 1995 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ხორბლის სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციით სასელექციო საწყისი მასალის შექმნა" (1974). არის 10 წიგნისა და 420 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ავტორი და თანაავტორია სოფლის მეურნეობაში გასავრცელებლად დაშვებული ხორბლის, ქერის, სიმინდის და სხვა კულტურათა 11 ჯიშისა და ჰიბრიდის. არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1983), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1990), საპატიო ნიშნის (1980) და ღირსების (1997) ორდენების კავალერი, სელექციონერთა და გენეტიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი (1998).

ჰობი: კინო, მხატვრული ლიტერატურა.

მისამართი: *(სამსახურის) ჭავჭავაძის 17. თბილისი 380079. ტელ: 22-11-84, 29-46-91. (ბინის) ნუცუბიძის ფერდ. V მ/რ. კორპ. 1. ბ. 15. თბილისი 380085. ტელ: 32-71-51.*

**ჩემი მეცნიერებაში სწრაფვა განაპირობა პროფესორ ნიკოლოზ ლაჭყეპიანის და პროფესორ ლეონიდე დეკაპრელევიჩის პირადმა მაგალითმა.**



**პაატა ნაცვლიშვილი** ჟურნალისტი, გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1952 წ. 16 ოქტომბერს. მშობლები: ეთერ მეხაშიშვილი, თეიმურაზ ნაცვლიშვილი; მეუღლე — ნინო სხირტლაძე (1967); შვილი — თეონა (1986). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის განყ-ბა (1974), ხელოვნების ფაკ-ტი (1976). იყო გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" ლიტმუშაკი (1974-76), „ახალგაზრდა კომუნისტის" კორესპონდენტი (1976-78), ჟურნალ „მართვეს" ლიტმუშაკი (1978-84), საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შორეული ნაოსნობის მატროსი (1980-84), საქართველოს რადიოს ახალგაზრდული პროგრამების რედაქციის მთავარი რედაქტორი (1984-85), „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორი (1985-88), კავშირგაბმულობის სამინისტროს სახ. საგადასახადო ნიშნების გამოშვების მუდმივმომქმედი კომისიის წევრი (1993-2001). გაზეთ „სამშობლოს" რედაქტორია 1988 წლიდან. სხვადასხვა დროს იყო გაზეთ „ნატვრისთვალის" რედაქტორი, საქართველოს ტელევიზიის შემოქმედებითი გაერთიანება „სხივის" მთავარი რედაქტორი (1994), „ახალი ქართული გაზეთის" მთავარი რეჟისორი (1998). ცნობილია, როგორც უნივერსალური ტიპის ჟურნალისტი. მისი რედაქტორობით გამოიცა პირველი ფერადი და კომპიუტერული გაზეთები საქართველოში. არის ავტორი წიგნებისა: „ქაღალდის წერო" (1981), „ადით, ბიჭებო, ჯომოლუნგმაზე!" (1983), „მოგზაურობა არგოთი" (1985), „ბედნიერი ჭირისუფალი" (1986), „ქაღალდის წერო-6" (1986), „საქართველოს მიწა" (1994), ლექსების კრებულებისა: „სიყვარულის დასაწყისი" (1986), „სიყვარულის გაგრძელება" (1993), „სიყვარულის დასასრული" (2001); ფოტოალბომებისა „ვენეცია" (2000), „სანფრანცისკო" (2000). მისი ლექსები თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. მუშაობს პროზაში, დრამატურგიასა და მხატვრულ თარგმანში. მისი საზღვარგარეთული რეპორტაჟები და შთაბეჭდილებები უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სისტემატურად გადაიცემა საქართველოს ტელევიზიით, იბეჭდება პრესაში. იყო სეოკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ვიცე-პრეზიდენტი (1981-96). არის ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციისა და სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, „პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობის" (1993), კულტურული ოლიმპიადის საქართველოს ეროვნული კომიტეტის (1999) დამფუძნებელი და პრეზიდენტი; მრავალმხრივი ინტერე-

სების მქონე კოლექციონერი, ბიბლიოფილი და ფილატელისტი. არის სამარკო საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი საქართველოში, მას ეკუთვნის 50-ზე მეტი ქართული საფოსტო მარკის დიზაინი. არის საქართველოს ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოციაციის პრეზიდენტი, ილენის უცხოეთში დაცული ქართული სიძველეების გამოვლენის, შესწავლისა და საქართველოში ჩამოტანისათვის. არის ღირსების ორდენის კავალერი (1999).

**ჰობი:** მოზაურობა, ფილატელია.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 42. თბილისი 380008. ტელ: 93-56-25. ფაქსი: 93-68-44. (ბინის) მარჯანიშვილის 2. თბილისი 380002. ტელ: 96-30-03.*



**გიორგი ნაჭყებია** საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი. დაიბადა სოფ. ლიაში (წალენჯიხის რ-ნი) 1927 წ. 19 დეკემბერს. მშობლები: ზინა სამუშია-ნაჭყებია, ბაგრატ ნაჭყებია; მეუღლე – თინა ნაჭყებია (1927); შვილები: მედეა (1955), გიორგი (1956). დაამთავრა სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1954), პარტიული სკოლა (1957). იყო საშ. სკოლის პედაგოგი (1945-50), წალენჯიხის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე (1950-54), გაზეთ "კომუნისტის" განყ-ბის გამგე და რედკოლეგიის წევრი (1957-72), წალენჯიხის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1972-73), წალენჯიხის რაიკომის I მდივანი (1973-80), გაზეთ "კომუნისტის" რედაქტორის I მოადგილე (1980-85), საქართველოს მთავლიტის უფროსის I მოადგილე (1986-90), ბეჭდეით სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი (1990-92). სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახ. ინსპექციის უფროსია 1992 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "რუსული ბონაპარტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 1917 წ." (1971). არის 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 300-ზე მეტი საგაზეთო სტატიის ავტორი; საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი (1970). დაჯილდოებულია საბჭოთა ორდენებით, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1999), საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 5 საპატიო სიგელით. არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1957).

**ჰობი:** წიგნების კითხვა, ცხენოსნობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 28, თბილისი 380008. ტელ: 93-25-35. (ბინის) საბურთალოს 35, თბილისი. ტელ: 38-77-02.*

**ვებრძოლო ბოლომდე უსამართლობას. ვცდილობ, რითაც შემიძლია დავეხმარო დაჩაგრულ ადამიანს. მინდა ვნახო ყოველ ადამიანში მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე.**

**გიორგი (გია) ნახუცრიშვილი** ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 1 ივნისს. მშობლები: მარიამ აბაშიძე, შალვა ნახუცრიშვილი; მეუღლე — ციალა ძოწენიძე (1933); შვილები: მაია (1964), გიორგი (1971). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1956). იყო ბოტანიკის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1959-61), სწავლული მდივანი (1961-66), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1966-73), მცენარეთა ეკოლოგიის განყ-ბის გამგე (1973 წლიდან). დირექტორია 1982 წლიდან. იყო თსუ დოცენტი (1967-82). პროფესორია 1982 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ცენტრალური კავკასიონის მაღალმთის მცენარეულობის და ფიტოცენოზების ეკოლოგია" (1972). ავტორია სამეცნიერო ნაშრომებისა: „ცენტრალური კავკასიონის მაღალმთის მცენარეთა და ფიტოცენოზების ეკოლოგია" (I ტ. 1971, II ტ. 1974), „საქართველოს მცენარეულობა" (ინგლისურ ენაზე, 1999), „კავკასიის სუბნივალური მცენარეულობა" (ინგლისურ ენაზე, 1998). არის საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების პრეზიდენტი (1983), ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1986).

**მისამართი:** *(სამსახურის) ბოტანიკის ინ-ტი. კოჯრის შოსე 1. თბილისი 380007. ტელ: 99-77-46. ფაქსი: 00-10-77. ელ-ფოსტა: gia_n@usa.net (ბინის) ირ.აბაშიძის 20. თბილისი 380079. ტელ: 22-67-67.*



**გიორგი ნემსაძე** საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი. დაიბადა თბილისში 1972 წ. 10 მაისს. მშობლები: მარიამ ნემსაძე, ვაჟა ნემსაძე; მეუღლე — რუსუდან ნემსაძე (1971); შვილები: ვაჟა (1990), თორნიკე (1992), სოფიო (1998). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1995). იყო თბილისის „დინამოს" (1988-91, 1993-95), ლანჩხუთის „გურიას" (1991-92), თბილისის „შევარდენის" (1992-93), გერმანიის „ჰომბურგის" (1995-96), თურქეთის „ტრაბზონსპორის" (1996-97), შვეიცარიის „გრასჰოპერის" (1997-98), იტალიის „რეჯანის" (1999-2000) ფეხბურთელი. არის შოტლანდიის გუნდ „დენდის" ნახევარმცველი (2000 წლიდან), საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი, ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლების მფლობელი, თურქეთის ბრინჯაოს მედლების მფლობელი, შვეიცარიის ჩემპიონი.
**ჰობი:** ფეხბურთი, ოჯახი, წიგნები.
**მისამართი:** *(ბინის) კნოლევის 5. თბილისი. ტელ: 66-28-26, 69-90-11.*
**ჩემი წარმატება განაპირობა ფეხბურთის დიდმა სიყვარულმა, შრომამ, თავდადებამ, პრინციპულობამ, ერთგულებამ, ერის სიყვარულმა, ოჯახის სიყვარულმა.**



**ნანა ნემსაძე** ბიოლოგიური მეურნეობა „ელკანა"-ს პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 8 იანვარს. მშობლები: ქეთევან გილაშვილი, პროკოფი ნემსაძე; მეუღლე — ლევან რცხილაძე (1935); შვილები: ქეთევანი (1959), გიორგი (1961). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1960). იყო თსუ მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი (1964-67), დოცენტი (1967-81), ეკოლოგიის კათედრის დოცენტი (1981-95), საქართველოს მწვანეთა მოძრაობის დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე (1988-95), პარლამენტის გარემოს დაცვის კომისიის ექსპერტი (1993-95). ბიოლოგიური მეურნეობის ასოციაცია „ელკანას" დამფუძნებელი და პრეზიდენტია 1993 წლიდან, „საქართველოს მწვანეების" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე — 1995 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1967). არის რამდენიმე სამეცნიერო სტატიის ავტორი.
**ჰობი:** მოგზაურობა, ყვავილები.
**მისამართი:** *(სამსახურის) დელისის III ქუჩა, ნავკეთი 16. თბილისი. ტელ: 53-64-87. ფაქსი: 53-64-84. (ბინის) თარხნიშვილის ჩიხი 9. თბილისი 380079. ტელ: 22-67-92.*
**არაძალადობა, „ღია" ურთიერთობები, გულწრფელობა, სხვისი ინტერესების გათვალისწინება, მექრთამეობის, „ჩანყობის" კატეგორიულად უარყოფა. ხელს ვკიდებ მხოლოდ იმ საქმეს, რომელიც მაინტერესებს და საჭიროდ მიმაჩნია.**

**ონერი ნემსინვერიძე** ცაგერის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ტვიშში (ცაგერის რ-ნი) 1948 წ. 17 იანვარს. მშობლები: თამარ ლომთაძე, შალვა ნემსინვერიძე; მეუღლე - გუგული ყურაშვილი (1950); შვილები: თამარი (1976), თინათინი (1977). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1971). იყო ცაგერის კომკავშირის რაიკომის მდივანი (1973-74), ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი (1975-80), საქსოფტექნიკის რ-ნული განყ-ბის გამგე (1980-84), ასკ დირექტორი (1984-96), რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის I მოადგილე (1986-91), ასკ დირექტორი (1992-93), შპს "კვამლის" დირექტორი, კერძო მეწარმე (1993-2000).
**ჰობი:** მუსიკა, ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 64, ცაგერი. ტელ: 10-57-47. (ბინის) პარტიზანთა 4, ცაგერი. ტელ: 22-00.*
**სიმართლე და მხოლოდ სიმართლე.**



**ბელა ნიკოლაიშვილი** არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" პასუხისმგებელი მდივანი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 27 მარტს. მშობლები: თამარ ცაბუტაშვილი, ანტონ ნიკოლაიშვილი; მეუღლე — ქეთევან პერანიძე (1963). შვილები: ბექა (1989), თამარი (1990). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1981). იყო მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ექსკურსიამძღოლი, მეცნიერ-თანამშრომე-

ლი, სნავლული მდივანი, სამეცნიერო განყ-ბის გამგე (1981-91), საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი (1992), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95). საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების ექსპერტ-კონსულტანტია 1996 წლიდან, ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის" პასუხისმგებელი მდივანი — 1996 წლიდან. არის ავტორი წიგნისა „ადამიანის უფლებები საქართველოში: კრიტიკული ანალიზი"; თანაავტორი წიგნისა „როგორ დავიცვათ საკუთარი უფლებები". იყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრი (1988-95).
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 40. თბილისი 380008. ტელ: 93-13-10. ელ-ფოსტა: nana-ka@hotmail.com (ბინის) ვაჟა-ფშაველას VII კვ. კორპ. 10. ბ. 9. თბილისი. ტელ: 30-31-06.*

**ადამიანი მაქსიმალურად უნდა ეცადოს სიკეთის თესვას, რადგან ადრე თუ გვიან ყველას ყველაფერი მოეკითხება — კაცისგან, ქვეყნისგან, ღმერთისგან.**



**ავთანდილ ნიკოლეიშვილი** ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიისა და ნიუ-იორკის (აშშ) საერთაშორისო სწავლულთა აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პროფესორი, ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი. დაიბადა სოფ. გორაში (ვანის რ-ნი) 1948 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: ოლია ლაღაძე, ოთარ ნიკოლეიშვილი; მეუღლე – მანანა ზივზივაძე (1952); შვილები: სოფიკო (1976), ოთარი (1980). დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1971). იყო ქუთაისის პედაგოგიური ინ-ტის ლაბორანტი (1970-75), ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტი (1975), პროფესორი (1984), ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1985), ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე (1987), პრორექტორი სამეცნიერო დარგში (1994), რექტორი (1996). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "ქართული საბჭოთა ლირიკა. 60-იანი წლები" (1983). არის 20-მდე წიგნის ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998), ქართულ-ევროპული ინ-ტის (პარიზი 1993), საქართველოს მწერალთა კავშირისა და გაზეთ "მენორას" (1995), ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის (1996), ნ.ნიკოლაძის სახელობის (1998), მწერალთა კავშირის იმერეთის ორგანიზაციის (1984, 1988), ჟურნალ "განთიადის" (1978) პრემიებით. არის ქ. კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე (1997); საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1980).
**ჰობი:** ფეხით სეირნობა, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ქუთაისი. ტელ: 4-38-33, 4-59-51. ელ-ფოსტა: geo-gelati@hotmail.com*

**მინდა ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი მოვახმარო ჩემს ხალხს და ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ვცდილობდი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის თავი არ ამერიდებინა, ჩემს უმთავრეს მოწოდებად უპირველეს ყოვლისა მაინც ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობა მიმაჩნია და ვფიქრობ, ჩემი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენას ყველაზე მეტად სწორედ ამ სფეროში ვახერხებ.**



**დავით ნიკოლეიშვილი** საზღვაო ასოციაცია „პოსეიდონის" თავმჯდომარე, ზღვის ეკოლოგი, აკვალანგისტი, საქართველოს წყალქვეშა ცურვის ასოციაციის თანათავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1960 წ. 20 იანვარს. მშობლები: თამარ ქაჯაია, ალექსანდრე ნიკოლეიშვილი. დაამთავრა რიგის თევზის მრეწველობისა და მეურნეობის ტექნიკური ინ-ტის წყლის ბიორესურსებისა და აკვაკულტურის დაუსწრებელი ფაკ-ტი (1990). სწავლობდა ფოთის საზღვაო სკოლაში (1982-83). მუშაობდა ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოში თევზსაჭერ ხომალდებზე (1983-84), სწავლობდა და მუშაობდა რიგაში ბალტიის ზღვის თევზჭერის სამმართველოში (1984-88). იყო თბილისის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-ტექნიკური ინ-ტის თანამშრომელი (1988-89), გელენჯიკის ოკეანოგრაფიის ინ-ტის და უტრიშის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ცენტრის თანამშრომელი (1990-93). არის

ტურისტული ფირმა "Black SeaTravel"-ის გენერალურ მენეჯერი, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის სახ. კომისიის წევრი (1998 წლიდან); დოკუმენტური ფილმის „ახალი ტალღის" ავტორი (1998). მისი უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა „საქართველოს შავი ზღვის რეგიონში აკვაკულტურის განვითარების ნაციონალური პროგრამა" (1994-95; შესულია წიგნში "Marine Aquaculture in the Black SeaRegion", აშშ); საქართველოს ნავთობკომპანიის შეკვეთით მონაწილეობა მიიღო ანგარიშის მომზადებაში: „თევზები და მეთევზეობა" (შესულია წიგნში „გარემო პირობების აღწერა საქართველოს ტერიტორიაზე ადრეული ნავთობის სატრანსპორტო ნავთობსადენის გასწვრივ", 1996); მონაწილეობდა BBC-ის დოკუმენტურ ფილმში „შავი ზღვა — დაღუპვა თუ ხელმეორედ დაბადება" (1995). არის საქართველოს „მწვანეთა მოძრაობის" წევრი (1994 ).

**ჰობი:** წყალქვეშ ცურვა და გადაღება, ვინდსერფინგი, ალმოსავლური მედიცინა და ფილოსოფია.

**მისამართი:** *ქეთევან წამებულის 92. თბილისი. ტელ: 98-73-31, 99-95-32, 77-47-54. ელ-ფოსტა: poseidon@ip.osgf.ge*

**ჩემი ყველა პროფესია, ცოდნა და შინაგანი მისწრაფება ზღვასთანაა დაკავშირებული. ჩემი ღრმა რწმენით, ზღვებსა და ოკეანეებზე მშვენიერი, საინტერესო და თუგინდ ამოუცნობი სამყარო მთელ გალაქტიკაში მეორე არ მეგულება. ზღვის სამყაროსადმი დიდმა ინტერესმა და სიყვარულმა განაპირობა ჩემი პირადი იდეალებიცა და მიზნებიც. ჩემი და ჩემი ორგანიზაციის ყველაზე დიდი მიზანია საქართველოს თანამედროვე საზღვაო ქვეყნად ხილვა, ინდუსტრიული მარიკულტურის (ზღვის ფერმერობის) დანერგვა და განვითარება.**

**მაია ნიკოლეიშვილი** სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი. დაიბადა 1960წ. 20 სექტემბერს თბილისში. მშობლები: ნუნუ ნაცვლიშვილი, გიორგი ნიკოლეიშვილი; მეუღლე — ნუგზარ ამირიძე (1948); შვილები: მაგდა ძონენიძე (1979), ანა ამირიძე (1995). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1984). იყო ექიმი-თერაპევტი (1984-85), ლენინგრადის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი (1985-86), ლენინგრადის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის სასამართლო მედიცინის კათედრის უფროსი ლაბორანტი (1986-90), საქართველოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი (1991-98), „სასამართლო ექსპერტიზის განვითარების" ფონდის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (1998-2000).

**ჰობი:** ლიტერატურა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველასIII კვ, 8ა კორპ. თბილისი 380077. ტელ: 99-97-71. ელ-ფოსტა: medea_1@geo.net.ge*

"Прекратите ненужные споры,
Я себе уже все доказал —
Лучше гор могут быть только горы,
Только горы, которых я еще не видал"
Вл.Высоцкий



**ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)** ბოდბელი მთავარეპისკოპოსი. დაიბადა 1961 წ. 10 თებერვალს. მშობლები: მზია კობახიძე, გივი ფაჩუაშვილი; მეუღლე — ნინო კანდელაკი (1962); შვილები: ანა (1986), სალომე (1992), მარიამი (1994). სწავლობდა თსუ ფიზიკის ფაკ-ტზე (1978-79), თსთი (1987-88). დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკ-ტი (1985); თბილისის სასულიერო აკადემია (1992). მუშაობდა კ/ს „ქართული ფილმის" მულტგაერთიანებაში (1986); იყო 150-ე საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებელი (1987), პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახ. პედაგოგიურ უნივერსიტეტში (1992 წლიდან). აკურთხეს დიაკვნად (1990), მღვდლად (1991). დაინიშნა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მოძღვრად (1991); ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძრის მოძღვრად (1992), მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვრად (1996); დაინიშნა საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყ-ბის თავ-

მჯდომარის მოადგილედ (1991), საპატრიარქოსთან არსებული წმ. ნინოს სახელობის მისიონერული სასწავლებლის დირექტორად (1995); აღყვანილ იქნა დეკანოზის ხარისხში (1993), აღიკვეცა ბერად (1996), ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1996). იყო ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსი (1996), ახალციხის ეპისკოპოსი (1997), ბოდბელი ეპისკოპოსია 1999 წლიდან. აღყვანილ იქნა მთავარეპისკოპოსის ხარისხში. წმ. ნინოს გზაზე ფეხით სამჯერ მოგზაურობისთვის მიენიჭა წმ. ნინოს მორჩილის საპატიო წოდება.
**მისამართი:** *(ბინის) ქავჭავაძის 75, ბ. 34. თბილისი 380062. ტელ: 22-48-34.*



**ნიკო ნიკოლოზიშვილი** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში. დაიბადა თბილისში 1965 წ. 9 მაისს. მშობლები: ნატალია ოქრომჭედლიშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზიშვილი; მეუღლე — ანდრეა ადამოვიჩოვა (1963); შვილები: მარიამი (1990), ალექსი (1991), გიორგი (1997). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1988), თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის ფაკ-ტი (1995). იყო გაზეთ „ივერია-ექსპრესის" მთავარი რედაქტორი (1993-95), ახალგაზრდობის საქმეთა სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარე (1995-98). არის თსუ ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ს/კ ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1988 წლიდან). საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია 1998 წლიდან. აქვეყნებდა სტატიებს ფილოლოგიის, კულტურისა და რელიგიის ისტორიის საკითხების შესახებ, პუბლიცისტურ წერილებს. არის თსუ „პრეს-კლუბის" (1987), იყო „საქართველოს პოლიტიკური კლუბის" (1993-94) წევრი.
**ჰობი:** შორ გზებზე მანქანით სეირნობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) არამის 42. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა. ტელ: 526-41-83. (ბინის) დიდუბის 4. I კორპ. ბ.10. თბილისი. ტელ: 35-27-72.*

**მართლმადიდებლობა, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული. ვცდილობ, ყველა საქმეს მივუდგე პროფესიულად და პასუხისმგებლობის გრძნობით.**



**თედო ნინიძე** საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა სოფ. ასკანაში (ოზურგეთის რ-ნი) 1950 წელს. მეუღლე—თინათინ ცხაკაია; შვილი — გიორგი (1978). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1971), სსრკ სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1974), უცხო ენების პედაგოგიური ინ-ტის გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტის 3 კურსი. იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1975-78), კომპარტიის ცკ-ს ადმინისტრაციული ორგანოების განყ-ბის ინსტრუქტორი (1978-84), იუსტიციის მინისტრის მოადგილე (1984-88), ჟურნალ „სამართლის" მთავარი რედაქტორი (1988-92), უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1991-92), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), საქართველოს გენერალური პროკურორი (1992-93), საქართველოს იუსტიციის მინისტრი (1994-98). არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ დოცენტი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები და მონოგრაფია.
**მისამართი:** *(სამსახურის)ალმაშენებლის 80. თბილისი 380002. ტელ: 95-75-99.*



**თემურ ნინუა** მხატვარი. დაიბადა სოხუმში 1949 წ. 25 სექტემბერს. მშობლები: ვენერა შაველაძე, ალექსანდრე ნინუა; მეუღლე – ირინა შარაშიძე (1951); შვილები: თინა (1978), ანა (1979). დაამთავრა თსსა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების ფაკ-ტი (1974). იყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარი (1975-80), რუსთაველის თეატრის დამდგმელი (1983 წლიდან), სოხუმის სახელმწიფო თეატრის მთავარი (1994 წლიდან) მხატვარი. გააფორმა თბილისის ოპერისა და ბალეტის ("შუშანიკის წამება"), რუსთაველის ("დაკრძალვა კალიფორნიაში" 1982, "ას ერგასის დღე" 1985, "ჰამლეტი" 1989), მარჯანიშვილის ("ლამბალო და ყაშა" 1993, "ოცდამეთვრამეტე" 1996, "ღალატი" 1999, "დოქტორი ფრანკენშტაინი" 2000, "კორიოლანოსი" 2000) თეატრების სპექტაკლები. დასახელებული იყო წლის საუკეთესო მხატვრად სცენოგრაფიის დარგში (1985, 2000); დაჯილდოებულია პრაღის საერთაშორი-

სო კვადრიენალეს ოქროს მედლით (1979), გ. შერვაშიძის სახელობის პრემიით (2000), არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1977). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** ჯაზი.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17, თბილისი 380008. (ბინის) ირ.აბაშიძის 46, თბილისი 380079. ტელ: 22-22-69.*
**ოპტიმიზმი, სიცოცხლე.**



**ირმა ნიორაძე** ბალერინა, სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის პრიმა-ბალერინა. დაიბადა თბილისში 1969 წ. 15 ივნისს. მშობლები: ჟონა მაჭარაშვილი, ამირან ნიორაძე; მეუღლე — გოჩა ჩხაიძე (1968); შვილი — ილია (2000). დაამთავრა თბილისის სახ. ქორეოგრაფიული სასწავლებელი ს.ვეკუასა და ვ.ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით (1987). იყო ლენინგრადის სახ. ქორეოგრაფიული აკადემიის სტაჟიორი (საფრონოვას კლასი, 1987-88), თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1989-90), კოპენჰაგენის (დანია) სამეფო თეატრის სტაჟიორი (1991). სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის სოლისტი და პრიმა ბალერინაა 1992 წლიდან. ცეკვავდა მთავარ პარტიებს სპექტაკლებში: „ჟიზელი", „კორსარი", „დონ კიხოტი", „ბახჩისარაის შადრევანი", „ფასკუნჯი", „სერენადა", „შეპერეზადა", „გედის ტბა", „ამორძალები", „ლაურენსია", „დემონი", „ლეგენდა სიყვარულზე", „მძინარე მზეთუნახავი", „რაიმონდა", „ბაიადერი", „გოია" (ხოსე ანტონიონი), „დო მაჟორი" (ბალანჩინი), „ბროლის სასახლე", „ფერიას კოცნა", „ექსტაზის პოემა", „კარმენი" (რ.ბეტი) და სხვ. არის აშშ მსოფლიო საერთაშორისო საბალეტო კონკურსის ლაურეატი (ჯექსონი, 1990), სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის წლის საუკეთესო ბალერინა (2000).
**ჰობი:** ვიოლინო, ჰერბარიუმი.
**მისამართი:** *(ბინის) Крюков канал д.5 кв. 32. Санкт-Петербург. ტელ/ფაქსი: 272-69-53. ვაჟა-ფშაველას 73ა, IV კორპ. ბ. 82. თბილისი.*
**მიეაღწიო სრულყოფას საბალეტო ხელოვნებაში.**



**ზურაბ ნიჟარაძე** მხატვარი, პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 4 დეკემბერს. მშობლები: მართა თარხნიშვილი, არჩილ ნიჟარაძე; მეუღლე — ციცინო ციციშვილი (1936); შვილები: ნინო (1959), ანა (1969). დაამთავრა თსსა (1955). იყო თსსა ხატვის კათედრის პედაგოგი (1964-71), რექტორი (1982-87). მუშაობს მხატვრობის სხვადასხვა დარგში: ფერწერა, გრაფიკა, თეატრალური, კინო და კედლის მხატვრობა. გამართა პერსონალური გამოფენები: საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში, თბილისის მხატვრის სახლში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში (1981), „კუზნეცკი მოსტ" (მოსკოვი, 1981), ვენაში (1982), პრაღაში (1982), საარბრიუკენში (1987), კულტურის ცენტრ „მზიურში" (მოსკოვი, 1992), ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში (პარიზი, 1994), ბერნჰაიმში (1994), მოსკოვში (1997, 1998); მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ ჯგუფურ გამოფენებში (1955 წლიდან). შემოქმედებითი მივლინებით იმყოფებოდა იტალიაში (1961), დიდ ბრიტანეთში (1974), საბერძნეთში (1988). არის საქართველოს სახალხო მხატვარი, ღირსების ორდენის კავალერი, მხატვართა კავშირის წევრი (1958). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** ყველა აზარტული თამაში (ჩოგბურთიდან ჭადრაკის ჩათვლით).
**მისამართი:** *(ბინის) ჭავჭავაძის 39. ტელ: 23-56-89.*
**შემოქმედება ხელმისაწვდომი თავისუფლების პირობებში.**



**ნინო ნიჟარაძე** მხატვარი, აჭარის სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის დირექტორი. დაიბადა ბათუმში 1945 წ. 24 აპრილს. მშობლები: ნადეჟდა ჯიბუტი, ნადიმ ნიჟარაძე; მეუღლე — ვახტანგ (ბესო) ბესელია (1944); შვილები: ლუკა (1972), ნიკა (1974). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტის კინომხატვრობის განყ-ბა (1971).

იყო ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის სპეცსაგნების მასწავლებელი (1974-80), ბათუმის თოჯინების თეატრის მთავარი მხატვარი და მხატვრის სახლის მთავარი მეთოდისტი (1981-86), ბათუმის სასულიერო გიმნაზიის პედაგოგი (1990-95). არის ბავშვთა ხელოვნების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი (1986 წლიდან), ხელოვნების ინ-ტის პედაგოგი (1996 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: გრაფიკული სერია „ძველი თბილისი" (1972), „აღმოსავლური მოტივები", „თეატრი", ფერწერული ნამუშევრები „1942 წელი", „პურის რიგში", ესკიზები თოჯინური სპექტაკლებისთვის და სხვ. გამართა გამოფენები ჩეხეთში, პოლონეთში, რუსეთში, თურქეთში. მიღებული აქვს რუმინული დრამატურგიის ფესტივალის I ხარისხის დიპლომი სპექტაკლისთვის „მზის სხივი" (1982); საქართველოს თეატრალური საზოგადოების ჯილდო საუკეთესო სცენოგრაფიისთვის (1994); აჭარის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი, აჭარის კულტურის სამინისტროს სიგელი (1995), ღირსების მედალი (2000). არის საერთაშორისო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" აჭარის რეგიონული განყ-ბის, თეატრალური საზოგადოების აჭარის განყ-ბის, აჭარის კულტურის ფონდის გამგეობათა წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** თოჯინებისა და სუვენირების დამზადება.

**მისამართი:** *(სამსახურის) ერას ქ. 8, ბათუმი 384500. ტელ: 7-38-94. (ბინის) კობალაძის 5, ბ.52. ბათუმი 384516. ტელ: 7-68-82.*

> **საქმისადმი (რაც არ უნდა იყოს ეს) შემოქმედებითი მიდგომა... ბავშვების შეყვანა მხატვრობაში, ხელოვნებაში,მათი გამოვლენების,აღქმის უნარის ჩამოყალიბება. პრინციპული არჩარევა პოლიტიკაში (მამის ანდერძის თანახმად) და სამყაროს აღქმა ბავშვების ხედვით. რწმენის გაღრმავება, სრულყოფა (პროფესიული და ადამიანური) ჩემი მიზანია. ვოცნებობ, თეატრ-გალერეის შექმნაზე, სადაც შერწყმულია 3 ჩემი უსაყვარლესი დარგი ხელოვნებისა: მხატვრობა-მუსიკა-თეატრი.**



**ტარიელ ნიჟარაძე** შუახევის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ქიძინეებში (შუახევის რ-ნი) 1938 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: ფატი ნიჟარაძე, რეჯებ ნიჟარაძე; მეუღლე — გულნარა ნიჟარაძე (1940); შვილები: რობინზონი (1960), ბადრი (1962), თენგიზი (1974). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკ-ტი (1977). იყო სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე (1957-58), მუშაობდა შუახევის ავტოსატრანსპორტო საწარმოში სხვადასხვა თანამდებობაზე (1960-66), იყო ამავე საწარმოს დირექტორი (1966-74), „აჭარსოფლტექნიკის" შუახევის რაიონული განყ-ბის უფროსი (1974-80), სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი (1980), შუახევის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1980-85), ხულოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1985-90), „საქსურსათსაბითუმო ვაჭრობის" ბათუმის მაცივარკომბინატის დირექტორი (1990-95). შუახევის რ-ნის გამგებელია 1995 წლიდან. მიღებული აქვს აჭარის არ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი, 2 მედალი, ღირსების ორდენი (1999). არის დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი.

**ჰობი:** ყვავილების მოვლა, პოეზია.

**მისამართი:** *(სამსახურის) თამარ მეფის 30, დაბა შუახევი. ტელ: 7-62-91, 2-50-00. (ბინის) თამარ მეფის 7, დაბა შუახევი. ტელ: 2-51-00, 7-62-91.*

> **პატიოსნება, მომთხოვნელობა თავის თავისადმი. არ მიყვარს საქმის შუა გზაზე მიტოვება, ვიზიარებ სხვათა აზრს, განსაკუთრებულ პატივს ვცემ ახალგაზრდობას, მხარს ვუჭერ მათს ნააზრევს. სამართლიანობა, შრომისმოყვარეობა, გონიერება, თავმდაბლობა და სიყვარული იყო ჩემი მეგზური და გზის გამკვალავი. ასეა დღესაც. ასე იქნება ხვალ.**



**რევაზ ნოდარიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, შიდა მიგრაციული პროცესების, განსახლებისა და ადაპტაციის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. პიპილეთში (ონის რ-ნი) 1936 წ. 16 აპრილს. მშობლები: ნასტა რთველაძე-ნოდარიშვილი, ჯიბო ნოდარიშვილი; მეუღლე — იზოლდა თოდაძე (1941);

შვილები: ზურაბი (ფიდელა 1961-97), მაია (1969). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1960), მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია (1980). იყო თბილისის საავიაციო ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი (1960-61), ონის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი (1961-74), საქალაქო საბჭოს აღმასკომის (1974-86), რაიაღმასკომის (1986-89) თავმჯდომარე, რაიკომის I მდივანი (1989-91), ონის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე (1992-99). არის საქართველოს ავტოტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი (1969), დაჯილდოებულია მედლებით „ყამირის მიწების ათვისებისთვის" (1957), „შრომითი მამაცობისთვის" (1969), საპატიო ნიშნის (1971), შრომის წითელი დროშის (1983), საქართველოს ღირსების (1999) ორდენებით. იყო სკკპ წევრი (1963-91). არის სმკ-ის წევრი (1998). მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით ონის მოსახლეობამ ააშენა გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესია (1995-96), საფუძველი ეყრება წმინდა გიორგის ეკლესიის აღდგენით სამუშაოებს.
**ჰობი:** მანდილოსნების პატივისცემა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380008. ტელ: 92-15-76. ფაქსი: 92-12-83. (ბინის) თბილისის 14, ონი 384140. ტელ: 2-03-30.*

**ძლიერი ნებისყოფა, მიზნის მიღწევა მხოლოდ საკუთარი ძალითა და ნიჭით, უკომპრომისობა, რისკი; სიცრუეს, ცბიერებას, მოვალეობის გრძნობის უქონლობას, მორალურად დაუშვებელი მეთოდებით გამდიდრებისკენ სწრაფვას ვერ ვიტან. დაივიწყე, რაც შენ გაუკეთე სხვებს და დაიმახსოვრე სულ მცირე მადლი, რომელიც შენთვის ვინმეს გაუკეთებია.**



**გია ნოდია** ფილოსოფოსი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა მოსკოვში 1954 წ. 4 სექტემბერს. მშობლები: ნელი ნოდია, ოთარ ნოდია; მეუღლე — ზეინაბ სარაძე (1948); შვილი — ელენე (1980). დაამთავრა თსუ ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1976). იყო ფილოსოფიის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სწავლული მდივანი, განყ-ბის გამგე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1980-95). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „შრომის კატეგორია და მარქსისტული ჰუმანიზმი" (1982). არის 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა და 4 წიგნის ავტორი: „Категория труда и марксистский гуманизм" (1986), „თამაშის ცნება კულტურის ფილოსოფიაში" (1987), „საით?" (1995), "Georgia Lurching to Democracy" (თეო ჰაუფთან თანაავტორობით, 2000). იყო ქენანის ინ-ტის ვ.უილსონის სახელობის მკვლევართა საერთაშორისო ცენტრის (ვაშინგტონი, 1991-92), დემოკრატიის კვლევის საერთაშორისო ფორუმის (ვაშინგტონი, 1996), ბერკლის უნივერსიტეტის (კალიფორნია, 1997), ბერლინის ვისენშაფტკოლეჯის (1998-99) სტიპენდიანტი.
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) მ.ალექსიძის 1. თბილისი 380093. ტელ: 33-40-81. ელფოსტა: ghia_nod@cipdd.ge (ბინის) ნუცუბიძის პლატო III მ/რ, I კვ. XIII კორპ. ბ.30. ტელ: 32-49-83.*

**არ უნდა იყო ზედმეტად თანმიმდევრული (მათ შორის, არც ამ პრინციპის განხორციელებაში).**



**დინარა ნოდია** საქართველოს სახალხო მხატვარი, თსსა პროფესორი, გრაფიკის კათედრის გამგე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 23 იანვარს. მშობლები: ევგენია შტენბერგი-ნოდია, მიხეილ ნოდია; მეუღლე – თენგიზ სამსონაძე (1928); შვილები: ბადრი (1957), მიშა (1967). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1955). იყო მხატვართა კავშირის გამგეობის წევრი, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მთავარი, გრიბოედოვისა და მარჯანიშვილის თეატრების დამდგმელი მხატვარი. არის ჟურნალ "დროშას" მხატვრული რედაქტორი (1969 წლიდან), თსსა პედაგოგი (1967 წლიდან), გრაფიკის კათედრის გამგე. არის ავტორი ნამუშევრებისა: გრაფიკული სერია "ჩემი საქარ-

თველო", სერიებისა თეატრის, რუსთავის, ჭიათურის, ენგურჰესის თემებზე. მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია, უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი, შრომის წითელი დროშის ორდენი, მხატვართა კავშირის 2 მედალი წლის საუკეთესო ნამუშევრებისათვის. მისი ბიოგრაფია შეტანილია მხატვართა კავშირის წევრთა ცნობარში (1999), ქსე, ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. (ბინის) ჩიქოვანის 20, ბ. 81, თბილისი 380071. ტელ: 33-43-36*



**დავით ნოზაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ქობისხევში (ბორჯომის რ-ნი)1950 წ. 24 აგვისტოს. მშობლები: ნატალია ჯაფიაშვილი, აბესალომ ნოზაძე; მეუღლე – ნანა ჭანტურია (1948); შვილები: ზვიადი (1978), ზურაბი (1979), ზაზა (1981), ლაშა (1981), თამარი (1987). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1973). იყო საზოგადოება "ცოდნის" ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი (1975-76), ბორჯომის რ-ნის სახალხო სასამართლოს მოსამართლე (1976-91), რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე (1991-98), თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (1998-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** კითხვა, მეგობრების წრეში ყოფნა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ.რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) წერეთლის 95, თბილისი. ტელ: 99-09-58, (899) 57-27-15.*

**სამართლიანობა, მადლი, სამშობლო, ოჯახი, მეგობრები, შრომისმოყვარეობა.**



**მამუკა ნოზაძე** ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, პირველი კლასის იურისტი. დაიბადა ჭიათურაში 1967 წ. 29 ოქტომბერს. მშობლები: მარინე მოდებაძე, გაიოზ ნოზაძე; მეუღლე — ქეთევან კიკვიძე (1969); შვილი — თამარი (1998). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1991). იყო ჭიათურის პროკურატურის სტაჟიორი, უფროსი გამომძიებელი (1991-92), თბილისის რეგიონალური სამხედრო პროკურატურის გამომძიებელი (1992-93), თბილისის ტრანსპორტის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი (1993-95), საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის საგამოძიებო აპარატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, პროკურორის უფროსი თანაშემწე (1995-97), გენერალური პროკურატურის კადრების ინსპექციის პროკურორი (1997-98), სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (1998-99).
**ჰობი:** ქართული სიმღერა, კინოლოგია.
**მისამართი:** *(სამსახურის) არაყიშვილის 3. თბილისი 380079. ტელ: 22-45-07, 22-45-82. (ბინის) ფანასკერტელის 20. ბ. 91. თბილისი. ტელ: 37-93-93, მობ: (899) 56-26-26.*

**სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, სიცრუე და ორპირობა მიუღებელი იყო ჩემი ოჯახისთვის. ასეთად ჩამოვყალიბდი. უაღრესად პატიოსანი და განათლებული მყავდა ორივე ბაბუა. ამ სახელით ცხოვრობენ ჩემი მშობლები, ასევე ვცხოვრობ მეც. ჩემი პრინციპია მართალი ადამიანის შეცნობა, შველა. ჩემი იდეალი სამშობლო და ოჯახია. მიზანი — ვიყო მიუკერძოებელი მოსამართლე. ჩემი წარმატება პასუხისმგებლობის დიდი გრძნობის და საკუთარ თავზე მუშაობის უნარის შედეგია.**



**ზურაბ ნოღაიდელი** საქართველოს ფინანსთა მინისტრი. დაიბადა ქობულეთში 1964 წ. 22 ოქტომბერს. მშობლები: ნაზი ქათამაძე, თემურ ნოღაიდელი; მეუღლე—ნინო ცინცაბაძე (1971); შვილი—თემური (1997). დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკ-ტი ნახევარგამტარების ოპტიკის სპეციალობით (1988). იყო გეოგრაფიის ინ-ტის ბათუმის სადგურის ლაბორანტი (1988-89), ბათუმის ს/კ ინ-ტის ლაბორანტი, უფროსი ლაბორანტი, ლაბორატორიის გამგე (1989-92), ესტონეთის მეცნ. აკად. ბიოლოგიის ინ-ტის სტაჟიორი (ტალინი, 1989-90), საქართველოს მწვანეების აღმასრულებელი მდივანი (1992), პარლამენტის წევრი,

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე (1992-95), პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის კოორდინატორი (1995), სმკ საერთაშორისო მდივანი (1995-96), აჭარის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1996), პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე (1999). საქართველოს ფინანსთა მინისტრია 2000 წლიდან.
**ჰობი:** სპორტი, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ირ. აბაშიძის 70, თბილისი 380062. ტელ: 22-68-05.*
**ნესრიგი.**



**თამაზ ნუცუბიძე** მხატვარი. დაიბადა გორში 1940 წ. 19 მაისს. მშობლები: თინა ჩხეიძე, გრიგოლ ნუცუბიძე; შვილები: ნიკოლოზი (1973), ბექა (1975). დაამთავრა თსსა ქსოვილების მხატვრული გაფორმების ფაკ-ტი (1966). იყო თსსა ასპირანტი, კომპოზიციის პედაგოგი (1970-73), სპი არქიტექტურის ფაკ-ტის ხატვის პედაგოგი (1974-78), სამხატვრო კომბინატის მთავარი მხატვარი (1981-84), თსსა გობელენისა და ქსოვილების მხატვრული გაფორმების კათედრის გამგეა 1995 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: გობელენები "შემოდგომა" (1978), "კლოუნები" (ტრიპტიქი 1980), სერიისა "წელიწადის დრონი" (1988), "ძველი თბილისი" (1990), "სახელოსნოში" (1998), "აბანოში" (2000) და სხვ. არის ღირსების ორდენის კავალერი (2000); საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1968).
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. (ბინის) ჭავჭავაძის 75ბ, თბილისი 380062. ტელ: 29-04-12.*
**ნესიერება, ერთგულება, პროფესიონალიზმი.**



**ნოდარ ნუცუბიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: მარიამ იშხნელი, ნიკოლოზ ნუცუბიძე; მეუღლე — ლეილა დევიძე (1928); შვილები: ნუგზარი (1950), ნინო (1958). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1952). იყო სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ასპირანტი (1952-55), ბოტანიკის ინ-ტის უმცროსი (1956-58), უფროსი (1958-65) მეცნიერ-თანამშრომელი. ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინ-ტის ლაბორატორიის გამგე და დირექტორის მოადგილეა 1965 წლიდან. კითხულობს ლექციებს (ბიოქიმია, ორგანული ქიმია, მცენარეთა ფიზიოლოგია, ბიოტექნოლოგია) აგრარულ უნივერსიტეტსა და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში (1963 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „აზოტის ასიმილაცია ვაზში" (1970). გამოქვეყნებული აქვს 270 სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია — „აზოტის ასიმილაცია ვაზში"; სახელმძღვანელო — „ბიოტექნოლოგია". დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით" (1999). არის ეკოლოგიის აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (1971), საზოგადოება „ცოდნის" აკადემიის განყ-ბის თავმჯდომარის მოადგილე.
**ჰობი:** ჭადრაკი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის ხეივნის მე-10 კმ. თბილისი, 380059. ტელ: 52-40-27. (ბინის) ნუცუბიძის III მ/რ. კვ. 2. კორპ. 2. ბ. 14. თბილისი. ტელ: 32-15-57.*
**სამშობლოს სიყვარული, ოჯახის სიმტკიცე და სიყვარული, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, სახელმწიფოს არჩეული მმართველობისადმი და სამსახურისადმი ერთგულება და უღალატობა.**

**ნუგზარ ოდიშვილი** დუშეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. სიონში (ყაზბეგის რ-ნი) 1936 წ. 2 სექტემბერს. მშობლები: ელისაბედ კობაიძე, არსენ ოდიშვილი; მეუღლე გულნაზ გელაშვილი (1952); შვილები: თათია (1979), არსენი (1981). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1960). ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას (1960-66). იყო საგეგმო კომიტეტის უფროსი აგრონომ-ეკონომისტი, მინათმოქმედების ქვეგანყოფილების უფროსი (1966-72), ახალგორის, დუშეთის რაიკომის I მდივანი, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის II მდივანი (1972-90), დამზადების მინისტრის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, ფირმის დირექტორი, ს/ს „მარცვალის" დირექტორის მოადგილე (1990-99). გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო ნაშრომი საქართველოს სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მინის ეკონომიკური შეფასების საკითხებზე. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით.
**ჰობი:** შრომა, შენება.
**მისამართი:** *(სამსახურის) დუშეთის გამგეობა, დუშეთი. ტელ: 2-19-99. (ბინის) რუსთაველის ჩიხი 3, დუშეთი. ტელ: 2-15-88.*

> **შრომა, ერთგულება, მეგობრობა, პატიოსნება, ძმობა, მშვიდობა, მიტევების უნარი, უბრალოება, გაჭირვებულის შველა, შენება, სამშობლოს, ჩემი ხალხის, ოჯახის და ფუძის განუზომელი სიყვარული. გაერთიანებულ, თავისუფალ, აღორძინებულ, შერიგებულ-შეხმატკბილებულ საქართველოში ცხოვრება. ეს პრინციპები და მიზნებია, რომლითაც ვცოცხლობ, ვცხოვრობ და რომლისთვისაც არ მიღალატია და არც არასოდეს ვუღალატებ.**



**მანანა ოთარაშვილი** თიანეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა კასპის რ-ში 1951 წ. 16 დეკემბერს. მშობლები: თამარ შამანაური, სოლომონ ოთარაშვილი. დაამთავრა თბილისის უცხო ენათა სახ. პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენის (1975), თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის იურიდიული (1977) ფაკ-ტები. იყო სოფ. ხანდოს (დუშეთის რ-ნი) 8-წლიანი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი (1976-77), სასამართლოს სხდომის მდივანი და კანცელარიის გამგე (1977-96), საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი (1996 წლიდან). თიანეთის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარეა 1995 წლიდან.
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, თეატრი.
**მისამართი:** *(სასახურის) თიანეთი. ტელ: 9-17-43. (ბინის) გოძიაშვილის II შეს., 6ა. თიანეთი. ტელ: 51-53-60, (877) 45-78-20.*

> **შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, ვიყო მართალი საკუთარი თავის წინაშე, ვაკეთო სიკეთე.**



**ვახტანგ ოკუჯავა** ნეიროფიზიოლოგი, ნევროლოგი, ნეიროფარმაკოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 25 თებერვალს. მშობლები: ნინო მოდებაძე, მიხეილ ოკუჯავა; მეუღლე — ზეინაბ ანთაძე (1936); შვილები: ნათელა (1967), მაია (1969), მიხეილი (1971). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1956). იყო თსუ ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი (1967-95), რექტორი (1980-85), თსსი პრორექტორი სამეცნიერო დარგში (1973-75), მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1975-80), ფიზიოლოგიის ინ-ტის უჯრედის ფიზიოლოგიის, პათოლოგიის და ფარმაკოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1978-88). არის კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1961 წლიდან), თსუ ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1985 წლიდან), სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე

(1993 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქში დენდრიტთა აქტივობის ელექტროფიზიოლოგიური და ფარმაკოლოგიური ანალიზი" (1960), სადოქტორო — „ეპილეფსიური აქტივობის ძირითადი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები" (1966). იყო საერთაშორისო ჟურნალების „Нейрофизиология" (1975-91), "Electroencephalography and Clinical Neurophysiology" (1978-88) სარედაქციო საბჭოების წევრი. არის მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს" ბიოლოგიის სერიის მთავარი რედაქტორი (1975 წლიდან), საერთაშორისო ჟურნალის "Epilepsy Research" რედკოლეგიის წევრი (1997 წლიდან). არის 250 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი, მათ შორის 5 მონოგრაფიის, ივ.ბერიტაშვილის სახელობის, ხორეზმის სახელობის საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის (IBRO) წევრი (1962 წლიდან), საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი (1975 წლიდან), ეპილეფსიის ევროპული აკადემიის (EUREPA) წევრი (1998), მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონგრესის მონაწილე; თბილისში IBRO-ს საერთაშორისო სიმპოზიუმების ორგანიზატორი (1978, 1982). მისი ხელმძღვანელობით დაცულია 7 სადოქტორო და 25 საკანდიდატო დისერტაცია. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, ცნობარში "2000 Outstanding People of the 20th Century"

**ჰობი:** კლასიკური მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა, ჩოგბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ასათიანის 7ა. თბილისი. ტელ: 66-20-54. ფაქსი: 22-19-65. ელ-ფოსტა: okujava@mmc.net.ge (ბინის) ი.ნიკოლაძის 6, ბ.22. თბილისი 380079. ტელ: 23-35-51.*

**ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანი უნდა იცავდეს კარგი ქცევის უპირველეს წესს: შეეცადეთ, რომ მოძრაობისას ხელი არავის ჰკრათ; მუშაობის სფეროში კი ძირითადია მაღალი პროფესიონალიზმისა და პრინციპულობის მკაცრი მოთხოვნა, თუმცა განსხვავებული აზრისადმი გულისყურით მოპყრობა, ანგარიშის გაწევაა აუცილებელი, და ბოლოს, აუცილებელი პირობაა დამწყებ და ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერა და წახალისება.**



**თენგიზ ონიანი** ნეიროფიზიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, პროფესორი, აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა სოფ. სასაში (ლენტეხის რ-ნი) 1928 წ. 25 ივნისს. მშობლები: აგრაფინა ფოჩიანი, ნესტორ ონიანი; მეუღლე — ელისო კეცხოველი (1930); შვილები ნიკოლოზი (1956), ლელა (1958). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1954). იყო თსუ ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ასისტენტი (1954-58), ფიზიოლოგის ინ-ტის უმცროსი (1958-62), უფროსი (1962-67) მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1968 წლიდან), დირექტორი (1975-80), საქართველოს პარლამენტის წევრი (1996-99). მეცნიერებათა აკადემიის ბიომედიცინის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანია 1980 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ნერვ-კუნთოვანი აპარატის შედარებითი ფიზიოლოგიის საკითხები" (1958), სადოქტორო — „მემბრანო-მიოფიბრილური ურთიერთობანი კუნთოვან ბოჭკოებში" (1964). გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის წიგნები: „ნერვ-კუნთოვანი აპარატის შედარებითი ფიზიოლოგია" (1965), „მემბრანო-მიოფიბრილური ურთიერთობანი კუნთოვან ბოჭკოში" (1970), „ლიმბური სისტემის ინტეგრაციული ფუნქცია" (1976), „მეხსიერების და ძილ-ღვიძილის ციკლის ნეიროფიზიოლოგია" (ოთხი კრებული) და სხვ. არის ავტორი მოთხრობების კრებულებისა: „ბეთქილის ბილიკებზე" (1962), „ბასრა და ბუნჩა" (1967), „ლაშხეთიდან ზეკარამდე" (1972), „ჯარაში და აშდარი" (1975). არის ივ.თარხნიშვილის (1965), ივ.ბერიტაშვილის (1983) სახელობის პრემიების ლაურეატი, უნგრეთის ფიზიოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრი, IBRO-ს, „Интермозг"-ის, ძილის შემსწავლელი მსოფლიო და ევროპული ასოციაციების, საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოებისა და „აგრესიის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის" წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: "The International Directory of Distinguished Leadership", "Биологи" (Киев, 1984, 2000), "Millennium Medal of Honour" (USA, 1998).

ჰობი: მხატვრული ლიტერატურა, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების მოვლა.
მისამართი: *(სამსახურის) ფიზიოლოგიის ინ-ტი. გოთუას 14. თბილისი 380060. ტელ: 37-11-54. (ბინის) გოთუას 16. ბ.114. თბილისი 380060. ტელ: 37-43-13.*

**ზუგზე მკიდია განკითხვის გუდა**
**და სულში რეკენ ლოცვის ზარები,**
**ცოტა მარგუნე უფალო მუდამ,**
**ვალს ნუ დამადებ, გემუდარები.**



**ნატო ონიანი** ჟურნალისტი, საქტელერადიომაუწყებლობის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ინფორმაციის დარგში. დაიბადა ქობულეთში 1961 წ. 23 ივლისს. მშობლები: მერი თენიეშვილი, ჟორა (გიორგი) ონიანი. დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1985). იყო საქართველოს რადიოს პოლიტიკურ გადაცემათა რედაქციის რედაქტორი (1985), პროგრამა „პიკის საათის" რედაქტორი და ინფორმაციის რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილე (1989-92), ტელეკომპანია II არხის ინფორმაციის რედაქციის მთავარი რედაქტორი (1992-96), პირველი არხის ინფორმაციის რედაქციის მთავარი რედაქტორი (1996-99). არის ავტორი გადაცემებისა: „პიკის საათი", „მაცნე", კლუბი „კონტაქტი", „ინტერკურიერი", „ტაიმ-აუტი", ორშაბათის ინტერვიუები საქართველოს პრეზიდენტთან. არის ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.
ჰობი: მუსიკა, დეტექტივების კითხვა, გადაცემებზე მუშაობა, კარგი აუდიო-ვიდეო ტექნიკა, ავტომანქანები, პარფიუმერია და მოგზაურობა. ჰყავს ძაღლი.
მისამართი: *(სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი 380071. ტელ: 94-07-83, 36-83-50. ფაქსი: 93-53-76.*

**უნდა ეცადო, რომ იყო მართალი — პირველ რიგში, საკუთარ თავთან. გააკეთე სხვისთვის ის, რასაც სხვებისგან ითხოვ, ნუ მოერიდები სიახლეებს და მდგომარეობის (სიტუაციის) ცვლილებებს. ყოველთვის ვცდილობდი, მყოლოდა ბევრი ახალი ნაცნობი და მეგობრების მკაცრად განსაზღვრული წრე. ვარ კომუნიკაბელური. საერთოდ მიყვარს სიახლეები და ცვლილებები. ვცდილობ, შესაძლებლობების ფარგლებში, ემართო და ვაკონტროლო საკუთარი თავი. ვარ ემოციური, მაგრამ არაეითარ შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღების დროს.**



**ნიკოლოზ ონიანი** ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 27 თებერვალს. მშობლები: ელისო კეცხოველი, თენგიზ ონიანი; მეუღლე – ლელა კირთაძე (1964); შვილები: თენგიზი (1994), თორნიკე (1996). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1978). იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1978-96), საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის აპარატის უფროსი (1996-98), UNDP-ის პროექტის "ანტიკორუფციული ჯგუფის შექმნა და მხარდაჭერა" კოორდინატორი (1998 წლიდან). არის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (1991); არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციის კვლევითი ცენტრის" თავმჯდომარე.
ჰობი: მთაში მოგზაურობა.

**პატიოსანი შრომა, ოჯახისა და ქვეყნის ერთგულება.**



**დავით ონოფრიშვილი** ეკონომისტი, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კვლევის ცენტრის თავმჯდომარე; ს/ს „ქართული ფილმის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1961 წ. 8 იანვარს. მშობლები: ლიანა თაბაგარი, თენგიზ ონოფრიშვილი; მეუღლე — ნატო ფანჩულიძე (1968), შვილი — ლიზა (2001). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით (1984), რუსეთის სახალხო მეურნეობის პროგნოზირების ინ-ტის ასპირანტურა (1991), აშშ კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრატურა ეკონომიკური პოლიტიკის მართვის სპეციალობით (ნიუ-იორკი, 1994). იყო თბილისის ინსტრუმენტალური ქარხნის მუშა (1979), სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1984-87),

ფინანსთა სამინისტროს უცხოეთთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (1993), მსოფლიო ბანკის ექსპერტი-კონსულტანტი (ვაშინგტონი, 1994-95), საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე (1995-98), საქართველოს ფინანსთა მინისტრი (1998-2000). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ტურიზმისა და დასვენების სფეროს ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის გარდაქმნა საქართველოს მაგალითზე" (1991). არის 15-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, კითხულობდა ლექციებს საქართველოს შესახებ აშშ-ს კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში.
**ჰობი:** ფეხბურთი, კინო, მუსიკა, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 27, თბილისი 380079. ტელ: 22-31-91, 52-87-58.*

**პატიოსნება, სიმართლე, პროფესიონალიზმი. საქართველოს დამოუკიდებელ და დემოკრატიულ ქვეყნად ჩამოყალიბებაში პირადი წვლილის შეტანა.**



**ირაკლი ონოფრიშვილი** კინოოპერატორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1935 წ. 12 სექტემბერს. მშობლები: ელენე დიდებულიძე, ივანე ონოფრიშვილი; მეუღლე — ვიოლა ქუთათელაძე (1937); შვილები: მალხაზი (1963), მირიანი (1965). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1971). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" ოპერატორის თანაშემწე (1956-62), კინოოპერატორი (1962-64), ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის დამდგმელი ოპერატორი (1964 წლიდან). არის „ქართული ტელეფილმის" დამდგმელი ოპერატორი 1964 წლიდან. იყო დამდგმელი ოპერატორი ფილმებისა: „შორია გურჯისტანამდე", „ძველი ქართული საგალობლები", „პეტრიწონის მონასტერი", „წმინდა ათონის მატიანე", „ტაო-კლარჯეთი", „ლაზარე", „რეკორდი", „კუჩხი ბედინერი", „თუში მეცხვარე", „შვიდკაცა" და სხვ; იყო რეჟისორი ფილმებისა: „მეშვიდე მოგზაურობა" (1987), „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" (1989), „ფერეიდნელი ქართველები 24 წლის შემდეგ" (1990), „რაინდები" (1995). არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1979), ღირსების ორდენის კავალერი (1995). საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის ფილმში „თუში მეცხვარე" მიღებული აქვს სატელევიზიო ფილმების საკავშირო ფესტივალის პირველი ხარისხის დიპლომი (ლენინგრადი, 1977), საერთაშორისო ფესტივალ „ზლატა პრაღას" გრან-პრი (პრაღა, 1984). არის საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1962). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (VII ტ. 1984).
**ჰობი:** კინო, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი 380071. ტელ: 36-82-39. (ბინის) თარხნიშვილის 17. თბილისი, 380009. ტელ: 29-17-14.*

**ჩემი და თქვენი საქართველოს სიყვარული, საქართველოს გამთლიანება.**



**ნიკო ორველაშვილი** საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტის პრეზიდენტი. დაიბადა გურჯაანში 1963 წ. 19 აპრილს. მშობლები: ქეთევან კუტიბაშვილი, რევაზ ორველაშვილი; შვილი — რუსუდანი (1992). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1985), და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა (1988). იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1988-90), ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თანამშრომელი (1989-91), ჟურნალ „ეკონომიკის" საერთო ეკონომიკური განყ-ბის რედაქტორი (1990-92), ეკონომიკის სამინისტროს განყ-ბის უფროსი (1991-92), პარლამენტის ექსპერტი (1992-93), მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეკონომიკური რეფორმის შტაბის პასუხისმგებელი მდივანი (1993), საქართველოს ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრის საბჭოს თავმჯდომარე (1994-98), ეკონომიკური ცოდნის გავრცელების ფონდის "Junior Achievment —Georgia" პრეზიდენტი (1995-2000). ეკონომიკური განვითარების ინ-ტის პრეზიდენტია 1999 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა (განსაკუთრებით საგიტარო), პოეზია, ფოტოხელოვნება.

მისამართი: *(სამსახურის) 26 მაისის მოედანი 2. თბილისი. ტელ: 98-47-06. ფაქსი: 94-15-04. ელ-ფოსტა: n_orvel@geo.net.ge*

**ვაკეთო ის, რასაც საჭიროდ ვთვლი, არ წავიდე გაუმართლებელ კომპრომისებზე, მათ შორის არც საკუთარ თავთან და, რასაც ვაკეთებ, ლაზათიანად ვაკეთო.**



**ლია ორკოდაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თელავში 1958 წ. 21 მაისს. მშობლები: თამარ ორკოდაშვილი, მიხეილ ორკოდაშვილი; მეუღლე დავით აბრამიშვილი (1957); შვილი — ხატია (1984). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1984). იყო უზენაესი სასამართლოს საერთო განყ-ბის სხდომის მდივანი (1986-87), გამოთვლითი და საორგანიზაციო ტექნიკის განყ-ბის კონსულტანტი, კოდიფიკაციის სამსახურის ხელმძღვანელი (1987-90), სამართლებრივი ინფორმატიკისა და კანონმდებლობის სისტემატიზაციის განყოფილების უფროსი კონსულტანტი (1990), სამართლის სექტორის გამგე (1990), უზენაესი სასამართლოს პლენუმებისა და პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი — მთავარი კონსულტანტი (1991-98), უზენაესი სასამართლოს პროფკავშირის ხელმძღვანელი (1991-98), სადისციპლინო კოლეგიის წევრი (1998), თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (1998-99). არის მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრი. მიღებული აქვს რაულ ვალენბერგის ინ-ტის შვედეთის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს სერთიფიკატი — „ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურის კითხვა და თავისუფალი დროის ოჯახთან გატარება.

მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, 53-09-17. (ბინის) გლდანი, VIII მ/რ. კორპ. 23. ბ. 50. თბილისი. ტელ: 68-15-22.*

**სიმართლისა და სამართლიანობისთვის ბრძოლა. ყოველთვის ვცდილობდი დახმარების ხელი გამეწვდინა გაჭირვებული მოქალაქისათვის, რა თქმა უნდა, სამართლებრივი თვალსაზრისით. დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის კეთილსინდისიერად და დროულად ვასრულებდი. სისტემატურად ვცდილობდი პროფესიული დონის ამაღლებას.**



**იზა ორჯონიკიძე** ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პოეტი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 21 ნოემბერს. მშობლები: თამარ სრესელი, არჩილ ორჯონიკიძე; შვილი — მაია (1959). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი და მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის სლავური განყ-ბა (1965). იყო გამომცემლობების: „საბჭოთა საქართველოს" (1967-68), „მერანის" (1968-76), „ნაკადულის" რედაქტორი; ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი (1976-82), გამომცემლობა „მერანის" მთავარი რედაქტორის მოადგილე (1982-89). კვლავ ლიტერატურის მუზეუმის დირექტორია 1989 წლიდან. არის 15-ზე მეტი ორიგინალური და ახალბერძნულიდან თარგმნილი სამი წიგნის ავტორი, მათ შორის: „ოდესღაც და... სულ ახლახან" (1999), „გიუმაჟი ბრონეული" (ახალბერძნული პოეზიის თარგმანი, 1999), „მოდი, სიყვარულით დავიწყოთ" (2000), „ანა ახმატოვას 50 ლექსი" (თარგმანი, 2000). იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1968-90).

**ჰობი:** ყვავილების მოშენება და მოვლა, მუსიკა.

მისამართი: *(სამსახურის) გ.ჭანტურიას 8. თბილისი 380004. ტელ: 99-86-67. (ბინის) ზაქარაიას 8. ბ. 15. თბილისი. ტელ: 39-80-33.*

**არ მძულს, არ მშურს, ადამიანი მიყვარს და მებრალება კიდეც. გულწრფელობა, სიმართლის სიყვარული, სიტყვისა და საქმის მთლიანობა აუცილებელი პირობაა ჩემთან ურთიერთობის დროს. მიყვარს სისუფთავე (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც!), ვარ პუნქტუალური. არ მიყვარს ვალების აღება. თუ ავიღებ, ზუსტად დათქმულ დროზე გავისტუმრებ. „ჩემი ხატია სამშობლო", ყველაფერს ამ საზომით ვზომავ. ბევრი მყავს მტერი. ვაჟა-ფშაველას ვუხმობ ხოლმე საშველად: „ცუდას რად უნდა მტერობა" და ვცხოვრობ ისე, როგორც მსურს! ძალიან მიყვარს ჩემი საქმე — მუზეუმში საკეთებელ საქმეს ვგულისხმობ. მიყვარს ყველა თანამშრომელი და ვზრუნავ მათზე, ვარ ძალიან მკაცრი დირექტორი, მკაცრი და სამართლიანი.**



**მიხეილ ოსაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. სატივეში (ხაშურის რ-ნი) 1943 წ. 23 მარტს. მშობლები: ანა ლომსაძე, ვასილ ოსაძე; მეუღლე — მანანა ჟღენტი (1951); შვილი — ანა (1981). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1967). იყო სი „კავგიპროტრანსის" ინჟინერი (1968), სამართალდამცავი ორგანოების სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის სახ. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შსს მინისტრის პირველი მოადგილე (1969-93), საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საერთაშორისო კონფლიქტებში ძალის არ გამოყენების მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური სამართლებრივი საფუძვლები" (1996). არის პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-03-65.*

**თენგიზ ოქროცვარიძე** საგარეჯოს რაიონის გამგეობის თემჯდომარე. დაიბადა სოფ. პატარძეულში (საგარეჯოს რ-ნი) 1953 წ. 28 აგვისტოს. მეუღლე – ლია აბუაშვილი (1963); შვილები: მიხეილი (1988), ვახტანგი (1989). დაამთავრა თსუ ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკ-ტი (1976). იყო პატარძეულის მეცხვარეობის საკოლმეურნეობათშორისო მეურნეობის ალკკ კომიტეტის მდივანი, მთავარი ეკონომისტი (1976-79), საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს რევიზორი, უფროსი რევიზორი, I კატეგორიის რევიზორი, ნამყვანი რევიზორი (1979-93), საქართველოს კონტროლის პალატის ინსპექტორი (1993-94), კახეთის რეგიონის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე (1994-99).



**ზაზა ოქუაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, ფირმა „ომეგას" დამფუძნებელი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 31 მაისს. მშობლები: მელიტა კვერნაძე, რობერტ ოქუაშვილი; მეუღლე — ნატო ჩხეიძე (1960); შვილები: რატი (1998), გიორგი (2000). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1989). გაიარა რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციული განყ-ბის ინტერნატურა (1989-90). იყო ხაშურის რაისაავადმყოფოს რეანიმაციული განყ-ბის ექიმი (1990), ფირმა „ომეგას" პრეზიდენტი (1990-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.
**ჰობი:** მშენებლობა.

**ჩემი მიზანია, რომ ქართული ბიზნესი ბუნებრივი გზით ვითარდებოდეს. აუცილებელია მძლავრი და ანგარიშგასაწევი ორგანიზაციის შექმნა. წარმატების მიზეზი ალბათ ის არის, რომ მიცემულ სიტყვას ყოველთვის ვასრულებ და ჩემი მიზანი და შესაძლებლობა ერთმანეთს შეესაბამება და მაშინ მიუღწეველი არაფერია.**



**მაია ოშხარელი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1963 წ. მშობლები: ქეთევან ყურაშვილი, ელგუჯა ოშხარელი; მეუღლე – ბადრი გოგლიძე (1958); შვილები: ნოდარი (1989), მარიამი (1991). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1987). იყო თბილისის ეკონომიკისა და სამართლის კოლეჯის მასწავლებელი (1987-99), საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ნაძალადევის რ-ნის ადვოკატურის ადვოკატი (1991-99), თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტის ლექტორი (1994-2000).
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 58-09-14.*

**შრომისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, პასუხისმგებლობა.**

**გიორგი (გოგი) ოჩიაური** მოქანდაკე, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. შუაფხოში (დუშეთის რ-ნი) 1927 წ. 10 იანვარს. მშობლები: ნათელა ბალიაური, ალექსი ოჩიაური; მეუღლე – გულნაზი ლორთქიფანიძე (1928); შვილები:



ნანა (1955), ხათუნა (1960). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1953), ასპირანტურა (1957). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1991-92). არის თსსა პროფესორი, ქანდაკების ფაკ-ტის სამხატვრო კლასის ხელმძღვანელი; მხატვართა კავშირის თავმჯდომარეა 1997 წლიდან. არის ავტორი ნამუშევრებისა: "ვაჟა-ფშაველა" (1972), კომპოზიციისა "ზღვა", გორელიეფისა "შენ ხარ ვენახი" (თბილისის ქორწინების სასახლე, 1964), "რექვიემი" (ვაკის პარკი 1981-85), "ქალის ტორსი" (ადლერი, 1969), "სიცოცხლის ხე" (ჰოლანდია, ტექსელი, 1977), ალეგორიული ქანდაკებისა "მუსიკა", პორტრეტებისა და სხვ. იყო დამდგმელი მხატვარი ფილმისა „ალავერდობა" (რეჟ. გ. შენგელაია). მონაწილეობდა ვაჟა-ფშაველას (I პრემია), ვახტანგ გორგასლის (III პრემია) ძეგლების, ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსის (I პრემია) პროექტების კონკურსებში, რესპუბლიკურ და საკავშირო, საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში (1953 წლიდან). არის საქართველოს სახალხო მხატვარი (1980), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1988), ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი (1986); საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1956). მისი ბიოგრაფია შეტანილია БСЭ, ქსე; ცნობარებში: "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი" 2000), „მსოფლიოს 5000 გამოჩენილი ადამიანი", „მსოფლიოს ნამყვანი ინტელექტუალები" (IBC, 1999-2000), "XX საუკუნის გამოჩენილი ადამიანები" (ABI).

**ჰობი:** სიცოცხლე.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსსა. გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. ტელ: 93-69-59, 93-68-93. (ბინის) ნუცუბიძის 151, თბილისი. ტელ: 32-21-95.*

**სახარების ათი მცნება.**



**ირაკლი ოჩიაური** მოქანდაკე. დაიბადა სოფ. შუაფხოში (დუშეთის რ-ნი) 1924 წ. 20 ნოემბერს. მშობლები: ნათელა ბალიაური, ალექსი ოჩიაური; მეუღლე – ირინა ჯანდიერი (1932); შვილები: ლელა (1957), ბუბა (1962), ნათელა (1967). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1951). იყო სპი არქიტექტურის ფაკ-ტის პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, არის პროფესორი. მუშაობს ფერწერის, გრაფიკის, დაზგური გრაფიკის, ქანდაკების, მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების, ლითონმქანდაკებლობის, ოქრომჭედლობის ჟანრებში. მის სახელთანაა დაკავშირებული ჭედური ხელოვნების აღდგენა და აღორძინება რესპუბლიკაში (1952 წლიდან). არის საქართველოს სახალხო მხატვარი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1972); საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1953). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** კლასიკური მუსიკა.

**მისამართი:** *(ბინის) ნუცუბიძის 145, თბილისი 380086. ტელ: 32-46-45.*

**ქართული არსი ჩემი პიროვნებისა.**

# პ



**თედო პაატაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 19 ივნისს. მშობლები: ლეილა სანაძე, შალვა პაატაშვილი; მეუღლე — ბელა სალუქვაძე (1967); შვილები: ნინო (1986), ელენე (1996). დაამთავრა სპი საინჟინრო-ფიზიკური ფაკ-ტი (1978). იყო იზოტოპების (1979-84) და გეოფიზიკის (1984-90) ინ-ტების თანამშრომელი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-92), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95, 1999 წლიდან). არის ავტორი წიგნისა "წერილები" (1995). იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოების (1987-91), "ქარტია-91"-ის (1991), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი.
**ჰობი:** მუსიკა, კითხვა, ცურვა, ჩოგბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-25-86. (ბინის) გოგებაშვილის 49, თბილისი 380079.*



**ლევან პაატაშვილი** კინოოპერატორი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1926 წ.12 მარტს. მეუღლე — ლუბა პაატაშვილი (1948); შვილი—გიორგი (1969). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის საოპერატორო ფაკ-ტი (მოსკოვი). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" ოპერატორი, კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის პროფესორი (1994 წლიდან). არის დამდგმელი ოპერატორი ფილმებისა: „სხვისი შვილები" (1958), „დღე პირველი, დღე უკანასკნელი" (1959), „თოჯინები იცინიან" (1961), „ფორე მოსულიშვილი" (1970), „ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი" (1983), „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" (1984), „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" (1986), „კედელი" (1991). არის სსრკ სახელმწიფო (1985), საქართველოს მინისტრთა საბჭოს (1986) პრემიების ლაურეატი.
**მისამართი:** *(ბინის) მიცკევიჩის 1კორპ. ბ.92. თბილისი. ტელ: 38-14-35.*



**სოლომონ პავლიაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დაიბადა სოფ. კაკაბეთში (საგარეჯოს რ-ნი) 1959 წ. 24 აგვისტოს. მშობლები: ელიკო პავლიაშვილი, პავლე პავლიაშვილი; მეუღლე — ნონა ადამაშვილი (1971); შვილები: გიორგი (1988), ნანა (1995). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1982), ასპირანტურა (1986). იყო თსუ პედაგოგი, სპი ეკონომიკის თეორიისა და მარკეტინგის კათედრის უფროსი ლაბორანტი, პედაგოგი, დოცენტი, სოც. უზრუნველყოფის ერთიანი სახ. ფონდის თავმჯდომარის მოადგილე (1993-99), არის თსუ პროფესორი (1986 წლიდან), შსს საზოგადოებრივი აზრის ინ-ტის პრორექტორი (1997 წლიდან). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "წარმოების ეფექტიანობის მართვის კომპლექსური სისტემა საქართველოს მრეწველობაში" (1999). არის 65-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 5 მონოგრაფიის ავტორი; საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდიანტი.
**ჰობი:** პოეზია, მგობრებთან ურთიერთობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-56-81. (ბინის) კრწანისის 3, თბილისი. ტელ: 75-55-20.*
**ერთგულება.**

**გოჩა პაიჭაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ენერგეტიკის დარგში შექმნილი კრიზისული სიტუაციის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, იუსტიციის საბჭოს წევრი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 9



ნოემბერს. მშობლები: ნათელა წერეთელი, კარტეზ პაიჭაძე; მეუღლე — ლიანა თორთლაძე (1942); შვილი — ეკა (1963). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1965). მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში (1966-74), იყო პარტიული მუშაკი (1974-82), რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარე (1989-91), მინისტრთა კაბინეტის ადმინისტრაციული განყ-ბის გამგის მოადგილე (1992-93), გენერალური პროკურორის მოადგილე (1994-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.
**ჰობი:** ნადირობა, კინოფილმების ყურება.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. მობ: (877) 40-18-97. (ბინის) კუტუზოვის 8, ბ. 2, თბილისი. ტელ: 98-21-81.*



**ვლადიმერ პაპავა** ეკონომისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1955 წ. 25 მარტს. მშობლები: რუსუდან ჩხეიძე, გიორგი პაპავა; მეუღლე—ელენე პაპავა (1953); შვილები: ლანა (1982), არჩილი (1984). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობით (1977). იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1977-79), ცენტრალური ეკონომიკურ-მათემატიკური ინ-ტის სტაჟიორი და ასპირანტი (1979-82), ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1982-91), ეკონომიკის ინ-ტის დირექტორი (1991-96), საქართველოს ეკონომიკის მინისტრი (1994-99). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „რეგიონის სამშენებლო კომპლექსის მოდელირება სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიან ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელთა სისტემაში" (1982), სადოქტორო— „საზოგადოებრივი წარმოების პროდუქტიულობა და მისი დარგთაშორისი ანალიზი" (1989). არის საქართველოსა და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული 10 წიგნისა და მონოგრაფიის, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. არის ეკონომიკური თეორიის განვითარების საზოგადოების (ილინოისი, აშშ 1990), დანახარჯი-გამოშვების საერთაშორისო ასოციაციის (ავსტრია, 1992), ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის (მოსკოვი, 1994), ნიუ-იორკის მეცნ. აკადემიის (1995), დასავლეთის ეკონომიკის საერთაშორისო ასოციაციის (აშშ, 1996), მეცნიერების, განათლების, მრეწველობის და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის (აშშ, 1997), სამეფო ეკონომიკური საზოგადოების (ლონდონი, 1997), საერთაშორისო ატლანტიკური ეკონომიკური საზოგადოების (აშშ, 1998), სართაშორისო ბიოგრაფიული ასოციაციის (FIBA, 1998) წევრი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნ. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1994). არის სმკ-ის (1994) წევრი. მიღებული აქვს საქართველოს განათლების სამინისტროს რესპუბლიკური პრემია (1987), IBC-ის ვერცხლის მედალი (1999). მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში "Directory of Inernational Biography" (26th edition, Cambridge, IBC, 1998).
**ჰობი:** ჩოგბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ: 99-51-86, 98-24-53. ფაქსი: 93-15-99.*

**ერთგულება, სიმართლე, კომპეტენტურობა, პატიოსნება, ღირსება.**
**თუ გინდა, ცხოვრებაში მიაღწიო წარმატებას, უნდა იყო მარათონელი და არა სპრინტერი.**



**სულხან პაპაშვილი** საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი, გენერალ-მაიორი. დაიბადა სოფ. ჭკადუაშში (ზუგდიდის რ-ნი) 1966წ. 14 თებერვალს. მშობლები: ლაურა ალშიბაია, ანზორ პაპაშვილი; მეუღლე — ირმა ლომინაძე (1968); შვილები: სალომე (1990), ქეთევანი (1995). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1988). მუშაობდა თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურატურაში (1988-90); იყო ნაძალადევის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელი (1990-93), პროკურორის თანაშემწე (1993-95), სახელმწიფოს მეთაურის აპარატის თავდაცვის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების სამსახუ-

რის სახ. მრჩეველი (1995), ეროვნული უშიშროების საბჭოს სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ნამყვანი სახელმწიფო მრჩეველი (1996-97), უფროსი (1997-98). სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსია 1998 წლიდან.

**ჰობი:** თავისუფალი დროის გატარება ოჯახთან ერთად.

**მისამართი:** *(სამსახურის) 9 აპრილის 2, თბილისი 380008. ტელ: 99-73-62. ფაქსი: 93-47-38.*

**ცხოვრებისეული კრედოს განსაზღვრაში უმთავრესი როლი შეასრულა ჩემმა ოჯახმა. ბავშვობიდან ვიზრდებოდი იმ მორალური პრინციპებით, რაც დამახასიათებელია ტრადიციული ქართული ოჯახისთვის. თავიდანვე ასე მიმაჩნდა და ახლაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ოჯახი, მეგობრები და ჩემი ქვეყანაა. უნივერსიტეტის წლებში დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე ჩემმა პროფესიამ. შემდგომშიც, სხვადასხვა ორგანოებში მუშაობისას, საქმე, რომელსაც ვაკეთებდი, ღირსებასა და სიამაყეს მმატებდა. და თუ რაიმეს მივაღწიე, ეს ჩემი პროფესიის სიყვარულისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. დღეს, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს ვემსახურები, მსურს მცირედი წვლილი მაინც შევიტანო იმ დიდ საქმეში, რასაც საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობა ჰქვია.**



**ზაზა პაპუაშვილი** მსახიობი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 20 ოქტომბერს. მშობლები: ლალი ადამია, გურამ პაპუაშვილი: შვილი — ჯაბა (1991). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). მონაწილეობდა სპექტაკლებში: ი.სამსონაძის „ბედნიერი ბილეთი" (გია), დ.კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", „ირინეს ბედნიერება" (კირილე, აბესალო), უ.შექსპირის „მაკბეტი" (მაკბეტი), „ჰამლეტი", (კლავდიუსი), „მეფე ლირი" (მასხარა), „მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ" (მალვოლიო), გრ.რობაქიძის „ლამარა" (მინდია), კალდერონის „ცხოვრება სიზმარია" (სეხიზმუნდო), კ.გოცის „ქალი-გველი" (პანტალონე), ლ.თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი" (ბაჩა). არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996), რუსთავის საერთაშორისო ფესტივალის გრან-პრის მფლობელი („მაკბეტი", 1998), პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის („მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", 1999), თეატრალური საზოგადოების ორგზის პრემიის მფლობელი „წლის საუკეთესო მამაკაცი მსახიობი".

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. ტელ: 99-63-73. (ბინის) უზნაძის 78/81. თბილისი 380012. ტელ: 95-95-96.*

**სიყვარული. დიდი სიყვარული. შრომა, ბევრი შრომა. სილაღე. იუმორი. დიდი მეგობრობა. არდავიწყება. მადლიერება. კარგი ქალაქელობა.**



**ნათელა პატარქალიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, აღორძინების ფრაქციის მდივანი, ევროსაბჭოს ასამბლეისა და ევროპის ხალხთა პარტიის წევრი. დაიბადა თბილისში 1946 წ. 11 აგვისტოს. მშობლები: ანა პატარქალიშვილი, ვახტანგ პატარქალიშვილი. დაამთავრა თბილისის უცხო ენათა სახ. პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1970). იყო საშუალო სკოლის პედაგოგი (1970-75), კომკავშირული მუშაკი, პარტიის გლდანის რაიკომის განყ-ბის გამგე, გლდანის რაიონული საბჭოს დეპუტატი (1980-85), საქართველოს უმაღლესი საბჭოს დაჯილდოების განყ-ბისა (1985-91, 1995-96) და პრეზიდენტის აპარატის დაჯილდოების განყ-ბის (1991-93) რეფერენტი, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის ინგლისური ენის პედაგოგი (1996-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის კრებულის "ქართველი მოაზროვნენი V-XX ს.ს." ავტორი (გამოიცა აშშ-ში); საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის (1999), ევროპის ხალხთა პარტიის (2000) წევრი.

**ჰობი:** კითხვა, მუსიკა, ხელოვნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 99-79-46. (ბინის) საირმეს 10, თბილისი. ტელ: 38-89-44.*

**ზნეობა და სამართლიანობა.**



**ილია პატაშური** მხატვარი, საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა სოფ. ხევშაში (დუშეთის რ-ნი) 1939 წ. 9 მაისს. მშობლები: სოფიო ქავთარაძე, ვასილ პატაშური; მეუღლე – მედეა ელბაქიძე (1955); შვილები: პაატა (1970), თამარი (1981), თორნიკე (1982), ვასილი (1986). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1966), ასპირანტურა (1973). იყო თსსა პედაგოგი, უმცროსი და უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1990). არის პროფესორი (1995 წლიდან), პეიზაჟების სახელოსნოს ხელმძღვანელი. არის ავტორი ფერწერული ნამუშევრებისა „მწყემსის ოჯახი" (1975), „მზექალას ცეკვა" (1984), „ჩემი მარჩენალი" (1988), „მფარველი ანგელოზი" (1991), „გაზაფხული" (1994), „ძლევაი საკვირველი" (ტრიპტიქი, 2001) და სხვ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1982). დაჯილდოებულია საქართველოს კულტურის სამინისტროს I პრემიით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1975), სსრკ სამხატვრო აკადემიის II ხარისხის პრემიითა და მედლით (1988). არის საქართველოს მხატვართა კავშირის (1968), თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საზოგადოების, საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის (1990) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** ქართული ტრადიციები, პოეზია, სიმღერა და ცეკვა, სპორტი, კლასიკური მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. (ბინის) ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, კორპ. 19, თბილისი. ტელ: 32-58-98.*

**საქართველოს ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა. მინდა ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი და იცხოვროს მომავლის იმედით.**



**ვლადიმერ პატეიშვილი** ეკონომისტი, ბანკირი, სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი. დაიბადა სოფელ ძიმითში (ოზურგეთის რ-ნი) 1933 წ. 29 მარტს. მშობლები: თამარ მაისურაძე-პატეიშვილისა, ალექსანდრე პატეიშვილი; მეუღლე — მანონ ჩხიკვაძე (1947); შვილები: თამარი (1969), ალექსანდრე (1986). დაამთავრა მოსკოვის სახ. ეკონომიკის ინ-ტის ზოგადი ეკონომიკის ფაკ-ტი (1957). იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის განყ-ბის ინჟინერი, საამქროს ინჟინერ-ნორმადარი, შრომის ორგანიზაციის განყ-ბის უფროსის მოადგილე (1957-63), დირექტორის მოადგილე - მთავარი ეკონომისტი (1970-71), საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის განყ-ბის ინსპექტორი (1963-70), რუსთავის ქალაქკომის მდივანი (1971-73); საქართველოს კომპარტიის ცკ-ს ინსპექტორი (1973); სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის II მდივანი (1973-77); სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის თავმჯდომარე (1977-91); საქართველოს სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარე (1992-94). ს/ს „საქართველოს ბანკის" პრეზიდენტია 1994 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „შავი მეტალურგიის ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების ეკონომიკური ეფექტიანობა" (1969). არის 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; საქართველოს დამსახურებული ეკონომისტი (1983), შრომის წითელი დროშისა (1976) და ღირსების (1998) ორდენების კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა ყოფილ საბჭოთა კავშირში" (1994).

**ჰობი:** წიგნები, განსაკუთრებით ისტორიული.

**მისამართი:** *(სამსახურის) პუშკინის 3. თბილისი 380007. ტელ: 92-19-73.*

**სიმართლე, პატიოსნება, ერთგულება — ცხოვრების ნებისმიერ უბანზე და ნებისმიერ დროს. ამასთანავე მიმაჩნია, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში არ არსებობს უფრო დიდი მცნება, ვიდრე ქრისტეს შეგონებაა: როგორც შენ გინდა მოგექცნენ, ისე მოექეცი სხვებს. ვცდილობ ყოველთვის მივდიო ამ სიბრძნეს. დანარჩენი უკვე ჩემზე აღარ არის დამოკიდებული.**



**ჯუმბერ პატიაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, მეცნიერებათა კანდიდატი, მიწათმოქმედების ინ-ტის კონსულტანტი. დაიბადა ლაგოდეხში 1940 წ. 5 იანვარს. მშობლები: ვერა შანიძე, ილია პატიაშვილი; მეუღლე – თინა ჭიჭინაძე

(1942); შვილები: გიორგი (1973), პაატა (1979). დაამთავრა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიის ფაკ-ტი (1961), ასპირანტურა (1964). იყო სამეცნიერო (1964-66), კომკავშირულ და პარტიულ (1966-89) სამუშაოზე, მინათმოქმედების ს/კ ინ-ტის დირექტორი (1980-2000). არის ინ-ტის კონსულტანტი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1999 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "სანაწვერალო კულტურების შერჩევა აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ პირობებში" (1966). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; მოძრაობა "ერთიანი საქართველოს" დამფუძნებელი და ლიდერი (2000 წლიდან).
**ჰობი:** ფეხბურთი, ჩოგბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) ფალიაშვილის 31, თბილისი 380079. ტელ: 29-21-24.*
**სამართლიანობა, სიმართლე, სიკეთე, პატიოსნება და ჯანსაღი, დემოკრატიული საზოგადოების შექმნა.**

**იოსებ პაქსაძე** ადიგენის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. კორტოხში (ხულოს რ-ნი) 1963 წ. დაამთავრა სკკპ ცკ უმაღლესი დაუსწრებელი (1982) და ბაქოს უმაღლესი (1982) პარტიული სკოლები. იყო კორტოხის კოლმეურნეობის მუშა (1963-65, 1968-70), ხულოს კავშირგაბმულობის რაიკვანძის თანამშრომელი (1970), ხულოს სამხედრო კომისარიატის საფინანსო-სამეურნეო მომარაგების უფროსი (1971-74), საქართველოს კპ ხულოს რაიკომის პარტბილეთებისა და პარტსტატისტიკის სექტორის გამგე (1974-82), საორგანიზაციო განყ-ბის გამგის მოადგილე, საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის და საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი (1982-85), ამავე რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1985-89), ადიგენის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარის I მოადგილე (1994-96), გამგეობის აპარატის ხელმძღვანელი (1996-99).

**ალექსანდრე პერტაია** ჩხოროწყუს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ლენურნუმეში (ჩხოროწყუს რ-ნი) 1958 წ. მეუღლე — ნონა მიქავა (1964); შვილები: გიორგი (1991), ნანა (1992). დაამთავრა ყაზანის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი (1983). იყო კოლმეურნეობის (1975), ყაზანის სამშენებლო ტრესტის (1976) მუშა, საკავშირო ალკკ ყაზანის ორგანიზაციის ინსტრუქტორი (1983), ჩხოროწყუს კომკავშირის რაიკომის თანამშრომელი (1985), პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი (1987), სოფლის გამგეობის თავმჯდომარე (1991), ჩხოროწყუს რ-ნის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1998-99). იყო საკრებულოს თავმჯდომარე (1999).



**გიორგი პიპინაშვილი** მსახიობი, საზოგადოებრივი გაერთიანება „ართ-პოლის" გენერალური დირექტორი, ინვალიდ და დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის ფონდის „ართ-პოლი +"-ის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: იზა ცუცქირიძე, ნოდარ პიპინაშვილი; მეუღლე — თამუნა კობერიძე (1969); შვილი — ანა (1995). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1980). მონაწილეობდა მხატვრულ ფილმებში: „გარიგება", „მიზერერე", „დონ ჟუანის დაბადება"; სპექტაკლებში: „ჩვენი პატარა ქალაქი", „ბაკულას ღორები", „ამფიტრიონი", „ზაფხულის ღამის სიზმარი, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი" და სხვ; ტელესერიალში: „წვრილვარსკვლავთა ღამე".
**ჰობი:** მხატვრობა, ჭედურობა, ხის დამუშავება, გობელენი, ტელერეჟისურა.
**მისამართი:** *(სამსახური) აღმაშენებლის 154, აღმაშენებლის 164; თბილისი 380012. ტელ: 34-09-37, 94-28-13. (ბინის) დგებუაძის 2. თბილისი. ტელ: 95-09-11.*
**პროფესია, პროფესიონალიზმი, ბევრი მეგობარი. იუმორი, ოჯახი, შვილი. ვცდილობდი ყოველთვის ვყოფილიყავი პრინციპული, ერთგული, სამართლიანი, მეოჯახე და სასურველი მეგობარი ჩემი მეგობრებისათვის.**



**ავთანდილ პოპიაშვილი** მხატვარი. დაიბადა 1944 წ. 10 მარტს დედოფლისწყაროში. მშობლები: მანო ტოლიკიშვილი, ვახტანგ პოპიაშვილი; მეუღლე — რუსუდან მირიანაშვილი (1960); შვილები: დავითი (1969), ნინო (1973). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბა (1976). იყო ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი (1976-92). არის თსსა ფერწერის კათედრის თანამშრომელი (1989 წლიდან), საქართველოს მხატვართა კავშირის ფერწერის სექციის თავმჯდომარე (1996 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: „ბერიკების ქორწილი" (1985), „ლაშარობის დღესასწაული თუშეთში" (1985), ფერწერული და გრაფიკული სერია „ნატურმორტები ყვავილებით" (1985-98), „გაცილება" (1985), „პასტორალი" (1986), „იერუსალიმში შესვლა" (1995), „იმერეთი" (1995), „მედეა და იაზონი" (1998) და სხვ. გამართა პერსონალური გამოფენები „არტ გალერეაში" (ტალინი, 1991), კულტურის ცენტრ „მზიურში" (მოსკოვი, 1991). მონაწილეობდა საქართველოში და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში (1967 წლიდან), მათ შორის: საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნება (მოსკოვი, 1987), „იმპულსები: დიურერი, გოეთე, ფიროსმანი" (თსსა მუზეუმი,1995), პარიზი, იუნესკო (1996), საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, სეგ (თბილისი, 1998) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, ქუთაისის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, საქართველოს, რუსეთის, საფრანგეთის, საბერძნეთის კერძო კოლექციებში. მონაწილეობდა ა/კ რესპუბლიკების მხატვართა I ბიენალეში (ვერცხლის მედალი, თბილისი, 1986), ბულგარეთის (1996), ქუთაისის ფერმწერთა IV საერთაშორისო პლენერში, (1995). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1976). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** მთაში სიარული.
**მისამართი:** *(ბინის) ჩიქოვანის 24ა. ბ.30. თბილისი 380071. ტელ: 33-74-93.*
**პატიოსნება.**

# ჟ



**არნოლდ ჟვანია** საქართველოს პარლამენტის წევრი, სარეგლამენტო და პროცედურის საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ქვედა ჩხოროწყუში (ჩხოროწყუს რ-ნი) 1947 წ. 30 ივლისს. მშობლები: ოლია გეგელია, ვახტანგ ჟვანია; მეუღლე ლუარა შენგელია (1955); შვილები: ვახტანგი (1987), ირაკლი (1989), თამარი (1991). დაამთავრა სპი მსუბუქი მრეწველობის ფაკ-ტი (1970), ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა (1989). იყო თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ტექნიკური განვითარების ინჟინერი, ცვლის ოსტატი, ალკკ კომიტეტის მდივანი (1970-75), საქართველოს ალკკ ჩხოროწყუს რაიკომის II და I მდივანი (1975-78), ჩხოროწყუს სახალხო კონტროლის რაიკომის თავმჯდომარე (1978-80), ჩხოროწყუს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1980-85), საქართველოს კპ ჩხოროწყუს რაიკომის II და I მდივანი (1985-91), ჩხოროწყუს რ-ნის გამგებლის მოადგილე (1993-99). დაჯილდოებულია მედლით "შრომითი ნარჩინებისთვის" (1983). არის სმკ-ის წევრი (1993).
**ჰობი:** ქართული ხალხური სიმღერა, წიგნები.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-15-69. (ბინის) გორკის 5, ჩხოროწყუ. ტელ: 2-25-25, (899) 57-85-63.*

**პედაგოგმა მშობლებმა განათლებისადმი სიყვარული, პატიოსნება და თავმდაბლობა შთამაგონეს, დღემდე ამ თვისებების მატარებელ კაცად ვითვლები. ოცდაათი წლის განმაელობაში ქვეყანას ამ იდეალებით ვემსახურები და დიდ წარმატებებსაც მივაღწიე. ამავე პრინციპებით ვზრდი შვილებს.**



**ზურაბ ჟვანია** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1963 წ. 9 დეკემბერს. მშობლები: რემა ანტონოვა, ბესარიონ ჟვანია; მეუღლე — ნინო ქადაგიძე (1965); შვილები: ლიზა (1994), ბესარიონი (1996), ანა (1999). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1985). იყო თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1985-92), საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე (1988-93), მწვანეთა პარტიის სპიკერი (1990-93), ევროპის მწვანეთა გაერთიანების თანათავმჯდომარე (1992-93), პარლამენტის წევრი, მწვანეთა ფრაქციის თავმჯდომარე (1992-95), სმკ-ის გენერალური მდივანი (1993-97). საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეა 1995 წლიდან.
**ჰობი:** ცურვა, მთაში ფეხით მოგზაურობა, საოპერო მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-90-60.*



**ნოდარ ჟვანია** მუსიკოსი, ალტისტი, პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი. დაიბადა ქუთაისში 1945 წ. 26 მარტს. მშობლები: თინათინ მაჭავარიანი, არჩილ ჟვანია; მეუღლე — სალომე გაბუნია (1951) შვილები: არჩილი (1978), ელენე (1983). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1968). მუშობდა სახ. კამერულ ორკესტრში (1964-66), არის სახ. სიმებიანი კვარტეტის ალტისტი (1966 წლიდან), თბილისის სახ. კონსერვატორიის ვიოლინოსა და ალტის კათედრის გამგე (1991-93), სახ. კამერული ორკესტრის ალტისტი (ქ.ინგოლშტატი, 1993 წლიდან). არის ზ.ფალიაშვილის პრემიის, ამიერკავკასიის კონკურსისა და ლ.ვაინერის სახელობის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი (კვარტეტთან ერთად).
**ჰობი:** ცურვა, წყლის თხილამურები, ტურიზმი.
**მისამართი:** *(ბინის) ფალიაშვილის 6. თბილისი 380079. ტელ: 23-58-67.*

დაუზოგავი, თანმიმდევრული შრომა. საქმისა და ახლობლების ერთგულება და სიყვარული. ოჯახი, მეგობრები. გულწრფელობა და პატიოსნება ყოველგვარ საქმიან თუ პირად ურთიერთობაში. კონფლიქტებსა და ინტრიგებში ჩაურევლობა.



**გაიოზ (გიზო) ჟორდანია** ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის რექტორი, ბათუმის საოპერო თეატრის მთავარი რეჟისორი, ბათუმის ბავშვთა საოპერო თეატრის მთავარი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი. დაიბადა ლანჩხუთში 1934 წ. 25 სექტემბერს. მშობლები: ვანდა ნიკოლაიშვილი, ვუკოლ (კოკი) ჟორდანია; მეუღლე — ნათელა ვაჩნაძე (1941); შვილები: ერეკლე (1964), ირინე (1974). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1958). იყო თსთი პრეპარატორი (1957-58), მასწავლებელი (1958-61), უფროსი მასწავლებელი (1961), ბათუმის (1961-65), რუსთაველის თეატრის დამდგმელი რეჟისორი (1965-70, 1979-86), თბილისის ოპერისა და ბალეტის (1970-79), გრიბოედოვის (1979-86) თეატრების მთავარი რეჟისორი, თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის რექტორი (1991-99). არის მსახიობის ოსტატობის კათედრის გამგე (1995 წლიდან), რეჟისურის კათედრის გამგე, პროფესორი (1998 წლიდან), ბათუმის ოპერის მთავარი რეჟისორი (1993 წლიდან). დადგმული აქვს 150-ზე მეტი სპექტაკლი საქართველოში და საზღვარგარეთ. არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა დრამატული თეატრის, ოპერისა და სათეატრო პედაგოგიკის პრობლემებზე; რუსთაველის თეატრის მცირე სცენის დასის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ბათუმის ბავშვთა საოპერო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი; საქართველოს სახელმწიფო (1982), კ.მარჯანიშვილის (1989), ს.ახმეტელის (1992), შ.რუსთაველის (1995), მ.აბაშიძის (1998) პრემიების ლაურეატი; დაჯილდოებულია ა.შვაიცერისა (1983) და ო.პოპოვის (1988) სახელობის მედლებით.
**ჰობი:** კითხვა, ოცნება.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 19. თბილისი 380008. ტელ: 99-94-11. (ბინის) ფალიაშვილის 82. ბ. 15. თბილისი 380079. ტელ: 22-99-48.*

ვცდილობ, ჩემი არსებობით ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს სიხარული და ბედნიერება მოვუტანო. ვეძებ ხერხებსა და საშუალებებს, რომ ახალგაზრდა პიროვნებად იქცეს და არა თოჯინად, რომ მან ინამოს თავისი შემოქმედებითი პოტენციისა იმ დოზით, რამდენიც ღმერთმა უბოძა. შეიმეცნოს, ამოიცნოს თავისი თავი, დათრგუნოს შური, ღვარძლი, ამპარტავნობა, განდევნოს ეჭვი და ბოროტება თავისი არსებიდან. კეთილი ნებით წარმართოს თავისი, სხვისი ცხოვრება და შემოქმედება.



**ირაკლი ჟორდანია** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს, რუსეთის და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 17 სექტემბერს. მშობლები: ნინო მინდელი, სერგი ჟორდანია; მეუღლე — ლალი ყუფარაძე (1954); შვილი — თამარი (1990). დაამთავრა სპი საინჟინრო ფაკ-ტი. იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა, ოსტატი, ცვლის უფროსი, საამქროს უფროსი (1955-76), საქართველოს საგეგმო კომიტეტის განყ-ბის უფროსი, თავმჯდომარის მოადგილე (1976-84), მეცნიერებისა და ტექნიკის სახ. კომიტეტის თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1984-89), ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (1989-90), მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრი (1990-93). სახელმწიფო კომპანია „საქსამთომეტალურგის" პრეზიდენტია 1996 წლიდან, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი — 1999 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ახალი მეტალურგიული პროცესები" (1984). არის 100 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 6 მონოგრაფიისა და 9 გამოგონების ავტორი; რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, ლენინური პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებულია საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ოქროს მედლით (1998). იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს 2 მოწვევის დეპუტატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1984), ABI-ის ბიოგრაფიულ ცნობარში.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კომპანია „საქსამთომეტალურგია". გაგარინის 11. რუსთავი. (ბინის) შარაშიძის 2/4. ბ. 11. თბილისი 380009.*

ემსახურო საქართველოს სამთო და მეტალურგიული მრეწველობის განვითარებას, ვიყო ყველაზე მაღალი კომპეტენციის სპეციალისტი დარგში, გავაღრმავო და ავამაღლო მეცნიერულ კვლევათა დონე დარგში, აღვზარდო ახალი თაობის წარმომადგენლები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, მხარში ამოვუდგე რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ეკონომიკური რეფორმების რეალიზაციაში.



**მერაბ ჟორდანია** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 3 სექტემბერს. მშობლები: ნუნუ ნემსაძე, ლევან ჟორდანია; მეუღლე — მაკა ასათიანი (1971); შვილები: კახი (1995), ლევანი (1997). დაამთავრა სპი საამშენებლო ფაკ-ტი (1982). თამაშობდა საფეხბურთო კლუბებში: თბილისის „დინამო", ლანჩხუთის „გურია", ჰოლანდიისა და ისლანდიის კლუბებში (1982-92). თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტია 1992 წლიდან, სფფ-ის პრეზიდენტი — 1998 წლიდან. არის სპორტის ოსტატი ფეხბურთში, საფეხბურთო ასოციაციის (უეფა) კომიტეტის წევრი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სატრანსფერო კომისიის თავმჯდომარე.
**ჰობი:** ლიტერატურა, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49ბ. თბილისი 380062. ტელ: 96-07-50.*

**ოთარ ჟორდანია** თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორი, აფხაზეთის არ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა სოფ. მოქვში (ოჩამჩირის რ-ნი) 1940 წ. 23 სექტემბერს. მშობლები: ნინო (ნუცა) ჩქოტუა, კონსტანტინე ჟორდანია. დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963). იყო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უფროსი ლაბორანტი (1967-76), უფროსი (1976-86), წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1986-93), თსსა პედაგოგი (1973-93), პროფესორი (1987 წლიდან). თსუ სოხუმის ფილიალის დირექტორია 1993 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „საგლეხო რეფორმის ისტორია საქართველოში" (1983). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები: „რევოლუციური სიტუაციის საკითხისთვის საქართველოში XIX ს-ის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დამდეგს" (1971), „საგლეხო რეფორმის ისტორია საქართველოში" (წიგნი I, 1982), „ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი" (1988), „დეკაბრისტი ალ.მურავიოვი და მისი ჩანაწერები „ჩემი დღიური" (1990) და სხვ. დაჯილდოებულია ივანე ჯავახიშვილის მედლით, ღირსების ორდენით (1998). იყო სკკპ წევრი (1964-91).
**ჰობი:** სპორტი, წიგნები.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჯიქიას 12. თბილისი 380086. ტელ: 53-65-80. (ბინის) გორგასლის 39. ბ. 47. თბილისი 380004. ტელ: 72-47-80.*

საქმისადმი ერთგულება და პასუხისმგებლობა, მამულისადმი სიყვარული.



**თედო ჟორჟოლიანი** ს/ს "თბილკრედიტბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა წყალტუბოში 1964 წ. 9 დეკემბერს. მშობლები: ციალა კვერნაძე, შოთა ჟორჟოლიანი; მეუღლე – ნინო გეგენავა (1963); შვილები: ნიკა (1986), რატი (1989), დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1986). მუშაობდა სახელმწიფო ბანკის კალინინის რაიგანყოფილებაში (1986-88), სსრკ აგროსამრეწველო ბანკში (1988-91). იყო "ენერგობანკის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1991-92), "თბილკომბანკის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე (1992-95, 1995-96), "თბილკრედიტბანკის" გამგეობის თავმჯდომარე (1995-99). "თბილკრედიტბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 27, თბილისი 380008. ტელ: 98-60-10. ფაქსი: 98-27-83. (ბინის) ჩიქოვანის 6ა, თბილისი 380071.*

**დავით ჟღენტი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ერკეთში (ჩოხატაურის რ-ნი) 1952 წ. 5 ოქტომბერს. მშობლები: ციალა უნგიაძე, მამული ჟღენტი; მეუღლე — იამზე კეკელიძე (1953); შვილები: ცირა (1975), მამუკა (1977),



დავითი (1985). დაამთავრა სპი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკ-ტი (1976). იყო საპროექტო ბიუროს ტექნიკოსი (1974), ჩოხატაურის რ-ნის არქიტექტორი (1976), საპროექტო ბიუროს (1979), საგზაო სამმართველოს (1981-91) უფროსი, ჩოხატაურის გამგეობის პირველი მოადგილე (1992-93), საგზაო გაერთიანების დირექტორი (1993-94), სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის მოადგილე გურიის მხარეში (1995), საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99). არის საქართველოს დამსახურებული მშენებელი (1989).

**ჰობი:** პროექტირება-მშენებლობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-24-16. (ბინის) გრიბოედოვის 6. ბ. 28. ბათუმი.*

**სამართლიანობა, მიმტევებლობა, შესაძლებლობის ფარგლებში ქველმოქმედება, დასახული პრინციპების ერთგულება, რაიონის და ქვეყნის აღმშენებლობაში მაქსიმალური წვლილის შეტანა, შვილების სწორად აღზრდა.**



**თეიმურაზ ჟღენტი** თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი. დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 22 თებერვალს. მშობლები: კლავდია კალანდაძე, გიორგი ჟღენტი; მეუღლე — ვიოლეტა სახვაძე (1945); შვილები: კახაბერი (1965), თეა (1970). დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963). იყო კომკავშირული მუშაკი (ოქტომბრის რაიკომი, თბილისის საქალაქო კომიტეტი, ცკ 1965-73), განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსი (1974-75), ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორი (1975-76), პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი (1977-87), სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე (1987-88), რუსთაველის თეატრის დირექტორი (1988-90). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სამშობლოს სიყვარულის აღზრდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში" (1986). არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი (1987). იყო კომკავშირის საქალაქო და ცენტრალური კომიტეტის წევრი (1968-87), თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი (1978-88). პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია 1998 წლიდან.

**ჰობი:** პოეზია, თეატრი.

**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 40. თბილისი, 380002. ტელ: 95-10-50. (ბინის) გენერალ მაზნიაშვილის 6. თბილისი 380002. ტელ: 95-29-51.*

**ქვეყნის, ოჯახისა და მეგობრების სამსახური. პრინციპი: ვიყო მართალი და ვემსახურო ჭეშმარიტებას. იდეალი: თავისუფალ, წელგამართულ საქართველოში ცხოვრება. მიზანი: ღირსეულ მამულიშვილებად აღეუზარდო ჩემს ქვეყანას შვილიშვილები (თემური, კოკი, დავითი, გიორგი...), თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ვიხილო რესპუბლიკის მოწინავე უმაღლეს სასწავლებელთა თანავარსკვლავედში.**

# რ



**ვახტანგ რაზმაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ამბროლაურში 1930წ. 5 თებერვალს. მშობლები: დარიკო ნასარიძე, აპოლონ რაზმაძე; მეუღლე — ჟენია ცეცხლაძე (1932); შვილები: მამუკა (1958), მარინა (1963). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1954). იყო კომკავშირულ სამუშაოზე (1955-57), პარტიის ტყიბულის რაიკომის ინსტრუქტორი (1957-61), საორგანიზაციო განყ-ბის გამგე, ტყიბულის პროკურორი, საქართველოს პროკურატურის განყ-ბის უფროსის მოადგილე, უფროსი, თბილისის პროკურორი (1974-80), საქართველოს კპ ცკ-ის უფროსის მოადგილე (1980-82), რესპუბლიკის პროკურორის I მოადგილე (1982-85), რესპუბლიკის პროკურორი, გენერალური პროკურორი (1985-92). არის საქართველოს დამსახურებული იურისტი, სსრკ პროკურატურის საპატიო მუშაკი, ხალხთა მეგობრობის ორდენის კავალერი (1982), იყო სკკპ (1957-90). არის საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1998).

**ჰობი:** ნადირობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) ენგურის 3, თბილისი 380071. ტელ: 96-44-46*

**ბრძოლა სამართლიანობისათვის, შეურიგებელი დამოკიდებულება იმ პირთა მიმართ, ვინც პატივს არ სცემს და არ იცავს კანონის მოთხოვნებს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და თავდადებული შრომა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის შენარჩუნებისათვის.**

**თენგიზ რაზმაძე** ქარელის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა გორში 1961 წ. 27 აპრილს. მშობლები: ქეთევან აბაშაშვილი, გაიოზ რაზმაძე; მეუღლე — მაია სოსანიძე (1961); შვილი — ილია (1989). დაამთავრა გორის ეკონომიკური ინ-ტის ეკონომიკური ფაკ-ტი (1987). იყო გორის საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის ეკონომისტი (1987-89), დირექტორის მოადგილე (1992-93), განყ-ბის გამგე (1993-95), საქართველოს სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულის აპარატის განყ-ბის გამგე, რწმუნებულის მრჩეველი, მთავარი მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში (1995-97), ქარელის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარის I მოადგილე (1997-2000), რწმუნებულის მთავარი მრჩეველი (სამხარეო აპარატი 2000). ქარელის გამგებელია 2000 წლიდან. არის სმკ წევრი (1996).

**ჰობი:** ნადირობა, ოჯახთან ერთად მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ნინოშვილის 1, ქარელი. ტელ: 3-21-21. (ბინის) ბაქოს 7, გორი. ტელ: 2-30-24.*

**მართალი სიტყვა.**



**მელიქ რაისიანი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ახალქალაქში 1961 წ. 11 აპრილს. მშობლები: ლეილა რაისიანი, კარლოს რაისიანი; მეუღლე — ნაირა რაისიანი (1969); შვილები: აშოტი (1989), კარლოსი (1984). დაამთავრა ერევნის სახალხო მეურნეობის ინ-ტის საფინანსო აღრიცხვის ფაკ-ტი. იყო ერევნის N2 პურის ქარხნის მთავარი ბუღალტერი (1982-83), ბინების საექსპლუატაციო-კომუნალური განყ-ბის გამგე (1983-88), ახალქალაქის საწარმოო კომბინატის მთავარი ინჟინერი (1988-92), ნინოწმინდის საბაჟოს კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის უფროსის მოადგილე (1992-94). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის სმკ-ის ახალქალაქის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე (1994).

**ჰობი:** ნადირობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-38-72. (ბინის) ტერიანის 15. ახალქალაქი. ტელ: 2-32-43.*

**მოსახლეობის კეთილდღეობა, რეგიონის ეკონომიკური აღორძინება, საქართველოს ძლიერება, შვილების აღზრდა ღირსეულ მამულიშვილებად, ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის აღორძინება და დაცვა, მშვიდობის დამყარება საქართველოში.**



**დავით რამიშვილი** ეკონომისტი, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1974 წ. 25 ივლისს. მშობლები: ეთერ ბერიშვილი, ჯუმბერ რამიშვილი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1996). იყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე ეკონომიკურ საკითხებში (1997-99), სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ეკონომიკური ჯგუფის ხელმძღვანელი (1999-2000), ფინანსთა მინისტრის აპარატის უფროსი (2000), ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საპარლამენტო მდივანი (2000), სახაზინო სამსახურის უფროსი.
მისამართი: *(სამსახურის) პ.იაშვილის 4, თბილისი 380005. ტელ: 93-63-24. (ბინის) გლდანის მას., IV მ/რ, 92ბ კორპ., ბ. 21, თბილისი. ტელ: 68-91-20.*

**პატიოსნება, ერთგულება, პროფესიონალიზმი.**

**ლევან რამიშვილი** არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორი. დაიბადა თბილისში 1973 წ. 28 მარტს. მშობლები: ნანა ხოფერია, ალექსანდრე რამიშვილი. დაამთავრა თსუ ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკ-ტი (1985). იყო გაზეთ „მიმომხილველის" ანალიტიკური ჯგუფის უფროსი (1992-93), გაზეთ „არგუმენტის" საერთაშორისო და სარედაქციო წერილების განყ-ბების რედაქტორი (1995-96), ტელეარხ „რუსთავი-2"-ის კონსულტანტი (1996-97). „თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორია 1996 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს ბროშურა „ნაბიჯი თავისუფლებისაკენ. ქართული მედია 90-იან წლებში" (თანაავტორებთან ერთად, 1996); „პოსტისტორია. ქართული მაგალითი" (1997). სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სტატია (პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო მიმოხილვა).
**ჰობი:** ინტერნეტი.
მისამართი: *(სამსახურის) მაჩაბლის 6, თბილისი 380007. ტელ: 93-66-15. ელ-ფოსტა: Liberty@access.sanet. ge (ბინის) პაიჭაძის 26. ბ.1. თბილისი 380059. ტელ: 52-33-90. (877) 47-77-25.*



**მალხაზ რამიშვილი** გაზეთ „რეზონანსის" გამომცემელი, რადიო „რეზონანსის" დამფუძნებელი. დაიბადა თბილისში 1969 წ. 30 ოქტომბერს. მშობლები: თამარ ჩიქოვანი, დანიელ რამიშვილი; მეუღლე — თამარ ღუდუშაური (1977); შვილები: დანიელი (1997), ლადო (2000). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1987). გაზეთ „რეზონანსის" გამომცემელია 1990 წლიდან, რადიო „რეზონანსის" დამფუძნებელი — 1997 წლიდან. არის 200-მდე საგაზეთო სტატიის ავტორი, საქართველოს სიტყვის თავისუფლებისა და საჯაროობის ფორუმის თავმჯდომარე. არის ასოციაცია „ეროვნული თანხმობის" გამგეობის წევრი (1989).
**ჰობი:** რაგბი, გოლფი.
მისამართი: *(სამსახურის) აგლაძის 39. თბილისი, 380054. ტელ: 23-70-65, 94-01-26, 95-69-38, 94-36-96. ფაქსი: 96-93-52. (ბინის) მცხეთის 8. ბ. 74. თბილისი, 380079.*

**მაქსიმალური თვითრეალიზაცია მინიმალურ დროში.**

**შალვა რამიშვილი** რადიო 105-ის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1971 წ. 27 აგვისტოს. მშობლები: ნუნუ რამიშვილი, რამინ რამიშვილი; მეუღლე — თეა აბაშმაძე (1971); შვილი — ლაშა (1999). სწავლობდა თსუ ფიზიკის ფაკ-ტზე (გაირიცხა II კურსიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო). იყო იუმორისტული გაზეთის „კიდეს" დამფუძნებელი და რედაქტორი (1991-92), ტელეკომპანია „იბერვიზიის" გასართობი პროგრამის ავტორი, ტელე-შოუ „ციმციმებენ ვარსკვლავების" წამყვანი (1994 -96), რადიო „რეზონანსის" სამხატვრო ხელმძღვანელი (1997-99). არის ჯგუფი „სახეს" მენეჯერი (1996 წლიდან), მულტსერიალ „დარდუბალას"

პროდიუსერი, სტუდია „ვაშას" დირექტორი (2000 წლიდან). აქვეყნებდა პამფლეტებს, სტატიებს და მოთხრობებს გაზეთებში „რეზონანსი" და „7 დღე" (1992-93).
**მისამართი:** *(სამსახურის) აგლაძის 39. თბილისი 380054. ტელ: 23-70-65. (ბინის) სტანისლავსკის 12ა. თბილისი. ტელ: 34-68-96.*

**მე მინდა ვიყო მდიდარი, მყავდეს ბევრი ლამაზი ქალი და ამასთან ერთად, შეძლებისდაგვარად, არ დავარღვიო ის პრინციპები, რომელთაც პატიოსნება და სიმართლე ჰქვია (ოღონდ შეძლებისდაგვარად).**



**ემილ რაში** საქართველოს სამბისტთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 12 აგვისტოს. მშობლები: ზინა რაში, მიხეილ რაში; მეუღლე — ელა რაში (1967); შვილები: მიხეილი (1984), დიანა (1985). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტი (1985). იყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი (1986), არმიის სპორტული კლუბის უფროსი მწვრთნელი (1988). ახალგაზრდული ნაკრების უფროსი მწვრთნელია 1996 წლიდან. დასახელდა მსოფლიოს საუკეთესო არბიტრად სამბოში (1998, 2000). დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2000). არის სპორტის დამსახურებული მუშაკი (2001).
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49-ა. თბილისი 380062. ტელ: 22-72-43. (ბინის) ვარკეთილი-3, IV მ/რ. კორპ. 423. ბ. 25. თბილისი. ტელ: 79-42-68.*

**მე ყოველთვის მიზნად მქონდა დასახული, რომ სპორტში უმაღლესი შედეგებისთვის მიმეღწია, მაგრამ როგორც მოჭიდავემ, ეს ვერ განვახორციელე. ძალიან პრინციპული ხასიათის გამო, როგორც სპორტსმენმა, ეს ჩემი მიზანი ჩემს სპორტსმენებს ჩავუნერგე და ამ მიზანსწრაფვით აღვზარდე ისეთი სპორტსმენები, როგორებიც არიან მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ჯონდო მუზაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიო თასის მფლობელი არჩილ ჩოხელი.**



**გიორგი რევაზიშვილი** სპორტსმენი (ძიუდო). დაიბადა სოფ. გიორგიწმინდაში (საგარეჯოს რ-ნი) 1974 წ. 16 ნოემბერს. დაამთავრა სტუ (1999). არის მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1994); მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი (1997 (II ადგილი), 1999 (III ადგილი)); ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი (1994 (III ადგილი), 1996 (I ადგილი), 1997 (II ადგილი), 1998 (III ადგილი), 2000 (III ადგილი)); ოლიმპიური თამაშებისა და საერთაშორისო ტურნირების მონაწილე; ღირსების ორდენის კავალერი, ძიუდოს ფედერაციის წევრი.
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *(ბინის) სოფ. გიორგიწმინდა, საგარეჯოს რ-ნი.*



**ალექსანდრე რეხვიაშვილი** კინორეჟისორი. დაიბადა მოსკოვში 1938 წ. 17 იანვარს. მშობლები: ცუცა რეხვიაშვილი, პავლე რეხვიაშვილი; მეუღლე — ლალი ლობჟანიძე (1949); შვილები: რატი (1979), ნინო (1981). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტი (მოსკოვი, 1971). იყო დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „ნუცა", „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა", „გზა შინისაკენ", „საფეხური", „სამკუთხა წრეში" და სხვ. არის საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი, მიღებული აქვს პრიზები: „ოქროს დუკატი", „კათოლიკური ეკლესიის პრიზი", „ევანგელისტური ეკლესიის პრიზი", „კინოკრიტიკისა და კინოპრესის პრიზი", კემპერეს საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზი (საფრანგეთი), "Fipresci" (შვეიცარია), ქართული ფილმების ფესტივალის „მთავარი პრიზი" (1983) და სხვ.
**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 10ა. თბილისი 380059. ტელ: 52-13-16. (ბინის) გამსახურდიას 39, ბ.87, თბილისი. ტელ: 37-06-21.*

**როგორც კონფუცი გვირჩევს, ვცდილობ არ გავუკეთო სხვას ის, რაც არ მსურს რომ მე გამიკეთონ.**

**გია რიგვავა** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 8 აპრილს. მშობლები: ვიქტორია სირაძე, სერგო რიგვავა; მეუღლე – სიუზან დიუმა (1966); შვილები: ლადო (1983), სერგო (1998). დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახ.



ინ-ტი (1978), სურიკოვის სახ. სამხატვრო ინ-ტის ფერწერის ფაკ-ტი (1985). იყო სსრკ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს გაერთიანება "ქიმექსპორტის" უფროსი ინჟინერი (1978-80), თსსა პედაგოგი (1986-91), მოსკოვის სურიკოვის სახელობის სახ. სამხატვრო ინ-ტის მასწავლებელი (1994-96). მუშაობს ფერწერის, ინსტალაციის, ვიდეოარტის, ლამინირებული ფერწერისა და სხვა ჟანრებში. არის ავტორი ნამუშევრებისა: „ოჯახი" (1984), „ჯანყი გურიაში" (1986), ფერწერულ-ინსტალაციური ნამუშევრისა "O=C=" და სხვ. გამართა პერსონალური გამოფენები: „თეთრ გალერეაში" (თბილისი, 1990), მოსკოვში (1993), „შენ ხარ უღონო ანუ ყველაფერი არც ისე ცუდადაა", პერფორმანსი ("TV Gallery", მოსკოვი, 1993), თანამედროვე ხელოვნების ცენტრში (მოსკოვი, 1993), „მე მძულს სახელმწიფო - 1" (გალერეა „1.0", მოსკოვი, 1994), "Маленкие прозрачности" (ალდან-გალერეა მოსკოვი, 1997), „ვარსკვლავები" ("TV Gallery", მოსკოვი, 1997). მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში: „თანამედრვე საბჭოთა ხელოვნება" (იუნესკო, პარიზი, 1989), "Summer Atelier Inspiration" (ჰანოვერი, 1990), "Heat and Conduct" („ახალი ხელოვნება თბილისიდან, 1992), "Presence" ("Art-Space Gallery" ბრისტოლი, 1992), "Mappin Art Gallery" (შეფილდი, 1992), "Transformation" (იუნესკო, პარიზი, 1998) და სხვ. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1985). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000).
ჰობი: მხატვრობა.
მისამართი: *(ბინის) ფალიაშვილის 31, ბ. 7, თბილისი 380079. ტელ: 23-36-06.*



**ნუგზარ რობიტაშვილი** ინჟინერი, თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, სააქციო საზოგადოება „კახეთის" დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი. დაიბადა დედოფლისწყაროში 1947 წ. 1 ივლისს. მშობლები: ქეთევან რობიტაშვილი, შალვა რობიტაშვილი; მეუღლე — ნონა რობიტაშვილი (1957); შვილები: ქეთევანი (1978), ელენე (1979), შალვა (1984), ნინო (1990). სწავლობდა მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინ-ტში, სპი-ში, იუნესკოს სასწავლო ცენტრის (იტალია) საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკ-ტზე, პატენტმცოდნეობის ინ-ტში. იყო თბილისის სათაო საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორი (1967-69), თბილისის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრის განყ-ბის უფროსი (1969-71), საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს პროდუქციის სტანდარტიზაციის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ნორმირების სპეციალისტი (1971-75), ს/ს „კახეთის" გენერალური დირექტორი (1975 წლიდან), საქართველოს თავისუფალ მეწარმეთა და არენდატორთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი (1989-93), თბილისის სამგორის რ-ნის გამგებელი, თბილისის ვიცე-მერი, თბილისის პრემიერი (1992-93), თბილისის მეწარმეთა კორპორაციის თავმჯდომარე (1994-95), თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი (1995).
ჰობი: სპორტი, დიპლომატიის ისტორია, ოჯახი, საცნობარო ლიტერატურა, ინტერნეტში ძრომიალი.
მისამართი: *(სამსახურის) იუმაშევის 17, თბილისი. ტელ.: 41-51-51. ფაქსი: 94-04-46. (ბინის) ქეთევან წამებულის 88, ბ. 29. თბილისი.*

**ყოველთვის ვცდილობ, პროფესიონალურ დონეზე დავეუფლო იმ საქმეს, რასაც ხალისით ვაკეთებ, და ვიყო უღალატო საპარტნიორო ურთიერთობებში. როგორც ბიზნესმენმა ვიცი, რომ ბიზნესში ყველაზე მაღლა მოგება დგას, მაგრამ უფრო კარგად ვიცი, რომ მოგებაზე მაღლა ბიზნესშიც და ცხოვრებაშიც ბიზნესმენის ღირსება უნდა იდგეს და სწორედ ამ მრწამსით მსურს ვიცხოვრო ამ ქვეყანაზე.**



**ვლადიმერ როინიშვილი** მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მრჩეველი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 7 იანვარს. მშობლები: არუსიაკ ხაჟაკნიანი-როინიშვილი, ნიკოლოზ როინიშვილი; მეუღლე — ეკატერინე ლვოვა-როინიშვილი (1934); შვილები: ირინე (1961), ელენე (1963). დაამთავრა თსუ ფიზიკის

ფაკ-ტი (1957), სწავლობდა თბილისის სახ. კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტზე (ჩელო). იყო ფიზიკის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1957-62), უფროსი ინჟინერი (1962-66), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1966-69), მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის გამგე (1969-94). სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მრჩეველია 1994 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „იზოტროპული თვისებების მქონე ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერის მახასიათებლები და მუშაობის მექანიზმი" (1964); სადოქტორო — „ინკლუზიურ მეზონ-ნუკლონური გამოკვლევა და მეზონური მდგომარეობები $\pi^-+p \rightarrow \pi^-+\pi^-+\pi^++p$ რეაქციებში სერპუხოვის ენერგიებზე" (1974). არის 120 სამეცნიერო სტატიისა და ერთი გამოგონების ავტორი. არის ლენინური პრემიის ლაურეატი (1974).

**მისამართი:** *(სამსახურის) ფიზიკის ინ-ტი. თამარაშვილის 6. თბილისი 380077. ელფოსტა: roinishvili@mx.decneeeet.ihep.su*

**ხელი არ შეუშალო სხვას.**



**ნინო როინიშვილი** ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 26 იანვარს. მშობლები: არუსიაკ ხაჟაკნიანი-როინიშვილი, ნიკოლოზ როინიშვილი; მეუღლე — ზურაბ მანჯავიძე (1923); შვილები: ნატალია (1955), ირაკლი (1963). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1950). იყო ფიზიკის ინ-ტის უმცროსი (1950-62), უფროსი (1962-69) მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის (1969-78), განყ-ბის გამგე (1978-97). მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „უცნაური ნაწილაკების განივი იმპულსების შესწავლა" (1962); სადოქტორო — „მრავლობითი გენერაციის პროცესები 200 გევ ენერგიის ზემოთ" (1972). არის 115 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ფიზიკის ინ-ტი. თამარაშვილის 6. თბილისი 380077. ტელ: 39-64-16. (ბინის) ყაზბეგის 49. ბ. 2. თბილისი. ტელ: 39-31-57.*



**ირაკლი როსტომაშვილი** მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 13 სექტემბერს. მშობლები: ლალი დევაძე, გიორგი როსტომაშვილი; მეუღლე — ეკა ერისთავი (1964); შვილები: ქეთევანი (1992), გიორგი (1993). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1983). იყო „საქქალაქმშენპროექტის" პირველი არქიტექტურული სახელოსნოს არქიტექტორი (1983-85), უფროსი (1985-87), წამყვანი არქიტექტორი (1987-88), შპს „არსის" დამფუძნებელი და დირექტორი (1989-98), კრწანისის რ-ნის გამგებელი (1998-2000). დაპროექტებული აქვს 20-ზე მეტი (მათ შორის მშენებარე) ობიექტი. არის არქიტექტორთა კავშირის წევრი (1986).

**ჰობი:** ნადირობა, ბუნებაში ყოფნა, მოგზაურობა, ძაღლთან ერთად სეირნობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გენერალ გულუას 4. თბილისი 380014. ტელ: 99-64-57. ფაქსი: 92-37-76. (ბინის) ყაზბეგის 11-ა. ბ. 12. თბილისი 380060. ტელ: 37-10-97.*

**სიმართლე, ობიექტურობა, პრინციპულობა, პროფესიონალიზმი. ვოცნებობ, ჩემმა და ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ დასავლეთევროპული ქვეყნების სტანდარტების საქართველოში.**



**რომან რურუა** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. მუხურჩაში (მარტვილის რ-ნი) 1942 წ. 25 ნოემბერს. მშობლები: ზინაიდა რურუა, ვლადიმერ რურუა; მეუღლე – გალინა რურუა (1956); შვილები: ქეთი (1977), ვლადიმერი (1984). დაამთავრა სპი ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1974). იყო სპორტნაწარმის ფაბრიკის დირექტორი (1974 წლიდან), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ოთხგზის მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში. დაჯილდოებულია 2 მედლით შრომითი მამაცობისათვის. არის გაერთიანება "სპორტული საქართველოს" თავმჯდომარე (1998).

**ჰობი:** ბუნებასთან ურთიერთობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) კოსმონავტების 69, მცხეთა. ტელ: 24-49.*

**სიმართლე და პატიოსნება.**



**ალექსანდრე რუსეცკი** ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის კოორდინატორი საქართველოში. დაიბადა თბილისში 1969 წ. 26 თებერვალს. მშობლები: ელეონორა ომიაძე, ვლადიმერ რუსეცკი. დაამთავრა თსუ ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1994), გაიარა კონფლიქტების მოწესრიგებისა და მოლაპარაკებათა წარმართვის სპეციალური კურსი (1995). იყო გაზეთ „რეზონანსის" რედაქტორი, „ეროვნული თანხმობის ასოციაციის" თავმჯდომარე (1989-91), საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყ-ბის ხელმძღვანელი (1991-93), თბილისის მერიის კოლეგიის წევრი (1992), სოციალური ურთიერთობების განვითარების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი (1994-98). ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის კოორდინატორია 1991 წლიდან. არის 40-მდე სოციალური პროექტის ავტორი და თანაავტორი; ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრის საორგანიზაციო კომიტეტის (სამხრეთ აფრიკა, 2001), საქართველოსა და აფხაზეთს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის საპარლამენტო მუშა ჯგუფის, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეოპოლიტიკური და დიპლომატიური საკითხების საკოორდინაციო ცენტრის, რუსეთის საგარეოპოლიტიკური ასოციაციის, კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ შექმნილი დსთ-ის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციათა მუშა ჯგუფის, ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საერთაშორისო ეკონომიკური კომისიის, ჟურნალ „სამოქალაქო პლატფორმის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ადამიანის უფლებათა დაცვისა და კონფლიქტების მოწესრიგების შესახებ.
ჰობი: თეთრი ლექსები, ჩოგბურთი, ფეხბურთი.
მისამართი: *(ბინის) წინამძღვრიშვილის 31. თბილისი 380002. ტელ: 94-26-99. ფაქსი: 96-15-14. ელ-ფოსტა: hcagc@access.sanet.ge*

„ვიყო იქ, სადაც მსურს რომ ვიყო"; „პატივი — კეთილშობილება-მეგობრობა"; „რასაც გასცემ — შენია, რაც არა — დაკარგულია".



**ზურაბ რუხაძე** გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა ხონის რ-ში 1959 წ. 3 დეკემბერს. მშობლები: ეკატერინე თვალოძე, ევგენი რუხაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი (1985-87), საქართველოს სამტრედიის რ-ნის მოსამართლე (1987-99). თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან.
ჰობი: სპორტი.
მისამართი: *(სამსახურის) სარაჯიშვილის 1, თბილისი. ტელ: 65-08-08. (ბინის) მუხიანის II მ/რ 14. თბილისი. ტელ: 64-72-72.*



**ვახტანგ რჩეულიშვილი** საქართველოს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1954 წ. 1 იანვარს. მშობლები: ლიდია ბელიავსკაია, შალვა რჩეულიშვილი; მეუღლე — მაია კერვალიშვილი (1958); შვილი — გურამი (1979). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1977). იყო ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი (1979-82), კომკავშირის ცკ-ს ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი (1982-84), უცხოეთის განყ-ბის ინსტრუქტორი (1982-85), მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საინფორმაციო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი (1985-87), საქტელერადიოკომიტეტის პოლიტიკური მიმომხილველი (1985-89), საქართველოს რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1987-92), პარლამენტის ვიცე-სპიკერი (1992-95), პარლამენტის წევრი, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების საკოორდინაციო საბჭოს წევრი (1995-99). არის შავი ზღვის ქვეყნების მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების ანსამბლეის და საქართველოს ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარე. 1985 წლიდან სისტემატიურად აქვეყნებს სტატიებს. არის ავტორი წიგნისა „ჩემი პოზიცია" (1999).
ჰობი: ძაღლი.

*მისამართი: (სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-10-21. ფაქსი: 93-27-09. ლესელიძის 41. ტელ/ფაქსი: 98-33-67. (ბინის) ბოცვაძის 14. თბილისი. ტელ: 92-17-90.*

**პასუხისმგებლობა, სიკეთე, აქტიურობა, ბრძოლისუნარიანობა, სიმტკიცე, ერთგულება, სიყვარული, კოლეგიალურობა, განათლება, იუმორი, მეგობრობა, რწმენა, ოჯახური ფასეულობები.**



**ვიქტორ რცხილაძე** საქართველოს პოლიგრაფიული და საგამომცემლო საქმის სამსახურის თავმჯდომარე, ჟურნალ „რელიგიის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 10 მარტს. მშობლები: თამარ გოგუა-რცხილაძისა, გიორგი (გულო) რცხილაძე; მეუღლე — ზეინაბ გეგეშიძე (1948); შვილები: გულბაათი (1974), თამარი (1978). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1964). იყო საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი (1966-70), ძეგლთა დაცვის სამმართველოს განყ-ბის გამგე (1970-75), „ადამიანის უფლებათა დაცვისა" და „ჰელსინკის ჯგუფის" ერთ-ერთი დამაარსებელი (1975-76, რის გამოც გადაასახლეს ყაზახეთში, კერბელის რ-ნში). არის ავტორი წიგნებისა: „სპირიტიზმი და მართლმადიდებლური რწმენა" (1992), „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში" (1994), „თბილისი" (რომანი, 1997), „პროზა, რელიგია, კრიტიკა" (2001). გამოქვეყნებული აქვს სტატიები რელიგიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის საკითხებზე. მიღებული აქვს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინ-ტის საგანგებო პრემია ა.ბრუნერის „ფილოსოფიის ძირითადი საკითხების" თარგმნისათვის (1994). იყო „წმ. დავით აღმაშენებლის ქართველ ქრისტიანთა კავშირის" თავმჯდომარე; მ.კოსტავასთან ერთად გამოსცემდა ჟურნალს „ძელი ჭეშმარიტი" (1988-90).

**ჰობი:** წიგნების ყიდვა და წიგნებში ქექვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) პოლიგრაფიული და საგამომცემლო საქმის სამსახური. მარჯანიშვილის 5. თბილისი 380002. /ჟურნალ „რელიგიის" რედაქცია. კოსტავას 14. თბილისი 380096. ტელ: 95-20-88, 93-25-19.*

**ქრისტიანული რწმენის შეგნებული დამკვიდრება საქართველოში. საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, ხოლო ქართველების ქცევა კულტურულ ერად და დავით აღმაშენებლის სულისკვეთების აღორძინება. კერპთაყვანისმცემლობის დაძლევა.**



**მიხეილ სააკაშვილი** საქართველოს იუსტიციის მინისტრი, იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1967 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: გიული ალასანია, ნიკოლოზ სააკაშვილი; მეუღლე — სანდრა რულოვსი (1968); შვილი — ედუარდი (1995). დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინ-ტის საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი (1992), სტრასბურგის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინ-ტი (1993), ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტის მაგისტრატურა (1994), ჯ.ვაშინგტონის უნივერსიტეტის დოქტურანტურა (ვაშინგტონი, 1995). სწავლობდა ფლორენციის ევროპული სამართლის აკადემიაში და ჰააგის საერთაშორისო სამართლის აკადემიაში. მუშაობდა ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ინ-ტში, საქართველოს ადამიანის უფლებათა სახელმწიფო კომიტეტში (1992). იყო ნიუ-იორკის საადვოკატო ფირმა „ფათერსონ ბელქნაფის" იურისტი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-98, 1999-2000), პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე (1995-98), საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე (1998-99), ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი (2000), სმკ-ს მთავარი საბჭოს წევრი. საქართველოს იუსტიციის მინისტრია 2000 წლიდან. არის ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული 40-მდე სტატიის ავტორი. აღიარებულია საქართველოს 1997 წლის ადამიანად.

**ჰობი:** ფეხბურთი, ჟურნალისტიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 30.თბილისი 380046. ტელ: 93-27-21. ფაქსი: 99-02-25. ელ-ფოსტა: msaak@justmin.ge*

> **სამართლიანობისთვის, დემოკრატიული პრინციპებისთვის ბრძოლა, თავისუფალი ადამიანის აღზრდისათვის პირობების შექმნა, საქართველოს დამოუკიდებელ, დემოკრატიულ და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.**



**ნინო სააკაშვილი** ფონდი „ჰორიზონტის" დირექტორი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 25 ნოემბერს. მშობლები: ვენერა სპარსიაშვილი, შალვა სააკაშვილი; შვილი: ია ქუთათელაძე (1987). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1985), თსუ საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკ-ტი (კინოსასცენარო განყ-ბა, 1985), ჯ.ჰოპკინსის უნივერსიტეტი (ბალტიმორი, აშშ, 1998). იყო საქართველოს მწვანეების პრესსამსახურის ხელმძღვანელი (1990-93), „საქართველოს მწვანეების" წარმომადგენელი გერმანიაში, საქსონიის პარლამენტში (1992-93), ISAR-Georgia-ს სასწავლო პროგრამების კოორდინატორი, დირექტორი (1993-97). ფონდი „ჰორიზონტის" დირექტორია 1997 წლიდან. არის თანაავტორი სტატიისა „არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარება"; სცენარის ავტორი სერიალისა „III სექტორი საქართველოში". იყო მწვანეთა მოძრაობის და პარტიის წევრი (1990-93). მისი ბიოგრაფია შეტანილია ევროპული ფონდის ცენტრში (მნიშვნელოვანი პიროვნებების დირექტორია, ბრიუსელი).

**ჰობი:** ქარგვა, გობელენების ქსოვა, ბუნებაში ფეხით სიარული.

**მისამართი:** *(სამსახურის) დოლიძის 2. თბილისი 380071. ტელ: 33-08-93. ფაქსი: 98-75-04. ელ-ფოსტა: nino.addm@horrizzonti.org (ბინის) საბურთალოს 37. თბილისი 380060. ტელ: 38-01-56, 37-35-31.*

> **ადამიანმა უნდა იცოდეს რა უნდა, რისკენ მიისწრაფვის, უნდა სჯეროდეს იმ საქმის, რომელსაც აკეთებს, იყოს თავდაუზოგავი ამ საქმეში, იყოს იდეალისტი და შეძლოს გარშემომყოფთა დარწმუნება კეთილი საქმეების უანგაროდ საკეთებლად.**



**საბა (გიგიბერია)** ხონის ეპარქიის ეპისკოპოსი. დაიბადა სენაკში 1966 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: ლარისა შალამბერიძე-გიგიბერია, როინ გიგიბერია. დაამ-

თავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი, ახალციხის სასულიერო სემინარია (1992). მოღვაწეობდა საფარის მონასტერში (1989), აკურთხეს მორჩილად (1990), აღიკვეცა ბერად (1991), აკურთხეს დიაკენად, მღვდელმონაზვნად (1992), აღყვანილ იქნა იღუმენის ხარისხში, გახდა ტიმოთესუბნის მონასტრის წინამძღვარი (1994), აღყვანილ იქნა არქიმანდრიტის ხარისხში, აკურთხეს ეპისკოპოსად (1996).
**მისამართი:** *(რეზიდენცია) წმ. გიორგის საკათედრო ტაძარი. კაკაბაძის 3, ხონი. ტელ: 2-16-11, 23-50-30, (877) 42-06-05.*



**დავით საგანელიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა თბილისში 1959 წ. 17 ივნისს. მშობლები: ლილი ბოჭორიშვილი, ნოდარ საგანელიძე; მეუღლე — სალომე კობალაძე. დაამთავრა თსსი (1983), თბილისის საერთაშორისო ურთიერთობათა ინ-ტის ეკონომიკური და იურიდიული ფაკ-ტები, ლონდონისა და ბრაიტონის ბიზნესცენტრები (1998). იყო მოსკოვის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის (1983-85), ლენინგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიის (1985-86), თბილისის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის (1986-94) ქირურგი. არის სამედიცინო ფირმა „პულსის" დამფუძნებელი (1987), კორპორაცია „GHF"-ის პრეზიდენტი (1994 წლიდან); 14 სამეცნიერო ნაშრომის, 5 პუბლიკაციისა და 1 წიგნის ავტორი; ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემის წევრ-კორესპონდენტი; სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
**ჰობი:** მუსიკა, სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტის შეგროვება და მათზე დაკვრა, სამთო-სათხილამურო სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-57-46, 98-73-45.*

**ნებისმიერ საქმეში წარმატების მისაღწევად საჭიროა, რომ ზუსტად გქონდეს დასახული მიზანი — რა გინდა, აკეთო ეს საქმე დიდი სიყვარულით და არ დაუშვა არანაირი ღალატი და ტყუილი საქმეში და ურთიერთობებში.**



**კარლო საკანდელიძე** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა სოფ. ზედა ბზვანში (ვანის რ-ნი) 1928 წ. 1 აპრილს. მშობლები: აგრაფინა საკანდელიძე, ილია საკანდელიძე; მეუღლე — ლამარა საკანდელიძე (1938); შვილები: ია (1955), კახაბერი (1956). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1949). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1949 წლიდან). მონაწილეობდა მრავალ სპექტაკლში, მხატვრულ და სატელევიზიო ფილმში. არის თეატრის მოღვაწეთა და საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი, ღირსების ორდენის კავალერი (1998).
**ჰობი:** ლიტერატურა, ჭადრაკი, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის თეატრი. რუსთაველის 17, თბილისი 380008. ტელ: 99-63-73. ფაქსი: 99-85-87. (ბინის) ვახუშტი ბაგრატიონის ქ., V კორპ., I ბლოკი.თბილისი. ტელ: 35-10-22.*



**ვაჟა სალამაძე** საქართველოს ბიზნეს-სამართლის ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ცხინვალში 1964 წ. 3 იანვარს. მშობლები: ნელი სალამაძე, გივი სალამაძე; მეუღლე — მარინე ჯალაბაძე (1960); შვილი — ლევანი (1984). დაამთავრა თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტი (1985), სანქტ-ლუისის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების ფაკ-ტის ასპირანტურა (აშშ, 2001). იყო მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო მრჩეველი (1992-94), ეკონომიკის სამინისტროს განყ-ბის უფროსი (1991-92), ჟურნალ „ეკონომიკის" განყ-ბის რედაქტორი (1991-92), ეკონომიკის ს/კ ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1987-91). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1989).
**ჰობი:** მუსიკა, კომპიუტერი.
**მისამართი:** *(სამსახურის) 26 მაისის მოედანი 2. ოთახი 417. თბილისი. ტელ: 94-16-05. ელ-ფოსტა: vazha@geoblc.org (ბინის) ნუცუბიძის 70, ბ. 36. თბილისი. ტელ: 53-70-57.*

**ჩემი დევიზია — მუდამ წინ! თუ რამეს ეაკეთებ, ეცდილოდ საუკეთესოდ გაეაკეთო. მძულს ტყუილი და ღალატი.**



**დავით სალარიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: თინა სიმონიშვილი, ვახტანგ სალარიძე; მეუღლე — ნატო თათარაშვილი (1956); შვილი — ნატო (1983). დაამთავრა სპი საინჟინრო და თსუ იურიდიული ფაკ-ტები. იყო რკინიგზის ტექნიკუმის ლაბორანტი (1968-72), პოლიტექნიკური ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1972-73), პირველი მაისის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი (1973-75), კპ საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი (1975-78), 26 კომისრის სახელობის კპ რაიკომის მდივანი (1980-81), საქალაქო კომიტეტის განყ-ბის უფროსი (1981-82), თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი (1982-86), ქალაქის საბჭოს იურიდიული განყ-ბის უფროსი, ქალაქის სამმართველოს წევრი, ქალაქის პროკურატურის განყ-ბის უფროსი (1986-90), შსს მინისტრის მოადგილე, I მოადგილე (1990-93), საქართველოს საგადასახადო ინსპექციის უფროსი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე, I მოადგილე (1993 -98), საქართველოს სახალხო დამცველი (1998-99).

**ჰობი:** ცხენოსნობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-24-07 (ბინის) ლარსის ჩიხი 7. თბილისი 380079. ტელ: 23-22-26.*

**პრინციპულობა, პატიოსნება, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვათა მიმართ.**

**ანზორ სალუქვაძე** კინოდრამატურგი, პოეტი, მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1931 წ. 11 დეკემბერს. მშობლები: ევგენია ორმოცაძე, სერგი სალუქვაძე; მეუღლე — ლეონა ნაკაშიძე (1937); შვილები: მამუკა (1955), ლევანი (1968). დაამთავრა უცხო ენათა ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1958), მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები (ბლეიმანის სახელოსნო). არის ლექსებისა და პოემების (თარგმნილია რუსულ, პოლონურ, ბულგარულ ენებზე), რომანის „წიგნი ფიცისა", 20-მდე ფილმის სცენარის ავტორი და თანაავტორი, მათ შორის: „ვედრება" (პირველი პრემია სან-რემოს ფესტივალზე), „ვერის უბნის მელოდიები" (საკავშირო პირველი პრემია და სან-სებასტიანის კათოლიკური ეკლესიის პრიზი), „წიგნი ფიცისა" (რუსთაველის პრემია). არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, „ქართული ფილმის" რედაქტორი, სამხატვრო საბჭოს (1960), მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის (1976), კინემატოგრაფისტთა კავშირის (1964) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1984), БСЭ, ქართულ და საბჭოთა კინოცნობარებში.

**ჰობი:** მეგობრებთან დროსტარება.

**მისამართი:** *(სამსახურის) კინოსტუდია „ქართული ფილმი". ახმეტელის 10. თბილისი 380059. (ბინის) ჭავჭავაძის I შეს. N2. ბ. 74. თბილისი 380062. ტელ: 22-59-96.*

**ცხოვრების სიყვარული, პოეზიის და ხელოვნების თაყვანისცემა; მსოფლმხედველობით ვარ იდეალისტი, ქრისტიანი-მართლმადიდებელი.**



**მინდია სალუქვაძე** საქართველოს მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საზოგადოება „მემორიალის" თავმჯდომარე (1994). დაიბადა თბილისში 1933 წ. 3 მაისს. მშობლები: მანონა ცინცაძე-სალუქვაძე, ევგენი (უჩა) სალუქვაძე; მეუღლე — თამარ ჯაში (1937); შვილები: მანანა (1962), მარინე (1969). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1955). იყო მართვის სისტემების ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. დირექტორია 1981 წლიდან. არის მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ოპტიმალური რეგულატორების ანალიზური კონსტრუირება შეშფოთებების პირობებში" (1963); სადოქტორო — „ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანები მართვის თეორიაში" (1973). არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 8 მონოგრაფიის ავტორი (ორი გამოცემულია აშშ-ში,

1979, 1994). სამეცნიერო ლიტერატურაში შესული ტერმინები „სალუქვაძის მეთოდი", „სალუქვაძის ამოხსნა", „ სალუქვაძის პრინციპი" უკავშირდება მის სახელს. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
**ჰობი:** ჭადრაკი, ფეხბურთი, ფიქრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) გამსახურდიას 34. თბილისი 380060. ტელ: 37-20-44, 93-10-34. ფაქსი: 94-23-91. ელ-ფოსტა: msaluk@ics.kheta.ge (ბინის) საბურთალოს 61. ბ. 6. თბილისი. ტელ: 39-55-77.*

**1. ყოველთვის ეთესო სიკეთე, დავეხმარო ყველას, სადაც ხელი მიმინვდება. 2. არასდროს არ ვყოფილვარ კმაყოფილი მიღწეულით. 3. წარმატებამ და თანამდებობამ არ უნდა გაგადიდგულოს, ყოველთვის თავმდაბალი უნდა იყო.**



**ნინო სალუქვაძე** სპორტსმენი (ტყვიის სროლა), მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიბადა თბილისში 1969 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ნუნუ სალუქვაძე, ვახტანგ სალუქვაძე; მეუღლე — გოჩა მაჭავარიანი (1965); შვილები: ნინო (1994), ცოტნე (1997). დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინ-ტი (1990). არის სეულის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელი (1988), მსოფლიო ჩემპიონი (1986, 1987, 1989, 1990, 1993), ევროპის ჩემპიონი (1986, 1987, 1988, 1989, 1990, 1993, 1995), მსოფლიოს სუპერ-თასის 5 გზის მფლობელი (1989-93), მრავალგზის მსოფლიოს რეკორდსმენი; სიდნეის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (2000); დაიკავა III ადგილი: სპორტული პისტოლეტით სროლაში მილანში, მიუნჰენში, სეულში გამართულ გათამაშებებზე (2000), მსოფლიო თასის გათამაშებაზე პნევმატური იარაღით სროლაში (ესპანეთი, 2001). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სპორტული ფსიქოლოგია" არის სპორტის დამსახურებული ოსტატი ტყვიის სროლაში (პისტოლეტი), ღირსების ორდენის კავალერი (1993). დაჯილდოებულია ვ.გორგასლის III ხარისხის ორდენით (2000). დასახელდა XX საუკუნის უძლიერეს ქართველ სპორტსმენ ქალთა ათეულში (2000).
**ჰობი:** ხატვა, ქარგვა, მუსიკა, მინის პატარა ფიგურების შეგროვება.
**მისამართი:** *(სამსახურის) სროლისა და მშვილდოსნობის ფედერაცია. ჭავჭავაძის 49ა. თბილისი 380062. ტელ: 23-55-80. (ბინის) თამარაშვილის 7, ბ.5. თბილისი. ტელ: 22-66-91, 22-33-44.*

**სიმართლე, პირდაპირობა, შრომისმოყვარეობა, ჩემი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ოჯახის პატივისცემა, რწმენა და იღბალი.**



**ზაალ სამადაშვილი** მწერალი, ჟურნალ „XX საუკუნეს" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 3 ოქტომბერს. მშობლები: თამარ მიქაძე, შოთა სამადაშვილი; მეუღლე — ნანა იაშვილი (1954); შვილი — გიორგი (1981). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1976). იყო ენერგეტიკის ს/კ ინ-ტის ინჟინერი (1976-80), „ქართული ფილმის" მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1981-89), გაზეთ „მამულის" მთავარი რედაქტორის მოადგილე. „XX საუკუნის" მთავარი რედაქტორია 1994 წლიდან. გამოცემული აქვს მოთხრობების კრებული „გიტარაზე ამოთქმულ ხრინწიან სიმღერასავით". არის ავტორი წიგნებისა: „გიტარა" (1993), „როგორც ძველ იტალიურ ფილმებში" (2000), „ალი გამურულ შუშაში" (2001); სცენარის ავტორი სრულმეტრაჟიანი ფილმისა „თემო" (საქართველოს სსრ კომკავშირის პრემია), მოკლემეტრაჟიანი ფილმისა „გარსევანი". არის „ქართული პენ-ცენტრის" ვიცე-პრეზიდენტი, ლიტერატურული ალმანახი „ფორუმის" თანარედაქტორი.
**ჰობი:** ფეხით სიარული.
**მისამართი:** *(სამსახურის) სართიჭალის 16, თბილისი. ტელ: 77-26-93.*

**ვცდილობ განვახორციელო პრინციპი: როცა არ მოგწონს სხვის მიერ გაკეთებული საქმე, შეეცადე შენ თვითონ გააკეთო უკეთესად. კამათში დაღლას შრომით დაქანცვა მირჩევნია.**



**მერაბ სამადაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 11 ოქტომბერს. მშობლები: ციალა სამადაშვილი, ბორის სამადაშვილი; მეუღლე – ხათუნა მიქაძე (1971); შვილები: დაჩი (1996), ბაჩანა (1998). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობისა (1987) და საერთაშორისო ურთიერთობების (1985) ფაკ-ტები, არის სპი ასპირანტი. იყო სატრანსპორტო გაერთიანების I კატეგორიის ინჟინერი, კერძო ბიზნესმენი, კომერციული ბანკების თავმჯდომარეების მოადგილე, გამგეობების თავმჯდომარე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1995-99). პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის 3 სამეცნიერო გამოგონების ავტორი.
**ჰობი:** ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-86-29. (ბინის) საბავარდოს 76, თბილისი.*
**სიმართლე.**



**თენგიზ სამსონაძე** მხატვარი. დაიბადა საჩხერეში 1928 წ. 15 თებერვალს. მშობლები: ქსენია (მიმოზა) ზარქუა-სამსონაძისა, მიხეილ სამსონაძე; მეუღლე — დინარა ნოდია (1931); შვილები: ბადრი (1957), მიშა (1967). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1955). იყო ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი (1956-57), საქართველოს ტელევიზიის (1957), ტელეფილმების სტუდიის (1971-85) მთავარი მხატვარი, თსსა პედაგოგი (1971), პროფესორი (1985 წლიდან), თსსა დიზაინის ფაკ-ტის ფერწერის კათედრის გამგე, კინო-ტელემხატვრობის სახელოსნოს ხელმძღვანელი. მუშაობს ფერწერის, გრაფიკის, კინო-ტელე-თეატრალური მხატვრობის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებში. არის ავტორი ნამუშევრებისა: "ქართველები პეტრე I-თან" (1955), "პუშკინი თბილისში" (1982), სერიებისა "ქართული ისტორიული ძეგლები", "ძველი თბილისი" (1970-2001). არის საქართველოს სახალხო მხატვარი, ღირსების ორდენის კავალერი (1999), დაჯილდოებულია საქართველოსა და ესტონეთის უმაღლესი საბჭოების სიგელებით. არის საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995); მხატვართა (1958), ჟურნალისტთა (1968), კინემატოგრაფისტთა (1968) კავშირების, სმკ წევრი; თსსა დიდი სამეცნიერო საბჭოსა და პროფესორთა საბჭოს, სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია საქართველოს მხატვართა კავშირის წევრთა ცნობარში (1999), ქსე, ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. (ბინის) ჩიქოვანის 20, ბ. 81, თბილისი 380071. ტელ: 33-43-36, 36-44-75.*
**სიმართლე.**



**მედეა სანაია** ჟურნალ „სარკეს" მთავარი რედაქტორი, „ახალი თაობის" მთავარი რედაქტორის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1963 წ. 3 იანვარს. მშობლები: ნინო ტალახაძე, კონსტანტინე სანაია. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1983). იყო სამედიცინო ინ-ტის ქართული ენის კათედრის მასწავლებელი (1986-96), „ახალი თაობის" კორექტორი, კორესპონდენტი (1993-96). მთავარი რედაქტორის მოადგილეა 1996 წლიდან. ჟურნალ „სარკეს" მთავარი რედაქტორია 1998 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჩუბინაშვილის 50. თბილისი. ტელ: 96-75-43.*
**მუშაობა პროფესიული სრულყოფის მისაღწევად, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზაციისა და ადამიანებისთვის სასარგებლო შედეგების მიღწევის სურვილი, ოპტიმიზმი, სიცოცხლის სიყვარული.**

**გივი სანაძე** ბიოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 30 ივლისს. მშობლები: მარიამ შანიძე, ალექსანდრე სანაძე; მეუღლე — ანა კალანდაძე (1938); შვილები: დავითი (1958), ნიკოლოზი (1968), ალექსანდრე (1973). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1952). იყო ბოტანიკის ინ-ტის ფიზიოლოგიის განყ-ბის ლაბო-



რანტი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1953-68), თსუ მცენარეთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგე (1982-99). თსუ ფოტოსინთეზის ლაბორატორიის გამგეა 1968 წლიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — 1983 წლიდან, ვიცე-პრეზიდენტი— 1988 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „მცენარეთა მიერ აქროლადი ნივთიერებების გამოყოფა" (ნაშრომი წარმოადგენს მცენარეთა ექსკრეტორული ფუნქციის დადგენას და ახლებურად გააზრებას, მოსკოვი, 1959), სადოქტორო — „იზოპრემის ბიოსინთეზი" (ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა, რომელსაც 90-იან წლებში მსოფლიოში მრავალი მიმდევარი გაუჩნდა, დადგენილი იქნა ახალი ფოტობიოლოგიური მოვლენა, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში „იზოპრემის ეფექტს" (სანაძის ეფექტს) უწოდებენ, 1968, მოსკოვი; 1978 წელს გ.სანაძე ამ აღმოჩენისათვის წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე.) არის 2 მონოგრაფიის, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე აღმოჩენის ავტორი.

**ჰობი:** სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი 380008. ტელ: 99-94-22. ფაქსი: 99-88-23. (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ.80. თბილისი. ტელ: 39-05-53.*

**უნდა ემსახურო შენს საქმეს, დააფასო პროფესიონალიზმი და მაქსიმალურად ხელი შეუწყო ახალგაზრდა თაობის განათლებას. უნდა გიყვარდეს ადამიანები, ფიქრობდე ქვეყნის მომავალზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ოჯახზე. გნამდეს ღმერთი.**



**თენგიზ სანაძე** ფიზიკოსი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 30 იანვარს. მშობლები: ნატალია ეფრემიძე, ივანე სანაძე; მეუღლე — აველინა დავითულიანი; შვილები: გიორგი (1957), დიმიტრი (1963), ნატალია (1978), ეკატერინე (1980). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი(1953). იყო თსუ უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის მ.შ. (1956-59), დაბალი ტემპერატურების ს/კ ლაბორატორიის გამგე (1959-61). თსუ რადიოფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორია 1961 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო (1957) და სადოქტორო (1971) დისერტაციები ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის დარგში. არის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, თსუ პირველი პრემიის ლაურეატი დისკრეტული გაჯერების მოვლენის აღმოჩენისათვის (1968), გ.მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი დისკრეტული გაჯერების მოვლენის ახსნისათვის (1970). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: Marquis Who's Who (1995-2000), Intrenational Book of Honour (ABI,1996), 2000 Outstanding People of the 20th Century (IBC, Cambridge, 1998).

**ჰობი:** სამთო თხილამურები, კლასიკური მუსიკა (ფორტეპიანო).

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 3. თბილისი 380008. თსუ. ტელ: 29-08-56. ფაქსი: 22.11.03. (ბინის) ატენის 20, ბ. 52. თბილისი 380079. ტელ: 23-42-70. ელფოსტა: avelina@hepi.edu.ge*

**უანგაროდ ვემსახურებოდი მეცნიერებას.**



**არმაზ სანებლიძე** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1936 წ. 18 თებერვალს. მშობლები: ზინაიდა სანებლიძე, რომანოზ სანებლიძე; მეუღლე — იზოლდა კობერიძე (1937); შვილები: ნანა (1963), ნინო (1966). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1954). იყო კომკავშირული და პარტიული მუშაკი (1957-69), გაზეთების „მოლოდიოჟ გრუზიი" (1969-70), „ახალგაზრდა კომუნისტი" (1970-74) რედაქტორი, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახ. კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე (1977-85), თავმჯდომარე (1985-89), მინისტრთა კაბინეტის საერთო და ინფორმაციის განყოფილებების გამგე (1989-90), გაზეთ „რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის მოადგილე (1990-92), „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე (1992-96). მთავარი რედაქტორია 1996 წლიდან. არის ავტორი წიგნებისა: „დროს მიდევნებული სტრიქონები" (1978), „გადარჩენილი სიმი" (1984), „მესამე შეტევა" (1974), „ქალაქის ბოლოს, საყდარში" (1977); საგაზეთო პუბლიკაციების ციკლებისა: „რეპორტაჟები ომიდან" (1992-93), „რეპორტაჟები ენგურის გაღმიდან"

(1995); ტელერეპორტაჟების ციკლებისა: „ქაბულის დროით 12 საათია" (ავღანეთიდან, 1988), „და მთელი მენდელეევის ტაბულა" (ჩერნობილიდან, 1986). არის საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1996), დაჯილდოებულია შრომის წითელი ნიშნის (1986), საპატიო დროშის (1978), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის (2000) ორდენებით, ჟურნალისტური პრემიებით. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1968).

**ჰობი:** ათლეტური გიმნასტიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი, 380096. ტელ: 99-92-26. ფაქსი: 98-87-14.*

**ქვეყნის, ხალხის ერთგულად მსახურება, უკომპრომისო პატიოსნება და პროფესიონალიზმი.**



**გუბაზ სანიკიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია ტრადიციონალისტების თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1967 წ. 2 თებერვალს. მშობლები: ლილი გოგია-სანიკიძე, ლევან სანიკიძე; მეუღლე — ირმა შუბლაძე-სანიკიძე (1980); შვილი — ლევანი (1999). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1989), ასპირანტურა.იყო თსუ პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, არის პროფესორი (1991 წლიდან). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რომის რესპუბლიკის კრიზისი ძვ. წ. II-I ს.ს." (1999). არის ათამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

**ჰობი:** წიგნები და კარგი ბიბლიოთეკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ირ. აბაშიძის 53, თბილისი 380079. ტელ: 23-40-43.*

**ერთგულება, ღირსება, პროფესიონალიზმი.**



**ბორის სარალიძე** საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ფუთში (ზესტაფონის რ-ნი) 1932 წ. 1 ივლისს. მშობლები: ოლია გიორგაძე-სარალიძისა, ერასტი სარალიძე; მეუღლე — ცარო მელაძე (1940); შვილები: ოლღა (1965), ნონა (1966), ზურაბი (1972). დაამთავრა სპი მექანიკის ფაკ-ტი (1955). იყო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერ-კონსტრუქტორი (1955-57), ღვინის საწარმოების მთავარი მექანიკოსი (1957-59), კომკავშირის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი (1959-61), კომკავშირის ცკ სოფლის მეურნეობის განყ-ბის გამგე (1961-63), პარტიის ზესტაფონის რაიკომის მეორე მდივანი (1963-73), მესტიის რაიკომის პირველი მდივანი (1973-79), თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1979-81), თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი (1981-82), თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1982-84), საავტომობილო გზების მინისტრი (1984-88), საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრის პირველი მოადგილე (1988-89), მინისტრი (1989-90). საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარეა 1990 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ყურძნის ჩამოდინების ფიზიკო-მექანიკური თვისებების შესწავლა ყურძნის მიმღებ ბუნკერებში" (1977). გამოქვეყნებული აქვს 9 სამეცნიერო ნაშრომი და 1 სახელმძღვანელო — „ყურძნის ჩამოდინების ანგარიშის საფუძვლები". არის საქართველოს დამსახურებული მშენებელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო სიგელებით, მედლებით, ღირსების ორდენით (1998).

**ჰობი:** ნადირობა, სამთო ტურიზმი.

**მისამართი:** *(სამსახურის) გაგარინის 29-ა. თბილისი 380060. ტელ: 37-66-01, 93-55-52. (ბინის) ჭავჭავაძის 75. თბილისი 380062. ტელ: 23-40-56.*

**სიტყვის კაცობა, დასახული მიზნის ბოლომდე მიყვანა. ადამიანებთან, საკუთარ კოლექტივთან საერთო ენის გამონახვა, მათი ჭირისა და ლხინის გათავისება. საერთოდ, საქმეში და ცხოვრებაში უბრალოება, ადამიანებისადმი ადვილად მისაწვდომობა.**



**ვახტანგ სართანია** თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. დაიბადა საგურამოში (მცხეთის რ-ნი) 1948 წ. 3 ივნისს. მშობლები: ფაცია ბოლქვაძე, შალვა სართანია; მეუღლე — გიული რაზმაძე (1948); შვილები: თეა (1978), ნინო (1989), თამარი (1989). დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის ეკონომიის ფაკ-ტი (1977), ამავე ფაკ-ტის საზოგადოებრივი წარმოების მართვის ცენტრის ასპირანტურა (1980). იყო სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მართვის კათედრის დოცენტი, სექტორის გამგე (1981-83), სახ. პედაგოგიური ინ-ტის პრორექტორი საგარეო ურთიერთობისა და აღმზრდელობით დარგში (1983-92), პოლიტოლოგიის კათედრის გამგე (1992-97). პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორია 1992 წლიდან, იუნესკოს „მშვიდობის, კულტურისა და დემოკრატიის" კათედრის გამგე — 1997 წლიდან, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი — 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1981). არის სტატიებისა და მონოგრაფიების ავტორი, საერთაშორისო ფორუმებისა და კონფერენციების მონაწილე; ღირსების ორდენის კავალერი (1998), ი.გოგებაშვილის მედლის მფლობელი (2000); წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს იუნესკოს ეროვნული კომისიის წევრი (1996).
**ჰობი:** ნადირობა, სპორტი, მუსიკა, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 32. თბილისი 380079. ტელ: 22-35-81, 23-23-98 ფაქსი: 29-47-13. (ბინის) ქავთარაძის 25. კორპ. 4. ბ. 14. თბილისი. ტელ: 22-15-78.*

**ნებისმიერი ადამიანისათვის წარმატების მოსაპოვებლად ჩემის აზრით აუცილებელია: ღმერთისგან ბოძებულ ნიჭიერებას თან დაურთოს შრომისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება. ამ თვალსაზრისით ჩემთვის განსაკუთრებულია ფუტკრის ფენომენის შესწავლა. მინდა ვიცხოვრო თავისუფლად და ლაღად, ვაკეთო სასიკეთო საქმეები.**



**ირინა სარიშვილი-ჭანტურია** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1962 წ. 24 დეკემბერს. მშობლები: ნინო გოგუა, თამაზ სარიშვილი; მეუღლე — გიორგი ჭანტურია (1958-95); შვილები: ლუკა (1997), ირაკლი (1998) სარიშვილები. დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1985). იყო კვების მრეწველობის სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის თანამშრომელი (1985-89), მეტსაკს-ის მთარგმნელი (1989-90), ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი (პრესმდივანი), მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია ედპ-ის თავმჯდომარე (1995-99). საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეა 1995 წლიდან.
**ჰობი:** მუსიკა, ხატვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 21. თბილისი 380008. ტელ: 98-35-36. ფაქსი: 93-19-78.*



**ზურაბ სარჯველაძე** ფილოლოგი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი. დაიბადა 1939 წ. 12 მარტს. მშობლები: მარიამ სარჯველაძე, ალექსანდრე სარჯველაძე; მეუღლე — ირინე მელიქიშვილი (1943); შვილები: ალექსანდრე (1964), სოფიო (1966); შვილიშვილები: გიორგი, ირინე, ზურაბი, ნიკა, მარიამი. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1962). იყო გორის პედაგოგიური ინ-ტის ქართული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1962-68), თბილისის ხელნაწერთა ინ-ტის უმცროსი (1968-70), უფროსი (1970-75) მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის პედაგოგიური ინ-ტის ქართული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1970-75), პროფესორი (1975-82), თსუ ს/კ ლაბორატორია „ორიონის" უფროსი, წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1982-86), პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე (1994-97). არის პედაგოგიური უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში (1993 წლიდან), ქართული ენის კათედრის გამგე (1994 წლიდან), თსუ ძველი ქართული ენის კათედრის გამგე (1997 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია

თემაზე: „XI-XIII საუკუნეთა ქართული წერილობითი ძეგლების ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი" (1969), სადოქტორო — „ქართული ენის ისტორიული ფონეტიკისა და გრამატიკის ძირითადი საკითხები" (1973). არის ავტორი წიგნებისა: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები" (1975), „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი" (1984), „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი" (1990, პროფ. ჰ.ფენრიხის თანაავტორობით), იგივე გერმანულად (Leiden, 1995), ძველი ქართული ენის ლექსიკონი (1995), ძველი ქართულ-გერმანული ლექსიკონი (პ.ფენსონთან ერთად, 1997), ქართული პალეოგრაფია (კ.დანელიასთან ერთად, 1997), „ძველი ქართული ენა" (1997); ქართულ, რუსულ, გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული 70-მდე სტატიისა.
**ჰობი:** ფეხბურთი, კალათბურთი, მხატვრული ლიტერატურა (გურამიშვილი, ვაჟა, გალაკტიონი, მიხეილ ჯავახიშვილი).
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 32 / ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 22-50-71, 22-12-83. (ბინის) ვაჟა ფშაველას IV კვ. IV კორპ. თბილისი 380077. ტელ: 30-32-81.*

**შეძლებისდაგვარად ვაკეთო ჩემი საქმე; შრომისმოყვარეობა; კეთილსინდისიერება; სხვისი ნაშრომ-ნაღვაწის დაფასება. არავისი არაფერი არ მშურს.**



**გურამ სალარაძე** მსახიობი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1929 წ. 12 იანვარს. მშობლები: ნადეჟდა ჯეირანიშვილი, გიორგი სალარაძე; მეუღლე — ტატიანა ბუხბინდერი (1940-95); შვილი — მარინე (1956). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1951). არის რუსთაველის თეატრის მსახიობი (1951 წლიდან), თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის პროფესორი, კათედრის გამგე (1958 წლიდან). მონაწილეობდა მრავალ სპექტაკლში, ტელე და კინოფილმში. არის სსრკ და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, იყალთოს საპატიო მოქალაქე, ლეოვის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის „ოქროს ლომის" I პრემიის ლაურეატი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.
**ჰობი:** თავისუფალ დროს მეგობრებთან ნარდის, პოკერის თამაში.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. ტელ: 99-63-73. (ბინის) აღმაშენებლის 147. თბილისი 380012. ტელ: 95-29-73.*

**ღვთისმოსაობა, სამშობლოს სიყვარული, მეგობრის არ ღალატი, ისე უნდა იცხოვრო, რომ უკან მოხედვის არ შეგრცხვეს, არ შეგეშინდეს. პროფესიის დაუფლება ბოლომდე და საერთოდ მაღალი პროფესიონალიზმი, სხვა ერების პატივისცემა, ცხოვრების სიყვარული, პოეზიით და მუსიკით გატაცება. თავისუფალ დროს მეგობრებში დროსტარება.**



**დავით სახვაძე** ხარაგაულის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა 1959 წ. 23 იანვარს. მშობლები: ეკატერინე შარიქაძე-სახვაძისა, ვასილ სახვაძე; მეუღლე — მარინე დვალი (1960); შვილები: ეკატერინე (1987), ნინო (1988), ანა (1989), ქეთევანი (1990), გიორგი (1994). დაამთავრა სპი მეტალურგიის ფაკ-ტი (1981). იყო სპი მეცნიერ-თანამშრომელი (1981-84), ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ტექნოლოგიური ბიუროს უფროსი (1984-91), ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორიის უფროსი (1991-98). ხარაგაულის რ-ნის გამგებელია 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ლითონურგარსაცმიანი სალი შენადნობების მიღება თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით". არის 22 სამეცნიერო ნაშრომისა და 8 გამოგონების ავტორი; სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1998).
**ჰობი:** კალათბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) 9 აპრილის 15, ხარაგაული. ტელ: 2-14-44. (ბინის) წერეთლის 3, ხარაგაული. ტელ: 2-15-54.*

**კეთილშობილება, ღირსებით ცხოვრება.**

**მორის სახვაძე** საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 28



თებერვალს. მშობლები: მავრა სახვაძე, დაეით სახვაძე; მეუღლე — ლატავრა სახვაძე (1955); შვილი — გიორგი (1992). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1960), ფიზიკური კულტურის ინ-ტი (1982). იყო ს/ი „საქგიპროშახტის" ინჟინერი (1960-64), სპორტსაზოგადოება „დინამოს" ინსტრუქტორი (1965-71), განათლების განყ-ბის ფარიკაობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ინსტრუქტორი (1971-73), სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ფარიკაობაში (1973-87), სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ინსტრუქტორი ფარიკაობაში (1987-92), ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1992-96). გენერალური მდივანია 1996 წლიდან. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში (1981), რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო „ა" კატეგორიის არბიტრი (1975), ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრი (1992). არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი, სსრკ თასის მფლობელი (1963), სსრკ მეორე პრიზიორი (1964), სსრკ ჩემპიონი გუნდურ პირველობაში (1960, 1962, 1964), ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი „დინამოს" შემადგენლობაში (1966), მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული; სპორტის დამსახურებული მუშაკი (1999).

**ჰობი:** ავტომანქანის ტარება, წიგნების კითხვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49ბ. თბილისი 380062. ტელ./ფაქსი: 29-28-75. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 51. კორპ. 5. ბ. 7. თბილისი 380077. ტელ: 39-74-74.*

**პატიოსნება.**



**ნუგზარ საჯაია** საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი. დაიბადა სოფ. ჯვარში (წალენჯიხის რ-ნი) 1941 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: ქსენია ბოლქვაძე, რაჟდენ საჯაია; მეუღლე — რუსუდან გასვიანი (1944); შვილი — დავითი (1991). დაამთავრა სახ. პედაგოგიური ინ-ტის ფიზიკის ფაკ-ტი (1963). იყო ფოთის ქალაქკომის პირველი მდივანი, ცკ-ის ადმინისტრაციული ორგანოების განყ-ბის გამგე (1979-86), სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე (1986-89). პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში და უშიშროების საბჭოს მდივანია 1995 წლიდან.

**ჰობი:** ჭადრაკი, პოეზია.

**მისამართი:** *(სამსახურის) ინგოროყვას 7. თბილისი 380034. (ბინის) ჭავჭავაძის 75. თბილისი 380062. ტელ: 22-72-45.*

**ობიექტურობა, სამართლიანობა, ზნეობრივი პოსტულატებისადმი ერთგულება. მქონდა შეცდომებიც, კომპრომისზეც წავსულვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძირითადად ვახერხებდი ამ პრინციპებისადმი ერთგულებას. განვლილი წლები ჩემი ბიოგრაფიაა. შეიძლება დღევანდელი გადასახედიდან ზოგიერთი რამ არ მომწონს, ზოგიც მიუღებელია, მაგრამ მთლიანობაში წარსულისადმი თვალის გასწორების უფლებაც და სურვილიც შემომრჩა. არასოდეს ვყოფილვარ ამბიციური, რეალურად ვაფასებ ჩემს შესაძლებლობებს. მსიამოვნებს ჭკვიან და იუმორის გრძნობით დაჯილდოებულ ხალხთან ურთიერთობა. მიყვარს საკუთარ თავთან განმარტოება. ვოცნებობ ერთიან, ძლიერ და დამოუკიდებელ საქართველოზე. პირად ცხოვრებაში კი მთელი ჩემი ფიქრიც და მიზნებიც დაკავშირებულია ჩემს ერთადერთ ვაჟიშვილთან.**



**ბენიკ სეირანიანი** მწერალი, ჟურნალისტი. დაიბადა სოფ. კოთში (სომხეთი) 1913 წ. 12 დეკემბერს. მშობლები: ღუმაშ ხაჩატრიანი, მკრტიჩ სეირანიანი; მეუღლე — ოლია ედილიანი (1914). შვილები: ვალერი (1939), გაგიკი (1944). დაამთავრა ერევნის პედაგოგიური ინ-ტის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1954). იყო სკოლის მასწავლებელი (1931-33). არის გაზეთ „ვრასტანის" ინსტრუქტორი, განყ-ბის გამგე, რედკოლეგიის წევრი (1933 წლიდან), 40 წიგნის (რომანები: „გზები და ბედისწერა" 1960, „ვარსკვლავების ხეობა" 1961, „ლურჯი სიმღერა" 1962 და სხვ.), 12 პიესის ავტორი, თარგმანები: მ.ჯავახიშვილის „ყბაჩამ დაიგვიანა", ნ.ლორთქიფანიძის, ლ.ქიაჩელის მოთხრობები. არის კომიტასის 100 წლისთავთან დაკავშირებული საერთაშორისო პრემიის (1969), საქართველოს შსს პრემიის, სომხეთის ლიტერატურული კონკურსების ხუთგზის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური

სექტორის თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი (1996). მისი ბიოგრაფია შეტანილია სომხურ საბჭოთა ენციკლოპედიაში და ქსე (1985).
**ჰობი:** ხატვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი 380096. ტელ: 99-81-52. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 60. თბილისი 380077. ტელ: 39-80-43.*

**ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა, ძმობა, მეგობრობა და ბედნიერება.**



**სერაფიმე (ჯოჯუა)** ბორჯომისა და ახალქალაქის ეპისკოპოსი. დაიბადა სოხუმში 1961 წ. 15 თებერვალს. მშობლები: ანგელინა მარგველაშვილი, ილია ჯოჯუა. დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1990). იმყოფებოდა მარტყილის მამათა მონასტერში (1991-92), ჩააცვეს მორჩილის კაბა (1992), აღიკვეცა ბერად და დაინიშნა ფოთის მამათა მონასტრის წინამძღვრად (1992), აკურთხეს დიაკვნად (1992), მღვდელმონაზვნად (1992), აღიყვანეს იღუმენის ხარისხში (1994). იყო ფოკის მამათა მონასტრის იღუმენი, აკურთხეს ეპისკოპოსად (1995), მიენიჭა მთავარეპისკოპოსის ხარისხი (2000). არის ბორჯომისა და ახალქალაქის მთავარეპისკოპოსი.
**მისამართი:** *წმ. ნიკოლოზის საკათედრო ტაძარი. სააკაძის 40, ბორჯომი 383720. ტელ: 2-48-80, 2-23-06.*

**სერგი (ჩეკურიშვილი)** ნეკრესის მიტროპოლიტი. დაიბადა რუსთავში 1956 წელს. აკურთხეს მღვდლად (1988), ხელდასხმულ იქნა ეპისკოპოსად (1992), ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსად (1996). აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში (2000).
**მისამართი:** *თბილისი. ტელ: 23-22-68, (899) 50-93-37.*



**თამარ სვანიძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ოზურგეთში 1962 წ. 13 ივლისს. მშობლები: გულიკო გვასალია, მალხაზ სვანიძე; მეუღლე — ამირან ქართველიშვილი (1953). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1987). იყო ოზურგეთის რ-ნის აგროსამრეწველო გაერთიანების იურისკონსულტი (1987-90), თბილისის ჩუღურეთის რ-ნის ადვოკატი (1990-99). ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** მოგზაურობა, მუსიკა, ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ნიუპორტის 32, ქუთაისი. (899) 54-31-20. (ბინის) ფალიაშვილის 3/5, ქუთაისი.*

**არ ვატკინო ადამიანებს გული; გავაკეთო სიკეთე, რამდენადაც ამაზე ხელი მიმიწვდება; ვიყო მაქსიმალურად მართალი უპირველესად საკუთარი თავისა და ღვთის წინაშე; ნაკლებად დავეჭვდე და იშვიათად დამქენჯნოს სინდისმა ცხოვრებაში ჩემს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გამო; უფალმა შემაძლებინოს მის მცნებათა ერთგულება.**



**ნათელა სვანიძე** კომპოზიტორი, საქართველოს კინოსა და თეატრის სახელმწიფო ინსტიტუტის მუსიკის კათედრის პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ახალციხეში 1926 წ. 4 სექტემბერს. მშობლები: აგრაფენა სვანიძე-კორძაია, დამიანე სვანიძე; მეუღლე — პეტრე თომაძე (1917-95); შვილი — მაია (1954-94). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკ-ტი (1951). იყო თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის მასწავლებელი (1956-69), უფროსი მასწავლებელი (1969-89), დოცენტი (1989-91). პროფესორია 1991 წლიდან. მონაწილეობდა სსრკ კომპოზიტორთა კავშირისა და სსრკ ხელოვნების ინ-ტის ერთობლივ ფოლკლორულ ექსპედიციებში ადიღეში, ყაბარდოში, სვანეთში, დასავლეთ საქართველოში, ტუვაში, ბურიატიაში, მთიან ალტაიში, იაკუტიაში, ბამზე (1972-79), კომპოზიტორებისა და ფოლკლორისტების 9 საკავშირო სემინარზე (რეპინო, ივანოვო, დილიჟანი). დაწერილი აქვს 4 სიმფონიური პოემა: „სიმფონიური ცეკვები" (1949), „სამგორი" (1951), „ყვარყვარე" (1963), „ბურლესკა" (1965), 2 სიმფონია, ორატორიები:

„ფიროსმანი" (1969) და „ქართული ლამენტაციები" (1974), ოპერა — „გაულ გავხე" (1983), მონოდრამა (1999) და სხვ. არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1981), კომპოზიტორთა (1951) და თეატრის მოღვაწეთა (1959) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: The Revised New Grove Dictionary of Music and Musicians, The New Grove Dictionary of Women Composers, International Who's Who in Music and Musicians.

**ჰობი:** მსოფლიო ლიტერატურა, ისტორია, ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 19. თბილისი 380008. ტელ: 99-94-11. ფაქსი: 99-04-38. (ბინის) გრიბოედოვის 4. ბ. 7. თბილისი 380008. ტელ: 99-08-56.*

**იმის საფასურად, რომ ვყოფილიყავი წარმატებული, ცნობილი და ფულიანი, არ მიღალატია ჩემი პრინციპებისათვის, არ წავსულვარ არავითარ კომპრომისზე და არასოდეს არ მითქვამს უარი ხელოვნებაში ჩემი შინაგანი სიმართლის განხორციელებაზე. მსმენელთათვის არასოდეს არ შემითავაზებია ყალბი მონეტა. ე.ი. დავწერე მხოლოდ ის, რაც არ შეიძლება არ დაწერილიყო.**



**ჯემალ სვანიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1950 წ. 3 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ სვანიძე, მიხეილ სვანიძე; მეუღლე — ნანა ლომიძე (1958); შვილები: ირაკლი (1978), მიხეილი (1980), ალექსანდრე (1987). დაამთავრა კალინინგრადის ტექნიკური ინ-ტის ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1972). იყო აჭარის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს კაპიტნის თანაშემწე (1973-77), თბილისის საშენ მასალათა კომბინატის ტექნოლოგი (1979-84), პოლიმერულ ნაკეთობათა ქარხნის ტექნოლოგი (1985-90), პარლამენტის წევრი (1995-99). არის სმკ-ის წევრი (1993).

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 8. თბილისი 380018. საქართველოს პარლამენტი. ტელ: 99-95-85. (ბინის) ზემო ვაკის 30. თბილისი. ტელ: 23-56-37.*

**ოპტიმიზმი, მოთმინების უნარი, ნდობა, ერთგულება.**



**გიორგი სიბაშვილი** გურჯაანის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ვეჯინში (გურჯაანის რ-ნი) 1970 წ. 27 დეკემბერს. მშობლები: მზია ხანდამაშვილი-სიბაშვილი, ოთარ სიბაშვილი; მეუღლე — რუსუდან მანჯგალაძე (1976). დაამთავრა აგრარული უნივერსიტეტის სატყეო-საინჟინრო ფაკ-ტი (1993), თსუ სიღნაღის ფილიალის იურიდიული ფაკ-ტი (1999). იყო ვეჯინის სანერგე მეურნეობის მუშა, ბრიგადირი (1987-89), გურჯაანის რ-ნის გამგეობის საორგანიზაციო განყ-ბის მთავარი სპეციალისტი (1993), გამგეობის მოსახლეობის შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის განყ-ბის გამგე (1994-95), გამგებლის მოადგილე (1996), პირველი მოადგილე (1997). გურჯაანის რ-ნის გამგებელია 1998 წლიდან. არის სმკ-ის წევრი (1994). იყო სმკ-ის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი (1994-96). სმკ-ის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეა 1996 წლიდან.

**ჰობი:** ხელოვნება, ნადირობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ნონეშვილის 13, გურჯაანი. ტელ: 94-04-05, 2-00-01, 2-01-01. (ბინის) სოფ.ვეჯინი, გურჯაანის რ-ნი. ტელ: 2-37-37.*

**ცხოვრებისეული კრედო არის და იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მოღვაწეობა, პირად ინტერესებზე ზევით საზოგადოებრივი ინტერესების დაყენება. ჩემი მოღვაწეობით სურვილი მაქვს მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანო იმ დიდ საქმეში, რომელსაც ქართული დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ჰქვია.**



**სოსო სიგუა** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა მარტვილის რ-ნში 1949 წ. 16 ივნისს. მშობლები: მარიამ ბახია, ილია სიგუა; მეუღლე – ხათუნა ქაჯაია (1951); შვილები: არჩილი (1974), თამარი (1975). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1971). იყო საქართველოს რადიოს მთავარი რედაქტორი (1984-86). არის ქართული ლიტერატურის ინ-ტის ჟურნალისტიკის სექტორის გამგე (1981 წლიდან), თსუ პროფესორი (1989 წლიდან), „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტო-

რი (1991 წლიდან), თსუ კ. გამსახურდიას კაბინეტის გამგე (2000 წლიდან). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე "კ. გამსახურდიას შემოქმედება და მითოლოგიური მოდელები" (1981). არის 15 წიგნის ავტორი ქართულ და რუსულ ენებზე. იყო მწერალთა კავშირის (1975-92), არის კ. გამსახურდიას საზოგადოების (1992) წევრი.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. (ბინის) საირმეს 3, ბ. 34, თბილისი. ტელ: 38-88-06.*

**ჩემი ცხოვრების ძირითადი კრედო იყო და არის დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო, ხოლო ქართული ლიტერატურა, რომელსაც ვსწავლობ წლების მანძილზე, ყოველთვის იყო ერის სულისკვეთების განმსაზღვრელი, მისი საარსებო იდეების წყარო.**



**აპოლონ სილაგაძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, ლიბანის რესპულიკაში, იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოში. დაიბადა თბილისში 1944 წ. 29 მაისს. მშობლები: ნინო გოჩოლეიშვილი-თურქია, აპოლონ სილაგაძე; მეუღლე — რუსუდან მოდებაძე (1958); შვილები: ლევანი (1964), ნინო (1972), თინათინი (1989), ვაჟა (1992). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1965). იყო თსუ სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის, სემიტოლოგიის კათედრის ასისტენტი (1966-75), დოცენტი და პროფესორი (1975 წლიდან). იყო თსუ პრორექტორი (1981-85), აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის დეკანი (1986-88), სემიტოლოგიის კათედრის გამგე (1984 წლიდან); გაზეთ „სახალხო განათლების" (შემდეგში „ერი") მთავარი რედაქტორი (1988-91); საქართველის უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-91), გაზეთ „სვობოდნაია გრუზია"-ს მთავარი რედაქტორი (1992-98). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე არაბული ლექსი" (1974), სადოქტორო — „ქართული ლექსი — მუდმივი სიდიდეების დონეზე" (1986). არის ავტორი წიგნებისა: „ლექსთმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ" (1987); „თანამედროვე არაბული ლიტერატურათმცოდნეობა და კრიტიკა" (1988); „საქართველო 88-90" (1992); „უნიკალური არაბული სალექსო ფორმის შესახებ" (1992); „საქართველო 92" (1993); „სამი ისტორიულ-პოლიტიკური ესე" (1996); „საქართველოს განუყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან" (ნაკვ. I. 1996), „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა" (1998) და სხვ. გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომი და არაბული პოეზიის ნიმუშთა თარგმანები. არის ს.მესხის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სოციალური პარტიის თავმჯდომარე, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ფაზისის მეცნიერებისა და კულტურის აკადემიის, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიების ნამდვილი წევრი, ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.
**ჰობი:** კითხვა და ოცნება.
მისამართი: *(სამსახურის) სად ელ-ალის 28. კაირო. ტელ: 335-90-24. (ბინის) აჰმედ ალ-მილიჰის 5. კაირო. ტელ: 335-20-52./ყაზბეგის 55ა. თბილისი. ტელ: 93-19-19.*

**„უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს".**



**მაია სიმონიძე** ინჟინერ-ტექნოლოგი, საქართველოს პარლამენტის მცირე ბიზნესის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის ხელმძღვანელი. დაიბადა ხონის რ-ნში 1961 წ. 13 თებერვალს. მშობლები: ლიანა ქუთათელაძე, გიგლა სიმონიძე; მეუღლე — თემურ შავგულიძე (1944). დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინ-ტის მსუბუქი მრეწველობის ფაკ-ტი (1983). იყო ქუთაისის სამრეწველო გაერთიანების ნუნმდებელი (1983-84), კომკავშირის მდივანი, კომკავშირული მუშაკი, რაიკომის მდივანი, II მდივანი, ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა "იმერეთის" განყ-ბის გამგე, დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1984-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის სმკ-ის წევრი (1994).
**ჰობი:** დიასახლისობა.

*მისამართი:* *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 92-20-72. (ბინის) რუსთაველის 104, ბ. 7, ქუთაისი. ტელ: 7-30-10.*

**დახმარება.**



**ზაზა სიორიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა ოზურგეთში 1960 წ. 17 ივნისს. მშობლები: ლამარა სიორიძე, იური სიორიძე; მეუღლე — ნინო მამარდაშვილი (1959); შვილები: ეკა (1982), გიორგი (1987). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1983), ასპირანტურა (1987), გაიარა სტაჟირება საარბრიუკენის უნივერსიტეტში (1990-92). იყო თსუ კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე (1984-86), ასისტენტი (1986-89), დოცენტი (1989 წლიდან). იყო სახელმწიფო მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, (1992-94), „ექსიმბანკის" პრეზიდენტი (1994-95). გაერთიანებული ქართული ბანკის თანათავმჯდომარე (1995). პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეა 1995 წლიდან.

**ჰობი:** ცხენოსნობა, მოგზაურობა, კითხვა.

*მისამართი:* *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-86-65. (ბინის) ზაქარიაძის 8. თბილისი 380077. ტელ: 39-74-04.*

**ჭეშმარიტება, სამართლიანობა, ობიექტურობა, მიმტევებლობა, ქველმოქმედება, პრინციპულობა, პასუხისმგებლობა, მოწესრიგებულობა, მიზანსწრაფულობა.გარეგნული ფორმის შენარჩუნება.**



**მარინა სირაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ქუთაისში 1961 წ. 8 ოქტომბერს. მშობლები: ქეთევან სირაძე, ტიტიკო სირაძე. დაამთავრა კრასნოიარსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1992). იყო შს კრასნოიარსკის სამხარეო სამმართველოს საინფორმაციო განყ-ბის უფროსი ინსპექტორი (1982-91), ქუთაისის ადვოკატურის ადვოკატი (1992-99). ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი (1996).

**ჰობი:** მუსიკა.

*მისამართი:* *(სამსახურის) ნიუპორტის 32, ქუთაისი. (ბინის) აღმაშენებლის 52/46, ქუთაისი. ტელ: 7-85-41.*

**შრომისმოყვარეობა. სკოლის ასაკიდან დაწყებული ყველა საქმეს (სწავლას თუ შრომას) მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი, დღეს გასაკეთებელი საქმე თუ გადასაჭრელი საკითხი არასოდეს გადამიდია მომდევნო დღისათვის. ჩემი მიზანი და იდეალი თავიდანვე იყო კანონისა და სამართლისადმი პატივისცემა, რამაც სათანადო გავლენა მოახდინა მთელს ჩემს ცხოვრებაზე, პროფესიულ არჩევანზე.**



**ასლან სმირბა** საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი. დაიბადა ბათუმში 1959 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: ემინე გოგიტიძე, ილია სმირბა; მეუღლე — მანანა გოგოლიშვილი (1962); შვილები: სოფიკო (1984), ალეკო (1990). დაამთავრა ბათუმის სახ. საზღვაო აკადემია (ინჟინერ-გემთწამყვანი, 1996), ბათუმის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1999). იყო საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შორეული ნაოსნობის კაპიტანი (1976-86), საზღვაო ნავსადგურის კაპიტნის თანაშემწე (1986-91), საზღვაო სანაოსნოს სოციალური განყ-ბის უფროსი (1991-93), საზღვაო სანაოსნოს უფროსის მოადგილე (1993-95), პირველი მოადგილე (1995-96), ბათუმის I ვიცე-მერი (1996-97), სავაჭრო ნავსადგურის უფროსი, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გენერალური დირექტორის მ.შ. და ბათუმის მერი (1997-99). არის დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1992), იყო საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე (1997-99).

**ჰობი:** სიკეთის ქმნა.

*მისამართი:* *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-24-03. (ბინის) ჟორდანიას 3, ბათუმი. ტელ: 7-55-50.*

**ცხოვრება, ქვეყანაში არსებული სიტუაცია განსაზღვრავს პიროვნების მსოფლმხედველობასა და საქმიანობას. უნდა გიყვარდეს შენი საქმე და იცოდე მუშაობა,**

პასუხისმგებლობით ეკიდებოდე ყველაფერს. ადამიანში მთავარი წესრიგია. წესრიგი დიდ და პატარა საქმეში. მხოლოდ სრულ დახარჯვას მოაქვს ბედნიერება. მეც ამ პრინციპით ვცხოვრობ და ვილნეი დასაბამიდან. ბატონ ასლან აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობაა წინაპირობა და წინახიდი ჩემი საქმიანობისა. ამიტომაც თავს ვალდებულად ვთვლი, ვიდგე იქ, სადაც ჩემს ქვეყანას სჭირდება და ვაკეთო ის საქმე, რომელიც ჩემს ერს გადაარჩენს და გაამთლიანებს.



**ბიძინა სონღულაშვილი** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში. დაიბადა სოფ. ჭანდარში (გურჯაანის რ-ნი) 1952 წ. 11 მაისს. მშობლები: ნინო სონღულაშვილი, დავით სონღულაშვილი; მეუღლე — დარეჯან ღუღუნიშვილი (1956); შვილები: დათო (1983), იოსები (1984), ნონა (1988). იყო კომკავშირულ, პარტიულ სამუშაოზე (1978-90), მეტრომშენის მმართველის მოადგილე (1990-96), გურჯაანის გამგებელი (1996-97), მეტრომშენის გენერალური დირექტორი (1997-2000). პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულია 2000 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი; სმკ-ის წევრი.
**ჰობი:** ფეხბურთი, მშენებლობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 16. თელავი.*

**გაუკეთებელი საქმე ცხოვრებაში არ არსებობს, ყველა საქმე გაკეთებადია. თუ მასთან ახლოს მიხვედი და გაითავისე, რომ ის გაკეთებადია, აუცილებლად გააკეთებ მას.**



**მალხაზ სონღულაშვილი** საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიების წინამძღვარი, ეპისკოპოს-პრეზიდენტი, თეოლოგი, ბიბლეისტი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 21 თებერვალს. მშობლები: ნათელა სონღულაშვილი, ვლადიმერ სონღულაშვილი. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1987). იყო ისტორიის ინ-ტის არქეოლოგიური რაზმის ხელმძღვანელი (1980-85), „ბიბლიოთეკა კრისტიანას" დამფუძნებელი, დირექტორი (1992-96). არის თსუ მეცნიერ-თანამშრომელი (1987 წლიდან), ევანგელურ-ბაპტისტური თეოლოგიური სემინარიის რექტორი (1992 წლიდან), გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი (1996 წლიდან), საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიების კავშირის ეპისკოპოს-პრეზიდენტი (1994 წლიდან). ახორციელებს ლიტურგიულ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს სახარების კონტექსტუალიზაციას (1996 წლიდან). შესრულებული აქვს ძველი აღთქმის წიგნების თარგმანი (თანაავტორებთან ერთად, თბილისი, 1989), ახალი აღთქმის გადამუშავებული გამოცემა (ზ.კიკნაძესთან ერთად, სტოკჰოლმი, 1988-93), ბიბლიის ახალი რედაქცია (ზ.კიკნაძესთან და ბ.ბრეგვაძესთან ერთად, 2001). გამოქვეყნებული აქვს „ბიბლიური მოთხრობები" (1992, 1999 ტI-II), კ.ს.ლუისის „ნარნიის ქრონიკები" (ქართული თარგმანი, 2000). არის საერთაშორისო საქველმოქმედო ასოციაცია „ბეთელის" დამფუძნებელი (1999), ჟურნალისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში BWA Directory (აშშ, 1995-99), EBF Directory (გერმანია, 1994-97, 1999).
**მისამართი:** *(სამსახურის) გამსახურდიას 35/37, თბილისი. ტელ/ფაქსი: 94-19-79, 34-29-10. ელ-ფოსტა: malkhaz@bible.ge (ბინის) სარაჯიშვილის 20, სოფ. დიღომი.*

**ჩემი ცხოვრებისეული კრედო მარტივია: მიყვარს ღმერთი და მიყვარს მოყვასი. ვცდილობ ვიცხოვრო და ვიშრომო ისე, რომ ჩემი ორიენტირი ყოველთვის იყოს უფალი იესო ქრისტე, ჩემი მოძღვარი და მაცხოვარი. პატივად ვთვლი ყოვლადწმინდა სამების მისიის (Missio Dei) განხორციელებაში მონაწილეობას.**



**მამუკა სონღულაშვილი** კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1961 წ. 25 იანვარს. მშობლები: აზა სალრიშვილი, ლევან სონღულაშვილი; მეუღლე — ქეთევან ლეფსვერიძე (1969); შვილები: ლევანი (1993), თორნიკე (1995). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი. იყო თბილისის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმის სამართალმცოდნეობის განყ-ბის გამგე (1984-90), უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე (1991-96), იუსტიციის სამინისტროს სასამართლოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე (1996-98).

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე 1998 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს სტატიები სისხლის სამართლის საკითხებზე.
**ჰობი:** ნადირობა, მაგიდის ჩოგბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ლესელიძის 22, თბილისი. ტელ: 98-59-00.*



**ზურაბ სოტკილავა** მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს და სსრკ სახალხო არტისტი. დაიბადა სოხუმში 1937 წ. 12 მარტს. მშობლები: ქსენია ქარჩავა, ლაერენტი სოტკილავა; მეუღლე — ელისო თურმანიძე (1940); შვილები: თეა (1968), ქეთევანი (1971). დაამთავრა სპი (1961), თბილისის სახ. კონსერვატორია (1965). იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი (1965-74). მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტია 1974 წლიდან, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი — 1987 წლიდან. არის ბოლონიის სამუსიკო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი (1980). ასრულებს საოპერო პარტიებს: აბესალომი, კავარადოსი, რადამესი, მანრიკო, რიჩარდი, ტურიდუ, ხოზე, ვოდემონი, ცრუ დიმიტრი, დონ-კარლოსი და სხვ. მ.ქასრაშვილთან ერთად ქუთაისში დააარსა ფესტივალი „საოპერო სცენის ოსტატები" (1984, 1985, 1987). არის ბულგარეთის ფესტივალის (I პრემია, „ოქროს ორფეოსი", 1968), პ.ჩაიკოვსკის საერთაშორისო (II პრემია, 1970), ბარსელონის (გრან-პრი, I პრემია, 1970) და ფრანცისკო ვინიასის (I პრემია და გრან-პრი) კონკურსების ლაურეატი, რუსეთის ფედერაციის ორდენის „За заслуги перед отечеством" (2001) კავალერი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, ცნობარში "Кто еть Кто" (Москва, 1997).
**მისამართი:** *(სამსახურის) Театральная Площадь 1. Большой Театр. Москва.*



**ლია სტურუა** მწერალი, პოეტი, ფილოლოგი. დაიბადა თბილისში 1939 წ.15 მაისს. მშობლები: ელისაბედ ფანიაშვილი, შალვა სტურუა; მეუღლე—ელგუჯა ამაშუკელი (1928); შვილი— ეკა (1968). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1962). იყო თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ლექტორი (უახლესი ქართული ლიტ-რა, 1964-84). არის ლიტერატურის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1984 წლიდან), გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის ლიტერატურული კონსულტანტი (1999 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფერის მხატვრული ფუნქცია გალკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში" (1974). გამოცემული აქვს ლექსების 13 კრებული, მათ შორის: „ხეები ქალაქში" (1965), „ასი სონეტი" (1999), 1 ესეს ტიპის პროზა „ბედნიერი სიჩუმე" (1996). არის პოეზიის საერთაშორისო ფეტივალის (იერუსალიმი, 1993), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურული კოლოკვიუმის (ბერლინი, 1995), ქართული პოეზიის საღამოების (ესპანეთი, 1999) მონაწილე. არის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის (1988), საქართველოს სახელმწიფო (1995) პრემიების ლაურეატი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1969), საზ-ბა „ქართველი ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", „სამების ტაძრის მშენებლობის" გამგეობების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 5/ მარჯანიშვილის 10. თბილისი 380002. (ბინის) მცხეთის 1. თბილისი 380079. ტელ: 22-69-02.*

**ჩემი ცხოვრებისეული კრედოს ფორმულად ჩამოყალიბებას, მირჩევნია ერთი ეპიზოდით განვმარტო იგი: ამ ზამთარს ავად ვიყავი, მაგრამ რაღაც მქონდა დასამთავრებელი და ტკივილებისგან მოკრუნჩხული ვწერდი. ოჯახის ყველა წევრი მეჩხუბებოდა, მე კი ვპასუხობდი, უნდა მოვასწრო, რომ მოვკვდე, ხომ ვერ დავამთავრებ-მეთქი. ალბათ ეს არის ჩემი რწმენისეული დამოკიდებულება სიცოცხლესთან, სიკვდილთან და შემოქმედებასთან.**

**მერაბ სტურუა** სამტრედიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სამტრედიაში 1961 წ. 4 ივნისს. მშობლები: გულნარა მებუკე-სტურუა, მიხეილ სტურუა; მეუღლე — ნატო ზახაროვა-სტურუა (1968); შვილები: გიორგი (1991), დიდიმი (1993). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1984), თსუ ეკონომიკური (1992) და

იურიდიული ფაკ-ტები. იყო რკინიგზის სამტრედიის II სამშენებლო სამმართველოს (1978-79), სასოფლო მშენებლობის სამინისტროს II ტრესტის 46-ე მოძრავი მექანიზირებული კოლონის (1979-84) მუშა, თბილგვირაბმშენის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების ქარხნის ოსტატი (1984-85), ქარხნის ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი, თბილისისა და ოქტომბრის რ-ნის ახალგაზრდა გამომგონებელთა და მეცნიერთა საბჭოების წევრი, სახალხო კონტროლის შტატგარეშე განყ-ბის ინსტრუქტორი, თბილისის მეტროპოლიტენის რესპუბლიკური დამკვრელური მშენებლობის ახალგაზრდული მშენებლობის შტაბის უფროსი (1985-86), საქართველოს კომკავშირის ცკ მუშათა და სოფლის ახალგაზრდობის განყ-ბის ინსტრუქტორი (1986), კომკავშირული პროჟექტორის რესპუბლიკური შტაბის პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს კომკავშირის სამტრედიის რაიკომის I მდივანი (1986-89), სამტრედიის რაიკომის იდეოლოგიური მუშაობის განყ-ბის გამგე (1989-91), საქართველო-იტალიის ერთობლივი სანარმოო გაერთიანება "IG" – ის გენერალური დირექტორის მოადგილე (1991-92), სამტრედიის კონტროლის პალატის თავმჯდომარე (1992-94), იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის რეგიონის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე (1994-98), კონტროლის პალატის იმერეთის ბიუროს უფროსის მოადგილე (1998-2000). იყო სკკპ წევრი (1984-91).



**რობერტ სტურუა** რეჟისორი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 31 ივლისს. მშობლები: მაყვალა ბოლქვაძე, რობერტ სტურუა; მეუღლე — დუდანა კვესელავა (1939); შვილები: გიორგი (1968), მიხეილი (1973). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1961). იყო რუსთაველის თეატრის რეჟისორი (1961-79), მთავარი რეჟისორი (1979-82). რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია 1982 წლიდან. არის 120-ზე მეტი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი; შ.რუსთაველის, კ.მარჯანიშვილის, ს.ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. რუსეთის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2000). მისი ბიოგრაფია შეტანილია ოქსფორდისა და გერმანიის თეატრალურ ენციკლოპედიებში.
**ჰობი:** მუსიკა, მხატვრობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. ტელ: 99-62-72. ფაქსი: 99-85-87. (ბინის) შავთელის 18. თბილისი. ტელ: 93-33-49.*



**მარინე სუბელიანი** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ეცერში (მესტიის რ-ნი) 1945 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: გვინდი ხორგუანი, რაჟდენ სუბელიანი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1975). იყო საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ინსპექტორი, ძირითადი საქმიანობის ნამყვანი ინსპექტორი, საკონტროლო განყ-ბის უფროსი (1975-87), მესტიის რ-ნის სახალხო მოსამართლე, რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე (1987-99). ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** ლამაზ ბუნებაში ხეტიალი, მხატვრული ლიტერატურის კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ნიუპორტის 32, ქუთაისი.*

**ვხელმძღვანელობდი ანგლოსაქსური პრინციპით: "განაგე თავი შენი". ვცდილობდი ჩვევად თავშეკავებულობის გადაქცევას. მნამდა: არ არსებობს ყველაფერში მტყუანი დამნაშავე. ვიცავდი რომის სამართლის პრინციპს: "დასაჯე, მაგრამ არ დაამცირო". მუდამ მახსოვს: "შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც თავი შენი; ყველა გებრალებოდეს, ყოველი კაცი ხომ შენი მოყვასი და ძმა არის".**



**ირაკლი სუთიძე** მხატვარი, ფერმწერი. დაიბადა ზესტაფონში 1954 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: სარა მეიფარიანი, კარლო სუთიძე; მეუღლე — ქეთევან კორძახია (1961); შვილი — გურამი (1981). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1981). მუშაობდა საკავშირო სამხატვრო აკადემიის ფერწერის შემოქმედებით სახელოსნოში (1983-86). გამართა პერსონალური გამოფენები: თბილისის მხატვრის სახლში (1991), ბრიუსელში (1994), გალერეებში „ორიენტი" (1994), TMS (1996) და სხვ. მონაწილეო-

ბდა საქართველოში, რუსეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში, ავსტრიაში, აშშ-სა და ჰაიტიზე გამართულ გამოფენებში, მათ შორის ჰანოვერში (გალერეა Art Forum (1993), „საქართველოს ხელოვნება" (ბრიუსელი, 1993), ვენაში (1994), „ქართული ხელოვნება" (ინგოლშტატი, 1994), „15 წლის შემდეგ" (გალერეა TMS, 1995), „პორტრეტის გამოფენა" (გალერეა TMS, 1996); კიოლნში (გალერეა Zeidelgalery, 1996). დაჯილდოებულია საქართველოს მხატვართა კავშირის I პრემიით „წლის საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი" სურათისათვის „მწყემსების თაყვანისცემა" (1986); თბილისის საშობაო საერთაშორისო ფესტივალის I პრემიით „საუკეთესო ფერწერული ნამუშევრისათვის" (1995). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1986). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი 2000).
**ჰობი:** ცხენოსნობა.
**მისამართი:** *(ბინის) ციმაკურიძის 6. თბილისი. ტელ: 96-34-49, 96-37-62.*



**არჩილ (დათო) სულაკაური** მოქანდაკე, მხატვარი, სცენარისტი. დაიბადა თელავში 1952 წ. 22 აპრილს. მშობლები: მარიამ სულაკაური, კარლო სულაკაური; მეუღლე — ნინო ყიფშიძე (1958); შვილები: ელისო (1982), დარო (1985). დაამთავრა თსსა ფერწერის რესტავრაციის (1973), ფერწერისა (1974) და ქანდაკების (1978) ფაკ-ბი, მოსკოვის სსრკ სარესტავრაციო სახელოსნოს ასპირანტურა. იყო ომალოს სამ. სკოლის პედაგოგი (1978-79), კათალიკოს-პატრიარქ ილია II რეფერენტი კულტურის დარგში (1978-82), თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის, სახ. პედაგოგიური ინ-ტისა და თსსა პედაგოგი (1983-95), ეროვნული გვარდიის წევრი (1991-94). არის ავტორი ფერწერული სერიისა "ბიბლიური მოტივები" (1978-99), ნამუშევრებისა "შემოდგომა", "თბილისის ძველი უბანი", "წვიმის შემდეგ", "აკვარიუმი" (I და II), "სიმარტოვე", "სახურავები" (1997-98), "ტახი", "ბუ" (1997), პანოსი "საიდუმლო სერობა" (1997), "მოსეს გასვლა წითელ ზღვაში" (ჩიკაგო 1997), ფრესკისა "ქორწილი გალილეის კანაში" (მილუოკის ლუთერის ეკლესია, აშშ 1997), გრაფიკული სერიებისა "ბიბლიური მოტივები" (1975-99); სამეცნიერო ნაშრომისა "მხატვრისა და მასალის ურთიერთდამოკიდებულება" (1986); სცენარის ავტორი და მხატვარი 5 თოჯინური ფილმისა, ავტორი კინოსცენარისა "ანემია"; შეასრულა მთავარი როლი ფილმში "ცეროდენა რაინდები" გამართა პერსონალური გამოფენები ლონდონში (1990), თბილისში (1996, 1998-99), მილუოკში (აშშ 1996), მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენაში ბარსელონაში (1990). მისი ნამუშევრები დაცულია დ.ჯონსონის კოლექციაში (აშშ). დაჯილდოებულია უოტერქალრ ვისკონსინის კონკურსის პრემიით (აშშ, 1995). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1988). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი 2000).
**ჰობი:** ფერწერა.
**მისამართი:** *(ბინის) ამაღლების 23, თბილისი. ტელ: 99-57-88, 99-99-84.*
**ვაკეთო რაც შეიძლება მეტი.**



**დავით სულაქველიძე** იურისტი, თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. პირველ სვირში (ზესტაფონის რ-ნი) 1955 წ. 5 იანვარს. მშობლები: ელენე თურქაძე, დავით სულაქველიძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1979). იყო საქართველოს პროკურატურის გამომძიებელი, რ-ნის პროკურორის თანაშემწე (1979-80), სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1981-96), პარლამენტის საკონსტიტუციო იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი (1996-99). არის იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 15 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.
**ჰობი:** სამეცნირო-პოპულარული ლიტერატურის კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-18. ფაქსი: 53-09-32.*
**ვხელმძღვანელობ ყველა იმ პრინციპით, რომლებიც ზნეობრივად და სულიერად**

ამაღლებს ადამიანს, რომლებსაც ყოველი კეთილი საქმე მიჰყავს წარმატებისა და გამარჯვებისაკენ. ჩემი მიზანია მოკრძალებული წვლილი შევიტანო ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში, ხოლო იდეალია ჩვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების სინთეზზე დაფუძნებული აყვავებული საქართველო.

**დავით სულაძე** ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1953 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ სულაძე, ოთარ სულაძე; მეუღლე — თამარ სულაძე (1955); შვილები: ნიკოლოზი (1978), ოთარი (1979). დაამთავრა სპი (1977). იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ზეინკალი, კომკავშირული მუშაკი (1970-77), სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციის ინჟინერი, სამუშაოთა მწარმოებელი (1977-80), საშენ მასალათა კომბინატის უფროსი ინჟინერი, პარტბიუროს მდივანი (1980-85), ცკ I მდივნის პასუხისმგებელი მორიგე (1985-86), მშენებლობის სამინისტროს განყ-ბის უფროსი, მთავარი ინჟინერი (1986-87), საშენ მასალათა კომბინატის დირექტორი (1987-95), ვაკის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე (1995 -2000). არის სმკ-ის წევრი (1994).
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 68-ა. თბილისი 380077. ტელ: 25-25-55. (ბინის) ი.აბაშიძის 8. თბილისი 380079. ტელ: 22-20-02.*
საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა, პასუხისმგებლობა, ორგანიზებულობა, პროფესიონალიზმი.



**მაია სულხანიშვილი** იურისტი, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ხაშურში 1964 წ. მშობლები: მაყვალა სულხანიშვილი, ტერენტი სულხანიშვილი; მეუღლე – სიმონ (ნუკრი) ცისკაძე (1956); შვილი — ნუკრი (1994). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1997). იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტაჟიორი (1997-98), ნოტარიუსი (1998-91), სამმართველოს უფროსი, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების დირექტორი, საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი სამსახურის სახელმწიფო მრჩეველი. თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** ფიქრი, საკუთარი თავის ძიება.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. (ბინის) ჩიქობავას 34, თბილისი. ტელ: 95-75-08.*
ვიყო ჭეშმარიტი ქრისტიანი.



**ედვარდ სურმანიძე** საქართველოს მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი. დაიბადა დაბა ქედაში 1964 წ. 1 ნოემბერს. მშობლები: გუგული ნაკაშიძე, ოსმან სურმანიძე; მეუღლე — ლალი ქავჟარაძე (1974); შვილი — დავითი (1993). დაამთავრა ბათუმის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკ-ტი (1988), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (2000). მუშაობდა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე (1983-90). იყო „აჭარმომარაგების" გაერთიანების მმართველი (1993-94), თავმჯდომარის მოადგილე (1995-96). საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან.
**ჰობი:** ადამიანებისთვის სიხარულის მინიჭება.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-12-93./სმკ. მარშალ გელოვანის 4ა. თბილისი 380019. ტელ: 95-98-23.*
მწამდა ღმერთის და მახსოვდა, რომ ყოველთვის მფარველობდა. წარმატებით მოპოვებული შესაძლებლობები შურისძიებისთვის არასოდეს გამომიყენებია. წარუმატებლობაში ყოველთვის აღმოვაჩენ სტიმულს, რომელიც გამარჯვებამდე მიმიყვანს.



**თენგიზ სუხიშვილი** ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 8 ივლისს. მშობლები: ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი; მეუღლე — ინგა თევზაძე (1941); შვილები: ნინო (1964), ილიკო (1972). დაამთავრა სპი მსუბუქი მრეწველობის ფაკ-ტი (1961). იყო ხალხური ცეკვის სახ. აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე-

მსახიობი (1953-72), მოცეკვავე-ბალეტმაისტერი (1972-85). ანსამბლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია 1985 წლიდან. არის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი (1971), რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1995), საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე (1992), რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი (1993), ფოლკლორის საერთაშორისო ორგანიზაცია „სიოფის" საქართველოს განყ-ბის პრეზიდენტი. დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის (1982) და ღირსების (1995) ორდენებით.

**ჰობი:** სპორტი, მსოფლიოს ხალხური ცეკვების და ბალეტის ვიდეოკასეტების შეგროვება.

**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 123. თბილისი 380012. ტელ: 95-06-11. ფაქსი: 94-21-99. ელ-ფოსტა: GNB_sukhishvili@altavista.com (ბინის) ფალიაშვილის 22. თბილისი 380079. ტელ: 22-35-13.*

**მე ვიყავი 7 წლის, ანსამბლი რომ ჩამოყალიბდა. ამიტომ მე მახსოვს პირველი რეპეტიციები და ვესწრებოდი ყველას. ბავშვობიდან დამებადა სიყვარული ქართული ცეკვის მიმართ და ჩემი მიზანი გახდა გავყოლოდი ამ საქმეს და გამეგრძელებინა დედის და მამის შექმნილი საქმე.**



**რეზო სუჯაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ყაზბეგში 1953 წ. 24 აპრილს. მშობლები: ეთერ ნამალაიძე, ღაღით სუჯაშვილი. დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის მებაღეობა-მევენახეობისა და ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1974-75). იყო მცხეთის კომბინატის საამქროს უფროსი (1974-75), თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის ტექნოლოგი, საამქროს უფროსი (1975-99), საგარეჯოს ფირმა "სამების" ტექნოლოგი, საამქროს უფროსი (1980-89), წარმოების უფროსი, მთავარი ინჟინერი (1989-92), დირექტორი (1993-99). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და თანაავტორი (1980-99). მიღებული აქვს საქართველოს მთავრობის არაერთი ჯილდო და ფულადი პრემია.

**ჰობი:** ნადირობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-97-59. (ბინის) ფალიაშვილის 77, თბილისი. ტელ: 23-38-75. ფაქსი: 99-12-62.*



**დემეტრე (დუტა) სხირტლაძე** მსახიობი. დაიბადა თელავში 1973წ. 6 ივლისს. მშობლები: მაია სხირტლაძე, ვიქტორ სხირტლაძე; მეუღლე — მარინა ნაცვლიშვილი (1970); შვილები: მარიამი (1992), ნინო (1999). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1994). იყო მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის (1995-97), თეატრალური სარდაფის (1997 წლიდან), რუსთაველის თეატრის (2000 წლიდან), ვ.ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის (2001 წლიდან) მსახიობი. მონაწილეობდა რამდენიმე სპექტაკლსა და კინოფილმში. არის ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის" გადაცემა „ვის უნდა 20000"-ის წამყვანი.

**ჰობი:** ხეზე კვეთა.

**მე მიყვარს ჩემი პროფესია და მისი ერთგული ვიქნები მანამ, სანამ ამის ძალა მექნება. სურვილი კი მუდამ არსებობს ახლის.**

**ნიკოლოზ სხირტლაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თსუ მინერალოგიის და პეტროგრაფიის კათედრის პროფესორი. დაიბადა სოფ. მრავალძალში 1911 წ. 25 აგვისტოს. მშობლები: ლიდა ინასარიძე, ივანე სხირტლაძე; მეუღლე — ნინო მრევლიშვილი (1925); შვილები: რუსუდანი (1955), ზაზა (1957). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1936). იყო თსუ ლაბორანტი, მინერალოგიის მუზეუმის გამგე (1936-39), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ასისტენტი, დოცენტი (1939-48), გეოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1941-60), ლითოლოგიის (1941-60) და ვულკანოლოგიის (1978-79) განყ-ბების გამგე, თსუ მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის დოცენტი (1948-



60), კათედრის გამგე (1960-97). პროფესორია 1961 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დასავლეთ საქართველოს ტეშენიტური ფორმაცია" (1940); სადოქტორო — „საქართველოს პალეოგენის შემდგომი ეფუზიური ვულკანიზმი" (1960). არის 160 სამეცნიერო ნაშრომის, 9 მონოგრაფიისა და 1 სახელმძღვანელოს ავტორი; თსუ შრომების გეოგრაფია-გეოლოგიის სერიის რედაქტორი (1976 წლიდან); მიღებული აქვს საავტორო მოწმობა (თანაავტორებთან ერთად) ცეოლითური მინერალის — ანალციმის პრაქტიკულ გამოყენებაზე; აღმოჩენილი აქვს ცეოლითური ნედლეულის რამდენიმე საბადო, რისთვისაც მიღებული აქვს ჯილდო; მისი სამეცნიერო ნაშრომები ეხება საქართველოს პალეოვულკანოლოგიის, ტუტე გაბროიდების პეტროგრაფიის, ლითოლოგიის, მინერალოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის (ბენტრონიტური თიხები, ცეოლითები, საშენი მასალები და სხვ.) გეოლოგიის საკითხებს. არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1973). დაჯილდოებულია მედლებით შრომითი მამაცობისათვის (1946, 1953, 1966), ღირსების ორდენით (1997). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1985).
**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 29-03-66. (ბინის) ფალიაშვილის 51/6. თბილისი 380079. ტელ: 22-21-37.*

**ნუგზარ სხირტლაძე** თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1960 წ. 31 აგვისტოს. მშობლები: სვეტლანა სხირტლაძე, უშანგი სხირტლაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985). იყო საქართველოს კანონთა წიგნის რედაქტორი (1986), იუსტიციის სამინისტროს მრჩეველი, მთავარი მრჩეველი, კანონმდებლობის სისტემატიზაციის განყ-ბის უფროსი (1987), პრეზიდენტის საპარლამენტო სამსახურის რეფერენტი (1997-98).
**ჰობი:** ლიტერატურა, სპორტი.

# ტ



**ნიკა ტაბატაძე** სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი, საინფორმაციო პროგრამა „კურიერის" წამყვანი. დაიბადა თბილისში 1975 წ. 26 მაისს. მშობლები: ნარგიზ ტალახაძე, თენგიზ ტაბატაძე; მეუღლე— ნინო ქაჯაია (1975). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკ-ტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით (1997). იყო საინფორმაციო პროგრამა „კურიერის" რეპორტიორი, სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსი (1998-2001).
**ჰობი:** ლიტერატურა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 45. თბილისი 380077. ტელ: 32-23-71, 32-22-71. ელ-ფოსტა: ntabatadze@hotmail.com*
**Carpe Diem.**



**ვახტანგ ტაბლიაშვილი** კინოსა და თეატრის რეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა ყვარელში 1914 წ. 16 მაისს. მშობლები: ანა მათიაშვილი, ვალერიან ტაბლიაშვილი; მეუღლე — ანა წერეთელი (1922); შვილები: გიჟი (ირაკლი), ნინო, ვახტანგი. დაამთავრა მოსკოვის სახ. თეატრალური ინ-ტი, პრაქტიკა გაიარა მოსკოვის სამხატვრო თეატრებში. იყო მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი, მთავარი რეჟისორი, ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი რეჟისორი. გადაიღო მ/ფ "ქეთო და კოტე" (1948), "დიდოსტატის მარჯვენა" (1968), "ლევან ხიდაშელი" (1975), დადგა სპექტაკლები "სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", "მეფე ერეკლე", "დავით აღმაშენებელი", "მაია წყნეთელი", "რომეო და ჯულიეტა", "ანტონიო და კლეოპატრა", ქუთაისის დრამატულ თეატრში — "ოთარაანთ ქვრივი", ბათუმის თეატრში — "ოტელო", თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში — "დაისი", "აბესალომ და ეთერი", "დარეჯან ცბიერი", ქუთაისის თეატრში — "დიდოსტატის მარჯვენა", "აბესალომ და ეთერი" და სხვა. არის საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, შ. რუსთაველის, კ. მარჯანიშვილისა და ნ. ვაჩნაძის სახელობის პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი.
**ჰობი:** ფოტოგადაღება.
**მისამართი:** *(ბინის) მოსეშვილის 5, ბ. 5, თბილისი 380062. ტელ: 22-41-18.*
**ბავშვობიდანვე მქონდა მისწრაფება რეჟისურის დაუფლებისა, როგორც კი ვნახე ახმეტელისა და განსაკუთრებით მარჯანიშვილის დადგმები, იმ დღიდანვე გადაწყდა ჩემი მომავალი პროფესია.**



**ზურაბ ტატაშიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი. დაიბადა საჩხერეში 1928 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: ევგენია ტატაშიძე, კონსტანტინე ტატაშიძე; მეუღლე — ლონდა დარსანია (1932); შვილები: ლალი (1956), ლელა (1962). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი (1951). არის თსუ გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის გამგე, გეოგრაფიის ინ-ტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის განყ-ბის ხელმძღვანელი (1984 წლიდან), ინსტიტუტის დირექტორია 1993 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „მდინარე ყვირილას ხეობის გეომორფოლოგიისათვის" (1955), სადოქტორო — „საქართველოს კარსტული მღვიმეების მორფოლოგიური ანალიზი" (1974). არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (წიგნები, სტატიები), მათ შორის 15-მდე მონოგრაფიის ავტორი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1977), საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი, საბუნებისმეტყველო

მეცნიერებათა თსუ აკადემიის აკადემიკოს-მდივანი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who (ABI, 1998).
ჰობი: ლექსიკონების შეგროვება.
მისამართი: *(სამსახურის) მ.ალექსიძის 1. თბილისი 380093. გეოგრაფიის ინ-ტი. ტელ: 33-74-49. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 50, ბ.13, თბილისი 380077. ტელ: 39-25-03.*

**შრომისმოყვარეობა, ორგანიზებულობა, მიზანსწრაფვა, პრინციპულობა, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, კეთილსინდისიერება, კეთილმოსურნეობა ადამიანებთან ურთიერთობაში, სამშობლოსათვის თავდადება — აი პრინციპები და იდეალები, რითაც ვიცხოვრე. პროფესიონალიზმი ყველგან და ყველაფერში, სამშობლოსადმი ერთგულება — აი რა გადაგვარჩენს, გაგვამთლიანებს, აგვამაღლებს და აგვაშენებს ახალ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში.**



**ნუგზარ ტატიშვილი** ექიმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიის კათედრის გამგე. დაიბადა თბილისში 1933 წ. 20 ივლისს. მშობლები: თამარ მითაიშვილი, ირაკლი ტატიშვილი; მეუღლე — ქეთი ანჯაფარიძე (1936); შვილები: მაკა (1960), ირაკლი (1963). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1957). იყო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ს/კ ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1957-61); განყ-ბის ხელმძღვანელი (1961-67), თსსი შინაგან სნეულებათა კათედრის დოცენტი (1967-70), პროფესორი (1970-73). კათედრის გამგეა 1973 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ბრუცელოზის პათოლოგიის ზოგიერთი საკითხი" (1961), სადოქტორო — „ინფექციური პროცესი, ალერგია და იმუნოგენეზი ბრუცელოზის დროს" (1967). არის 200 სამეცნიერო ნაშრომის, 7 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი — „შინაგანი სნეულებანი" (თანაავტორი გ.სიმონია „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 1999), „შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა" („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა", 2001). არის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ინტერნისტთა საერთაშორისო ასოციაციის, ევროპის კარდიოლოგთა საზოგადოების „ათეროსკლეროზის" შემსწავლელი მუშა ჯგუფის წევრი.
ჰობი: ჩოგბურთის თამაში, ფორტეპიანო — კლასიკური მუსიკის დაკვრა.
მისამართი: *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 33. თბილისი 380077. ტელ: 39-26-13. (ბინის) ხვიჩიას 21, ბ.4, თბილისი. ტელ: 37-52-82.*

**ვარ შრომისმოყვარე, ძალიან ორგანიზებული, პირდაპირი. ვერ ვეგუები უზრდელ და მატყუარა ადამიანებს.**



**ცისანა ტატიშვილი** თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, კონსერვატორიის პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 30 დეკემბერს. მშობლები: ქეთევან ზანდუკელი-ტატიშვილისა, ბეჟან ტატიშვილი; მეუღლე — გიორგი თოთიბაძე (1928). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის ვოკალური ფაკ-ტი (1963). ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია 1963 წლიდან. შეასრულა საოპერო პარტიები: ეთერი („აბესალომ და ეთერი"), თამარი („მთვარის მოტაცება"), ლეონორა („ტრუბადური"), აიდა („აიდა"), ტოსკა („ტოსკა"), დეზდემონა („ოტელო") და სხვ. არის სსრკ და საქართველოს სახალხო არტისტი (1972), ზ.ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი (1975). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1985), მუსიკალურ ენციკლოპედიაში (მოსკოვი, 1991).
მისამართი: *(სამსახურის) ოპერისა და ბალეტის თეატრი. რუსთაველის 25. თბილისი 380008. ტელ: 99-65-66. (ბინის) ატენის 3. თბილისი. ტელ: 23-22-66.*



**მანანა ტოროტაძე** საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 8 ივნისს. მშობლები: ეთერ გრიგოლია, ვლადიმერ ტოროტაძე; მეუღლე — თეიმურაზ ლომინაძე (1943). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1969). ეწეოდა კერძო პედაგოგიურ პრაქტიკას. არის ავტორი ფერწერული ნამუშევრებისა "ყვავილების გამყიდველი" (1979), "სახელოსნოში" (1981), "მობანავე ქალები" (1982), "მესხეთის მიტოვებული ბაღები" (1998), "მანგლისი" (1999) და სხვ. არის საქართველოს

დამსახურებული მხატვარი (1987); დაჯილდებულია საქართველოს მხატვართა კავშირის მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1982), იაპონიის საერთაშორისო გამოფენისა და თბილისის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის (1999) ჯილდოებით. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1972). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000).

**ჰობი:** მოგზაურობა საქართველოში.

**მისამართი:** *(ბინის) ჯორჯაძის 5, თბილისი. ტელ: 98-32-11.*

**შრომა და სიყვარული.**



**მერაბ ტურავა** საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარე, სამართლის დოქტორი. დაიბადა ზუგდიდში 1964 წ. 23 სექტემბერს. მშობლები: ზაირა ხასაია, კაკა ტურავა; მეუღლე — ცირა გრიგოლია (1967); შვილები: მარიკა (1991), ანა (1994). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990). სწავლობდა იენის ფ.შილერის სახელობის უნივერსიტეტში (1989-90), თსუ ასპირანტურაში (1990-91). იყო ბერლინის ლ.ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტის დოქტორანტი (1992-97). თსუ იურიდიული ფაკ-ტის დოცენტი და იუსტიციის სასწავლო (შემდგომში სამოსამართლო სწავლების) ცენტრის ლექტორია 1998 წლიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე — 1999 წლიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე — 2000 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "დანაშაულის სისტემების შედარებითი ანალიზი" (1997, ბერლინი). არის სამეცნიერო ნაშრომების ავტორი: "დანაშაულის სისტემების შედარებითი ანალიზი" (გერმანულ ენაზე, ბერლინი 1998), "სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა" (თბილისი 2000).

**ჰობი:** კითხვა, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 98-20-97. (ბინის) ფანასკერტელის 6, ბ. 214, თბილისი. ტელ: 37-96-31.*

**ვემსახურო მართალ საქმეს, ვიყო სამართლიანი, კეთილსინდისიერი, კაცთმოყვარე, ჩემი ყოველდღიური საქმიანობით ხალხს მივცე იმის რწმენა, რომ ამ ქვეყანაზე სამართალი არსებობს.**



**ლაშა ტუღუში** გაზეთ „რეზონანსის" მთავარი რედაქტორი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 23 იანვარს. მშობლები: ცირა ბურდული, ზურაბ ტუღუში; მეუღლე — ნინო ვაჩეიშვილი (1966); შვილები: გიორგი (1986), ანა (1986). დაამთავრა სპი მექანიკამანქანათმშენებლობის ფაკ-ტი, თსუ იურიდიული ფაკ-ტი. იყო საავიაციო ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი, პროფკავშირების გაერთიანების თანამშრომელი, საკანონმდებლო ინიციატივის განყ-ბის იურისტი, პარლამენტის სპეციალისტი, სადაზღვევო კომპანია „გავაზის" მთავარი იურისტი. „რეზონანსის" მთავარი რედაქტორია 1995 წლიდან. კითხულობს ლექციების კურსს თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტზე (2001 წლიდან). იყო სახალხო ფრონტის, „დასის", რესპუბლიკური პარტიის წევრი.

**ჰობი:** ხელოვნება, სპორტი (ფეხბურთი, ჭადრაკი).

**მისამართი:** *(სამსახურის) აგლაძის 39. თბილისი 380054. ტელ/ფაქსი: 96-92-60, 95-69-38. ელ-ფოსტა: bmz@iberiapac.ge*

**შრომა.**



**ზურაბ ტყემალაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, შპს „სამებას" საპატიო პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 18 იანვარს. მშობლები: ელისო გელაშვილი, შალვა ტყემალაძე; მეუღლე — ირა გელანტია (1947); შვილები: ირაკლი (1970), გიორგი (1975). დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1965). იყო წითელწყაროს ღვინის ქარხნის (1966-69), თბილისის კონიაკის ქარხნის (1969-70) ინჟინერ-ტექნოლოგი, ვარკეთილის ღვინის

ქარხნის უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი (1970-83), საგარეჯოს სამარკო და საექსპორტო ღვინოების ქარხნის მთავარი ინჟინერი (1983-88), სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „სამების" გენერალური დირექტორის მოადგილე (1988-92), შპს „სამების" გენერალური დირექტორის მოადგილე (1992-95), პრეზიდენტი (1995-99). არის საქართველო-აშშ ერთობლივი საწარმოს „ჩალას ვაინსის" დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე, პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავმჯდომარის მოადგილე, ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საზოგადოება „თბილისელის" საპატიო წევრი, სათნოების სახლის „კათარზისის" საპატიო ლეგიონერი; გადამხდელთა კავშირის, პრეზიდენტის ეკონომიკური საბჭოს წევრი, თურქეთ-საქართველოს ბიზნეს-საბჭოს თანათავმჯდომარე.
ჰობი: ოჯახი.
მისამართი: *(სამსახურის) ლესელიძის 5/7. თბილისი 380005. ტელ: 98-73-90. ფაქსი: 98-73-95. (ბინის) ჭავჭავაძის 21-ა. თბილისი 380079.*

**პატიოსნება, საქმისადმი ერთგულება, ყველგან და ყველასთან სიმართლის თქმა, ჩემი ქვეყანა, ჩემი ოჯახი, საქართველოს მთლიანობა და ბედნიერი მომავალი.**



**დავით ტყეშელაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1969 წ. 16 ოქტომბერს. მშობლები: ეთერ ჯამბაზიშვილი, რომან ტყეშელაშვილი; მეუღლე — ნინო ლორთქიფანიძე (1976); შვილი — სანდრო (1999). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1996). იყო მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი, პოლიტიკური მდივანი, თავმჯდომარის მოადგილე (1993-94), პრეს-მდივანი (1994-95), სმკ-ის თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივანი (1995). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან, სმაკ-ის თავმჯდომარე — 1998 წლიდან.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-81-40, 93-38-46. (ბინის) დიღმის მასივი, I კვ. თბილისი 380059. ტელ:* 52-30-59.

**პატიოსნება, პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი.**



**იური ტყეშელაშვილი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სისხლის სამართლის კოლეგიის თავმჯდომარე. დაიბადა ვანში 1950წ. 25 იანვარს. მშობლები: ეთერ კორძაძე, ილია ტყეშელაშვილი; მეუღლე — მერი ცერცვაძე (1954); შვილები: ირინე (1981), დავითი (1984). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1971), საკავშირო პროკურატურის ინ-ტის ასპირანტურა (მოსკოვი, 1980). იყო თბილისის 26 კომისრის რ-ნის პროკურატურის გამომძიებელი (1971-72), ქ.ტყიბულის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი (1972-76), თბილისის პირველი მაისის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე (1982-85), უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა (1985-99). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „არასრულწლოვანთა დამნაშავეობა საქართველოში და მისი პროფილაქტიკის საკითხები" (1981). არის 12 სამეცნიერო ნაშრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი.
ჰობი: პოეზია.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ.ზუბალაშვილების 32. თბილისი 380010. ტელ: 93-32-80. ფაქსი: 93-52-94. (ბინის) ნუცუბიძის პლატო IV მ/რ. კორპ. 5. ბ. 52. თბილისი. ტელ: 32-46-22.*

**მაღალი ზნეობა, რომელიც აუცილებელია არა მხოლოდ მოსამართლისთვის, არამედ ყველა ადამიანისთვის; პროფესიონალიზმი, რომლის გარეშე არანაირი საქმე არ გაკეთდება; ზომიერების გრძნობა — ასევე აუცილებელი ყველასათვის.**



**მელორ ტყეშელაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ვანში 1939 წ. 29 აგვისტოს. მშობლები: ქეთევან ძაგნიძე, ივანე ტყეშელაშვილი; მეუღლე — ციცინო ნიგნაძე (1939); შვილები: მერაბი, მარიკა, მანონი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1963). იყო თბილისის ვიცე-მერი, ვიცე-პრემიერი. საქართველოს

პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი.
**ჰობი:** ქართული ხალხური სიმღერა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018.*

**ნიჭიერება, პასუხისმგებლობა, სიმართლე, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა.**



**მერაბ ტყეშელაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: ციცინო ნივნივაძე, მელორ ტყეშელაშვილი; მეუღლე — ლელა სირაძე (1964); შვილები: თამარი (1984), ეკა (1986), იეიკო (1993). დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1987). იყო „თბილქალაქპროექტის" არქიტექტორი (1987-91), რუსთავის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის მთავარი არქიტექტორი (1992-94), საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ქვემო ქართლის მხარეში (1994-95), ქალაქ რუსთავის მერი (1996-99). არის საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის ბიუროს სათათბირო ორგანოს — მაჟორიტარი დეპუტატების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე; რუსთავის, ტასტინის, კრასნოიარსკის საპატიო მოქალაქე, საერთაშორისო დაძმობილებული ქალაქების გამგეობის წევრი; არქიტექტორთა ორი საერთაშორისო კონკურსის მონაწილე. გამართა სამი პერსონალური გამოფენა.
**ჰობი:** მხატვრობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-82-27. ფაქსი: 93-14-76.*



**მინდია უგრეხელიძე** ეეროსაბჭოს სასამართლოს წევრი. დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 19 მაისს. მშობლები: ლიანა ეზიკაშვილი, გურამ უგრეხელიძე; მეუღლე — ლუიზა კობახიძე (1943); შვილები: ჯავარა (1965), პაპუნა (1974). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1963). იყო ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის უმცროსი (1963-75), უფროსი (1975-76) მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ დოცენტი (1976-83), კომპარტიის ცკ-ს მეცნიერებისა და სასწავლებლების განყობის გამგის მოადგილე (1983-86), სპი პრორექტორი (1986-88), გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის I მოადგილე (1988-89), რედაქტორი (1990), გაზეთ „ახალი საქართველოს" რედაქტორი (1990), საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990), საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (1991-99). არის სტუ თანამედროვე სამართლის კათედრის გამგე (1995 წლიდან), საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი (1997 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „გაუფრთხილებლობითი ბრალის პრობლემა სისხლის სამართალში" (1974). გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და თარგმანი, მათ შორის 3 მონოგრაფია. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემიის ლაურეატი (1972), უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლე (1992), ჰიუსტონის (1991), ოსტინის (1991), პასადინას (1996) საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი (1999). იყო მაქს პლანკის საერთაშორისო საზოგადოების სტიპენდიანტი (1995).
**ჰობი:** პოეზია, მოგზაურობა.

**სიმართლე და არმოშურნეობა.**



**თენგიზ ურუშაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 14 იანვარს. მშობლები: ნინო მშვენიერაძე, თედორე ურუშაძე; მეუღლე — მედეა ჩახვაძე (1941); შვილები: თეო (1969), ალექსანდრე (1974). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სატყეოსამეურნეო ფაკ-ტი (1963), უცხო ენების ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1980). იყო სატყეო ინ-ტის უმცროსი (1967-69), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1969-73), ლაბორატორიის გამგე (1973-82). აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგეა 1982 წლიდან, თსუ პროფესორი — 1991 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ტყის ყომრალი ნიადაგების ძირითადი ქვეტიპების გენეტიკური დახასიათება" (1967); სადოქტორო — „საქართველოს მთატყის ნიადაგები" (1980). არის 250 სამეცნიერო ნაშრომის, 30 მონოგრაფიის და სახელმძღვანელოს ავტორი, მათ შორის: „ბუნების დაცვის საფუძვლები" (1983. თანაავტორი ვ.გულისაშვილი), „საქართველოს მთის ტყეების ნიადაგები" (1987) და სხვ. არის საქართველოს კომკავშირის პრემიის (1974), უილიამსის სახელობის პრემიის (1989) ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1999), აჭარის არ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელის მფლობელი (2000), საქართველოს ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების პრეზიდენტი, იუნესკოს პროგრამის — „ადამიანი და ბიოსფერო" ეროვნული კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო ეკოლოგიური აკადემიის წევრი, საერთაშორისო ნიადაგმცოდნეთა საზოგადოების მეხუთე კომისიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1998).
**ჰობი:** ფეხბურთი, მემუარული ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. თბილისი 380031. ტელ: 94-25-21. ფაქსი: 99-88-23. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 6. ბ. 20. თბილისი 380060. ტელ: 37-38-85. ფაქსი: 94-31-98.*

**ვემსახურებოდე სამშობლოს.**



**ნათელა ურუშაძე** თეატრმცოდნე, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქუთაისში 1923 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: ანა ჩიტაშვილი, ამბერკი ურუშაძე; მეუღლე — გიორგი გეგეჭკორი (1923); შვილები: მანანა (1955), გიორგი (1958). დაამთავრა თსთი სამსახიობო (1945), მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინ-ტის თეატრმცოდნეობის (1948) ფაკ-ტები. არის თსთი თეატრის ისტორიისა და თეორიის კათედრის პროფესორი (1948 წლიდან), პედაგოგიური ინ-ტის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე (1997 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული სასცენო ხელოვნება“ (1968), სადოქტორო — „ქართული სათეატრო კრიტიკა“ (1976). არის ავტორი წიგნებისა: „ვერიკო ანჯაფარიძე“, „ელენე ახვლედიანი თეატრში“, „მსახიობის ხელოვნება“, „დავით კაკაბაძე თეატრში“, „ქართული თეატრის ამბავი“, „სანდრო ახმეტელი“, „მედეა ჯაფარიძე“, „ვალერიან გუნია“, „სესილია თაყაიშვილი“, „მიხეილ თუმანიშვილი, მთავარი მოწმის ნაამბობი“, „სახლი სათამაშო, ანბანი და ამბავი თეატრისა“ და სხვ. არის მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.
**ჰობი:** საკანცელარიო ნივთები, სამზარეულოში გამოსადეგი ხელსაწყოები.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 19. თბილისი 380008. (ბინის) თაბუკაშვილის 39, ბ.8, თბილისი 380008. ტელ: 93-11-46.*

**ვფიქრობ, ადამიანი ვალდებული იბადება, საჭიროა მისი გაცნობიერება და ღირსეულად შესრულება. მაშინ სხვას სასიკეთოდ გამოადგები და არ იქნება შენი ცხოვრება ფუჭი. ჩემი იდეალია კეთილი, სულით ძლიერი, შინაგანად თავისუფალი, გონიერი პიროვნება. საინტერესოა იგი, ადამიანისადმი რწმენის და პატივისცემის გრძნობის გამღვიძებელი. მინდა სკოლაში ისწავლებოდეს საგანი „ხელოვნება“. მომავალი მოქალაქე მშვენიერს ყმაწვილობაში უნდა ეზიაროს, რათა სული მისი იყოს ფაქიზი და ძლიერი.**



**დავით უსუფაშვილი** იურისტი, ორგანიზაცია IRIS International-ის სამართლებრივი რეფორმების პროგრამების კოორდინატორი. დაიბადა სოფ. მაღაროში (სიღნაღის რ-ნი) 1968 წ. 5 მარტს. მშობლები: ლიანა უსუფაშვილი, ჯოველ უსუფაშვილი; მეუღლე — თინათინ ხიდაშელი (1973); შვილი — სანდრო (2000). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1992), თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკ-ტის ასპირანტურა (1995), დიუკის უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ინ-ტი (აშშ, 1999). იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი, იურიდიული განყ-ბის გამგე (1990-92), სახელმწიფო საბჭოს იურიდიული განყ-ბის მრჩეველი (1992), სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო მრჩეველი (1992-94), სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1993-95), თსუ ლექტორი (1992-97), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე (1994-97), ორგანიზაცია AMEX International-ის საქართველოს ფილიალის დირექტორი (1999-2000), ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის აღმასრულებელი მდივანი (2000-2001). არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამგეობის წევრი, მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს წევრი.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა.
**მისამართი:** *(ბინის) ფანასკერტელის 20. თბილისი. ტელ: 33-55-94. ელ-ფოსტა: davidusu@hotmail.com*

**ირწმუნე მხოლოდ ის, რასაც თავად დაასკვნი. იფიქრე მუდამ, თუნდაც უკვე მრავალჯერ ნაფიქრზე. თვალი გაუსწორე საკუთარ სინდისს. მაშინაც, როცა მასთან პირნათელი არა ხარ. ცხოვრების გზას ნუ აირჩევ, მინდორზე ინავარდე. ძალთა შორის აღიარე მხოლოდ გონების ძალა, სილამაზეთა შორის — სულის სიმშვენიერე. აკეთე მხოლოდ სიკეთე, ოღონდ სიკეთედ აღიარე ის, რასაც თავად მიიჩნევ ასეთად. არც ერთი იდეა და პრინციპი არ ღირს იმად, რომ მას ანაცვალო აზროვნების თავისუფლება.**

**გენადი უჩუმბეგაშვილი** ფონდი „ინტერნიუსის“ დირექტორი, ამერიკული ორგანიზაცია „ინტერნიუს ნეთვორკის“ საქართველოს ფილიალის აღმასრულებელი დირექტორი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 16 ივლისს. მშობლები: ნათელა სამჭკუაშვილი, ალბერტ უჩუმბეგაშვილი; მეუღლე — თეა ადეიშვილი (1974). დაამთავრა



სპი კავშირგაბმულობის ფაკ-ტი (1986). იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ციფრული პროგრამული მართვის მანქანების ელექტრიკოსი (1981-89), ედპ-ის გაზეთ „დემოკრატის" ტექნიკური რედაქტორი (1989-90), ტელეკომპანიების: WTN, ARD, TBS (იაპონია) მოსკოვის წარმომადგენლობის სტრინგერი (1990-92), ტელეკომპანიების INS-ისა (მოსკოვი 1992-93) და „7.7.7"-ის (თბილისი, 1993-95) თანადამფუძნებელი და დირექტორი. იყო ქვემო ქართლის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე (1995-97). არის პროდიუსერი დოკუმენტური ფილმებისა: „ომის შვილები", „გერმანელები საქართველოში", „თბილისელი გავროშები" (1994), ჭადრაკის კლუბ „ქამელეონის" დამფუძნებელი (რუსთავი, 2001).

**ჰობი:** ჭადრაკი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 74, საქქალაქმშენპროექტის შენობა, მე-6 სართული, თბილისი 380062. ტელ: 25-38-60, 25-38-61. ფაქსი: 93-50-66. ელ-ფოსტა: genadi@internews.ge (ბინის) გ.ახვლედიანის 14. თბილისი. ტელ: 99-58-03.*

**ჩემი მიზანია, საქართველოში განვითარდეს დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ჩემი ცხოვრების პრინციპები. რამაც განაპირობა წარმატება, კარგად აისახება ჩარლზ შვაბის სიტყვებში: „ჩემს ყველაზე ფასეულ თვისებად მიმაჩნია ადამიანებში ენთუზიაზმის გაღვივებისა და მათი საუკეთესო თვისებების განვითარების უნარი. (წახალისებისა და ღირსებათა აღიარების გზით). ადამიანს თავმოყვარეობას ყველაზე ძლიერად ხელმძღვანელობის კრიტიკა ულახავს. მე არასოდეს ვაკრიტიკებ... თუკი რაიმე მომწონს, გულღიად ვაფასებ და ვაქებ".**

# ფ



**მარინე ფარცვანია** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა მარტვილში 1963 წ. 14 ივნისს. მშობლები: ცისანა ზაქარეიშვილი, პარმენ ფარცვანია; მეუღლე — ივანე ფაილოძე (1961); შვილები: თეონა (1987), რატი (1989). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1987). იყო თბილისის სახალხო დეპუტატთა აღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყ-ბის ინსპექტორი (1988-91), საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, ჩუღურეთის რ-ნის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი (1992, 98), საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1998-99).
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, 53-09-17.*



**ჯეირან ფაჩუაშვილი** მხატვარი, ქუთაისის სახ. დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, მხატვართა კავშირის მდივანი, ქუთაისის სახ. დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 31 აგვისტოს. მშობლები: თამარ ხურციძე, ნიკოლოზ ფაჩუაშვილი; მეუღლე — ნათელა გეგუჩაძე (1950); შვილები: ნიკოლოზი (1982), თამარი (1984), ნინო (1986). დაამთავრა თსსა თეატრალურ-დეკორაციული განყ-ბა (1968). იყო ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი (1977-90), საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-91). არის ქუთაისის სახ. დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი (1968 წლიდან), სამხატვრო ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი (1997 წლიდან), ქუთაისის ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელი (1998 წლიდან). გამოფენებში მონაწილეობს 1968 წლიდან. გაფორმებული აქვს 100-მდე სპექტაკლი ქუთაისის სახ. დრამატულ, თბილისის მოზარდ მაყურებელთა, ფოთის, სამარის ოპერისა და ბალეტის თეატრებში. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში, ქუთაისის სახ. დრამატული თეატრის ფონდში, რუსეთის, საქართველოს, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის კერძო კოლექციებში. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენების კავალერი.
**მისამართი:** *(ბინის) ბუხაიძის 4, ბ.55. ქუთაისი. ტელ: 7-71-88.*



**კარლო ფაჩულია** მხატვარი. დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 29 აპრილს. მშობლები: მარიამ ქუთათელაძე, კარლო ფაჩულია; მეუღლე — ნინო ზაალიშვილი (1945); შვილი — ირაკლი (1976). დაამთავრა თსსა გრაფიკის განყ-ბა (1970), სსრკ სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნო (1975). იყო საქართველოს ტელევიზიის მხატვარი (1969-73), გამომცემლობების "საბჭოთა საქართველო" (1975-78), "მერანი" (1970-85), გაზეთ "ქომაგის" (1998-2000) მხატვრული რედაქტორი. არის გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" (1981 წლიდან), "ახალი ეპოქის" დამატება "ქართული მწერლობის" (1999 წლიდან), ჟურნალ "ომეგას" მხატვარ-რედაქტორი. გააფორმა 300-მდე წიგნი, მათ შორის უ.შექსპირის პიესები, ი.ცურტაველის „შუშანიკის წამება", მსოფლიო და ქართული კლასიკა და ფოლკლორი; არის ავტორი ნახატი და ლითოგრაფიული სერიებისა: „სახელოსნო", „სიმშვიდე", „ჩემი ებრაელი მეზობლები", „ქუთაისი" და სხვ. გამოაქვეყნა რამდენიმე ნოველა (1999). გამართა პერსონალური გამოფენა „ძველ გალერეაში" (თბილისი, 1998). მონაწილეობს საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში (1970 წლიდან). იყო პალანგის ილუსტრაციის ჯგუფის წევრი (1976), მონაწილეობდა ა/კ მხატვართა I (1986), ბოლონიის (1987), თეირანის (1993), საბავშვო ილუსტრაციის ბიენალეებში, ფერმწერთა ქუთაისის საერთაშორისო პლენერებში (1988, 1990, 1996). დაჯილდოებულია მხატვართა კავშირის მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის, პრემიებით

წიგნის საუკეთესო გაფორმებისათვის. მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, მოსკოვის გამოფენათა დირექციაში, ნოიებრანდენბურგის კულტურის განყ-ბის ფონდში, ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში, საქართველოს, რუსეთის, გერმანიის კერძო კოლექციებში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1974).
**ჰობი:** ჭადრაკი.
**მისამართი:** *(სამსახურის) მელიქიშვილის 27. თბილისი 380079. (ბინის) ჩიქოვანის 24-ა, ბ.33. თბილისი 380071. ტელ: 33-17-91.*
**სიყვარული აგვამაღლებს.**



**გერმანე ფაცაცია** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ახალდაბაში (ოჩამჩირის რ-ნი) 1951 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: სონია ბერიძე, გერმანე ფაცაცია; მეუღლე — მარიამ სიმონიშვილი (1957); შვილები: ნინო (1979), ანა (1993). დაამთავრა თსუ ფილოლსოფია-ფსიქოლოგიის ფაკ-ტი (1973). იყო თსუ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1973-77), ფილოსოფიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1977-83), პოლიტოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1983-90), დირექტორი (1991-96), პარლამენტის წევრი, ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარე (1992-1995). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ცოდნის თეორიული და ემპირიული დონეების თანაფარდობა სოციოლოგიაში" (1981). არის 5 წიგნის, 200-ზე მეტი სტატიის ავტორი, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი (1998), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1992).
**ჰობი:** *თეთრი ქართული ღვინო, ქალები.*
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-86-07. (ბინის) ვაზისუბნის 12. ბ.41. თბილისი. ტელ: 38-76-37.*
**მართლმადიდებლობა, სამშობლო, ოჯახი, ტრადიციონალიზმი.**



**ნინო ფერაძე** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 5 აპრილს. მშობლები: ელენე ფერაძე, ვახტანგ ფერაძე; მეუღლე — ვახტანგ ჭელიძე (1956). დაამთავრა თსსა დაზგური გრაფიკის ფაკ-ტი (1981). იყო კ/ს "ქართული ფილმის" მულტგაერთიანების დამდგმელი მხატვარი (1980-87), თბილისის მხატვრის სახლის დაზგური გრაფიკის სახელოსნოს ხელმძღვანელი (1987-89). მუშაობს დაზგური გრაფიკის, წიგნის გაფორმებისა და ილუსტრაციის ჟანრებში. არის ავტორი სერიგრაფიებისა თემაზე "ქართული ზღაპრები და ლეგენდები" (1989-90), გრაფიკული სერიებისა "დაუწერელი წერილები", "ბრინჯაოს ზღაპრები" (1991-94), "მოგონებები" (1999-2000); ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა კრებულის ილუსტრაციებისა (1995); დამდგმელი მხატვარი 10 მულტფილმისა და სხვ. დაჯილდოებულია კალინინგრადის გრაფიკის საერთაშორისო ბიენალეს I პრემიით (1991), საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზით წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1997). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1986). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** მთაში მოგზაურობა.
**მისამართი:** *(ბინის) გ.ბრწყინვალეს 21, ბ. 72, დიდი დიღომი, თბილისი. ტელ: 53-84-27.*
**დავინახო და დავანახო სხვას ის სილამაზე, რომელიც ძალიან ცოტაა ჩვენს გარშემო.**

**ნუგზარ ფერიაშვილი** გარდაბნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ტაბახმელაში (გარდაბნის რ-ნი) 1959 წ. 2 მარტს. მეუღლე —მზია ფერიაშვილი (1960); შვილები: კახაბერი (1989), ნინო (1990), ივერი (1994). დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი, მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. იყო თსუ ფიზიკის ფაკ-ტის იონოსფეროს ლაბორატორიის უფროსი პრეპარატორი (1976), საქართველოს ბიოკომბინატის მეურნეობის მუშა (1979), ალკკ კომიტეტის განთავისუფლებული მდივანი (1982), პროფკომიტეტის თავმჯდომარე (1986), ტაბახმელას სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1990), გარდაბნის რ-ნის პრეფექტურის საქმეთა მმართველი (1991), გამგეობის კან-

ცელარიის გამგე (1992), გამგეობის აპარატის ხელმძღვანელი, გამგებლის მოადგილე (1996-2000). არის 4 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (1985), სმკ-ის წევრი (1994).



**ზურაბ ფერიშვილი** ინჟინერი-მფრინავი, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფროსი. დაიბადა ციხისძირში 1956 წ. 16 ივნისს. მშობლები: ელისაბედ ფერიშვილი, ბოგდან ფერიშვილი; მეუღლე — მარინა ქიტესაშვილი (1964); შვილები: ლია (1992), ლანა (1994). დაამთავრა ქ. კრემენჩუკის (რუსეთი) საავიაციო სასწავლებელი (1975), ლენინგრადის სამოქალაქო ავიაციის აკადემია (1981). იყო თვითმფრინავების: АН-2-ის მფრინავი (1975), ТУ-134 და ТУ-154 ხომალდის მეთაური (1980-86), საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს ინსპექციის უფროსის მოადგილე (1982), თვითმფრინავების ТУ-134 და ТУ-154 ხომალდის მეთაურ-ინსტრუქტორი (1987 წლიდან), ИЛ-62 ხომალდის მეთაურ-ინსტრუქტორი (1997 წლიდან), საფრენოსნო სამსახურის დირექტორი, ავიაკომპანია „ორბის" გენერალური დირექტორის მოადგილე, საფრენოსნო სამსახურის დირექტორი (1994-97), ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახაზების" ვიცე-პრეზიდენტი, აღმასრულებელი დირექტორი (1997 წლიდან). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის.

**ჰობი:** თევზაობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ყაზბეგის 12, თბილისი. ტელ: 98-96-39.*

**პროფესიონალიზმი, პრინციპულობა, პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე, ყოველივე ამის გათვალისწინებითაა შესაძლებელი ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების კეთება.**



**რევაზ ფირაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ნუკრიანში (სიღნაღის რ-ნი) 1941 წ. 9 თებერვალს. მშობლები: ახრასია ფირაშვილი, სანდრო ფირაშვილი; მეუღლე — ნათელა ასანიშვილი (1949); შვილები: მამუკა (1973), თეა (1976). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი (1965). იყო სოფ. ნუკრიანის კოლმეურნეობის მთავარი ინჟინერი (1965-67), სიღნაღის კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის გამგე (1967-68, 1970-71), რაიონული რადიოს კორესპონდენტ-ორგანიზატორი (1971), სოფ. ნუკრიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე (1971-74, 1984-89, 1994-98), სახალხო კონტროლის სიღნაღის რაიკომის (1974-83), სიღნაღის რ-ნის აგროსამრეწველო გაერთიანების (1989-90) თავმჯდომარე, სიღნაღის რ-ნის სოფ. ხირსის მევენახეობის სახ. მეურნეობის დირექტორი (1991-93), სიღნაღის რ-ნის საკრებულოს თავმჯდომარე (1998-99), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1979). არის სმკ-ის წევრი (1994).

**ჰობი:** სპორტი, სოფლის მეურნეობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: (899) 56-67-68. (ბინის) თაბუკაშვილის 19, თბილისი. ტელ: 98-85-88.*

**ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, შვილიშვილების სამშობლოს მოსიყვარულე ქართველებად აღზრდა.**



**გურამ (გივი) ფირცხალავა** მსახიობი. საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა ფოთში 1940 წ. 18 თებერვალს. მშობლები: თამარ ფირცხალავა, ნიკოლოზ ფირცხალავა; მეუღლე — თანგული სიხარულიძე (1945); შვილი — ხათუნა (1983). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1966). კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობია 1966 წლიდან. მონაწილეობდა ფილმებში: „ჯვარცმული კუნძული", „მოლოდინი", „გზა შინისაკენ", „დათა თუთაშხია", „დღეს ღამე უთენებია", „მიზანი", „მოცურავე", „ვალსი პეჩორაზე", „წარსულის აჩრდილები", „ჩემი ძვირფასი ბაბუა" და სხვ. არის საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანეს" ლაურეატი, ფოთის საპატიო მოქალაქე (2000), ღირსების ორდენის კავალერი (2000); საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი.

ჰობი: ნადირობა.
მისამართი: *(ბინის) ნუცუბიძის ფერდ.III მ/რ, II კვ. კორპ.9. თბილისი. ტელ: 32-13-13.*
**სიმართლე, პიდაპირობა, ვაჟკაცობა და საქმისადმი ერთგულება.**



**ჯონი ფირცხალაიშვილი** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა ლანჩხუთში 1947 წ. 22 მაისს. მშობლები: თამარ ფირცხალაიშვილი, მიხეილ ფირცხალაიშვილი; მეუღლე — ტატიანა ფირცხალაიშვილი (1949); შვილები: იური (1972), ვანო (1983). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1970), ორჯონიკიძის საერთო-საჯარისო სასწავლებელი (1973), ფრუნზეს სახელობის საერთო-საჯარისო სამხედრო აკადემია (1978). იყო ოცეულის მეთაური (1970-74), ასეულის მეთაური (1972-73), ბატალიონის შტაბის უფროსი (1973-74), ბატალიონის მეთაური (1974-78), პოლკის შტაბის უფროსი (1978-81), პოლკის მეთაურის მოადგილე (1981-82), პოლკის მეთაური (1982-83), დივიზიის შტაბის უფროსი (1983-85), დივიზიის მეთაური (1985-88), ვინიცის ოლქის სამხედრო კომისარი (1988-90), საქართველოს სამხედრო კომისარი (1990-91), საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1991-92), ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამხედრო კონსულტანტებისა და ინსპექტორების ჯგუფის უფროსის მოადგილე — მთავარი სამხედრო კონსულტანტი (1992-93), სახმელეთო ჯარების სარდალი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1996), თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსია 1998 წლიდან. დაჯილდოებულია მედლებით: „შრომითი ნარჩინებისთვის" (1973), „სსრკ შეიარაღებული ძალების 60 წელი" (1978), „უმწიკვლო სამსახურისთვის" (III ხარისხი, 1981), „სსრკ შეიარაღებული ძალების 70 წელი" (1988), „წითელი ვარსკვლავის" ორდენით (1982).
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) უნივერსიტეტის ქ. 2. თბილისი. 380077. ტელ: 99-61-92. ფაქსი: 22-05-85. (ბინის) ჭავჭავაძის 75. ბ.45. თბილსი 380062. ტელ: 29-49-49.*



**თეიმურაზ ფიჩხაია** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 9 ივნისს. მშობლები: გულნარა გაბესკირია, ევგენი ფიჩხაია; მეუღლე — ლია ბაგრატიონი (1957); შვილები: თამარი (1975), მარიამი (1989). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1976). იყო თსუ გეოფიზიკის კათედრის თანამშრომელი, გეოფიზიკის ინ-ტის თანამშრომელი (1975-89), „აიეტი TV"-სა და „პეიჯინგ-1"-ის გენერალური კოორდინატორი, დირექტორი (1991-98). არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი; ავტორი წიგნისა „Rex David Cognomento Joanes Presbiter, მოკლედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან" (1999). არის საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1990), მინი-ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი (2001).
ჰობი: ფეხბურთი, ანთროპოსოფია, ისტორია.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-64-38.*
**არა ჩემთვის, არამედ სხვისთვის.**



**კონსტანტინე ფიცხელაური** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის ფილიალის დირექტორი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: ნინო ფიცხელაური, ნიკოლოზ ფიცხელაური; მეუღლე — ნანა მამაიაშვილი (1933); შვილი — კონსტანტინე (1974). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1954). იყო ისტორიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის გამგე. არის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის განყ-ბის გამგე (1972). კახეთის სამეცნიერო ცენტრის დირექტორია 1991 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები" (1972). საქართველოში და

საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და სტატიები კავკასიის არქეოლოგიის საკითხებზე.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა (პოლიფონია).
**მისამართი:** *(სამსახურის) მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი. რუსთაველის 52. თბილისი 380008. ფაქსი: 99-88-23. (ბინის) მცხეთის 2. ბ. 5. თბილისი 380079. ტელ: 22-01-03.*

**ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია — სამშობლოს, ქართველი ერის წარსულის წარმოჩენა და მისი ობიექტური გაანალიზება შეძლებისდაგვარად ფართო ფონზე, ღრმა ერუდიციის საფუძველზე. დღეს, როდესაც ჩვენი საზოგადოება გახრწნის ზღვარზეა უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ყოველნაირად ეეცადო ახალგაზრდობას შევუნარჩუნო მაღალი მორალური თვისებები და რწმენა მომავლისადმი, გადავარჩინო ის ფიზიკურად და მორალურად.**



**ზურაბ ფოცხვერია** ჟურნალისტი, გაზეთ „სარბიელის" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1959 წლის 12 აპრილს. მშობლები: ზაირა ინასარიძე-ფოცხვერია, ვასილ ფოცხვერია; მეუღლე — ხათუნა გოგელია; შვილები: დავითი (1993), გიორგი (1997). დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკ-ტი (1981). იყო ტელერადიო დეპარტამენტის სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციის შტატგარეშე კორესპონდენტი (1982-85), ჟურნალ „მართვეს" ლიტმუშაკი (1985-90), გაზეთ „თბილისის" ინფორმაციის განყ-ბის გამგე (1990), გაზეთ „სარბიელის" მთავარი რედაქტორი (1990-95). გაზეთ „სარბიელის" გამომცემელი და მთავარი რედაქტორია 1997 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ქართულ და უცხოურ გამოცემებში.
**ჰობი:** სპორტი, კინემატოგრაფი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ყაზბეგის გამზ. 42, II კორპ. ტელ: 39-48-29, 38-11-14. თბილისი. (ბინის) ზაქარიაძის 8, ბ.10. თბილისი. ტელ: 39-50-33.*

**არჩილ ფრანგიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სტუ ინფორმატიკის და მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 13 აპრილს. მშობლები: ციალა ღულუნიშვილი, ივერი ფრანგიშვილი; მეუღლე — დარეჯან ვერულავა (1965); შვილი — ივერი (1993). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1983). იყო სპი უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1987-88), სექტორის, ლაბორატორიის გამგე (1988-90). ინფორმატიკის და მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორის მოადგილეა 1990 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „უჯრედოვან ავტომატებზე ინფორმაციის წარმოდგენის და პარალელური დამუშავების პრინციპების შემუშავება" (1992). არის 90 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (5 მონოგრაფია), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1990). დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1996). არის საერთაშორისო ინფორმატიზაციის (1994), საერთაშორისო საინჟინრო (1995) და საქართველოს საინჟინრო (1996) აკადემიების ნამდვილი წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 77. თბილისი 380071. ტელ: 36-66-82, 36-65-70. (ბინის) პასტერის 1-ა. ბ. 2. თბილისი. ტელ: 95-36-92.*

**ივერი ფრანგიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი. დაიბადა სოფ. დიდ ჯიხაიშში 1930 წ. 6 ივნისს. მშობლები: ნადია ლეჟავა-ფრანგიშვილი, ვარლამ (ბათუ) ფრანგიშვილი; მეუღლე — ციალა ღულუნიშვილი (1927); შვილი — არჩილი (1961). დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1952). იყო ჰიდროენერგოპროექტის საქართველოს ფილიალის ინჟინერ-მაპროექტირებელი (1952-53), საქენერგოს უფროსი ინჟინერი (1953-55), ასპირანტი (1955-58), ავტომატიკის, ელექტრომექანიკის და ტელემექანიკის მართვის პრობლემების ინ-ტის პირველი კატეგორიის ინჟინერი (1959-60), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1970-84), დირექტორი (1986), სსრკ ატომური სადგურების ავტომატიზაციის გენერალური კონსტრუქტორი (1987 წლიდან). სა-

ქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი (1991), საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1997), 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (7 მონოგრაფია), ერთი აღმოჩენის, 50 გამოგონების ავტორი, რუსეთის მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე (1980), კალიფორნიის მეცნიერების, ტექნიკის და ხელოვნების აკადემიის წევრი (1996), საზოგადოების — „ქართველები რუსეთში" პრეზიდენტი (1992).
მისამართი: *(სამსახურის) მეცნიერებათა აკადემია. რუსთაველის 52. თბილისი 380008. (ბინის) პასტერის 1-ა. ბ.2. თბილისი 380012. ტელ: 95-36-92.*

**ბეჯითი სწავლა, მონდომებული შრომა, დიდი პასუხისმგებლობა გადაწყვეტილების მიღებაში, საკითხების ღრმად შესწავლა და განვითარებული ინტუიცია, შრომის დიდი უნარიანობა და პრობლემებისადმი სერიოზული მიდგომა, ახალი ცოდნისადმი დიდი მისწრაფება და სისტემური მიდგომა პრობლემების ანალიზში და კვლევებში. უკანასკნელ პერიოდში ჩემი მეცნიერული მოღვაწეობის მიზანია სისტემური მიდგომა, სისტემური ანალიზი და სისტემური კანონზომიერებების გამოყენება რთული ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემების განვითარების ანალიზსა და მდგრადობის შესწავლაში.**



**ირაკლი ფრუიძე** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში. დაიბადა თბილისში 1949 წ. 20 ივნისს. მშობლები: დესპინე სამთელაძე, ბაქარ ფრუიძე; მეუღლე — ნელი ცქვიტინიძე (1951); შვილი — სოფიო (1983). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1971). იყო კომკავშირის რაიკომის I მდივანი (1977-80), ამბროლაურის რაიკომის I მდივანი (1989-91), რ-ნის გამგებელი (1993-95), პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში 1999 წლიდან. იყო სკკპ წევრი (1976-90).
ჰობი: ცურვა, სუფთა ჰაერზე ვარჯიში.
მისამართი: *(სამსახურის) აღმაშენებლის 1, ამბროლაური. ტელ: 2-13-31. (ბინის) ელიავას 37-ა, თბილისი. ტელ: 34-28-82.*

**ჩემი ცხოვრების მანძილზე ვცდილობდი მეკეთებინა სიკეთე და არ შემშლოდა ხალხთან ურთიერთობაში.**



**იაკობ ფუტკარაძე** იურისტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა სოფ. ინაშაურში (ვანის რ-ნი) 1935 წ. 23 სექტემბერს. მშობლები: ივდით ბუხაიძე, ვალერიან ფუტკარაძე; მეუღლე — ლუიზა ლაზარიშვილი (1935); შვილები: მალხაზი (1959), დავითი (1966). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1959). იყო სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის უფროსი ლაბორანტი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, დირექტორი (1959-96). არის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1979 წლიდან), საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, თავმჯდომარის მოადგილე და პირველი კოლეგიის თავმჯდომარეა 1996 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის" (1965). არის ავტორი მონოგრაფიისა, ასამდე სამეცნიერო, პუბლიცისტური და საენციკლოპედიო სტატიისა, სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის კონსტიტუციური კანონმდებლობის ქვეკომისიის თავმჯდომარე. იყო საქართველოს კონსტიტუციის შემმუშავებელი სახ. საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1995).
ჰობი: საოჯახო ტურისტული მოგზაურობა.
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 92-08-30. (ბინის) სანზონა, კორპ. 18ბ, ბ. 33. ტელ: 94-29-86.*

**ბავშვობა და სიყმაწვილე გავატარე ომისდროინდელი და ომის შემდგომი პერიოდის სოფლის მატერიალურ სივიწროვეში. იქ ჩამომიყალიბდა სიბეჯითისა და მომჭირნეობის, წიგნზე მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების ჩვევები. გამიმართლა გარემოცვამ, რომელშიც დავიწყე სამეცნიერო კვლევითი მუშაობა. ჩემი საქმიანობის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა და ამ თვისების მოჭარბება ერთგვარი შემაბრკოლებელი გარემოებაც კი გახდა ჩემს პირად ცხოვრებაში.**



**მთვარისა ფუხაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა 1961 წ. 6 იანვარს. მშობლები: ნაზი ლაფაჩი, სულიკო ფუხაშვილი; მეუღლე —ნიკოლოზ კეელიშვილი (1958).. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989). იყო შსს ორგანოების მუშაკი (1979-99), მეტროპოლიტენის დაცვის პოლიციის სამმართველოს კადრების ინსპექტორი. არის პოლიციის კაპიტანი, ავტორი ლექსების კრებულისა "ღამის მგზავრები".
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ.რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. (ბინის) მოსკოვის გამზ. 36ა, ბ. 25, თბილისი. ტელ: 70-44-53.*

**გულწრფელი ურთიერთობა გარემო სამყაროსთან, ურთიერთობების მოფრთხილება, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, მადლიერების გრძნობა, სხვის სულში ჩახედვის უნარი, სიყვარული.**



**სიმონ ქადაგიძე** ევროპის მენეჯერთა სკოლის (ESM-თბილისი) რექტორი, თბილისის მენეჯერთა სკოლის დირექტორი. დაიბადა მოსკოვში 1938 წ. 8 იანვარს. მშობლები: მარიამ გეგეშიძე, გრიგოლ ქადაგიძე; მეუღლე — მედეა ღამბაშიძე (1940); შვილები: ნატალია (1963), ირინე (1971). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკ-ტი (1961). იყო კიბერნეტიკის ინ-ტის (1961-74), მოსკოვის ფსიქოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1974-76), საქართველოს კპ ცკ საორგანიზაციო განყ-ბის ინსპექტორი (1976-79), თავმჯდომარის მოადგილე (1979-83), სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის რექტორი (1979-85), სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1985-89). თბილისის მენეჯერთა სკოლის დირექტორია 1989 წლიდან, ევროპის მენეჯერთა სკოლის რექტორი — 1992 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფუნქციონალური სისტემის თეორიის სფერო" (1971). არის 35 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. იყო სკკპ წევრი (1972-89). არის ე.შევარდნაძის ფონდის — „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორატის წევრი (1992-2000).
**ჰობი:** ფილატელია, კლასიკური ჯაზი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 40. თბილისი 380077. ტელ: 39-68-64. ფაქსი: 37-55-16. ელ-ფოსტა: tbs@tbs.ge (ბინის) არაყიშვილის I ჩიხი N8. ბ. 32. თბილისი 380079. ტელ: 23-04-72.*



**გია ქავთარაძე** საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანი. დაიბადა თბილისში 1970 წ. 19 აგვისტოს. მშობლები: ლალი გუჯაბიძე, ნუგზარ ქავთარაძე; მეუღლე — ანა ნაკაშიძე; შვილი — ელენე (1999). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკ-ტი (1992). მუშაობდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების საერთაშორისო ფედერაციის საქართველოს წარმომადგენლობაში (1994), გაეროს ბავშვთა ფონდ "UNISEF"-ში (1995-97), იყო საქართველოს იუსტიციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კოორდინატორი (1998), იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი (1998-99), საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი (1999-2000), მდივანია 2000 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის 80, თბილისი 380002. ტელ: 95-86-77. ელ-ფოსტა: JUSTICE@caucasus.net*



**გიორგი (გოგი) ქავთარაძე** რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტი, რეჟისორი, მსახიობი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 2 აპრილს. მშობლები: ქეთევან ბარბაქაძე, გიორგი ქავთარაძე; მეუღლე — ნუნუ ლომიძე (1955); შვილები: ბიძინა (1962), ბექა (1967). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1967). იყო მარჯანიშვილის თეატრის სცენის თანამშრომელი, რეჟისორის თანაშემწე, მსახიობი (1958-63), რუსთაველის თეატრის მსახიობი, რეჟისორი (1963-69, 1972-76), ბათუმის თეატრის მთავარი რეჟისორი (1969-72), თეატრალური ინ-ტის პედაგოგი (1974-76), ქუთაისის თეატრის დირექტორი, სამეცნიერო ხელმძღვანელი (1976-82), სოხუმის თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი (1982-92), ა.გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1992-99). არის 90-ზე მეტი სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი (უ.შექსპირის „მეთორმეტე ღამე", „რომეო და ჯულიეტა", „მეფე ლირი", „რიჩარდ მესამე"; ჰ.იბსენის „ბრძოლა ტახტისათვის"; ნ.გოგოლის „რევიზორი"; ა.ჩეხოვის „თოლია"; ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაური", „სტუმარ-მასპინძელი" და სხვ.); სპექტაკლებში განსახიერებული აქვს 25 როლი (სოსოია — „მე ვხედავ მზეს", ზაზა ნაკაშიძე — „თეთრი ბაირაღები", შაილოკი — „ვენეციე-

ლი ვაჭარი", პოლონიუსი — „ჰამლეტი" და სხვ.); მონაწილეობდა 34 ფილმში („ქორწილი", „მაცი ხვიტია", „არ დაიდარდო", „ჩარი-რამა" და სხვ.). არის ავტორი პიესისა „ბრალდება" (რ.სტურუასთან ერთად), მრავალსერიიანი ფილმისა „ოქროს ობობა" (დ.კვირცხალიასთან და მ.ანთაძესთან ერთად), კინოსცენარისა „ტკბილი სევდა". არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, კ.მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თეატრის მოღვაწეთა (1958), კინემატოგრაფისტთა (1965) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.

**მისამართი:** *(ბინის) შევჩენკოს 1. თბილისი. ტელ: 93-19-53.*

**ეროვნული იქნება ეს თუ საზღვარგარეთული კლასიკა, ჩემი შემოქმედება ძირითადად ასახავს ჩემი ქვეყნის იმ მტკივნეულ საკითხებს, რაც სხვადასხვა ეტაპზე იდგა ჩემი ქვეყნის წინაშე და ყველაფერთან ერთად ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ფსიქოლოგია და ქართველი კაცის ეთნოხასიათი სამყაროში, უბრალოება, სისადავე, სიმართლე, იუმორი, პლასტიკა, მუსიკალობა და რიტმული ცვალებადობა.**



**მურმან ქამადაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ხულოს რ-ნში 1951 წ. 21 მარტს. მშობლები: ფატი ჯორბენაძე, იური ქამადაძე; მეუღლე — მანანა ბოლქვაძე (1956); შვილები: იური (1980), ირაკლი (1981), უჩა (1985). დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინ-ტი (1972), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1983). იყო პედაგოგი (1972-75), შს ორგანოების სამძებროს უფროსი ინსპექტორი, მომკვლევი, ხულოს შს რაიგანყ-ბის უფროსის მოადგილე (1975-86), შუახევის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე (1987-89), აჭარის უმაღლესი სასამრთლოს მოსამართლე (1989-99). არის ავტორი ნაშრომისა „სისხლის ალების ჩვეულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი აჭარაში" (ბათუმი, 1998).

**ჰობი:** მემცენარეობა, ხეზე კვეთა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ნიუ-პორტის 32, ქუთაისი. ტელ: 4-16-36, 8-77-47-69-59. (ბინის) მ. დვალიშვილის 7, ქუთაისი. ტელ: 4-07-30.*

**ზომიერი პრინციპულობა, სამართლიანობა, პირდაპირობა.**



**დავით ქანთარია** წალენჯიხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოხუმში 1966 წ. 8 ივნისს. მშობლები: ლაურა ცხადაია, გიორგი ქანთარია; მეუღლე — ირმა მანია (1969); შვილები: გიორგი, თაკუნა. დაამთავრა თსუ საინჟინრო ეკონომიკის ფაკ-ტი (1991). მუშაობდა ასოციაცია „ქართულ სახლში" (1991-92), იყო სახელმწიფო საბჭოს მრჩეველი (1992), სახელმწიფოს მეთაურის აპარატში სამეგრელოს კურატორი (1992-93). წალენჯიხის გამგებელია 1993 წლიდან.

**მისამართი:** *(სამსახურის) სალიას 5, წალენჯიხა. (ბინის) შმიდტის 100, თბილისი. ტელ: 39-86-99.*

**საქართველოს დამოუკიდებლობა, ქვეყნის, ერის სიყვარული. უდიდესი პასუხისმგებლობა სამსახურისადმი, ოჯახისადმი. პრინციპულობა, ობიექტურობა, შემტევი ხასიათი. მიყვარს იუმორი. მიზანი — საკუთარი რაიონის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა.**



**ნიკოლოზ ქარსანოვი** ექიმი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო ბიოფიზიკის ს/კ რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა ცხინვალში 1923წ. 3 ოქტომბერს. დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1946). იყო თსსი ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის ორდინატორი (1946-49), კარდიოლოგიის ინ-ტის კლინიკური განყ-ბის კლინიკური ორდინატორი (1949-54), უმცროსი (1954-56), უფროსი (1956-65) მეცნიერ-თანამშრომელი, კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინ-ტის ლაბორატორიის გამგის მ.შ. (1965-67), ლაბორატორიის გამგე (1967-72). სამედიცინო ბიოფიზიკის ს/კ რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელია 1972 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჰიპერტონული დაავადების ამონიუმის როდანიტით მკურნალობის საკითხები და მისი მოქმედების მექანიზმი" (1954), სადოქტორო „მიოკარდიუმის შეკუმშვადი და სარკორლაზმური ცილები

გულის ნაკლოვანების დროს და პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებში" (1964). არის 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, ერთი მონოგრაფიის ავტორი, სამედიცინო ბიოფიზიკის ს/კ რესპუბლიკური ცენტრის დამაარსებელი, სამედიცნო ბიოფიზიკოსთა სკოლის შემქმნელი, 25 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი. არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1984), დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1981). არის საქართველოს სამედიცინო ბიოფიზიკოსთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე (1972 წლიდან), რუსეთის ფედერაციის სამედიცინო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სამედიცინო აკადემიის აკადემიკოსი.
**მისამართი:** *(სამსახურის) გუდამაყრის II შესახვევი 2. თბილისი 380098. ტელ: 61-29-49. (ბინის) გოთუას 16, ბ.96. თბილისი 380060. ტელ: 37-68-15.*



**ვლადიმერ ქარსელაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია "საქართველოს რეგიონები — მაჟორიტარების" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1947 წ. 6 აპრილს. მშობლები: თინა ჩორგოლიანი, გიორგი ქარსელაძე; მეუღლე — ლია ტატიშვილი (1949); შვილები: გიორგი (1972), თინა (1982), დავითი (1985). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1970). იყო საერთაშორისო ახალგაზრდობის ტურიზმის ბიურო "სპუტნიკის" თავმჯდომარის მოადგილე (1971-73), სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1973-77), სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი (1977-81), გაერთიანება "საქსოფლდამზადების" თავმჯდომარის მოადგილე (1981-86), სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება "კვებარომატკომპლექსის" გენერალური დირექტორის მოადგილე (1986-92), სმკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საორგანიზაციო მდივანი (1992-94), საქართველოს სახ. ქონების მართვის მინისტრის მოადგილე (1984-95). საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის ავტორი ნაშრომებისა სოფლის მეურნეობაში მცირე საწარმოების განვითარების საკითხებზე (1974-75), საქველმოქმედო ორგანიზაცია "საქართველოს თავდაცვის ფონდის" საპატიო თავმჯდომარე.
**ჰობი:** მუსიკა, ისტორიული წიგნები, მხატვრული ფილმები, ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-12-62.*

**მწამდეს უფალი, მისი უზენაესობა, მაქსიმალურად შევეცადო შევასრულო მისი ათივე მცნება; მიყვარდეს სამშობლო, ერი ჩემი; ვაკეთო სიკეთე უანგაროდ; მყავდეს მართალი მეგობრები; ყოველთვის გავითვალისწინო სხვისი სწორი აზრები; სხვისი თვალით შევხედო ჩემს საქციელს, რათა ნაკლებად შემეშალოს.**



**ზურაბ ქარუმიძე** ჟურნალ Georgia/Caucasus Profile-ს მთავარი რედაქტორი, „ახალი მოძრაობის" თანათავმჯდომარე, მწერალი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: რუსუდან ქარუმიძე, ლევან ქარუმიძე; მეუღლე — ნინო ჯეჯელავა (1953); შვილი — ლევანი (1987). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1979). იყო თსუ თანამედროვე დასავლური ლიტერატურის ლაბორატორიის უმცროსი (1983-84), უფროსი (1984-89) მეცნიერ-თანამშრომელი, ჟურნალ Georgia/Caucasus Profile-ის თანარედაქტორი (1996-98). არის თსუ წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1989 წლიდან), Georgia/Caucasus Profile-ის რედაქტორი (1998 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მახვილგონიერების ფენომენი ჯონ დონის პოეზიაში" (1984). არის ავტორი წიგნებისა: „ჯონ დონი, ე.ბ.იეიტსი, ტ.ს.ელიოტი" (პ.შევარდნაძესთან და თ.კობახიძესთან ერთად, 1984), „გიჟი მექუდე" (1995), „Opera" (მოთხრობების კრებული 1998), „ღვინომუქი ზღვა" (2000). მიღებული აქვს ფულბრაიტის ფონდის სტიპენდია (1994). არის კულტურის ევროპული ასოციაციის წევრი (1992).
**ჰობი:** გიტარა, კლასიკური მუსიკა, ჯაზ-ავანგარდი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 55. თბილისი, 380062. ტელ/ფაქსი: 22-76-21. ელ-ფოსტა: gc_profile@access.sanet.ge*

**გაუმარჯოს სხვადასხვაობას!**



**ნაპოლეონ ქარქაშაძე** საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი. დაიბადა სოფ. სასირეთში (კასპის რ-ნი) 1935 წ. 15 მაისს. მშობლები: ქსენია გოგელია, ირაკლი ქარქაშაძე; მეუღლე — სულიკო როგავა (1938); შვილი — ქეთინო (1966). დაამთავრა თბილისის სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1959). იყო ტექნიკუმის მასწავლებელი (1959-61), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1964-67), სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, კათედრის გამგე (1967-75), სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის რექტორი (სოხუმი, 1975-90). აგრარული უნივერსიტეტის რექტორია 1990 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სსრ კავშირის ჩაის მეურნეობის ეკონომიკა და მისი განვითარების პერსპექტივები" (1983). არის სახელმძღვანელოების („მსოფლიოს სოფლის მეურნეობა" 1993, „დსთ და ბალტიისპირეთის ქვეყნების სოფლის მეურნეობა" 1998, „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა" 1980), მონოგრაფიების („სსრკ ჩაის მეურნეობის ეკონომიკა და მისი განვითარების პერსპექტივები" 1982, „ჩაის წარმოების ეკონომიკა და ორგანიზაცია" 1984, „საბჭოთა ეკონომიკის საკითხები" 1980), რომანის „სტალინი" (1999) ავტორი. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1984), საპატიო ნიშნის (1985), ღირსების (1995) ორდენების კავალერი, საქართველოს სოფლის მეურნეობის (1992), რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის (1997), სან-ფრანცისკოს საერთაშორისო (1995) და უმაღლესი სკოლების საერთაშორისო (1994) აკადემიების წევრი.
**ჰობი:** ისტორიული მემუარების კითხვა, კლასიკური მუსიკა, შვილიშვილებთან ყოფნა.
**მისამართი:** *(სამსახურის) აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. თბილისი. ტელ: 95-71-47. (ბინის) ლუქსემბურგის 10. თბილისი. ტელ: 94-32-05.*

**პატიოსნება, ქვეყნისთვის თავდადება, შეძლების ფარგლებში სიკეთის კეთება, უკეთურების წინააღმდეგ ბრძოლა, ზომიერი მიმტევებლობა, მართლამდიდებლობა, უანგარო მეგობრობა, ოჯახის სიძლიერეზე ზრუნვა, წინაპრების ღვაწლის დაფასება, ქალის თაყვანისცემა, ნებისმიერ შემთხვევაში საკუთარი ღირსების შენარჩუნება, სხვისი აზრის გათვალისწინება, ქვეყნის სატკივარის გათავისება. საქართველო პატარა ქვეყანაა, გასაფრთხილებელია მისის ყოველი მტკაველი, მდინარე, ნაკადული, მცენარე, დასაცავია მისი ფლორა და ფაუნა. სიბრძნემ და გონიერებამ გადაარჩინა საქართველო. დღევანდელ საქართველოს კი ყველაზე მეტად სჭირდება დიდი სიბრძნე...**



**მაყვალა ქასრაშვილი** მომღერალი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. დაიბადა ქუთაისში 1942 წ. 13 მარტს. მშობლები: ნანა ნინიკაშვილი, ფილიმონ ქასრაშვილი. დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის ვოკალური ფაკ-ტი (პროფ. ვ.დავიდოვას კლასი, 1966). მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის სოლისტია 1965 წლიდან. მღეროდა ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენოპერას", („ევგენი ონეგინი", „ბალ-მასკარადი"), ლონდონის „კოვენტგარდენის" („დონ ჟუანი", „ტიტუსის მოწყალება"), „არენა დი ვერონას", მიუნჰენის („აიდა"), სავონლინის (ფინეთი), კანადის, ვენის, ჩიკაგოს, ვაშინგტონის, ტოკიოსა და მსოფლიოს სხვა საოპერო თეატრების სცენებზე. მოსკოვის დიდ თეატრში ასრულებდა მთავარ პარტიებს ოპერებში: პ.ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი" (ტატიანა), „იოლანტა" (იოლანტა), „პიკის ქალი" (ლიზა), „ორლეანელი ქალწული" (იოანა), რიმსკი-კორსაკოვის „თქმულება უხილავ ქალაქ კიტეჟზე და ქალწულ თებრონიაზე" (თებრონია), „მლადა" (მლადა), პროკოფიევის „სიმიონ კოტკო" (ლუბკა), „ომი და მშვიდობა" (ნატაშა), „მოთამაშე" (პოლინა), ბიზეს „კარმენი" (მიქაელა), პუჩინის „ტოსკა" (ტოსკა), ვერდის „ტრუბადური" (ლეონორა), „ოტელო" (დეზდემონა), „ბალ-მასკარადი" (ამელია), მასკანის „სოფლის პატიოსნება" (სანტუცა), თაქთაქიშვილის „მთვარის მოტაცება" (თამარი) და სხვ. მისი კამერული რეპერტუარი ძირითადად პ.ჩაიკოვსკისა და ს.რახმანინოვის რომანსებს მოიცავს. თანამშრომლობს სიმფონიურ და კამერულ ორკესტრებთან, რომლებსაც ხელმძღვანელობენ დირიჟორები: კ.პენდერეცკი, ე.სვეტლანოვი, მ.რასტრაპოვიჩი, ვ.სპივაკოვი, კ.დევისი, პ.ვუდი (ინგლისი), მ.სანტი (იტალია), მ.ტილსონტომასი (აშშ) და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „Сегодня на

сцене Большого Театра 1776-1976", „Молодые солисты Большого Театра" (А. Орфенев), მუსიკალური ენციკლოპედიური ლექსიკონი (მოსკოვი, 1991). ზ. სოტკილავასთან ერთად ქუთაისში დააარსა ფესტივალი „საოპერო სცენის ოსტატები" (1984, 1985, 1987). არის მონრეალის (კანადა) ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (II პრემია) და სპეციალური პრიზის მფლობელი (1973), ზ. ფალიაშვილის სახელობის (1983), რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო (1999) პრემიების ლაურეატი, დაჯილდოებულია რუსეთის ფედერაციის ორდენით „За заслуги перед отечеством" (2001)
მისამართი: *(სამსახურის) Театральная Площадь 1. Большой Театр. Москва. (ბინის) Малый Козыхинский пер. 4, кв.21. Москва. ტელ: 200-58-00.*
სწრაფვა სრულყოფისაკენ.



**ზურაბ ქაფიანიძე** საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა სოფ. ნაკიეთში (ონის რ-ნი) 1937 წ. 1 აპრილს. მშობლები: თინა ხიდეშელი-ქაფიანიძე, ვასო ქაფიანიძე; მეუღლე — თამარ გაბუნია-ქაფიანიძე; შვილები: ბერდია (1967), ლელა (1968), ბექნუ (1987). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1961). იყო ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი (1961-64). კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობია 1964 წლიდან. მონაწილეობდა კინოფილმებში: „მიხა" (მიხა, 1964), „ხევსურული ბალადა" (აპარეკა, 1965), „ცისკრის ზარები" (ჩოფე, 1967), „ალოობა" (ბეჟანა, 1967), „ვედრება" (ზეიადაური, 1967), „ტარიელ გოლუა" (სიმონა, 1968), „დიდოსტატის მარჯვენა" (პაპა, 1969), „ჩერმენი" (ბერდია, 1970), „დაისი" (ცანგალა, 1971), „ივანე კოტორაშვილის ამბავი" (ივანე, 1974), „დათა თუთაშხია" (ბექარ ჯეირანაშვილი, 1977), „წიგნი ფიცისა" (პაპაი, 1983) და სხვ.; არის ავტორი წიგნებისა: „შუმერების ანბანი", „კაცობრიობის პირველი ანბანი" არის საქართველოს სახალხო არტისტი (1979), ქართული ფენომენის აკადემიის აკადემიკოსი (2000). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1986).
ჰობი: სმა, ქეიფი.
მისამართი: *(ბინის) ახმეტელის 6. თბილისი 380059. ტელ: 52-60-67.*
კაცობა.



**ბენედიქტე (ბენო) ქაშაკაშვილი** მთამსვლელი. დაიბადა რუსთავში 1964 წ. 9 მარტს. მშობლები: ლეილა სულაკაძე, გურამ ქაშაკაშვილი; შვილი - სოფიკო ქაშაკაშვილი (1994). დაამთავრა სპი (1985), თბილისის უცხო ენათა ინ-ტი (1990), ბიზნესსკოლა (აშშ, 1988), რუსეთის სამთო ინსტრუქტორთა სკოლა (1988). მუშაობდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში, ქარხნის სამმართველოში (1986-92); იყო რუსთავის მერიის უცხოეთთან ურთიერთობის განყ-ბის გამგის მოადგილე, ვიცე-მერი, ვიცე-პრემიერი (1992-95). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფოლადის დნობისა და ღუმელგარეშე ლითონის ინერტული აირით დამუშავების ტექნოლოგიის შემუშავება" (1997). გამართა რამდენიმე ფოტო-გამოფენა (1999-2000), არის ავტორი და ოპერატორი დოკ. ფილმებისა (ყველას მიღებული აქვს საერთაშორისო ფესტივალების პრიზები სხვადასხვა ნომინაციებში 1998). დაჯილდოებულია საქართველოს მეკლდეურთა ჩემპიონატის პრიზებით (1984-86), სსრკ შეიარაღებული ძალების და ევრაზიის ტექნიკურ, კედლოვან და სასიმაღლო ასვლებში ჩემპიონატების ოქროს მედლითა და სხვა ჯილდოებით (1986-99), ღირსების ორდენით (1999), ნეპალის მთავრობის სიგელით (2000). არის საქართველოს მთამსვლელთა და მეკლდეურთა ასოციაციის პრეზიდენტი, ალპინიზმის საერთაშორისო ასოციაციის (შვეიცარია) წევრი (1993 წლიდან), საქართველოს მეკლდეურთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (2000 წლიდან). არის I კატეგორიის სამთო გიდი, საგანგებო სიტუაციების სერტიფიცირებული სამთო მაშველი (1988); კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ალასკის, ჰიმალაის მთიანეთში ურთულესი ასვლების მონაწილე (სულ — 100-ზე მეტი მწვერვალი); რამდენიმე ექსპედიციის ორგანიზატორი (ექსპედიცია ევერესტზე შეტანილია გინესის წიგნში 1999).

**ჰობი:** ვიდეოკამერით მთაში სიარული, აკვალანგით ცურვა.
**მისამართი:** *(ბინის) დუმბაძის 3, რუსთავი 380040. ელ-ფოსტა: beno@cdn.ge*
**კარგი მეგობრები, კარგი წიგნები. "დიდება კვამლია, წარმატება - შემთხვევითობა".**



**გურამ ქაშაკაშვილი** მეტალურგი, სტუ მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, მეტალურგთა საერთაშორისო კავშირის საქართველოს ორგანიზაციის პრეზიდენტი. დაიბადა ბაღდათში 1932 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ალექსანდრა მიქაბაძე, ბენედიქტე ქაშაკაშვილი; მეუღლე — ლეილა სულაკაძე (1938); შვილები: ია (1961), ბენედიქტე (1964). დაამთავრა სპი მეტალურგიის ფაკ-ტი (1956). იყო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ჩამომსხმელი, ოსტატი, უბნის უფროსი, საამქროს უფროსის თანაშემწე, პარტიული კომიტეტის მდივანი, მდივნის მოადგილე, მარტენის საამქროს უფროსი (1956-79), ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი (1979-83), რუსთავის მეტალურგიული კომბინატის გენერალური დირექტორი (1983-96), საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-91), სამთო მეტალურგიული კონცერნის ჰოლდინგური კომპანია „სამთო-მეტალურგიას" პრეზიდენტი (1993-96), ევრაზიის საერთაშორისო გაერთიანების ნახშირისა და ლითონის კომიტეტის კოლეგიის წევრი (1994-97), საქართველოს პარლამენტის წევრი (1996-99). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლითონის ღუმელგარეშე დამუშავების უწყვეტი ჩამოსხმის სრულყოფა, ზემტკიცე მილების წარმოება" (1990). არის 155-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 5 მონოგრაფიის, 65 გამოგონების ავტორი. არის რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი (1974), დამსახურებული გამომგონებელი (1986), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1988, 1990); დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით (1964, 1982), შრომის წითელი დროშის (1975), ლენინის ორდენით (1983), საქართველოს ღირსების ორდენით (1999). არის საქართველოს საინჟინრო (1992), უკრაინის ეროვნული პროგრესის (1992), რუსეთის საბუნებისმეტყველო (1994), ნიუ იორკის (1999) აკადემიების წევრი, სმკ-ის წევრი, დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის სამეფო უნივერსიტეტის ბიოგრაფიული ასოციაციის საბჭოს წევრი (1999). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „ვინ ვინ არის", რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის გამოცემა (მოსკოვი, 1996, 1999), „ვინ ვინაა რუსეთის მეტალურგიაში" (საფრანგეთი, 1997), IBC-ის ბიოგრაფიულ ცნობარებში (2000, 2001). IBC-ის მიერ მიენიჭა საპატიო დიპლომები და მედლები (2000), XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერის ღირსების ორდენი (2001).
**ჰობი:** კლასიკური ცურვა, კედელზე ცოცვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 77. თბილისი 380075. ტელ: 25-38-08/ მეტალურგთა საერთაშორისო კავშირი. დუმბაძის 8. რუსთავი 383040. ტელ: 19-43-00, 19-33-70.*

**დირექტორებიდან მხოლოდ მე მხვდა წილად ორი მეტალურგიული გიგანტისთვის მეხელმძღვანელა. პროფესიონალების გუნდთან ზესტაფონში და რუსთავშიც შეუძლებელს მივაღწიეთ მშრომელების კეთილდღეობის საქმეში, გარემოს, საწარმოთა და ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაში. ღრმად დავრწმუნდი, რომ ხელმძღვანელობაში სიყალბით, შემთხვევით მოსულ დილეტანტებს მოაქვთ უბედურება, კორუფცია, მომხვეჭელობა, ამიტომ მხოლოდ ხალხის არჩეულ პროფესიონალებს ძალუძთ კორუფციის აღმოფხვრა. ეროვნული მეურნეობის საწარმოთა, მათ შორის მეტალურგიის ამოქმედება, ეკონომიკის განმტკიცება, ხალხისთვის, ქვეყნისთვის სიკეთის მოტანა.**



**ოთარ ქაშიბაძე** ხონის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ხონში 1960 წ. 7 აგვისტოს. მშობლები: როზეტა მსხილაძე, კორნელი ქაშიბაძე; მეუღლე — ნინო ქაროსანიძე (1964); შვილები: თამარი (1993), ელენე (1994), აკაკი (1997). დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინ-ტის ავტომატიკის ფაკ-ტი (1982). იყო ჩაის ფაბრიკების გაერთიანების ინჟინერი (1982-84), კომკავშირის რაიონული კომიტეტის განთავისუფლებული მდივანი (1985-87), სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ინსპექტორი (1987-89), რაიონული საბჭოს აღმასკომის წამყვანი სპეცია-

ლისტი (1989-91), ხონის რ-ნის პრეფექტი (1991-92), ხონის რ-ნის გამგეობის განყ-ბის გამგე (1992-95), ხონის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1995-97). ხონის რ-ნის გამგებელია 1997 წლიდან. არის სმკ-ის ხონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე.

**ჰობი:** ნადირობა და მეგობრების წრეში ყოფნა.

**მისამართი:** *(სამსახურის) პ.კაკაბაძის 17. ხონი. ტელ: 2-25-55. (ბინის) ახალგაზრდობის 32. ხონი.*

**ერთგულება, უღალატოდ და კეთილსინდისიერად საქმის კეთება, მეგობრების სიმრაელე.**



**ივანე (ვალერი) ქაჩლიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა სოფ. გურჯაანში (გურჯაანის რ-ნი) 1950 წ. 2 იანვარს. მშობლები: ნატალია მჭედლიძე-ქაჩლიშვილი, ნიკოლოზ ქაჩლიშვილი; მეუღლე — ტატიანა კალიხალოვა (1954); შვილი — ნატალია (1983). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1973). იყო გურჯაანის ხორცკომბინატის მუშა (1967-68), "ელმავალმშენებელის" სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი (1978-81), ბიუროს წამყვანი კონსტრუქტორი (1981-84), სპი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მასწავლებელი (1974-96). არის 23 სამეცნიერო ნაშრომისა და 4 გამოგონების ავტორი; საქართველოს სოციალისტური პარტიის წევრი (1998).

**ჰობი:** სპორტული პროგრამების ყურება, მუსიკის მოსმენა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-35-51. (ბინის) ც.დადიანის 261. თბილისი 380080. ტელ: 69-80-49.*

**კეთილშობილება, პატიოსნება, ერთგულება, შრომისმოყვარეობა, სიბეჯითე.**



**ვაჟა ქაცანაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა დაბა სიონში (თიანეთის რ-ნი). მშობლები: ნინო პეტრიაშვილი, ვანო ქაცანაშვილი; მეუღლე — მზია კორკოტაძე (1949); შვილები: ჯარჯი (1979), ლელა (1982). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1972). იყო ხაშურის პროკურატურის გამომძიებელი (1972-78), პროკურორის თანაშემწე (1978-79), ქარელისა (1979-89) და თიანეთის (1989-93) რ-ნების პროკურორი, გორის რეგიონალური სამხედრო (1993-95), გენერალური პროკურატურის საგამომძიებო სამმართველოს (1996-98) პროკურორი.

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) ჭყონდიდელის 10, თბილისი. ტელ: 95-03-66.*

**პროფესიონალიზმის გაღრმავება, ნესიერება და ღირსება, მიზანი. ჩემი ქვეყნის ფეხზე დადგომა და აყვავება, შვილების ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება.**



**ეთერ ქემერტელიძე** ფარმაკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა საჩხერეში 1926 წ. 23 მარტს. მშობლები: ნინო ქემერტელიძე, პეტრე ქემერტელიძე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინ-ტი (1946). იყო ფარმაკოქიმიის ინ-ტის ასპირანტი (1948-51), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1953-60), დირექტორის მ.შ. (1958-63), დირექტორის მოადგილე (1964-73). ფიტოქიმიის განყ-ბის გამგეა 1960 წლიდან, დირექტორი — 1972 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს მცენარეთა ფიტოქიმიური შესწავლა და სამკურნალო პრეპარატები" (1973). გამოქვეყნებული აქვს 8 მონოგრაფია, 410 სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს 65 საავტორო მოწმობა და პატენტი, შექმნილი აქვს 35 ახალი სამკურნალო პრეპარატი. არის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1982), პ.მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი (1995), საპატიო ნიშნის (1975), შრომის წითელი დროშის (1980), ღირსების (1996) ორდენების კავალერი, დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიული ინ-ტის საერთაშორისო ოქროს ფირფიტით (1997), საპატიო მედლით „საქართველოს 1998 წლის საუკეთესო მედიცი-

ნის მუშაკი". იყო სკკპ (1946-89), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის და სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახ. კომიტეტის 5 სამეცნიერო-საპრობლემო საბჭოს, სსრკ ფარმაცევტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1984-89). არის სმკ-ის წევრი (1993).
ჰობი: მხატვრული ლიტერატურის კითხვა.
მისამართი: *(სამსახურის) სარაჯიშვილის 36, თბილისი. ტელ: 94-14-04. ფაქსი: 25-00-26. ელ-ფოსტა: root@parmac.ainet.ge (ბინის) გამსახურდიას 33-ა, ბ. 4. თბილისი. ტელ: 37-27-45.*

**შრომა, ცოდნის სრულყოფა, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდა, ფარმაკოქიმიური მეცნიერების განვითარებისთვის მთელი ჩემი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობის მოხმარება, ქვეყნისა და არჩეული საქმისადმი ერთგული სამსახური; თანამშრომელთა, მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, ჩემს გარემომცველ საზოგადებაში ზნეობრიობის დამკვიდრება.**

**თენგიზ ქერქაძე** ლანჩხუთის რაიონის გამგებელი. დაიბადა ლანჩხუთში 1950 წ. 28 აგვისტოს. მშობლები: ანგელინა ტუღუში, ნური ქერქაძე; მეუღლე —მანანა ზენაიშვილი (1950); შვილები: ნიკა (1976), ანა (1980). დაამთავრა ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინ-ტის უმაღლესი დაოსტატების ფაკ-ტი (1972), ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა (1984), თსუ ეკონომიკის მეორადი ფაკ-ტი (1992). იყო ატენის (გორის რ-ნი) სკოლა-ინტერნატის პედაგოგი (1972-73), ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი (1974-75), რაიონული სპორტკომიტეტის თავმჯდომარე (1976-81), რ-ნის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანი (1981-82), რ-ნის პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი (1985-86), მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი (1986-92), რ-ნული გამგეობის ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს განყ-ბის გამგე (1992-93), ქ. ლანჩხუთის გამგებელი (1993-95), მერი (1995-98), რ-ნული გამგეობის თავმჯდომარის I მოადგილე (1998-2001). გამგებელია 2001 წლიდან. არის სმკ-ის წევრი, ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე (1995 წლიდან).
ჰობი: მეგობრებთან ურთიერთობა.
მისამართი: *(სამსახურის) ჟორდანიას 37, ლანჩხუთი 384310. ტელ: 35-35. (ბინის) თაბუკაშვილის 10. ლანჩხუთი.*

**ოჯახის კარგად ყოფნა და ბედნიერება, ჩემი ხალხის ბედნიერება; მშვიდობა ქვეყანაში; ვიშრომო და ვიმოღვაწეო ჩემი ხალხის საკეთილდღეოდ.**



**თემურ ქეცბაია** ფეხბურთელი. დაიბადა გალში 1968 წ. 18 მარტს. მშობლები: ნარგიზა ჯიქია, ვალიკო ქეცბაია; მეუღლე — კატერინა ფილიპოვა (1971); შვილი— ლადია (1995). იყო სოხუმის „დინამოს" (1986), თბილისის „დინამოს" (1987-91), კვიპროსის გუნდ „ანორტოსისის" (1991-94), საბერძნეთის გუნდ „AEK"-ის (1994-95) ფეხბურთელი. ინგლისის გუნდ „ნიუკასლის" ფეხბურთელია 1997 წლიდან. არის საქართველოს ორგზის ჩემპიონი (1990, 91), საბერძნეთის თასის ორგზის, სუპერთასის მფლობელი, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ორგზის მფლობელი, საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი (1990, 1997), „ნიუკასლის" საუკეთესო ლეგიონერი (1997-98), საქართველოს ნაკრების პირველი გოლის ავტორი უეფას ეგიდით გამართულ ტურნირებზე (1994).
ჰობი: მუსიკა.

**ადამიანობა — სიმართლე და ხალხისადმი სიყვარული.**



**ლამარა ქველიძე** მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: მერი ჩოხელი, ნიკოლოზ ქველიძე; მეუღლე — ლევან იორდანიშვილი (1937); შვილი — გიორგი (1975). დაამთავრა თსსა მონუმენტური ქანდაკების ფაკ-ტი (1965). იყო თსსა უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1967-88). არის ავტორი ვაჟა-ფშაველას, შ. რუსთაველის, 9 ძმა ხერხეულიძის

და სხვათა ძეგლებისა, ქანდაკებებისა და მედლების, ქანდაკებებისა და მედლების სერიებისა შრომისა და დედობის თემაზე, ქანდაკებებისა და გრაფიკული ნამუშევრების სერიებისა "ნიუ" და სხვ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, დაჯილდოებულია საფრანგეთის მედლების საერთაშორისო კონკურსის სპეციალური პრიზით (1972), სსრკ და საქართველოს მხატვართა კავშირების მედლებით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1963), საქართველოს სამედალიერო ხელოვნების მუზეუმის დამაარსებელი (1999).
ჰობი: მოგზაურობა, მუსიკა, ბალეტი.
მისამართი: *(ბინის) გამრეკელის 32, თბილისი. ტელ: 32-75-48.*

**თავდადება ხალხის, ქვეყნის, ხელოვნებისა და საკუთარი საქმის მიმართ, სამართლიანობა და ნესიერება.**



**მიხეილ ქვლივიძე** მწერალი. დაიბადა თბილისში 1925 წ. 22 თებერვალს. მშობლები: თამარ ჭინჭარაძე (ქვლივიძე), გიორგი ქვლივიძე; მეუღლე — მედეა შალამბერიძე (1946); შვილები: თამარი (1952), ნატო (1956), გიორგი (1984). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1950), ასპირანტურა (1953). იყო სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის ქართული ლიტერატურის კონსულტანტი (მოსკოვი,1952-64), კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო კოლეგიის რედაქტორი (1966-68), საქართველოს მთავარი მთარგმნელობითი სარედაქციო კოლეგიის რუსული რედაქციის გამგე (1982-92). არის ავტორი 30-მდე ლექსების კრებულისა, საბავშვო და საყმაწვილო ნაწარმოებებისა, წიგნებისა: „ვეფხისტყაოსნის" დასურათების ისტორია" (1952, 1956), „უნახავმა რა ნახა, ანუ ამერიკული შთაბეჭდილებები" (1999), „ვაპირებ ცხოვრებას" (ჟ. „ცისკარი", 2000). ნათარგმნი აქვს ლექსები, პიესები და მხატვრული ფილმები. მთარგმნელობითი მოღვაწეობისთვის მიენიჭა „პოლონეთის დამსახურებული კულტურის მოღვაწის" წოდება და მედალი, „უნგრეთის კულტურის წინაშე დამსახურებისათვის" (წოდება და მედალი), სსრკ „საპატიო ნიშნის" ორდენი (1958), საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი (1985), სსრკ „ხალხთა მეგობრობის" ორდენი (1985). არის ღირსების ორდენის კავალერი (1996), ივ.მაჩაბლისა და გალაკტიონის პრემიების ლაურეატი (1996), თბილისის საპატიო მოქალაქე (1998); საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1946). მისი ბიოგრაფია შეტანილია დიდ და მცირე საბჭოთა ლიტერატურულ ენციკლოპედიებში.
ჰობი: სენტ-ეგზიუპერის თქმით: „ადამიანებთან ურთიერთობის ფუფუნება" და მოგზაურობა.
მისამართი: *(ბინის) ლესელიძის 18, თბილისი 380005. ტელ: 98-91-95.*

**ზნეობრივი პრინციპი — „ნუ გადააჭყვები საკუთარ თავს! ყოველთვის ეცადე სხვა გააბედნიერო და ბედნიერი იქნები თვითონ!" შემოქმედებითი — „რა შუაშია საყვირი? რა შუაშია სტვირი? ჩვეულებრივი კაცი ვარ, ხან ვიცინი , ხან ვტირი. არავის მივცემ უფლებას, უფალი იყოს თუნდაც, ხელში ამიღოს, ჩამბეროს, მამღეროს როგორც უნდა!"**

**ბელა ქერივიშვილი** კასპის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. კავთისხევში (კასპის რ-ნი) 1960 წ. 5 სექტემბერს. მშობლები: ნორა ქერივიშვილი, ოთარ ქერივიშვილი; მეუღლე — ნანული დაბრუნდაშვილი (1963); შვილები: ნონა (1989), ხატია (1991), ოთარი (1993). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1983). იყო საშენ მასალათა ქარხნის მექანიკოსი (1977-78), სახელმწიფო ბანკის კასპის განყ-ბის ეკონომისტი (1983-88), აგრომრეწვბანკის კასპის განყ-ბის უფროსი ეკონომისტი (1988-91), მმართველის მოადგილე (1991-96), შიდა ქართლის რეგიონის კონტროლის პალატის უფროსი ინსპექტორი (1996-99). გამგებელია 1999 წლიდან.
მისამართი: *(ბინის) სანაპიროს 58, კასპი.*



**გოჩა ქიმაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ბოლაჯურში (ადიგენის რ-ნი) 1960 წ. 1 იანვარს. მშობლები: ვენერა ასანიძე, პავლე ქიმაძე; მეუღლე — ნინო ჯვარიძე (1959); შვილები: გიორგი (1985), ლევანი (1986). დაამთავრა თსუ

ეკონომიკის ფაკ-ტი (1987). მუშაობდა საქკვების სფეროში (1987-99). პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაჯილდოებულია კომკავშირის პრემიით (1975).
**ჰობი:** ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-14-81. (ბინის) მუხიანის დას., IVბ მ/რ, კორპ. 30, ბ. 60, თბილისი. ტელ: 63-70-85.*
**სიკეთე.**

**გიორგი ქირიკაშვილი** ყაზბეგის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ყაზბეგში 1947 წ. 25 მაისს. ჰყავს მეუღლე; შვილები: თამარი, დავითი. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის მექანიზაცია-ელექტროფიკაცის ფაკ-ტი (1972). მუშაობდა სხვადასხვა სანარმოო დაწესებულებებში (1965 წლიდან), ყაზბეგის რ-ნის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საპასუხისმგებლო და ხელმძღვანელ თანამდებობებზე; იყო საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის ყაზბეგის საბაჟო საგუშაგოს ცვლის უფროსი (1992), უფროსის მოადგილე.



**თეიმურაზ ქიქავა** ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა ბათუმში 1951 წ. 7 იანვარს. მშობლები: ლეილა აბაშიძე, რესან ქიქავა; მეუღლე — მარინე გორგილაძე (1956); შვილები: რესანი (1982), მარიამი (1991). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1973). არის სტუ ბათუმის პოლიტექნიკური ინ-ტის დოცენტი (1988 წლიდან), კათედრის გამგე (1993 წლიდან), დირექტორი (1997 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საძირკვლის ფილების მუშაობის თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევა" (მოსკოვი, 1979). არის ავტორი წიგნისა „მეთოდური სახელმძღვანელო ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად გრუნტების მექანიკაში" (1998). არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აჭარის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1997). არის დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1997).
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ფიროსმანის 12, ბათუმი. ტელ/ფაქსი: 7-49-51. ელ-ფოსტა: energia@iberiapac.ge. (ბინის) მაზნიაშვილის 27, ბათუმი. ტელ: 7-03-63.*
**ერთგულება, მიზანსწრაფვა, კეთილმოსურნეობა, შრომისმოყვარეობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, თავმდაბლობა.**



**დავით ქლიბაძე** ჟურნალისტი, საქართველოს ტელევიზიის სპორტული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი. დაიბადა ზესტაფონში 1938 წ. 22 ივნისს. მშობლები: ქსენია კერესელიძე, ვარლამ ქლიბაძე; მეუღლე — ირინა მათიაშვილი (1939); შვილი — თამარი (1972). დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინ-ტი (1967). იყო საქართველოს რადიოს ტექნიკოსი (1959-62), ტელევიზიის რეჟისორის თანაშემწე (1962-63), ასისტენტი (1963-70), სპორტული რედაქციის რედაქტორი (1970-75), უფროსი რედაქტორი (1975-76), ტელევიზიისა და რადიოს სპორტული განყ-ბის გამგე (1976-81), სპორტული კომენტატორი (1981-85); მთავარი რედაქტორია 1985 წლიდან. არის პროგრამების „სპორტული კალეიდოსკოპი", „45 წუთი" ავტორი, წამყვანი, რეჟისორი, მუსიკალური გამფორმებელი. აშუქებს ევროპისა და მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატებს (1978 წლიდან). არის მსოფლიო ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის, საზოგადოება „თბილისელის" საპატიო, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის (1966) წევრი.
**ჰობი:** საკუთარი საქმე.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 68, თბილისი 380071. ტელ: 36-50-57, 36-84-40. ფაქსი: 22-18-45. (ბინის) ბუდაპეშტის 9, ბ.66. თბილისი. ტელ: 37-35-13.*
**საქმის სიყვარული, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდე; როდესაც საქმეს აკეთებ (ნებისმიერს) ისე უნდა აკეთო, თითქოს ეს შენი ბოლო საქმეა; უნდა გახსოვდეს, რომ ადამიანს ახასიათებს სხვისი დაცინვა, ამიტომ უნდა ისე აკეთო საქმე და ისე იცხოვრო, რომ მინიმალური რაოდენობის ხალხმა დაგცინოს. უნდა იყო თავმოყვარე, ზოგჯერ ზედმეტადაც კი და არა მოშურნე.**

**პაატა ქოზულაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს საგამომძიებლო კოლეგიის მოსამართლე. დაიბადა ქუთაისში 1952 წ. 10 მარტს. მშობლები: ანტონინა ზვიადაძე, ვაჟა ქობულაძე; მეუღლე — ნინო ყუბანეიშვილი (1960); შვილები: ანა (1984), მარიტა (1986), დავითი (1990). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1976). იყო ქუთაისის "საქელექტრორემმშენმონტაჟის" მუშა (1969), ლ.მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის სცენის მემონტაჟე, საავტომობილო ქარხნის იურიდიული ბიუროს საქმეთა მმართველი, საქალაქო პროკურატურის სტაჟიორი, უფროსი გამომძიებელი (1976-86), საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი (1986), ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ საკითხთა განყ-ბის I კატეგორიის სპეციალისტი (1990-92), ე.შევარდნაძის ფონდ "დემოკრატია და აღორძინება"-ს ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე (1992-94). ქუთაისის რეგიონის სამხედრო პროკურორის თანაშემწე (1994-2000). დაჯილდოებულია მედლით "შრომითი წარჩინებისათვის" (1988).
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. (ბინის) მეუნარგიას 69, თბილისი.*

**შრომისმოყვარეობა, პატიოსნება.**



**გიორგი ქოიავა** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოხუმში 1952 წ. 14 ივლისს. მშობლები: ნელი ჭკადუა, დიდიმ ქოიავა; მეუღლე — ცეცილია ნიქაბაძე (1961); შვილები: თამარი (1990), თინათინი (1993). დაამთავრა დონის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1975). იყო შსს როსტოვის ოლქის გამომძიებელი, უფროსი გამომძიებელი, საგამოძიებო ქვეგანყ-ბის უფროსი (1975-81), აფხაზეთის არ რეგიონის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე (1992-98), აფხაზეთის არ უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე (1998-2000).
**ჰობი:** ინტელექტუალური თამაშები, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახური) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. ტელ: 99-73-77.*

**პატიოსნება, თავმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა, პედანტიზმი, პროფესიონალიზმი, ლტოლვა სნაველისაკენ, მეგობრობა, უბრალოება, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი.**



**იოსებ (სოსო) ქოიავა** მოქანდაკე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი. დაიბადა აბაშაში 1933 წ. 14 თებერვალს. მშობლები: ფედოსი ჩიქობავა, დანიელ ქოიავა; მეუღლე — ნანი აბესაძე (1937); შვილები: მაია (1965), დავითი (1968). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1959). იყო თბილისის მ.თოიძის სახელობის სასწავლებლის პედაგოგი (1959-64), დირექტორის მოადგილე (1964-72), დირექტორი (1972-79). იყო თსსა ლითონის მხატვრული დამუშავების კათედრის გამგე (1979-88), პრორექტორი სასწავლო დარგში (1989-92). რექტორია 1993 წლიდან, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი — 1998 წლიდან. მუშაობს ქანდაკებაზე და ჭედურ ხელოვნებაში. არის ავტორი ნამუშევრებისა: „ჩაის პლანტაცია" (ჭედური, ტრეტიაკოვის გალერეა), „აღორძინება" (ქანდაკება, ქუთაისი), „საქართველოს სიუხვე და ხელოვნება", (რელიეფური პანო, „მეტროს სადგური 2"), „მ. ჯავახიშვილის ძეგლი" (განსახორციელებელია). გამართა პერსონალური გამოფენები (1994, 1997), მონაწილეობდა 36 ქვეყანაში გამართულ ჯგუფურ გამოფენებში. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, კომკავშირის პრემიის, მინისტრთა საბჭოს „ხუთწლედის მატიანეს" პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1999).
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. ტელ: 93-69-59. (ბინის) თაქთაქიშვილის 4. თბილისი. ტელ: 23-11-57.*

**მხატვრობისადმი ერთგულება. აკადემიური სკოლის პატივისცემა. კლასიკური განათლება არის გზა ჭეშმარიტებისაკენ. მომწონს ახალი ხელოვნება, რომელსაც**

საფუძვლად უდევს პროფესიული ცოდნა. ბედნიერად ვგრძნობ თავს მაშინ, როცა ვეხმარები და ვჭირდები ვინმეს. ვაფასებ ადამიანების შრომას. ძალიან მიყვარს ახალგაზრდობა, სტუდენტობა. მასთან მუშაობა. შრომა უდიდესი სიამოვნებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახალგაზრდა იზრდება და ყალიბდება, ხდება მაღალი პროფესიონალი. მთავარ იდეად მიმაჩნია მეგობრის ნარმატება, მაშინ შენც აღწევ მიზანს. პრინციპული უნდა იყოს არჩეული გზის ერთგულება და მისდამი პასუხისმგებლობა, სამართლიანობაა პატიოსნება. იდეალია ჩემთვის ოჯახის ღირსება.



**ვახტანგ ქოქიაშვილი** საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა თბილისში 1930 წ. 17 აპრილს. მშობლები: ვერა შარაშიძე, იოსებ ქოქიაშვილი; მეუღლე — ირინა კვიტაშვილი (1934); შვილი — ნინო (1971). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1956). იყო საქართველოს მხატვართა კავშირის სანარმოო კომბინატის მთავარი მხატვარი (1962-69, 1974-79), გამგეობის წევრი (1963 წლიდან), მონუმენტურ-საგამფორმებლო სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარე (1972-76), მონუმენტური ხელოვნების სექციის თავმჯდომარეა 1982 წლიდან. მონაწილეობდა მონუმენტური ხელოვნების I საკავშირო გამოფენებში (მოსკოვი, 1961), მონუმენტური მხატვრობისა და არქიტექტურის სინთეზისამი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებში ბულგარეთსა და ჩეხოსლოვაკიაში (1975), სამინანქრო ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმებში უნგრეთსა და მოსკოვში (1985, 1988, 1990). არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1967), მხატვართა კავშირის წევრი (1958).
**ჰობი:** სპორტი, ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების კოლექციონირება.
**მისამართი:** *(ბინის) მარგიანის 28, თბილისი. ტელ: 32-11-86.*
**საქმისადმი სიყვარული, პატიოსნება, პატრიოტიზმი.**



**ჯიმშერ ქრისტესაშვილი** კინოოპერატორი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 14 მარტს. მშობლები: თამარ ბოგდანოვა, მიხეილ ქრისტესაშვილი; მეუღლე — მადონა გაგოშიძე (1949); შვილები: მიხეილი (1977), დავითი (1981). დაამთავრა ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის სახ. ინ-ტის კინო-სარეჟისორო ფაკ-ტი (1983). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" ოპერატორის ასისტენტი (1961-67), ოპერატორი (1967-77). დამდგმელი ოპერატორია 1972 წლიდან. არის 15 ფილმის დამდგმელი ოპერატორი: „გასეირნება" (1972), „სიყვარული ყველას უნდა" (1979), „დიმიტრი თავდადებული" (1980-81), „ლომა" (1986), „წარსულის აჩრდილები" (1990-95), „ორფეოსის სიკვდილი" (1996), „ლუკას სახარება" (1997) და სხვ. არის XIII საკავშირო კინოფესტივალის ლაურეატი, დიპლომანტი (საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისათვის,1983), კინოფესტივალ „ოქროს არწივის" დიპლომანტი (1996).
**ჰობი:** თევზაობა, ნადირობა, ბავშვების სიყვარული.
**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 10. თბილისი 380059. ტელ: 52-13-16. (ბინის) ბორჯომის 6, ბ. 41. თბილისი 380012. ტელ: 35-36-91.*
**ჩემი მიზანი იყო, გავმხდარიყავი ოპერატორი.**



**ვახტანგ ქუთათელაძე** საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა დაბა აბასთუმანში 1955 წ. 8 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ ქუთათელაძე, გივი ქუთათელაძე; მეუღლე — ნინო დანელია-ქუთათელაძე (1954); შვილები: მარიკა (1979), გივი (1981), დავითი (1991). დაამთავრა სპი ელამძრავი და სანარმოო დანადგარების ავტომატიზაციის ფაკ-ტი (1977). მუშაობდა უშიშროების სამინისტროს სხვადასხვა თანამდებობაზე (1980 წლიდან). საქართველოს უშიშროების მინისტრია 1998 წლიდან. დაჯილდოებულია მედლით „სსრკ შეიარაღებული ძალების 70 წლისთავი" (1988), III ხარისხის მედლით „უმნიკვლო სამსახურისთვის" (1990), ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1998).
**მისამართი:** *(სამსახურის) უშიშროების სამინისტრო. 9 აპრილის ქ.4. თბილისი 380018. ტელ/ფაქსი: 92-23-15. (ბინის) საირმის 13. თბილისი 380094. ტელ: 39-57-57.*

**თეიმურაზ ქურხული** ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა საგარეჯოში 1956 წ. 21 აპრილს. მშობლები: ნინო ქურხული, ფირუზ ქურ-



ხული; მეუღლე — ნინო კინტრაია (1969); შვილები: ნიკოლოზი (1996), ნინო (2000). დაამთავრა სპი (1978), თსუ (1991). იყო „საქქალაქმშენსახპროექტის" ინჟინერ-კონსტრუქტორი (1978-81, 1985-87), უფროსი ინჟინერი (1987-88), „თბილქალაქმშენის" მთავარი ინჟინრის მოადგილე (1988-90), კარკასულ-პანელოვანი ქარხნის დირექტორი (1990-92), შპს „ოლიმპიკორპ-კონსტრარქმშენის" გენერალური დირექტორი (1992-94), „ლილოს" მშენებარე კომბინატის დირექტორი (1994-97), თბილისის კრწანისის რ-ნის საგადასახადო ინსპექციის უფროსი (1997-98). სამგორის რ-ნის (შემდეგ ისანი-სამგორის) გამგებელია 1998 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კომბინირებული სიერცითი დაბურეები" (1985).
**ჰობი:** ცურვა, ჩოგბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) მოსკოვის 14. თბილისი. ტელ: 76-96-76. ფაქსი: 99-80-98. (ბინის) თაქთაქიშვილის 13. ბ. 20. თბილისი. ტელ: 22-69-03.*
**გაჭირვებულის დახმარება, სიკეთე, მოთმინება; შრომა, შრომა და კიდევ შრომა.**



**ზაქარია ქუცნაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა მცხეთაში 1972 წ. 13 თებერვალს. მშობლები: თალიკო ლაგაზაური, ომარ ქუცნაშვილი; მეუღლე —თეა სანიკიძე (1972); შვილი — თამარი (1997). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994). იყო სადაზღვევო კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე (1992-95), საქართველოს პარლამენტის წამყვანი სპეციალისტი (1995-98), თბილისის საკრებულოს დროებითი კომისიის თავმჯდომარე (1998-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის საქართველოს სოციალისტური პარტიის წევრი, ახალგაზრდა სოციალისტთა კავშირის თავმჯდომარე (1997 წლიდან).
**ჰობი:** კითხვა, ცურვა, მეგობრებთან ურთიერთობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ნუცუბიძის II მ/რ, II კვ., IX კორპ., ბ. 1, თბილისი. ტელ: 53-61-31.*
**ჩემი წარმატება განაპირობა სიმართლისა და შრომის მოყვარეობამ. სიმართლე ის უხილავი ძალაა, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც იპოვის თავისას. ადამიანის სინდისი, მისი შინაგანი რწმენა, დამშვიდებული არსებობა, სამართლიანობისადმი დამოკიდებულებაში გაიზომება. შრომისმოყვარეობა კი საშუალებაა ახლის გაგებისა, რაც ცხოვრებას საინტერესოსა და აზარტულს ხდის.**

# ღ

**ავთანდილ ღელეყვა** ოზურგეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ნატანებში (მახარაძის რ-ნი) 1951 წ. მეუღლე — ნათელა გარქლაძე (1954); შვილები: დავითი (1975), მაია (1981). დაამთავრა ვოლგოგრადის სამოქალაქო მეურნეობის საინჟინრო ინ-ტი, თბილისის სპი სამშენებლო-მექანიკური ფაკ-ტი. იყო ა/კ მაგისტრალური გაზსადენების სამმართველოს მუშა, ტექნიკოსი (1971), გაზის ზედამხედველობის საქართველოს ტერიტორიალური ინსპექციის ინჟინერი (1973), გაერთიანება "საქნავთობის" საამქროს უფროსი, სამმართველოს მთავარი მექანიკოსი (1978), სოფ. ნატანების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1980-91), აგროფირმა "ნატანების" თავმჯდომარე (1991-93), ოზურგეთის აგროსამრეწველო სამმართველოს უფროსი (1993), რაიონული გამგეობის თავმჯდომარის I მოადგილე (1994), ფოთის რეგიონალური საბაჟოს ინსპექტორი (1994), გურიის სამსახურის უფროსი, საბაჟო "ფოთის" განყ-ბის უფროსი.



**თენგიზ ღვინიაშვილი** მოქანდაკე. დაიბადა თბილისში 1925 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: ეკატერინე ნაცვლიშვილი, კონსტანტინე ღვინიაშვილი; მეუღლე — თამარ მასხარაშვილი (1924); შვილები: დავითი (1955), დეა (1957). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1950), ასპირანტურა (1954). იყო თსსა პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1954 წლიდან), საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი, პარტბიუროს მდივანი (1954-80). არის ავტორი ივ.ჯავახიშვილის (თსუ, 1953), ი.ჭავჭავაძის (ყვარელი, 1972), ზ.ფალიაშვილისა და პ.ჩაიკოვსკის (ბორჯომი, 1981-82), ნ.ბარათაშვილის (გორი, 1984), ი.ნიკოლაძის (ქუთაისი, 1977), გ.ლეონიძის (თბილისი, 2000) და სხვათა ძეგლებისა. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ჰუმანიტარული და ხელოვნების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ი.ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (2000); საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1954). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2000).
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. (ბინის) ფალიაშვილის 80, თბილისი 380079. ტელ: 22-40-80.*
**გაჭირვებულების დახმარება და მხარში ამოდგომა.**

**მადონა ღიბრაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თერჯოლაში 1960 წ. 24 აპრილს. მშობლები: როზა გუმბერიძე, ალექსანდრე ღიბრაძე; მეუღლე — ალექსანდრე კვეტენაძე (1960); შვილები: დავითი (1986), გიორგი (1988), ალექსანდრე (1994). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985). იყო თერჯოლის 87-ე პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე (1985-89), თერჯოლის რაიკომის კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში (1989-91), თერჯოლის გამგეობის იურიდიული განყ-ბის გამგე (1992-94), საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრი, თერჯოლის ადვოკატურის ადვოკატი (1994-99), ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999-2000). იყო სკკპ წევრი (1983-91).
**ჰობი:** ყვავილები, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) რუსთაველის 100, ბ. 21, თერჯოლა 383910. ტელ: 2-19-60.*
**პირველ რიგში მკაცრი მოთხოვნები საკუთარი თავისადმი, შრომისმოყვარეობა, არასოდეს მიმიტოვებია დაწყებული საქმე შუა გზაზე, ყოველთვის ვცდილობდი ჩემს**

**ნინაშე მდგარი ნებისმიერი პრობლემატური საკითხი ბოლომდე გამერკვია და ისე გადამეწყვიტა. ვიცხოვრო ისე, რომ საკუთარი გასაკეთებელი საქმე სხვას არ დავუტოვო და ჩემი მომაელის ნინაშე ვალმოხდილი და პირნათელი ვიყო.**



**ფელიქს ღლონტი** კომპოზიტორი. დაიბადა ბათუმში 1927 წ. 8 ნოემბერს. მშობლები: ნინო ღოლობერიძე-ქუთათელაძე, პეტრე ღლონტი; მეუღლე — ეთერ ახვლედიანი (1932); შვილი — გიორგი (1961). დაამთავრა ლენინგრადის სახ. კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკ-ტი (1953), თბილისის სახ. კონსერვატორია (1959). არის ავტორი ბალეტისა „განთიადი" (1967); ოპერებისა: „იბერიელები" (1970, ახალი რედაქცია 1995-97), „კლეოპატრა" (1976); სიმფონიური პოემისა „ბედი ქართლისა" (1957); 12 სიმფონიისა, მათ შორის: N1 "Romantic' (Horizons of lhe World, 1966), N6 "Vita Nova" (1979, გამომცემლობა Ricordi-ის პრემია, 1983), N7 "Fiat Lux" (1983), N9 ელექტროორიალისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის, N11 "Mudus Apertus" (The Open World); კონცერტი-სიმფონია (სიმფონიური მედიტაციები პეტრარკას თემაზე, 1977); საკონცერტო სიმფონიები როიალისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის N1 (1998), N2 (2000); სიმფონია-კონცერტი გოეთეს „მარიენბალდის"თემაზე; საკონცერტო სიმფონია ვიოლინოსა და დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის (სანკტ-პეტერბურგის კომპოზიტორთა საერთაშორისო კონკურსის I პრემია); „ჰეროიკული ორატორია" („გალაკტიონი" 1980); „კონჩერტო გროსიო" (1985); „იბერიული ჰიმნები" (1980); 2 სიმებიანი კვარტეტი (1953, 1985); 2 რომანსი (1959); 10 ქორეოგრაფიული გრავიურა ფორტეპიანოსთვის (1967); ნოქტიურნი გიტარისთვის (1995); დუეტი ფორტეპიანოსა და გიტარისთვის (1995); მუსიკა სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის („ალავერდობა", „მე ვხედავ მზეს" და სხვ.). არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა: „მე-20 საუკუნის მუსიკალური აზროვნების ევოლუცია" (1982), „სატიაციის ეფექტი, როგkრც კომპოზიციის დეტერმინანტი" (1994), „პოსტსერიული მუსიკალური აზროვნების ანთროპოლოგია: კონცეპტუალური პარადიგმის დახასიათებისათვის" (2000), „მეტაფიზიკური იმპლიკაციების განწყობის ეფექტი, როგორც ონტოლოგიური კონცეფციის სულიერების ეკვივალენტი" (2001). მიღებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია, I პრემია თბილისის 1500 წლის იუბილეზე, აშშ-ის ფირმა Power Station-ის პრემია, საკავშირო პრემია ბალეტისათვის „განთიადი" (1967). არის საქართველოს სახალხო არტისტი (1963), ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1979), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1992), ს.პროკოფიევის სახელობის კომპოზიტორთა III საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი (I პრემია, 1999); კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who (IBC, 1999-2000), დიდი ბრიტანეთის მუსიკალურ ენციკლოპედიაში, ქსე (1986).
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 123. თბილისი 380012. ტელ: 95-95-13. (ბინის) ყაზბეგის 20-ა. ბ. 9. თბილისი 380077. ტელ: 39-31-43.*

**მე ყოველთვის ვხელმძღვანელობდი უკმარისობის პრინციპით, რომლის ძირითადი არსი მდგომარეობს მარადჟამს ეზიარო ახალს შემეცნებაში.**

**ანზორ ღონღაძე** საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 23 ოქტომბერს. მშობლები: ლუბა მაჩიტაძე, იაკობ ღონღაძე; მეუღლე — მარინე სისორდია (1946); შვილები: დავითი (1969), სოფიო (1980). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტი (1964), თსუ (1972). იყო განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი (1979-90). ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია 1990 წლიდან. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1997), ღირსების ორდენით (2000).
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, ბილიარდი.
**მისამართი:** *(სამსახურის) სანაპიროს 8. თბილისი 380009. ტელ: 99-58-22, 99-09-41. (ბინის) ყაზბეგის 35-ბ. თბილისი.*

**ოჯახის სიყვარული, პატიოსნება, პრინციპულობა, კაცთმოყვარეობა, შენდობლობა, მოსმენის კულტურა, კომუნიკაბელურობა, ლაკონურობა, ზრუნვა თანამშრომელთა კეთილდღეობისათვის, სპორტსმენთა და მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ჩვენი სახელმწიფოს იმიჯის ზრდა მაღალი სპორტული მაჩვენებლებით.**



**ოთარ ღორჯომელაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მთის რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის წევრი. დაიბადა სოფ. ღურტაში (ხულოს რ-ნი) 1955 წ. 15 მაისს. მშობლები: ემინე ღორჯომელაძე, ლავრენტი ღორჯომელაძე; მეუღლე —მზია ღორჯომელაძე (1959); შვილები: მამუკა (1977), მარინა (1980), შორენა (1985). დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკ-ტი (1982). იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ს/კ ინ-ტის მუშა (1971-72), სოფ. ღურტას აგრონომი (1973-74), ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინ-ტის აჭარის საყრდენი პუნქტის უფროსი ლაბორანტი, უმცროსი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1982-91), აჭარის კოოპერაციული და ბათუმის სამედიცინო-ეკოლოგიური ინ-ტების დეკანი (1991-98), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აჭარის რეგიონალური საკოორდინაციო-სამეცნიერო ცენტრის განყ-ბის გამგე (1998-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1997). არის 85 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ბუნების დაცვის, ეკოლოგიისა და ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის საკითხებზე. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1997).
**ჰობი:** მეცნიერება.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 93-31-97.*

**მთის წეს-ჩვეულებებისა და ადათების მიხედვით უდიდეს პატივს ვცემდი და კვლავაც ვცემ შრომისმოყვარეობას, სიკეთის თესვას, სიმართლისადმი მხარდაჭერას. მსიამოვნებს, პირდაპირ საცოცხლეს მმატებს, როცა ადამიანებს რაიმეში წავადგები, კეთილ საქმეზე უანგაროდ ვეხმარები. მახარებს ნიჭიერ ადამიანებთან შეხვედრა, მათთან მეგობრობა. მიყვარს ნიგნიერებას.**



**თეიმურაზ ღოლობერიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1954 წ. 22 აგვისტოს. მშობლები: ვალენტინა ხარბედია, მირიან ღოლობერიძე; მეუღლე — ლილი სუხიტაშვილი (1957); შვილები: მირიანი (1982), ნინო (1984), ირაკლი (1988). დაამთავრა სპი კავშირგაბმულობის ფაკ-ტი (რადიოკავშირი, რადიომაუწყებლობა, 1980). იყო სპი ავტომატური ელექტრო კავშირგაბმულობის კათედრის ინჟინერი (1980-81), თბილისის ორჯონიკიძის რ-ნის სატელეფონო კვანძის უფროსის მოადგილე (1985-90), თბილისის საბურთალოს რ-ნის სატელეფონო კვანძის უფროსი (1985-90), თბილისის სატელეფონო ქსელის სამმართველოს უფროსი (1990-97), შპს „საქართველოს ელექტროკავშირის" ფილიალ „თბილისის სატელეფონო ქსელის" მთავარი კონსულტანტი (1997), შპს „ჯეოსელის" გენერალური დირექტორი (1997-99). მიღებული აქვს „საუკეთესო კომპანია/ბიზნესმენის" საპატიო წოდება (1997), ჟურნალისტთა პირველი საერთაშორისო კონკურსის (ეგიდით „მშვიდობიანი კავკასიისთვის") საუკეთესო სპონსორის წოდება (1998). არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1993).
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, ისტორია.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ/ფაქსი: 93-29-99. (ბინის) გრიბოედოვის 5, თბილისი. ტელ: 93-52-02.*

**საქმისადმი ერთგულება, ოჯახის, ქვეყნის, მეგობრის სიყვარული, საქართველოს მთლიანობა და სიკეთე, სიკეთის ქმნა.**

**ლანა ღოღობერიძე** კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ევროპის საბჭოში. დაიბადა თბილისში 1928 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: ნინო



ხუციშვილი, ლევან ლოლობერიძე; მეუღლე — ლადო ალექსი-მესხიშვილი (1918); შვილები: ქეთევანი (1964), სალომე (1966). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1950), ასპირანტურა (1953), კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მოსკოვი, 1958). იყო ბათუმის პედაგოგიური ინ-ტის უფროსი მასწავლებელი (1953-54), კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1958 წლიდან), კინოსტუდია „დროს" სამხატვრო ხელმძღვანელი (1982 წლიდან), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-99), საპარლამენტო ფრაქცია „ლიბერალების" თავმჯდომარე (1992-95), საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი (1995-99), ევროსაბჭოში პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის თავმჯდომარე (1996-99). საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელია ევროპის საბჭოში 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „უოლტ უიტმენი" (1954). არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „გელათი", „თბილისი 1500 წელი", „ერთი ცის ქვეშ", „მე ვხედავ მზეს", „ფერისცვალება", „როცა აყვავდა ნუში", „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", „აურზაური სალხინეთში", „დღეს ღამე უთენებია", „წერილი შვილებს", „ორომტრიალი", „ვალსი პეჩორაზე"; ავტორი მონოგრაფიისა „უოლტ უიტმენი"; თარგმანებისა: „უოლტ უიტმენი" (1956), „რაბინდრანათ თაგორი" (1956), „უცხოური პოეზია ქართულად" (ამერიკელი, ფრანგი, რუსი პოეტები, 1997). არის სან-რემოს, ტოკიოს, ვენეციის, ბერლინის, პარიზის, ჟენევის საერთაშორისო კინოფესტივალების ლაურეატი, სსრკ და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი, სმკ-ის მთავარი საბჭოს წევრი (1996 წლიდან), მსოფლიოს კინემატოგრაფისტ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის (KIWI) თავმჯდომარე (1988 წლიდან), ევროპის კულტურის ასოციაციის (SEC) პრეზიდიუმის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში Who's Who of Women, Who's Who of Intellectuals. ამერიკის ბიოგრაფიულმა ინ-ტმა (ABI) მიანიჭა კულტურის დიპლომი (1995). არის საფრანგეთის ღირსების ორდენის კავალერი (1997).

ჰობი: ჩოგბურთი.

მისამართი: *(სამსახურის) შიფმატის 10. სტასბურგი 67000. ტელ: 03-90-22-20-12. ფაქსი: 03-90-22-20-11.*

**„ცხოვრებამ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შავირგე" — ჯერ შეუგნებლად, მერე გააზრებულად ვცდილობდი მეცხოვრა ამ პრინციპით. ჩემი ცხოვრების განმსაზღვრელი იყო ინტერესი და თანაგრძნობა ადამიანის მიმართ, პიროვნების პატივისცემა.**



**ირაკლი ლუდუშაური** საქართველოს პარლამენტის წევრი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა სოფ. სნოში (ყაზბეგის რ-ნი) 1925 წ. 15 მაისს. მშობლები: ოლღა სამქანაშვილი, იოსებ (ბაძიგო) ლუდუშაური; მეუღლე — თინა კერესელიძე (1933); შვილები: ირინე (1958), თამაზი (1965), ნუკრი (1965). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1950), ასპირანტურა (მოსკოვი, 1953). მუშაობდა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ს/კ ინ-ტში (1950), საქართველოს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ენერგეტიკის ს/კ ინ-ტის სხვადასხვა თანამდებობაზე (1954 წლიდან). არის ინ-ტის ენერგეტიკულ ნაგებობათა თეორიული კვლევების განყ-ბის გამგე, კითხულობს ლექციებს სტუ მასალათა გამძლეობისა და დრეკადობის თეორიის კათედრაზე (1957 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „თაღოვანი და გუმბათოვანი კაშხლების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოკვლევისთვის ფიქტიურ ორთოტროპიულ სისტემათა შერწყმის მეთოდი" (1967). არის 3 მონოგრაფიის, 7 გამოგონების, 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „Теория упругости в обыкновенных дифференциальных уравнениях" (მეცნიერება, თბილისი, 1990). მისი ძირითადი გამოკვლევები ეძღვნება უწყვეტ ტანთა მექანიკის სრულყოფას; დამუშავებული აქვს საძირკვლის ფილების დრეკად ნახევარსივრცეზე გაანგარიშების, დრეკად ნახევარსივრცეზე გრავიტაციული კაშხლების გაანგარიშების ე.წ. „კოჭური" მეთოდები, თაღოვანი და გუმბათოვანი კაშხლების თეორია ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში, რომლის

საფუძველზე შეიქმნა ახალი მიმართულება დრეკადობის თეორიის ზოგად მეცნიერებაში. ბოლო წლებში აჩვენა ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებში დრეკადობის თეორიის განზოგადების შესაძლებლობა კლასიკური ჰიდროდინამიკის სამგანზომილებიან და ორგანზომილებიან ამოცანებზე. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „Математики. Механики" (А.Боголюбов1998).
**ჰობი:** ჩოგბურთი, ჭადრაკი, ხატვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 70, თბილისი 380071. ტელ: 38-30-20. (ბინის) ყიფშიძის 6, ბ.19. თბილისი. ტელ: 23-31-04.*

**პატიოსნება, ერთგულება, თავისი ერის უსაზღვრო სიყვარული — ვისაც საკუთარი ერი არ სწამს, ის სხვა ერსაც ვერ იწამებს. საქმიანობაში სწრაფვა ისეთი მეცნიერული მიზნისაკენ, რომლის მიღწევა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამშობლოს დიდების საქმეში.**



**ზეზვა ღუღუნიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1940 წ. 9 ივლისს. მშობლები: მარიამ ქისტაური, გიორგი ღუღუნიშვილი; მეუღლე — მანანა ზოდელავა (1951); შვილები: გიორგი (1971), ნინო (1974). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1965). იყო კომკავშირული და პარტიული მუშაკი (1970-72), ჯანდაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს უფროსი და კოლეგიის წევრი (1972-76), ა/კ რკინიგზის საექიმო-სანიტარული სამსახურის უფროსი (1976-83), საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების სამმართველოს უფროსი (1983-90), კონცერნ "საქკურორტის" პრეზიდენტი (1990-98), თსსი ზოგადი გენეტიკის კურსის ხელმძღვანელი, თსუ ბიზნესის ფაკ-ტის ტურიზმისა და კურორტების მართვის კათედრის გამგე (1995-2000), საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარის I მოადგილე (1998-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; საქართველოს ბიზნესის აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული ექიმი (1990), ღირსების ორდენის კავალერი (2000), მილანის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი; სმკ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი.
**ჰობი:** ლიტერატურა, მუსიკა, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8, თბილისი 380018. ტელ: 99-09-05. (ბინის) ატენის 16, თბილისი.*

**ვიცხოვრო ისე, რომ ღირსი ვიყო საზოგადოების წევრობის.**



**გივი ყანდარელი** მხატვარი. დაიბადა საგარეჯოში 1933 წ. 21 თებერვალს. მშობლები: თამარ ყანდარელი, ლუარსაბ ყანდარელი; მეუღლე — ლუ ყანდარელი (1935); შვილები: ნინო (1961), ერეკლე (1962). დაამთავრა თსსა კერამიკის ფაკ-ტი (1960). იყო თსსა ლექტორი (1960-73), დოცენტი (1973), სპი არქიტექტურის ფაკ-ტის დოცენტი (1973-85), საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი (1974-81), თსსა კერამიკის კათედრის გამგე (1985). არის თსსა ქსოვილების კათედრის პროფესორი (1986 წლიდან), საქართველოს კულტურის სახ. ინ-ტის სახელოსნოს ხელმძღვანელი (1995 წლიდან). არის 200-მდე გობელენის ავტორი, მათ შორის „პური ჩვენი არსობისა" (1974-76), „წელიწადის დრონი" (1974), „ფიროსმანის სიზმარი" (1977-80) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს და საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში. არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1980), სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1983), სსრკ საპატიო ნიშნის (1977), ღირსების (1999) ორდენების კავალერი. იყო სკკპ (1961-88), არის მხატვართა კავშირის (1964), საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია სსრკ მხატვართა კავშირის წევრთა ცნობარში (1970), ქსე, ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**ჰობი:** მხატვრობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 22, თბილისი 380008. (ბინის) ახვლედიანის 3, თბილისი. ტელ: 95-46-46.*

**მე ვცნობ ადამიანად მას, ვინც ქმნის. უდიდეს პატივს ვცემ შრომასა და პატიოსან ადამიანს.**

**ნიკოლოზ (კოკა) ყანდიაშვილი** სტუდია „აუდიენციას" დირექტორი საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1970 წ. 7 მაისს. მშობლები: დალილა საზანდრიშვილი, გივი ყანდიაშვილი; მეუღლე — ნონა ყანდიაშვილი (1972); შვილები: მარიამი (1993), თეა (1996). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1995). იყო გაზეთების: „გაზაფხული", „თბილისი", „ნორჩი ლენინელი", „სახალხო განათლება", „ქართული ფილმი", „ახალგაზრდა ივერიელი", „Заря Востока", „Комсомольская правда" კორესპონდენტი (1982-90), რუსეთის სახ. ტელევიზიის რეგიონალური ბიუროს ხელმძღვანელი საქართველოში, თურქეთში, აზერბაიჯანში, ირანსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში (1991 წლიდან). „აუდიენციას" დირექტორია 1995 წლიდან. არის ავტორი გადაცემებისა: „Грузия миллионеров" (1994), „Аудиенция" (1994), „Аджарский мир" (1994), „Исторические элегии" (1995), „აუდიენცია ერთ პირთან" (1996), „ორკესტრი რეპეტიციისთვის" (1994), „ჩვეულებრივი" (1994), „Энигма" (1995), „Судьбы (7 фильмов)" (1995) და სხვ.

**ჰობი:** ფილატელია.

**მისამართი:** *(სამსახურის) ალექსიძის 3. თბილისი 380093. ტელ: 98-82-74, 94-08-80.*



**ვახტანგ ყანჩაველი** საქართველოს პარლამენტის წევრი, ურბანიზაციის, მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს პროფესიონალური კრივის ფედერაციის პრეზიდენტი. დაიბადა გორში 1946 წ. 27 ოქტომბერს. მშობლები: მარიამ ყანჩაველი, გიორგი ყანჩაველი; მეუღლე — მანანა კარიჭაშვილი (1948); შვილები: მარინე (1969), თამარი (1971), ნინო (1975). დაამთავრა გორის სახ. პედაგოგიური ინ-ტის მათემატიკის ფაკ-ტი (1969), მუსიკალური ტექნიკუმი (1970), სპი თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის ფაკ-ტი (1976). იყო გორის ალმასკომის თავმჯდომარის I მოადგილე (1975-85), III სამშენებლო ტრესტის

მმართველი (1976-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. იყო პრეზიდენტის ფონდის რეგიონალური ორგანიზაციის დირექტორი (1995-97), არის სმკ-ის გორის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე (1998 წლიდან).
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: (899) 55-44-59. (ბინის) გრ. რობაქიძის 60, გორი. ტელ: 2-23-47.*
**საქართველოს ერთიანობა.**



**გია ყანჩელი** კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: აგნესა ყანჩელი, ალექსანდრე ყანჩელი; მეუღლე — ვალენტინა ჯიქია (1946); შვილები: ალექსანდრე (1968), ნატო (1971). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორია (1963). იყო რუსთაველის თეატრის მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი (1972-90), კომპოზიტორთა კავშირის I მდივანი (1984-89), გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD, 1991-92), ანტვერპენის სიმფონიური ორკესტრის (1995-96) მიწვეული კომპოზიტორი. არის ავტორი ოპერისა „და არს მუსიკა" (2 მოქმედებად), სიმფონიებისა: № 1 (1967), №2 „საგალობლები" (1970), №3 (1973), №4 "In memoria di Michelangelo" (1975), №5 „ეძღვნება მშობლების ხსოვნას" (1977), № 6 (1980), №7 „ეპილოგი"; სიმფონიური ნაწარმოებებისა: „სევდა ნათელი" 2 სოლისტი ბიჭუნას, ბიჭუნათა გუნდის და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (ეძღვნება ომში დაღუპული ბავშვების ხსოვნას, 1985), „ქარით დატირებული" ლიტურგია დიდი სიმფონიური ორკესტრისა და სოლო ალტისთვის (ეძღვნება გ.ორჯონიკიძის ხსოვნას, 1989), „კიდევ ერთი ნაბიჯი" სიმფონიური ორკესტრისა და მაგნიტური ფირისათვის (1992), „უფრთონი" სიმფონიური ორკესტრისათვის (1993), „სევდისფერი ქვეყანა" სიმფონიური ორკესტრისათვის (1994), Lament — ლ.ნონოს ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მუსიკა — ვიოლინოს, სოპრანოს და სიმფონიური ორკესტრისათვის (1994), „სიმი" ვიოლონჩელისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1995), „... a la დუდუკი" სასულე კვინტეტისა და ორკესტრისათვის (1995); კამერული ნაწარმოებებისა: „სიცოცხლე შობის გარეშე", 4 ნაწარმოებისაგან შემდგარი ციკლი: „დილის ლოცვები" კამერული ორკესტრისა და მაგნიტური ფირისათვის (1990), „შუადღის ლოცვები" კლარნეტის, სოპრანო-ბიჭუნას და კამერული ორკესტრისათვის (1991), „საღამოს ლოცვები" 8 ქალის დაბალი ხმისა და კამერული ორკესტრისათვის (1991), „ღამის ლოცვები" სიმებიანი კვარტეტისა და მაგნიტური ფირისათვის (1992), „ღამის ლოცვები" სოპრანო-საქსოფონის, სიმებიანი ორკესტრისა და მაგნიტური ფირისათვის (1994), „Abii ne viderem" ფლეიტისა და ორკესტრისათვის (1992), „Abii ne viderem" ალტისა და ორკესტრისათვის (1993), „Magnum Ignotum" სასულე ანსამბლისა და მაგნიტური ფირისათვის (1994), Exil სოპრანოს, მცირე ანსამბლისა და მაგნიტური ფირისათვის (1994), „V&V" ვიოლინოს, მაგნიტოფირზე ჩაწერილი ხმისა და სიმებიანი ორკესტრისათვის (1994), „გოდების შემდეგ" ვიოლონჩელისათვის (1994), „ქარის მერე" ალტისა და სოპრანოსათვის (1994), ბოსტონ-ვალსი ფორტეპიანოსა და სიმებიანი ორკესტრისათვის, Time and again ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1997), „დიპლიპიტო" ჩელოს, კონტრ-ტენორისა და კამერული ორკესტრისათვის (1997). ავტორი მუსიკისა რ.სტურუას, ე.შენგელაიას, გ.დანელიას სპექტაკლებისა და ფილმებისათვის. ძირითადი გამომცემლები: H.Sikorski, G.Shirmer, Edition Peters, M.P.Belaieff, Ricordi და სხვ. ძირითადი ხმის ჩამწერი კომპანიები: ECM, CPO (გერმანია), Olimpia, EMI (ლონდონი), Nonsuch (აშშ), Sony Classical (იაპონია), Undina (ფინეთი) და სხვ. არის სსრკ (1977), საქართველოს (1981) სახელმწიფო, რუსთაველის (1981) პრემიების ლაურეატი, „ნიკას" პრიზის მფლობელი კინომუსიკისათვის (1987), სსრკ სახალხო არტისტი (1988), ღირსების ორდენის კავალერი (1995). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში The International Who's Who (Europa Publications LTD. London WC.1 b3 JN).
**მისამართი:** *(ბინის) ტოვსტონოგოვის 6. თბილისი. ტელ: 95-03-39.*
**„ხოლო იმაში, რასაც გწერთ, ღმერთია მოწმე, რომ არა ვტყუი." (წმინდა პავლეს ეპისტოლე გალატელთა მიმართ: I, 20)**



**თინათინ ყაუხჩიშვილი** ფილოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1919 წ. 10 მაისს. მშობლები: თამარ იმხნელი-ყაუხჩიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი; მეუღლე — ოთარ ჯინორია; შვილები: გია გელაშვილი (1937), ლია ჯინორია (1941). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1941). იყო ისტორიის ინ-ტის წყაროთმცოდნეობის განყ-ბის უმცროსი, უფროსი, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (1944 წლიდან), თსუ კლასიკური ფილოლოგიის კათედრის დოცენტი (1945-68), პროფესორია 1968 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „მასალები Ც-ს ისტორიისათვის" (V-XI სს. ძეგლების მიხედვით), სადოქტორო — „ბერძნული წარწერები საქართველოში" (1953). არის ავტორი მონოგრაფიებისა: „ბერძნული წარწერები საქართველოში", სტრაბონის „გეოგრაფია", „აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია", „ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ", წიგნისა „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი" (3 ტომად, 1999-2000) და სხვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში: Who's Who (IBC, Cambridge).

მისამართი: *(სამსახურის) მელიქიშვილის 10. თბილისი 380009. (ბინის) ბაზალეთის 3, ბ.6. თბილისი 380079. ტელ: 22-16-63.*

**წიგნის სიყვარული ბავშვობიდან; შრომისმოყვარეობა; თავმოყვარეობა; პრინციპულობა; პუნქტუალობა; მოვალეობის გრძნობა.**



**თეიმურაზ ყაჭეიშვილი** სამტრედიის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სამტრედიაში 1946 წ. 3 იანვარს. მშობლები: თამარ თავაძე, ვაჟა ყაჭეიშვილი; მეუღლე — გიული ფრანგულაშვილი (1946); შვილები: თამარი (1965), მაკა (1972), ეკა (1978). დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიული ფაკ-ტი (1970). იყო თბილისის გამწვანების მეურნეობის ტრესტის თანამშრომელი (1966-72), დამზადების სამინისტროს თანამშრომელი (1972-86), პურპროდუქტების სამინისტროს შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის სამმართველოს უფროსი (1986 წლიდან), კომერციული ცენტრის „საქართველოს პურის" დირექტორი (1993-96), შპს „საქპურსერვისის" გენერალური დირექტორი (1996-97). სამტრედიის გამგებელია 1997 წლიდან.

ჰობი: მეგობრულ და ახლობლურ წრეში ყოფნა.

მისამართი: *(სამსახურის) რესპუბლიკის 6. სამტრედია. ტელ/ფაქსი: 93-22-90. (ბინის) კიკვიძის 11. სამტრედია. ტელ: 2-42-42.*

**გულწრფელობა სიტყვასა და საქციელში, მოფიქრებული მოქმედება, სიმტკიცე და არა ჯიუტობა, დროის შეგნებული გამოყენება. ეკავთო მარტო ის, რაც გადაწყვეტილი მაქვს და არა ის, რაც მოხდება. ყოველდღიური კეთილსინდისიერი ანგარიშგება საკუთარი თავის წინაშე, არავითარი ტრაბახი იმის შესახებ, რაც იყო და არც იმაზე, რა არის და რა იქნება. ფულის ხარჯვა მხოლოდ აუცილებელსა და სასიამოვნოზე და არა ანგარიშმიუცემლად. სრული სიმშვიდე, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც. ობიექტურობა და კვლავ ობიექტურობა.**



**თემურ ყვითელაშვილი** გიტარისტი, კომპოზიტორი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 4 ივლისს. მშობლები: ციალა პალტაგაშვილი, პავლე ყვითელაშვილი; მეუღლე — ლანა ყვითელაშვილი (1968); შვილები: მაია (1991), თემური (1998). იყო თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მუსიკალური ანსამბლების წევრი (1979-87); ანსამბლების „დიელო" (1982-83), „ორერა" (1984-85), „თეატრონი" (1986-87), „ნატვრის ხე" (1987-88), „ივერია" (1988-94), ვ.კიკაბიძის ანსამბლის (1994-98) გიტარისტი; თანამშრომლობდა ს.პავლიაშვილთან, თ.გვერდწითელთან, მ.სეფაშვილთან; იყო ავტორი და წამყვანი სატელევიზიო ციკლისა „თანამედროვე მსოფლიო საგიტარო ხელოვნება" (ტელეკომპანია „დროni"); საქართველოში პირველად გამართა საგიტარო სოლო-კონცერტი (ფილარმონია, 1998). გამოცემულია მისი 3 სოლო-ალბომი, 3 კომპაქტური დისკი და კომპაქტური კასეტა. აღიარეს წლის საუკეთესო გიტარისტად ჰოლივუდის გიტარისტთა კონკურსზე (1994 ), საქართველოს საუკეთესო ინსტრუმენტალისტად (1996). არის „ახალი მუსიკის ცენტრის" ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი (1998).

**ჰობი:** სპორტი.

**პროფესიონალიზმი, დისციპლინა, პუნქტუალობა, პირდაპირობა, პატიოსნება, ერთგულება, პრინციპულობა, შრომისმოყვარეობა — ასეთი ცხოვრებით ვიცხოვრე, ვცხოვრობ, ვიცხოვრებ. ამან განაპირობა ჩემი წარმატება.**



**რევაზ (სოსო) ყიფიანი** საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიული კომიტეტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, იურისტი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, საქართველოს დამსახურებული იურისტი. დაიბადა ზესტაფონში 1927 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: ნადია მასხარაშვილი, ვიქტორ ყიფიანი; მეუღლე — ენდი ყიფიანი (1940); შვილები: მაია (1962), თინათინი (1965). დაამთავრა სსრკ იურიდიული ინ-ტი (მოსკოვი, 1952). იყო ქუთაისის პროკურატურის გამომძიებელი (1952-62), საკავშირო პროკურატურის უფროსი გამომძიებელი (მოსკოვი, 1962-64), საქართველოს პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, რესპუბლიკის პროკურორის უფროსი თანაშემწე, საერთო ზედამხედველობის განყ-ბისა და საგამოძიებო სამმართველოს უფროსი (1964-81), ა/კ ტრანსპორტის პროკურორი (1980-90). საქართველოს გენერალური პროკურორის I მოადგილე (1990-99). არის სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი (1998), საქველმოქმედო საზოგადოება „ოკრიბას" და ფეხბურთელთა გუნდ „მეშახტეს" პრეზიდენტი.

**ჰობი:** ქველმოქმედება.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380008. ტელ: 92-24-06. ფაქსი: 22-33-57. (ბინის) ჭავჭავაძის 39, ბ.102. თბილისი 380079. ტელ: 23-37-37, 22-33-57.*

**ჩემი მიზანი იყო გავმხდარიყავი პროფესიონალი გამომძიებელი. გამენია ქველმოქმედება სხვადასხვა სფეროში.**

**ზურაბ ყიფშიძე** მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 10 აგვისტოს. მშობლები: ელენე ყიფშიძე, ავთანდილ ვერულეიშვილი; მეუღლე — ლელა გოცირიძე (1959); შვილები: გიორგი (1977), ელენე (1982). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი (მოსკოვი, 1976). არის კინომსახიობთა თეატრისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი (1976 წლიდან). მონაწილეობდა 50-ზე მეტ ფილმში, მათ შორის: „სურამის ციხე", „ბრავო, ალბერ ლოლიშ!", „ნეილონის ნაძვის ხე", „დონ კიხოტი", „მარტოხელა მონადირე", „ცოდვის შვილები", „ექსპრეს-ინფორმაცია", „ორფეოსის სიკვდილი", „მისტერიები" (ლენფილმი. რეჟ. მ.კალატოზიშვილი) და სხვ.; სპექტაკლებში: „შუშანიკის წამება" (ვარსქენი), „საქმე" (ტარელკინი), „დონ ჟუანი" (დონ ჟუანი), „ჩვენი პატარა ქალაქი" (არჩილ გამრეკელი), „მამა" (ადოლფი), „ART ხელოვნება" (მამია) და სხვ. არის კომკავშირის პრემიის ლაურეატი. მიღებული აქვს რუსეთის კინოაკადემიის მთავარი პრიზი "Ника" მამაკაცის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის (1997), რუსთავის თეატრალური ფესტივალის ორი გრან-პრი („მამა", „ART ხელოვნება").

**ჰობი:** ცხოველები.

**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 10ა. ტელ: 51-13-16. /ალმაშენებლის 164, თბილისი. ტელ: 34-07-88. (ბინის) ჩიქოვანის 20. თბილისი 380071. ტელ: 33-41-07.*

**კაცთმოყვარეობა.**



**ნოდარ ყიფშიძე** ექიმი, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის ინ-ტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1923 წ. 12 ოქტომბერს. მშობლები: დარია გაბაშვილი, ნიკოლოზ ყიფშიძე, მეუღლე — ლელი ჭეიშვილი (1926); შვილები: ნიკოლოზი (1952), ნინო (1958). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1946). იყო თსსი თერაპიის კათედრის ექიმი-ორდინატორი (1946-48), ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინ-ტის ასპირანტი (1948-51), ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის I თერაპიული კათედრის ასისტენტი (1951-53), დოცენტი (1953-54), სსრკ მედიცინის მეცნ.

აკადემიის თერაპიის ინ-ტის დოქტორანტი (1954-57), გაეროს ექიმი (აშშ, 1957-59), ექიმთა დახელოვნების ინ-ტის დოცენტი (1959-60). თერაპიის ინ-ტის დირექტორია 1960 წლიდან. მივლინებით იმყოფებოდა შვეიცარიაში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბიოლოგიის, ფარმაკოლოგიისა და თერაპიის სამმართველოს დირექტორად (ჟენევა, 1963-65). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მასალები ენდოკარდიტის კლინიკური დიაგნოსტიკის შესწავლისათვის" (1953), სადოქტორო — „ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი და ზოგიერთი ფაქტორის გავლენა მის განვითარებაზე" (1963). არის 460-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (150 გამოქვეყნებულია უცხოეთში), 16 მონოგრაფიის (ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ ენებზე), 22 გამოგონების ავტორი. არის 10-მდე სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიისა და სარედაქციო საბჭოების წევრი. არის 17 სამეცნიერო, საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრი, მათ შორის: საქართველოსა და რუსეთის სამედიცინო აკადემიების, შვედეთის, ნიუ-იორკის, გერმანიის აკადემიების წევრი, ვაშინგტონის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1997), საქართველოს თერაპიული საზოგადოებისა და საზოგადოება „ექიმები ბირთვული ომის წინააღმდეგ" თავმჯდომარე, აშშ-ის თერაპევტთა საზოგადოების და ექიმთა კოლეგიის საპატიო წევრი (1997). არის საქართველოს (1981), სსრკ (1986, 1989) სახელმწიფო პრემიების ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, სსრკ სამედიცინო აკადემიის ა.ლ. მიასნიკოვის სახელობის პრემიის ლაურეატი (1989); არის „შრომის წითელი დროშის" ორი (1966, 1971), ხალხთა მეგობრობის (1983), ღირსების (1998) ორდენების კავალერი.
ჰობი: კლასიკური მუსიკა, ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) ჩაჩავას 5. თბილისი 380059. ტელ: 95-47-45, 23-01-47. (ბინის) ვ.ანჯაფარიძის 9, ბ.3. თბილისი 380079. ტელ: 22-76-30.*



**ვახტანგ ყოლბაია** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა გალში 1952 წ. 9 სექტემბერს. მშობლები: ნორა აქუბარდია, გაბრიელ ყოლბაია; მეუღლე — დალი თორია (1953); შვილები: თამარი (1978), დავითი (1982). დაამთავრა მოსკოვის კვების მრეწველობის ინ-ტის ეკონომიკა-ორგანიზაციის ფაკ-ტი (1974). იყო გალის N1 ჩაის ფაბრიკის (1967-69), მზიურის მეჩაიეობის მეურნეობის (1974) მუშა, წყალსადენის ტერიტორიული სამმართველოს ეკონომისტი, უფროსი ეკონომისტი (1974-76), გალის რაიკომის მდივანი, რაისაბჭოს აღმასკომის თემჯდომარე, კპ რაიკომის მდივანი, I მდივანი (1977-80), სოხუმის კომკავშირის საოლქო კომიტეტის განყ-ბის გამგე, კომიტეტის II მდივანი (1981-84), აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის I მოადგილე (1990-91), კომისიის თავმჯდომრე (1991-93), აფხაზეთის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1993), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-94), გალის რ-ნის გამგებელი (1994-95). პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეა 1995 წლიდან.
ჰობი: პოლიტიკური და ისტორიული ლიტერატურა, სპორტი (ფეხბურთი).
*მისამართი: (სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-83-61. (ბინის) აგრბას 2ა. ბ.22. სოხუმი.*

**საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლური დამოკიდებულება, საქმის უხმაუროდ კეთება, პატიოსნება, პრინციპულობა, პრაგმატულობა, კომუნიკაბელურობა, კრიტიკის ატანა, თავაზიანობა, თავმდაბლობა, შრომისმოყვარეობა.**



**ბორის ყურაშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი, პარაზიტოლოგიის ლაბორატორიის გამგე, პროფესორი. დაიბადა სოფ. ჯოლევში (მარტვილის რ-ნი) 1912 წ. 13 იანვარს. მშობლები: მარიამ გაბუნია, ეპიფანე ყურაშვილი; მეუღლე — მერი მაჩაბელი (1924); შვილები: რამაზი (1942), თამაზი (1947). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1937), თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1946). იყო თსსი ბიოლოგია-პარაზიტოლოგიის კათედრის ასისტენტი (1937-41), სამამულო ომის მონაწილე (1941-43), ზოოლოგიის ინ-ტის დირექტორი (1964-89). ზოოლოგიის ინ-ტის პარაზიტოლოგიის ლაბორატორიის გამგეა 1947 წლიდან, დირექტორის მრჩეველი — 1989

წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სანადირო-სარეწაო ფრინველების ჰელმინთები ფაუნისტური და ეკოლოგიური გაშუქებით" (1955). არის 210-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის 14 მონოგრაფიის და სახელმძღვანელოს), სამედიცინო პრეპარატ „პროსტასექსინის" (2001) ავტორი. არის ბიოლოგიურ-ჰელმინთოლოგიური სკოლის ფუძემდებელი საქართველოში; ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უკრაინის, რუსეთის პარაზიტოლოგთა საზოგადოებების საპატიო წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1966), სოროსის ფონდის პროფესორი (1995). დაჯილდოებულია 5 ორდენით და 13 მედლით, მათ შორის ღირსების ორდენით (1997). არის საქართველოს ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე (1997). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1986), აშშ-ის ბიოგრაფიული ინ-ტის ცნობარში Who's Who(1995 წლიდან), კემბრიჯის ბიოგრაფიული ცენტრის ცნობარში (IBC, 1996). არის სმკ-ის წევრი (1995).
**ჰობი:** ფოტოგრაფია, ევროპული ცეკვები.
**მისამართი:** *(სამსახურის) ზოოლოგიის ინ-ტი. ჭავჭავაძის 31. თბილისი 380079. ტელ: 29-01-48. (ბინის) ნ.ნიკოლაძის 7. თბილისი 380007. ტელ: 99-93-51.*

**თავშეკავებულობა, თავმდაბლობა, სიკეთის ქმნა, ახალგაზრდებისადმი სიყვარული, პატივისცემა და დაფასება, კეთილი დამოკიდებულება უფროსი ადამიანებისადმი, მშობლებისადმი პატივისცემით მოპყრობა. არავისი არ მშურს, ცუდს რომ მიკეთებენ, ვცდილობ მას კარგით ვუპასუხო. ჩემი ყოფილი სტუდენტები, შემდგომ უკვე ცხოვრებაში გამოსულნი, დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მხვდებიან. ჩემი ცხოვრების მანძილზე დიდი ხელის შეწყობა მქონდა მშობლებისაგან, სტიმული და სიხალისე ჩემი მეუღლისა და შვილებისაგან.**



**თამაზ ყურაშვილი** მუსიკოსი, მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 25 აგვისტოს. მშობლები: მერი მაჩაბელი, ბორის ყურაშვილი; მეუღლე — თამარ ყურაშვილი (1956); შვილი — ბორისი (1976). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1970), თბილისის სახ. კონსერვატორია. იყო ფილარმონიის ანსამბლ „დიელოს" (1968-69), ანსამბლ „ჩანგის" (1970), რადიოსა და ტელევიზიის კომიტეტის საესტრადო ორკესტრის (1968-82) სოლისტი; ჯაზ-ანსამბლის ხელმძღვანელი (1979), საესტრადო-სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი (1983-85). არის კომპოზიტორი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმისა „სუფთა დაფა" (1982), მხატვრული ფილმისა „ისინი" (1993), თელავის დრამატული თეატრის სპექტაკლისა „ათვინიერებენ მიმინოს" (1985), ს.ახმეტელის თეატრის სპექტაკლისა „შავი კატა". ჩაწერა 7 ფირფიტა (მოსკოვში, სოფიაში, ბრატისლავაში, სანკტ-პეტერბურგში, აშშ-ში). არის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (1984). მისი ბიოგრაფია შესულია „ჯაზის ენციკლოპედიაში" (აშშ, 1984) , „ჯაზის ანთოლოგიაში" (აშშ, 1995), ჯაზის ახალ (1999), ჯაზის მსოფლიო (აშშ, 2001) ენციკლოპედიებში.
**ჰობი:** კალათბურთი, კრივი.
**მისამართი:** *(ბინის) ნ.ნიკოლაძის 7. თბილისი 380079. ტელ: 99-93-51.*



**იზუმრუდ ყურბანოვი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. ყიზილ-აჯილოში (მარნეულის რ-ნი) 1965 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: ამალია ყურბანოვა, გაჯი ყურბანოვი; მეუღლე — ზახიდა ყურბანოვა (1971); შვილები: ორხანა (1998), ორხანი (1999), თურანი (2000), თორალი (2000). დაამთავრა ბაქოს სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკ-ტი (1984). იყო საშუალო სკოლის მასწავლებელი (1987-91), გაზეთ "გეირათის"დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი (1991 წლიდან), საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის რამდენიმე სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომის ავტორი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია "გეირათის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარის მოადგილე (1989).
**ჰობი:** წიგნებისა და გაზეთების კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ასლანოვის 17, მარნეული. ტელ: 2-13-29.*

**სიკეთე, სტაბილურობა.**



**გიორგი შაიშმელაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს იუნესკოს საქმეთა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ურბანისტიკის პოლიტიკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში საქართველოს ევროსაბჭოსთან საკანონმდებლო თანამშრომლობის ჯგუფის ხელმძღვანელი. დაიბადა სოფ. ნუკრიანში (სიღნაღის რ-ნი) 1939 წ. 8 ოქტომბერს. მშობლები: თამარ მესტიაშვილი, მიხეილ შაიშმელაშვილი; მეუღლე — ირინე ბეგიაშვილი (1943); შვილი — გიორგი (1970). დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1963). იყო რომის ურბანისტიკის ინ-ტის სტაჟიორი (1974-75), სპი დოცენტი (1980-92), სტუ არქიტექტურული გეგმარების კათედრის გამგე (1989-95), საქართველოში ურბანისტიკის კათედრის დამფუძნებელი და მისი პირველი გამგე (1992-95), საქართველოს უზენაესი საბჭოს (1990-91), პარლამენტის (1992-95, 1995-99) წევრი, საქართველო-იტალიის საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე, ურბანისტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). სტუ პროფესორია 1992 წლიდან. არის მცხეთის კომპლექსური ქალაქგეგმარებითი რეკონსტრუქციის პროექტის მთავარი არქიტექტორი, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან შემუშავებული მცხეთის ურბანული მემკვიდრეობის აღორძინების საერთაშორისო პროგრამის ხელმძღვანელი (1983), 100-ზე მეტი არქიტექტურულ-ქალაქგეგმარებითი პროექტისა და 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი (2000); საქართველოს მხატვართა და არქიტექტორთა (1962) კავშირების წევრი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1997).

**ჰობი:** კითხვა, ჩოგბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-12-38. (ბინის) ი.აბაშიძის 19. თბილისი 380079. ტელ: 22-17-36.*

**პროფესიონალიზმის პრიორიტეტისა და პროფესიული კულტურის განმსაზღვრელი როლის აღიარება. თითოეული ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში კულტურის ფუნდამენტური მნიშვნელობის აღიარება და დამკვიდრება. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში კულტურის ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა. კულტურული მემკვიდრეობის, როგორც კულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენლის, დაცვის მნიშვნელობისთვის პოლიტიკური განზომილების მინიჭება, საზოგადოებრივ ცნობიერებაში იმ იდეის დამკვიდრება, რომ კულტურული მემკვიდრეობის უფლება ადამიანის უფლებებისგან განუყოფელია.**



**ალექსანდრე შალამბერიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 30 მარტს. მშობლები: თამარ ბოკერია, გიორგი შალამბერიძე; მეუღლე – თამარ ბერიძე (1963); შვილები: გიორგი (1991), ირაკლი (1992). დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის მექანიზაციის ფაკ-ტი (1979), ასპირანტურა (1984). იყო მეცნიერ-თანამშრომელი (1984-90), პრეზიდენტის ბიუროს რწმუნებული იმერეთში (1991), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის აღმასრულებელი მდივანი, სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, საორგანიზაციო მდივანი (1992-96), თბილისის სახ. ქონების მართვის დეპარტამენტის განყ-ბის გამგე (1996-99), ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი (1998-99). არის ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1990).

**ჰობი:** ფეხბურთი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-11-39. (ბინის) ჭავჭავაძის 52. თბილისი 380079. ტელ: 22-00-39.*

**მიზანსწრაფვა, შრომისმოყვარეობა, თავგამოდება, პატრიოტიზმი.**



**ამირან შალიკაშვილი** რეჟისორი, მსახიობი, პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ბათუმში 1939 წ. 22 მარტს. მშობლები: ელენე ზარიძე, ვალერიან შალიკაშვილი; მეუღლე — კირა მებუკე (1952); შვილები: ვალერი (1960), გოჩა (1965), დათო (1978), ამირანი (1983). დაამთავრა თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის სარეჟისორო ფაკ-ტი (1960), თსთი დრამის მსახიობის სპეციალობით (1964). პანტომიმის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია 1965 წლიდან. არის ქართული პროფესიონალური პანტომიმის სკოლის ფუძემდებელი (1967), თსთი პანტომიმის განხრის დამფუძნებელი (1978), მ.აბაშიძის სახელობის ბათუმის სახ. ხელოვნების ინ-ტის პანტომიმის სარეჟისორო და სამსახიობო სახელოსნოს ხელმძღვანელი (1999 წლიდან), „ევროპის მიმების ფედერაციის" თავმჯდომარის მოადგილე (1999). გამოქვეყნებული აქვს სტატიები პანტომიმის ხელოვნების შესახებ, წიგნი „პანტომიმა დუმილის პოეზიაა" (1990). არის საქართველოს კომკავშირის (1978), კ.მარჯანიშვილის (1981) პრემიების, პრემიის — „საუკეთესო რეჟისორი პლასტიკაში" (1990-91) ლაურეატი, „ღირსების ორდენის" კავალერი (1999). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო", „საერთაშორისო თეატრალურ ენციკლოპედიაში" (IBC, 1990).
**ჰობი:** ლექსების წერა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 37. თბილისი 380008. ტელ: 99-63-14. (ბინის) ე.ახვლედიანის აღმართი, 9. თბილისი 380002. ტელ: 96-14-17.*
**მსოფლიოს თეატრის სიყვარული, განსაკუთრებით ქართული თეატრისა.**



**არმაზ შამანაური** საქართველოს პარლამენტის წევრი, მთიანი რეგიონებისა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1957 წ. 25 ივნისს. მშობლები: ქეთევან ზაქაიძე, ვახტანგ შამანაური; მეუღლე — ეკა ჩალაძე (1964); შვილები: თამარი (1992), ვახტანგი (1993). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1979). იყო გორკის საავტომობილო ქარხნის (რუსეთი) ოსტატი, უფროსი ოსტატი, ცვლის უფროსი (1979-83), თბილისის ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი (1983-85), თბილისის ორჯონიკიძის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, მრეწველობისა და ტრანსპორტის განყბის გამგე (1985-88), ვაკის რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1989-91), ვაკის რ-ნის გამგებლის მოადგილე (1992-95), მცხეთის რ-ნის გამგებელი (1995-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის ღირსების ორდენის კავალერი (1999); სმკ-ის წევრი (1995).
**ჰობი:** ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-12-85. (ბინის) ბახტრიონის 1, ბ. 29, თბილისი. ტელ: 96-87-16.*
**გულახდილობა.**



**შალიმან შამანაძე** მწერალი, დრამატურგი. დაიბადა ლანჩხუთში 1958 წ. 27 დეკემბერს. მშობლები: ცისანა წილოსანი, ნოდარ შამანაძე. დაამთავრა რიგის სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკ-ტი (1980). მუშაობდა მწერალთა კავშირის თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში (1981-91). არის მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის საგამომცემლო ცენტრ „ხომლის" დირექტორი, ლიტერატურულ გაზეთ „არილის" მთავარი რედაქტორი. გამოცემული აქვს ლექსების კრებულები, პიესები „ღია შუშაბანდი", „ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში". არის სცენარის ავტორი ფილმისა „მხოლოდ ერთხელ"; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1986).
**მისამართი:** *(სამსახურის) ლესელიძის 4, თბილისი. ტელ: 99-83-00/ ბესიკის 2, თბილისი. ტელ: 93-40-35. (ბინის) თემქა, XI მ/რ, II კვ. კორპ. 22-ა, ბ. 69. თბილისი 380097.*
**უანგარობა.**

**ვახტანგ შამილაძე** ისტორიკოსი-ეთნოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, კავკასიის



ხალხებთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, თსუ ეთნოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა სოფ. ახალშენში (ბათუმის რ-ნი) 1935 წ. 15 სექტემბერს. მშობლები: ფადიმე მიქელაძე, მამია შამილაძე; მეუღლე — ლამა აბაშიძე (1939); შვილი — ნანა (1969). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1958). იყო ბათუმის ს/კ ინ-ტის სწავლული მდივანი (1969-79), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1980-84), საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-1999), ფრაქცია „მამულის" თავმჯდომარე (1997-99). თსუ ეთნოლოგიის კათედრის გამგეა 1984 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები" (1979). არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა: „ალპური მესაქონლეობა საქართველოში" (1969), „Хозяйственно-культурные и социально-экомические проблемы скотоводства в Грузии" (1979) და სხვ; სამეცნიერო-პოპულარული წიგნებისა: „ეს საოცარი ამერიკა" (1995), „ეროვნული პოლიტიკის ისტორიიდან აშშ-ში" (1994), „სიმართლეს თვალი გავუსწოროთ" (1995). დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1978), მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" (1979), ღირსების ორდენით (1998). იყო სკკპ წევრი (1963-90), სსრკ სახალხო დეპუტატი (1989-91), სსრკ უზენაესი საბჭოს წევრი (1990-91), აჭარის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1992-95). არის აშშ-ის კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის წევრი (1993).

**ჰობი:** კლასიკური საოპერო მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ:92-12-04. (ბინის) ფანასკერტელის 20. თბილისი 380071. ტელ: 33-03-73.*

**იმ მაღალზნეობრივი პრინციპებისა და იდეალების დიდი ნაწილი, რომელსაც მთელი ცხოვრება შევალიეთ მე და ჩემი თაობის მრავალმა წარმომადგენელმა, სამწუხაროდ, დღეს კონსერვატორულ, არაპრესტიჟულ ცხოვრების წესადაა მონათლული. საზოგადოებრივი, ეროვნული იდეების დაქვეითება-დეგრადაცია და მატერიალურ ფასეულობათა წინა პლანზე წამოწევა, პლიუს ყალბად გაგებული პიროვნების თავისუფლების დროშის ფრიალი, ქვეყნის, ერის, საზოგადოების, შესაბამისად კი, იგივე პიროვნების ობიექტურად, რეალურად გაგებული თავისუფლების დამანგრეველ ფაქტორად იქცევა.**

**გოჩა შანიძე** „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის" თავმჯდომარე. დაიბადა ოზურგეთში 1966წ. 18 თებერვალს. მშობლები: ოლია მენაბდე, ვანო შანიძე; მეუღლე — მაია ბერაძე (1968); შვილები: მარიამი (1994), ზურაბი (1996), ვანო (1999). დაამთავრა პრაღის უმაღლესი ტექნიკური ინ-ტის ავტომატიზაცია-რობოტიზაციის ფაკ-ტი (1989). იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ს/კ ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1990-94), გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მთავარი მრჩეველი საინფორმაციო საკითხებში (1995-99). „ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის თავმჯდომარეა" 1995 წლიდან.

**ჰობი:** კომპიუტერული თამაშები, მთის ბუნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 3. ოზურგეთი 384370. ტელ: 6-44-85, (899) 57-73-31.ელ-ფოსტა: infoguria@iberiapac.ge (ბინის) ჭავჭავაძის 10. ოზურგეთი 384370. ტელ: 6-39-54.*

**სიკეთე და ერთგულება, ეს ორი თვისება არის ალბათ ჩემი ყოველი წარმატების საფუძველი. ძალიან მიყვარს და ვაფასებ კეთილ და ერთგულ ადამიანებს.**



**გურამ შარაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებულ ეროვნულ ფასეულობათა დაბრუნების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი. დაიბადა სოფ. გურიანთაში (ოზურგეთის რ-ნი) 1940 წ. 17 ოქტომბერს. მშობლები: ნინა ბელიქანიძე, სევერიან შარაძე; მეუღლე — სვეტლანა გახარია (1940); შვილები: ლაშა (1965), გიორგი (1970), რუსუდანი (1972). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1963). იყო თსუ რუსთაველის კაბინეტის თანამშრომელი (1966-67), ქართული ლიტერატურის ინ-ტის

მეცნიერ-თანამშრომელი (1967-72), სნავლული მდივანი (1973-75), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1975-78), ტექსტოლოგიის განყ-ბის გამგე (1978-85), ინფორმაციისა და ბიბლიოგრაფიის განყ-ბის გამგე (1985-92). ქართული ემიგრანტული მწერლობის განყ-ბის გამგეა 1992 წლიდან. იყო ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი (1992-93), თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის დირექტორი (1994-95). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თეიმურაზ ბაგრატიონი — რუსთველოლოგი" (1966), სადოქტორო — „თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრება და მოღვაწეობა" (1975). არის 30-ზე მეტი წიგნის ავტორი, მათ შორის: „თეიმურაზ ბაგრატიონი" 2 ტომად (1972,1974); „მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა" (1978); „მიკლო კიში და ქართული სტამბა" (1982); „ვიკარი — ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი" (1983). „ილია ჭავჭავაძე" მონოგრაფია ორ ტომად (1987, 1991); „უცხოეთის ცის ქვეშ" 3 ტომად (1992-93); „მემედ აბაშიძე" (ბათუმი,1995), „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება" (1998), „ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა" (1999), „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია" (I-II, თბილისი. 2000). არის საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე (1987 წლიდან), ივ.მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარე (1989 წლიდან), მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, პარიზის ეროვნული საბჭოს და ჟურნალ „მებრძოლი საქართველოს" (პარიზი-მიუნჰენი) რედაქციის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის, მ.აბაშიძის, ნ.ბერძენიშვილის პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ოქროს მედლით „უნგრეთის ინტერესების დაცვისათვის მთელ მსოფლიოში"

**ჰობი:** ძველი ფოტოების შეგროვება.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-90-62. ფაქსი: 92-20-26. (ბინის) ჭავჭავაძის 15. თბილისი 380079. ტელ: 23-26-15.*

**საქართველოს სამსახური.**



**თენგიზ შარმანაშვილი** საქართველოს იუსტიციის საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 12 აგვისტოს. მშობლები: ნანა შარმანაშვილი, დავით შარმანაშვილი; მეუღლე — მაია უგლავა (1964); შვილები: მარიამი (1995), ნინო (1997). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის (1986) და იურიდიული (1996) ფაკ-ტები. იყო ენათმეცნიერების ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1986-92), სახელმწიფო კანცელარიის განყ-ბის უფროსი (1992-93), ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორის ურთიერთობის სახ. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1995-99), საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს უფროსი (2000). არის სახალხო პარტიის წევრი.

**ჰობი:** მთამსვლელობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს იუსტიციის საბჭო. აღმაშენებლის 80. თბილისი 380002. ტელ: 95-37-40. ფაქსი: 95-76-30. ელ-ფოსტა: justice@caucasus.net*

**პატიოსნება, პატრიოტიზმი და ყოველდღიური პროფესიული ზრდა არის ჩემი უმთავრესი კრედო. ჩემი მიზანია სერიოზული საფუძველი ჩაეყაროს საქართველოს ერთიანი ევროპული ოჯახის წევრად გახდომას, ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარებას. ჩემი წარმატება, ალბათ, განაპირობა ინდივიდუალურმა თვისებებმა და პოლიტიკაში გუნდური თამაშის წესების ცოდნამ.**



**ნუგზარ შატაიძე** მწერალი, დრამატურგი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 9 მარტს. მშობლები: ელენე ხიზამბარელი, ვახტანგ შატაიძე; მეუღლე — ელისაბედ ყვავილაშვილი (1952); შვილები: ლალი (1965), თამუნა (1979), ვახტანგ (1985) შატაიძეები, ნინო მაღლაკელიძე (1977). სწავლობდა თსუ ფიზიკის ფაკ-ტზე. დაამთავრა სპი ენერგეტიკის ფაკ-ტი (1967). იყო ინჟინერ-ენერგეტიკოსი, ინჟინერ-მშენებელი, გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი, ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" განყ-ბის გამგე, კ/ს „ქართული ფილმთან" არსებული გაერთიანების წევრი (1979-85), გამომცემლობა „მერანის" პროზის განყ-ბის გამგე (1989 წლიდან). არის მოთხრობების კრებულე-

ბის: „მოლხინო" (1986), „სოფლის ძველი სახლი" (1990), „ელიქარი" (1996), „ხელეური" (1998), „მოთხრობები" (1979) ავტორი. მისი სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: „მეველუდი", „ლომა", „პეიტარი", „თედო", „მიახლოება". არის მწერალთა კავშირის რამდენიმე ყოველწლიური პრემიის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996), საქართველოს „პენ-ცენტრის" ვიცე-პრეზიდენტი 1998 წლიდან. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. (1998) იყო მწერალთა კავშირის (1978-98), მწერალთა გაერთიანება „ოტარიდის" (1996-98) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.
**ჰობი:** ქართული კერძები, ბილიარდი, თევზაობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ლ.გუდიაშვილის მოედანი 2. ტელ: 99-03-65.(ბინის) ნუცუბიძის პლატო IV მ/რ, კორპ. 17, ბ. 125. ტელ: 32-50-41.*



**ბელა შაშიაშვილი** ახმეტის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა ახმეტაში 1969 წ. 2 თებერვალს. მშობლები: ციცინო მაისურაძე, მერაბ შაშიაშვილი; მეუღლე — თინათინ კულალაღაშვილი (1971); შვილი — ნიკა (1999). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1993). იყო შსს კახეთის რეგიონალური სამმართველოს გამომძიებელი (1993-94), შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ახმეტის ქვეგანყ-ბის გამომძიებელი (1994-98), შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გამნსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი (1998-99). ახმეტის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** კინო, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჩოლოყაშვილის 101. ახმეტა 383350. ტელ: 2-17-47. (ბინის) ბახტრიონის 22. ახმეტა 383350. ტელ: 2-10-07.*

**ჩემი ცხოვრებისეული კრედოა მოსამართლის ფიცში ჩამოყალიბებული პრინციპები: სიმართლისა და სამართლიანობის სამსახური; ადამიანის უფლებების, საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების განუხრელად დაცვა.**

**თეიმურაზ შაშიაშვილი** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში. დაიბადა ქუთაისში 1951 წ. დაამთავრა ქუთაისის პოლიტექნიკური ინ-ტი. იყო ქუთაისის სტამბის მუშა, ინჟინერი, ქუთაისის ალმასკომის თავმჯდომარე (1989-91); საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1990), საქართველოს დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1992), პარლამენტის წევრი (1992-93), ქუთაისის მერი (1993-97), საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში (1995-97). პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულია იმერეთის მხარეში 1997 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 3. ქუთაისი. ტელ/ფაქსი: 98-29-39.*



**ნიკოლოზ შაშკინი** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი. დაიბადა ქ. უმანში ( უკრაინა) 1941 წ. 24 სექტემბერს. მშობლები: მატრონა შაშკინა, ვასილ შაშკინი; მეუღლე — ტატიანა შაშკინა (1949); შვილები: დიმიტრი (1975), ოლღა (1984). დაამთავრა თბილისის ფიზკულტურის სახ. ინ-ტი (1964), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1970). იყო შსს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს ინსპექტორი (1971-74); რესპუბლიკის პროკურატურის განყ-ბის (1974-76), სკკპ ცკ-ს ადმინისტრაციული განყ-ბის პროკურორი (1976-79), „დინამოს" საბჭოს განყ-ბის უფროსი (1979-80), რესპუბლიკის პროკურატურის განყ-ბის უფროსი, საერთო ზედამხედველობის განყ-ბის უფროსის მოადგილე, საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე, საგამოძიებო ნაწილის უფროსი, სასამართლოზე ზედამხედველობის განყ-ბის უფროსი (1980-88), თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყ-ბის პროკურორი, უფროსი პროკურორი, ეკოლოგიის ჯგუფის უფროსი (1988-96). საკონსტიტუციო სასამართლოს წევრია 1996 წლიდან. არის სპორტის ოსტატი ცურვასა და წყალბურთში. მრავალი სპარტაკიადისა და საერთაშორისო ტურნირის მონაწილე.
**ჰობი:** თევზაობა, სპორტი.

*მისამართი: (სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 94-08-92. (ბინის) საბურთალოს ქუჩა კორპ. III, ბ. 11. ტელ: 38-26-40.*
**სიკეთის კეთება, მიზანსწრაფულობა, შრომისმოყვარეობა.**



**ედუარდ შევარდნაძე** საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. დაიბადა სოფ. მამათში (ლანჩხუთის რ-ნი) 1928 წ. 25 იანვარს. მეუღლე — ნანული ცაგარეიშვილი; შვილები: მანანა, პაატა. დაამთავრა ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინ-ტის ისტორიის ფაკ-ტი. იყო საქართველოს კომკავშირის ცკ-ს მცხეთის რაიკომის პირველი მდივანი (1961-62), თბილისის პირველი მაისის რ-ნის რაიკომის პირველი მდივანი (1963-64), საქართველოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (1964-65), საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი (1965-72), საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი (1972-85), სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-91); ამ პოსტიდან გადადგომის შემდეგ ხელმძღვანელობდა საგარეო პოლიტიკურ ასოციაციას. იყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე (1992 წლის მარტი-ოქტომბერი), საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური (1992-95). საქართველოს პრეზიდენტია 1995 წლიდან. არის ავტორი წიგნისა „ჩემი არჩევანი". არის ბოსტონის, ჰარვარდის, ატლანტის, ლოს-ანჯელესის, პროვიდენსის (აშშ), ტრიესტის (იტალია) უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი, კანტის, ონასისის, ნიქსონის, ენრონის, ჰარიმანის, ვიუნშეს, ისრაელის დემოკრატიული ინ-ტის პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია აშშ აღმოსავლეთისა და დასავლეთის უშიშროების საკითხთა შემსწავლელი ინ-ტის, ქეარინგის ინ-ტის, აღმოსავლეთ-დასავლეთის ინ-ის საპატიო ჯილდოებით. იყო სმკ-ის თავმჯდომარე (1993-2001).
**მისამართი:** *(სამსახურის) სახელმწიფო კანცელარია. ინგოროყვას 7. თბილისი 380034.*



**ლეილა შელია** მხატვარი. დაიბადა სოხუმში 1953 წ. 20 ივლისს. მშობლები: თამარ ხუბუტია, გიორგი შელია. დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1978). იყო სპი არქიტექტურის ფაკ-ტის პედაგოგი (1982-94). არსი ავტორი ნამუშევრებისა: „ლირიკული ნიაღსვლა" (1984), „ნატვრის ხე", „კომპოზიცია" (1990), „ფანჯრიდან", „შეხვედრა" (1994-96), „სიზიფეს ქვა" (1996), „გუშინ და დღეს" (1997), „ლურჯი ფრესკიდან" (1998), „ტრანსფორმაცია" (1999), „ჩამავალი მზე", „ღამის პეპლები" (2000). მიღებული აქვს მოსკოვის ბავშვთა მსოფლიო გამოფენის „ჩემი სახლი, ჩემი ქვეყანა" მედალი და დიპლომი (1996). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1986). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** მუსიკა, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(ბინის) ნუცუბიძის III მ/რ, I კვ., XIII კორპ., ბ. 1, თბილისი. ტელ: 32-55-94.*



**გიორგი შენგელაია** კინორეჟისორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 11 მაისს. მშობლები: ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია; შვილები: ნიკოლოზი (1958), ალექსანდრე (1963), გიორგი, (1986). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მოსკოვი,1959). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი (1955-59), რეჟისორი (1959 წლიდან). არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „ალავერდობა" (1963), „მაცი ხვიტია" (1965), „ფიროსმანი" (1969), „ვერის უბნის მელოდიები" (1973), „ქვიშანი დარჩებიან" (1975), „სიყვარული ყველას უნდა" (1980), „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" (1984), „ხარება და გოგია" (1987), „ორფეოსის სიკვდილი" (1996), „სიყვარული ვენახში" (1999) და სხვ. არის საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზიორი, მიღებული აქვს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი" (პრიზი საუკეთესო რეჟისურისთვის, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა",1986), ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალის გრან-პრი „ოქროს ჰიუგო"

(„ფიროსმანი", 1975). არის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი (1980), საქართველოს სახალხო არტისტი (1985), „საპატიო ნიშნის", საქართველოს ღირსების ორდენების კავალერი.
მისამართი: *(სამსახურის) ახმეტელის 10 ა. თბილისი 380059. ტელ: 95-03-02. (ბინის) კეკელიძის 16, ბ. 12. თბილისი 380079. ტელ: 22-64-11.*

**ჩემი იდეალებია: განათლება, კულტურა, სათნოება. ხელოვნებაში — ნაციონალურ სუბსტანციაზე დაყრდნობით ზოგადსაკაცობრიო იდეალებისკენ სწრაფვა, საზოგადოებაში — თანასწორობისაკენ სწრაფვა.**



**გურამ შენგელაია** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსი. დაიბადა თბილისში 1925 წ. 27 მაისს. მშობლები: ქსენია ხასია, შალვა შენგელაია; მეუღლე — ჯულიეტა ცქიტიშვილი (1926); შვილი — თამარი (1950). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1949). იყო გეოფიზიკის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი ინჟინერი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1949-61), დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყ-ბის სწავლული მდივანი (1961-79), გეოფიზიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1979-82). გეოფიზიკის ინ-ტთან არსებული სეისმური დაცვის ეროვნული სამსახურის უფროსია 1982 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კავკასიის დედამიწის ქერქის გრავიტაციული მოდელი" (1982). გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები: „მტკრის დეპრესიის დასავლეთი ნაწილის დედამიწის ქერქის აგებულება" (1968), „დედამიწის ქერქის სამგანზომილებიანი გრავიტაციული მოდელის აგების მეთოდი" (1979), „კავკასიის დედამიწის ქერქის გრავიტაციული მოდელი" (1984) და სხვ. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1992), მ.ალექსიძის პრემიის ლაურეატი (1994), აშშ (1991) და ევრო-აზიის (1994) გეოფიზიკური საზოგადოებების წევრი, ღირსების ორდენის კავალერი (2000).
ჰობი: დედამიწა და მისი პლანეტური მოვლენების შეცნობა.
მისამართი: *(სამსახურის) მ.ალექსიძის 1. თბილისი 380093. ტელ: 33-59-34. ფაქსი: 33-57-03. ელ-ფოსტა: guram@sesdes.acnet.ge (ბინის) როდენის 3. თბილისი 380079. ტელ: 22-66-37.*

**ჩემი ცხოვრების კრედოა: ერთგულად და თავდადებით ემსახურო იმ საქმეს, რაც გევალება. გამოიჩინო ინტერესი ამ დარგში მეცნიერების მიღწევების საქართველოში დანერგვისადმი. უნდა გჯეროდეს, რომ საქართველოს ნიაღი ქართველზე უკეთ არავის შეუსწავლია და ვერც ვერავინ შეისწავლის მას. სიყვარული არ მოაკლო შენს მასწავლებლებს — ხალხს, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის შენს მეცნიერულ აღზრდაში და იზრუნო მათი მეცნიერული იდეების ცხოვრებაში გატარებაზე. მორალური და მატერიალური დახმარება გაუწიო კოლეგებსა და მეგობრებს. პირადი ინტერესები დააყენო უკანა პლანზე. გამორიცხო ამბიციურობა. შეეცადო იყო პატარასთან პატარა, დიდთან — დიდი. ეცადო შეუნდო ყველას უნებლიედ ჩადენილი შეცდომები. დაუღალავად ემსახურო მომავალი თაობის — სტუდენტების აღზრდას.**



**ელდარ შენგელაია** კინორეჟისორი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 26 მაისს მშობლები: ნატო ვაჩნაძე, ნიკოლოზ შენგელაია; მეუღლე — ნელი შენგელაია (1950); შვილები: ნატალია (1958), ეკატერინე (1967), ელენე (1983). დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (მოსკოვი,1958). მუშაობდა კ/ს „მოსფილმში" (1957-60). კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორია 1960 წლიდან. იყო კინემატოგრაფისტთა კავშირის I მდივანი (1976-91), თავმჯდომარეა 1991 წლიდან. იყო საქართველოს სსრ (1980-85) და სსრკ (1989-91) უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990-92), სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), პარლამენტის წევრი, კულტურის კომისიის თავმჯდომარე (1992-95). პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეა 1995 წლიდან. არის რეჟისორი ფილმებისა: „ლეგენდა გაყინულ გულზე" (1957), „ზამთრის ზღაპარი" (1959), „თეთრი ქარავანი" (1963), „მიქელა" (1965), „არაჩვეულებრივი გამოფენა"

(1968), „შერეკილები" (1974), „სამანიშვილის დედინაცვალი" (1978), „ცისფერი მთები ანუ ტიან-შანი" (1983), „ექსპრეს-ინფორმაცია" (1993), ვიდეო-ფილმისა „9 აპრილის ტრაგედია" (1989) და სხვ. არის საკავშირო და საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზიორი, საქართველოს ლენინური კომკავშირის (1967), სსრკ სახელმწიფო (1985) პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი (1988), შრომის წითელი დროშის (1976), ლენინის (1986) ორდენების კავალერი. იყო პოლიტიკური ორგანიზაცია „სახალხო ფრონტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი, სმკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, თავმჯდომარის მოადგილე.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-14-47, 93-10-49.*

**ავთანდილ შენგელია** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა აბაშაში 1954 წ. 25 თებერვალს. მშობლები: დორა შენგელია, ფარსადან შენგელია; მეუღლე — ეთერ ფაცაცია (1959); შვილები: ლევანი (1986), ლაშა (1991). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1981). იყო ქუთაისის ავტოქარხნის რ-ნის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე (1987-91), ბაღდათის რ-ნის პროკურორი (1995-96), საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ქუთაისის საგამოძიებო განყ-ბის უფროსი (1996-99).
ჰობი: თევზაობა, ქართული კლასიკური პროზა.
მისამართი: *(სამსახურის) ნიუპორტის 32, ბ. 4, ქუთაისი. (ბინის) ბუხაიძის 11ა, ბ. 20, ქუთაისი. ტელ: 7-36-69.*

**სიმართლის მსახურება, ობიექტურობა, გზააბნეულის სწორ გზაზე დაყენება, შრომისმოყვარეობა, მეგობრობაში სისუფთავე, უფროსებისადმი პატივისცემა, უმცროსებისადმი ყურადღების მიქცევა და მათი აზრის მოსმენა, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების პრიორიტეტულობა პირადულთან შედარებით.**



**ზაზა შენგელია** საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარე. დაიბადა ბათუმში 1963 წ. 22 მაისს. მშობლები: ზოია კალანდარიშვილი, ოთარ შენგელია; მეუღლე — სესილი გოგიბერიძე (1961); შვილი — ნინო (1986). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1985), ასპირანტურა (1989). იყო რ.თაბუკაშვილის სახელობის საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობების ცენტრის პასუხისმგებელი მდივანი (1990-92), ტელეკომპანია „იბერვიზიის" დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი (1992-94), სახელმწიფოს მეთაურის პრესმდივნის მოადგილე (1994-95), თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი (1995-96), სახელმწიფო მინისტრის მოადგილე (1996-99). საქტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარეა 1999 წლიდან. არის საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალის „მანას" დამფუძნებელი და საპატიო პრეზიდენტი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „თბილისის მოსახლეობის დემოგრაფიული თავისებურებები და ეთნოკულტურული ურთიერთობანი XIXს. მერე ნახევარში" (1999). არის ევროპის ტელეჟურნალისტთა კავშირის წევრი (1995).
ჰობი: თანამედროვე მუსიკა (ჯაზი, სოული, ჯაზ-როკი, მუსიკა კინოფილმებიდან, ქართული ფოლკლორული მუსიკა), კომპაქტ-დისკების კოლექციონირება.
მისამართი: *(სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი 380071. ტელ: 33-45-85. (ბინის) ბარნოვის 71. თბილისი 380079. ტელ: 22-70-76.*

**ჩემს ძირითად ცხოვრებისეულ კრედოს წარმოადგენს პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი, პატიოსნება. ძალიან მიყვარს სხვისი მოსმენა და გაჭირვებულისათვის დახმარების გაწევა (შესაძლებლობის ფარგლებში, რა თქმა უნდა) დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, საკუთარი საქმის კეთება დიდ სიამოვნებას მანიჭებს. მუშაობის დროს ვსარგებლობ „გუნდური" პრინციპით. მახასიათებს (როგორც სხვები ამბობენ) შრომისმოყვარეობა, ახლის კეთების სურვილი, რისკი და საკუთარი პრინციპების ერთგულება. ჩემთვის იდეალური ისტორიული პიროვნებები: გიორგი ბრწყინვალე, ბენ გურიონი და ჩარლი ჩაპლინი. საყვარელი მწერლები: თომას მანი და გურამ დოჩანაშვილი, საყვარელი მომღერალი და მუსიკოსი — ფრენკ სინატრა და სტივი უანდერი, კინორეჟისორები: ოთარ იოსელიანი, ბერნარდო ბერტოლუჩი და მაიკლ ჩიმინო.**



**მერაბ შენგელია** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 18 იანვარს. მშობლები: ნინო მაჭავარიანი, თეიმურაზ შენგელია; მეუღლე — ნინო ჟამიერაშვილი (1964); შვილები: თეიმურაზი (1988), თინათინი (1991). დაამთავრა სპი მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1982), მეტალურგიის ინ-ტის ასპირანტურა (1987). იყო გაერთიანება "ელაპარატის" მთავარი საკონსტრუქტორო განყ-ბის ინჟინერ-კონსტრუქტორი (1982-85), მეტალურგიის ინ-ტის ინჟინერი (1987-88), უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1988-89), მეცნიერ-თანამშრომელი (1989-95), შპს "მენიმექსის" დირექტორი (1995-99). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ტიტანის შენადნობების რთული პროფილების იზოთერმული გლინვის პროცესით დამუშავება" (1991). არის საქართველოს სოციალისტური პარტიის წევრი (1997).
**ჰობი:** ცხენოსნობა, ქანდაკება, მუსიკა, ავტოსპორტი.
**მისამართი:** *(ბინის) ბახტრიონის 11 ბ. 12, თბილისი. ტელ: 94-33-76*

**პატიოსნება, სიკეთის კეთება, ერთგულება, რწმენა, თანადგომა. ეს მმატებს სულიერ სიძლიერეს, რაც მეხმარება ცხოვრებაში არსებული ყველა სიძნელის გადალახვაში და მანიჭებს დიდ სიამოვნებას. ყოველი დასახული მიზანი, რომელიც ადრე შეიძლება ოცნებაც იყო, საკუთარ თავზე შეუპოვარი მუშაობით მიიღწევა.**



**ოთარ შენგელია** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. პატიკეთში (წყალტუბოს რ-ნი) 1947 წ. 28 მარტს. მშობლები: თამარ მამისეიშვილი, აკაკი შენგელია; მეუღლე — ნარგიზა ჯიქია (1949); შვილები: აკაკი (1977), ოთარი (1979). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1972). იყო იურისკონსულტი, კპ რაიკომის ინსტრუქტორი, განყ-ბის გამგე (1973-79), მოსამართლე, წყალტუბოს სასამართლოს თავმჯდომარე (1979-91), წყალტუბოს გამგებელი, წყალტუბოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი, საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის სახ. ინსტიტუტების აღმშენებლობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე (1995-99), იუსტიციის საბჭოს წევრი.
**ჰობი:** კალათბურთი, მეგობრებთან ყოფნა, გაზეთები.
**მისამართი:** *(სამსახურის) ნიუპორტის 32, ქუთაისი. (ბინის) დედაენის ქ. 20. წყალტუბო.*

**სიმართლე ყველგან და ყველაფერში. უმეგობრო კაცი მურიანი და ბოროტია. კანონის უზენაესობა. მძულს პოპულიზმი. ვარ ყველა გაჭირვებულის დამხმარე. ძალიან მიყვარს ახალგაზრდებთან მუშაობა. ყველაფერს ვაკეთებ მხოლოდ და მხოლოდ კაცური კაცის სახელისთვის, ოჯახის სინმინდისა და ტრადიციების პატივსაცემად. ძალიან მიყვარს წესრიგი, განსაკუთრებით სამსახურში.**



**ლორეტა შენგელია-აბაშიძე** საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 14 დეკემბერს. მშობლები: ანა ფიშერი-შენგელია, სერგო შენგელია; მეუღლე — ვლადიმერ აბაშიძე (1927); შვილი — გიორგი (1968). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1966), ასპირანტურა (1972). იყო თსსა გრაფიკის კათედრის პედაგოგი (1972-96), არის პროფესორი (1996 წლიდან), ილუსტრაციის სახელოსნოს ხელმძღვანელი (1994 წლიდან), მუშაობდა კასტერლეის "მაზარელ-ცენტრის" სახელოსნოში (1996). მუშაობს ფერწერის, დაზგური გრაფიკის, წიგნის გაფორმებისა და ილუსტრაციის ჟანრებში. გააფორმა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკები, "შუშანიკის წამება", შექსპირის პიესების ხუთტომეული, ძმ. გრიმების ზღაპრები; ავტორია პორტრეტების სერიისა "თბილისი და თბილისელები" (1989) და სხვ. არის საქართველოში, ყოფილი სსრკ ქვეყნებსა და საზღვარგარეთ გამართული მრავალი გამოფენის (1968 წლიდან), ბრატისლავისა (1995) და თეირანის (1993) ბიენალეების მონაწილე. დაჯილდოებულია საქართველოს მხატვართა კავშირის მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისთვის (1982), ესტამპის საკავშირო გამოფენის გრან-პრით (1991). არის საქართველოს გერმანელთა ასოციაცია "აინუნგის", მხატვართა კავშირის (1968) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (ტ. XIX), ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი 2000).
**ჰობი:** მოგზაურობა.

*მისამართი: (სამსახურის) გრიბოედოვის 22. თბილისი 380008. (ბინის) საბურთალოს 35, თბილისი. ტელ: 99-72-59.*

**შრომა, შრომა და მიზანსწრაფვა.**



**გიორგი შერვაშიძე** საქართველოს შსს შინაგანი ჯარების სარდალი. დაიბადა ზუგდიდში 1955 წ. 10 თებერვალს. მშობლები: ბაბილინა ბებია, სერგო შერვაშიძე; მეუღლე — ნინო ფანცულაია (1956); შვილები: სოფიკო (1981), მიხეილი (1983), სერგო (1992). დაამთავრა თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სასწავლებელი (1974), მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია (1993). იყო ოცმეთაური (1978-82), ასმეთაური (1982-83), საქართველოს კომისარიატის განყ-ბის ოფიცერი (1983-85), თეთრი წყაროს რ-ნის (1985-89), მცხეთის რ-ნის კომისარი (1989-92), საქართველოს ეროვნული სამხედრო აკადემიის უფროსის მოადგილე (1992-94), შინაგანი ჯარების საჯარისო სამსახურის უფროსი (1994-95), ბრიგადის მეთაური (1995-96), შტაბის უფროსი (1996). შინაგანი ჯარების სარდალია 1996 წლიდან. სსრკ არმიაში სამსახურის დროს დაჯილდოებულია საიუბილეო მედლებით, მედლით „უმწიკვლო სამსახურისთვის", ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

**ჰობი:** შვილები.

**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 43. თბილისი 380077. ტელ: 39-17-56, 98-65-42. (ბინის) არაგვის 1. თბილისი 380007. ტელ: 93-32-25.*

**შეურიგებლობა სიცრუესა და ორპირობასთან, ზემდგომი ხელმძღვანელიდან მიღებული ბრძანებების შესრულება, ხელქვეითებზე გაცემული ბრძანებების შესრულების მკაცრი კონტროლი, ნებისმიერი სადავო საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა, საკუთარი თავისა და ხელქვეითების მიმართ სამართლიანი მომთხოვნელობა. ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოს სჭირდება კარგად შეიარაღებული და განვრთნილი არმია, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა იგი გამოყენებული პირდაპირი დანიშნულებით. ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა ძლიერი ჯარია.**



**ია შვანგირაძე** ქუთაისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ხუნწში (მარტვილის რ-ნი) 1962 წ. 8 მაისს. მშობლები: თინა სულაბერიძე, გენო ჯიშკარიანი; მეუღლე - ტარიელ შვანგირაძე (1956); შვილი — ირაკლი (1987). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო ს/გ "საქნახშირის" (1986-89), საბინაო მეურნეობის ტრესტის (1989-90), ქუთაისის კომუნალური გაერთიანების (1990-91), თავდაცვის სამინისტროს საბინაო-საექსპლუატაციო ნაწილის, ბირჟა "რიონის" (1991-93) იურისტი, ქუთაისის ადვოკატურის ადვოკატი (1993-99). არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (1994), მოსამართლეთა კავშირის (2000) წევრი.

**ჰობი:** მხატვრული ფოტოგრაფია, ლიტერატურა, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ნიუპორტის 32, ქუთაისი. ტელ: 4-57-30. (ბინის) ავტომშენებლის 171/2, ქუთაისი.*

**ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია, რასაც ძალიან მოინდომებ, აუცილებლად მიაღწევ. ყველა ადამიანმა თავისი საკეთებელი საქმე გულით უნდა აკეთოს და ამ საქმეში ბოლომდე უნდა დაიხარჯოს. ჩვენი შეცდომების მიზეზი უმჯობესია მხოლოდ საკუთარ თავში ვეძებოთ, რადგან მათი სხვებზე გადაბრალებით უკეთეს მომავალს ვერ შევქმნით. მინდა ჩემმა შვილმა უკეთეს საქართველოში იცხოვროს და ჩემით იამაყოს.**



**მირონ შველიძე** მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა 1947 წ. 21 დეკემბერს. მშობლები: მარიამ ტეტუნაშვილი, პავლე შველიძე; მეუღლე — მანანა ლომიძე (1947); შვილები: ნიკოლოზი (1976), გიორგი (1977), მარიამი (1978). დაამთავრა თსსა თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის განყ-ბა (1971). რუსთაველის თეატრის დამდგმელი მხატვარია 1971 წლიდან. არის დამდგმელი მხატვარი სპექტაკლებისა: პ.კაკაბაძის „ყვარყვარე", უ.შექსპირის „რიჩარდ III", „მეფე ლირი", „ტიტუს ანდრონიკუსი", „მაკბეტი", „კორიოლანოსი", მ.ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი", „ჯაყოს ხიზნები", ზ.ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", რ.ლაღიძის „ლელა", ჯ.ვერდის „ოტელო" (უ.იმერლიშვილთან ერთად), გ.რობაქიძის „ლამარა",

ლ.თაბუკაშვილის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი", ი.სამსონაძის „იქ, სადაც ღვარად მოედინება"და სხვ.; თურქეთის, ისრაელისა და საბერძნეთის თეატრების სპექტაკლებისა. არის საქართველოს სახელმწიფო და მ.აბაშიძის სახელობის პრემიების ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.
**ჰობი:** თევზაობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. (ბინის) პუშკინის 13. თბილისი 380005. ტელ: 99-96-78.*



**შალვა შილაკაძე** კომპოზიტორი, დირიჟორი, კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს" სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 21 თებერვალს. მშობლები: დომნა მაღულარია-შილაკაძე, ივანე შილაკაძე; მეუღლე ლიანა ცომაია-შილაკაძე; შვილები: ივანე (1964), გიორგი (1967), სოფიო (1975). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის საშემსრულებლო (ალტი, 1963) და საკომპოზიციო (1968), ლენინგრადის კონსერვატორიის სადირიჟორო (1974) ფაკ-ტები. იყო საქართველოს სახ. სიმფონიური და კამერული ორკესტრის მსახიობი (1959-69), თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი (1969-84), ანსამბლ „თბილისის კამერატას" დამაარსებელი და მთავარი დირიჟორი (1976-85). არის კონსერვატორიის დოცენტი (1984 წლიდან), „თბილისის კონცერტინოს" დამაარსებელი და მთავარი დირიჟორი (1988 წლიდან). არის სიმფონიური, კამერული და საგუნდო ნაწარმოებების ავტორი. გამართა 700-მდე კონცერტი საქართველოში და საზღვარგარეთ (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ტალინი, ვილნიუსი, მინსკი, გერმანია 1990-1997, ესპანეთი 1993, შვეიცარია 1996-97, დიდი ბრიტანეთი 1998). არის საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (2000), კომპოზიტორთა კავშირის წევრი (1973). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში International Who's Who in Music and Musicians Directory (IBC, XVI edition).
**ჰობი:** მუსიკა, ხელოვნება, ბუნება.
**მისამართი:** *(სამსახურის) ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანება. რუსთაველის 37. თბილისი 380008. ტელ: 99-54-02, 92-06-21.*

**ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანი გარკვეული მისიით ევლინება ამ ქვეყანას. დაკისრებული მისიის ამოცნობა უდიდესი ბედნიერებაა. ამ შემთხვევაში პროფესიის არჩევა, მისადმი ერთგულება და სიყვარული არსებობის ფორმად იქცევა, რაც განსაზღვრავს კიდეც ცხოვრების მიზანს. სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული, ზნეობრიობა, კაცთმოყვარეობა და კეთილმოსურნეობა შერწყმული პრინციპულობასთან საფუძველია საზოგადოებასთან ურთიერთობისა. იდეალის მიღწევა და განხორციელება შეუძლებლად მიმაჩნია კაცობრიობის განვითარების დღევანდელ საფეხურზე.**



**რამაზ შიშნიაშვილი** საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1934 წ. 14 აპრილს. მშობლები: ქეთევან ჯავახიშვილი, მიხეილ შიშნიაშვილი; მეუღლე — მედეა ჩიკოიძე (1941); შვილი — მარინე (1962). დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სატყეო-სამეურნეო ფაკ-ტი (1960). იყო დუშეთის სატყეო მეურნეობის სატყეოს უფროსის თანაშემწე, უფროსი (1960-61), საგურამოს ნაკრძალის დირექტორი (1961-67), მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ბუნების დაცვის რესპუბლიკური კომისიის სწავლული მდივანი (1967-74), თბილისის გამწვანების სამმართველოს მთავარი მექანიკოსის მოადგილე (1975-76), ბოლნისის სატყეო მეურნეობის დირექტორი (1976-86). დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარეა 1986 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფიჭვის შიდასახეობრივი სახეცვლილებანი კავკასიაში" (1968). გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატია. არის საქართველოს დამსახურებული მეტყევე (1984), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის პრეზიდიუმის წევრი.
**ჰობი:** მოგზაურობა.

*მისამართი: (სამსახურის) ჭავჭავაძის 84 თბილისი 380062. ტელ: 23-50-77, 23-52-83. (ბინის) ლარსის I. ბ. 39. თბილისი 380079. ტელ: 23-31-41.*

**პატიოსნება, პრინციპულობა, ერთგულება, ბუნების სიყვარული.**

**ომარ შოთაშვილი** საქართველოს ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი, უმაღლესი კატეგორიის ბიბლიოთეკარი და ბიბლიოგრაფი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 19 ივნისს. მშობლები: ელენე ღარიბაშვილი, იოსებ შოთაშვილი; მეუღლე — თამარ მახათაძე (1961); შვილები: ხათუნა (1976), გიორგი (1983), ანა (1997). დაამთავრა სპი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკ-ტი (1970). მუშაობდა თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში (1961-63) იყო გამომცემლობა „კომუნისტის" მუშა (1963-71), ცეკავშირის რუსულენოვანი ლიტერატურის საწყობის გამგე (1971-73), რესპუბლიკური საბავშვო ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარი (1973-74), მთავარი ბიბლიოთეკარი (1974-75), ახალგაზრდობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდური განყბის გამგე (1975-91). დირექტორია 1991 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს მეთოდური წერილები: „ახალგაზრდა მკითხველთა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განვითარების გზები და პერსპექტივები საქართველოში" (1979), „ახალგაზრდობის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების შინაარსობრივი მიმართულებების განსაზღვრა და დაკომპლექტების თავისებურებები" (1982), „წიგნის კითხვის კულტურის ამაღლების ზოგიერთი საკითხი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში" (1983) და სხვ. თარგმნილი აქვს მეთოდურ-საინსტრუქციო წერილები: „Организация библиотечного обслуживания юношества в условиях централизованной системы" (1977), „ახალგაზრდობისთვის სპეციალიზებული რესპუბლიკური, ასსრ და საოლქო ბიბლიოთეკების თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქცია" (1979). მონაწილეობდა ფილმებში: „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი" (არტემ ჩაჩანიძე), „ლოლიტა" (ფიზკულტურის მასწავლებელი). არის რესპუბლიკის საპატიო ბიბლიოთეკარი, საკავშირო ალკკ ცკ-ის დიპლომანტი, საბიბლიოთეკო რესპუბლიკური ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი. მიღებული აქვს სამამულო ომის დამთავრების 20 წლისთავის საპატიო მედალი.

**ჰობი:** იშვიათი ლიტერატურის შეგროვება, ნადირობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 99. თბილისი 380086. ტელ: 32-30-17. (ბინის) სვანიძის 4. თბილისი 380009. ტელ: 29-34-58.*

**ქვეყნის ახალგაზრდა თაობის ცოდნის დონის ამაღლებასთან დაკავშირებული ყველა სახის ღონისძიებაში მონაწილეობა. ქართული ტრადიციებისადმი პატივისცემა. საქართველოში საბიბლიოთეკო ბიბლიოგრაფიული ნაციონალური სამსახურის ჩამოყალიბება. მეცნიერების სხვადასხვა დარგის ამსახველი ლიტერატურის პროპაგანდის უახლესი მეთოდებისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების შემუშავება-დანერგვა. ახალგაზრდებში კითხვის კულტურის ჩვევების გამომუშავება და, რაც მთავარია, საქმისადმი უანგარო დამოკიდებულება, სამსახურებრივი დისციპლინის დაცვა.**



**მაია შოშიაშვილი** სიღნაღის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა სიღნაღში 1964 წ. 22 მაისს. მშობლები: მაყვალა შოშიაშვილი, როინ შოშიაშვილი; მეუღლე — ზურაბ დათუაშვილი (1959); შვილები: ნინო (1987), ნაია (1990). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1988). იყო რუსთავის ს/გ "აზოტის" იურისკონსულტი (1990-93), რუსთავის ადვოკატურის ადვოკატი (1994-99), თბილისის ეკონომიკის, სამართლისა და ინფორმატიკის ინ-ტის ლექტორი (1995-99). სიღნაღის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან.

**ჰობი:** ფსიქოლოგიური ხასიათის ნაწარმოებთა კითხვა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ც.დადიანის 15, სიღნაღი. ტელ: 3-23-81. (ბინის) რუსთავის XX მ/რ, XVIII კორპ., ბ. 7. ტელ: 17-83-38.*

**"ქვეყნიერებას სამი რამ აკლია: ცას — კიბე, ზღვას — ხიდი, ადამიანებს — სამართალი" — გ. ლეონიძე. ცას კიბეს ვერ მივადგამ, ზღვაზე ხიდს ვერ გავდებ, მაგრამ ვცდილობ ადამიანებს "გავუჩინო" სამართალი.**



**ვაჟა შუბლაძე** საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1947 წ. 5 იანვარს. მშობლები: თინა შუბლაძე, დავით შუბლაძე; მეუღლე — ანინე ჯვარშეიშვილი (1946); შვილები: სოფიკო (1972), ნინო (1976). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1969). იყო ავტომატიკის საპრობლემო ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1967-69), თბილისის კალინინის რ-ნის კომკავშირის I მდივანი (1970-72), საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე (1972-81), სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის I მოადგილე (1981-88), პროფკავშირების გაერთიანებული სპორტსაზოგადოების თავმჯდომარე (1988-90), მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველის პირველი მოადგილე (1991-92), ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (1993-98). დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის ორდენით" (1981), საპატიო ნიშნით „ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის" (1986), ღირსების ორდენით (1996). არის საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი.

**ჰობი:** ჭადრაკი, სპორტი, მეგობრების წრესა და ხალხთან ურთიერთობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 80 თბილისი 380062. ტელ: 22-61-25, 29-40-52. (ბინის) ბახტრიონის 7ა, ბ. 36. თბილისი. ტელ: 38-89-95, 98-61-22.*

მაქსიმალური მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და შემდეგ სხვებისადმი, დიდი პასუხიმგებლობა მინდობილი საქმისადმი. მუშაობის პროცესში შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა — არასტანდარტული მიდგომა გადასაჭრელი საკითხებისადმი. ადამიანებთან ურთიერთობაში მაქსიმალური კეთილგანწყობა, თანადგომა და კომუნიკაბელობა, სამართლიანობა. ვერ ვიტან — უსამართლობას, უპასუხისმგებლობას, ტყუილს, მოჩვენებითობას. ჩემი ცხოვრების კრედოა „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს", „პქენი მადლი (სიკეთე) ქვაზე დადე და გაიარე". ჩემის აზრით, ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ იყო შენი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი (პატრიოტი) ყველა უბანზე, სადაც კი მოგიწევს მოღვაწეობა.



**გივი შულაროვი** საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა თბილისში 1939 წ. 29 სექტემბერს. მშობლები: ელენე შულაროვა, სერგო შულაროვი; მეუღლე — ნინო წერეთელი (1948); შვილები: სერგო (1981), თინიკო (1982). დაამთავრა სპი ავტომატიკა-ტელემექანიკის ფაკ-ტი (1964), მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა (1979). იყო ახალქალაქის რაიკომის I მდივანი (1977-84), თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1984-86), პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე (1987-92), ასოციაცია „საქართველოს" ვიცე-პრეზიდენტი (1992-95), სახელმწიფოს მეთაურის აპარატის უფროსის მოადგილე (1995). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისთვის" (1976), ხალხთა მეგობრობის ორდენით (1983), ღირსების ორდენით (1999). არის სმკ-ის (1994), საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის (1998), სეოკის აღმასკომის (2000) წევრი.

**ჰობი:** ფეხბურთი, ჯაზური მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-09-13. ფაქსი: 92-24-09. (ბინის) ყიფშიძის 5ა თბილისი. ტელ: 25-00-37.*

ერთგულება, სიმტკიცე, შრომისუნარიანობა, შეძლებისდაგვარად სიკეთის დათესვა და სხვისი გასაჭირის გაგება, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი, გადაწყვეტილების მიღების უნარი და მათზე პასუხისმგებლობის აღება, ოჯახში სიმშვიდე; კოლეგებთან, ახლობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობების განსაზღვრა და ოპტიმიზმი.



**გიორგი შხვაცაბაია** მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 15 აპრილს. მშობლები: ლილი ტორონჯაძე, გიორგი შხვაცაბაია; მეუღლე - ნათელა შანიძე (1945); შვილები: ლიკა, მაია. დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1964), სსრკ სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნო (1975). არის ავტორი ნამუშევრებისა: ქანდაკებათა ჯგუფი ბარათაშვილის ხიდთან (თბილისი, 1969), დეკორატიული ქანდაკებები (საგარეჯო), მ.გელოვანის ძეგლი (თელეთი,

1977), "მეგობრობის ყვავილი" (სოფ. რუხი, ზუგდიდის რ-ნი 1978), ხსოვნის კედელი (1981), ქანდაკება "დროშები ჩქარა" (თბილისის 9 აპრილის სახელობის ბაღი, 1987), დ. ალექსიძის მემორიალი (1986), გ. ტაბიძის ძეგლი (ქუთაისი, 1990), ძეგლი „მშვიდობის ჩირაღდანი" (ქ.ოლიმპია, საბერძნეთი 1992), ვ.ანჯაფარიძის ძეგლი (მთაწმინდა, 1992), ჟ. შარტავას საფლავი (1994), ჟ. შარტავას ძეგლი (სენაკი, 1997), "დედა სამშობლო" (ქ.ნავპლიონი, საბერძნეთი 1997), დ. მირცხულავას მემორიალი (1999), ე.მიქელაძის ძეგლი (თბილისის ოპერის ბაღი, 2000) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვის ტრეტიაკოვის, ტაშკენტის ლიტერატურის, ამსტერდამის თანამედროვე ხელოვნების, საქართველოს ხელოვნების მუზეუმებში, საბერძნეთის, თურქეთის, აშშ კერძო კოლექციებში. დაჯილდოებულია სსრკ სამხატვრო აკადემიის დიდი ვერცხლის მედლით წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1976), საქართველოს კომკავშირის (1977) და სახელმწიფო (1977) პრემიებით. არის საქართველოს მხატვართა კავშირის (1967), იტალიის ქ. ლუკას დონ კიხოტის საზოგადოების საპატიო (1977), საქართველოს კულტურის სამინისტროს სამხატვრო საბჭოს (1977), პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი (1999) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.
**ჰობი:** სპორტი, წიგნები.
**მისამართი:** *(სამსახურის) შავგულიძის 3. თბილისი 380083. ტელ: 32-30-52. (ბინის) ფალიაშვილის 38, ბ.3, თბილისი 380079.*

**მთავარია ზომიერება, სიყვარულშიც კი.**



**ზურაბ შხვაცაბაია** საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ საკითხთა ქვეკომიტეტის აგრომომსახურებისა და ფერმერთა საკითხების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. დაიბადა თბილისში 1946 წ. 5 მარტს. მშობლები: ლილი ტორონჯაძე, გიორგი შხვაცაბაია; მეუღლე — მარიკა დანელია (1955); შვილები: გიორგი (1973), მიხეილი (1981). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1969). იყო ს/გ "ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს" კონსტრუქტორი, საკავშირო ს/კ ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ასისტენტი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განყ-ბის გამგე, ასკ მართვის რესპუბლიკური უმაღლესი სკოლის რექტორი, „მენეჯმენტისა და აგრობიზნესის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის" დირექტორი (1969-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ჩაის ბუჩქის გვერდითი გასხვლის თვითმავალი ხელის მანქანის ტექნოლოგიის და მჭრელი აპარატის პარამეტრების დასაბუთება" (1985). არის პროფესორი, 60-მდე სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომის, სახელმძღვანელოების ავტორი, მიღებული აქვს 3 საავტორო მოწმობა; არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1982, სახელმძღვანელოსთვის "სასოფლო-სამეურნეო მანქანები"), საქართველოს მექანიზატორთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი (1997).
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-81-27. ფაქსი: 93-41-07. ელ-ფოსტა: aicmt@parliament.ge (ბინის) ნუცუბიძის ფერდ. III მ/რ, I კვ, XII კორპ., ბ.33. თბილისი 380083. ტელ: 32-95-95.*

**მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ვცდილობ ვიყო პატიოსანი, კეთილსინდისიერი, ობიექტური, პრინციპული, კეთილი. მახასიათებდეს პატრიოტიზმის გრძნობა. შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმარო გასაჭირში მყოფს.**



**გოგი ჩაგელიშვილი** მხატვარი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა თბილისში 1945 წ. 2 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა ქემოკლიძე, ტარას ჩაგელიშვილი; მეუღლე — ლეილა კიკნაძე (1957); შვილები: ოტია (1978), ლუკა (1984). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1971). არის ათასზე მეტი ფერწერული ტილოს ავტორი. გამართა პერსონალური გამოფენები: თსუ (1985), მხატვრის სახლი (თბილისი 1989), მხატვრის ცენტრალური სახლი (მოსკოვი, 1989), ანკარა (თურქეთი 1990), ნიმი (საფრანგეთი 1993), თანამედროვე ხელოვნების გალერეა (თბილისი 1995), გალერეა "TMS" (თბილისი 1997-98), მოსკოვის გალერეა "გერცევი" (1997), მონაწილეობდა გამოფენებში: "ახალგაზრდა ქართველი მხატვრები" (გაბროვო, ბულგარეთი 1979), ტალინი (1986), ბუდაპეშტი (1987), "ქართველი ავანგარდისტები" (გალერეა "ბროკა" ბარსელონა, ესპანეთი 1990), "Waterside Art studios Stanford (აშშ, 1990). მისი ნამუშევრები დაცულია თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1983). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: *(ბინის) ვოგებაშვილის II შეს. ბ.22. თბილისი 3800079. ტელ: 29-48-82.*

**სიყვარულით ვაკეთებ იმას, რაც ვიცი, მაგრამ არაფრის მონა არ მინდა გავხდე. წარმატება მეტ ვალდებულებას მაკისრებს, წარუმატებლობა მაღიზიანებს. ძალების მობილიზაცია ხდება უკეთესობისაკენ. ვცდილობ ცხოვრების რიტმის, შემოქმედებისა და ფიზიკური მონაცემების ჰარმონიულ შერწყმას. მინდა ვისწავლო ხედვა და არა ყურება. მახასიათებს მოძრაობა, ახლის ძიება, პასუხისმგებლობა, ეჭვიანობა, დაფიქრება, განმარტოება. შემოქმედებით პროცესში არასოდეს არაფერი მაკმაყოფილებს.**



**დემნა ჩაგელიშვილი** საინფორმაციო სააგენტო „პრაიმ-ნიუსისა" და „საქართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპანიის" (GPRC) დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი. დაიბადა თელავში 1969 წ. 23 სექტემბერს. მშობლები: დარეჯან ჩოხელი, იაკობ ჩაგელიშვილი; მეუღლე — დარეჯან სუმბაძე (1969); შვილები: გიორგი (1989), მარიამი (1996). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1993). იყო სააგენტო BGI-ს კორესპონდენტი, მენეჯერი, რადიოპროგრამა „პიკის საათის" წამყვანი, რედაქტორი, პროგრამა „ალიონის" წამყვანი, რედაქტორი (1993-97). „პრაიმ-ნიუსის" დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორია 1997 წლიდან, საქართველოს საერთაშორისო პრეს-ცენტრის (GIPC) გამგეობის წევრი — 1999 წლიდან, GPRC-ის აღმასრულებელი დირექტორი — 2000 წლიდან.
ჰობი: მუსიკა, სპორტი, ლუდი.
მისამართი: *(სამსახურის) ქუთათელაძის ჩიხი 5. თბილისი 380008. ტელ: 92-32-12, 92-32-02. ელ-ფოსტა: pna@pna.com.ge, demna@pna.com.ge*

**სიმართლე, პატიოსნება, შრომა.**

**გიორგი ჩაკვეტაძე** სპორტსმენი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი (კიკ-ბოქსინგი). დაიბადა თბილისში 1982 წ. 20 ნოემბერს. მშობლები: ლიანა შარიქაძე, ზურაბ ჩაკვეტაძე. სწავლობს სტუ, არის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი (1999-2000); სანკტ-პეტერბურგის საბრძოლო ხელოვნებათა მსოფლიო ფესტივალის (1993), ბათუმისა (1995) და მოსკოვის (1996) საერთაშორისო ტურნირების, კრასნოდარის ევროპის თასის ჩემპიონატის (1998), მოსკოვის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების (1998), ტაილანდის მსოფლიო ჩემპიონატის (ტაილანდური კრივი, 1999), შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირის (2000), საბერძნეთის მსოფ-

ლიო ჩემპიონატის (2000) ოქროს პრიზიორი, პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს სარტყლის მფლობელი (დიდი ბრიტანეთი, 2000), ტაილანდურ კრივში ევროპის (ესპანეთი, 1998), კიკ-ბოქსინგის მსოფლიო (იტალია, 1999) ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზიორი. საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი კიკ-ბოქსინგსა და ტაილანდურ კრივში.
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(ბინის) ჩიტაძის 3. თბილისი 380004. ტელ: 99-93-30.*

**პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა, პრინციპულობა, პარტნიორის პატივისცემა, მოწინააღმდეგის მიმართ სამართლიანობა, გამარჯვებისაკენ სწრაფვა. მთავარი კი საქართველოს სიყვარულია.**



**ნანა ჩალათაშვილი** იურისტი, ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა გურჯაანში 1961 წ. 24 აპრილს. მშობლები: ეთერ მამულაშვილი, ბიჭიკო ჩალათაშვილი; მეუღლე — გიორგი ღვინიაშვილი (1961); შვილები: ნინო (1995), გიორგი (1999). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985). იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასამართლოს ორგანოების სამმართველოს კონსულტანტი (1985-87), ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე (1987-91). ლაგოდეხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეა 1991 წლიდან.
**ჰობი:** ოჯახთან ერთად ბუნებაში სეირნობა.
**მისამართი:** *(ბინის) 26 მაისის 7, ლაგოდეხი. ტელ: 2-38-80.*



**მადი ჩანტლაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1965 წ. 7 დეკემბერს. მშობლები: სვეტლანა მალიძე, თენგიზ მალიძე; მეუღლე — ლევან ჩანტლაძე (1951); შვილები: ირაკლი (1988), რატი (1993). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1989). გაიარა სტაჟირება ბირმინგემის უნივერსიტეტში ევროპის სამართლის ხაზით. იყო საქართველოს სოცუზრუნველყოფის სამინისტროს იურისტი (1990-91), ვაკის რ-ნის ადვოკატურის თანამშრომელი (1991-96), პარლამენტის ადამიანის უფლებათა და ეროვნულ უმცირესობათა საკითხების წამყვანი სპეციალისტი (1996-98), არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის" იურისტი (1998), სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (1998). ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. არის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრი.
**ჰობი:** მოგზაურობა, ლიტერატურა, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-32, 53-09-14. (ბინის) წყნეთის 6-ა. I სად. ბ. 18. თბილისი. ტელ: 23-12-21. ელ-ფოსტა: mchantladze@yahoo.com*

**პატიოსნება, შრომისმოყვარეობა. როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ექსპერტი, ვოცნებობ იმ დღეზე, როდესაც საქართველოში მოხდება ადამიანის უფლებათა რეალური დაცვა, მოხდება მორალურ-ზნეობრივი პრინციპების რენესანსი, სასამართლო ხელისუფლება განახორციელებს ნამდვილად მიუკერძოებელ მართლმსაჯულებას. თანამდებობის ყველა შტოს წარმომადგენელი პირი უპირველეს ყოვლისა იფიქრებს ქვეყნის უკეთეს მომავალზე და არა მხოლოდ საკუთარ თავზე.**



**გელა ჩარკვიანი** საქართველოს სახელწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 1 მარტს. მშობლები: თამარ ჯაოშვილი, კანდიდ ჩარკვიანი; მეუღლე — ნანა თოიძე (1939); შვილები: თეონა, ირაკლი. დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (არასრული კურსი), თბილისის სახ. უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტი (1963). იყო მიჩიგანის უნივერსიტეტის სტაჟიორი (1970), საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (1984-92), სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (1992-95). საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი და სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსია 1995 წლიდან. უძღვება სოციოლოგიის კურსს დასავლურ

ენათა და კულტურათა სახ. ინტ-ში. იყო სატელევიზიო გადაცემა „გლობუსის" წამყვანი (1976-94), ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნებულია მრავალი პუბლიკაციის ავტორი, კითხულობდა ლექციებს ჯორჯ მარშალის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრში კავკასიისა და ევროპის უსაფრთხოების პრობლემებზე (გარმიში, გერმანია). არის ღირსების ორდენის კავალერი (1998), საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში The International Who's Who (Europa Publications LTD, London 1998-99, 2000-2001).



**ჰობი:** მუსიკა, პოეზია, ეგზოტიკური სანელებლები და სოუსები.

**მისამართი:** *(სამსახურის) ინგოროყვას 7. თბილისი 380034. ტელ: 93-47-39. ფაქსი: 99-70-96.*

> **ბედნიერება თავისუფლებაა. თავისუფლება კი იზომება ხელმისაწვდომი ალტერნატივების რიცხვით ყველა შესაძლებელ სიტუაციაში. საუკეთესო საზოგადოება ის არის, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მაქსიმალურ რაოდენობას მაქსიმალურად შესაძლებელი ბედნიერებით, ანუ თავისუფლებით, ანუ არჩევანით. ამიტომ მთავარ საშიშროებად მიეიჩნევ მონოპოლიზმს, რადგან სწორედ იგი ზღუდავს არჩევანს. მზად ვარ შევებრძოლო მის ყველა გამოვლინებას. ცხოვრებაში ყველაზე დიდ კმაყოფილებას მგვრის ცოდნის შეძენა და მისი გაცემა. ქცევის დონეზე ჩემი კრედოა — ზომიერება, ადამიანებთან მიმართებაში — კეთილგანწყობა.**

**ირაკლი ჩარკვიანი** მუსიკოსი, პოეტი. დაიბადა თბილისში 1961 წ. 19 ნოემბერს. მშობლები: ნანა თოიძე, გელა ჩარკვიანი; შვილი — მაქსიმე (1986). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1982), გაიარა თანამედროვე პოეზიის კურსი ოქსფორდის უნივერსიტეტში (1990). გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებული „ძველი სათამაშოები" (1989); მისი ლექსები შეტანილია კრებულში „რეაქტიული კლუბი" (1990); გამოცემულია მუსიკალური ალბომები „სევანის სიმღერები" (1993), „აფრენ" (1997). არის ავტორი მუსიკისა ფილმისათვის „ორფეოსის სიკვდილი".

**ჰობი:** შინაური ცხოველები და წიგნები შინაურ ცხოველებზე.

**მისამართი:** *ელ-ფოსტა: tbiliso@yahoo.com*

> **ნუ გგონია, რომ ხატი ხარ, თუკი კედელზე ხატიხარ.**

**ჯანსუღ ჩარკვიანი** პოეტი, ჟურნალ „დროშის" მთავარი რედაქტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა სოფ. სურმუშში (ცაგერის რ-ნი) 1931 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: პისტი გელოვანი, ავდიდ ჩარკვიანი; მეუღლე — ირმა ჩხეიძე (1935); შვილები: მამუკა (1955), თამარი (1964). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1956). იყო ჟურნალ „ცისკრის" ლიტმუშაკი (1957-61), საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების კომიტეტის თავმჯდომარე (1961), „ცისკრის" პასუხისმგებელი მდივანი (1962-63), ჟურნალ „დილას" რედაქტორი (1963-67), „ცისკრის" მთავარი რედაქტორი (1967-77), მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი (1977-89), გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორი (1989-95). საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის ავტორი წიგნებისა: „ერთი ღამის სიჩუმეში" (1959), „ერთტომეული" (1961), „მზე თიხაში" (1986), „არცა ვმსახურებდე სხვას" (1989), „თავისუფლება ლომთა ხვედრია" (პროზა, პუბლიცისტიკა, 1991), „ორტომეული" (1992) და სხვ. გამოცემულია მის მიერ თარგმნილი ტ.შევჩენკოს „რჩეული ლირიკა" (1989), კოროტიჩის, დრაჩის, ევტუშენკოს, ოკუჯავას, ვოზნესენსკის, ბ.ახმადულინას ლექსები. მისი პოეზია თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ესპანურ, პოლონურ ენებზე. არის კომკავშირის (1967), გ.ტაბიძის (1978) პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის 2 ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით და მედლებით. არის მსოფლიო მწერალთა გაერთიანების „პენ-კლუბის" წევრი (1991). იყო „პენ-კლუბის" საქართველოს განყ-ბის I პრეზიდენტი (1991-98). არის მწერალთა კავშირის წევრი, საზოგადოება „თბილისელის" პრეზიდენტი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1987), ცნობარში „Who's Who" (კემბრიჯი, 1999).



ჰობი: სიმღერა, ფეხბურთი.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი, 380018. ტელ: 99-54-66. ფაქსი: 93-56-41. (ბინის) გამსახურდიას 2. თბილისი. ტელ: 93-50-56.*

**მთელი ჩემი ცხოვრება ერთგულებით განვლე, ვებრძოდი ორგულსა და მოღალატეს, ვებრძოდი სიტყვით, დიდი ძალა აქვს სიტყვას. ყოველთვის მჯეროდა, რომ თავისუფლება მხოლოდ ჭეშმარიტებით მოიპოვება. ჭეშმარიტება კი ღმერთია. მარადის მესმოდა ციდან: ნუ იქნები ცოდვილი და კერპთაყვანისმცემელი. მეც ბევრგზის მითქვამს, მაგრამ სულ სხვა ძალა აქვს უწმინდესისა და უნეტარესის სიტყვებს: „ღმერთმა დალოცოს და შეჰკრას საქართველო".**



**გიორგი ჩაჩანიძე** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1969 წ. 30 იანვარს. მშობლები: ია ასლამაზიშვილი, ნოდარ ჩაჩანიძე; მეუღლე — გურანდა მაჩაიძე (1969); შვილი — ია (1988). დაამთავრა საქართველოს ზოოვეტერინარული ინ-ტის ვეტერინარული მედიცინის ფაკ-ტი (1993), საინჟინრო-ეკონომიკური ინ-ტი (1998), მოსკოვის პოლიტიკურ კვლევათა სკოლა (1998). იყო „თბილქალაქგაფორმების" კომბინატის მუშა (1986-91), ლენინის რ-ნის კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის ინსტრუქტორი (1988), დიდუბის რ-ნის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენელი (1995-97), გამგეობის თავმჯდომარის I მოადგილე (1997-99). დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარეა 1999 წლიდან. მიღებული აქვს კომკავშირის ცკ სიგელები და დიპლომები. არის სმკ-ის წევრი, დიდუბის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე (1995), ნ.დუმბაძის სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის გამგეობის წევრი.
ჰობი: მოგზაურობა, სპორტი.
მისამართი: *(სამსახურის) ალმაშენებლის 140-ა. თბილისი 380002. ტელ: 95-38-07. ფაქსი: 95-15-27. (ბინის) წყალტუბოს 3, ბ. 16. თბილისი. ტელ: 34-31-76.*

**აბსოლუტური გულწრფელობით, თავდადებით და იმ საქმის სიყვარულით კეთება, რომელსაც ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ვემსახურებოდი. ასევე პასუხისმგებლობის თანაბრად განაწილება იმ გუნდის წევრებს შორის, რომელსაც მე წარმოვადგენ.**



**მანანა ჩაჩანიძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა 1961 წ. 2 აპრილს. მშობლები: დარეჯან ჩაჩანიძე, ავთანდილ ჩაჩანიძე; მეუღლე ამირან ბარბაქაძე (1952); შვილები: თამარი (1984), დავითი (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1987). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის და პლენუმის მდივანი (1979-92), უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი (1992-99).
მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. გრ. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 52-09-14, 52-09-25.*

**შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, ჩემი საქმის სიყვარული, შინაგანი მაღალი კულტურა, პატივისცემა სხვა მოქალაქეებისადმი, გულისხმიერება, სულგრძელობა, პატიოსნება, მიმტევებლობა.**



**აკაკი ჩაჩუა** სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). დაიბადა სამტრედიაში 1969 წ. 16 სექტემბერს. მშობლები: გულნაზი ჩაჩუა, თამაზ ჩაჩუა; მეუღლე — მანანა მორბედაძე (1975); შვილები: დავითი (1998), ნიკოლოზი (2000). დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის აკადემია (1991). არის სსრკ ოთხგზის პრიზიორი, სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდათა შორის (1987-89), სსრკ თასის III პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის III (1997), II (1999) პრიზიორი, სიდნეის ოლიმპიადის III პრიზიორი (2000); ღირსების ორდენის კავალერი (2000).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: *(სამსახურსი) ჭავჭავაძის 49. თბილისი 380062. (ბინის) ნუცუბიძის ფერდ., V მ/რ, VII კორპ., ბ. 27, თბილისი. ტელ: 79-60-29, 79-05-04.*

**პატიოსნება.**



**მიხეილ ჩაჩხუნაშვილი** ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 6 ოქტომბერს. მშობლები: როზა ალავიძე, შოთა ჩაჩხუნაშვილი; მეუღლე — ელენე ხერხეულიძე; შვილები: ილია (1976), შოთა (1978). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1970), ასპირანტურა (1973). იყო მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ლაბორატორიის გამგე (1973-94). არის არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო ენერგეტიკული ცენტრის „ენეკო" დამფუძნებელი, იყო აღმასრულებელი დირექტორი (1994-97), „ღია საზოგადოება — საქართველოს" აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე (1995-97). აღმასრულებელი დირექტორია 1997 წლიდან. დაიცვა საკადიდატო დისერტაცია თემაზე: „მსუბუქი ბირთვების სტრუქტურის შესწავლა π -მეზონებით" (1978). არის ავტორი ბროშურისა „ენერგეტიკის სექტორი საქართველოში" (ა.დიდებულიძესთან ერთად, UNDP-ის სადისკუსიო წერილების სერია, 1998). არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია „კავკასიური კლუბის" გამგეობის წევრი.

**ჰობი:** სპორტი, მხატვრული ლიტერატურა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭოველიძის 10ა. თბილისი 380008. ტელ: 25-05-93, 25-04-63. ფაქსი: 29-10-52.*

**სამართლიანობა.**



**ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 30 აგვისტოს. მშობლები: თამარ ვაჩნაძე-ჩერქეზიშვილი, გიორგი ჩერქეზიშვილი; მეუღლე — ციალა ბაძოშვილი (1936); შვილები: თამარი (1970), სოფიო (1971). დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინ-ტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით (1952). იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ლიტმუშაკი, განყ-ბის გამგე (1952-57), სკკპ ცკ-ის ინსტრუქტორი, განყ-ბის გამგის მოადგილე, მეცნიერებისა და კულტურის განყ-ბის გამგე (1957-65), საქართველოს სახ. მუზეუმის დირექტორი (1965-73), კომპარტიის ცკ-ის კულტურის განყ-ბის გამგე (1973-76), გაზეთების „ზარია ვოსტოკა" (1976-88), „კომუნისტი" (1988-90) რედაქტორი; იყო ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე (1990-92). საკონსტიტუციო სასამართლოს წევრია 1996 წლიდან. არის ქართული ენციკლოპედიის რედაქციის სამეცნიერო საბჭოს წევრი და კონსულტანტი (1992 წლიდან), 4 მონოგრაფიისა და მრავალი საგაზეთო და საჟურნალე სტატიის ავტორი. მიღებული აქვს მინისტრთა საბჭოს პრემია ჟურნალისტიკის დარგში. მიენიჭა უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასის მოსამართლის საკლასო ჩინი (2000).

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, კლასიკური მუსიკა, ფეხბურთი, ცხენოსნობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 94-08-52. ფაქსი: 93-30-05. (ბინის) ჭავჭავაძის 75, ბ.49. თბილისი 380062. ტელ: 22-53-74.*

**მთავარი პრინციპები: პატიოსნება, სამართლიანობა, პრინციპულობა, ერთგულება საქმისა, ოჯახისა და მეგობრებისა; მხარდაჭერა ყოველივე პროგრესულისა, ნიჭიერებისა და მიუღებლობა პროვინციული აზროვნებისა. მიზანი: საქართველოს დამოუკიდებელი არსებობისათვის საჭირო პირობების შექმნაში ჩემი წვლილის შეტანა.**



**მაია ჩიბურდანიძე** მოჭადრაკე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ქალთა და ვაჟთა შორის. დაიბადა ქუთაისში 1961 წ. 17 იანვარს. მშობლები: როზა ხურციძე, გრიგოლ ჩიბურდანიძე. დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი(1989). არის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ქალთა შორის (1978, 1981, 1984, 1986, 1988), მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი (1978, 1980, 1982, 1984, 1986, 1992, 1994, 1996), სტამბოლის საჭადრაკო ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელი გუნდურ ასპარეზობაში (2000), საჭადრაკო „ოსკარის" ოთხგზის მფლობელი (1984, 1985, 1986, 1987). არის საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1986), „ხალხთა მეგობრობისა", „შრომის წითელი დროშის", ღირსების (1994), ვ. გორგასლის III ხარისხის (2000) ორდენების კავალერი; თანაავტორი წიგნისა „ვთამაშობ კაცების წინააღმდეგ" (1984).



*მისამართი: (ბინის) ჭავჭავაძის 75. ბ.56. თბილისი 380062. ტელ: 22-53-75.*

**ზურაბ ჩიგოგიძე** ეკონომისტი, საერთაშორისო კომპანია "მეტრომედიის" რეგიონალური დირექტორი ამიერკავკასიაში, კომპანია "აიეტის" გენერალური დირექტორი, "საქართველოს ტელეკომის" რეგიონალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1971 წ. 6 ივლისს. მშობლები: ზამირა ჩიგოგიძე, გურამ ჩიგოგიძე. დაამთავრა კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტი (ეკონომიკისა და ისტორიის ბაკალავრი, 1993). იყო საერთაშორისო კომპანია "მეტრომედიის" ბაზრის შემსწავლელი (ბიზნესის განვითარება, 1993-96), კომპანიის რეგიონალური ადმინისტრატორი ამიერკავკასიაში (1996-97), რეგიონალური მენეჯერი ამიერკავკასიაში (საქართველო, აზერბაიჯანი, 1997-2000), არის "საქართველოს ტელეკომის" რეგიონალური დირექტორი (1993 წლიდან). დაჯილდოებულია მშვიდობისა და განვითარების სიგელით (გრანტი, 1992), რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ინტერნატურის ჯილდოთი (1998).

**ჰობი:** ოპერა, ბალეტი, ჩოგბურთი, ცურვა და სათხილამურო სპორტი.

**მისამართი** *(სამსახურის) ქუჩიშვილის 6. თბილისი 380079. ტელ: 25-35-74. ფაქსი: 25-35-73. ელ-ფოსტა: zchigogidze@access.sanet.ge. (ბინის) ჭავჭავაძის ჩიხი 1, ბ.57. თბილისი 380079. ტელ: 22-14-69.*

**პატიოსნება, კეთილშობილება, შრომისმოყვარეობა და ბეჯითობა.**



**ალექსანდრე ჩიკვაიძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში. დაიბადა თბილისში 1932 წ. 19 იანვარს. მშობლები: თამარ კობიაშვილი, დავით ჩიკვაიძე; მეუღლე — ზაირა მშვენიერაძე (1929); შვილები: დავითი (1958), ალექსანდრე (1963). დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1955), სსრკ პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემია (1966), სსრკ დიპლომატიური აკადემია (1979). იყო სსრკ გენ. საკონსულოს ვიცე-კონსული ბომბეიში (1967-69), სსრკ საელჩოს პირველი მდივანი დიდ ბრიტანეთში (1969-73), თბილისის ორჯონიკიძის რ-ნის რაიკომის I მდივანი (1973-77), საქართველოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახ. კომიტეტის თავმჯდომარე (1977-78), სსრკ გენ. კონსული სან-ფრანცისკოში (1979-83), სსრკ ელჩი კენიაში, სსრკ მუდმივი წარმომადგენელი UNEP-სა და HABITAT-ში (1983-85), სკკპ ცკ დიპლომატიური კადრების განყ-ბის სექტორის გამგე (1985-89), სსრკ ელჩი ჰოლანდიის სამეფოში (1989-92), საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი (1992-93), საგარეო საქმეთა მინისტრი (1992-96). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ინგლისის კაბინეტი მეორე მსოფლიო ომის წინ" (1976). არის ავტორი სტატიებისა, ესეებისა, წიგნებისა: „ინგლისის კაბინეტი მეორე მსოფლიო ომის წინ" (1976), „როგორ გავხდეთ პროფესიონალები" (1958), ლ.მოსლის წიგნის „ნასესხებ დროში" თარგმანისა (1982). დაჯილდოებულია სსრკ საპატიო ნიშნის 2 ორდენით, ღირსების ორდენით, მედლებით. იყო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის და სსრკ ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (1985-89). არის საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი (1996). მისი ბიოგრაფია შეტანილია ABI-ის ცნობარში "International Who's Who of Contemporary Achievement" (1996).

**ჰობი:** ჭადრაკი.

**მისამართი:** *(სამსახურის) 24 Agiou Dimitriou str., 15452 Paleo Psihio, Athens. ტელ: 671-67-37. ფაქსი: 671-67-22. ელ-ფოსტა: embassygeo@hol.gr (ბინის) ბარნოვის 69. თბილისი 380002. ტელ: 29-34-34.*

**პატიოსნება, პროფესიონალიზმი, ჰუმანიზმი.**



**შალვა ჩიკვაშვილი** იურისტი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქუთაისში 1932 წ. 20 სექტემბერს. მშობლები: ლუბა ჩიკვაშვილი, დანიელ ჩიკვაშვილი; მეუღლე — სარა ჩიკვაშვილი (1938); შვილები: ბორისი (1962), დანიელი (1964), დავითი (1967). დაამთავრა ხარკოვის სახ. იურიდიული ინ-ტი (1952). იყო საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განყ-ბის პროკურორი (1952-53),

ქუთაისის ოლქის პროკურორის თანაშემწე (1953), ხარკოვის ვაჭრობის ინ-ტის მასწავლებელი (1954-56), სპი მასწავლებელი, დოცენტი (1956-59), საქართველოს მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისიის კონსულტანტი (1960-68). არის თსუ სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი (1968 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ფართო მოხმარების საგანთა ასორტიმენტის პირობები მიწოდების ხელშეკრულებებში" (მოსკოვი 1956); სადოქტორო — „საბინაო კოოპერაციის სამართლებრივი პრობლემები" (მოსკოვი 1966). არის 300 სამეცნიერო ნაშრომის, 30 მონოგრაფიის ავტორი. მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. არის ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, იურისტთა მსოფლიო ასოციაციის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელი კომისიის, კანონპროექტების და სხვადასხვა ნორმატიული აქტების შემმუშავებელი კომისიების წევრი, „ქართველ ებრაელთა ენციკლოპედიის" საზოგადოებრივი საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, БСЭ.

ჰობი: ლიტერატურა, სპორტი.

მისამართი: *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 29-05-96. (ბინის) იოსელიანის 37 ბ. 34. თბილისი 380071. ტელ: 33-74-76.*

**ვხელმძღვანელობდი ჰუმანიზმის, დემოკრატიზმისა და სამართლიანობის პრინციპით. მიზანს შეადგენდა ღირსეული შვილების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა. მათში კაცთმოყვარეობის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, ზრუნვა მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდისათვის. ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ჩემი ცხოვრებისა იყო და არის მაღალი პროფესიონალიზმი. ამ საქმეში წარმატების მიღწევისათვის ერთ-ერთ ძირითად პირობად მიმაჩნია შრომისმოყვარეობა და საქმისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება. პროფესიონალიზმში ვგულისხმობ პროფესიისადმი დიდ სიყვარულსა და მის სრულყოფას მსოფლიოს მასშტაბების დონეზე.**



**მიხეილ ჩიკვილაძე** საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრის მოადგილე. დაიბადა ონში 1948 წ. 10 თებერვალს. მშობლები: ელენე ჯაფარიძე, პარმენ ჩიკვილაძე; მეუღლე — მაყვალა გვალია (1956); შვილები: თეა (1985), თამარი (1988). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი მრეწველობის დაგეგმვის სპეციალობით (1976), თსუ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კათედრის ასპირანტურა (1976-79). იყო თსუ კომკავშირის კომიტეტის მდივანი, სამეცნიერო საბჭოს წევრი, ხუთგზის ყამირელი, ფინანსთა სამინისტროს მთავარი საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს უფროსი (1984-87), კონტროლის პალატის თავმჯდომარის I მოადგილე (1993-98), საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1998-2001). საგადასახადო შემოსავლების მინისტრის მოადგილეა 2001 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება და მისი სრულყოფის მიმართულებანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში" (2000). მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1975), „საპატიო ნიშნის ორდენი" (1975).

ჰობი: სპორტი (ცურვა, ველოსპორტი, ცხენოსნობა), ნადირობა.

მისამართი: *(სამსახურის) ჭავჭავაძის 55 .თბილისი 380062. ტელ: 98-94-79. (ბინის) სამტრედიის 3, ბ. 64. თბილისი. ტელ: 34-37-40.*

**ნესიერება, ობიექტურობა, ნდობა, სიყვარული, თავდაჭერილობა. მიზანი: ჩემი არსებობით არ შევუქმნა პრობლემები ჩემს ირგვლივ მყოფთ, ადვილად გადასაწყვეტი საკითხი არ დავამძიმო ხელოვნურად, მივიღო ისეთივე დამოკიდებულება, როგორსაც ვთესავ. ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქში სტუდენტურ ყამირზე მდინარე ირტიშზე დახრჩობას გადავარჩინე ორი ადამიანი — ერთი ჩვენი სტუდენტი, ერთი — ადგილობრივი მოქალაქე. ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ამ გამარჯვებით მიღებულ სიამოვნებას. 17 წლის ასაკში მენდნენ პიცუნდმშენის ტრესტში სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობას და ჩემი მონაწილეობით აშენებულია ბიჭვინთის კურორტი, ადგილი, რომელზეც 1 წლიდან ვცხოვრობდი და სადაც გავატარე ჩემი ბავშვობა. მაქვს ნატვრა, ვნახო ჩემი ბავშვობის ადგილი და ჩემი აშენებული შენობები და, რაც მთავარია, ჩემი დედ-მამის საფლავი, ზღვა, რომლის ავი და კარგი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.**



**კახა ჩიტაია** საქართველოს პარლამენტის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1951 წ. 23 მარტს. მშობლები: რუსუდან გაგუა, ბორის ჩიტაია; მეუღლე —მანანა გოცირიძე (1957); შვილები: რუსუდანი (1982), სალომე (1991). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1974). იყო თსუ ნახევარგამტართა ფიზიკის პრობლემური ლაბორატორიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1974-76), მეცნიერ-თანამშრომელი (1979-92), ს/კ ინ-ტის „მიონის" ინჟინერი (1976-79), საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყ-ბის მდივანი (1979-80), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის II ევროპული სამმართველოს უფროსის მოადგილე, უფროსი, დსთ-ის სამმართველოს უფროსი (1992-95). პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე (1995-99). არის 7 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. იყო პოლიტიკური ორგანიზაცია „დასის" (1989-90), მწვანეთა პარტიის (1990-93), არის სმკ-ის (1993) წევრი.

**ჰობი:** მუსიკა, ლიტერატურა, სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 98-73-45, 96-83-61. ელ-ფოსტა: kchitaia@frcmt.gov.ge*

**პატიოსნება.**



**ლეო ჩიქავა** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა სოფ. კოკში (ზუგდიდის რ-ნი) 1928 წ. 20 თებერვალს. მშობლები: ანეტა ნარმანია-ჩიქავასი, ლეონტი ჩიქავა; მეუღლე — თამარ კვეკვესკირი (1934); შვილები: გიორგი (1959), მედეა (1963). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1950). იყო სპი უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი (1955-69), სპი პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1974-83), უცხო ენათა პედაგოგიური ინ-ტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1969-74), ეკონომიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1983-90). დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინ-ტის დირექტორია 1990 წლიდან, სახელმწიფო სამსახურის მართვის, მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის უფროსი — 1999 წლიდან, საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინ-ტის რექტორი — 2000 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს კვების მრეწველობის ტერიტორიული სპეციალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები" (1968). არის 136 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „საქართველოს კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო საკავშირო დანაწილებაში" (1965), „ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი" (სახელმძღვანელო 1997) და სხვ. არის ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, ეგრისის და ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პალატის თავმჯდომარე (1993).

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, შვილიშვილები.

**მისამართი:** *(სამსახურის) პუშკინის 5. თბილისი 380007. ტელ: 93-36-93. (ბინის) მოსაშვილის 1. ბ. 68. თბილისი 380062. ტელ: 22-67-16.*

**იმთავითვე დავისახე მიზნად დავუფლებოდი ეკონომიკურ მეცნიერებას, ღირსეულად გამეგრძელებინა ჩემი სახელოვანი მასწავლებლების მიერ წამოწყებული (და ბოლომდე მიყვანილი) ეროვნული საქმეები, რომელსაც ამჟამადაც დიდი ენთუზიაზმით ვაგრძელებ.**



**ნანი ჩიქვინიძე** მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა თბილისში 1949 წ. 31 აგვისტოს. მშობლები: თამარ ჩიქვინიძე, ლეონიდე ჩიქვინიძე; მეუღლე — თემურ ჩხეიძე (1943); შვილი — მედეა (1976). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1971). მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1971 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „პროვინციული ამბავი" (ზიზი), „ჯაყოს ხიზნები" (მარგო), „სეილემის პროცესი" (ელიზაბეტი), „მეფე ლირი" (რიგანი) და სხვ. კინოფილმებში: „მაგდანას ლურჯა" (კატო), „სხვისი შვილები" (ლია), „ნუ გეშინია დედა" (დედა),

„თამუნია" (თამუნია), „ძნელი დასაწყისი" (ნინო), „ანტიგონე" (ევრიდიკე), „ქამუშაძის გაჭირვება" (თეკლა, მარიამი) „სასიყვარულო ბარათები" (მელისა); სატელევიზიო სპექტაკლებში: „კუკარაჩა" (დედა), „მარადისობის კანონი" (დედა), „ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს" (ნანა), „ჩვენებურები" (ზენარი), „ირინეს ბედნიერება" (ირინე) და სხვ.
**ჰობი:** მუსიკა, ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) ზაქარიაძის 8. თბილისი. ტელ: 38-96-17.*

**პროფესიონალიზმი. განათლება. ვცდილობდი სულიერება მეძებნა ყველაფერში. ადამიანებთან ნრფელი, მაგრამ არა უხეში დამოკიდებულება. საქმისა და ოჯახის ერთგულება. საკუთარ თავში მეტად ჩაღრმავება და ნაკლებად სხვისი გაკიცხვა. პატიება და შენდობა.**



**თამარ ჩიქოვანი** თბილისის Public Relations Centre-ს გენერალური დირექტორი, რადიო „თავისუფლების" თბილისის ბიუროს ხელმძღვანელი, ფონდის „ღია საზოგადოება—საქართველო" აღმასრულებელი საბჭოს წევრი. დაიბადა თბილისში 1962 წ. 12 მარტს. მშობლები: ლია მიქაძე, ფელიქს ჩიქოვანი; შვილი ნინო ცინცაძე (1985). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის ქვეყნისმცოდნეობის განყ-ბა ირანის ისტორიის სპეციალობით (1984). იყო თბილისის №1 მედსანნანილის მედდა (1984-86); გაზეთ „თბილისის" კორესპონდენტი (1987-91), გაზეთ „დრონი"-ს კორესპონდენტი, მთავარი რედაქტორის მოადგილე, მთავარი რედაქტორი (1991-94), რადიო „თავისუფლების" კორესპონდენტი (1994-98), თბილისის ტელე-რადიო ინ-ტის ჟურნალისტიკის ფაკ-ტის დეკანი (1995-99). რადიო „თავისუფლების" თბილისის ბიუროს ხელმძვანელია 1998 წლიდან, თბილისის Public Relations Centre-ს გენერალური დირექტორი — 1996 წლიდან. არის კერძო საკუთრების დაცვის ლიგის გამგეობის წევრი.
**ჰობი:** თეატრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ძმები კაკაბაძეების 2, თბილისი 380008. ტელ: 92-23-68, 92-23-69. (ბინის) ც.დადიანის 34. XVII კორპ. ბ.7. თბილისი 380001. ტელ: 66-45-00.*

**მთავარი პრინციპი: ოცნება კარგია ძილის წინ, გაღვიძების შემდეგ კი რაიმე კონკრეტული პატარა ნაბიჯი მაინც უნდა გადადგა მიზნის მისაღწევად. ძალიან გამიმართლა — ჯერჯერობით ყოველთვის ისეთ ადგილზე ვმუშაობდი, სადაც ინიციატივა არ ისჯებოდა. მეორე მხრივ, როგორც კი ვიგრძნობ, რომ რაღაც ახლის სწავლის შესაძლებლობა იწურება, ვიწყებ საქმიანობის ახალი სფეროს ძებნას. გამიმართლა, რომ განათლებით ისტორიკოსი ვარ, ანუ მეტნაკლებად ვერკვევი მოვლენათა განვითარების ლოგიკაში. ამდენი გამართლების მიუხედავად, თავს ბედის ნებიერად არ ვთვლი — ჟურნალისტობა კატორღული შრომაა.**



**იური ჩიხრაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, მთიანი რეგიონების კომიტეტის თამჯდომარის მოადგილე. დაიბადა ამბროლაურში 1960 წ. 1 ნოემბერს. მშობლები: მარიამ ჩიხრაძე, ვახტანგ ჩიხრაძე; მეუღლე — ირმა შევარდნაძე (1964); შვილები: ვახტანგი (1984), გიორგი (1989). დაამთავრა სპი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ჰიდროტექნიკური მშენებლობის ფაკ-ტი (1983). იყო ტრესტ „წყალმშენის" ინჟინერი, ინჟინერ-ეკონომისტი (1983-85), სახ. საგეგმო კომიტეტის უფროსი ეკონომისტი, მთავარი სპეციალისტი, განყ-ბის გამგე (1985-92), ისტორიისა და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს საგეგმო-საფინანსო განყ-ბის გამგე (1992-93), სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კატრექსის" გენერალური დირექტორის მოადგილე (1993-95), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის სახ. რწმუნებულის პირველი მოადგილე (1995), პარლამენტის წევრი, ფრაქცია „სოციალისტის" თავმჯდომარე (1995-99). არის საქრთველოს სოციალისტური პარტიის წევრი (1998).
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-88-63. (ბინის) ქავთარაძის 22. თბილისი. ტელ: 23-39-91.*

**ყურადღება, ზრდილობა, საქმის ზედმიწევნით ცოდნა.**



**ფიქრია ჩიხრაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, „ახალი ფრაქციის" თავმჯდომარს მოადგილე. დაიბადა 1966 წ. 27 აპრილს. მშობლები: კლარა ჩიხრაძე, ვალერიან ჩიხრაძე. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1989). იყო თბილისის მეორე ექსპერიმენტული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი (1990-94), გაზეთ „ივერია-ექსპრესის" მთავარი რედაქტორი (1995), თსუ ქრისტიანული კულტურის კვლევის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი (1990-99). არის პუბლიცისტური და პოლიტიკური სტატიების, სატელევიზიო გადაცემების ავტორი. თსუ „პრეს-კლუბისა" და „საქართველოს პოლიტიკური კლუბის" წევრი, პოლიტიკური ორგანიზაცია „მოძრაობა ქართული სახელმწიფოსთვის" (ნეოკონსერვატორული კავშირი) ერთ-ერთი დამფუძნებელი.

**ჰობი:** მოგზაურობა, ფოლკლორული და არქეოლოგიური ექსპედიციები.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-98-84. (ბინის) გამსახურდიას 39. თბილისი. ტელ: 37-13-40.*

**ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობა; მართლმადიდებლური პრინციპები.**



**გოჩა ჩოგოვაძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთსა და ესპანეთის სამეფოში, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა ქუთაისში 1941 წ. 11 იანვარს. მშობლები: ქეთევან ჩხიკვაძე-ჩოგოვაძე, გიორგი ჩოგოვაძე; მეუღლე — მანანა ჯიბლაძე (1940); შვილები: გიორგი (1964-84), ირაკლი (1974). დაამთავრა სპი ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკ-ტი (1963). იყო სპი ლაბორანტი, ასპირანტი, ასისტენტი, დოცენტი, კათედრის გამგე, პროფესორი (1963-81), იუნესკოს ინფორმატიკის სექციის გამგე (პარიზი, 1981-86), საქართველოს კპ ცკ მეცნიერების და სასწავლებლების განყ-ბის გამგე (1986-88), სპი რექტორი (1988-94). საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია 1994 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება" (1975). არის 20-ზე მეტი მონოგრაფიის, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 6 გამოგონების ავტორი. პრაღისა და ვროცლავის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის (1981) და ღირსების (1998) ორდენებით. არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ტექნიკური ასოციაციებისა და ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის (UATI) პირველი ვიცე-პრეზიდენტი, საინჟინრო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო საბჭოს აღმასრულებელი საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who in France (პარიზი, 1995-96, 1996-97, 1997-98, 1998-99).

**ჰობი:** მუსიკა, სპორტი (განსაკუთრებით ფეხბურთი).

**მისამართი:** *(სამსახურის) 104 Avenue Raymond Poincare. 75116 Paris. ტელ: 45-02-12-51, 45-02-16-01.*

**„ყველაფერი, რაც ღირს რომ გაკეთდეს — საჭიროებს და ითხოვს იყოს კარგად გაკეთებული" ფილიპ დე რესტერფილდი, გრაფი (1694-1773).**



**გიორგი ჩოკოშვილი** ჟურნალისტი, საქართველოს რადიოს საინფორმაციოანალიტიკური პროგრამების დირექციის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1948 წ. 21 თებერვალს. მშობლები: თამარ ბაჩიაშვილი, მიხეილ ჩოკოშვილი; მეუღლე — რუსუდან ახვლედიანი (1958); შვილი — დავითი (1989). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1974). იყო თბილისის მე-5 საშუალო სკოლის უფროსი პედაგოგ-ხელმძღვანელი (1966-68), ტელევიზიის შტატგარეშე თანამშრომელი, რეჟისორის ასისტენტი, რედაქტორი (1968-74), პროგრამა „მოამბის" კორესპონდენტი (1976-78), განყ-ბის გამგე (1979-82), რადიოს ინფორმაციის მთავარი რედაქტორი (1991-2000). არის მრავალი რეპორტაჟის, რადიო და ტელეგადაცემის ავტორი და წამყვანი, მათ შორის სატელევიზიო პროგრამა „ალიონის", რადიოპროგრამა „პიკის საათის", რადიოკლუბი „კონტაქტის". იყო რადიოს სპორტული კომენტატორი და მიმომხილველი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1995).

**ჰობი:** ჭადრაკის თამაში და სპორტული შეჯიბრებების ყურება.

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი 380071. ტელ: 36-83-14, 25-25-17. ფაქსი: 94-16-84. (ბინის) ხევსურეთის 35, ტელ: 66-37-56.*



**ლამარა ჩორგოლაშვილი** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, საქართველოს დამსახურებული იურისტი. დაიბადა სოფ. სამიქაოში (აბაშის რ-ნი) 1931 წ. 14 იანვარს. მშობლები: ლუბა ქობულია, იონა ჩორგოლაშვილი; მეუღლე — ვასილ გოგუაძე (1920-97); შვილი — მაკა (1969). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1953). იყო იუსტიციის სამინისტროს მდივანი (1953-56), სასამართლო ორგანოების განყ-ბის კონსულტანტი (1956-59), საქართველოს სახელმწიფო არბიტრი (1959-72); უმაღლესი სასამართლოს წევრი (1972-75), თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე (1975-91), სამართლის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1991-92), უზენაესი სასამართლოს განზოგადების განყ-ბის უფროსი (1992-96). იყო საბინაო კანონმდებლობის შემმუშავებელი და სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისათვის შექმნილი კომისიების წევრი. არის გაზეთებსა და იურიდიულ ჟურნალებში გამქვეყნებული ათეულობით სტატიის ავტორი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 94-08-27. (ბინის) ბახტრიონის 11, ბ. 59. თბილისი. ტელ: 37-49-80.*

**მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე დავებს ვიხილავ და გასაკვირი არ არის, რომ ჩემი ცხოვრებისეული კრედო სამართლიანობას და ობიექტურობას ემყარება. ადამიანში ყველაზე მეტად სიკეთეს ვაფასებ და მიმაჩნია, რომ ამ თვისებით მეც გამოვირჩევი.**



**არჩილ ჩოხელი** სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი სამბოში. დაიბადა სოფ. გალავანში (მცხეთის რ-ნი) 1971 წ. 23 ივნისს. მშობლები: იზა ბუჯიაშვილი, როსლან ჩოხელი. დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1997). არის მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1991), მსოფლიო ჩემპიონი (1993), მსოფლიო თასის მფლობელი (1997), ევროპის ჩემპიონი (1998), მსოფლიო უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1995-96), ევროპისა (III 2000, II 2001) და მსოფლიო (III 2000) ჩემპიონატების პრიზიორი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, სპორტის ოსტატი სამბოში (1990), ღირსების ორდენის კავალერი (2000).

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, როგბურთი.

**ჩემი მიზანი იყო გამომეჩინა ჩემი ხეობა, ჩემი სოფელი, ჩემი გვარი. ვოცნებობდი მსოფლიო ჩემპიონობაზე.**

**გოდერძი ჩოხელი** მწერალი, კინორეჟისორი. დაიბადა სოფ. ჩოხში (დუშეთის რ-ნი) 1954 წ. 2 ოქტომბერს. მშობლები: ლელა ბუბუნაური, ნიკო ჩოხელი; მეუღლე — ნინო მელაშვილი; შვილები: ლუკა (1983), ნიკა (1987). დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1979). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი რეჟისორი (1979). არის ავტორი წიგნებისა: „წერილი ნაძვებს" (1980), „ბინდისფერი ხეობა" (1981), „ადამიანთა სევდა" (1984), „მგელი" (1988), „თევზის წერილები" (1989), „მღვდლის ცოდვა",(1990), „შემინახე, დედაო მინავ" (1991); ლექსების კრებულებისა: „ბედი მდევარი" (1995), „ბალახის ცხოვრება" (1997). არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „ადგილის დედა" (1978), „მინის მზომელები" (1979), „ბაკურხეველი ხევსური" (1980), „მეკვლე" (1981), „აღდგომა" (1982), „ადამიანთა სევდა" (1984), „წერილი ნაძვებს" (1986), „უცხო" (1988), „თეთრი ალამი" (1989), „ცოდვის შვილები" (1990; საქართველოს სახელმწიფო პრემია (1991); მონტე-კარლოს კ/ფ პრიზი „ვერცხლის ნიმფა", საერთაშორისო კათოლიკური ეკლესიის პრიზი (1991), იაპონიის კ/ფ ჟიურის სპეციალური პრიზი (1991), თბილისის კ/ფ „ოქროს არწივის" პრიზები საუკეთესო სცენარისა და რეჟისურისთვის (1992), „სამოთხის გვრიტები" (1997, ანაპის კ/ფ „კინოშოკის" „გრან-პრი" (1997), „ლუკას სახარება" (1998, ანაპის კ/ფ „კინოშოკის" პრიზი საუკეთესო სცენარისთვის (1998, „მიჯაჭვული რაინდები" (1999).

**ჰობი:** მოთხრობების წერა და კინოფილმების გადაღება.

**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 14. თბილისი 380059. (ბინის) მეგობრობის გამზირი, I კვ. კორპ. 13. ბ. 34. თბილისი 380059. ტელ: 52-19-87.*

აქ — არ დამავიწყდეს ეისი გორისა ვარ!
იქ — რო მივალ ჩვენს წინაპრებთან, ჩემს დანახვაზე, ნათელმა სიხარულის ღიმილმა გადაუაროს სახეებზე.
ნაწყვეტი რომანიდან „ადამიანთა სევდა":
„— რა არის სიცოცხლე?
— სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა.
— სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა".



**ირაკლი ჩუბინიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1970 წ. 12 იანვარს. მშობლები: ციალა ჩუბინიშვილი, ლევან ჩუბინიშვილი; მეუღლე — თეა ნანიტაშვილი (1974). დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკ-ტი (1992). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან.
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-76-24.*



**ოთარ ჩუბინიშვილი** მუსიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1941 წ. 16 ივნისს. მშობლები: ანა ზედგინიძე, ნიკოლოზ ჩუბინიშვილი; შვილები: გიორგი (1965), ალექსი (1973). დაამთავრა მოსკოვის სახ. კონსერვატორია (ჩელო, 1965), ასპირანტურა (1967). თბილისის სახ. კონსერვატორიის პროფესორია 1967 წლიდან, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის წევრი — 1972 წლიდან. არის ლ.ვაინერის სახელობის კონკურსის ლაურეატი (ბუდაპეშტი, 1973), საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი.
ჰობი: ჯაზური მუსიკა, თეატრი.
მისამართი: *(სამსახურის) გრიბოედოვის 8. თბილისი 380008. ტელ: 99-91-47. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 49, კორპ.15. თბილისი 380077. ტელ: 39-41-95.*
**ნესიერი და ნიჭიერი ხალხის სიყვარული.**



**გივი ჩუგუაშვილი** მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა სოფ. მუხრანში (მცხეთის რ-ნი) 1948 წლის 7 სექტემბერს. მშობლები: სოფია ჩუგუაშვილი, ზაქარია ჩუგუაშვილი; მეუღლე — მანანა გოდერძიშვილი. შვილები: გიგა (1967), ნინო (1975), ზაზა (1977). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1971). იყო რუსთავის სახ. დრამატული თეატრის მსახიობი (1971-79). მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1979 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ცილინდრი", „ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი", „ოტელო", „ჯაყოს ხიზნები", „დიდოსტატის მარჯვენა", „კართოტეკა", „ჰაკი აცბა", „ბახტრიონი", „მაყურებლისათვის ამის ნახვა აკრძალულია", „სეილემის პროცესი", „მეფე ლირი", „ფრანკენშტაინი" და სხვ. კინოფილმებში: „კავკასიელი ტყვე", „ძმა", „დიმიტრი თავდადებული", „წიგნი ფიცისა", „საბედისწერო გასროლა", „მოკვეთილი" და სხვ.
ჰობი: ტექნიკა, მოტოციკლეტი, ცხენი.
მისამართი: *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) ალმაშენებლის 153. თბილისი 380012. ტელ:95-31-57.*
**ჩემი მიზანია, რაც შეიძლება ნაკლები ცოდვა ჩავიდინო, რადგან ყველა ცოდვიანები ვართ, აგრეთვე ჩემი პროფესიის სიყვარული, საქმის ერთგულება, გამტანიანობა, მეგობრის სიყვარული. ჩემი ნატვრაა ჩემი ქვეყნის აღორძინება, ურთიერთსიყვარული, ქუჩაში შემხვედრი ადამიანის მომღიმარე და ბედნიერი სახის ხილვა, რაც ამჟამად იშვიათია.**

**ჯუანშერ ჩქარეული** ფიზიკოსი, პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის ატომბირთვისა და ელემენტარული ნაწილაკების თეორიის განყ-ბის ხელმძღვანელი, ფიზიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 13 იანვარს. მშობლები: ალექსანდრა მახარობლიშვილი, ლევან ჩქარეული; შვილები: გიორგი (1968), ნინო (1982). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1965), რუსეთის ბირთული კვლევ-



ბის გაერთიანებულ ინ-ტის ასპირანტურა (დუბნა, 1966-70). იყო მოსკოვის თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ინ-ტის სტაჟიორ-მკვლევარი (1971-74), ფიზიკის ინ-ტის უფროსი (1974-82), წამყვანი (1982-90) მეცნიერ-თანამშრომელი. განყ-ბის ხელმძღვანელია 1991 წლიდან, თსუ თეორიული ფიზიკის პროფესორი — 1990 წლიდან. მუშაობდა მიწვეულ პროფესორად ევროპის წამყვან სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში: სასექსის უნივერსიტეტში (ბრაიტონი, 1993-94), თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრში (ტრიესტი, 1996), ევროპის ბირთული კვლევების ცენტრში (ჟენევა, 1994-95), ლონდონის სამეფო უნივერსიტეტში (1998-99), მაქს პლანკის სახელობის ინ-ტში (მიუნჰენი, 2000). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლაგრანჟის მოდელები განივი ვექტორული და აქსიალურ-ვექტორული ველებით" (1970), სადოქტორო —„ჰორიზონტალური სიმეტრია და კვარკების და ლეპტონების თაობები" (1985). მისი ძირითადი სამეცნიერო ინტერესები დაკავშირებულია ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასთან მცირე და ზემცირე მანძილებზე. 1980 წელს მის მიერ პირველად იქნა შემოყვანილი ე. წ. კირალური ჰორიზონტალური სიმეტრიის კონცეფცია. ამ და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებულია მისი ასზე მეტი ნაშრომი საერთაშორისო სამეცნიერო პრესაში. არის საქართველოს და აშშ ფიზიკოსთა საზოგადოებების და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, დიდი ბრიტანეთის ფიზიკის ინ-ტის ნამდვილი წევრი (2000).

ჰობი: სამეცნიერო ფანტასტიკა, ფუტუროლოგია, ინგლისური პოეზია.

მისამართი: *(სამსახურის) თამარაშვილის 6. თბილისი 380077. ტელ: 39-56-26. ფაქსი: 53-69-37. ელ-ფოსტა: chkareuli@iph.hepi.edu.ge (ბინის) ფანასკერტელის ქ. მე-17 კორპ. ბ.41. თბილისი. ტელ: 38-09-46.*

**სამეცნიერო ჭეშმარიტება ფლობს დიდ ძალას და ახდენს გადამწყვეტ გავლენას ჩვენს აზროვნებასა და ცხოვრებაზე, თუმცა სწორად გაგებული და ადექვატურად განმარტებული საკმაოდ უბრალოდ გამოიყურება.**



**ავთანდილ (ზურა) ჩხაიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, პოლიციის გენერალ-მაიორი. დაიბადა სოფ. ბახვში (ოზურგეთის რ-ნი) 1953 წ. 14 თებერვალს. მშობლები: ნორა შერვაშიძე, ვახტანგ ჩხაიძე; მეუღლე - მარინე გაბრიჩიძე; შვილები: თამარი (1987), ქეთევანი (1992). დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკ-ტი (1975). მუშაობდა შსს სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარედ (1975-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ჰობი: ცხენოსნობა.

მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018.*

**პასუხისმგებლობის განსაკუთრებული გრძნობა, სიმართლე, პროფესიული მომზადების დონის სისტემატური ამაღლება, პატრიოტიზმი, კოლეგებისა და საზოგადოებისადმი ღრმა პატივისცემა. აღმსარებლობა - მართლმადიდებელი ქრისტიანი.**



**ივანე ჩხარტიშვილი** საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი. დაიბადა ოზურგეთში 1964 წ. 30 იანვარს. მშობლები: ნათელა შავიშვილი, მიხეილ ჩხარტიშვილი; მეუღლე — ნანა გოთუა (1963); შვილები: ნათია (1986), მიხეილი (1990). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1987), ასპირანტურა (1990). იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სამგორის რ-ნის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე (1990-91), ბინსოცბანკის კრწანისის რ-ნის განყ-ბის მმართველი (1991-93), სააქციო კომერციული ბანკის „კრწანისის" გამგეობის თავმჯდომარე (1993-94), საქართველოს სახ. შემნახველი ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, შემდგომში საპაიო კომერციული „ახალი ქართული ბანკის" პრეზიდენტი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე (1994-95), ს/ს „გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარე (1995-96); „გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1996-99), საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე (1999-2000). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ჰობი: ცხენოსნობა.
მისამართი: *(სამსახურის) გამსახურდიას 28. თბილისი 380060. (ბინის) მცხეთის 13.*
საქართველოში საშუალო ფენის ჩამოყალიბება და ხალხის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.



**ოთარ ჩხარტიშვილი** ტელერადიოკომპანია „ევრიკას" პრეზიდენტი. დაიბადა სოფ. ნიგვზიანში (ლანჩხუთის რ-ნი) 1946 წ. 18 აგვისტოს. მშობლები: მარიამ სარიშვილი, ვლადიმერ ჩხარტიშვილი; მეუღლე — ინესა ჩხარტიშვილი (1949); შვილი — თამარი (1986). დაამთავრა სპი (1969). იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, პოლიგონის უფროსის მოადგილე (1969-73), კავშირგაბმულობის სამინისტროს რესპუბლიკური ტელეცენტრის განვითარების სამსახურის უფროსი, კომერციული დირექტორი (1973-98), იმყოფებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მივლინებით (1987-89). მონაწილეობდა საქართველოს სატელევიზიო ქსელის მშენებლობაში. ტელერადიოკომპანია „ევრიკას" პრეზიდენტია 1993 წლიდან. არის ჟურნალ „საქართველოს ტელეკომუნიკაციების" სარედაქციო კოლეგიის წევრი, საინჟინრო აკადემიის კავშირგაბმულობის სექციის წევრი. მიღებული აქვს აჭარის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი, არის ყოფილი სსრკ საპატიო რადისტი, დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1998).
ჰობი: მუსიკა, მოგზაურობა, კინოხელოვნება, სამეცნიერო ფანტასტიკა.
მისამართი: *(სამსახურის) წინამძღვრიშვილის 95. თბილისი 380012. ტელ:94-25-64. ფაქსი: 95-96-70. (ბინის) რჩეულიშვილის ქ. VI კორპ, ბ.11. თბილისი. ტელ: 23-54-03.*
ცხოვრების მიზანი ნაწილობრივ შესრულდა, შეიქმნა ტელევიზია. ვმუშაობ მის დახვეწაზე. ვცდილობთ, შევქმნათ არხი გამსჭვალული ქართული სულისკვეთებით, ტელევიზია, რომელიც გაართობს და დაასვენებს მაყურებელს, აამაღლებს მის სულიერ და რელიგიურ კულტურას, ითანამშრომლებს მსოფლიო კულტურასთან. 5 წლის შემდეგ მონაწილეობას მივიღებ არჩევნებში, ამას მომზადება სჭირდება. სხვებთან ურთიერთობაში ძირითადი პრინციპებია: პირდაპირობა და გულწრფელობა. პატივს ვცემ პროფესიონალიზმს. ვარ მეოცნებე და ოპტიმისტი. დასახულ მიზნებს ხშირად ვაღწევ.



**ვალერი ჩხეიძე** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა სოფ. ქვედა დიმში (ბაღდათის რ-ნი) 1948 წელს. შვილები: დავითი (1975), ვატო (1983). დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტი (1972), უშიშროების კომიტეტის უმაღლესი კურსები (1976), მოსკოვის უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლა (1984). იყო თბილისის ტურისტული მოგზაურობის ბიუროს ინსტრუქტორი (1974-75), მუშაობდა საქართველოს სახ. უშიშროების კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე (1975-82), იყო მოსკოვის სახ. უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლის მსმენელი (1982-84). გაიგზავნა ავღანეთში სპეციალური დავალებით (1984-87). მუშაობდა საქართველოს სახ. უშიშროების კომიტეტში (1987-91), იყო შსს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მ.შ. (1991), საქართველოს უშიშროების სამინისტროს განყ-ბის უფროსი (1991-92), უშიშროების მინისტრის მოადგილე (1992), თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე (1992-93), სასაზღვრო ჯარების სარდალი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1993-94). საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეა 1994 წლიდან. არის პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (2000). დაჯილდოებულია 22 მედლითა და ორდენით, მათ შორის ვ.გორგასლის III ხარისხისა და ღირსების ორდენებით.
მისამართი: *(სამსახურის) კანდელაკის 12. თბილისი 380060. ტელ: 96-52-52.*

**თემურ ჩხეიძე** დრამის რეჟისორი, საქართველოს და რუსეთის სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1943 წ. 18 ნოემბერს. მშობლები: მედეა ჩახავა, ნოდარ ჩხეიძე; მეუღლე — ნანი ჩიქვინიძე (1949); შვილები: ეკა (1965), თეონა (1972), მედეა



(1976). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1965). იყო ზუგდიდის დრამატული თეატრის (1965-67), მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის (1967-70), რუსთაველის თეატრის (1970-80) რეჟისორი, მარჯანიშვილის თეატრის (1980-90); საქართველოს სატელევიზიო თეატრის (1981-88) სამხატვრო ხელმძღვანელი, თსთი მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის პედაგოგი (1969 წლიდან), სანკტ-პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის რეჟისორი (1990 წლიდან). არის 80-მდე დრამატული, საოპერო და სატელევიზიო სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, მათ შორის მოზარდ მაყურებელთა თეატრში: დ.კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი", „უბედურება", ე.დარასელის „დივიზია №16"; რუსთაველის თეატრში შ.დადიანის „გუშინდელნი", დ.კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" (რ.სტურუასთან ერთად), გ.ლორკას „ბერნარდა ალბას სახლი", ლ.ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა", ი.ჭავჭავაძის „ჩემო კალამო"; მარჯანიშვილის თეატრში: მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები", ლ.ქიაჩელის „ჰაკი აძბა", უ.შექსპირის „ოტელო", ფ.დოსტოევსკის „მარადი ქმარი", ა.სტრინდბერგის „მამა", რიზას "Art-ხელოვნება", გარდნერის „სასიყვარულო ბარათები", ჟ.ანუის „ანტიგონე"; სატელევიზიო თეატრში: მ.ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები", „თეთრი კურდღელი", ნ.დუმბაძის „კუკარაჩა", მ.ბულგაკოვის „მოლიერი"; სანკტ-პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრში: ფ.შილერის „ვერაგობა და სიყვარული", უ.შექსპირის „მაკბეტი", ჟ.ანუის „ანტიგონე", ნ.დუმბაძის „მზიანი ღამე", ა.პუშკინის „ბორის გოდუნოვი"; საოპერო სპექტაკლები ლა-სკალაში: „მოთამაშე", „ბორის გოდუნოვი", ჟენევის საოპერო თეატრში ჯ.ვერდის „დონ კარლოსი", სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრში ჯ.ვერდის „დონ კარლოსი", ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი"; ვენეციის ფესტივალზე „მოცარტი და სალიერი", ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ ოპერაში" პროკოფიევის „მოთამაშე". არის კ.მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი.

**ჰობი:** ლიტერატურა, მუსიკა, სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-55-00. (ბინის) გამსახურდიას 17ა, ბ. 40. თბილისი 380060. ტელ: 38-96-17.*



**ოთარ ჩხეიძე** მწერალი. დაიბადა სოფ. ყელქცეულში (გორის რ-ნი) 1920 წ. 28 ნოემბერს. მშობლები: ნატა ჩხეიძე, რევაზ ჩხეიძე; მეუღლე — მარიამ ჩხეიძე (1934); შვილები: როსტომი (1959), ნატო (1960). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განხრით (1942). არის ავტორი რომანებისა: „ტინისხიდი" (1951), „ჯებირი" (1952), „ბურუსი" (1954), „მეჩეჩი" (1956), „ცთომილნი" (1958), „ალმართ-დაღმართი" (1960), „კვერნაქი" (1964), „ლანდები" (1965), „ბორიაყი" (1968), „ვენეციური ჭაღი" (1980), „მთაგრეხილი" (1983), „ამაღლება" (1986), „არტისტული გადატრიალება" (1993), „თეთრი დათვი" (1996), „ბერმუდის სამკუთხედი" (2000) და სხვ; მონოგრაფიებისა: „რომანი და ისტორია" (1963), „იტალიური დღიურები ბაირონისა" (1974); მოთხრობების 2 კრებულისა (1980, 1983); პიესებისა, კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებისა. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1945-98).

**ჰობი:** სოფელი, ბაღი, ვენახი. ახალგაზრდობაში მეფუტკრეობა.

**მისამართი:** *(ბინის) ფალიაშვილის 6, ბ. 32. თბილისი 380079. ტელ: 23-58-54.*

> ქართველი ერის გადარჩენა, სიმტკიცე, მხნეობის ამაღლება, მოთმინება, გაძლება, იმედოვნება რუსული იმპერიის დამხობისა, — ყველა იმპერია რო დამხობილიყო, ეს რაღად უნდა გადარჩენილიყო?! ოღონდ გაგვეძლო. უნდა გაგვეძლო. შეიძლება ახლა ამას ბევრი ტრაბახობს, მე ჩემი შემოქმედება დამიდასტურებს, — განუხრელი და ერთი მთლიანი 1940 წლიდან (პირველი მოთხრობა ამ წელს დაიბეჭდა) დღევანდლამდის და ამის შემდგომაცა, ვიდრე დამაცდის წუთისოფელი.

**რეზო ჩხეიძე** რეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" გენერალური დირექტორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა ქუთაისში 1926 წ. 8 დეკემბერს. მშობლები: სერაფიმა ჩხეიძე, დავით ჩხეიძე (ფსევდონიმი დია ჩიანელი); მეუღლე — თინა ლამბაშიძე (1926); შვილები: ბიძინა (1952), თამრიკო (1961), ხათუნა (1964). დაამთავრა მოსკოვის კინემატოგრაფიის სახ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი



(1954). იყო თბილისის ტელეფილმების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი (1963-73), კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი. „ქართული ფილმის" გენერალური დირექტორია 1973 წლიდან. არის თეატრისა და კინოს ინ-ტის კინოფაკულტეტის კათედრის გამგე, პროფესორი. არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „მაგდანას ლურჯა" (თ.აბულაძესთან ერთად, 1955), „ჩვენი ეზო" (1957), „მაია წყნეთელი" (1960), „ჯარისკაცის მამა" (1964), „მშობლიურო ჩემო მიწავ" (1980), „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი" (1988) და სხვ. არის კანის, კორკის (ირლანდია), დელის, რომის, მოსკოვის, სალონიკის, ვილნიუსის, ტაშკენტის და სხვ. საერთაშორისო კინოფესტივალების, ლენინური პრემიის ლაურეატი; სსრკ სახალხო არტისტი; კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის წევრი; ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი (1992).
ჰობი: ქალთა საზოგადოება.
მისამართი: *(სამსახურის) ახმეტელის 10-ა. თბილისი 380059. ტელ: 52-05-27. (ბინის) ლარსის 5. ბ. 3. თბილისი 380079. ტელ: 23-38-84.*

**თამაზ ჩხენკელი** ლიტერატორი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: თამარ ასლანიშვილი, ვასილ ჩხენკელი; მეუღლე — ლილი გოგუა (1934). შვილები: გვანცა (1958), ნათია (1971). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1952). მუშაობს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში (1958 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პიროვნების გარდაქმნის მითოსური საფუძველი ვაჟაფშაველას პოემებში" (1972). ნათარგმნი აქვს: ბოძიუ-ის ლექსები (1956); რ. თაგორის „გიტანჯალი" (1960), „აღმოსავლური ლირიკა" (1966), „ბენგალია" (1970), „ბჰაგავატგიტა" (1963), დანტეს „ახალი ცხოვრება" (1966), „ინდური საგალობლები", „ახალი ინდოეთის მოაზროვნეები" (1978), „აღმოსავლური ლირიკა", ჰომეროსის „ოდისეა" (1975) და სხვ. არის ი.მაჩაბლის პრემიის ლაურეატი. ლიტერატურულ და სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 17 ნაშრომი ასომთავრული ანბანის შექმნის, მისი გრაფიკული და რიცხვული სტრუქტურის შესახებ (1977 წლიდან).
მისამართი: *(სამსახურის) კოსტავას 5. თბილისი 380008. (ბინის) ვ.ბერიძის 4. თბილისი. ტელ: 33-58-33, 93-19-70.*

**ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპს განასახიერებს დევიზი, რომელიც „შევარდნელთა" მისალმებას წარმოადგენდა: „ვგუშაგობ ერს" — „მარად" (ბიძაჩემი — ცნობილი ექიმი, მთასვლელი და მწიგნობარი — სოსო ასლანიშვილი ჟურნალ „შევარდენის" რედაქტორიც იყო). რაც შეეხება კრედოს, ის გამოხატულია ინდოელი, რუსი, ევროპელი და ამერიკელი მოაზროვნეების (ანთროპოლოგების, ფიზიკოსების, თეოლოგების, მწერლების) იმ წერილებში, რომლებსაც მე ვთარგმნიდი და ვაქვეყნებდი ჩვენს ლიტერატურულ და მეცნიერულ პერიოდიკაში 45 წლის მანძილზე, და რომლის ერთ წიგნად გამოცემა დღემდე ვერ მოხერხდა. ეს წერილები XX საუკუნის მსოფლიოს საჭირბოროტო პრობლემებს ეხება.**



**მერაბ ჩხენკელი** არქიტექტორი, საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის მინისტრი, პროფესორი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი. დაიბადა თბილისში 1939 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ვალერია (ლელი) ჰაჯიბეილი, ივანე ჩხენკელი; მეუღლე — ნინო მდივანი (1947); შვილები: ალექსანდრე (1972), ირინა (1985). დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1965). იყო „საქკურორტპროექტის" უფროსი არქიტექტორი (1965-76), არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი (1969-76), „საქქალაქმშენსახპროექტის" არქიტექტურული სახელოსნოს ხელმძღვანელი (1976-1995), თსსა არქიტექტურული დაგეგმარების კათედრის გამგე (1989-95), თბილისის მერიის არქიტექტურისა და ქალაქის პერსპექტიული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი, თბილისის მთავარი არქიტექტორი (1995). საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრია 1995 წლიდან არის 40-მდე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობის პროექტის ავტორი, მათ შორის: 928 ადგილიანი დასასვენებელი სახლი ქობულეთში, 500 ადგილიანი სანატორიუმი ლიკანში, 350 ადგილიანი დასასვენებელი სახლი „პლატო" ბორჯომში; 500 ადგილიანი სანატორიუმი „საქართველო" წყალტუბოში, დასასვენებული სახლი ბიჭვინთა-

ში; სასტუმრო „გაგრიპში" გაგრაში, დასასვენებელი სახლები გუდაუთაში და მიუსე-რაში, საცხოვრებელი სახლები თბილისში, ბორჯომში, წყნეთში, მძლეოსნური მანე-ჟი თბილისში და სხვ. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლით „შრომითი მამაცობისათვის". არის საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი.
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 16. თბილისი 380060. ტელ: 37-42-76. ფა-ქსი: 22-05-41. (ბინის) ჭავჭავაძის 50. თბილისი 380062. ტელ: 22-08-40.*
**პროფესიის სიყვარული, შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერება და პატიოსნება, ერთგულება, ოჯახის სიყვარული, ქვეყნისა და ხალხისათვის ზრუნვა.**



**რამაზ ჩხიკვაძე** მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 28 თებერვალს. მშობლები: ელენე ჩხიკვაძე (გაჩეჩილაძე), გრიგოლ ჩხიკვაძე; მეუღლე — ნატალია ჩხიკვაძე (1938). შვილი — ალექსანდრე (1957). დაამთავრა თსუ-ის სამსახიობო ფაკ-ტი (1951). რუ-სთაველის თეატრის მსახიობია 1951 წლიდან. მონაწილეობდა მრავალ სპექტაკლსა და კინოფილმში, რადიო და ტელედადგმაში. არის სსრკ სახალხო არტისტი, სოცი-ალისტური შრომის გმირი, სსრკ სახელმწიფო, კ.მარჯანიშვილისა და ს.ახმეტელის სახელობის პრემიების ლაურეატი, მოსკოვის საერთაშორისო კ/ფ ოქროს მედლის მფლობელი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (1973). დაჯილდოე-ბულია ლენინის ორდენით. არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა და კინემატო-გრაფისტთა კავშირების, სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. ტელ: 99-63-73. (ბი-ნის) ძონენიძის 9. თბილისი. ტელ: 93-35-62.*
**ღმერთისა და სამშობლოს სიყვარული, პროფესიონალიზმი, შრომა.**



**ნინო ჩხობაძე** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მი-ნისტრი. დაიბადა ქუთაისში 1961 წ. 28 იანვარს. მშობლები: იზეა გოგლიჩიძე, ოთარ ჩხობაძე; მეუღლე — მალხაზ ძნელაძე (1961); შვილი — ალექსანდრე (1996). დაამთა-ვრა საქართველოს სახ. პედაგოგიური ინ-ტის საბუნებისმეტყველო ფაკ-ტი (1985), ასპირანტურა ეკოლოგიის განხრით (1990). იყო ქუთაისის N4 პოლიკლინიკის სანი-ტარი (1978-80), პედაგოგიური ინ-ტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე (1984-85), მდივანი (1985-88), თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის ეკოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტი (1991), გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე (1993-95). და-იცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მძიმე ლითონების დაგროვება ბალახო-ვან საფარში იალღუჯის ველის ზამთრის საძოვრებზე". აქტიურად მონაწილეობდა „ეკოლოგიური ასოციაციის" შექმნაში (1988). იყო „მწვანეთა მოძრაობის" ეკოლოგი-ური ასოციაციის სწავლული მდივანი (1989), „საქართველოს მწვანეთა დარბაზის" (1989), „მწვანეთა პარტიის" (1994), „საქართველოს მწვანეების" ცენტრალური საბჭოს (1995) წევრი.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 68ა. თბილისი 380071. ტელ: 23-06-64. ფაქსი: 98-34-25, 94-36-70. (ბინის) ჭავჭავაძის 54. თბილისი 380062.*
**მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი. ჩემი ამოცანაა დაეიცვა გარემო ადამიანისგან ადა-მიანისთვის.**



**ალეკო ცაბაძე** კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ალექსანდრა ცაბაძე, გიორგი ცაბაძე; მეუღლე—მანანა ნიქაბაძე; შვილი — საბა (1999). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1982), გაიარა ამერიკის კინოინ-ტის კინოდრამატურგიის სრული კურსი (1993). იყო Nipcow Programm-ის სტიპენდიანტი (ბერლინი, 1992-93). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1986 წლიდან). არის რეჟისორი ფილმებისა: „ლაქა" (1986; I პრიზი თბილისის სტუდენტური ფილმების ფესტივალზე „ამირანი", სატელევიზიო ფილმების მინსკის საკავშირო ფესტივალის და კოშალინის საერთაშორისო ფესტივალის პრიზები საუკეთესო რეჟისურისთვის, ლოკარნოს საერთაშორისო ფესტივალის II პრიზი, ყველა — 1987, ფილმი შეისყიდა BBC-მ), „ღამის ცეკვა" (1991; სალონიკის საერთაშორისო კინოფესტივალის I პრიზი, 1993, საქართველოს კინოაკადემიის 3 მთავარი პრიზი, 1997), „მარტოობის ორდენის კავალერი" (1999; რიგის საერთაშორისო კინოფესტივალი „არსენალის" გრან-პრი, 2000).
**ჰობი:** მუსიკა, ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 10ა. თბილისი 380059. (ბინის) ჩიქოვანის 24. თბილისი 380071. ტელ: 36-40-91.*

**ღმერთმა შექმნა ადამიანი, თუ ხელოვნებამ შექმნა ღმერთი, — საკითხავი, აი, ეს არის.**

**პაველ ცაძიკიძე** ახმეტის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, ვიცე-პოლკოვნიკი. დაიბადა სოფ. ზემო ალვანში (ახმეტის რ-ნი) 1960 წ. 27 ივნისს. მეუღლე — იანა ღუდუშაური (1963); შვილები: ანა (1988), შოთა (1988). დაამთავრა ვლადიკავკაზის სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ზოოსაინჟინრო ფაკ-ტი (1982), საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ასპირანტურა (1987), მეორადი იურიდიული ფაკ-ტი. იყო საქართველოს ზოოვეტერინარული ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1988-91), მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების ცენტრალურ აპარატში (1991), იყო უშიშროების სამინისტროს ყაზბეგის რაიგანყ-ბის უფროსი (1993), უშიშროების სამინისტროს კახეთის რეგიონალური სამმართველოს ახმეტის რაიგანყ-ბის უფროსი (2000-2001). არის 15 სამეცნიერო ნაშრომისა და ერთი გამოგონების ავტორი.



**მამუკა ცეცხლაძე** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 27 ოქტომბერს. მშობლები: ლეილა დოლიძე, კარლო ცეცხლაძე; მეუღლე — ლია შველიძე (1959); შვილები: ქეთინო (1985), ლუკა (1989), ელენე (2001). დაამთავრა თსსა ფერწერის განყ-ბა (1984). იყო თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგი (1994-95). თანამშრომლობს გამომცემლობა „დობერასთან". არის ავტორი ნამუშევრებისა: "გამოღვიძება" (1995), "ეძღვნება კამილ კოროს" (1996), „მერვე კილომეტრი" და სხვ. მოხატა „თბილკრედიტბანკის" შენობა (თბილისი, 2000), Silk Road-ის წარმომადგენლობის ოფისი (ბაქო). არის მხატვარი ფილმებისა: „ახალი წელი", „როდესაც ჩაიქროლებს, რაც ვერ ჩაივლის", რამდენიმე სტატიის ავტორი. გამართა პერსონალური გამოფენები: ხელოვნების მუშაკთა სახლში (თბილისი, 1980), გალერეა "TMS" (თბილისი, 1997), "Gallery IFA" (ბერლინი, 1997). მონაწილეობდა გამოფენებში: "Eeigen Art" (ლაიპციგი 1988), თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი (ნარვა 1988), "თანამედროვე ხელოვნება საბჭოთა კავშირიდან" (იუნესკო, პარიზი 1988), "X სართული" (სანკტ-პეტერბურგის ეთნოგრაფიული მუზეუმი 1989), გალერეა "Black & White" (ბუდაპეშტი 1989), გალერეა "Friedrich" (კიოლნი 1989), თანამედროვე ხელოვნების ბიენალე (გალერეა "არიადნა", პეტერბურგი 1990), "სიცხე და კონტაქტი" (შეფილდი 1992), ხელოვნების ფესტივალი (სოჭი

1994), თანამედროვე ხელოვნების II ფესტივალი (ცეტინი, მონტენეგრო 1994), "თანამედროვე ქართული ხელოვნება" (ზაარბრიუკენი" 1998) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია ცარიცინოს მუზეუმში, თბილისის, გერმანიის, ბუდაპეშტის, საფრანგეთის, აშშ კერძო კოლექციებში. არის მხატვართა კავშირის წევრი, თბილისის თანამედროვე ხელოვნების I საერთაშორისო ბიენალეს კურატორი, პროექტის „ჩრდილში" ავტორი.
ჰობი: ცურვა.
მისამართი: *(ბინის) ფანასკერტელის ქ. XX კორპ, ბ.2. თბილისი. ტელ: 33-45-72.*

**ოც წლამდე იქნება, რაც სერიოზულად ვმუშაობ მხატვრობაში. იყო მხატვარი — ეს დიდი პასუხისმგებლობაა და დიდი პატივი. ძალიან ძნელია და ამავე დროს ძალიან ადვილი, ეს ხომ ადამიანის ტრაგედიაც არის და ბედნიერებაც — ეცადო არ მოიტყუო. ეს თვალნათლივ ჩანს. არ უნდა შეგეძლოს მხატვრობის გარეშე ცხოვრება და თუ შეგიძლია, ე. ი. მხატვარი არ ხარ!**

**ბიჭი ცინცაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 18 აპრილს. მშობლები: თამარ ჭეიშვილი-ცინცაძე, ვასილ ცინცაძე; მეუღლე — ანა ნარიმანიძე (1937); შვილები: მაია (1963), თამარი (1968). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1957). იყო სპი ანალიზური ქიმიის კათედრის ასპირანტი (1961-64), ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის დოცენტი (1965-71), ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე (1971-73), ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგე (1973-92), ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინ-ტის დირექტორი (1992-97). სტუ ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრის გამგეა 1997 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ლითონების ციანატური, თიოციანატური და სელენოციანატური ნაერთების გამოკვლევა" (1971). არის საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1983), უკრაინის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1990).
მისამართი: *(სამსახურის) კოსტავას 69. თბილისი 380075. ტელ: 36-60-35. (ბინის) ცაგარელის 29. თბილისი 380060. ტელ: 38-45-55.*

**გრიგოლ ცინცაძე** ჩოხატაურის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ჩოხატაურში 1956 წ. 16 ივლისს. მშობლები: თამარ ფაცულეიშვილი, ბიძინა ცინცაძე; მეუღლე — ნინო გვარჯალაძე (1956); შვილები: თამრიკო (1980), ნათია (1982), ბიძინა (1989). დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტი (1980). იყო სოფლის მეურნეობის სამმართველოს აგრონომი (1980-82), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე (1982-84), სოფ. ფარცხმის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე (1984-88), ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე (1988-89), ჩოხატაურის სასურსათო კომბინატის დირექტორი (1992-99). ჩოხატაურის რ-ნის გამგებელია 1999 წლიდან.
ჰობი: სპორტი, მუსიკა, ნადირობა.

**მეგობრების სიყვარული, მათთვის თავდადება, პატივისცემა ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციებისადმი.**



**დიტო ცინცაძე** კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 2 მარტს. მშობლები: ნარი უსტიაშვილი, გაიოზ ცინცაძე; მეუღლე — მარიკა გიორგობიანი (1963); შვილები: ნუცა (1982), ნიკოლოზი (1994). დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1981). იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის" (1982-90) და კინოკომპანია „შვიდკაცას" (1990-94) რეჟისორი, Nipcow Programm-ის (ბერლინი, 1996-97), DAAD-ის (ბერლინი, 1998-99) სტიპენდიანტი. არის რეჟისორი ფილმებისა: „კვაზიმოდო" (1981), „თეთრი ღამე" (1984), „დახატული წრე" (1877), „სახელი" (1990), „სტუმრები" (1991; კ/ფ „ოქროს არწივის" პრიზი ორიგინალური რეჟისურისათვის ), „ზღვარზე" (1993; ლოკარნოს საერთაშორისო კ/ფ პრიზი „ვერცხლის ლეოპარდი", კ/ფ „ოქროს არწივის" პრიზი საუკეთესო რეჟისურისათვის), "Lost Killers" (გერმანია, 2000). იყო კანის ფესტივალის ოფიციალური პროგრამის მონაწილე, კოტბუსის საერთაშო-

რისო კინოფესტივალის გრან-პრისა და თესალონიკის საერთაშორისო ფესტივალის პრიზის „ვერცხლის ალექსანდრეს" (2000) მფლობელი.
**ჰობი:** მუსიკა.
**მისამართი:** *(ბინის) ცხვედაძის 44. თბილისი. ტელ: 29-09-04.*

**არ გავუკეთო სხვას ის, რაც არ მინდა რომ მე გამიკეთონ. ვიყო მართალი საკუთარ თავთან.**



**ნანა ცინცაძე** მხატვარი, გრაფიკის შემოქმედებითი ცენტრის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1947 წ. 7 ოქტომბერს. მშობლები: რუსუდან მეფისაშვილი, ვახტანგ ცინცაძე; მეუღლე — გიორგი წერეთელი (1944); შვილები: ვახტანგი (1975), ირინე (1979). დაამთავრა თსსა გრაფიკის ფაკ-ტი (1971). იყო თსსა გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოს გრაფიკის განყ-ბის გამგე (1972-91). არის ავტორი ნამუშევრებისა: აკვარელში შესრულებული სერიები (1974-99), ოფორტების სერიები "დილა, შუადღე, საღამო" (1983), "დიალოგები" (1984), "გზა" (1987), "მოგზაურობა" (1991), "ბოტიჩელის გახსენება" (1994), "გადანაცვლება" (1995-97) და სხვ. დაჯილდოებულია ტალინის გრაფიკის საერთაშორისო ტრიენალეს პრემიით (1984), თბილისის საერთაშორისო საშობაო ფესტივალების II პრემიებით (1995, 1997), საქართველოს მხატვართა კავშირის პრემიით (1984). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1974). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 16, თბილისი 380079. (ბინის) ზალდასტანიშვილის 9, თბილისი. ტელ: 92-28-16.*



**ნოდარ ცინცაძე** ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 22 თებერვალს. მშობლები: ოლღა ჭილაშვილი, ლევან ცინცაძე; მეუღლე — ნელი გულდამაშვილი (1948); შვილები: ია (1968), ლევანი (1969). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1955). იყო ფიზიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1975-88). არის ფიზიკის ინ-ტის პლაზმის ფიზიკის განყ-ბის გამგე (1958 წლიდან), თსუ პლაზმის ფიზიკის კათედრის გამგე (1958 წლიდან), პროფესორი (1965 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „Сильноточные электронные пучки" (1985), სადოქტორო — „Нелинейные взаимодействия в неравномерной плазме" (1966). არის ავტორი 193 სამეცნიერო ნაშრომის, 13 მიმოხილვითი შრომის, 7 მონოგრაფიის, წიგნების: „პლაზმის საკითხები" (I, II. დ. ცხაკაიას, ნ. ცინცაძის, ა. რუხაძის თანაავტორობით). ითვლება პლაზმის ფიზიკის ფუძემდებლად საქართველოში. არის განათლების დამსახურებული მუშაკი, ხიროსიმის (იაპონია) სინთეზის თეორიის ინ-ტის საპატიო წევრი, მსოფლიოს პლაზმის ფიზიკის საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია სსრკ სამეცნიერო ცნობარში, ცნობარში "Outstanding People of the 20th Century" (IBC, Cambridge, 1998), ABI-ის მიერ აღიარებულია 1998 წლის ადამიანად.
**ჰობი:** ფერწერა, კლასიკური მუსიკა, სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) თამარაშვილის 6. თბილისი 380077. ტელ: 39-19-74. (ბინის) კოსტავას 63. ბ.53. თბილისი 380071. ტელ: 33-16-33.*

**შრომა, პატიოსანი და კეთილმოსურნე ურთიერთობები, ოჯახის ძლიერება და სამაგალითო საქციელი. შვილების კარგ მოქალაქეებად გაზრდა. საქართველოში მეცნიერებისა და განათლების საფუძვლიანი განვითარება, შემოქმედი მეცნიერი ახალგაზრდების აღზრდა.**

**სოსო ცინცაძე** დიპლომატიური აკადემიის რექტორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი. დაიბადა თბილისში 1935 წ. 1 სექტემბერს. მშობლები: თამარ მაჭავარიანი, პავლე ცინცაძე; მეუღლე — თამარ ცინცაძე (1941); შვილი — პაატა (1975). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1959). იყო მეცნიერებათა აკადემიის ვი-

ცე-პრეზიდენტის თანაშემწე (1960-64), ისტორიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1964-75), ეროვნებათშორის ურთიერთობათა კვლევის ცენტრის განყ-ბის გამგე (1975-97), სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1992-93). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან" (1964); სადოქტორო — „ირიბი მმართველობის სისტემა" (1987). არის 200-მდე სტატიისა და 18 მონოგრაფიის ავტორი, საგარეო-პოლიტიკური ასოციაციის პრეზიდენტი.
ჰობი: პოლიტიკა, ტყეში სეირნობა.
მისამართი: *(სამსახურის) ყაზბეგის 34. თბილისი 380060. ტელ: 93-33-07, 39-04-94. ფაქსი: 23-23-38. (ბინის) კეკელიძის 25. თბილისი 380079.*

ვიცხოვრო ისე, რომ ჩემს შვილს ვერაფერი წააძახონ 20-30 წლის შემდეგაც. თუკი რაიმე წარმატებაზე შეიძლება საუბარი, ეს მხოლოდ საკუთარ თავზე მუშაობის შედეგია.



**დავით ცირეკიძე** ტყიბულის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა 1954 წ. 23 აგვისტოს. მშობლები: ქეთევან ლორთქიფანიძე, დავით ცირეკიძე; მეუღლე — მარინე ხუბულავა (1955); შვილები: ნათია (1980), დავითი (1988). დაამთავრა სპი სამთო ფაკ-ტი (1989), მოსკოვის უმაღლესი პარტიული სკოლა (1989), სამთო ინ-ტის ასპირანტურა (1987). იყო პარტიული, სამეურნეო და დიპლომატიური მუშაკი, ქალაქ ტყიბულის მერი (1997-2000).
ჰობი: ხატვა და ცხენოსნობა.
მისამართი: *(სამსახურის) კარლო ლომაძის მოედანი 3, ტყიბული. ტელ: 2-20-20. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 20, თბილისი 380086.*

ნესიერება, გულახდილობა და სამშობლოს ერთგულება.



**პეტრე ცისკარიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1974 წ. 27 თებერვალს. მშობლები: მედეა კობახიძე, გიორგი ცისკარიშვილი. დაამთავრა ოქსბურგის უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკ-ტი (აშშ 1997). იყო მრეწველობის მინისტრის თანაშემწე (1997-98), შპს „ქართუს" „ქართუ-კფტ" ფილიალის ფინანსური მენეჯერი (1998-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის სმკ-ის წევრი (1999).
ჰობი: სპორტი, კითხვა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-52-08. (ბინის) ირ. აბაშიძის 81. თბილისი 380079.*

მეგობრობა გზად და ხიდად.



**მარიამ ცისკაძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. დაიბადა თბილისში 1960 წ. 19 ნოემბერს. მშობლები: ანა გლოველი, ივანე ცისკაძე; მეუღლე — თეიმურაზ კუტივაძე (1955). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1982). იყო სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1982-91), თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე (1991-98), სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე (1998-99). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საკუთრების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიები" (1989). ქართულ და გერმანულ ჟურნალებში გამოქვეყნებულია მისი სტატიები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე.
ჰობი: მოგზაურობა საქართველოში და საზღვარგარეთ; კლასიკური, განსაკუთრებით საოპერო მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი 380010. (ბინის) ყიფშიძის 5. თბილისი. ტელ: 34-62-57.*

კაცთმოყვარეობა, ჰუმანიზმი, ზნეობა, მხოლოდ კანონისადმი ერთგულება. ჩემი სამოსამართლეო პრაქტიკის დიდ მიღწევად მიმაჩნია ის, რომ პროცესზე წაგებული მხარე მადლობას მიხდის თავისი უკანონო მოთხოვნის დარწმუნებაში. ხოლო პედაგოგიური საქმიანობის წარმატებაა, როცა სტუდენტი კმაყოფილია წაკითხული ლექციით და ობიექტური შეფასებით. ოპტიმიზმი ქართული სულის და საქართვე-

ლის სახელმწიფოებრიობის სრულყოფისა და განმტკიცების მიმართ. ერისთვის ზნეობრივად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობის აღზრდა.



**გიორგი ციციშვილი** ქიმიკოსი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1915 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ქსენია ციციშვილი, ვლადიმერ ციციშვილი; მეუღლე — ლიდა ფილიპოვა-ციციშვილი (1919); შვილები: ელენე (1941), ვლადიმერი (1947). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1937), ასპირანტურა (1940). იყო თსუ უფროსი მასწავლებელი (1940-42), დოცენტი (1942-49), პროფესორი (1949 წლიდან), ქიმიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1941-47), დირექტორი, ლაბორატორიის გამგე (1947-89), საპატიო დირექტორი (1989 წლიდან), მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი (1963-88), პრეზიდიუმის მრჩეველი (1988 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „წყალბადური ბმის თეორია" (1940); სადოქტორო — „ფტორწყალბადისა და სხვა ჰალოგენწყალბადების მოლეკულათაშორისი ურთიერთქმედება და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები" (1947). არის 600-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი ქიმიასა და და მონათესავე დარგებში. წიგნები: „სორბციული პროცესები" (1959), „ბუნებრივი ცეოლითები" (რუსულად 1985, პოლონურად 1990, ინგლისურად 1992, თანაავტორთან ერთად); „ბუნებრივი ცეოლითები და გარემოს დაცვა" (რუსულად 1995, თანაავტორთან ერთად); „კვანტური ქიმია" (1996); არის პ. მელიქიშვილისა (1965) და თვალჭრელიძის (1987) სახელობის, სსრკ მინისტრთა საბჭოს (1990) პრემიების ლაურეატი, ჯ. სოროსის საერთაშორისო სამეცნიერო ფონდის საპატიო პროფესორი (1994), შრომის ვეტერანი (1985), ქიმიური საზოგადოების გამგეობის წევრი, ცეოლითების ასოციაციის თავმჯდომარე, სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი, ენციკლოპედია „საქართველოს" მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, ოთხენოვანი ქიმიური ტერმინოლოგიის ლექსიკონის რედაქტორი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „Химики" (Киев, 1984); „Выдающиеся химики мира" (Москва, 1991), Men of Achievement (17th ed.), Who's Who (IBC, Cambridge).

ჰობი: წიგნები და ჟურნალები ქიმიისა და ფიზიკის დარგში, მხატვრული ლიტერატურა.

მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი 380008. ტელ: 99-72-32. ფაქსი: 99-88-23. ელ-ფოსტა: devi@kheta.pasgl.georgia.su (ბინის) უზნაძის 2. ბ.14. თბილისი 380002. ტელ: 95-61-26.*

**დავრწმუნდი, რომ ბეჯითი სწავლა და შრომა წარმატების საწინდარია, ცხოვრებისეულ მაგალითად მივიჩნევდი მშობლებს, მასწავლებლებს და უფროს კოლეგებს. არ დამიზოგავს ძალ-ღონე, რომ მოკრძალებული წვლილი შემეტანა მშობლიური ქვეყნის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის განვითარებაში. ვცდილობდი, რომ ჩემი ცოდნა-გამოცდილება გადმომეცა ახალგაზრდობისათვის და მხარი დამეჭირა მეცნიერულ-ტექნიკური სიახლისათვის.**



**ეთერ ციციშვილი** საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა 1919 წ. 5 იანვარს. დაამთავრა სპი არქიტექტურის ფაკ-ტი (1936). იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომისიის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და კულტურის სამინისტროს კურატორი, ს/ი „ქალაქმშენსახპროექტის" საგეგმო-საწარმოო განყ-ბის უფროსი (1954), ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო ს/კ ინ-ტის საქართველოს ფილიალის ერთ-ერთი დამფუძნებელი, საგეგმო-საწარმოო განყ-ბის უფროსი (1963 წლიდან), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს ტელევიზიის "ხალხური შემოქმედებისა" და "თბილისი და თბილისელების" რედაქციების თანამშრომელი. არის ავტორი წიგნებისა: „დიზაინის დაპროექტება საქართველოში" (რუსულ ენაზე, თბილისი 1985), "დიზაინი საქართველოში" (ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, თბილისი 1997), "ქართული ხალხური ტრადიციები დიზაინის სამსახურში" (თბილისი, 1998), "წამი წარმავალისა" (თბილისი, 1999) და სხვ; სტატიებისა და რეცენზიებისა პერიოდულ პრესაში, სატელევიზიო გადაცემებისა; მოხსენე-

ბებისა საქართველოს, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე. არის საქართველოს არქიტექტორთა (1960), მხატვართა (1985), დიზაინერთა (1987) კავშირების, ქართველ ფსიქოლოგთა გაერთიანების (1969) წევრი. დაჯილდოებულია სიგელით "წლის საუკეთესო წიგნისათვის", დიპლომითა და პრემიით (1998). იყო საზოგადოება "ცოდნისა" და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარე.

**მისამართი:** *(ბინის) ი. ნიკოლაძის 5ა. თბილისი 380079. ტელ: 22-36-00.*

**შოთა ციხელაშვილი** დმანისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. განთიადში (დმანისის რ-ნი) 1950 წ. 1 აგვისტოს. მშობლები: ნინო ციხელაშვილი, დავით ციხელაშვილი; მეუღლე ირინა ლურსმანაშვილი (1959); შვილები: თამარი (1983), ნინო (1984), გიორგი (1990). დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სატყეო-სამეურნეო ფაკ-ტი (1975). იყო დმანისის სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის ინჟინერი (1975-76), სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის დაცვის სამმართველოს უფროსი ინჟინერი (1976-77), საქართველოს ტყეების ავიაციით დაცვის განყ-ბის უფროსი (1977-91), დმანისის რ-ნის სატყეო მეურნეობის დირექტორი (1991-95). გამგეობის თავმჯდომარეა 1995 წლიდან. იყო საქართველოს მწვანეთა პარტიის წევრი (1992-94). არის სმკ-ის წევრი (1994).

**ჰობი:** მშენებლობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) წმ. ნინოს 41. დმანისი. ტელ: 2-10-01. (ბინის) გორგასლის 7. დმანისი. ტელ: 2-16-66.*

**მსურდა შემექმნა ისეთი ცხოვრება, რომელიც მომცემდა საშუალებას და შესაძლებლობას მხოლოდ სიკეთის კეთების და გაჭირვებულთა დახმარების. ჩემი გეგმები და მიზნები ყოველთვის ემთხვეოდა ჩემს შესაძლებლობებს. არ მომწონს სხვისი დაჩაგვრა, განსაკუთრებით ჩემზე სუსტის. მომწონს უბრალოება.**



**ზურაბ ციხისთავი** ბანკირი, ს/ს "ბაზისბანკის" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1962 წ. მშობლები: ესმა ზუკაკიშვილი, ელიზბარ ციხისთავი; მეუღლე — ქეთევან სოსელია (1969); შვილი — თამარი (1995). დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1984), ასპირანტურა (1987). იყო ფუნქციათა თეორიისა და ფუნქციონალური ანალიზის კათედრის სპეციალისტი (1984-87), თსუ დოცენტი (1989-95), "ბაზისბანკის" გენერალური დირექტორია 1996 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "პოლინომური ოპერატორული კონების სპექტრის ასიმპტომატური განაწილების შესახებ" (მოსკოვი ,1988). არის 16 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

**ჰობი:** მუსიკა, ავტომობილით მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ლესელიძის 18. თბილისი 380005. ტელ: 98-47-36. ფაქსი: 98-65-48. ელ-ფოსტა:* zurab.tsikhistavi@basisbank.ge



**ივანე ცნობილაძე** არასამთავრობო ორგანიზაცია „ვარკეთილის" თავმჯდომარე. დაიბადა ტყიბულში 1956 წ. 20 თებერვალს. მშობლები: ნინა გელაძე, კარპე ცნობილაძე; მეუღლე — მზია ქასრაძე (1960); შვილები: დიანა (1982), დათო (1987). დაამთავრა თბილისის სახ. პედაგოგიური ინ-ტი (ზოგადტექნიკური დისციპლინა, 1990). იყო N18 ლიცეუმის პედაგოგი (1981-83), პროფკომიტეტის თავმჯდომარე (1983-90), საკაბელო ტელევიზია „ოკრიბა-ტვ"-ს დირექტორი (1990-95). საზოგადოება „ვარკეთილის" თავმჯდომარეა 1998 წლიდან. არის ავტორი პროექტებისა: „თვითმმართველობა და არჩევნები საქართველოში" (გადაცემათა ციკლი), „ახალი საზოგადოება — ახალი ურთიერთობები". საზოგადოება „ვარკეთილის" წევრია 1995 წლიდან. საზოგადოება „ვარკეთილი" დასახელდა მსოფლიოს 59 არასამთავრობო ორგანიზაციას შორის და გადაეცა აშშ-ის, ევროკავშირისა და სამოქალაქო და დემოკრატიული განვითარების ჯილდო (1998).

**ჰობი:** სპექტაკლებზე დასწრება, პოეზია.

**მისამართი:** *(სამსახურის) ვარკეთილი-3, დვალის 11. III მ/რ. ტელ: 79-57-31.*

ჩემს ცხოვრებისეულ კრედოს წარმოადგენს საზოგადოებრივი საქმიანობა, რომლითაც მსურს ჩემი წვლილი შევიტანო ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ჩემი საქმიანობის წარმატებები ძირითადად დაფუძნებულია საჯაროობისა და ურთიერთკომპრომისების საფუძველზე. შეძლებისდაგვარად ვიცავ ქრისტიანულ მოძღვრებას.



**ლევან ცუცქირიძე** მხატვარი, პროფესორი. დაიბადა ხაშურში 1926 წ. 12 იანვარს. მშობლები: ნინო გუბელიძე, სიმონ ცუცქირიძე; მეუღლე — დალი ღვინიანიძე (1935); შვილები: ვაჟა (1962), მამუკა (1969), ნინო (1971). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1957). არის თსსა ხატვის კათედრის პედაგოგი (1960 წლიდან). არის ილუსტრატორი წიგნებისა: „ვეფხისტყაოსანი", „შუშანიკის წამება", „სადღეგრძელო" (გრ. ორბელიანი), ვაჟა-ფშაველას 5 პოემა, „ფაუსტი" (გოეთე), „დემონი" (ლერმონტოვი), ა.წერეთლის, გ.ტაბიძის, ლ.ასათიანის, ა.კალანდაძის, ი.აბაშიძის ლექსების კრებულები და სხვ. არის რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, ანდერსენის სახელობის დიპლომის მფლობელი.

**ჰობი:** ფერწერა.

**მისამართი:** *(სამსახურის) გრიბოედოვის 24. თბილისი 380008. ტელ: 93-54-11. (ბინის) ყაზბეგის ჩიხი 4. თბილისი 380077. ტელ: 39-63-66.*

ჩემი ცხოვრების პრინციპი იყო და არის ის წესრიგი, რომლის წყალობითაც შემოქმედი თავის ფიქრებში ძერწავს და აყალიბებს ფორმას და ამთავრებს თავის საკუთარ ენაზე შემოქმედებას. და თუ ეს ასე რიგად წარიმართა, მაშინ წარმატებაც იმ შინაგანი წესრიგის შედეგი იქნება. აქედან გამომდინარე, ეს არის ჩემი მიზანიც და იდეალიც.



**ზურაბ ცქიტიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1941 წ. 31 იანვარს. მშობლები: ნინა ქავთარაძე, მიხეილ ცქიტიშვილი; მეუღლე — ლალი ცაგარელი (1941); შვილები: ირმა (1966), კახა (1968). დაამთავრა სპი კვების ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1965). იყო თბილისის რძის კომბინატის ცვლის ოსტატი (1965-70), გარდაბნის რძის ქარხნის წარმოების უფროსი (1971-1972), დირექტორი (1972-1976), საქართველოს რძის მრეწველობის გაერთიანება „საქართველოს რძის" მთავარი ინჟინერი (1976-90), თბილისის რძის კომბინატის გენ. დირექტორი (1990-93), ამავე ქარხნის ბაზაზე შექმნილი ს/ს „ამალთეა"-ს გენერალური დირექტორი (1993-94), სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (1994 წლიდან). საქართველოს პარლამენტის წევრი და კომიტეტის თავმჯდომარეა 1995 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პროდუქციის გამომუშავება რძის უწყვეტ ნაკადში ცილების კოაგულაციის საფუძველზე" (1991). არის წიგნის „რძისა და რძის პროდუქტების ტექნოლოგიები" (1984), 30 სამეცნიერო ნაშრომისა და 20 გამოგონების ავტორი; სოფლის მეურნეობის აკადემიის ნამდვილი წევრი; ღირსების ორდენის კავალერი; სმკ-ის წევრი (1993); სსრკ ჩემპიონი ფარიკაობაში.

**ჰობი:** სპორტი, მხატვრული ლიტერატურა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-08-39; 96-16-61, 94-27-27. (ბინის) ცაგერის 4. თბილისი 380078. ტელ: 37-00-66, 99-07-86.*

სწრაფვა სიახლისაკენ, ახალი ინფორმაციები, ანალიზზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება, სიმართლე, პასუხისმგებლობა.

**გიორგი ძამუკაშვილი** სათემო ფონდის „ადგილის დედა“ დირექტორი. დაიბადა თელავში 1951 წ. 29 ივლისს. მშობლები: მერი დიღმელიშვილი, სიმონ ძამუკაშვილი; მეუღლე — ნათელა გიგოლაშვილი (1951); შვილები: ნანო (1987), უჩა (1988), რატი (1991). დაამთავრა სპი მექანიკის ფაკ-ტი (1968), თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1973). იყო სამტრესტის მშენებარე ობიექტების გაერთიანებული დირექციის დირექტორის მოადგილე, „საქაგრომრეწმშენკომპლექტის“ მთავარი ინჟინერი, გენერალური დირექტორი, საზოგადოება „ვარკეთილის“ თავმჯდომარე (1995-98), სახ. კანცელარიასთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების საკონსულტაციო საბჭოს წევრი (1997-99). არის თბილისის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგარეო საკითხთა კომისიასთან არსებული საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოს წევრი (1999 წლიდან), სამხრეთ კავკასიის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის „მტკვარი-არაქსის“ საქართველოს წარმომადგენელი (1999 წლიდან), კავკასიის ეკოლოგიური ცენტრის საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2000 წლიდან), ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2000 წლიდან), ვარკეთილის დასახლებაში სოციალურ-ეკონომიკური, გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, სამოქალაქო განათლების პროგრამების მონაწილე. არის ავტორი დოკუმენტური ფილმისა „ადამიანები გახდებიან უკეთესნი და ქვეყანაც უკეთესი იქნება“.



**ჰობი:** ფოტოხელოვნება, პოეზია.

**მისამართი:** *(სამსახურის) ვარკეთილი-3, III მ/რ. დვალის 9. ტელ: 98-27-59. ელფოსტა: loci@ok.ru, genius@ip.osgf.ge (ბინის) ვარკეთილი-3, II მ/რ. კორპ. 9. ბ.125. თბილისი. ტელ: 79-38-06.*

**ადამიანებთან ურთიერთობა, მონოდებით ცხოვრება, შრომა.**

**ლევან ძნელაძე** საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრი. დაიბადა 1963 წ. 22 მარტს. მშობლები: რუსუდან კანდელაკი, დავით ძნელაძე; მეუღლე — თამარ ძნელაძე (1965); შვილები: რეზიკო (1983), ნინო (1985). დაამთავრა თსუ (1984). იყო საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის აპარატის უფროსი (1996-97), საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე (1997-2000), პირველი მოადგილე, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე (2000-2001), საქართველოს ქონების მართვის მინისტრი (2001). არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.



**ჰობი:** სპორტი, მხატვრული ლიტერატურა, კლასიკური მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 55 თბილისი 380062. ტელ: 25-15-38, 22-41-53. ფაქსი: 93-15-84. (ბინის) საბურთალოს 59 ბ. 7, თბილისი 380077 ტელ: 39-74-27.*

**პატიოსნება, პროფესიონალიზმი, თავმდაბლობა, კეთილგანწყობა, ოპტიმიზმი, კომუნიკაბელურობა, ნებისყოფა, შენდობა, პატივისცემა, პრინციპულობა, ობიექტურობა, ოჯახური სიმყუდროვე.**

# ნ



**ავთანდილ წერეთელი** ბიზნესმენი, კავშირის „ჯგუფი სამგორი-94" თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1950 წ. 29 აპრილს. მშობლები: მადონა ვარდოსანიძე, ვახტანგ წერეთელი; მეუღლე — ნანა ხუნდაძე (1950); შვილი — ვახტანგი (1982). დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის ტექნოლოგიური ფაკ-ტი (1973). იყო საქართველოს „საქაგრომრეწვის" სისტემის ბაზის (973-83), თბილისის ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნის (1983-84), „აგრომრეწვის" სისტემის ლილოს ბაზის (1984-94), შპს „სამგორი-94"-ის (1994-99) დირექტორი. კავშირის „ჯგუფი სამგორი-94" თავმჯდომარეა 1999 წლიდან. დაჯილდოებულია მედლით "საქართველოს საუკეთესო გადამხდელი ბიუჯეტში" (1998). არის საქართველოს გადამხდელთა კავშირის დამფუძნებელი და წევრი (1998).

**ჰობი:** კლასიკური ჭიდაობა, ფარიკაობა, თეატრი, კინო.

**მისამართი:** *(სამსახურის) საბურთალოს 32, თბილისი, 380094. ტელ: 93-29-62. ფაქსი: 93-27-01. samgori94@gol.ge.*

**თავმდაბლობა, შრომისმოყვარეობა, ერთგულება, ზნეობა, ოჯახის სულიერი, ფიზიკური და მატერიალური სიძლიერე, წინაპართა ტრადიციების პატივისცემა. ყველგან და ყოველთვის ვცდილობ ვიხელმძღვანელო დიდი ილიას სიტყვებით: „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე აბა დღეს მე ვის რა ვარგე".**



**გიორგი (გიგი) წერეთელი** საქართველოს პარლამენტის წევრი, თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1964 წ. 23 თებერვალს. მშობლები: აზა ანთელავა, ნუგზარ წერეთელი; მეუღლე — ეკა კანდელაკი (1966); შვილი — ნუგზარი (1990). დაამთავრა თსსი სამკურნალო (1986) და თსუ იურიდიული (1999) ფაკ-ტები, გაიარა თსსი კლინიკური ორდინატურა (1989). არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; სმკ-ის წევრი (1999); ნევროლოგთა ასოციაციის, ფსიქიატრთა საზოგადოების, კარტინგის ფედერაციისა და ბავშვთა ბეისბოლის ლიგის პრეზიდენტი.

**ჰობი:** წიგნები, ინტერნეტი, ძაღლი.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ი.ნიკოლაძის 7. თბილისი 380009.*

**ყოველთვის ვიყო საჭირო და სასარგებლო საზოგადოებისათვის, რომელშიც ვცხოვრობ.**



**გიორგი (გოგი) წერეთელი** საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა ლანჩხუთში 1944 წლის 25 თებერვალს. მშობლები: თამარ წერეთელი, გალაქტიონ წერეთელი; მეუღლე — ნანა ცინცაძე (1947); შვილები: ვახტანგი (1975), ირინე (1979). დაამთავრა თსსა გრაფიკის განყ-ბა (1975), სსრკ სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნო (1980). იყო მხატვართა კავშირის მდივანი (1987-95), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მხატვრული რედაქტორი (1972-76), მწერალთა კავშირის მთარგმნელობითი კოლეგიის მხატვარი. მხატვართა კავშირის გამგეობის წევრია 1987 წლიდან, ჟურნალ „ცისკრის" მხატვრული რედაქტორი — 1997 წლიდან, თსსა გრაფიკის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი — 1994 წლიდან. გამართა პერსონალურ გამოფენები პრაღაში (1983), ბრატისლავაში (1984). მონაწილეობდა საქართველოსა და საზღვარგარეთ გამართულ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია ლუდვიგის მუზეუმში (გერმანია), რიო დე-ჟანეიროს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, სოფიის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, აშშ, გერმანიის, ბელგიის, ჰოლანდიის, რუსეთის, საქართველოს კერძო კოლექციებში. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

**მისამართი:** *(ბინის) ზალდასტანიშვილის 9. თბილისი. ტელ: 92-28-16.*



**ზურაბ წერეთელი** საქართველოს სახალხო მხატვარი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1934 წ. 4 იანვარს. მშობლები: თამარ ნიჟარაძე, კონსტანტინე წერეთელი; მეუღლე — ინესა ანდრონიკაშვილი (1937-98); შვილი — ელენე (1959). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1958). იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1985, 1988), სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1989), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992), იუნესკოს საგანგებო და სრულუფლებიანი კეთილი ნების ელჩი, იუნესკოს ხელშეწყობის მოსკოვის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი, საქართველოს დიზაინერთა კავშირის თავმჯდომარე, თსსა მონუმენტური ხელოვნების კათედრის გამგე. არის ნიუ-იორკის სახ. უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი (1978), სსრკ სახალხო მხატვარი (1979), სოციალისტური შრომის გმირი (1991), რუსეთის ფედერაციის სახალხო მხატვარი (1994), ხალხთა მეგობრობის (1980, 1994), წმინდა კონსტანტინეს (1996), ღირსების (1996) ორდენების კავალერი, პაბლო პიკასოს (1994), რუსეთის სახელმწიფო (1996) პრემიების ლაურეატი.
**მისამართი:** *(ბინის) ნ.ნიკოლაძის 7. თბილისი. ტელ: 99-70-30, 23-04-11, 254-35-68 (მოსკოვი).*

**კახაბერ წერეთელი** ახალციხის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ქიათურაში 1966 წ. მეუღლე — დარეჯან მესხი (1965); შვილები: ცოტნე, ნუგზარი, გვანცა. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1992), ასპირანტურა (1993). იყო იურიდიული სამსახურის პრეტენზიონისტი (1983-85), საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ახალგაზრდული პროგრამების მთავარი რედაქციის კორესპონდენტი სამართლებრივ საკითხებში (1990-92), თსუ იურიდიული ფაკ-ტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის ლაბორანტი (1992 წლიდან), იურიდიული ფაკ-ტის სწავლული მდივანი (1993-97), თსუ ახალციხის ფილიალის მასწავლებელი (1994 წლიდან), საკონსტიტუციო სამართლისა და სამართლის თეორიის უფროსი მასწავლებელი (1995 წლიდან), სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის სამართალდამცავი, უშიშროებისა და თავდაცვის სამსახურებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (ახალციხე, 1995-96), სტაჟირება გაიარა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკ-ტზე სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სპეციალიზაციით (უნგრეთი, 1996-97), იყო სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო განყ-ბის უფროსის მოადგილე (ახალციხე, 1996-97), ახალციხის რეგიონალური სამხედრო სასამართლოს მოსამართლე (1997), საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო "ვალეს" უფროსის მოადგილე (1997-2000), თსუ ახალციხის ფილიალის იურიდიული ფაკ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი და პედაგოგი; 15 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მონაწილეობდა საერთაშორისო სამართებრივ კონფერენციებსა და სემინარებში, მათ შორის აშშ იუსტიციის სამინისტროს გამოძიების ფედერალური ბიუროს ეგიდით გამართულ კონფერენციებში.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 18, ახალციხე. ტელ: 2-08-08.*



**კონსტანტინე წერეთელი** ენათმეცნიერი-სემიტოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1921 წ. 4 თებერვალს. მშობლები: ვერა წერეთელი, გრიგოლ ლორთქიფანიძე; მეუღლე — ლეილა წერეთელი (1926); შვილი — სოსო (1958-83). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის კავკასიურ-აღმოსავლურ ენათა განყ-ბა (1941). იყო თსუ აღმოსავლურ ენათა კათედრის ასისტენტი (1944-46), სემიტოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი (1946-48), დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე (1948-83), აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტის დეკანი (1959-60), ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1945-60). არის თსუ ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის გამგე (1991 წლიდან), აზიისა და აფრიკის ინ-ტის სემიტოლოგიის განყ-ბის გამგე (1960 წლიდან), საქართველოს განათლების სამინისტროს აღმოსავლურ ენათა სწავლების საკოორ-

დინაციო ცენტრის ხელმძღვანელი და სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა კათედრის პროფესორი (1994 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ურმიული სინჰარმონიზმი" (1946), სადოქტორო — „თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკა" (1956). არის 250 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის: „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა" (1968), „არამეული ენა" (1982), „საქართველოში აღმოჩენილი არამეული წარწერები და მათი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა" (1991), „Сирийский язык",Москва (1979), „Grammatica generale dell'aramaico" (Torino,1995); "On one suprasegmental phoneme in modern Semitic", JAOS 102 (1982), "Les inscriptions arameennes de Georgie" (Semitica, 47, Paris, 1997), "An Arameic Amulet from Mtskheta" (Antient Civilisations from Scythia to Sibiria, Comparative Studies in History and Archaeology, vol3 N2-3, Leiden, 1996), "Epitaph des Iehuda gurk" (Georica, 21 Konstan, 1998), „ბიბლიის ებრაული ენა" (1999), „სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური სახელები ქართულში (2000). არის ივ.ჯავახიშვილის (1980), გ.წერეთლის (1989) სახელობის, საქართველოს სახელმწიფო (ნაშრომთა ციკლისთვის „საქართველოს არამეული წარწერები", 1998), თსუ პირველი სამეცნიერო (სამგზის) პრემიების ლაურეატი, თბილისის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, თბილისის საპატიო მოქალაქე (1998). დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით" (1996), „ალბერტ აინშტაინის" მედლით (ისრაელის მეცნ. აკად. ჯილდო, 1999). არის საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეთა ასოციაციის პრეზიდენტი, გერმანული აღმოსავლური საზ-ბის (1971), აღმოსავლეთის შემსწავლელი საერთაშორისო საზ-ბის (1971), აშშ ორიენტალისტთა საზ-ბის საპატიო (1978), ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციების საერთაშორისო ასოციაციის (1975) წევრი. განათლების სამინისტროს კოლეგიის, ენციკლოპედია „საქართველოს" მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი (1998), კრებულების „სემიტოლოგიური ძიებანი" რედაქტორი.

**ჰობი:** მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 52. თბილისი 380008. ტელ: 99-56-21. (ბინის) უზნაძის 2, ბ. 46. თბილისი 380002. ტელ: 95-59-16.*

**„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს" (ნ. ბარათაშვილი). მიზანი: საქმიანობა (ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში), რაც წაადგება ჩემი ქვეყნისა და ერის კეთილდღეობას.**



**გურამ ნიბახაშვილი** ფოტოხელოვანი. დაიბადა წითელწყაროში 1960 წ. 1 თებერვალს. მშობლები: ლიდა იაკობაშვილი, გიორგი ნიბახაშვილი; მეუღლე — მანანა ჯავაშვილი (1960); შვილები: გიორგი (1981), მარიამი (1988), ლადო (1989). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1982). იყო ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1983-92), გაზეთ „7 დღის" (1989-93), ჟურნალ „კალთას" (1994-97) ფოტოგრაფი, ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ფოტოგრაფიის პედაგოგი (1998-99). არის ჟურნალების „სტუდია" (1997 წლიდან), „ამარტა" (2000 წლიდან) ფოტოგრაფი. გამართა 20 პერსონალური გამოფენა, არის საქართველოსა და საზღვარგარეთ (ნიუ-იორკი, პარიზი, ბერლინი, ვენა, ამსტერდამი და სხვ.) გამართული 60-მდე ჯგუფური გამოფენის მონაწილე. გამოქვეყნებული აქვს სტატიები ფოტოგრაფიაზე და თანამედროვე ხელოვნებაზე. იყო ექვსი ფოტოგამოფენის კურატორი. არის „ფოტობანკის" (1997), „ახალი მედიების კავკასიური ცენტრის (2000) ერთ-ერთი დამფუძნებელი, საქართველოს ფოტომხატვართა (1989), მხატვართა (1996) კავშირების, დამოუკიდებელ ჟურნალისტთა ფედერაციის (1998) წევრი.

**ჰობი:** ვიზუალური ხელოვნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი 380096. ტელ: 98-48-00. (ბინის) სალხინოს 14. თბილისი ტელ: 32-69-62. ელ-ფოსტა: fotobank@geointer.net*

**ვცდილობ, ვიყო კარგი მოქალაქე.**

**მურმან ნიქვაძე** საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სამტრედიაში 1949 წ. 20 ნოემბერს. მშობლები: მარო ნიქვაძე, შოთა ნიქვაძე;



მეუღლე — აიზა ნიჟარაძე (1957); შვილები: მარინე (1988), ზურაბი (2000). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1975). იყო ქუთაისის შს სამმართველოს, წყალტუბოს შს განყ-ბის გამომძიებელი (1975-790, სამტრედიის შს განყ-ბის საგამომძიებო განყ-ბის უფროსი (1979-81), ვანის (1981-90), სამტრედიის (1990-91) რ-ნების პროკურორი, სამტრედიას რ-ნის სასამართლოს (1991-99), ქუთაისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის (1999-2000) თავმჯდომარე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრია 2000 წლიდან.
**ჰობი:** ნადირობა, თევზაობა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32, თბილისი 380010. (ბინის) გლდანის II მ/რ, 31 კორპ., ბ. 148, თბილისი.*

**პატიოსნება, ერთგულება საქმისადმი და დიდი მოთმინება. ჩემი მიზნები კონფიდენციალურია.**



**ნათია ნკეპლაძე** იურისტი, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1968 წ. 14 იელისს. მშობლები: ბელა ბახტაძე, სიმონ ნკეპლაძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1990). იყო იურიდიული გაზეთის "ცხოვრება და კანონი" კორესპონდენტი (1990-91), მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში (1992-99), უზენაესი სასამართლოს სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის განყ-ბის კონსულტანტია 1993 წლიდან. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია წიგნში "ქართული ჭადრაკის მატიანე" (1995).
**ჰობი:** მიზანში სროლა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. (ბინის) ბახტრიონის 35, თბილისი. ტელ: 38-79-52. (899) 57-49-92.*

**სამართლიანობა, ობიექტურობა, გულწრფელობა. მთელი შეგრძნებით ვათვითცნობიერებ ფრაზას "გაყიდული გონება და სული დაღუპული გონება და სულია".**

**აპოლონ წულაია** მარტვილის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ნახუნაოში (მარტვილის რ-ნი) 1949 წ. 23 აგვისტოს. მეუღლე — ქეთევან გვაზავა (1959); შვილები: გაბრიელი (1979), ირაკლი (1981), ლევანი (1982). დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ს/კ ინ-ტი (1971). მუშაობდა თბილისსა და მარტვილის რ-ნში სპეციალობით (1971-78), იყო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის" სისტემის უფროსი სპეციალისტი, სენაკისა და თამარისის მეფრინველეობის ფაბრიკების დირექტორი (1978), ბოლნისის რ-ნის გამგებელი, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მოადგილე, მეფრინველეობის სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი (1992-96), სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის თავმჯდომარე (1996-99). დაიცვა საკანდიდატო (1988), სადოქტორო (1998) დისერტაციები.



**ლევან წულაძე** თეატრის რეჟისორი. დაიბადა თბილისში 1965 წ. 18 მარტს. მშობლები: თინა დვალიშვილი, ჭოლა წულაძე, მეუღლე—მანანა კოზაკოვა (1970); შვილი—თინათინ წულაძე (1995). დაამთავრი თსთი სამსახიობო (1986) და სარეჟისორო (1990) ფაკ-ტები. იყო კინომსახიობთა (1990-92), რუსული მოზარდ მაყურებელთა (1990-97), რუსთაველის (1992-98) თეატრების მსახიობი. არის თსთი პედაგოგი (1990 წლიდან), თეატრალური სარდაფის რეჟისორი (1997 წლიდან). არის დამდგმელი რეჟისორი სპექტაკლებისა: რუსთაველის თეატრში: „სისხლიანი ქორწილი" (1992), „საშობაო სიზმარი" (ო.ეგაძესთან ერთად, 1993), „ვოიცეკი" (1994), კინომსახიობთა თეატრში: „დედა" (1991), მოზარდ მაყურებელთა თეატრში: „უსახელო ვარსკვლავი" (1991), მარჯანიშვილის თეატრში: „დაუსრულებელი სიზმარი" (1998), „ყვარყვარე" (2001), თეატრალურ სადაფში: „სამგროშიანი ოპერა " (1997), „მარიო და ჯადოქარი" (1997), „ცხვირი" (2000), "et cetera" (2001). არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი, რეჟისორთა ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელი.
**ჰობი:** მუსიკა (კლასიკური და ჯაზი), დურგლობა, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 42. თბილისი 380008. ტელ: 99-95-00. (ბინის) კარგარეთელის 10. თბილისი. ტელ: 95-84-26.*

"Если очень хочется,то обязательно сбудется, если не сбылось—то не очень хотелось, если сбылось не то, разочарование только кажущееся, сбылось именно то,что хотелось."

А.Блок.



**ვლადიმერ ჭავჭანიძე** ფიზიკოს-თეორეტიკოსი, მართვის სისტემების ინ-ტის მანქანური ინტელექტის პრობლემების განყ-ბის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1920 წ. 22 სექტემბერს. მშობლები: ელენე ჭავჭანიძე, ვალერიან ჭავჭანიძე; მეუღლე — ვერა მუმლაძე (1919-99); შვილები: მარინე (1951), თინათინი (1958). დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1941), სსრკ მეცნ. აკად. ფიზიკის ინ-ტის ასპირანტურა (1950). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მრავალჯერადი გაბნევების და დანაკარგების კვლევა დამუხტული ნაწილაკების ნივთიერებაში სტოქასტური მეთოდებით" (1953), სადოქტორო — „მოდელირების მეთოდები ფიზიკაში და კიბერნეტიკაში" არის 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 20-ზე მეტი გამოგონების ავტორი, საერთაშორისო ჟურნალი "Cibernete"-ს რედაქტორი (1967), სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკის" მთავარი რედაქტორი (1989 წლიდან), ინფორმატიზაციის საერთაშორისო და საინჟინრო აკადემიების, საქართველოს ბუნებისმეტყველთა და ეკოლოგიის აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი (1981 წლიდან). მიღებული აქვს სსრკ მინისტრთა საბჭოს 2 პრემია, მელიქიშვილის სახელობის პრემია (1958), ღირსების ორდენი (1997). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე.

**მისამართი:** *(სამსახურის) გამსახურდიას 34. თბილისი 380060. ტელ: 39-04-97. (ბინის) საბურთალოს ქ.40, ბ. 48. თბილისი 380060.*

**„მეცნიერების გარეშე სამყარო შეუცნობელია, უმართავია საზოგადოება, დაიშლება ყველა მისი სტრუქტურა". ამიტომაც ბერძენ-რომაელთა ისტორიული ხაზი უნდა გაგრძელდეს ისე, რომ შეიძლებოდეს მის ურთულეს მოვლენათა მოდელირება და გაგება ცნებებში გამოხატვით. ამისათვის საჭიროა „კომპიუტერულ მეცნიერებათა" გათავისება ისე, რომ ახალგაზრდობამ შეძლოს მათ ლოგიკაში გარკვევა, ათვისება და გამოყენება. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ჩვენი ახალგაზრდობა, სპეციალისტები ჩავაბა იმ „ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა ფერხულში", რომლისაგანაც ამოვარდნა ადვილია და შესვლა კი მეტად ძნელი.**



**ნათელა ჭავჭანიძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ხონში 1952 წ. 29 აგვისტოს. მშობლები: ზოია გლუშჩენკო-ჭავჭანიძე, თედორე ჭავჭანიძე; მეუღლე — ნუგზარ კვარაცხელია (1951); შვილები: ლევანი (1976), დიანა (1980). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1974). იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი (1974-84), წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საბჭოს იურისტი (1984-87), წყალტუბოს სოციალური უზრუნველყოფის განყ-ბის გამგე (1987-95), საქართველოს სახ. კანცელარიის იურიდიული განყ-ბის რეფერენტი, უფროსის მოადგილე (1996-99). იყო სკკპ (1988-89), სმკ-ის (1993-99) წევრი.

**ჰობი:** კითხვა, მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14. (ბინის) ვაჟა-ფშაველას V კვ., I კორპ., ბ. 89, თბილისი. ტელ: 31-68-98.*

**პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობისადმი, შრომისმოყვარეობა, კომუნიკაბელურობა, პატიოსნება.**



**ვლადიმერ ჭანიშვილი** სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკის" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1965 წ. 14 ივნისს. მშობლები: ნინო ბუკია, რევაზ ჭანიშვილი; მეუღლე — თამარ ლომსაძე (1967); შვილები: ანა (1993), მარიამი (1997). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1988). იყო „საქმრეწვმშენბანკის" საგეგმო-ეკონომიკური სამმართველოს ეკონომისტი (1988-91), „საქარ-

თველოს სამეფო ბანკის" უფროსი სპეციალისტი (1991-94), სავალუტო სამმართველოს უფროსი (1994-96), „ინტელექტბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე (1996-99). გენერალური დირექტორია 1999 წლიდან.

**ჰობი:** სპორტი (ფეხბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი) და ქართული სუფრა.

**მისამართი:** *(სამსახურის) დ.აღმაშენებლის 127. თბილისი 380012. ტელ: 95-46-95, 23-70-83. ფაქსი: 95-09-31, 23-70-82. ელ.ფოსტა: intellect@iberiapac.ge (ბინის) ვერეს დაღმართი 11, თბილისი. ტელ: 98-73-02.*

**მომავლის რწმენა, მეგობრობის, პრინციპულობის, ოპტიმიზმისა და საკუთარი ძალების მობილიზაციის ხარჯზე დასახული მიზნების მიღწევა.**



**თეიმურაზ ჭანიშვილი** მიკრობიოლოგი-ვირუსოლოგი, ს/კ ინსტიტუტ „ბაქტერიოფაგის" დირექტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1924 წ. 17 ივნისს. მშობლები: ნინო ხელაშვილი, გიორგი ჭანიშვილი. დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1946). იყო „ბაქტერიოფაგის" ს/კ ინ-ტის ექიმი-ბაქტერიოლოგი (1946-47), თსსი ასპირანტი (1947-50), „ბაქტერეოფაგის" სამეცნიერო განყ-ბის გამგე (1950-60), დირექტორის მოადგილე საწარმოო დარგში (1955-58), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1960-97), თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრის დამაარსებელი, კათედრის გამგე (1971-74). „ბაქტერიოფაგის" დირექტორია 1997 წლიდან, თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის კათედრის პროფესორი — 1974 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სალმონელას ბაქტერიოფაგების ბიოლოგიური თეისებები" (1954); სადოქტორო — „დიზენტერიული ბაქტერიოფაგები" (1970). არის 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი (1999); საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი, ჯ. სოროსის განათლების საერთაშორისო პროგრამის ცენტრალური საბჭოს წევრი და საქართველოს საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, სოროსის ფონდის დამსახურებული პროფესორი, მედიკო-ბიოლოგიური აკადემის ბიოლოგიური განყ-ბის აკადემიკოს-მდივანი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში: Who's who (IBC, Cambridge, 1995-97).

**ჰობი:** ბაქტერიული ვირუსების შესწავლა, მუსიკა, თეატრი, კითხვა, სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) გოთუას 3. თბილისი 380060. ტელ: 37-42-27. ფაქსი: 99-91-53. ელ-ფოსტა: nina@chanish.kheta.ge (ბინის) ე.ტატიშვილის 41. თბილისი 380079. ტელ: 23-32-95.*

**საქმის სიყვარული, პატიოსნება, უანგარობა, მომავალი თაობების აღზრდა.**



**ნინელი ჭანკვეტაძე** მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი. დაიბადა თბილისში 1957 წ. 24 ოქტომბერს. მშობლები: ინა ჩიქოვანი, ნოდარ ჭანკვეტაძე; მეუღლე — ზაზა მიქაშავიძე (1954); შვილი — ანა (1997). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1979). კინომსახიობთა თეატრის მსახიობია 1979 წლიდან. მონაწილეობდა მ.თუმანიშვილის მიერ დადგმულ სპექტაკლებში: მოლიერის „დონ-ჟუანი", დ. კლდიაშვილის „ბაკულას ღორები", უაილდერის „ჩვენი პატარა ქალაქი", უ.შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი", ჟიროდუს „ამფიტრიონ 38", რ.ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", „თქვენო უდიდებულესობავ" და სხვ.; ფილმებში: „ცხელი ზაფხულის სამი დღე" (რეჟ. მ.კოკოჩაშვილი), „კუკარაჩა", „მარტოხელა მონადირე" (რეჟ. ქ.დოლიძე), „საფეხური" (რეჟ. ა.რეხვიაშვილი), „რობინზონიადა" (რეჟ. ნ.ჯორჯაძე), „ორომტრიალი" (რეჟ. ლ.ღოღობერიძე), „რჩეული" (რეჟ. ბ.კალატოზიშვილი), „ანას დაბადების დღე" (რეჟ. ჯოჯუა), „ვირთხა" (რეჟ. ა.მილორავა) და სხვ. მიღებული აქვს პრიზები: თეატრალური საზოგადების პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის: ნინო — „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" (რეჟ. ც. ნაკაშიძე,1979); ქალი — „ადამიანის ხმა" (რეჟ. ო.ეგაძე,1985); ალკმენე — „ამფიტრიონ 38" (რეჟ. მ.თუმანიშვილი,1995); ვ.ანჯაფარიძის სახელობის მედალი პროფესიული მიღწევებისათვის, რუსთავის თეატრალური ფესტივალის „ოქროს ნიღბის" დიპლომი,

პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (ელისაბედი, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" რეჟ. გ.მარგველაშვილი, 1996); „ოქროს არწივი" ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, კიევის ახალგაზრდული კ/ფ პრიზი საუკეთესო დუეტისათვის (ი. ხიზანიშვილთან ერთად, „ვირთხა" რეჟ. ა.მილორავა, 1993), ნ.ვაჩნაძის სახელობის კ/ფ პრემია ქალის საუკეთესო როლის შესრულებისთვის („რჩეული") და სხვ. არის ღირსების ორდენის კავალერი (1999).
ჰობი: ხატვა, ძერწვა, კერამიკა. სხვადასხვა ხელსაქმე, რაც დაკავშირებულია შემოქმედებასთან.
მისამართი: *(სამსახურის) ალმაშენებლის 164. თბილისი 380012. ტელ: 34-07-86. (ბინის) აკენის 29, ბ.53. თბილისი. ტელ: 23-02-13.*

**რწმენა, იმედი და სიყვარული — აი ის, რაც წარმართავს ჩემს ცხოვრებას და შემოქმედებას. (თუ ეს უკანასკნელი ძალიან ხმამაღლა არ არის ნათქვამი). ჩემს ურთიერთობას ახლობლებთან, მეგობრებთან, ჩემს საქმესთან, ნაცნობებთან თუ უცნობებთან. ალბათ ამიტომ მხვდებიან ცხოვრებაში და ჩემს საქმეში სწორედ ასეთი სულისკვეთების ადამიანები. ამან შემახვედრა ჩემი მეუღლე, რომელსაც უნდა ვუმადლოდე ჩემს ბედნიერ ყოფას და ამავე მიზეზით ჩემი კარიერის დასაწყისში შევხვდი ბატონ მიხეილ თუმანიშვილს, ადამიანს, რომლის დამსახურებაცაა ჩემი საქმისადმი სიყვარული, პროფესიის ცოდნა და ნებისმიერი წარმატება ჩემს შემოქმედებაში.**



**ვალერი ჭანტურია** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა დაბა ჯვარში (ნალენჯიხის რ-ნი) 1942 წ. 24 მაისს. მშობლები: შუშანა ზაქარაია, ანდრო ჭანტურია; მეუღლე — მიმოზა შენგელია (1950); შვილები: თამარი (1979), რუსუდანი (1980). დაამთავრა მოსკოვის საავტომობილო საგზაო ინ-ტის ავტოსატრანსპორტო (1966), თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის (1980) ფაკ-ტები. იყო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი (1970-73), წალენჯიხის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, წალენჯიხის რაიაღმასკომის თავმჯდომარე (1973-78), წალენჯიხის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორი (1978-88), წალენჯიხის რაიკომის I მდივანი (1988-91), საქართველოს პარლამენტის წევრი (1994-95), სამეგრელო-ზემო სვანეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის I მოადგილე ეკონომიკის დარგში (1994-99). დაჯილდოებულია ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, "სახალხო განათლების წარჩინებულის" საპატიო ნიშნით.
ჰობი: წიგნების კითხვა, საკარმიდამო მეურნეობა, ცხენოსნობა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) მაიაკოვსკის 13, წალენჯიხა.*

**ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი სამართლიანი. ვაფასებ ორგანიზებულობას და პატიოსნებას. მძულს მლიქვნელობა და მეშჩანობა.**



**ლადო ჭანტურია** საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, პროფესორი. დაიბადა დაბა ჯვარში 1963 წ. 14 აპრილს. მშობლები: ნუცა მიქავა, ლუდოვიკო ჭანტურია; მეუღლე — დალი ჭანტურია (1968); შვილები: გიორგი (1995), ნუცა (1999). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985), მოსკოვის კანონმდებლობის საკავშირო ს/კ ინ-ტის ასპირანტურა (1989). იყო თსუ ასისტენტი (1985-90), დოცენტი (1990-95), პროფესორი (1995 წლიდან), საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩეველი (1993-96), იუსტიციის საბჭოს წევრი (1997-98), საქართველოს იუსტიციის მინისტრი (1998-99). უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა 1999 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შესახებ კანონების სრულყოფის პრობლემები" (1989), სადოქტორო — „უძრავი ნივთების" საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი ანალიზი გერმანული სამართლის მაგალითზე" (1994). არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა: „უძრავი ნივთების საკუთრება" (1994), „მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარები" (თ.ნინიძესთან თანაავტორობით, 1998), „შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში" (1998), „საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება" (1999), ქართულ და უცხოურ ენებზე გამოქვეყნებული 50-მდე სამეცნიერო სტატიისა. არის სამოქალაქო კოდექსის მრავალტომეული კომენტარის მთავარი რედაქ-

ტორი და თანაავტორი; ჯორჯ შულცის პრემიის ლაურეატი (1996), მაქს პლანკის საზოგადოების სტიპენდიანტი (1996), საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდიანტი (1997).
**ჰობი:** მოგზაურობა, პოეზია, მუსიკა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი 380010. ტელ: 99-65-46. ფაქსი: 99-01-64.*

**საქმის ერთგულება; დამოუკიდებელი, ძლიერი, მდიდარი საქართველოს აშენება, რომელშიც ყველა ადამიანი ბედნიერად იგრძნობს თავს; ოჯახის სიყვარული, სხვათა პატივისცემა — „მოეპყარი სხვებს ისე, როგორც გინდა შენ გეპყრობოდნენ".**



**ტარიელ ჭანტურია** მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა ბათუმში 1932 წ. 11 ივლისს. მშობლები: ეკატერინე ჭანტურია, პროკოფი ჭანტურია; მეუღლე — ციალა ბერძენიშვილი (1932); შვილები: ნინო (1957), ირაკლი (1960). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1956). სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის" რედაქციაში, გამომცემლობებში: „მერანი", „ნაკადული", იყო რუსთაველის საზოგადოების გაზეთი „მამულის" რედაქტორი. არის ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1995 წლიდან); ორმოცამდე წიგნის, ლექსების კრებულების, მათ შორის „კოლხური კაპრიჩიოს" (1998), საყმაწვილო ლექსების, იუმორისტული გამოცემების, მრავალი კრიტიკული სტატიისა და ესეს ავტორი, ჰ.მელვილის „მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპის" მთარგმნელი (გ.გეგეჭკორთან ერთად); გ.ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი; გელათის აკადემიის ნამდვილი წევრი.
**ჰობი:** ჭადრაკი, ბანქო... საერთოდ თამაშები.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-64-82, 99-06-36. (ბინის) საბურთალოს 40, ბ.40. თბილისი 380060. ტელ: 38-17-14.*

**თავი ქართული (მსოფლიო) კულტურის უერთგულეს მსახურად მიმაჩნია და ვთვლი, რომ ჩემი ნაწერი ვილაც-ვილაცეებს აინტერესებთ. ეს რომ არ მჯეროდეს, სტრიქონი რაა, სტრიქონს არ დავწერდი. ჯერჯერობით ჩემი შემოქმედების უმნიშვნელო რამაა თარგმნილი უცხო ენებზე. არც ჩემი მთავარი წიგნი გამომიქვეყნებია. მომავალში ეს ჩემი მცდელობის გარეშე გასწორდება. არც ამ რწმენის უქონელი დავწერდი რამეს. საერთოდ, ერთი ჭკვიანი მწერალი ქალბატონის არ იყოს (ტ.ტოლსტოი) ამ ქვეყნიური ამბიციები თითქმის არ გამაჩნია, სიკვდილს მერმინდელი, საკმაოდ სერიოზული.**



**რუსუდან ჭანტურიძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა თბილისში 1958 წ. 27 სექტემბერს. მშობლები: ნუნუ ჭანტურიძე, დავით ჭანტურიძე. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1983). იყო საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინ-ტის სამართალმცოდნეობის მეთოდისტი (1983-92), საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი (1993-99), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**ჰობი:** კლასიკური მუსიკა, ქართული ხალხური სიმღერები და საგალობლები, ლაშქრობებში მონაწილეობა, მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. (ბინის) ტ. ტაბიძის 6. თბილისი 380079. ტელ: 23-29-58.*

**პროფესიის სიყვარული, დაკისრებული მოვალეობებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, საქმისადმი ერთგულება და სიმართლის ქმნა.**



**ამბროსი ჭეიშვილი** იურისტი, მოსამართლე. დაიბადა ქუთაისში 1958 წ. 24 თებერვალს. მშობლები: ლამარა დოლიძე, სერგო ჭეიშვილი; მეუღლე — ირმა ჯანელიძე (1960); შვილები: ლევანი (1982), ლაშა (1989). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორი (1991-98), თბილისის ნაძალადევის რ-ნის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი (1998-99), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე (1999). იყო სკკპ წევრი (1982-89).

ჰობი: წიგნები და ფეხბურთი.
მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059.*

**პატიოსნება, ოჯახის სიყვარული, შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა. მიზანი — კანონის უზენაესობის დაცვა.**



**რეზო ჭეიშვილი** მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა ქუთაისში 1933 წ. 24 აპრილს. მშობლები: ვერა დიდბარიძე, ბენედიქტე ჭეიშვილი; მეუღლე — მარინე ვერულაშვილი (1952); შვილები: მამუკა (1958), გუბაზი (1964). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1959). იყო ქუთაისის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და გენ. დირექტორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" კოლეგიის და მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი (1960-92), ქუთაისის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორი (1987-88), ჟურნალ „განთიადის" მთავარი რედაქტორი (1987-92), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95), საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1992-2000), მწერალთა XX ყრილობის (2000), ლიტერატორთა სახლის პრეზიდენტი და საქართველოს ლიტერატურული ფონდის თავმჯდომარე. არის ავტორი წიგნებისა: „შალიკო ხეინგიაძის თავგადასავალი", „დალი" (რომანი), „ყაჩაღები" (რომანი), „კუდიანი ვარსკვლავი" (პოლიტიკური დეკამერონი), „ქალაქში დინოზავრები დადიან", „ვაიმე, ჩემო ვენახო", „კვამლი", კინოსცენარებისა ფილმებისთვის: „ჭიდაობას რა უნდა", „ჩემი მეგობარი ნოდარი", „ზღვის მგელი", „ბზიანეთი", „ავტოპორტრეტი", „გათენების წინ", „ცისფერი მთები", „ექსპრეს-ინფორმაცია" და სხვა. არის სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
ჰობი: მოძრაობა, კითხვა, გაბმული ფიქრი, ბუნებასთან სიახლოვე, პურის ჭამა ბუხართან, მდინარის პირას, მუხის ჩრდილში.
მისამართი: *(სამსახურის) მაჩაბლის 13. თბილისი 380007. ტელ: 93-10-26. (ბინის) ფანასკერტელის 13ა, თბილისი. ტელ: 37-19-93.*

**სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!**
**„...მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს, მაშინ ეილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?" (ნ.ბარათაშვილი).**



**ვახტანგ ჭელიძე** მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა სოფ. ბახვში (ოზურგეთის მაზრა) 1917 წ. 10 აპრილს. მშობლები: მარია ჭელიძე, ვასილ ჭელიძე; მეუღლე — ვალენტინა ტატიშვილი (1927); შვილები: მარინე (1946), დავითი (1950). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის განყ-ბა (1941), ასპირანტურა ინგლისური ლიტერატურის განხრით (1946). მუშაობდა პედაგოგად საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში (1943-48), იყო საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მთავარი რედაქტორი (1948-52), ჟურნალების: „დროშის" რედაქტორის მოადგილე (1952-55), „ნიანგის" (1955-57) და „ცისკრის" რედაქტორი (1957-63), ხელოვნების სამმართველოს უფროსი (1963-67), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" დირექტორი (1967-73), გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი (1973-87), გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი (1987-91). არის ავტორი წიგნებისა: „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა", (ბიოგრაფიული რომანი) „ქართლის ცხოვრების ქრონიკები" (6 წიგნად), ლიტერატურული პორტრეტები და პუბლიცისტური წერილები (წიგნებად); თარგმანებისა: უ.შექსპირის პიესები, ჯ.მილტონის „დაკარგული სამოთხე", დ.დეფოს, ჩ.დიკენსის, ვ.სკოტის, ჯ.გოლზუორთის, მარკ ტვენის, ჯეკ ლონდონის, ე.ჰემინგუეის, ჯ.სტაინბეკის, ჯ.სელინჯერის რომანები და მოთხრობები, პრისტლის, მილერის, უილიამსის პიესები. არის ივ.მაჩაბლის და სახელმწიფო (1998) პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.
მისამართი: *(ბინის) ჭავჭავაძის 70. თბილისი 380062. ტელ: 22-42-90.*

**ყოველი ადამიანი პატიოსნად უნდა ასრულებდეს მოქალაქეობრივ ვალს, ერთგულად და სინდისიერად ემსახურებოდეს თავის საქმეს. ეს თავისთავად გულისხმობს კარგ მამულიშვილობას.**



**ზურაბ ჭელიძე** რადიოკომპანია „პირველი რადიოს" პრეზიდენტი, ტელეკომპანია „პირველი სტერეოს" გენერალური დირექტორი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 17 სექტემბერს. მშობლები: ვენერა თევდორაძე, თამაზ ჭელიძე; მეუღლე — ირინე ჩხეიძე (1965); შვილები: ირაკლი (1988), ლუკა (1993). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1984). იყო გეოფიზიკის ინ-ტის ტექნიკოსი, ინჟინერი, უმცროსი ინჟინერი, უფროსი ინჟინერი. მეცნიერ-თანამშრომელია 1982 წლიდან, „პირველი რადიოს" პრეზიდენტი — 1993 წლიდან, „პირველი სტერეოს" გენერალური დირექტორი — 1997 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო სტატია მინისძვრების შესწავლის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის გეოფიზიკურ ჟურნალებში. დაჯილდოებულია „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის" მედლით და სიგელით რადიოელექტრონიკის დარგში, მიიღო სამაუწყებლო ტექნიკის ინჟინერ-ექსპერტის ევროპული სერთიფიკატი (1998).

**ჰობი:** სამთო-სათხილამურო სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ალექსიძის 1. თბილისი 380093. ტელ: 33-40-11. (ბინის) შარტავას 18ა. თბილისი 380060. ტელ: 37-37-33.*

**ჯობს, წინასწარ იფიქრო იმაზე, როგორ წაიყვანო ახალი საქმე (ბიზნესი), ვიდრე შემდეგ ათჯერ მეტი იფიქრო იმაზე, თუ რატომ არ მიდის კარგად ეს ახლადდაწყებული საქმე.**



**თამაზ ჭელიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, თსუ საძიებო გეოფიზიკის კათედრის გამგე. დაიბადა ქუთაისში 1934 წ. 24 დეკემბერს. მშობლები: ლუბა დარჩია, ლუკა ჭელიძე; მეუღლე — ვენერა თევდორაძე (1934); შვილები: ლიკა (1958), ზურაბი (1963). დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკ-ტი (1957). იყო გეოფიზიკის ინ-ტის უმცროსი (1957-66), უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1966-67), განყ-ბის გამგე (1976-85), დირექტორის მოადგილე (1985-92). დირექტორია 1992 წლიდან. არის ქიმიის („ჰეტეროგენული სისტემების ელექტრული სპექტროსკოპია" 1997) და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი („პერკოლაციის თეორია გეომასალათა მექანიკაში" 1985). არის ავტორი წიგნებისა: „Электрическая спектроскопия гетерогенных систем" (1977), „Методы теории перколяции в механике геоматериалов" (1987), „Fractal Damage Mechanics of Geomaterials" (1993). არის სტრასბურგის (1987, 1992) და რენის (1994-97) უნივერსიტეტების საპატიო პროფესორი, ევროპის საბჭოსთან არსებული დიდი კატასტროფების შეთანხმების მუდმივი წარმომადგენელი საქართველოდან (1993), ევროპული ცენტრის „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკი"-ს დირექტორი (1995), ამერიკის გეოფიზიკური და სეისმოლოგიური საზოგადოებების წევრი, ნიუ-იორკის აკადემიის წევრი; იყო საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების პრეზიდენტი (1995-2000). მიღებული აქვს INTAS-ის, სოროსის ფონდის, NATO SFP-ის, INCO-Copernicus-ის, ISTC-ის გრანტები. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „Marquis Who's Who in the World", ABI-ის ბიოგრაფიულ ლექსიკონში.

**ჰობი:** ლიტერატურა, მებაღეობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) მ.ალექსიძის 1. თბილისი 380093. ტელ: 94-35-91. ფაქსი: 33-28-67. ელ-ფოსტა: tamaz@geopht.acnet.ge (ბინის) მიცკევიჩის 5. თბილისი 380094. ტელ: 38-58-53.*

**პატიოსნება, სამართლიანობა, წარმატება პატიოსანი გზით; მოქალაქის, მეუღლის, ადამიანის მოვალეობათა კეთილსინდისიერი აღსრულება, ღირსეულთა დაფასება და დახმარება. უდიდესი ბედნიერებაა დღემდე უცნობი ფენომენის აღმოჩენა და მითუმეტეს მისი თეორიული ახსნის მიგნება.**



**ივერი ჭელიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის საავტომობილო გზების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა მესტიაში 1945 წ. 11 ივლისს. მშობლები: ლუბა ჯაფარიძე, რაჟდენ ჭელიძე; მეუღლე — ნელი გელაშვილი (1946); შვილები: გოჩა (1969), მაიკო (973). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1970). იყო მესტიის რ-ნის საგზაო სამმართველოს სამუშა-

ოთა მთავარი მწარმოებელი (1971-75), ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორი (1975-83), სვანეთის საავტომობილო გზების სამმართველოს უფროსი (1983-90), გარდაბნის საგზაო სამმართველოს უფროსი (1990-92), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992 წლიდან), პრეზიდენტის რწმუნებული კოდორის ხეობაში (1998-99). დაჯილდოებულია გორგასლის II ხარისხის ორდენით (2000). არის პოლიტიკური ორგანიზაცია "ლემის" ნაფიცთა საბჭოს წევრი (1990).
**ჰობი:** სათხილამურო სპორტი.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ბახტრიონის 1, ბ. 150, თბილისი. ტელ: 38-45-35.*

**ვიხილო საქართველო ერთიანი, თავისუფალი და ძლიერი.**



**სოფიკო ჭიაურელი** მსახიობი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოსა და სომხეთის სახალხო არტისტი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 21 მაისს. მშობლები: ვერიკო ანჯაფარიძე, მიხეილ ჭიაურელი; მეუღლე — კოტე მახარაძე (1926); შვილები: ნიკოლოზი (1958), ალექსანდრე (1964). დაამთავრა მოსკოვის სახ. კინემატოგრაფიის ინ-ტი (1960). იყო მარჯანიშვილის (1960-67), რუსთაველის (1967-70) თეატრების მსახიობი. კვლავ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია 1970 წლიდან. განსახიერებული აქვს 100-ზე მეტი როლი სპექტაკლებსა და კინოფილმებში: „ჩვენი ეზო" 1956, „რაც გინახავს, ველარ ნახავ" 1962, „ხევსურული ბალადა" 1965, „საიათნოვა" 1966, „არ დაიდარდო" 1969, „ნატვრის ხე" 1976, „ბაფთიანი გოგონა" 1960, „რომეო და ჯულიეტა" 1961, „ანტიგონე" 1969, „ურიელ აკოსტა" 1972 და სხვ. არის საქართველოს კომკავშირის (1971), სსრკ სახელმწიფო (1980), ვ.ანჯაფარიძის (1995), კ.მარჯანიშვილის სახელობის (2000) პრემიების ლაურეატი; დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის (1972), ღირსების (1997) ორდენებით, მოვსეს ხორენაცის მედლით (2000); საერთაშორისო კინოფესტივალების პრიზებით ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის (1956, 1965, 1966, 1971, 1973, 1976, 1978). იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი (1974-79). არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა და კინემატოგრაფისტთა კავშირების წევრი.
**ჰობი:** დიზაინი, კერვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) მარჯანიშვილის თეატრი. მარჯანიშვილის 8. თბილისი 380002. ტელ: 95-24-25. (ბინის) ვ.ანჯაფარიძის 16. თბილისი 380009.*

**სიყვარული, სიკეთე, შვილების და შვილიშვილების სიყვარული. მხოლოდ სიმართლე. ყველაზე ძალიან ვერ ვიტან სიყალბეს და ტყუილს. ვერ ვიტან პოლიტიკურ სპეკულაციებს.**



**ლერი ჭითანავა** ზუგდიდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ზუგდიდში 1949 წ. 30 სექტემბერს. მშობლები: ლოლა ქირია, პალადი ჭითანავა; მეუღლე — მირანდა ნადარაია (1957); შვილი — ირაკლი (1985). დაამთავრა სპი (1974), სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტი (1982). იყო ენგურჰესის მშენებლობის ინჟინერი (1968-74), ზუგდიდის რაიკომის განყ-ბის გამგე (1982-87), სოფ. ინგირის აგროკომბინატის დირექტორი (1987-92), ზუგდიდის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1993-97), ზუგდიდის მერი (1997). ზუგდიდის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარეა 1998 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 90. ზუგდიდი 384700. ტელ: (877) 40-64-80. (ბინის) პუშკინის 23. ზუგდიდი 384700. ტელ: 2-40-04.*



**ოთარ ჭითანავა** საქართველოს პარლამენტის წევრი, სპორტის დამსახურებული მუშაკი. დაიბადა სოფ. ჭკადუაშში (ზუგდიდის რ-ნი) 1938 წ. 29 დეკემბერს. მშობლები: ლოლა ქირია, პალადი ჭითანავა; მეუღლე — ლუარა სოტკილავა (1942); შვილები: ლიკა (1969), ლოლიტა (1970), ოთარი (1972). დაამთავრა თსუ (1964), ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა (1982). იყო ენგურჰესის მშენებლობის ინჟინერი (1964-66), მშენებლობის კომკავშირის მდივანი (1966-67), საქართველოს კომკავშირის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის I მდივანი (1967-73), ზუგდიდის სახალხო კონტ-

როლის თავმჯდომარე (1973-80), ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი, პარტიის ზუგდიდის ქალაქკომის II მდივანი (1985-86), ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1986-88), პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანი (1989-91), ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პრორექტორი და კათედრის გამგე (1991-99). არის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სეოკის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი, ალმანახ „ენგურის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. ეწევა საგამომცემლო საქმიანობას. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

**ჰობი:** ლიტერატურა, ისტორია, სპორტი, მეგობრები, მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-12-40. (ბინის) ჭავჭავაძის 39. თბილისი 380062. ტელ: 23-52-27.*



**ლევან ჭილაშვილი** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა გურჯაანში 1930 წ. 17 აგვისტოს. მშობლები: ნინო ქილაშვილი, ალექსანდრე ჭილაშვილი; მეუღლე — ელენე ცაგარელი (1938); შვილები: დავითი (1961), გიორგი (1961). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1953), მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა (1956). იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმცროსი (1957-60), უფროსი (1960-70) მეცნიერ-თანამშრომელი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში (1970-73). დირექტორია 1973 წლიდან, თსუ პროფესორი—1969 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქალაქი რუსთავი" (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი,1958), სადოქტორო — „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში" (1967). არის 60-ზე მეტი ნაშრომის, 11 წიგნის ავტორი, მათ შორის: „ქალაქი რუსთავი" (1958), „ნაქალაქარი ურბნისი" (1984), „ქალაქები ფეოდალურ საქართველოში" I-II (1968, 1970), „კახეთის ქალაქები" (1980), „ძველი გავაზები" (1974), „მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები" (1984) და სხვ. არის საქართველოში და საზღვარგარეთ ქართული კულტურის ისტორიის ამსახველი რამდენიმე გამოფენის მონაწილე და ერთ-ერთი ავტორი (პარიზი, ტოკიო, ოსაკა, მიუნჰენი, დრეზდენი, ზაარბრუკენი 1982). არის ს.ჯანაშიას სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი (1998).

**ჰობი:** ახალგაზრდობაში თამაშობდა ფეხბურთს და ფრენბურთს. იყო საქართველოს ფრენბურთის ნაკრების გუნდის წევრი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 3. თბილისი 380008. ტელ: 99-80-22. ფაქსი: 98-21-29. (ბინის) ჭავჭავაძის 3. თბილისი 380079. ტელ: 22-63-15.*

**შრომა, პატიოსნება, პრინციპულობა, საერთო საქმისადმი ერთგულება.**



**თამაზ ჭილაძე** მწერალი, ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა სიღნაღში 1931 წ. 5 მარტს. მშობლები: თამარ მათეშვილი, ივანე ჭილაძე. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1954). იყო ჟურნალ „ცისკრის" განყ-ის გამგე (1958-64), რუსთაველის პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი (1964-72), „საბჭოთა ხელოვნების" მთავარი რედაქტორი (1972-81), მწერალთა კავშირის მდივანი (1981-88). ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორია 1997 წლიდან. არის ავტორი პროზაული ნაწარმოებებისა: „გასეირნება პონის ეტლით" (1960), „შუადღე" (1961), „თეთრი კვამლი" (1967), „მდგმურები" (1971), „კაქტუსის ბაღი" (1991) და სხვ. ლექსების კრებულებისა: „მზის საათი" (1961), „მახსოვრობა" (1978), „ლექსები" (1988); პიესებისა: „მკვლელობა" (1969), „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის" (1979), „ნახვის დღე" (1987), „ჩიტების ბაზარი" (1988), „ელისაბედ, ელისაბედ" (1990), „როცა შუქი ქრება" (1995); ესეისტური პროზისა: „აკაკი წერეთლის პოეზია" (1976), „წინასწარმეტყველი" (1987), „ვარდის ფურცლობის ნიშანი" („ვეფხისტყაოსანი" 1983), „იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება" (1976), „კენჟი" (კაფკა, 1972), „ტოლსტოის გაკვეთილები" (1978), „თეატრი — ჩვენი სიყვარული" (1977) და სხვ. მისი ნაწარმოებები თარგმნი-

ლია რამდენიმე უცხო ენაზე. არის ღირსების ორდენის კავალერი (1976), საქართველოსა და დასავლეთ გერმანიის რადიომაუწყებლობის I პრემიის (პიესისათვის „სამოთხის კვარტეტი", 1996), საქართველოს სახელმწიფო (1997) და გ.შერვაშიძის სახელობის (1997) პრემიების ლაურეატი, საქართველოს მწერალთა (1957) და თეატრის მოღვაწეთა (1965) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია დიდი ბრიტანეთის ენციკლოპედიურ ცნობარში „Who's Who" (ლონდონი, 1983 წლიდან), „ევროპის გამოჩენილ პიროვნებათა ბიოგრაფიულ ცნობარში" (ბელგია, 1994 წლიდან).
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 28. თბილისი 380008. ტელ: 99-51-61. (ბინის) ჩიქოვანის 22. ბ.7. თბილისი 380071. ტელ: 33-49-87.*

**რადგან სიტყვის გარდა სხვა არაფერი გამაჩნია, რადგან სიტყვაა ჩემი სიმდიდრეც და სიღარიბეც, ამიტომ შელოცვასავით ერთი და იგივე უნდა ვიმეორო, იქნებ ხმა ვინმეს მიუანედინო: „სიტყვა იგი იყო ღმერთი!" — ეს ხომ იგივეა, ვირწმუნო — სიტყვის ძალისხმევა ინკარნაციის დიდი აქცია. ამდენად, ჩემთვის მწერლობა რელიგიის მსახურებასავითაა. ეს რწმენაა, დღემდე სულიერ წონასწორობას რომ მინარჩუნებს.**



**ოთარ ჭილაძე** მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა სიღნაღში 1933 წ. 20 მარტს. მშობლები: თამარ მათეშვილი, ივანე ჭილაძე; მეუღლე — ნანა თოფაძე-ჭილაძისა (1933-90); შვილები: ზაზა (1955), თამარი (1961). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1956). არის ავტორი წიგნებისა: „მატარებლები და მგზავრები" (1959), „თიხის ფირფიტები" (1963), „რკინის საწოლი" (1965), „სინათლის წელიწადი" (1967), „გულის მეორე მხარე" (1974), „გახსოვდეს სიცოცხლე" (1984), „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა" (1973), „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან" (1976), „რკინის თეატრი" (1981), „მარტის მამალი" (1987), „აველუმი" (1995), პიესებისა: „წათეს წითელი წაღები" (1985), „ლაბირინთი" (1990). მისი ნაწარმოებები თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. არის სახელმწიფო (1993), ი.ჭავჭავაძის სახელობის (1997) პრემიის ლაურეატი; საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი (1959). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1987), დიდი ბრიტანეთის ენციკლოპედიურ ცნობარში „Who's Who" (ლონდონი, 1996).

**რაც არ უნდა პათეტიკურად ჟღერდეს, ჩემი ცხოვრებისეული კრედო სამშობლო და სიმართლეა! სხვა იდეალების დევნა, ჯერჯერობით, თუ უნებლიე დანაშაული არ არის, აშკარა ფუფუნებაა ჩვენთვის. ფუფუნება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ჯერ ღირსი უნდა გახდე ფუფუნებისა, ანუ, უნდა დაიმსახურო, ისევ და ისევ, სამშობლოსა და სიმართლის სამსახურით.**



**ვლადიმერ (ლადო) ჭიპაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანმრთელობის დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1964 წ. 29 სექტემბერს. მშობლები: მერი კაპანაძე, ფილიმონ ჭიპაშვილი; მეუღლე — თამარ ნატროშვილი (1968). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1987), ასპირანტურა (მოსკოვი, 1992). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "ღვიძლის წილის ორთოტოპიული გადანერგვის ანატომიური დასაბუთება" (1992). არის 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის, ერთი გამოგონებისა და მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორი.
ჰობი: ტყეში სოკოს საკრეფად სიარული.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ბაგების I კორპ., ბ. 4, თბილისი. ტელ: 23-40-00.*

**ყოველთვის შემეძლოს თვალებში შევხედო მეგობრებსა და ჩემს ხალხს.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა თბილისში 1944 წ. 10 აპრილს. მშობლები: თინა გორგოშიძე, აკაკი ჭიპაშვილი; მეუღლე — ინა დოლიძე (1944); შვილი — ირაკლი (1968). დაამთავრა თბილისის უცხო ენათა სახ. პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1965), მოსკოვის დიპლომატიური აკადემიის კურსები. იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განყ-ბის გამგე (1965-70), უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის

მოადგილე, საქმეთა მმართველი (1970-80), უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსი, პარლამენტის აპარატის უფროსი (1992-94), საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი (1994-98), აჭარის არ წარმომადგენლის მოადგილე (1998-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის რამდენიმე წიგნის ავტორი; საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირის წევრი (1998).
**ჰობი:** კითხვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ბარათაშვილის 6, ბ. 10, თბილისი. ტელ: 93-59-79.*



**ამირან ჭიჭინაძე** კინოდრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა თბილისში 1934 წ. 14 სექტემბერს. მშობლები: მარინე ჯაფარიძე, ვალერიან ჭიჭინაძე; მეუღლე — ნანა თარგამაძე (1940); შვილები: გიორგი (1969), ირაკლი (1975). დაამთავრა მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (1957) და მოსკოვის უმაღლესი სასცენარო კურსები (1964). გაიარა გზა ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ს/კ ინ-ტის ტექნიკოსიდან უფროს ინჟინრამდე (1957-62), იყო საქართველოს ტელევიზიის ტელეფილმების სტუდიის (1968-73), კინემატოგრაფიის სახ. კომიტეტის (1974-77), კინოსტუდია „ქართული ფილმის" (1977-85) მთავარი რედაქტორი, ტელეფილმების სტუდიის, კინოსტუდია „ქართული ფილმის" სასცენარო კოლეგიის წევრი, კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს და ს/ს „ქართული ფილმის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. არის ავტორი წიგნებისა: „ზაფხული ჩემს უბანში" (1967), „ჩემი დღე" (1973), „ორი მოთხრობა", „ეისაც მზის ამოსვლა არ უნახავს" (1987); პიესისა „კონცერტი ორი ვიოლინოსთვის აღმოსავლური საკრავების თანხლებით" (1985). არის ავტორი და თანაავტორი 30-ზე მეტი სცენარისა მხატვრული, სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმებისათვის, მათ შორის: „გიორგობისთვე" (1966), „შვიდკაცა" (1974), „დილის ნასლივით" (1977), „მყუდრო სავანე" (1969), „რეკორდი" (1973), „ბერიკაცები" (1974), „თუში მეცხვარე" (1978), „წერილები ბამიდან" (1980), „ბატონი ავანტურისტები (1981), „შვიდი პატარა მოთხრობა პირველ სიყვარულზე" (1981), „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში" (1985), „აფხაზეთი, სისხლიანი სეზონი" (დოკუმენტური, 1994), „აქ თენდება" (1998), „ანგელოზის გადაფრენა" (2000), „გენერალი შალიკაშვილი" და სხვ. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1968).
**ჰობი:** ძაღლი, შინაური ფრინველი, ბოცვრები, ბოსტანი... საკვების მოპოვება და დამზადება. წიგნები (კითხვა).
**მისამართი:** *(ბინის) ნაფარეულის 11. თბილისი 380079. ტელ: 22-22-90.*

**ვცდილობდი, მეკეთებინა ის, რაც შედარებით მსიამოვნებდა. საზოგადოებრივი საქმიანობა არ მიტაცებს. ვაკეთებდი იმის მეათედს, რაც შემეძლო; სამსახურში დასანინაურებლად ესეც კმარა. საერთო საქმე ჩემი მიზეზით არ შეფერხებულა. შინიდან თუ არ გამიყვანენ, ნებისმიერ საქმეს სიამოვნებით მოვეკიდებ ხელს. მთავარია, ოჯახი და ახლობლები მყაედეს კარგად. ძალიან მინდა, რომ მაყურებელსაც გაეუადვილო ცხოვრება, ოდნავ მაინც...**



**ვახტანგ ჭიჭინაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი, დოქტორი. დაიბადა სოფ. თლუღში (ამბროლაურის რ-ნი) 1918 წ. 23 სექტემბერს. მშობლები: ალექსანდრა გოცირიძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე; მეუღლე — ქეთევან გაჩეჩილაძე (1928); შვილები: ელისო (1952), რევაზი (1958). დაამთავრა სპი ელექტროტექნიკური ფაკ-ტი (1947), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინ-ტის ასპირანტურა (1949-52). იყო ენერგეტიკის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1952-56), მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1956-71), ს/კ ინ-ტის „მიონის" დირექტორი (1971-74), განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (1974-78), გამოთვლითი მათემატიკის ინ-ტის დირექტორის მრჩეველი (1978-92). მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორის მრჩეველია 1992 წლიდან. არის ტექ-

ნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1968), სამეცნიერო ნაშრომების, წიგნების: „Решение невыпуклых нелинейных задач оптимизации" (1983), „Введение в теорию систем административного управления и организации" (1988) და სხვ. ავტორი. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის (1945), სამამულო ომის (1945) ორდენებით. არის გ.ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი, უცხოეთის მრავალი საზოგადოების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „Marguis Who's Who" (აშშ, 1995), IBC-ის ცნობარში (კემბრიჯი, 1995), American Interrational Application (აშშ, 1996).

მისამართი: *(სამსახურის) გამსახურდიას 34. თბილისი 380071. ტელ: 38-04-96. (ბინის) ჭავჭავაძის 16. ბ. 8. თბილისი 380079. ტელ: 22-23-17.*

**სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, სამეცნიერო დონე.**



**ჯემალ ჭკუასელი** საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, დირექტორი, მთავარი დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი. დაიბადა სოფ. შემოქმედში 1935 წ. 18 მაისს. მშობლები: ანა გალოგრე-ჭკუასელისა, შერმადინ ჭკუასელი; მეუღლე — გიული ჭულუხაძე-ჭკუასელისა (1940); შვილები: შერმადინი (1958), კახაბერი (1963), ეკა (1967). დაამთავრა საქართველოს სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის აგრონომიის ფაკ-ტი (1970). იყო გარდაბნის რ-ნის მთავარი აგრონომი (1971-73), საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლის მომღერალი (1976-79), ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახ. ანსამბლის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი (1979-86). საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, დირექტორი და მთავარი დირიჟორია 1986 წლიდან. არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1984), ღირსების ორდენის კავალერი (1995), საქართველოს სახალხო არტისტი (1990), ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის აღორძინებისა და დაცვის საერთაშორისო ფონდის დირექტორი (1997).

ჰობი: მომღერალ, მგალობელ მეგობრებთან დროსტარება, შვილიშვილების გარემოცვაში ტრიალი.

მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 16. თბილისი 380008. ტელ: 93-11-12. ფაქსი: 99-74-02. (ბინის) წერეთლის. 11. ბ. 5. თბილისი 380019. ტელ: 34-66-22.*

**ადამიანებთან კეთილი ურთიერთობა, სიმართლე, პროფესიული სრულყოფა, ზრუნვა სამშობლოს კეთილდღეობისთვის. პატივისცემით ვეკიდები სხვის აზრს, თავს არ ვახვევ სხვას ჩემს აზრებს, ვცდილობ გავახარო მსმენელი, არ ვაგრძნობინო არავის ჩემი უპირატესობა, თუკი ასეთი აღმოჩნდება; გაეიზიარო სხვისი ჭირი, აღმაფრთოვანოს სხვისმა წარმატებამ, ვეთაყვანო ჩემი ხალხის ტრადიციებს.**



**ლევან ჭოღოშვილი** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1953 წ. 22 მაისს. მშობლები: მზია ანდრონიკაშვილი, გიორგი ჭოღოშვილი; მეუღლე — მაია ციციშვილი (1953); შვილები: ნინო (1973), ირინე (1981). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტის ფერწერის განყ-ბა (1976). არის ავტორი სერიებისა "განადგურებული ქართული არისტოკრატია" (1970-90), "საქართველოს მეფეები" (1979-98), "ეტრუსკული სარკე" (ინსტალაცია, ვიდეოარტი 2000), "ხელოვნების შავი ყუთი" (ინსტალაცია 1995-2001) და სხვ; საერთაშორისო სემინარის "Differance" თანაავტორი და ორგანიზატორი (თბილისი 2000, გენტის „აქტუალური ხელოვნების მუზეუმის" დირექტორის ბარტ დე ბაერის და შტუტგარტის აკადემიის პროფესორ მარიან აიგენჰეერის მონაწილეობით), ფლორენციის საერთაშორისო ბიენალეს მონაწილე (2001), კავკასიის ახალი მედიების და ფოტოგრაფიის ინ-ტის თანადამფუძნებელი (2000). მიღებული აქვს საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი საუკეთესო ნაციონალური სელექციისათვის ხელოვნების კანის საერთაშორისო ფესტივალზე (1990), ანკარის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზი (1995). არის ძველი ქრისტიანული მხატვრობის დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე. მისი ბიოგრაფია შეტანილია IBC- ის ცნობარში (Cambridge CB23QP).

ჰობი: ძველი მესხურ-კაპადოკიური კულტურის კვლევა.
მისამართი: *(ბინის) ჭავჭავაძის 21, ბ. 27. თბილისი 380079. ტელ: 22-36-38. ელ-ფოსტა: komnen@usa.net*

**უსამართლობასთან შეურიგებლობა.**



**იოსებ ჭუმბურიძე** გაზეთ „თბილისის" რედაქტორი. დაიბადა ზესტაფონში 1958 წ. 15 ნოემბერს. მეუღლე — ნინო ჭუმბურიძე (1969); შვილი — თორნიკე (1992). დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1982). მუშაობს გაზეთ „თბილისის" რედაქციაში 1982 წლიდან. იყო კორესპონდენტი, განყ-ბის გამგე, რედაქტორის მოადგილე. არის ავტორი წიგნისა „შეუკაზმავი ცხენი" (პუბლიცისტური წერილებისა და ესსეების კრებული). არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი.
ჰობი: თეატრი.
მისამართი: *(სამსახურის) კოსტავას 14. თბილისი 380096. (ბინის) ჩოლოყაშვილის 1/2. ბ. 63. თბილისი. ტელ: 77-63-55.*

**მთავარია მართალი იყო ღმერთთან და საკუთარ სინდისთან. მთლიანად ვიზიარებ ჩეხოვის 3 მოთხოვნას: ადამიანმა სუფთად უნდა ატაროს სხეული, ტანსაცმელი და ფიქრები.**



**ნანა ჭურღულია** მხატვარი. დაიბადა გუდაუთაში 1950 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: ეთერ ფარულავა, ოთარ ჭურღულია; მეუღლე — თეიმურაზ სულხანიშვილი (1947); შვილები: თეა (1974), ნიკოლოზი (1986). დაამთავრა თსსა (1973). სტაჟირება გაიარა თბილისის დაზგური გრაფიკის შემოქმედებით სახელოსნოში (1978-81). იყო ესთეტიკის ინ-ტის მხატვარი (1974-75), საბავშვო სამხატვრო სკოლისა (1976-78) და თსსა პედაგოგი (1976-1978). მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში, მათ შორის თბილისისა (1977, 1984, 1986, 1993, 1996) და მოსკოვის (1981, 1985, 1988, 1989) სხვადასხვა გალერეებში, ზააბრიუკენში (1983), ბერლინის კულტურულ ცენტრში (1988), ლენინგრადში (1989), ბუდაპეშტში (1990), ბარსელონაში (გალერეა „Brok" 1990), პროვანსში (საფრანგეთი, გალერეა „ჩერუსე" 1991), ბელგიაში (1993,), კოპენჰაგენში (1994), ბაქოს ხელოვნების ცენტრში (1995), „ტოტალური სივრცე" (სეგ, 2000), ბადდობერანში („პურპურ-გალერეა", „როტპავილიონი", გერმანია, 2001). არის 50-მდე წიგნის მხატვარი. მიღებული აქვს ორი რესპუბლიკური პრემია „წლის საუკეთესო წიგნი" წიგნების მხატვრული გაფორმებისთვის. არის საქართველოს მხატვართა კავშირის (1981), გრაფიკული დიზაინის (1997), კურტუროლოგიური კვლევების (2000) ასოციაციების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
ჰობი: მინერალოგია.
მისამართი: *(ბინის) ჭავჭავაძის 11. თბილისი 380079. ტელ: 25-17-66.*

**შემოქმედი საზღვრებს გარეშე. ყოველ ადამიანს აქვს უფლება იცხოვროს და იმოღვაწეოს მზესა და დედამიწას შორის. შეხვედრა ბუნებასთან — გაკვირვება — იმპულსური ტრანსფორმაცია. განცდის სრულყოფა, ინტუიცია, წარმოსახვა. ვქმნი ჩემთვის — იმავდროულად ყველასათვის.**



**თემურ ჭყონია** შპს „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას" გენერალური მენეჯერი. დაიბადა 1950 წ. 9 სექტემბერს. მშობლები: მარგალიტა ჭყონია, სიმონ ჭყონია; მეუღლე — მარინა გუნია (1949); შვილები: სოფიკო ჭყონია, გიორგი ფხაკაძე. დაამთავრა სპი საინჟინრო ფაკ-ტი. იყო მოსკოვის N6 პურის ქარხნის ტექნოლოგი (1970-72), ქიმიური მანქანათმშენებლობის ინ-ტის ლაბორანტი (მოსკოვი, 1973-75), სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი მექანიკოსი (მოსკოვი, 1975-77), ს/გ „თბილღუდის" ტექნოლოგიურ მოცულობათა დამმუშავებელი (1977-78), „თბილხილწყალის" უსაფრთხოების ინჟინერი, უფროსი ინჟინერ-მექანიკოსი (1978-79), წარმოების უფროსი (1979-83), მთავარი ინჟინერი (1983-87), სსფ „კავკასიონის" გენერალური დირექტორი (1987-93), შპს „კოკა-კოლა კავკასიონის" პრეზიდენტი

(1993-95). შპს „კოკა-კოლა ბოთლერზ ჯორჯიას" გენერალური მენეჯერია 1995 წლიდან. არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მიღებული აქვს ორი საავტორო მოწმობა.დასახელდა საქართველოს ნომერ პირველ ბიზნესმენად (1996).
**ჰობი:** ფეხბურთი, სირბილი, ტანვარჯიში, ბოქსი.
**მისამართი:** *(სამსახურის) წერეთლის 14. თბილისი 380019. ტელ: 94-16-99. ფაქსი: 99-79-15. (ბინის) მოსაშვილის 9. თბილისი 380079.*
**ყველა საქმის დეტალური შესწავლა, პროფესიონალიზმი. სიმართლე.**



**მარი ჭყონია** თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის მოსამართლე. დაიბადა 1964 წ. 24 ივლისს. მშობლები: ნაზი ჯელაძე, ბიჭიკო ჭყონია; მეუღლე — ზურაბ ნონიაშვილი (1959); შვილები: ნუცა (1985), ირაკლი (1989). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1991). იყო ადვოკატი (1991-92), ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი (1992-93), ინტერპოლის საქართველოს ეროვნული ცენტრალური ბიუროს ექსპერტი (1993-94), საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის სპეციალისტი (1996-98), ადვოკატი (1998-99).
**ჰობი:** სპორტი, კერვა, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახური) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. ტელ: 53-09-15. (ბინის) ვაჟა-ფშაველას IV კვ., XIV კორპ., ბ. 16, თბილისი. ტელ: 53-68-49.*
**პროფესიის სიყვარული, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა. მოეპყარი ყველას ისე, როგორც შენ გინდა მოგეპყრან.**



**დილარ ხაბულიანი** საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი. დაიბადა ლენტეხში 1952 წ. 24 ნოემბერს. მშობლები: ეთერ ხაბულიანი, მიხეილ ხაბულიანი; მეუღლე — ხათუნა ხაბულიანი. დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტის პედაგოგიური ფაკ-ტი (1974), თსუ (1980). იყო საქართველოს შს მინისტრი (1990-91). ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტია 1991 წლიდან. არის ევროპისა (1977) და მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 49ა. თბილისი 380062. (ბინის) გორგასლის 55, ვაშლიჯვრის დასახლება, თბილისი.*

**პატიოსნად ვემსახურო ჩვენს ქვეყანას და მშრომელ ხალხს.**



**ვიტალი ხაზარაძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ბაშში (სამტრედიის რ-ნი) 1947 წ. 6 თებერვალს. მშობლები: შუშანა ჭიქაბუა, ალექსანდრე ხაზარაძე; მეუღლე — ფატმან ნიჟარაძე (1953); შვილები: სოფიო (1976), ალექსანდრე (1977). დაამთავრა სპი მსუბუქი მრეწველობის ფაკ-ტი (1971). იყო აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ცვლის ოსტატი, საამქროს უფროსი, განყ-ბის უფროსი (1971-73), მაუდის ფაბრიკის დირექტორი (1973-77), აბრეშუმის გაერთიანების გენერალური დირექტორი (1977-78), ქუთაისის საქალაქო კომიტეტის II მდივანი (1978-83), ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1983-86), მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე, საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის მოადგილე (1986-90), ბიზნესმენი (1990-93), საქართველოს ბინსოცბანკის ქუთაისის განყ-ბის მმართველი (1993-95), საქართველოს პარლამენტის წევრი, საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1995-99). იყო სკკპ წევრი (1973-90), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პრეზიდიუმის წევრი. არის სმკ-ის წევრი (1993).

**ჰობი:** ნადირობა, დოკუმენტური ფილმები ველურ ბუნებაზე.

**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-82-06. (ბინის) წინამძღვრიშვილის 92. თბილისი. ტელ: 95-16-51.*

**საკუთარი თავის რწმენა, ძლიერი ნებისყოფა, მაღალი პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვებისადმი, ერთგულების დაფასება, მადლიერების გრძნობა, კაცისა და საქმის ერთგულება, სიტყვის და საქმის ერთიანობა, ოჯახისა და მეგობრების სიყვარული.**



**მამუკა ხაზარაძე** „TBC ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, „TBC—თბილისის ბიზნეს-ცენტრის" პრეზიდენტი, საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის (GGMW&Co.N.V.) პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1966 წ. 29 დეკემბერს. მშობლები: ზაირა ხუნდაძე, მამია ხაზარაძე; მეუღლე — ირინა ხიდეშელი (1966); შვილები: ანა (1991), ნიკა (1992), ელენე (1997). დაამთავრა სპი მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკ-ტი (1988), ჰარვარდის ბიზნეს-სკოლა (2000). იყო საპროექტო ტექნოლოგიური ს/კ ინ-ტის ინჟინერი (1988-90), შემოქმედებითი პროგრამების საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს" ვიცე-პრეზიდენტი (1990), ფირმა „შანსის" დირექტორი (1991). „TBC თბილისის ბიზნეს ცენტრის" პრეზიდენტია 1991 წლიდან, „TBC-ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე — 1992 წლიდან. გაზეთ "Georgian Times"-ის გამოკითხვით დასახელდა 1995 წლის საუკეთესო ბიზნესმენად. არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საბჭოს წევრი (1995), თბილისის მერიის კოლეგიის, პრეზიდენტთან არსებული ეკონომიკური საკონსულტაციო საბჭოს (1996) წევრი, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი (1997).

ჰობი: გიტარაზე დაკვრა, ცხენოსნობა.
მისამართი: *(ბინის) ჭავჭავაძის 11. თბილისი 380079. ტელ: 22-06-61. ფაქსი: 22-04-06. ელ-ფოსტა: mamuka@tbcbnak.com.ge (ბინის) მაზმიაშვილის 33. თბილისი 380002.*

**სიმართლე, დასახული მიზნისკენ სრაფვა, ძლიერი გუნდური პრინციპით ამოცანების გადაწყვეტა, სტერეოტიპების მსხვრევა...**



**გიორგი ხაინდრავა** კინოოპერატორი, კინორეჟისორი, საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაცია „TMS-ინვესტის" გენერალური დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1956 წ. 7 ივლისს. მშობლები: ლუდმილა ხაინდრავა, ლევან ხაინდრავა; მეუღლე — მარიამ ჭიჭინაძე (1959); შვილები: ლევანი (1983), მარიამი (1994). დაამთავრა სპი (1981), თსთი კინოსაოპერატორო ფაკ-ტი (1986). საერთაშორისო შემოქმედებითი ასოციაცია „TMS-ინვესტის" გენერალური დირექტორია 1991 წლიდან, თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის დოკუმენტური კინოს სახელოსნოს ხელმძღვანელი — 1992 წლიდან, რადიო „ფორტუნას" პროგრამების დირექტორი — 1998 წლიდან. გადაიღო ფილმები: „ქართული მართლმადიდებლური ეკლესია" (პრიზი წლის საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის), „საქართველო — ერის გამოღვიძება", „ავტოპორტრეტი" (კიევის საერთაშორისო კ/ფპრიზი საუკეთესო გამოსახულებისთვის), „ოცნებების სასაფლაო" (საერთაშორისო კინოფორუმის „გრან-პრი", ჟიურის სპეციალური პრიზი (რუსეთი), "Fipresci" (კინოტავრი, სოჭი). მონაწილეობდა ფილმების: „რობინზონიადა", „ნეილონის ნაძვის ხე", „შავი თვალები", „ურგა", „უძინართა მზე" გადაღებებში. იყო საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმის, დროებითი მთავრობის, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის თავმჯდომარე, პოლიტპატიმარი (1991), აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრი (1992). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who (ABI).
მისამართი: *(სამსახურის) მარშალ გელოვანის 2. თბილისი. ტელ: 33-10-10. (ბინის) გორგასლის 41. თბილისი. ტელ: 98-93-94.*

სიკეთე, პატიოსნება, სიმართლე.



**გიორგი ხალვაში** საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. დაიბადა სოფ. ციხისძირში (ქობულეთის რ-ნი) 1969 წ. 8 ოქტომბერს. მშობლები: ციური ხარაზი, თემურ ხალვაში. დაამთავრა სტუ სამშენებლო ფაკ-ტი (ბათუმი, 1994). იყო საქართველოს საზღვაო ბანკის დილერი (1993-95), კონვერტაციის განყ-ბის უფროსის მოადგილე (1995-97), ამავე განყ-ბის უფროსი (1997-98), ბათუმის უნივერსალური ბირჟის გენ. დირექტორი (1998). ეროვნული ბანკის საბჭოს წევრია 1998 წლიდან.
ჰობი: კითხვა, მუსიკა, უცხო ენის სრულყოფა, ფეხბურთი.
მისამართი: *(სამსახურის) ლეონიძის 3/5. თბილისი 380027. მობ: (899) 57-36-14, ელ.ფოსტა: gekhalva@access.sanet.ge (ბინის) მ.აბაშიძის 56/53. ბათუმი 380045. ტელ: 7-19-26.*

**საქმისადმი ერთგულება, შრომისმოყვარეობა და თვითდისციპლინა, სამართლიანობა, პროფესიონალიზმისა და საკუთარი თავის სრულყოფისადმი სწრაფვა. ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვა. საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, მშენებლობაში ქმედითი მონაწილეობის მიღება, მისი პრესტიჟისა და სახელის ამაღლება, ქართული ტრადიციების მატარებელი ოჯახის შექმნა.**



**ფრიდონ ხალვაში** მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა სოფ. გეგელიძეებში (ქედის რ-ნი) 1925 წ. 17 მაისს. მშობლები: აიშე გოგიტიძე-ხალვაშისა, იშილ ხალვაში; მეუღლე — თუნთული მაჭუტაძე-ხალვაშისა (1925); შვილები: მერი (1945), მზია (1947), ზაზა (1957). დაამთავრა მოსკოვის ლიტერატურის ინ-ტი (1957). იყო საქართველოს მწერალთა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე (1957-94), საქართველოს პარლამენტის წევრი (1995-99). არის 50-მდე წიგნის ავტორი: „ჭოროხის ხვაშიადი", „საყვედური", „გენაცვალე", „ასი მზე დედის გულისა", „ეს დღე", „დარდი"; ლექსების კრებულისა „ნუგეში"; პიესებისა: „ხიხანის ძახილი", „ვაზის ტირი-

ლი", „გადარჩენილი უკვდავება". არის რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1979), მწერალთა კავშირის წევრი (1952). მის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა პოეზიის და პროზის სამტომეული და ლექსების რჩეული.

**ჰობი:** მთის მდინარეზე ბადით თევზაობა.

**მისამართი:** *(ბინის) ბარათაშვილის 14. ბ. 5. ბათუმი. ტელ: 7-32-31. ყიფშიძის 8. ბ. 7. თბილისი. ტელ: 23-20-10.*

**იმედი, დათმობა, მოთმინება, გატანა, პატიება. დედასაქართველოსგან ასეული წლობით მოწყვეტილი კუთხის შვილი, შეგნებული ცხოვრების ყოველდღე ვცდილობდი რამენაირად დამეჩქარებინა სხვა რელიგიით მოყენებული განცალკევებულობის ტკივილის მოშუშება. ბევრი მოქიშპე, მოძულე მყოლია. მტრობისთვის მტრული პასუხი არ გამიცია. ამისთვის გამამტყუნეს, მაგრამ თავად ვირწმუნე— ამით ბევრი მოვიგე.**

**ლოტარ ხანანაშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ მაღალმოლეკულური ნაერთების კათედრის გამგე. დაიბადა თბილისში 1930 წ. 10 მარტს. მშობლები: მართა მაიერი, მიხეილ ხანანაშვილი; შვილები: ნოდარი (1957), ლიანა (1962). დაამთავრა მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინ-ტის სილიკატური ტექნოლოგიების ფაკ-ტი (1953). იყო მოსკოვის ელექტროტექნიკის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1958-59), მოსკოვის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინ-ტის დოცენტი (1959-74), პროფესორი (1975-78). თსუ მაღალმოლეკულური ნაერთების კათედრის გამგეა 1978 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სილიციუმის შემცველი ჰეტეროციკლური ნაერთების სინთეზი და მათი გარდაქმნები" (1974). არის 600-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 130 გამოგონების, 30 საზღვარგარეთის პატენტის, 5 მონოგრაფიის და სახელმძღვანელოს ავტორი, მათ შორის: „სილიციუმორგანული პოლიმერული ნაერთები და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში" (თანაავტორი კ.ანდრიანოვი, 1960), „ალექსანდრე ნოღაიდელი" (თანაავტორი რ.ტყეშელაშვილი, 1979); „О способности элементов образовать полимеры с неорганическими цепями молекул" (1965), „Гидридное присоединение органогидросилоксанов к соединениям с кратной связью углерод-углерод" (1979) და სხვ. არის ჟურნალების მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეს" და „Russia Polimer News" (აშშ) რედკოლეგიის წევრი;,სოროსის ფონდის პროფესორი (1995-98), თსუ სადოქტორო დისერტაციების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე, მიღებული აქვს სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია (1971), სსრკ სახალხო მეურნეობის ბრინჯაოს (1972) და ვერცხლის (1978) მედლები, საქართველოს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი (1980), პ.მელიქიშვილის სახელობის პრემია (1983), საკავშირო გამომგონებლის საპატიო ნიშანი (1985). არის ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1995).

**ჰობი:** ჭადრაკი, ფეხბურთი, კლასიკური მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 23-64-18. (ბინის) ყაზბეგის 34-ა. თბილისი 380077. ტელ: 39-56-20.*

**შრომისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა და ინტერნაციონალიზმის დიდი გრძნობა.**



**მიხეილ ხანანაშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე. დაიბადა თბილისში 1928 წ. 19 სექტემბერს. მშობლები: მართა ხანანაშვილი, მიხეილ ხანანაშვილი; მეუღლე — ლიანა ნულაია (1937); შვილები: მარინე (1969), ეკატერინე (1970). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1951), ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინ-ტის ასპირანტურა (1954). იყო ლენინგრადის ექსპერიმენტული მედიცინის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე (1954-76), საქართველოს ფიზიოლოგიის ინ-ტის ლაბორატორიის გამგე (1965 წლიდან), დირექტორი (1980-90). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (1962). არის 350 სამეცნიერო ნაშრომის, 16 მონოგრაფიის ავტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკად.პაველოვის სახელობის ოქროს მედლის მფლობელი, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა კავშირის აკადემიკოსი,

იენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (ჰონორის კაუზა)ვ. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე, რუსეთის სამედიცინო ენციკლოპედიაში.
მისამართი: *(სამსახურის) გოთუას 14. თბილისი 380060. ტელ: 37-23-15.*
**სრული დამოუკიდებლობა მეცნიერულ აზროვნებაში, ინტერნაციონალიზმი, ნიჭის, პატიოსნების, პროფესიონალიზმის პრიმატი ყველა სფეროში.**



**გიორგი ხარაბაძე** საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1942 წ. 12 ივლისს. მშობლები: ელენე წერეთელი, ეზეკი ხარაბაძე; მეუღლე — ბელა თოფურია (1940); შვილები: გიორგი (1966), ელენე (1969), ხარება (1972). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1963). იყო რუსთაველის თეატრის მსახიობი (1963-94). მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ვეფხისტყაოსანი" (ტარიელი, 1966), „იულიუს კეისარი" (ოქტავიუსი, 1973), „ოიდიპოს მეფე" (ოიდიპოსი, 1976), „ანტონიუსი და კლეოპატრა" (მარკუს ანტონიუსი, 1977), „ტარტიუფი" (ტარტიუფი, 1980), „რიჩარდ მესამე" (ჯორჯ კლარენსი, 1979), „ტიტუს ანდრონიკუსი" (ტიტუს ანდრონიკუსი, 1992), „მეფე ლირი" (მეფე ლირი, 1993), „ცხოვრება სიზმარია" (მეფე ბასილიო, 1993) და სხვ. კინოფილმებში: „გიორგობისთვე" (ოთარი, 1966), „დათა თუთაშხია" (კაზა ჩხეტია, 1978), „ჩემი მეგობარი ნოდარი" (ნოდარი, 1967), „დონ კიხოტი" (ჰერცოგი, 1989), „ელზა" (გიორგი მიქელაძე, 1989), „ბესამე" (ჩიტუნელა, 1990), „მარტოობის ორდენის კავალერი" (გალაკტიონ ტაბიძე, 1999) და სხვ. ვიდეოფილმებში: „ირინეს ბედნიერება" (აბესალო, 1974), „გვადი ბიგვა" (არჩილ ფორია, 1977), „ოთარაანთ ქვრივი" (გიორგი, სოსია, 1978), „წმინდა ოთხთავი" (1997). არის ავტორი სატელევიზიო თეატრის ციკლისა: პოეზიის 30 წუთი (1974), „ბედი ქართლისა" (1975), აკაკი წერეთლის მონოლოგი (რეჟ. თ.სუმბათაშვილი, 1979), ვაჟა-ფშაველას ნაანდერძევი (რეჟ. თ.სუმბათაშვილი, 1983), დავით კლდიაშვილის ნაამბობი (რეჟ. თ.სუმბათაშვილი, 1985) და სხვ. ფირფიტებზე ჩაწერა „ვეფხისტყაოსანი" (1986), „გალობანი სინანულისანი" (1989). არის ავტორი წიგნისა „თქვენ მომაგონდით" (1989). მის შემოქმედებას ეძღვნება ეთერ ოკუჯავას წიგნი „აქტიორი" (1998), მის შესახებ გადაღებულია ფილმი „კაცი" (1993). არის საქართველოს დამსახურებული არტისტი (1976) დავით კლდიაშვილის სახელობის (1987), „ხუთწლედის მატიანის" (1983), პრემიების ლაურეატი.
**სიყვარული, სიყვარული, სიყვარული.**



**ბესიკ ხარანაული** პოეტი. დაიბადა თიანეთში 1939 წ. 11 ნოემბერს. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1962). იყო გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" უმცროსი რედაქტორი (1963-67), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" რედაქტორი (1967-72), ჟურნალ „მნათობის" რედაქციის განყ-ბის გამგე, რედაქტორის მოადგილე (1972-98), გამომცემლობა „ნაკადულის" დირექტორი (1999-2001). გამოქვეყნებულია მისი ლექსების 12 კრებული. არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1993).
ჰობი: ფეხით სიარული.
მისამართი: *(ბინის) ყაზბეგის 29/ ზედაზნის 4. თბილისი. ტელ: 39-69-93, 69-01-46.*
**ჩემი ცხოვრების მიზანი, პრინციპი და კრედო არის, თუ მისხლისოდენად მაინც შევძელი, გულმოწყალება. ესაა, რაც მომწონს ადამიანშიც და სამყაროშიც.**



**ლევან ხარანაული** მხატვარი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 29 სექტემბერს. მშობლები: დამანა მელიქიშვილი, ბესიკ ხარანაული; მეუღლე—ლელა სულაკაური (1967); შვილები: მარიამი (1988), ქეთო (1990), ბესიკი (1993), გიორგი (1997). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1986), სსრკ სამხატვრო აკადემიის თბილისის ფილიალის ასპირანტურა (1990). გამართა პერსონალური გამოფენები თბილისში (1991, 1995, 1998-2000), ბოლონიაში (1996, 1998), საფრანგეთში (1999, 20001). მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში (1988). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, თბილისის მხატვრის სახლში, საქართველოს, გერმანი-

ის, ესპანეთის, იტალიისა და საფრანგეთის კერძო კოლექციებში. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1997).
**მისამართი:** *(ბინის) ყაზბეგის 29/2, ბ.31. თბილისი. ტელ: 39-69-93.*



**გურამ ხარატიშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა გორში 1934 წ. 14 იანვარს. მშობლები: ირინე რაზიკაშვილი, ლევან ხარატიშვილი; მეუღლე — ვიქტორია მჟავანაძე (1945); შვილი — გიორგი (1971). დაამთავრა მოსკოვის სახ. უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1956). იყო მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1957-66), თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1966-72), თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტის დეკანი (1968-72), მართვის სისტემების ინ-ტის დირექტორი (1972-81). არის თსუ მართვის თეორიის კათედრის პროფესორი (1971 წლიდან), კათედრის გამგე (1991 წლიდან). კიბერნეტიკის ინ-ტის დირექტორია 1981 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ექსტრემალური ამოცანები წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეებში" (1969). არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა: „დაგვიანებითი ოპტიმალური პროცესები" (1966), „აბსტრაქტული ვარიაციული თეორია და მისი გამოყენება დაგვიანებით ოპტიმალურ ამოცანებში" (1973). დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1984). იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი (1990). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: „Who's Who in America", „Marquis Who's Who" (1997).
**ჰობი:** ფერწერა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კიბერნეტიკის ინ-ტი. ს.ეულის 5. თბილისი 380086. ტელ: 30-26-33. (ბინის) ბარნოვის 67. ბ. 22. თბილისი 380079. ტელ: 22-30-80.*
**ვაკეთებდი იმას, რაც უნდა გამეკეთებინა.**



**იოსებ ხარატიშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა ყვარელში 1923 წ. 10 იანვარს. მშობლები: მარიამ ხარატიშვილი, ალექსი ხარატიშვილი; მეუღლე — ნელი ქაჯაია (1929-93); შვილები: მანანა (1950), გიორგი (1953). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1948), ჰიდროტექნიკისა და ენერგეტიკის ს/კ ინ-ტის ასპირანტურა (1950). იყო კ/გ საშუალებათა წარმოების საკავშირო სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყ-ბის უფროსი (1950-52), თბილისის საოლქო აღმასკომის კომუნალური მეურნეობის სამმართველოს კაპიტალური მშენებლობის სექტორის გამგე (1952-53), კვების მრეწველობის სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი, უფროსი (1953-57), ტრესტ „საქკოოპმშენის" მმართველი (1957-68), საქართველოს სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე, მინისტრი, სახ. აგრომრეწვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, „საქაგრომშენის" თავმჯდომარე (1968-90), საზოგადოება „კახეთის" პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1990-92), მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (1992-95), საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-95, 1995-99). არის 3 მონოგრაფიის, 13 სამეცნიერო ნაშრომისა და 2 გამოგონების ავტორი, საქართველოსა (1970) და აფხაზეთის არ (1983) დამსახურებული ინჟინერი. იყო სკკპ რაიონული კომიტეტის წევრი, რაიონული აღმასკომის დეპუტატი, სკკპ ცკ წევრი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის (1966, 1971), ოქტომბრის რევოლუციის (1976), ლენინის (1981) ორდენებით, შრომის ვეტერანის (1986), სომხეთის მიწისძვრის ლიკვიდაციის (1989) მედლებით. არის სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი (1981), ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი (1996), თბილმეტრომშენის ხელშემწყობი ასოციაციის თავმჯდომარე, საქართველოს მშენებელთა ფედერაციის პრეზიდენტი. არის სმკ-ის წევრი (1995).
**ჰობი:** სპორტი, ტექნიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-97-20. ფაქსი: 93-52-23. (ბინის) თაქთაქიშვილის 6. ტელ: 23-30-77.*

შრომა, კაცთმოყვარეობა, სხვათა დახმარება, ახალგაზრდობაზე ზრუნვა, კოლექტივებში ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ატმოსფეროს შექმნა, გარდაცლილი მშობლების პატივისცემა.



**გიორგი ხარაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფიზიკის ინ-ტის დირექტორი. დაიბადა ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალში 1931 წ. 15 აგვისტოს. მშობლები: ელისაბედ ვოზდვიჟენსკაია, არჩილ ხარაძე; მეუღლე — ქეთევან ჩხიკვიშვილი (1934); შვილები: არჩილი (1957), თამარი (1967). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1954). იყო ფიზიკის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თეორიული განყ-ბის გამგე (1957-88). თსუ თეორიული ფიზიკის კათედრის პროფესორია 1984 წლიდან, ფიზიკის ინ-ტის დირექტორი—1988 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნუკლონების ელექტრო-მაგნიტური სტრუქტურა" (1961); სადოქტორო — „ლოკალიზებული სპინური სისტემების მაგნიტური თვისებები" (1973). არის 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი მყარი სხეულებისა და კვანტური სითხეების თეორიაში, აშშ ფიზიკური საზოგადოების წევრი.

**მისამართი:** *(სამსახურის) თამარაშვილის 6. თბილისი 380077. ტელ: 39-87-83. ელფოსტა: khar@physics.iberiapac.ge (ბინის) ალმაშენებლის 147, ბ.37. თბილისი 380012. ტელ: 95-33-95.*



**ევგენი ხარაძე** ასტროფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის საპატიო დირექტორი, სოროსის ფონდის დამსახურებული პროფესორი. დაიბადა თბილისში 1907 წ. 31 ოქტომბერს. მშობლები: მარინე ბარბაქაძე-ხარაძე, კირილე ხარაძე; დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი. იყო მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი (1932-22), თსუ რექტორი (1959-65), მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1972-80), პრეზიდენტი, (1980-86). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „გედის თანავარსკვლავედის პროტოტიპი ვარსკვლავის სპექტრის გამოკვლევა" (1936), სადოქტორო — „ვარსკვლავთშორისი სინათლის შთანთქმის გამოკვლევა ფერის მაჩვენებელთა მეთოდით" (1939). არის ავტორი ასტრონომიული შინაარსის ს/კ ხასიათის 50-მდე ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია საქართველოსა და საზღვარგარეთის ჟურნალებში, საშუალო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ასტრონომიის 5 სახელმძღვანელოსი.

**მისამართი:** *(ბინის) ფალიაშვილის 31, ბ.2. თბილისი 380079. ტელ: 22-54-60.*

თავდაუზოგავი შრომა არჩეული პროფესიით (მეცნიერული კვლევა, სახელმძღვანელოების შედგენა).



**მილერი ხარებავა** თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. დაიბადა სოფ. გურძემში (მარტვილის რ-ნი) 1947 წ. მშობლები: თამარ ჩარგაზია, კალისტრატე ხარებავა; მეუღლე — მანანა საზანდრიშვილი (1956); შვილები: კახაბერი (1976), ეკატერინე (1981). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1975). იყო საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ქუთაისის საგამოძიებო განყ-ბის გამომძიებელი (1976-83), სატრანსპორტო საგამოძიებო სამმართველოს (1983-95), ბოლნისის შს რაიონული (1995-97), სატრანსპორტო საგამოძიებო სამმართველოს (1997-2000) განყ-ბების უფროსი. თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 2000 წლიდან.

**ჰობი:** პოლიტიკა, სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14, ფაქსი: 53-09-32.*

სიმართლე, ოჯახის სიყვარული, ერთგულება, შრომისმოყვარეობა, ურთიერთთანადგომა, უნარი მოსმენის, შემწყნარებლობის, პატიების.

**რევაზ ხასია** მოქანდაკე. დაიბადა სამტრედიაში 1947 წ. 22 აპრილს. მშობლები: კონა ფოფხაძე, ივანე ხასია; მეუღლე — მარინა მაისურაძე (1955); შვილები: ივა



(1987), სანდრო (1990). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტის ქანდაკების განყ-ბა (1973). არის ავტორი ნამუშევრებისა: „არგონავტები I" (1987), „სამოქალაქო ომი ანუ სიკეთე და ბოროტება" (1993), „მუსიკა" (1996), „არგონავტები II" (1998); მონუმენტები: 300 არაგველის მემორიალური კომპლექსი (საქართველოს სამხედრო გზა, 1981-87), „მ.კოკაიას მემორიალი" (ფოთი 1982), „მუზა" (ნადიოტადი, უნგრეთი 1982), „პოეზია" (ქუთაისი 1983), ი.გოგებაშვილის ძეგლი (ზუგდიდი 1989). გამართა პერსონალური გამოფენა „თბილკრედიტბანკის" შენობაში (2000), მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში: ქართული ქანდაკების რეტროსპექტივა (სეგ, 1991), "სამობაო ფესტივალი" (სეგ, 1993, 1995-98), "საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (სეგ, 1998). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, აშშ, საფრანგეთის, უნგრეთის, გერმანიის, ბელგიის, თურქეთის კერძო კოლექციებში. მონაწილეობდა ქანდაკების უნგრეთის პლენერში (1982). არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1988), მიღებული აქვს სამობაო ფესტივალის გრან-პრი (1996-99), ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის I პრემია ინტერვირტუალური კონცეფციისთვის (1997). არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1976). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).

**მისამართი:** *(ბინის) ელიავას 26. თბილისი 380056. ტელ: 38-68-29.*

**შრომა.**



**ნიკოლოზ ხატიაშვილი** კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საპატიო დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს, ინდოეთისა და ნიუ-იორკის (აშშ) მეცნიერებათა (1988) აკადემიების წევრი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 20 ოქტომბერს. მშობლები: დომნა ქამაკაშვილი-ხატიაშვილი, მიხეილ ხატიაშვილი; მეუღლე — მერი გაბიცინაშვილი-ხატიაშვილი (1933); შვილები: მანანა (1954), მიხეილი (1958). დაამთავრა თსსი პედიატრიული ფაკ-ტი (1951), ასპირანტურა (1953). იყო ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ასისტენტი (1968-81), კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინ-ტის დირექტორი (1976-2001), საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახ. კომიტეტის პროგრამა "კურორტის" საუწყებათაშორისო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1976), საკავშირო სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის საპრობლემო კომისიის წევრი გერონტოლოგია-გერიატრიის სპეციალობით (1976), საკავშირო ჟურნალის "Вопросы курортологии, физиотерапии и ЛФК" სარედაქციო საბჭოს წევრი (1977), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიისა და სარედაქციო კომისიის წევრი, თსსი დოცენტი (1981-91), პროფესორი (1991 წლიდან), თსსი საკოორდინაციო და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სპეციალობით — „კურორტოლოგია და ფიზიოთერაპია", გერონტოლოგთა და გერიატრთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის წევრი (1988), კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის საკავშირო სამედიცინო-სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1989). კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ს/კ ინ-ტის საპატიო დირექტორია 2001 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ხანშიშესულ ადამიანთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური მდგომარეობის თავისებურებანი და მათი ცვლილებები აქტიური მოძრაობითი რეჟიმის ზეგავლენით" (1971), სადოქტორო — „კარსტული მღვიმის მიკროკლიმატის ზეგავლენა ნეიროცირკოლატორული დისტონიით დაავადებულებზე" (1991). არის 140-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (გამოიცა საქართველოსა და საზღვარგარეთ), საქართველოს კურორტების და საკურორტო რესურსების უნიკალური ატლასის რედაქტორი და თანაავტორი, ორი ლიტერატურული ნაწარმოებისა და 80-ზე მეტი პუბლიცისტური წერილის ავტორი. მისი სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმზე ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედებას; მუშაობდა კურორტოლოგია-ფიზიოთერაპიის, გერონტოლოგია-გერიატრიის, სამკურ-

ნალო ფიზკულტურისა და სპორტული მედიცინის საკითხებზე. არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი (1991), საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1994), საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1993), ზ.ანჯაფარიძის პრემიის ლაურეატი (2001), დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის (1981), ღირსების (1998) ორდენებით. მიღებული აქვს ევროპის ბიოკლიმატოლოგიისა და თერმული მედიცინის ასოციაციის (1980), კურორტოლოგთა I მსოფლიო კონგრესის (1981), მილანის უნივერსიტეტის (1983), სსრკ სამეცნიერო საზოგადოების (1983) საპატიო დიპლომები და სხვ.
**ჰობი:** ხელოვნებისა და ლიტერატურის შედევრების კითხვა, ლიტერატურული მოღვაწეობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) გორგასლის 9. თბილისი 380005. ტელ: 75-37-79. (ბინის) ნაფარეულის 12, ბ. 6. თბილისი 380079. ტელ: 22-03-41.*
**პრინციპულობა, შრომისუნარიანობა, ცნობისმოყვარეობა, ახლის ძიების დაუოკებელი სურვილი, განსაკუთრებით მეცნიერებაში.**



**გიორგი ხაჭაპურიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ჯანმრთელობისა დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სანკტ-პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაიბადა თბილისში 1955 წ. 13 მაისს. მშობლები: გულსუნდა ურუშაძე, გივი ხაჭაპურიძე; მეუღლე — ნანა მირცხულავა; შვილი — მარიამი. დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი. არის ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; სოციალისტური პარტიის წევრი, თბილისის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ქავთარაძის 25/2, თბილისი. ტელ: 30-45-80.*



**შალვა ხაჭაპურიძე** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა ქუთაისში 1966 წ. 20 მარტს. მშობლები: მაგული ხაჭაპურიძე, გურამ ხაჭაპურიძე; მეუღლე — დიანა ხოფერია (1978); შვილები: ლია (1995), გურამი (1998). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1994). იყო სახელმწიფო მეთაურის აპარატის იურისტ-ექსპერტი (1993-94), ქუთაისის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებელი (1994-95), იმერეთის საოლქო პროკურატურის უფროსი გამომძიებელი (1995-96), განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი (1996-98), გენერალური პროკურატურის სისხლის სამართლის დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყ-ბის პროკურორი (1998-2000). ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეა 2000 წლიდან. არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი (1996).
**ჰობი:** იოგა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კუპრაძის 11, ქუთაისი. ტელ: 2-70-77. (ბინის) რუსთაველის VI ჩიხი, 11, ქუთაისი. ტელ: 4-84-70.*
**რელიგიურობა, წიგნის სიყვარული, წიგნთან მუშაობა, ნებისყოფა, ბრძოლა საკუთარ თავთან.**



**დიმიტრი ხახუტაშვილი** მხატვარი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 15 ოქტომბერს. მშობლები: თამარ ხახუტაშვილი, გიორგი ხახუტაშვილი; მეუღლე — ნინო ხახუტაშვილი (1931); შვილები: გიორგი (1969), დიმიტრი (1976). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1953). იყო თსსა პედაგოგი (1960 წლიდან), უფროსი მასწავლებელი, დოცენტი. არის თსსა პროფესორი, ფერწერის კათედრის გამგე. მუშაობს ფერწერის, დაზგური გრაფიკის, წიგნის გაფორმებისა და ილუსტრაციის, ქანდაკების, მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების, გობელენის ჟანრებში. არის ავტორი ნამუშევრებისა: "უხუცესი ქართველი მხატვრები" (1953), "ჭიდაობა" (1957), "ნაშვილები" (1967), სერია "ქართლის ცხოვრება" (1973-97), "კიდევაც დაიზრდებიან" (1986), "ქსნის ციხის ლეგენდა" (1987), 100-მდე წიგნის ილუსტრაციებისა და სხვ. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1975), საქართველოს სახალხო მხატვარი (1988); საქართველოს მხატვართა

კავშირის წევრი (1957). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** საკუთარი პროფესია; ფეხბურთი და ნადირობა.
**მისამართი:** *(ბინის) ფალიაშვილის 32ა, თბილისი 380079. ტელ: 22-10-10.*
**მიყვარს ხელოვნება და ჩემი ქვეყანა.**



**გიორგი ხევიაშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრარულ რეფორმათა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა რუსთავში 1964 წ. 5 მარტს. მშობლები: ეთერ ხევიაშვილი, თენგიზ ხევიაშვილი; მეუღლე — ლალი ჩიქოვანი (1970); შვილები: ანანო (1991), მარიამი (1994). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (2000), ზოოვეტერინარული ინ-ტის ზოოსაინჟინრო ფაკ-ტი (1994). იყო ფერმერული მეურნეობის მმართველი (1993-95), ქვემო ქართლის ადმინისტრაციის მრჩეველი (1994-95, 1995-99). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის საქართველოს ფერმერთა კავშირის თავმჯდომარე (1996), სმკ-ის წევრი (1994).
**ჰობი:** ფეხბურთი, ავტოსპორტი.
**მისამართიო:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) მესხიშვილის 5, რუსთავი.*
**სამშობლოს სიყვარული.**



**ლევან ხეთაგური** ნიდერლანდების სამეფოს საერთაშორისო კულტურის ფონდ „კავკასიის" პრეზიდენტი, თეატრმცოდნე, პროდიუსერი. დაიბადა თბილისში 1964 წ. 26 ივნისს. მშობლები: ციცინო მედულაშვილი, მიხეილ ხეთაგური. დაამთავრა თსთი თეატრმცოდნეობის ფაკ-ტი (1986), ამსტერდამის უნივერსიტეტი (საერთაშორისო ურთიერთობები კულტურაში, 1996), ამსტერდამ-მაასტრიხტის უნივერსიტეტი (ევროპული „პერფორმინგ არტს მენეჯმენტი" 1997). იყო საპროდიუსერო ცენტრ „არტექსის" გენერალური პროდიუსერი (1993-96), კულტურის სამინისტროს კულტურული პროგრამების დირექციის უფროსი (1996-98). არის თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის სამეცნიერო სექტორის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1990), საგარეო ურთიერთობების ხელმძღვანელი (1992), სამეცნიერო საბჭოს წევრი (1995), „კავკასიის" და კავკასიის კულტურული პროგრამების საერთაშორისო ბიუროს ერთ-ერთი დამაარსებელი (1997), დასავლურ ენათა და კულტურათა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი (1998), „ვესტ იორკშირის ფლეიპაუზის" (დიდი ბრიტანეთი) მენეჯერი (1998). ხელოვნებთამცოდნეობის კანდიდატი (1990). არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, წიგნების: „XX საუკუნის ფრანგი დრამატურგები და თეატრის თეორეტიკოსები" (1998), „ავსტრიული თეატრი და ჰუგო ჰოფმანსთალი" (2000) ავტორი; წიგნების: „თანამედროვე ხელოვნება ნიდერლანდებში" (1997), „თანამედროვე ცეკვა ნიდერლანდებში" (2001) რედაქტორი. ატარებს ტრენინგებსა და ვორქშოპებს სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც საერთაშორისო ექსპერტი კულტურის მენეჯმენტსა და საერთაშორისო ურთიერთობებში ხელოვნებაში. იყო ლენინური სტიპენდიანტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის I ხარისხის მედლის (1982), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის II ხარისხის დიპლომის (1985) მფლობელი. არის შვედეთის მწერალთა გილდიის პრემიის ლაურეატი (2000). არის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი (1995), საქართველოს ხელოვნების კრიტიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი (1990), ევროპის თეატრალური ინ-ტების სტუდენტთა ასოციაციის ნამდვილი წევრი (1990), ევროპის თეატრალური განათლებისა და სასწავლებლების კონსორციუმის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი (1991), „გულივერ ქლირინგ ჰაუზის" წარმომადგენელი კავკასიის რეგიონში (1996), ევროპის თეატრალური კვლევის ინ-ტის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი (1996), თეატრის საერთაშორისო ინ-ტის საქართველოს ბიუროს გენ. მდივანი (1997), „გულივერის" (ევროპელი ინტელექტუალების კავშირი, 1997), ევროპის არაფორმალური თეატრალური ქსელის (ITEM, 1998), მაქს ვაგნერის ფონდის მრჩეველთა საბჭოს (2000), თეატრის მკვლევართა საერთაშორისო ფედერაციის (FIRT, 2000) წევრი.

*მისამართი: (სამსახურის) ფონდი „კავკასია". ჭავჭავაძის 45. თბილისი 380062. ტელ: 29-43-06. ტელ/ფაქსი: 25-00-89. ელ-ფოსტა: SCF@lingua.edu.ge*

**მუდმივი განათლება, საკუთარი შეცდომების გაანალიზება, ნებისმიერი რელიგიის, კულტურისა და ენის პატივისცემა, კოსმოპოლიტიზმი და დემოკრატიული სახელმწიფო, ნებისმიერი მოქალაქის უფლებების დაცვა და პატივისცემა, როგორც მომავალი მსოფლიოს საფუძველი. ძლიერი საქართველო ერთიანი რეგიონალური პოლიტიკით და საერთო ბაზრით, განვითარებული ძლიერი ეკონომიკით, ღია დემოკრატიული საზოგადოებით და სამოქალაქო აზროვნებით არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო სტრუქტურაში.**



**ანზორ ხელაშვილი** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ პრორექტორი, დოქტორი, პროფესორი. დაიბადა კარდანახში (გურჯაანის რ-ნი) 1938 წ. 19 აგვისტოს. მშობლები: ნინა მამულაშვილი, ალექსანდრე ხელაშვილი; მეუღლე — ინგა თულიანი (1944); შვილები: გოჩა (1966), ნინო (1969), გიორგი (1977). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1962), დუბნის ბირთვულ კვლევათა ინ-ტის ასპირანტურა (1965). იყო თსუ უმცროსი (1965-69), უფროსი (1969-73) მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის გამგე (1969-80), ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგე (1986-94). თსუ ლაბორატორიის გამგეა 1980 წლიდან, თეორიული ფიზიკის კათედრის გამგე — 1994 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „პოტენციალური გაფანტვის თეორიის ზოგიერთი საკითხი" (1967); სადოქტორო — „კორალური სიმეტრია და კვაზიპოტენციალური განტოლებები ჰადრონთა დინამიკაში" (1983). არის ავტორი სამეცნიერო ნაშრომებისა: „Об интегральных уравнениях для амплитуд рассеяния в квантовомеханическкой задаче трех частиц" (1967), „Квазипотенциальное уравнение для системы двух частиц соспинами 1/2" (1969), „On the Regularization Scheme and Gauge Choice Ammbiguities in Topologically Massive Gauge Theories" (თანაავტორები: ჯ.გეგელია და ნ.კიკნაძე 1997) და სხვ. დაჯილდოებულია პ.მელიქიშვილის სახელობის პრემიით (1983).

**ჰობი:** ჭადრაკი.

**მისამართი:** *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 22-35-01. ფაქსი: 22-11-03. ელ-ფოსტა: khelash@mailer.tsu.edu.ge (ბინის) ატენის 20. ბ.32. თბილისი. ტელ: 23-51-63.*

**სამართლიანობა, გულისხმიერება, პრინციპულობა, მაღალი პროფესიონალიზმი, ცოდნა, შემოქმედებაში ინტუიცია, მოსწავლის (სტუდენტის) პატივისცემა, ოჯახის სიყვარული, ერთგულება.**



**შოთა ხელაშვილი** ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი. დაიბადა გურჯაანის რ-ნში 1946 წ. 8 მარტს. მშობლები: მარიამ ხელაშვილი, ავთანდილ ხელაშვილი; მეუღლე — ალისა ხელაშვილი (1948); შვილები: მადლენი (1969), ანჟელიკა (1970). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1968). იყო კვების მრეწველობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრის დირექტორი (1976-79), საქართველოს შაქრის კომბინატის გენერალური დირექტორი, სსრკ აგროსამრეწველო კომიტეტის კვალიფიკაციის ამაღლების საკავშირო ინ-ტის ა/კ ფილიალის დირექტორი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „წარმოების კონცენტრაციის ეფექტურობისთვის ჩაის მრეწველობაში" (1973). არის 35 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რუსეთის სახალხო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**ჰობი:** მშენებლობა, სპორტი, მუსიკა.

**მისამართი:** *(სამსახურის) პუშკინის 7. თბილისი 380007. ტელ: 92-03-21, 92-13-40. (ბინის) აეროპორტის დას. მე-11 ქუჩა, N9-ა. თბილისი 380061. ტელ: 95-37-30.*

**ჩემი ცხოვრების კრედოა შევქმნა და ვაშენო. საქართველოში ჩემს მიერ შექმნილია ხუთი სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტი შესაბამისი ფილიალებით. რასაც დავისახავ მიზნად, მის განსახორციელებლად მთელ ჩემს ფიზიკურ და გონებრივ პოტენციალს ვახმარ.**



**ნესტორ ხერგიანი** სპორტსმენი, ევროპის ჩემპიონი ძიუდოში. დაიბადა მესტიაში 1975 წ. 20 ივლისს. მშობლები: ლელიკო ხვისტანი, ელიზბარ ხერგიანი; მეუღლე — გვანცა ლომაშვილი (1976); შვილი — ირაკლი (1998). დაამთავრა საქართველოს სპორტის აკადემია (1997). არის ევროპის ჩემპიონი (1998, 2001), ევროპის ჩემპიონატის (III 1999, 2000), მსოფლიო უნივერსიადის (III 1999) პრიზიორი. არის სპორტული კლუბი „შევარდენის" წევრი.
**ჰობი:** სპორტი.
**მისამართი:** *(ბინის) ვარკეთილი-3, II მ/რ. კორპ. 19. თბილისი.*
**შრომისმოყვარეობა და დისციპლინა.**



**სიმონ ხეჩინაშვილი** ექიმი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა ქუთაისში 1919 წ. 26 ნოემბერს. მშობლები: ოლღა ნარსია, ნიკოლოზ ხეჩინაშვილი; მეუღლე — ლალი მიქელაძე (1932); შვილები: დევი (1956), მაია (1958). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1941). იყო თსსი ექიმი-ორდინატორი (1941-43), ექიმთა დახელოვნების ინ-ტის ასისტენტი (1944-46), დოცენტი (1946-51), ფიზიოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1949-58). არის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კათედრის გამგე (1951 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ვესტიბულარული ფუნქცია" (1952). არის 191 სამეცნიერო ნაშრომის, 4 მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი; ი.ბერიტაშვილის პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში, ლენინის პრემიის ლაურეატი (1963), ღირსების ორდენის კავალერი (1996), საქართველოს და რუსეთის სამედიცინო, გერმანიის ბუნებისმეტყველთა („ლეოპოლდინას") აკადემიების წევრი, ბერლინის ლ.ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ოტოლარინგოლოგთა საზღვარგარეთის 4 სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში Who's Who (IBC, Cambridge,1995).
**ჰობი:** მუსიკა, ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ჭავჭავაძის 33. თბილისი 380079. ტელ: 23-14-38. (ბინის) ბარნოვის 73, ბ.21. თბილისი 380079. ტელ: 22-46-33.*
**ყოველთვის აქტიური მომხრე ვიყავი საქართველოს დამოუკიდებლობისა და პროგრესის, ვცდილობდი ხელი შემეწყო ქართული მეცნიერების განვითარებისათვის, დამეწინაურებინა ახალგაზრდა ნიჭიერი სპეციალისტები, დავხმარებოდი ავადმყოფებს.**



**რამაზ ხეცურიანი** ექიმი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი. დაიბადა სოფ. ლაილაშში (ცაგერის რ-ნი) 1949 წ. 14 მაისს. მშობლები: თინათინ გორგასლიძე, გრიგოლ ხეცურიანი; მეუღლე — ნაირა ჭაბაშვილი (1949); შვილები: თინათინი (1974), ლევანი (1978). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1973), ასპირანტურა (1976). იყო სამედიცინო ინ-ტის ნორმალური ანატომიის კათედრის ასისტენტი (1978-85), კათედრის დოცენტი (1985-90), პროფესორი (1990 წლიდან), თსსუ პრორექტორი (1991-92). თსსუ რექტორია 1992 წლიდან, ნორმალური ანატომიის კათედრის გამგე— 1997 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართველ ახალშობილთა ანთროპოლოგიურ მაჩვენებელთა დინამიკა აქსელერაციისა და სხვა ფაქტორთა გათვალისწინებით" (1977), სადოქტორო — „ორსულობის სხვადასხვა ეტაპზე და მშობიარობის წინა პერიოდისათვის პლაცენტის სისხლძარღვთა ანგიოარქიტექტონიკის მორფო-ფუნქციური ცვლილებები, ფეტოპლაცენტური კავშირები" (1990). არის 102 სამეცნიერო ნაშრომის, 2 მონოგრაფიისა და ერთი სახელმძღვანელოს ავტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოსა და ოქსფორდის საერთაშორისო ღირსების ორდენის კავალერი, მილენიუმის და ალბერტ შვაიცერის ოქროს მედლის მფლობელი, პოლონეთის, ნიუ-იორკის, მოსკოვის უმაღლესი სკოლის, იუნესკოს, საქართველოს სამედიცინო აკადემიების წევრი, პარლამენტის ჯანმრთელობისა და განათლების კომისიის კონსულტანტი, რექტორთა საბჭოს აღმასრულებელი მდივანი, ჟურნალ „საქართველოს მედიცინის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოსა და თურქე-

თის ერთობლივი „ახალი სამედიცინო ჟურნალის" თანარედაქტორი, სამედიცინო დარგობრივი პროფესორთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს წევრი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის, „სამედიცინო გაზეთის" სარედაქციო საბჭოს წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: WHo's Who (IBC, Cambridge, 1997, 1998)

**ჰობი:** თევზაობა, ნადირობა, ფოტოხელოვნება.

**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 33. თბილისი 380077. ტელ:39-26-13. ფაქსი: 53-70-79. (ბინის) იოსებიძის 51, ბ.35. თბილისი 380060. ტელ: 35-46-66.*

**ჩემი ცხოვრების კრედოა: ვიცოცხლო იმისათვის, რომ ვიშრომო. ჩემი წარმატებები განაპირობა ჩემმა დამოკიდებულებამ შრომისადმი, ჩემმა მასწავლებლებმა და ჩემმა კოლეგებმა, ვისთან ერთადაც ვმუშაობ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში. ჩემი მიზანია, ვიყო სტუდენტისათვის საყვარელი ლექტორი, მაქსიმალურად გადავცე მათ ჩემი გამოცდილება, აღვზარდო მაღალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები.**



**ჯონი ხეცურიანი** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. ლაილაშში (ცაგერის რ-ნი) 1951 წ. 23 ნოემბერს. მშობლები: თინათინ გორგასლიძე, გრიგოლ ხეცურიანი; მეუღლე — როდამ ფალავა (1955); შვილები: გრიგოლი (1981), კონსტანტინე (1984). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1973), ეკონომიური (1988) ფაკ-ტები, ეკონომიკის და სამართლის ინ-ტის ასპირანტურა. იყო ეკონომიკის და სამართლის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1973-79), კპ ქუთაისის და თბილისის ორგანიზაციების ინსტრუქტორი, რაიკომის მდივანი (1980-85), სახელმწიფოსა და სამართლის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განყ-ბის ხელმძღვანელი, დირექტორის მოადგილე (1985-90), საქართველოს იუსტიციის მინისტრი (1990-92), თსუ დოცენტი, პროფესორი (1992-95), საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი (1995-99, 2000-2001), საქართველოს იუსტიციის მინისტრი (1999-2000). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეა 2001 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მორალური ნორმების მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში" (1977), სადოქტორო — „სამოქალაქო სამართლის ფუნქციები" (1994). არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, 5 წიგნის ავტორი (სამოქალაქო სამართლის, კონსტიტუციის, სისხლის სამართლის პრობლემებზე). გამოქვეყნდა მისი წერილები სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ (ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", 1979). არის საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში (1982), საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ერთ-ერთი ავტორი (1991), საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი (1995), მონაწილეობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავებასა და მიღებაში (1997). იყო ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის პოლიტიკური მდივანი (1992-95).

**ჰობი:** ნადირობა, თევზაობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 99-60-25. ფაქსი: 93-30-05. (ბინის) ი.ნიკოლაძის 8, ბ.16. თბილისი 380009. ტელ: 29-48-92.*

**ჩემი ცხოვრების კრედო ანუ მრწამსია: „ენა, მამული, სარწმუნოება", ოჯახის სიყვარული, მეგობრობა. თუკი რაიმე წარმატებისათვის მიმიღწევია, მისი საწინდარი ყოველთვის იყო ჩემი მრწამსისადმი ერთგულება, მიზანსწრაფულობა და შრომისმოყვარეობა, მიუხედავად ჟამთა სიავისა.**



**მანანა ხვედელიძე** მუსიკისმცოდნე-ჟურნალისტი, ქართული რადიოს გენერალური დირექტორის მოადგილე, პროგრამების მთავარი დირექტორი, რადიო 2-ის ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1959 წ. 2 აგვისტოს. მშობლები: ია უჯმაჯურიძე, შოთა ხვედელიძე. დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობა-საკომპოზიციო ფაკ-ტი (1983). იყო საქართველოს ტელერადიოკორპორაციის უმცროსი რედაქტორი, რედაქტორი, უფროსი რედაქტორი (1985 წლიდან), რადიოკომპანია „ევრიკის" ხელმძღვანელი (1994-97), თანამედროვე ხელოვნების აკადემიის ლექტორი (1995 წლიდან). გამოქვეყნებული აქვს სტატიები ჟურნალებსა და გა-

ზეთებში. არის ავტორი გადაცემებისა: „საუბარი კონცერტის შემდეგ", „საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში", „100 ოპერა", სიუჟეტებისა რადიოჟურნალ „ჩანგში", პროგრამაში „მაცნე" და საავტორო პროგრამაში „კონცერტი 6 საათზე", რადიო და სატელევიზიო გადაცემებისა ქართველ და უცხოელ მუსიკოსებზე. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი.
**ჰობი:** ხატვა, ქარგვა, ჯაზური მუსიკის აუდიო-კატალოგის შექმნა, ცურვა.
**მისამართი:** *(სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი 380071. ტელ: 33-54-55. (ბინის) დოლიძის 22, ბ. 43. თბილისი 380071. ტელ: 33-55-35.*

**მინდა ვიყო მართალი ყველა სიტუაციაში, უკომპრომისო, პატივს ვცემდე სხვის აზრს, მაგრამ ამასთან დავიცვა საკუთარი სიმართლე, სათანადოდ შევაფასო პროფესიონალიზმი, არ შევიქმნა კერპი და თავად ვიყო თავმდაბალი; კრედოდ გამოვიყენო შემდეგი მოსაზრება: მიზანი არ ამართლებს საშუალებებს, მიყვარდეს და დავიმსახურო სიყვარული; მუდამ სრულვყოფდე ცოდნას; ის, რაც შეიძლება გაკეთდეს დღეს, არ გადავდო ხვალისთვის, მახსოვდეს, რომ შემიძლია გავიღო, რათა დავეხმარო.**

**ელდარ ხვისტანი** წალკის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა სოფ. იფარში (მესტიის რ-ნი) 1938 წ. 9 აპრილს. მეუღლე — ნარგიზა გოშთელიანი; შვილები: ნაზი, ნათია, ალეკო, ნათელა, თამარი. დაამთავრა თსუ (1968). მუშაობდა მესტიის რ-ნის კომკავშირის რაიკომში, იყო იფარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, მესტიის რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორი, რაიკომის ინსტრუქტორი, მესტიის რ-ნის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, სახალხო დეპუტატთა მესტიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, თბილისის ჩუღურეთის რ-ნის გამგეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე (1992-93), გარდაბნის რ-ნის სოფ. კაპანახჩის სახ. მეურნეობის, სოფ. ლემშვენიერის მეცხოველეობის კომპლექსის დირექტორი (1993-95), სამხედრო აგროსამრეწველო კომპლექსის უფროსის მოადგილე (1995-96), მეცხოველეობის სანაშენე საქმის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი (1996-97), საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ქვემო ქართლის მხარეში (1997-2001).



**თინათინ ხიდაშელი** საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1973 წ. 8 ივნისს. მშობლები: ზიზილა ურგებაძე, ანზორ ხიდაშელი; მეუღლე — დავით უსუფაშვილი (1968), შვილი — სანდრო (2000). დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკ-ტი (1995), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (ბუდაპეშტი, 1996), ფედერალიზმის ინ-ტი (1996), ამერიკის უნივერსიტეტის ადამიანთა უფლებათა ფაკ-ტი (ვაშინგტონი, 1999). იყო საქართველოს პარლამენტის უფროსი სპეციალისტი (1994-95), საერთაშორისო სავალუტო ფონდის იურისტ-ექსპერტი (1996-97), ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ინ-ტის მასწავლებელი (1996-98), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული სწავლების ცენტრის დირექტორი (1998-2000). დაიცვა პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი თემაზე: „როგორ გადავარჩინოთ მრავალეროვნული სახელმწიფო დეზინტეგრაციისგან" (1996). არის ავტორი 20-მდე სამეცნიერო სტატიისა და წიგნებისა: „საერთაშორისო ორგანიზაციები", „რას ამბობენ სისხლის სამართლის კანონები მესამე სექტორის შესახებ".
**ჰობი:** თხილამურებით სრიალი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ავლევის 21. თბილისი 380005. ტელ: 93-61-01, 92-32-11. ფაქსი: 99-50-76. (ბინის) ფანასკერტელის 20. ბ. 81. თბილისი. ტელ/ფაქსი: 33-55-94.*

**უმთავრესი წარმატების მიღწევისთვის საჭიროა საკუთარი თავის რწმენა და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოყენებით. მთავარია უშურველად გასცემდე, იხარჯებოდე და სამაგიეროდ არაფერს ელოდე. უანგაროდ ნაკეთები სიკეთე არასოდეს დაიკარგება და არ ასცდება მიზანს.**

**ბეჟან ხიმშიაშვილი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი. დაიბადა სოფ. ნიგაზეულში 1950 წ. 6 ივნისს. მშობლები: ევა ცეცხლაძე-ხიმშიაშვილი, ხასან



ხიმშიაშვილი; მეუღლე — თამარ ბერაძე (1954); შვილი — ნინო (1984). დაამთავრა თსუ სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (1980). იყო სახალხო კონტროლის აჭარის კომიტეტის განყ-ბის გამგე (1980-82), საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი (1983-85), ბათუმის ტრანსპორტის პროკურორი (1985-86), ბათუმის სასამართლოს მოსამართლე (1987-93), საქართველოს მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო მრჩეველი (1993-95), საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის უფროსის მოადგილე (1996-99). საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრია 1999 წლიდან. იყო სკკპ წევრი (1974-89).
ჰობი: ნადირობა.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ. ზუბალაშვილების 32. თბილისი 380010. ტელ: 98-20-89. (ბინის) ქეთევან წამებულის 69/67, თბილისი.*

**სამართლიანობა, პრინციპულობა, სამართლიანობისათვის თავგანწირვა, მთხოვენელის მდგომარეობაში თავის წარმოდგენა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.**



**ელგუჯა ხინთიბიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დირექტორი, თსუ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი. დაიბადა ოზურგეთში 1937 წ. 7 ივნისს. მშობლები: ლიზა სვანიძე-ხინთიბიძისა, გიორგი ხინთიბიძე; მეუღლე — მზია მენაბდე (1939); შვილები: ზაზა (1963), ირაკლი (1967). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტი (1960). იყო თსუ მასწავლებელი (1963-65), დოცენტი (1965-74), ფილოლოგიის ფაკ-ტის დეკანი (1976-85), თსუ პრორექტორი (1986-93). არის პროფესორი (1974 წლიდან), თსუ ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობების ლაბორატორიის გამგე (1987 წლიდან), ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დირექტორი (1992 წლიდან), ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე (1999 წლიდან). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სისტემაში" (1971). არის 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, 12 მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის: „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობები" (ქართულ 1982, რუსულ 1989, ინგლისურ 1996 ენებზე), „მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში" (1975), „ვარლაამ და იოსაფის ქართულ და ბერძნულ ვერსიათა მიმართებისათვის" (ინგლისურად, პარიზი 1978), „შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში" (1993), „ქართველთა სახელწოდებები და მათი ეტიმოლოგია" (ქართულ და ინგლისურ ენებზე, 1998). არის ივ.ჯავახიშვილის პრემიის ლაურეატი, შუასაუკუნეების ფილოსოფიის მკვლევართა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, IBC-ის საპატიო წევრი, ABI-ის მრჩეველთა საბჭოს საპატიო წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: International Who's Who of Intellectuals (IBC, Cambridge, 1995-96), The International Directory of Distinguished Leadership (ABI, USA, 1994). IBC-მ მიანიჭა დამსახურების საერთაშორისო ორდენი (კემბრიჯი).
ჰობი: ფიზიკური ვარჯიში და მუშაობა.
მისამართი: *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 29-08-33. ფაქსი: 25-25-01. (ბინის) ატენის შეს. 18-ა. თბილისი 380079. ტელ: 23-18-00.*

**მე ყოველთვის ვცდილობდი ჩემი პროფესიული საქმიანობით ვყოფილიყავი დაკავებული; რასაც ვაკეთებდი, მეკეთებინა ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმის ზღვარზე. ჩემს ახლობლებში, მეგობრებსა და მოწაფეებში ყველაზე მეტად პატივს ვცემდი გულწრფელობას და შრომისმოყვარეობას.**

**გურამ ხმალაძე** „საქართველოს ტელეკომის" გენერალური დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1940 წ. 25 თებერვალს. მშობლები: სოფია ხმალაძე, ვლადიმერ ხმალაძე; მეუღლე — იულია ხმალაძე (1939); შვილები: ილია (1965), ეკატერინე (1970). დაამთავრა ოდესის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკური ინ-ტი მრავალარხია-



ნი ელექტროკავშირგაბმულობის განხრით (1965). იყო სატელეფონო ქსელის სამმართველოს ინჟინერი (1965-67), საამქროს უფროსი (1967-69), სატელეფონო კვანძის მთავარი ინჟინერი (1969-71), კვანძის უფროსი (1971-73), ქალაქის სატელეფონო ქსელის სამმართველოს უფროსი (1973-90), „საქსპეცმონტაჟავტომატიკის" უფროსის მოადგილე (1990-92), კომპანია „გუდვილკომის" გენერალური დირექტორი (1994-98). „საქართველოს ტელეკომის" გენერალური დირექტორია 1998 წლიდან. არის კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის წევრი.

**ჰობი:** სპორტი.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 31. თბილისი 380008. ტელ: 99-91-97. ფაქსი: 00-12-66. (ბინის) ნუცუბიძის 77-ბ, თბილისი. ტელ: 39-17-17.*

**საქმის ერთგულება, კარიერის ნებისმიერ საფეხურზე მისი მაღალპროფესიულ დონეზე წარმართვა. ადამიანებთან ურთიერთობების ხელოვნება, დროის, ადგილის, ინდივიდუალურობის გათვალისწინებით, თუმცა ყველგან და ყოველთვის პასუხისმგებლობის გრძნობა — ოჯახშიც, სამსახურშიც, მეგობრებთანაც. ცხოვრებისეული პრობლემების განსაკუთრებული დრამატულობის გარეშე აღქმა და, რაც მთავარია, მსუბუქი, უწყინარი იუმორი.**



**ვახტანგ ხმალაძე** პოლიტიკოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს კონსტიტუციის დაცვის ლიგის პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 21 იანვარს. მშობლები: თამარ თუმანიშვილი, იულონ ხმალაძე; მეუღლე — მანანა მაჩხანელი (1950); შვილები: ნინო (1981), ირაკლი (1983). დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკ-ტი (1969), ასპირანტურა (1972). იყო თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1973-92), საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის მ.შ. (1991-92), საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992), საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარე (1992-95), სახ. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (1993-95). არის ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატი (1975), 20-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ველის კვანტურ თეორიასა და ელემენტარული ნაწილაკების თეორიაში, ავტორი სტატიებისა და ნაშრომებისა პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებზე. ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას კონსტიტუციური სამართლის სფეროში. არის 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის პროექტის ერთ-ერთი ავტორი, საარჩევნო და რიგი კანონპროექტების ავტორი და თანაავტორი. იყო პოლიტიკური ორგანიზაცია „დასის" ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი (1989), რესპუბლიკური პარტიის წევრი (1992-99). არის პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" წევრი (1999).

**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო ფანტასტიკა, კლასიკური მუსიკა, მოგზაურობა, ნადირობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 99-93-79. (ბინის) გალაკტიონის 3/5. თბილისი 380007. ტელ: 99-05-27.*

**მიზანი: თავისუფლება — პიროვნული და ეროვნული. პრინციპები: სამართლიანობა, პასუხისმგებლობა საკუთარ სიტყვასა და საქმეზე.**



**მარინა ხოლოაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა ხაშურში 1956 წ. 23 აგვისტოს. მშობლები: ლილი ხოლოაშვილი, მენა ხოლოაშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1986). იყო უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი (1986-90), სასამართლო პრაქტიკისა და განზოგადოების განყ-ბის უფროსი კონსულტანტი (1990-97), უფროსის მოადგილე (1997-98), უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე (1998-99), თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.

**ჰობი:** მოგზაურობა.

**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. (ბინის) მელაანის V შეს., კორპ. 20, ბ. 53, თბილისი. ტელ: 77-68-18.*



**ალექსანდრე ხომერიკი** საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი და სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა ბათუმში 1948 წ. 13 აგვისტოს. მშობლები: ლილი ჩაველეიშვილი, ავთანდილ ხომერიკი; მეუღლე — მარინე დარჯანია (1956); შვილები: ლილი (1985), ქეთევანი (1986). დაამთავრა თბილისის სახ. კონსერვატორიის ვოკალური ფაკ-ტი (1980), ასპირანტურა (1982). იყო მილანის ლა-სკალას საოპერო თეატრის სტაჟიორი (1981-82). შესრულებული აქვს საოპერო პარტიები: აბესალომი („აბესალომ და ეთერი"), მალხაზი („დაისი"), ბერდო („ლელა"), ლენსკი („ევგენი ონეგინი"), ოტელო („ოტელო"), მანრიკო („ტრუბადური"), ჰერცოგი („რიგოლეტო"), რადამესი („აიდა"), ხოზე („კარმენი"), დონ კარლოსი („დონ კარლოსი") და სხვ. მონაწილეობს ბულგარეთში, რუმინეთში, თურქეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, რუსეთში გამართულ საოპერო სპექტაკლებსა და კონცერტებში, მსოფლიოს საოპერო თეატრების ფესტივალებში (1978 წლიდან). არის პ.ჩაიკოვსკის VII საერთაშორისო კონკურსის (1982), მ.აბაშიძის პრემიის (1997) ლაურეატი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1987).

ჰობი: ახალგაზრდა ოქროს ხმების კოლექცია, რომელიც თეატრში უხვად მოიპოვება.

მისამართი: *(სამსახურის) ოპერისა და ბალეტის თეატრი. ბათუმი. ტელ: 7-62-40. (ბინის) ზაქარიაძის 8. ბ. 73. თბილისი. ტელ: 39-11-83.*

**სიმართლე, რომელსაც ვატარებ ცხოვრებაში. ძალიან ძნელია დაეხმარო ყველა ნიჭიერს, უპატრონო, დაამშვიდო იმედგაცრუებულნი. გიყვარდეს შენს გვერდით მყოფი ადამიანები, ეძიო ახალი, აკეთო ყველაფერი, რასაც ხელს მოჰკიდებ, კაცურად. არ ეძიო ადვილი გზა, რომელიც თავიდან აგაცილებს სირთულეებს. ერთი სიტყვით, იცხოვრე კაცურად.**



**თამაზ ხომერიკი** საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი. დაიბადა თბილისში 1928 წ. 14 ივნისს. მშობლები: ნინო ხომერიკი, იაკინთე ლისაშვილი-ხომერიკი; მეუღლე — ლია მერაბიშვილი (1935); შვილები: ნანა (1960), ლევანი (1963). დაამთავრა თბილისის უცხო ენათა სახ. პედაგოგიური ინ-ტის ინგლისური ენის ფაკ-ტი (1953). 1957 წლიდან მუშაობს საქართველოს ტელევიზიაში. გაიარა გზა პასუხისმგებელი რედაქტორიდან მთავარ რედაქტორამდე და ინ-ტის რექტორამდე. არის 20-ზე მეტი სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმის ავტორი; ე.კოლდუელის, ჯ.გოლსუორთის, ჰ.ლოუსონის, ა.ლუბეის და სხვათა ნაწარმოებების მთარგმნელი. არის ღირსების ორდენის კავალერი (1997), ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმის (1992), კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის (1996) წევრი, სსრკ სპორტის ოსტატი.

ჰობი: სპორტი.

მისამართი: *(სამსახურის) კოსტავას 68. თბილისი 380071. ტელ: 36-86-33, 94-25-39. (ბინის) გოგებაშვილის 43, ბ.29. თბილისი 380079. ტელ: 22-67-35, 22-89-28.*

**ჩემი ცხოვრებისეული კრედო ყოველთვის იყო— ბრძოლა სამართლიანობის, სიმართლისა და სიკეთისათვის; სამშობლოს, ენის და რწმენის ერთგულება საქმით და არა დეკლარატიულად, რისთვისაც არაერთი უსიამოვნება შემხვედრია, მაგრამ გზიდან არასოდეს გადამიხვევია.**



**ლელა ხომერიკი** სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი. დაიბადა რუსთავში 1966 წ. 27 მარტს. მშობლები: იზა დიდებულიძე, გენო ხომერიკი; მეუღლე — პაატა ჯავახიშვილი (1966). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1989). იყო ისტორიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1990-95), ჩინეთის საელჩოს თანამშრომელი (1993-95), საერთაშორისო საზოგადოება „სამართლიანი არჩევნების" პრესმდივანი (1995-96), ქართველ გამომცემელთა ასოციაციის გამგეობის წევრი და აღმასრულებელი მდივანი (1996-98), თბილისის პირველი წიგნის ბაზრობის დირექტორი (1996), სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის (სკსც) გამგეობის წევრი და პროგრამების კოორდინატორი (1996-2000). კითხულობდა ჩინე-

თის ისტორიის კურსს აზიისა და აფრიკის ინ-ტში (1996-99). არის გამომცემლობა „ახალი თარგმანების" დამფუძნებელი, საქართველოს ISBN-ის სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (1998), აღმოსავლურ კულტურათა კვლევის ცენტრის გამგეობის წევრი. გამოქვეყნებული აქვს საარჩევნო თემატიკასა და ქალთა საკითხებთან დაკავშირებული სტატიები. მონაწილეობდა სკსც-ის პროექტებში: „მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ძირითადი გარანტიები", ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების კონტროლის პროცესის ეფექტურობისთვის", „ქალთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა საქართველოში"
**მისამართი:** *(სამსახურის) ბაქოს 20-ა. თბილისი 380012. ტელ: 95-36-73. (ბინის) ჯავახიშვილის 66. თბილისი 380002. ტელ: 95-79-22.*



**ნინი (ხათუნა) ხოფერია** საქართველოს პარლამენტის წევრი, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა თბილისში 1962 წ. 29 აგვისტოს. მშობლები: მედეა გრძელიშვილი, რევაზ ხოფერია; მეუღლე — ვლადიმერ ხოფერია (1963); შვილები: რევაზი (1984), ბაქარი (1990). დაამთავრა საქართველოს ზოოტექნიკური უნივერსიტეტის ზოოსაინჟინრო ფაკ-ტი. მუშაობდა სმკ-ის ცენტრალური აპარატის პრეს-სამსახურში (1994-95). პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის სმკ-ის წევრი (1993).
**ჰობი:** პოეზია.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-12-81. (ბინის) ატენის 25, თბილისი.*

**უნდა გიყვარდეს და გჯეროდეს, გწამდეს და ენდობოდე. არ უღალატო სხვას და პირველ რიგში საკუთარ თავს. უერთგულო საქმესა და სამშობლოს — ამით გადაარჩენ ყველას, ვინც გიყვარს.**



**რუსუდან ხოფერია** სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში, მსოფლიო რეკორდსმენი, საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. დაიბადა თბილისში 1972 წ. 9 სექტემბერს. მშობლები: იზო ხოფერია, გერმანე ხოფერია; მეუღლე — შალვა ბუხრაშვილი (1972); შვილი — თორნიკე (1991). დაამთავრა ფიზკულტურის ინ-ტი (1993). არის IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), ევროპის ახალგაზრდული პირველობის ჩემპიონი (1986), ევროპის ჩემპიონი (1987, 1989, 1997), ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი (1987, 1993, 1995), ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1987), მსოფლიო ჩემპიონი (1988), მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელი (1990), მსოფლიო თასის მფლობელი (1993, 2000), საქართველოს, სსრკ, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი. ღირსების ორდენის კავალერი (1997).
**ჰობი:** მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა.
**მისამართი:** *(სამსახურის) სანაპიროს 8. თბილისი 380009. ტელ: 99-09-41, 99-58-82. (ბინის) ქყონდიდელის 20. ბ. 24. თბილისი 380080.*

**1982 წლიდან ვვარჯიშობდი ბატუტზე ხტომებში თენგიზ ხუდოევის ხელმძღვანელობით. 1988 წლიდან ვვარჯიშობ ზაურ ხელაშვილთან. ვარ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი. ჩემი მიზანია ჩვენი სახელმწიფოს იმიჯის ზრდა მაღალი სპორტული მაჩვენებლებით.**



**ვალერიან ხრუსტალი** საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაიბადა გურჯაანში 1959 წ. 25 იანვარს. მშობლები: სირანა მესხიშვილი, თენგიზ ხრუსტალი; მეუღლე — ლალი კვეზერელი (1964); შვილები: თენგიზი (1994), მარიამი (2000). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985). იყო უზენაესი სასამართლოს სხდომის მდივანი, უფროსი ინსპექტორი (1981-85), საჩივრებისა და მოქალაქეთა მისაღები განყ-ბის კონსულტანტი (1985-86), უზენაესი სასამართლოს პლენუმისა და პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი (1986-87), თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი (1987-88), უზენაესი სასამართლოს წევრი

(1988-2000). უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეა 2000 წლიდან.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს უზენაესი სასამართლო. ძმ.ზუბალაშვილების 32. თბილისი 380010. ტელ: 93-43-54.*

**ჩემი მიზანია, რომ მომავალმა თაობამ იცხოვროს აყვავებულ საქართველოში, რისთვისაც საჭიროა ყველამ თავისი საქმე ნამუსიანად აკეთოს. ჩემთვის, როგორც მოსამართლისთვის, უმთავრესია სამართლიანობის პრინციპის დაცვა, რისთვისაც უკან არასოდეს დამიხევია. კაცმა ისე უნდა იცხოვრო, რომ მართალი იყო შენი ხალხისა და საკუთარი შვილების წინაშე. ჩემთვის კაცობის ეტალონია მამაჩემი, რომელიც ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო კაცმა ამქვეყნად.**



**ჯიბსონ ხუნდაძე** საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახალხო მხატვარი. დაიბადა თბილისში 1927 წ. 18 ოქტომბერს. მშობლები: ელისაბედ ვაშაკიძე, ხარიტონ ხუნდაძე; მეუღლე — ცისანა სამუნაშვილი (1939); შვილები: დალი (1951), ჯარჯი (1964). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1952). იყო ი.ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის (1957-60), თსუ ხელოვნების განყ-ბის (1962-64), სპი არქიტექტურის ფაკ-ტის ხატვა-ფერწერის (1964-66) პედაგოგი. გამართა გამოფენები საქართველოში, რუსეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, იაპონიაში, უკრაინაში, ისლანდიასა და შვეიცარიაში. არის ავტორი წერილებისა თანამედროვე ხელოვნების საკითხებზე. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, კულტურის სამინისტროს ფონდში, საფრანგეთის, აშშ, იტალიის, ავსტრიის კერძო კოლექციებში. არის VI მსოფლიო ფესტივალის (მოსკოვი, 1956), იაპონიის საერთაშორისო გამოფენის (1987), „თბილისური გაზაფხულის" (1997) ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1965), ღირსების ორდენის კავალერი (1997), მხატვართა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია IBC-ის ბიოგრაფიულ ცნობარში (25-ე გამოცემა).
ჰობი: მოგზაურობა საქართველოს მთა-ბარში (ფეხით).
მისამართი: *(ბინის) ნუცუბიძის 159. თბილისი. ტელ: 32-46-41.*

**უკომპრომისო ბრძოლა თავისუფალი აზრის გადარჩენისთვის. ქართულ ხელოვნებაში ჩვენი ფოლკლორისა და სიმღერების შესატყვისი ეკვივალენტური თანამედროვე ფორმით ფერისა და პლასტიკის ენაზე ამეტყველება და დავით კაკაბაძის შეგონება ქართული რენესანსის მე-12 საუკუნიდან ჩატეხილი ხიდის აღდგენა ევროპულ ხელოვნებასთან კავშირში.**



**ბექან ხურციძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 15 ივლისს. მშობლები: კლავდია ტყეშელაშვილი, ვლადიმერ ხურციძე; მეუღლე — დალი დაუშვილი (1950); შვილები: კახა (1974), ლაშა (1975). დაამთავრა თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1989). იყო თბილისის წისქვილკომბინატის ელევატორის უფროსის მოადგილე, ლილოს ხილ-ბოსტნეულის კომბინატის დირექტორის მოადგილე, თბილისის ჩაის სანონი ფაბრიკის დორექტორის მოადგილე კომერციის დარგში, გენერალური დირექტორი (1986-92), ვაკის საკრებულოს წევრი (1991-92), პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე და კოლეგიის წევრი (1992-95). საქართველოს პარლამენტის წევრია 1999 წლიდან. არის საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი (1990), ნიჩბოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (1995).
ჰობი: ნადირობა, ცხოველები.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-43-17. (ბინის) შატბერაშვილის 45, თბილისი 380079.*

**უახლოეს მომავალში დაიძლიოს დღევანდელი სიდუხჭირე ქვეყანაში..**

**თეიმურაზ ხურციძე** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა საჩხერეში 1945 წ. 9 მაისს. მშობლები: ლოლა მჭედლიშვილი, ალექსანდრე ხურციძე; მეუღლე



— მანანა ჩხეიძე (1947); შვილები: ეკა (1970), ერეკლე (1975-99). დაამთავრა სპი კვების ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1970), თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1985). იყო საქართველოს ცეკვის აკადემიური ანსამბლის სოლისტი (1962-68), კვების მრეწველობის სამინისტროს ინჟინერი, ეკონომისტი, განყ-ბის უფროსი (1970-84), „საქსურსათსაბითუმო" ვაჭრობის უფროსი, ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრის პირველი მოადგილე (1972-95), საქართველოს პარლამენტის წევრი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის დროებითი კომისიის თავმჯდომარე (1995-99). არის ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1988).
**ჰობი:** სპორტი, მუსიკა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018.*

**შრომა და საქართველოს სიყვარული.**



**ნინო ხურციძე** მოჭადრაკე. დაიბადა თბილისში 1975 წ. 28 სექტემბერს. მშობლები: მზია ფხაკაძე, ომარ ხურციძე. დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი, სწავლობს თსუ იურიდიულ ფაკ-ტზე. არის უმცროსი ასაკის გოგონათა შორის თბილისისა (II 1986, I 1987) და საქართველოს (I 1987), ქალთა შორის საქართველოს (I 1989, 1993), მოსწავლეთა შორის საქართველოს (I 1988-90), 20 წლის ასაკის გოგონათა შორის საქართველოს (I 1990), 16-18 წლების ასაკის გოგონათა შორის სსრკ (I 1990), პროფკავშირების სსრკ (III 1990-91), 16 წლის ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო (I 1991), 18 წლის გოგონათა შორის მსოფლიო (II 1992), იუნიორთა შორის მსოფლიო (I 1993, II 1994) ჩემპიონატების, მსოფლიო ზონალური ტურნირის (I ადგილი 1993, 1999), მსოფლიო უნივერსიადის (III 1994, II 1996, I 1998), მსოფლიო ოლიმპიადის (III 1998, I 2000) პრიზიორი; საერთაშორისო დიდოსტატი (1993), სპორტის ოსტატი, საერთაშორისო დიდოსტატი ქალთა და ვაჟთა შორის (1999); ღირსების ორდენის კავალერი (2000).
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურის კითხვა, სეირნობა ცხენით.
**მისამართი:** *(ბინის) თაბუკაშვილის 41. თბილისი 380008. ტელ: 93-91-66, 98-25-35.*



**ნანა ხუსკივაძე** მსახიობი. დაიბადა თბილისში 1965 წ. 25 დეკემბერს. მშობლები: ბელა მირიანაშვილი, იუზა ხუსკივაძე; შვილი — ერეკლე გოცაძე (1984). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1986). რუსთაველის თეატრის მსახიობია 1986 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „ანა ფრანკის დღიური" (ანა ფრანკი), „სამანიშვილის დედინაცვალი" (დარიკო, ვერიჩკა), „ამაღამ მგონი იქნება ქარი" (ისკრა), „ლეონსი და ლენა" (ლენა), „ჰამლეტი" (ოფელია), „ბერნარდა ალბას სახლი" (მარტირიო), „სეჩუანელი კეთილი ადამიანი" (ცოლი), „ეს თავისუფალი პეპლები" (ქეთი), „სამგვარი სიყვარული" (თინათინი), „ქალები ნისლში" (ალტი), „ქალი-გველი" (სმერალდინა), „მარიამ სტიუარტი" (დედოფალი ელისაბედი), „კაცია-ადამიანი?!" (პამპლა), „მეთორმეტე ღამე, ანუ როგორც გენებოთ" (მარია), „ნახვის დღე" (კატა), „FM 90-იანი... „ადამიანის ხმა" (ნუცა); კინოფილმებში: „მხოლოდ ერთხელ" (ქეთი), „კალმასობა იოანესი" (მაია).
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. (ბინის) მარჯანიშვილის 2. თბილისი 380002. ტელ: 96-96-55, 95-33-65.*

**ჩემს უბის წიგნაკში არის ასეთი გრაფა — „Don't forget" (გახსოვდეს, არ დაივიწყო), სადაც დიდი ხნის წინათ ჩავწერე და დღესაც ძალიან ვცდილობ არ დავივიწყო: „ღმერთო, მომეცი მოთმინება ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, ძალა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან". (კურტ ვონეგუტი).**

**გიორგი ხუციშვილი** კონფლიქტოლოგი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი. დაიბადა თბილისში 1948 წ. 15 ნოემბერს. მშობლები: სოფიო თარალაშვილი-ხუციშვილი, შოთა ხუციშვილი; მეუღლე — ნინო ციხისთავი (1966); შვილი — ვიქტორია-სოფიო (1996). დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკ-ტი (1971). იყო ფილოსოფიის ინ-



ტის მეცნიერ-თანამშრომელი (1972-79), მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეთოდოლოგიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (1980-88), თბილისის უცხო ენათა ინ-ტის დოცენტი (1982-92), ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის სახ. კომიტეტის კონფლიქტების ანალიზის ცენტრის ხელმძღვანელი (1992-93), სტენფორდის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორი (აშშ, 1993-94), საქართველოს განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყ-ბის გამგე (1998-99). კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორია 1994 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „უსასრულობის პრობლემა ფილოსოფიასა და მათემატიკაში" (1977), სადოქტორო — „თეორიული აზროვნების სტრუქტურის გენეზისი" (უკრაინა, 1991). არის 5 მონოგრაფიისა და 72 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, გამოქვეყნებული აქვს ერთი მოთხრობა და მრავალი პუბლიცისტური წერილი. მიღებული აქვს მაკარტერის, სოროსის, IREX-ის, კარნეგის ფონდების და ნატოს გრანტები და სტიპენდიები (1993-98). იყო საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1995-97), საერთაშორისო პოლიტოლოგიური ასოციაციის წევრი (1996-98). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარებში: "International Directory of Distinguished Leadership" (7th edition, ABI, USA, 1997), "International Who's Who of Intellectuals (12th and 13th ed. Cambridge, IBC,1998).
*მისამართი: (სამსახურის) ი.მაჩაბლის 5. თბილისი 380007. ტელ: 99-99-87. ფაქსი: 93.91.78. ელ-ფოსტა: iccn@access.sanet.ge*



**თამაზ ხუციშვილი** საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა თბილისში 1943 წ. 19 აპრილს. მშობლები: თამარ ტოგონიძე, გრიგოლ ხუციშვილი; მეუღლე — ელეონორა (ელი) ხუციშვილი (1947); შვილი — გია (1966). დაამთავრა თსსა სახვითი ხელოვნების ფაკ-ტის თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების სახელოსნო (1966). იყო პეკინის სამხატვრო ინ-ტის პედაგოგი (1998), თსსა და თსუ პროფესორი. არის ავტორი ნამუშევრებისა: „თბილისი 1905" (მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეა, 1970), „ძველი თბილისი" (მოსკოვის აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, 1969), „ვ. ანჯაფარიძის პორტრეტი", „სიყრმის მეგობრები" (1993), „სასადილოში" (1975), „ილუზიონისტი ქალი მინის ბურთით" (1999), „შიშველი მოდელი" (2000) და სხვ. გაფორმებული აქვს რუსთაველის, მინიატურების თეატრების, თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლები. არის საქტელერადიომაუწყებლობის I არხის საავტორო გადაცემის „უჩარჩოოდ" წამყვანი (1994 წლიდან). გამართა პერსონალური გამოფენები საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში (1983), მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრ "მზიურში" (1988), ჩინეთში (1998) და სხვ. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმში, სამხატვრო ფონდში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, აღმოსავლეთის ხალხთა და ხელოვნების მუზეუმში, საქართველოსა და უცხოეთის კერძო კოლექციებში. არის საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1985), საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1992), საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1968). მისი ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს მხატვართა ენციკლოპედიაში (ლაიპციგი), ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
ჰობი: ცურვა.
**მისამართი:** *(ბინის) შარაშიძის 6, თბილისი. ტელ: 22-77-79. (სახელოსნო) 32-40-67.*
მიყვარს ქართული სუფრა.



**ილია ხუციშვილი** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 1 მაისს. მშობლები: მარიამ ბახტაძე, ივანე ხუციშვილი; მეუღლე — ლიანა ლომთათიძე (1953); შვილები: მაკა (1978), ნათია (1979). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1972). იყო სამეურნეო (1972-74, 1990-95) და პარტიული (1974-90) მუშაკი, საქართველოს სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე (1990-93), ბიზნესმენი (1993-95). საქართველოს პარლამენტის წევრია 1995 წლიდან. არის რამდენიმე სა-

მეცნიერო ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1979). არის მოძრაობის „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" აღმასრულებელი მდივანი (2001 წლიდან). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "საქართველოს პოლიტიკური პარტიები" (თბილისი, 1999).
**ჰობი:** სპორტი, მეგობრებთან ურთიერთობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) ბარნოვის 148, თბილისი 380079. ტელ: 23-02-68.*

**დღევანდელი ცხოვრების წესის შეცვლა, საქართველოს ფეხზე დაყენება.**



**კახი ხუციშვილი** მხატვარი. დაიბადა სოფ. ართანაში (თელავის რ-ნი) 1928 წ. 14 ივლისს. მშობლები: სიდონია ხუციშვილი, იოსებ ხუციშვილი; მეუღლე — ლიანა ხუციშვილი (1933); შვილები: ნინო (1962), გიორგი (1965). დაამთავრა თსსა ფერწერისა და დეკორატიული ხელოვნების ფაკ-ტი (1954). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელი მხატვარი (1954 წლიდან), თანამშრომლობდა გამომცემლობებთან „ნაკადული", „მერანი", „საბჭოთა საქართველო", „ცოდნა" არის დამდგმელი მხატვარი ფილმებისა: „მაგდანას ლურჯა" (1954), „ჩვენი ეზო" (1957), „სხვისი შვილები" (1958), „მაია წყნეთელი" (1959), „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" (1962), „დიდოსტატის მარჯვენა" (1970), „რეკორდი" (1972), „დათა თუთაშხია" (1977), „კაცია ადამიანი?!" (1979), „წიგნი ფიცისა" (1984), „თეთრი ბაირაღები" (1989). არის სსრკ სახელმწიფო (1981), რუსთაველის (1985) პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო მხატვარი (1984), საქართველოს კინემატოგრაფისტთა (1960) და მხატვართა (1981) კავშირების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
**ჰობი:** კარგი ქართული პურმარილი და ქართული სიმღერები.
**მისამართი:** *(სამსახურის) ახმეტელის 8. თბილისი 380059. ტელ: 52-06-27. (ბინის) ნუცუბიძის 74. თბილისი. ტელ: 32-86-99.*

**საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, ქართველი ერის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღე, ოჯახის სითბო, მოყვასის სიყვარული და, რაც ყველაზე მთავარია, შენი დამოუკიდებელი სახის პოვნა, შენს შემოქმედებაში უკომპრომისო და პატიოსანი ღვაწლი.**

**ლევან ხუციშვილი** ასპინძის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ბორჯომში 1958 წ. 9 აპრილს. მშობლები: ჟენია კაპანაძე, მარლენ ხუციშვილი; მეუღლე — ლია მანჩხაშვილი (1958); შვილები: თამარი (1994), ნატო (1996). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1980). იყო ახალციხის საგზაო სამმართველოს საგეგმო-ტექნიკური განყ-ბის ინჟინერი (1980), ექსპლუატაციის უფროსი (1982), ასპინძის საგზაო სამმართველოს უფროსი (1989-90), რაიონული საბჭოს დეპუტატი (1990), ასპინძის საკრებულოს დეპუტატი, ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე (1998-2000).
**მისამართი:** *(სამსახურის) ერისთავის 10, ასპინძა.*



**ვახტანგ ჯავახაძე** მწერალი, გამომცემლობა „ახალი საქართველოს" დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1932 წ. 29 ივლისს. მშობლები: შუშანა მარგალიტაძე, რომანოზ ჯავახაძე; მეუღლე — ნანა ღრუბელაშვილი (1941); შვილები: ირაკლი (1968), ირინე (1977). დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკ-ტის ჟურნალისტიკის განყ-ბა (1956). მუშაობდა გამომცემლობაში „საბჭოთა საქართველოში" (1956 წლიდან), იყო გამომცემლობის მთავარი რედაქტორი (1980-2000). გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორია 2000 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს ლექსების კრებულები: „საყვარელი ქარები", „ნანვიმარი ქუჩები", „სამხრეთი", „მეშვიდე", „მარტი, აპრილი, მაისი", „შედარება", „და ასე შემდეგ", „მომიკითხე ზღვა", „ვახტანგური", ბიოგრაფიული რომანი „უცნობი" (აპოლოგია გ.ტაბიძისა). არის გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში „საქართველო".

ჰობი: მხატვართა ალბომების შეგროვება.

მისამართი: *(სამსახურის) მარჯანიშვილის 5. თბილისი 380002. ტელ: 95-29-27. (ბინის) ყაზბეგის 29, ბ.17. თბილისი. ტელ: 39-09-29.*

**ღვთისმორწმუნეობა, მოყვასის სიყვარული, სამართლიანობისათვის თავის გამოდება, გულწრფელობა, შემწყნარებლობა, გაჭირვებულისადმი თანაგრძნობა და დახმარება... მოკლედ: „ათი მცნება" — ათივე!**



**ვახტანგ ჯავახაძე** სპორტსმენი, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში (მძიმე წონა). დაიბადა თბილისში 1975 წ. 17 ივლისს. მშობლები: ციცო დათუნაშვილი-ჯავახაძე, რამაზ ჯავახაძე. დაამთავრა თსუ კომერციისა და მარკეტინგის ფაკ-ტი (1997), არის თსუ ასპირანტი (1999 წლიდან), პრეზიდენტის სტიპენდიანტი (1999-2000); ევროპის 5-გზის ჩემპიონი (1996-2000), საერთაშორისო ტურნირი „ოქროს დათვის" 3-გზის გამარჯვებული პროფესიონალთა შორის (1997-99), საქართველოსა (1998) და მსოფლიო 4-გზის (1998-2000) ჩემპიონი, საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი სპორტის არაოლიმპიურ სახეობებში (1998). დაჯილდოებულია სხვადასხვა ჩემპიონატების 40-მდე მედლით.

ჰობი: ზღვა, მუსიკა, ლიტერატურა.

მისამართი: *(ბინის) ქვიშხეთის ქ.6, ბ.25, თბილისი. ტელ: 61-45-52.*

**ღვთისმორწმუნეობა, სამშობლოს, ოჯახის და მეგობრების სიყვარული, ერთგულება, სამართლიანობა, პრინციპულობა.**



**ნინო ჯავახიშვილი** ექიმი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. დაიბადა მოსკოვში 1914 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: ზინაიდა მოსურსკაია, ალექსანდრე ჯავახიშვილი; მეუღლე — მამია კომახიძე (1906). დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკ-ტი (1935). იყო თსსი ადამიანის ანატომიის კათედრის ასისტენტი (1935-48), დოცენტი (1948-49), ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1946-49), განყ-ბის გამგე (1945-58), დირექტორის მოადგილე (1958-59). ინ-ტის დირექტორია 1959 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „ჯვარედინი ხვეულის ანგიოარქიტექტონიკის ცვლილება საძილე არტერიის გადაგვარების შემდეგ" (1941), სადოქტორო — „ზურგის ტვინის ნერვული წნულების სიმპათიკური წვეულის ფორმა და მათი ურთიერთობა" (1948). არის 315 სამეცნიერო ნაშრომის, 7 მონოგრაფიის ავტორი. იყო საქართველოს ქალთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე (1946-96), არის საპატიო თავმჯდომარე; ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის სამეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი.

ჰობი: ფოტოგრაფია, კინემატოგრაფი.
მისამართი: *(სამსახურის) მ.ჭიაურელის 2. თბილისი 380059. ტელ: 52-09-06. (ბინის) ფასანაურის 19. ბ. 8. თბილისი 380009. ტელ: 22-06-75.*



**ელიზბარ ჯაველიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1938 წ. 15 დეკემბერს. მშობლები: ელენე წერეთელი, დიმიტრი ჯაველიძე; მეუღლე — ნინო ჯაველიძე (1954); შვილები: დიმიტრი (1973), ლაშა (1976). დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკ-ტი (1961). იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-ტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ პროფესორი (1988 წლიდან), ჟურნალ „კრიტიკისა" (1985) და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" (1986-90) მთავარი რედაქტორი, საქართველოს განათლების მინისტრი (1990), გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს" (1992-93), „კოლხური კოშკის" (1994), „სამრეკლოს" (1994-95) გამომცემელი და მთავარი რედაქტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი (1999), გაზეთ „ახალი ერას" მთავარი რედაქტორი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ჯელალ ედ-დინ რუმის მსოფლმხედველობის საკითხები" (1975). არის ავტორი მონოგრაფიებისა და წიგნების: „რუჰი ბაღდადი" (1966), „ფუზული" (1972), „თურქული პოეტიკა" (1988) და სხვ. მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1988), არის აზერბაიჯანის კულტურის დამსახურებული მოღვაწე (1989). მისი ბიოგრაფია შეტანილია ენციკლოპედიაში "საქართველო".
ჰობი: ფეხბურთი.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. (ბინის) კ.მესხის 15. თბილისი 380007. ტელ: 93-24-04.*

**მამულის მსახურება, ეროვნული ტრადიციების ერთგულება, არდავიწყება იმისა, რომ ქართველი ხარ და ქართველად უნდა მოკვდე. მოღვაწეობის პრინციპებია: ზნეობრიობა, კაცთმოყვარეობა, მიმტევებლობა, ადამიანური ღირსების არდავიწყება.**



**გურამ ჯაიანი** შპს „თბილღუდის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1937 წ. 31 მაისს. მშობლები: ელენე გამცემლიძე, ვლადიმერ ჯაიანი; მეუღლე — მარიამ ბოკუჩავა (1945); შვილები: ელენე (1968), გური (1979). დაამთავრა სპი ქიმიური და კვების ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1961), თსუ ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1970). იყო ხილეული წყლების ქარხნის საამქროს უფროსი (1961-65), ლუდის N3 ქარხნის საამქროს უფროსი (1965-70), „საქმინხილწყლის" მთავარი ტექნოლოგი (1970-78), კვების მრეწველობის სამინისტროს სამმართველოს მთავარი ინჟინერი (1978-86). „თბილღუდის" გენერალური დირექტორი 1986 წლიდან. არის საქართველოს ჩემპიონი (1958), სსრკ სპორტის ოსტატი ფარიკაობაში. იყო სკკპ წევრი (1968-90). არის საქართველოს მრეწველთა კავშირის (1993), ფარიკაობის ფედერაციის წევრი.
ჰობი: მეგობრებთან ურთიერთობა, წიგნების კითხვა, კლასიკური მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) აგლაძის 1. თბილისი 380054. ტელ: 94-15-99. ფაქსი: 95-78-22. (ბინის) გაბაშვილის 7. თბილისი 380008. ტელ: 99-05-07.*

**სამართლიანობა, პატიოსნება, მადლიერების გრძნობა.**



**დიმიტრი ჯაიანი** სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის წევრი, კულტურის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა სენაკში 1950 წ. 20 აგვისტოს. მშობლები: ნორა დგებუაძე, სერგო ჯაიანი; მეუღლე — გულნარა ბენდიანიშვილი (1950); შვილი — ჯაბა (1971). დაამთავრა თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1973). იყო სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობი (1973-92). თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია 1992 წლიდან, საქართველოს პარლამენტის წევრი— 1999 წლიდან. მონაწილეობდა სპექტაკლებში: „დიდოსტატის მარჯვენა" (მეფე გიორგი), „ბრძოლა ტახტისათვის" (მეფე ჰოკონ ჰოკონსენი), „1832" (ელიზბარ ერისთავი), „თოლია" (ტრეპლევი), „დარისპანის გასაჭირი" (დარისპანი), „ყვარყვარე თუთაბერი" (ტიტე

ნატუტარი), „ღალატი" (ოთარბეგი), „კორიოლანოსი" (კორიოლანოსი), „ფსკერზე" (ბარონი) და სხვ. ფილმებში: „პირველი მერცხალი" (ნური ხომერიკი, 1975), „ოგარიოვის 6" (ქაჯაევი, 1980), „ბატონ მავრუსის სკოლა" (თავადი ბარათაშვილი), „ვინ არის მეოთხე?" (ლევანი, 1985), „სტალინის დაკრძალვა" (მაორი ჯუმბერი, 1989). არის საქართველოს სახელმწიფო (1995), გ.შერვაშიძის სახელობის (ოთარბეგის როლის შესრულებისთვის, 2001) პრემიების ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი (1989), ღირსების (1998), „პრესტიჟის" (უკრაინა, 2000) ორდენების კავალერი. არის თეატრის მოღვაწეთა კავშირის (1973), ი.ჭავჭავაძის საზოგადოების (1981), აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის (1999) წევრი.
ჰობი: მხატვრობა.
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. ტელ: 93-44-98/ საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-44-98, 99-95-90. (ბინის) ნაკაშიძის 17. თბილისი. ტელ: 99-62-09.*

**ჯერ ქვეყნის ბედი და მისი მომავალი, შემდეგ ყველაფერი ის, რაც მე გამაჩნია.**



**თეიმურაზ ჯანაშია** საქართველოს პარლამენტის წევრი. დაიბადა ზუგდიდში 1953 წ. 4 იანვარს. მშობლები: ქეთევან ოსიძე, ხარიტონ ჯანაშია; მეუღლე - მარიკა ემუხვარი (1967); შვილი — თეიმურაზი (2000). დაამთავრა სპი სამშენებლო (1974) და თსუ მექანიკა-მათემატიკის (1981) ფაკ-ტები. იყო "საქქალაქმშენსახპროექტის" ინჟინერი (1974-76), "თბილზნიეპის" უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1976-85), საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი (1985-88), გაერთიანება "თბილქალაქმშენის" მთავარი ინჟინერი (1988-94), სააქციო საზოგადოება "თბილქალაქმშენის" გენერალური დირექტორი (1994-99). დაჯილდოებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს (1988), სსრკ სახელმწიფო (1991) პრემიებით, საქართველოს ღირსების მედლით (1998). იყო სკკპ (1983-90), არის საქართველოს სოციალისტური პარტიის (1998) წევრი.
ჰობი: ბილიარდი, ფეხბურთი, ნარდი.
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-24-10. (ბინის) დელისი-3, V კორპ., ბ. 10, თბილისი. ტელ: 29-26-80.*

**პროფესიონალიზმის მიღწევა, ნესიერება ნებისმიერ საქმეში. მიზანი — საქართველოს ეკონომიკური აღმაელობა.**



**ნანა ჯანაშია** გარემოსდაცვითი საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანია ACTA Consultants Georgia-ს მენეჯერი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მენეჯერი. დაიბადა თბილისში 1972 წ. 25 ივნისს. მშობლები: ლიანა ახობაძე, რევაზ ჯანაშია. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის ეკოლოგიის კათედრა (1994), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პოლიტიკისა და მეცნიერების დეპარტამენტი (1997). არის თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტის ეკოლოგიის კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი (1993), Caucasus Trevel Ltd-ის კონსულტანტი გარემოსდაცვით საკითხებში (1997), „ველური ბუნების შენარჩუნების ქართული ცენტრის" მდგრადი განვითარების პროგრამის კოორდინატორი (1994-2000). Acta Consultants Georgia-ს მენეჯერია 1998 წლიდან, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მენეჯერი — 1998 წლიდან. დაიცვა მანჩესტერის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი თემაზე: „ეკოტურიზმი და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში" (ბუდაპეშტი, 1997). არის ავტორი სტატიებისა: „ეკოტურიზმი საქართველოში: მნიშვნელობა და პერსპექტივები" (1998), „ახალი ამბები საქართველოდან" (ლონდონი, 1998), „მდგრადი ტურიზმის განვითარება საქართველოში" (1998), „საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემა" (1998). არის საქართველოს ორნითოლოგიური საზოგადოების წევრი (1992).
ჰობი: მოგზაურობა.
მისამართი: *(სამსახურის) ჭოველიძის 28. თბილისი 380008. ტელ: 99-63-28. ელფოსტა: cenn@access.sanet.ge (ბინის) ბახტრიონის 1. თბილისი. ტელ: 38-26-65.*

არასოდეს დაეკარგო ადამიანური ღირსება, ყოველთვის მახსოვდეს ცხოვრების წარმავლობა და ყოველი წუთი დატვირთული მქონდეს საინტერესო საქმიანობით, რომელსაც ექნება სასურველი შედეგები. მქონდეს ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების ნიჭი, რაც მომცემს სიკეთის როგორც გაცემის, ისე მიღების საშუალებას.



**კონსტანტინე ჯანდიერი** მწერალი, კინოსცენარისტი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 23 მაისს. მშობლები: რუსუდან გვარამია, ირაკლი ჯანდიერი; მეუღლე — ლეილა ჭიჭინაძე (1955); შვილი — სოფიო (1987). დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ-ტი (1980). იყო საშუალო სკოლის მასწავლებელი (1978-80), ბოტანიკის ინ-ტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1979-90), ვალეს ნახევრადძვირფასი ქვების პირველადი დამუშავების ფაბრიკის ქვის სათლელი საამქროს მუშა-ოპერატორი (1980), კინოსტუდია „შემოქმედის" რედაქტორი (1989-94). არის თსუ ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის პედაგოგი (1995 წლიდან), დოცენტი (2000 წლიდან), ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის განათლების პროგრამის კოორდინატორი (1999 წლიდან). არის ავტორი სამი სამეცნიერო სტატიის, კრებულისა „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან", მოთხრობებისა, 12 მოკლე და სრულმეტრაჟიანი ფილმის სცენარისა. არის წიგნის „ქართული ნაციონალური ბალეტი" თანაავტორი და მთავარი რედაქტორი. მისი მოთხრობა „განსხვავებული კალიბრის ვაზნა" შეტანილია გერმანიაში გამოქვეყნებული ქართული პროზის ანთოლოგიაში. მიღებული აქვს მწერალთა კავშირის პრემია საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისათვის (1992), მოთხრობებისათვის „საოჯახო ქრონიკა" („ათი საუკეთესო მოთხრობა" 1994). არის მწერალთა კლუბის „XX საუკუნე" და საქართველოს ლუდის მოყვარულთა საზოგადოების წევრი.

**ჰობი:** მთაში და უცნობი ქალაქების ქუჩებში ხეტიალი, ახალი ნაცნობობანი.

**მისამართი:** *(სამსახურის) ალექსიძის 11. თბილისი 380093. ტელ: 33-01-54. (ბინის) ვაჟა-ფშაველას 26, ბ.86. თბილისი 380077. ტელ: 39-64-05.*

აუჩქარებლობა და ჰედონიზმი. ძველი აღთქმის პირველსავე გვერდზე აღწერილია აუჩქარებელი მოქმედების შესანიშნავი მაგალითი, როდესაც ყოვლისშემძლე შემოქმედი არა მყისიერად, არამედ თანდათან, მხოლოდ მისთვის ცნობილი დრამატურგიის თანახმად ქმნის სამყაროს. აქ იმალება ნებისმიერი შემოქმედების უნივერსალური პრინციპი. იქვე ვხვდებით საოცარ ცნობას, რომ მეშვიდე დღეს ღმერთმა „დაისვენა ყოველი საქმისაგან"... ეს ღვთაებრივი ჰედონიზმი გვათავისუფლებს წარსულისა და მომავლის ტირანიისაგან, გვიცავს ტემპორალობასთან დაკავშირებული უბედურებებისაგან და გვიმახვილებს ყოველი წამით უსასრულო ტკბობის უნარს.



**ნიკოლოზ ჯანდიერი** რეჟისორი, ნ.დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. დაიბადა თბილისში 1940 წ. 10 ნოემბერს. მშობლები: ელენე შუბაკოვა, ალექსანდრე ჯანდიერი. დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1963). იყო თბილისის გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრის რეჟისორის ასისტენტი (1963-65), სმოლენსკის დრამატული თეატრის რეჟისორი (1966-68), მოსკოვის შჩუკინის თეატრალური სასწავლებლის ასპირანტი და მსახიობის ოსტატობის პედაგოგი (1969-72), თბილისის რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეჟისორი (1973-82), სამხატვრო ხელმძღვანელი (1982-98). არის 25 სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1982), თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრი (1972), საქართველოს ასიტეჟის ცენტრის პრეზიდენტი (1997).

**ჰობი:** ყველაფერი, რაც თეატრთან არის დაკავშირებული.

**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 99/1. თბილისი 380064. ტელ: 95-36-81, ფაქსი: 96-32-89. (ბინის) ჭავჭავაძის 70. ბ.13. თბილისი 380062. ტელ: 23-55-27.*

ჩემთვის სამაგალითო ორი პიროვნებაა: ბაბუაჩემი — გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის მკურნალი ექიმი, კოტე მარჯანიშვილის მეგობარი — კეთილსინდისიერებისა და ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარულის განსახიერება და ჩემი და (ტყუპები ვართ) — ცნობილი ქართველი ბალერინა, საქართველოს სახალხო არტისტი, მოსკოვის პირველი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ირინე

ჯანდიერი — მაგალითი უმაღლესი პროფესიონალიზმისა და თავმდაბლობისა. მიმაჩნია, რომ ამ თვისებებს თუ დაემატება ძალიან საინტერესო პერსპექტივების დასახვის უნარი და საღი შეფასება საკუთარი და სხვების გამოცდილებისა, ბევრს შეიძლება მიაღწიო.



**დავით ჯანელიძე** კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1958 წ. 4 აპრილს. მშობლები: ინესა კიკნაძე, თენგიზ ჯანელიძე; მეუღლე — მარინე ვასაძე (1963); შვილები: ირინე (1982), ბარბარე (1987). დაამთავრა თსთი კინოსარეჟისორო ფაკ-ტი (1980). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1984 წლიდან), თსუ დოცენტი (1995 წლიდან), თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი. არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „ვერსათრიელა" (1982), „დედუნა" (1985; ალმა-ატი კ/ფ მთავარი პრიზი, 1986, მანჰაიმის კ/ფ გრან-პრი (გერმანია, 1987, მონპელიეს კ/ფ გრან-პრი, 1992), „გზა ფარაონის ტბისაკენ", „მდგმურები" (1990; როტერდამის კ/ფ პრიზი, 1992), „რამდენიმე სურათი სამონასტრო ცხოვრებიდან", „ციხესიმაგრე" (1994), „ანბანი", „ათას ერთი ღამე თბილისში" (1997). არის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1986). მისი ბიოგრაფია შეტანილია კინოენციკლოპედიაში.

მისამართი: *(სამსახურის) ახმეტელის 10ა. თბილისი 380059. ტელ: 95-03-02. ფაქსი: 98-00-25. (ბინის) ათონელის 17. თბილისი 380005. ტელ: 98-42-07.*

არასოდეს გაეაკეთო ისეთი რამ, რაშიც მე თვითონ ეჭვი მეპარება.



**თამაზ ჯანელიძე** საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1926 წ. 7 ნოემბერს. მშობლები: თინათინ ქუთათელაძე, ბესარიონ ჯანელიძე; მეუღლე — ლამარა ურიდია (1928); შვილები: მარინე (1952), ნანა (1955). დაამთავრა სპი სამთო-გეოლოგიური ფაკ-ტი (1949). იყო სპი კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე და მდივანი (1947-50), პარტკომის მდივანი (1950-52), კომკავშირის თბილისის ქალაქკომის პირველი მდივანი, კალინინის რაიკომის პირველი მდივანი, თბილისის ქალაქკომის ადმინისტრაციული და სავაჭრო-საფინანსო ორგანოების განყ-ბის გამგე, კომკავშირის ცკ პირველი მდივანი, ჭიათურის ქალაქკომის პირველი მდივანი (1952-60), გეოლოგიის ინ-ტის ინჟინერი, უფროსი ინჟინერი, უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1960-72), თბილისის ალმასკომის თავმჯდომარე (1973-74), კავკასიის მინერალური ნედლეულის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1974-78). დირექტორია 1978 წლიდან, გეოლოგიის სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარე — 1994 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს იურიული ვულკანიზმი" (1983). არის 80 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი გეოლოგიის სხვადასხვა დარგში. მიღებული აქვს სსრკ გეოლოგიის სამინისტროს ნიშანი და საპატიო წოდება „წიაღის ძიების წარჩინებული" (1979), „ხალხთა მეგობრობის" ორდენი (1986). იყო საკავშირო ალკკ ცკ წევრი (1954-58), საქართველოს კომპარტიის ცკ წევრი (1954-60), სსრკ (1954-58), საქართველოს უმაღლესი (1959-63), უზენაესი (1990-91) საბჭოს დეპუტატი, სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992-93), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალეოვულკანოლოგიური კომისიის თავმჯდომარე, პალეოვულკანოლოგიური რუკების მთავარი რედაქტორი (1983 წლიდან). არის საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს და პრეზიდიუმის, სტუ დიდი სამეცნიერო, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის სამეცნიერო საბჭოს, თბილისის მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

ჰობი: ჩოგბურთი, კლასიკური მუსიკა.

მისამართი: *(სამსახურის) გეოლოგიის სახ. დეპარტამენტი. მოსაშვილის 24. თბილისი 380062. ტელ: 22-40-40, ფაქსი: (99532) 22-56-13. კავკასიის მინერალური ნედლეულის ინ-ტი. ფალიაშვილის 85. თბილისი 380062. ტელ: 23-13-15. (ბინის) უზნაძის 4. ბ. 102. თბილისი 380002. ტელ: 95-31-81.*

საქმე უპირველეს ყოვლისა — „ჯერ იყო საქმე" (გოეთე, „ფაუსტი"), დაკისრებულ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.



**ნანა ჯანელიძე** კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1957წ. 7 აგვისტოს. მშობლები: ლამარა ურიდია, თამაზ ჯანელიძე; მეუღლე — გია აბულაძე (1952), შვილები: თორნიკე (1979), ნინო (1987). დაამთავრა თსთი სარეჟისორო ფაკ-ტი (1979). იყო თსუ კინოლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი (1986-93). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1981 წლიდან), თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის ლექტორი (1996 წლიდან). არის რეჟისორი ფილმებისა: „დიდი ბიჭი და პატარა ბიჭი" (1978), „მონანიება" (მეორე რეჟისორი, სცენარის ავტორი, მუსიკალური გამფორმებელი, 1981-84), „ოჯახი" (1985), „იავნანა" (1994; მოსკოვის საერთაშორისო, პეზაროს, ლაგოვის კ/ფ პრიზები, იალტის კონოფორუმის, რუსეთის სათავადაზნაურო საზოგადოების (1994), რუსეთის მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალის (1995) მთავარი პრიზები, ქართული ეკლესიის პრიზი (1994), კინემატოგრაფიის საკავშირო ინ-ტის სპეციალური პრიზი (1997), „ერთი წვეთი საქართველო" (1999); სპექტაკლისა „FM 90-იანი... „ადამიანის ხმა" (2000). არის ი.გოგებაშვილის და საქართველოს სახელმწიფო (1994) პრემიების ლაურეატი; საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი (1994).
**მისამართი:** *(ბინის) უზნაძის 4. თბილისი 380002. ტელ: 95-31-81.*

**ლალი ჯანუყაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. სნოში (ყაზბეგის რ-ნი) 1959 წ. 22 ივნისს. მშობლები: ირა ჩაბაიძე, იაგო ჯანუყაშვილი; მეუღლე — თამაზ დონჯაშვილი; შვილები: ნინო, თამაზი. დაამთავრა ჩრდილოეთ ოსეთის სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკ-ტი (1984). იყო ყაზბეგის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის ინსპექტორი (1984-86), ყაზბეგის რაიონის სასამართლოს მოსამართლე (1987-91), ადვოკატი (1991-99). თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეა 1999 წლიდან.
**მისამართი:** *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა. თბილისი 380059. (ბინის) დიდი დიღომი. IV მ/რ, VI კორპ., ბ.1, თბილისი. ტელ: 53-39-08.*
**შრომა.**

**ვლადიმერ ჯაფარაშვილი** ხაშურის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა ხაშურში 1946 წ. 7 სექტემბერს. მშობლები: ელენე ჯაფარაშვილი, სოლომონ ჯაფარაშვილი; მეუღლე — ნელი ჭყოიძე (1947); შვილები: სულხანი (1979), ნათია (1980). დაამთავრა სპი სატრანსპორტო ფაკ-ტი (1969). იყო თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშა (1962-64), უკრაინის ქ. ჟდანოვის მანქანათმშენებლობის ქარხნის ინჟინერ-კონსტრუქტორი (1969-71), ხაშურის სავაგონო დეპოს ბრიგადირი, ოსტატი, დეპოს უფროსის მოადგილე (1971-75), ხაშურის რაიკომის მრეწველობა-ტრანსპორტის განყ-ბის ინსტრუქტორი (1975-76), ხაშურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (1976-79), ხაშურის სავაგონო დეპოს უფროსი (1979-81), ა/კ რკინიგზის სამმართველოს სავაგონო სამსახურის უფროსის მოადგილე (1981-82), სპი ვაგონთმშენებლობისა და სავაგონო მეურნეობის კათედრის პედაგოგი (1985-90), ხაშურის სავაგონო დეპოს მთავარი ინჟინერი (1991-94), საქართველოს რკინიგზის უფროსის მოადგილე (1994-96), რკინიგზის ხაშურის ტერიტორიული სამმართველოს უფროსი (1996-99). ხაშურის რ-ნის გამგებელია 1999 წლიდან. არის საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი (1982).
**ჰობი:** გიტარა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ტაბიძის 2. ხაშური 383650. ტელ: 2-35-11. (ბინის) გურამიშვილის 49. ხაშური 383650. ტელ: 2-13-91.*
**წესიერება.**



**გია ჯაფარიძე** მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი. დაიბადა თბილისში 1945 წ. 5 მაისს. მშობლები: სოფიო ჯაფარიძე, ზურაბ ჯაფარიძე; მეუღლე — მარინე ერისთავი (1946); შვილები: სოფიო (1971), თინათინი (1972), ნინო (1982). დაამთავრა თსსა ქანდაკების ფაკ-ტი (1968), ასპირანტურა (1972). იყო თსსა პედაგოგი (1990-91), საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი. არის ავტორი

ნამუშევრებისა: „სიცოცხლის ხე" (ფონდო ტოჩე, იტალია, 1978), „რაშები" (მოსკოვი, 1980), „მშვიდობა ბავშვებს" (ტექსელი, 1981), „მშვიდობის ხე" (ატლანტა, აშშ, 1989-90), „ცეცხლოვანი რაში" (ბაქო, 1998), მ. თუმანიშვილის ძეგლი (თბილისი, 1997) და სხვ.; მონაწილეობდა თბილისის პარკი "მზიურის", რიტუალების სასახლისა და "შერატონ მეტეხი-პალასის" გაფორმებაში. მონაწილეობდა გამოფენებში: ქართული დაზგური ქანდაკება (თბილისი, 1991), გალერეა „45" (ბაზელი, 1992), კრისტიან მერიანის ფონდი (ბაზელი, 1992), ემერიხი, ლეევერკუზენი (გერმანია, 1994), „საბერძნეთი თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (თბილისი, 1998). მისი ნამუშევრები დაცულია სეგ, გერმანიის, შვეიცარიის, აშშ-ის, საბერძნეთის კერძო კოლექციებში. არის კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1981), ღირსების ორდენის კავალერი (1998); საქართველოს მხატვართა კავშირის (1971), რუსთაველის საზოგადოების პრეზიდიუმის (1997) წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
ჰობი: სპორტი, ქართული რაგბი.
მისამართი: *(ბინის) თაქთაქიშვილის 12. თბილისი 380079. ტელ: 22-32-21.*

**ერთგულება საქმის, ოჯახისა და ქვეყნის.**



**ბიჭი ჯაფარიძე** საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1944 წ. 6 იანვარს. მშობლები: ვერა ქოჩლაძე-ჯაფარიძე, გალაქტიონ ჯაფარიძე; მეუღლე — ლალი ჩხეიძე (1945); შვილები: ალექსანდრე (1976), ქეთევანი (1980). დაამთავრა სახ. სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის სატყეო სამეურნეო ფაკ-ტი (1968), თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1985). იყო საავეჯო კომბინატის ამწყობი (1961-62), ტრესტ „თბილმშენინდუსტრიის" მემონტაჟე (1962-64), ვაკის რ-ნის მოსწავლეთა სახლის დირექტორი, კომკავშირის ცკ ინსტრუქტორი, კომკავშირის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი, კომკავშირის ცკ განყ-ბის გამგე (1966-78), სასოფლო-სამეურნეო ინ-ტის პარტიული კომიტეტის მდივანი (1978-85), აგრარული უნივერსიტეტის პრორექტორი (1985-95), პირველი პრორექტორი (1995-96). სატყეო მეურნეობის სახ. დეპარტამენტის თავმჯდომარეა 1996 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საბაზრო ურთიერთობების პირობებში საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები" (1995). არის 38 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის სახელმძღვანელოსი „სატყეო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა" დაჯილდოებულია მედლით „შრომითი წარჩინებისთვის" (1976), საპატიო ნიშნის (1982) და ღირსების (1999) ორდენებით. არის საქართველოს აგროტექნოლოგიური (1995), ბიზნესის (1996), სოფლის მეურნეობის (2000) აკადემიების წევრი.
მისამართი: *(სამსახურის) მინდელის 9. თბილისი 380086. ტელ: 32-90-92. (ბინის) ფალიაშვილის 64. თბილისი 380062. ტელ: 22-20-47.*

**ჭეშმარიტი პატრიოტიზმი საქართველოს მიმართ, რწმენა, დასახული მიზნისკენ სწრაფვა, შრომისმოყვარეობა, პროფესიონალიზმი, კაცთმოყვარეობა.**



**ერეკლე ჯაფარიძე** მესტიის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა მესტიაში 1965 წ. 5 ოქტომბერს. მშობლები: დულა გოშთელიანი, ოთარ ჯაფარიძე; მეუღლე — ნინო ნულუკიანი (1967); შვილი — სალომე (1990). დაამთავრა სპი სამშენებლო ფაკ-ტი (1989). იყო მესტიის საკრებულოს თავმჯდომარე (1991-93), მესტიის რ-ნის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე (1993-95). მესტიის რ-ნის გამგებელია 1995 წლიდან.
ჰობი: ნადირობა.

**ღმერთმა დამაჯილდოვა იმის უნარით, რომ ვაკეთო სიკეთე. მინდა ჩემს ქვეყანას ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში გამოვადგე.**

**ზურაბ ჯაფარიძე** ბოლნისის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1955 წ. 25 ივნისს. მშობლები: ოლია ჯაფარიძე, ელგუჯა ჯაფარიძე; მეუღლე — მანანა კვაჭანტირაძე (1957); შვილები: ოლიკო (1978), კახაბერი (1981),

გუგა (1991). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1978). იყო ბოლნისის პურკომბინატის დირექტორი (1987-92), მეურნეობის დირექტორი (1992-94). ბოლნისის რ-ნის გამგებელია 1994 წლიდან. არის სმკ-ის წევრი (1994).
**ჰობი:** ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) ორბელიანის 106. ბოლნისი. ტელ: 2-29-29.*
**ობიექტურობა, წესრიგი, პრინციპულობა.**



**თედო ჯაფარიძე** საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მექსიკასა და კანადაში. დაიბადა 1946 წ. 18 სექტემბერს. მშობლები: ელენე კორსაველი, ზურაბ ჯაფარიძე; მეუღლე — თამარ ჩხიკვაძე-ჯაფარიძე (1954); შვილი — ნიკა (1982). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტი (1971). იყო აშშ-ისა და კანადის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელი (მოსკოვი, 1972-89), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი (1989-92), სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწე (1992-94). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „აშშ-ის პოლიტიკური ინსტიტუტები. თანამშრომლობის პარამეტრები" (1979). არის ავტორი ნაშრომებისა: „თეთრი სახლი: გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები" (1984), „აშშ-ის პოლიტიკური ინსტიტუტები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა" (1988) და სხვ.
**მისამართი:** *(სამსახურის) 1615 New Hampshire Ave. N. W. Suite 300, Washington DC. 20009. USA. ტელ: 387-23-90. ელ-ფოსტა: 73324.1007@compuserve.com*



**თემო ჯაფარიძე** მხატვარი, მწერალი. დაიბადა თბილისში 1937 წ. 27 მარტს. მშობლები: ვალენტინა ტულუში, პროკოფი ჯაფარიძე; მეუღლე — მაგული (მარიამ) ხურცია (1939); შვილი — ლელა (1964). დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკ-ტის ინგლისური ენის განყ-ბა (1964). არის ავტორი ნამუშევრებისა: პორტრეტები, აბსტრაქცია, „გასული დროის ლაბირინთი", „სიძველე", „სოლოლაკის ჟანგები", „სახლის სახურავი" და სხვ. გამართა პერსონალური გამოფენები: თსუ სააქტო დარბაზში (1964), მხატვართა კავშირში (1965), უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის ორგანიზაციის შენობაში (გამოფენა აიკრძალა 1968), მხატვართა სახლში (1968), მსახიობთა სახლში (1976), გალერეა TMS-ში (1996), პარიზსა და ბრეტანში (1991). არის მრავალი სტატიის, ლექსისა და ესსეს ავტორი, მათ შორის: „ნახტომის სიჩუმე" (1979, ჟურნალი „მნათობი" 1991, NN1-7), „ღამისთევის პოეზია" (ჟურნალი „XX საუკუნე" 1997), „ლოგოს არტი" (ჟურნალი „კონტინენტი" 1998), „უცხო ქალაქი თბილისში" (გაზეთი „ქომაგი" 2000; თბილისის საკრებულოს სპეციალური პრიზი, 2000), „ფული — შენი, სამყარო კი — ჩემი" („განათლებული ივერია", 2000); წიგნის „ნიკო ფიროსმანი" (1999), ლექსების კრებულის „შეშლილი ქალის ენებები" (2000).
**ჰობი:** ესეების წერა და ლიტერატურულ-ფილოსოფიური მუშაობა.
**მისამართი:** *(ბინის) შ.დადიანის 13. თბილისი 380007. ტელ: 98-48-24.*
**ცხოვრების ქრისტიანული ორიენტაციის მიხედვით მარადი ღირებულებების ძიება და საკუთარი ინდივიდუალიზმის ჩამოყალიბების ცდა. ამ ორიენტაციის პირად გამოცდილებაში ვერმიღწევის შემთხვევაში ფილოსოფიური თეითქექვის გზით ობიექტურად ზოგადი სულიერების აღმოჩენის მცდელობა. ხელოვნებაში ინტელექტუალიზმისა და ნაიეური ადამიანურობის სინთეზირების ცდა. თანამედროვე ხელოვნების ფორმების გაადამიანურების და სულიერყოფის ცდა. თეითეული ადამიანი სულად ქცეული სამყაროა — აი, ასეთი დევიზით ვეძებდი უფრო ღრმას, ვიდრე სინამდვილეში ჩანს.**



**თენგიზ ჯაფარიძე** მხატვარი, პროფესორი. დაიბადა თბილისში 1932 წ. 17 ივნისს. მშობლები: კალისტინე ჯაფარიძე, არჩილ ჯაფარიძე; მეუღლე — ეთერ ჯაფარიძე (1942); შვილები: გიორგი (1961), მარინა (1965), დათო (1971), ეკატერინე (1975). დაამთავრა თსსა ფერწერის ფაკ-ტი (1959). იყო თსსა ხატვის კათედრის ლაბორანტი (1954-64), სპი არქიტექტურის ფაკ-ტის პედაგოგი (1967-91), საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი (1991), თსსა საატესტაციო კომისიის თავმჯდომა-

რე (1995-2000). არის თსსა ქსოვილების მხატვრული გაფორმებისა და მოდელირების კათედრის ერთ-ერთი დამაარსებელი, იყო ამ კათედრის გამგე (1965-74), ბავშვთა ხელოვნების სამხატვრო სტუდიის დამფუძნებელი (თბილისის რკინიგზელთა კულტურის ცენტრი, 1999). მუშაობს ფერწერის, გობელენისა და ხალიჩის ჟანრებში. არის ავტორი ფერწერული ნამუშევრებისა: "საშინელი სამსჯავრო" (1985), "სიამაყის ძეგლი" (1989), "სულმნათთა პარაკლისი" (1991) და სხვ. გამართა გამოფენები ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-მუზეუმში (1972), პრაღაში, გდრ-ში (1972), იორდანიაში (1973), ბუდაპეშტში, დორტმუნდში (1974), სტოკჰოლმში (1976), დამასკოში (1979), იტალიაში (1980), კოპენჰაგენში (1982), პოლონეთში (1982), ლოზანაში (1988), დიჟონში, პარიზში (1996) და სხვ. მონაწილეობდა ლოზანის საერთაშორისო ბიენალეში (1985). არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1996), ღირსების ორდენის კავალერი (2000), საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი (1963), პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1998). მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში" (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2000).
ჰობი: ნადირობა და მთაში სიარული.
მისამართი: *(ბინის) კოსტავას 63, ბ. 49, თბილისი. ტელ: 36-49-91, 52-87-84.*



**კოხტა ჯაფარიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კიბერნეტიკის ინსტიტუტის განყ-ბის გამგე. დაიბადა ონში 1929 წ. 4 მაისს. მშობლები: თინათინ ჩიკვაიძე-ჯაფარიძისა, გიორგი ჯაფარიძე; მეუღლე — ნელი საყვარელიძე (1933); შვილები: თამარი (1955), გიორგი (1961). დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკ-ტი (1952). იყო თსუ დოცენტი (1956-60), კიბერნეტიკის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1963-80). განყ-ბის გამგეა 1961 წლიდან, თსუ პროფესორი — 1973 წლიდან. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სპიროქრომენების ფიზიკურ-ქიმიური შესწავლა" (1972). არის მონოგრაფიის „სპიროქრომენები" (1979), 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; პ.მელიქიშვილის სახელობის (1980), საქართველოს სახელმწიფო (1988) პრემიების ლაურეატი.
მისამართი: *(სამსახურის) ს.ეულის 5. თბილისი 380086. ტელ: 30-07-59. ელ.ფოსტა: kokht@cybern.acnet.ge (ბინის) გამსახურდიას 3. ბ. 12. თბილისი.*

**პროფესიონალიზმი, შრომა, საქმისადმი ერთგულება, მოთმინება, შემწყნარებლობა.**



**ლეონიდე ჯაფარიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფულად-საკრედიტო სავალუტო ქვეკომიტეტის თავმჯდომარე. დაიბადა გარდაბანში 1958 წ. 22 აპრილს. მშობლები: როზა ჯაფარიძე, გივი ჯაფარიძე; მეუღლე — მარინე ჯაფარიძე (1964); შვილები: სალომე (1988), გიგა (1989). დაამთავრა თსუ სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკ-ტი (1979). იყო საქსანსოფლტექნიკის ავტოკოლონის ეკონომისტი (1979-80), გარდაბნის რ-ნის აგროსამრეწველო გაერთიანების საგეგმო-საფინანსო განყ-ბის ეკონომისტი, გამგის მოადგილე (1980-83), კომკავშირის რაიკომის საორგანიზაციო განყ-ბის გამგე, II მდივანი (1983-87), სკკპ გარდაბნის რაიკომის ინსტრუქტორი (1987-98), გარდაბნის კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1988-89), გარდაბნის ქონების მართვის განყ-ბის უფროსი (1992-96), გამგეობის თავმჯდომარის I მოადგილე (1996-97), გარდაბნის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე (1997-99). იყო სკკპ წევრი (1984-89), სმკ-ის გარდაბნის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე (1995-99).
მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380008. ტელ: 92-20-27. (ბინის) ყაზბეგის 6. გარდაბანი 383010.*

**მთელი ჩემი ცხოვრებისეული საკითხები, იდეალები დაკავშირებული იყო და არის გარდაბნის რაიონთან, რომელშიც მე ვცხოვრობ 40 წელზე მეტია და გავიარე გზა რიგითი სპეციალისტიდან პირველ ხელმძღვანელამდე. ზრუნვა მრავალეროვნებიანი მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, რაიონში სტაბილური, ჯანსაღი ატმოსფეროს დამკვიდრება მე მიმაჩნია ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ამ ურთულესი რაიონის მდგომარეობა განაპირობებს ბევრად ქვეყანაში არსებულ სიტუაციას.**



**ოთარ ჯაფარიძე** არქეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაიბადა თბილისში 1921 წ. 16 სექტემბერს. მშობლები: რიტა კეილიპისი, მიხეილ ჯაფარიძე; მეუღლე — ასმათ ინაშვილი (1922); შვილები: კახაბერი (942), ნინო (1946), თამარი (1960). დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკ-ტი (1943), ასპირანტურა (1946). იყო საქართველოს სახ. მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი (1944-50); უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-82); ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1951-53), თსუ დოცენტი (1952-63), პროფესორი (1963-67). არის თსუ არქეოლოგიის კათედრის გამგე (1967 წლიდან), არქეოლოგიის კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი (1982 წლიდან). დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „კოლხური ცული" (1948), სადოქტორო — „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე" (1962). არის 18 მონოგრაფიისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი; ივ.ჯავახიშვილის სახელობის პირველი პრემიის ლაურეატი (1970), ღირსების ორდენის კავალერი (1996), თბილისის საპატიო მოქალაქე (1997).

მისამართი: *(სამსახურის) თსუ. ჭავჭავაძის 1. თბილისი 380028. ტელ: 29-03-86. (ბინის) ჭავჭავაძის 62. ბ.74. თბილისი 380062. ტელ: 22-00-71.*

**შეძლებისდაგვარად ვემსახურო ჩემს ქვეყანას.**



**როსტომ ჯაფარიძე** საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე. დაიბადა სოფ. კვირიკეში (ქობულეთის რ-ნი) 1948 წ. 5 მაისს. მშობლები: პიდაეთ ჯაფარიძე, გიორგი ჯაფარიძე; მეუღლე — ნესტან ფარტენაძე (1955); შვილები: ნათია (1980), ნინო (1982), ნანა (1985), მაია (1994). დაამთავრა სვერდლოვსკის (რუსეთი) იურიდიული ინ-ტი. იყო სვერდლოვსკის იურიდიული ინ-ტის მასწავლებელი (1975-78), ქედის რ-ნის პროკურორი (1979-83), ქობულეთის პროკურორის მოადგილე (1983-86), ქობულეთის რ-ნის სასამართლოს თავმჯდომარე (1986-93), რ-ნის პროკურორი (1993-94), აჭარის არ პროკურორი (1994-95, 1996-99), აჭარის არ შს მინისტრი (1995-96). საქართველოს პარლამენტის წევრი და თავმჯდომარის მოადგილეა 1999 წლიდან. არის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი; ღირსების ორდენის კავალერი (1999).

ჰობი: მებაღეობა, მეფუტკრეობა.

მისამართი: *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 93-14-47, 93-11-49. ფაქსი: 99-59-67. (ბინის) დაბა წყნეთი/ ბარათაშვილის 1, ბ. 5, ბათუმი. ტელ: 7-63-00.*

**შრომისმოყვარეობა, მოთმინება, ერთგულება, ვისწრაფვოდი ჩემი შესაძლებლობები გამომეყენებინა მაქსიმალურად, ქვეყნის ინტერესების პრიორიტეტი, ადამიანისადმი კეთილი, შემწყნარებლური დამოკიდებულება.**



**ჯონდო ჯაფარიძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი. დაიბადა თბილისში 1933 წ. 1 იანვარს. მშობლები: ევგენია შარაბიძე-ჯაფარიძე, ივანე ჯაფარიძე; მეუღლე — ემა გაჯიევა (1937); შვილები: თეიმურაზი (1964), ლალი (1968). დაამთავრა სპი ქიმიის ფაკ-ტი (1957). იყო არაორგანული და ელექტროქიმიის ინ-ტის უმცროსი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ლაბორატორიის გამგე, დირექტორის მოადგილე (1957-95), დირექტორი (1995 წლიდან), სპი პროფესორი (1975-90). დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ელექტროდული პროცესები ორატომიან სპირტებში" (1978). არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, 1 მონოგრაფიისა და 14 გამოგონების ავტორი, მრავალი საერთაშორისო კონგრესის მონაწილე, რუსეთის სამეცნიერო ჟურნალის „ელექტროქიმიის" რედაქციის წევრი (1964), საერთაშორისო ექსპერტი არაწყალხსნართა ელექტროქიმიაში (1970), რესპუბლიკის სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე (1990), ელექტროქიმიაში და არაორგანულ ტექნოლოგიაში ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე (1995), დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მენდელეევის

სახელობის I და II პრემიებით. შემოქმედებითი კავშირები აქვს მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, მილანის, ფერარის უნივერსიტეტებთან, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ელექტროქიმიის ინ-ტთან. მისი ბიოგრაფია შეტანილია ABI-ის ცნობარებში. იყო 20 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი.
**ჰობი:** ბუნების სიყვარული, მხატვრობა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) მინდელის 11. თბილისი 380086. ტელ: 32-54-96, 32-91-64. (ბინის) ვაჟა-ფშაველას მე-5 კვ. კორპ. 4. ბ. 194. თბილისი 380086. ტელ: 30-80-80.*
**მიზანსწრაფულობა, ცნობისმოყვარეობა, ბუნების, ხალხის და შრომის სიყვარული, პასუხისმგებლობა ამოცანის შესრულების სისრულეზე, სიახლის სიყვარული.**



**გიორგი ჯაყელი** საქართველოს პარლამენტის წევრი, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, ნდობის ჯგუფის წევრი. დაიბადა თბილისში 1963 წ. 8 იანვარს. მშობლები: ნათელა ჯაყელი, ემზარ ჯაყელი; მეუღლე — მზევინარ ჯაყელი (1967); შვილები: ნინო (1991), ანი (1994). დაამთავრა ლენინგრადის ხალხთა მეგობრობის ინ-ტი, ჯორჯ მარშალის სახელობის თავდაცვისა და უშიშროების კვლევითი ცენტრის კოლეჯი, საქართველოს პოლიციის აკადემია. იყო მებოცვრეობის ფერმის მუშა (1979-80), ტელერადიოცენტრის გამნათებელი (1982), საქალაქო კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი (1984-89), ორხევის მიკროსაბჭოს თავმჯდომარე (1989), პარლამენტის წევრი (1995-99). დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლით „მამაცობისთვის" (მინიჭებული ავღანეთის ხელისუფლების მიერ). არის ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე, სმკ-ის წევრი.
**ჰობი:** მუსიკა და ვისაც უჭირს, მის გვერდზე დგომა.
**მისამართი:** *(სამსახურის) საქართველოს პარლამენტი. რუსთაველის 8. თბილისი 380018. ტელ: 92-12-06, 92-12-07. (ბინის) ახვლედიანის 22-ა. თბილისი. ტელ: 94-21-88.*
**სამართლიანობა, გაჭირვებულის დახმარება, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, მეგობრებთან და ნაცნობებთან გვერდით დგომა მიუხედავად ჩემი საქმიანობისა და თანამდებობისა (უბრალოება), სარწმუნოება.**



**მაკა ჯახუა** ასოციაცია და რადიო „მწვანე ტალღის" დირექტორი. დაიბადა ქუთაისში 1963 წ. 5 ნოემბერს. მშობლები: ლეილა ყიფიანი, ვალერიან ჯახუა. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1985), თსუ მეორადი სასცენარო ფაკ-ტი (1985). იყო თსუ ბიოტექნოლოგიის N2 ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი (1986-89), სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის ექიმი-ლაბორანტი (1989-91), სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინ-ტის მეცნიერ-თანამშრომელია 1991 წლიდან. არის არასამთავრობო ორგანიზაციის — ასოციაციისა და რადიო-სადგურ „მწვანე ტალღის" დამფუძნებელი და დირექტორი (1995), ასოციაციის პროექტების, რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. არის გარემოსდაცვით ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის, ევროპის საზოგადოებრივ რადიოთა ასოციაციის წევრი.
**ჰობი:** მოგზაურობა, მუსიკა და ათასი სხვა რამ.
**მისამართი:** *(სამსახურის) ვაჟა-ფშაველას 45. თბილისი 380077. ტელ: 93-62-74. ტელ/ფაქსი: 99-71-69. ელ-ფოსტა: gwave@access.sanet.ge (ბინის) გამსახურდიას 7, ბ.38. თბილისი 380060. ტელ: 33-24-56.*
**ალტერნატიულობა, სიახლეების ძებნა ყველგან და ყველაფერში, დამარცხებისადმი შეუგუებლობა.**

**თეიმურაზ ჯერვალიძე** იურისტი, დუშეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე. დაიბადა აბაშაში 1950 წ. 25 მარტს. მშობლები: ლილი კაჭარავა, ნიკოლოზ ჯერვალიძე; მეუღლე — მაია ხოხობაშვილი (1961); შვილები: თათია (1982), ნიკა (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1978). იყო შსს მცხეთის საგამოძიებო ქვეგანყ-ბის უფროსი (1981-87), მცხეთის რ-ნის მოსამართლე (1987-91), კასპის რ-ნის მოსამართლე (1991-2000). სასამართლოს თავმჯდომარეა 2000 წლიდან.

**ჰობი:** ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) დუშეთი.ტელ: 2-26-98. (ბინის) გამსახურდიას 15, მცხეთა.*
**თავისუფალი, დემოკრატიული, სამართლებრივი საქართველოს მშენებლობაში მონაწილეობა.**



**მურმან ჯინორია** მსახიობი. დაიბადა თბილისში 1947 წ. 21 თებერვალს. მშობლები: ვერა მიქაძე, ვასილ ჯინორია; მეუღლე — მაია ეთერია (1965). დაამთავრა სპი (1970) , თსთი სამსახიობო ფაკ-ტი (1975). იყო კინომსახიობთა თეატრის მსახიობი (1975-82). არის კინოსტუდია „ქართული ფილმის" (1975 წლიდან), რუსთაველის თეატრის (1983 წლიდან), ვ.ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის (1996 წლიდან) მსახიობი, თეატრისა და კინოს სახ. ინ-ტის მსახიობის ოსტატობისა და მეტყველების პედაგოგი (1995 წლიდან). მონაწილეობდა სპექტაკლებში: „შუშანიკის წამება" (იაკობი), „დონ-ჟუანი" (დონ ჟუანი), „მეფე ლირი" (კენტი), „ირინეს ბედნიერება" (ვიქტორი), „იქ, სადაც ღვარად მოედინება" (კაცი ვიოლინოს ფუტლიარით, აბესალომი), „ნახვის დღე" (თომა), „დედა-დედოფალი" (ალფრედო) და სხვ. კინოფილმებში: „სინემა" ( სოსიკო), „თვალი პატიოსანი" (თამაზ იაშვილი), „მარადისობის კანონი" (მამა იორამი), „ჩაკლული სული" (თამაზ ენგური) და სხვ. სატელევიზიო სპექტაკლებში: „გზაჯვარედინზე" (ალექსი), „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" (სერგო), „სახლი ძველ უბანში" (ვახუშტი) და სხვ. დადგა საავტორო სპექტაკლები რუსთაველის თეატრში: „ბედისწერა გვიხსნის მარად" (ქართველ პოეტთა ლექსების მიხედვით), ვ.ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში „...და სიმღერით ვკვდები" (თეატრალური საზოგადოების პრემია წლის საუკეთესო საავტორო სპექტაკლისთვის), „ზღვა ძალიან ღელავს" (გ.რჩეულიშვილის ნაწარმოებების მიხედვით; კ.მარჯანიშვილის სახელობის პრემია), „დედა-დედოფალი", „დროთა კავშირი დაირღვა" (უ.შექსპირის „ჰამლეტისა" და სონეტების მიხედვით ).
**ჰობი:** ფერწერა, ლიტერატურა, ფეხბურთი.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 17. თბილისი 380008. (ბინის) ტეხურის 35. თბილისი. ტელ: 33-33-16.*
**გულწრფელად გამოეხატო ჩემი პოზიცია ჩემი პროფესიის დახმარებით და ამით მივაღწიო სულიერ თავისუფლებას.**



**ზაურ ჯინჯოლავა** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, პროფესორი. დაიბადა სოფ. ჭკადუაშში (ზუგდიდის რ-ნი) 1943 წ. 21 იანვარს. მშობლები: ფენია სამუშია, ვალერიან ჯინჯოლავა; მეუღლე — ნინო ქათამაძე (1955); შვილები: ნინო (1966), ნათია (1973), ვალერიანი (1984), იოსები (1985). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1967). იყო თსუ სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის მასწავლებელი (1971-74), დოცენტი (1974-93). ამავე კათედრის პროფესორია 1993 წლიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი — 1996 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო" (1973), სადოქტორო — „ხელისუფლების ორგანოები სახელმწიფო მექანიზმის ერთიან სისტემაში" (1993). არის 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიების და დამხმარე სახელმძღვანელობის ავტორი.
**ჰობი:** მხატვრული ლიტერატურა, ნადირობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) რუსთაველის 29. თბილისი 380008. ტელ: 92-08-29, 92-08-33. ფაქსი: 93-30-05. (ბინის) ჭავჭავაძის 56. ბ.12. თბილისი 380062. ტელ: 22-11-71.*
**მთავარი პრინციპები — ერთგულება, პატიოსნება, სამართლიანობა და პრინციპულობა.**



**ბონდო ჯიქია** საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. დაიბადა სოფ. ჭაქვინჯში (ზუგდიდის რ-ნი) 1938 წ. 5 დეკემბერს. მშობლები: ბაბუცა ჩუხუა, სერაპიონ ჯიქია; მეუღლე — მილადა ქობალია (1941); შვილები: ზაზა (1965), ნანა (1966). დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტი (ქუთაისი, 1961). იყო „საქსოფლტექნიკის" ზუგდიდის რაიონული გაერთიანების ინჟინერ-მექანიკოსი, მმართველის მოადგილე (1961-64),

კომკავშირის ზუგდიდის სასოფლო-სანარმოო კომიტეტის მდივნის მოადგილე, ენგურის ქაღალდკომბინატის სატრანსპორტო განყ-ბის გამგე, ენგურჰესის მშენებლობის პარტკომის მდივნის მოადგილე (1964-66), კომკავშირის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის I მდივანი (1966-72), ენგურის ქაღალდკომბინატის პარტკომის მდივანი, კპ ზუგდიდის ქალაქკომის მდივანი, II მდივანი, კპ ცკ-ის ინსპექტორი (1972-75), კპ ქობულეთის, ცხაკაიას (სენაკი) და ზუგდიდის რაიკომების I მდივანი (1975-88), კპ ცკ-ის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის განყ-ბის გამგე (1988-89), კპ ცკ-ის მდივანი (1989-90), საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი (1990-92), სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე (1992).
ჰობი: პოეზია, ხელოვნება.
მისამართი: *(სამსახურის) რუსთაველის 219, ზუგდიდი. ტელ: 2-27-44. (ბინის) უზნაძის 4, თბილისი 380002. ტელ: 95-69-59.*
ჰუმანურობა, უანგარობა, ქვეყნის ინტერესების პირადულზე მაღლა დაყენება.



**ჯუმბერ ჯიქია** მოქანდაკე. დაიბადა რუსთავში 1950 წ. 13 ოქტომბერს. მშობლები: ზინა ხუბუა, ოთარ ჯიქია; მეუღლე — ია დვალი (1962); შვილები: ბექა (1990), დაჩი (1997). დაამთავრა თსსა ქანდაკების განყ-ბა (1974), ასპირანტურა (1979). არის თსსა პედაგოგი, გამოყენებითი ხელოვნების კათედრის გამგე, შემოქმედებით ცენტრი „კირბების" პრეზიდენტი (რუსთავი 1990), საქართველოს მხატვართა კავშირის ქანდაკების სექციის თავმჯდომარე (1986 წლიდან). არის ავტორი ნამუშევრებისა: „მხედარი" (1984), „მოქანდაკე და მუზა" (იტალია 1985), „მომაკვდავი კენტავრი" (1986), „XX საუკუნე" (ავსტრალია 1988), „წონასწორობა" (რუსთავი 1990), „კომპოზიცია" (საფრანგეთი 1991), „კომპოზიცია სივრცეში" (საფრანგეთი 1992), „ცხენის თავი" (ავსტრალია 1993), „კომპოზიცია" (იაპონია 1997), ჟ.შარტავას მემორიალი (რუსთავი 1996), „ევრაზია" (ყალმუხეთი 1997), „ურალანი" (ელისტა 1998), „ქარების ვარდი" (ელისტა 1999; ორივე ვ. ჯიქიასთან ერთად), „თავისუფლების რაშები" (რუსთავი 1998-2000) და სხვ. მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებში: თბილისსა და მოსკოვში (1974-98), ბუდაპეშტში (1976), იტალიაში (1984, 1990, 1991), პოლონეთში (1985), ვარშავაში (1986), შვედეთში (1988), ავსტრიაში (1993), აშშ-ში, იაპონიაში (1995, 1997); მონაწილეობდა ქანდაკების საერთაშორისო კონკურსებში პარიზში (ოქროს მედალი, 1984), ფანანოში (I პრემია, 1985), ვარშავაში (ოქროს მედალი, 1985), სენდაიში (იაპონია, 1997), საერთაშორისო სიმპოზიუმებში პოლონეთში (1985), ავსტრალიაში (1990, 1993), რუსთავში (1991), იტალიაში (1991), საფრანგეთში (1991), იაპონიაში (1997, ელისტაში (1998). არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1998).
ჰობი: ძველი საბრძოლო იარაღების გადარჩენა.
მისამართი: *(ბინის) ქავთარაძის 14, თბილისი. ტელ: 30-45-87, (899) 54-07-99.*



**გივი ჯილაური** ეკონომისტი, ბანკირი, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი. დაიბადა თბილისში 1951 წ. 16 ნოემბერს. მშობლები: იულია ძამაშვილი-ჯილაური, ელიზბარ ჯილაური; მეუღლე — ირინე ტაბატაძე-ჯილაური; შვილები: გიორგი (1982), ირაკლი (1984), იულია (1985). დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1975). იყო სახბანკის 26 კომისრის რ-ნის განყ-ბის ეკონომისტი (1975-76), სახბანკის რესპუბლიკური კანტორის უფროსი ეკონომისტი, სამმართველოს უფროსის მოადგილე (1976-82), ბოლნისის (1982-86) და რუსთავის (1986-88) განყ-ბების მმართველი, აგროსამრეწველო ბანკის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1988-93). ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტია 1993 წლიდან.
ჰობი: მხატვრული ლიტერატურა.
მისამართი: *(სამსახურის) ლეონიძის 3/5. თბილისი 380007. ტელ: 99-80-69. ფაქსი: 98-21-96. (ბინის) ნუცუბიძის პლატო IV მ/რ, კორპ. 21. ბ. 54. თბილისი.*

**მარინა ჯიყაშვილი** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა დედოფლისწყაროში 1961 წ. 2 თებერვალს. მშობლები: ლამარა ჯანყარაშვილი,



ზაურ ჯიყაშვილი. დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1987). იყო ა/კ რკინიგზის თბილისის განყ-ბის იურისკონსულტი (1987-94), თბილისის ნაძალადევის რ-ნის ადვოკატურის ადვოკატი (1994-99), მოსამართლე (1999-2000).
ჰობი: კითხვა.
მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14.*

**მიზანმიმართულობა, კეთილსინდისიერება, პრინციპულობა, გულისხმიერება ყველასა და ყველაფრის მიმართ, უფლისა და ქვეყნის სიყვარული (ამ გრძნობით ცხოვრება მართლაც სიამოვნებას მანიჭებს და მას ფორმალობასთან არანაირი საერთო არა აქვს). მთელი ცხოვრება დავეძებ ჩემს ადგილს და არ ვიცი შევძლებ კი მის მიგნებას?!**



**ავთანდილ ჯორბენაძე** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრი. დაიბადა ლანჩხუთში 1951 წ. 23 თებერვალს. მშობლები: მარიამ კაჭახიძე, ქრისტეფორე ჯორბენაძე; მეუღლე — ნინო ვეფხვაძე (1956); შვილები: რევაზი (1975), იოსები (1980). დაამთავრა თსთი სამკურნალო ფაკ-ტი (1974). იყო თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ინტერნი (1974-75), თბილისის 29-ე პოლიკლინიკის ექიმი-თერაპევტი (1975-76), სსრკ შეიარაღებული ძალების უფროსი ლეიტენანტი, სამედიცინო ნაწილის უფროსი ექიმი (1976-78), თბილისის მე-13 საავადმყოფოს თერაპევტი, კარდიოლოგი, პარტბიუროს მდივანი (1978-82), თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში (1982-86), თბილისის ჯანდაცვის სამმართველოს უფროსის I მოადგილე, უფროსი (1986-91), საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის I მოადგილე (1992-93), საქართველოს სახელმწიფო მეთაურის სახ. უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (1993), ჯანდაცვის მინისტრი (1993-2000). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრია 2000 წლიდან. არის 30 სამეცნიერო ნაშრომისა და ერთი გამოგონების ავტორი; ორი სახელმძღვანელოს და სამი წიგნის თანაავტორი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (1994), აფხაზეთის არ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1996).
ჰობი: სპორტი, ლიტერატურა, მუსიკა.
მისამართი: *(სამსახურის) გამსახურდიას 30. თბილისი 380060. ტელ: 22-12-35. ფაქსი: 77-00-86.*



**ომარ ჯორბენაძე** თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლე. დაიბადა სოფ. ძირკვაძეებში (ხულოს რ-ნი) 1967 წ. 6 მაისს. მშობლები: ნაზი შანთაძე-ჯორბენაძე, ავთანდილ ჯორბენაძე; მეუღლე — გულიზარ გარაშვილი (1966); შვილი — უტა (1993). დაამთავრა თსუ იურიდიული ფაკ-ტი (1995). იყო საზოგადოებრივი ასოციაცია „ამაღლების" იურისტი (1991-92), საზოგადოებრივ-შემოქმედებითი ასოციაცია „დიდოსტატის" იურიდიული ჯგუფის უფროსი (1993-94), შპს გამომცემლობა „ლეთას" იურისტი (1994-96), პარლამენტის უფროსი სპეციალისტი (1996-97), სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახ. ინსპექციის განყ-ბის უფროსი (1997-98). გამოცემული აქვს დეტექტიური ჟანრის წიგნი „ცოდვილთა ჯალათი" (1996).
ჰობი: მუსიკა, წერა.
მისამართი: *(სამსახურის) თბილისის საოლქო სასამართლო. რობაქიძის 7ა, თბილისი 380059. ტელ: 53-09-14; 53-09-17. (ბინის) ვარკეთილი-3, II მ/რ. კორპ. 25-ა. ბ. 29. თბილისი. ტელ: 79-36-53.*

**ყველაზე მეტად ადამიანში ვაფასებ პატიოსნებას და სიმართლეს. ვცდილობ, ყველა ადამიანს, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, ცოტათი მაინც შევუმსუბუქო და გავუადვილო ცხოვრება. ჩემი წარმატება განაპირობა პროფესიის სიყვარულმა და შრომისმოყვარეობამ.**

**ნანა (ნინო) ჯორჯაძე** არქიტექტორი, კინორეჟისორი. დაიბადა თბილისში 1950 წ. 24 აგვისტოს. მშობლები: ლარისა ნეველოვსკა, გივი ჯორჯაძე; მეუღლე —

ირაკლი კეირიკაძე (1939); შვილები: ბექა (ბუბა 1968), მიხეილი (1975). დაამთავრა თსსა არქიტექტურის ფაკ-ტი (1973), „მოსპროექტის" ასპირანტურა (1974), თსთი კინო-სარეჟისორო ფაკ-ტი (1980). იყო „საქქალაქმშენსახპროექტის" არქიტექტორი (1970-75); კინოსტუდია „ქართული ფილმის" რეჟისორი (1977-91), Nipkow Programm-ის კინორეჟისორი (ბერლინი,1993-95). კინოსტუდია „ადამი და ევას" რეჟისორია 1991 წლიდან. არის დამდგმელი რეჟისორი ფილმებისა: „ატლანტი" (1979, გრან-პრი, ექსპერიმენტული ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი, ტალინი); „მოგზაურობა სოპოტში" (1980, გრან-პრი, „ოილენშპიგელი", კინოკლუბების საერთაშორისო პრიზი, კათოლიკური ეკლესიის პრიზი, ობერჰაუზენი (გერმანია), მაყურებელთა პრიზი, კოშალინი (პოლონეთი), ტოკიოსა და მონრეალის კინოფესტივალების პრიზები); „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" (1986, კანის საერთაშორისო კ/ფ პრიზი „ოქროს კამერა", კიოტოსა და მონრეალის კ/ფ, ჩიკაგოს White Country Film Festival-ის პრიზები, რუსეთის კინოაკადემიის პრიზი "Ника"); „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი" (1996, საფრანგეთი-საქართველო-გერმანია, „Fipresci" საერთაშორისო კინოკრიტიკის პრიზი, "Quinzeine des dealisateurs" კანის საერთაშორისო კ/ფ ,1996, პრიზი საუკეთესო სცენარისათვის, ანაპა „კინოშოკი"-96, "ოსკარის" ნომინანტი, 1997) და სხვ. სცენარებისა და სტატიებისა: „შეშლილი მემუარები" (1992), „შეხვედრა" (1992, გერმანიის კინოაკადემიის გამოცემა), „ლა ნაპულის მოჩვენებები" (1993, "La Film Frances"), „ცოტა რამ ვეშაპზე... და საქართველოზე" (ჟურნალი "Felix" 1993) და სხვ. მონაწილეობდა ექვს ქართულ მხატვრულ ფილმში. იყო საერთაშორისო კ/ფ ჟიურის წევრი: სან-სებასტიანი (ესპანეთი, 1987), თელ-ავივი (1989), კანი (1992), პოტსდამის (1993), კარლოვი-ვარის (ჩეხეთი, 1997), ვენეციის (1997), არის ევროპისა და ამერიკის კინოაკადემიების წევრი. მისი ბიოგრაფია შეტანილია ცნობარში "Die Frauen in Film" (გერმანია, 1992).
**ჰობი:** მოგზაურობა.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის 164. თბილისი 380012. ტელ: 94-13-31. ფაქსი: 95-30-39. (ბინის) შარაშიძის 10. თბილისი. ტელ: 23-51-37.*

**დავით ჯოხაძე** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თსუ პროფესორი. დაიბადა სოფ. ჭანდარში (გურჯაანის რ-ნი) 1927 წ. 9 ივნისს. მშობლები: ვარვარა პეტრიაშვილი-ჯოხაძე, ვანო ჯოხაძე; მეუღლე — ლილი ყაზაზიშვილი-ჯოხაძე (1930); შვილი — ლევანი (1954). დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკ-ტი (1949). იყო გორის პედაგოგიური ინ-ტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი (1952-62), ფიზიოლოგიის ინ-ტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1968-69). არის ბიოქიმიის ინ-ტის განყ-ბის გამგე (1969 წლიდან), თსუ გენეტიკის კათედრის პროფესორი. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სხვადასხვა ქსოვილების უჯრედთა ბირთვების რნმ-მასინთეზირებელი სისტემების გამოკვლევა" (1974). არის 140 სამეცნიერო ნაშრომის, 2 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოს ავტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (2000), ბიოსამედიცინო, ეკოლოგიური და აფხაზეთის აკადემიების ნამდვილი წევრი (1944-95). მისი ბიოგრაფია შეტანილია ქსე (1987).
**ჰობი:** რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" კოლექციონირება ყველა ენაზე.
**მისამართი:** *(სამსახურის) ალმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ. თბილისი 380059. ტელ: 52-86-29. ფაქსი: 52-80-26. (ბინის) ნუცუბიძის ფერდ., II მ/რ, კვ.4. კორპ.2. ბ.26. თბილისი 380083. ტელ: 32-84-67.*

ყოველთვის ვცდილობდი კარგად მესწავლა სკოლაშიცა და უმაღლეს სასწავლებელშიც. სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში ვცდილობდი მაგალითი ამეღო გამოჩენილი ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისაგან. ვცდილობდი ჩემი გამოცდილება გადამეცა უშუალო მოწაფეებისა და სტუდენტებისათვის, ყოველგვარი საქმიანობა მიმართული ყოფილიყო საკუთარი ქვეყნის სასიკეთოდ. მიყვარდა და მიყვარს ლიტერატურა, მუსიკა, ხალხური შემოქმედება, სპორტი. დიდ სიამოვნებას მგვრიდა ექსპერიმენტული მუშაობა ლაბორატორიაში.



**ბესიკ ჯულელი** ლიბერალურ-ეკონომიკური პარტიის თავმჯდომარე, საქართველოს მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე. დაიბადა თბილისში 1943 წ. 28 მარტს. მშობლები: მერი ომერ-ოღლი, პავლე ჯულელი; მეუღლე — მარიამ ბარნოვი (1946); შვილები: ნიკალა (1971), მერი (1977). დაამთავრა სპი მეტალურგიული ფაკ-ტი (1966). იყო კიბერნეტიკის ინ-ტის ინჟინერი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და სექტორის უფროსი (1967-81), თბილისის ტელევიზორების ქარხნის დირექტორის მოადგილე (1981-85), თელავის „მიონის" ქარხნის დირექტორი (1985-87), თბილისის ქარხანა „ჰიდრომეტხელსაწყოს" დირექტორი (1987-91), საქართველოს მრეწველობის მინისტრი (1992), ქარხანა „მეგატა-სტანდარტის" დირექტორი (1993-95), პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1995-99). ეკონომიკურ პოლიტიკასთან შეურიგებლობის გამო პროტესტის ნიშნად დატოვა პარლამენტი და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი (1999). საქართველოს მრეწველთა კავშირის თავმჯდომარეა 1990 წლიდან. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლაზერული ტექნიკის გამოყენება მედიცინაში" (1979). არის 21 სამეცნიერო ნაშრომისა და 6 გამოგონების ავტორი, კერძო საწარმოთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საფრანგეთის მრეწველთა კავშირის საპატიო წევრი, „ბიზნესმენი-95".

ჰობი: სპორტი (კალათბურთი, ცურვა), ცხელ და მზიან ამინდში მარტოობა.

მისამართი: *(სამსახურის) წერეთლის 112. თბილისი 380019. ტელ/ფაქსი: 25-18-56.*

**კაცთმოყვარეობა, წარსულის პატივისცემა და მომავლის იმედი, ოჯახის, მეგობრების და სამშობლოს სიყვარული, სილამაზის დაფასება, ეროვნულ-დემოკრატიული იდეების განხორციელება, განათლება, შრომა და შრომა. ეს არის ჩემი ცხოვრების ძირითადი კრედო, პლუს იღბალი.**

# ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲫᲘᲔᲑᲔᲚᲘ

**ᲐᲦᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ**
**პრეზიდენტი, სახელმწიფო კანცელარია**

შევარდნაძე ედუარდ

ალექსიძე ლევან
არსენიშვილი გიორგი
ბასილია თეიმურაზ
გერასიმოვი ალექსი
გვენეტაძე კობა
იმედაშვილი კობა
იმნაძე კახა
ისაკაძე გიორგი
ისაკაძე თედო
მამრაძე პეტრე
ჩარკვიანი გელა

**სამინისტროები**

ადეიშვილი მერაბ
გოგიბერიძე სესილი
ვაშაკიძე ვალერიან
თარგამაძე კახა
თევზაძე დავით
კარტოზია ალექსანდრე
კირვალიძე დავით
მენაღარიშვილი ირაკლი
მირცხულავა დავით
მუმლაძე დავით
ნოღაიდელი ზურაბ
სააკაშვილი მიხეილ
ფირცხალაიშვილი ჯონი
ქუთათელაძე ვახტანგ
შერვაშიძე გიორგი
ჩიკვილაძე მიხეილ
ჩხარტიშვილი ივანე
ჩხენკელი მერაბ
ჩხობაძე ნინო
ძნელაძე ლევან
ჯორბენაძე ავთანდილ

**საქართველოს საელჩოები საზღვარგარეთ**

აბაშიძე ზურაბ
აბდუშელიშვილი გივი
გაბაშვილი კოტე
გაჩეჩილაძე რევაზ
გიუნაშვილი ჯემშიდ
გოგოლაძე თეიმურაზ
გუმბერიძე ზურაბ
ზალდასტანიშვილი კონსტანტინე
კავაძე ამირან
ლებანიძე ტარიელ
ლორთქიფანიძე რუსუდან
მამაცაშვილი თეიმურაზ
მიქელაძე ლევან
ნიკოლოზიშვილი ნიკო
სილაგაძე აპოლონ
უგრეხელიძე მინდია
ღოღობერიძე ლანა
ჩიკვაიძე ალექსანდრე
ჩოგოვაძე გოჩა
ჩხეიძე პეტრე
ჯაფარიძე თედო

**დეპარტამენტები**

აბზიანიძე ბადრი
ახობაძე მერაბ
ბეჟანიშვილი ალექსანდრე
ბერაძე ნიკოლოზ
ბერიძე თეიმურაზ
გაიპარაშვილი ზურაბ
გეგეჭკორი ზურაბ
იოსელიანი ავთანდილ
კეკელიძე გივი
მანჯგალაძე ჯემალ
მახარაძე ზურაბ
მეძმარიაშვილი ირაკლი
მიქელაძე ჯემალ
რამიშვილი დავით
სარალიძე ბორის
ფერიშვილი ზურაბ
შიშნიაშვილი რამაზ
შუბლაძე ვაჟა
ჩხეიძე ვალერი
ჯაფარიძე გივი
ჯანელიძე თამაზ

**ადგილობრივი მმართველობა**

აბაშიძე ასლან
აბაშიძე დავით
აბაშიძე ჯემალ
ამბარცუმიანი არტუშ
ამირანაშვილი გიორგი
არზუმანიანი რაფიკ
ასპანიძე ემზარ
ბარამიძე გრიგოლ
ბეგიაშვილი მალხაზ
ბელთაძე ალეკო

ბოჭორიძე ირაკლი
ბუჩუკური კობა
გაგოშიძე დავით
გვარიშვილი ჯემალ
გოგოლიშვილი რუსლან
გოზალიშვილი გიორგი
გორგოძე ჯემალ
გუჯაბიძე კარლო
დარჯანია აკაკი
დგებუაძე ტარიელ
ევანაძე იოსებ
ზანგურაშვილი შალვა
ზარნაძე ივლიან
ზოდელავა ვანო
თინიკაშვილი ნუგზარ
ივანიშვილი დავით
კალანდაძე ანდრო
კახაძე ლადო
კეიციანი ემზარ
კოშაძე ზაზა
კრანაშვილი დიმიტრი
ლასარეიშვილი ბორის
ლაფაჩიშვილი დავით
ლაშხი ცეზარ
ლიპარტელიანი დავით
ლომაშვილი თეიმურაზ
ლორია გოჩა
მამალაძე ლევან
მეტრეველი ვასილ
მიქავა ანგულ
ნემსინვერიძე ონერი
ნიჟარაძე ტარიელ
ოდიშვილი ნუგზარ
ოქროცვარიძე თენგიზ
პაქსაძე იოსებ
პერტაია ალექსანდრე
რაზმაძე თენგიზ
როსტომაშვილი ირაკლი
სახვაძე დავით
სიბაშვილი გიორგი
სონღულაშვილი ბიძინა
სტურუა მერაბ
სულაძე დავით
ფერიაშვილი ნუგზარ
ფრუიძე ირაკლი
ქანთარია დავით
ქაშიბაძე ოთარ
ქერქაძე თენგიზ
ქერივიშვილი გელა
ქირიკაშვილი გიორგი
ქურხული თეიმურაზ
ღელეყვა ავთანდილ
შაშიაშვილი თეიმურაზ
ჩაჩანიძე გიორგი
ცაძიკიძე პავლე
ცინცაძე გრიგოლ
ცირეკიძე დავით
ციხელაშვილი შოთა
წერეთელი კახაბერ
წულაია აპოლონ
წულუკიძე ილია
ჭითანავა ლერი
ხეისტანი ელდარ
ხუციშვილი ლევან
ჯაფარაშვილი ვლადიმერ
ჯაფარიძე ერეკლე
ჯაფარიძე ზურაბ
ჯიქია ბონდო

## ბიზნესი, საბანკო საქმე

ასათიანი კახი
ახვლედიანი დავით
ბეჟანიშვილი თამაზ
ბერბერაშვილი მერაბ
ბურჯანაძე ანზორ
ბუცხრიკიძე ვახტანგ
გაგოშაშვილი კახა
გაიაშვილი თამაზ
გელაშვილი თამაზ
გვალია ტარიელ
დათოშვილი დავით
დუმბაძე დავით
ზუმბურიძე ოთარ
თავართქილაძე ალეკო
ინგოროყვა ანტონ
კვინიხიძე ვიტალი
კოვზანაძე ირაკლი
ლელაძე დემურ
მაღლაკელიძე თამაზ
მიქელაძე ნუგზარ
პატეიშვილი ვლადიმერ
ჟორჟოლიანი თედო
რობიტაშვილი ნუგზარ
ქაშაკაშვილი გურამ
ჩიგოგიძე ზურაბ
ციხისთავი ზურაბ
წერეთელი ავთანდილ
ჭანიშვილი ვლადიმერ
ჭყონია თემურ
ხაზარაძე მამუკა
ხმალაძე გურამ
ჯაიანი გურამ
ჯულელი ბესიკ

## თეატრი, კინო

ალიბეგაშვილი ლელა
ამირეჯიბი ნათია
არჩვაძე თენგიზ
ახვლედიანი ლომერ
ბაბლუანი თემურ
ბაგრატიონ-გრუზინსკი ნუგზარ
ბაიანდურიანი არმენ
ბერიკაშვილი გივი
ბერიძე გიორგი

ბოლქვაძე რუსუდან
ბურდული ელგუჯა
ბურჯანაძე გიორგი
გაბრიაძე რეზო
გაბუნია გურანდა
გაჩავა ნუგზარ
გეგეჭკორი გიორგი
გვახარია გიორგი
დოიაშვილი დავით
დოლიძე გოგი
დოლიძე ზვიად
დოლიძე ქეთი
ესაძე რეზო
ვარსიმაშვილი ავთანდილ
თაბუკაშვილი ოლღა
იოსელიანი ოთარ
კაესაძე კახი
კანდელაკი გელა
კაპანაძე გოჩა
კახიანი მარინა
კვირიკაძე ირაკლი
კიკნაძე ქეთევან
კოკოჩაშვილი მერაბ
კუჭუხიძე ირინე
კუჭუხიძე მედეა
ლევაშოვ-თუმანიშვილი გიორგი
ლოლაშვილი ჟანრი
ლორთქიფანიძე გიგა
ლორთქიფანიძე ნუგზარ
მამულაძე არჩილ
მანაგაძე ნოდარ
მარგველაშვილი გიორგი
მაღალაშვილი ედიშერ
მაღლაფერიძე ვახტანგ
მახარაძე კონსტანტინე
მგალობლიშვილი ნოდარ
მგელაძე გიო
მესხიშვილი ამირან
მელვინეთუხუცესი ოთარ
მრევლიშვილი სანდრო
მურვანიძე ნატა
მჭედლიძე ნანა
ონოფრიშვილი დავით
ონოფრიშვილი ირაკლი
პაატაშვილი ლევან
პაპუაშვილი ზაზა
პიპინაშვილი გიორგი
ჟორდანია გაიოზ
რეხვიაშვილი ალექსანდრე
საკანდელიძე კარლო
სალუქვაძე ანზორ
საღარაძე გურამ
სტურუა რობერტ
ტაბლიაშვილი ვახტანგ
ურუშაძე ნათელა
ფირცხალავა გურამ
ქავთარაძე გოგი
ქრისტესაშვილი ჯიმშერ
ღოღობერიძე ლანა
ყიფშიძე ზურაბ
შალიკაშვილი ამირან
შენგელაია გიორგი
შენგელაია ელდარ
ჩიქვინიძე ნანი
ჩოხელი გოდერძი
ჩუგუაშვილი გივი
ჩხეიძე თემურ
ჩხეიძე რევაზ
ჩხიკვაძე რამაზ
ცაბაძე ალეკო
ცინცაძე დიტო
წულაძე ლევან
ჭანკვეტაძე ნინელი
ჭიაურელი სოფიკო
ჭიჭინაძე ამირან
ხაინდრავა გიორგი
ხარაბაძე გიორგი
ხუსკივაძე ნანა
ჯანდიერი ნიკოლოზ
ჯანელიძე დათო
ჯანელიძე ნანა
ჯინორია მურმან
ჯორჯაძე ნანა

## ლიტერატურა

ალხაზიშვილი გივი
ამირეჯიბი მზეჭაბუკ
ახვლედიანი ერლომ
აჯიაშვილი ჯემალ (სიმონ)
ბრეგვაძე ბაჩანა
ბულაძე ლაშა
გელაშვილი ნაირა
დოჩანაშვილი გურამ
თაბუკაშვილი ლაშა
თვარაძე რევაზ
იოსელიანი ჯაბა
კალანდაძე ანა
კალანდია ზაურ
კიკნაძე ზურაბ
კოტეტიშვილი ვახუშტი
ლებანიძე მურმან
მაღრაძე დავით
მაჭავარიანი მუხრან
მიშველაძე რევაზ
მორჩილაძე აკა (ახვლედიანი გიორგი)
ორჯონიკიძე იზა
სამადაშვილი ზაალ
სტურუა ლია
ქვლივიძე მიხეილ
შამანაძე შადიმან
შატაიძე ნუგზარ
ჩარკვიანი ჯანსუღ
ჩხეიძე ოთარ
ჩხენკელი თამაზ
ჭანტურია ტარიელ
ჭეიშვილი რეზო

ჭელიძე ვახტანგ
ჭილაძე თამაზ
ჭილაძე ოთარ
ხალვაში ფრიდონ
ხარანაული ბესიკ
ჯავახაძე ვახტანგ
ჯანდიერი კონსტანტინე

## მასმედია

ანასტასიადი ვადიმ
ანთიძე მაკა
ახალბედაშვილი კობა
ბარათაშვილი ბიძინა
ბასილია ნინო
ბოხუა ქეთევან
ბრეგვაძე გიორგი
გაჩეჩილაძე ზაზა
გაჩეჩილაძე თენგიზ
გიგინეიშვილი მარინე
გოგინაშვილი სოსო
გოგიჩაიშვილი აკაკი
გოცირიძე ირაკლი
გრიგალაშვილი ნოდარ
გუნთაიშვილი ლალი
გურაბანიძე ნოდარ
დადიანი ინგა
ვაშაყმაძე მარინა
იმედაშვილი დავით
კაკაბაძე დავით
კანდელაკი ზურაბ
კარტოზია მანანა
კინმარიშვილი ეროსი
კუპატაძე ცირა
კუჭავა ბიძინა
ლასხიშვილი ტატო
მაისაშვილი ხათუნა
მაჭარაძე ზურაბ
ნანიტაშვილი ვახტანგ
ნაცვლიშვილი პაატა
ონიანი ნატო
რამიშვილი მალხაზ
რამიშვილი შალვა
სანებლიძე არმაზ
სეირანიანი ბენიკ
ტაბატაძე ნიკა
ტუღუში ლაშა
ფოცხვერია ზურაბ
ქარუმიძე ზურაბ
ქორიძე ზვიად
ყანდიაშვილი კოკა
შენგელია ზაზა
ჩაგელიშვილი დემნა
ჩიქოვანი თამარ
ჩოკოშვილი გიორგი
ჩხარტიშვილი ოთარ
ჭელიძე ზურაბ
ჭუმბურიძე იოსებ
ხვედელიძე მანანა
ჯახუა მაკა

## მეცნიერება

ალექსიძე ზაზა
ალექსიძე ლევან
ალექსიძე ნუგზარ
ამაღლობელი ნოდარ
ამაშუკელი ელგუჯა
ანდრონიკაშვილი თეიმურაზ
ანდრონიკაშვილი მზია
ასათიანი არჩილ
აფაქიძე ანდრია
ბალავაძე ბენედიქტე
ბალაძე დურსუნ
ბანცური რევაზ
ბარათაშვილი ილია
ბახუტაშვილი ვლადიმერ
ბეგალიშვილი ნოდარ
ბეთანელი კონსტანტინე
ბერიკაშვილი ნოდარ
ბერიძე თენგიზ
ბერძენიშვილი მერაბ
ბოჭორიშვილი ვახტანგ
ბუაჩიძე თამაზ
ბუაჩიძე იოსებ
გაბუნია ლეო
გამყრელიძე ერეკლე
გამყრელიძე თამაზ
გვახარია ალექსანდრე
გველესიანი გურამ
გიგაური გიორგი
გიორგაძე გრიგოლ
გორდეზიანი მარლენ
გორდეზიანი რისმაგ
გურგენიძე გურამ
დეკანოსიძე თამარ
დიდებულიძე ალექსანდრე
დოჩანაშვილი ელენე
ელიავა ირაკლი
ვახანია ნიკოლოზ
ზაალიშვილი თენგიზ
ზაალიშვილი მალხაზ
ზარიძე გიორგი
ზაქარაია მენ
თავხელიძე ალბერტ
თევზაძე გურამ
თოდუა მაგალი
თოდუა ფრიდონ
თოთიბაძე გიორგი
თოფურია გურამ
თოფჩიშვილი მირიან
თუმანიშვილი გრიგოლ
ინასარიძე ხვედრი
ინწკირველი გიორგი
იოსელიანი გიორგი

იოსელიანი თეიმურაზ
კალანდაძე ანა
კევსიტაძე გიორგი
კილაძე როლან
კოდუა ედუარდ
კოკილაშვილი ვახტანგ
ლორთქიფანიძე მარიამ
ლორთქიფანიძე ოთარ
მანაგაძე ლავრენტი
მაჩაბელი გიორგი
მელიქიშვილი გიორგი
მერაბიშვილი მერაბ
მერაბიშვილი პეტრე
მეტრეველი როინ
მეძმარიაშვილი ელგუჯა
მირცხულავა ცოტნე
მუსხელიშვილი დავით
მჭედლიძე გურამ
ნადარეიშვილი კიაზო
ნადირაშვილი შოთა
ნასყიდაშვილი პეტრე
ნახუცრიშვილი გიორგი
ნუცუბიძე ნოდარ
ოკუჯავა ვაჟა
ონიანი თენგიზ
პაპავა ვლადიმერ
ჟორდანია ირაკლი
როინიშვილი ვლადიმერ
როინიშვილი ნინო
სალუქვაძე მინდია
სანაძე გივი
სანაძე თენგიზ
სარჯველაძე ზურაბ
სხირტლაძე ნიკოლოზ
ტატაშიძე ზურაბ
ტატიშვილი ნუგზარ
ურუშაძე თენგიზ
ფიცხელაური კონსტანტინე
ფრანგიშვილი არჩილ
ფრანგიშვილი ივერი
ქარსანოვი ნიკოლოზ
ქემერტელიძე ეთერ
ღუდუშაური ირაკლი
ყაუხჩიშვილი თინათინ
ყიფშიძე ნოდარ
ყურაშვილი ბორის
შარაძე გურამ
შენგელაია გურამ
ჩიკვაშვილი შალვა
ჩიქავა ლეო
ჩოგოვაძე გოჩა
ჩქარეული ჯუანშერ
ცინცაძე გივი
ცინცაძე ნოდარ
ციციშვილი გიორგი
ციციშვილი ეთერ
წერეთელი კონსტანტინე
ჭავჭანიძე ვლადიმერ
ჭანიშვილი თეიმურაზ
ჭელიძე თამაზ
ჭილაშვილი ლევან
ჭიჭინაძე ვახტანგ
ხანანაშვილი ლოტარ
ხანანაშვილი მიხეილ
ხარატიშვილი გურამ
ხარაძე გიორგი
ხარაძე ევგენი
ხატიაშვილი ნიკოლოზ
ხელაშვილი ანზორ
ხეჩინაშვილი სიმონ
ხინთიბიძე ელგუჯა
ჯავახიშვილი ნინო
ჯაფარიძე კოხტა
ჯაფარიძე ოთარ
ჯაფარიძე ჯონდო
ჯოხაძე დავით

## მუსიკა, ბალეტი

აზმაიფარაშვილი გივი
აზმაიფარაშვილი ზაზა
ალექსიძე გოგი
ამირეჯიბი თენგიზ
ანანიაშვილი ნინო
ანდღულაძე დავით
ანდღულაძე ნოდარ
ანჯაფარიძე ეთერ
არუთინოვი-ჯინჭარაძე დევილ
ბათიაშვილი თამაზ
ბაკურაძე თეიმურაზ
ბალანჩივაძე ჯარჯი
ბასილაია ალექსანდრე
ბოლქვაძე ელისო
ბრეგვაძე ნანი
ბურჭულაძე პაატა
გაბარაშვილი თამარ
გაგნიძე ზურაბ
დავითაშვილი მერი
დავითაშვილი შალვა
დიმიტრიადი ოდისეი
დოიჯაშვილი მანანა
დოლიძე ლია
ევგენიძე დათო
ერქომაიშვილი ანზორ
ვარდელი კონსტანტინე
ვირსალაძე ელისო
იაშვილი მარინა
ისაკაძე ლიანა
კახიძე ვახტანგ
კახიძე ჯანსუღ
კეჭაყმაძე იოსებ
კვერნაძე ბიძინა
კიკაბიძე ვახტანგ
კორსანტია ალექსანდრე
მამისაშვილი ნოდარ
მაჭავარიანი ვახტანგ
მიმინოშვილი ზაზა

მოგელაძე ვლადიმერ
მოსიძე შალვა
მუნჯიშვილი გივი
მუქერია დავით
ნადარეიშვილი ზურაბ
ნიორაძე ირმა
ჟვანია ნოდარ
სვანიძე ნათელა
სოტკილავა ზურაბ
სუხიშვილი თენგიზ
ტატიშვილი ცისანა
ქასრაშვილი მაყვალა
ღლონტი ფილიპე
ყანჩელი გია
ყვითელაშვილი თემურ
ყურაშვილი თამაზ
შილაკაძე შავლეგ
ჩარკვიანი ირაკლი
ჩუბინიშვილი ოთარ
ჭკუასელი ჯემალ
ხომერიკი ალექსანდრე

## რელიგია

აბრაამი (გარმელია)
ათანასე (ჩახვაშვილი)
ანანია (ჯაფარიძე)
ანდრია (გვაზავა)
ანტონი (ბულუხია)
გერასიმე (შარაშენიძე)
გიორგი (გამრეკელი)
გიორგი (შალამბერიძე)
გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)
დავითი (მახარაძე)
დავითი (ტიკარაძე)
დანიელი (დათუაშვილი)
დიმიტრი (შიოლაშვილი)
ელისე (ჯოხაძე)
ვახტანგი (ახვლედიანი)
ზოსიმე (შიოშვილი)
თადეოზი (იორამაშვილი)
თეოდორე (ჭუაძე)
ილია II (ღუდუშაურ-შიოლაშვილი)
იობი (აქიაშვილი)
იოსები (კიკვაძე)
ისაია (ჭანტურია)
კალისტრატე (მარგალიტაშვილი)
ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი)
საბა (გიგიბერია)
სერაფიმე (ჯოჯუა)
სერგი (ჩეკურიშვილი)

ლევინი არიელ
სონღულაშვილი მალხაზ

## საზოგადოებრივი (არასამთავრობო) და პოლიტიკური ორგანიზაციები

ბადრიძე იასონ
ბერიშვილი გურამ
ბერძენიშვილი დავით
ბოკერია გიგა
გაჩეჩილაძე გიორგი
გენაძე გია
გვარიშვილი ოსიკო
გიორგაძე მამუკა
გიორგაძე პანტელეიმონ
გოხელაშვილი რამაზ
გურიელიძე ზურაბ
დარჩიაშვილი დავით
ვაშაყმაძე ივანე
ზურაბიშვილი დავით
თარგამაძე გივი
თევზაძე გიგი
იაშვილი ნინო
კაკაბაძე ნანა
კირვალიძე ნატო
ლადარია ნოდარ
ლომაია კახა
ლოსაბერიძე დავით
მირიანაშვილი ლადო
მუხაშავრია ლია
ნადარაია ლიკა
ნათელაშვილი შალვა
ნანობაშვილი ვალერი
ნემსაძე ნანა
ნიკოლაიშვილი გელა
ნიკოლეიშვილი დავით
ნიკოლეიშვილი მაია
ნოდია გია
ონიანი ნიკოლოზ
ორველაშვილი ნიკო
ოჩიაური გიორგი
რამიშვილი ლევან
რუსეცკი ალექსანდრე
სააკაშვილი ნინო
სალამაძე ვაჟა
სარიშვილი-ჭანტურია ირინა
უსუფაშვილი დავით
უჩუმბეგაშვილი გენადი
შანიძე გოჩა
ჩაჩხუნაშვილი მიხეილ
ცნობილაძე ივანე
ძამუკაშვილი გიორგი
ხეთაგური ლევან
ხიდაშელი თინათინ
ხომერიკი ლელა
ხუციშვილი გოგი
ჯანაშია ნანა
ჯულელი ბესიკ

## საკანონმდებლო ხელისუფლება
### საქართველოს პარლამენტი, პარლამენტის აპარატი

აბაშიძე დალი
აბაშიძე ვახტანგ
აბრალავა ანზორ
ადამია რევაზ
ადეიშვილი ზურაბ
აიდინოვი ვიტალი
ამაღლობელი ნოდარ
ამირხანაშვილი კობა
არველაძე რევაზ
ასათიანი აკაკი
ახვლედიანი არმაზ
აჯიაშვილი ჯემალ (სიმონ)
ბათიაშვილი ირაკლი
ბაიბურთი ვან
ბარამიძე გია
ბარამიძე მალხაზ
ბაქიროვი რამიზ
ბაქრაძე რომან
ბერაია პეტრე
ბეციაშვილი გივი
ბოლოთაშვილი გივი
ბოჭორიშვილი ვახტანგ
ბრეგაძე ალექსანდრე
ბურჯანაძე ნინო
გაზდელიანი თენგიზ
გამახარია ჯემალ
გამრეკლიძე მიხეილ
გამყრელიძე დავით
გაჩეჩილაძე ლევან
გეგეშიძე დავით
გელაშვილი ვალერი
გელაშვილი თამაზ
გვარამია ვახტანგ
გვაძაბია დავით
გეენცაძე რომან
გიგინეიშვილი მანანა
გილიგაშვილი როლანდ
გიორგაძე თამაზ
გიორხელიძე დემურ
გოგავა ირაკლი
გოგიტიძე ანზორ
გოგიტიძე ჯემალ
გოგორიშვილი ხათუნა
გონაშვილი ბეჟან
გრიგალაშვილი ნოდარ
დავითაშვილი კობა
დალაქიშვილი რომან
დოლიძე როსტომ
ეზუგბაია ჯანსულ
ვაშაყმაძე გიორგი
ვახტანგაშვილი გურამ
თავაძე რობერტ
თავბერიძე ილია
თამარაშვილი ანზორ
თარგამაძე გიორგი
თედიაშვილი ლევან
თევდორაძე ელენე
თევდორაძე მერაბ
თოფაძე გიორგი
იაშვილი ირაკლი
კემულარია კონსტანტინე
კერესელიძე დავით
კვარაცხელია გელა
კვარაცხელია ვალერი
კვირიკაშვილი გიორგი
კვიციანი ვახტანგ
კობახიძე მამუკა
კოვზირიძე დავით
კოღუაშვილი დავით
კოხრეიძე გიორგი
კუსიანი რომან
ლაგვილავა ბესიკ
ლაზარაშვილი გიორგი
ლეკიშვილი ნიკო
ლორთქიფანიძე როზა
მარშანია ადა
მაღლაფერიძე ვასილ
მაღრაძე დვით
მაჭავარიანი მუხრან
მახარაძე მალხაზ (მერაბ)
მებუკე ჯემალ
მენაბდე ოთარ
მერაბიშვილი ივანე
მეძმარიაშვილი ელგუჯა
მეჭიაური თამაზ
მინდელი ირაკლი
მირიანაშვილი მარიამ
მიშველაძე რევაზ
მკოიანი ენზელ
მოდებაძე ნოდარ
მოლოდინი მარინა
მუშკუდიანი კარლო
ნადარეიშვილი თამაზ
ნადირაძე ელდარ
ნადირაძე მაია
ნავაძე ნუგზარ
ნანეიშვილი მიხეილ
ნოდარაშვილი რევაზ
ოსაძე მიხეილ
ოქუაშვილი ზაზა
პაატაშვილი თედო
პავლიაშვილი სოლომონ
პაიჭაძე გრიგოლ (გოჩა)
პატარქალიშვილი ნათელა
პატიაშვილი ჯუმბერ
ჟვანია არნოლდ
ჟვანია ზურაბ
ჟღენტი დავით
რაზმაძე ვახტანგ
რაისიანი მელიქ
რურუა რომან
რჩეულიშვილი ვახტანგ
საგანელიძე დავით

სალარიძე დავით
სამადაშვილი მერაბ
სანიკიძე გუბაზ
სვანიძე ჯემალ
სიგუა სოსო
სიმონიძე მაია
სიორიძე ზაზა
სმირბა ასლან
სურმანიძე ედვარდ
სუჯაშვილი რეზო
ტყემალაძე ზურაბ
ტყემელაშვილი დავით
ტყემელაშვილი მელორ
ტყემელაშვილი მერაბ
ფირაშვილი რეზო
ფიჩხაია თეიმურაზ
ქარსელაძე ვლადიმერ
ქაფიანიძე ზურაბ
ქაჩლიშვილი ივანე
ქიმაძე გოჩა
ქუცნაშვილი ზაქარია
ღორჯომელაძე ოთარ
ღოლობერიძე თეიმურაზ
ღულუნიშვილი ზეზვა
ყანჩაველი ვახტანგ
ყიფიანი რევაზ
ყოლბაია ვახტანგ
ყურბანოვი იზუმრუდ
შაიშმელაშვილი გიორგი
შალამბერიძე ალექსანდრე
შამანაური არმაზ
შამილაძე ვახტანგ
შარაძე გურამ
შენგელაია ელდარ
შენგელია მერაბ
შუღაროვი გივი
შხეაცაბაია ზურაბ
ჩარკვიანი ჯანსუღ
ჩიტაია კახა
ჩიხრაძე იური
ჩიხრაძე ფიქრია
ჩუბინიშვილი ირაკლი
ჩხაიძე ავთანდილ
ცისკარიშვილი პეტრე
ცქიტიშვილი ზურაბ
წერეთელი გიგი
ჭანტურია ვალერი
ჭელიძე ივერი
ჭითანავა ოთარ
ჭიპაშვილი ვლადიმერ
ჭიპაშვილი ჰამლეტ
ხაზარაძე ვიტალი
ხარატიშვილი იოსებ
ხაჭაპურიძე გიორგი
ხევიაშვილი გიორგი
ხმალაძე ვახტანგ
ხოფერია ნინო
ხურციძე ბეჟან
ხურციძე თეიმურაზ
ხუციშვილი ილია
ჯაველიძე ელიზბარ
ჯაიანი დიმიტრი
ჯანაშია თეიმურაზ
ჯაფარიძე ლეონიდე
ჯაფარიძე როსტომ
ჯაყელი გიორგი

## სასამართლო ხელისუფლება
### საკონსტიტუციო სასამართლო

აბაშიძე ავთანდილ
ბენიძე ოთარ
ზოიძე ბესარიონ
ფუტკარაძე იაკობ
შაშკინი ნიკოლოზ
ჩერქეზიშვილი ნიკოლოზ
ჩორგოლაშვილი ლამარა
ჯინჯოლავა ზაურ
ხეცურიანი ჯონი

### უზენაესი სასამართლო

ახალაძე მაია
ბიბილაშვილი ირაკლი
ბორჩხაძე გოდერძი
ბოჭორიშვილი ლენგერ
გაბელაია ქეთევან
გვენეტაძე ნინო
გოგიშვილი მიხეილ
გოჩელაშვილი ლალი
ვაჩაძე მაია
თორდია ვახტანგ
ილიაშვილი თამაზ
ისაევი მურმან
კლარჯეიშვილი ნანა
კობახიძე თენგიზ
კობერიძე ბესიკ
კუპატაძე ლოტბერდ
ლეონიძე ჯემალ
მეტრეველი ბადრი
ნადირიანი როზა
სხირტლაძე ნუგზარ
ტურავა მერაბ
ტყეშელაშვილი იური
ქოიავა გიორგი
ცისკაძე მარიამ
ნიქვაძე მურმან
ჭანტურია ლადო
ხიმშიაშვილი ბეჟან
ხრუსტალი ვალერიან

### საოლქო სასამართლოები

არევაძე ხათუნა
არჩვაძე ლალი
ბარდაველიძე ლევან

ბასილაია ფრიდონ
ბზიშვილი კარლო
გაბისონია იური
გვეტაძე ნანა
გიგიტაშვილი ნაირა
გიორგაძე ილია
გლოველი მარინა
გულედანი გიორგი
დევერისაშვილი ციცინო
დოთიაშვილი ნაზი
დუგლაძე ქეთევან
ებრალიძე გია
თოდრია ინგა
თოდუა მზია
კაპანაძე თამაზ
კვარაცხელია ზოია
კვარაცხელია ნუგზარ
კობალაძე ლამარა
კობახიძე ავთანდილ
ლალიაშვილი თამარ
ლეგაშვილი იამზე
ლომთათიძე მზია
მაისურაძე ზურაბ
მაისურაძე მერი
მამალაძე მამუკა
მახათაძე ირმა
ნასარიძე მანანა
ნოზაძე დავით
ორჯოდაშვილი ლიანა
ოშხარელი მაია
სვანიძე თამარ
სირაძე მარინე
სუბელიანი მარინე
სულაქველიძე დავით
სულხანიშვილი მაია
ფარცვანია მარინა
ფუხაშვილი მთვარისა
ქამადაძე მურმან
ქაცანაშვილი ეკა
ქობულაძე პაატა
ღიბრაძე მადონა
შენგელია ავთანდილ
შენგელია ოთარ
შეანგირაძე ია
ჩანტლაძე მადი
ჩაჩანიძე მანანა
წკეპლაძე ნათია
ჭაეჭანიძე ნათელა
ჭანტურიძე რუსუდან
ჭეიშვილი ამბროსი
ჭყონია მარინა
ხარებავა მილერ
ხოლოაშვილი მარინა
ჯანუყაშვილი ლალი
ჯიყაშვილი მარინა
ჯორბენაძე ომარ

## რაიონული სასამართლოები

ბაქრაძე აკაკი
გზირიშვილი ლევან
დოიჯაშვილი დავით
ვათიაშვილი ბონდო
თოიძე აკაკი
ლაპიაშვილი მიხეილ
ნოზაძე მამუკა
ოთარაშვილი მანანა
რუხაძე ზურაბ
სონღულაშვილი მამუკა
ყუფარაძე ლუიზა
შაშიაშვილი გელა
შოშიაშვილი მაია
ჩალათაშვილი ნანა
ხაჭაპურიძე შალვა
ჯერვალიძე თეიმურაზი

## სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, არქიტექტურა

აბრამიშვილი მერაბ
ავალიშვილი ბიძინა
აზარაშვილი ეკა
ალექსი-მესხიშვილი გოგი
არბოლიშვილი ბესო
ახმეტელი მანანა
ახობაძემამია
ბათიაშვილი გიგა
ბერიშვილი იური
ბერძენიშვილი ელგუჯა
ბესელია ვახტანგ
ბოკერია ლევან
ბოსტანაშვილი შოთა
ბჟალავა ჯემალ
ბულაძე გიორგი
გაჩეჩილაძე რუსუდან
გეგეშიძე იური
გიგოშვილი ია
გოგაბერაშვილი ჯონი
გოცაძე თემო
გრიგოლია თამარ
გუგუშვილი გია
დავითაია ვახტანგ
ეკალაძე რაისა
ერისთავი დიმიტრი
ეძგვერაძე გია
ვარდოსანიძე ლევან
ვარვარიძე თამაზ
ვეფხვაძე ოთარ
ზაალიშვილი ნინო
ზამბახიძე ლალი
ზაქარაია გენო
ზაუტაშვილი ილია
თოიძე გივი
თორდია რადიშ

თოფურია ნოდარ
იანქოშვილი ნათელა
იაშვილი გიორგი
ივანიშვილი მარინა
ინაიშვილი ხასან
კაკაბაძე ალდე
კაკაბაძე ამირ
კალანდარიშვილი ოთარ
კალანდაძე ედმონდ
კენჭაძე სერგო
კინწურაშვილი სოფიო
კუხალაშვილი ჯემალ
ლაზარაშვილი გოგი
ლასარეიშვილი ლუკა
ლაღიძე ლევან
ლეჟავა ზურაბ
ლოლუა ჯემალ
ლომთაძე ლალი
მალაზონია მამია
მალაზონია ნოდარ
მასხარაშვილი ირაკლი
მატაბელი ქეთი
მატუაშვილი შალვა
მეჩითოვი იური
მირზაშვილი თენგიზ
მიქატაძე დიმიტრი (ჯუნა)
მონასელიძე ავთანდილ
მურვანიძე თემურ
ნინუა თემურ
ნიჟარაძე ზურაბ
ნიჟარაძე ნინო
ნოდია დინარა
ნუცუბიძე თამაზ
ოჩიაური გიორგი
ოჩიაური ირაკლი
პატაშური ილია
პოპიაშვილი ავთანდილ
რიგვავა გიორგი
სამსონაძე თენგიზ
სუთიძე ირაკლი
სულაკაური დავით
ტოროტაძე მანანა
ფაჩუაშვილი ჯეირან
ფაჩულია კარლო
ფერაძე ნინო
ქველიძე ლამარა
ქოიავა იოსებ
ქოქიაშვილი ვახტანგ
ღვინიაშვილი თენგიზ
ყანდარელი გივი
შელია ლეილა
შენგელია-აბაშიძე ლორეტა
შველიძე მირონ
შხვაცაბაია გიორგი
ჩაგელიშვილი გოგი
ცეცხლაძე მამუკა
ცეცხლაძე ნიკო
ცინცაძე ნანა
ცუცქირიძე ლევან
წერეთელი გოგი
წერეთელი ზურაბ
წიბახაშვილი გურამ
ჭოღოშვილი ლევან
ჭურღულია ნანა
ხარანაული ლევან
ხასია რევაზ
ხახუტაშვილი დიმიტრი
ხუნდაძე ჯიბსონ
ხუციშვილი თამაზ
ხუციშვილი კახი
ჯაფარიძე გია
ჯაფარიძე თემო
ჯაფარიძე თენგიზ
ჯიქია ჯუმბერ

## სპორტი

აზმაიფარაშვილი ზურაბ
ალექსანდრია ნანა
არახამია ქეთევან
არველაძე არჩილ
ასანიძე გიორგი
ბაგრატიონი ჯანსუღ
ბალაშვილი ნანა
ბერძენიშვილი დავით
გაფრინდაშვილი ნონა
გეგიძე ბიძინა
გუგავა ბერდია
გურგენიძე დავით
გურგენიძე რამაზ
გურიელი ნინო
გურჩიანი ერეკლე
ექვთიმიშვილი ნოდარ
ვაზაგაშვილი გიორგი
ვახტანგაძე მუხრან
ზენაიშვილი ემზარ
თორთლაძე გია
იაშვილი ალექსანდრე
იაძე ოლეგ
ივანიშვილი ნიკა
იმნაიშვილი თამაზ
იოსელიანი ნანა
კალაძე კახი
კანდელაკი გიორგი
კახაბრიშვილი ზურაბ
კობიაშვილი ლევან
კურტანიძე ელდარ
მარტყოფლიშვილი ანზორ
მაჩაიძე ედიშერ
მესხი ლეილა
მუსელიანი ვახტანგ
ნემსაძე გიორგი
ჟორდანია მერაბ
რაში ემილ
რევაზიშვილი გიორგი
სალუქვაძე ნინო

სახვაძე მორის
ქაშაკაშვილი ბენო
ღონღაძე ანზორ
ჩაკვეტაძე გიორგი
ჩაჩუა აკაკი
ჩიბურდანიძე მაია
ჩოხელი არჩილ
ჭანტურია ვლადიმერ
ხაბულიანი დილარ
ხერგიანი ნესტორ
ხოფერია რუსუდან
ხურციძე ნინო
ჯაეახაძე ვახტანგ

## უმაღლესი სასწავლებლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები

აფაქიძე შოთა
ბერძენიშვილი ლევან
გოგიაშვილი ომარ
გოგსაძე ნუგზარ
გორგოძე შოთა
გუგუშვილი ელგუჯა
დიოგიძე ოთარ
დოიჯაშვილი მანანა
ზაალიშვილი მალხაზ
თავართქილაძე გურამ
თოდუა მაგალი
ლეკვეიშვილი ომარ
ლომოური ნოდარ
ლორთქიფანიძე გიგა
მარგველაშვილი პარმენ
მეიფარიანი თამარ
მეტრეველი როინ
მიქაბერიძე ავთანდილ
მოსიძე იური
ნიკოლეიშვილი ავთანდილ
ნიჟარაძე ნინო
ორჯონიკიძე იზა
ყორდანია ოთარ
ყულენტი თეიმურაზ
სართანია ვახტანგ
ქადაგიძე სიმონ
ქარქაშაძე ნაპოლეონ
ქიქავა თეიმურაზ
ქოიავა იოსებ
შოთაშვილი ომარ
ცინცაძე სოსო
ხელაშვილი შოთა
ხეცურიანი რამაზ

## ხელისუფლების სხვა ორგანოები

აბაშიძე ვახტანგ
აბაშიძე ზურაბ
ბენიძე ვენედი
ბერიძე რუსუდან
ბინაძე ბადრი
ბიჭიკაშვილი თამარ
გამსახურდია გივი
გახოკიძე ჯემალ
გოგიაშვილი მირიან
დევდარიანი ნანა
დემეტრაშვილი ავთანდილ
დიასამიძე ნოდარ
ერისთავი ელიზბარ
ვახტანგიშვილი ივანე
თოიძე მარიამ
კაკულია მერაბ
ლომინაძე ჯუმბერ
ლორთქიფანიძე რუსუდან
მალაზონია გენო
მანაგაძე ირაკლი
მეფარიშვილი გია
მექვაბიშვილი ელგუჯა
მოლაშვილი სულხან
ნაჭყებია გიორგი
ნინიძე თედო
პაპაშვილი სულხან
რცხილაძე ვიქტორ
სართანია ვახტანგ
საჯაია ნუგზარ
ქავთარაძე გია
შარმანაშვილი თენგიზ
ხალვაში გიორგი
ჯილაური გივი